შესავალი თანამედროვე აზროვნებაში

I

წიგნი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2017

კრებულში შეტანილია სხვადასხვა დროს მოღვაწე ცნობილ მოაზროვნეთა ნაშრომები სრულად ან ნაწყვეტების სახით. წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის პირველკურსელთათვის საგანში — შესავალი კურსი თანამედროვე აზროვნებაში.

ტექსტები თარგმნეს:

ბაჩანა ბრეგვაძემ — პლატონის „სახელმწიფო“ და ნიკოლო მაკიაველის „მთავარი“; გია ნოდიამ — თომას ჰობსის „ლევიათანი“ და ჯონ ლოკის „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“; თამარ ცხადაძემ — მერი უოლსტონკრაფტის „ქალის უფლებების დაცვა“ (თარგმნილია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მთარგმნელობითი პროგრამის ფარგლებში) და მილის „თავისუფლების შესახებ“; ფილიპე გოგიჩაიშვილმა — ადამ სმითის „გამოკვლევები ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზთა შესახებ“; გიგა ზედანიამ — იმანუელ კანტის „პასუხი კითხვაზე: რა არის განმანათლებლობა?“.

პავლე მოციქულის „ეპისტოლე რომაელთა მიმართ“ იბეჭდება „ახალი აღთქმა და ფსალმუნების“ მიხედვით. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1993 წელი.

პლატონის „სახელმწიფო“ დაბეჭდილია გამომცემლობა „ნეკერის“ ნებართვით.

კარლ მარქსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ იბეჭდება გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ (თბილისი) 1974 წლის გამოცემის მიხედვით.

შესავალი და კომენტარები დაურთეს:

გიგა ზედანიამ — (პლატონი); ლევან გიგინეიშვილმა (პავლე); ნოდარ ლადარიამ და ბაჩანა ბრეგვაძემ (მაკიაველი); გია ნოდიამ (ჰობსი და ლოკი); თამარ ცხადაძემ (უოლსტონკრაფტი); დიმიტრი ჯაფარიძემ (ადამ სმითი); გიგა ზედანიამ — (იმანუელ კანტი); გიორგი მაისურაძემ (კარლ მარქსი); თამარ ცხადაძემ (ჯონ სტიუარტ მილი); ბელა წიფურიამ (ილია ჭავჭავაძე).

დაკაბადონება: ქეთევან გოგავა, თინათინ კვირკველია

მეექვსე გადამუშავებული გამოცემა

ISBN 978-9941-18-278-5
ISBN 978-9941-18-279-2

© **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,** 2006, 2007, 2010, 2013, 2014, 2017
Ilia State University, 2006, 2007, 2010, 2013, 2014, 2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინათქმა 5

პლატონი 7

შესავალი 7

სახელმწიფო 11

პავლე მოციქული 70

შესავალი 70

ეპისტოლე რომაელთა მიმართ 77

ნიკოლო მაკიაველი 105

შესავალი 105

მთავარი 110

თომას ჰობსი 170

შესავალი 170

ლევიათანი 185

ჯონ ლოკი 199

შესავალი 199

მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე 213

მერი უოლსტონკრაფტი 233

შესავალი 233

ქალის უფლებების დაცვა 243

ადამ სმითი 274
შესავალი 274
გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ 284

იმანუელ კანტი 309
შესავალი 309
პასუხი შეკითხვაზე: რა არის განმანათლებლობა? 312

კარლ მარქსი 319
შესავალი 319
კომუნისტური პარტიის მანიფესტი 324

ჯონ სტიუარტ მილი 358
შესავალი 358
თავისუფლების შესახებ 369

ილია ჭავჭავაძე 445
შესავალი 445
რჩეული წერილები 451

წინათქმა

ეს წიგნი წარმოადგენს შესავალს დასავლური აზროვნების ისტორიაში. ესაა ყველაზე დიდი მოაზროვნეების ყველაზე გავლენიანი ტექსტების ნაკრები, რომლებიც დასავლური ცივილიზაციის წიაღში შექმნილა.

ხშირად ჩვენ გვგონია, თითქოს სამყაროს გასაგებად საკმარისი იყოს ჩვენი აზროვნება მივმართოთ მასზე; თითქოს ჩვენსა და სამყაროს შორის არაფერი იდგეს, რაც აზროვნების მცდელობას ხელს შეუწყობდა ან შეუშლიდა. ეს, რასაკვირველია, მცდარი წარმოდგენაა, პირველ რიგში იმიტომ, რომ აზროვნებას არავინ არასოდეს იწყებს ცარიელ სივრცეში, ვაკუუმში. ჩვენ აზროვნება ყოველთვის უკვე მომზადებულია იმ ადამიანების ფიქრებით, რომელებიც ჩვენამდე ცხოვრობდნენ. წინამორბედთა აზრები ჩვენთვის ნიადაგიცაა და ჰორიზონტიც. საკუთარი აზრის მოფიქრება მხოლოდ სხვა, სხვების, წინმსწრები აზრების ფონზე შეიძლება.

აზროვნება, რომელზეც ახლა ვსაუბრობ, ცდილობს პასუხები მოუნახოს ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვებს: როგორაა სამყარო მოწყობილი? რა არის რელიგია? როგორია სახელმწიფოს აგებულება? რა არის თავისუფლება? როგორია საზოგადოების ლოგიკა და ცოცხალი ბუნების კანონები? როგორ არის შესაძლებელი სამყაროს შემეცნება? რანაირად ხდება სიმდიდრის დაგროვება? როგორი უნდა იყოს ქალის ადგილი საზოგადოებაში?

ბუნებრივია, რომ ამ და ბევრი სხვა ფუნდამენტური საკითხისადმი მიძღვნილი ტექსტები, რომლებსაც ამ კრებულში შეხვდებით, ცოდნის სხვადასხვა სფეროდანაა აღებული: ფილოსოფიიდან, თეოლოგიიდან, პოლიტიკის მეცნიერებიდან, ბიოლოგიიდან, ეკონომიკიდან, ფსიქოლოგიიდან და ა. შ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველა ეს ტექსტი განუმეორებელია და ჩაუნაცვლებადი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ტექსტების წაკითხვის გარეშე თქვენ ვერ მოახერხებთ სრულყოფილად გაიგოთ მათში გადმოცემული იდეები. მაგალითისათვის, პლატონის ფილოსოფიის გასაგებად სწორედაც რომ მისი დიალოგი „სახელმწიფო“ უნდა წაიკითხოთ; ენციკლოპედიის, ვიკიპედიისა თუ სახელმძღვანელოს გაცნობა თქვენ ამ ფილოსოფიაზე რაღაც ინფორმაციას მოგაწოდებთ, მაგრამ მისი გაგებისათვის თავად ავტორის ტექსტია აუცილებელი. სხვათა შორის, არსებობენ მნიშვნელოვანი ავტორები, რომელთა შესახებაც იმავეს ვერ ვიტყვით. მაგალითად, ნიუტონმა თავისი რევოლუციური აღმოჩენები ფიზიკაში, რასაკვირველია, საკუთარ ნაწარმოებებში გადმოსცა. მაგრამ დღეს ჩვენ ნიუტონის კანონებს ფიზიკის სახელმძღვანელოდან ვსწავლობთ და არავინ გვთხოვს თვითონ ნიუტონის წიგნების წაკითხვას. ამიტომაც ვერ მოხვდნენ ისინი ჩვენს ამ კრებულში. მაგრამ ტექსტები, რომლებიც მასში შევიტანეთ, სხვა სახისაა. მათი წაკითხვის გარეშე კარგ განათლებას ვერ მივიღებთ, რადგან სწორედ მათი კითხვის პროცესში ისწავლება აზროვნება ყველაზე ეფექტიანად.

ეს არცაა გასაკვირი. აზროვნების საუკეთესო სკოლა მართლაც მისი ისტორიის შესწავლაა. ცხადია, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ის, ვინც აზროვნების ისტორიას შეისწავლის, თავადაც მოახერხებს ორიგინალურ და თვითმყოფად აზროვნებას.

მაგრამ არსებობს სხვა გარანტია – ვისაც არ ეცოდინება აზროვნების ისტორია, მისი ნებისმიერი მცდელობა ამ მიმართულებით მარცხისათვის იქნება განწირული.

არადა, აზროვნება და თავისუფლება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ამიტომ იყო, რომ ძველად მონას მხოლოდ ხელობას ასწავლიდნენ, თავისუფალი ადამიანი კი იძენდა „თავისუფალი ხელოვნებების“ შესახებ ცოდნას, რომელიც, მნიშვნელოვანწილად, ამ წიგნში გადმოცემული სწავლებების მსგავსი იყო. თანამედროვე ეპოქაში ეს ძველი განსხვავება მონასა და თავისუფალს შორის, საბედნიეროდ, აღარ არსებობს; მაგრამ თავისუფლად აზროვნების შესაძლებლობა ჩვენს დროშიც პრივილეგიაა. ლიბერალური განათლება (ლათინური სიტყვიდან “liber”, თავისუფალი) სწორედ იმისათვის არსებობს, რომ ეს შესაძლებლობა მისცეს სტუდენტებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიბერალური განათლების მისაღებად სწორედ ის კურსია საჭირო, რომლისთვისაც წინამდებარე წიგნი შექმნეს ამ უნივერსიტეტის პროფესორებმა. ეს კურსი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გააზრებულად აირჩიონ მომავალი პროფესია, ჩამოიყალიბონ ღირებულებითი მიდგომა ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების მიმართ და მოემზადონ იმ გამოწვევისა და სიამოვნებისათვის, რასაც თავისუფალი აზროვნება ჰქვია.

გიგა ზედანია

პლატონი

427-347

შესავალი

არაა შემთხვევითი, რომ აზროვნების ისტორიის შესწავლას პლატონის „სახელმწიფოთი“ ვიწყებთ. ჯერ ერთი, რთულია, მონახო ფიგურა, რომელსაც მეტი გავლენა ექნებოდა მოხდენილი დასავლური აზრის განვითარებაზე, ვიდრე პლატონს. ამბობენ ხოლმე, რომ მთელი ევროპული ფილოსოფია სხვა არაფერია, თუ არა შენიშვნები, დართული პლატონის ტექსტზე. მეორეც, იმ ათეულობით წიგნს შორის, რომელიც პლატონმა დაგვიტოვა, „სახელმწიფო“ ნამდვილად ყველაზე განთქმულია.

პლატონი დაიბადა ათენის არისტოკრატიულ ოჯახში. წარუშლელი კვალი დატოვა პლატონზე მისმა მასწავლებელმა სოკრატემ. სოკრატე ათენელი ფილოსოფოსი იყო, გამორჩეული იმით, რომ არცერთი სიტყვა არ დაუწერია. მისი მეთოდი საჯარო ადგილებში დისკუსიების გამართვა იყო ნებისმიერთან, ვისაც ამ სურვილი ჰქონდა. ამ საჯარო დისკუსიების კრიტიკული ძალა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ათენის მოქალაქეებმა სოკრატეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. იმდროინდელი ათენი პირდაპირი დემოკრატია იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებიც კი ხმათა უმრავლესობით მიიღებოდა. პლატონის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის მიმართ (ეს დამოკიდებულება „სახელმწიფოშიც“ ვლინდება) სოკრატეს სიკვდილი უნდა ჰქონოდა საფუძვლად, რომელსაც პლატონი ყოველთვის უაღრესად უსამართლოდ მიიჩნევდა.

პლატონის არც შემდეგდროინდელი პოლიტიკური გამოცდილებები იყო დადებითი. მან რამდენჯერმე იმოგზაურა სიცილიაში, სადაც კავშირი ჰქონდა სირაკუზის ჯერ ერთ ტირანთან, ხოლო შემდეგ – ამ ტირანის მემკვიდრესთან. როგორც ჩანს, პლატონს სურდა, თავისი ფილოსოფიური წარმოდგენები სამართლიან სახელმწიფოზე რეალობაშიც განეხორციელებინა, მაგრამ ამ მცდელობებს ასრულება არ ეწერათ. გადმოცემის მიხედვით, ეჭვიანმა სირაკუზის ტირანმა პლატონი დააპატიმრებინა და მონად გააყიდინა.

მას შემდეგ, რაც მონობიდან დაიხსნა თავი, პლატონმა ათენში დაარსა ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც აკადემია ეწოდა. სხვათა შორის, აკადემიამ არსებობა პლატონის სიკვდილის შემდეგაც გააგრძელა და, გარკვეული წყვეტების მიუხედავად, ჩვ. წღ.-ით მეექვსე საუკუნემდე მიატანა. სწორედ ნეოპლატონური აკადემიის დახურვა 529 წელს ითვლება ანტიკური ეპოქის დასასრულად და შუა საუკუნეების პერიოდის დასაწყისად.

ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი პლატონის შემოქმედებისა არის მისი ტექსტების ფორმა. პლატონის ყველა მნიშნველოვანი ტექსტი – მათ შორის, „სახელმწიფოც“ – დიალოგის ფორმითაა დაწერილი. ეს უჩვეულოა – პლატონის წინამორბედები თავიანთ ფილოსოფიას პოემის ფორმით გადმოსცემდნენ ხოლმე, პლატონის მემკვიდრეები – ტრაქტატის ფორმით. რატომ დიალოგი? ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ შეკითხვაზე არ არსებობს, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პლატონს აინტერესებდა არა მარტივი ჭეშმარიტება, რომლის გადმოცემაც მტკიცებითი წინადადებების ერთმანეთზე აწყობით შეიძლება, არამედ ჭეშმარიტების ძიების პროცესი, რომელიც სწორედ დიალოგში მიიღწევა, სადაც ოპონენტები ერთიმეორის აზრებს აკრიტიკებენ. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პლატონის თითქმის ყველა დიალოგის მთავარი გმირი სოკრატეა, მაშინაც კი, როდესაც პლატონი სოკრატეს ათქმევინებს აზრებს, რომლებიც ისტორიულ სოკრატეს ნამდვილად არ უთქვამს და რომლებიც თავად პლატონს ეკუთვნის (ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, „სახელმწიფოში“). ეს პლატონის მიერ მასწავლებლის განსაკუთრებული დაფასების ნიშანი უნდა იყოს.

პლატონის ფილოსოფიის ცენტრალურ ნაწილია მოძღვრება იდეების შესახებ. სოკრატეს მთავარი იარაღი ოპონენტებთან დავაში იყო შეკითხვა – „რა არის?“. მაგალითად, სოკრატე კითხულობდა, თუ რა არის სამართლიანობა, რა არის მეგობრობა, რა არის სიყვარული, რა არის პოეზია. აღმოჩნდებოდა, რომ მის მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ ბევრი კერძო წარმოდგენა იმაზე, თუ რა ქმედებაა სამართლიანი, ვინ არის მეგობარი და ა. შ.; მაგრამ მათ არ შეეძლოთ მოეცათ ამ ცნებების განსაზღვრება. მას შემდეგ, რაც პლატონი განსაზღვრებას მონახავდა, მას უნდა გადაეწყვიტა, რა უფრო ნამდვილია: ეს განსაზღვრება, რომელიც მოვლენის იდეას წვდება თუ თავად მოვლენა? პლატონი ფიქრობდა, რომ იდეა ყოველგვარი ეჭვის გარეშე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საგანი. სწორედ ამ განსხვავებამ ჩვეულებრივ, ხილულ, გრძნობად საგნებს შორის, ერთ მხრივ, და იდეალურ, იდეურ, მხოლოდ გონებითსაწვდომ სამყაროს შორის, მეორე მხრივ მოახდინა უზარმაზარი გავლენა ევროპული აზროვნების ჩამოყალიბებაზე. იმის თქმა, რომ ეს სამყარო ერთი არ არის, რომ რეალური სამყაროს „უკან“ იდეალური დგას და რომ ადამიანის ზრახვები და სურვილები ამ იდეალური სამყაროსკენ უნდა იყოს მიმართული – ნიშნავდა იმ აზრების გამოთქმას, რომებიც საუკუნეების განმავალობაში განსაზღვრავდა დასავლური ცივილიზაციის აზროვნებასა და ცხოვრებას. სწორედ ამიტომაა პლატონის წვლილი აზროვნების ისტორიაში განუმეორებელი და ფუნდამენტური.

„სახელმწიფოს“ მე-6 და მე-7 თავები, რომლებიც წინამდებარე კრებულში შევიდა, წარმოადგენს პლატონის მცდელობას, განმარტოს, რა არის სიკეთის იდეა. რა ლოგიკამ მიიყვანა ძველი ბერძენი ფილოსოფოსი აქამდე? დიალოგი პლატონმა (უფრო სწორად კი, მისმა მთავარმა პერსონაჟმა სოკრატემ) დაიწყო შეკითხვით – რა არის სამართლიანობა? ამ შეკითხვის განხილვისას აუცილებელი გახდა იმაზე მსჯელობა, თუ როგორი უნდა იყოს სრულყოფილი სახელმწიფო. სოკრატე მიიჩნევს, რომ

სახელმწიფოს მმართველები ფილოსოფოსები უნდა იყვნენ, რადგან მხოლოდ მათ აქვთ ცოდნა, ზოგადად, იდეებისა და, კერძოდ, სიკეთის იდეის შესახებ.

„სახელმწიფოში“ მოცემულია სამი შედარება, სამი სურათ-ხატი იმის გადმოსაცემად, თუ როგორ უნდა გავიგოთ სიკეთის იდეა. ეს სამი შედარებაა მზის შედარება, წრფის შედარება და მღვიმის შედარება (ამ უკანასკნელს მღვიმის ალეგორიასაც უწოდებენ ხოლმე).

მზის შედარება.

სიკეთის იდეა მზის ანალოგიით შეიძლება გავიგოთ. ის, რომ მზე სინათლეს ასხივებს, მიზეზია იმისა, რომ ჩვენ ნებისმიერი რაღაცის დანახვა შეგვიძლია. სინათლე რომ არა, შეუძლებელი იქნებოდა ხედვა. თანაც, მზე არა მხოლოდ ხილულობისა და ხედვის მიზეზია, არამედ იმისაც, რომ ცოცხალი არსებები არსებობენ და ცოცხლობენ.

ის, რაც არის მზე ხილულ სამყაროში, არის სიკეთის იდეა აზროვნებით საწვდომ სამყაროში. ხილული სამყარო ჩვენთვის კარგად ნაცნობი სამყაროა, რომელშიც არსებობენ ადამიანები, ცხოველები, მცენარეები, საყოფაცხოვრებო საგნები და ა. შ. მაგრამ რას ნიშნავს სამყარო, რომელსაც მხოლოდ აზროვნებით შეიძლება მივწვდეთ? პლატონის მიხედვით, ყოველთვის, როდესაც რაღაცის არსს გვინდა ჩავწვდეთ, ჩვენ მის იდეამდე მივდივართ. გვინდა გავიგოთ, რა არის სამართლიანობა? მაშინ უნდა დავადგინოთ, რა არის სამართლიანობის იდეა. გვინდა გავიგოთ, რა არის მეგობრობა? უნდა გავარკვიოთ, რა არის მეგობრობის იდეა. იდეის ქვეშ იგულისხმება ის გამაერთიანებელი, რომელიც სხვადასხვაგვარად ვლინდება ცალკეულ ფენომენებში.

სწორედ აქაა პლატონის მოძღვრების მთავარი აზრი: არსებობს არა მხოლოდ ცალკეული, ხილული საგნების სამყარო, არამედ იდეების სამყაროც, რომელსაც თვალით ვერ დავინახავთ და ხელით ვერ შევეხებით. ამ მეორე სამყაროს მხოლოდ აზროვნებით შეიძლება მივწვდეთ.

იმისათვის, რომ ეს განსხვავება უკეთესად გავიგოთ, პლატონი მეორე შედარებას გვთავაზობს. ესაა წრფის შედარება.

წრფის შედარება.

შევადაროთ მთელი არსებული რეალობა წრფეს. წრფე ორ არათანაბარ მონაკვეთად გავყოთ, და ორივე ეს მონაკვეთი შემდეგ იმავე პროპორციით გავყოთ, რის შედაგადაც ოთხ მონაკვეთს მივიღებთ,

პირველი გაყოფა ყოფს მთელს რეალობას ორ სფეროდ, ერთი გრძნობადია, ხოლო მეორე – გონებითსაწვდომი. ოთხი სეგმენტი, რომელიც მივიღეთ ამ ორის გაყოფით, წარმოადგენენ, ერთი მხრივ, გრძნობად საგნებსა და მათ ანარეკლებს, ხოლო, მეორე მხრივ, მათემატიკურ ობიექტებსა და იდეებს.

ყველაზე მცირე მონაკვეთი ეთმობა გრძნობადი საგნების ანარეკლებს, რადგან მათში ყველაზე ნაკლებია რეალობა. აქ საქმე გვაქვს ისეთ ფენომენებთან, როგორებიცაა ჩრდილი, საგნის ანარეკლი წყალში, ნახატი და ა. შ. ამის შემდეგ მოდის ხილული, გრძნობადი საგნების სფერო; ამის შემდეგ – მათემატიკური ობიექტების სფერო (მაგალითად, სამკუთხედი, კვადრატი და ა. შ.). იმის გამო, რომ მათემატიკური ობიექტები შორდებიან გრძნობად სამყაროს და იდეალურს უახლოვდებიან. ყველაზე მეტი „რეალობა“ და „სინამდვილე“, პლატონის მიხედვით, იდეებს აქვთ, ამიტომ ამ სფეროს წრფის შედარებაშიც ყველაზე დიდი მონაკვეთი ეთმობა.

პირველი ორი ეს შედარება ანალოგიის ან მეტაფორის ხასიათს ატარებს (სიკეთის იდეა – მზე; რეალობა – წრფე). მაგრამ მესამე შედარება უკვე ამბად არის მოყოლილი. ესაა მღვიმის ალეგორია.

მღვიმის ალეგორია.

ახლა პლატონი ჩვენს რეალურ სამყაროს მღვიმეს ადარებს, სადაც ადამიანები არიან ჯაჭვებით დაბმულნი. მათ მხოლოდ და მხოლოდ იმ ჩრდილების დანახვა შეუძლიათ, რომლებსაც მათ წინ კედელზე ტოვებენ მათ უკან არსებული საგნები ასევე უკან მოგიზგიზე ცეცხლის სინათლის წყალობით. ეს უცნაური ხატი პლატონს იმისთვის სჭირდება, რომ დაგვიმტკიცოს: როგორც ამ მღვიმეში გამოკეტილ ადამიანებს მთელი რეალობა კედელზე არეკლილი ჩრდილები ეგონებათ, ისე გვგონია ჩვენ, რომ მთელი რეალობა გრძნობით საწვდომი საგნებისგან შედგება. მაგრამ თუ ერთ-ერთი ამ მღვიმის მაცხოვრებელთაგან გათავისუფლდება ჯაჭვებისგან და ზედაპირზე ამოვა, ის დაინახავს ნამდვილ საგნებს, რომელთაც ხილულს ხდის მზის სინათლე და ბოლოს შეეძლება, თვით მზეც აღიქვას. ასევეა აზროვნებაში: ფილოსოფოსი რომ მოაცილებს თავის მზერას ხილულ საგნებს და იდეებს მიაპყრობს გულისყურს, ის დაინახავს სიკეთის იდეასაც, როგორც უმაღლეს პრინციპს.

რატომაა უმაღლესი პრინციპი მაინცდამაინც სიკეთის იდეა და არა, მაგალითად, სამართლიანობის, მშვენიერების ან ჭეშმარიტების? საქმე ისაა, რომ პლატონს სიკეთის ცნება განსაკუთრებულად ესმის. საგნის სიკეთე მდგომარეობს მის მიერ თავისი დანიშნულების შესრულებაში, თავისი ფუნქციის აღსრულებაში. მაგალითისათვის, წამლის სიკეთე იმაშია, რომ ის კურნავს. ამიტომ არის სიკეთის იდეა აუცილებელი პრინციპი – ის ჩვენ საშუალებას გვაძლევს, მივხვდეთ, რა რისთვის გამოდგება, რა საქმისთვის არის „კეთილი“ გარკვეული საგანი. მაგალითისთვის, შეიძლება გვეგონოს, რომ ფული სიკეთეა, მაგრამ თუ არ ვიცით, რაში და როგორ დავხარჯოთ ის, ბევრი ფულიც ვერანაირ სარგებელს ვერ მოგვიტანს.

ამიტომაა, რომ ფილოსოფოსი, რომელიც სიკეთის იდეას ეზიარება, თავს ვალდებულად გრძნობს, თავისი ცოდნა სხვებსაც გაუზიაროს. ისევე როგორც პლატონის ალეგორიის მიხედვით, მღვიმიდან თავდაღწეული ადამიანი, რომელმაც ნამდვილი მზე ნახა, ისევ მღვიმეში ბრუნდება, რათა თავის თანამოძმეებს აუხსნას, თუ რა არის ნამდვილი რეალობა და ცოდნა და რა – არა.

სახელმწიფო

სოკრატე, გლავკონი, ადიმანტე

წიგნი მეექვსე

[ვინ არის და ვინ არ არის ფილოსოფოსი?]

– დიდი ხნის კამათის შემდეგ, როგორც იქნა, გაირკვა, გლავკონ, ვინ უნდა მიგვაჩნდეს ფილოსოფოსებად და ვინ არა.[1]

– ასეა, – თქვა მან, – მოკლე ხანში შეუძლებელი იქნებოდა ამის გარკვევა.

– ეტყობა, – მივუგე მე, – ეგეც არ იყოს, მე მგონია, ჩვენი მტკიცება უფრო საფუძვლიანი იქნებოდა, მხოლოდ ეს რომ გვქონოდა გასარკვევი და არა ბევრი სხვა საკითხიც იმის განხილვისას, თუ რითი განსხვავდება სამართლიანი ცხოვრება უსამართლოსგან.

– ამის შემდეგ რალა დაგვრჩა განსახილველი? – იკითხა მან.

– რა და, შემდეგი: თუ ფილოსოფოსები ის ხალხია, ვისაც იმისი წვდომის უნარი შესწევს, რაც მარად უცვლელია და თვითიგივეობრივი, სხვებს კი ამის თავი არა აქვთ და საგანთა სიმრავლესა თუ ცვალებადობაში დაბორიალობენ, – საკითხავია, ამ ორთაგან ვინ უნდა ედგეს სახელმწიფოს სათავეში?

– რა უნდა ვთქვათ, რომ სათანადო პასუხი გამოგვივიდეს?

– ვისაც იმისი ძალა შესწევს, რომ კანონებსა და ქვეყნის ადათ-წესებს იცავდნენ, სწორედ მათ დავადგენთ მცველებად.

– სწორია, – თქვა მან.

– ხომ ცხადია, – მივუგე მე, – რომ მცველი ბრმა კი არა, მახვილი მზერის პატრონი უნდა იყოს.

– რა საკითხავია?

– კი მაგრამ, რა განასხვავებს ბრმას იმისაგან, ვისთვისაც მთლიანად დაფარულია საგანთა არსი, და ვის სულშიაც ვერავინ ჰპოვებს მათ მკაფიო ხატებს? მხატვრებისა არ იყოს, არც მას შეუძლია უზენაესი ჭეშმარიტების ჭვრეტა, თუმცა წამითაც არ უნდა წყვეტდეს თვალს და ცდილობდეს შესაძლო სიზუსტით წარმოიდგინოს იგი, რათა მშვენიერების, სამართლიანობისა და სიკეთის კანონები დაადგინოს ამქვეყნად, თუკი საჭირო შეიქნა მათი დადგენა, ანდა ფხიზლად იცავდეს მათ, თუ ისინი უკვე არსებობენ.

– ვფიცავ ზევსს, დიდად როდი განსხვავდება ბრმისაგან.

– მერედა, ვის დავადგენთ მცველებად, ბრმებს თუ იმათ, ვისთვისაც ცნობილია ყოველი საგნის არსი და, ამასთან, არც გამოცდილებით ჩამოუვარდება მათ და არც ნებისმიერი სიქველით?

– უგუნურება იქნებოდა სხვების დადგენა, თუკი ისინი ტოლს არ უდებენ და სიქველითაც აშკარად ჩრდილავენ მათ.

– ხომ არ გვეჩვენებინა, რანაირად შეიძლება ერთმანეთს უხამებდნენ ისინი გამოცდილებას და უზენაესი სიკეთის ჭვრეტას?

– ცხადია, უნდა გვეჩვენებინა.

– როგორც ჩვენი მსჯელობის დასაწყისში ითქვა, თავდაპირველად გვმართებს გავარკვიოთ მათი ბუნება და, ვფიქრობ, თუ ამ საკითხში საკმარის თანხმობას მივაღწევთ, მაშინ იმასაც ვაღიარებთ, რომ ისინი შეიძლება თანაბრად ფლობდნენ ორივე ამ უპირატესობას, და სახელმწიფოს სხვებს კი არა, სწორედ მათ უნდა ვუყენებდეთ სათავეში.

– როგორ?

[რა თვისებებია აუცილებელი ფილოსოფოსისათვის?]

– ფილოსოფოსთა ბუნებასთან დაკავშირებით უნდა შევთანხმდეთ, რომ ისინი ვნებიანად მიელტვიან ცოდნას, რაც მათ უმჟღავნებს მარადიულ არსს, რომელიც არ ექვემდებარება წარმოშობითა თუ ხრწნილებით გამოწვეულ ცვალებადობას.

– დიახ, უნდა შევთანხმდეთ.

– უნდა ითქვას, რომ ისინი ესწრაფვიან მთელ არსებობას და ცდილობენ უყურადღებოდ არ დატოვონ მისი არც ერთი ნაწილი, არც დიდი და არც მცირე, არც მეტად თუ ნაკლებად ფასეული, მოკლედ, ისე იქცევიან, როგორც პატივმოყვარენი და შეყვარებულნი, რომლებზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით.

– მართალს ბრძანებ.

– ახლა კი დაუკვირდი, აუცილებელია თუ არა, რომ ის ხალხი, რომელიც ისეთი უნდა იყოს, როგორც ჩვენ ვამბობთ, შემდეგ თვისებასაც ფლობდეს...

– რა თვისებას?

– გულწრფელობას, სიცრუის გადაჭრით უარყოფას, მისდამი სიძულვილს და სიყვარულს ჭეშმარიტების მიმართ.

– რა თქმა უნდა.

– ეს არა მარტო ბუნებრივია, ჩემო მეგობარო, არამედ აუცილებელიც იმისთვის, ვინც, თავისი ბუნებისამებრ, სიყვარულით მიელტვის და პატივს სცემს ყველაფერს, რაც მისი სიყვარულის საგნის ახლობელია და მონათესავე.

– სწორია, – თქვა მან.

– კი მაგრამ, თუ გეგულება რამე, სიბრძნესთან უფრო ახლოს რომ იდგეს, ვიდრე ჭეშმარიტება?

– არაფერი.

– განა შეიძლება ერთსა და იმავე კაცს სიბრძნეც უყვარდეს და სიცრუეც?

– არა, არ შეიძლება.

– მაშასადამე, ჭეშმარიტი სიბრძნისმოყვარე სიყრმითგანვე მთელი არსებით უნდა ესწრაფვოდეს ჭეშმარიტებას.

– დიახ, მთელი არსებით.

– მაგრამ როცა ადამიანს მისი სურვილები ძალით მიაქცევენ ერთი რომელიმე საგნისაკენ, ჩვენ ვიცით, რომ მათი სწრაფვა მეტისმეტად სუსტდება ყოველივე დანარჩენის მიმართ, როგორც კალაპოტიდან გადაგდებული ნაკადი.

– მერედა რა?

– როცა ადამიანის სურვილი ცოდნის შეძენისა თუ სხვა მისთანათა მიმართ მიაქცევს მას, ჩემის აზრით, ეს სიამოვნებას ანიჭებს მის სულს, ხორციელი განცხრომისაკენ სწრაფვა კი ქრება, თუ, რა თქმა უნდა, ის თავს კი არ გვაჩვენებს სიბრძნის მოყვარედ, არამედ მართლა უყვარს სიბრძნე.

– უცილობლად.

– ამნაირი ადამიანი კეთილგონიერია და არამც და არამც – ვერცხლისმოყვარე; რადგანაც მხოლოდ ფულზე გეჭიროს თვალი, ვისაც გინდა, იმას შეჰფერის, მაგრამ არა მას.

– ეგრეა.

– ერთსაც უნდა მიაქციო ყურადღება, თუ გსურს ერთმანეთისაგან არჩევდე, ვინაა ბუნებით ფილოსოფოსი და ვინ არა.

– მაინც რას?

– რასა და იმას, რომ სიფრთხილე გმართებს, რათა არ გამოგეპაროს მისი რაიმე სიმდაბლე, რადგანაც სულმოკლეობა დაუძინებელი მტერია სულისა, რომლის დანიშნულებაც ისაა, რომ გამუდმებით მიელტვოდეს ყოველივე ღვთაებრივს თუ ადამიანურს.

– მართალს ბრძანებ.

– მაგრამ თუ ადამიანი დიდსულოვანია და შეუძლია ერთობლივად მოიცვას მზერით მთელი დრო და მთელი ყოფიერება, როგორ გგონია, განა მას შეუძლია დიდ რამედ მიაჩნდეს ჩვენი ცხოვრება?

– არა, ეს შეუძლებელია, – თქვა მან.

– ასე რომ, ის არც სიკვდილს მიიჩნევს საშინელებად?

– არამც და არამც.

– როგორც ჩანს, მხდალი და მდაბალი ბუნებისათვის მიუწვდომელია ფილოსოფია.

– ასე მგონია.

– ხოლო თუ კაცი წესიერია, უანგარო, არა მდაბალი, არა თავგასული და არა მხდალი, განა შეიძლება ის უხიაგი ან უსამართლო გახდეს?

– არა, არ შეიძლება.

– ასე რომ, როცა გსურს განიხილო, ფილოსოფიურია თუ არა სული, დაუკვირდი და სიყმაწვილეშივე შეატყობ, სამართლიანია და თვინიერი თუ უხიაგი და ველური.

– რა თქმა უნდა.

– მე მგონია, არც ეს გამოეპარება შენს თვალს...

– რა?

– შესწევს თუ არა სწავლის უნარი. განა შეიძლება იმედი გქონდეს, რომ დროთა განმავლობაში გულს დაუდებს იმას, რასაც წამებად მიიჩნევს და რის ვაივაგლახით ართმევს თავს?

– ნამდვილად არ შეიძლება.

– ხოლო თუ ვერაფერს იმახსოვრებს, რასაც ასწავლიან, და ყველაფერი ავიწყდება, განა შეიძლება თავცარიელი არ იყოს?

– რასაკვირველია, არა.

– როგორ გგონია, ასე ამაოდ მაშვრალი, განა, ბოლოს და ბოლოს, თავსაც არ შეიძულებს და ამნაირ სწავლა-განათლებასაც?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, იმას, ვინც ვერაფერს იმახსოვრებს, ნამდვილად ვერ მივაკუთვნებთ ფილოსოფოსთა რიცხვს და კარგი მეხსიერების პატრონს უნდა დავუწყოთ ძებნა.

– უცილობლად.

– მაგრამ განა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სულის უხამსობასა და გაუთლელობას შედეგად არ მოსდევს ის, რასაც ზომის უქონლობა ჰქვია?

– არა, არ შეიძლება.

– კი მაგრამ, ჭეშმარიტება, შენი აზრით, ზომიერებას უკავშირდება თუ ზომის უქონლობას?

– ზომიერებას.

– მაშასადამე, ბევრი სხვა რამის გარდა, უნდა ვეძებოთ ზომიერება, უშუალოდ რომ ერწყმის გონების ბუნებრივ დახვეწილობას, რათა ამ თანდაყოლილმა თვისებებმა თავისუფლად წარმართონ სული ყოველი საგნის იდეისაკენ.

– რა თქმა უნდა.

– ან იქნებ გგონია, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი და ერთიმეორის მომდევნო ყველა ეს თვისება სულაც არ არის აუცილებელი სულისათვის, რათა მან საკმარისად და სრულყოფილად შეიცნოს არსი?

– ყოვლად აუცილებელია.

– მერედა, ნუთუ შეგიძლია იმ საქმიანობის გმობა, რომელსაც ვერავინ ვერ მისდევს ისე, როგორც წესი და რიგია, თუკი ბუნებამ მეხსიერება, სწავლის უნარი, დიდსულოვნება და დახვეწილობა არ უბოძა, ან ჭეშმარიტების, სამართლიანობის, სიმამაცისა და დახვეწილობის მოყვარე თუ მონათესავე არ არის?

– თვით მომოსიც[2] კი ვერ უპოვიდა რაიმე საგმობს.

– მაგრამ ნუთუ შენ მხოლოდ ამნაირ – მოწიფულსა და ზედმიწევნით განსწავლულ ხალხს მიანდობდი სახელმწიფოს მართვას?

აქ საუბარში ჩაერია ადიმანტე:

[ადიმანტის მიერ წარმოდგენილი საწინააღმდეგო არგუმენტი: რეალური ფილოსოფოსები სოკრატეს იდეალს არ შეესაბამებიან]

– ვინ გაბედავს, სოკრატე, რაიმე დაუპირისპიროს შენს მოსაზრებებს? მაგრამ თუ იცი, რას განიცდიან შენი მსმენელები, როცა საკუთარ აზრს გამოთქვამ? რაკი არც კითხვების დასმა შეუძლიათ და არც პასუხის გაცემა, ასე ჰგონიათ, რომ შენი მსჯელობა ყოველი კერძო საკითხის ირგვლივ მეტად თუ არა, ოდნავ მაინც აშორებთ ჭეშმარიტებას; მაგრამ როცა ერთ „ოდნავს“ მეორე ემატება, მეორეს – მესამე და ასე შემდეგ; მათი ჯამი ერთ უხეშ შეცდომად იქცევა, მკვეთრად რომ უპირისპირდება შენი მსმენელების თავდაპირველ განწყობას. როგორც ძლიერი მოშაშე სუსტს, ბოლოს და ბოლოს, სვლის გაკეთების საშუალებას აღარ უტოვებს, შენი მსმენელებიც, ადრე თუ გვიან, ჩიხში ემწყვდევიან და კრინტის დაძვრასაც ვეღარ ახერხებენ იმ თავისებურ თამაშში, სადაც კოჭების მაგივრად სიტყვებს იყენებენ. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ეს როდი წყვეტს საქმეს. მე აქ ჩვენს შემთხვევას ვგულისხმობ: ყველას შეეძლო ელიარებინა, რომ ვერაფერს დაუპირისპირებს შენს მსჯელობას ვერც ერთ აქ წამოჭრილ საკითხზე, თუმცა ამ მხრივაც უნდა განგვეხილა საქმე: ვინც ფილოსოფიას ეწაფება, მაგრამ ახალგაზრდობაში გარკვეული განათლების შესაძენად კი არა, არამედ თითქმის მთელ სიცოცხლეს სწირავს მას, უმეტესწილად უცნაურზე უცნაურია, რომ არა ვთქვა – უქნარა და უმაქნისი-მეთქი, და თვით ისიც კი, ვინც ყველაზე გონიერი ჩანს, სხვას ვერაფერს იძენს ფილოსოფიის შესწავლით, რასაც შენ ასე აქებ და ადიდებ, გარდა იმისა, რომ სრულიად უსარგებლო ხდება სახელმწიფოსთვის.

ადიმანტეს რომ მოვუსმინე, მე ვთქვი:

– როგორ გგონია, ვინც ამას ამბობს, ცდება?

– არ ვიცი, – თქვა ადიმანტემ, – მაგრამ სიამოვნებით კი მოვისმენდი შენს აზრს.

– მაშ, მოისმინე: მე თუ მკითხავ, მართალს ამბობს.

– კი მაგრამ, როგორღა ეთანხმება ეს იმ მტკიცებას, რომ სახელმწიფოები მანამდე ვერ დააღწევენ თავს უბედურებას, ვიდრე მათ სათავეში არ ჩაუდგებიან ფილოსოფოსები, რომლებიც შენ ეს-ესაა უმაქნისებად დასახე?

[სოკრატეს პასუხი: რატომ ხდებიან ის იშვიათი ფილოსოფოსები, რომლებიც პატივისცემას იმსახურებენ, უსარგებლონი ქალაქისათვის?]

– შენ ისეთ კითხვებს მისვამ, რომ მხოლოდ შედარებებით თუ შემიძლია ვუპასუხო.

– მაგრამ, შენ ხომ შედარებებით ლაპარაკი არა გჩვევია.

– რაც არის, არის, – ვთქვი მე, – თავსამტვრევ განსჯაში ჩამითრიე და დამცინი კიდეც?! მაშ, მოისმინე ჩემი შედარება, რათა დარწმუნდე, რარიგ ძნელია ეს ჩემთვის:

სახელმწიფო ისე სასტიკად ეპყრობა ბრძენკაცთ, რომ უარესი აღარ იქნება. ამიტომ მათ დასაცავად სხვადასხვა საგანს მოვიშველიებ, რათა ერთმანეთს

მივუსადაგო ეს სხვადასხვაობა, როგორც იქცევიან მხატვრები ვაცირმის თუ სხვა მისთანათა ხატვისას, ერთმანეთს რომ უხამებენ ნაირგვარ ნაკვთებს. მაშ, წარმოიდგინე ხომალდისა თუ ხომალდთა მთელი ქარავნის პატრონი, ახოვანებითა და ძალ-ღონითაც რომ აღემატება დანარჩენ ზღვაოსნებს, მხოლოდ ეგაა, ყურს აკლია, არც თვალი უჭრის და საზღვაო საქმისაც ბევრი არა გაეგება რა, ზღვაოსნები კი საჭის ხელში ჩასაგდებად თავ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს: ყველას ჰგონია, რომ სწორედ მან უნდა მართოს ხომალდი, თუმცა არსად უსწავლია მესაჭეობა, ასე რომ, ვერ გეტყვით, ვინ ასწავლა ან როდის ისწავლა ეს ხელობა. მათი თავგასულობა იქამდისაც კი მიდის, რომ ხმამაღლა გაჰყვირიან, ამას რა სწავლა უნდაო, და მზად არიან ნაკუწებად აქციონ ყველა, ვინც ამტკიცებს, რომ მესაჭეობა დიახაც მოითხოვს სწავლას. პატრონის ირგვლივ შემოჯარულნი თავს აბეზრებენ ვედრებით, თხოვნითა და ხვეწნა-მუდარით, არა ჩვენ მოგვანდე ეს საქმე და არა ჩვენო. თუ დაიყოლიეს და საწადელს ეწიენ, დანარჩენებს კი ხელი მოეცარათ, გაშმაგებულნი დაერევიან და მუსრს ავლებენ ერთმანეთს, ცხედრებს კი პირდაპირ ზღვაში ისვრიან. ხომალდის კეთილშობილ პატრონს კი მანდრაგორათი, ღვინითა თუ სხვა რამ მათრობელა სითხით აბრუებენ და ხელთ იგდებენ ხომალდს. მაშინ დაერევიან ყველაფერს, რაც ხომალდზეა, იწყება გაუთავებელი სმა-ჭამა და ღრეობა, ხომალდი კი, რაღა თქმა უნდა, ისე მიჰყავთ, როგორც ამნაირ მეხომალდეებს შეჰფერით. თანაც ქება-დიდებას არ აკლებენ, ნამდვილ ზღვაოსანს, უებრო მესაჭეს და საზღვაო საქმის უბადლო მცოდნეს უწოდებენ ყველას, ვინც შესძლო პატრონის დაყოლიებითა თუ ძალადობით ჩაეგდო ხელში ძალაუფლება, მაშინ როდესაც დასცინიან და აბუჩად იგდებენ მათ, ვინც ეს ვერ შესძლო. ამ ხალხს წარმოდგენაც არა აქვს ნამდვილ მესაჭეზე, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს წელიწადის დროს, თვალს ადევნებდეს ცას, ვარსკვლავებს თუ ქარის ქროლას, მოკლედ, ყველაფერს, რაც მის ხელობას უკავშირდება, თუ სურს მარჯვედ მართავდეს ხომალდს, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს ვისიმე ნება-სურვილს. მათ ჰგონიათ, რომ შეუძლებელია სწავლით შეიძინო ამის უნარი, გამოცდილება და თვით მესაჭის ხელობა.

ხოლო თუ ეს ხდება ხომალდზე, როგორ გგონია, განა ამნაირ ვითარებაში მეზღვაურები მაღალფარდოვან ყბედად, უბადრუკად და უმაქნისად არ მიიჩნევენ ნამდვილ მესაჭეს?

– რა თქმა უნდა, – მომიგო ადიმანტემ.

– არა მგონია, ამ სურათის შემყურეს რაიმე ახსნა-განმარტება დაგჭირდეს იმის დასადგენად, თუ რითი ჰგავს ეს სურათი ფილოსოფოსების მდგომარეობას სახელმწიფოში; ხომ გესმის, რასაც ვამბობ?

– ძალიან კარგად.

– მაშ, უწინარეს ყოვლისა, შენ თვითონ განუმარტე ეს შედარება იმას, ვისაც უკვირს, რატომ არ სცემენ პატივს ფილოსოფოსებს სახელმწიფოში, და ეცადე დაარწმუნო, რომ უფრო საკვირველი ის იქნებოდა, პატივი რომ მიეგოთ მათთვის.

– ასეც ვიზამ.

– ისიც უთხარი, რომ მართალს ამბობს, როცა ამტკიცებს, რაოდენ უსარგებლოა სახელმწიფოსათვის ის ხალხი, ფილოსოფოსებად რომ მოაქვთ თავი, მაგრამ კეთილ ინებოს და ამ უსარგებლობაში მათ დასდოს ბრალი, ვისაც ვერანაირ საქმეში ვერ გამოუყენებია ისინი, და არა თვით ამ ბრძენკაცებს. განა ბუნებრივია, რომ მესაჭე მორჩილებას სთხოვდეს მეზღვაურებს, ბრძენკაცნი კი კარს უტალახებდნენ მდიდრებს? ცდებოდა, ვინც ასე იხუმრა. სიმართლე კი, თუ გნებავთ, ის არის, რომ მდიდარია კაცი თუ ღარიბი, ავად რომ გახდება, ექიმს უნდა მიაკითხოს; ხოლო ვისაც ქვეშევრდომობა სურს, იმას მიმართოს, ვისაც ქვეშევრდომთა მართვის უნარი შესწევს. სად გაგონილა, მმართველი სთხოვდეს ქვეშევრდომთ, გემუდარებით, მოდით და მიქვეშევრდომეთო, თუკი მართლა ვარგა მმართველად? ამიტომაც არ შეცდები, თუ დღევანდელ სახელმწიფო მოღვაწეებს იმ ზღვაოსნებთან გააიგივებ, რომლებზედაც წეღან ვლაპარაკობდით, ხოლო ვისაც ეს ზღვაოსნები უქნარებად და მაღალფარდოვან ყბედებად თვლიან – ჭეშმარიტ მესაჭესთან.

– მართალს ამბობ.

– ამის გამო და ამნაირ ვითარებაში ადვილი როდია ყველაზე უკეთეს ხელოვნებას პატივს მიაგებდეს ის ხალხი, ვინც სრულიად საპირისპირო ხელობას მისდევს. ყველაზე მძიმე და ყველაზე საშინელ ბრალდებას კი სწორედ ისინი უყენებენ ფილოსოფოსებს, ვისაც ჰგონია, რომ ფილოსოფოსობა მათი საქმეა. შენს მიერ ხსენებული ფილოსოფიის მგმობელის სიტყვით, ფილოსოფოსთა უმრავლესობა ყველაზე უკეთური ხალხია, ხოლო ბრძენკაცნი უსარგებლონი და უმაქნისნი არიან, და მეც დაგეთანხმე, მართალი ხარ-მეთქი; ასეა, არა?

– დიახ, ასეა.

– მაგრამ ჩვენ ხომ ვნახეთ, რატომ არიან ნამდვილი ფილოსოფოსები უსარგებლონი?

– რა თქმა უნდა.

[რატომ არის ფილოსოფოსთა უმრავლესობა უკეთური?]

– ხომ არ გსურს ახლა ისიც ვნახოთ, რა არის უმრავლესობის უკეთურობის მიზეზი და შეძლებისდაგვარად ვცადოთ იმის დამტკიცებაც, რომ ამაში ფილოსოფიას როდი მიუძღვის ბრალი?

– ცხადია, მსურს.

– მაშ, განვაგრძოთ ჩვენი კითხვა-პასუხი და გავიხსენოთ, რა ბუნებრივი თვისებებია საჭირო იმისთვის, რომ ადამიანი ღირსეული და კეთილი იყოს? თუ გახსოვს, პირველი იყო ჭეშმარიტების სიყვარული, რომელსაც თავის წინამძღვრად უნდა სახავდეს და ყველგან და ყოველთვის უყოყმანოდ მიჰყვებოდეს, რადგანაც მკვეხარა და უკეთური ვერასოდეს ეზიარება ჭეშმარიტ ფილოსოფიას.

– დიახ, სწორედ ამას ვამტკიცებდით.

– კი მაგრამ, განა ამ მხრივ მკვეთრად არ ვუპირისპირდებით დღესდღეობით საყოველთაოდ გაბატონებულ აზრს?

– მკვეთრად და უფრო მეტადაც.

– განა მართებული არ იქნებოდა ჩვენი მოსაზრების დასაცავად გვეთქვა, რომ ცოდნის მოყვარე კაცი ბუნებრივად მიელტვის ჭეშმარიტ არსს და საგანთა სიმრავლეზე კი არ ჩერდება, რომელთა არსებობაც მხოლოდ მოჩვენებითია, არამედ განუხრელად მიიწევს წინ და მისი ვნება მანამდის არ დაცხრება, სანამ არ ჩასწვდება თვით საგანთა არსს თავისი სულის იმ ნაწილით, რომლის დანიშნულებაც სწორედ ამ არსის წვდომაა და რომელიც ამავე არსს ენათესავება, ხოლო მისი მეშვეობით რომ მიეახლება და შეერწყმის კიდეც ჭეშმარიტ არსს, რათა შვას გონება და ჭეშმარიტება, შემდეგ უკვე (და არა მანამ) ჭეშმარიტი სიცოცხლით ცოცხლობს, ჭეშმარიტებით საზრდოობს და თავს აღწევს მშობიარობის ტკივილებს.

– ეს იქნებოდა სავსებით მართებული დაცვა.

– განა ამ კაცს შეიძლება უყვარდეს სიცრუე? თუ, პირიქით, უნდა სძულდეს იგი?

– უნდა სძულდეს.

– რაკი მას წინ უძღვის ჭეშმარიტება, ალბათ ვერ ვიტყვით, რომ ბიწიერების მთელი ქორო მიჰყვება უკან.

– რა სათქმელია?

– არამედ ვიტყვით, რომ მას ახლავს ზნეთა სიწმინდე და სიწრფელე, მათ კვალდაკვალ კი – გონიერება.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ დანარჩენ თვისებათა ქოროზე რაღას ვიტყვით, რომლებიც ნიშნეულნი არიან ფილოსოფოსის ბუნებისათვის? რა საჭიროა ხელახლა ჩამოვთვალოთ? ხომ გახსოვს, რომ მათ რიცხვში შედის სიმამაცე, დიდსულოვნება, ცოდნის ადვილად შეთვისების უნარი, მეხსიერება. მაშინ შენ პასუხად მითხარი, რომ უეჭველად ყველა დაეთანხმებოდა ჩვენს სიტყვებს, მაგრამ უნდა შეგვეწყვიტა მსჯელობა და ყურადღება გადაგვეტანა მხოლოდ მათზე, ვისზედაც ვლაპარაკობდით; იმასაც იტყოდნენ, რომ მათ შორის ბევრია უსარგებლო და უმრავლესობა – სრულიად უმაქნისი. მას აქეთ ვიძიებთ ამ ბრალდების მიზეზს და ახლა იმ კითხვას მივადექით, თუ რატომაა მათ შორის ამდენი უმაქნისი. ამიტომაც კვლავ შევუდექით ჭეშმარიტ ფილოსოფოსთა ბუნებრივი თვისებების კვლევას და იძულებულნი გავხდით კვლავ განგვესაზღვრა ისინი.

– ასეა, – თქვა მან.

– ახლა კი გვმართებს განვიხილოთ, რა იწვევს ამნაირი ბუნების გადაგვარებას, რატომ იხრწნება ის უმრავლესობაში, ან რატომაა, რომ მხოლოდ ცოტანი თუ აღწევენ თავს ამ ხრწნილებას, და ისინი უკეთურებად თუ არა, უმაქნისებად მაინც არიან მიჩნეულნი. შემდეგ კი განვიხილავთ მათ მიმბაძველთა თვისებებს, მათსავე თანამოსაქმეებად რომ მოაქვთ თავი. ამ ხალხის ურიცხვი შეცდომა თუ მარცხი იმის შედეგია, რომ ფილოსოფოსობის ღირსნი არ არიან და არც ამისი უნარი შესწევთ. სწორედ ისინი უტეხენ სახელს ფილოსოფიას, რაზედაც შენ ლაპარაკობდი.

– კი მაგრამ, მაინც რა იწვევს შენს მიერ ხსენებულ გადაგვარებას?

– ვეცდები შეძლებისდაგვარად აგიხსნა. მე მგონია, ყველა დაგვეთანხმება, რომ იმნაირ ადამიანებს, ვისი სულიც აერთიანებს ყველა თვისებას, რაც, ჩვენი აზრით, უნდა ახასიათებდეს ჭეშმარიტ ფილოსოფოსს, იშვიათად ბადებს ბუნება. თუ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– არა, სავსებით გეთანხმები.

– ამნაირი ხალხი ცოტაა, მაგრამ ნახე, რამდენი რამ უწყობს ხელს მათ გადაგვარებას.

– მაინც?

– ყველას ძალიან გააკვირვებს იმის გაგება, რომ ნებისმიერი თვისება, რაც ჩვენ ამ ხალხში მოვიწონეთ, დიახ, სწორედ ნებისმიერი ეს თვისება განაპირობებს მისი მფლობელი სულის გადაგვარებას და ფილოსოფიისაგან მის ჩამოშორებას. მე ვგულისხმობ სიმამაცეს, გონიერებას და, საერთოდ, ყველაფერს, რაც ზემოთ მიმოვიხილეთ.

– მართლაც რომ საკვირველია.

– ასევე ხრწნის და ფილოსოფიას აშორებს სულს ყოველივე ის, რაც სიკეთედ მიაჩნია ბრბოს: სილამაზე, სიმდიდრე, გავლენიანი ნათესაობა და სხვა მისთანანი. ალბათ გესმის, რასაც ვგულისხმობ.

– ცხადია, მესმის, მაგრამ უფრო მეამებოდა, თუ დაწვრილებით ამიხსნიდი შენს აზრს.

– თუ ყველაფერს მთლიანად და მართებულად მოიცავ აზრით, შენთვის სავსებით ცხადი გახდება და აღარ გეუცნაურება ის, რაც ამის თაობაზე ზემოთ ითქვა.

– კი მაგრამ, მაინც რას მიბრძანებ, როგორ მოვიქცე?

– როგორც მოგეხსენება, ყოველგვარი თესლი თუ ჩანასახი, ცხოველისა იქნება თუ მცენარისა, თუკი სათანადო საზრდოობას, ჰავას ან ნიადაგს მოკლებულია, მით უფრო მეტად კარგავს თავის თვისებებს, რაც უფრო ძლიერია თავად: რადგანაც ცუდი უფრო მკვეთრად უპირისპირდება კარგს, ვიდრე არა კარგს.

– რა თქმა უნდა.

– ხომ სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ უკეთესი ბუნება, მისთვის შეუფერებელი საზრდოობისას, გაცილებით მეტს კარგავს, ვიდრე უარესი?

– ცხადია, გვაქვს.

– კი მაგრამ, ადიმანტე, – ვუთხარი მე, – განა მაღალნიჭიერი სულიც ცუდი აღზრდისას უფრო მეტად არ უარესდება? ან იქნებ გგონია, რომ საზარელი დანაშაული თუ ბოროტმოქმედება სულის უნიჭობისაგან იღებს დასაბამს და არა მძლავრი ბუნებისაგან, რომელიც ბავშვობაში სათანადოდ ვერ აღზარდეს? სუსტი ბუნება კი ვერც დიდი სიკეთის მიზეზი გახდება და ვერც დიდი ბოროტებისა.

– ვერა, – თქვა მან, – მეც ასე ვფიქრობ.

– თუ ფილოსოფოსის ჩვენს მიერ განსაზღვრულ ბუნებას სათანადოდ აღზრდიან, მაშინ ის, თანდათანობითი განვითარების გზით, აუცილებლად მიაღწევს ნებისმიერ სიქველეს; მაგრამ თუ ის არასათანადო ნიადაგზე დაინერგა და აღი-

ზარდა, მაშინ სრულიად საპირისპირო შედეგს მივიღებთ, თუკი მას რომელიმე ღმერთთაგანი არ შეეწია. ან იქნებ შენც ბრბოსავით ფიქრობ, რომ სოფისტების მიერ გარყვნილ ჭაბუკთა რიცხვი უმნიშვნელოა, ეს გამრყვნელნი კი კერძო პირები არიან და ამიტომ მხოლოდ მათზე თუ შეიძლება ვილაპარაკოთ? მაგრამ ის ხალხი, რომელიც ამას ამტკიცებს, თვითონვეა ყველაზე დიდი სოფისტი, რომელსაც შეუძლია თავის ნებაზე აღზარდოს და თავისებურად ჩამოაყალიბოს ახალგაზრდაც და ხნიერიც, ქალიც და კაციც.

– კი მაგრამ, როდისღა ასწრებენ ამას?

– როცა ისინი მოფუთფუთე ბრბოებად სხედან სახალხო თავყრილობებზე, სამსჯავროებში, თეატრებში, სამხედრო ბანაკებსა თუ საჯარო თავშეყრის სხვა ადგილებში და ყურთასმენის წამღები ყაყანით იწონებენ ან იწუნებენ ვისიმე გამოსვლას თუ მოქმედებას და თანაც ორსავე შემთხვევაში ყოველგვარი ზომიერების ზღვარს გადადიან; კლდეებიდან არეკლილი მათი გნიასი, გაშმაგებული ტაშისცემა, მოწონებისა თუ გმობის ყიჟინი მგრგვინავ ექოდ უბრუნდება მათივე თავშეყრის ადგილს და ორმაგად მძლავრობს ღრიალი. როგორ გგონია, რას უნდა განიცდიდეს ამნაირ ვითარებაში ყმაწვილი კაცის გული? რომელი კერძო მასწავლებლის გაკვეთილებს შეუძლია წინ აღუდგეს ყოველივე ამას? განა ყველაფერს არ წაშლის და წალეკავს ლანძღვა-გინებისა თუ ქება-დიდების ეს ბობოქარი ნაკადი? განა ყმაწვილი კაცი ამასვე არ მიიჩნევს სასახელოდ თუ სათაკილოდ? და, ბოლოს, განა ასეთივე არ გახდება თავადაც?

– აუცილებლად, სოკრატე, – თქვა მან.

– მაგრამ ჩვენ ჯერ არც გვიხსენებია ყველაზე დიდი აუცილებლობა.

– მაინც რომელი?

– აუცილებლობა, რომლის წყალობითაც ყოველივე ამას საქმესაც ზედ ურთავენ ეს აღმზრდელები და სოფისტები, როცა სიტყვით ვერ ახერხებენ ვისიმე დარწმუნებას. ნუთუ არ იცი, რომ ურჩს სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევით, ფულადი ჯარიმით და სიკვდილითაც კი სჯიან?

– როგორ არ ვიცი.

– კი მაგრამ, ვის, რომელ სხვა სოფისტს ან რომელ კერძო სწავლა-განათლებას შეუძლია წინ აღუდგეს ამნაირ აღზრდას?

– მე მგონია, არც ერთს.

– რა თქმა უნდა; თვით ამნაირი მცდელობაც კი დიდი უგუნურება იქნებოდა; რადგანაც შეუძლებელია, შეუძლებელი იყო და კვლავაც შეუძლებელი იქნება, რომ სიქველის გაკვეთილები ცვლიდნენ უმრავლესობის მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებას; მე ადამიანურ აღზრდას ვგულისხმობ, ჩემო ძვირფასო, თორემ ღვთაებრივისათვის, ანდაზისა არ იყოს, გამონაკლისი უნდა დაგვეშვა. ისიც იცოდე, რომ თუ ამნაირი სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში რაღაცა მაინც ასრულებს თავის დანიშნულებას და ის არის, რაც უნდა იყოს, ამას ღვთის წყალობას უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ და მხოლოდ; შენ შეგიძლია ისე ამტკიცო ეს, რომ შეცდომის შიში არ გქონდეს.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა ადიმანტემ.

– ერთშიაც უნდა მერწმუნო.

– რაში? – თქვა ადიმანტემ.

– ყველა ეს კერძო მოვაჭრე, რომლებსაც სოფისტებს უწოდებს და თავის მეტოქეებად მიიჩნევს ხალხი, სხვა რამეს როდი ასწავლის თავის შეგირდებს, გარდა იმ აზრებისა თუ შეხედულებებისა, რასაც თავყრილობებზე გამოთქვამს უმრავლესობა, – და სწორედ ამას ასაღებს სიბრძნედ. ხომ არ გაგონებს ეს იმ კაცს, გულმოდგინედ რომ უვლის უზარმაზარსა და ძლიერ მხეცს, ბეჯითად სწავლობს მის ბუნებას, ჟინსა თუ ზნეს და იცის, საიდან მოუაროს, რა მხრივ მიუდგეს, როდის და რატომ მძვინვარებს ან მშვიდდება და ცხრება, რის გამო ღმუის, ან რისი გაგონება აღაგზნებს თუ ათვინიერებს. ყოველივე ამას რომ შეისწავლის ხანგრძლივი მოვლა-პატრონობის და დაკვირვების შედეგად, თავის გამოცდილებას ცოდნად მიიჩნევს, სახელმძღვანელოდ სახავს მას და ამის მიხედვით წვრთნის შეგირდებსაც; თუმცა წარმოდგენაც არა აქვს, რა არის ამ მხეცის ქცევაში კარგი ან ცუდი, საქები ან საძრახისი, მოსაწონი ან დასაწუნი, სამართლიანი ან უსამართლო, არამედ ყველაფერს მისი ქცევისა და ზნე-ჩვეულების მიხედვით აფასებს: რაც მხეცისთვის სასიამოვნოა, სიკეთედ სახავს, უსიამოვნოს კი ბოროტებად, თუმცა სინამდვილეში არც ერთის და არც მეორის არა გაეგება რა; ამიტომაცაა, რომ ერთმანეთში ურევს, ერთის მხრივ, სამართლიანობასა და მშვენიერებას, მეორეს მხრივ კი – აუცილებლობას. მაგრამ რაკი აუცილებლობის ბუნება არსებითად განსხვავდება სიკეთის ბუნებისაგან, ვერც თვითონ ხედავს და ვერც სხვას უჩვენებს ამას. ახლა კი, ზევსის გულისათვის, მითხარი, განა უცნაურად არ გეჩვენება ამნაირი აღმზრდელი?

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, რა განსხვავებაა ამ კაცსა და იმას შორის, ვინც სიბრძნეს აიგივებს იმის ცოდნასთან, თუ რა მოსწონს ან რა არ მოსწონს ერთად თავშეყრილი ნაირგვარი ხალხის უმრავლესობას? – მხატვრობა იქნება ეს, მუსიკა თუ თვით პოლიტიკა? ვინც ბრბოს გასაცნობად წარუდგენს თავის პოემას, ხელოვნების ქმნილებას ან სახელმწიფო მოღვაწეობის გეგმას, ამ ბრბოს უფრო მეტად აქცევს თავის მბრძანებლად, ვიდრე აუცილებლობა მოითხოვს ამას; და მაშინ, „დიომედესის გასაჭირისა“ არ იყოს, იძულებულია აღასრულოს ის, რაც აკმაყოფილებს ბრბოის გემოვნებას. მაგრამ სინამდვილეში კარგია ეს თუ ცუდი, ერთხელ მაინც თუ გსმენია, რომ ვინმეს თავისთვის მაინც ეცადა ამის გარკვევა და სასაცილო არ გამხდარიყო ხალხის თვალში?

– არა, – თქვა მან, – არცა მსმენია და ვერც ვერასდროს მოვისმენ.

– მაშ, ახლა, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ერთხელაც შეგახსენებ: შეიძლება თუ არა, ბრბომ შეიგნოს და აღიაროს, რომ არსებობს მშვენიერება თავისთავად, განსხვავებით მშვენიერი საგნებისაგან, და არსებობს ბევრი სხვა არსიც თავისთავად, განსხვავებით ცალკეულ საგანთა სიმრავლისაგან?

– არასდიდებით, – თქვა მან.

– მაშასადამე, შეუძლებელია ბრბოის ფილოსოფოსობა.

– დიახ, შეუძლებელია.

– ესე იგი, ვინც ფილოსოფოსობს, აუცილებლად იგმობა ბრბოის მიერ?

– აუცილებლად.

– და იმ კერძო პირთა მიერაც, ბრბოს რომ შერევიან და ცდილობენ თავი მოაწონონ მას?

– ცხადია.

– აქედან გამომდინარე, რა გესახება ფილოსოფიური ბუნების ხსნად? რანაირად შეუძლია მას კვლავ მისდიოს თავის საქმეს და, ამრიგად, მიაღწიოს თავის მიზანსაც? იმის მიხედვით განსაჯე, რაც ზემოთ ითქვა: აკი შევთანხმდით, რომ ამნაირი ბუნებისათვის ნიშნეულია შემდეგი თვისებები – ცოდნის ადვილად შეთვისების უნარი, სიმამაცე და დიდსულოვნება.

– დიახ.

– ამნაირი ადამიანი პირველი იქნება ტოლ-სწორთა შორის, მით უმეტეს, თუ ხორცითაც ისევე სრულქმნილია, როგორც სულით.

– რა თქმა უნდა.

– ახლობლები და თანამოქალაქენი, ალბათ, მოინდომებენ რაიმე საქმე მიანდონ, როცა მოიწიფება, არა?

– რასაკვირველია.

– მაშასადამე, ფეხქვეშ ჩაუვარდებიან მავედრებელნი და თაყვანს სცემენ, რათა თავი მოუქონონ მლიქვნელობით და, ამრიგად, წინასწარვე მოიპოვონ მისი კეთილგანწყობილება.

– ხშირად ასე ხდება.

– მერედა, რას იზამს ეს კაცი ამნაირ ხალხში, მით უმეტეს, თუ ბედმა დიდი სახელმწიფოს მოქალაქეობა, სიმდიდრე, კეთილშობილური წარმომავლობა, სილამაზე და წარმოსადეგობა არგუნა წილად? ხომ არ წარმოიდგენს, შლეგური იმედებით თავბრუდასხმული და გაყოყოჩებული, რომ მხოლოდ ის უნდა განაგებდეს ბერძენთა და ბარბაროსთა საქმეებს? ცამდე ხომ არ ააღერინებს თავს ფუჭი პატივმოყვარეობა და ყურს აღარ ათხოვებს გონების ხმას?

– უეჭველად.

– ასე თავგასულს მშვიდად რომ მიახლოებოდა ვინმე და სიმართლე ეთქვა – ჭკუა გაკლია და ნამდვილად არ გაწყენდა მისი შეძენა, მაგრამ ამას დიდი ძალისხმევა სჭირდებაო, – როგორ გგონია, ამდენი უკეთური გრძნობით თავბრუდახვეულს გაუადვილდებოდა მისი სიტყვების მოსმენა?

– არამც და არამც.

– და მაინც, თუ ბუნებით თანდაყოლილი თვისებებისა და კეთილშობილების წყალობით, ეს სიტყვები სათანადო გამოძახილს ჰპოვებენ მის სულში, რასაც შეუძლია დაარწმუნოს და ფილოსოფიის მიმართ მიაქციოს იგი, შენი აზრით, როგორ მოიქცევიან ამ შემთხვევაში მისი მაამებელნი, რაკიღა დაინახავენ, რომ ხელიდან ეცლებათ თავიანთი მფარველი და ის წყალობაც, მისგან რომ მოელოდნენ? განა ყოველნაირად, სიტყვით თუ საქმით, არ ეცდებიან გადაარწმუნონ და,

იმავდროულად, გააქარწყლონ მისი კეთილისმყოფელი მრჩევლის სიტყვებიც? მრჩევლისა, რომელსაც ან მალულად დაუგებენ მახეს, ან სამსჯავროში უჩივლებენ, რათა საჯაროდ აგებინონ პასუხი.

– ეს გარდუვალია.

– მერედა, რამდენად შესაძლებელია, რომ ამ კაცმა ფილოსოფიას მიუძღვნას თავი?

– ნაკლებად.

– ხომ ხედავ, რომ არ შევმცდარვართ, როცა ვთქვით, რომ ფილოსოფიური ბუნების განმსაზღვრელი თვისებები, როცა მათ სათანადო აღზრდა აკლიათ, თვითონვე ხდებიან იმის მიზეზი, რომ ადამიანი ღალატობს თავის მოწოდებას, და ამაში ყოველივე იმასაც მიუძღვის ბრალი, რაც სიკეთედ მიაჩნია ბრბოს: ვთქვათ, სიმდიდრეს და სხვა მისთანათ.

– არა, – თქვა მან, – არ შევმცდარვართ; პირიქით, მართალნი ვიყავით.

– აი, როგორ ხდება, ჩემო საოცარო, ყველაზე უკეთეს ბუნებათა გადაგვარება, რომელთა დანიშნულებაც უკეთილშობილურესი საქმის სამსახური იყო. ამნაირი ბუნების ხალხი, ჩვენი მტკიცებით, ცოტაა. სწორედ მათი წრიდან გამოსულნი აყენებენ ყველაზე დიდ ზიანს სახელმწიფოებსაც და კერძო პირთაც, და ამავე წრეს ეკუთვნიან ყველაზე დიდი კეთილისმყოფელნიც, როცა თავიანთ დანიშნულებას არ ღალატობენ. უმწეო ბუნება კი ვერასოდეს აღასრულებს რაიმე დიადს. ვერც კერძო პირისა და ვერც სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

– მართალს ბრძანებ, – თქვა მან.

– როცა ფილოსოფიას ზურგს აქცევენ ისინი, ვისაც ყველაზე მეტად მართებდა მისი სამსახური, ის ეულად და უნაყოფოდ რჩება, ზურგის მქცეველნი კი მათი საკუთარი ბუნებისა და ჭეშმარიტებისათვის უკადრისი ცხოვრებით ცხოვრობენ. დაობლებულსა და თვისტომთაგან განწირულ ფილოსოფიას კი უღირსნი ეპატრონებიან, სახელს რომ უტეხენ, პატივს ხდიან და, შენი თქმისა არ იყოს, ბღალავენ მას. ამ უღირსთა შორის ზოგი მართლაც რომ უბადრუკია, უმრავლესობა კი – ყველაზე უარესი ხვედრის ღირსი.

– ასე ამბობენ.

– და მართალსაც ამბობენ. როდესაც უბადრუკი კაცუნები დაინახავენ, რომ დიდებული სახელებითა და მოჩვენებითი ბრწყინვალებით სავსე ადგილი გათავისუფლდა, პატიმრებისა არ იყოს, თავიანთი საპატიმროებიდან გამოქცეულნი ტაძრებს რომ აფარებენ თავს, გახარებულნი ხელს იღებენ თავიანთ ხელობაზე და ფილოსოფიას აწყდებიან; მეტადრე ისინი, ვინც უფრო მარჯვედ და უნარიანად უძღვება თავის პატარა საქმეს. რადგანაც ფილოსოფია, თავისი მიგდებულობის მიუხედავად, მაინც უფრო დიდი პატივით სარგებლობს, ვიდრე რომელიც გნებავთ ხელობა თუ ხელოვნება, რაც ესოდენ დაუოკებელი ძალით იზიდავს მისკენ უღირსსა და უბადრუკ, მძიმე შრომით ხორციელად დამახინჯებულსა და სულიერად დასახიჩრებულ ხალხს; განა შეიძლება სხვაგვარად იყოს?

– არამც და არამც.

– კაცმა რომ თქვას, რითი განსხვავდებიან ისინი თავმოტვლეპილი და ჯუჯა მჭედლისაგან, ცოტა ხნის წინათ რომ გამოვიდა საპატიმროდან, იბანავა, ახალი მოსასხამი მოისხა, სასიძოსავით მოიკაზმა და თავისი გაღატაკებული ბატონის ქალიშვილზე აპირებს დაქორწინებას?

– არაფრით.

– რა უნდა დაიბადოს ამნაირი ქორწინებისგან, უკანონო და უვარგისი შთამომავლობის გარდა?

– სხვა არაფერი.

– მერედა, როცა უღირსი და უვიცი ხალხი ფილოსოფიას უშინაურდება და, თავისი უღირსობის მიუხედავად, ურთიერთობას ამყარებს მასთან, რა აზრები და შეხედულებები შეიძლება იშვან ამნაირი ურთიერთობისაგან? თუ მათ შესაფერის სახელს დავარქმევთ, – მხოლოდ სოფიზმები, და არა კანონიერი, არა ჭეშმარიტი სიბრძნე.

– უცილობლად.

[ვინ არის იმის ღირსი, რომ იფილოსოფოსოს?]

– ძალიან ცოტაა იმ ხალხის რიცხვი, ადიმანტე, ვისაც შეუძლია ღირსეული ურთიერთობა დაამყაროს ფილოსოფიასთან: ან ის, ვინც საუცხოო აღზრდის წყალობით ბოლომდე შეინარჩუნა კეთილშობილება, და ვისაც მხსნელად მოევლინა თვით სამშობლოდან განდევნა, რის შედეგადაც თავი დააღწია უკეთური სინამდვილის დამღუპველ ზემოქმედებას და ზურგი არ აქცია ფილოსოფიას; ან ორიოდე დიდსულოვანი კაცი, რომელსაც ბედმა პატარა სახელმწიფოს მოქალაქეობა არგუნა წილად და დაუფარავი ზიზღით უყურებს ყოველგვარ თანამდებობას თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობას; ან თითო-ოროლა მაღალი ნიჭით ცხებული სული, ფილოსოფიის გულისთვის რომ ღალატობს თავის საკუთარ ხელობას, რომელიც სავსებით სამართლიანად მიაჩნია უფრო მდარედ; ზოგს შეიძლება ლაგამი ამოსდოს და განდგომის ნება არ მისცეს მისივე საკუთარმა მდგომარეობამ, როგორც, მაგალითად, ჩვენს მეგობარ თეაგეს, რომელსაც ყველა მონაცემი ჰქონდა საიმისოდ, რომ განდგომოდა ფილოსოფიას, მაგრამ ჯანმრთელობაზე მუდმივი ზრუნვა აიძულებს უარი თქვას პოლიტიკაზე. აღარაფერს ვიტყვი ჩემს დემონურ ნიშანზე, რადგანაც საეჭვოა წარსულში თუნდაც ერთი ამნაირი მაგალითი მოიძებნებოდეს.

ვინც ამ მცირერიცხოვან რჩეულთა წრეს ეკუთვნის და პირადად განუცდია ფილოსოფიით მონიჭებული სიამოვნება და ნეტარება, ვინც არაერთხელ ყოფილა ბრბოის სიშლეგის მოწმე, ვისაც არ ახსოვს თუნდაც ერთი პოლიტიკოსის გონივრული საქმე, ვინც იცის, რომ ერთ მოკავშირესაც ვერ ჰპოვებს, ვისთან ერთადაც შეიძლება ისე შეეწიოს სამართლიანობას, რომ ეს სიცოცხლის ფასად არ დაუჯდეს, – თავს ისე გრძნობს, როგორც ველური მხეცების ხროვაში, რომელთა სისხლიან თარეშში მონაწილეობას ხელაღებით უარყოფს, თუმცა იმისი ძალი კი არ შესწევს, რომ მარტოდმარტო აღუდგეს წინ მათ მძვინვარებას, რადგანაც იცის, რომ მანამდე წააგებს თავს, ვიდრე რამეში წაადგებოდეს სახელმწიფოს ან თავის

მეგობრებს, ვერც თავს არგებს რასმე და ვერც სხვებს დაიხსნის გაჭირვებისგან. ამაში ღრმად დარწმუნებული სიმშვიდეს არჩევს და აუმღვრევლად აკეთებს თავის საქმეს. როგორც მგზავრი თავსხმასა თუ გრიგალში დაეძებს თავშესაფარს, ისიც თავისი სიმყუდროვიდან აკვირდება უკანონობის თავაწყვეტილ პარპაშს და ბედნიერია იმის შეგნებით, რომ უსამართლობასა და უწმინდურობას გარიდებული მშვიდად გალევს ამ წუთისოფელს, მერე კი, უკეთესი ხვედრის მოლოდინში, უდრტვინველად გაეცლება მას.

– მაშასადამე, ისე როდი წავა აქედან, რომ დიდი საქმეები არ აღასრულოს.

– მაგრამ არა ყველაფერი, რისი უნარიც ჰქონდა, სახელმწიფო წყობილება მისი შესაფერისი რომ ყოფილიყო. სათანადო წყობილების პირობებში კი არა მარტო მეტს მიაღწევდა, არამედ იმასაც შეძლებდა, რომ პირად ბედნიერებასთან ერთად საზოგადო კეთილდღეობაც უზრუნველეყო.

ამრიგად, ფილოსოფიისადმი წაყენებული ბრალდებისა და ამ ბრალდების უსაფუძვლობის შესახებ, ჩემი აზრით, საკმარისად ვილაპარაკეთ; თუ, რა თქმა უნდა, შენი მხრივ არაფერს დაუმატებ ამას.

– არა, – თქვა მან, – არაფერი მაქვს სათქმელი. მაგრამ დღევანდელ სახელმწიფო წყობილებათა შორის მაინც რომელს მიიჩნევ ფილოსოფიისათვის შესაფერისად?

– ვერც ერთს, – მივუგე მე, – ჩემი დრტვინვის მიზეზიც ისაა, რომ ვერც ერთს ვერა ვცნობ ფილოსოფიური ბუნების ღირსად, მათი წყალობით რომ იბღალება და იერს იცვლის. როგორც ახალ ნიადაგზე გადანერგილი თესლი იცვლის ბუნებას და ადგილობრივ მცენარეთა თვისებებს იძენს, ფილოსოფიური ბუნებაც დღევანდელ პირობებში ვერ ახერხებს თავისი ძალმოსილების შენარჩუნებას და თითქმის მთლიანად იცვლის სახეს. მაგრამ თუ სახელმწიფო წყობილება, თავისი სრულყოფილებით, მის ბუნებას ესატყვისება, მაშინ კი ნახავთ, რომ ის ჭეშმარიტად ღვთაებრივია, ყოველივე დანარჩენს კი, ბუნებასაც და საქმიანობასაც, მხოლოდ ადამიანური თუ შეიძლება ეწოდოს. ამის შემდეგ შენ, ალბათ, მკითხავ, ეს რა სახელმწიფო წყობილებააო?

– ცდები, – თქვა მან, – ეგ კი არა, აი, რა მინდოდა მეკითხა: სხვა წყობილებას გულისხმობ თუ იმას, რომლის გეგმაც უკვე მოვხაზეთ ჩვენი სახელმწიფოს დაფუძნებისას?

– ამ უკანასკნელს. ხომ უკვე ითქვა, რომ სახელმწიფოში უნდა იყოს გარკვეული საწყისი, ისევე რომ განმარტავდა საქმის არსს, როგორც შენ, კანონმდებელი, კანონთა დადგენისას?

– დიახ, უკვე ითქვა.

– მაგრამ ჩვენ საკმარისად არ განგვიმარტავს ეს საკითხი, იმისი შიშით, რომ უთუოდ დაგვიპირისპირდებოდით და ერთხმად დაიწყებდით მტკიცებას, მაგის განმარტება დიდ დროს მოითხოვს და თანაც ძალიან ძნელი საქმეაო; მით უმეტეს, რომ არც დანარჩენია ადვილი.

– მაინც რა?

[როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს დამოკიდებულება ფილოსოფოსისადმი?]

– რანაირად უნდა იყენებდეს სახელმწიფო ფილოსოფიას, რომ არ დაიღუპოს. ყოველივე დიადი ხომ არამყარია, ყოველივე მშვენიერი კი, როგორც მართებულად ამბობენ, – ძნელი.

– მაგრამ ბარემ ბოლომდე მიიყვანე შენი მტკიცება და ესეც განმარტე.

– თუ ვერ განვმარტე, ამის მიზეზი ის კი არ იქნება, რომ არ მინდა, არამედ ის, რომ არ შემიძლია. ახლავე დაგანახებ ჩემს გულმოდგინებას. მაშ, დაუკვირდი, რა თამამად და წარბშეუხრელად ვიწყებ იმის მტკიცებას, რომ სახელმწიფო სულ სხვანაირად უნდა უდგებოდეს ამ საკითხს, ვიდრე ამჟამად.

– მაინც როგორ?

– დღესდღეობით, ბავშვობის ასაკიდან ახლად გამოსულ ყმაწვილკაცთა გარდა ახლოსაც არავინ ეკარება ფილოსოფიას, მაგრამ როგორც კი მიაღწევენ მის ყველაზე ძნელ ნაწილს, დაოჯახებულნი საქმეს ჰკიდებენ ხელს და საბოლოოდ ემშვიდობებიან მას, თუმცა დიდ ფილოსოფოსებად კი მოაქვთ თავი. ხოლო ფილოსოფიის ყველაზე ძნელ ნაწილს მე ვუწოდებ დიალექტიკას. შემდგომში ისიც დიდ საქმედ მიაჩნიათ, თუ კეთილ ინებეს და ვისიმე რჩევით დაესწრნენ ფილოსოფიურ საუბრებს. რადგანაც სწამთ, რომ ეს საქმე ისე, სასხვათაშორისოდ უნდა აკეთო. სიბერეში კი, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, უფრო მალე ქრებიან, ვიდრე ჰერაკლიტეს მზე, რომელიც აღარასოდეს აღარ ანათებს.

– მაშ, როგორ უნდა მისდევდე ფილოსოფიას?

– სულ სხვანაირად. სიყრმესა და სიყმაწვილეში ბავშვებს მათი ასაკის გათვალისწინებით უნდა ასწავლიდნენ ფილოსოფიას და განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ მათი სხეულის მიმართ, ვიდრე ის იზრდება და ვითარდება, რათა ფილოსოფიის სამსახურად მოამზადონ ისინი. ხოლო მოწიფულობის ჟამს, როცა საბოლოოდ ყალიბდება სული, შესაბამისად უნდა გაართულონ და გაახანგრძლივონ მისი წვრთნა. და ბოლოს, როცა ადამიანს ძალა აკლდება, ასე რომ, აღარც სახელმწიფო მოღვაწეობის თავი აქვს და აღარც სამხედრო სამსახურისა, მაშინ კი თავის ნებაზე უნდა მიუშვან, რათა მხოლოდ ფილოსოფიას მიუძღვნას თავი, ვისაც სურს ნეტართა სიცოცხლით იცოცხლოს, სიკვდილის შემდეგ კი ღირსეული სიცოცხლის საკადრისი სანაცვლო მიეგოს იმ ქვეყნად.

– მართალი გითხრა, დიდი გზნებით კი ლაპარაკობ, სოკრატე. მაგრამ, მე თუ მკითხავ, შენი მსმენელები, თრასიმაქედან[3] მოყოლებულნი, სულაც არ იზიარებენ შენს მგზნებარებას, რაკიღა ისინი ვერაფერშიც ვერ დაარწმუნე.

– თრასიმაქეს მაინც ნუ გადამკიდებ; ეს-ესაა დავმეგობრდით, თუმცა არც უწინ ვყოფილვართ მტრები. ყოველნაირად ვეცდები დავარწმუნო ისიც და დანარჩენებიც, ან რაღაცა მაინც ვარგო მომავალ ცხოვრებაში, როცა ხელახლა შობილნი კვლავ დადგებიან ამნაირ საკითხთა წინაშე.

– არც ისე შორეულ დროზე ლაპარაკობ.

– რა არის ეს დრო მარადისობასთან შედარებით? ხოლო ის, რომ ხალხს სხვისი სიტყვებისა არ სჯერა, სულაც არ არის საკვირველი. მას ხომ არასოდეს

უნახავს ის, რაზედაც ახლა ვმსჯელობთ? მისთვის ეს მხოლოდ სიტყვებია, ერთმანეთს გარკვეული მიზნით მისადაგებულნი, და არა ერთიმეორისაგან თავისთავად გამომდინარე აზრები. იმნაირი კაცისთვის კი, სიტყვით თუ საქმით სიქველის განსახიერებად რომ გვევლინება და ბრძნულად მართავს ჩვენს მიერ დაარსებულ სახელმწიფოს, რაც მართალია, მართალია, ერთხელაც არ მოუკრავს თვალი, არც ერთისთვის და არც ბევრისთვის.

– არც ერთხელ.

– ერთხელაც არ დასწრებია, ჩემო ნეტარო, იმ მომხიბლავსა და კეთილშობილურ საუბრებს, სადაც ასე გულმოდგინედ და ათასგვარი საშუალებით დაეძებენ ჭეშმარიტებას მხოლოდ და მხოლოდ შემეცნების მიზნით; საუბრებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა დიდების მაძიებელთა ყალბ ენამჭევრობასთან, სამსჯავროებში მოპირისპირე მხარეთა დავასა თუ კერძო პირთა ცილობასთან.

– მართლაც.

[ფილოსოფოსი-მეფე]

– აი, რატომაა, რომ თუმცა წინასწარ ვგრძნობდით და ვუფრთხოდით კიდეც ამას, – ჭეშმარიტების კარნახით იძულებულნი ვამტკიცებდით, რომ ვერც სახელმწიფო და ვერც კერძო პირი ვერასოდეს მიაღწევს სრულყოფილებას, თუკი აუცილებლობა არ აიძულებს ფილოსოფოსთა ამ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელთაც უკეთურებად თუ არა, უმაქნისებად მაინც თვლიან, თავს იდოს სახელმწიფოზე ზრუნვა, თვით სახელმწიფოს კი მოუწევს დაემორჩილოს მათ მმართველობას; ან თუ ღვთაებრივი ზეშთაგონება ფილოსოფიის მიმართ გულმხურვალე სიყვარულს არ ჩაუნერგავს დღევანდელ მეფეებს და მბრძანებლებს, ან მათ მემკვიდრეებს. იმის მტკიცება, რომ ამ ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი ან ორივე განუხორციელებელია, მე გაუმართლებლად მიმაჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში სავსებით სამართლიანად აგვიგდებდნენ საცინლად – საქმე გამოგლევიათ და წყალს ნაყავთო; ასეა, არა?

– დიახ.

– თუკი გარდასულ საუკუნეთა განმავლობაში ოდესმე მაინც მომხდარა, რომ სახელოვან ფილოსოფოსებს აუცილებლობის კარნახით თავს ედვათ სახელმწიფოს მმართველობა, ან ახლა ხდება ჩვენი თვალისათვის მიუწვდომელ ამა თუ იმ ბარბაროსულ ქვეყანაში, ანდა მომავალში მოხდება, ჩვენ მზად ვართ დაჟინებით ვამტკიცოთ, რომ ამნაირი სახელმწიფო არსებობდა, არსებობს და კვლავაც იარსებებს, თუკი მის მბრძანებლად ფილოსოფიის მუზა გვევლინება. ამნაირი სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარება დიახაც შესაძლებელია, ასე რომ, ჩვენ შეუძლებელზე როდი ვლაპარაკობთ, თუმცა იმას კი ვაღიარებთ, რომ ეს ძალიან ძნელი საქმეა.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა მან.

– მაშინ, ჩემო ნეტარო, ნურც ასე მკაცრად დაადანაშაულებ უმრავლესობას. ის ნამდვილად შეიცვლის აზრს, თუკი მისი ლანძღვის ნაცვლად ეცდები მშვიდად

უარყო ფილოსოფიისათვის წაყენებული ყველა ბრალდება და უჩვენო, ვინ არიან ფილოსოფოსები, როგორია მათი ბუნება და საქმიანობა, რათა ბრბომ არ იფიქროს, თითქოს იმათზე ელაპარაკები, ვისაც თვითონვე მიიჩნევს ფილოსოფოსებად. ამ თვალით რომ დაანახებ საქმის არსს, თავად დარწმუნდები, რომ მას უკვე განსხვავებული აზრი შეექმნა და სულ სხვანაირად ლაპარაკობს მათზე. იქნებ გგონია, რომ ბრბოს შეიძლება აღიზიანებდეს ის, ვინც თვითონვე არ ღიზიანდება, ანდა შურით უყურებდეს მას, ვინც თვითონ არ არის მოშურნე? დაგასწრებ და ბარემ ახლავე გეტყვი, რომ ამნაირ უჟმურს იშვიათად თუ შეხვდები ხალხში, უმრავლესობისათვის კი უცხოა ეს უხიაგობა.

– სავსებით ვიზიარებ შენს აზრს.

– იმასაც თუ იზიარებ, რომ ფილოსოფიისადმი უმრავლესობის უარყოფით დამოკიდებულებაში ბრალი მიუძღვის გარეშე ხალხს, ღრიანცელით რომ იჭრება იქ, სადაც აშკარად არ არის მისი ადგილი, ლანძღვა-გინებით იკლებს და შეურაცხყოფას აყენებს არა მარტო სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც, ერთი სიტყვით, ისე იქცევა, ყველაზე ნაკლებ რომ შეჰფერის ფილოსოფიას.

– აქაც გეთანხმები.

– მართლაცდა, ადიმანტე, ვისაც თავის მოწოდებად ჭეშმარიტების ჭვრეტა დაუსახავს, საიმისოდ სადა სცალია, რომ, ზეცას კი არა, თვალდახრილი უმზერდეს კაცთა ფუჭ ფუსფუსს და მათი უკეთურების წინააღმდეგ აღძრული მათივე შუღლითა და შურით ივსებოდეს? არა, წარუვალ არსთა მწყობრი წესრიგის და უცვლელობის, სამყაროული ჰარმონიისა და გონების მჭვრეტი სწორედ მათ ბაძავს და, შეძლებისდაგვარად, მათვე ემსგავსება. ან იქნებ გგონია რომ შეიძლება არ ბაძავდე იმას, რასაც აღტაცების გარეშე ვერ უახლოვდები?

– არა, ეს შეუძლებელია, – თქვა მან.

– ამ ღვთაებრივად მოწესრიგებულ სამყაროს რომ უახლოვდება, ადამიანის სულსაც ეუფლება ეს ღვთაებრიობა, რამდენადაც მისი ტვირთვა შეუძლია მოკვდავ ბუნებას. გმობით კი შეიძლება ყველაფერი ჰგმო ამ ქვეყნად.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ აუცილებლობა აიძულებს კაცთა კერძო თუ საზოგადო ყოფაში დანერგოს ის, რასაც ზეციურ სამყაროში ჭვრეტს, როგორ გგონია, განა ცუდი დამნერგავი იქნება ზომიერების, სამართლიანობისა თუ სხვა სამოქალაქო სიქველისა?

– არამც და არამც.

– მაგრამ თუ ხალხი შეიგნებს, რომ სიმართლეს ვეუბნებით ფილოსოფოსებზე, განა კვლავ აღშფოთებული აღიძვრის მათ წინააღმდეგ და უნდობლად მოეკიდება ჩვენს სიტყვებს, რომელთა თანახმადაც სახელმწიფო ვერასოდეს ვერ მიაღწევს კეთილდღეობას, თუკი ჭეშმარიტ ხელოვანთა მიერ ღვთაებრივი ნიმუშის მიხედვით შედგენილი გეგმა არ უდევს საფუძვლად?

– თუ შეიგნო, აღარც აღშფოთდება; მაგრამ როგორ შეადგენენ ამ გეგმას?

– როგორ და, ფიცარივით აიღებენ სახელმწიფოს თუ ხალხის ზნეობას და, უწინარეს ყოვლისა, გულმოდგინედ გაწმენდენ, რაც სულაც არ არის ადვილი. როგორც თავად მოგეხსენება, სხვებისგან იმითაც განსხვავდებიან, რომ არც სახელმწიფოს გადაკეთებას მიჰყოფენ ხელს, არც კერძო პირისას და არც კანონებს შექმნიან სახელმწიფოსათვის, ვიდრე გაწმენდილს არ ჩაიბარებენ, ან თვითონვე არ გაწმენდენ მას.

– მართალს ბრძანებ.

– და მხოლოდ ამის შემდეგ მოხაზავენ სახელმწიფო წყობილების გეგმას.

– რა თქმა უნდა.

– შემდეგ კი, ამ ნახაზის დასრულებისას, უპირატესად ორ რამეს მიაქცევენ ყურადღებას: ერთის მხრივ, იმას, რაც თავისი არსით სამართლიანია, მშვენიერი და გონიერი, მეორეს მხრივ კი – იმას, რაც ასეთივეა ადამიანებში. ხოლო შემდეგ ამ თვისებათა შერწყმა-შერევით – ადამიანის პირველსახეს, იმის მიხედვით, რასაც ჰომეროსი ადამიანებში ღვთაებრივსა და ღვთისდარს უწოდებს.

– ეს იქნებოდა უმშვენიერესი სურათი.

– კეთილი და პატიოსანი, – ვუთხარი მე, – ნუთუ ახლაც ვერ დავარწმუნეთ ის ხალხი, მწყობრად დარაზმული რომ მოიწევდა ჩვენზე, და ვერ დავანახეთ, რომ ამნაირი სახელმწიფოს მხატვარი სწორედ ის კაცია, რომელსაც წეღან ვაქებდით, ჩვენი მოწინააღმდეგენი კი გააფთრებით გვიტევდნენ, ვის ანდობთ სახელმწიფოს მმართველობასო? ეს რომ მოესმინათ, ნუთუ ოდნავ მაინც არ დაცხრებოდნენ?

– რა თქმა უნდა, თუ ჭკუის ნატამალი მაინც შერჩათ.

– ან რას იტყოდნენ საპასუხოდ? იქნებ იმას, ფილოსოფოსები გატაცებით არ მიელტვიან არსსა და ჭეშმარიტებასო?

– მაგრამ ეს ხომ სისულელე იქნებოდა.

– ან იქნებ იმას, რომ ჩვენს მიერ დახატული ფილოსოფიური ბუნება არ ენათესავება სიკეთეს?

– არც ეს იქნებოდა ნაკლები სისულელე.

– კი მაგრამ, ეს თუ არა, სხვა რა იქნებოდა ფილოსოფიურ ბუნებაზე უფრო ბრძენი და უფრო ქველი, ამ უკანასკნელს სათანადო გამოყენება რომ ეპოვა? იქნებ ჩვენს მიერ უარყოფილი ესა თუ ის ბუნება?

– რა თქმა უნდა, არა.

– კვლავაც გაცოფდებოდნენ, თუ ვიტყოდით, რომ არც სახელმწიფოს და არც მის მოქალაქეებს არ დაადგებათ საშველი, ვიდრე სახელმწიფოს ფილოსოფოსთა მოდგმა არ ჩაუდგება სათავეში, ან იმნაირი წყობილება არ დამყარდება, ჩვენ რომ დავხატეთ?

– ალბათ ეს ნაკლებ გააცოფებდათ.

– მოდი, საერთოდ მოვეშვათ ამ „ნაკლებს“ და პირდაპირ ვთქვათ, რომ ისინი სავსებით დაცხრებოდნენ და დაწყნარდებოდნენ, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სირცხვილის გამო მაინც.

– ბატონი ბრძანდები.

– მაშ, შევთანხმდეთ, რომ ამ მხრივ უკვე დავარწმუნეთ ისინი; მაგრამ ვინ შემოგვედავება იმაში, რომ მეფეებისა თუ მბრძანებლების მემკვიდრეთა შორისაც შეიძლება გამოერიონ ბუნებით ფილოსოფოსნი?

– ვერავინ.

– და რაკი შეიძლება გამოერიონ, ვითომ რა აუცილებელია, რომ ხრწნილებას დაექვემდებარონ ისინი? თავისთავადობის შენარჩუნება რომ ძნელია მათთვის, ამას თვითონაც ვაღიარებთ, მაგრამ ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ დროთა განმავლობაში ერთიც ვერ იხსნის თავს?

– ვერავინაც ვერ გაბედავს მაგის მტკიცებას.

– მაგრამ ერთი ამნაირი კაციც კი, რომელსაც მთელი სახელმწიფო ემორჩილება, სავსებით საკმარისია, რათა აღასრულოს ყოველივე ის, რაც დღეს შეუძლებელი ეჩვენებათ.

– დიახ, სავსებით საკმარისია.

– რადგან თუ ეს მბრძანებელი იმნაირ კანონებსა და ადათ-წესებს დანერგავს, ჩვენ რომ აღვწერეთ, გამორიცხული არ არის, რომ მოქალაქენი სიამოვნებით აღასრულებენ მათ.

– სულაც არ არის გამორიცხული.

– მაგრამ ის კი გამორიცხულია და შეუძლებელი, რომ იმას, რაც ჩვენ მოვიწონეთ, სხვებიც იწონებდნენ?

– მე თუ მკითხავ, არა.

– ჩვენ კი, მე მგონია, საკმაოდ დამაჯერებლად დავამტკიცეთ, რომ ჩვენი გეგმა ყველაზე უმჯობესია, თუკი შესაძლებელია მისი ხორცშესხმა.

– დიახ, საკმაოდ დამაჯერებლად.

– მაშ, ახლა, როგორც ჩანს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი საკანონმდებლო გეგმა ყველაზე უკეთესი უნდა იყოს, თუკი შესაძლებელია ხორცი შევასხათ მას, და, მართალია, ეს ძალზე ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი.

– რა თქმა უნდა, შეგვიძლია.

[მცველთა ფილოსოფიური აღზრდა]

– რაკი ეს საკითხი, ასე თუ ისე, უკვე მოგვარდა, ახლა სხვასაც უნდა მივხედოთ: რა გზით, რომელი მეცნიერების მეშვეობით ან რანაირი წვრთნით უნდა აღვზარდოთ და ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფოს მხსნელნი, ან რა ასაკში უნდა მივანდოთ ესა თუ ის საქმე.

– დიახ, ესეც მისახედია.

– ჩემი სიმარჯვე არაფერშიც არ გამომადგა, – ვთქვი მე, – რაკიღა დუმილით ავუარე გვერდი ცოლების შერთვის, ბავშვების კეთებისა თუ სახელმწიფო თანამდებობებზე ხალხის გამწესების საკითხს, რადგანაც ვიცოდი, რომ მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს, მაგრამ ახლა კი ირკვევა, რომ სიმართლის თქმა აუცილებელია. მართალია, ცოლებისა და შვილების საკითხი უკვე გადავწყვიტეთ, მაგრამ რაც შეეხება სახელმწიფოს მმართველთა საკითხს, ამის

გარკვევა თავიდან უნდა დავიწყოთ. თუ გახსოვს, ჩვენ ვამტკიცებდით, რომ მათ, ლხინშიაც და ჭირშიაც, თავდავიწყებით უნდა უყვარდეთ სამშობლო, ასე რომ, ვერც განსაცდელი, ვერც გასაჭირი თუ ბედის უკუღმა ტრიალი ვერ უნდა ახშობდეს ამ გრძნობას მათში. ვინც ამ მხრივ სისუსტეს გამოიჩენს, ხელაღებით უნდა უარვყოთ, ხოლო ვინც ისე წმინდად გამოვა ამ გამოცდიდან, როგორც ოქრო – ცეცხლიდან, თანამდებობაზე გავამწესოთ და სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც სათანადო პატივი არ მოვაკლოთ. აი, რა ითქვა დაახლოებით ამ საკითხის განხილვისას, მაგრამ ნართაულად და მიკიბულ-მოკიბულად, რადგანაც გვეშინოდა იმ დავიდარაბისა, რის წინაშეც ამჟამად ვდგავართ.

– სრული სიმართლეა, – თქვა მან, – მშვენივრად მახსოვს.

– მაშინ, ჩემო მეგობარო, ვერ გავბედე იმისი თქმა, რასაც ამჟამად ვბედავ. მაშ, გავკადნიერდეთ და პირდაპირ განვაცხადოთ, რომ სახელმწიფოს ყველაზე ღირსეულ მცველებად ფილოსოფოსებს უნდა ვამწესებდეთ.

– სათქმელი უნდა ითქვას.

– მაგრამ იმასაც დაუფიქრდი, რა ცოტანი შეგრჩებიან ხელთ: რადგანაც იმ თვისებებს, რაც, ჩვენი აზრით, ნიშნეული უნდა იყოს მათი ბუნებისათვის, ერთად თავმოყრილს იშვიათად თუ ჰპოვებ ვისიმე სულში; ისინი, უმეტესწილად, მიმოფანტულნი არიან და ცალ-ცალკე თუ იჩენენ თავს.

– რას გულისხმობ?

– ცოდნის ადვილად შეთვისების უნარი, მეხსიერება, მახვილგონიერება, გამჭრიახობა და სხვა მისთანანი, როგორც თავად მოგეხსენება, ერთად როდი იყრიან თავს; ჭაბუკურად ფიცხნი და მაღალნიჭიერნი კი ნაკლებად ეგუებიან მოწესრიგებულ, მშვიდსა და უშფოთველ ყოფას. პირიქით, თავიანთი დაუდგრომლობის გამო გამუდმებით ბორგავენ, წრიალებენ, აქეთ-იქით აწყდებიან და ხელიდან ეცლებათ ყოველივე ურყევი და მყარი.

– მართალს ბრძანებ, – თქვა მან.

– მეორეს მხრივ, გაწონასწორებული, ურყევი და მტკიცე ხასიათის ხალხი უფრო სანდოა, ბრძოლის ველზე საიმედო და საფრთხის წინაშე წარბშეუხრელი. მაგრამ იგივე თვისებები სწავლაში სხვანაირად ავლენენ თავს; უგერგილონი, ზანტნი და ზარმაცნი ისე გახევებულან, თითქოს ტვინის განძრევა უჭირთო, მთქნარება უტყდებათ და ძილი ერევათ, როცა სწავლაზე მიდგება საქმე.

– ასეა.

– ჩვენ კი ვამბობდით, რომ მცველებში ერთმანეთს უნდა ერწყმოდეს გონების სიმკვირცხლე და ხასიათის სიმტკიცე, რის გარეშეც არც ასე გულმოდგინედ უნდა გვეწვრთნა და აღგვეზარდა, არც ძალაუფლება მიგვენდო და არც პატივი მიგვეგო მათთვის.

– მერედა, განა სწორნი არ ვიქნებოდით?

– როგორ გგონია, ამ საპირისპირო თვისებათა ურთიერთშერწყმა იშვიათია?

– რა თქმა უნდა.

– ამიტომ, როგორც ზემოთ ითქვა, მარტო შრომაში კი არა, ლხინშიც და ჭირშიც უნდა გამოვცადოთ ისინი. აქვე იმასაც დავძენ, რაც მაშინ გამომრჩა: აუცილებლად უნდა იწვრთნიდნენ თავს მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რათა საშუალება გვქონდეს დავუკვირდეთ, მიაღწევენ ცოდნის მწვერვალს თუ, როგორც სხვა ასპარეზობისას, შიშით დაიხევენ უკან.

– რასაკვირველია, უნდა დავუკვირდეთ. მაგრამ რას უწოდებ შენ ცოდნის მწვერვალს?

– ალბათ გემახსოვრება: მას შემდეგ, რაც განვიხილეთ სულის სამი სხვადასხვა სახე, ჩვენ ვისარგებლეთ ამ განსხვავებით, რათა აგვეხსნა, რა არის სამართლიანობა, გონიერება, სიმამაცე და სიბრძნე.

– ეგ რომ არ მახსოვდეს, არც იმის მოსმენის ღირსი ვიქნებოდი, რაც აწი უნდა ითქვას.

– ისიც თუ გახსოვს, რაც მანამდე ვთქვით?

– რა?

– რა და, ის რომ ამ სიქველეთა უკეთ შესაცნობად სხვა – უფრო გრძელი და შემოვლითი გზა უნდა აგვერჩია, რომელიც უფრო ნათლად წარმოგვიჩენდა მათ; თუმცა ზემოთქმულიდანაც შეიძლებოდა სათანადო დასკვნები გამოგვეტანა. თქვენ თქვით, რომ ეს საკმარისი იყო, მაგრამ შემდგომ მსჯელობას, ჩემი აზრით, სიზუსტე აკლდა. და მაინც, თუ გაკმაყოფილებთ, თქვენ თვითონ უნდა მითხრათ.

– პირადად მე სავსებით მაკმაყოფილებს, და ამავე აზრისა არიან სხვებიც.

– კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, თუ ეგზომ მნიშვნელოვან საგანთა საზომი ოდნავ მაინც განსხვავდება სინამდვილისგან, ჩვენი მტკიცება უკვე აღარ იქნება საკმარისად დასაბუთებული; რადგან ის, რაც არასრულყოფილია, არაფრის საზომად არ გამოდგება. თუმცა ზოგს ესეც დამაკმაყოფილებლად ეჩვენება, შემდგომი კვლევა-ძიება კი – ზედმეტად.

– დიახ, – თქვა მან, – ზოგი მართლაც ასე ფიქრობს თავისი დაუდევრობის გამო.

– მაგრამ ასე ყველაზე ნაკლებ უნდა ფიქრობდეს სახელმწიფოსა და კანონების მცველი.

– რა თქმა უნდა.

[სიკეთის იდეა]

– ასე რომ, მან უფრო გრძელი გზა უნდა აირჩიოს, ჩემო მეგობარო, და სულის წვრთნას არანაკლები ძალა მოახმაროს, ვიდრე სხეულისას; თორემ, როგორც უკვე ითქვა, სრულყოფილად ვერასოდეს დაეუფლება იმას, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია.

– კი მაგრამ, განა ეს ყველაზე არსებითი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამართლიანობა და ყველა სხვა სიქველე, ზემოთ რომ მიმოვიხილეთ?

– დიახ, არსებობს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, და ეს არა მარტო ზოგადად უნდა მიმოვიხილოთ, როგორც ვიქცევით ახლა, არამედ არაფერი არ უნდა გამოგ-

ვრჩეს, რათა მთელი სურათი უფრო სრულად წარმოვიდგინოთ. განა სასაცილო არ არის, რომ ამოდენა ძალას ალევენ გაცილებით უფრო უმნიშვნელო საგანს, რათა ზედმიწევნით სრულყონ და დახვეწონ იგი, ყველაზე მნიშვნელოვანს კი სულაც არ სცნობენ იმის ღირსად, რომ თავდაუზოგავად ეცადონ მისი სიდიადის წარმოჩენას?

– რა თქმა უნდა, საუცხოო აზრია. მაგრამ ნუთუ გგონია, რომ აღარ გვკითხავენ, მაინც რა არის, შენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს უმნიშვნელოვანესი ცოდნა, ან რას ეხება იგი?

– სულაც არა, – მივუგე მე, – თუ გნებავს, თვითონაც მკითხე. თუმცა ეს არაერთხელ გსმენია ჩემგან, მაგრამ, ეტყობა, აღარ გახსოვს, ან გინდა გული გამიწყალო მაგ შენი გამოხდომებით; ალბათ, ეს უფრო სავარაუდოა, რადგან ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გაგიგონია, რომ სიკეთის იდეაა ყველაზე მნიშვნელოვანი. სამართლიანობაცა და ყველა სხვა სიქველეც სწორედ მისი წყალობითაა სასარგებლო და ვარგისი. შენ, ალბათ, ისიც გეცოდინებოდა, რასაც დავძენდი: სიკეთის იდეას კარგად არ ვიცნობთ-მეთქი. და რაკი არ ვიცნობთ, ამიტომ ყოველივე დანარჩენი კარგადაც რომ ვიცოდეთ, მერწმუნე, ეს ცოდნა არას გვარგია. ეს იმას ჰგავს, რაიმე ნივთს იძენდე და არ კი იცოდე, რაში გამოგადგება იგი. თუ, შენი აზრით, საკმარისია, რაც შეიძლება მეტი შეიძინო, მაგრამ წარმოდგენაც არ გქონდეს, სასიკეთოა თუ არა ეს შენთვის, ან იქნებ ყველაფერი უნდა იცოდე, გარდა იმისა, რაც მშვენიერია და კეთილი?

– არა, ვფიცავ ზევსს, – თქვა მან.

– მაგრამ ის ხომ მაინც იცი, რომ სიკეთე, ბრბოის აზრით, განცხრომაა, უფრო დახვეწილთა აზრით კი – ცოდნა.

– რა თქმა უნდა.

– და რომ ვინც ამ აზრისაა, ჩემო ძვირფასო, ვერც კი გვეტყვის, რას ნიშნავს ეს ცოდნა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, იძულებულია განგვიმარტოს, რომ აქ სიკეთის ცოდნა იგულისხმება.

– ღმერთმანი, სასაცილოა.

– რა თქმა უნდა, სასაცილოა, რაკიღა გვსაყვედურობენ, სიკეთეზე წარმოდგენაც არა გაქვთო, შემდეგ კი ისე გველაპარაკებიან, თითქოს დიდი მცოდნენი ვიყოთ. ისე ხშირად ატრიალებენ ამ „სიკეთის ცოდნას“, თითქოს „სიკეთის“ წარმოთქმისთანავე უნდა ვხვდებოდეთ, რა არის ეს.

– სწორია, – თქვა მან.

– მაგრამ განა ისინი, ვისი აზრითაც სიკეთე განცხრომაა, ნაკლებ ცდებიან? განა ისინიც იძულებულნი არ არიან აღიარონ, რომ არსებობს უკეთური განცხრომაც?

– უკეთურზე უკეთურიც.

– მაშასადამე, თვითონვე უნდა აღიარონ, რომ ერთი და იგივე რამ შეიძლება კეთილიც იყოს და უკეთურიც; ასეა, არა?

– უცილობლად.

– მერედა, განა ასევე ცხადი არ არის, რომ უმრავლესობა იმას მიიჩნევს მშვენიერად და სამართლიანად, რაც მშვენიერი და სამართლიანი ჰგონია, თუნდაც სინამდვილეში არც ერთი იყოს და არც მეორე, და ამის მიხედვით მოქმედებს, იძენს და ფიქრობს; ხოლო რაც შეეხება სიკეთეს, აქ არავინ არ სჯერდება მოჩვენებითის ფლობას, არამედ ყველა ჭეშმარიტ სიკეთეს მიელტვის და არაფრად აგდებს მოჩვენებითს.

– ასეა, – თქვა მან.

– დიახ, სიკეთეს მიელტვის ყოველი სული და მისი გულისთვისვე აკეთებს ყველაფერს; გუმანით გრძნობს, რომ არსებობს რაღაც ამგვარი, თუმცა დანამდვილებით კი ვერ მიმხვდარა, რა არის ეს. ასე რომ, მტკიცედ ვერ ეყრდნობა თავის ვარაუდს, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში ემყარება თავის ღრმა რწმენას. ამიტომაც ხელი აღარ მიუწვდება ამ დანარჩენზეც და ვეღარ იღებს მისგან იმას, რაც შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო მისთვის. მერედა, ნუთუ ამ ფასდაუდებელ სიკეთეს ასევე ბუნდოვნად უნდა ჭვრეტდნენ სახელმწიფოს უკეთესი მოქალაქენი, რომელთაც მზადა ვართ ყველაფერი მივანდოთ?

– არამც და არამც.

– მე თუ მკითხავ, შეუძლებელია სამართლიანობისა და მშვენიერების ღირსეული მცველი იყოს ის, ვინც არ იცის, რა აკავშირებს ან ერთსა და ან მეორეს სიკეთესთან. დიახ, მე ამთავითვე ვგრძნობ, რომ ამ კავშირის გარეშე ვერავინ ვერ შეიცნობს მათ.

– და არც გატყუებს ეგ შენი გრძნობა.

– ასე რომ, ჩვენი სახელმწიფო წყობილება სრულყოფილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მცველად მივუჩენთ კაცს, რომელმაც იცის ყოველივე ეს.

– უცილობლად. მაგრამ შენ თვითონ, სოკრატე, რად მიგაჩნია სიკეთე – ცოდნად, განცხრომად თუ რაღაც მესამედ?

– რა კაცი ხარ! კაი ხანია ვიცოდი და გატყობდი კიდეც, რომ ნამდვილად არ დასჯერდებოდი სხვების აზრს ამის თაობაზე.

– ეს იმიტომ, სოკრატე, – თქვა მან, – რომ სამართლიანად არ მეჩვენება, როცა მხოლოდ სხვების აზრს გადმოგვცემენ და არა საკუთარს, თუმცა რა ხანია ჩაჰკირკიტებდნენ ამ საკითხს.

– როგორ? მაშ, შენ სამართლიანი გგონია, რომ კაცი ლაპარაკობდეს იმაზე, რაც არ იცის და მცოდნედ ასაღებდეს თავს?

– არა, მცოდნედ კი არა, მაგრამ კეთილ ინებოს და თავისი საკუთარი აზრები გაგვიზიაროს.

– კი მაგრამ, ნუთუ არ შეგინიშნავს, რა უბადრუკია ყველა აზრი, რომელიც ცოდნას არ ემყარება? როგორ გგონია, ვითომ რა განასხვავებს უვიცის თუნდაც მართალ აზრს უსინათლოსგან, რომელიც თავისი თვალდავსილობის მიუხედავად მაინც სწორად მიიკვლევს გზას?

– არაფერი.

– მერედა, შენ გირჩევნია აკვირდებოდე უსახურს, უსინათლოსა და უგვანს, თუმცაღა შეგიძლია სხვების მეოხებით ჭვრეტდე მშვენიერსა და ნათელს?

– თუ ღმერთი გწამს, სოკრატე, – წამოიძახა გლავკონმა, – თავს ნუ არიდებ სათქმელს, თითქოს უკვე დაგემთავრებინოს სიტყვა. ჩვენ იმასაც დავჯერდებით, თუ ისე განგვიმარტავ სიკეთის ბუნებას, როგორც სამართლიანობის, გონიერებისა და სხვა სიქველეთა ბუნება განგვიმარტე.

– განა მე კი არ დავჯერდებოდი, ჩემო ძვირფასო? მაგრამ მეშინია, ვაითუ ჩავფლავდე და ჩემი უგერგილობის გამო თქვენი დასაცინი შევიქნე. მოდი, ასე ვქნათ, ჩემო ნეტარნო, ჯერჯერობით თავი ვანებოთ სიკეთის ჭეშმარიტ ბუნებას, რადგან ის, ჩემი წარმოდგენით, მეტისმეტად მაღალია საიმისოდ, რომ ჩვენი ძალისხმევით მივწვდეთ. სამაგიეროდ, თუ გნებავთ, ორიოდე სიტყვას გეტყვით სიკეთის ნაშიერზე, ზედმიწევნით რომ ჩამოჰგავს მშობელს, თუ არა და, მოვეშვათ ამას.

– არა, – თქვა მან, – შვილზე მაინც გველაპარაკე, მშობლის ამბავს კი მერე გათქმევინებთ.

– ნეტავი მთლიანად დამაბრუნებინა თქვენი ვალი და არა მარტო ვახში, როგორც ამჟამად. მაშ, ჯერჯერობით დასჯერდით ამ ვახშს, ჭეშმარიტი სიკეთის ნაშიერს. მაგრამ ფრთხილად იყავით, რათა, ჩემდა უნებურად, ანგარიშში არ მოგატყუოთ.

– რამდენადაც შეგვიძლია, ფრთხილად ვიქნებით; ოღონდ განაგრძე.

– ნება თქვენია, მაგრამ ჯერ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ შეგახსენოთ, რაც ზემოთ ითქვა და სხვაგანაც არაერთხელ გვიხსენებია.

– მაინც რა?

– რამდენი რამაა მშვენიერი, კეთილი და სხვა მისთანანი, რომელთა არსებობასაც ვამტკიცებთ და განვსაზღვრავთ ენის მეშვეობით.

– დიახ, ასეა.

– იმასაც ვამბობთ, რომ არსებობს მშვენიერი თავისთავად, კეთილი თავისთავად, და ასე შემდეგ, ზემოთ ჩამოთვლილ საგანთა სიმრავლესთან მიმართებით; ხოლო ამ საგანთაგან თვითეულს მისი საკუთარი იდეა შეესაბამება, რომელსაც ერთადერთად და ამ საგნის არსად ვსახავთ.

– მართალს ბრძანებ.

– და ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ყველა ეს საგანი მზერით აღიქმება, მაგრამ არა აზრით, იდეები კი, პირიქით, აზრით აღიქმებიან და არა მზერით.

– დიახ.

– ესე იგი, რისი მეშვეობით აღვიქვამთ ხილულ საგნებს?

– მზერის მეშვეობით.

– ისევე, როგორც სმენის მეშვეობით აღვიქვამთ ყველაფერს, რაც გვესმის, და დანარჩენი გრძნობებით შევიგრძნობთ ყველაფერს, რასაც შევიგრძნობთ?

– რა თქმა უნდა.

– თუ დაჰკვირვებიხარ, რაოდენ ძვირფასია იმის უნარი, რომ ხედავდე ან გხედავდნენ? უნარს, რომელიც დემიურგოსმა გვიბოძა ჩვენ.

– მართალი გითხრა, არც ისე გულმოდგინედ.

– მაშ, ამ თვალსაზრისით დაუკვირდი: სმენას რომ ესმოდეს, ბგერა კი ისმოდეს, თუ არის საჭირო რაღაც მესამე, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმე გვესმოდეს ან ისმოდეს?

– არავითარი მესამე არა გვჭირდება.

– ჩემი აზრით, იგივე ითქმის ზოგი სხვა, მაგრამ არა ყველა შეგრძნების მიმართ. ან იქნებ არ მეთანხმები?

– რას ჰქვია არ გეთანხმები?

– ხომ არ შეგიმჩნევია, სჭირდება თუ არა რაღაც მესამე მზერას, ან ყოველივე იმას, რაც შეიძლება მზერით აღქმულ იქნეს?

– როგორ?

– რაგინდ გამჭრიახი თვალიც არ უნდა ჰქონდეს კაცს, რაგინდ მკაფიოდაც არ უნდა აღიქვამდეს ფერებს, ალბათ დამეთანხმები, რომ ვერაფერსაც ვერ დაინახავს ამ რაღაც მესამის გარეშე, რომელიც თითქოს საგანგებოდ მზერისათვის არის შექმნილი.

– რას გულისხმობ?

– რასაც სინათლეს უწოდებ შენ.

– მართალს ბრძანებ.

– ასე რომ, უმნიშვნელო საწყისი როდი აერთებს მზერას და იმას, რაც შეიძლება მზერით აღქმულ იქნეს. ისინი ყველა სხვა კავშირზე უფრო ფასეული კავშირით ერწყმიან ერთმანეთს, რადგან მართლაც რომ ფასდაუდებელია სინათლე.

– რა თქმა უნდა.

[პირველი და მეორე შედარებები: მზე და წრფე]

– მერედა, ზეციურ ღმერთთაგან რომელს მიიჩნევ ამ კავშირის უფლად, ან ვისი ნათელი ანიჭებს მზერას იმის უნარს, რომ ხედავდეს, საგნებს კი – იმისას, რომ მზერით აღქმულ იქნენ?

– იმავე ღმერთს, ვისაც გულისხმობ შენც და დანარჩენი მოკვდავნიც. რადგანაც ხომ ცხადია, რომ მზეზე მეკითხები.

– მერედა, განა მზერა ბუნებით, გარკვეულწილად არ ეთანაფარდება მზეს?

– როგორ?

– მზერა არც თავისთავად და არც იმაში, რაშიც იბადება (ჩვენ მას ვუწოდებთ თვალს), არ არის მზე.

– ცხადია, არა.

– მაგრამ, ჩვენს გრძნობებს შორის ყველაზე მზისდარი კია.

– დიახ.

– და ის უნარი, რასაც ფლობს მზერა, სწორედ მზისგან ეძლევა მას, როგორც ერთგვარი გამონაშუქი.

– რა თქმა უნდა.

– ასე რომ, თავის მხრივ, არც მზეა მზერა; და თუმცა მზერის მიზეზი კია, მაგრამ მზერა ვერ ხედავს მას.

– რასაკვირველია.

– ჰოდა, ამასვე ვამტკიცებ მე იმის თაობაზედაც, რასაც თავის მსგავსებად ბადებს სიკეთე. რასაც ნიშნავს სიკეთე აზრობრივ ადგილას, გონებისა და გონით საწვდომთა მიმართ, იმასვე ნიშნავს მზეც ხილულ ადგილას, მზერისა და მზერით საწვდომთა მიმართ.

– როგორ? – იკითხა მან, – თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით ამიხსენი.

– ხომ მოგეხსენება, – ვუთხარი მე, – როცა იმ საგნებისკენ მიმართავენ მზერას, რომლებსაც დღის სინათლე კი არ ანათებს, არამედ ღამეულ ვარსკვლავთა მკრთალი ციმციმი, თვალი იძაბება და ბრმას ემსგავსება, თითქოს ხედვის უნარი აღარ შესწევსო.

– დიახ.

– თუმცა იგივე თვალი მკაფიოდ ხედავს მზით განათებულ საგნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობა კვლავაც კარგია.

– რა თქმა უნდა.

– იგივე ითქმის სულზედაც: როცა იქითკენ მიმართავს მზერას, სადაც ჭეშმარიტება ელვარებს და არსი ბრწყინავს, კიდევაც შეიცნობს მათ, რაც მის გონიერებას მოწმობს, ხოლო როცა იმის მიმართ მიიქცევა, რასაც სიბნელე ერწყმის, რაც იბადება და კვდება, მზერადაბინდული და საკუთარი წარმოდგენების სათამაშოდ ქცეული ხან ერთს აწყდება და ხანაც მეორეს, ხან ალთასაა, ხან ბალთას და ისე წრიალებს, ცნობამიხდილი გეგონება.

– მართლაც.

– ასე რომ, რაც ჭეშმარიტებას ანიჭებს შეცნობად საგნებს, ადამიანს კი – შეცნობის უნარს, სწორედ ის მიიჩნიე სიკეთის იდეად – ცოდნისა და ჭეშმარიტების მიზეზად. რაგინდ მშვენიერიც არ უნდა იყოს ერთიცა და მეორეც – ცოდნაც და ჭეშმარიტებაც, არ შეცდები, თუ მათზე მშვენიერად აღიარებ სიკეთის იდეას. რამდენადაც მართებული იყო ხილულ სამყაროში სინათლისა და მზერის მიჩნევა მზისდარად, მზედ მიჩნევა კი – უმართებულო, ისე აქაც, გონით საწვდომ სამყაროშიც, მართებულია სიკეთისდარად მივიჩნევდეთ ცოდნასა და ჭეშმარიტებას, თვით სიკეთედ მათი მიჩნევა კი – უმართებულოა, რადგანაც სიკეთის იდეას გაცილებით უფრო მაღლა უნდა ვაყენებდეთ.

– უჩვეულო მშვენიერებას კი ანიჭებს მას, რაკიღა თურმე ის ბადებს ცოდნასა და ჭეშმარიტებას და გაცილებით უფრო მშვენიერია მათზე; მაშასადამე, განცხრომად არ უნდა მიგაჩნდეს.

– ღმერთმა დამიფაროს! უმჯობესია ამ მხრივ დაუკვირდე მის ხატებას...

– რა მხრივ?

– მზე არა მარტო იმის უნარს ანიჭებს საგნებს, რომ მზერით აღქმულ იქნენ, არამედ კიდევაც ბადებს, ზრდის და ასაზრდოებს მათ, თუმცა თვითონვე როდია დაბადება და ქმნადობა.

– როგორ?

– ისიც უნდა აღიარო, რომ გონით საწვდომი საგნების წვდომაც მხოლოდ სიკეთის მეშვეობით თუ შეიძლება; სიკეთის წყალობითვე ეზიარებიან ისინი თავიანთ არსებასაც და არსებობასაც, თუმცა თვით სიკეთე არსებობა კი არ არის, არსებობის მიღმურია, რომელსაც თავისი ღირსებით და ძალმოსილებით აღემატება.

მაშინ გლავკონმა მასხარასავით წამოიძახა:

– ოო, აპოლონ! რა თავბრუდამხვევი სიმაღლეა!

– შენს თავს დააბრალე: ვინ მაიძულა სიკეთის თაობაზე ჩემი აზრი გამომეთქვა?

– ჰოდა, შუა გზაზე ნუ შეჩერდები, კვლავაც განაგრძე ეგ შედარება მზესთან და ეცადე არაფერი გამოგრჩეს.

– აქამდეც ბევრი რამე გამომრჩა.

– აწი მაინც ეცადე უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ გამოტოვო.

– ვშიშობ, რომ ბევრი რამის გამოტოვება მომიწევს. თუმცა ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ვეცდები განზრახ მაინც არაფერი გამომრჩეს.

– აუცილებლად ეცადე.

– მაშ, იცოდე, ჩემო ძვირფასო, რომ არის ორი მეუფე: ერთი გონით საწვდომი სამყაროს ყველა გვარსა და მთელ საუფლოზე მბრძანებლობს, მეორე კი – ყოველივე ხილულზე; არ მინდა ამას ცა ვუწოდო, რადგანაც მეშინია, ვაითუ მოგეჩვენოს, რომ მე სიტყვებით ვთამაშობ. თუ გაიაზრე ეს ორი სახე – ხილული და გონით საწვდომი?

– დიახ.

– ახლა აიღე სწორი ხაზი და ორ არათანაბარ მონაკვეთად გაყავი. ერთი ხილულ სამყაროს აღნიშნავს, მეორე კი – გონით საწვდომს. თვითეული მონაკვეთი, თავის მხრივ, იმავე თანაფარდობით გაყავი ორად; თანაც, ხილული სამყაროს აღმნიშვნელი ამ ორი მონაკვეთიდან ერთი მკაფიო უნდა იყოს, მეორე კი – მქრქალი. პირველი მონაკვეთი ხატებათა შემცველი იქნება, ხოლო ხატებებს მე ვუწოდებ, უწინარეს ყოვლისა, ლანდებს, შემდეგ კი – ანარეკლებს წყალში ან მკვრივი, გლუვი თუ პრიალა საგნების ზედაპირზე, და სხვა მისთანათ. ხომ გესმის ჩემი?

– დიახ.

– მეორე მონაკვეთზე კი ადგილს მიუჩენ ამ ლანდების შესატყვის საგნებს – ყველა ცოცხალ არსს, ყველა მცენარეს თუ ხელთქმნილ საგანს.

– მეც ავდგები და მივუჩენ.

– ეთანხმები თუ არა იმ აზრს, რომ, ჭეშმარიტისა და არაჭეშმარიტის თვალსაზრისით, ხილული სამყაროს დაყოფა შემდეგნაირად განხორციელდა: ხატი ისე ეთანაფარდება მის შესაბამის საგანს, როგორც წარმოდგენა – ცოდნას?

– სავსებით.

– ახლა კი დაუკვირდი, როგორ უნდა დაიყოს გონით საწვდომი სამყაროს შესაბამისი მონაკვეთი.

– როგორ?

– სული იძულებულია ამ მონაკვეთის ერთ-ერთი განაყოფი წანამძღვრებისა თუ ჰიპოთეზების მეშვეობით ეძიოს, ისე, რომ ხატებად იყენებდეს ხილულ სამყაროში ნიმუშებად მიჩნეულ საგნებს და, ამრიგად, საწყისს კი არ მიელტვოდეს, არამედ – დასასრულს. მაშინ როდესაც მეორე მონაკვეთის მისაკვლევად, რომელსაც აგვირგვინებს უწანამძღვრო საწყისი, სული, წანამძღვრებიდან გამომდინარე, პირველ შემთხვევაში გამოყენებულ ხატებზე კი არა, მხოლოდ თავისთავად იდეებზე დაყრდნობით უნდა წარმართავდეს თავის ძიებას.

– კარგად ვერ გავიგე შენი სიტყვები.

– ახლავე გაგიადვილებ, – ვუთხარი მე, – რასაც ახლა გეტყვი, უფრო გასაგები უნდა იყოს: შენ, ალბათ, იცი, რომ გეომეტრიის, არითმეტიკისა და სხვა ამნაირ მეცნიერებათა მიმდევრები თავიანთი კვლევა-ძიებისას ვარაუდობენ, თითქოს იციან, რა არის ლუწი და რა არის კენტი, გეომეტრიული ფიგურები, კუთხეების სამი სახე და სხვა მისთანანი, რასაც ისინი ამოსავალ დებულებებად თვლიან და საჭიროდ აღარ მიიჩნევენ თავიანთ თავსა თუ სხვებს განუმარტონ ის, რაც, მათი აზრით, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. სწორედ აქედან გამომდინარე გამოჰყავთ ყოველივე დანარჩენი და ერთიმეორის მიყოლებით ბოლომდე ასაბუთებენ ყველაფერს, რაც თავიანთი ძიების საგნად დაუსახავთ.

– ეს, რა თქმა უნდა, ვიცი.

– მაშინ ისიც გეცოდინება, რომ ისინი იყენებენ ხილულ ფიგურებს, ანუ ნახაზებს, და მათი მიხედვით მსჯელობენ, თუმცა თვით ამ ნახაზებზე კი არ ფიქრობენ, არამედ – იმაზე, რასაც ისინი თავიანთი მსგავსებით გამოსახავენ. ასე მაგალითად, ისინი ფიქრობენ თავისთავად ოთხკუთხედზე, თავისთავად დიაგონალზე და არა იმაზე, რასაც თვითონვე ხაზავენ. იგივე ითქმის ფერწერულსა თუ სკულპტურულ ქმნილებებზედაც, რომლებიც შეიძლება ჩრდილს აფენდნენ ან წყალში ირეკლებოდნენ, მაგრამ თვით ეს ქმნილებები მხოლოდ ხატოვანი გამოსახულებები არიან იმისა, რისი ხილვაც მარტოოდენ გონების თვალით თუ შეიძლება.

– მართალს ბრძანებ.

– აი, სწორედ ამ გონით საწვდომ საგნებს ვგულისხმობდი წეღან: მათკენ სწრაფვისას სული იძულებულია წანამძღვრებსა თუ ჰიპოთეზებს დაეყრდნოს და ამიტომაც ვერ აღწევს მათ საწყისს, რადგანაც არ შეუძლია ვარაუდის ფარგლებს გასცდეს; სწორედ ამით აიხსნება, რომ მხოლოდ ხატებად იყენებს ხილული სამყაროს საგნებს, რომლებსაც თავიანთი ასლები შეესაბამებიან ხილული სამყაროს ქვედა ნაწილში და რომლებიც სწორედ ამ ასლებთან შედარებით უფრო მკაფიო ხატებად არიან მიჩნეულნი.

– გასაგებია: შენ ლაპარაკობ იმაზე, რასაც გეომეტრიისა და სხვა მისთანათა მეშვეობით სწავლობენ.

– მაშინ ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ გონით საწვდომი სამყაროს მეორე განაყოფს მე ვუწოდებ იმას, რასაც ჩვენი გონება აღწევს დიალექტიკური უნარის წყალობით. თავის ჰიპოთეზებს ის საწყისებად კი არ ასაღებს, არამედ ვარაუდებად, ანუ საფეხურებად თუ საყრდენ წერტილებად აღიქვამს მათ, რომელთა მეშვეობითაც ყოვლის უპირობო და უწანამძღვრო საწყისამდე მაღლდება. მას შემდეგ, რაც ამ საწყისს მიაღწევს და ჩაეჭიდება ყველაფერს, რაც ზემოხსენებულ საწყისზეა დამოკიდებული, სული დაღმასვლისას მიდის საბოლოო დასკვნამდე, რისთვისაც რაიმე გრძნობად მონაცემებს კი არ ეყრდნობა, არამედ მხოლოდ იდეებს, რომლებითაც იწყება და ვითარდება მისი ძიება, რათა იდეითვე დამთავრდეს.

– მესმის, – თქვა მან, – მაგრამ ბოლომდე კი არა. მე მგონია, ძალიან ძნელ საგნებზე მელაპარაკები. და მაინც, როგორც ჩანს, შენ გინდა დაადგინო, რომ ჭეშმარიტ არსსაც და გონით საწვდომ ყველა საგანსაც დიალექტიკის მეშვეობით შეიძლება გაცილებით უფრო ნათლად ჭვრეტდე, ვიდრე ეგრეთ წოდებულ ხელოვნებათა წყალობით, რომელთა საწყისებადაც ჰიპოთეზები გვევლინებიან. თუმცა ისინიც იძულებულნი არიან გონივრული განსჯით ჭვრეტდნენ გონით საწვდომ სამყაროს და არა გრძნობებით. მაგრამ რაკი თავიანთ ჰიპოთეზებზე დაყრდნობით იკვლევენ მას და ამიტომაც ვერ აღწევენ პირველსაწყისს, შენი აზრით, არ შეუძლიათ გონებით მისწვდნენ ამ სამყაროს, თუმცა ის სავსებით გონისაწვდომია, თუკი ჩავწვდებით მის პირველსაწყისს. გონივრულ განსჯად კი, მე მგონია, შენ მიიჩნევ იმ უნარს, რაც ნიშნეულია გეომეტრებისა და სხვა მათნაირ სწავლულთათვის. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის გონება, რადგანაც გონივრულ განსჯას შუალედური ადგილი უჭირავს წარმოდგენასა და გონებას შორის.

– საკმარისზე მეტადაც გესმის, – ვუთხარი მე, – ახლა ადექი და ზემოხსენებულ ოთხ დანაყოფს მიუსადაგე სულის ქმედითობის ოთხი უნარი: ყველაზე მაღლა დააყენე გონება, შემდეგ – გონივრული განსჯა, მესამე ადგილზე – რწმენა, ბოლოს კი – წარმოსახვა, და ეცადე სიცხადის ხარისხის მიხედვით განალაგო ისინი: ისე, რომ, რაც უფრო მეტი წილი უდევთ თვითეული მათგანის საგნებს ჭეშმარიტებაში, მით უფრო ცხადნი იყვნენ ისინი.

– გასაგებია, – თქვა მან, – გეთანხმები და მისაღებად მიმაჩნია შენს მიერ შემოთავაზებული წესრიგი.

წიგნი მეშვიდე

[მესამე შედარება: მღვიმე]

– შემდგომ ამისა, – ვთქვი მე, – აი, რას შეგიძლია შეადარო ჩვენი ბუნება განათლებისა თუ გაუნათლებლობის მხრივ: წარმოიდგინე ადამიანები, რომლებიც თითქოს მღვიმის მსგავს მიწისქვეშა დილეგში არიან გამომწყვდეულნი. დილეგს

მთელ სიგრძეზე გასდევს ჭრილი, საიდანაც შემოდის სინათლე. პატიმრებს კისერსა და ხელ-ფეხზე სიყრმიდანვე ბორკილები ადევთ, ასე რომ, არც განძრევა შეუძლიათ და არც უკან მიხედვა. ამიტომაც მხოლოდ წინ იყურებიან და მარტოოდენ იმას ხედავენ, რაც თვალწინ უდევთ. ბორკილდადებულნი ზურგშექცევით სხედან კედლისკენ, საიდანაც შემოდის სინათლე, რომელსაც შორს, მაღლა, მოგიზგიზე ცეცხლი ასხივებს. ცეცხლსა და პატიმრებს შორის მაღლობზე გადის გზა. ამ გზას პატიმრებისაგან დაბალი კედელი ჰყოფს, იმ ფარდის მსგავსად, რომლის მიღმაც თვალთმაქცები თავიანთ თანაშემწეებს მალავენ, მაღლა აწეული თოჯინებით რომ ართობენ ხალხს.

– წარმოვიდგინე.

– ახლა ისიც წარმოიდგინე, რომ კედლის გასწვრივ მიდი-მოდიან მგზავრები, რომლებსაც ხელში ნაირ-ნაირი საგნები უჭირავთ, მათ შორის, ხისა თუ ქვისაგან გამოთლილი ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებანი, რომლებიც იმ სიმაღლეზე აუწევიათ, რომ კედლის მიღმაც ჩანან. მგზავრებიდან, ჩვეულებრივ, ზოგი ლაპარაკობს, ზოგი კი ჩუმადაა.

– ეს რა უცნაურ სურათსა და უცნაურ პატიმრებს გვიხატავ?

– ისინი ჩვენ გვგვანან. ერთი ეს მითხარი, როგორ გგონია, განა ამ დღეში მყოფი ხალხი შეიძლება სხვა რამეს ხედავდეს, გინდა თავისას და გინდა სხვისას, მის წინ – მღვიმის კედელზე მორიალე ლანდების გარდა?

– რას უნდა ხედავდნენ, თუკი გაჩენის დღიდან თავის უკან მიბრუნებაც არ შეუძლიათ?

– კი მაგრამ, განა იგივე არ ითქმის იმ საგნებზედაც, კედლის მიღმა რომ მიმოაქვთ?

– მაინც რა?

– რა და, პატიმრებს რომ ერთმანეთში ლაპარაკი შეეძლოთ, შენი აზრით, იტყოდნენ თუ არა, რომ ნამდვილი საგნების სახელს არქმევენ კედელზე მორიალე მათ ლანდებს?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო მათი მღვიმე ექოსავით რომ იმეორებდეს გზად მიმავალი მგზავრების სიტყვებს, განა არ ეგონებოდათ, რომ კედელზე მორიალე ლანდები ლაპარაკობენ?

– ცხადია, ვფიცავ ზევსს.

– მაშასადამე, ეჭვს გარეშეა, რომ ისინი ნამდვილ საგნებად აღიქვამდნენ ამ ხელთქმნილი საგნების ლანდებს?

– აუცილებლად.

– ახლა კი დაუფიქრდი, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა შედეგად იმას, რომ მათთვის ბორკილები აეყარათ და უმეცრებისაგან დაეხსნათ, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა მოხდებოდა მათში, ბუნებრივი გზით რაღაც ამგვარი რომ შემთხვეოდათ? ვთქვათ, ერთ-ერთი მათგანისათვის ბორკილები აეხსნათ და ებრძანებინათ, შებრუნებულიყო, ორიოდე ნაბიჯი გადაედგა და სინათლის მხარეს

გაეხედა. განა ეს ნამდვილი ტანჯვა არ იქნებოდა მისთვის? თვალისმომჭრელი სინათლე იმ საგნების გარჩევის საშუალებას არ მისცემდა, რომელთა ლანდებსაც მღვიმის კედელზე ხედავდა. როგორ გგონია, რას იტყოდა, ვინმეს რომ ეთქვა – აქამდე მხოლოდ უბადრუკ ლანდებს ხედავდი, ახლა კი, ჭეშმარიტ არსებობას მიახლებული, ნამდვილ საგნებსა ხედავო? მერე ერთ-ერთი საგანი ეჩვენებინათ, თანაც ეკითხათ, რა არის ესო, და ძალდატანებით მოეთხოვათ პასუხი გაეცა მათთვის. განა ეს, შენი აზრით, საგონებელში არ ჩააგდებდა? საბრალოს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ გაცილებით უფრო ნამდვილი იყო ის, რასაც მანამდე ხედავდა, ვიდრე ის, რასაც ახლა უჩვენებენ.

– რასაკვირველია, ამას იფიქრებდა.

– ანდა, თუ აიძულებდნენ ცეცხლის შუქისათვის ემზირა, განა თვალს არ მოსჭრიდა მისი ციმციმი? ასე რომ, შეძრწუნებული, სირბილით დაუბრუნდებოდა იმას, რასაც აქამდე ასე თავისუფლად უსწორებდა თვალს და რაც, მისი აზრით, გაცილებით უფრო ნამდვილი იყო, ვიდრე ის, რაც ახლახან უჩვენეს.

– მართალს ბრძანებ.

– ხოლო თუ ძალით გამოათრევდნენ გარეთ, რათა ციცაბო ფერდობზე გამავალი გზით მაღლა აეყვანათ და მზის სინათლე ეჩვენებინათ, განა ტკივილით გატანჯულს არ აღაშფოთებდა ამნაირი ძალმომრეობა? მზის სიკაშკაშით თვალდავსილი ერთსაც ვერ გაარჩევდა იმ საგნებს შორის, რომლებზედაც დაჟინებით ჩასჩიჩინებენ, ნამდვილი საგნები თუ გნებავს, სწორედ ესენი არიანო.

– ერთბაშად მართლაც ვერ გაარჩევდა.

– აქ საჭიროა მიჩვევა, რაკიღა ყველაფრის დანახვა მართებს, რაც მაღლაა. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ლანდებისკენ უნდა მიმართოს მზერა, შემდეგ – წყლის სიღრმეში არეკლილი ადამიანებისა თუ სხვადასხვა საგანთა გამოსახულებებისაკენ, ბოლოს კი საკუთრივ საგნებს უნდა მიაპყროს თვალი. ამასთან, ცისა თუ ყოველივე ზეციურის ჭვრეტა ღამით, მთვარისა და ვარსკვლავების შუქზე უფრო გაუადვილდება, ვიდრე დღისით – მზის სინათლეზე.

– რა თქმა უნდა.

– ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი, ჩემი აზრით, იმასაც შეძლებს, რომ თვალი გაუსწოროს თვით მზესაც და წყალში კი აღარ უცქიროს მის ანარეკლს, არამედ ცის თაღზე დაუკვირდეს მის თვისებებს.

– უცილობლად.

– რის შედეგადაც ის დაასკვნის, რომ სწორედ მზე განსაზღვრავს წელიწადის დროთა მონაცვლეობას და დროის დინებას, რომ ამ ხილულ სამყაროში მზე წარმართავს ყველაფერს და, გარკვეული აზრით, იგივე მზეა ყოველივე იმის მიზეზიც, რაც მღვიმეში ჩანდა.

– ცხადია, თავისი დაკვირვების შედეგად სწორედ ამ დასკვნამდე მივა.

– მერედა, თავისი უწინდელი სამყოფლის, იქაური სიბრძნისა და თავისი მეგობარი პატიმრების გახსენებისას განა ნეტარებად არ მიიჩნევს თავის ახლანდელ ყოფას და სიბრალული არ აღეძვრის დილეგში მყოფთა მიმართ?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ ისინი თავიანთ მღვიმეში პატივსა და დიდებას მიაგებდნენ ერთმანეთს და ჯილდოს არ იშურებდნენ იმისთვის, ვის გამჭრიახ მზერასაც არ გამოეპარებოდა არც ერთი საგანი, კედლის იქით რომ მიჰქონდათ, და ყველაზე უკეთ იმახსოვრებდა, რა გამოჩნდებოდა პირველად, რა – შემდეგ და რა – ერთდროულად, რის საფუძველზეც წინასწარმეტყველებდა მომავალს, – როგორ გგონია, ბორკილებიდან თავდაღწეული კვლავინდებურად ინატრებდა ყოველივე ამას, ან შური აღეძვროდა იმის მიმართ, ვისაც თაყვანს სცემდნენ მღვიმეში, როგორც ყველაზე საჩინო და სახელოვან კაცს? თუ იმავე განცდით გულშეძრულს, რასაც გვაუწყებს ჰომეროსი, მხოლოდ ერთი რამ ექნებოდა სანატრელი: დღიურ მუშად ემუშავა ღარიბი გლეხის ყანაში და ოფლის ღვრით ეშოვა ლუკმა პური, ან აეტანა ათასნაირი გაჭირვება, ოღონდაც აღარასოდეს მიბრუნებოდა თავის უწინდელ ყოფას და იმდროინდელ სიბრმავეს.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა მან, – მართლაც ყველაფერს აიტანდა იმის გულისთვის, რომ ძველებურად აღარ ეცხოვრა.

– ერთსაც დაუფიქრდი: ეს კაცი რომ კვლავ მღვიმეს დაბრუნებოდა და თავის ძველ ადგილას დამჯდარიყო, განა მზის ნათელს ასე ანაზდად განშორებულს იმწამსვე თვალს არ დაუვსებდა ბნელი?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ მღვიმეში სამუდამოდ გამომწყვდეულ პატიმრებთან კვლავ მოუწევდა პაექრობა ამა თუ იმ ლანდისა და მისი მნიშვნელობის გამო, ვიდრე თვალს შეაჩვევდა სიბნელეს, რასაც, ალბათ, საკმაო დრო დასჭირდებოდა, შენი აზრით, განა მასხრად არ აიგდებდნენ ამ სიტყვებით: რას მიეხეტებოდა იმ სიმაღლეზე, სულ ტყუილად დაკარგა თვალის ჩინიო? ასე რომ, თუ ვინმე შეეცდებოდა ტყვეობიდან დაეხსნა და მაღლა აეყვანა ისინი, განა იმწამსვე სულს არ გააფრთხობინებდნენ, ხელში რომ ჩავარდნოდათ?

– უეჭველად.

– ჰოდა, ჩემო ძვირფასო გლავკონ, სწორედ ესაა კაცთა ყოფის ზუსტი ხატება. მღვიმე ხილული სამყაროა, ხოლო სინათლე, რომელსაც ცეცხლი ასხივებს, მზის ნათელს ედარება. მაღლა ასვლა და ნამდვილი საგნების ჭვრეტა სხვა არა არის რა, თუ არა სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ. აი, როგორია ჩემი აზრი, თუკი გსურს მას მისდიო; პირადად მე ასე მგონია, ცოდნით კი ღმერთმა იცის, მართალია თუ არა იგი. გონით საწვდომი სამყაროს ზღვარი სიკეთის იდეაა, რომელსაც ძნელად თუ გაარჩევს გონების თვალი, მაგრამ საკმარისია ბუნდოვნად მაინც აღვიქვათ, რომ აქედან უშუალოდ გამოგვაქვს დასკვნა: სწორედ სიკეთის იდეაა ყოველივე ჭეშმარიტისა და მშვენიერის მიზეზი, ხილულ სამყაროში ის ბადებს ნათელს და მის მეუფეს, გონით საწვდომ სამყაროში კი თვითონვეა მეუფეც და მბრძანებელიც, რომლისგანაც დასაბამს იღებს ჭეშმარიტება და გონიერება; ამიტომ სწორედ მის ჭვრეტას უნდა ცდილობდეს ყველა, ვისაც სურს გონივრულად იქცეოდეს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

– გეთანხმები, – თქვა მან, – რამდენადაც შემიძლია შენს აზრს მივსდიო.

– მაშინ ამაშიც დამეთანხმე: ვინც ამ სიმაღლეს მიაღწია, უკვე აღარ შეუძლია ხელი მიჰყოს კაცთა ჩვეულებრივ საქმიანობას, რადგანაც მისი სული გამუდმებით მიელტვის მხოლოდ სიმაღლეს. და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ზედმიწევნით შეესაბამება ჩვენს მიერ დახატულ ალეგორიულ სურათს.

– მართლაც.

– მერედა, ნუთუ შენი აზრით, უნდა გვიკვირდეს, რომ როდესაც ამ ღვთაებრივი ჭვრეტიდან ადამიანი კვლავ უბრუნდება ამქვეყნიურ უბადრუკობას, შემცბარი და დაბნეული, – სასაცილო ჩანს? დაბინდული მზერა ჯერ კიდევ ვერ შესჩვევია გარემომცველ სიბნელეს, მაგრამ, ვიდრე შეეჩვეოდეს, მანამდე აიძულებენ სამსჯავროში თუ სადმე სხვაგან გამოვიდეს და სამართლიანობის ლანდებისა თუ ამ ლანდების ანარეკლთა გამო იდავოს, ესე იგი, იმ ხალხივით დაიწყოს ბრძოლა მათი განმარტებისთვის, ვისაც თვალითაც არ უნახავს სამართლიანობა თავისთავად.

– არა, ამაში არაფერია საკვირველი.

– ჭკვიანი კაცი გაიხსენებდა, რომ მზერას ორი სხვადასხვა მიზეზი ამღვრევს: როცა სინათლიდან სიბნელეში გადავდივართ, ანდა, პირიქით, სიბნელიდან – სინათლეში. იგივე ითქმის სულზედაც: დავუკვირდეთ შემცბარსა და დაბნეულ სულს, საგანთა გარჩევის უნარი რომ დაჰკარგვია, მაგრამ ბრიყვულად ნუკი დავუწყებთ დაცინვას, არამედ დავუფიქრდეთ – უფრო ნათელი ყოფიდან მოვიდა და მისთვის უჩვევმა სიბნელემ დაუვსო თვალი, თუ, პირიქით, სრული უმეცრებიდან ამაღლებულს თვალი მოსჭრა სინათლის ასევე უჩვევმა ბრწყინვალებამ? ამ შემთხვევაში შეიძლება ნეტარებად დავსახოთ მისი ყოფა, პირველ შემთხვევაში კი მისდამი თანაგრძნობა გვმართებს. მაგრამ თუ ვინმე მაინც ვერ იკავებს სიცილს, ეს დაცინვა ნაკლებად ბრიყვული იქნება, თუკი მისი საგანია სული, რომელმაც სინათლის საუფლოდან სიბნელეში ამოყო თავი.

– მართალს ბრძანებ.

– თუ მართალია, – ვთქვი მე, – აი, რა დასკვნის გამოტანა გვმართებს: განათლება სულაც არ არის ის, რაც ზოგ-ზოგიერთს ჰგონია, ვისი მტკიცებითაც გაუნათლებელ სულს თითქოს ისე უნდა ჩავუნერგოთ განათლება, როგორც უსინათლო თვალს – ხედვის უნარი.

– დიახ, ასე ამტკიცებს ბევრი.

– ეს ჩვენი მსჯელობა კი მოწმობს, რომ ყველა სულსა აქვს ამის უნარი და სათანადო იარაღიც მოეძებნება. მაგრამ როგორც თვალი მხოლოდ მთელ სხეულთან ერთად თუ მიბრუნდება სიბნელიდან სინათლისაკენ, სულიც ასევე მთლიანად თუ განუდგება ყოველივე ქმნადს, იმ ზომამდე, რომ არა მარტო არსს, თვით იმასაც კი გაუსწოროს თვალი, რაც ყველაზე ნათელია არსში, ხოლო ეს, ჩვენი მტკიცებით, სიკეთეა, არა?

– დიახ.

– სწორედ აქ ვლინდება მოქცევის ხელოვნება, – ვუთხარი მე, – რა გზით შეიძლება უფრო ადვილად და ქმედითად მოვაქციოთ კაცი? მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხედვის უნარი ჩავუნერგოთ მას, ვისაც უკვე აქვს ეს უნარი. თუმცა ის არასწორადაა მიმართული და იქით როდი იყურება, საითაც ჯერ არს. სწორედ აქ გვმართებს ძალისხმევა, რომ მისი მზერა სწორად მივმართოთ.

– როგორც ჩანს.

– სულის ზოგიერთი უნარი ძალზე ახლოს დგას სხეულის ამა თუ იმ უნართან, რამდენადაც ადამიანს თავიდანვე შეიძლება არც ჰქონდეს როგორც ერთი, ისე მეორე, მაგრამ შემდეგ თვითწვრთნის წყალობით შეიძინოს. ხოლო რაც შეეხება ცოდნის უნარს, ეს, ეტყობა, რაღაც უფრო ღვთაებრივია, რაკიღა არასოდეს არ კარგავს თავის ძალას და იმის მიხედვით, თუ რისკენაა მიმართული, ხან სასარგებლოა და სასიკეთო, ხანაც უსარგებლო და უკეთური. ნუთუ არ შეგიმჩნევია, რა გამჭრიახია იმ ხალხის ბნელი სული, ვისაც არამზადებად, თუმცა ჭკვიანებად კი თვლიან, ან რატომ ვერაფერს გამოაპარებ მათ თვალს, რასაც თვითონვე მიელტვიან? ასე რომ, მათ მშვენიერი მხედველობა აქვთ, მაგრამ რაკი ის მათსავე ავკაცობას ემსახურება, ამიტომ რაც უფრო გამჭრიახია, მით უფრო მეტ ბოროტებას სჩადის.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ თუ ამნაირ ბუნებას ერთბაშად, ბავშვობაშივე მოვკვეთდით უკეთურ მიდრეკილებებს, ტყვიის საძირავივით რომ ეწევიან მას ღორმუცელობის, ღრეობისა თუ სხვა ხორციელი განცხრომისაკენ და ქვემოთ მიმართავენ მის მზერას, მაშინ ყოველივე ამისაგან თავდახსნილი სული ჭეშმარიტებას მიუბრუნდებოდა და იგივე ავკაცნი არანაკლებ თვალნათლივ გაარჩევდნენ ყოველივე ჭეშმარიტს, ვიდრე იმ საგნებს, რომლებისკენაც ამჟამად მიმართულია მათი მზერა.

– კი მაგრამ, განა ზემოთქმულიდან ბუნებრივად და გარდუვალად არ გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო მმართველობისთვის არც გაუნათლებელნი და ჭეშმარიტების არმცოდნენი გამოდგებიან და არც ისინი, ვინც მთელი თავისი დღე და მოსწრება ცოდნას და განათლებას იძენდა? პირველნი იმიტომ, რომ მტკიცედ დასახული მიზანი არ გააჩნიათ, რომლისკენ სწრაფვასაც შეალევდნენ მთელ თავიანთ პირადსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მეორენი კი იმიტომ, რომ არასდიდებით არ დათანხმდებოდნენ სახელმწიფოს მართვისათვის მიეყოთ ხელი, რადგანაც, მათი აზრით, სიცოცხლეშივე დაიმკვიდრეს ნეტართა კუნძულები.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, ჩვენი, როგორც სახელმწიფოს დამაარსებლების, ვალი ისაა, რომ ვაიძულოთ ყველაზე ღირსეულნი სწორედ იმის შესწავლას მიუბრუნდნენ, რაც უზენაესად დავსახეთ: მე ვგულისხმობ სიკეთის წვდომას და მისკენ სწრაფვას. მაგრამ როცა ამ სიმაღლეს მიაღწევენ და გულს იჯერებენ მისი ჭვრეტით, იმის ნებას კი აღარ მივცემთ, რაც დღეს ნებადართულია მათთვის.

– მაინც რის ნებას?

– ამ სიმაღლეზე დარჩენისას, თუკი აღარ ისურვებენ კვლავ დაუბრუნდნენ ჩვენს პატიმრებს, რათა, ავად თუ კარგად, მათი ჭირი და ლხინი გაიზიარონ.

– კი მაგრამ, მაშინ ხომ უსამართლონი ვიქნებით მათ მიმართ, რაკიღა ჩვენს გამო შავ დღეში უნდა ჩაცვივდნენ, თუმცა კი შეეძლოთ გაცილებით უკეთ ეცხოვრათ.

– შენ კვლავ გავიწყდება, ჩემო კეთილო, რომ კანონი მოსახლეობის ერთი რომელიმე ფენის კეთილდღეობას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მთელი საზოგადოებისას. შეგონებით თუ იძულებით, ის უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის ერთიანობას, რათა ისინი ერთმანეთისათვის სასარგებლონი იყვნენ იმდენად, რამდენადაც შეუძლიათ ამით არგონ მთელ სახელმწიფოს. მოქალაქეთა რიცხვშიაც იმიტომ როდი რთავს ღირსეულ ადამიანებს, რათა საშუალება მისცეს მათ, ვისაც რა მოეპრიანება, ის აკეთოს, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს განსამტკიცებლად გამოიყენოს ისინი.

– მართლაც დამავიწყდა.

– იმასაც დაუფიქრდი, გლავკონ, რომ ჩვენ უსამართლონი კი არ ვიქნებით ჩვენშივე აღზრდილ ფილოსოფოსთა მიმართ, არამედ სამართლიან მოთხოვნებს წავუყენებთ და ვაიძულებთ მათ, როგორც მცველებს, სხვებზე იზრუნონ. „ყველა სხვა სახელმწიფოში – ამ სიტყვებით მივმართავთ მათ, – ვინც ფილოსოფოსი ხდება, უფლება აქვს მონაწილეობა არ მიიღოს სახელმწიფოს მართვის საქმეში, რადგანაც ყველა, სახელმწიფო წყობილებისაგან დამოუკიდებლად, თვითონვე გახდა ფილოსოფოსი, ხოლო ის, რაც თავისით იზრდება, არავის არ უმადლის თავის საზრდოს და, ცხადია, არც იმის სურვილი აქვს, რომ ვინმეს აუნაზღაუროს მისი გულისთვის გაწეული ხარჯი. თქვენ კი ჩვენ აღგზარდეთ, როგორც თვით თქვენდა სასიკეთოდ, ისე სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, რათა იგივენი ყოფილიყავით, რანიც არიან მეფეები და ბელადები ფუტკრების სკაში. ჩვენი წყალობით შეიძინეთ საუცხოო და უცხოელ ფილოსოფოსებზე გაცილებით უფრო სრულყოფილი განათლება და ჩვენვე გიბოძეთ იმის უნარიც, რომ ერთმანეთისთვის შეგეთავსებინათ ფილოსოფია და პოლიტიკა. ამიტომ თვითეული თქვენგანი ერთიმეორის მიყოლებით უნდა დაეშვას დანარჩენ მოქალაქეთა საერთო საცხოვრისამდე; შეაჩვიეთ თვალი იქ გამეფებულ წყვდიადს, და როცა შეაჩვევთ, ათასჯერ უკეთ გაარჩევთ ყველაფერს, ვიდრე ბნელეთის მკვიდრნი, და უკეთვე გამოიცნობთ, რას წარმოადგენს თვითეული ლანდი ან რისი ხატია იგი, რადგანაც ადრევე გიხილავთ ყოველივე მშვენიერის, სამართლიანისა და კეთილის ჭეშმარიტი პირველნიმუშნი. მაშინ ჩვენი სახელმწიფო წყობილება ჩვენცა და თქვენც სიცხადეში წარმოგვიდგება და არა სიზმარში, როგორც სხვა დღევანდელი წყობილებანი, სადაც მიმდინარეობს ძმათამკვლელი ომები და ლანდების გააფთრებული ბრძოლები ძალაუფლებისათვის, თითქოს ეს იყოს ყველაზე დიდი სიკეთე. სიმართლე კი, თუ გნებავთ, ისაა, რომ სადაც ძალაუფლებას ყველაზე ნაკლებ მიელტვიან ისინი, ვინც უნდა მართავდეს ქვეყანას, სახელმწიფო სწორედ იქ იმართება ყველაზე უკეთ და შინააშლილობისთვისაც ყველაზე ნაკლები საბაბი რჩება; მაშინ

როდესაც სულ სხვაგვარადაა საქმე იმ სახელმწიფოებში, რომელთა მმართველნიც საპირისპიროდ არიან განწყობილნი“.

– რა თქმა უნდა.

– როგორ გგონია, ამას რომ მოისმენენ, ჩვენი აღზრდილები აღარ დაგვემორჩილებიან და არ ინებებენ ერთიმეორის მიყოლებით ითანამშრომლონ დანარჩენ მოქალაქეებთან? თუ ამჯობინებენ სამუდამოდ გვერდი-გვერდ დარჩნენ წმინდა სინათლის საუფლოში?

– შეუძლებელია, – თქვა მან, – რადგანაც სამართლიან ხალხს ვუყენებთ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს. თუმცა, ყველა დღევანდელი სახელმწიფოს მმართველთა საპირისპიროდ, თვითეული მათგანი მხოლოდ აუცილებლობის კარნახით თუ აიღებს ხელში მმართველობის სადავეს.

– დიახ, ასეა საქმე, ჩემო კეთილო. თუ იმათთვის, ვინც უნდა მართოს ქვეყანა, ცხოვრების უკეთეს წესს ჰპოვებ, ვიდრე მმართველობას, მაშინ იმასაც შესძლებ, რომ მშვენიერი სახელმწიფო წყობილება დაამყარო. რადგანაც მხოლოდ ამნაირი სახელმწიფოს მმართველნი თუ იქნებიან ჭეშმარიტად მდიდრები, მაგრამ ოქროთი კი არა, არამედ იმით, რითაც მდიდარია ბედნიერი კაცი: სიბრძნითა და სიქველით. ხოლო თუ გლახაკნი და უპოვარნი მიელტვიან ძალაუფლებას, რათა საქვეყნო სიკეთეს მსუყე ლუკმა ჩამოათალონ, სასიკეთოს ნურას მოელი: რადგანაც იწყება გაუთავებელი შუღლი, შფოთი, შეხლა-შემოხლა და ეს შინააშლილობა ბოლოს უღებს თვით მათაც და სახელმწიფოსაც.

– მართალს ბრძანებ.

– კი მაგრამ, თუ იცნობ ცხოვრების რომელიმე სხვა წესს, ისეთივე ზიზღს რომ აღუძრავდეს ადამიანს ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის მიმართ, როგორც ჭეშმარიტ ფილოსოფიასთან ზიარებულის ცხოვრებაა?

– არა, ვფიცავ ზევსს.

– ასე რომ, სახელმწიფო თანამდებობა ხელში არ უნდა ჩავუგდოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც სული ელევათ მასზე, თორემ მათი ჯიბრი და მეტოქეობა გადაგვიყოლებს.

– უცილობლად.

– მერედა, ვის განამწესებ იძულებით სახელმწიფოს მცველებად, თუ არა იმ ხალხს, ვინც ყველაზე უკეთ იცის, როგორ უნდა მართო ქვეყანა, მაგრამ, ამასთან, ბევრი სხვა ღირსებაც აქვს და გაცილებით უფრო ღირსეულადაც ცხოვრობს, ვიდრე სახელმწიფო მოღვაწენი?

– სხვას ვერავის.

[ფილოსოფოსის აღზრდა]

– ახლა, თუ გნებავს, ვნახოთ, რანაირად შეიძლება აღვზარდოთ ამნაირი ადამიანები და რა გზით წარვმართოთ ისინი მაღლა – სინათლისაკენ, როგორც, გადმოცემით, ზოგიერთი გმირი ამაღლებულა ჰადესიდან ღმერთებამდე.

– რა საკითხავია?

– ეს არც ისე ადვილია, როგორც თიხის ნატეხის გადაბრუნება; აქ თვით სული უნდა შევაბრუნოთ ბინდისფერი დღიდან ჭეშმარიტებით გაბრწყინვებული დღისაკენ. ხოლო ამნაირ აღმასვლას ჩვენ, ალბათ, სიბრძნისკენ სწრაფვას ვუწოდებთ.

– რა თქმა უნდა.

– იქნებ ისიც გვენახა, მაინც რისი ცოდნა გვაძლევს ამის საშუალებას?

– აუცილებლად უნდა ვნახოთ.

– კი მაგრამ, გლავკონ, რა უნდა იყოს ეს ცოდნა, ქმნადობიდან ჭეშმარიტი არსებობის მიმართ რომ მიაქცევს სულს? თუმცა ამას რომ ვამბობ, სულ სხვა რამეზე ვფიქრობ. აკი ვთქვით, რომ ჩვენი ფილოსოფოსები სიჭაბუკისას მხნე მეომრებიც უნდა იყვნენ?

– დიახ, უკვე ვთქვით.

– მაშასადამე, ცოდნას, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, გარდა აღნიშნულისა, სხვა უპირატესობაც უნდა ჰქონდეს.

– მაინც რა?

– რა და, სასარგებლო უნდა იყოს მეომრებისთვის.

– რა თქმა უნდა, თუკი ეს შესაძლებელია.

– კი მაგრამ, ისიც ხომ ითქვა, რომ მათ გიმნასტიკური და მუსიკური ხელოვნების მეშვეობით უნდა ვზრდიდეთ?

– დიახ, ესეც ითქვა.

– მერედა, გიმნასტიკა ხომ იმას ეხება, რაც იბადება და კვდება? რადგანაც მასზეა დამოკიდებული ძალის მატებაც და კლებაც.

– რა თქმა უნდა.

– მაშ, სწორედ ესაა, რასაც ვეძებთ?

– არა.

– ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი მუსიკური ხელოვნება ხომ არ არის?

– მაგრამ, თუ გახსოვს, – თქვა მან, – ჩვენი ადრინდელი მტკიცებით ის ერთგვარად უპირისპირდება გიმნასტიკას, რამდენადაც აყალიბებს მცველების ზნეს, ჰარმონიის მეშვეობით ჰარმონიულ წონასწორობას რომ ანიჭებს მათ, რიტმის მეშვეობით კი – ევრითმიას, მაგრამ არა ცოდნას. ასეთივეა მისი ზემოქმედება სიტყვიერების დარგშიაც, გინდ მითიურ თქმულებებს ეხებოდეს საქმე და გინდ ნამდვილ ამბებს; მაგრამ ის ცოდნა, სიკეთისაკენ რომ მიგვიძღვის, ცოდნა, რომელსაც ამჟამად ეძებ, უცხოა მუსიკური ხელოვნებისთვის.

– სწორედ რომ დროზე გამახსენე; მართლაცდა, ამგვარი ხომ არა გვითქვამს რა. მაგრამ, ჩემო დიდებულო გლავკონ, სად უნდა იყოს ეს ცოდნა, რაკიღა ყველა ხელოვნება მხოლოდ ტლანქი ხელობა გამოდგა?

– რა მოგახსენო? ანკი რა ცოდნაღა გვრჩება, თუ მუსიკასაც უკუვაგდებთ, გიმნასტიკასაც და სხვა ხელოვნებასაც.

– კეთილი, – ვთქვი მე, – თუკი მათ გარდა აღარაფერი გვაქვს, მაშინ ის მაინც ავიღოთ, რაც ყველაფერზე ვრცელდება.

– მაინც რა?

[ხუთი შესავალი მეცნიერება: 1. არითმეტიკა]

– თუნდაც ის, რასაც ყველა ხელოვნება იყენებს, ისევე, როგორც აზროვნება და მეცნიერება; ის, რასაც ყოველი ჩვენგანი ყველაზე ადრე უნდა სწავლობდეს.

– რას გულისხმობ?

– ისეთს არაფერს; მხოლოდ იმას, რისი მეშვეობითაც ერთმანეთისაგან ვასხვავებთ ერთს, ორსა თუ სამს; მოკლედ რომ ვთქვათ, თვლისა და ანგარიშის ხელოვნებას, რის გარეშეც ვერც ერთი ხელოვნება, ვერც ერთი მეცნიერება ვერ გავა ფონს; ასეა, არა?

– რა თქმა უნდა.

– ვერც საომარი ხელოვნება?

– ვერა.

– მართლაცდა, განა პალამედესი[4], გამოჩნდება თუ არა ტრაგედიებში, ნამდვილ პამპულად არ წარმოგვიჩენს მხედართმთავარ აგამემნონს?[5] ნუთუ არ დაჰკვირვებიხარ, რომ ანგარიშის ეს გამომგონებელი თვითონვე გვიცხადებს, როგორ დააწყო რაზმებად და ილიონის გალავანთან საიერიშოდ განალაგა ლაშქარი, როგორ დათვალა ხომალდები და სხვა დანარჩენი, თითქოს მანამდე არავის დაეთვალოს. აგამემნონმა კი, ეტყობა, ისიც არ იცოდა, თუ რამდენი ფეხი ჰქონდა, რაკიღა თვლა არ შეეძლო. ჰოდა, თავად განსაჯე, როგორი მხედართმთავარი უნდა ყოფილიყო.

– როგორი და, ბრიყვი, თუკი ეს მართალია.

– ვაღიარებთ თუ არა, რომ მხედართმთავარი აუცილებლად უნდა ფლობდეს თვლისა და ანგარიშის მეცნიერებას?

– აუცილებლად, თუკი სურს ცოტა რამ მაინც ესმოდეს საომარი ხელოვნებისა; მეტიც, საერთოდ, თუ სურს იყოს ადამიანი.

– მაგრამ თვითონაც თუ იზიარებ ჩემს აზრს ამ მეცნიერების შესახებ?

– კერძოდ?

– ვეცდები აგიხსნა, – ვუთხარი მე, – მაგრამ რაკი ჩემთვისვე ვცდილობ განვასხვავო ერთმანეთისგან, რას მივყავართ ამ მიზნისაკენ და რას არა, ჩემთან ერთად განიხილე ეს და პირდაპირ მითხარი, მეთანხმები თუ არა, რათა უფრო ნათელი გახდეს, რამდენად სწორია ჩემი ვარაუდი.

– მაშ, გზა მიჩვენე.

– გიჩვენებ, თუ გსურს ამ გზას მისდიო. ზოგი რამ ჩვენს შეგრძნებებში შემდგომი განხილვისათვის არ აღძრავს გონებას, რადგანაც საამისოდ საკუთრივ შეგრძნებაც კმარა, ზოგი კი გადაჭრით მოითხოვს განხილვას, რადგანაც შეგრძნება სანდოსა და საიმედოს არას გვთავაზობს.

– ცხადია, შენ გულისხმობ შორიდან დანახულ საგნებს და შუქ-ჩრდილის თამაშს.

– ვერც ისე კარგად მიმიხვდი.

– მაშ, რას გულისხმობ?

– გონებას განსახილველად არ აღძრავენ ის საგნები, რომლებიც ერთდროულად არ იწვევენ ორ ურთიერთსაპირისპირო შეგრძნებას, და, პირიქით, განხილვას მოითხოვენ საგნები, რომლებიც ამნაირ შეგრძნებებს იწვევენ, ვინაიდან, ახლოდან აღვიქვამთ მათ თუ შორიდან, შეგრძნება სულაც არ გვიჩვენებს, რომ საგანი ასეთი და ასეთი უფროა, ვიდრე ისეთი. თუმცა შენ უკეთ გამიგებ, თუ შემდეგი მაგალითით აგიხსნი ამას: ავიღოთ ეს სამი თითი – ნეკი, საჩვენებელი და შუა თითი.

– კეთილი, – თქვა მან.

– თვითეული მათგანი თითია და, ამ მხრივ, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, სულერთია, შუა ნაწილს უყურებ თუ კიდურას, თეთრია ის თუ შავი, წვრილი თუ მსხვილი და ასე შემდეგ. არც ერთ ამ შემთხვევაში ადამიანთა უმრავლესობის სული იძულებული არ არის აზროვნებას მიმართოს კითხვით – მაინც რა არის თითი? ვინაიდან მზერას არასოდეს უჩვენებია მისთვის, რომ თითი შეიძლება სხვა რამეც იყოს, გარდა თითისა.

– რა თქმა უნდა, არა.

– მაშასადამე, სავსებით ბუნებრივია, რომ აქ შეგრძნება აზროვნებას არ მიმართავს და არც აღვიძებს მას.

– დიახ, სავსებით ბუნებრივია.

– კი მაგრამ, თვალი ასევე კარგად არჩევს, დიდია თითი თუ პატარა, ხოლო მზერისთვის სულერთია შუა თითი და კიდურა? ან შეხებით თუ შეიძლება ზუსტად განვსაზღვროთ, წვრილია თითი თუ მსხვილი, რბილი თუ მკვრივი? და განა იგივე არ ითქმის დანარჩენ შეგრძნებათა მიმართაც? გრძნობა, რომლის დანიშნულებაც სიმკვრივის შეგრძნებაა, იმავდროულად უნდა აღიქვამდეს სირბილესაც, და ამიტომაც აუწყებს სულს, რომ ერთსა და იმავე საგანს ის აღიქვამს როგორც მკვრივს და როგორც რბილსაც.

– ასეა, – თქვა მან.

– მაგრამ ამ შემთხვევაში სული თავის მხრივ, იბნევა და აღარ იცის, რას ნიშნავს სიმკვრივის ეს შეგრძნება, რომელიც ერთსა და იმავე საგანს მკვრივადაც აღიქვამს და რბილადაც. და განა იგივე არ ითქმის სიმძიმისა და სიმსუბუქის შეგრძნებაზედაც, რომელიც იუწყება, რომ მძიმე მსუბუქია, მსუბუქი კი – მძიმე?

– ყველა ამნაირი უწყება უცნაურია სულისთვის და, რა თქმა უნდა, განხილვას მოითხოვს.

– ისიც სავსებით ბუნებრივია, რომ საგონებელში ჩავარდნილი სული განსჯასა და აზროვნებას მოუხმობს მწედ, რათა, უწინარეს ყოვლისა, გაარკვიოს, ყოველი ასეთი უწყება ერთ საგანს ეხება თუ ორს.

– რა თქმა უნდა.

– და თუ გაირკვა, რომ ეს ორი საგანია, თვითეული მათგანი ერთადაც ეჩვენება და მეორისგან განსხვავებულადაც?

– დიახ.

– ხოლო თუ თვითეული მათგანი ერთად ეჩვენება, ორივე კი — ორად, ის მათ ერთმანეთისაგან განცალკევებით აღიქვამს, რადგანაც განცალკევებულნი რომ არ იყვნენ, ორად კი არ აღიქვამდა მათ, არამედ – ერთად.

– მართლაც.

– მაგრამ მზერა, ჩვენი მტკიცებით, ცალ-ცალკე კი არ აღიქვამს დიდს და პატარას, არამედ – ერთად შერწყმულთ; ასეა, არა?

– დიახ.

– და ნათელი რომ მოჰფინოს ამას, აზროვნება იძულებულია ერთად შერწყმული სახით კი არ განიხილოს დიდი და პატარა, არამედ ერთიმეორისგან განცალკევებით, ესე იგი, მზერის საპირისპიროდ იქცევა.

– ჭეშმარიტად.

– მერედა, განა სწორედ ამის გამო არ გვებადება კითხვა: მაინც რა არის ეს დიდი და პატარა?

– სწორედ ამის გამო.

– ასე რომ, ერთს გონით საწვდომს ვუწოდებთ, მეორეს კი – გრძნობით აღქმადს.

– მართალს ბრძანებ.

– სწორედ ამას ვგულისხმობდი წეღან, როცა ვამბობდი: ზოგი რამ გონების ქმედითობას იწვევს, ზოგი კი – არა-მეთქი. ის, რაც ჩვენს გრძნობებზე ზემოქმედებისას თავის საპირისპიროსთან ერთად მოქმედებს, აზრის გამომწვევად დავსახე, ხოლო რაც ამნაირად არ მოქმედებს, არც აღვიძებს აზრს.

– ახლა კი მესმის და მართებულად მიმაჩნია შენი ნათქვამი.

– კი მაგრამ, ამ ორთაგან რომელს მიაკუთვნებენ რიცხვსა და ერთს?

– ვერ გეტყვი.

– მაშინ ზემოთქმულიდან გამოიტანე დასკვნა. თუ თავისთავადი ერთი საკმაოდ ცხადად აღიქმება მზერით ან რომელიმე სხვა გრძნობით, მაშინ სულში არ აღიძვრის იმისკენ სწრაფვა, რომ ახსნას მისი არსი, როგორც თითის მაგალითზე გიჩვენე ზემოთ. მაგრამ თუ ერთის აღქმა ყოველთვის გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს, ისე, რომ ერთი მარტოოდენ ერთად კი არა, თავის საპირისპიროდაც წარმოგვიჩნდება, აქ უკვე საჭირო ხდება განსჯა: საგონებელში ჩავარდნილი სული იძულებულია ეძებოს, თვითონვე აღძრას აზრი და თავის თავს ჰკითხოს – რა შეიძლება იყოს ერთი თავისთავად? ამრიგად, ერთის წვდომა არსის ჭვრეტად მიაქცევს სულს.

– ერთის აღქმა ჩვენში მართლაც ამ განცდებს იწვევს, რადგანაც ერთსა და იმავე საგანს ერთადაც აღვიქვამთ და უსასრულოდ მრავლადაც.

– მერედა, რაც ითქვა ერთზე, განა იგივე არ ითქმის ყველა სხვა რიცხვზედაც?

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ არითმეტიკა და ანგარიში ხომ მთლიანად რიცხვებს ეხება?

– დიახ.

– მაშასადამე, სწორედ მათ მივყავართ ჭეშმარიტებისაკენ.

– ასეა, – თქვა მან.

– მაგრამ ჩვენი მცველი ხომ ერთდროულად მეომარიცაა და ფილოსოფოსიც?

– დიახ.

– ამიტომ ეს ცოდნა სავალდებულო უნდა გავხადოთ, გლავკონ, და დავარწმუნოთ ყველა, ვისაც სურს უმაღლესი თანამდებობები დაიკავოს სახელმწიფოში, ანგარიშის ხელოვნებას დაეუფლონ, მაგრამ ზერელედ კი არა, არამედ მანამდე განაგრძონ სწავლა, ვიდრე წმინდა აზროვნებით არ შეიცნობენ რიცხვის ბუნებას, ოღონდ აღებ-მიცემობის გულისთვის კი არა, როგორც იქცევიან ვაჭრები და სოვდაგრები, არამედ საომარი მიზნებისა და იმის გულისთვის, რომ სულს ქმნადობის სამყაროდან ჭეშმარიტებისა და არსის მიმართ მიქცევა გაუადვილონ.

– დიდებულად მსჯელობ.

– და მართლაც, ახლა, ანგარიშის ხელოვნების განხილვის შემდეგ, თვალნათლივ ვხედავ, რა დახვეწილი და მრავალმხრივ სასარგებლოა ჩვენი განზრახვისათვის, თუკი მას შემეცნების მიზნით ეუფლებიან და არა ვაჭრებივით.

– მაინც რითია სასარგებლო?

– იმით, რაზედაც ახლახანს ვლაპარაკობდით: გავიხსენოთ, რა ძალით მიაქცევს სულს უზენაესი სამყაროს მიმართ და აიძულებს თავისთავად რიცხვებზე იმსჯელოს, ისე, რომ ამ მსჯელობაში არამც და არამც არ ჩართოს ხილულ და ხელშესახებ საგანთა შესაბამისი რიცხვები. ხომ მოგეხსენება, როგორ დასცინიან ამ მეცნიერებაში გაწაფულნი და ზიზღით უარყოფენ ყოველგვარ მცდელობას, რომელიც მიზნად ისახავს ნაწილებად დაყონ ერთი თავისთავად, მაგრამ თუ მაინც დაყოფ, ისინი კვლავ გააერთიანებენ მათ, რათა ერთი კვლავ ერთად ჩანდეს და არა ნაწილთა სიმრავლედ.

– მართალს ბრძანებ.

– როგორ გგონია, გლავკონ, მათთვის რომ გვეკითხა: ო, საოცარნო, რომელ რიცხვებზე ლაპარაკობთ, იმათზე ხომ არა, რომლებშიაც ერთი მართლაც ისეთია, როგორც თქვენ ფიქრობთ, ესე იგი, ყოველი ერთი ყველა სხვა ერთის ტოლია, არაფრით არ განსხვავდება მისგან და არავითარი ნაწილები არ გააჩნია?

– დიახ, როგორ გგონია, რას გვეტყოდნენ პასუხად?

– მე თუ მკითხავ, ისინი იმნაირ რიცხვებზე ლაპარაკობენ, რომელთა წვდომაც მხოლოდ აზრით თუ შეიძლება და სხვა გზით ვერანაირად ვერ მიუდგები.

– ხომ ხედავ, ჩემო კეთილო, ეს მეცნიერება შეიძლება მართლაც აუცილებელი აღმოჩნდეს ჩვენთვის, რამდენადაც აიძულებს სულს წმინდა აზროვნებას მიმართოს თავისთავადი ჭეშმარიტების გულისთვის.

– თანაც რა კარგად ახერხებს ამას.

– მაგრამ თუ შეგიმჩნევია, რა ადვილად ითვისებენ ყველა სხვა მეცნიერებას გამოთვლის ნიჭით დაჯილდოებულნი? თვით ისინიც კი, ძალიან მძიმედ რომ აზროვნებენ, გამოთვლის ხელოვნებაში სათანადო წვრთნისა და გაწაფვის შემდეგ,

სხვას თუ არაფერს, იმის უნარს მაინც იძენენ, რომ სხვებზე გაცილებით უფრო ადვილად ეუფლებოდნენ ცოდნას.

– ასეა, – თქვა მან.

– თანაც, ჩემი აზრით, ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე სხვა საგანი, რომლის დაუფლებაც უფრო მეტ შრომას მოითხოვდეს ჩვენგან.

– რა თქმა უნდა.

– ყოველივე ამის გამო ვერასდიდებით ვერ უგულებელვყოფთ ამ მეცნიერებას; პირიქით, მისი მეშვეობით უნდა აღვზარდოთ საუცხოო ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებულნი.

– გეთანხმები.

[2-3. გეომეტრია და სტერეომეტრია]

– მაშასადამე, ესაა ჩვენს მიერ აღიარებული პირველი მეცნიერება; ახლა კი მეორეც განვიხილოთ, რომელიც პირველს უკავშირდება და ვნახოთ, საჭიროა თუ არა ჩვენთვის.

– გეომეტრიას ხომ არ გულისხმობ?

– დიახ, სწორედ გეომეტრიას.

– რამდენადაც ის გამოიყენება სამხედრო საქმეში, – თქვა მან, – რა თქმა უნდა, გვჭირდება. ბანაკის გაშლა იქნება, ხელსაყრელი ადგილის დაკავება, ლაშქრის დარაზმვა თუ გაშლა, ან სხვა საომარი მოქმედებები როგორც ბრძოლის ველზე, ისე ჯარის გადაადგილებისას, – ყოველივე ამას გეომეტრიის მცოდნე მხედართმთავარი გაცილებით უკეთ გაართმევს თავს, ვიდრე არმცოდნე.

– მაგრამ ამისთვის საკმარისი იქნებოდა გეომეტრიის სულ უმნიშვნელო ნაწილისა და ანგარიშის ცოდნაც. ჩვენ კი გვმართებს განვიხილოთ მისი უმთავრესი ნაწილი, გაცილებით უფრო ფართოდ რომ გამოიყენება, რათა დავრწმუნდეთ, შეესაბამება თუ არა ის ჩვენს მიერ დასახულ მიზანს, ან რამდენად გვიწყობს ხელს იმაში, რომ უფრო ადვილად ვჭვრეტდეთ სიკეთის იდეას. რა თქმა უნდა, ხელს გვიწყობს, ვამტკიცებთ ჩვენ, რამდენადაც აიძულებს სულს მიიქცეს იმ სამყაროს მიმართ, რომელიც არის სავანე არსთა შორის უნეტარესი არსისა, ვის ხილვასაც დაუოკებლად უნდა მიელტვოდეს ყველა ჩვენგანი.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, თუ გეომეტრია ჭეშმარიტი არსის ჭვრეტად მიგვაქცევს, ის საჭიროა ჩვენთვის, ხოლო თუ ქმნადობის ჭვრეტად – არა.

– ცხადია.

– მაგრამ ვისაც ცოტა რამ მაინც გაეგება გეომეტრიისა, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ეს მეცნიერება აშკარად უპირისპირდება იმ ენას, რომელსაც იყენებენ მისი მიმდევრები.

– როგორ?

– ეს ენა ძალზე სასაცილოა და უცნაური; რადგანაც ისინი პრაქტიკოსებივით ლაპარაკობენ და მხოლოდ პრაქტიკულ მიზნებს ისახავენ. ამიტომაც ერთავად ეს

აკერიათ პირზე – „ავაგოთ ოთხკუთხედი“, „დავუშვათ მოცემულ ხაზზე“, „მივუმატოთ“ და ასე შემდეგ. არადა, ამ მეცნიერების მიზანი შემეცნებაა.

– რა თქმა უნდა.

– ერთშიაც ხომ არ შევთანხმდეთ?

– რაში?

– მისი მიზანი მარადიული არსებობის შემეცნებაა და არა იმისა, რაც იბადება და კვდება.

– გეთანხმები; გეომეტრია მართლაც მარადიული არსებობის შემეცნებაა.

– მაშასადამე, ის, ჩემო კეთილშობილო, ჭეშმარიტებისაკენ მიაქცევს სულს და ფილოსოფიურ აზრს აღვიძებს მასში, რის შედეგადაც ზეგრძნობადი სამყაროს საგნებისკენ მიმართავს ჩვენს მზერას, რომელიც ახლა, შეცდომით, გრძნობადი საგნებისკენ გვაქვს მიმართული.

– გეომეტრია ამ მხრივ მართლაც რომ დიდ ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე.

– ამიტომაც უნდა დავავალდებულოთ კალლიპოლისის მკვიდრნი, არამც და არამც არ უგულებელყონ ფილოსოფია, რომლის თვით გამოყენებით ნაწილსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

– კერძოდ?

– კერძოდ, იმას, რაზედაც შენ ლაპარაკობდი: მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია სამხედრო საქმეში და ბევრ სხვა დარგშიაც, ვისაც სურს საფუძვლიანად დაეუფლოს მათ. ჩვენ ხომ ვიცით, რა უზარმაზარი განსხვავებაა გეომეტრიის მცოდნეთა და არმცოდნეთა შორის.

– უზარმაზარი, ვფიცავ ზევსს.

– მაშასადამე, ესაა მეორე მეცნიერება, რომლის შესწავლასაც დავავალებთ ჩვენს ჭაბუკებს?

– დიახ.

[4. ასტრონომია]

– კეთილი; მაშინ მესამე ადგილს მივუჩენთ ასტრონომიას; რას იტყვი?

– გეთანხმები, რადგანაც წელიწადის დროების, თვეებისა თუ წლების მონაცვლეობაზე დაკვირვება სასარგებლოა არა მარტო მიწათმოქმედისა თუ ზღვაოსნის, არამედ მხედართმთავრისთვისაც.

– რა კარგი ვინმე ხარ, – ვუთხარი მე, – კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ გეშინია, ვაითუ ვინმემ დამწამოს, ფუჭი მეცნიერებების შესწავლას ავალებ ხალხსო. არადა, თუმცა ძნელი კია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ირწმუნო, რომ ის მეცნიერებები, რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, თითქოს წმენდენ და სიცინცხლეს უბრუნებენ ადამიანის სულის გარკვეულ უნარს, რომელსაც ბევრი სხვა საქმიანობა აბლაგვებს და აჩლუნგებს, თუმცა მისი სისაღის შენარჩუნება გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე ათასი თვალის ქონა, რადგანაც მხოლოდ მისი მეშვეობით თუ იხილავ ჭეშმარიტებას. ვინც ამ აზრს იზიარებს, ალბათ, იტყვის, რომ მშვენივრად მსჯელობ, ხოლო ვისაც ამის წარმოდგენაც არ შეუძლია, ის, რა

თქმა უნდა, იფიქრებს, რომ სისულელეს როშავ, რადგანაც დარწმუნებულია, რომ თუ მეცნიერება პრაქტიკულად უსარგებლოა, მასზე ლაპარაკიც არ ღირს. მაშ, ამთავითვე გადაწყვიტე, ამ ორი სხვადასხვა შეხედულების მქონე მსმენელიდან მაინც რომელს მიმართავ? თუ არც ერთის აზრს უწევ ანგარიშს და არც მეორისას და მხოლოდ შენთვის მსჯელობ? მაგრამ მაშინ იმის საწინააღმდეგო რა უნდა გქონდეს, რომ ვინმემ ამ შენი მსჯელობიდან თავისთვის სასარგებლო დასკვნა გამოიტანოს?

– მე მირჩევნია, აი, ასე, კითხვა-პასუხის საშუალებით ვმსჯელობდე, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის.

– მაშინ უკან დაიხიე, – ვუთხარი მე, – რადგანაც წეღან არასწორად ავირჩიეთ გეომეტრიის მომდევნო საგანი.

– როგორ? – იკითხა მან.

– სიბრტყეების შემდეგ ჩვენ ავიღეთ წრიულად მბრუნავი მყარი სხეულები, თუმცა ჯერ თავისთავად უნდა განგვეხილა ისინი, რადგანაც უფრო სწორი იქნებოდა ორი განზომილების შემდეგ მესამეს მივდგომოდით: მე ვგულისხმობ კუბებისა და სიღრმის მქონე ყველა სხვა სხეულის განზომილებას.

– სწორია, სოკრატე, – თქვა მან, – მაგრამ მე მგონია აქ ჯერ კიდევ არაფერი აღმოუჩენიათ.

– ორი სხვადასხვა მიზეზის გამო: ჯერ ერთი არც ერთ სახელმწიფოში ამ მეცნიერებას სათანადოდ არ აფასებენ, და რაკი ძალიან ძნელია, ამიტომ სუსტადაა განვითარებული. ეგეც არ იყოს, მკვლევართათვის აუცილებელია ხელმძღვანელი, ვის გარეშეც მათი შრომა წყალში იყრება. მაგრამ ხელმძღვანელის პოვნა ადვილი საქმე როდია, თუმცა კიდევაც რომ იპოვნონ, თვით სწავლულები დღევანდელ ვითარებაში ისე არიან გაზულუქებულნი, რომ მაინც არ დაემორჩილებიან, მაგრამ მთელი სახელმწიფო ზრუნვას რომ არ აკლებდეს ამ მეცნიერებას და მხარს უჭერდეს ხელმძღვანელობას, მაშინ არა მარტო დაემორჩილებოდნენ, არამედ გამუდმებული და მკაცრი სიზუსტით წარმართული კვლევა-ძიების წყალობით ნათელსაც მოჰფენდნენ ბევრ საკითხს, ვინაიდან თვით დღესაც კი, როცა მას ზიზღით უყურებს ბრბო და გასაქანს არ აძლევს იმ მკვლევართა უმრავლესობა, რომელთაც თვითონ არ ესმით მისი მნიშვნელობა, ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ვითარდება, იმდენად მომნუსხველია მისი ხიბლი. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ჯერჯერობით ამ დღეში ვხედავთ.

– მართლაცდა, მასში ბევრი რამაა მომნუსხველი. მაგრამ უფრო ნათლად ამიხსენი, რასაც ახლახანს მეუბნებოდი. შენ ჯერ დაასახელე გეომეტრია, ანუ სიბრტყეთა შემსწავლელი მეცნიერება, არა?

– დიახ.

– მერე კი – ასტრონომია, მაგრამ შემდეგ უკან დაიხიე.

– მე მინდოდა სასწრაფოდ განმეხილა ყველაფერი, მაგრამ რომ იტყვიან, მოჩქარეს მოუგვიანდესო, სწორედ ისე გამომივიდა. ეგეც არ იყოს, გეომეტრიას უშუალოდ ის მეცნიერება მოსდევს, სამგანზომილებიან სხეულებს რომ შეისწავლის,

მაგრამ რაკი მისი დღევანდელი მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოა, ამიტომაც გვერდი ავუარე და პირდაპირ ასტრონომიაზე, ანუ მყარ სხეულთა მოძრაობის შემსწავლელ მეცნიერებაზე გადავედი.

– მართალს ბრძანებ.

– ასე რომ, მეოთხე ადგილას ჩვენ დავაყენებთ ასტრონომიას; დღესდღეობით ის, ცოტა არ იყოს, მივიწყებულია, მაგრამ კვლავ აღორძინდება, თუკი სახელმწიფო მიაქცევს ყურადღებას.

– რა თქმა უნდა; მაგრამ რაკი წელან მისაყვედურე, სოკრატე, რომ მე უგერგილოდ განვადიდე ასტრონომია, ამიტომ ახლა ვეცდები, შენ რომ მოგეწონება, ისე შევაქო. მე მგონია, ყველასთვის აშკარაა, რომ ის აიძულებს სულს მაღლა მიმართოს მზერა და მიწიდან ზეცისკენ მიუძღვის მას.

– იქნებ ყველასთვის აშკარაა, მაგრამ ჩემთვის კი არა.

– როგორ?

– თუ ასტრონომიას იმათი თვალსაზრისით შევხედავთ, ფილოსოფიურ მნიშვნელობას რომ ანიჭებენ მას, მაშინ ის მაღლა კი არა, პირიქით, დაბლა მიმართავს მზერას.

– რას გულისხმობ? – იკითხა მან.

– მე თუ მკითხავ, მშვენივრად ჩამოაყალიბე შენი წარმოდგენა უზენაესი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერების შესახებ. ალბათ, იმასაც ფიქრობ, რომ თუ კაცი თავს უკან გადაიგდებს, მოხატულ ჭერს მიაშტერდება და მისი შემყურე რაღაცას მაინც ამოიცნობს, ამას გონებით ახერხებს და არა მზერით. ჩემნაირ გულუბრყვილოს კი ვერასდიდებით ვერ დააჯერებ, თითქოს სულს სხვა რამე მიაქცევს უზენაესი სამყაროს მიმართ, გარდა იმ მეცნიერებისა, რომლის საგანიც არსი და უხილავი სინამდვილეა. მაგრამ თუ რაიმე გრძნობადის შესაცნობად პირდაღებულნი შესციცინებენ ცას, ან თვალმოჭუტულნი აშტერდებიან მიწას, ვერაფერსაც ვერ შეიცნობენ, რადგანაც არავითარი გრძნობადი შემეცნების საგნად არ გვევლინება, და სული, ამ შემთხვევაში, მაღლა კი არ იყურება, არამედ – დაბლა, თუნდაც გულაღმა იწვე მიწაზე, ან ზურგულით მიაპობდე ზღვას.

– მაგრად კი მომდექი, თუმცა ახია ჩემზე. მაგრამ შენი აზრით, დღევანდელობისაგან განსხვავებით, როგორ უნდა სწავლობდნენ ასტრონომიას, რათა მისი შესწავლა სასარგებლო იყოს ჩვენი მიზნისთვის?

– აი, როგორ: ცის თაღის მომხიბლავ სამკაულებს ჩვენ უნდა აღვიქვამდეთ ყველაზე ნატიფ და თვალწარმტაც სამშვენისებად ამნაირ საგანთა შორის; მაგრამ ისინი ახლოსაც ვერ მივლენ იმ უხილავ სამკაულთა სრულქმნილებასთან, თავიანთი მოძრაობითა და ამ მოძრაობის ჭეშმარიტი სისწრაფით თუ სიზანტით, თავიანთი ჭეშმარიტი ფორმითა თუ თანაფარდობით რომ ამოძრავებენ ყველაფერს, რასაც ცის თაღი მოიცავს. ყოველივე ეს მზერით კი არა, მხოლოდ გონებით და წმინდა აზრით მიიწვდომება; თუმცა იქნებ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– არამც და არამც.

– მაშასადამე, ციურ სამკაულებს ისე უნდა ვიყენებდეთ უზენაესი სამყაროს შესაცნობად, როგორც გამოიყენებდა კაცი დედალოსისა[6] თუ სხვა რომელიმე დიდოსტატის უებრო ხელოვნებით შექმნილ ნახაზებს, შემთხვევით რომ ჩავარდნოდა ხელში: გეომეტრიის მცოდნე ერთი შეხედვითაც აღიქვამდა მათ განსაცვიფრებელ სინატიფეს და სრულყოფილებას, მაგრამ სასაცილოდაც არ ეყოფოდა, თუ ვინმე დააპირებდა მათი მიხედვით შეეცნო ტოლობის, გაორმაგების თუ სხვაგვარ თანაფარდობათა ჭეშმარიტი ბუნება.

– მართლაც რომ სასაცილო იქნებოდა.

– მერედა, შენი აზრით, განა ჭეშმარიტი ასტრონომიც ამასვე არ განიცდიდა ვარსკვლავთა მოძრაობაზე დაკვირვებისას? მისთვისაც ცხადი იქნებოდა, რომ ცაც და ყოველივე ციურიც დემიურგოსმა უსრულყოფილესად მოაწესრიგა, მაგრამ რაც შეეხება დღის მიმართებას ღამისადმი, დღე-ღამისას – თვისადმი, თვისას – წლისადმი, ხოლო ვარსკვლავებისას – ყოველივე ამისა და ერთმანეთისადმი, როგორ გგონია, განა ის უაზრობად არ მიიჩნევდა არა მარტო იმის მტკიცებას, რომ ყველა ეს მიმართება მუდამ ერთი და იგივეა და არასოდეს არ იცვლება, არამედ იმის თავგამოდებულ მცდელობასაც, რომ აქ ჭეშმარიტებისათვის მიეღწიათ, მაშინ როდესაც ზემოხსენებული მიმართებები ხილულ და სხეულებრივ საგანთა მიმართებებია?

– ყველაფერს ვეთანხმები, რაც ახლა მოვისმინე.

– ასე რომ, ასტრონომიასაც ისევე შევისწავლით, როგორც გეომეტრიას, ზოგად პრობლემათა მოშველიებით, და არც კი შევეხებით ციურ მოვლენებს, თუკი გვსურს სათანადოდ დავეუფლოთ ასტრონომიას და, ამრიგად, გამოვიყენოთ თავისი ბუნებით გონივრული და ჯერ კიდევ გამოუყენებელი ნაწილი ჩვენი სულისა.

– გვარიანად კი ართულებ ასტრონომების ამოცანას იმასთან შედარებით, რასაც ისინი დღეს აკეთებენ.

[5. ჰარმონია]

– მე მგონია, ამასვე დავუწესებთ სხვა მეცნიერებებსაც, თუკი გვსურს ნამდვილი კანონმდებლები გვერქვას; მაგრამ თუ შეგიძლია ჩვენთვის საჭირო კიდევ ერთი მეცნიერებაც გამახსენო?

– ასე სახელდახელოდ არ შემიძლია.

– მოძრაობა, ჩემი აზრით, ერთი კი არა, ბევრი სხვადასხვა სახისაა; მცოდნემ შეიძლება ყველაფერი ჩამოთვალოს, ჩვენ კი მხოლოდ ორი გვახსენდება.

– მაინც?

– გარდა ზემოხსენებულისა, არის კიდევ ერთი, მისი შესაბამისი.

– რომელს გულისხმობ?

– როგორც ჩვენი თვალი ასტრონომიისკენაა მიქცეული, ისე ყური – ჰარმონიულ თანახმიერებათა მოძრაობისკენ. ეს ორი მეცნიერება დები არიან, როგორც ამტკიცებენ პითაგორელები, და ჩვენც, გლავკონ, ალბათ, კვერს დავუკრავთ, არა?

– რა თქმა უნდა.

– რაკი ეს საკითხი არსებითია, ვეცდებით აქაც გავიზიაროთ მათი აზრი და სხვა მხრივაც, თუკი რაიმეს დასძენენ; მაგრამ, ასეა თუ ისე, მაინც ჩვენს აზრზე დავრჩებით.

– კერძოდ?

– ჩვენს აღსაზრდელებს არამც და არამც არ უნდა დავრთოთ რაიმე არასრულყოფილის ან იმის შესწავლის ნება, რასაც ჩვენს მიერ დასახული მიზნისაკენ არ მივყავართ, რომელსაც უნდა მიელტვოდეს ყველა; ამასვე ვამტკიცებდით წეღან ასტრონომიასთან დაკავშირებით. ნუთუ არ იცი, რომ ჰარმონიის მიმართაც იგივე შეცდომა მეორდება? აქაც, ვინ იცის, რამდენი შრომა იყრება წყალში, მხოლოდ იმიტომ, რომ მუსიკოსები მარტოოდენ სმენით აღქმული ბგერების გაზომვითა და მათი ურთიერთშედარებით იფარგლებიან.

– სასაცილოა, ღმერთმანი! ისე ყურდაცქვეტილნი ლაპარაკობენ „სიხშირეებზე“, გეგონებათ მეზობლების საუბარს აყურადებენო. ზოგი ამტკიცებს, ორ ბგერას შორის შუათანასაც აღვიქვამთო; მათი აზრით, ესაა უმცირესი შუალედი, რომელსაც საზომად უნდა იყენებდნენ. ზოგს კი, პირიქით, ის წინა ბგერების მსგავსი ჰგონია; თუმცა ერთნიც და მეორენიც სმენას გონებაზე მაღლა აყენებენ.

– ეტყობა, იმ ყოჩაღ მუსიკოსებს გულისხმობ, მოსვენებას რომ არ აძლევენ სიმებს და თითქოს საწამებლად ახვევენ კოჭზე. შემეძლო გამეგრძელებინა სიტყვა და იმაზეც მელაპარაკა, როგორ ადანაშაულებენ სიმებს, რანაირად უხათქუნებენ ხემს, ხან გმობენ, ხან კი მათი ჟღერით თავს იწონებენ, მაგრამ აღარ გავაჭიანურებ და ერთს დავსძენ მხოლოდ: აქ მათზე კი არ ვლაპარაკობ, არამედ იმ ხალხს ვგულისხმობ, რომლებსაც წეღან შევთავაზეთ ჰარმონიაზე ემსჯელათ. რადგან ისინი ზუსტად ისევე იქცევიან, როგორც ასტრონომები, რაკიღა რიცხვებს ეძებენ სმენით აღქმულ თანახმიერებებში, მაგრამ ზოგადი პრობლემის განხილვამდე კი ვერ მაღლდებიან და არც იმის გარკვევას ცდილობენ, თუ რომელი რიცხვები არიან ჰარმონიული და რომელი არა, ან რა იწვევს მათ შორის ამ განსხვავებას.

– განსაცვიფრებელ საქმეზე მსჯელობ.

– მართლაც რომ სასარგებლოა სიკეთისა და მშვენიერების საკვლევად, მაგრამ სრულიად უსარგებლოა, თუკი სხვა რამეს ვისახავთ მიზნად.

– რა თქმა უნდა.

[დიალექტიკა]

– მე მგონია, თუ ჩვენს მიერ განხილული ყველა მეცნიერების შესწავლა მათ კავშირსა თუ ნათესაობას ცხადყოფს და იმასაც გვიმჟღავნებს, მაინც რა მხრივ უკავშირდებიან ერთმანეთს, – ისინი ხელს შეგვიწყობენ ჩვენს მიერ დასახული მიზნის მიღწევაში, თუ არა და, ტყუილად გავრჯილვართ.

– მეც ასე ვფიქრობ: მაგრამ ძალიან რთულ საკითხზე მსჯელობ, სოკრატე.

– საწყის ნაწილს გულისხმობ თუ სხვა რამესაც? ნუთუ არ იცი, რომ ყოველივე ეს მხოლოდ შესავალია იმ მელოდიისა, რომელიც ჩვენ უნდა ვისწავლოთ?

თუ, შენი აზრით, ვინც ყველა ამ მეცნიერებაში გაწაფულია, ის არის დახვეწილი დიალექტიკოსიც?

– რა თქმა უნდა, არა, ვფიცავ ზევსს, ჩემს ნაცნობთა შორის იშვიათ გამონაკლისთა გარდა.

– კი მაგრამ, ვისაც არც ბჭობის თავი აქვს და არც მოსმენისა, განა ოდესმე შეიცნობს იმას, რისი ცოდნაც, ჩვენი აზრით, საჭიროა?

– ვერა, – თქვა მან.

– სწორედ ეს არის, გლავკონ, ის მელოდია, რომელიც გამოჰყავს დიალექტიკას. და თუმცა ის გონით საწვდომია, ხედვის უნარი ცდილობს მის მიბაძვას, მაგრამ ხედვა, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, თავდაპირველად მიელტვის ცოცხალ არსებათა, შემდეგ – ვარსკვლავების და ბოლოს – თვით მზის აღქმას. ხოლო როდესაც ვინმე ცდილობს დიალექტის გზით, გრძნობათა შემწეობის გარეშე, მარტოოდენ გონების მეოხებით ჩასწვდეს ყოველი საგნის არსს და ვერაფერი შეაჩერებს, ვიდრე აზრით არ ამაღლდება სიკეთის არსის წვდომამდე, მაშინ ის აღწევს გონით საწვდომი სამყაროს მწვერვალს, ისევე, როგორც ხედვის უნარი – ხილული სამყაროისას.

– მართალს ბრძანებ.

– მერედა, განა დიალექტიკურს არ უწოდებენ ამ გზას?

– რა თქმა უნდა.

– სწორედ ესაა ბორკილებისაგან თავდახსნა, ლანდებიდან – ხატებათა და სინათლის მიმართ მიქცევა, მიწისქვეშეთიდან – მზისკენ აღმასვლა, ხოლო თუ ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ცოცხალ არსებათა, მცენარეთა და მზის შუქის ჭვრეტა, უმჯობესია ღვთაებრივ ანარეკლთა თუ ნამდვილ საგანთა ლანდების ციმციმს უმზერდე წყალში, ვიდრე ჩახჩახა მზის ხატის – ცეცხლის შუქით მღვიმის კედელზე მიფენილი ნამდვილი საგნების ხატებათა ლანდების ცეკვას. ამის უნარს კი გვანიჭებს ზემოხსენებულ მეცნიერებებში თავის გაწაფვა, ზეციური სინამდვილისა და არსთა შორის უსრულქმნილესის ჭვრეტად რომ მიაქცევს ჩვენი სულის ყველაზე მშვენიერ საწყისს, ისევე, როგორც ჩვენი სხეულის ყველაზე გამჭრიახი საწყისი – ჩვენი ხორციელი თვალი მაღლდება ამ ნივთიერ და ხილულ სინამდვილეში ყველაზე ნათელი საგნის ჭვრეტამდე.

– ეს, ჩემი აზრით, დასაშვებია, თუმცა ძალიან კი მიჭირს ამის დაშვება. მაგრამ, მეორეს მხრივ, არც ამის უარყოფა ჩანს ადვილი. ამიტომ – რაკი ამ საკითხს არა მარტო ახლა განვიხილავთ, არამედ შემდგომაც მრავალჯერ მივუბრუნდებით, – დავუშვათ, რომ საქმე მართლა ისეა, როგორც შენ ამბობ, საკუთრივ მელოდიაზე გადავიდეთ და ისევე განვიხილოთ იგი, როგორც მისი შესავალი განვიხილეთ. მაშ, გვითხარი, რა განასხვავებს დიალექტიკას, რა სახეებად განიყოფება, ან რა გზებს მისდევს იგი? რადგან ამ გზებს, როგორც ჩანს, იმ მიჯნამდე მივყავართ, რომლის მიღწევაც მოგზაურისთვის დასვენებას და მისი მგზავრობის დასასრულს მოასწავებს.

– მე კი მზადა ვარ, მაგრამ შენ რომ ვერ მომყვები, ჩემო ძვირფასო გლავკონ? არადა, იმის ხატებას კი არ იხილავდი, რაზედაც ახლა ვმსჯელობთ, არამედ – თვით ჭეშმარიტებას; ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. მართლა ასეა თუ არა ეს, ჯერჯერობით ნუ მოვყვებით ამის მტკიცებას; მაგრამ რაღაც ამდაგვარი რომ უნდა არსებობდეს, ეს კი შეგვიძლია დაჟინებით ვამტკიცოთ, არა?

– როგორც ჩანს.

– და არა მარტო ეს, არამედ ისიც, რომ მხოლოდ დიალექტიკა თუ უჩვენებს ამას ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მეცნიერებებში გაწაფულს, სხვა გზით კი ეს შეუძლებელია.

– ამის მტკიცებაც ღირს.

– ალბათ, ვერავინ შეგვედავება იმაში, რომ არ არსებობს სხვა მეცნიერება, მეთოდურად რომ ცდილობდეს მოიხელთოს ყოველი საგნის არსი, რადგანაც ყველა სხვა ხელოვნება თავის საგნად ან კაცთა ვნებებსა თუ შეხედულებებს სახავს, ან ყველაფრის წარმოშობასა თუ ურთიერთშერწყმას, ანდა ბუნებრივ თუ ხელოვნურ საგანთა დაცვას. რაც შეეხება დანარჩენ ხელოვნებებსა თუ მეცნიერებებს, რომლებიც, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, არსის გარკვეულ ნაწილს მაინც იხელთებენ, როგორც, მაგალითად, გეომეტრია და მისი მომდევნო მეცნიერებანი, ჩვენ ვხედავთ, რომ არსის მათეული აღქმა სიზმარეულ ჩვენებებს უფრო მოგვაგონებს, ცხადად კი ვერ ხედავენ და ვერც იხილავენ მას, ვიდრე, თავიანთ ვარაუდებს აყოლილნი, შეეცდებიან კვლავაც უცვლელად შეინარჩუნონ ისინი და მათი ღირებულების თაობაზე ანგარიშს ვერ ჩააბარებენ თავიანთ თავს. ვისაც საწყისის მაგივრობას უწევს ის, რაც არ იცის, ხოლო დანასკვად და შუალედურ წინადადებებად იყენებს ყოველივე იმას, რაც ერთმანეთს არ ერწყმის, შეიძლება ერთმანეთს კი მიუსადაგოს ისინი, მაგრამ აქედან ნამდვილად ვერ მიიღებს ცოდნას.

– ვერასდიდებით.

– მაშასადამე, დიალექტიკური მეთოდი ერთადერთია, ჰიპოთეზებს რომ უარყოფს და უშუალოდ პირველსაწყისამდე მაღლდება, რათა მყარად დააფუძნოს თავისი დასკვნები; ის თანდათან ათავისუფლებს ბარბაროსულ მწვირეში დანთქმულ სულიერ მზერას, რისთვისაც თანამგზავრებად და თანაშემწეებად იყენებს ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ხელოვნებებს, თუმცა ჩვეულების ძალით, ზოგჯერ მეცნიერებებად ვიხსენიებდით მათ; მაგრამ აქ სხვა სახელწოდება იყო საჭირო, უფრო ცხადი, ვიდრე „წარმოდგენა“, მაგრამ უფრო ბუნდოვანი, ვიდრე „მეცნიერება“: ზემოთ, აქა-იქ, „გონივრულ განსჯას“ ვუწოდებდით მას. თუმცა, ჩემის აზრით, რა დროს სახელწოდებებზე დავაა, როცა განსახილველად წინ გვიძევს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვენ შემოგთავაზეთ.

– მართლაც; მთავარია სახელწოდება ნათლად გამოხატავდეს იმას, რასაც აღნიშნავს.

– ასე რომ, წეღანდელისა არ იყოს, ჩვენთვის საკმარისი იქნება, თუ პირველ დანაყოფს მეცნიერებასა თუ ჭეშმარიტ ცოდნას ვუწოდებთ, მეორეს – გონივრულ განსჯას, მესამეს – რწმენას, მეოთხეს კი – მიმსგავსებას, ამ ორ უკანასკნელს,

ერთად აღებულს, – წარმოდგენას, ხოლო პირველ ორს – აზროვნებას. წარმოდგენის საგანია ქმნადობა, აზროვნებისა კი – ჭეშმარიტი არსებობა. არსებობა ისე მიემართება ქმნადობას, როგორც აზროვნება – წარმოდგენას, და როგორც აზროვნება მიემართება წარმოდგენას, ისე მიემართება ცოდნა რწმენას, გონივრული განსჯა კი – მიმსგავსებას. ხოლო რაც შეეხება ორად გაყოფას – იმად, რასაც წარმოდგენით აღვიქვამთ და იმად, რასაც გონებით ვწვდებით, ისევე, როგორც თვითეულის მიმართებას მისი შესაბამისი საგნისადმი, ამის განხილვას შევეშვათ, გლავკონ, რათა თავიდან ავიცილოთ გაცილებით უფრო გრძელი მსჯელობა.

– მაგრამ ჩემთვის ისიც საკმარისია, რაც ახლა თქვი, რამდენადაც იმისი ძალი შემწევს, რომ შენ მოგდიო.

– მაშ, შენ დიალექტიკოსს უწოდებ იმას, ვისაც შეუძლია ყოველი საგნის არსს ჩასწვდეს? ხოლო ვისაც ამისი თავი არა აქვს, შენი აზრით, იმდენადვე აკლია ჭკუა, რამდენადაც არ შეუძლია თვითონვე გაიცხადოს ან სხვისთვის ცხადყოს ეს?

– რა თქმა უნდა.

– იგივე ითქმის სიკეთეზედაც. ვისაც არ შეუძლია ყოველივე დანარჩენისაგან განაცალკევოს და ასე განსაზღვროს სიკეთის იდეა; ვინც ისე მხნედ არ მიარღვევს დაბრკოლებებს, როგორც ბრძოლის ველზე, რათა უკუაგდოს ყველა საპირისპირო მოსაზრება, რომელიც არსის წვდომაზე კი არა, წარმოდგენაზეა დამყარებული; დიახ, ვინც ურყევ ლოგიკაზე დაყრდნობით შეუპოვრად არ მიიწევს წინ, ამნაირ კაცზე შენ, ალბათ, იტყვი, რომ ის არც ჭეშმარიტ სიკეთეს იცნობს და არც საერთოდ სიკეთეს; ხოლო თუ ის, ასე თუ ისე, მაინც ახერხებს მოიხელთოს სიკეთის ლანდი, წარმოდგენის მეოხებით ახერხებს და არა ცოდნის წყალობით. ამნაირი კაცი თვლემასა და სიზმარეულ ჩვენებებში ატარებს თავის ამქვეყნიურ სიცოცხლეს და გამოფხიზლებასაც ვერ ასწრებს, ისე ჩადის ჰადესში, რათა იქ სამუდამო ძილით იძინოს.

– ვფიცავ ზევსს, თამამად ვიტყვი ამას.

– მაგრამ, ადრე თუ გვიან, როცა მოგიწევს აღზარდო და განათლება მიაღებინო შენს შვილებს, რომლებსაც ჯერ მხოლოდ წარმოსახვით ელოლიავები, ალბათ, ნებას არ მისცემ მათ, ჯერ კიდევ შავი მონახაზებივით უნდილნი და უგუნურნი, მბრძანებლობდნენ და უმნიშვნელოვანეს საქმეებს წყვეტდნენ სახელმწიფოში.

– რა თქმა უნდა, არა.

– ალბათ, კანონით დაავალდებულებ მათ, უპირატესად იმნაირი განათლება შეიძინონ, რომლის წყალობითაც სრულყოფილად დაეუფლებიან კითხვა-პასუხის ხელოვნებას.

– დავავალდებულებ, შენთან ერთად.

– მაშ, ასე. ხომ არა გგონია, რომ დიალექტიკა აგვირგვინებს მთელ ცოდნას, და არ არსებობს ხელოვნება, რომელიც შეიძლებოდა მასზე მაღლა დაგვეყენებინა, რადგანაც ის არის ცოდნის უმაღლესი მწვერვალი.

– რა თქმა უნდა.

[ფილოსოფოსი მმართველების შერჩევა]

– ისღა დაგვრჩენია, განვსაზღვროთ, ვის აღვზრდით, ან როგორ აღვზრდით ამ გზით.

– ცხადია, – თქვა მან.

– თუ გახსოვს, რანაირი მმართველები ავირჩიეთ მათი პირველი არჩევისას?

– როგორ არ მახსოვს.

– კეთილი; მაშ, დარწმუნებული ბრძანდებოდე, რომ სწორედ მათნაირი ხალხი უნდა ავირჩიოთ: სანდონი, მამაცნი და, შეძლებისდაგვარად, წარმოსადეგნი; უნდა ვეძიოთ არა მარტო კეთილშობილნი და დარბაისელნი, არამედ ამნაირი აღზრდისათვის სათანადო ნიჭით ცხებულნიც.

– რა ნიჭს გულისხმობ?

– სწავლაში გამჭრიახნი უნდა იყვნენ, ჩემო კეთილო, და ადვილად ეუფლებოდნენ ცოდნას. რადგანაც სულებს გაცილებით უფრო აკრთობს მეცნიერებათა სირთულე, ვიდრე გიმნასტიკური ვარჯიშებისა. ვინაიდან ტანჯვა-წამება, რასაც ცოდნის შეძენა მოითხოვს, მით უფრო მტკივნეულია სულისათვის, რომ სხეული არ იზიარებს მას.

– მართალს ბრძანებ.

– უნდა მოიძებნოს კარგი მეხსიერების მქონე ადამიანი, რომელიც დაუღალავიც იქნებოდა და შრომისმოყვარეც. თორემ როგორ გაუძლებს ფიზიკურ დატვირთვას და ამდენ სწავლასა და ვარჯიშს?

– ასეთის პოვნა გაგვიჭირდება, თუ ყოველნაირი ნიჭით არ იქნა დაჯილდოვებული.

– ჩვენი დროის შეცდომა, საიდანაც ფილოსოფიის არასაკმარისი დაფასება იღებს სათავეს, იმაში მდგომარეობს, რომ – ადრეც გვითქვამს – მას ისე არ უდგებიან, როგორც ის ამას იმსახურებს. ამ საქმეს ხელი ნამდვილებმა უნდა მოკიდონ და არა – ყალბისმქმნელებმა.

– რას გულისხმობ?

– პირველ რიგში, ის, ვინც ამ საქმეს მოკიდებს ხელს, შრომისმოყვარეობაში არ უნდა მოიკოჭლებდეს. ის არ უნდა იყოს ნახევრად შრომისმოყვარე და ნახევრად – ზარმაცი. ასე ხდება ხოლმე, როდესაც ადამიანს უყვარს ტანვარჯიში, ნადირობა და ყოველივე, რაც სხეულს ავითარებს, მაგრამ არ უყვარს სწავლა, ძიება, არ არის ცნობისმოყვარე, პირიქით, ასეთი სიძნელეები მისთვის საძულველია. ისიც მოიკოჭლებს, ვისაც შრომისმოყვარეობა საპირისპირო მხარეს აქვს მიმართული.

– სრულიად მართალს ბრძანებ.

– ზუსტად ასევე, განა ჭეშმარიტებასთან მიმართებითაც სახიჩრად არ მივიჩნევთ სულს, რომელსაც ისე ძალიან სძულს ნებსითი სიცრუე, რომ ზიზღის გარეშე ვერც თავის თავში იტანს მას და ვერც სხვაში – აღშფოთების გარეშე, მაგრამ მაინც დასაშვებად მიაჩნია უნებური სიცრუე და არავითარ აღშფოთებას არ ავ-

ლენს მის მიმართ, არამედ ისე გორავს თავის საკუთარ უმეცრებაში, როგორც ღორი – წუმპეში.

– რა თქმა უნდა.

– რაც შეეხება კეთილგონიერებას, სიმამაცეს, დიდსულოვნებას და სიქველის ყველა სხვა სახეს, არანაკლები დაკვირვება სჭირდება იმას, რომ უკეთურისაგან გაარჩიო კეთილშობილი. ვინც მათ გარჩევას ვერ შესძლებს, სულერთია, სახელმწიფო იქნება თუ კერძო პირი, ამა თუ იმ საჭიროებისათვის ისე მიიწვევს კოჭლებსა და უკეთურებს, ვის – მეგობრებად და ვის – მმართველებად, რომ თვითონ ვერც კი შენიშნავს ამას.

– ჩვეულებრივ, ასედაც ხდება.

– ჩვენ კი სწორედ ამას უნდა ვერიდოთ. თუ ცოდნის დასაუფლებლად და სხეულის გასაკაჟებლად სულითა და ხორცით ჯანსაღ ხალხს შევარჩევთ, თვით სამართლიანობაც კი ვერაფერს გვისაყვედურებს და ჩვენ ურღვევად შევინარჩუნებთ სახელმწიფოს მთლიანობასაც და მის წყობილებასაც. ხოლო თუ საამისოდ უღირს ხალხზე შევაჩერებთ არჩევანს, საქმე უკუღმა წაგვივა და კიდევ უფრო მწარე დაცინვის საგნად ვაქცევთ ფილოსოფიას.

– მართლაც რომ სირცხვილს ვჭამდით, – თქვა მან.

– რა თქმა უნდა; მაგრამ მე მგონია ახლავე აღმოვჩნდი სასაცილო მდგომარეობაში.

– რატომ?

– დამავიწყდა, რომ ეს თამაშია და, ცოტა არ იყოს, ხმას ავუწიე; თანაც ერთთავად ფილოსოფიაზე მეჭირა თვალი და ვხედავდი, როგორ ამცირებენ. ამიტომაც აღშფოთებით შევუტიე მის აბუჩად ამგდებთ და უკმეხად გამომივიდა, რაცა ვთქვი.

– ვფიცავ ზევსს, მე, როგორც ერთი შენი მსმენელი, სხვა აზრისა ვარ.

– მე კი, როგორც რიტორი, ვერ დაგეთანხმები. ასეა თუ ისე, ნუ დავივიწყებთ, რომ ხანდაზმულებზე შევაჩერეთ ჩვენი პირველი არჩევანი, ახლა კი ვხედავთ, რომ შევცდით. მართლაცდა, ხომ ვერ ვერწმუნებით სოლონს[7] – ხანში შესული ბევრ რამეს სწავლობსო? პირიქით, ხანდაზმულს კიდევ უფრო ნაკლებ შესწევს სწავლის უნარი, ვიდრე სირბილისა. ასე რომ, ყველაზე დიდ და მრავალრიცხოვან საქმეთა აღმსრულებლად ახალგაზრდობა უნდა მიგვაჩნდეს.

– უცილობლად, – თქვა მან.

[ფილოსოფოსი მმართველის აღზრდის ეტაპები]

– მაშასადამე, არითმეტიკის, გეომეტრიისა და სხვა მეცნიერებათა ცოდნა წინ უნდა უსწრებდეს დიალექტიკის შესწავლას, ასე რომ, ახალგაზრდები ბავშვობაშივე უნდა ეუფლებოდნენ მათ, მაგრამ ყოველგვარი იძულებისა თუ ძალდატანების გარეშე.

– ვითომ რატომაო?

– იმიტომ, რომ თავისუფალი ადამიანი მონასავით როდი უნდა ეუფლებოდეს ცოდნას. როცა სხეულს სიძნელეთა დაძლევას აჩვევენ, ამით ის სულაც არ ხდება უარესი, მაგრამ სულში ძალით ჩანერგილი ცოდნა არამყარია.

– ამას კი მართალს ამბობ.

– ამიტომ, ჩემო კეთილშობილო, შენს შვილებს ძალდატანებით კი არა, თამაშით უნდა ასწავლიდე, რასაც ასწავლი, თუ გინდა უკეთ ადევნო თვალყური თვითეულის ბუნებრივ მიდრეკილებებს.

– ჭკვიანურია.

– თუ გახსოვს, ჩვენ ვამბობდით, რომ ბავშვები ცხენებზე უნდა შეგვესხა და თან გვეახლა ომში, რათა ბრძოლის ქარცეცხლისთვის შორიდან ედევნებინათ თვალი, ხოლო თუ საფრთხე ნაკლები იყო, ახლოსაც მიგვეშვა, რომ ლეკვებივით ეგემათ სისხლი.

– როგორ არ მახსოვს.

– და ვინც ყოველივე ამაში – გარჯაში, სწავლასა თუ განსაცდელში ყველაზე უკეთ გამოიჩენდა თავს, ცალკე სიაში შეგვეტანა.

– რა ხნისანი?

– როცა უკვე თავს ანებებენ სავალდებულო საწვრთნელ ვარჯიშებს; რადგანაც ამ ხნის განმავლობაში – სულერთია, ორ წელიწადს გრძელდება თუ სამს, – არასდიდებით არ შეუძლიათ სხვა რამეშიც იმეცადინონ: დაღლილობა და ძილი მეცადინეობის მტრები არიან. თან ესეც ხომ საკმაოდ ძნელი გამოცდაა: რანაირად გამოიჩენენ თავს საწვრთნელ ვარჯიშებში.

– ცხადია, – თქვა მან.

– ამ დროის გასვლის შემდეგ ოცი წლის ჭაბუკებიდან გამორჩეულთ უფრო მეტ პატივს მიაგებენ, ვიდრე დანარჩენებს, ხოლო იმ მეცნიერებებს, ბავშვობაში ცალ-ცალკე რომ ასწავლიდნენ, გარკვეულწილად გააერთიანებენ, რათა თვალნათლივ უჩვენონ შეგირდებს მათი ნათესაობა როგორც ერთურთის, ისე არსის ბუნების მიმართ.

– მხოლოდ ამ გზით შეძენილი ცოდნა იქნება მყარი.

– სწორედ ესაა ყველაზე დიდი გამოცდა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დავადგინოთ, ვინაა თავისი ბუნებით დიალექტიკოსი და ვინ არა. ვისაც შეუძლია ყველაფერი ერთობლივად მოიცვას მზერით, დიალექტიკოსია, ხოლო იმას, ვისაც ამის უნარი არ შესწევს, ვერც ჩვენ მივიჩნევთ დიალექტიკოსად.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა მან.

– ჰოდა, სწორედ შენ უნდა განსაზღვრო, ვინაა ყველაზე უკეთესი ამ მხრივ და ვინ უფრო უდრეკი იქნება მეცნიერების დაუფლებისას, ბრძოლის ველზე თუ ყოველივე იმის აღსრულების დროს, რასაც ვალად გვიწესებს კანონი. ოცდაათი წლისანი რომ გახდებიან, მათ შორის ხელახლა უნდა მოახდინო არჩევანი, ხოლო რჩეულებს კიდევ უფრო მეტი პატივი უნდა მიაგო და გამოსცადო, ვინ რისი მაქნისია დიალექტიკაში, ან ვის შესწევს ხედვისა თუ სხვა შეგრძნებათა შემწეობის

გარეშე ჭეშმარიტ არსამდე ამაღლების უნარი. მაგრამ აქ, ჩემო მეგობარო, დიდი სიფრთხილე გვმართებს.

– ვითომ რატომაო?

– ნუთუ არ შეგიმჩნევია ის ბოროტება, დღეს რომ ემუქრება დიალექტიკას და ესოდენ ღრმად გაიდგა ფესვი?

– რა ბოროტებას გულისხმობ?

– რასა და, იმას, რომ დიალექტიკის მიმდევრებში უკანონობა ისადგურებს.

– მართლაც.

– მერედა, გიკვირს მათი მდგომარეობა? როგორ გგონია, იმსახურებენ თუ არა მიტევებას?

– რა მხრივ?

– ავიღოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ, მრავალრიცხოვან, მდიდარსა და კეთილშობილურ ოჯახში მიგდებული ბავშვი იზრდება. აქ მას ყოველნაირად ანებივრებენ. მაგრამ როცა წამოიზრდება, გაიგებს, რომ ვინც მშობლებად მიაჩნდა, თურმე უცხონი ყოფილან, ნამდვილ მშობლებს კი ვერ პოულობს. თუ შეგიძლია გამოიცნო მისი დამოკიდებულება, ერთის მხრივ, იმ ხალხისადმი, ვინც ანებივრებს, მეორეს მხრივ კი – დედობილ-მამობილის მიმართ, ჯერ ერთი, მაშინ, როცა არ იცოდა, მიგდებული რომ იყო, და მეორეც, მას შემდეგ, რაც გაიგებს ამას. ანდა, თუ გნებავს, მე გეტყვი, როგორ წარმომიდგენია ეს?

– ცხადია, მნებავს.

– წინასწარ ვხედავ, რომ, ვიდრე სიმართლე არ გაუგია, უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობა დედ-მამას და ნათესავებს, ვიდრე იმათ, ვინც თავს ევლება და ელოლიავება. ნაკლებ დაუდევრობას გამოიჩენს გასაჭირში ჩავარდნილ ახლობელთა მიმართ, ნაკლებად ატკენს გულს სიტყვით თუ საქმით და ნაკლებად ეურჩება მათ, ვიდრე იმ ხალხს, ვინც ანებივრებს.

– ალბათ.

– მაგრამ მას შემდეგ, რაც სიმართლეს გაიგებს, მე მგონია საგრძნობლად იკლებს მისი პატივისცემა და ყურადღება ახლობლების მიმართ, და, პირიქით, იმატებს იმათ მიმართ, ვინც ანებივრებს, რომლებსაც უფრო მეტად დაემორჩილება, ვიდრე უწინ, ყურად იღებს მათ რჩევას და აშკარად დაიჭერს მათ მხარეს, მამობილსა და ყოფილ ნათესავებზე კი საერთოდ აღარ იზრუნებს, თუ ბუნებით უაღრესად კეთილი კაცი არ არის.

– ყველაფერი ისე მოხდება, როგორც შენ ამბობ, მაგრამ რა საერთო აქვს შენს მაგალითს დიალექტიკის მიმდევარ ხალხთან?

– აი რა: სამართლიანობასა და მშვენიერებაზე ჩვენ, მშობლების ზეგავლენით, ბავშვობაშივე გვიყალიბდება გარკვეული შეხედულებები, მშობლებისა, რომლებსაც პატივს ვცემთ და ვემორჩილებით.

– მართლაც.

– მაგრამ ამ შეხედულებებს უპირისპირდებიან მაცთური წარმოდგენები, საამოდ რომ ელამუნებიან სულს. თუმცა თავდაჭერილი ხალხი არ აჰყვება მათ მაც-

თურ ხიბლს და როგორც მამაპაპურ შეხედულებათა ერთგული კიდევაც ემორჩილება მათ.

– ასეა.

– კეთილი; მოდი, ვკითხოთ ამნაირად განწყობილ კაცს, რა არის მშვენიერება: ისე გვიპასუხებს, როგორც უსწავლია კანონმდებლისგან, მაგრამ თუ შემდგომი მსჯელობისას მრავალგზის და მრავალნაირად უარყოფენ და აბათილებენ მის აზრს, ამ კაცს შეიძლება ვაფიქრებინოთ, რომ მშვენიერება სულაც არ არის უფრო მშვენიერი, ვიდრე სიმახინჯე, და ასეთსავე შეცდომას დავაშვებინებთ სამართლიანობასთან, სიკეთესა და ყოველივე იმასთან მიმართებით, რასაც უწინ განსაკუთრებით აფასებდა. ამის შემდეგ, როგორ გგონია, რა მოუვა მის პატივისცემას და მორჩილებას?

– ცხადია, აღარც უწინდელი პატივისცემის გრძნობა შერჩება და არც მორჩილებისა.

– მაგრამ თუ ყოველივე ამას აღარ მიიჩნევს პატივისცემის ღირსად და ფასეულად, ჭეშმარიტებას კი ვეღარ მიაკვლევს, საკითხავია, ცხოვრების რანაირ წესს მიუბრუნდება, თუ არა იმას, რაც საამოდ ელამუნება მის პატივმოყვარეობას?

– ყოველივე სხვა გამორიცხულია.

– ასე რომ, ჩემი აზრით, კანონთა დამრღვევად მოგვევლინება, თუმცა ადრე განუხრელად იცავდა მათ.

– უცილობლად.

– მაშასადამე, ამნაირი მდგომარეობა ბუნებრივია დიალექტიკის მიმდევართათვის, და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი სავსებით იმსახურებენ მიტევებას.

– და სიბრალულსაც.

– ამრიგად, ოცდაათწლიანებმა ამნაირი სიბრალული რომ არ აღგვიძრან, ისინი დიდი სიფრთხილით და წინდახედულებით უნდა ვაზიაროთ დიალექტიკას?

– რა თქმა უნდა.

– განა სიფრთხილის ერთი ამნაირი საშუალება ის არ იქნება, რომ სიყრმეშივე არ იგემონ დიალექტიკის სიტკბო? ალბათ შეგინიშნავს: როგორც კი გემოს გაუსინჯავენ დიალექტიკას, ყმაწვილები ცდილობენ სათამაშოდ და თავშესაქცევად გამოიყენონ იგი, წინააღმდეგობებით გატაცებულნი რომ ბაძავენ მის უარმყოფელთ, რათა თვითონვე უარყონ ისინი, და თანაც იმით ტკბებიან, რომ თავიანთი საბუთებით ლეკვებივით ძიძგნიან ყველას, ვისაც კი საკბენად მოიხელთებენ.

– ტკბებიან და მერე როგორ.

– მას შემდეგ, რაც თვითონ უარყოფენ მრავალს და მრავალი, თავის მხრივ, უარყოფს მათ, ისინი უკვე სწრაფად აქცევენ ზურგს ყოველივე იმას, რაც მანამდე სწამდათ, ეს კი ხალხის თვალში ჩირქსა სცხებს მათაც და ფილოსოფიის მთელ საგანსაც.

– მართალს ბრძანებ, – თქვა მან.

– უფრო ხნიერი კი არ ისურვებს მონაწილეობა მიიღოს ამ სიშლეგეში; პირიქით, უმალ იმ კაცს მიბაძავს, ვისაც სურს ჭეშმარიტებას მიაღწიოს დავისა და

კამათის გზით, ვიდრე იმას, ვინც მხოლოდ თავშექცევისა თუ თამაშის გულისთვის უარყოფს მოპირისპირის მოსაზრებებს. ის თვითონაც თავდაჭერილია და კი არ ამდაბლებს, პირიქით, ხალხის თვალში ფასს ჰმატებს ფილოსოფიას.

– სწორია.

– განა სიფრთხილის ზომებს არ ეკუთვნის ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა: დიალექტიკოსებად შეიძლება აღვზარდოთ მხოლოდ მტკიცე და თავდაჭერილი ხალხი, ესე იგი, იმის საპირისპიროდ ვიქცევით, რასაც დღეს ვხედავთ, როცა დიალექტიკის დაუფლების ნებას აძლევენ ყველას, ვისთვისაც ღმერთს არ მიუცია ამისი ნიჭი.

– რა თქმა უნდა.

– იმასთან შედარებით, ვინც გიმნასტიკური ვარჯიშებით იკაჟებს სხეულს, საკმარისი იქნება თუ არა ორჯერ მეტი დრო დიალექტიკის დასაუფლებლად, თუ ამის გარდა სხვას არაფერს აკეთებს კაცი?

– ექვს წელიწადს გულისხმობ თუ ოთხს?

– ეგ სულერთია; თუნდაც ხუთი იყოს. შემდგომ ამისა, შენ აიძულებ მათ კვლავ დაუბრუნდნენ მღვიმეს და სახელმწიფო თანამდებობები დაიკავონ: როგორც სამხედრო, ისე ყმაწვილკაცთა შესაფერის სხვა მოვალეობათა შესრულებას მიჰყონ ხელი, რათა არავის ჩამოუვარდებოდნენ გამოცდილებით. ეგეც არ იყოს, ამით კიდეც გამოსცდი მათ: გაუძლებენ ათასნაირ საცთურს თუ ვერა.

– საამისოდ რამდენ წელს აძლევ?

– თხუთმეტს. ხოლო როცა ორმოცდაათს მიუკაკუნებენ, მაშინ ისინი, ვინც ღირსეულად გაუძლო გამოცდას და როგორც საქმეში, ისე მეცნიერებაშიც გამოიჩინა თავი, უკვე თავიანთი საბოლოო მიზნის ხორცშესხმას უნდა შეუდგნენ: უნდათ თუ არა, უზენაესი არსის მიმართ აღაპყრონ თვალი, არსისა, სინათლეს რომ ჰფენს ყველაფერს, ხოლო მას შემდეგ, რაც იხილავენ უზენაეს სიკეთეს, ნიმუშად დასახონ იგი და სიცოცხლის მთელი დანარჩენი დროის მანძილზე მისი მიხედვით მოაწესრიგონ სახელმწიფოს, კერძო პირთა თუ თავიანთი პირადი ცხოვრება. ისინი ფილოსოფიის შესწავლაში გაატარებენ სიცოცხლის უმეტეს ნაწილს, ხოლო როცა რიგი მოუწევთ, სახელმწიფო თანამდებობებს დაიკავებენ და საზოგადო ცხოვრების მოწესრიგებას მიჰყოფენ ხელს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ეს დიდებულ საქმიანობად მიაჩნიათ, არამედ იმიტომ, რომ ასე სჭირდება ქვეყანას. ასე, უწყვეტი რუდუნებით თავიანთ მსგავსად რომ აღზრდიან მოქალაქეებს, რათა მათ გადააბარონ სახელმწიფოს დაცვა, თვითონ ნეტართა კუნძულებს მიაშურებენ საცხოვრებლად. სახელმწიფო ძეგლებს აუგებს ამ ღვაწლმოსილთ და მათ სახსოვრად, როგორც უკვდავი ღვთაებებისა, დააწესებს მსხვერპლშეწირვას, თუკი პითია[8] დაადასტურებს ამას, თუ არა და, მაშინ მათ ისე შესწირავენ მსხვერპლს, როგორც ნეტარსა და ღვთაებრივ ხალხს.

– რა მშვენივრად გამოძერწე ეგ შენი მმართველები, სოკრატე, ნამდვილი მოქანდაკეც ვერ შესძლებდა უკეთესად.

– მმართველი ქალებიც, გლავკონ: რაც მე ვთქვი, ქალებსაც ისევე ეხება, როგორც კაცებს; მართალია, მხოლოდ იმ ქალებს, რომლებსაც საამისოდ ბუნებრივი მონაცემები მოეძებნებათ.

– სწორია, – თქვა მან, – რაკიღა, ჩვენი შეთანხმებისამებრ, ერთთაც და მეორეთაც თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ ყველაფერში.

– კეთილი და პატიოსანი; ახლა მაინც ხომ აღიარებთ, რომ ფუჭი აზრები როდი გამოგვითქვამს სახელმწიფოსა და მის წყობილებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, მათი ხორცშესხმა ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი; როცა სახელმწიფოს სათავეში ჭეშმარიტი ფილოსოფოსები ჩაუდგებიან, – გნებავთ, ერთი და გნებავთ მრავალი, – მათ თვალში ფასი დაეკარგება ყველა იმ პატივს, დღეს ასე ხარბად რომ მიელტვიან, რადგანაც თავისუფალი კაცისთვის უღირსად და უფასურად მიიჩნევენ მათ, მაშინ როდესაც გაცილებით უფრო მაღლა დააყენებენ მოვალეობის პირნათლად მოხდას და უანგარობის ჯილდოს – ღირსებას. ყველაზე დიდ ფასეულობად კი დასახავენ სამართლიანობას, რომელსაც ერთგულად ემსახურებიან და რომლის მიხედვითაც ეცდებიან მართონ ქვეყანა.

– როგორ?

– იმათ, ვინც ჩვენს სახელმწიფოში ათ წელზე მეტი ხნისაა, სოფლებში გაგზავნიან, დანარჩენებს კი დღევანდელ ზნე-ჩვეულებებს განარიდებენ, რაც ნიშნეულია მათი მშობლებისათვის, და ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ კანონთა მიხედვით აღზრდიან. ამ გზით სახელმწიფოში ყველაზე უფრო ადვილად დამყარდება ის წყობილება, ჩვენ რომ მოვხაზეთ; სახელმწიფოც აყვავდება და მისი მოქალაქეებიც ბედს ეწევიან.

– რა თქმა უნდა; ჩემის აზრით, კარგად ახსენი, სოკრატე, რანაირად შეიძლება ამის ხორცშესხმა.

– ასე რომ, ჩვენ საკმარისად ვილაპარაკეთ ამ სახელმწიფოზეც და მის მინამგვან ადამიანებზედაც; ხომ ცხადია, როგორიც უნდა იყოს იგი.

– დიახ, ცხადია. და, შენი თქმისა არ იყოს, ეს საკითხი ამოწურულად უნდა მიგვაჩნდეს.

განმარტებები

1. წიგნის წინა თავებში სოკრატე და მისი თანამოსაუბრეები, გლავკონი და ადიმანტე, სახელმწიფოში სამართლიანობის არსის შესახებ საუბრობდნენ. ისინი შეთანხმდნენ სრულყოფილად სამართლიანი სახელმწიფოს მონახაზზე, რომელშიც პოლიტიკური ძალაუფლება ფილოსოფოსებს უნდა ეპყრათ.
2. მომოსი – დაცინვისა და კრიტიკის ღმერთი ძველბერძნულ მითოლოგიაში.
3. თრასიმაქე – ცნობილი ათენელი სოფისტი და რიტორი პლატონის ეპოქაში. „სახელმწიფოს“ პირველ თავში გადმოცემულია სოკრატესა და თრასიმაქეს დავა სამართლიანობის შესახებ; თრასიმაქეს პოზიციის მიხედვით, სამართლიანობა სხვა არაფერია, თუ არა ყველაზე ძლიერის ინტერესი. სოკრატე სამართლიანობის საკუთარი თეორიის გადმოცემას თრასიმაქეს ამ პოზიციის უარყოფით იწყებს.
4. პალამედესი – ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, თვლის, ზომისა და წონის გამომგონებელი.
5. აგამემნონი – მიკენის მეფე, ბერძენთა ჯარის მხედარმთავარი ტროას ომში.
6. დედალოსი – ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ხელოსანი და ხუროთმოძღვარი, რომელმაც ააგო მინოსის ლაბირინთი.
7. სოლონი (ძვ. წღ. 638-558) – გამოჩენელი ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და კანონმდებელი.
8. პითია – დელფოში აპოლონის ტაძრის მისანი ქალი.

პავლე მოციქული

დაახლ. 7 – 67 წწ.

შესავალი

პავლე ტრადიციულად მეცამეტე მოციქულად იწოდება. ეს წინადადება ერთგვარ ოქსიმორონად ჟღერს, რადგან „მეცამეტე“ არღვევს იმ რიცხვების მისტიკის ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ისრაელის 12 ტომს შეესაბამება ქრისტეს 12 უახლოესი მოციქული (მათე 19:28) და იუდას თვითმკვლელობის გამო სწორედ 12 რიცხვის შესავსებად ყარეს მოციქულებმა კენჭი, რომელიც მატათას შეხვდა (საქმე 1:23-26). პავლემ კი დაამსხვრია ეს პარადიგმა, როგორც მრავალი სხვა პარადიგმა: „არაფრით ნაკლები არ ვარ ვიდრე ქრისტეს სხვა, ყველაზე გამოჩენილი მოციქულები“ (2 კორ. 11:5), და მეტიც, „მე უფრო მეტი ვიშრომე, ვიდრე ყველა მათ ერთად“ (1 კორ. 15:10), ამბობს პავლე. ამას რომ ამბობდა, მისი მიზანი არ ყოფილა თავის ქება, არამედ თავის დაცვა მათგან, ვინც ეჭვის ქვეშ აყენებდა მის სამოციქულო მისიას იმ მიზეზით, რომ პავლე არც თორმეტი მოციქულის გუნდში ყოფილა და არც იესოს მიწიერი ცხოვრების თვითმხილველი. პირიქით, თავიდან პავლე დევნიდა ქრისტიანებს, როგორც მამა-პაპათა ტრადიციის მოღალატეებს და მოსეს რჯულის გამაუქმებლებს, ორგანიზებას უწევდა მათ ქვებით ჩაქოლვასაც კი: ამიტომ იყო, რომ დიაკვანი სტეფანეს ჩამქვავებლების ტანსაცმელს დარაჯობდა. ეს არ წერია კანონიკურ ტექსტებში, მაგრამ ძველი გადმოცემის მიხედვით სტეფანეს ჩაქვავება პავლეს მოქცევაში იყო გარდამტეხი მომენტი: მომაკვდავი სტეფანე ლოცულობდა თავისი ჩამქვავებლებისთვის, „ნუ მიუთვლი მათ ცოდვადო“ (საქმეები 7:60) და პავლეს მონოლითურ ხედვაში სწორედ ამან შეიტანა ბზარი, ისევე, როგორც მარჯვენა ავაზაკის შემთხვევაში, რომელიც თავიდან დაცინოდა და გმობდა იესოს, მას შემდეგ კი, რაც იესომ ილოცა თავისი ჯვარმცმელებისთვის, მესიად აღიარა: „მომიხსენე შენს სამეფოში“ (ლუკა 23:42).

თუმცა პავლეში ასე მყისიერად არ მომხდარა ტრანსფორმაცია მდევნელიდან მოციქულამდე; ის სტეფანეს ჩაქვავების შემდეგაც აგრძელებდა ქრისტიანების დევნას, ოფიციალურ სიგელებს ამტკიცებინებდა ხელისუფლებს, რითაც შეეძლო ნებისმიერ ქალაქში დაეპატიმრებებინა ეს საშიში ერეტიკოსები. ერთ-ერთი ასეთი მისიის დროს, როცა დამასკოში მიდიოდა ქრისტიანების დასაპატიმრებლად (რომის იმპერიაში კი, სადაც პენიტენციალური ციხეები არ არსებობდა, პატიმრები ციხეში მხოლოდ საქმის განხილვამდე იჯდნენ, და მერე, თუ ბრალი დაუმტკიცდებოდათ, ან სიკვდილით დასჯიდნენ, ან კატორღაზე გაუშვებდნენ სამუშაოდ, რაც სიკვდილზე მეტად სასურველი არ იყო) პავლეს ჰქონდა გამოცხადება: ნახა სინათლე, საიდანაც მოესმა ხმა: „სავლე, სავლე, რატომ მდევნი მე? ძნელია

შენთვის ეკალზე წიხლის რტყმა?“ (საქმე 9:4). ეს ბოლო რიტორიკული შეკითხვა, რომელიც მოციქულთა საქმეების ყველა ხელნაწერში არ არის, ძალიან საგულისხმოა, რადგან გამოხატავს სწორედ იმ კონფლიქტს, რომელიც პავლეში უკვე ამ გამოცხადებამდე არსებობს: იგი დევნის იმ ხალხს, რომლებიც თავის მდევნელებს ლოცავენ. თუ არასწორი თეოლოგია აქვთ, საიდან ასეთი ღვთაებრივი ზნეობა, რომლის მსგავსიც თვით წინასწარმეტყველური წიგნების მაგალითებშიც ასე იშვიათია? ასე რომ, „ძნელია შენთვის ეკალზე წიხლის რტყმა“ შინაგან კონფლიქტს, საკუთარ სინდისის ხმასთან დაპირისპირებას გამოხატავს. იესოს ხმის გამოცხადება, ამგვარად, აგვირგვინებს თვით პავლეში დაწყებულ ბრძოლას: „ეკალი“ – მისი სინდისია, რომლის წინააღმდეგაც მისი სტერეოტიპული შეხედულებები და ვნებები იბრძვიან – „წიხლს სცემენ“. ამიტომაა, პავლესთან იესოს რწმენა განუყოფელია პირად სინდისთან და აზროვნებასთან და მათ გარეშე შეუძლებელი და სახიფათოცაა: „იქონიეთ რწმენა კეთილ სინდისში, რადგან ვინც უარყო კეთილი სინდისი, მათი რწმენის გემიც ჩაიძირა“ (1 ტიმ. 1:19). ამიტომაც, პავლე ყველა ადამიანში ხედავს პოტენციურ ქრისტიანს, რადგან მისი აზრით, სინდისის ხმის მოსმენა ყველა ადამიანს შეუძლია, განურჩევლად მისი რელიგიისა თუ კულტურული გარემოსი და მათ, ვისაც მოსეს რჯული არ აქვთ, ქრისტე საბოლოო სამსჯავროზე შეაფასებს სწორედ სინდისის მიხედვით, რომლითაც ნებისმიერი ჯურის ადამიანები არჩევენ კეთილსა და ბოროტს, პირველს აქებენ, მეორეს კი აძაგებენ (შდრ. რომ. 2:14-16).

ცოტა წინ გავიქეცით, რადგან დამასკოს გზაზე პავლე მხოლოდ მოექცა ქრისტიანობაზე, როგორც პოპულარულად ამბობენ: „სავლე გახდა პავლე“, რაც არ არის ზუსტი გამოთქმა, რადგან პავლე და სავლე მას ერთდროულად ერქვა: სემიტური ვერსია ამ სახელის იყო სავლე, რომაული კი პავლე. ამის მერე მას თავიდანვე არ დაუწყია ქრისტიანობის ქადაგება. სამი წელი არაბეთში დაჰყო (გალ. 1:17) და ეს დრო ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნების შესწავლას მოანდომა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მოციქულები უქადაგებდნენ პირველ რიგში იუდევლებს იმის შესახებ, რომ იესო იყო ის მესია, რომელის მოსვლაზეც ლაპარაკობდნენ თავიანთივე წინასწარმეტყველები. ძველი აღთქმის პასაჟების ამგვარ ქრისტოლოგიურ განმარტებებს ბევრჯერ ვხვდებით პავლესთან. ამიტომ წინასწარმეტყველური წიგნების ცოდნა აუცილებელი იყო იუდევლებში ქრისტიანული მისიის წარმატებისთვის. მაგრამ მისია არ ამოიწურებოდა იუდევლებით არამედ წარმართებსაც გაწვდა, და სწორედ ეს, რაც სხვა მოციქულებთან არ იყო ასე აქცენტირებული, უმთავრესი მომენტი გახდა პავლესთან. თვით პეტრე მოციქულიც, რომელიც სავსებით დარწმუნდა ქრისტეს მისიის უნივერსალურობაში, რომაელი ოფიცერი კორნელიუსის და მისი ოჯახის წევრების მოქცევის შემდეგ, მაინც ბრკოლდებოდა და ერიდებოდა წარმართებთან ერთად ჭამას, რაც მოსეს რჯულით იყო აკრძალული, როგორც ეს მოხდა ანტიოქიაში. ამის გამო პავლე პირისპირ შეხვდა პეტრეს და ამხილა მისი სულმოკლეობა, რომელიც პავლესთვის ქრისტეს საქმის ღალატი იყო, არანაკლები, ვიდრე პეტრეს მიერ ქრისტეს სამგზი-

სი უარყოფა მამლის ყივილამდე (შდრ. გალ.2:11-13). შეიძლება ითქვას, რომ სხვა მოციქულებთან შედარებით პავლემ და, ასევე, იოანე ღვთისმეტყველმა ყველაზე ღრმად გაიაზრეს იესო ქრისტეს ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა. თავად იესო, აღიარებდა რა რომ იყო ისრაელის მესია, რომელზეც წინასწარმეტყველები ლაპარაკობდნენ, ამავე დროს არღვევდა ამ მესიის ვიწრო-ებრაულ გააზრებას („წადით და დაიმოწაფეთ ყველა წარმართი“ (მათე 28:19)). ამის გამო იესო ბევრი ებრაელის სიძულვილს და რისხვას იმსახურებდა: ფაქტობრივად, მაშინვე, როცა პირველად თქვა თავის ზოგადკაცობრიულ და არა ვიწროდ ებრაულ მისიაზე ნაზარეთის სინაგოგაში, მას მოკვლა დაუპირეს (ლუკა 4:24-30). თავად უახლოვესი მოწაფეებიც ხშირად მასში მხოლოდ პოლიტიკურ მესიას ხედავდნენ (მარკოზი 10:37). პავლე ყველაზე რადიკალურად დაუპირისპირდა ამ პოზიციას. „ნუთუ მარტო იუდევლების არის ღმერთი და არა წარმართებისაც? რა თქმა უნდა წარმართებისაც!“ (რომ. 3:29). პავლემ ყველაზე მეტი იქადაგა წარმართებში რაშიც ფართო ელინისტური განათლება და რომაული მოქალაქეობაც უწყობდა ხელს. ათენელებს როცა უქადაგებს, პავლე ავლენს ბერძენი პოეტების (კერძოდ, ციტირებს არატუსსა და მენანდრეს) და სტოიკური ფილოსოფიის ცოდნას და ცდილობს ქრისტეზე ქადაგება მათთვის გასაგებ კატეგორიებს მიუსადაგოს (საქმე თ.17).

უპრობლემოდ არ ხდებოდა მისი პოზიციის შეჯერება სხვა მოციქულების პოზიციასთან. მაგალითად, პირველი კრება თეოლოგიურ საკითხზე მოციქულებმა გამართეს იერუსალიმში სწორედ პავლეს ინოვაციის გამო: პავლე ნათლავდა წარმართებს ისე, რომ არ სთხოვდა მათ წინადაცვეთას. სხვა მოციქულებისთვის ეს სკანდალური რამ იყო, რადგან, მათი აზრით წინადაცვეთა ღმერთთან ისრაელის კავშირის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენდა. პავლემ კი ნახა, რომ ქრისტიანული მისია ჩაიშლებოდა წარმართებში, თუ მათ ამ, განათლებული ელინებისა და რომაელების გაგებით, ბარბაროსულ წესს დააძალებდა. (შდრ. საქმე 15:1-29; გალ. 2:1-10). მეტიც, პავლემ სიმბოლურ-მეტაფორულად, ანუ უფრო ღრმად, ვიდრე უხეშად მატერიალისტურად, გაიაზრა წინადაცვეთა, როგორც ცოდვებისგან განშორების ნიშანი, ანუ „გულის წინადაცვეთა“ (რომ. 2:29), და რადგან ნათლობაც სწორედ ამ სემანტიკას ატარებს, ამიტომ წინადაცვეთის ტრადიცია ზედმეტი ხდება. პავლემ შეძლო თავისი პოზიციის დაცვა მოციქულების კრებაზე და სხვა მოციქულებმა ნება დართეს მას წინადაუცვეთავად მოენათლა წარმართები.

რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს მთავარი თემაც ესაა: ვინ არის ქრისტე? რა გააკეთა მან და ვისთვის? რატომ არის ის მნიშვნელოვანი არა მარტო ებრაელებისთვის, არამედ თანაბრად მთელი კაცობრიობისთვის? როგორ უნდა შეხედო ებრაულ ტრადიციას ქრისტეს გამოცხადების შემდეგ?

დღეს ბევრი რამ, რასაც პავლე ამბობს, კერძოდ მისი ვერსიის ქრისტიანობის უნივერსალიზმი, თავისთავად გასაგები გვგონია, რადგან შეჩვეულები ვართ ამ ხედვებს და იდეებს. მაგრამ ისინი მზამზარეულად არ არსებობდნენ. პავლეს და მისი მსგავსი რევოლუციონერების გამო გახდა ქრისტიანობა მსოფლიო რელიგია, რომელმაც ცივილიზაციის ბედი განსაზღვრა. ამიტომ, ის, რასაც პავლე

ლაპარაკობს რომაელების მიმართ ეპისტოლეში ითქმება უმძაფრესი პოლემიკის, თან მრავალმხრივი პოლემიკის, ვითარებაში: პავლე უპირისპირდება ერთის მხრივ იუდევლებს, რომლებმაც არ მიიღეს ქრისტე, მეორეს მხრივ გაქრისტიანებულ იუდევლებს, რომლებსაც ქრისტე სურდათ თავის ნაციონალურ პროექტამდე დაეყვანათ, მესამეც – წარმართებს, რომლებსაც შეეძლოთ საერთოდ უგულებელეყოთ ებრაული ტრადიციის მნიშვნელობა, ანუ ის, რომ ქრისტე პირველ რიგში რჯულისა და წინასწარმეტყველების მოლოდინების დაგვირგვინებაა და მის კონკრეტულ ებრაულ კონტექსტსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ცხადია, რომ მაინც რელატიური მნიშვნელობა ზოგადკაცობრიულთან შედარებით.

პავლეს ეპისტოლეების კითხვა არ არის ადვილი. მათში ბევრია პარადოქსი, მოულოდნელი შედარება, ძნელადგასაგები და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი ინტერპრეტაციისთვის ღია ადგილი. ასევე, ხანდახან გრჩება შთაბეჭდილება, რომ პავლე თავის თავს ეწინააღმდეგება. ჯერ კიდევ პეტრე მოციქული წერდა თავის ეპისტოლეში „ჩვენი ძმა, პავლე, ძალიან რთულად წერს და ამის გამო ბევრმა გარყვნა მისი ნაწერებიო“ (2 პეტრე 3:16). რომაელთა მიმართ ეპისტოლე კი განსაკუთრებით პრობლემური და რთული ტექსტია. ამ ეპისტოლეს დედააზრია, რომ იესოს გამოჩენა, მისი ცხოვრება, ჯვარცმა და აღდგომა არის უნიკალური და გარდამტეხი მოვლენა მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში; რომ იესომ კაცობრიობისთვის გააკეთა ის, რაც არავის მანამდე, არცერთ მამამთავარს თუ წინასწარმეტყველს არათუ არ გაუკეთებია, არამედ არც შეეძლო გაეკეთებინა. იესოს მოსვლით დაიწყო თვისებრივად ახალი ცხოვრება ადამიანებისთვის, ოღონდ არა ავტომატურად, არამედ, მათთვის, ვინც თავისუფალი ნებით და რწმენით დაუკავშირდება იესოს და მის სოტეროლოგიურ (გამომხსნელ) მოქმედებას. იესოს მეშვეობით ადამიანს მიეცა საშუალება დაეძლია ცოდვის ძალა და ინერცია, რომელიც ადამის დაცემით, მისი ურჩობის შედეგად ინფექციასავით შეიჭრა მთელს მის შთამომავლობაში, ანუ მთელს კაცობრიობაში. ცოდვის შედეგი კი იყო სიკვდილი. იესომ ჯვარცმითა და აღდგომით გააუქმა ცოდვის ძალა და აქედან გამომდინარე სიკვდილიც, რადგან ცოდვაა სიკვდილის საფუძველი და საფუძვლის გაუქმებით ისიც უქმდება, რაც მასზე დგას. ცხადია, რომ პავლე აქ არ საუბრობს ფიზიკურ-ბიოლოგიურ სიკვდილზე და სიცოცხლეზე (თუმცა, საბოლოო მკვდრეთით აღდგომისაც სჯერა, ოღონდ ესქატოლოგიურად, სამყაროს აღსასრულს), არამედ ეგზისტენციალურ ვითარებაზე: „სიკვდილს“ უწოდებს ვითარებას, როცა ადამიანი დამორჩილებულია ცოდვის ძალას, ინფიცირებულია ცოდვით და არ შეუძლია დაძლიოს მისი ინერცია, „სიცოცხლეს“ კი ვითარებას, როცა ადამიანი რწმენით უკავშირდება იესოს ღვთიურ მოქმედებას, ასე ვთქვათ, მისი მადლის ინფექციას იღებს, ამით დაძლევს ცოდვის ძალას და იწყებს ახალ ცხოვრებას მადლში, ან უკეთ რომ ვთქვათ, თავად ქრისტე, მისი მადლი და ენერგია იწყებს ცხოვრებას ადამიანში და უსასრულო ზრდისკენ მიმართავს მას: „ცოცხალი აღარ ვარ მე, არამედ ჩემში ცოცხლობს ქრისტე“ – ამბობს პავლე (გალ. 2:20). ამ ახალი ცხოვრებით ადამიანი ხდება ღმერთის შვილი, იესოს მემკვიდრეობის თანამემკვიდრე. მოსეს

რჯული და მისით გათვალისწინებული საქმეები, მთელი ის ქცევის სისტემა რასაც რჯული ითვალისწინებდა, პავლეს აზრით, მხოლოდ ხელს უშლიდა, აკავებდა ცოდვას მაგრამ ვერ კურნავდა მას, როგორც, მაგალითად, შეიძლება თავს იკავებდე რამე ცუდი ჩვევისაგან, მაგალითად ალკოჰოლიზმისგან, მაგრამ შინაგანი სურვილი გრჩებოდეს და თავად ამ თავშეკავების გამო, რომელიც მხოლოდ აჩერებს მაგრამ არ კურნავს ალკოჰოლიზმისკენ მიდრეკილებას, თავს უბედურად გრძნობდე. ასევე, რჯულის მცნებები და მათი შესრულება მხოლოდ ლაგმავდა ცოდვის თავისუფალ და დაუსაზღვრელ გავრცელებას, მაგრამ არ კურნავდა მას. „არ მოკლა“, „არ იმრუშო“, „არ მოიპარო“ – ეს „არ“-ები აჩერებენ და არ კურნავენ მკვლელობის, მრუშობის თუ ქურდობის შინაგან მოტივაციას. იესო და მისი მადლი თუ ენერგია, რომელიც რწმენის მეშვეობით ამოქმედდება ადამიანში, თავად ცოდვილ მოტივაციებს კურნავს და ახალ ეგსისტენციალურ კატეგორიაში გადაყავს ადამიანი: ადამიანი ხდება „ახალი ქმნილება“. მართლაც, რა ადგილი აქვს აკრძალვით რჯულს მას მერე, რაც „ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში, სულიწმინდის საშუალებით, რომელიც მოგვეცა ჩვენ“ (რომ. 5:5). ისინი, ვინც მოსეს რჯულის საქმეებით ფიქრობს ხსნას და ადამიანის ღვთიური დანიშნულების მიღწევას, ანუ „ღვთის წინაშე გამართლებას“, პავლეს აზრით, ქრისტეს ჯვარს აუქმებენ. პავლესთვის ქრისტეს ჯვარი არის ხსნის სიმბოლო: როგორც ქრისტე მოკვდა ჯვარზე და აღდგა, ისე ქრისტეს მორწმუნე უნდა „მოკვდეს“ თავისი ცოდვისთვის და „აღდგეს“ განახლებული ცხოვრებისთვის ქრისტეში. ამდენად, რომაელთა მიმართ ეპისტოლეს რეფრენად გასდევს, რომ ადამიანი გადარჩება ამ ღვთიური ცხოვრებისთვის მხოლოდ რწმენით და არა რჯულის საქმეებით. ქრისტე, რომელიც ყველა წინასწარმეტყველისგან განსხვავებით მოვიდა დაუსაბამო უსასრულობიდან და თვითონ არის „ღმერთი ყოველთა ზედა“ (რომ. 9:5)(ძვ. ქართული უფრო კარგად გადმოსცემს ბერძნულ „ἐπὶ πάντων“-ს ვიდრე ახალი ქართული „ყველას თავზე“ ან ამბივალენტური „ყველაზე“) ერთადერთია, ვისაც შეუძლია ამ დაუსაბამობას აზიაროს ადამიანი და თავის ძმად და დად, ღმერთის შვილად აქციოს ის. რჯულის საქმეები მხოლოდ შემზადება იყო ამისთვის და უადგილოა მათზე მიწებება ქრისტეს გამოცხადების მერე, ისევე, როგორც წერა-კითხვის სასწავლი სავარჯიშოები ბავშვისთვის განათლების საწყის საფეხურზეა მოსახმარი, თორემ ზრდასრულ მწერალს ესენი აღარ სჭირდება. მაგრამ რჯულის ამგვარი გააბსოლუტება არა მარტო მცდარი, არამედ უკიდურესად სახიფათო იყო პავლეს აზრით, რადგან ეს ქრისტეს ღვაწლს შლიდა და ამით კაცობრიობას ახალი ცხოვრების საშუალებას ართმევდა. რჩეულობა პავლესთან აღარ არის დაკავშირებული ებრაელობასთან, არამედ რწმენის მეშვეობით ამ ახალ ცხოვრებაში მონაწილეობასთან, ნებისმიერი ერის, სქესისა თუ სოციალური სტატუსის ადამიანის მიერ ქრისტეს მადლის მიხედვით. თუმცა, პავლე არც იმას ივიწყებს, რომ ქრისტემდე ებრაელებს ჰქონდათ უნიკალური მისია, როგორც ღმერთის განსაკუთრებული წინასწარმეტყველური გამოცხადებების მიმღებებს და დამცველებს და როგორც იმ ერს, ვისგანაც ხორციელად არის იესო. ამიტომ ერთის მხრივ განსაკუთრებულ

გულისტკივილს გამოთქვამს იმ თანამემამულეების გამო, ვინც ქრისტე არ მიიღეს და წინასწარმეტყველებს, რომ ეს დაცილება ქრისტესგან არ იქნება მუდმივი, მეორეს მხრივ კი აფრთხილებს გაქრისტიანებულ წარმართებს რომ არ გაყოყოჩდნენ თავისი ქრისტეში ახლადმოპოვებული რჩეულობის გამო (რომ. 11:17-18).

როდესაც ამბობს, „არა საქმეებით, არამედ რწმენით", პავლე არ გულისხმობს, რომ ადამიანმა თუ ირწმუნა ქრისტე, მერე შეუძლია გულზე ხელი დაიკრიფოს და არაფერი აკეთოს. პირიქით, მასთან რწმენა, როგორც ვთქვით, არის გზა დაუკავშირდე ღვთიურ მადლს (ძალას/მოქმედებას) და ეს დაკავშირება აუცილებლად გულისხმობს შენს თანამოქმედებას ანუ სინერგიას ამ ძალასთან. ამიტომ პავლესთან უნდა განვასხვავოთ რჯულის საქმეები რწმენის სინერგიული საქმეებისაგან. როდესაც ამბობს, რომ ღმერთი საუკუნო სიცოცხლეს მისცემს მათ, ვინც „კეთილი საქმეების გამუდმებული კეთებით ეძებს დიდებას, პატივსა და უხრწნელობას" (რომ.2:7), ცხადია, რომ აქ პავლე არ გულისხმობს მოსეს რჯულის საქმეებს, არამედ სწორედ მადლის საქმეებს. ამ განსხვავებას თუ არ გავაკეთებთ, მაშინ გაგვიჩნდება არასწორი აზრი, რომ პავლე საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. ეს ეხება ტერმინ „რჯულსაც". პავლესთან ეს ტერმინი ერთი მხრივ ნიშნავს მოსეს რჯულს, მეორ მხრივ კი ქრისტეს მოსვლის შემდეგ გაჩენილ თავისუფლების ან მადლის რჯულს: „რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან" (რომ. 8:2). ამას გარდა, პავლე საუბრობს „ცოდვის რჯულზეც", რაც ნიშნავს ცოდვის ინერციას, ცოდვის ძალას, რომელიც თავის ლოგიკაზე („რჯულზე") ატარებს მას დამორჩილებულ ადამიანს (შდრ. რომ. 7:23). ასევე საუბრობს „გონების რჯულზე" (იქვე), რომელიც ალბათ იგივეს ნიშნავს, რაც ყველა ადამიანის გულში „დაწერილი" კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი (შდრ.რომ.2:15). ამიტომ, როცა გვიჩნდება აზრი, რომ პავლე თავის თავს ეწინააღმდეგება (რაც არ არის აპრიორი გამოსარიცხი ნებისმიერ ავტორთან), უნდა აუცილებლად დავადგინოთ რა ტერმინს და რა სემანტიკით იყენებს, რაც არცთუ ადვილია და ტექსტის ძალიან ფაქიზ ანალიზს გულისხმობს.

პავლე ხაზს უსვამს, რომ ღმერთის სიყვარული კაცობრიობის მიმართ არის ხსნის საფუძველი; ეს სიყვარული არის „მუქთა", ანუ, უპირობო საჩუქარი ღმერთისაგან (რომ.5:15: ἡ δωρεὰ ἐν χάριτι) და არ არის რამენაირად დამოკიდებული ადამიანის ძალისხმევაზე; ამიტომ ღმერთმა მანამდეც შეიყვარა კაცობრიობა, სანამ ის ცოდვაში იყო და ქრისტე ცოდვაში მყოფებისთვის მოკვდა (რომ. 5-8); მაგრამ რწმენა ითვალისწინებს გარკვეულ პიროვნულ ინიციატივასაც და თავისუფალი არჩევნის სივრცეს.

აქ ვუახლოვდებით ურთულეს საკითხს, რომელიც შემდგომში გახდა მიზეზი დიდი თეოლოგიური უთანხმოებისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდება: ერთი მხრივ, თუ მეტისმეტ აქცენტს აკეთებ ღმერთის მადლზე, შეიძლება მიხვიდე ადამიანის თავისუფალი ნების და პირადი ინიციატივის მნიშვნელობის, აქედან გამომდინარე კი პასუხისმგებლობის დამცირებამდე. მაშინ შეიძლება ისიც იფიქრო, რომ არა მარტო რჩეულობაა ღმერთზე დამოკიდებული, არამედ ისიც,

რომ ადამიანი არ ირჩევს ღმერთს, სიკეთეს და ამით მიხვიდე ღმერთის კაპრიზული ე.წ. „ორმაგი წინაგანზრახულობის“ თეორიამდე, რომლის მიხედვით ღმერთი ზოგ ადამიანს ცხონებისთვის და ზოგს კი წარწყმედისთვის განსაზღვრავს. მეორე უკიდურესობა კი არის ე.წ. პელაგიანიზმი (IV-V სს. ბრიტანელი თეოლოგის და ასკეტის, პელაგიუსის გამო), რის მიხედვითაც ადამიანის ინიციატივა და ძალისხმევა გადამწყვეტია ხსნის საქმეში, რაც შეიძლება ამცირებდეს ღმერთის მადლის და მისი „მუქთა“ სიყვარულის მნიშვნელობას. ამ ორ უკიდურესობას შორის არის რაღაც ზომიერი თეოლოგიური პოზიცია, რომლის განსაზღვრაც შეუძლებელია ქრისტეში ცხოვრების პირადი გამოცდილების გარეშე და ეს პირადი გამოცდილებაც, სწორედ იმიტომ, რომ თითოეული უნიკალური პიროვნების გამოცდილებაა, უამრავი ნიუანსის და სხვადასხვაობების შემცველი იქნება ადამიანიდან ადამიანამდე.

პავლეს ეპისტოლეში რომაელთა მიმართ არ არის ამ ურთულეს თეოლოგიურ საკითხზე მზამზარეული პასუხი. პავლე თვითონ აღიარებს, რომ მიადგა იმ საკითხს, რომელსაც ადამიანური ლოგიკით ძნელია პასუხი მოუძებნო. მართლაც, პავლეს თანამემამულეები, ებრაელები ელოდნენ მესიას, ეძებდნენ მას, მათი იყო ღვთივშთაგონებული წინასწარმეტყველების ტრადიცია, მაგრამ ვერ შეიცნეს ქრისტე და მოწყდნენ ზეთისხილს, ხოლო მათი ადგილი დაიკავეს არაბუნებრივმა ტოტებმა, ანუ წარმართებმა, რომლებიც არც ელოდნენ ქრისტეს (რომ.11:17). გამოდის, ასკვნის პავლე: „ეს დამოკიდებულია არა მსურველზე და არა მცდელზე, არამედ შემწყალე ღმერთზე“ (რომ.9:16). პავლეს ლოგიკა არ არის, რომ ღმერთში, რომელსაც უკლებლივ ყველას გადარჩენა და ჭეშმარიტებაში მოსვლა სურს (1 ტიმ. 2:1-4) შეიძლება იყოს რაღაც „კაპრიზი“, რომელიც ბოროტების მიზეზია, რადგან თვით ის, რაც ადამიანური ლოგიკით ბოროტებაა, ღვთიური ლოგიკით დიდ სიკეთეს ემსახურება და მისი მხოლოდდამხოლოდ კეთილი საბოლოო ჩანაფიქრის ნაწილია: „ახლა ისინიც (ქრისტეს არმრწმენი იუდევლები) ურჩობენ იმისათვის, რათა ისინიც შეწყალებულნი იქნენ იმ წყალობით, რომელიც თქვენ გეძლევათ, ვინაიდან ყველანი ურჩობაში ჩაკეტა ღმერთმა, რათა ყველანი შეიწყალოს“ (რომ. 12:31-32). მაგრამ როგორ ხდება ეს და რა განაპირობებს ღმერთის ამა თუ იმ ქმედებას, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი შეიძლება აღმოჩნდეს. ამდენად, პავლეს მსჯელობა გადის სასრულისა და უსასრულოს, ადამიანურისა და ღვთიურის ზღვარზე: „ო, ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! როგორი ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები!“ (რომ. 12:33).

ეპისტოლე რომაელთა მიმართ

თავი 1
მოკითხვა რომაელებს

1. **პავლე**, იესო ქრისტეს მონა, მოწოდებული მოციქული, ამორჩეული ღვთის სახარებისათვის,
2. რომელიც წინასწარ აღთქმული ჰქონდა თავის წინასწარმეტყველთა მიერ წმიდა წერილებში,
3. თავის ძეზე, რომელიც დავითის თესლისგან იშვა ხორციელად,
4. განწესებულზე ღვთის ძედ ძალაში სიწმიდის სულით, მკვდრეთით აღდგომისათვის, ჩვენს უფალ იესო ქრისტეზე,
5. რომლის მეოხებითაც მივიღეთ მადლი და მოციქულობა, რათა მისი სახელით დავუმორჩილოთ სარწმუნოებას ყველა ხალხი,
6. რომელთა შორის ხართ თქვენც, იესო ქრისტეს მიერ წოდებულნი;
7. ყველას, ვინც რომში იმყოფებით, ღვთის საყვარლებს, მოწოდებულ წმიდებს: მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისაგან და უფალ იესო ქრისტესაგან.

სურვილი რომში მისვლისა

8. პირველად ჩემს ღმერთს ვმადლობ იესო ქრისტეს მეოხებით ყველა თქვენგანისათვის, რადგან თქვენი რწმენა იხარება მთელ წუთისოფელში.
9. ჩემი მოწმეა ღმერთი, რომელსაც ჩემი სულით ვემსახურები მისი ძის სახარებით, რომ განუწყვეტლივ გიხსენებთ თქვენ.
10. მუდამ ვევედრები ჩემს ლოცვებში, რომ ოდესმე გავბედნიერდე ღვთის ნებით თქვენთან მოსვლით,
11. ვინაიდან ძალიან მსურს თქვენი ნახვა, რათა გიწილადოთ სულიერი ნიჭი თქვენს განსამტკიცებლად.
12. ესე იგი, თქვენთან ერთად ვინუგეშო ერთიანი რწმენით, რომელიც თქვენიც არის და ჩემიც.

13. მინდა იცოდეთ ძმებო, რომ მრავალჯერ განმიზრახავს თქვენთან მოსვლა, – მაგრამ აქამდე ვბრკოლდებოდი, – რათა თქვენშიც მქონოდა რაიმე ნაყოფი, როგორც დანარჩენ წარმართებში.
14. ბერძენთა და ბარბაროსთა, ბრძენთა და უგუნურთა მოვალე ვარ.
15. ამიტომ, რაც მე მეხება, მზად ვარ გახაროთ თქვენც, რომში მყოფთ.

სახარება არის ძალა ღვთისა

16. ვინაიდან მე არ მრცხვენია სახარებისა, რადგან ღვთის ძალაა იგი ყოველი მორწმუნის სახსნელად ჯერ იუდეველისა და მერე წარმართისაც.
17. მასში ცხადდება ღვთის სიმართლე რწმენიდან რწმენაში, როგორც წერია: „მართალი იცოცხლებს რწმენით“.

ღვთის რისხვა უწმიდურ ადამიანებზე

18. ვინაიდან ცხადდება ზეციდან ღვთის რისხვა ადამიანთა ყოველგვარ უღმერთობასა და უსამართლობაზე, უსამართლობით რომ აბრკოლებენ ჭეშმარიტებას.
19. იმიტომ, რომ ცხადია მათთვის, რაც ღმერთზე შეიძლება იცოდნენ, ვინაიდან ღმერთმა განუცხადა მათ.
20. ვინაიდან მისი უხილავი, მისი მარადიული ძალა და ღვთაება წუთისოფლის დასაბამიდან ქმნილებათა ხილვით შეიცნობა. ასე, რომ მათ პატიება არა აქვს.
21. რადგან შეიცნეს ღმერთი და არ ადიდეს, როგორც ღმერთი, არც მადლობდნენ, არამედ ამაო გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული.
22. თავიანთ თავს ბრძენთ უწოდებენ და გამოსულელდნენ.
23. და უხრწნადი ღვთის დიდება გაცვალეს ხრწნადი ადამიანის, ფრინველთა, ოთხფეხთა და ქვეწარმავალთა ხატების მსგავსებაში.
24. ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა უწმიდურებას მათი გულისთქმებით. რათა თავად შეებილწათ თავიანთი სხეულები.
25. რომელთაც ღვთის ჭეშმარიტება შეცვალეს სიცრუით, თაყვანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ ქმნილებას, ნაცვლად შემოქმედისა, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე. ამინ.
26. ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი ბუნებრივი წესი შეცვალეს ბუნების საწინააღმდეგოთი.

27. ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალის ბუნებრივი წესი და გახურდნენ ავხორცობით ერთიმეორის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სამარცხვინოს, და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიანთი ცდუნებისათვის.
28. და რაკი არ ცდილობდნენ ცოდნით ჰყოლოდათ ღმერთი, ღმერთმა ისინი გადასცა უკუღმართ გონებას დაუწესებლის საკეთებლად.
29. აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღრობით.
30. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი,
31. უგუნურნი, ვერაგნი, მიუნდობელნი, უყვარულნი და ულმობელნი.
32. იციან მათ ღვთის სამართალი, რომ ამის მოქმედნი სიკვდილს იმსახურებენ, მაგრამ არა მარტო აკეთებენ ამას, არამედ გამკეთებელსაც კვერს უკრავენ.

თავი 2
ღმერთთან არ არის მიკერძოება

1. **ამიტომ** თავს ვერ გაიმართლებ შენ, ადამიანო, ყოვლის განმკითხველო, რადგან რის გამოც სხვას განიკითხავ, შენს თავს სდებ მსჯავრს, ვინაიდან სხვისა განმკითხველი იმასვე სჩადიხარ.
2. ჩვენ კი ვიცით, რომ ჭეშმარიტების მიხედვით არის ღვთის სამსჯავრო ამის ჩამდენთათვის.
3. შენ კი, ადამიანო, რომელიც განიკითხავ ამის ჩამდენთ და თვითონ იმასვე აკეთებ, ნუთუ გგონია თავი დააღწიო ღვთის სამსჯავროს?
4. თუ უგულებელყოფ მისი სახიერების, თავშეკავებისა და სულგრძელობის სიმდიდრეს და ვერ შეგიგნია, რომ ღვთის სახიერებას მონანიებისკენ მიჰყავხარ?
5. ხოლო შენი სიჯიუტით და მოუნანიებელი გულით შენ თვითონვე იხვეჭ რისხვას ღვთის რისხვის, და მისი მართლმსაჯულების გამოცხადების დღეს,
6. რომელიც ყოველს თავისი საქმეების მიხედვით მიუზღავს:
7. მათ, ვინც კეთილი საქმის გამუდმებული კეთებით ეძებს დიდებას, პატივსა და უხრწნელობას – საუკუნო სიცოცხლეს;
8. ხოლო მათ, ვინც ჯიუტობს და ჭეშმარიტებას კი არ ემორჩილება, არამედ უსამართლობას – რისხვასა და გულისწყრომას.
9. ჭირი და შევიწროება ყოველი ადამიანის სულზე, ვინც ბოროტს სჩადის – იუდეველს ჯერ, და ბერძენსაც.

10. ხოლო დიდება, პატივი და მშვიდობა ყოველს, სიკეთის ჩამდენს – იუდეველს ჯერ, და ბერძენსაც.
11. რადგან ღმერთთან არ არსებობს მიკერძოება.
12. ისინი, ვინც რჯულის გარეშე შესცოდეს, რჯულის გარეშე დაიღუპებიან. ხოლო ისინი, ვინც რჯულით შესცოდეს, რჯულით განიკითხებიან.
13. იმიტომ, რომ რჯულის მსმენელნი კი არ არიან მართალნი ღმერთთან, არამედ რჯულის შემსრულებელნი გამართლდებიან,
14. ვინაიდან, როცა წარმართნი, რომელთაც რჯული არ გააჩნიათ, ბუნებით რჯულისმიერს აკეთებენ, თუმცა რჯული არა აქვთ, თავიანთი თავის რჯული არიან.
15. ისინი აჩვენებენ, რომ რჯულის საქმე გულებში უწერიათ, რასაც მოწმობს მათი სინდისი და აზრები, ხან ბრალს რომ სდებენ ერთიმეორეს და ხან ამართლებენ, –
16. იმ დღეს, როცა ჩემი სახარების მიხედვით, ღმერთი განიკითხავს ადამიანთა დაფარულ ფიქრებს იესო ქრისტეთი.

იუდეველები დანაშაულით სახელს უტეხენ ღმერთს

17. აჰა, შენ გქვია იუდეველი და დანდობილი ხარ რჯულზე და იკვეხნი ღმერთით,
18. იცი მისი ნება, არჩევ უკეთესს, ვინაიდან რჯულიდან გისწავლია.
19. და დარწმუნებული ხარ, რომ ბრმების მეგზური და ნათელი ხარ ბნელში მყოფთათვის.
20. უგუნურთა დამრიგებელი და ჩვილთა მოძღვარი, და გაქვს ცოდნისა და ჭეშმარიტების სახება რჯულში.
21. როგორაა, სხვებს რომ ასწავლი და საკუთარ თავს კი არ ასწავლი!
22. ჰქადაგებ: არ მოიპაროო, და იპარავ! ამბობ: არ იმრუშოო, და მრუშობ! კერპები გეზიზღება და მაინც მკრეხელობ!
23. რჯულით იკვეხნი და რჯულის დარღვევით ღმერთს შეურაცხყოფ.
24. რადგან თქვენი გულისათვის, როგორც წერია, ღვთის სახელი იგმობა წარმართებში.
25. ვინაიდან წინადაცვეთა სასარგებლოა, თუ რჯულს აღასრულებ; ხოლო თუ რჯულის დამრღვევი ხარ, შენი წინადაცვეთა წინადაუცვეთლობად იქცა.
26. მაშ, თუ წინადაუცვეთელი იცავს რჯულის წესებს, განა მისი წინადაუცვეთლობა წინადაცვეთად არ ჩაითვლება?
27. ბუნებით წინადაუცვეთელი, მაგრამ რჯულის დამცველი, განგიკითხავს შენ, შენი წერილითა და წინადაცვეთით რჯულის დამრღვევს.

28. ვინაიდან იუდეველი ის კი არ არის, ვინც გარეგნულადაა ასე, და არც წინადაცვეთილობაა ის, რაც გარეგნულადაა ხორცზე.
29. არამედ იუდეველია ის, ვინც დაფარულად არის, და წინადაცვეთილობაა ის, რაც გულით არის, სულში და არა ასოში. ვისი ქებაც კაცთაგან კი არა, ღვთისგანაა.

თავი 3
იუდეველთა უპირატესობა

1. **აბა**, რა არის იუდეველის უპირატესობა ან წინადაცვეთილობის სარგებლობა?
2. დიდია უპირატესობა ყოველნაირად, პირველ ყოვლისა: მათ აქვთ მინდობილი ღვთის სიტყვები.
3. თორემ რაა? თუ ზოგიერთებს არ სწამდა, განა მათი ურწმუნოება გააბათილებს ღვთის სარწმუნოებას?
4. არამც და არამც! ღმერთია ჭეშმარიტი და ყოველი ადამიანი – ცრუ, როგორც სწერია: „რათა გამართლდე შენს სიტყვებში, გაიმარჯვო შენი განკითხვისას“.
5. ხოლო თუ ჩვენი უსამართლობა გამოაჩენს ღვთის სიმართლეს, რაღა გვეთქმის? განა უსამართლოა ღმერთი, რომელიც მოავლენს რისხვას? ვლაპარაკობ ადამიანურად.
6. არამც და არამც! სხვაგვარად, როგორღა განიკითხოს ღმერთმა წუთისოფელი?
7. ვინაიდან, თუ ჩემი სიცრუით გამრავლდა მის სადიდებლად ღვთის ჭეშმარიტება, რაღად განვიკითხო როგორც ცოდვილი?
8. მაშ, ხომ არ ვაკეთოთ ბოროტი, რათა კეთილი გამოვიდეს? როგორც ზოგიერთები ავსიტყვაობენ ჩვენზე და ამბობენ, თითქოს ასე ვასწავლიდეთ? სამართლიანია განკითხვა ასეთებზე.
9. მაშ, რა? გვაქვს განა უპირატესობა? არავითარი, რადგან უკვე განვსაჯეთ, რომ იუდეველებიც და ბერძნებიც ცოდვის ქვეშ არიან.

არავინაა მართალი

10. როგორც წერია: „არავინ არის მართალი.
11. არავინ არის გონიერი, არავინ ეძებს ღმერთს.
12. ყველანი გზას ასცდნენ, აღარავინ გამოდგება. არ არის სიკეთის მქნელი, არ არის არავინ.
13. მათი ხორხი ღია სამარეა. ენებით ცრუობენ. მათ ბაგეებზე ასპიტის გესლია.
14. მათი პირი წყევლით და გესლით არის სავსე.

15. მათი ფეხები სწრაფია სისხლის დასაღვრელად.
16. ნგრევა და უბედურებაა მათ გზებზე
17. და მშვიდობის გზა არ იციან.
18. ღვთის შიში არ არის მათ თვალწინ“.
19. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ, რასაც რჯული ამბობს, რჯულის ქვეშ მყოფთათვის ამბობს, რათა დაიხშოს ყოველი ბაგე და მთელი წუთისოფელი ბრალდებული გახდეს ღვთის წინაშე.
20. იმიტომ, რომ რჯულის საქმეებით ვერავითარი ხორციელი ვერ გამართლდება მის წინაშე, ვინაიდან რჯულით შეიცნობა ცოდვა.

იუდეველთა და წარმართთა გამართლება

21. ხოლო ახლა, რჯულისგან დამოუკიდებლად გამოჩნდა ღვთის სიმართლე, რომელსაც მოწმობენ რჯული და წინასწარმეტყველნი.
22. ღვთის სიმართლე კი – იესო ქრისტეს რწმენით ყველა მორწმუნესადმი, ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას.
23. ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას.
24. და უსასყიდლოდ მართლდებიან მისი მადლით, ქრისტე იესოში გამოსყიდვით,
25. რომელიც წინდაწინ დააყენა ღმერთმა შენდობის მსხვერპლად რწმენის მეშვეობით, მისსავე სისხლში, რათა უწინ ჩადენილ ცოდვათა მიტევების მეოხებით გამოჩენილიყო მისი სიმართლე, ღვთის სულგრძელობაში.
26. რომ ამჟამად გამომზეურებულიყო მისი სიმართლე, რათა იგი იყოს მართალი და იესოს მორწმუნეთა გამმართლებელი.
27. სადღაა დასაკვეხნი? აღარ არსებობს. რომელი რჯულით? საქმეთა რჯულით? არა. არამედ რწმენის რჯულით.
28. რადგან მიგვაჩნია, რომ რწმენით მართლდება კაცი, რჯულის საქმეთაგან დამოუკიდებლად.
29. განა ღმერთი მარტო იუდეველთა ღმერთია, განა წარმართებისაც არა? დიახ, წარმართებისაც არის.
30. ვინაიდან ერთია ღმერთი, რომელიც ამართლებს წინადაცვეთილებს რწმენის გამო და წინადაუცვეთელებს – რწმენით.
31. მაშ, ჩვენ რწმენით ვაბათილებთ რჯულს? არამც და არამც. არამედ განვამტკიცებთ რჯულს.

თავი 4
აბრაამს რწმენა ჩაეთვალა სიმართლედ

1. **რა** ვთქვათ, აბრაამმა, ჩვენმა წინაპარმა ხორციელად მოიპოვა რაიმე?
2. თუ საქმეებით გამართლდა აბრაამი, დიდება მას, ოღონდ არა ღვთის წინაშე.
3. ვინაიდან, რას ამბობს წერილი? „ერწმუნა აბრაამი ღმერთს და ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას“.
4. გამკეთებელს საზღაური ჩაეთვლება არა მადლის, არამედ მოვალეობის მიხედვით.
5. ოღონდ არა გამკეთებელს, არამედ რომელსაც სწამს იგი, ვინც ამართლებს უკეთურს, თავისი რწმენა ჩაეთვლება სიმართლედ.
6. ასევე დავითიც ნეტარს უწოდებს ადამიანს, რომელსაც ღმერთი სიმართლეს უთვლის საქმეთაგან დამოუკიდებლად:
7. „ნეტარ არიან, ვისი ურჯულოებანიც მიტევებულია და ცოდვები დაფარული.
8. ნეტარ არს კაცი, რომელსაც უფალი არ ჩაუთვლის ცოდვას“.
9. მაშ, ეს ნეტარება წინადაცვეთაზეა თუ წინადაუცვეთლობაზეც? ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ აბრაამს რწმენა ჩაეთვალა სიმართლედ.
10. როდის ჩაეთვალა? წინადაცვეთილს თუ წინადაუცვეთელს? არა წინადაცვეთილს, არამედ წინადაუცვეთელს.
11. ხოლო წინადაცვეთის ნიშანი მიიღო როგორც ბეჭედი რწმენით გამართლებისა, რომელიც წინადაუცვეთლობისას ჰქონდა, რომ გამხდარიყო ყველა წინადაუცვეთელი მორწმუნის მამა, რათა მათაც ჩათვლოდათ სიმართლედ.
12. ასევე წინადაცვეთილთა მამა, ოღონდ არა მარტო წინადაცვეთილთა, არამედ მათიც, ვინც მიჰყვება ჩვენი მამის აბრაამის რწმენის კვალს, რაც ჯერ კიდევ წინადაუცვეთელობისას ჰქონდა.
13. ვინაიდან აბრაამს და მის თესლს არა რჯულით, არამედ რწმენის სიმართლით მიეცა აღთქმა ყოფილიყო წუთისოფლის მემკვიდრე.
14. თუ რჯულისაგანნი არიან მემკვიდრენი, რწმენა ამაოა და აღთქმა – უსარგებლო.
15. ვინაიდან რჯული წარმოქმნის რისხვას, რადგან სადაც რჯული არ არის, იქ არც დანაშაულია.
16. მაშ, რწმენით, რომ ყოფილიყო მადლით, – რათა აღთქმა მტკიცე იყოს მთელი თესლისათვის: არა მარტო რჯულით თესლისთვის, არამედ რწმენით აბრაამის თესლისათვისაც, ვინც ყველა ჩვენგანის მამაა.
17. როგორც წერია: „მე დაგაყენე მრავალი ერის მამად“ ღვთის წინაშე, რომელსაც იგი ერწმუნა, ღმერთს, რომელიც მკვდრებს აცოცხლებს და არყოფილს ყოფად მოუწოდებს.

18. რომელიც უიმედობაში ერწმუნა იმედით, რათა გამხდარიყო იგი მრავალი ხალხის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი თესლი“.
19. არ შესუსტებულა რწმენაში, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო.
20. მაგრამ იგი არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნობით, არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს.
21. და გულდაჯერებული იყო, რომ ის, ვინც აღუთქვა, შესრულებასაც შეძლებდა.
22. ამიტომაც ჩაეთვალა მას სიმართლედ.
23. და არა მარტო მისი გულისათვის არის დაწერილი, რომ ჩაეთვალა მას,
24. არამედ ჩვენი გულისთვისაც: ჩაგვეთვლება ჩვენც, იმის მორწმუნეებს, ვინც მკვდრეთით აღადგინა ჩვენი უფალი იესო,
25. რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის და აღდგა ჩვენდა გამართლებად.

თავი 5
მშვიდობა ღმერთთან რწმენით, ქრისტეს მეშვეობით

1. **და** რაკი რწმენით გავმართლდით, მშვიდობა გვაქვს ღმერთთან ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ,
2. რომლის მეშვეობითაც რწმენით მოვიპოვეთ მისადგომი ამ მადლთან, რომელშიც ვდგავართ და ვიქადით ღვთის დიდების იმედით.
3. და არა მარტო ამით, არამედ ჭირითაც ვიქადით, რადგან ვიცით, რომ ჭირი შეიქმს მოთმინებას,
4. მოთმინება – სიმტკიცეს, სიმტკიცე – იმედს,
5. ხოლო იმედი არ არის შემარცხვენელი, ვინაიდან ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში, სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ.
6. ვინაიდან ქრისტე, როცა ჯერ კიდევ უძლურნი ვიყავით, დროულად მოკვდა უკეთურთათვის.
7. ძნელად თუ ვინმე მოკვდება მართლისათვის, ხოლო კეთილთათვის, შესაძლოა, ვინმემ კიდევ გაბედოს სიკვდილი.
8. მაგრამ ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით.
9. ახლა კი, როცა მისი სისხლით გავმართლდით, მით უფრო გადავურჩებით რისხვას მისი წყალობით.
10. ვინაიდან, თუ მისი ძის სიკვდილით შევურიგდით ღმერთს, როცა მტრები ვიყავით, მით უმეტეს, შერიგებულნი გადავრჩებით მისი სიცოცხლით.

11. უფრო მეტიც, ვიქადით ღმერთით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით, რომლის წყალობითაც მივიღეთ ახლა შერიგება.

ადამიანით სიკვდილი, ქრისტეთი სიცოცხლე

12. ამიტომ, როგორც ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა წუთისოფელში, ხოლო ცოდვის მიერ – სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, რადგან ყველამ შესცოდა.
13. ვინაიდან რჯულამდეც იყო ცოდვა წუთისოფელში, მაგრამ, თუ რჯული არ არის, ცოდვა არ ითვლება.
14. მაგრამ სიკვდილი სუფევდა ადამიდან მოსემდე მათზეც, რომელთაც არ შეუცოდავთ, როგორც შესცოდა ადამმა, რომელიც მომავლის სახეა.
15. მაგრამ მადლი არაა დანაშაულივით, რადგან თუ ერთის დანაშაულით მრავალი გაწყდა, მით უმეტეს, ბევრად ჭარბობს მრავალთა მიმართ ღვთის მადლი და ნიჭი ერთი კაცის, იესო ქრისტეს მადლით.
16. ხოლო ნიჭიც იგივე არ არის, რაც შედეგი ერთი შემცოდებლისაგან, ვინაიდან მსჯავრი ერთისაგან გამოდის განსაკითხავად, ნიჭი მადლისა კი მრავალი დანაშაულის გასამართლებლად.
17. ვინაიდან, თუ ერთის დანაშაულით სიკვდილი სუფევდა ერთის მიერ, მით უმეტეს ისინი, რომლებიც უხვად მიიღებენ მადლს და სიმართლის ნიჭს, იმეფებენ ცხოვრებაში ერთის, იესო ქრისტეს მეშვეობით.
18. ამრიგად, თუ ერთის დანაშაულით ყველა ადამიანს დაედო მსჯავრი, ასევე ერთის სიმართლით ყველა ადამიანი გამართლდება სასიცოცხლოდ.
19. ვინაიდან, როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი, ასევე ერთის მორჩილებით ბევრი გახდება მართალი.
20. რჯული კი შემდეგ შემოვიდა, რათა გამრავლებულიყო დანაშაული. ხოლო სადაც ცოდვა გამრავლდა, უფრო გაუხვდა მადლი.
21. რათა, როგორც ცოდვა მეფობდა სიკვდილით, ასევე მადლს ემეფა სიმართლის მეოხებით მარადიული სიცოცხლისათვის ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ.

თავი 6
ქრისტეში მონათლულები ცოდვებს მოვუკვდით

1. **რაღა** ვთქვათ? დავრჩეთ ცოდვაში, რათა მადლი გამრავლდეს? არამც და არამც.
2. ჩვენ, რომელნიც მოვუკვდით ცოდვას, როგორღა ვიცხოვროთ მასში?

3. ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ?
4. ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით.
5. ვინაიდან, თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას.
6. რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის მონები.
7. ვინაიდან, ვინც მოკვდა, ცოდვისაგან თავისუფალია.
8. და თუ ჩვენ ქრისტესთან დავიხოცენით, გვწამს, რომ მასთან ვიცოცხლებთ კიდეც,
9. რადგან ვიცით, რომ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე აღარ კვდება და სიკვდილი აღარ უფლობს მასზე.
10. ვინაიდან, ის რომ მოკვდა, ცოდვისათვის მოკვდა ერთხელ, ხოლო რომ ცოცხლობს, ღვთისათვის ცოცხლობს.
11. თქვენც ასევე ჩათვალეთ თქვენი თავი ცოდვისათვის მკვდრებად და ღვთისათვის ცოცხლებად ქრისტე იესოში.

არა ცოდვის, არამედ სიმართლის მონები

12. მაშ, ნუ იმეფებს ცოდვა თქვენს მოკვდავ სხეულში მის გულისთქმათა მორჩილებად.
13. ნურც მისცემთ თქვენს ასოებს ცოდვას უსამართლობის იარაღად, არამედ მიართვით ღმერთს თქვენი თავი, როგორც მკვდრეთით გაცოცხლებულნი და თქვენი ასოები სიმართლის იარაღად ღმერთს.
14. ვინაიდან ცოდვა ვეღარ იმეფებს თქვენზე, რადგან თქვენ რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ხართ.
15. მაშ, ახლა რა? ხომ არ ვცოდოთ, რაკი რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ვართ? არამც და არამც.
16. ნუთუ არ იცით, რომ ვისაც თქვენს თავს მისცემთ მონებად მორჩილებისათვის, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა სიმართლისათვის.
17. ხოლო მადლობა ღმერთს, რომ თქვენ, ადრე ცოდვის მონები, შემდგომ გულით დაემორჩილეთ იმ სახის მოძღვრებას, რომელსაც თქვენი თავი გადაეცით.
18. გათავისუფლდით რა ცოდვისაგან, სიმართლის მონები გახდით.
19. ადამიანურად ვამბობ თქვენი ხორცის უძლურების გამო: როგორც გადასცემდით თქვენს ასოებს მონებად უწმიდურებას და ურჯულოებას ურჯულოების-

თვის, ასევე ახლა გადაეცით თქვენი ასოები მონებად სიმართლეს – განსაწმედელად.

20. რადგან, როცა ცოდვის მონები იყავით, მაშინ თავისუფალნი იყავით სიმართლისაგან.
21. აბა, რა ნაყოფი გქონდათ მაშინ? საქმეები, რომელთა გამო ახლა გრცხვენიათ, ვინაიდან მათი ბოლო სიკვდილია.
22. ახლა კი, როცა თავისუფლები ხართ ცოდვისაგან და ღვთის მონები გახდით, თქვენი ნაყოფი სიწმიდეა, ხოლო ბოლო – მარადიული სიცოცხლე.
23. ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის მადლი – მარადიული სიცოცხლე ჩვენს უფალში, ქრისტე იესოში.

თავი 7
რჯულს მოვუკვდით

1. **ანდა**, განა არ იცით, ძმებო, – რადგან რჯულის მცოდნეებს ველაპარაკები, – რომ რჯული მეფობს ადამიანზე, ვიდრე ის ცოცხალია?
2. რადგან ქმრიანი დედაკაცი რჯულით დაკავშირებულია ცოცხალ ქმართან, ხოლო თუ ქმარი მოკვდება, თავისუფალია ქმრის რჯულისაგან.
3. ამიტომ, თუ ქმრის სიცოცხლეში სხვა ქმრისა გახდება, მრუში ეწოდება. ხოლო თუ ქმარი მოკვდება, რჯულისაგან თავისუფალია და სხვა კაცისად გახდომა მრუშობად არ ჩაეთვლება.
4. ამრიგად, ჩემო ძმებო, თქვენც რჯულისათვის დაიხოცენით ქრისტეს სხეულით, რომ ეკუთვნოდეთ სხვას, მკვდრეთით აღმდგარს, რათა ნაყოფი მოვუტანოთ ღმერთს.
5. ვინაიდან, როცა ხორცში ვიყავით, რჯულის მიერ ცოდვის ვნებანი მოქმედებდნენ ჩვენს ასოებში, რომ სიკვდილის ნაყოფი გამოგვეღო.
6. ახლა კი, რჯულისათვის მკვდრები, გავთავისუფლდით მისგან, რითაც შეპყრობილნი ვიყავით, რათა ვემსახუროთ ღმერთს განახლებული სულით და არა დაძველებული ასოთი.
7. მაშ, რაღას ვიტყვით? ნუთუ რჯული ცოდვაა? არამც და არამც; ოღონდ სხვანაირად არ შემიცვნია ცოდვა, თუ არა რჯულის მეოხებით, ვინაიდან ვერც გულისთქმას შევიცნობდი, რჯულს რომ არ ეთქვა: „არ ისურვო“.
8. ხოლო ცოდვამ მცნებიდან აიღო საბაბი და ჩემში წარმოქმნა ყოველგვარი სურვილი. ვინაიდან ცოდვა რჯულის გარეშე მკვდარია.
9. ხოლო მე ოდესღაც ვცხოვრობდი რჯულის გარეშე და, როცა მცნება მოვიდა, ცოდვა გაცოცხლდა.

10. მე კი მოვკვდი. ხოლო მცნება, რომელიც მოცემული იყო სასიცოცხლოდ, სასიკვდილო გამოდგა ჩემთვის,
11. რადგან ცოდვამ მცნებისგან აიღო საბაბი, მაცდუნა და მომკლა მისი მეშვეობით.
12. ამრიგად, რჯული წმიდაა, მცნებაც წმიდაა, მართალი და კეთილი.
13. ნუთუ სიკეთე სიკვდილად მექცა? არამც და არამც. მაგრამ ცოდვა იმიტომ აღმოჩნდა ცოდვად, რომ კეთილის მეშვეობით მოაქვს ჩემთვის სიკვდილი, რათა ცოდვა მეტისმეტად ცოდვილი იყოს მცნების მეშვეობით.
14. რადგან ვიცით, რომ რჯული სულიერია, მე კი – ხორციელი, ცოდვისადმი მიყიდული.
15. ვინაიდან რას ვაკეთებ, არ ვიცი: იმიტომ, რომ იმას არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ, რაც მძულს, იმას ვაკეთებ.
16. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არ მსურს, ვეთანხმები რჯულს, რომ ის კეთილია.
17. მაშასადამე, მე კი აღარ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემში იმყოფება.
18. ვინაიდან ვიცი, რომ ჩემში, ესე იგი, ჩემს სხეულში, არ იმყოფება კეთილი; ასე რომ, სურვილი არის ჩემში, მაგრამ კეთილის კეთება – არა.
19. ვინაიდან არ ვაკეთებ კეთილს, რომელიც მსურს, არამედ ვაკეთებ ბოროტს, რომელიც არ მსურს.
20. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მსურს, მე კი აღარ ვაკეთებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია დამკვიდრებული.
21. ამრიგად, ვპოულობ ამ რჯულს: კეთილის გაკეთება მსურს და ბოროტი გვერდით მიწევს.
22. ვინაიდან შინაგანი ადამიანის მიხედვით მეამება ღვთის რჯული.
23. მაგრამ ჩემს ასოებში მე ვხედავ სხვა რჯულს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩემი გონების რჯულს და მხდის ჩემს ასოებში მყოფი ცოდვის რჯულის ტყვედ.
24. უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან?
25. ვმადლობ ღმერთს ჩვენი უფლის ქრისტე იესოს მიერ. აჰა, მე თავად ჩემი გონებით ღვთის რჯულს ვემონები, ხოლო სხეულით – ცოდვის რჯულს.

თავი 8
ცხოვრება არა ხორციელად, არამედ სულიერად

1. **ამიტომ** ახლა არავითარი მსჯავრი არ არის მათზე, რომლებიც ქრისტე იესოში ცხოვრობენ არა ხორციელად, არამედ სულიერად.
2. რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან.

3. ვინაიდან, რაკი ვერა შეძლო ხორცის მიერ დაუძლურებულმა რჯულმა, ღმერთმა მოავლინა თავისი ძე ცოდვილი ხორცის მსგავსებაში და ცოდვის გამო მსჯავრი დასდო ცოდვას ხორცში,
4. რათა აღსრულდეს რჯულის სიმართლე ჩვენში, რომლებიც ვცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად.
5. ვინაიდან ისინი, რომლებიც ხორციელად არიან, ხორციელზე ფიქრობენ, ხოლო რომლებიც სულიერად არიან – სულიერზე.
6. რადგან ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები – სიცოცხლე და მშვიდობა.
7. იმიტომ, რომ ხორციელი ფიქრები ღვთის მტრობაა, ვინაიდან არ ემორჩილება ღვთის რჯულს და არც შეუძლია.
8. ამიტომ, მათ რომელნიც ხორციელად ცხოვრობენ, არ ძალუძთ აამონ ღმერთს.
9. თქვენ კი ცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად, თუკი ღვთის სული ცხოვრობს თქვენში. ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის.
10. და თუ ქრისტე თქვენშია, სხეული მკვდარია ცოდვისათვის, ხოლო სული ცოცხალია სიმართლისათვის.
11. ხოლო თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული.

ღვთის სულით მავალნი ღვთის შვილები არიან

12. ამიტომ, ძმებო, ჩვენ ხორცის მოვალენი არა ვართ, რომ ხორციელად ვიცხოვროთ.
13. ვინაიდან, თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოცხლებთ.
14. რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წარიმართებიან, ღვთის შვილები არიან.
15. ვინაიდან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშით იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: „აბბა, მამაო!“
16. სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ.
17. ხოლო თუ შვილები – მემკვიდრენიც, ღვთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუ სინამდვილეში მასთან ერთად ვიტანჯებით, რათა მასთან ერთად ვიდიდოთ კიდეც.
18. ვინაიდან ვფიქრობ, რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც გამოვლინდება ჩვენს მიმართ.
19. ვინაიდან ქმნილება იმედით მოელის ღვთის შვილთა გამოცხადებას.

20. რადგან ქმნილება თავისი ნებით კი არ დაემორჩილა ამაოებას, არამედ მისი დამმორჩილებლის მიერ სასოებით.
21. რომ თვით ქმნილებაც გათავისუფლდება ხრწნილების მონობისაგან ღვთის შვილთა დიდების თავისუფლებისათვის.
22. ვინაიდან ვიცით, რომ მთელი ქმნილება ერთად კვნესის და იტანჯება აქამდე
23. და არა მარტო ის, არამედ ჩვენც, რომელთაც სულის პირველი ნაყოფები გვაქვს, ჩვენ თვითონაც ვკვნესით ჩვენს თავში, მოველით რა შვილებას და ჩვენი სხეულის გამოსყიდვას.
24. ვინაიდან სასოებით ვიქენით დახსნილნი, ხოლო ხილული სასოება არ არის სასოება, ვინაიდან, თუკი ხედავს კაცი, რაღას ესავს?
25. ხოლო თუ იმის სასოება გვაქვს, რასაც ვერ ვხედავთ, მოთმინებით მოველით მას.

ჩამოშორება ღვთის სიყვარულისგან შეუძლებელია

26. ასევე სულიც გვეხმარება ჩვენს უძლურებაში. ვინაიდან არ ვიცით, რისთვის ვილოცოთ, როგორ შეეფერება, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით.
27. ხოლო გულთამხილავმა იცის, რა არის სულის ზრახვა, იმიტომ, რომ იგი ღვთის ნებით შუამდგომლობს წმიდათათვის.
28. ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველივე ეწევა სასიკეთოდ.
29. ვინაიდან, რომელნიც წინასწარ იცნო, მათ წინასწარვე განუსაზღვრა თავისი ძის ხატების მსგავსად ყოფნა, რათა იყოს იგი პირმშო მრავალ ძმას შორის.
30. ხოლო ვისაც განუსაზღვრა, მათ მოუწოდა კიდეც და, ვისაც მოუწოდა, ისინი გაამართლა კიდეც. და ვინც გაამართლა, ისინი განადიდა კიდეც.
31. ამაზე რაღა ვთქვათ? თუ ღმერთი ჩვენთვის არის, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ?
32. ის, ვინც თავისი საკუთარი ძე არ დაინდო, არამედ გასწირა ჩვენთვის, განა მასთან ერთად ყოველივეს არ გვაჩუქებს?
33. ვინ გაამტყუნებს ღვთის რჩეულებს? ღმერთია გამმართლებელი.
34. ვინ დასდებს მსჯავრს? ქრისტე იესო, რომელიც მოკვდა და, მეტიც, რომელიც აღდგა მკვდრეთით, ღვთის მარჯვნივ არის და ის შუამდგომლობს ჩვენთვის.
35. ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, ანდა მახვილი?

36. როგორც წერია: „რადგან შენს გამო გვხოცავენ ყოველდღე, დასაკლავ ცხვრებად ვართ შერაცხილნი“.
37. მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით.
38. და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მყოფადი,
39. ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში.

თავი 9
პავლეს მწუხარება ისრაელიანებზე

1. **ჭეშმარიტებას** ვლაპარაკობ ქრისტეში, არა ვცრუობ, ჩემი სინდისი მიმოწმებს სულიწმიდაში,
2. რომ დიდია ჩემდა მწუხარება და განუწყვეტელია ჩემი გულის ტანჯვა.
3. ნეტავ მე თვითონ ვყოფილიყავი ქრისტესაგან განდგომილი ჩემი ძმების – ხორციელი ნათესავებისათვის,
4. რომელნიც ისრაელიანები არიან და ეკუთვნით შვილება და დიდება, აღთქმანი და რჯულმდებლობა, მსახურებანი და დაპირებანი.
5. მათნი არიან მამანი და მათგანაა ხორციელად ქრისტე, რომელიც არის ღმერთი ყოველთა ზედა, უკუნისამდე კურთხეული, ამინ.

აღთქმის შვილები ითვლებიან ღვთის შვილებად

6. მაგრამ არა ისე, რომ ღვთის სიტყვა დაეცა, ვინაიდან ვინც ისრაელისაგან არის, ყველა ისრაელიანი როდია.
7. და ყველა, ვინც აბრაამის თესლია, როდია მისი შვილი, ვინაიდან ნათქვამია: „ისაკში იქნება წოდებული შენი თესლი“.
8. ესე იგი, არა ეს ხორციელი შვილები არიან ღვთის შვილები, არამედ აღთქმის შვილები ითვლებიან თესლად.
9. რადგან ასეთია აღთქმის სიტყვა, როგორც ნათქვამია: „ამ დროს მოვალ და სარას ეყოლება ძე“.
10. არა მხოლოდ ეს, არამედ რებაკასაც ერთისაგან, ჩვენი მამის, ისაკისაგან ჩაესახა.
11. ვინაიდან ჯერ კიდევ დაბადებულნი არ იყვნენ მისი შვილები და ჯერ კიდევ არაფერი ჰქონდათ გაკეთებული კარგი ან ცუდი, რომ ღვთის განზრახვა მისი არჩევნის თანახმად მომხდარიყო;

12. არა საქმეთაგან, არამედ მომწოდებლისაგან ეთქვა მას: „უფროსი დაემონება უმცროსს“.
13. როგორც წერია: „შევიყვარე მე იაკობი, ხოლო ესავი შევიძულე“.

ღვთის მადლით არიან მოწოდებულნი, იუდეველიც და წარმართიც

14. თუ ასეა, რაღა ვთქვათ? ნუთუ უსამართლობაა ღმერთთან? არამც და არამც.
15. რადგან მოსეს ეუბნება: „ვინც მსურს შევიწყალო, შევიწყალებ, და ვინც მსურს შევიწყნარო, შევიწყნარებ“.
16. ამრიგად, ეს დამოკიდებულია არა მსურველზე და არა მცდელზე, არამედ შემწყალე ღმერთზე.
17. ვინაიდან წერილი ეუბნება ფარაონს: „სწორედ ამისათვის დაგაყენე შენ, რომ შენზე ვაჩვენო ჩემი ძალა, რათა განითქვას ჩემი სახელი მთელ დედამიწაზე“.
18. ამრიგად, ვინც სურს, შეიწყალებს, და ვინც სურს, გააჯიუტებს.
19. შენ მეტყვი: „აბა, რაღას გვდებს ბრალს? მის ნებას ვინ აღუდგება წინ?“
20. ვინ ხარ შენ, ადამიანო, რომ ეკამათები ღმერთს? განა ქმნილება ეტყვის შემოქმედს: რატომ შემქმენიო ასე?
21. ნუთუ მეკეცეს უფლება არა აქვს თიხაზე, რომ თავისი მოზელილი თიხიდან ზოგი საპატიო ჭურჭელი გააკეთოს, ზოგიც უპატიო?
22. მაშ რა, თუ ღმერთი, რომელსაც სურს თავისი რისხვის ჩვენება და ძლიერების უწყება, მრავალი სულგრძელობით ითმენს დასაღუპავად გამზადებულ რისხვის ჭურჭლებს,
23. რათა გამოაჩინოს თავისი დიდების სიუხვე წყალობის ჭურჭლებზე, რომლებიც წინასწარ გაამზადა სადიდებლად,
24. ჩვენზე, რომელთაც მოგვიწოდა არა მარტო იუდეველთაგან, არამედ წარმართთაგანაც?
25. როგორც ოსიასთანაც ამბობს: „არა ჩემს ერს ვიტყვი ჩემს ერად და არა საყვარელს – საყვარლად“.
26. და იმ ადგილზე, სადაც მათ ეთქვათ: „თქვენ ჩემი ერი არა ხართ, – იქ ეწოდებათ ცოცხალი ღვთის ძენი“.
27. ხოლო ესაია ღაღადებს ისრაელზე: „ისრაელიანთა რიცხვი ზღვის ქვიშასაც რომ ედრებოდეს, ნაწილი გადარჩება“.
28. რადგან თავის სიტყვას ბოლომდე და დაუყოვნებლივ შეასრულებს უფალი დედამიწაზე.

29. და როგორც ესაიამ წინასწარ: „უფალ ცაბაოთს რომ არ დაეტოვებინა ჩვენი თესლი, ვიქნებოდით სოდომელებივით და დავემსგავსებოდით გომორელებს“.

წარმართებმა რწმენით, იუდეველებმა საქმეებით ვერ მიაღწიეს

30. მაშ, რაღა ვთქვათ? წარმართებმა, რომლებიც სიმართლეს არ მისდევდნენ, მიიღეს სიმართლე – სიმართლე რწმენისაგან.
31. ხოლო ისრაელმა, რომელიც სიმართლის რჯულს ეძებდა, ვერ მიაღწია სიმართლის რჯულს.
32. რატომ? იმიტომ, რომ რწმენაში კი არ ეძებდა, არამედ რჯულის საქმეებში; ვინაიდან შებრკოლდნენ შებრკოლების ლოდზე,
33. როგორც წერია: „აჰა, დავდებ სიონში შებრკოლების ლოდს და საცდურის კლდეს; და ყოველი, ვისაც სწამს იგი, არ შერცხვება“.

თავი 10

სამართალი და ხსნა მხოლოდ რწმენით

1. **ძმებო**! ჩემი გულის სურვილი და ჩემი ვედრება ღვთისადმი ისრაელისათვის არის, რათა გადარჩნენ.
2. ვინაიდან ვუმოწმებ მათ, რომ აქვთ გულმოდგინება ღვთისადმი, ოღონდ არა შეგნებულად.
3. რადგან ღვთის სიმართლე ვერ შეიცნეს და ცდილობდნენ საკუთარი სიმართლის დადგენას და ღვთის სიმართლეს არ დაემორჩილნენ.
4. ვინაიდან ქრისტეა რჯულის დასასრული ყოველი მორწმუნის გასამართლებლად.
5. მოსე რჯულის სამართლიანობაზე წერს, რომ მისი შემსრულებელი კაცი მისით იცოცხლებს.
6. ხოლო რწმენისმიერი სამართლიანობა ასე ამბობს: „ნუ იტყვი შენს გულში: ვინ ავა ზეცაში?“ ესე იგი, ქრისტეს ჩამოსაყვანად.
7. ანდა: „ვინ ჩავა უფსკრულში?“ ესე იგი, ქრისტეს მკვდრეთით ამოსაყვანად.
8. მაგრამ რას ამბობს იგი? „ახლოა შენთან სიტყვა, შენს ბაგეში და შენს გულში“, ესე იგი, რწმენის სიტყვა, რომელსაც ვქადაგებთ.
9. იმიტომ რომ, თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები.

10. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად.
11. რადგან წერილი ამბობს: „ყოველი მისი მორწმუნე არ შერცხვება“.
12. ამაში არ არის განსხვავება იუდეველსა და წარმართს შორის, ვინაიდან ერთი უფალი არის ყველაზე. ის უხვია ყველასათვის, ვინც მას მოუხმობს.
13. რადგან ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება.
14. სახარება ეხარებოდა ისრაელიანებსაც, მაგრამ ისინი არ იყვნენ მორჩილნი
15. მაგრამ როგორ მოუხმონ მას, ვინც არ იწამეს? როგორ ირწმუნონ, ვის შესახებაც არ სმენიათ? როგორ მოისმინონ მქადაგებლის გარეშე?
16. და როგორ იქადაგონ, თუ წარგზავნილები არ არიან? როგორც წერია: „რა მშვენიერია სიკეთის მახარებელთა ფერხნი!“
17. მაგრამ ყველამ როდი ისმინა სახარება. რადგან ესაია ამბობს: „უფალო, ვინ ირწმუნა ჩვენგან მოსმენილი?“
18. ამრიგად, რწმენა – მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა – ქრისტეს სიტყვისაგან.
19. მაგრამ ვამბობ: ნუთუ არ მოუსმენიათ? პირიქით, მთელ დედამიწას მოედო მათი ხმა და ქვეყნის კიდეებს – მათი სიტყვები.
20. მაგრამ ვამბობ: ნუთუ ისრაელმა არ იცოდა? პირველად მოსე ამბობს: „მე გავაღვივებ თქვენში შურს არა-ერით, გაგარისხებთ უგუნური ერით“.
21. ხოლო ესაია გაბედულად ამბობს: „მიპოვეს მათ, ვინც არ მეძებდა. გამოვეცხადე მათ, ვინც არ მკითხულობდა“.
22. ხოლო ისრაელს ეუბნება: „მთელ დღეს ვიწვდიდი ჩემს ხელებს ურჩი და გაუგონარი ხალხისაკენ“.

თავი 11
მადლის არჩევით ინახება ნაშთი

1. **მაშ**, ვამბობ: ნუთუ ღმერთმა უარყო თავისი ხალხი? არამც და არამც. რადგან მეც ისრაელი ვარ, აბრაამის თესლისაგან, ბენიამინის ტომისაგან.
2. არ უარუყვია ღმერთს თავისი ხალხი, რომელიც წინასწარ იცნო. განა არ იცით, რას ამბობს წერილი ელიას შესახებ, როგორ ჩივის ისრაელზე ღვთის წინაშე და ამბობს:
3. „უფალო! შენი წინასწარმეტყველნი ამოხოცეს და შენი სამსხვერპლოები დაანგრიეს. დავრჩი მარტო მე, და ჩემს მოკვლას ცდილობენ“.
4. მაგრამ რას ეუბნება მას ღვთის პასუხი? „დავიტოვე მე ჩემთვის შვიდი ათასი კაცი, რომელთაც მუხლი არ მოიდრიკეს ბაალის წინაშე“.
5. ასევე ახლანდელ დროშიც მადლისმიერი ამორჩევით დარჩა ნატამალი.

6. ხოლო თუ მადლით, უკვე არა საქმეებით, თორემ მადლი აღარ იქნება მადლი. ხოლო თუ საქმეებით იყო, ეს უკვე მადლი აღარ არის. თორემ საქმე აღარ არის საქმე.
7. მაშ რა? რასაც ეძებდა ისრაელი, ვერ მიაღწია. მხოლოდ რჩეულებმა მიაღწიეს, დანარჩენები კი გაგულქვავდნენ.
8. როგორც წერია: „მისცა მათ ღმერთმა უგრძნობლობის სული, თვალები, რათა არ ხედავდნენ, და ყურები, რათა არ ესმოდეთ დღევანდელ დღემდე“.
9. ხოლო დავითი ამბობს: „მათი სუფრა იყოს მახე, ბადე და საცდური და მათდა მისაგებელი,
10. დაიბინდოს მათი თვალები, რათა ვერ ხედავდნენ, ხოლო მათი ხერხემალი სამუდამოდ მრუდი იყოს“.

ისრაელიანთა დაცემით წარმართების ხსნა

11. მაშ, ვამბობ: იმდენად უნდა წაბორძიკდნენ, რომ დაეცნენ? არამც და არამც. მაგრამ მათი დაცემით ხსნა ეღირსათ წარმართებს, რათა აღძრულიყო მათში შური.
12. და თუ მათი დაცემა წუთისოფლის სიმდიდრეა და მათი დამცრობა – წარმართთა სიმდიდრე, მით უმეტეს მათი სავსება.
13. ხოლო თქვენ გეუბნებით, წარმართნო: რამდენადაც წარმართთა მოციქული ვარ, ჩემს მსახურებას ვადიდებ.
14. ნეტა შემძლებოდა შურის გაღვივება ჩემს ახლობლებში და ზოგიერთი მათგანის ხსნა.
15. ვინაიდან, თუ მათი განდევნა ღმერთთან წუთისოფლის შერიგებაა, აბა, რაღა იქნება მათი მიღება, თუ არა სიცოცხლე მკვდართაგან?
16. თუ პირველი ნაყოფი წმიდაა, მაშ, ცომიც; და თუ ფესვი წმიდაა, მაშ, რტოც.
17. ხოლო თუ ზოგი რტო გადატყდა და შენ, გარეულო ზეთისხილო, დაემყენ მათ ადგილას და გახდი ზეთისხილის ფესვისა და წვენის თანაზიარი,
18. ნუ იამპარტავნებ რტოთა წინაშე. ხოლო თუ იამპარტავნებ, იცოდე, შენ კი არ გიკავია ფესვი, არამედ ფესვს უკავიხარ შენ.
19. შენ იტყვი: რტოები გადატყდნენ, რათა მე დავემყნაო!
20. კეთილი. ისინი გადატყდნენ, ვინაიდან არ სწამდათ, შენ კი დგახარ რწმენით; ნუ გაამაყდები, არამედ გეშინოდეს.
21. ვინაიდან, თუ ღმერთმა არ დაინდო ბუნებრივი რტოები, შენც არ დაგინდობს.
22. ამრიგად, ხედავ ღვთის სახიერებას და სიმკაცრეს: სიმკაცრეს დაცემულებზე და სახიერებას შენზე, თუ იდგები მის სახიერებაში, თორემ შენც მოიკვეთები.

23. და ისინიც, თუ ურწმუნოებაში არ იდგებიან, დაემყნობიან, რადგან ღმერთს ძალუძს მათი კვლავ მყნობა.
24. ხოლო თუ შენ მოკვეთილი ხარ ბუნებით ველური ზეთისხილისგან და არაბუნებრივად დაემყნე კარგ ზეთისხილს, მით უმეტეს ესენი, ბუნებრივები, დაემყნობიან თავიანთ ზეთისხილს.

ყველა ისრაელიანი გადარჩება

25. რადგან არ მინდა, ძმებო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო, რათა არ ეყრდნობოდეთ თქვენს სიბრძნეს: მანამდე ახლავს სიბრმავე ისრაელის ნაწილს, ვიდრე მთელი წარმართობა არ მივა ღმერთთან.
26. ასე მთელი ისრაელი გადარჩება, როგორც წერია: „მოვა სიონიდან მხსნელი და უღმერთობას ააცდენს იაკობს.
27. ეს არის ჩემი აღთქმა მათთვის, როცა წარვხოცავ მათ ცოდვებს“.
28. დიახ, სახარების მიხედვით ისინი მტრები არიან თქვენი გულისათვის, ხოლო ამორჩევის მიხედვით საყვარელნი – მამების გულისათვის.
29. ვინაიდან უცვალებელია ღვთის ნიჭი და მოწოდება.
30. ისევე, როგორც თქვენც ოდესღაც ეურჩებოდით ღმერთს, ახლა კი შეწყალებული ხართ მათი ურჩობის გამო,
31. ისე ახლა ისინიც ურჩობენ იმისათვის, რათა ისინიც შეწყალებულნი იქნენ იმ წყალობით, რომელიც თქვენ გეძლევათ.
32. ვინაიდან ყველანი ურჩობაში ჩაკეტა ღმერთმა, რათა ყველანი შეიწყალოს.
33. ო! ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! როგორი ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები!
34. რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება? ვინ იყო მისი მრჩეველი?
35. ან ვინ მისცა მას წინასწარ, რომ მიუზღოს?
36. რადგან ყოველივე მისგან, მის მიერ და მის მიმართ არის. მას დიდება უკუნისამდე. ამინ.

თავი 12

უძღვენით თქვენი სხეული ცოცხალ მსხვერპლად

1. **ამრიგად**, შეგაგონებთ, ძმებო, ღვთის წყალობებით, რომ შესწიროთ თქვენი სხეული ცოცხალ, წმიდა, ღვთის სასურველ მსხვერპლად – თქვენი სულიერი მსახურება.

2. და ნუ დაემსგავსებით ამ წუთისოფელს, არამედ შეიცვალენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი.

სხეული ერთია, ასოები ბევრი

3. ჩემთვის მოცემული მადლით ვეუბნები ყოველ თქვენგანს: თქვენს თავზე იმაზე მეტად ნუ იფიქრებთ, ვიდრე უნდა ფიქრობდეთ, არამედ იფიქრეთ თავმდაბლურად, რწმენის საზომით, ღმერთმა რომ გიწილადათ თითოეულს.
4. ვინაიდან ჩვენ ერთ სხეულში მრავალი ასო გვაქვს, მაგრამ ყველა ასოს როდი აქვს ერთი და იგივე საქმე.
5. ასევე, ჩვენ, მრავალნი ერთ სხეულად ვართ ქრისტეში, ხოლო ერთიმეორისათვის – ასონი
6. და გვაქვს მადლით სხვადასხვა ნიჭი, ჩვენთვის მოცემული, თუ ქადაგებაა – რწმენის მიხედვით.
7. თუ მსახურებაა – მსახურებაში, თუ დამოძღვრაა – დამოძღვრაში,
8. თუ შემგონებელია – შეგონებით, გამჩუქებელია – უბრალოებით, უფროსია – სიბეჯითით და ქველმოქმედია – გულითადობით.

გიყვარდეთ, აკურთხეთ, იხარეთ

9. სიყვარული იყოს უთვალთმაქცო, განერიდეთ ბოროტებას და მიეკარით კეთილს.
10. ძმათმოყვარეობაში – ერთმანეთისადმი გულთბილი სიყვარულით, პატივისცემაში ერთმანეთს დაასწარით.
11. იბეჯითეთ და ნუ დაიღლებით. სულით აღიგზენით. ემსახურეთ უფალს.
12. იხარეთ იმედში, მომთმენნი იყავით გასაჭირში, ლოცვაში – მდგრადნი.
13. მონაწილეობა მიიღეთ წმიდათა საჭიროებაში, ესწრაფეთ სტუმართმოყვარეობას.
14. ლოცეთ თქვენი მდევნელები, ლოცეთ და ნუ წყევლით.
15. მოხარულებთან იხარეთ და მოტირალებთან იტირეთ.
16. ერთსულოვნება გქონდეთ ერთმანეთში. ქედმაღლობას ნუ გამოედევნებით, არამედ მიჰყევით მორჩილთ, ბრძენი ნუ გეგონებათ საკუთარი თავი.
17. ნურვის მიაგებთ ბოროტის წილ ბოროტს. ცდილობდეთ კეთილს ყველა ადამიანის წინაშე.

18. თუ თქვენის მხრივ შესაძლებელია, ყველა ადამიანთან მშვიდობიანად იყავით.
19. შურს ნუ იძიებთ თქვენთვის, საყვარელნო, არამედ ადგილი მიეცით უფლის რისხვას, ვინაიდან წერია: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ, – ამბობს უფალი“.
20. ამიტომ, თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე იგი. თუ სწყურია, დაალევინე, ვინაიდან ამის გაკეთებით ნაკვერჩხლებს აგროვებ მის თავზე.
21. არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ სძლიე ბოროტს კეთილით.

თავი 13
ხელმწიფებანი ღვთის მსახურნი არიან

1. **ყოველი** სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელმწიფებას. ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი.
2. ამიტომ ხელმწიფების მოწინააღმდეგე ეწინააღმდეგება ღვთის დადგენილებას, ხოლო მოწინააღმდეგენი მსჯავრს დაიტეხენ თავზე.

სიყვარული არის რჯულის აღსრულება

3. რადგან მთავარნი საშიშნი არიან არა კეთილი საქმეებისათვის, არამედ ბოროტთათვის. თუ გსურს, რომ ხელმწიფებისა არ გეშინოდეს, კეთილი აკეთე და ქებას მიიღებ მისგან.
4. ვინაიდან იგი ღვთის მსახურია შენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტებას იქმ, გეშინოდეს, რადგან ტყუილად როდი ატარებს მახვილს. ის ღვთის მსახურია და რისხვით შურისმაძიებელი ბოროტმოქმედზე.
5. ამიტომ ჩვენ უნდა დავემორჩილოთ არა მარტო რისხვის გამო, არამედ სინდისის გამოც.
6. სწორედ ამისათვის იხდით ხარკებს, ვინაიდან ისინი ღვთის მსახურები არიან და დღენიადაგ ამას აკეთებენ.
7. ამრიგად, მიეცით ყველას, რაც ეკუთვნის: ვისაც ხარკი – ხარკი, ვისაც ბაჟი – ბაჟი, ვისაც შიში – შიში, ვისაც პატივი – პატივი.
8. არავისი არაფერი დაგედოთ ვალად, გარდა ერთიმეორის სიყვარულისა, ვინაიდან სხვისი მოყვარული ასრულებს რჯულს.
9. რადგან: „არ იმრუშო, არ მოკლა, არ მოიპარო, არ იყო ცრუ მოწმე, არ ინდომო“ და სხვა რამ მცნება შედის ამ სიტყვაში: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

10. სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს. ამიტომ სიყვარული რჯულის აღვსებაა.

შეიმოსეთ ნათლის საჭურველი

11. მაშ ასე, იმოქმედეთ, რადგან იცით დრო, რომ დადგა ძილისაგან თქვენი გამოღვიძების ჟამი. ვინაიდან ახლა უფრო ახლოა ჩვენი ხსნა, ვიდრე მაშინ, როცა ვირწმუნეთ.
12. ღამე წავიდა და დღე მოახლოვდა. ამიტომ მოვიშოროთ სიბნელის საქმეები და შევიმოსოთ ნათლის საჭურველი.
13. მოვიქცეთ თავდაჭერილად, როგორც დღისით: არა მსუნაგობით და ლოთობით, არა ავხორცობითა და თავაშვებულობით, არა ჩხუბით და შურით,
14. არამედ შეიმოსეთ უფალი ქრისტე და ხორცზე ზრუნვას გულისთქმად ნუ გაიხდით.

თავი 14
რატომ განიკითხავ ან ამცირებ შენს ძმას

1. **რწმენაში** უმტკიცები მიიღეთ, ოღონდ არა საკამათოდ აზრთა გამო.
2. ზოგს სჯერა, რომ ყველაფრის ჭამა შეიძლება, უძლური კი მხოლოდ მწვანილეულს ჭამს.
3. ვინც ჭამს, ნუ დაამცირებს იმას, ვინც არა ჭამს. და ვინც არა ჭამს, ნუ განიკითხავს იმას, ვინც ჭამს. იმიტომ რომ ღმერთმა მიიღო იგი.
4. ვინ ხარ შენ, სხვისი მონის განმკითხველო? თავისი უფლის წინაშე იგი დგას ან ეცემა, მაგრამ წამოყენებული იქნება, ვინაიდან ღმერთს ძალუძს მისი წამოყენება.
5. ზოგი დღეს დღისგან განარჩევს, ზოგი კი ყველა დღეს ერთნაირად განიკითხავს. ყველა თავის რწმენაში იყოს მტკიცე.
6. ვინც იცავს დღეს, უფლისათვის იცავს, და ვინც ჭამს, უფლისათვის ჭამს, რადგან მადლობას სწირავს ღმერთს. ხოლო ვინც არ ჭამს, უფლისათვის არ ჭამს და მადლობას სწირავს ღმერთს.
7. ვინაიდან არც ერთი ჩვენგანი არ ცოცხლობს საკუთარი თავისათვის და არავინ კვდება საკუთარი თავისათვის.
8. ვინაიდან, თუ ვცოცხლობთ, უფლისათვის ვცოცხლობთ და, თუ ვკვდებით, უფლისათვის ვკვდებით. და ამიტომ, ვცოცხლობთ თუ ვკვდებით, უფლისანი ვართ.

9. რადგან იმისათვის მოკვდა ქრისტე და გაცოცხლდა, რომ იუფლოს მკვდრებზეც და ცოცხლებზეც.
10. მაშ, შენ რატომ განიკითხავ შენს ძმას? ანდა რატომ ამცირებ შენს ძმას? ჩვენ ხომ ყველანი წარვდგებით ღვთის სამსჯავროს წინაშე.
11. რადგან წერია: „მე ცოცხალი ვარ, – ამბობს უფალი. ჩემს წინაშე მოიდრიკება ყოველი მუხლი და ყოველი ენა აღიარებს ღმერთს“.
12. ამრიგად, ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავისათვის ანგარიშს ჩააბარებს ღმერთს.

ისეთ რაიმეს ნუ გააკეთებ, რაც შენს ძმას აცდუნებს

13. ამიტომ ნუღარ განვიკითხავთ ერთმანეთს, არამედ იმსჯელეთ იმაზე, რომ ძმამ ძმა არ დააბრკოლოს და არ აცდუნოს.
14. მე ვიცი და მწამს უფალ იესოში, რომ არაფერია უწმიდური თავისთავად; მხოლოდ მისთვის არის უწმიდური, ვინც არაწმიდად ჩათვლის რამეს.
15. თუ საჭმლის გამო შეწუხდება შენი ძმა, შენ უკვე აღარ იქცევი სიყვარულით. შენი საჭმლით ნუ დაღუპავ მას, ვისთვისაც მოკვდა ქრისტე.
16. დასაგმობი ნუ გახდება თქვენი სიკეთე.
17. ვინაიდან ღვთის სასუფეველი საჭმელ-სასმელი კი არ არის, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაში.
18. ხოლო ვინც ამით ემსახურება ქრისტეს, იგი სასურველია ღვთისათვის და მოსაწონი – ადამიანთათვის.
19. მაშ, ვესწრაფოდეთ იმას, რაც მშვიდობასა და ერთმანეთის აღშენებას ემსახურება.
20. საჭმლისათვის ნუ დაარღვევ ღვთის საქმეებს. ყოველივე წმიდაა, მაგრამ ბოროტია იმისათვის, ვინც შებრკოლებით ჭამს.
21. უმჯობესია არა ჭამო ხორცი, არ დალიო ღვინო და არც სხვა რამ, რითაც შენი ძმა შებრკოლდება.
22. გაქვს რწმენა? გქონდეს შენთვის ღვთის წინაშე. ნეტარია ის, ვინც თავის თავს არ სდებს მსჯავრს იმის გამო, რასაც ირჩევს.
23. ვინც ეჭვობს ჭამისას, დამნაშავეა, ვინაიდან რწმენით არ იქცევა. ხოლო ყოველივე, რაც რწმენით არაა, ცოდვაა.
24. ხოლო მას, ვისაც ძალუძს თქვენი განმტკიცება, ჩემი სახარების და იესო ქრისტეს ქადაგების მიხედვით, იმ საიდუმლოს გამოცხადებით, რომელიც უკუნითიდან მიდუმებული იყო,
25. ხოლო ახლა გაცხადებულია წინასწარმეტყველური წერილებით, მარადიული ღვთის ბრძანებით ეუწყა ყველა ერს, რომ დაემორჩილონ რწმენას.

26. ერთადერთ ბრძენ ღმერთს, იესო ქრისტეს მეშვეობით, დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თავი 15
მიიღეთ ერთმანეთი, როგორც ქრისტემ მიგიღოთ

1. ხოლო ჩვენ, ძლიერთ, გვმართებს ვზიდოთ უსუსურთა უძლურება და არ ვეძებოთ საკუთარი თავის სიამე.
2. ყოველი ჩვენგანი უნდა აამებდეს მოყვასს სასიკეთო აღშენებისათვის.
3. ვინაიდან ქრისტეც არ ეძებდა სიამეს თავისთვის, არამედ როგორც წერია: „შენი მლანძღველების ლანძღვა დამატყდა მე“.
4. რადგან ყოველივე, რაც წინათ დაიწერა, ჩვენს სასწავლებლად დაიწერა, რათა მოთმინებით და წერილთა ნუგეშით გვქონდეს იმედი.
5. ხოლო მოთმინებისა და ნუგეშის ღმერთმა მოგცეთ თქვენ ერთმანეთში ერთსულოვნება ქრისტე იესოს მიერ.
6. რათა ერთსულოვნად, ერთი პირით ადიდოთ ღმერთი, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამა.
7. ამიტომ მიიღეთ ერთმანეთი ისევე, როგორც ქრისტემ მიგიღოთ თქვენ ღვთის სადიდებლად.

ქრისტე მსახურად წინადაცვეთილებისთვის

8. ხოლო მე ვამბობ, რომ ქრისტე გახდა წინადაცვეთილთა მსახური ღვთის ჭეშმარიტებისათვის, რათა შესრულებულიყო მამებისთვის აღთქმული,
9. და რათა წარმართებს განედიდებინათ ღმერთი შეწყალებისათვის, როგორც წერია: „ამისათვის გაღიარებ წარმართებს შორის და ვუგალობებ შენს სახელს“.
10. და კვლავ ამბობს: „იხარებდეთ წარმართნო, მის ხალხთან ერთად“.
11. და კვლავ: „წარმართებო, აქებდეთ უფალს და, ხალხებო, ადიდებდეთ მას“.
12. და კვლავ, ესაია ამბობს: „იყოს იესეს ფესვი, რომელიც აღდგება წარმართებზე საუფლოდ, მისი იმედი ექნებათ წარმართებს“.
13. ხოლო იმედის ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, რათა სულიწმიდის ძალით იუხვოთ იმედში.

პავლე ქრისტეს მსახური წარმართებში

14. და თვითონ მეც, ძმანო, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ თვითონაც სავსე ხართ სათნოებით, სავსე ხართ ყოველგვარი შემეცნებით და ძალგიძთ ერთმანეთის დარიგება.
15. მაგრამ ცოტა გავკადნიერდი, როცა გწერდით აქა-იქ, როგორც თქვენდამი შეხსენებას ღვთის მიერ ჩემთვის მოცემული მადლით –
16. ვიყო იესო ქრისტეს მსახური წარმართებთან და ღვთის სახარების მღვდელმსახური, რათა წარმართთა შესაწირავი იყოს სასურველი და სულიწმიდის მიერ წმიდა.
17. ამიტომ ძალმიძს ვიქო ქრისტე იესოში ღვთის წინაშე.
18. რადგან ვერ გავკადნიერდები ვილაპარაკო ისეთი რამ, რაც არ გაუკეთებია ქრისტეს ჩემი მეშვეობით წარმართთა დასამორჩილებლად სიტყვით და საქმით,
19. ნიშნებისა და სასწაულების ძალით, ღვთის სულის ძალით, ისე, რომ იერუსალიმიდან და მისი შემოგარენიდან ილურიკიამდე გავავრცელე ქრისტეს სახარება.
20. თანაც, ვცდილობდი მეხარებინა არა იქ, სადაც უკვე ცნობილი იყო ქრისტეს სახელი, რათა არ მეშენებინა სხვის საძირკველზე,
21. არამედ როგორც წერია: „ვისთვისაც არ გამოუცხადებიათ, დაინახავენ, და ვისაც არ მოუსმენია, მიხვდებიან“.

ესპანეთში მგზავრობის განზრახვა

22. ამის გამოც იყო, რომ მრავალგზის შემიფერხდა თქვენთან მოსვლა.
23. ხოლო ახლა, როცა ჯერ კიდევ არა მაქვს ადგილი ამ მხარეებში, ხოლო მრავალი წელია მსურს თქვენთან მოსვლა,
24. როგორც კი დავაპირებ ესპანეთში გამგზავრებას, გამოგივლით, ვინაიდან ვიმედოვნებ, რომ გნახავთ გავლისას, და თქვენ გამაცილებთ იქ, და ერთხანს მაინც დავტკბები თქვენთან ყოფნით.
25. ხოლო ახლა იერუსალიმში მივდივარ წმიდათა სამსახურად.
26. რადგან მაკედონიამ და აქაიამ ინებეს მოწყალების მიცემა ღარიბი წმიდებისათვის, რომლებიც იერუსალიმში არიან.
27. ინებეს და მოვალენიც არიან მათ წინაშე. ვინაიდან, თუ წარმართები ეზიარნენ მათ სულიერში, ხორციელადაც უნდა მოემსახურონ მათ.
28. ამრიგად, როცა დავამთავრებ ამას და ბეჭედს დავასვამ მათ ნაყოფს, თქვენთან გამოვლით წავალ ესპანეთისკენ.

29. ხოლო ვიცი, რომ თქვენთან მოსვლისას მოვალ ქრისტეს სახარების სრული კურთხევით.
30. შეგაგონებთ თქვენ, ძმანო, ჩვენი უფლით, იესო ქრისტეთი, და სულის სიყვარულით, ჩემთან ერთად იბეჯითოთ ჩემთვის ღვთისადმი ლოცვებში.
31. რათა გადავურჩე ურწმუნოებს იუდეაში და წმიდათათვის სასიამოვნო იყოს ჩემი სამსახური იერუსალიმისთვის.
32. რათა სიხარულით მოვიდე თქვენთან ღვთის ნებით და დავისვენო თქვენთან.
33. მშვიდობის ღმერთი იყოს ყველა თქვენთაგან. ამინ.

თავი 16
ფიბეს შექება, მოკითხვა ცალკეულ პირებს

1. **აჰა**, წარმოგიდგენთ ჩვენს დას ფიბეს, რომელიც არის კენქრელთა ეკლესიის მსახური,
2. რათა მიიღოთ იგი უფალში, როგორც წმიდებს შეეფერება, და დაეხმაროთ ყველაფერში, რაც დასჭირდება თქვენთან, ვინაიდან ისიც ბევრის შემწე იყო და პირადად ჩემიც.
3. მოიკითხეთ პრისკილა და აკვილა, ჩემი თანამშრომელნი ქრისტე იესოში,
4. რომელნიც თავს სწირავდნენ ჩემი სიცოცხლისათვის და, რომელთაც არა მარტო მე ვემადლიერები, არამედ წარმართთა ეკლესიებიც და მათი საშინაო ეკლესიაც.
5. მოიკითხეთ ჩემი საყვარელი ეპენეტოსი, რომელიც აზიაში პირველი ნაყოფია ქრისტესათვის.
6. მოიკითხეთ მარიამი, რომელმაც ბევრი იშრომა თქვენთვის.
7. მოიკითხეთ ანდრონიკე და იუნია, ჩემი ნათესავები და ჩემი თანატყვეები, რომელნიც განთქმული არიან მოციქულებს შორის და ჩემზე უწინაც ირწმუნეს ქრისტე.
8. მოიკითხეთ ამპლიასივ ჩემი საყვარელი უფალში.
9. მოიკითხეთ ურბანოსი, ჩვენი თანამშრომელი ქრისტეში, და ჩემი საყვარელი სტაქისი.
10. მოიკითხეთ ქრისტეში გამოცდილი აპელესი. მოიკითხეთ არისტობულეს შინაურნი.
11. მოიკითხეთ ჩემი ნათესავი იროდიონი. მოიკითხეთ ნარკისუსის შინაურნი, უფალში მყოფნი.
12. მოიკითხეთ უფალში მშრომელები, ტრიფენა და ტრიფოსასი. მოიკითხეთ საყვარელი პერსისი, რომელმაც ბევრი იშრომა უფალში.

13. მოიკითხეთ უფალში რჩეული რუფუსი და დედა მისი და ჩემი.
14. მოიკითხეთ ასვინკრიტესი, ფლეგონი, ერმესი, პატრობასი, ჰერმასი, და მათთან მყოფი ძმები.
15. მოიკითხეთ ფილოლოგოსი და იულია, ნირეასი და მისი და, ოლიმპასი და მათთან მყოფი ყველა წმიდა.
16. მოიკითხეთ ერთმანეთი წმიდა ამბორით. მოკითხვას გითვლით ქრისტეს ყველა ეკლესია.

გაფრთხილება განხეთქილების წინააღმდეგ

17. შეგაგონებთ, ძმანო, მოერიდეთ მათ, ვინც განხეთქილებასა და საცდურს ქმნის წინააღმდეგ იმ მოძღვრებისა, რომელიც თქვენ ისწავლეთ, და ზურგი აქციეთ მათ.
18. ვინაიდან ასეთი ადამიანები ემსახურებიან არა ჩვენს უფალს იესო ქრისტეს, არამედ თავიანთ მუცელს და ლამაზი სიტყვებით და მოფერებით აცდენენ უმანკოთა გულებს.
19. რადგან თქვენი მორჩილება ყველასათვის ცნობილია. ამიტომ მოხარული ვარ თქვენს გამო, მაგრამ მინდა, რომ ბრძენნი იყოთ სიკეთისათვის და უბრალონი ბოროტისათვის.
20. ხოლო მშვიდობის ღმერთი მალე თქვენს ფერხთით შემუსრავს სატანას. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი თქვენთანაა. ამინ.

მოკითხვა პავლეს თანამშრომლებიდან და კურთხევა

21. მოკითხვას გითვლიან ჩემი თანამშრომელი ტიმოთე და ჩემი ნათესავები ლუკიოსი, იასონი, და სოსიპატროსი.
22. მოკითხვას გითვლიან უფალში ტერტოსი, რომელმაც დავწერე ეს წერილი.
23. მოკითხვას გითვლიან ჩემი მასპინძელი გაიოზი და მთელი ეკლესია. მოკითხვას გითვლიან ქალაქის ხაზინადარი ერასტოსი და ძმა კვარტოსი.
24. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი ყოველ თქვენგანთან. ამინ.

ნიკოლო მაკიაველი

1469-1527

შესავალი

იტალიელი ისტორიკოსი, მწერალი, დრამატურგი, პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი ნიკოლო მაკიაველი (Niccolò Machiavelli) დაიბადა 1469 წლის 3 მაისს, ქალაქ ფლორენციაში და გარდაიცვალა იმავე ქალაქში 1527 წლის 21 ივნისს. იტალიურ გვართა უმრავლესობის მსგავსად, მისი გვარიც ხმოვანფუძიანია, ამიტომაც ქართულად უნდა წარმოვთქვათ და ვწეროთ „მაკიაველის“, „მაკიაველიმ“ და არა „მაკიაველს“, „მაკიაველმა:“

ნიკოლო მაკიაველის ცხოვრების წლები თავსდება ისტორიულ პერიოდში, რომელსაც მოიხსენიებენ სიტყვით „რენესანსი:“ ზოგჯერ და ბოლო დროს სულ უფრო იშვიათად ამ პერიოდს უწოდებენ „აღორძინების ხანას:“ სიტყვა „რენესანსი“ ფრანგულად ხელახლა დაბადებას ნიშნავს და უმთავრესად შეეხება იტალიაში მე-14 საუკუნიდან მე-16 საუკუნის ბოლომდე განვითარებულ პროცესებს, რომელთაც თან ახლდა კულტურის, განსაკუთრებით კი ფერწერის, ქანდაკების, არქიტექტურისა და ლიტერატურის არნახული აღმავლობა. ეს ისტორიული პროცესები ძალიან რთული და მრავალფეროვანია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია რენესანსის დამახასიათებელი რამდენიმე თვისება:

1. იწყება წარსულის კვლევა: მე-14 საუკუნის შუა წლებიდან იტალიაში შეინიშნება განათლებული ადამიანების ინტერესი ანტიკური საბერძნეთისა და რომის ისტორიის, ლიტერატურისა და არქიტექტურისადმი. ანტიკური ეპოქის კულტურა შერაცხულ იქნა სწორუპოვარ სიმაღლედ, რომელზე ხელახალი ასვლა განიზრახეს ევროპის საუკეთესო ადამიანებმა და სწორედ ამ განზრახვიდან მომდინარეობს ტერმინი „რენესანსი“, რომელიც პირველად მე-19 საუკუნის დასაწყისში შემოიღეს გერმანელმა ისტორიკოსებმა.

2. ჰუმანიზმი: დღეს ამ ტერმინით ზოგადად აღინიშნება მსოფლმხედველობა, რომელიც აღიარებს ადამიანის მნიშვნელობასა და ღირებულებას, სასაუბრო ენაში კი ჰუმანიზმად ხშირად მოიხსენიებენ კაცთმოყვარეობას. რენესანსული თვალსაზრისით ჰუმანიზმი დაკავშირებული იყო იმ აზრის დამკვიდრებასთან, რომ ადამიანს გონებისა და ნების საშუალებით ძალუძს ცხოვრების შეცვლა, გარემო სინამდვილეზე გავლენის მოხდენა. მე-14 საუკუნიდან მოყოლებული, ადამიანის შინაგანი სამყაროსა და გარეგნობის ჩვენება მნიშვნელოვანი და საინტერესო გახდა. და თუ ადრე აღწერას მხოლოდ გამოჩენილი ადამიანები იმსახურებდნენ – მაგალითად, მოწამეები, წმინდანები, მეფეები და ა. შ. – რენესანსმა ყურადღების ცენტრში დააყენა თვით ადამიანი: მისი მშვენიერება და სიმახინჯე, გონება

და უგუნურება, ძალა და სისუსტე. ამ ყოველივეს შესწავლა და გადმოცემა იქცა განათლებული ადამიანების, ე. წ. ჰუმანისტების მთავარ მიზნად.

3. სიახლის აღიარება: რენესანსული მოღვაწეები (მოაზროვნეები, მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები) თავიანთ თავს „ახალ ადამიანებს“ უწოდებდნენ. მათი შეგნებული მიზანი იყო თვით ადამიანისა და მისი საარსებო გარემოს გაუმჯობესება. აქედან მომდინარეობს ჩვენთვის უკვე ჩვეული მისწრაფება მუდმივი განახლებისა და გაუმჯობესებისკენ.

სწორედ ამ კუთხიდან უყურებდა ცხოვრებას ნიკოლო მაკიაველიც. თუმცა მისი მხატვრული ნაწარმოებები (რამდენიმე ნოველა და სათეატრო პიესა) დიდი ლიტერატურული ღირსებებით არ გამოირჩევა და მხოლოდ ისტორიული ინტერესის საგანს წარმოადგენს, მაინც ნათლად ჩანს, რომ პერსონაჟები ამ თხზულებებში მოქმედებენ საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებების და არა გარედან მოცემული ზნეობრივი ნიმუშების შესაბამისად.

ჯერ კიდევ ბავშვობაში, შვიდი წლის ასაკიდან მიიღო ნიკოლო მაკიაველიმ კლასიკური განათლების საფუძველი, ანუ შეისწავლა ლათინური ენა და შეძლო მნიშვნელოვანი რომაელი ავტორების წაკითხვა. ლათინური თარგმანებით გაეცნო იგი ზოგ ბერძენ ავტორსაც.

ჩვენამდე მოღწეული პირველი მოწმობა იმისა, რომ მაკიაველი პოლიტიკით იყო დაინტერესებული, მიეკუთვნება 1498 წელს. ამ დროს მეგობრისადმი წერილში მაკიაველიმ დაწვრილებით აღწერა და დაახასიათა ფლორენციის მაშინდელი მდგომარეობა. ამ დროს მაკიაველი უკვე იყო ფლორენციის რესპუბლიკის მდივანი და ელჩი. 1498 წლიდან იწყება მისი მოღვაწეობის პირველი ეტაპი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ პრაქტიკული.

1498-1512 წლებში, გარდა ფლორენციის რესპუბლიკის მთავრობაში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობისა, მაკიაველი მრავალჯერ იქნა წარგზავნილი დიპლომატიური მისიებით რომში, გერმანიასა და საფრანგეთში. ამ ორ ქვეყანაში საელჩო მოგზაურობების დროს მაკიაველი აკვირდებოდა ყოფით და პოლიტიკურ ვითარებას. შედეგად დაიწერა ორი ტრაქტატი: „გერმანიის ამბების აღწერა“ და „საფრანგეთის ამბების აღწერა“. მიუხედავად სათაურებისა, ტრაქტატები არ წარმოადგენს უბრალო „აღწერებს“, არამედ გამოაქვს დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორ გავლენას ახდენს ამ ქვეყნების პოლიტიკაზე მათში არსებული ცხოვრების წესი და მცხოვრებთა ხასიათის თვისებები.

უნდა ითქვას, რომ პრაქტიკული პერიოდის თხზულებებში მაკიაველი ავლენს მიდგომებისა და თვალთახედვის მრავალფეროვნებას. აქ არის როგორც ღრმა თეორიული განაზრებები, ასევე პასუხი აქტუალურ თანამედროვე მოვლენებზე. მაგალითად, ამ პერიოდში მაკიაველიმ დაწერა ვრცელი პოლიტიკური თხზულება „მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველ დეკადაზე“. ტექსტს საფუძვლად უდევს რომაელი ისტორიკოსის ტიტუს ლივიუსის მიერ აღწერილი რომის ისტორია „ქალაქის დაარსებიდან დღემდე“. ტრაქტატში მაკიაველი განიხილავს რომის რესპუბლიკის ბუნებასა და საფუძვლებს. არის კიდევ ორი ზოგადი ხასიათის

უფრო მცირე თხზულებაც: „მსჯელობა ფულის შოვნის შესახებ“ და „მსჯელობა ფლორენციის სახლემწიფოს რეფორმირებაზე.“

ამავე დროს მაკიაველის კალამს ეკუთვნის შემდეგი ტრაქტატებიც: „როგორ უნდა მოვეპყრათ ვალდიკიანას ამბოხებულ მოსახლეობას“, „როგორ მოიქცა ჰერცოგი ვალენტინო ვიტელოცო ვიტელის მკვლელობისას.“ როგორც სათაურებიდან ჩანს, მაკიაველი აქ თავისი დროის კონკრეტულ და, მისი აზრით, მნიშვნელოვან მოვლენებს განიხილავს.

1503 წლიდან მაკიაველის ფლორენციის რესპუბლიკის თავდაცვა მიანდეს. შეიარაღებული ძალები იმ დროს დაკომპლექტებული იყო დაქირავებული ჯარისკაცებით, რომლებსაც მაკიაველი არ ენდობოდა, ამიტომაც სამიოდე წელიწადში მან ისტორიაში პირველად შექმნა ფლორენციის პროფესიული არმია და მასში ქალაქის მკვიდრი მცხოვრებლები შეიყვანა.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ მაკიაველის პოლიტიკური ნაშრომები არ ყოფილა დაფუძნებული მხოლოდ თეორიულ განაზრებებსა და სხვისი თხზულებების განხილვაზე. მაკიაველის პირადი გამოცდილება და ღვაწლი საკმარისად დიდი იყო. სამწუხაროდ, მოაზროვნის პოლიტიკურ კარიერას წერტილი დაესვა 1512 წელს.

ამ დროს პაპი იულიუს მეორის ძალისხმევით აპენინის ნახევარკუნძულიდან განდევნეს საფრანგეთის ჯარი და ფლორენციაშიც 1494 წელს გაძევებული მმართველების, მედიჩების საგვარეულოს წარმომადგენლებიც დაბრუნდნენ. ფლორენციის რესპუბლიკამ შეწყვიტა არსებობა. მედიჩებმა, რა თქმა უნდა მაკიაველიც არ დატოვეს თანამდებობაზე, ერთი წლის შემდეგ კი მას შეთქმულებაში მონაწილეობა დააბრალეს და ფლორენციის მახლობლად საკუთარ მამულში მიუსაჯეს გადასახლება.

ასე იწყება მაკიაველის ცხოვრებაში მეორე, თეორიული პერიოდი. ამ დროს ყოფილი პოლიტიკოსი მთლიანად ეძლევა წარსულის შესწავლას და წერს მშობლიური ქალაქის მრავალტომიან ისტორიას. განსხვავებით შუასაკუნეობრივი მატიანეებისა, მაკიაველის მიერ დაწერილი „ფლორენციის ისტორია“ უფრო ახლოს დგას მეცნიერულ კვლევასთან, რადგან აქ არა მარტო მოვლენების ქრონოლოგიური აღწერაა, არამედ მათი მიზეზების დადგენის მცდელობაც შეინიშნება.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება მაკიაველის ყველაზე ცნობილი ტრაქტატი „მთავარი“ ანუ „ხელმწიფე.“ წიგნი არც ისე დიდია მოცულობით, მაგრამ ავტორის თხზულებათა შორის სწორედ მან მოიპოვა ყველაზე დიდი პოპულარობა. წიგნის შესახებ აზრი არ ყოფილა ერთგვაროვანი. უნდა ითქვას, რომ სწორედ სახელმწიფოს მმართველები ამჟღავნებდნენ მისდამი ყველაზე დიდ ინტერესს. გამოქვეყნებულია ნაპოლეონ ბონაპარტის შენიშვნები, რომლებითაც საფრანგეთის იმპერატორმა აავსო წიგნის თავისი ეგზემპლარი. ეს წიგნი დიდ მხედართმთავარს ყველა ლაშქრობაში თან დაჰქოდა და გამუდმებით კითხულობდა. ასევე ცნობილია, რომ „მთავარის“ ტექსტი კარგად იცოდა საბჭოთა დიქტატორმა, იოსებ სტალინმა.

ამავე დროს იყო წიგნისა და ავტორისადმი საპირისპირო დამოკიდებულებაც: ინგლისის დედოფალს, ელისაბედ პირველს სძულდა მაკიაველი და სწორედ მის დროს იხსენიებდნენ იტალიელ პოლიტიკოსს მეტსახელით „შავი ნიკი“. ინგლისურენოვან ტრადიციაში ამავე სახელს ხშირად ატარებს ეშმაკიც. 1740 წელს საქსონიის მთავარმა, ფრიდრიხ დიდმა, რომელმაც დაწერა ტრაქტატი „ანტიმაკიაველი“.

ასევე არ ინდობდა პოლიტიკურ მოაზროვნეს ეკლესიაც: 1546 წელს ტრიდენტის საეკლესიო კრებაზე გავრცელდა აზრი, რომ „მთავარის“ ნამდვილი ავტორი არის თვით სატანა, ხოლო 1559 წლიდან ეკლესიამ აკრძალულ წიგნთა სიაში შეიყვანა მაკიაველის ყველა სხვა თხზულებაც.

რით იყო გამოწვეული შეფასებათა ასეთი მკვეთრი განსხვავება?

ფორმალურად მაკიაველის ტრაქტატი „მთავარი“ წარმოადგენს იმ დროს არსებულ სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოთა მიმოხილვას. ამის შემდეგ ავტორი პრაქტიკულ რჩევებს იძლევა: როგორ უნდა დაიპყროს მსურველმა ამა თუ იმ ტიპის სახელმწიფო და როგორ უნდა შეინარჩუნოს ძალაუფლება რაც შეიძლება დიდხანს. მკითხველთა გაღიზიანებას იწვევდა რჩევების პირდაპირი ხასიათი. მაკიაველი თითქოს ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ხშირად სისასტიკისა და ბოროტების ჩადენის რჩევას იძლევა.

საყოველთაოდ ცნობილია ფრაზა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ამ სიტყვების ავტორობა სწორედ მაკიაველის მიეწერება, თუმცა მათ ვერც ერთ მის ნაწერში ვერ იპოვით. სამაგიეროდ, მაკიაველიმ ნამდვილად თქვა შემდეგი: „ისე უნდა დაარტყა, რომ შურისძიებისა არ გეშინოდეს“. ასეთი აშკარა და დაუფარავი სისასტიკე ძალიან არ მოსწონდათ როგორც ჰუმანისტებს, ასევე სახელმწიფოს მეთაურებს.

ავტორის გასამართლებლად ზოგი მიიჩნევდა, რომ მაკიაველის „მთავარი“ სინამდვილეში არის სატირული ნაწარმოები, რომელიც შეფარვით ურჩევს მმართველებს, არასოდეს მოიქცნენ ისე, როგორც მის წიგნშია აღწერილი. უფრო ახლოს აღმოჩნდნენ სიმართლესთან ის მკვლევრები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მაკიაველიმ რელიგიისა და მორალისაგან გაათავისუფლა პოლიტიკა. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავტორს არ დაუგმია არც ეკლესია და არც მორალი.

მართლაც, მაკიაველი არსად არ ამბობს, რომ ქრისტიანები ცდებიან: პირიქით, ის, რასაც ეკლესია სიკეთეს უწოდებს, ნამდვილად სიკეთეა; ის, რასაც ეკლესია უწოდებს ბოროტებას, ნამდვილად ბოროტებაა. ამას მაკიაველი არასოდეს ეკამათება. მისი საფუძველი სხვაა და მდგომარეობს შემდეგში: ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ადამიანებს შეეძლოთ ისე ქცევა და ცხოვრება, როგორც ამას მოითხოვს სარწმუნოება, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ადამიანებს ეს არ შეუძლიათ და ვერც შეძლებენ. ამიტომ, თუ გვსურს წარმატების მიღწევა პოლიტიკურ ასპარეზზე, არ უნდა ვეცადოთ ამქვეყნად მარადიული სამართლიანობის დამყარებას სამართლიანი ხერხებით – უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ ჩვენმა მოქმედებამ წარ-

მატება მოგვიტანოს. ამის მიზეზი მარტივია: ადამიანები არიან ისეთები, როგორებიც არიან და ვერასოდეს იქნებიან ისეთები, როგორც ამას ეკლესია მოითხოვს.

მაკიაველის პოლიტიკური იდეალი იყო რომის რესპუბლიკა. ამიტომაც ის სიკეთედ განიხილავდა ყველაფერს, რაც ხელს უწყობდა ამგვარი სახელმწიფოს არსებობას, და ბოროტებად შერაცხავდა ყველაფერს, რაც მას ხელს უშლიდა.

უფრო ადრე, ანტიკურ საბერძნეთში პლატონიც მსჯელობდა სახელმწიფოს შესახებ, მაგრამ პლატონი სვამდა ძირეულ შეკითხვებს: რას უნდა ემყარებოდეს და რისთვის უნდა არსებობდეს სახელმწიფო? როგორი უნდა იყოს მისი მმართველი? ამ კითხვების ასახსნელად და შემდეგ პასუხის საპოვნელად პლატონს დასჭირდა მითების გამოგონება.

ამისგან განსხვავებით, მაკიაველის არ აინტერესებს სახელმწიფოს არსებობის მიზეზი და მიზანი, ის განიხილავს უფრო მარტივ საკითხს: როგორი სახელმწიფოები არსებობენ სინამდვილეში? მაკიაველის არ აინტერესებს, როგორი უნდა იყოს მმართველი – კეთილი თუ ბოროტი, განათლებული თუ უსწავლელი – მთავარი სხვაა: როგორ უნდა მოიქცეს ის, რომ ხალხზე ბატონობა შეინარჩუნოს? ამიტომაც მაკიაველის არ სჭირდება ტექსტში მითების შემოყვანა.

მაკიაველის მემკვიდრეობა პერიოდის პოლიტიკური აზრისათვის უაღრესად გავლენიანი აღმოჩნდა. მაკიაველის შემდგომი პერიოდის მოაზროვნეები უკვე ვერ გაჩერდებიან გამოგონილი სახელმწიფოს აღწერაზე. ისინი არა მხოლოდ იმას გვეუბნებიან, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური საზოგადოება, არამედ გვიხსნიან, თუ რატომ და როგორ უნდა შევცვალოთ საზოგადოების ცხოვრება, რომ მივიღოთ უკეთესი შედეგი.

მაკიაველის ნაწერებს ბევრი კონკრეტული რჩევა მიუწოდებიათ მათთვის, ვისი სახელი ისტორიულ ბოროტებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ნაპოლეონი, ჰიტლერი და სტალინი უფრო „კეთილები“ და ლმობიერები იქნებოდნენ, მაკიაველი რომ არ წაეკითხათ. სამაგიეროდ, სრულიად აშკარაა მოაზროვნის ღვაწლი, რომელმაც საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის შესახებ ფიქრი მეცნიერებად აქცია, ხოლო პოლიტიკა ამქვეყნიურ და შესაძლებელ მიზნებს დაუმორჩილა.

მთავარი

თავი I
რამდენნაირნი არიან სამთავროები და რა გზით შეიძლება მათი დაპყრობა

ყველა სახელმწიფო, ყოველგვარი მმართველობა, რომლებსაც ჰქონდათ და აქვთ ადამიანებზე მბრძანებლობის უფლება, ან რესპუბლიკაა, ანდა სამთავრო. ასე იყო და ასეა ახლაც. სამთავროები ან მემკვიდრეობითნი არიან, რომელთაც დიდი ხნის მანძილზე მართავს მთავართა ერთი საგვარეულო, ანდა – ახალნი. ეს უკანასკნელნი ან პირწმინდად ისეთნი არიან, როგორიც იყო მილანი ფრანჩესკო სფორცასათვის[1], ანდა მათი დამპყრობი მთავრის სამემკვიდრეო სამფლობელოსათვის შეერთებულნი, როგორც ნეაპოლის სამეფო ესპანეთის მეფისათვის[2]. ამნაირად შემომტკიცებული სამთავროები, ჩვეულებრივ ან მთავარს ემორჩილებიან, ან თავისუფალნი არიან; ხოლო მათ, ბედისწერისა თუ სიმამაცის წყალობით, სხვისი ან საკუთარი იარაღით იგდებენ ხელთ.

თავი II
მემკვიდრეობითი სამთავროებისათვის

რესპუბლიკებზე აღარაფერს ვიტყვი, ვინაიდან სხვა ადგილას ვრცლად ვილაპარაკე მათზე[1]. მივუბრუნდები მხოლოდ და მხოლოდ სამთავროებს და ზემოთ მონიშნულ ქარგაზე ქსოვით ვაჩვენებ, როგორ შეიძლება მათი მართვა და შენარჩუნება.

მაშ, ასე, მე ვამტკიცებ, რომ მემკვიდრეობით და მათი ხელმწიფის საგვარეულოს მიჩვეულ სახელმწიფოებში ძალაუფლება ბევრად უფრო ადვილად ნარჩუნდება, ვიდრე ახლებში, ვინაიდან საამისოდ ხელმწიფისათვის საკმარისია არ დაარღვიოს წინაპართა დაფუძნებული წესრიგი და მართოს გარემოებები; ასე რომ, თვით საშუალო ნიჭისა და უნარის მქონე ხელმწიფეც ყოველთვის შეინარჩუნებს ძალაუფლებას, თუკი რაღაც განსაკუთრებული და აღმატებული ძალის ზემოქმედებით არ დაკარგვს მას; მაგრამ კიდევაც რომ დაკარგოს, კვლავ დაიბრუნებს, როგორც კი მოძალადეს რაიმე მარცხი მოუვა.

[...]

თავი III
შერეული სამთავროებისათვის

ახალ სამთავროში კი არსებობს სიძნელეები. როდესაც სამთავროში არის ახლად მიერთებული ნაწილი ისე, რომ მას შეიძლება შერეულიც ეწოდოს, ცვლილებები წარმოიშობა ბუნებრივი სიძნელისაგან, რომელიც საერთოა ყველა ახალი სამთავროსათვის: ადამიანები ხალისით იცვლიან ბატონს, რადგან სჯერათ, რომ ამით ცხოვრება გაუმჯობესდება – ამგვარი რწმენა აიძულებთ ბატონის წინააღმდეგ აჯანყებას, მაგრამ ისინი ტყუვდებიან, რადგან შემდგომში გამოცდილება აჩვენებს, რომ ცხოვრება გაუარესდა. ესეც მომდინარეობს სხვა ბუნებრივი და ჩვეულებრივი აუცილებლობიდან, რადგან შემოერთების სიახლე მთავარს აიძულებს გამუდმებით შეუტიოს შეიარაღებული ძალითა და სხვა ურიცხვი საშუალებით მათ, ვის ახალ პატრონადაც იქცა. ხდება ისე, რომ მტრად იკიდებ ყველას, ვინც კი შეურაცხჰყავი ახალი სამთავროს დაპყრობისას და ვერც იმათ მეგობრობას ინარჩუნებ, ვინც ხელი შეგიწყო, რადგან ვერც ისე დააკმაყოფილებ მათ, როგორც იმედი ჰქონდათ, ვერც ძლიერ საშუალებებს მიმართავ მათ წინააღმდეგ, რადგან მათგან დავალებული ხარ. ეს კი იმიტომ, რომ რაც არ უნდა ძლიერი იყოს რომელიმე ლაშქარი, ყოველთვის სჭირდება ადგილობრივთა დახმარება ამა თუ იმ ქვეყანაში შესასვლელად. ამ მიზეზთა გამო იყო, რომ საფრანგეთის მეფემ, ლუი XII-მ სწრაფად აიღო მილანი, მაგრამ სწრაფადვე დაკარგა. და მილანის პირველ ჯერზე დასაბრუნებლად ლოდოვიკოს თავისი ძალებიც ეყო, რადგან ისინი, ვინც ფრანგებს კარგი გაუღო, თავს მოტყუებულად გრძნობდნენ, რადგან ვერ მიიღეს ის მომავალი სიკეთე, რაც კი თავიდან ივარაუდეს და არ მოისურვეს ახალი მთავრისაგან ჩაგვრის ატანა.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ თუ ამბოხებულ ქვეყნებს ხელმეორედ იპყრობენ, მათი დაკარგვა უკვე ბევრად ძნელია; ვინაიდან ამბოხებისგან ჭკუანასწავლი ბატონი ნაკლებად მორიდებული იქნება თავის დაზღვევისას: დამნაშავეებსაც დასჯის, ეჭვმიტანილებსაც ამხელს და ყველა სუსტ ადგილსაც გაამაგრებს. ამრიგად, თუკი საიმისოდ, რომ საფრანგეთისათვის პირველად წაერთმიათ მილანი, საკმარისი აღმოჩნდა დუკა ლოდოვიკოს ერთი გაბრძოლება საზღვარზე, სამაგიეროდ, მეორედ წასართმევად საჭირო შეიქმნა მთელი ქვეყანა დარაზმულიყო მის წინააღმდეგ, ხოლო მისი ლაშქარი გაფანტული და განდევნილი ყოფილიყო იტალიიდან. ამის მიზეზი ზემოთ უკვე მოვიხსენიე[1]. და მაინც საფრანგეთმა პირველ და მეორე ჯერზეც დაკარგა მილანი. პირველი წარუმატებლობის ზოგადი მიზეზები უკვე მოგახსენეთ; ისღა დაგვრჩენია, განვიხილოთ მეორე მარცხის მიზეზები და ვნახოთ საშუალებები, რომლებიც ხელთ ჰქონდა საფრანგეთის მეფეს და მის ადგილას შეეძლო უკეთ გამოეყენებინა სხვას, რათა უფრო მტკიცედ დამკვიდრებულიყო დაპყრობილ ქვეყანაში, ვიდრე ეს მოახერხა მეფემ. უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოები, რომლებიც დაპყრობის შედეგად უერთდებიან მათი დამპყრობი ხელმწიფის სამფლობელოს, ან ეკუთვნიან დამპყრობი სახელმწიფოს პროვინციასა და ენას, ან არ ეკუთვნიან[2]. პირველ შემთხვევაში მათი შენარჩუნება ძალიან ადვილია, მით უმეტეს, თუკი ისინი

ნაჩვევნი არ არიან თავისუფლებას; ამიტომ, თუ გსურს უზრუნველად ფლობდე მათ, საკმარისია მუსრი გაავლო იქაურ მთავართა საგვარეულოს. რაც შეეხება დანარჩენს, თუ შენარჩუნდება ძველი პირობები და არ იქნება ჩვეულებებში განსხვავება, ხალხი მშვიდად იცხოვრებს, როგორც, მაგალითად, ბურგუნდია, ბრეტანია, გასკონია და ნორმანდია3, რომლებიც ამდენი ხნის მანძილზე განუყოფელნი არიან საფრანგეთისგან. და თუმცა ისინი ენობრივად რამდენადმე განსხვავდებიან, მაგრამ ჩვეულებათა მსგავსების გამო კარგად ეგუებიან ერთმანეთს. თუკი ამნაირი სამფლობელოების ხელში ჩამგდებს მათი შენარჩუნება სურს, მას ორი რამ უნდა ახსოვდეს: ჯერ ერთი, ის, რომ მუსრი გაავლოს უწინდელი მთავრის საგვარეულოს, და მეორეც ის, რომ არ შეცვალოს არც მათი კანონები და არც გადასახადთა აკრეფის წესი. ამგვარად უმოკლეს დროში ისინი ძველ სამთავროსთან ერთ სხეულად გაერთიანდებიან.

მაგრამ ენით, ჩვეულებებითა და წესწყობილებით განსხვავებულ სახელმწიფოებს იპყრობენ, აქ უკვე სიძნელეები ჩნდება; მათ შესანარჩუნებლად დიდი იღბალი და გამჭრიახობაა საჭირო. საუკეთესო და ყველაზე ცოცხალი საშუალება იქნებოდა, თვით დამპყრობი რომ დასახლდეს ამ ქვეყანაში. ეს უფრო მტკიცეს გახდიდა და გაახანგრძლივებდა მის მფლობელობას. ასე მოიქცა თურქეთის სულთანი საბერძნეთის მიმართ4: ყოველგვარი ღონისძიების მიუხედავად, ის ვერასდიდებით ვერ შეძლებდა ამ ქვეყნის შენარჩუნებას, საცხოვრებლად რომ არ გადასახლებულიყო იქ. ვინაიდან, როდესაც დაპყრობილ ქვეყანაში ცხოვრობ, ჩანასახშივე ამჩნევ მღელვარებას და შეგიძლია სასწრაფოდ ჩაახშო იგი; შორს მყოფი კი მხოლოდ მაშინ თუ შეიტყობ მღელვარების ამბავს, როცა ის უკვე მთელს ქვეყანას მოედო და ვეღარაფრით ვეღარ უშველი. ეგეც არ იყოს, ქვეყანა ვერ ითმენს გაპარტახებას მთავრის მოხელეთაგან. ქვეშევრდომნი კმაყოფილნი არიან იმით, რომ ყოველთვის შეუძლიათ უშუალოდ მიმართონ მთავარს; ამიტომ, თუკი მორჩილებას ირჩევენ, მისი სიყვარულის უფრო მეტი საბაბი აქვთ, თუ არა და – იმისა, რომ ეშინოდეთ მისი. რაც შეეხება უცხოელებს, რომლებიც ამ ქვეყანაზე თავდასხმას აპირებენ, მთავრის იქ ყოფნა, ცოტა არ იყოს, აკრთობთ და ხელ-ფეხს უბოჭავთ. ასე რომ მთავარი, რომელიც დაპყრობილ ქვეყანაში ცხოვრობს, იშვიათად თუ დაჰკარგავს მას.

სხვა საუკეთესო საშუალებაა ერთ ან ორ ადგილას კოლონიების დაარსება, რაც იმ ქვეყანასთან თითქმის პირდაპირი კავშირი იქნება. ამიტომ აუცილებელია ან ასე მოიქცე, ანდა დაპყრობილ ქვეყანაში ცხენოსანთა თუ ქვეითთა მრავალრიცხოვანი რაზმები იყოლიო. კოლონიები არც ისე ძვირი უჯდება მთავარს და თითქმის სულ მუქთად ან ჩალის ფასად აარსებს და ინახავს მათ. ამასთან, იგი მხოლოდ იმათ აზარალებს, ვისაც სახლებსა და მიწებს ართმევს, რათა იქ სხვები დაასახლოს. მაგრამ მისი მტრები მთელი მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ და, ეგეც არ იყოს, დაქსაქსულნი და გაღატაკებულნი ვერაფერს დააკლებენ მას. რაც შეეხება დანარჩენ მცხოვრებთ, რაკიღა, ერთის მხრივ, არაფერი დაუშავდებათ, უმალვე დაცხრებიან, ხოლო მეორეს მხრივ, დაშინებულნი, ვაითუ გაღატაკებულთა დღეში ჩავცვივდეთო, ვერ გაბედავენ ურჩობას. ერთის სიტყვით, ეს კოლონიები დიდ დანახარჯებს არ მოითხოვენ, უფრო მეტი ერთგულებით გამოირჩევიან და ნაკლე-

ბად აშფოთებენ მოსახლეობას. აღშფოთებულნი და მტრულად განწყობილნი კი, როგორც მოგახსენეთ, ვერას დააკლებენ მთავარს. ამგვარად, უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანები ან უნდა გაანებივრო, ან გაჟლიტო; რადგან ხალხი შურს იძიებს მცირეოდენი წყენის გამო, მძიმე ზარალისთვის სამაგიეროს გადახდის თავი კი არა აქვს; მაშასადამე, კაცისთვის მიყენებული ზარალი იმნაირი უნდა იყოს, რომ შურისგების არ გეშინოდეს.

მაგრამ თუ კოლონიების ნაცვლად ლაშქრის შენახვას დააპირებს, ეს უფრო ძვირი დაუჯდება მთავარს და იძულებული იქნება დაცვას დაახარჯოს დაპყრობილი ქვეყნიდან მიღებული მთელი შემოსავალი, ასე რომ, მონაპოვარი დანაკარგად გადაექცევა და ეგეც არ იყოს, ყველაზე მეტად სწორედ ეს აშფოთებს ხალხს: ლაშქრის ბანაკად დგომა თუ გადაადგილება გულისწყრომას იწვევს მთელს ქვეყანაში; ამნაირი მდგომარეობის სიმძაფრე მტკივნეულად განიცდება მთელი მოსახლეობის მიერ, და თვითეული მცხოვრები მტრად ექცევა მთავარს; თანაც, ეს ისეთი მტრები არიან, რომლებსაც შეუძლიათ ბევრი რამ გავნონ, ვინაიდან, თავიანთი დათრგუნვილობის მიუხედავად, მაინც საკუთარ ჭერქვეშ რჩებიან. ასე, რომ, რა თვალსაზრისითაც უნდა მიუდგე, ამნაირი დაცვა იმდენადვე უსარგებლოა, რამდენადაც სასარგებლოა დაცვა კოლონიების დაარსების საშუალებით.

[...]

თავი V

რანაირად უნდა მართავდე ქალაქსა თუ სახელმწიფოს, რომლებიც, მათ დაპყრობამდე, თავიანთი კანონების მიხედვით ცხოვრობდნენ

როდესაც იპყრობენ სახელმწიფოებს, რომლებიც თავიანთი კანონების მიხედვით ცხოვრებასა და თავისუფლებას არიან ნაჩვევნი, არსებობს მათი შენარჩუნების სამი სხვადასხვა საშუალება. პირველი: მიწასთან გაასწორო ისინი; მეორე: პირადად დასახლდე იქ; მესამე: თავიანთი კანონების მიხედვით ცხოვრების ნება მისცე და ხარკი დაადო მათ, ხოლო მმართველობა მცირერიცხოვან პირთ გადასცე, რომლებიც შეგინარჩუნებენ ამ ქვეყნების მეგობრობას. რაკილა ამნაირი მმართველობა მთავრის მიერაა შექმნილი, მმართველებმა, რასაკვირველია, იციან, რომ მთავრის თანადგომისა და მფარველობის გარეშე დიდი დღე არ უწერიათ და ამიტომ ყოველნაირად მხარს უჭერენ მას. თავისუფლებას ნაჩვევი ქალაქის შენარჩუნება უფრო ადვილია მისი მოქალაქეების მეშვეობით, ვინემ სხვა რამ საშუალებით, თუკი მისი დაქცევა არა სურთ. ამის ნიმუშად სპარტა და რომი გამოგვადგება. სპარტელები იმით ინარჩუნებდნენ ათენს და თებეს, რომ ოლიგარქიული მმართველობა დაამყარეს იქ; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე ხელიდან გამოეცალათ[1]. რომაელებმა, კაპუა, კართაგენი და ნუმიდია რომ შეენარჩუნებინათ, შემუსრეს და, ამრიგად, ხელიდან არ გაუშვეს ისინი[2]. საბერძნეთის შენარჩუნება თითქმის იმნაირადვე სურდათ, როგორც

სპარტელები ინარჩუნებდნენ მას, ე. ი. ცდილობდნენ თავისუფლება არ წაერთმიათ და საკუთარი კანონები დაეტოვებინათ მისთვის. მაგრამ ამნაირმა მცდელობამ სასურველი ნაყოფი არ გამოიღო, ვინაიდან, ეს პროვინცია რომ შეენარჩუნებინათ, იძულებულნი იყვნენ მიწასთან გაესწორებინათ ბევრი მისი ქალაქი[3], რადგანაც არ არსებობს ქალაქის შენარჩუნების უკეთესი საშუალება, ვიდრე დანგრევა და დაქცევა მისი. ამიტომ მას, ვინც დაეუფლება, მაგრამ ბოლოს კი არ მოუღებს თავისუფლებას ნაჩვევ ქალაქს, თვითონ მოეღება ბოლო მისი ხელით, ვინაიდან ეს ქალაქი ყოველთვის ეცდება ამბოხების გზით დაიბრუნოს თავისუფლება და თავისი ძველი წესრიგი, რომელთაც მას ვერ დაავიწყებს ვერც დროის დინება და ვერც დამპყრობლის ქველმოქმედება. და რაც უნდა იღონო, რა ზომებსაც უნდა მიმართო, თუკი არ გათიშავ და მიმოფანტავ მის მცხოვრებლებს, არასოდეს წაიშლება თავისუფლებისა და უწინდელი წესრიგის ხსოვნა, არამედ ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში კვლავინდებურად აღდგება და აღორძინდება, როგორც ეს მოხდა პიზაში[4], რომელსაც ამდენი წლის მანძილზე ფლორენციელთა მონობის უღელი ედგა. მაგრამ როცა ქალაქი თუ ქვეყანა მთავრის ძალაუფლებასაა ნაჩვევი, ვისი საგვარეულოც უკვე გადაეგო, მაშინ, – რაკიღა, ერთის მხრივ, მორჩილებასაა ჩვეული, ხოლო მეორეს მხრივ, აღარც ძველი მთავარი ჰყავს, წინააღმდეგობებით გათიშულს აღარც ახლის არჩევის თავი აქვს და აღარც თავისუფლად ცხოვრების ძალი შესწევს, – ძნელად თუ აღმართავს იარაღს დამპყრობლის წინააღმდეგ. ამიტომაც მთავარს არ გაუჭირდება მისი მონადირება და თავისი მდგომარეობის განმტკიცება. რესპუბლიკებში კი, სადაც ცხოვრება დუღს და გადმოდუღს, მეტია სიძულვილი და მეტია შურისგების სურვილი. მათში არასოდეს ჩაქრება და არც შეიძლება ჩაქრეს დაკარგული თავისუფლების ხსოვნა. ამიტომაც ყველაზე ქმედითი საშუალებაა მათი დანგრევა ან მათში დასახლება.

თავი VI
ახალი სამთავროებისათვის, რომლებსაც საკუთარი იარაღითა და სიმამაცით იძენენ

ნურავის განაცვიფრებს ის გარემოება, რომ სრულიად ახალ სამთავროებზე, მთავარსა და სახელმწიფოზე საუბრისას, მე მოვიხმობ ყველაზე დიად მაგალითებს; რადგანაც კაცნი თითქმის ყოველთვის სხვების მიერ გაკვალული გზებით დადიან და მოქმედებითაც თავიანთ წინამორბედთ ბაძავენ, თუმცაღა არ ძალუძთ განუხრელად მისდიონ სხვის გზას, ანდა სიქველით გაუტოლდნენ მათ ვისაც ბაძავენ. ამიტომ კეთილგონიერი კაცი ყოველთვის დიდ ადამიანთა მიერ გაკვალულ გზას უნდა ირჩევდეს და მიბაძვითაც თავიანთი ღირსებით გამორჩეულთ უნდა ბაძავდეს, რათა მისი საკუთარი სიქველე, კიდევაც რომ ვერ ედრებოდეს წინაპართა თუ წინამორბედთა სიქველეს, ყოველ შემთხვევაში, რაღაცით მაინც გვაგონებდეს მას. დიახ, ის უნდა ბაძავდეს ჭკვიან მოისართ, რომელნიც – თუკი მიზანი ძალზე დაშორებული ეჩვენებათ, ვინაიდან მშვენივრად იცნობენ თავიანთი მშვილდის ძალას, – მაინც მონიშნულ

ადგილზე უფრო მაღლა სატყორცნელად მომართავენ ხოლმე სამიზნეს, არა იმიტომ, რომ საკუთარი ძალით ანდა ისრით მიაღწიონ ამ სიმაღლეს, არამედ რათა ესოდენ მაღალი სამიზნის წყალობით უწიონ მიზანს.

მაშ, ასე, მე ვამბობ, რომ სრულიად ახალ სამთავროებში, რომლებსაც განაგებს ახალი მთავარი, ამ უკანასკნელს, თავისი სამფლობელოს შესანარჩუნებლად უფრო მეტი ან ნაკლები სიძნელის დაძლევა ელის, იმისდა კვალად, რაც უფრო მეტად ან ნაკლებად ქველია იგი. და რაკი თვითონ ის ფაქტი, რომ კერძო კაცი შეიძლება მთავარი გახდეს, თავისთავად გულისხმობს სიქველეს ან იღბალს, – კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ერთიცა და მეორეც თანაბრად აიოლებს ამ სიძნელის დაძლევას. მაგრამ ის, ვინც იღბალს უფრო ნაკლებ უმადლის თავის აღზევებას, უფრო დიდხანს ინარჩუნებს საკუთარ მონაპოვარს. საქმეს, ცოტა არ იყოს, აიოლებს ის გარემოებაც, რომ მთავარი, რაკი სხვა საბრძანებელი არ გააჩნია, იძულებულია ახალ სამფლობელოში იცხოვროს. მაგრამ მივუბრუნდები მათ, ვინც იღბლის კი არა, პირადი სიქველის წყალობით გახდნენ მთავარნი, და ვიტყვი, რომ ყველაზე ღირსეულნი იყვნენ მოსე, კიროსი, რომულუსი, თეზევსი[1] და ა. შ. და თუმცა მოსეზე აღარ გავაგრძელებთ სიტყვას, ვინაიდან ის მხოლოდ და მხოლოდ ღმრთის ნებისა და წინასწარგანჩინების აღმსრულებელი იყო, მაგრამ განცვიფრების ღირსია თუნდაც ის მადლი, რისი წყალობითაც მოსე ღმერთთან საუბრის ღირსი შეიქნა[2]. მაგრამ თუ დავუკვირდებით კიროსსა და სხვებს, რომლებმაც დაიპყრეს ან დააარსეს სამეფოები, დავინახავთ, რომ ისინიც განცვიფრების ღირსნი არიან, ხოლო თუ განვიხილავთ მათ მოქმედებებს და მათი ძალისხმევის თავისებურებებს, ვნახავთ, რომ ისინი მოსეს ქმედებათა მსგავსნი არიან, თუმცაღა ამ უკანასკნელს ესოდენ დიადი მოძღვარი ჰყავდა. მათი ცხოვრებისა და ღვაწლის განხილვა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საკუთარ იღბალს არაფერი უწყალობებია მათთვის, გარემოებათა გარკვეული დამთხვევის გარდა, რაც სხვა არა იყო რა, თუ არა ერთგვარი მასალა, რომელსაც თვითონვე მიანიჭეს ისეთი ფორმა, როგორიც სურდათ. გარემოებათა ამნაირი დამთხვევის გარეშე უთუოდ ჩაიშრიტებოდა მათი სულის სიმხნევე და შემართება, ხოლო სულიერი შემართების გარეშე ფუჭი იქნებოდა გარემოებათა ყოველგვარი დამთხვევა. ამიტომ მოსესთვის აუცილებელი იყო ეგვიპტელთა ტყვეობაში და მათგან შევიწროებული ეხილა ისრაელი, რათა მონობის უღლიდან თავის დაღწევის სურვილით აღძრული ხალხი გაეყოლიებინა უკან;[3] რომულუსი რომ რომის მეფე გამხდარიყო აუცილებელი გახლდათ ალბაში ადგილი აღარ დარჩენილიყო მისთვის და დაბადებითვე ბედის ანაბარა დაეგდოთ[4]; კიროსსაც მიდიელთა ბატონობით უკმაყოფილონი უნდა დახვედროდნენ სპარსელები[5], ხოლო მიდიელები – ხანგრძლივი მშვიდობიანობის შედეგად გააზიზებული და ქალაჩუნებად ქცეულნი; ვერც თეზევსი გამოავლენდა თავის სიქველეს, მიმოფანტულნი რომ არ დახვედროდნენ ათენელნი.

ასე რომ, მსგავსმა შემთხვევითობებმა განაპირობა ყველა ამ კაცის ბედნიერება, ხოლო უჩვეულო სიქველის საშუალება მისცა მათ, სათანადოდ შეეფასებინათ ამნაირი შემთხვევითობები, რითაც განადიდეს თავიანთი სამშობლო და ბედნიერებას აზიარეს იგი. ისინი, ვინც, ზემოხსენებულთა მსგავსად, სიქველის წყალობით ხდე-

ბიან მთავარნი, გაჭირვებით ეუფლებიან სამთავროებს, მაგრამ ადვილად ინარჩუნებენ მათ; ხოლო სიძნელეები, რომელთა გადალახვაც სამთავროს დაპყრობის შემდეგ უხდებათ, იმ ახალი წესრიგის თუ წეს-წყობილების შედეგია, რომელიც უთუოდ უნდა დააფუძნონ, რათა ძალაუფლება დაიმკვიდრონ და უზრუნველყონ თავიანთი უშიშროება. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არ არსებობს უფრო ძნელი, წარმატების თვალსაზრისით უფრო საეჭვო და უფრო სახიფათო საქმე, ვიდრე ახალი წესრიგის დაფუძნება. რადგანაც სიახლის დამნერგავს მტრად ექცევა ყველა, ვისთვისაც ხელსაყრელი იყო ძველი წესრიგი, ხოლო ისინი, ვისთვისაც, პირიქით, ახალი უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ძალზე დუნედ და გაუბედავად იცავენ მას. ეს გაუბედაობა ნაწილობრივ აიხსნება მოწინააღმდეგეთა შიშით, რომელთაც მხარს უჭერს კანონი, ნაწილობრივ კი კაცთა უნდობლობით, რომელთაც არა სწამთ, რომ სიახლე სასიკეთო იქნება მათთვის, სანამ გამოცდილებით არ დარწმუნდებიან ამაში. აქედან გამომდინარე, როგორც კი ხელსაყრელ შემთხვევას დაიგულებენ, მტრები გააფთრებით გესხმიან თავს, მაშინ როდესაც მომხრეები ძალზე დუნედ და უხალისოდ გიცავენ, ასე რომ, ადვილი შესაძლებელია მათთან ერთად წააგო თავი.

ამ საკითხის გამოწვლილვით განსახილველად უნდა გავარკვიოთ, დამოუკიდებელნი არიან ეს განმაახლებელნი თუ სხვებზე დამოკიდებულნი, ანუ, რაც იგივეა, თავიანთი საქმეების შესასრულებლად თხოვნას მიმართავენ, თუ იძულებას? პირველ შემთხვევაში ყოველთვის მარცხს განიცდიან და ვერაფერსაც ვერ აღწევენ, მაგრამ როდესაც მხოლოდ თავიანთ თავზე არიან დამოკიდებულნი და შეუძლიათ საკუთარი ნება თავს მოახვიონ სხვებს, იშვიათად თუ რჩებიან ხელმოცარულნი. აი, რატომაა, რომ ყველა შეიარაღებული წინასწარმეტყველი იმარჯვებდა, უიარაღონი კი იღუპებოდნენ; ვინაიდან, ზემოთქმულის გარდა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხის ბუნება ცვალებადია და ამიტომ დარწმუნებით კი შეგიძლია ადვილად დაარწმუნო იგი, მაგრამ მასაც ასევე ადვილად შეუძლია უღალატოს შენს რწმენას. ამიტომ ყოველთვის მზად უნდა იყო საიმისოდ, რომ თუ ხალხი რწმენას შეიცვლის, ძალით აიძულო, კვლავინდებურად ირწმუნოს ის რაც სწამდა. მოსე, კიროსი, თეზევსი და რომულუსი, რომ უიარაღონი ყოფილიყვნენ, ვერავის აიძულებდნენ გაეზიარებინა მათი მრწამსი და აღესრულებინა მათი ნება, როგორც ჩვენს დროში ჯიროლამო სავონაროლას[6] მაგალითი გვიჩვენებს ამას, რომელიც თავისივე ახალი წესრიგის ნანგრევებმა მოიყოლეს ქვეშ, როგორც კი ბრბომ ზურგი აქცია მის მრწამსს; თვითონ კი ვეღარ შეძლო შეენარჩუნებინა მორწმუნენი, ანდა საკუთარ მრწამსზე მოექცია ურწმუნონი.

ასე რომ, ამნაირ ადამიანებს დიდი სიძნელის გადალახვა უხდებათ, მაგრამ ყველა საფრთხე მხოლოდ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ემუქრება მათ, რაც საკუთარი სიქველით უნდა აიცილონ თავიდან. მაგრამ როგორც კი სიძნელეს გადალახავენ და ხალხის ნდობას მოიხვეჭენ, როგორც კი მუსრს გაავლებენ ყველას, ვისაც, თავისი მდგომარეობით, შეიძლებოდა მათდამი შური აღძვროდა, ისინი ძლევამოსილნი, უზრუნველნი, ბედნიერნი და საყოველთაო პატივისცემით გარემოსილნი ხდებიან.

ესოდენ დიად მაგალითებს მე მინდა ერთი, შედარებით მოკრძალებული მაგალითიც დავუმატო, რომელიც ამისდა მიუხედავად, თავისებურად შეესატყვისება ზე-

მოთ მოტანილთ, და რომელიც, ჩემის აზრით, ყველა სხვა მსგავსი მაგალითის მოხმობისგან მათავისუფლებს. მე ვგულისხმობ ჰიერონ სირაკუზელს[7], რომელიც კერძო პირი იყო და სირაკუზის მთავარი კი გახდა; თუმცაღა იღბალს არც მისთვის უწყალობებია რაიმე, გარემოებათა გარკვეული დამთხვევის გარდა. შევიწროებულმა სირაკუზელებმა თავიანთ მხედართმთავრად აირჩიეს იგი, შემდეგ კი, თავისი ღირსების წყალობით მათი მბრძანებელი შეიქნა. თუმცა ჯერ კიდევ მაშინ, როცა უბრალო მოკვდავი იყო, ისეთი სიქველით გამოირჩეოდა, რომ ყველა, ვისაც მის ცხოვრებაზე დაუწერია რამე, ერთხმად აღნიშნავს: საიმისოდ, რომ მეფე გამხდარიყო, მხოლოდ სამეფო აკლდაო. მან დაშალა ძველი ლაშქარი და მის ნაცვლად ახალი შექმნა; ზურგი აქცია ძველ მოკავშირეებს და ახლები შეიძინა. და რაკი ერთგული მოკავშირეები და მოლაშქრენი ჰყავდა, უკვე შეეძლო ამ საფუძველზე ყოველგვარი შენობა დაეშენებინა; ასე რომ, მას დიდი სიძნელის გადალახვა მოუხდა, მაგრამ აღარ გასჭირვებია მონაპოვრის შენარჩუნება.

თავი VII

ახალი სამთავროებისათვის, რომლებსაც სხვისი იარაღითა თუ იღბლის წყალობით იგდებენ ხელთ

კერძო პირთათვის, რომელნიც იღბლის წყალობით ხდებიან მთავარნი, ეს ადვილი საქმეა, მაგრამ ძალზე ძნელია ამ მდგომარეობის შენარჩუნება. ისინი დიდ სიძნელეს არ აწყდებიან მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, გეგონებათ, კი არ მიდიან, არამედ მიფრინავენო, მაგრამ სიძნელე მიზნის მიღწევისთანავე იჩენს თავს. მათ რიცხვს ეკუთვნიან ისინი, ვისაც ან ფულის ფასად უთმობენ სახელმწიფოებს, ან სხვა უწყალობებს ძალაუფლებას. ასე, დარიოსს იონიისა და ჰელესპონტის ქალაქების ტახტზე აჰყავდა სხვადასხვა პირნი, რათა ამ უკანასკნელთ მისი სახელითა და მისივე უსაფრთხოებისა და დიდებისათვის ემართათ ისინი[1]. ზუსტად ასევე აღწევდნენ იმპერატორობას კერძო პირნი, რომელნიც ძალაუფლებას ჯარისკაცების მოსყიდვით იგდებდნენ ხელში[2]. ისინი მთლიანად მათი აღმზევებლების ნება-სურვილსა და იღბალზე არიან დამოკიდებულნი, ხოლო ერთიც და მეორეც ძალზე ცვალებადია და არამყარი; აკი არ შეუძლიათ და ვერც ახერხებენ თავიანთი მდგომარეობის შენარჩუნებას: არ შეუძლიათ იმიტომ, რომ კაცმა, რომელიც თავისი დღე და წუთისოფელი კერძო პირის ცხოვრებით ცხოვრობდა, ძნელი წარმოსადგენია, მბრძანებლობა შეძლოს, თუკი მაღალი ნიჭიერებითა და სიქველით არ გამოირჩევა ვერ ახერხებენ იმიტომ, რომ ერთგული და სანდო მოლაშქრენი არა ჰყავთ. ეგეც არ იყოს, სახელდახელოდ შექმნილ სახელმწიფოებს, ისევე როგორც ყველაფერს, რაც სწრაფად იზრდება ბუნებაში, არ შეიძლება ღრმად ჰქონდეთ ფესვი გადგმული, რათა ქარიშხლის პირველსავე შემოტევას გაუძლონ; თუკი, რა თქმა უნდა, ეს ახალგამომცხვარი მთავრები იმნაირი სიქველით არ გამოირჩევიან, რომ ახერხებენ სწრაფად აუღონ ალღო შექმნილ ვითარებას, რათა შეინარჩუნონ ის, რაც იღბალმა უწყალობათ, და ამრიგად, უკვე

ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, ჩაყაროს იმის საფუძველი, რასაც სხვები გაცილებით უფრო ადრე აფუძნებენ.

[...]

თავი VIII
იმათთვის, ვინც ბოროტებით აღწევენ მთავრის ძალაუფლებას

რაკიღა კერძო პირს შეუძლია ორი სხვა გზითაც გახდეს მთავარი (ვინაიდან ეს ყოველთვის იღბალსა თუ სიქველეზე როდია დამოკიდებული), ჩემის აზრით, დუმილით არ უნდა ავუაროთ გვერდი ამას, თუმცა მართებული იქნებოდა ერთ-ერთ მათგანზე უფრო დაწვრილებით გველაპარაკა იქ, სადაც რესპუბლიკებზე ვმსჯელობთ. ეს ორი გზა შემდეგია: პირველი, როცა მთავრის ძალაუფლებას რაიმე დანაშაულისა თუ ბოროტმოქმედების გზით იგდებენ ხელთ, და მეორე, როცა კერძო მოქალაქე თავისი სამშობლოს მთავარი ხდება თანამოქალაქეთა კეთილგანწყობილების წყალობით. პირველი გზის ნიმუშად ორ მაგალითს მოვიტან, ერთს ძველსა და მეორეს ახალს, თუმცა მათ დაწვრილებით გარჩევას არ შევუდგები, ვინაიდან, ჩემის აზრით, თავისთავადაც ცხადნი არიან მისთვის, ვინც იძულებულია მიბაძოს მათ.

სიცილიელი აგათოკლე[1] არა მარტო კერძო პირი იყო, არამედ მდაბალი და მდაბიური წარმოშობისაც, მაგრამ მაინც სირაკუზის მთავარი გახდა. ის მეთუნის შვილი[2] იყო და თავისი დღე და წუთისოფელი ბოროტმოქმედის ცხოვრებით ცხოვრობდა. მაგრამ, თავისი ავკაცობის მიუხედავად, სულისა და ხორცის ისეთი სიძლიერით გამოირჩეოდა, რომ, სამხედრო სამსახურში ჩამდგარმა, თანმიმდევრობით გაიარა ყველა საფეხური და სირაკუზის პრეტორობას მიაღწია. ამ წოდებას მიღწეულმა მთავრად გახდომა განიზრახა და გადაწყვიტა, ყველას გვერდის ავლით, თვითნებურად და მოძალადურად ესარგებლა იმით, რაც ნებსითა და საერთო თანხმობით დაუთმეს სხვებმა. თავისი გეგმა ჰამილკარ კართაგენელს[3] გაანდო, რომელიც იმხანად თავისი ლაშქრითურთ სიცილიაში ომობდა, და ერთ დილას, ვითომდა რესპუბლიკისათვის საჭირბოროტო საკითხის განსახილველად შეჰყარა სირაკუზის სენატი და ხალხი, თავის ჯარისკაცებს კი უბრძანა, დათქმულ ნიშანზე, დარეოდნენ და მუსრი გაევლოთ მთელი სენატისა და ყველაზე მდიდარი მოქალაქეებისათვის[4]. მათი გაჟლეტის შემდეგ აგათოკლემ ხელთ იგდო მთავრის ძალაუფლება ამ ქალაქში და ყოველგვარი შინა აშლილობის გარეშე შეინარჩუნა იგი. და თუმცა ორჯერ დაამარცხეს და, ბოლოს და ბოლოს, ალყაშიც მოიმწყვდიეს კართაგენელებმა, მაგრამ არა მარტო დაიცვა თავისი ქალაქი, არამედ თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი მეციხოვნედ დატოვა იქ, მეორეთი კი აფრიკაში შეიჭრა[5], მოკლე ხანში გაათავისუფლა სირაკუზა[6] და აიძულა კართაგენელები უკიდურეს დათმობაზე წასულიყვნენ: ხელშეკრულების თანახმად, ისინი იძულებულნი იყვნენ მარტოოდენ აფრიკაზე მბრძანებლობას დასჯერებოდნენ, სიცილია კი აგათოკლესათვის დაეთმოთ.

ვინც ამ კაცის მოქმედებას თვალს გაადევნებს, ვერაფერს ან ცოტა რასმე თუ ჰპოვებს ისეთს, რაც შეიძლება ბედის კეთილმოწყალებას მიეწეროს; ვინაიდან, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ვიღაცის შემწეობით კი არ მიუღწევია მთავრის ძალაუფლებისათვის, არამედ იმის წყალობით, რომ სამხედრო სამსახურში თანმიმდევრულად განვლო ყველა საფეხური, რისთვისაც ათასნაირ ქარცეცხლში უნდა გაევლო, ხოლო შემდეგ თავდაუზოგავად იბრძოლა ძალაუფლების შესანარჩუნებლად. მაგრამ ქველი მაინც არ შეიძლება ეწოდოს თანამოქალაქეთა მკვლელს, მეგობრების გამყიდველს, მუხანათს, გულმხეცსა და უღმერთო კაცს. ამნაირი თვისებების წყალობით, შეიძლება ძალაუფლება კი იგდო ხელთ მაგრამ ვერ მოიხვეჭ დიდებას. თუ კარგად დავუკვირდებით აგათოკლეს ქედუხრელობას, რომლის წყალობითაც ის არად აგდებდა საფრთხეს და თავიდან იცილებდა მტრების მუქარას, მის დიდსულოვნებას, რომლის წყალობითაც არაერთხელ უმარჯვნია და თავის სასარგებლოდ შემოუტრიალებია, ერთის შეხედვით, ხელიდან წასული საქმე, თითქოს ვერც ავხსნით, რატომ უნდა ვაყენებდეთ მას ყველაზე სახელგანთქმულ მხედართმთავრებზე დაბლა. მაგრამ მისი აღვირახსნილობა, სისასტიკე და გულმხეცობა, ისევე როგორც მისი ურიცხვი დანაშაული, არ გვაძლევენ იმის უფლებას, რომ დიდი ადამიანების გვერდით მივუჩინოთ ადგილი. ამრიგად, შეუძლებელია იღბალს ან სიქველეს მიეწეროს ის, რასაც მან როგორც ერთის, ისე მეორის გარეშე მიაღწია.

[...]

შესაძლოა, ვინმეს აღეძრას ასეთი კითხვა: რითი აიხსნება, რომ აგათოკლესა და სხვა მისთანებს, ურიცხვი გამცემლობისა და სისასტიკის მიუხედავად, დიდხანს შეეძლოთ არხეინად ეცხოვრათ თავის სამშობლოში და გარეშე მტრებისაგან დაეცვათ თავი; ამასთან, მოქალაქეებს ერთხელაც არ მოუწყვიათ შეთქმულება მათ წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ბევრი სხვა მთავარი, ასეთივე სისასტიკის წყალობით, თვით მშვიდობიანობის დროსაც ვერ ახერხებდა სახელმწიფოს შენარჩუნებას, ომიანობის მშფოთვარე დროზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩემის აზრით, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იყენებენ სისასტიკეს: ავად თუ კარგად. კარგად იყენებენ (თუკი ბოროტების მიმართ შეიძლება ითქვას: კარგადო) მაშინ, როცა მხოლოდ ერთხელ მიმართავენ მას, როგორც თავდაცვის აუცილებელ საშუალებას, შემდეგ კი ხელს იღებენ მასზე და მხოლოდ იმას ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანონ თავის ქვეშევრდომთ. ავად იყენებენ მაშინ, როცა თავდაპირველად მხოლოდ ნაწილობრივ ავლენენ მას, შემდეგ კი დროთა განმავლობაში, არამცთუ არ ამცირებენ, პირიქით, თანდათანობით ზრდიან. ვინც პირველ გზას ირჩევს, ღმრთისა და კაცთა შეწევნით, ასე თუ ისე, მაინც პოულობს გამოსავალს თავისი მდგომარეობიდან, როგორც მაგალითად აგათოკლე. სხვების საქმე კი ხელიდან წასულია. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელში ჩაგდებისას დამპყრობელმა ერთბაშად, ერთის დაკვრით უნდა გამოიჩინოს მთელი სისასტიკე, რათა შემდეგ ყოველდღიურად აღარ დასჭირდეს მისი გამოყენება, და, ამრიგად, შეძლოს ხალხის დაშოშმინება და, ქველმოქმედების წყალობით, მისი გულის მოგება. ის, ვინც სიმხდალისა თუ უგუნურების გამო, სხვაგვარად იქცევა, ყოველთვის იძულებული იქნება მახვილი ეპყრას ხელში

და ვერასოდეს ვერ შეძლებს თავის ქვეშევრდომებზე დაყრდნობას, ვინაიდან, მუდმივი და დაუსრულებელი მუქარის გამო, ეს უკანასკნელნიც ვერასოდეს ამოისუნთქავენ შვებით მის ხელში. ამიტომ სისასტიკე ერთბაშად და ერთჯერადი უნდა იყოს, რათა ხალხს გონს მოსვლის საშუალება არ მიეცეს და, ამრიგად, ნაკლებ მტკივნეულად განიცადოს იგი, ქველმოქმედება კი ნელ-ნელა, წვეთ-წვეთობით უნდა გამოავლინო, რათა ხალხმა უკეთ შეძლოს მისი შეტკბობა.

მაგრამ ყველაზე არსებითია მთავარსა და მის ქვეშევრდომებს შორის იმნაირი ურთიერთობის დამყარება, რომ ვერავითარმა გარემოებამ, ვერც ავმა და ვერც კარგმა, ვეღარ შეძლოს მისი დარღვევა: რადგანაც გაჭირვების ჟამს არც ბოროტის ქმნა დაგაყრის ხეირს და არც სიკეთე წაგადგება რამეში, ვინაიდან, რაკიღა იძულებითი იქნება, ვერავის მოიმადლიერებ იმით.

თავი IX
სამოქალაქო სამთავროსათვის

ახლა გადავიდეთ იმ შემთხვევაზე, როცა კერძო პირი ბოროტმოქმედებისა თუ სხვა რამ აუტანელი ძალადობის გზით კი არა, არამედ თანამოქალაქეების კეთილგანწყობილების შედეგად ხდება მთავარი; ამას შეიძლება ეწოდოს სამოქალაქო მმართველობა, რომლის მისაღწევადაც არც სრული სიმამაცეა საჭირო და არც დიდი იღბალი, არამედ, უმალ, იღბლიანი ცბიერება. ამნაირი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად საჭიროა ან ხალხის, ან კიდევ დიდებულთა კეთილგანწყობილება. ვინაიდან ყველა ქალაქში ვხვდებით ამ ორ სხვადასხვა დაჯგუფებას, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ხალხს არ სურს დიდებულები მბრძანებლობდნენ და ავიწროებდნენ მას, დიდებულებს კი, პირიქით, სურთ მბრძანებლობდნენ და ავიწროებდნენ ხალხს. ამ ორ განსხვავებულ მისწრაფებას ქალაქში სამიდან ერთი შედეგი მოსდევს: ან მბრძანებლობა, ან თავისუფლება, ან თავაშვებულობა. მბრძანებლობის მიზეზი ან ხალხია და ან დიდებულები, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარე მოიგდებს საამისო შემთხვევას ხელში. ასე მაგალითად, დიდებულები, როგორც კი დარწმუნდებიან, რომ ხალხს ვეღარ აოკებენ, მთელ თავიანთ გავლენას ერთ კაცს მიანიჭებენ და მთავრად დასვამენ, რათა მისი მფარველობის ქვეშ თავიანთ ნებაზე იპარპაშონ. ასევე ხალხიც, როცა დაინახავს, რომ დიდებულებს წინააღმდეგობას ვეღარ უწევს, მთელს თავის ძალმოსილებას ერთ კაცს გადასცემს და ხელისუფლების სათავეში აყენებს მას, რათა თავის მფარველად ეგულებოდეს. ის, ვინც დიდებულთა შემწეობით აღწევს მთავრის ძალაუფლებას, უფრო ძნელად ინარჩუნებს მას, ვიდრე ის, ვინც ხელისუფლებას ხალხის შემწეობით უდგება სათავეში; ვინაიდან, პირველ შემთხვევაში, მთავარს გარს ახვევიან დიდებულები, რომლებსაც მასზე ნაკლებად როდი მოაქვთ თავი, და რომლებსაც ის, ამის გამო, ვერც თავის ნებაზე ათამაშებს და ვერც რასმე უკარნახებს. მაშინ როდესაც ის, ვინც ხალხის შემწეობით აღწევს მთავრის ძალაუფ-

ლებას, ერთპიროვნული მბრძანებელი ხდება და ირგვლივ არავინ, ან თითქმის არავინა ჰყავს ისეთი, ვინც ურჩობას გაუბედავს.

ეგეც არ იყოს, თუ წრფელ გზას აირჩევს და არავის შეავიწროებს, მთავარი მაინც ვერ დააკმაყოფილებს დიდებულებს, ხალხის დაკმაყოფილებას კი დიახაც შეძლებს, ვინაიდან ხალხი უფრო პატიოსან მიზანს ისახავს, რადგანაც მხოლოდ იმას მიელტვის, რომ არავის დააჩაგვრინოს თავი, დიდებულებს კი ყველაზე მეტად სწორედ მისი დაჩაგვრა სურთ. გარდა ამისა, მთავარს ყოველთვის შეუძლია მტრულად განწყობილი ხალხისაგან დაიზღვიოს თავი, დიდებულებისაგან კი არა, ვინაიდან ხალხი მრავალრიცხოვანია, დიდებულები კი ცოტანი არიან. და მართლაც, რა შეუძლია მტრულად განწყობილ ხალხს? დიდი-დიდი, ზურგი აქციოს მთავარს; მტრულად განწყობილ დიდებულებს კი შეუძლიათ არა მარტო ზურგი აქციონ, არამედ აშკარადაც დაუპირისპირდნენ მას, ვინაიდან ისინი უფრო წინდახედულნი არიან, უფრო მზაკვარნი, ყოველთვის დროულად იზღვევენ თავს და მის მხარეზე გადადიან, ვისაც, მათის აზრით, გამარჯვება უნდა დარჩეს. მთავარი იძულებულია ყოველთვის ერთსა და იმავე ხალხთან იცხოვროს, მაშინ როდესაც დიახაც შეუძლია ერთი და იმავე დიდებულების გარეშეც გავიდეს ფონს, ვინაიდან ხელეწიფება, თავისი ნება-სურვილისამებრ, ქმნიდეს ან მუსრავდეს, სწყალობდეს ან რისხავდეს მათ.

ამ საკითხის უკეთ გასარკვევად, მე ვამტკიცებ, რომ შესაძლოა დიდებულებისადმი ორნაირი დამოკიდებულება, იმისდა მიხედვით, თუ რას გვიმოწმებს მათი ქცევა: იმას, რომ თავიანთ ბედ-იღბალს მთლიანად მთავრის ბედ-იღბალს უკავშირებენ, თუ პირიქით. თუ უკავშირებენ და ნამდვილი მტაცებლებივით არ იქცევიან, სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ, თუ არა და, აქაც თავს იჩენს ორი სხვადასხვა შესაძლებლობა: პირველი: ისინი სულმოკლეობისა და ბუნებით თანდაყოლილი სიმხდალის გამო იქცევიან ასე, და მაშინ მთავარმა, რასაკვირველია, უნდა ისარგებლოს მათი სამსახურით, უწინარეს ყოვლისა კი დაეყრდნოს მათ შორის ყველაზე კეთილგონიერთ, რომელნიც ხელსაყრელ ვითარებაში პატივისცემას არ მოაკლებენ, გასაჭირში კი არაფერს ავნებენ მას; და მეორე: მათი ამნაირი ქცევის მიზეზი ანგარება და პატივმოყვარეობა გახლავთ, რაც იმის მომასწავებელია, რომ ისინი თავიანთ თავზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე მთავარზე, და მაშინ ეს უკანასკნელი უნდა უფრთხოდეს და თავის აშკარა მტრებად თვლიდეს მათ, ვინაიდან არახელსაყრელ ვითარებაში ყოველთვის მის დამხობას შეეცდებიან.

ამრიგად, ის, ვინც ხალხის კეთილგანწყობილების შედეგად ხდება მთავარი, ასევე კეთილად უნდა იყოს განწყობილი მის მიმართ; რასაც ადვილად შეძლებს, ვინაიდან ხალხი მხოლოდ იმას მოითხოვოს, რომ არავინ ავიწროებდეს, ხოლო ის, ვინც ხალხის კი არა, დიდებულთა კეთილგანწყობილების შედეგად აღწევს მთავრის ძალაუფლებას, უწინარეს ყოვლისა, ხალხის გულის მოგებას უნდა ცდილობდეს, რასაც ასევე ადვილად შეძლებს, თუკი თავის მფარველობას არ მოაკლებს მას. და რაკი კაცნი, კეთილისმყოფელად რომ დაიგულებენ მას, ვისგანაც ბოროტის მეტს არას ელოდნენ, – მთელის არსებით თავიანთი მწყალობლის ერთგულნი ხდებიან, ამიტომ ხალხიც უფრო თავგამოდებით უჭერს მხარს თავის მფარველს, ვიდრე დაუჭერდა იმ

შემთხვევაში, მისი წყალობით რომ გამხდარიყო მთავარი. ამ უკანასკნელს ათასნაირი საშუალება მოეძებნება ხალხის გულის მოსანადირებლად, ხალხისა, რომელიც ვითარებისდაკვალად იცვლება, რის გამოც აქ არ არსებობს ერთი უტყუარი და ყოვლისმომცველი წესი. ამიტომ აღარც მე გავაგრძელებ სიტყვას და დასკვნის სახით იმასღა ვიტყვი, რომ მთავარი ყოველნაირად უნდა ცდილობდეს ხალხის მეგობრობის მოხვეჭას, არადა, განსაცდელის ჟამს, ცუდად წაუვა საქმე.

[...]

თავი X
რანაირად უნდა ვზომავდეთ ყოველი სამთავროს ძლიერებას

ამ სამთავროთა თავისებურებების განხილვისას, ერთი ასეთი საკითხის გათვალისწინებაც გვმართებს: აქვს თუ არა მთავარს ისეთი სახელმწიფო, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია თვითონვე მართავდეს თავის თავს, თუ ყოველთვის სხვებისგან მფარველობას მოითხოვს? ამ საკითხის უკეთ გასარკვევად, მე ვამბობ, რომ, ჩემის აზრით, თავიანთი თავის მართვას, უწინარეს ყოვლისა, შეძლებენ ისინი, რომელთაც, ხალხმრავლობისა თუ დიდძალი სიმდიდრის წყალობით, შეუძლიათ გამოიყვანონ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი და, ამრიგად, საკადრისი პასუხი გასცენ ყველა მომხდურს. ზუსტად ასევე, მე ვამბობ, რომ სხვებისგან შემწეობას საჭიროებენ ისინი, რომელთაც არ ძალუძთ ბრძოლის ველზე გაუმკლავდნენ მტერს, არამედ იძულებულნი არიან თავი შეაფარონ გალავანს და მხოლოდ მუქარის მოგერიებას ცდილობდნენ. პირველი შემთხვევის გამო უკვე მოგახსენეთ და შემდგომშიც კვლავ მივუბრუნდებით ამ საკითხს. მეორე შემთხვევაში მხოლოდ ის შეგვიძლია ვურჩიოთ ამნაირ მთავრებს, რომ ყოველნაირად უნდა ამაგრებდნენ და ამტკიცებდნენ თავიანთ ადგილსამყოფელს და ყურადღებას არ აქცევდნენ ქვეყნის დანარჩენ ნაწილს. ვინც სათანადოდ გაამაგრებს საკუთარ ადგილსამყოფელს, მთელს დანარჩენ სამფლობელოში კი ისე მოექცევა თავის ქვეშევრდომთ, როგორც ზემოთ ვთქვით და ქვემოთაც მოგახსენებთ, – ძნელად თუ ვინმე გაბედავს მასზე თავდასხმას. რადგანაც კაცნი ყოველთვის ცდილობენ თავი აარიდონ იმნაირ საქმეს, რომლის წარმატებაშიაც წინასწარვე ეჭვი ეპარებათ, ხოლო თავდასხმა მთავარზე, რომელიც საიმედოდ დაცულ ციხე-სიმაგრეში ზის, და რომელიც არა სძულს ხალხს, შეუძლებელია იოლ საქმედ იქნეს მიჩნეული.

გერმანიის ქალაქები თავისუფალნი არიან, პატარა ადგილი უჭირავთ, როცა სურთ, იმპერატორს[1] ემორჩილებიან, მაგრამ არ ეშინიათ არც მისი და არც თავიანთი ძლევამოსილი მეზობლებისა: ვინაიდან ისეთნაირად არიან გამაგრებულნი, რომ ყველას აშკარად ეცემა თვალში, რაოდენ ძნელი და ქანცგამწყვეტი საქმე იქნება მათი აღება. ყველას ღრმა თხრილები და განიერი გალავნები არტყია გარს, მძლავრი ზარბაზნებით არიან აღჭურვილნი და საწყობებიც სასმელ-საჭმლისა და საწვავის

მთელი წლის სამყოფი მარაგითა აქვთ გამოტენილი. გარდა ამისა, იმ მიზნით, რომ მდაბიორებმა, ქალაქისათვის დიდი ზარალის მიუყენებლად, თავის გატანა შეძლონ, ყოველთვის იმარაგებენ მთელი წლის სამყოფ მასალას, რათა სამუშაო არ მოაკლონ უბრალო ხალხს და შეუფერხებლად ამუშაონ ის საწარმოები, რომელთა ნაწარმიც ჰაერივით სჭირდება ქალაქს. ეგეც არ იყოს, ყველგან დიდ პატივშია სამხედრო საქმე, რომლის სრულყოფასაც ყოველნაირად უწყობენ ხელს.

ამრიგად, კარგად გამაგრებული ქალაქის მთავარს, რომელიც არა სძულს ხალხს, იშვიათად თუ ემუქრება თავდასხმის საფრთხე; მაგრამ კიდევაც რომ დაესხან თავს, მომხდური თავლაფდასხმული გაბრუნდება უკან. გარემოებანი ხომ იმნაირად ცვალებადნი არიან, რომ თითქმის შეუძლებელია, თავდამსხმელმა, თავისი ლაშქრითურთ, მთელი წელი უქმად შესწიროს ქალაქის ალყას.

შეიძლება შემესიტყვონ: თუკი მოქალაქეების სამფლობელოები ქალაქგარეთაა, და ისინი ცეცხლის ალში გახვეულს იხილავენ თავიანთ საბადებელს, მათი მოთმინების ფიალა აივსება; თანაც, ხანგრძლივი ალყა და სიცოცხლის სიყვარული მთავარსაც დაავიწყებინებთ. პასუხად ვიტყვი, რომ ძლიერი და ქედუხრელი მთავარი ყოველგვარ სიძნელეს დაძლევს: ხან იმით, რომ ანუგეშებს თავის ქვეშევრდომთ, ამ უბედურებასაც მალე ბოლო მოეღებაო, ხანაც იმით, რომ მტრის სისასტიკის შიშს ჩაუნერგავს მათ, ხან კიდევ იმის წყალობით, რომ მარჯვედ მოიცილებს თავიდან იმ ხალხს, რომლებიც ყველაზე ურჩნი და გულფიცხნი ჩანან. ეგეც არ იყოს, მტერი, ჩვეულებრივ, ქვეყანაში შეჭრისთანავე ცეცხლითა და მახვილით მუსრავს და აოხრებს მას, ე. ი. მაშინ, როცა ხალხისთვის ჯერ კიდევ არ უღალატნია სიმხნევეს, და მზად არის თავდასაცავად. მით უფრო ნაკლებ უნდა შიშობდეს მთავარი, ვინაიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ხალხი სულით დაეცემა, უბედურება უკვე დატრიალდება და მოსახდენი მოხდება, საშველი აღარსად ჩანს: სწორედ მაშინ, ხალხი უფრო მჭიდროდ და ერთსულოვნად ირაზმება თავისი მთავრის გარშემო, რომელსაც უკვე თავის მოვალედ სახავს, რაკიღა სწორედ მის დასაცავად გასწირეს ცეცხლში დასანთქმელად და ასაოხრებლად თავიანთი სახლებიც და ავლა-დიდებაც. ხალხის ბუნება კი ასეთია, რომ სხვებისათვის გაწეული სამსახური მოვალეობის ისეთსავე გრძნობას აღუძრავს, როგორც სამსახური, რომელსაც სხვები უწევენ მას. და თუ ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გონიერი მთავარი, დასაწყისშიც და შემდეგშიაც, ადვილად შეძლებს იმას, რომ ალყაშემორტყმული მოქალაქენი არ დაეცნენ სულით, და არც დაეცემიან, თუკი სასმელ-საჭმელი ან საომარი მასალა არ შემოაკლდათ.

თავი XI
საეკლესიო სამთავროთათვის

ახლა კი ისღა დაგვრჩენია, საეკლესიო სამთავროებზე გადავიდეთ. მთელი სიძნელე მათს ხელში ჩაგდებამდე იჩენს თავს, ვინაიდან ამ სამთავროებს სიქველისა

თუ იღბლის წყალობით ეუფლებიან, შენარჩუნებით კი როგორც ერთის, ისე მეორის გარეშე ინარჩუნებენ. მათ აცოცხლებს სარწმუნოებაში ძველთაგანვე დამყარებული წესრიგი, ისე ძლევამოსილი და ღრმად ფესვგადგმული, რომ ამნაირი მთავრები ადვილად ახერხებენ მდგომარეობის შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, თუ როგორ იქცევიან ან რანაირი ცხოვრებით ცხოვრობენ მხოლოდ მათ ეკუთვნით ძალაუფლება, მაგრამ არც მის შენარჩუნებას ცდილობენ და არც თავიანთ ქვეშევრდომებს მართავენ, ვინაიდან არავინ ემუქრება მათ მმართველობას, ხოლო ქვეშევრდომები უდრტვინველად ურიგდებიან თავიანთ მდგომარეობას და ამიტომ არ აპირებენ და არც შეუძლიათ მათგან განდგომა. მაშასადამე, მხოლოდ ამნაირი მთავრები არიან უზრუნველნი და ბედნიერნი. მაგრამ რაკი აქ თავს იჩენს უზენაეს მიზეზთა ზემოქმედება, რომელსაც ადამიანის გონება ვერ ჩაწვდება, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ მათზე. მხოლოდ თავხედი და თავდაჯერებული კაცის საქმეა იმაზე მსჯელობა, რაც ღვთით არის დაცული და განდიდებული, თუმცა შეიძლება მკითხონ: როგორ მიაღწია ეკლესიამ ისეთ მიწიერ დიდებას, რომ მას თვით საფრანგეთის მეფეც კი უფრთხის; რომ მან შეძლო იტალიიდან განედევნა იგი და გაენადგურებინა ვენეციელები[1], მაშინ როდესაც ალექსანდრემდე ეკლესიის საერო ძალაუფლებას არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ თვით უბადრუკი ბარონები და სინიორები, იტალიის დიდ სახელმწიფოებზე რომ აღარაფერი ვთქვათო? პასუხად ვიტყვი, რომ თუმცა ყოველივე ეს კარგადაა ცნობილი, მაგრამ ზედმეტად მაინც არ მიმაჩნია ამის გახსენება.

ვიდრე საფრანგეთის მეფე შარლი შემოიჭრებოდა იტალიაში[2], ეს პროვინცია მთლიანად პაპის, ვენეციელების, ნეაპოლის მეფის, მილანის დუკასა და ფლორენციელების ძალაუფლებას ექვემდებარებოდა[3]. ყველა ამ ხელისუფალს, უწინარეს ყოვლისა, ორი საზრუნავი ჰქონდა: ჯერ ერთი, ის, რომ იტალიაში არ შემოჭრილიყო ძლევამოსილი უცხოელი, და, მეორეც, ის, რომ არც ერთ მათგანს ახალი სამფლობელოები არ ჩაეგდო ხელში. ყველაზე მეტად ისინი უფრთხოდნენ პაპს და ვენეციელებს. ამ უკანასკნელთა ასალაგმავად საჭირო იყო ყველა დანარჩენების მჭიდრო კავშირი, როგორც, მაგალითად, ფერარის დაცვისას[4]; პაპის დასაოკებლად კი რომაელ ბარონებს იშველიებდნენ, რომლებიც ორ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი: ორსინებისა და კოლონების მომხრეებად, და გამუდმებით ექიშპებოდნენ ერთიმეორეს; თხემით ტერფამდე აღჭურვილი ეს ახლო მეზობლები ავიწროებდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ პაპის ძალაუფლებას. და თუმცა დროდადრო ტახტზე ადიოდა უდრეკი პაპი, როგორიც იყო, მაგალითად, სიქსტე[5], მაგრამ, ვერც იღბლისა და ვერც კეთილგონიერების წყალობით, ვერაფერს აწყობდა აბეზარ მეზობლებთან. ამის მიზეზი პაპების დღემოკლეობა გახლდათ: იმ ათი წლის მანძილზე, რამდენსაც, საშუალოდ, ძლებდა ყოველი პაპი[6], ის დიდის გაჭირვებით ახერხებდა ერთ-ერთი ბანაკის დასუსტებას, და თუ ერთი, მაგალითად, მუსრს ავლებდა კოლონას მომხრეებს, მის ადგილს იკავებდა მეორე პაპი, რომელიც, თავის მხრივ, მტრობდა ორსინებს და მფარველობდა კოლონებს, მაგრამ ვერ კი ასწრებდა ორსინების განადგურებას[7]. აი, რატომაა, რომ პაპის საერო ძალაუფლებას ესოდენ ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ იტალიაში.

დაბოლოს, პაპის ტახტზე ავიდა ალექსანდრე VI, რომელმაც, ყველა თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, გვიჩვენა, რას შეუძლია მიაღწიოს პაპმა ფულისა და სამხედრო ძალის მეშვეობით: იარაღად რომ გამოიყენა დუკა ვალენტინო და მოხერხებულად ისარგებლა ფრანგების შემოსევით, მან აღასრულა ყოველივე ის, რაც ზემოთ, დუკას მოქმედების განხილვისას მოვიხსენიე. და თუმცა მისი უშუალო მიზანი დუკას აღზევება გახლდათ, და არა ეკლესიისა, მაგრამ, ასეა თუ ისე, თავისი მოქმედებით მან ხელი შეუწყო ეკლესიის განდიდებას, რომელმაც პაპის სიკვდილისა და დუკას დაღუპვის შემდეგ, უხვად მოისთვლა მისი ღვაწლის ნაყოფი.

შემდეგ ტახტზე ავიდა პაპი იულიუს II, რომელსაც ეკლესია უკვე აღზევებული დახვდა: მის ხელში იყო მთელი რომანია, აღარ ეშინოდა რომაელი ბარონების, რომელთა ორივე ბანაკი, ალექსანდრეს მტკიცე ხელით, თითქმის მიწასთან იქნა გასწორებული. ეგეც არ იყოს, გაიხსნა გზა სიმდიდრის დაგროვებისა, რასაც არავინ დასდგომია ალექსანდრემდე. იულიუსი არა მარტო კვალდაკვალ მიჰყვა თავის წინამორბედს, არამედ კიდევაც გადაამეტა მას: მიზნად დაისახა ხელში ჩაეგდო ბოლონია[8], გაენადგურებინა ვენეციელები და იტალიიდან განედევნა ფრანგები[9]. ყოველივე ამას წარმატებით გაართვა თავი, რაც მით უფრო სასახელოა მისთვის, რომ მხოლოდ ეკლესიის განდიდებას მიელტვოდა და არა რომელიმე კერძო პირისას. ორსინებისა და კოლონებისათვის თავის წინამორბედზე უფრო მეტი გასაქანი არ მიუცია, და თუმცა მათ შორის დიახაც იყვნენ შფოთისთავნი, მაგრამ ორი რამ აოკებდა მათ: ჯერ ერთი, ეკლესიის სიდიადე, რომელსაც ასე ძლიერ უფრთხოდნენ, და, მეორეც, ის, რომ არა ჰყავდათ არც ერთი კარდინალი, – მათი მღელვარების მუდმივი მიზეზი. და თუ ორსავე ამ ბანაკს ეყოლება კარდინალები, – ისინი არასოდეს არ დაცხრებიან, ვინაიდან კარდინალები, რომშიაც და სხვაგანაც, თავგამოდებით იცავენ ბარონებს, ხოლო ბარონები იძულებულნი არიან მხარში ედგნენ კარდინალებს. ასე რომ, პრელატთა პატივმოყვარეობა დასაბამს აძლევს მღელვარებასა და უთანხმოებას ბარონებს შორის. ამრიგად, მისი ყოვლად უწმინდესობა პაპი ლეონი[10] პაპობის სრული ზეობისას ავიდა ტახტზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ მისი წინამორბედნი იარაღით განამტკიცებდნენ თავიანთ ძალაუფლებას, ეს უკანასკნელნი თავისი სიკეთისა და ურიცხვი სხვა სიქველის წყალობით განავრცობს და განადიდებს მას.

თავი XII

იმისათვის, თუ რამდენნაირი სახის ლაშქარი არსებობს, და დაქირავებული ჯარისკაცებისათვის

მას შემდეგ, რაც დაწვრილებით განვიხილე იმ სამთავროთა ყველა თავისებურება, რომელთა კვლევასაც ვისახავდი მიზნად, კერძოდ, გავარკვიე მათი კეთილდღეობისა თუ უიღბლობის მიზეზები და გიჩვენეთ, რა გზით ცდილობენ ზოგიერთნი მათ დაუფლებას, – ისღა დამრჩენია, განვიხილო თავდასხმისა თუ თავდაცვის საშუ-

ალებები, რომლებსაც შეიძლება იყენებდეს თვითეული მათგანი. ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რაოდენ აუცილებელია მთავრისათვის, რომ მტკიცე საფუძველი ჰქონდეს ჩაყრილი: არადა, გარდუვალი დაღუპვა ელის. ყოველი სახელმწიფოს – როგორც ახლის, ისე ძველის თუ შერეულის უმტკიცესი საფუძველი კი კარგად გაწვრთნილი ლაშქარი და კარგი კანონები გახლავთ. მაგრამ რაკი კარგი კანონები წარმოუდგენელია კარგად გაწვრთნილი ლაშქრის გარეშე, ხოლო კარგად გაწვრთნილი ლაშქარი თავისთავად განაპირობებს კარგ კანონებს, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ კანონებზე და მარტოოდენ ლაშქარზე ვილაპარაკებ.

ამრიგად, მე ვამბობ, რომ ლაშქარი, რომლითაც მთავარი იცავს თავის სახელმწიფოს, ან მისი საკუთარი ლაშქარია, ან დაქირავებული, ან მაშველი, ან შერეული. დაქირავებული და მაშველი ლაშქარი უსარგებლოა და საშიში. და თუ ვინმე დაქირავებულ ლაშქარზე აფუძნებს თავისი სამთავროს ძლიერებას, მისი ძალაუფლება არასოდეს არ იქნება მტკიცე და ურყევი; ვინაიდან ყველა ამნაირ ლაშქარში ერთთავად განხეთქილება სუფევს, ყველა ისინი პატივმოყვარენი არიან, აღვირახსნილნი, მუხანათნი; თავხედნი – მეგობრებს შორის, მხდალნი – მტრების პირისპირ; არც ღვთის შიში აქვთ და არც კაცთა მიმართ რწმენა, ხოლო მათ დამარცხებას იმდენივე დრო სჭირდება, რამდენ ხანსაც გრძელდება მათი შეტევა; თუ მშვიდობაა, ისინი თვითონვე ძარცვავენ მოსახლეობას, ომის დროს კი მტერს აძარცვინებენ მას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ არც სიყვარული და არც სხვა რამ გრძნობა არ აიძულებს დაქირავებულ ჯარისკაცებს, ფეხმოუცვლელად იდგნენ ბრძოლის ველზე, მწირი ჯამაგირი კი სულაც არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მთავრის გულისთვის თავდადების სურვილი აღუძრას მათ. ისინი მზად არიან მთავრის ჯარისკაცებად იწოდებოდნენ, სანამ ომი არ დაწყებულა, მაგრამ ომის დაწყებისთანავე ან გარბიან ან ეთხოვებიან მთავარს. ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინაიდან იტალიის დამხობა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ, ამდენი წლის მანძილზე, მისი სამხედრო ძლიერება მარტოოდენ დაქირავებულთა რაზმებს ემყარებოდა. ამათ თითქოს რაღაც მიღწევებიც ჰქონდათ და ერთმანეთის თვალწინ ყოყლოჩინობდნენ კიდეც, მაგრამ როგორც კი უცხოელი შემოიჭრა, აშკარად გამოჩნდა, რაც იყვნენ სინამდვილეში. აი, რატომაა, რომ შარლმა, საფრანგეთის მეფემ, თითქოს თამაშით აიღო იტალია, და ვინცა თქვა, ამის მიზეზი ჩვენი ცოდვები იყოო, მართალი თქვა[1], მაგრამ არა ის ცოდვები, რომლებსაც თვითონ გულისხმობდა, არამედ ისინი, რომლებიც მე მოგახსენეთ. და რაც ამ თავიანთი ცოდვებით დათესეს ჩვენმა მთავრებმა, იგივე მოიმკეს.

ახლა კი უკეთ მსურს იმის ჩვენება, რა უბედურებაც არის ასეთი ლაშქარი. დაქირავებული მხედართმთავრები ან ნიჭიერნი არიან, ან არა. თუ არიან, ვერ ენდობი, ვინაიდან მუდამ მხოლოდ თავის დიდებას ესწრაფვიან, რათა დაგთრგუნონ შენ, ანუ მათი პატრონი, ან სხვები, ვისი დამარცხება არც კი განგიზრახავს. ხოლო თუ მხედართმთავარი სიქველით არ გამოირჩევა, მაშინ ისედაც დაგღუპავს. თუ ვინმე შემესიტყვება: ვის ხელშიცაა სამხედრო ძალა, ზუსტად ასე მოიქცევა, მიუხედავად იმისა, დაქირავებულია თუ არაო, – პასუხად ვეტყვი: რაკიღა ლაშქარს შეიძლება იყენებდეს ან მთავარი, ან რესპუბლიკა, ამიტომ მთავარი მოვალეა მხედართმთავრის ძა-

ლაუფლება პირადად აიღოს ხელში, რესპუბლიკა კი თავის მოქალაქეებს უნდა ანდობდეს ამას; და თუ ის, ვისაც მხედართმთავრობას ანდობენ, თავს ვერ გაართმევს დაკისრებულ მოვალეობას, რესპუბლიკამ უნდა შეცვალოს იგი, ხოლო თუ თავის გართმევას შეძლებს, რესპუბლიკამ კანონებით უნდა შეზღუდოს მისი უფლებამოსილება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ შეიარაღებული მთავრები და რესპუბლიკები აღწევენ დიდ წარმატებას, დაქირავებულ ლაშქარს კი ზიანის მეტი არა მოაქვს რა. აი, რატომაა, რომ რესპუბლიკები, რომლებსაც საკუთარი ლაშქარი ჰყავთ, უფრო იშვიათად უვარდებიან ხელში ერთ-ერთ თავიანთ მოქალაქეს, ვიდრე ის რესპუბლიკები, რომლებიც დაქირავებულ რაზმებს ემყარებიან. რომი და სპარტა საუკუნეების მანძილზე შეიარაღებულნი და თავისუფალნი იყვნენ. შვეიცარიელები ყველაზე უკეთ შეიარაღებულნი და ყველაზე მეტად თავისუფალნიც არიან. კართაგენელებს კი, პირიქით, დაქირავებული ლაშქარი ჰყავდათ, და რომაელებთან პირველი ომის დამთავრების შემდეგ კინაღამ თავიანთვე მოლაშქრეების მსხვერპლნი შეიქნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ თვით კართაგენელები ედგნენ სათავეში[2]. ეპამინონდას[3] სიკვდილის შემდეგ, თებელებმა თავიანთ სარდლად აირჩიეს ფილიპე მაკედონელი, რომელმაც, გამარჯვების შემდეგ, თავისუფლება წაართვა მათ[4]. დუკა ფილიპოს[5] სიკვდილის შემდეგ, მილანელებმა ვენეციელების წინააღმდეგ საბრძოლველად დაიქირავეს ფრანჩესკო სფორცა[6]; ის კი, მტერი რომ დაამარცხა კარავაჯოსთან[7], თავისივე პატრონების – მილანელების საზიანოდ დაუზავდა მას. მამამისმა, რომელიც ნეაპოლის დედოფალს ჯოვანას ემსახურებოდა, ანაზდეულად უღალატა და გასაჭირში უმწეოდ დატოვა იგი, რის გამოც დედოფალი იძულებული შეიქნა არაგონის მეფისთვის ეთხოვა მფარველობა, რათა ამრიგად შეენარჩუნებინა ტახტი[8].

ხოლო თუ მეტყვიან: ვენეციელებმა და ფლორენციელებმა დაქირავებულ ლაშქართა მეშვეობით გააფართოვეს ოდესღაც თავიანთი სამფლობელოები, მაგრამ ამის გამო მათ მთავარსარდლებს მთავრის ძალაუფლება კი არ უგდიათ ხელთ, არამედ მათ დამცველებადვე დარჩნენო, პასუხად ვიტყვი, რომ ფლორენციელებს, ამ მხრივ, აშკარად სწყალობდა ბედი, ვინაიდან იმ მამაც მხედართმთავართაგან, რომელთა შიშიც შეიძლებოდა ჰქონოდათ, ზოგიერთმა ვერ გაიმარჯვა, ზოგიერთს მოქიშპენი ჰყავდა, ზოგიერთის პატივმოყვარეობა კი სულ სხვა მიზნისაკენ იყო მიმართული.

[…]

თავი XIV
რა უნდა ახსოვდეს მთავარს სამხედრო საქმესთან დაკავშირებით

ამრიგად მთავარს არ უნდა ჰქონდეს სხვა მიზანი, სხვა საზრუნავი და არც სხვა ხელობა, გარდა ომისა, ვინაიდან მბრძანებელს მხოლოდ სამხედრო ხელოვნება შეშვენის, რადგანაც ამ ხელოვნების ძალა ისე დიდია, რომ არა მარტო ძალაუფლებას უნარჩუნებს მას, ვინც მთავრად შობილა, არამედ კერძო პირსაც აღაზევებს ხოლ-

მე მთავრის სიმაღლემდე. და პირიქით, იმასაც ვხედავთ, რომ როდესაც მთავრები განცხრომაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე ომსა თუ ბრძოლაზე, ჩვეულებრივ, კარგავდნენ თავიანთ საბრძანებელს. ამ ხელოვნების უგულებელყოფა სამთავროს დაკარგვის უპირველეს მიზეზად გვევლინება, ხოლო მისი ზედმიწევნით ფლობა – სამთავროს დაუფლების საშუალებად. ფრანჩესკო სფორცა კერძო პირი იყო, მაგრამ სამხედრო ხელოვნების წყალობით მილანის დუკა გახდა, მისი ვაჟები კი, რომლებიც თავს არიდებდნენ ჭაპანწყვეტასა და ბრძოლების ორომტრიალს, დაემშვიდობნენ დუკობასა და კვლავ კერძო პირებად იქცნენ[1]. უიარაღობა და უმწეობა, გარდა იმისა, რომ ათასი სხვა უბედურების სათავეა, მთავარს ქვეყნის სასაცილოდაც აქცევს, ხოლო ესაა სირცხვილი, რომელსაც მბრძანებელი, როგორც ამას ქვემოთ მოგახსენებთ, ყველაზე მეტად უნდა უფრთხოდეს. არ არსებობს არავითარი მსგავსება შეიარაღებულსა და უიარაღოს შორის, და აშკარად არაბუნებრივი იქნებოდა, შეიარაღებული რომ ნებაყოფლობით მორჩილებდეს უიარაღოს, ხოლო უიარაღო უშიშრად გრძნობდეს თავს შეიარაღებულ მსახურთა შორის. რადგან იქ, სადაც ერთი მხარე ზიზღითაა აღვსილი, ხოლო მეორე – იჭვით, შეუძლებელია ნაყოფიერი თანამშრომლობა. ამიტომ მთავარს, რომელსაც სამხედრო საქმის არა გაეგება რა, როგორც მოგახსენეთ, თავს ატყდება ათასგვარი უბედურება, რასაც ზედ ერთვის მისივე ჯარისკაცების ზიზღი, რის გამოც მთავარს აღარ შეუძლია მათზე დაყრდნობა. აი, რატომაა, რომ მთავარი არასოდეს არ უნდა ივიწყებდეს სამხედრო საქმეში თვითწვრთნას, რასაც მშვიდობიანობისას უფრო მეტ დროს უნდა უთმობდეს, ვიდრე ომის ჟამს; ამის მიღწევა კი ორი გზით შეიძლება: საქმით და აზრით. რაც შეეხება საქმეს, გარდა იმისა, რომ გამუდმებით უნდა წვრთნიდეს და საომარი წესრიგით აწყობდეს თავის ლაშქარს, ხშირად უნდა ნადირობდეს და ამის წყალობით იკაჟებდეს სხეულს და იმდიდრებდეს ადგილმდებარეობის ცოდნას: ახსოვდეს, სად აზიდულან მთები, სად მთავრდებიან ხეობები, სად გაშლილან ველ-მინდვრები, სად მიიკლაკნებიან მდინარეები და სად გაწოლილან ჭაობები. ყოველივე ამას დიდი გულისყურით უნდა ეკიდებოდეს.

ამნაირი ცოდნა ორმხრივაა სასარგებლო. ჯერ ერთი, მთავარი უკეთ ეცნობა თავის სამფლობელოს, რაც აშკარად უადვილებს მის დაცვას, და ეგეც არ იყოს, ამა თუ იმ ადგილმდებარეობის ცოდნის წყალობით უკეთ გაერკვევა უცნობ გარემოში, რომლის შესწავლაც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს მისთვის. ვინაიდან ბორცვები, ხეობები, დაბლობები, მდინარეები და ჭაობები, რომლებიც, ვთქვათ, ტოსკანაში მდებარეობენ, ასე თუ ისე, სხვა კუთხის ბორცვებს, ხეობებს, დაბლობებს და სხვა მისთანათ ჰგვანან; ასე რომ, ერთი რომელიმე კუთხის ცოდნა დანარჩენთა შესწავლასაც გაგიადვილებს. ამიტომ მთავარი, რომელსაც ამნაირი გამოცდილება არ გააჩნია, მოკლებულია უპირველეს თვისებას, რაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს მხედართმთავარს, და რისი წყალობითაც ის თითქოს გუმანით გრძნობს, სად მიეჭრას მტერს, სად დაბანაკდეს, საითკენ დასძრას ლაშქარი და როგორ შემოარტყას ალყა ქალაქს, ისე რომ გამარჯვების სასწორი თავისკენ გადმოხაროს.

ფილოპომენეს[2], აქაველთა მთავარს, ქება-დიდებას ასხამენ მწერლები და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მშვიდობიანობის დროს ის მხოლოდ ომზე ფიქრობდა, და როცა მეგობრებთან ერთად სეირნობდა ხოლმე, დროდადრო ჩერდებოდა და ასე ესაუბრებოდა მათ: მტერი რომ იმ ბორცვზე იყოს გამაგრებული, ხოლო ჩვენ, ლაშქრითურთ, აქ ვიდგეთ, ვის მხარეს იქნებოდა უპირატესობა? როგორ უნდა შეგვეტია მათთვის ისე, რომ ჩვენი რიგები არ აგვერია? როგორ უნდა მოვქცეულიყავით, უკან დახევა რომ დაგვეპირებინა? ანდა თუ მტერი უკუიქცეოდა, როგორ უნდა დავდევნებოდით მას? და ასე სეირნობისას, განსახილველად სთავაზობდა მათ ყველაფერს, რაც შეიძლებოდა ბრძოლის ველზე შემთხვეოდა ლაშქარს, ისმენდა მათ აზრს, გამოსთქვამდა თავისას, რასაც სათანადო საბუთებით ამაგრებდა, და როცა უშუალოდ წინ უძღოდა ჯარს, ამ მუდმივი თვითწვრთნის წყალობით, ყველაზე მძიმე მდგომარეობიდანაც კი პოულობდა გამოსავალს.

ხოლო რაც შეეხება გონებრივ წვრთნას, მთავარი ხშირად უნდა კითხულობდეს ისტორიას, და განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს დიდი ადამიანების მოქმედებას, უნდა სწავლობდეს მათ საომარ ხელოვნებას და იხილავდეს მათი გამარჯვებისა თუ დაღუპვის მიზეზებს, რათა ბაძავდეს მათ წარმატებას და თავიდან იცილებდეს მათსავე მარცხს. უწინარეს ყოვლისა კი ისევე უნდა იქცეოდეს, როგორც ძველად იქცეოდნენ სახელგანთქმული ადამიანები, რომლებიც თითქოს ისისხლხორცებდნენ ყველაფერს, რაც მათზე უწინ ქებისა და დიდების ღირსი იყო, და ყოველთვის თვალწინ ედგათ მათი სათაყვანებელი გმირების ღვაწლი: ასე, როგორც ამბობენ, ალექსანდრე დიდი ბაძავდა აქილევსს, ცეზარი – ალექსანდრეს, სციპიონი – კიროსს[3]. და ყველა, ვინც წაიკითხავს კიროსის ცხოვრებას, დაწერილს ქსენოფონტეს მიერ, ხოლო შემდეგ თვალს გაადევნებს სციპიონის ცხოვრებას, ხელად შენიშნავს, რაოდენ შეუწყო ხელი ამ მიბაძვამ მის განდიდებას, ხოლო რაც შეეხება უბიწოებას, კეთილმოსურნეობას, ადამიანურობასა და გულუხვობას, – რარიგ ესადაგებოდა სციპიონი ყოველივე იმას, რაც კიროსისათვის დაუწერია ქსენოფონტეს[4].

აი, როგორ უნდა იქცეოდეს ბრძენი მთავარი, რომელსაც თვით მშვიდობიანობის დროსაც არ უნდა ჰქონდეს მოსვენება, არამედ რუდუნებით უნდა აგროვებდეს საუნჯეს, რათა მისი წყალობით, ქედი არ მოიხაროს უბედობაში, და თუ ბედი უმუხთლებს, მზად იყოს, რათა წარბშეუხრელად შეეგებოს მის სისასტიკეს.

თავი XV
იმ თვისებებისათვის, რომელთა გამოც ადიდებენ ან გმობენ ადამიანებს და, განსაკუთრებით, მთავრებს

ახლა კი ისღა დაგვრჩენია, განვიხილოთ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს მთავარი თავისი ქვეშევრდომებისა და მეგობრების მიმართ. და რაკი ვიცი, რომ ჩემამდეც ბევრს უწერია ამ საკითხზე, ვშიშობ, თავხედობაში არ ჩამომართვან, თუკი თვითონაც დავაპირებ დავწერო რამე, მით უმეტეს, რომ ყველაზე მკვეთრად სწორედ ამ სა-

კითხის განხილვისას ვემიჯნები სხვების თვალსაზრისს. მაგრამ რაკი ჩემი განზრახვა გახლდათ, რაღაც სასარგებლო მიმეცა მისთვის, ვინც ისურვებდა ჩასწვდომოდა ზემოაღნიშნული საკითხის არსს, ამიტომ უფრო მართებულად მივიჩნიე წარმომეჩინა საგნის ნამდვილი ბუნება და არა ის მოჩვენებითი გარსი, რომლითაც მას მოსავენ სხვები. ბევრს შეუქმნია, თავისი წარმოსახვით, რესპუბლიკები თუ სამთავროები, რომლებიც არავის უხილავს და არც ის სმენია, რომ ისინი მართლაც არსებობენ სინამდვილეში. მაგრამ ერთია, როგორ ცხოვრობენ და მეორე ის, თუ როგორ უნდა ცხოვრობდნენ კაცნი, და მათ შორის იმხელა სხვაობაა, რომ ვინც იმის გულისათვის, რაც უნდა მომხდარიყო, ივიწყებს იმას, რაც ახლა ხდება, – უმალ თავის დამხობას უწყობს ხელს, ვიდრე თავისსავე დღეგრძელობას. ამიტომ მთავარს, რომელსაც ძალაუფლების შენარჩუნება სურს, უთუოდ უნდა ჰქონდეს იმისი უნარი, რომ დროდადრო ივიწყებდეს სიკეთეს და, გარემოებებისდა მიხედვით, იყენებდეს ან არ იყენებდეს ამ უნარს.

ამრიგად, თუ დუმილით ავუვლი გვერდს არარსებულ მთავართა საკითხს და განვიხილავ მხოლოდ იმას, რაც შეეხება ნამდვილად არსებულთ, ვიტყვი, რომ ყველა ადამიანს, როცა მათზე ლაპარაკობენ, და, მით უმეტეს მთავრებს, რაკიღა ისინი ყველაზე მაღლა დგანან, ჩვეულებისამებრ, მიაწერენ ერთ იმ თვისებათაგანს, რომელთა გამოც მათ ადიდებენ ან გმობენ: სახელდობრ, ერთს გულუხვად თვლიან, მეორეს ძუნწად (misero) (მე ვსარგებლობ ამ ტოსკანური სიტყვით, ვინაიდან იტალიურ ენაში სიტყვა avaro – ჭუჭკი – იმასაც ნიშნავს, ვინც ძარცვა-გლეჯაზედაც არ იტყვის უარს, მაშინ როდესაც misero-ს ჩვენ ვუწოდებთ ქვაწვიასა და კრიჟანგს), ერთს მფლანგველად მიიჩნევენ, მეორეს მტაცებლად, ერთს გულქვად, მეორეს გულმოწყალედ; ერთს ორგულად, მეორეს ერთგულად; ერთს ქალაჩუნად და სულმოკლედ, მეორეს მამაცად და დიდსულოვნად; ერთს კაცთმოყვარედ, მეორეს კაცთმოძულედ; ერთს ბიწიერად, მეორეს უბიწოდ; ერთს გულმართლად, მეორეს მზაკვრად; ერთს კერპად, მეორეს თვინიერად, ერთს დარბაისლად, მეორეს თავქარიანად; ერთს მორწმუნედ, მეორეს ურწმუნოდ, და ასე შემდეგ. ვიცი ყველა დამეთანხმება, რა დიდებული იქნებოდა, მართლაც რომ მოიძებნებოდეს ყველა იმ თვისებით შემკული მთავარი, რომელსაც ქების ღირსად თვლიან, მაგრამ რაკი თვით ჩვენი არსებობის წესი შეუძლებელს ხდის იმას, რომ კაცი უკლებლივ ფლობდეს ყველა იმ ღირსებას და არასდროს არ ბღალავდეს მათ, ამიტომ მთავარი იმდენად კეთილგონიერი კი უნდა იყოს, რომ თავიდან იცილებდეს მთელს იმ ბიწიერებას, რასაც შეუძლია ძალაუფლება დააკარგვინოს, და, შეძლებისდაგვარად, ირიდებდეს ყველა იმ ბიწსაც, რომლებიც ნაკლებ საშიშნი არიან ამ თვალსაზრისით. მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მთავარს დიახაც აქვს იმის უფლება, რომ დიდად არ შეიწუხოს თავი, მას ისიც შეუძლია, არაფრად თვლიდეს გმობას ყველა იმ ბიწის გამო, რომელთა გარეშეც ძალზე გაუჭირდებოდა სამთავროს შენარჩუნება. რადგან, თუ კარგად ავწონ-დავწონით ყველაფერს, დავრწმუნდებით, რომ არის ზოგი რამ, რაც ერთის შეხედვით შეიძლება სიქველედ მოგვეჩვენოს, მაგრამ გარდუვალ დაღუპვას უქადის მთავარს, რომელიც მიზნად დაისახავს ბოლომდე უერთგულოს მას, და ზოგიც ისეთი რამ, რაც შეიძლე-

ბა ბიწი გვეგონოს, მაგრამ სიმშვიდეს და კეთილდღეობას კი სთავაზობს მთავარს, რომელიც არ უფრთხის მას.

თავი XVI
სიუხვისა და სიძუნწისათვის

ამრიგად, თუ ზემოჩამოთვლილი თვისებების პირველი წყვილით დავიწყებთ, მე ვიტყვი, რომ დიდი საქმეა გულუხვის სახელი გქონდეს მოხვეჭილი, მაგრამ თუ მთავარი იმიტომ იჩენს სიუხვეს, რომ გულუხვის სახელი ერქვას, ეს მხოლოდ საზიანოა მისთვის. რადგან თუ გონივრულად და ზომიერად გამოიჩენ სიუხვეს, ის შეუმჩნეველი დარჩება და თავიდან ვერ აიცილებ ძუნწის სახელისგან განუყრელ სირცხვილს. ამიტომ, თუ გსურს ხალხის თვალში გულუხვი კაცის სახელი გერქვას, ვერავითარ ფუფუნებასა და ხელგაშლილობაზე ვერ იტყვი უარს. ესოდენ ფუჭი ზრახვით შეპყრობილი მთავარი ამ საქმეს გადააგებს მთელ თავის ავლა-დიდებას, და თუ უკვე მოხვეჭილი სახელის შენარჩუნებას დაისახავს მიზნად, ბოლოს და ბოლოს, იძულებული იქნება გადასახადებით ამოხადოს სული ხალხს, მებაჟედ იქცეს და სახსრების მოსაპოვებლად არაფრის წინაშე არ დაიხიოს უკან. ასე თანდათანობით შეაძულებს თავს ქვეშევრდომებს და, გაღატაკებული, საბოლოოდ დაკარგავს მათ პატივისცემას. ბევრს რომ მოიმდურებს ამ თავისი სიუხვით და ცოტას მოიმადლიერებს, თავს ვეღარ გაართმევს ვერავითარ სიძნელეს და პირველივე განსაცდელის წინაშე სულით დაეცემა. ხოლო თუ მიხვდება ყოველივე ამას და უკან დახევას დააპირებს, მაშინვე სიძუნწეში დასდებენ ბრალს. ამრიგად, მთავარი, რომელსაც არ შეუძლია გულუხვობა გამოიჩინოს ისე, რომ ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედოს და თვითონ მას კი არა ევნოს რა, იმდენად კეთილგონიერი მაინც უნდა იყოს, რომ არ უფრთხოდეს ძუნწის სახელს, რადგანაც დროთა განმავლობაში ის სულ უფრო და უფრო მეტად გაითქვამს სახელს თავისი სიუხვით, როცა დაინახავენ, რომ ხელმომჭირნეობის წყალობით, საკუთარი შემოსავალი სავსებით საკმარისია მისთვის; რომ შეუძლია საკადრისი პასუხი გასცეს მტერს და, ხალხის დაუბეგრავად, ხორცი შეასხას ბევრ სასიკეთო საქმეს. ასე რომ, ის გულუხვი იქნება ყველას მიმართ, ვისაც არაფერს ართმევს, ისინი კი ურიცხვნი არიან, და ძუნწი იმათ მიმართ, ვისაც არაფერს აძლევს, ხოლო ისინი ცოტანი არიან.

ჩვენს დროში და ჩვენს თვალწინ დიდ საქმეებს ხორცს ასხამდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ძუნწის სახელით იცნობდა ხალხი, დანარჩენნი კი უსახელოდ იღუპებოდნენ. იულიუს II-მ მხოლოდ პაპობის ხელში ჩასაგდებად ისარგებლა იმით, რომ გულუხვი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, შემდეგ კი აზრადაც არ მოსვლია ამ სახელის შენარჩუნება, ვინაიდან საფრანგეთის მეფესთან აპირებდა ომს. და მან ისე გადაიხადა მრავალი ომი, რომ საგანგებო გადასახადით ერთხელაც არ დაუბეგრავს ხალხი, ვინაიდან ყველა ზედმეტ ხარჯს, ხანგრძლივი ხელმომჭირნეობის წყალობით, თვითონვე ფარავდა. ესპანეთის ახლანდელი მეფე[1] რომ გულუხვი კაცის სახელით

ყოფილიყო ცნობილი, ვერც ამდენ საქმეს წამოიწყებდა და, მით უმეტეს, ვერც წარმატებით დააგვირგვინებდა მათ. ამიტომ მთავარს ნაკლებად უნდა აწუხებდეს ის გარემოება, რომ შეიძლება ძუნწის სახელი გაუვარდეს ხალხში; სამაგიეროდ იძულებული აღარ იქნება ყვლეფდეს და ტყავს აძრობდეს თავის ქვეშევრდომთ, ყოველთვის შეძლებს თავდაცვას, აღარ ექნება იმისი შიში, ვაითუ გავღატაკდე და ქვეყნის ყბადასაღები გავხდეო, და აღარც იმისა, რომ შეიძლება მტაცებლად იქცეს. ვინაიდან სიძუნწე ერთი იმ ბიწთაგანია, რომლებიც განამტკიცებენ მის ტახტს. და თუ ვინმე შემესიტყვება: ცეზარმა სწორედ თავისი გულუხვობით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და ბევრი სხვაც იმის წყალობით აღზევდა, რომ გულუხვი იყო და გულუხვის სახელიც ჰქონდაო[2], პასუხად მივუგებ, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ის, ვინც უკვე მთავარია, და ის, ვინც ახლა აპირებს მთავრის ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. პირველ შემთხვევაში, ეს გულუხვობა საზიანოა, მეორეში კი ყოვლად აუცილებელია, რომ გულუხვ კაცად გიცნობდეს ხალხი. ცეზარი ერთი იმათთაგანი გახლდათ, რომელნიც რომზე მბრძანებლობას მიელტვოდნენ. მაგრამ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ რომ დიდხანს ეცოცხლა და ცოტა მეტი ხელმომჭირნეობა არ გამოეჩინა, უთუოდ ძირს გამოუთხრიდა თავის ძლიერებას. და თუ კვლავ შემესიტყვება ვინმე: ბევრ მთავარს, რომლებსაც თავიანთი ლაშქრობით განუცვიფრებიათ მთელი ქვეყანა, ყველაზე გულუხვ ხალხად იცნობდნენ მათი ქვეშევრდომნიო, პასუხად ვიტყვი: მთავარი ან საკუთარსა თუ თავის ქვეშევრდომთა სიმდიდრეს ფლანგავს, ანდა სხვებისას. პირველ შემთხვევაში მას მომჭირნეობა მართებს, მეორეში კი მის გულუხვობას არ უნდა ჰქონდეს ზღვარი. ამიტომ, როცა მთავარი საომრადაა თავისი ლაშქრითურთ, რომელიც თავს ირჩენს ნადავლით, ძალადობით და ძარცვით, მისთვის აუცილებელია ხელგაშლილობა, არადა, ჯარისკაცებს ვერ გაიყოლიებს. ხოლო რაც არ ეკუთვნის არც მასა და არც მის ქვეშევრდომთ, მთავარს შეუძლია კიროსის, ცეზარისა და ალექსანდრესავით უშურველად გასცეს, ვინაიდან სხვისი სიმდიდრის ფლანგვა კი არ ამცირებს, პირიქით, ზრდის მის სახელსა და დიდებას (მხოლოდ საკუთარი სიმდიდრის ფლანგვაა საზიანო). არაფერს არ შეუძლია თავისი თავი გალიოს ისე, როგორც სიუხვეს, რაც უფრო გულუხვი ხარ, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობა გრჩება მომავალშიც გულუხვობის გამოჩენისა: გაღატაკდები და ზიზღის ღირსი გახდები, ამ სირცხვილის თავიდან ასაცილებლად კი მტაცებლობას უნდა მიჰყო ხელი და ყველასათვის საძულველი შეიქნე. ხოლო მთავარი იშვიათად უნდა უფრთხოდეს რაიმეს უფრო მეტად, ვიდრე სიძულვილსა და ზიზღს, გულუხვობა კი ერთსაც დაგატეხს თავზე და მეორესაც. ამიტომ უფრო გონივრულია, შეურიგდე ძუნწის სახელს, რომელიც იწვევს სირცხვილს სიძულვილის გარეშე, ვიდრე მიელტვოდე გულუხვის სახელს და, ძალაუნებურად, მტაცებლად იქცე, რაც თავს დაგატეხს სირცხვილსაც და სიძულვილსაც.

თავი XVII
სისასტიკის, გულმოწყალებისა და კიდევ იმისათვის, თუ რა სჯობია – უყვარდეთ თუ ეშინოდეთ შენი?

ახლა, თუ სხვა ზემოჩამოთვლილ თვისებებზე გადავალთ, მე ვიტყვი, რომ ყოველი მთავარი უნდა ცდილობდეს გულმოწყალე კაცის სახელი მოიხვეჭოს და არა სასტიკის. მაგრამ უთავოდ არ უნდა იყენებდეს გულმოწყალებას. ჩეზარე ბორჯას სასტიკ კაცად თვლიდნენ, მაგრამ სწორედ ამ თავისი სისასტიკის წყალობით დაამყარა წესრიგი რომანიაში, გააერთიანა, დააშოშმინა და შემოირიგა იგი. თუ კარგად ავწონ-დავწონით ყოველივე ამას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ის უფრო გულმოწყალე იყო, ვიდრე ფლორენციელი ხალხი, რომელსაც სურდა სასტიკის სახელი აეცილებინა თავიდან და პისტოიის დაქცევას კი შეუწყო ხელი[1]. ამიტომ მთავარი არაფრად უნდა აგდებდეს გმობას სისასტიკის გამო, თუკი ამის წყალობით ახერხებს იმას, რომ განხეთქილებისა და განდგომის საშუალება მოუსპოს თავის ქვეშევრდომთ. რადგანაც ის, ვისთვისაც ურჩთა დასჯის რამდენიმე მაგალითიც საკმარისია, გაცილებით უფრო გულმოწყალე იქნება იმაზე, ვინც თავისი მეტისმეტი გულმოწყალების შედეგად ხელს უწყობს ქვეყნის არევ-დარევას, რაც დასაბამს აძლევს ხოცვა-ჟლეტას და ძარცვა-გლეჯას, ეს კი მთელი მოსახლეობის ნამდვილი უბედურება გახლავთ, მაშინ როდესაც მთავრის მსჯავრი მხოლოდ ზოგიერთ კერძო პირს თუ იწირავს მსხვერპლად. მთავართა შორის ყველაზე ძნელად მხოლოდ ახალი მთავარი თუ დააღწევს თავს სასტიკი კაცის სახელს, ვინაიდან ყოველი ახალი სახელმწიფო ათასნაირი ხიფათითაა სავსე. ამიტომაც ვერგილიუსის დიდონა მხოლოდ იმით ამართლებს თავისი ძალაუფლების სისასტიკეს, რომ მისი სამეფო ახალია:

> Res dura, et regni novitas me talia cogunt
> Moliri, et late fines custode tueri[2].

მაგრამ მთავარი მალემრწმენი არ უნდა იყოს, დინჯად უნდა არჩევდეს საქმეს და არ უნდა ესწრაფვოდეს იმას, რომ ქვეშევრდომთა საფრთხობელად იქცეს; კეთილგონიერებითა და ადამიანურობით უნდა ზომავდეს თვითეულ ნაბიჯს, რათა ქვეშევრდომთადმი ზედმეტმა ნდობამ სიფრთხილე არ დააკარგვინოს, ხოლო მეტისმეტი უნდობლობის შედეგად აუტანელი არ შეიქნეს მათთვის. აქ იბადება სადავო კითხვა: რა სჯობს, უყვარდეთ თუ ეშინოდეთ შენი? რაზედაც პასუხობენ, რომ სასურველია ერთიცა და მეორეც. მაგრამ რაკი ორივეს შეთავსება ძნელია, ამიტომ, თუკი იძულებული იქნები ერთ-ერთზე უარი თქვა, გაცილებით გიჯობს, შიშს უნერგავდე ხალხს და არა სიყვარულს. რადგანაც ადამიანებზე შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ ისინი უმადურნი არიან, მერყევნი, ორგულნი, ჯაბანნი, ხარბნი; ვიდრე მათი კეთილისმყოფელი ხარ, ისინიც შენნი არიან; აღგითქვამენ, რომ არაფერს დაიშურებენ შენთვის: არც სისხლს, არც ავლა-დიდებას, არც სიცოცხლეს, არც შვილებს, სანამდის, როგორც ზევით ითქვა, საფრთხე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ხიფათის მოახლოებისთანავე ზურგს შეგაქცევენ. და ის მთავარი, ვინც მთლიანად მიენდობა მათ სიტყ-

ვას და ამიტომ სხვას არას იღონებს, განწირულია, ვინაიდან მეგობრობა, რომელსაც წყალობის ფასად იხვეჭ და არა სულიერი სიდიდისა და კეთილშობილების შედეგად, მართალია, დანახარჯს კი გინაზღაურებს, მაგრამ გასაჭირში იარაღად არ გამოგადგება. და ადამიანებიც უფრო თავხედურად იქცევიან მის მიმართ, ვინც სიყვარულს უნერგავს მათ, ვიდრე მის მიმართ, ვისაც უფრთხიან, ვინაიდან სიყვარული მხოლოდ მოვალეობის გრძნობაზეა დაფუძნებული, რომელიც, კაცთა სულმოკლეობის გამო, დაუყოვნებლივ ქარწყლდება, როგორც კი მას ანგარება დაუპირისპირდება, მაშინ როდესაც შიშს განაპირობებს ისევ შიში, სასჯელის შიში, რომელიც გამუდმებით ემუქრება ხალხს. და მაინც, მთავარი ისე უნდა ნერგავდეს შიშს, რომ, თუკი სიყვარულს ვერ მოიხვეჭს, სიძულვილი მაინც აიცილოს თავიდან, ვინაიდან ისიც დიდი საქმეა, რომ ხალხს ეშინოდეს შენი, მაგრამ არ სძულდე, რადგანაც ამ ორი გრძნობის შეთავსება დიახაც შესაძლოა; და მთავარიც ყოველთვის შეძლებს ამას, თუკი არ ხელყოფს ქვეშევრდომთა სიცოცხლეს და საკუთრებას. მაშინაც კი, როცა მთავარი ვინმეს სიკვდილით დასჯას აპირებს, მას შეუძლია სისრულეში მოიყვანოს თავისი განაჩენი, თუკი საამისოდ საკმარისი სამხილი მოეპოვება, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს სხვისი ქონების ხელყოფისაგან, ვინაიდან ადამიანები უფრო ადვილად ურიგდებიან მამის სიკვდილს, ვიდრე სამკვიდროს მოშლას, და მერე, ძარცვა-გლეჯის მიზეზი არ დაილევა, და ის, ვინც მტაცებლობით აპირებს ცხოვრებას, ყოველთვის გამოჩხრეკს სხვისი ქონების მიტაცების საბაბს, მაშინ როდესაც სიკვდილით დასჯის საბაბი გაცილებით ძვირი და იშვიათი გახლავთ.

მაგრამ როდესაც მთავარი წინ მიუძღვის მრავალრიცხოვან ლაშქარს, მაშინ მისთვის მართლაც აუცილებელია, რომ არად აგდებდეს სასტიკი კაცის სახელს, ვინაიდან ამ სახელის გარეშე ვერც თავისი ლაშქრის ერთსულოვნებას შეინარჩუნებს და ვერც ბრძოლისუნარიანობას. ჰანიბალის[3] განსაცვიფრებელ ქმედებათა შორის იმასაც აღნიშნავენ, რომ მის ველურ ლაშქარში, რომელიც ურიცხვ ტომთა ურდოებისაგან შედგებოდა და შორეულ ქვეყნებში ომობდა, ერთხელაც არ ჩამოვარდნილა განხეთქილება სხვადასხვა ტომთა შორის, ერთხელაც არ მოუწყვიათ შეთქმულება მთავრის წინააღმდეგ, არც მაშინ, როცა ბედი უღიმოდა, და არც მაშინ როცა უკუღმა მისდიოდა საქმე. ეს შეიძლება ახსნილი იქნეს მხოლოდ მისი არაადამიანური სისასტიკით, რომელიც, მის ურიცხვ სიქველესთან ერთად, სათაყვანებელ და საზარელ კერპად აქცევდა მას თავისი ჯარისკაცების თვალში[4]. ამ სისასტიკის გარეშე მთელი მისი ურიცხვი სიქველე, თავისთავად, ვერ გამოიღებდა ამნაირ ნაყოფს. მაგრამ ნაკლებად გულისხმიერი მწერლები, ერთის მხრივ, განცვიფრებით მოგვითხრობენ მის საქმეებს, მეორეს მხრივ კი გმობენ მათ მთავარ მიზეზს. ხოლო მთელი მისი სიქველე რომ მართლაც არ იქნებოდა საკმარისი, ამას სციპიონის[5] მაგალითიც მოწმობს (ეს იყო არა მარტო თავისი, არამედ ყველა დროის უწარჩინებულესი კაცი), ვისი ლაშქარიც აჯანყდა ესპანეთში[6], რაც გამოწვეული გახლდათ მისი მეტისმეტი ლმობიერებით, უფრო მეტ თავისუფლებას რომ ანიჭებდა თავის ჯარისკაცებს, ვიდრე დასაშვები იყო სამხედრო დისციპლინით. სწორედ ეს წამოაყვედრა სენატში ფაბიუს მაქსიმუსმა[7], რომელმაც რომაელთა ლაშქრის გამრყვნელი უწოდა მას. სციპიონის

ლეგატის მიერ დარბეული ლოკრები სამართალს ვერ ეღირსნენ მისგან, და ლეგატის თავგასულობაც დაუსჯელი დარჩა, ხოლო ყოველივე ამის მიზეზი მისი თვინიერი ხასიათი გახლდათ[8]. და როცა ერთ-ერთმა სენატორმა მისი გამართლება დააპირა, თავის სიტყვაში თქვა: ბევრი კაცისათვის უფრო ადვილია არ შესცოდოს თავად, ვიდრე გამოასწოროს სხვისი შეცოდებანიო. ამნაირი ხასიათი, დროთა განმავლობაში, უთუოდ ბევრ რასმე დააკლებდა სციპიონის სახელსა და დიდებას, ზნის შეუცვლელად რომ დიდხანს მდგარიყო ხელისუფლების სათავეში; მაგრამ რაკი სენატს ემორჩილებოდა, მისმა ნაკლმა არამც თუ არ იჩინა თავი, არამედ ხელიც შეუწყო მის განდიდებას. ამრიგად, კვლავ მივუბრუნდები სიყვარულსა და შიშს, და დასკვნის სახით ვიტყვი, რომ კაცთა სიყვარულს მათი ნება-სურვილი განაპირობებს, შიშს კი – მთავრისა; ამიტომ ბრძენი მთავარი უნდა ეყრდნობოდეს იმას, რაც მასზეა დამოკიდებული, და არა იმას, რაც სხვის ნებაზე ჰკიდია; მხოლოდ ეგაა, როგორც მოგახსენეთ, იმდენი კი უნდა შეიძლოს, რომ თავიდან აიცილოს სიძულვილი.

თავი XVIII
როგორ უნდა ესწრაფვოდნენ მთავრები იმას, რომ სანდონი იყვნენ

ყველასათვის აშკარაა, რაოდენი ქების ღირსი იქნებოდა მთავარი, რომელიც შეძლებდა შეენარჩუნებინა თავის ქვეშევრდომთა ნდობა და პატიოსნად, ყოველგვარი ზაკვის გარეშე ეცხოვრა. მაგრამ, როგორც ჩვენი დროის გამოცდილება გვიჩვენებს, დიდი საქმეების აღმსრულებლად ყოველთვის გვევლინებოდნენ ის მთავრები, რომლებიც ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ ქვეშევრდომთა ნდობას და თავიანთი ცბიერებით ახერხებდნენ საბოლოოდ აერიათ მათთვის გზა-კვალი; ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის სჯაბნიდნენ იმ მთავრებს, რომლებიც მხოლოდ წესიერებას ემყარებოდნენ.

ამრიგად, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე – ძალის მეშვეობით. პირველი ნიშნეულია ადამიანებისათვის, მეორე კი – მხეცებისათვის. მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად უნდა მივმართოთ ხოლმე მეორეს. ამიტომ მთავრისათვის აუცილებელია, რომ თანაბარი წარმატებით იბრძოდეს როგორც მხეცი და როგორც კაცი. სწორედ ამნაირი, თუმცაღა შეფარვით გამოთქმული შეგონებით მიმართავდნენ მთავრებს ძველი მწერლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ აქილევსს და ძველი დროის ბევრ სხვა მთავარსაც აღსაზრდელად აბარებდნენ კენტავრ ქირონს[1], რათა მისი მეთვალყურეობით დავაჟკაცებულიყვნენ. ნახევრად მხეცისა და ნახევრად კაცის ზედამხედველობას აქ მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ მთავარი უნდა ითავსებდეს და ისისხლხორცებდეს ორივე ბუნებას, და რომ ერთი მეორის გარეშე უდღეურია. ამრიგად, თუ მთავარი იძულებული იქნება იბრძოდეს როგორც მხეცი, ცხოველთა მთელი სიმრავლიდან ლომსა და მელას უნდა ირჩევდეს, ვინაიდან ლომს არ შეუძ-

ლია თავი დაიცვას გველისაგან, მელას – მგლებისაგან. მაშასადამე, მელა უნდა იყო, რომ შენიშნო გველი, და ლომი, რომ დაიფრინო მგლები. იმას, ვინც მხოლოდ ლომობას იჩემებს, ბევრი რამ არ ესმის.

ამიტომ კეთილგონიერი მთავარი შეუძლებელია თავისი აღთქმის ერთგული იყოს, თუკი ეს ერთგულება შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მისთვის, და თუ აღარ არსებობენ მიზეზები, რომლებმაც ეს აღთქმა დაადებინეს. ყველა კაცი რომ კარგი და კეთილი იყოს, ამნაირი ქცევა უკეთური იქნებოდა, მაგრამ რაკი ისინი ბოროტნი არიან და გამუდმებით არღვევენ იმას, რაც აღგითქვეს, შენ რატომღა უნდა უერთგულო შენს აღთქმას მათ მიმართ? მთავარს არასოდეს გამოელევა იმისი კანონიერი მიზეზი, რომ გაამართლოს თავისი ორპირობა. შეიძლებოდა მოგვეტანა ურიცხვი ახალი მაგალითი და გვეჩვენებინა, რამდენი შეთანხმება, რამდენი საზავო ხელშეკრულება დარჩენილა ფუჭ ოქმად მთავართა სიმუხთლის შედეგად, და ის, ვინც ახერხებდა უფრო უკეთ გაეთამაშებინა მელას როლი, უფრო ადვილად აღწევდა მიზანს. მაგრამ აუცილებელია საგულდაგულოდ შენიღბო ეს ბუნება, რისთვისაც დიდი თვალთმაქცობა და გაქნილობა გმართებს. ადამიანები კი ისე მიამიტნი არიან და ყოველწამიერ აუცილებლობას ისერიგად დამონებულნი, რომ ცრუს არასოდეს შემოაკლდება ხალხი, რომელიც ადვილად გააცურებინებს თავს. ამასწინანდელი მაგალითებიდან მე მინდა მოვიხსენიო მხოლოდ ერთი: ალექსანდრე VI-ს თავისი დღე და მოსწრება ხალხის მოტყუების მეტი არა უკეთებია რა, არც სხვა საფიქრალი ჰქონია და არც არასდროს შემოლევია ხალხი, რომელიც შეეძლო მოეტყუებინა. და არ არსებულა კაცი, უფრო მარჯვედ რომ შეძლებოდეს სხვების დარწმუნება, უფრო გულმხურვალე ფიცით რომ აღეთქვა მათთვის რაიმე და უფრო ადვილად გაეტეხა თავისი ფიცი. მაგრამ ყოველთვის ახერხებდა იმას, რომ სიმართლედ გაესაღებინა ტყუილი, ვინაიდან კარგად იცნობდა კაცთა ბუნებას.

ამრიგად, მთავრისათვის სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ თვისებას ფლობდეს, მაგრამ დიახაც აუცილებელია ისე გვიჩვენებდეს თავს, თითქოს მართლაც მათი მფლობელი იყოს. მეტიც, იმის თქმასაც კი ვბედავ, რომ თუ ფლობ და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ავლენ მათ, ისინი სახიფათონი არიან, ხოლო თუ თავის მოსაჩვენებლად იყენებ მათ, სასარგებლონი არიან შენთვის. ასე მაგალითად, სასარგებლოა ხალხს ისე აჩვენებდე თავს, თითქოს გულმოწყალე, სარწმუნო, კაცთმოყვარე, მორწმუნე და პატიოსანი კაცი ხარ, და არა მარტო აჩვენებდე, იყო კიდეც სინამდვილეში. მაგრამ ისე კი უნდა ფლობდე საკუთარ თავს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეგეძლოს საპირისპირო თვისებებად გარდაქმნა ისინი. უნდა ვიცოდეთ, რომ მთავარი, და მით უმეტეს, ახალი მთავარი, ვერ უერთგულებს იმას, რის გამოც ადამიანს კაი კაცად თვლიან, ვინაიდან, სახელმწიფოს შესანარჩუნებლად, ხშირად იძულებულია იმოქმედოს ერთგულების, მოყვასისადმი სიყვარულის, ადამიანობის, სარწმუნოების საპირისპიროდ. ამიტომაც აუცილებლად ისე მოქნილი უნდა იყოს, რომ მოხერხებულად ესადაგებოდეს ქარის ქროლვითა თუ ბედის ტრიალით ნაკარნახევ მიმართულებას, და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არ გადაუხვიოს სიკეთის გზას, თუ ეს შესაძლოა, მაგრამ, იმავდროულად, შეეძლოს ბო-

როტების გზაზე დადგომაც, თუკი ეს აუცილებელია. მაშასადამე, მთავარი ყოველთვის უნდა ფრთხილობდეს, რათა მის ბაგეს არ დასცდეს სიტყვა, ზემოაღნიშნული ხუთი თვისებით რომ არ იყოს აღბეჭდილი, და რათა, ვუსმენთ თუ ვუყურებთ მას, სიყვარულის, პატიოსნების, ადამიანობის, მორწმუნეობის ხორცშესხმულ ხატებად ჩანდეს. ყველაზე მეტად აუცილებელი კი ისაა, რომ ამ უკანასკნელი თვისებების ნამდვილ განსახიერებად გვაჩვენებდეს თავს, ვინაიდან ადამიანები, საერთოდ, ხედვას უფრო მეტ ანგარიშს უწევენ მსჯელობისას, ვიდრე შეხების გრძნობას, რაკიღა ხედვით, ყველა ხედავს, მაშინ როდესაც უშუალოდ მხოლოდ ცოტანი თუ ეხებიან მთავარს. ყველა ხედავს იმას, რადაც გვაჩვენებ თავს, ცოტა თუ გრძნობს იმას, რაც ხარ სინამდვილეში, და ეს უკანასკნელნი ვერ გაბედავენ წინ აღუდგნენ ბრბოს აზრს, რომელსაც ზურგს უმაგრებს სახელმწიფოს მთელი ძლიერება. ეგეც არ იყოს, ყველა კაცისა და, მით უმეტეს, მთავართა მოქმედებას, რომელსაც განსასჯელად ვერ წარუდგენ სასამართლოს, მისი საბოლოო შედეგის მიხედვით აფასებენ. ამიტომ, დაე, მთავარმა მხოლოდ გამარჯვებისა და ძალაუფლების შენარჩუნებისათვის იზრუნოს, და საშუალებებს, რომლებითაც ამ მიზანს აღწევენ, ყოველთვის პატიოსნად და ქებადიდების ღირსად შერაცხავენ, ვინაიდან ბრბოს მხოლოდ საქმის გარეგნული მხარე და საბოლოო შედეგი ხიბლავს; ამ ქვეყნად კი ბრბო ყველაფერია, მაშინ როდესაც ცალკეულ პიროვნებებს მხოლოდ მაშინ ენიჭებათ ერთგვარი მნიშვნელობა, როცა უმრავლესობამ აღარ იცის, ვისზე შეაჩეროს არჩევანი. ერთი ჩვენი თანამედროვე მთავარი[2], ვისაც აქ ვერ დავასახელებთ, ერთთავად მშვიდობისა და ერთგულების აუცილებლობას ღაღადებს, თუმცა როგორც ერთის, ისე მეორის დაუძინებელი მტერი გახლავთ; ისე კი, მართლაც რომ არ ღალატობდეს არც ერთს, დიდი ხანია დაკარგავდა ძალაუფლებასაც და გავლენასაც.

თავი XIX
იმისათვის, რომ თავიდან უნდა იცილებდე ზიზღს და სიძულვილს

რაკიღა ზემოთ აღნიშნულ თვისებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თვისებებზე უკვე ვილაპარაკე, მე მინდა მოკლედ განვიხილო დანარჩენი იმ ზოგადი თვალსაზრისით, რომ მთავარი (როგორც ეს ნაწილობრივ უკვე ითქვა ზემოთ) უნდა ცდილობდეს თავიდან აიცილოს ყველაფერი, რაც მას ზიზღისა და სიძულვილის საგნად აქცევს; თუ აიცილა, შეუძლია მოგვარებულად ჩათვალოს საქმე, და სხვა რამის გამო გმობასა და ყვედრებას აღარ უნდა უფრთხოდეს უკვე. სიძულვილის საგნად მას, უწინარეს ყოვლისა, აქცევს მგლური სიხარბე და თავის ქვეშევრდომთა საკუთრებისა და მათი ცოლების პატივის ხელყოფა, რისგანაც თავის შეკავება მართებს. და თუ ხალხს, საერთოდ, არც საკუთრებას წარსტაცებ და არც პატივს აჰყრი, ის კმაყოფილია, და ბრძოლა მოგიწევს მხოლოდ ცალკეულ პირთა პატივმოყვარეობის დასათრგუნავად, რაც ადვილი საქმე გახლავთ. მთავარი ზიზღს იწვევს მაშინ, როცა

მას მერყევ, თავქარიან, სულმოკლე, მხდალ და გაუბედავ კაცად თვლიან, რასაც ის ჭირის დღესავით უნდა უფრთხოდეს, და არაფერს უნდა ზოგავდეს საიმისოდ, რომ ყოველი მისი მოქმედება სიდიადის, დიდსულოვნებისა და სიმტკიცის ნიშნით იყოს აღბეჭდილი, ხოლო მისი თვითეული გადაწყვეტილება ქვეშევრდომთა თვალში ურყევი ნების გამოვლენად ჩანდეს, რათა ვერავინ გაბედოს მისი მოტყუება თუ გაცურება. მთავარი, რომელიც ამნაირ სახელს მოიხვეჭს, დიდი გავლენით სარგებლობს ხალხში; ძნელია შეთქმულების მოწყობა მის წინააღმდეგ და ძნელია მასზე თავდასხმა, ვინაიდან ყველას კარგად მოეხსენება, რომ ის ღირსეული და ქვეშევრდომთა მიერ პატივცემული კაცია. მთავარს ხომ ორმაგი საფრთხე ემუქრება: ჯერ ერთი, შიგნით, თავისსავე ქვეშევრდომთაგან, და მეორეც, გარედან, – უცხოელ მბრძანებელთა მხრივ. ამ უკანასკნელთაგან ის თავს იცავს ძლიერი ლაშქრისა და ერთგული მეგობრების წყალობით; ხოლო ერთგული მეგობრები არ დაგელევა, თუკი გეყოლება ძლიერი ლაშქარი, და შიგნით ყველაფერი რიგზე იქნება, როცა ყველაფერი მოგვარებული გექნება გარეთ, თუკი შეთქმულებამ წყალში არ ჩაგიყარა მთელი ნაღვაწი.

თუ მთავარი ისე ააწყობს თავის ცხოვრებას, როგორც მოგახსენეთ, გარეთ რომ ყველაფერიც მოიშალოს, ის მაინც შეძლებს ყოველგვარი შეტევის მოგერიებას (თუკი, რა თქმა უნდა, თავგზა არ დაკარგა), როგორც ეს შეძლო ოდესღაც ნაბიდე სპარტელმა[1], რაც შეეხება ქვეშევრდომებს, როცა გარეთ ყველაფერი თავის რიგზეა, მთავარს თვალი ფხიზლად უნდა ეჭიროს, რათა მათ საიდუმლო შეთქმულება არ მოაწყონ მის წინააღმდეგ, რისგანაც მნიშვნელოვანწილად დაიზღვევს თავს, თუკი თავიდან აიცილებს ზიზღს და სიძულვილს და კმაყოფილი ეყოლება ხალხი: აი, მიზანი, რომელსაც უთუოდ უნდა მიელტვოდეს, როგორც ეს დაწვრილებით მოგახსენეთ ზემოთ. დიახ, შეთქმულების წინააღმდეგ ერთი ყველაზე ქმედითი საშუალება ის გახლავთ, რომ თავიდან აიცილო ზიზღი და სიძულვილი, ვინაიდან შეთქმულთ ყოველთვის იმის იმედი აქვთ, რომ მთავრის სიკვდილს სიამოვნებით შეხვდება ხალხი; მაგრამ ამის ნაცვლად ხალხის აღშფოთებას რომ მოელოდნენ, ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ მთავარზე ხელის აღმართვას, ვინაიდან არ არსებობს უფრო ნარეკლიანი გზა, ვიდრე შეთქმულთა გზაა. გამოცდილება გვასწავლის, რომ მრავალნი აწყობდნენ შეთქმულებებს, მაგრამ ცოტანი თუ აღწევდნენ წარმატებას, ვინაიდან შეთქმულს არ შეუძლია მარტოდ მარტომ იმოქმედოს, თუმცა არც მისი შეამხანაგება შეუძლია, ვისაც უკმაყოფილოდ არ თვლის. მაგრამ როგორც კი უკმაყოფილოს შენს ხვაშიადს გაანდობ, იმის საშუალებას აძლევ, რომ თავის საქმის მოგვარება შეძლოს, ვინაიდან შეთქმულის გაცემა ურიცხვ სიკეთეს უქადის მას: ასე რომ, ერთის მხრივ, აშკარა სარგებლის, ხოლო მეორეს მხრივ, საეჭვო და საჭოჭმანო მოგებისა და ათასგვარი ხიფათის მომლოდინე, ან შენი უერთგულესი მეგობარი უნდა იყოს, ანდა მთავრის დაუძინებელი მტერი, რომ არ გიმუხთლოს და გიღალატოს. მოკლედ რომ ვთქვათ, შეთქმულის მხარეზეა ძრწოლა, ეჭვი, სასჯელის შიში, რომლებიც თავზარს სცემენ და მხნეობას ართმევენ, მაშინ როდესაც მთავრის მხარეზეა ძალაუფლების სიდიადე, კანონი, მფარველობა მეგობრებისა და სახელმწიფოს მხრივ, რომლებიც ერთად იცავენ მას; ხოლო თუ ყოველივე ამას ხალხის კეთილგანწყობილებასაც დავუ-

მატებთ, წარმოუდგენელია, რომ ვინმემ გაბედოს შეთქმულების მოწყობა; ვინაიდან შეთქმულს, ჩვეულებრივ, თავისი განზრახვის განხორციელებამდე ემუქრება საფრთხე, ამ შემთხვევაში კი – განხორციელების შემდეგაც, ვინაიდან ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ მისი მტერი იქნება ხალხი, რომლის შურისგებასაც ვერსად წაუვა.

შეიძლებოდა მოგვეტანა ურიცხვი მაგალითი ამ აზრის ნათელსაყოფად, მაგრამ მე მინდა დავჯერდე მხოლოდ ერთს, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლად შემორჩენია ჩვენი მამების მახსოვრობას. როცა ბოლონიის მთავარი მესსერ ანიბალე ბენტივოლი[2], აწინდელი მესსერ ანიბალეს პაპა[3], მოკლულ იქნა მის წინააღმდეგ შეთქმული კანესკების მიერ, მას დარჩა მხოლოდ მესსერ ჯოვანი[4], რომელიც მაშინ ჯერ კიდევ უასაკო ყრმა იყო. მაგრამ ამ ბოროტმოქმედების ჩადენისთანავე აღსდგა ხალხი და მუსრი გაავლო კანესკებს, რაც აიხსნება მოქალაქეთა კეთილგანწყობილებით, რომლითაც იმ ხანად გარემოსილი იყო ბენტივოლიების სახლი ბოლონიაში. ეს კეთილგანწყობილება იმდენად დიდი იყო, რომ, რაკი ანიბალეს სიკვდილის შემდეგ აღარავინ დარჩა, ვისთვისაც შეიძლებოდა სახელმწიფოს მართვა მიენდოთ, ბოლონიელები, რომლებმაც გაიგეს, რომ ფლორენციაში ცხოვრობდა ბენტივოლიების შთამომავალი, მანამდე მჭედლის შვილად რომ ითვლებოდა, – ფლორენციაში ეახლნენ და თავიანთი ქალაქის მმართველობა მიანდეს მას[5]. სწორედ ეს უკანასკნელი მართავდა ბოლონიას, ვიდრე ჯოვანი სრულწლოვანებას მიაღწევდა. დასასრულ, ვიტყვი, რომ მთავარს შეუძლია არ ეშინოდეს შეთქმულებისა, თუ ხალხი კეთილადაა განწყობილი მის მიმართ, მაგრამ თუ ხალხს, პირიქით, მტრად მიაჩნია და სძულს იგი, მთავარს ყველასი და ყველაფრის შიში უნდა ჰქონდეს. ყველა კარგად მოწესრიგებული სახელმწიფო და ყველა ბრძენი მთავარი მთელი თავგამოდებით ესწრაფვოდნენ იმას, რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩაეგდოთ დიდებულები, ხალხი კი კმაყოფილი ჰყოლოდათ, ვინაიდან ესაა მთავრის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი.

ჩვენს დროში ერთი ყველაზე უკეთ მოწესრიგებული და კარგი მმართველობის მქონე სამეფოა საფრანგეთი, სადაც არსებობს ურიცხვი დიდებული დაწესებულება, რომლებზედაც დამოკიდებულია მეფის თავისუფლება და უსაფრთხოება. მათ შორის უპირველესია პარლამენტი და მისი ავტორიტეტი[6]. საქმე ისაა, რომ ამ სამეფოს მომწესრიგებელს, რომელიც იცნობდა, ერთის მხრივ, დიდებულთა აღვირახსნილობასა და თავგასულობას, და ამიტომ აუცილებლად თვლიდა ლაგამი ამოედო მათთვის, ხოლო მეორეს მხრივ, ბრბოის სიძულვილს დიდებულთა მიმართ, შიშზე დაფუძნებულს, და ასევე აუცილებლად მიაჩნდა ამ უკანასკნელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, – არ უნდოდა რომ ყოველივე ეს მარტოოდენ მეფის პირადი საზრუნავი ყოფილიყო, რათა, ამრიგად, თავიდან აეცილებინა მისთვის არა მარტო დიდებულებთან შეხლა-შემოხლა, რაც გარდუვალი იქნებოდა, თუკი ხალხს გაუწევდა მფარველობას, არამედ ხალხთან შეჯახებაც, თუკი დიდებულებს მოევლინებოდა მფარველად. ამიტომაც მათ შორის შუამდგომლად დაადგინა მესამე მსაჯული, რომელსაც, მეფის შეუწუხებლად, უნდა დაეოკებინა დიდებულები და მფარველობა გაეწია მდაბიორთათვის. შეუძლებელია ამაზე უკეთ ან უფრო კეთილგონივრულად მოაგვარო საქმე, წარმოუდგენელია დაწესებულება, რომელიც ამაზე უკეთ უზრუნველყოფდა

მეფისა და სამეფოს უსაფრთხოებას. აქედან გამომდინარეობს ღირსსახსოვარი წესი: მთავარმა სხვას უნდა გადააბაროს ყველა უმადური საქმე, მადლიანი კი თვითონ იტვირთოს. და კვლავ ვიმეორებ, რომ მთავარი პატივს უნდა სცემდეს დიდებულებს, მაგრამ, ამასთან, თავს არ უნდა აძულებდეს ხალხს.

ბევრს შეიძლება მოეჩვენოს, რომ არა ერთი და ორი რომაელი იმპერატორის სიკვდილ-სიცოცხლის განხილვა შეიძლება ამ ჩემი მოსაზრების საპირისპირო მაგალითებად გამოგვადგეს; მართლაცდა, ზოგიერთმა მათგანმა, მიუხედავად იმისა, რომ ღირსეულად იცხოვრა და სულის უჩვეულო სიქველე გამოავლინა, მაინც დაჰკარგა ძალაუფლება და მათს წინააღმდეგ შეთქმული ქვეშევრდომების ხელით მოკლულ იქნა. ამნაირი შესიტყვების პასუხად, მე განვიხილავ ზოგიერთი ამ იმპერატორის თვისებებს და გიჩვენებთ მათი დაღუპვის მიზეზს, რაც არ ეწინააღმდეგება ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას. აქვე გაკვრით გაგაცნობთ ჩემს თვალსაზრისს ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, რომლებსაც უთუოდ უნდა ითვალისწინებდეს იმდროინდელი მოვლენების ყველა მკვლევარი. მე შემოვიფარგლები მარტოოდენ რამდენიმე იმპერატორის მაგალითით, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ დროის იმ შუალედში, რაც ძევს მარკუს ფილოსოფოსსა და მაქსიმინეს შორის. ესენი იყვნენ: მარკუსი, მისი ძე კომოდუსი, პერტინაქსი, იულიანე, სევერუსი, ანტონინუსი, მისი ძე კარაკალა, მაკრინუსი, ჰელიოგაბალი, ალექსანდრე და მაქსიმინე[7].

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ სხვა სამთავროების მბრძანებლებს მხოლოდ დიდებულთა პატივმოყვარეობისა და ხალხის აღვირახსნილობის წინააღმდეგ უხდებათ ბრძოლა, რომაელ იმპერატორებს კიდევ ერთი გასაჭირი ადგათ, რაკიღა იძულებულნი იყვნენ აეტანათ ჯარისკაცების სიხარბე და გულმხეცობა. ეს უკანასკნელი გასაჭირი იმდენად დამთრგუნველი იყო, რომ არა ერთი და ორი იმპერატორის დაღუპვის მიზეზი გახდა, ვინაიდან ძნელი საქმეა კმაყოფილი გყავდეს ჯარისკაცებიც და, იმავდროულად, ხალხიც: ხალხი მშვიდობის მოყვარეა და ამიტომ თვინიერი მთავარი უყვარს, ჯარისკაცებს კი იმნაირი მთავარი მოსწონთ, რომელსაც ერთავად იარაღზე უჭირავს თვალი, შლეგია, გულმხეცი და ძარცვა-გლეჯას დახარბებული. ჯარისკაცებს სურთ, რომ ის თავზე ატეხდეს ხალხს თავის სისასტიკეს, რათა, ამრიგად, ჯამაგირი გაუორკეცდეთ და საშუალება მიეცეთ თავიანთი სიხარბე და გულმხეცობა დაიცხრონ. აი, რატომაა, რომ ის იმპერატორები, რომლებიც ვერც ბუნებით და ვერც ხელოვნებით ვერ ახერხებდნენ იმნაირი სახელის მოხვეჭას, რაც საკმარისი იქნებოდა როგორც ხალხის, ისე ლაშქრის თავგასულობის ასაღაგმავად, ყოველთვის იღუპებოდნენ და მათი უმეტესობა, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც ძალაუფლებას თვითონვე იგდებდნენ ხელში და კარგად ესმოდათ ამ ორი ურთიერთსაპირისპირო მისწრაფების შეუთავსებლობა, ამჯობინებდნენ დაეკმაყოფილებინათ ჯარისკაცების მოთხოვნები და არას დაგიდევდნენ შევიწროებული ხალხის დრტვინვას. ამნაირი გადაწყვეტილება აუცილებელი იყო, ვინაიდან მთავრებს, რომლებსაც არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ვისიმე სიძულვილი, უწინარეს ყოვლისა, იმაზე უნდა ეზრუნათ, რომ თავიდან აეცილებინათ საერთოდ ყველას სიძულვილი, მაგრამ თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, არაფერი უნდა დაეშურე-

ბინათ საიმისოდ, რომ ყველაზე მძლავრი დაჯგუფებების სიძულვილისათვის მაინც დაეღწიათ თავი. ამიტომ ხელისუფლების სათავეში ახლად ჩამდგარი იმპერატორები, რომლებსაც სწორედ ამის გამო საგანგებო დახმარება ესაჭიროებოდათ, უფრო თამამად იჭერდნენ ჯარისკაცების მხარეს, ვიდრე ხალხისას, რაც მათთვის სასიკეთოდ ან სავალალოდ მთავრდებოდა ხოლმე, იმისდა კვალად, თუ რაოდენ ღირსეულად შეეძლოთ თავის დაჭერა ჯარისკაცებთან[8].

ზემოაღნიშნული მიზეზებით აიხსნება ის, რომ მარკუსს, პერტინაქსს და ალექსანდრეს – ყველა ამ თავმდაბალ, სამართლიან, სისასტიკის მოძულე, კაცთმოყვარე და მოწყალე იმპერატორს, – ყველას, მარკუსის გარდა, სავალალო აღსასრული ეწია: მარტოოდენ მარკუსი[9] იყო, სიცოცხლეშიც და სიკვდილშიაც, საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი, ვინაიდან ძალაუფლება მემკვიდრეობით გადავიდა მის ხელში და, ამ მხრივ, არც ჯარისკაცებისა და არც ხალხისგან არ ყოფილა დავალებული; ეგეც არ იყოს, ურიცხვი სიქველის წყალობით, რამაც სათაყვანებელ კერპად აქცია იგი, ყოველთვის ახერხებდა თავ-თავიანთი ადგილი მიეჩინა ხალხისთვისაც და ლაშქრისთვისაც, და არასოდეს დაუმსახურებია სიძულვილი და ზიზღი. პერტინაქსი[10] კი ჯარისკაცების უნებურად აირჩიეს იმპერატორად, ჯარისკაცებისა, რომლებიც აღვირახსნილ ცხოვრებას მიეჩვივნენ კომოდუსის დროს, და ამიტომაც ვერასდიდებით ვერ შეეგუენ იმ თავდაჭერილობას, რისკენაც მოუწოდებდა მათ პერტინაქსი. ასე და ამრიგად, ის საძულველი შეიქნა მათთვის, რასაც ზედ დაერთო ზიზღი მისი სიბერის გამო და ის თავისი მმართველობის დასაწყისშივე დაიღუპა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიძულვილს კეთილი საქმეც ისევე იწვევს ხოლმე, როგორც – ბოროტი, და ამიტომ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მთავარი, თუკი ძალაუფლების შენარჩუნება სურს, ხშირად იძულებულია ზურგი აქციოს სიკეთეს. ვინაიდან, როცა ის დაჯგუფებანი – სულერთია, ხალხის, ჯარისკაცების თუ დიდებულებისა, – რომელთა მხარდაჭერაც, როგორც თვითონ ჰგონია, აუცილებელია მისთვის, დიახ, როცა ზემოაღნიშნული დაჯგუფებანი იხრწნებიან, ის იძულებულია დაჰყვეს მათ ნებას და უყოყმანოდ აღასრულოს მათი სურვილი. ამ პირობებში ყოველი კეთილი საქმე შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მისთვის. მაგრამ გადავიდეთ ალექსანდრეზე[11], რომელიც იმდენად კეთილი იყო, რომ, როგორც მისი მეხოტბეები აღნიშნავენ, უშურველად რომ აქებენ მას, – თავისი მმართველობის თოთხმეტი წლის მანძილზე ერთი კაციც არ დაუსჯია გაუსამართლებლად. მაგრამ რაკიღა ქალაჩუნად ითვლებოდა, ვინაიდან დედამისის ყურმოჭრილი მონა იყო და საყოველთაო ზიზღის საგნად იქცა, ამიტომ ლაშქარმა შეთქმულება მოაწყო მის წინააღმდეგ და მოაკვდინა იგი.

თუ ახლა, მათდა საპირისპიროდ, განვიხილავთ კომოდუსის, სევერუსის, ანტონინუსის, კარაკალასა და მაქსიმინეს თვისებებს, დავინახავთ, რომ ყველა ისინი გულმხეცნი და ძარცვა-გლეჯით გაუმაძღარნი იყვნენ. ოღონდაც ჯარისკაცებისთვის ეამებინათ და არავითარ უსამართლობაზე არ იტყოდნენ უარს, რითაც კი შეიძლებოდა შეევიწროებინათ ხალხი. ყველა მათგანს, სევერუსის გარდა, სავალალო აღსასრული ეწია: სევერუსის[12] სიქველე კი იმდენად დიდი იყო, რომ მიუხედავად ხალხის

ჩაგვრისა, რაკიღა ჯარისკაცების კეთილგანწყობას ინარჩუნებდა, ყოველთვის სვიანად მართავდა სახელმწიფოს. სწორედ ამ სიქველის წყალობით იმნაირ საოცრებად ჩანდა ჯარისკაცებისა და ხალხის თვალში, რომ ეს უკანასკნელი ერთგვარად გაოგნებული და გახევებული იყო, კმაყოფილი ჯარისკაცები კი პირდაპირ აღმერთებდნენ მას. და რაკი ყოველი მისი მოქმედება, ახალი მთავრის კვალობაზე, მართლაც რომ საოცარი იყო, მე მინდა ორიოდე სიტყვით გიჩვენოთ, რა ზედმიწევნით ფლობდა იგი ლომსა და მელაში, ე. ი. იმ ცხოველებში გარდასახვის ხელოვნებას, რომელთა ბუნებასაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უნდა ბაძავდეს მთავარი. რაკიღა კარგად იცნობდა იმპერატორ იულიანეს დაუდევრობას, სევერუსმა დაარწმუნა თავისი ჯარისკაცები, რომლებსაც სლავონიაში სარდლობდა, რომ უნდა გაელაშქრათ რომზე და პერტინაქსის სისხლი ეზღვევინებინათ საიმპერატორო გვარდიისათვის. ამ საბაბით, ისე რომ არ გაუმჟღავნებია თავისი განზრახვა, რაც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას გულისხმობდა, რომისკენ დასძრა თავისი ლაშქარი და იტალიაში უფრო ადრე ჩავიდა, ვიდრე იქ ჩააღწევდა ხმა მისი გამოლაშქრების შესახებ. რომს რომ მიადგა, თავზარდაცემულმა სენატმა იმპერატორად აირჩია იგი, იულიანე კი მოკლულ იქნა. ამნაირი დასაწყისის შემდეგ, სევერუსს, თუკი მას სურდა დაუფლებოდა მთელს სახელმწიფოს, ორი ძნელი ამოცანა უნდა გადაეჭრა: ერთი აზიაში, სადაც ნიგერმა, აზიური ლაშქრის სარდალმა, ჯარისკაცებს იმპერატორად გამოაცხადებინა თავი, მეორე კი დასავლეთში, სადაც ალბინუსიც ასევე აპირებდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. მაგრამ რაკი ორივესადმი აშკარა დაპირისპირება, მისი აზრით, კარგს არას უქადდა, ამიტომ გადაწყვიტა თავს დასხმოდა ნიგერს და გაეცურებინა ალბინუსი, რომელსაც მისწერა, რაკიღა სენატმა იმპერატორად ამირჩია, მე მინდა შენთან ერთად გავიზიარო ეს პატივიო; ამიტომაც ცეზარის წოდება უბოძა და, სენატის გადაწყვეტილების თანახმად, თანამოსაყდრედ დაისვა იგი. ალბინუსი გაბრიყვდა და ანკესზე წამოეგო. მაგრამ როდესაც სევერუსმა დაამარცხა და მოკლა ნიგერი და აღმოსავლეთის საქმეები მოაგვარა, რომში დაბრუნებულმა სენატში უჩივლა ალბინუსს: ხომ ამდენი სიკეთე ვუყავი, მაგრამ მადლიერების სანაცვლოდ მუხანათურად მიპირებს მოკვლას და ამიტომ სხვა გზა არა მაქვს, თავს უნდა დავესხა და მისი უმადურობა ვაზღვევინოო. და მართლაც, ბოლოს, საფრანგეთში მოიხელთა, ძალაუფლება წაართვა და სიკვდილით დასაჯა იგი.

ვინც დაწვრილებით განიხილავს სევერუსის მოქმედებას, დარწმუნდება, რომ ის ლომზე უფრო გამბედავი და მელაზე უფრო ცბიერი იყო და რომ ყველა უფრთხოდა და, იმავდროულად, პატივს სცემდა მას, ჯარისკაცებს კი არ სძულდათ იგი. ამიტომ აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ მან საკუთარი ძალისხმევით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, შემდეგ კი მისი შენარჩუნებაც შეძლო, ვინაიდან სახელი და დიდება ყოველთვის იცავდა იმ სიძულვილისაგან, რაც თავისი ძალმომრეობით შეიძლებოდა აღეძრა ხალხში. მაგრამ მისმა ძემ ანტონინუსმა[13] კიდევაც გადააჭარბა მამას: თავისი თვისებებით აოცებდა ხალხს და ჯარისკაცებსაც. ამავე თვისებების გამო უყვარდათ იგი. ეს იყო ომით გაუმაძღარი და გასაჭირში ქედუხრელი კაცი, რომელსაც ეზიზღებოდა რჩეული სასმელ-საჭმელი და სძულდა ყოველგვარი ფუფუნება. მაგრამ მისი გულმ-

ხეცობა და სისასტიკე იმდენად საზარელი და გაუგონარი იყო, – ცალკეულ პირთა სიკვდილით დასჯას არ დასჯერდა, მან მუსრი გაავლო რომაელთა უმრავლესობას და ალექსანდრიის თითქმის მთელი მოსახლეობა გაჟლიტა, – დიახ, იმდენად გულმხეცი გახლდათ, რომ მთელს ქვეყანას შეაძულა თავი და ახლობელთა საფრთხობელად იქცა; ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, მთელი ლაშქრის თვალწინ მოჰკლა ერთმა ცენტურიონმა[14]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამნაირი მკვლელობები, რომლებსაც მიზნად ისახავს და ახორციელებს გამბედავი და თავგანწირული კაცი, ყოველთვის ემუქრება მთავრებს, რაკიღა მათი ჩადენა შეუძლია ყველას, ვინც არად აგდებს საკუთარ სიცოცხლეს; მაგრამ მთავრები ნაკლებად უნდა უფრთხოდნენ ამას, რადგანაც ყველა ამნაირი მკვლელობა საკმაოდ იშვიათია, ოღონდ იმას კი უნდა ცდილობდნენ, რომ თავიანთ ახლობელთა თუ ხელქვეითთაგან არავის მიაყენონ მძიმე შეურაცხყოფა, როგორც მოიქცა ანტონინუსი, რომელმაც სამარცხვინო სიკვდილით მოაკვდინა ზემოხსენებული ცენტურიონის ძმა, თვითონ მასაც გამუდმებით ემუქრებოდა და, მიუხედავად ამისა, მაინც პირად დაცვაში ჰყავდა. ამნაირი ქცევა, რაც აშკარად არაგონივრული იყო, საბედისწერო უნდა გამხდარიყო მისთვის, და გახდა კიდეც.

მაგრამ გადავიდეთ კომოდუსზე[15], რომელსაც, როგორც მარკუსის ძეს, ადვილად შეეძლო ძალაუფლების შენარჩუნება, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცა და საკმარისი იყო მამის კვალს გაჰყოლოდა, რომ კმაყოფილი ეყოლებოდა ხალხიცა და ჯარისკაცებიც. მაგრამ რაკი ბუნებით გულმხეცი და სისხლისმსმელი იყო და სურდა ხალხის წამებით დაეცხრო თავისი მტაცებლური ჟინი, ამიტომ თავს ევლებოდა და ელოლიავებოდა ჯარისკაცებს, რითაც თავის ნებაზე მიუშვა და გახრწნა ისინი. მეორეს მხრივ, არც თავისი ღირსებისათვის უკადრის ქცევას თაკილობდა, ხშირად გამოდიოდა ცირკის არენაზე გლადიატორებთან შესარკინებლად და ბევრი სხვა სიმდაბლითაც ბღალავდა საიმპერატორო ღირსების სიდიადეს. ასე რომ, ჯარისკაცებს თანდათანობით შეაზიზღა თავი. და როცა ხალხის სიძულვილმა და ჯარისკაცების ზიზღმა იმძლავრა, მის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო და ის მოკლული იქნა.

ახლა კი ისღა დაგვრჩენია, მაქსიმინეს[16] თვისებები განვიხილოთ. ამ კაცს, ომის გარდა, სხვა საფიქრალი არა ჰქონდა, და რაკი ჯარისკაცებს არაფრად ეპიტნავებოდათ ალექსანდრეს უმწეობა, ამიტომ მისი სიკვდილის შემდეგ მაქსიმინე აირჩიეს იმპერატორად. მაგრამ მან დიდხანს ვერ გაძლო ხელისუფლების სათავეში, ვინაიდან იყო ორი საჩოთირო გარემოება, რამაც სიძულვილისა და ზიზღის საგნად აქცია იგი. ჯერ ერთი, ყოვლად უღირსი წარმავლობისა გახლდათ, ვინაიდან სიჭაბუკის ჟამს ღორებს მწყემსავდა თრაკიაში (რაც დაწვრილებით იცოდა ყველამ და ამიტომ ბევრ რასმე ჰკარგავდა ხალხის თვალში), და მეორეც, თავისი მმართველობის დასაწყისში თავი რომ აარიდა რომში ჩასვლასა და საიმპერატორო ტახტის დამკვიდრებას, მან თავისი გულმხეცობით გაითქვა სახელი, ვინაიდან მისი მოხელეების სისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა რომშიც და მთელს იმპერიაშიც. და ასე, როცა მთელი ქვეყანა მოიცვა, ერთის მხრივ, ზიზღმა მისი მდაბიური წარმომავლობის გამო, ხოლო მეორეს მხრივ, სიძულვილმა, რასაც მისი გულმხეცობა უნერგავდა შეძრწუნებულ ხალხს, მის წინააღმდეგ ამბოხდნენ ჯერ აფრიკა, შემდეგ კი სენატი, რომის მოქალაქენი და იტა-

ლიის მთელი მოსახლეობა. მათ მხარი მისცა მისმავე საკუთარმა ლაშქარმა, რომელიც იმ ხანად აკვილეას ადგა გარს და, მისი აღება რომ ვერ შეძლო, მაქსიმინეს სისასტიკით თავმობეზრებულმა და მისი მტრების სიძლიერეში დარწმუნებულმა, შიში დაივიწყა და მოაკვდინა იგი.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ ჰელიოგაბალზე, მაკრინუსსა და იულიანეზე[17], რომლებიც ზიზღის მეტს არაფერს იწვევდნენ ხალხში და ამიტომ დიდხანს ვერ ძლებდნენ ტახტზე. მაგრამ ამ თავის დასასრულს ვიტყვი, რომ ჩვენი დროის მთავრებს გაცილებით უფრო ნაკლებ აწუხებთ იმნაირი ვითარების მთელი სირთულე, რომელიც მოითხოვს, რომ არაფერს იშურებდნენ ჯარისკაცების საამებლად, ვინაიდან, თუმცა იძულებულნი არიან ანგარიშს უწევდნენ მათ, მაინც საკმაოდ ადვილად ართმევენ თავს ამ ამოცანას, რადგან არც ერთ მათგანს არა ჰყავს ლაშქარი, ურღვევი კავშირით რომ უკავშირდებოდეს ცალკეული პროვინციების მმართველობასა თუ ადმინისტრაციას, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე რომის იმპერიაში. ამიტომ, მაშინ აუცილებელი იყო ჯარისკაცების დაკმაყოფილებაზე უფრო მეტად ეზრუნათ, ვიდრე ხალხისა, ვინაიდან ჯარისკაცები ხალხზე უფრო ძლიერნი იყვნენ. ახლა კი, თურქეთის სულთანისა და ეგვიპტის[18] მბრძანებლის გარდა, ყველა მთავრისათვის აუცილებელია ხალხის დაკმაყოფილებაზე უფრო მეტად ზრუნავდეს, ვიდრე ჯარისკაცებისა, ვინაიდან ხალხი უფრო ძლიერია ჯარისკაცებზე. მე იმიტომ გამოვრიცხავ თურქეთის სულთანს, რომ მას ყოველთვის გარს ახვევია დაახლოებით თორმეტი ათასი ქვეითი და თხუთმეტი ათასი მხედარი, რომლებზეც დამოკიდებულია მისი ძალაუფლების სიმტკიცე და უსაფრთხოება. ამიტომ სულთანისათვის აუცილებელია მეგობრულად იყოს განწყობილი მათ მიმართ და ნაკლებად იწუხებდეს თავს ხალხზე ზრუნვით. ასეთსავე მდგომარეობაშია ეგვიპტის მბრძანებელიც. რაკიღა მისი ბედ-იღბალი ჯარისკაცებზეა დამოკიდებული, ისიც იძულებულია მეგობრულად იყოს განწყობილი მათ მიმართ და ნაკლებად ედარდებოდეს ხალხი. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის სახელმწიფო სხვა სამთავროებს კი არა ჰგავს, არამედ საპაპოს და ამიტომ არც ახალ და არც მემკვიდრეობით სამთავროდ არ შეიძლება იწოდებოდეს, ვინაიდან გარდაცვლილი მთავრის ძენი კი არ რჩებიან მემკვიდრეებად და მბრძანებლებად, არამედ ისინი, ვისაც ამ თანამდებობაზე ირჩევენ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირნი. და რაკი ამნაირი წესრიგი დროის ხანგრძლივობითაა განმტკიცებული, ეგვიპტე არ შეიძლება იწოდებოდეს ახალ სამთავროდ, ვინაიდან მისთვის უცხოა ყველა ის სიძნელე, რომლებიც თავს იჩენენ ახალ სამთავროში. და თუმცა მთავარი ახალია, მაგრამ თვით ამ სახელმწიფოს წეს-წყობილებაა ძველი და საიმისოდ გამიზნული, რომ მემკვიდრეობითი მთავრის მდგომარეობა უზრუნველყოს მბრძანებლისათვის.

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენს საგანს. მე ვფიქრობ, ყველა, ვინც ჩასწვდა ჩვენი მსჯელობის არსს, დარწმუნდება იმაში, რომ ზემოხსენებულ იმპერატორთა დაღუპვის მიზეზი ან სიძულვილი იყო, ან ზიზღი და დაინახავს, რატომ იქცეოდა ზოგი ასე, ზოგი კი ისე, და რატომაა, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაშიც ზოგიერთი ბედნიერი იყო, ზოგიერთმა კი უბედურად დაასრულა სიცოცხლის დღენი. საქმე ისაა, რომ პერტინაქსსა და ალექსანდრეს, როგორც ახალ მთავრებს, არც უნდა

ესურვათ მიებაძათ მარკუსისათვის, რომელიც მემკვიდრეობითი მთავარი გახლდათ, ეს მათთვის არა მარტო სრულიად უსარგებლო იყო, არამედ საშიშიც. და ზუსტად ასევე, კარაკალას, კომოდუსსა და მაქსიმინეს კარგს არას უქადდა სევერუსის მიბაძვა, ვინაიდან არც ერთს არ გააჩნდა საკმარისი სიქველე, რათა კვალდაკვალ მიჰყოლოდა მას. ამრიგად, ახალ მთავარს არ შეუძლია ბაძავდეს მარკუსს, თუმცა მას არც სევერუსის მიბაძვა მართებს; მაგრამ სევერუსს უნდა დაესესხოს იმას, რაც აუცილებელია მისი ძალაუფლების დასამკვიდრებლად, მარკუსს კი იმას, რაც საჭიროა უკვე დამკვიდრებული და მტკიცე ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

თავი XX
იმისათვის, სასარგებლოა თუ საზიანო ციხე-სიმაგრეები და ბევრი სხვა რამეც, რასაც ხშირად იყენებდნენ მთავრები

ზოგიერთი მთავარი, ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, ცდილობდა განეიარაღებინა თავისი ქვეშევრდომნი, მეორენი შუღლს თესავდნენ მათ გავლენას დაქვემდებარებულ ქვეყნებში, მესამენი ცდილობდნენ გადაემტერებინათ ხალხი; ზოგიერთნი ესწრაფვოდნენ მათი გულის მოგებას, ვისაც ეჭვის თვალით უყურებდნენ თავიანთი მმართველობის დასაწყისში, მეორენი ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ, მესამენი კი ანგრევდნენ და მიწასთან ასწორებდნენ მათ. და თუმცა არ შეიძლება ყოველივე ეს საბოლოოდ შეაფასო, სანამ დაწვრილებით არ განიხილავ იმ სახელმწიფოთა თავისებურებებს, სადაც ამნაირ ღონისძიებებს უნდა მიმართავდნენ, მაგრამ მე მაინც ვილაპარაკებ, ოღონდ ისე ზოგადად, რამდენადაც, საერთოდ, თვითონ ჩვენი მსჯელობის საგანი გვაძლევს ამის საშუალებას.

ამრიგად, არასოდეს მომხდარა, რომ ახალ მთავრებს განეიარაღებინოთ თავიანთი ქვეშევრდომნი; პირიქით, ყოველთვის აიარაღებდნენ უიარაღოთ. რადგანაც იარაღი, რომლითაც მთავარი ამარაგებს მათ, მისსავე საკუთარ იარაღად იქცევა: ეჭვმიტანილნი სანდონი ხდებიან, სანდონი კი უფრო მჭიდროდ ირაზმებენ მის გარშემო და მარტოოდენ მისი ხელქვეითები კი აღარ არიან, არამედ – თანამდგომნი და თანამზრახველნი. მაგრამ რაკი ყველა ქვეშევრდომის შეიარაღება შეუძლებელია, ამიტომ მხოლოდ ზოგიერთის მიმართ რომ მოიღებს მოწყალებას, მთავარს შეუძლია უფრო ადვილად დააშოშმინოს დანარჩენნი; ვინაიდან ამ სხვადასხვანაირი დამოკიდებულების გამო პირველნი მისი ერთგულნი გახდებიან, მეორენი კი არ დაადანაშაულებენ მას, რადგანაც შეგნებული ექნებათ, რომ ისინი, ვისაც უფრო მეტი საფრთხე ემუქრება და ვისი მოვალეობაც უფრო მძიმეა, უფრო დიდი უპირატესობითაც უნდა სარგებლობდნენ.

მაგრამ, როდესაც თავისი ქვეშევრდომების განიარაღებას ცდილობს, მთავარი შეურაცხყოფს და უნდობლობას უცხადებს მათ, რისი მიზეზიც მისი სიმხდალე ან იჭვნეულობა გახლავთ; ხოლო როგორც ერთი, ისე მეორე მანკიერების გამოვლენა სიძულვილის საგნად აქცევს მას. და რაკი მთავარს უიარაღოდ დარჩენა არ შეუძლია,

ის იძულებულია მიუბრუნდეს დაქირავებულ ლაშქარს, რომლის ღირსებაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, მაგრამ მართლა ღირსეულიც რომ იყოს, იმდენად მრავალრიცხოვანი მაინც ვერ იქნება, რომ ძლევამოსილი მტრებისა და ეჭვმიტანილი ქვეშევრდომებისაგან დაიცვას იგი. ამიტომ ახალი მთავარი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ყოველთვის აიარაღებს თავის ახალ სამთავროს. ამნაირი მაგალითებით სავსეა ყოველი ხალხის ისტორია. მაგრამ როდესაც მთავარი ახალ სამფლობელოს იპყრობს, რომელსაც, როგორც შემადგენელ ნაწილს, თავის საბრძანებელს უერთებს, მაშინ ის იძულებულია განაიარაღოს იგი, და გამონაკლისს მხოლოდ იმათთვის უშვებს, ვინც ამ სამფლობელოს დაპყრობაში შეუწყო ხელი. მაგრამ დროთა განმავლობაში, როგორც კი სათანადო შემთხვევა მიეცემა, ეს უკანასკნელიც თანდათანობით უნდა ჩამოიცილოს და გააზიზებულ ქალაჩუნებად აქციოს, რათა, ამრიგად, სახელმწიფოს მთელმა იარაღმა მისი ჯარისკაცების ხელში მოიყაროს თავი, ჯარისკაცებისა, რომლებიც მის გვერდით და მისსავ სამკვიდრებელში ცხოვრობენ.

ჩვენი წინაპრები, განსაკუთრებით კი მათ შორის ყველაზე ბრძენნი, იტყოდნენ ხოლმე, რომ პისტოიას უნდა ინარჩუნებდე მოქიშპე მხარეთა მეშვეობით[1], ხოლო პიზას – ციხე-სიმაგრეების წყალობით, და ამიტომ ზოგიერთ სამფლობელოში ყოველთვის აღვივებდნენ შუღლს, რათა, ამრიგად, მათი ფლობა გაადვილებოდათ. იმ დროს, როდესაც იტალია გარკვეულ წონასწორობას ინარჩუნებდა[2], ამნაირი პოლიტიკა, როგორც ჩანს, გამართლებული იყო, მაგრამ არა მგონია, რომ ის თავისთავს ამართლებდეს დღესაც. მე არა მწამს, რომ განზრახ გაღვივებული შუღლი ვისთვისმე სასიკეთო იყოს; პირიქით, მტრის მოახლოებისას, ქიშპობით გათიშული ქალაქი უთუოდ უნდა დაეცეს, ვინაიდან უფრო სუსტი დაჯგუფება მტრის მხარეს გადავა, უფრო ძლიერი კი თავს ვეღარ გაართმევს შექმნილ ვითარებას. ვენეციელები, როგორც ჩანს, ზემოაღნიშნული მოსაზრებით, თავიანთ გავლენას დაქვემდებარებულ ქალაქებში ყოველთვის ცდილობდნენ გველფებისა და გიბელინების პარტიების[3] შენარჩუნებას; და თუმცა სისხლის ღვრამდე არ მიჰყავდათ საქმე, მაგრამ შუღლს კი ხელოვნურად აღვივებდნენ იქ, რათა თავიანთ ქიშპობას გადაყოლილ მოქალაქეებს მათ წინააღმდეგ არ დაეპირებინათ ამბოხება. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს არაფერში წაადგა მათ, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ვაილასთან[4] მარცხი განიცადეს, ერთ-ერთმა მხარემ იმძლავრა და ქედიდან გადაიგდო მათი უღელი[5]. ამნაირი მოქმედება მთავრის სისუსტეს მოწმობს, ვინაიდან ძლიერი სამთავრო არასოდეს არ დაუშვებს ამნაირ განხეთქილებას, რაც მხოლოდ მშვიდობიანობის დროსაა სასარგებლო, რაკიღა ამის წყალობით უფრო ადვილად მართავ ქვეშევრდომთ, მაგრამ ომიანობის ჟამს, პირიქით, კი არ აადვილებს, არამედ ართულებს საქმეს.

ისიც უდავოა, რომ მთავრის განსადიდებლად აუცილებელია ყველა ის წინააღმდეგობა და დაბრკოლება, რომლებიც უთუოდ უნდა დაძლიოს მიზნისკენ მიმავალ გზაზე: და ამიტომ ბედისწერა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალი მთავრის განდიდება სურს, რომელსაც უფრო მეტად სჭირდება სახელისა და დიდების მოხვეჭა, ვიდრე მემკვიდრეობით მთავარს, – მტრებს არ აკლებს თავის რჩეულს და აიძულებს მათ წინააღმდეგ იბრძოლოს, რათა მათი ძლევის შედეგად თანდათანობით

ამაღლდეს იმ კიბის საფეხურზე, მის წინაშე რომ აღუმართავს მტრების მცდელობას. ამიტომ, მრავალთა აზრით, მთავარი, ხელსაყრელ შემთხვევაში, განზრახ უნდა აღვივებდეს ამნაირ მტრობას, რათა მისი ძლევის შედეგად, კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს. მთავარს და, განსაკუთრებით, ახალ მთავარს, უფრო მეტად ერთგულობს და მეტს არგია ის ხალხი, რომელიც მისი მმართველობის დასაწყისში არასაიმედო ჩანდა, ვიდრე ისინი, ვისი იმედიც თავდაპირველად ჰქონდა. პანდოლფო პეტრუჩი[6], სიენის მთავარი, უფრო მეტად იმათზე დაყრდნობით მართავდა თავის სახელმწიფოს, რომელთა ერთგულებაშიც თავდაპირველად ეჭვი ეპარებოდა, ვიდრე სხვების მეშვეობით. მაგრამ ამ საკითხზე უფრო ზოგადად ვერაფერს იტყვი, ვინაიდან საქმის ვითარება გარემოებებისდა კვალად იცვლება. მხოლოდ დავსძენ, რომ, თუკი ის ხალხი, ვინც ახალი მმართველობის დასაწყისში მის მიმართ მტრულად იყო განწყობილი, – შემწეობას საჭიროებს, მთავარს არ გაუჭირდება მათი გადაბირება. და ისინი, უმეტესწილად, იძულებულნი არიან ერთგულად ემსახურონ მას, რადგანაც ესმით, თუ რაოდენ აუცილებელია საქმით გააქარწყლონ ის არასახარბიელო აზრი, რომელსაც აღუძრავდნენ მთავარს. ამრიგად, მთავრისთვის ეს უკანასკნელნი უფრო სასარგებლონი არიან, ვიდრე ისინი, სრულიად უდარდელად და გულდამშვიდებით რომ ემსახურებიან მას და ამიტომ უგულებელყოფენ მის ინტერესებს. და რაკი ჩვენივე მსჯელობის საგანი მოითხოვს ამას, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შევახსენო მთავარს, რომელმაც ახალ ქვეშევრდომთა წყალობით შეძლო ახალი სამფლობელოს ხელში ჩაგდება, დიახ, მინდა შევახსენო მას, რომ გულდასმით უნდა განიხილოს იმის მიზეზი, თუ რამ აღძრა მისი ხელის შემწყობნი მხარი დაეჭირათ მისთვის; და თუ ეს აიხსნება არა მის მიმართ მათი ბუნებრივი კეთილგანწყობილებით, არამედ იმით, რომ ძველი ხელისუფლებით უკმაყოფილონი იყვნენ, მთავარს ძალიან გაუჭირდება და ძვირადაც დაუჯდება მათი მეგობრობის შენარჩუნება, ვინაიდან ვერასდიდებით ვერ შეძლებს იმას რომ დააკმაყოფილოს ისინი. და თუ წარსული, ისევე როგორც თანადროული ცხოვრებიდან აღებულ მაგალითებზე დაყრდნობით, საფუძვლიანად განიხილავს ამის მიზეზს, დაინახავს, რომ გაცილებით უფრო ადვილია დაიმეგობროს ის ხალხი, ვინც ძველი ხელისუფლებით კმაყოფილი იყო, ვიდრე იმავე ხელისუფლებით უკმაყოფილონი, რომელნიც სწორედ ამის გამო მიემხრნენ მას და ახალი სამფლობელოს დაპყრობაში შეუწყვეს ხელი.

სახელმწიფოს უკეთ შენარჩუნების მიზნით, მთავრები, ჩვეულებისამებრ, ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ, რომლებსაც უნდა შეეჩერებინათ და აელაგმათ მათი მტრები და პირველი შემოტევისას საიმედო თავშესაფრად გამოსდგომოდნენ მათ. მე ვაქებ ამნაირ მოქმედებას, რომელიც ოდითგანვე ხელსაყრელადაა მიჩნეული. მაგრამ ჩვენს დროში მესსერ ნიკოლო ვიტელიმ[7] უმჯობესად მიიჩნია ორი ციხე-სიმაგრის დანგრევა ჩიტა დი კასტელოში, რათა შეენარჩუნებინა ეს სამფლობელო. ურბინოს დუკამ გვიდო უბალდომ[8], თავის სამთავროში დაბრუნების შემდეგ, საიდანაც ადრე ჩეზარე ბორჯამ განდევნა იგი, – მიწასთან გაასწორა ყველა ციხე-სიმაგრე, რადგანაც თვლიდა, რომ უიმათოდ უკეთ შეინარჩუნებდა თავის საბრძანებელს. ასევე მოიქცნენ, ბოლონიაში დაბრუნების შემდეგ, ბენტივოლებიც[9]. ასე რომ, ციხე-სიმაგ-

რეების სარგებლიანობა საქმის ვითარებაზეა დამოკიდებული, და თუ ერთ შემთხვევაში შეიძლება გიხსნან, მეორეში შეიძლება საბედისწერონი აღმოჩნდნენ შენთვის. ეს შეიძლება შემდეგნაირად იქნეს ახსნილი: ის მთავარი, რომელსაც თავისი ხალხისა უფრო ეშინია, ვიდრე უცხოელების, ციხე-სიმაგრეებს უნდა აგებდეს, იმ მთავარს კი, რომელსაც უცხოელებისა უფრო ეშინია, ვიდრე თავისი ხალხის, შეუძლია არად აგდებდეს ამას. ფრანჩესკო სფორცას მიერ აგებულმა მილანის ციხე-სიმაგრემ უფრო მეტი ომი დაატეხა და კვლავაც დაატეხს თავზე სფორცების გვარს, ვიდრე აშლილობის რომელიმე სხვა საბაბმა, რასაც ოდესმე უჩენია თავი მილანის სამთავროში. ამიტომ ყველაზე უკეთესი სიმაგრე ისაა, რომ არ სძულდე ხალხს, ვინაიდან ციხე-სიმაგრეები რომც გქონდეს, მაგრამ საძულველი იყო ხალხისთვის, ისინი არას გარგია: რადგან ხალხი იარაღს ნუ მოჰკიდებს ხელს, თორემ ყოველთვის აღმოჩნდებიან მისი დახმარების მოსურნე უცხოელები.

ჩვენს დროში ციხე-სიმაგრეები არც ერთ მთავარს არ გამოსდგომია, ფორლელი გრაფინიას გარდა, როცა მისი მეუღლე ჯჩიროლამო[10] გარდაიცვალა. სწორედ ციხე-სიმაგრის წყალობით შეძლო მან თავი დაეხსნა ხალხის რისხვისგან, დალოდებოდა მილანის დახმარებას და დაებრუნებინა სამკვიდრო. დრო კი მაშინ ისეთი იყო, რომ უცხოელებმა ვერ შეძლეს დახმარებოდნენ ხალხს. მაგრამ შემდეგ, როცა თავს დაესხა ჩეზარე ბორჯა და მის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ხალხი უცხოელს მიემხრო, ციხე-სიმაგრემ ვერაფერი უშველა მას[11]. ამიტომ მაშინაც და ადრეც მისთვის უმჯობესი იქნებოდა არ ჰქონოდა ციხე-სიმაგრე, ოღონდ კი ხალხისთვის საძულველი არ ყოფილიყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მე ქების ღირსად მივიჩნევ იმას, ვინც აშენებს ციხე-სიმაგრეებს და იმასაც, ვინც არ აშენებს მათ, მაგრამ დავგმობ ყველას, ვინც ციხე-სიმაგრეების იმედით არავითარ ანგარიშს არ უწევს ხალხის მძულვარებას.

თავი XXI
როგორ უნდა იქცეოდეს მთავარი, რომელსაც სახელის მოხვეჭა სურს

არაფერი ისეთ პატივისცემას არ იწვევს მთავრის მიმართ, როგორც დიდი საქმეები და მის მიერ იშვიათ თვისებათა გამოვლენა. ჩვენს დროში ამის ნიმუშად გვევლინება ფერანდო, თავდაპირველად არაგონის, ხოლო აწ ესპანეთის მეფე. ის შეიძლება თითქმის ახალ მთავრად იქნეს წოდებული, რაკიღა თავდაპირველად სუსტი მეფე იყო, მაგრამ შემდეგ ისეთი სახელი და დიდება მოიხვეჭა, რომ საქრისტიანო სამყაროს უპირველესი მბრძანებელი გახდა. და თუ კარგად ავწონ-დავწონით, დავინახავთ, რომ ყოველი მისი მოქმედება სიდიადის ნიშნითაა აღბეჭდილი, ზოგიერთი კი მართლაც რომ უჩვეულოა.

თავისი მმართველობის დასაწყისში ის თავს დაესხა გრანადას, რითაც დასაბამი დაუდო თავის მომავალ ძლიერებას[1]. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მან

დროულად წამოიწყო ეს ომი და ამიტომ არ უფრთხოდა იმას, რომ ხელს შეუშლიდა ვინმე: ამით მან დააცხრო კასტილიელი ბარონების თავნებობა, რადგანაც, ბრძოლის ეშხში შესულთ, აზრადაც არ მოსვლიათ, თუ მეფეს რაიმე სიახლის დანერგვა სურდა; ასე და ამგვარად მოიხვეჭა დიდი სახელი და ისე თვალთმაქცურად დაიმორჩილა ისინი, რომ ბარონებს არც კი უგრძვნიათ ეს. ეკლესიისა და ხალხის სახსრებმა მას საშუალება მისცა შეენახა ჯარი და ამ გაჭიანურებული ომის შედეგად საკუთარი ლაშქრისთვის ჩაეყარა საფუძველი, რამაც შემდგომ ასე განადიდა იგი. ეგეც არ იყოს, უფრო დიდი მიზანდასახულობის განსახორციელებლად, სარწმუნოების მცველის ნიღაბს ამოფარებული, საღმრთო სისასტიკისათვის აღიძრა: გადაწყვიტა განედევნა მავრები[2] და მთლიანად გაეწმინდა მათგან თვისი სამეფო. ამავე საბაბით თავს დაესხა აფრიკას[3], დალაშქრა იტალია და, ბოლოს საფრანგეთშიც შეიჭრა[4]. ამრიგად, მისი თვითეული მოქმედება უჩვეულო გახლდათ და ყოველთვის განცვიფრებით ავსებდა საბოლოო შედეგით დაინტერესებულ მის ქვეშევრდომებს; მისი ყოველი მოქმედება ისე სწრაფად ცვლიდა და ისეთნაირად განაპირობებდა ერთიმეორეს, რომ თანამედროვენი გონს მოსვლასაც ვერ ასწრებდნენ და ამიტომ წინააღმდეგობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

მთავრისათვის არანაკლებ სასარგებლოა საშინაო მმართველობაშიც იშვიათი მაგალითებით გამოიჩინოს თავი (მსგავსად იმისა, რასაც ბერნაბო მილანელზე[5] მოგვითხრობენ), როცა ესა თუ ის კაცი, რომელმაც სამოქალაქო ცხოვრებისათვის რაღაც უჩვეულო რამ ჩაიდინა, სულერთია, კარგი თუ ცუდი აზრით, – საამისო საბაბს აძლევს, და მისი დაჯილდოებისას თუ დასჯისას იმნაირი გადაწყვეტილება მიიღოს, რომ ერთხმად აალაპარაკოს მთელი ხალხი. უწინარეს ყოვლისა, მთავარი უნდა ცდილობდეს, რომ ყოველი თავისი მოქმედებით მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს და დიდებულ და წარჩინებულ კაცად წარმოგვიჩინოს თავი. მთავარს პატივს სცემენ მაშინაც, როცა იგი ნამდვილ მტრად და ნამდვილ მეგობრად გვევლინება. ესე იგი, მაშინ, როცა ის, ყოველგვარი ნიღბის გარეშე, ვიღაცას უჭერს მხარს ვიღაცის წინააღმდეგ. ამნაირი გადაწყვეტილება ყოველთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე მიუმხრობლობა; ვინაიდან, როცა მთავრის ორი ძლევამოსილი მეზობელი საომრად იწვევს ერთმანეთს, საქმის ვითარება ისეთია, რომ მას ან უნდა ეშინოდეს გამარჯვებულისა, ან არ უნდა ეშინოდეს მისი. ორსავე შემთხვევაში, მთავრისათვის უმჯობესია აშკარად იმოქმედოს და ერთ-ერთს გამოუცხადოს ომი; არადა, პირველ შემთხვევაში, ყოველთვის გამარჯვებულის მსხვერპლად იქცევა, დამარცხებულის სასიხარულოდ, და ვეღარსად ჰპოვებს ხელისამპყრობს და თავშესაფარს. ვინაიდან გამარჯვებულს არ სჭირდება საეჭვო მეგობრები, რომლებმაც გასაჭირში ზურგი აქციეს, მაგრამ ნურც დამარცხებულისაგან მოელის შეწყნარებას, რაკიღა არ ისურვა მხარში ამოსდგომოდა და მისი ხვედრი გაეზიარებინა. ანტიოქემ რომელიც ეტოლიელების თხოვნით ჩავიდა საბერძნეთში, რათა რომაელები გაეძევებინა, ელჩები გაუგზავნა აქაიელებს[6], რომაელი ხალხის მეგობრებს, და შეუთვალა, თქვენთვის იყავით, ნურავის ნუ დაუჭერთ მხარსო. ეს საკითხი ირჩეოდა აქაიელთა საბჭოზე, სადაც ანტიოქეს ელჩი მოუწოდებდა მათ, მიუმხრობელნი დარჩენილიყვნენ, რაზედაც რომაელთა ელ-

ჩმა ასეთი პასუხი გასცა: „რაც შეეხება რჩევას, რომელსაც ყველაზე უმჯობესად და თქვენი ქვეყნისათვის ყველაზე სასარგებლოდ ასაღებენ, – არაფერია ამაზე უფრო უკუღმართი, ვინაიდან ომში ჩაურევლობით ვერც ვისიმე კეთილგანწყობასა და ვერც სახელს მოიხვეჭთ და გამარჯვებულის დავლად იქცევით“[7]. და ყოველთვის ასე იქნება: ვინც მთავრის მეგობარი არ არის, მიუმხრობლობას მოითხოვს, მეგობარი კი ისურვებს, რომ ის აშკარად ჩაებას ომში. მხდალი მთავრები უშუალო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მიუმხრობლობის გზას ირჩევენ და ამიტომ უმეტესწილად იღუპებიან. მაგრამ როდესაც მთავარი გადაჭრით ემხრობა ვინმეს, ეს უკანასკნელი, გამარჯვების შემთხვევაში, უფრო ძლევამოსილი გამოდის ბრძოლის ველიდან და მთავარი მთლიანად მასზე დამოკიდებული ხდება, მაგრამ ის გრძნობს, რამდენად დავალებულია მთავრისაგან და ამიტომ იძულებულია პატივისცემით ეპყრობოდეს მას, რადგანაც ადამიანები არასოდეს არ არიან ისე უტიფარნი, რომ უმადურობით მიაგონ სანაცვლო თავიანთ კეთილისმყოფელს. ეგეც არ იყოს, გამარჯვებაც არასოდეს არ არის ისეთი სრული, რომ გამარჯვებულს აღარავინ აღარ სჭირდებოდეს და აღარაფერს უწევდეს ანგარიშს, მით უმეტეს, სამართლიანობას. ხოლო თუ მთავრის მოკავშირე მარცხს განიცდის, ის ყოველთვის შეიწყნარებს და, შეძლებისდაგვარად, კიდევაც დაეხმარება მას; ასე რომ, მთავარი მოზიარე ხდება მისი ბედისა, რომელმაც შეიძლება კვლავინდებურად წყალობის თვალით გადმოხედოს ორივეს.

მეორე შემთხვევაში, როდესაც მეომარი მხარეების მდგომარეობა ისეთია, რომ მთავარს შეუძლია არ ეშინოდეს გამარჯვებულისა, მაინც უფრო კეთილგონივრული იქნება, ერთ-ერთს დაუჭიროს მხარი, რაკიღა ერთს ამხობს მეორის დახმარებით, რომელიც, უფრო ჭკუადამჯდარი რომ იყოს, პირველის გადარჩენას უნდა ცდილობდეს. გამარჯვებული კი მთლიანად მთავარზე დამოკიდებული ხდება; ხოლო, რაღა თქმა უნდა, იმარჯვებს ის, ვისაც მთავარი უჭერს მხარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი, თუკი აუცილებლობა არ აიძულებს, არასოდეს არ უნდა ჰკრავდეს კავშირს უფრო ძლევამოსილ მბრძანებელთან სხვებზე თავდასხმის მიზნით, როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი: ვინაიდან ამ უკანასკნელის გამარჯვების შემთხვევაში მის ხელში აღმოჩნდება, მთავრები კი ყოველნაირად უნდა ცდილობდნენ, რომ არავიზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. ვენეციელები მილანის დუკას წინააღმდეგ საბრძოლველად ფრანგებს დაუკავშირდნენ, თუმცაღა შეეძლოთ კია თავიდან აეცილებინათ ეს კავშირი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა მათთვის[8]. მაგრამ თუ ამ კავშირის გარეშე შეუძლებელია ფონს გასვლა, – ასეთი იყო ფლორენციელების მდგომარეობა, როდესაც პაპმა და ესპანელებმა ლომბარდიის წინააღმდეგ დასძრეს ლაშქარი[9], – მაშინ მთავარმა, ზემოხსენებული მოსაზრების თანახმად, ვიღაცას უნდა დაუჭიროს მხარი. არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს შეუძლია უხიფათო გადაწყვეტილების მიღება, პირიქით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი იძულებულნი არიან მიიღონ არა ერთი და ორი სახიფათო გადაწყვეტილება, ვინაიდან თვით სინამდვილეა ისეთი, რომ ვერასოდეს ვერ შეძლებ თავიდან აიცილო ერთი უბედურება ისე, რომ მეორე უბედურება არ დაგატყდეს თავს; კეთილგონიერება კი სწორედ

ისაა, რომ შეიცნო ამ უბედობათა თავისებურება და ბედნიერად მიითვალო უმცირესი უბედურება.

მთავარი იმასაც უნდა ცდილობდეს, რომ სიქველის მოყვარედ გვიჩვენებდეს თავს და წყალობას არ აკლებდეს ნიჭით ცხებულთ. ეგეც არ იყოს, თავის ქვეშევრდომთ მთავარი უნდა უნერგავდეს იმის რწმენას, რომ მათ შეუძლიათ გულმშვიდად მისდევდნენ თავიანთ საქმეს: ვინ – ვაჭრობას, ვინ – მიწათმოქმედებას, ვინ კიდევ სხვა რამ ხელობას, რათა ერთი თავს არ იკავებდეს თავისი საცხოვრებლის შემკობისაგან, იმისი შიშით, ვაითუ ყველაფერი წამართვანო, ხოლო მეორე, გადასახადების შიშით, – სავაჭროს გახსნისაგან. ის კი არა და, ჯილდოს უნდა უნიშნავდეს ყველას, ვისაც სურს ამნაირ საქმეს მისდიოს და ვინც, ასე თუ ისე, ხელს უწყობს მისი ქალაქისა თუ მისი სახელმწიფოს განდიდებას. გარდა ამისა, წლის ყველა ხელსაყრელ დროს, დღესასწაულებსა და სანახაობებს უნდა მართავდეს ხალხის საამებლად. და რაკი ყოველი ქალაქი ამქრებად თუ წოდებებად იყოფა, მთავარი ანგარიშს უნდა უწევდეს ამ ფენებს, დროდადრო უნდა ესწრებოდეს მათ თავყრილობებს და კაცთმოყვარეობისა და დიდსულოვნების ნიმუშად ჩანდეს, მაგრამ, ამასთან, არასდროს უნდა ივიწყებდეს თავისი ღირსების სიდიადეს, რომლითაც აღბეჭდილი უნდა იყოს მისი ყოველი ქცევა თუ საქმე.

თავი XXII
მთავრის მრჩეველთათვის

კარისკაცების შერჩევა მთავრისათვის სახუმარო საქმე როდია: ისინი კარგები ან ცუდები იქნებიან მისი კეთილგონიერების მიხედვით. მბრძანებელსა და მის უნარიანობაზე, უწინარეს ყოვლისა, იმ პირთა მიხედვით მსჯელობენ, რომელნიც მას გარს ახვევიან. თუ მათ თავიანთი ადგილი აქვთ მიჩენილი და მისი ერთგულნი არიან, მთავარი ყოველთვის ბრძენ კაცად იქნება მიჩნეული, რაკიღა შეძლო ღირსეულთა შერჩევა და მათი ერთგულების შენარჩუნება. მაგრამ თუ საქმე სხვაგვარადაა, მთავარს შეიძლება ყოველთვის ცუდი თვალით უყურებდნენ, ვინაიდან კარისკაცთა არამართებული არჩევანი უკვე მისი პირველი შეცდომა გახლავთ. ვინც იცნობდა ანტონიო და ვენაფროს[1], სიენის მთავრის პანდოლფო პეტრუჩის კარისკაცს, შეუძლებელია უჭკვიანეს კაცად არ მიეჩნია პანდოლფო, რომელსაც ასეთი კარისკაცი ჰყავდა.

ადამიანები, მათი გონებრივი უნარის მიხედვით, შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ[2]. ზოგს ყველაფერი თავისით ესმის, სხვები მხოლოდ ახსნა-განმარტების შედეგად ახერხებენ გაგებას, დანარჩენნი კი ვერც თავისით და ვერც სხვების ახსნა-განმარტების მეშვეობით ვერას ხვდებიან. პირველნი უწარჩინებულესნი არიან, მეორენი – წარჩინებულნი, მესამენი – ფუჭნი. ამიტომაც, თუკი პანდოლფო პირველთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, მეორეთა შორის მაინც უთუოდ იმსახურებდა ადგილს. რადგანაც ყველა, ვისაც იმის უნარი შესწევს, რომ განსჯის გზით გაარკვიოს, რით არის კარ-

გი და რით არის ცუდი სხვისი სიტყვა თუ საქმე, დიდი მიხვედრილობითაც რომ არ გამოირჩეოდეს, მაინც ყოველთვის გამოიცნობს კარისკაცის კარგსა თუ ცუდ ქცევას და, ამრიგად, კარგს წაახალისებს, ხოლო ცუდს აღკვეთს. კარისკაცებს კი, რომლებსაც აღარ ექნებათ მისი მოტყუების იმედი, მეტი გზა აღარ რჩებათ: მართებულად უნდა მოიქცნენ.

არსებობს ერთი უტყუარი ხერხი, რომლის წყალობითაც მთავარს ყოველთვის შეუძლია შეიცნოს თავისი კარისკაცი. როცა ის ხედავს, რომ ეს უკანასკნელი თავის თავზე უფრო მეტს ზრუნავს, ვიდრე მასზე, და რომ ყოველთვის და ყველაფერში მხოლოდ საკუთარ გამორჩენას მიელტვის, ასეთი კაცი არასოდეს არ ივარგებს კარისკაცად და არ შეიძლება მასზე დანდობა, ვინაიდან იმას, ვისაც სხვა ანიჭებს ძალაუფლებას, თავის თავზე კი არ მართებს ფიქრი, არამედ მთავარზე, და არც სხვა რამ საზრუნავი უნდა გააჩნდეს, გარდა იმისა, რაც პირადად ეხება მთავარს. მეორეს მხრივ, მთავარი უნდა ცდილობდეს შეინარჩუნოს თავისი კარისკაცის ერთგულება, ზრუნვას არ აკლებდეს, კუთვნილს მიაგებდეს, წყალობით ავსებდეს და, ამრიგად, ინადირებდეს მის გულს, ხოლო პატივსა და პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებდეს მასთან, რათა ეს უკანასკნელი ხედავდეს, რარიგ სჭირდება მთავარს და დიდი პატივისა და წყალობის გამო აღარ ესწრაფვოდეს სხვა პატივსა თუ წყალობას, დიდი პასუხისმგებლობის გამო კი შიშით უყურებდეს ცვლილებებს, ვინაიდან უნდა ესმოდეს, რომ მთავრის გარეშე ცუდად წაუვა საქმე. თუ მთავარი და მისი კარისკაცები ასე იქცევიან, მათ შეუძლიათ ენდონ ერთმანეთს, თუ არა და, ერთ-ერთ მათგანს სასიკეთო არა ელის რა.

თავი XXIII
როგორ უნდა დააღწიო თავი პირმოთნეთ

არ მინდა დუმილით ავუარო გვერდი კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს და შეცდომას, რომლისგანაც მთავრებს ძალზე უჭირთ თავის დაზღვევა, თუკი დიდი გამჭრიახობით არ გამოირჩევიან და ვერ ახდენენ სათანადო არჩევანს. მე ვგულისხმობ პირმოთნეთ, რომლებითაც სავსეა ყოველი სასახლის კარი, ვინაიდან ადამიანები ისეთნაირი სიამოვნებით ეძლევიან თვითტკბობას და იმნაირად ცდებიან ამ მხრივ, რომ ძნელად თუ ვინმე ახერხებს ამ მართლაცდა შავი ჭირისაგან დაიხსნას თავი; ხოლო თუ მისგან თავის დაღწევას დააპირებენ, არც ისაა გამორიცხული, რომ ზიზღის საგნად იქცნენ. ვინაიდან მთავარს არ გააჩნია პირმოთნეთაგან თავის დახსნის სხვა საშუალება, გარდა იმისა, რომ დაარწმუნოს ხალხი, თითქოს სულაც არ შეურაცხყოფს სიმართლის თქმა; მაგრამ თუ ყველა, ვისაც კი მოეპრიანება, სიმართლეს მოახსენებს მთავარს, მისი ღირსება უთუოდ შეიბღალება. ამიტომ კეთილგონიერი მთავარი მესამე გზას უნდა მისდევდეს: თავის სახელმწიფოში უნდა არჩევდეს ბრძენ კაცთ და მხოლოდ მათ რთავდეს სიმართლის თქმის ნებას, თანაც, არა ყოველთვის, არამედ მისი შეკითხვების პასუხად. მაგრამ მთავარი ყველაფერს

უნდა ეკითხებოდეს თავის რჩეულთ, ისმენდეს მათ აზრს და შემდეგ თვითონვე არჩევდეს საკითხს. ყველა ამ მრჩეველს ერთად და თვითოეულს ცალ-ცალკე მთავარი ისე უნდა ეპყრობოდეს, რომ მათ ესმოდეთ: რაც უფრო გულახდილნი იქნებიან, მით უფრო აამებენ მთავარს. მათ გარდა კი ყურს არავის უნდა უგდებდეს, მტკიცედ იცავდეს მიღებულ გადაწყვეტილებას და განუხრელად ახორციელებდეს მას. ვინც სხვაგვარად იქცევა, ან პირმოთნეთა მსხვერპლი ხდება, ან ერთთავად სხვადასხვა შეხედულებათა შორის მერყეობს, რამაც შეუძლებელია დაცინვის საგნად არ აქციოს იგი.

მე მინდა მოვიტანო აქ თანადროული ცხოვრებიდან აღებული ერთი მაგალითი. პრელატმა ლუკამ[1], ახლანდელი იმპერატორის მაქსიმილიანეს მრჩეველმა, მის უდიდებულესობაზე საუბრისას შენიშნა, რომ ის არავის ეთათბირებოდა და არასოდეს იქცეოდა საკუთარი გადაწყვეტილების თანახმად, რაც იმით აიხსნება, რომ მისი ქცევა მთლიანად უპირისპირდებოდა ზემოაღნიშნულ წესებს. საქმე ისაა, რომ იმპერატორი გულჩათხრობილი კაცი გახლავთ, არავის უმჟღავნებს თავის ზრახვებს და არც ვისიმე აზრი აინტერესებს. მაგრამ როგორც კი იმპერატორის განზრახვა, მისი განხორციელებისას, მჟღავნდება და აშკარა ხდება, მრჩევლები ცდილობენ ხელი ააღებინონ განზრახულზე და იმპერატორიც, თავისი სისუსტის გამო, მართლა უარყოფს მას. აი, რატომაა, რომ რასაც დღეს აკეთებს, ხვალ ანგრევს, და ვერასოდეს ვერ გაიგებ, რა სურს, ანდა რას აპირებს; ამიტომ მისი გადაწყვეტილება არასოდეს არ არის სანდო.

მთავარი ყოველთვის უნდა ეთათბირებოდეს თავის მრჩევლებს, მხოლოდ ეგ კია, როცა თვითონ მოეპრიანება და არა როცა სხვებს სურთ; მეტიც, ვერავინ უნდა უბედავდეს იმის რჩევას, რაც მთავარს არ უკითხავს მისთვის. მაგრამ თვითონ კი დაუზარებლად უნდა იძლეოდეს კითხვებს და, მათ პასუხად, მოთმინებით ისმენდეს სიმართლეს; მეტსაც გეტყვით, კიდევაც უნდა მრისხანებდეს, თუკი ეჭვენება, რომ ვილაცა რაღაცის გამო ცდილობს დაუმალოს სიმართლე. და თუმცა ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ მთავარი, რომელსაც კეთილგონიერ კაცად თვლიან, თავის თავს კი არ უნდა უმადლოდეს ამას, არამედ ჭკვიან მრჩევლებს, რომლებიც მას გარს ახვევიან, მაგრამ ისინი უეჭველად ცდებიან, ვინაიდან უტყუარია წესი, რომელსაც გამონაკლისიც არ გააჩნია და რომლის მიხედვითაც მხოლოდ ბრძენ მთავარს შეიძლება ჰყავდეს კარგი მრჩევლები. ოღონდ მთავარი მთლიანად არ უნდა დაემორჩილოს ერთი კაცის და, თანაც, ძალზე ჭკვიანი კაცის გავლენას. ამ შემთხვევაში გავლენა შეიძლება ნაყოფიერიც იყოს, მაგრამ დიდხანს კი არ გასტანს, ვინაიდან ეს ჭკვიანი კაცი მთავარს მალე წაართმევს ძალაუფლებას. ხოლო როდესაც მთავარი რამდენიმე პირს ეთათბირება, ვერასოდეს ვერ ეღირსება იმას, რომ მათი თათბირი ერთმანეთს ეთანხმებოდეს, და თუ გონიერი კაცი არ არის, ვერც თვითონ შეძლებს მათი სხვადასხვა აზრის შეთანხმებას: ყველა მრჩეველი მხოლოდ საკუთარ გამორჩენაზე დაიწყებს ფიქრს და თვითონ კი ვერ მოახერხებს ვერც მათ გამოსწორებას და ვერც გამოცნობას. ასე ყოფილა და ასე იქნება, ვინაიდან ადამიანები ყოველთვის ბოროტნი არიან, თუკი აუცილებლობა არ აიძულებთ სიკეთის გზა აირჩიონ. აქედან

გამომდინარე, ყოველი კეთილი რჩევა, ვინც უნდა იძლეოდეს მას, მთავრის კეთილგონიერების შედეგია და არა პირიქით: მთავრის კეთილგონიერება როდია კეთილი რჩევის შედეგი.

[...]

თავი XXV
როგორია ბედისწერის გავლენა კაცთა ცხოვრებაზე და როგორ შეიძლება წინ აღუდგე მას

მე ვიცი, ბევრი კაცი იმ აზრისა იყო და ახლაც იმავე აზრზე დგას, რომ ამქვეყნიური მოვლენების მსვლელობას ბედისწერა და ღმერთი წარმართავენ, და რომ კაცთა კეთილგონიერებას არამც თუ არ შეუძლია რაიმეს შეცვლა, არამედ სრულიად უმწეოა განგების წინაშე. აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა დაგვესკვნა: რა საჭიროა ოფლის ღვრა და ჭაპანწყვეტა, ყველაფერი მივანდოთ განგების ნებას. ამ აზრმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა ჩვენს დროში, რაც აიხსნება ყოველგვარი ადამიანური წინასწარხედვის სრულიად გამომრიცხველი უჩვეულო ცვლილებებით, რომლებიც აწ უკვე ჩვეულებრივ და ყოველდღიურ მოვლენებად იქცნენ. მათზე ფიქრისას, ნაწილობრივ მეც ამ აზრისაკენ ვიხრები ხოლმე. მაგრამ რაკიღა დაუშვებელია ჩვენი თავისუფალი ნების უგულებელყოფა, მე მზადა ვარ ჭეშმარიტებად ვაღიარო იმის შესაძლებლობა, რომ ბედისწერა განაპირობებს ჩვენი მოქმედებების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარს, მთლიანად თუ არა, ოდნავ ნაკლებს მაინც, ჩვენვე გვანდობს. ბედისწერას მე ვამსგავსებ ბობოქარ მდინარეს, გამძვინვარებული რომ გადმოლახავს ნაპირებს, წალეკავს ხეობებს, ძირფესვიანად თხრის ხეებს, ანგრევს შენობებს, ერთი ადგილიდან გლეჯს და მეორეზე გადააქვს მიწა; ყველა გაურბის, ყველა უკუიქცევა მისი სიშმაგის წინაშე, არავის ძალუძს წინ აღუდგეს მის მძვინვარებას.

მიუხედავად ამისა, მაინც რჩება იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანებმა, მყუდროების ჟამს, რაიმე იღონონ მის წინააღმდეგ: აღმართონ მიწაყრილები, კაშხლები და ჯებირები, ისე რომ, ახალი წყალდიდობისას მდინარე ან თავის კალაპოტში დაეტიოს, ანდა მისი მძვინვარება ძველებურად მძაფრი და ყოვლისმმუსვრელი აღარ აღმოჩნდეს. ასევეა ბედისწერაც, რომელიც თავის ძალმოსილებას ავლენს იქ, სადაც არავის უზრუნვია იმაზე, რომ საპირისპირო ძალა დაეხვედრებინა მისთვის, და რომელიც თავის მძვინვარებას მიმართავს იმ მხარეს, სადაც არ ეგულება მისი დამაოკებელი ჯებირები თუ სიმაგრეები. და თუ თვალს გადავავლებთ იტალიას, რომელიც არის ამ ცვლილებების ასპარეზიცა და მათი მიზეზიც, – გაშლილ ტრამალად, უჯებირო და უმიწაყრილო ტრამალად წარმოგვიჩნდება იგი. რადგან ისევე საიმედოდ დაცული რომ იყოს, როგორც გერმანია, ესპანეთი და საფრანგეთი, ეს წყალდიდობა ასეთ საბედისწერო ცვლილებებს ვერ გამოიწვევდა, მეტიც, შეიძლებოდა სულაც თავიდან აგვეცილებინა იგი.

მაგრამ თუ კერძო შემთხვევებით შემოვიფარგლები, მე ვიტყვი, როგორ იღუპება დღეს მთავარი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ბედნიერი იყო, თუმცაღა არ იგრძნობა, რომ მის ბუნებას ან მის თვისებებს რაიმე ცვლილება განეცადოს. მე მგონია, ეს აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, იმავე მიზეზებით, რომლებზედაც ზემოთ დაწვრილებით ვილაპარაკე, კერძოდ, იმით, რომ მთავარი, რომელიც მთლიანად ბედისწერასაა მინდობილი, იღუპება, როგორც კი ბედი პირს იბრუნებს მისგან. მე ისიც მგონია, რომ ბედნიერია ის, ვისი მოქმედებაც დროის თავისებურებას ეთანხმება და ესადაგება, და ზუსტად ასევე, უბედურია ის, ვისი მოქმედებაც დროს არ შეესაბამება. ამიტომაც ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი და იმავე მიზნისაკენ, კერძოდ, დიდებისა და სიმდიდრისაკენ სწრაფვისას, ადამიანები სხვადასხვანაირად იქცევიან: ერთნი სიფრთხილით მიიწევენ მიზნისაკენ, მეორენი შლეგური შემართებით, ერთნი ძალადობით, მეორენი ცბიერებით, ერთნი მოთმინებით, მეორენი სულსწრაფობით, და ყველა მათგანს შეუძლია ამ სხვადასხვა გზით მიაღწიოს დასახულ მიზანს. იმასაც ვხედავთ, რომ ორი ფრთხილი და წინდახედული კაციდან ერთი ახერხებს მიზნის მიღწევას, მეორე კი ვერა, და ზუსტად ასევე, ერთნაირად ბედნიერნი არიან ორი სხვადასხვა გზით – სიფრთხილითა და შლეგური შემართებით – მიზნის მიმღწევნი, რაც აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ დროის თავისებურებით, რომელსაც ეთანხმება ან არ ეთანხმება მათი მოქმედება. ამითვე აიხსნება ისიც, რაც ზემოთ მოგახსენეთ, კერძოდ ის, რომ ორი კაცი, რომელიც სხვადასხვაგვარად მოქმედებს, ერთსა და იმავე შედეგს აღწევს, მაშინ როდესაც ერთნაირად მოქმედი ორი კაციდან ერთი აღწევს, მეორე კი ვერ აღწევს მიზანს. ამითვეა განპირობებული კეთილდღეობის ცვალებადობაც, რადგანაც თუ ფრთხილსა და წინდახედულ კაცს ისეთი დრო უდგას და გარემოებებიც იმნაირად ერწყმიან ერთმანეთს, რომ მისი მოქმედება მართებულია, ბედნიერი იქნება იგი, მაგრამ თუ დროება გარემოებებთან ერთად იცვლება, მისი საქმე წასულია, ვინაიდან მათ კვალდაკვალ არ იცვლის მოქმედების გზასაც და გეზსაც. არ არსებობს იმდენად კეთილგონიერი კაცი, რომ მიესადაგოს დროის მოთხოვნებს, რადგანაც, ჯერ ერთი ძნელია ბუნებრივი მიდრეკილებების დათრგუნვა და, მეორეც, რაკიღა ერთი გზით ყოველთვის აღწევდა წარმატებას, ვერ დააჯერებს საკუთარ თავს, რომ საჭიროა ამ გზიდან გადახვევა. აი, რატომაა, რომ ფრთხილ კაცს, როცა ეს საჭიროა, არ შეუძლია ჯიქურ მოქმედებაზე გადასვლა და ამიტომ იღუპება. მაგრამ მისი ბუნება რომ დროსთან ერთად იცვლებოდეს, მისი ბედი უცვლელი დარჩებოდა.

პაპი იულიუს II ყოველთვის ჯიქურ მოქმედებას არჩევდა და დრო და გარემოებები ისეთნაირად შეესაბამებოდნენ მის მოქმედებას, რომ ყოველთვის წარმატებით აგვირგვინებდა საქმეს. განვიხილოთ მისი პირველი ლაშქრობა ბოლონიის წინააღმდეგ, როცა მესსერ ჯოვანი ბენტივოლი[1] ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ვენეციელები დრტვინავდნენ, ხოლო ესპანეთის მეფე საფრანგეთს ეთათბირებოდა ამ საქმესთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მან მთელი თავისი მძვინვარებითა და სიფიცხით წამოიწყო ეს ომი და პირადად ჩაუდგა სათავეში ლაშქარს. ამნაირმა გადაწყვეტილებამ საგონებელში ჩააგდო ვენეციელები და ესპანეთი: ვენეციელების ყოყმანს შიში ედო საფუძვლად, ესპანეთისას კი იმის სურვილი, რომ ხელახლა დაუფლებოდა ნე-

აპოლის სამეფოს[2]. მეორეს მხრივ, მან უკან გაიყოლია საფრანგეთის მეფე, რომელიც ხედავდა, რომ პაპმა უკვე დაიწყო ომი; ამიტომ, ვენეციელების დასამცირებლად, დაიპირა მისი მიმხრობა[3] და მართებულად გადაწყვიტა, რომ უთუოდ მოიმდურებდა პაპს, თუკი ლაშქარს არ მიაშველებდა. ამრიგად, თავისი ჯიქური მოქმედების წყალობით, იულიუსმა მიაღწია იმას, რასაც ვერ მიაღწევდა, მთელი თავისი ადამიანური სიბრძნით, ვერც ერთი მღვდელთმთავარი, ვინაიდან რომიდან დაძვრა რომ იმ დრომდე გადაედო, როცა დაიდებოდა ყველა დაურღვევი ხელშეკრულება და ყველაფერი მოწესრიგდებოდა, – როგორც მოიქცეოდა მის ადგილას რომელიც გნებავთ მღვდელთმთავარი, – თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდებოდა. რადგანაც საფრანგეთის მეფე ათას თავის გასამართლებელ საბაბს გამოჩხრეკდა, სხვები კი ათასნაირი მუქარით გასაქანს არ მისცემდნენ მას. აღარაფერს ვიტყვი მის დანარჩენ მოქმედებათა შესახებ, რომელნიც ერთმანეთს ჰგვანან და ერთნაირი წარმატებებითვე დაგვირგვინდნენ. დღემოკლეობამ მარცხის სიმწარე არ აწვნევინა პაპს, რადგანაც ისეთი დრო რომ დამდგარიყო, რომელიც ფრთხილ მოქმედებას მოითხოვდა, მისი საქმე წასული იყო, ვინაიდან არასოდეს გადაუხვევდა იმ გზიდან, რომლითაც წარმართავდა მისი ბუნება.

დასასრულ, დასკვნის სახით ვიტყვი, რომ, ბედის ცვალებადობისას, ადამიანები, რომლებიც ჯიუტად მისდევენ მოქმედების ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას, ბედნიერნი არიან მანამ, სანამ მათი მოქმედება და ბედისწერა ერთმანეთს შეესაბამებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ბედნიერება უბედურებით იცვლება. მაგრამ, ჩემის აზრით, უმჯობესია თამამი იყო, ვიდრე ფრთხილი და წინდახედული, რადგანაც ბედისწერა – ქალია, და მის მოსათვინიერებლად არ უნდა იშურებდე მუჯლუგუნებსა და წიხლებს: ვინც არ იშურებს, უფრო ადვილად იურვებს მას, ვიდრე ფრთხილი და მოკრძალებული კაცი. ამიტომ ბედისწერა, ქალისა არ იყოს, ყოველთვის სიჭაბუკეს ამჯობინებს, რადგანაც სიჭაბუკე უფრო თამამია, დაურიდალი და უფრო თავდაჯერებულად მბრძანებლობს მასზე.

[...]

განმარტებები

თავი I

1. ფრანჩესკო სფორცა (1401-1466) – ცნობილი იტალიელი სარდალი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. 1426 წლიდან ემსახურებოდა მილანის დუკას ფილიპო მარია ვისკონტის, ვისი ასულიც – ბიანკა მარია – ცოლად შეირთო 1441 წ. ამ ქორწინებამ დიდი სიმდიდრე შესძინა მას და არანაკლებ დიდი გავლენა მოუპოვა სახელმწიფოში. ვისკონტის სიკვდილის შემდეგ (1447) მილანის სამთავრო, მოქალაქეთა ნება-სურვილით, რესპუბლიკად გამოცხადდა. ამასობაში ქალაქები პავია, პარმა და სხვ. განუდგნენ მილანს და თვითონაც რესპუბლიკად გამოაცხადეს თავი. ვენეციელებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამ განდგომით და დააპირეს ლომბარდიის ერთი ნაწილი ჩაეგდოთ ხელში. შეშფოთებულმა მილანელებმა დახმარებისათვის ისევ სფორცას მიმართეს და თავიანთი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნეს იგი. 1447-1448 წწ. სფორცამ ზღვასა და ხმელეთზე დაამარცხა ვენეციელები, მაგრამ შემდეგ ყველასათვის მოულოდნელად დაუზავდა მტრებს, რომლებმაც შესთავაზეს – ლომბარდია ერთმანეთში გავიყოთო, ბრძოლა შეწყვიტა და მილანის გზა გაუხსნა ვენეციელებს. ამ უკანასკნელებმა ალყა შემოარტყეს მილანს. ქალაქი პანიკურმა შიშმა მოიცვა. დაიწყო შინააშლილობა. სფორცამაც აღარ დაახანა: თავს დაესხა ვენეციელებს, დაამარცხა ისინი და თავი მილანის დუკად გამოაცხადა (1450). ამ პოსტზე მან თავი გამოიჩინა, როგორც მოხერხებულმა და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა.
2. 1500 წლის 11 ნოემბერს ესპანეთის მეფემ ფერდინანდ V (1468-1516) გრანადაში ხელშეკრულება დადო საფრანგეთის მეფე ლუი XII-სთან (1498-1515) ნეაპოლის სამეფოს გაყოფის შესახებ. ამ ხელშეკრულების ძალით მან ჯერ იყო და ტახტი წაართვა ნეაპოლის მეფეს ფედერიკო არაგონელს, ხოლო შემდეგ (1502-1504) ფრანგებიც განდევნა ნეაპოლიდან.

თავი II

1. იგულისხმება მაკიაველის თხზულება, „მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ“, წიგნი 1.

თავი III

1. ლუი XII პირველად 1499 წლის დამდეგს შეიჭრა იტალიაში და იმავე წლის სექტემბერში დაიპყრო მილანის საჰერცოგო. ფრანგების წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა და მილანის მაშინდელმა მთავარმა ლოდოვიკო სფორცამ (1451-1508), მეტსახელად მორომ, შეძლო მოკლე ხნით დაებრუნებინა ძალაუფლება, თუმცა 1500 წელს ის კვლავ დაამარცხეს და ტყვედ ჩაიგდეს ფრანგებმა.

2. მაკიაველის დროს ძალაში იყო ტერმინოლოგია, რომელიც რომის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფიდან მომდინარეობდა. ამგვარად, პროვინციებად იწოდებოდა ქვეყნები ან მხარეები, რომლებზეც გავრცელებული იყო ერთი ეთნოსი და ენა: მაგალითად, იტალია, საფრანგეთი, გერმანია და ა. შ. ხოლო სახელმწიფოებად იწოდებოდა პროვინციების ის ნაწილები, რომლებზედაც ვრცელდებოდა ერთი ფეოდალური მმართველის ძალაუფლება: მაგალითად, მილანის საჰერცოგო, ნეაპოლის სამეფო და ა. შ. (რედ. შენიშვნა)
3. ნორმანდია საფრანგეთს შეუერთა ფილიპე II-მ (1204), გასკონია (გასკონი) – შარლ VII-მ (1453), ბურგუნდია – ლუი XI-მ (1477), ბრეტანია (ბრეტანი) – შარლ VIII-მ (1491).
4. თურქ-ოსმალები 1357 წელს შეიჭრნენ ევროპაში და თანდათანობით მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული დაიმორჩილეს. ამევე დროს მათ დაიპყრეს ბიზანტიის სამფლობელოები მცირე აზიაში: 1354 წ. აიღეს ჰალიპოლისი, ხოლო 1362 წ. – ადრიანოპოლისი, რომელიც სულთანმა თავის დედაქალაქად გამოაცხადა. 1453 წელს ოსმალებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და საბოლოოდ დაამხეს ბიზანტიის იმპერია.

თავი V

1. პელოპონესის ომში (431-404 ძვ. წ. ა.) გამარჯვების შემდეგ სპარტელებმა ათენში დაამყარეს ე. წ. „ოცდაათი ტირანის“ მმართველობა (404-403 ძვ. წ. ა.), რომელმაც თავისი სისასტიკით, თვითნებობითა და ძალმომრეობით საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია და ამიტომ მალე დაემხო... თებეში 382 წ. ძვ. წ. ა. მმართველობის სადავე, სპარტელების დახმარებით, ხელთ იგდეს ოლიგარქებმა, რომლებიც სამიოდე წლის შემდეგ დაამხეს დემოკრატებმა პელოპიდასა და ეპამინონდას მეთაურობით.
2. მეორე პუნიკური ომის დროს (218-201 ძვ. წ. ა.) კამპანიის ქალაქი კაპუა ჰანიბალს უჭერდა მხარს, რის გამოც რომაელები, გამარჯვების შემდეგ, სასტიკად გაუსწორდნენ მას: ჩამოართვეს ყველა მუნიციპალური პრივილეგია, მთელი კერძო თუ საზოგადო საკუთრება, სიკვდილით დასაჯეს სამოცდაათი ყველაზე წარჩინებული მოქალაქე და ქალაქის თითქმის მთელი თავისუფალი მოსახლეობა გადაასახლეს ან მონებად გაყიდეს.
3. რომაელებმა დაანგრიეს თებე (167 ძვ. წ. ა.) და კორინთო (146 ძვ. წ. ა.), გაძარცვეს და გააპარტახეს ბევრი სხვა ბერძნული ქალაქიც.
4. 1405 წ. მილანის მთავარმა ვისკონტიმ, ვის სამფლობელოშიც შედიოდა ქალაქი პიზა, 206 000 ეკიუდ მიჰყიდა იგი ფლორენციელებს, მაგრამ პიზელები მხოლოდ თავგანწირული ბრძოლის შემდეგ დანებდნენ თავიანთ „მყიდველებს“, რომლებმაც 1494 წელს იტალიაში შემოჭრილ შარლ VIII-ს დაუთმეს ქალაქი, ხოლო საფრანგეთის მეფემ თვითონ პიზელებს მიჰყიდა მათივე ციხე-სიმაგრეები. უფრო გვიან მილანის დუკასა და ვენეციელების დახმარებით პიზამ ერთ-

ხელ კიდევ სცადა ფლორენციისგან გათავისუფლება, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა დანებებოდა (1509 წ.) და დიდი ხნით დაკარგა დამოუკიდებლობა.

თავი VI

1. მოსე (XII ს. ძვ. წ. ა.) – ებრაელთა ბიბლიური წინამძღოლი და კანონმდებელი... კიროსი – კიროს I (558-529 ძვ. წ. ა.) – სპარსეთის სახელმწიფოს დამაარსებელი... რომულუსი (VIII ს. ძვ. წ. ა.) – რომის ლეგენდარული დამაარსებელი... თეზევსი (XII ს. ძვ. წ. ა.) – ნახევრად მითიური გმირი, ათენის მეფე.
2. იხ. „გამოსლვათა“, II, 2 და შმდ.
3. უფლის ბრძანებით მოსემ ეგვიპტელთა ტყვეობიდან გამოიყვანა ისრაელის ერი, რათა „აღთქმული ქვეყნისაკენ“ წაეყვანა იგი.
4. რომულუსი და მისი ტყუპისცალი რემუსი ლათინთა ქალაქის ალბა ლონგას მეფის ნუმიტორის შვილიშვილები იყვნენ (მითი ნუმიტორის ასულის რეა სილვიასა და მაოსის შვილებად მიიჩნევს მათ). ამულიუსმა, ნუმიტორის უმცროსმა ძმამ, ტახტიდან ჩამოაგდო მეფე, ხოლო ახალშობილი ყრმები მდინარე ტიბერისში ჩაყარა. მდინარემ ნაპირზე გამორიყა ძმები, რომლებიც მარსის მიერ მიგზავნილმა ძუ მგელმა გაზარდა; შემდეგ კი მათ ზრდიდნენ მწყემსი ფაუსტულუსი და მისი ცოლი აკა ლარენცია. როდესაც ძმები წამოიზარდნენ, მოკლეს ამულიუსი და ძალაუფლება კვლავ ნუმიტორს დაუბრუნეს, ხოლო იმ ადგილას, სადაც ისინი ძუ მგელმა იპოვა, ქალაქი დააარსეს, რომელსაც შემდეგ რომულუსის სახელის მიხედვით რომი ეწოდა. უფრო გვიან ძმებს შორის შუღლი ჩამოვარდა, რომულუსმა მოკლა რემუსი და თვითონ გახდა ქალაქის პირველი მეფე.
5. სპარსეთი მიდიელთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, ვიდრე კიროს I-მა არ დაამარცხა მიდიის მეფე ასტიაგე (დაახლ. 580-550 ძვ. წ. ა.) და არ გაათავისუფლა თავისი ქვეყანა; მანვე მოკლე ხანში დაიმორჩილა არა მარტო მიდია, არამედ სომხეთიც, კაპადოკიაც, ლიდიაც, ბაბილონიც და სპარსეთის უზარმაზარი სახელმწიფო შექმნა.
6. ჯიროლამო სავონაროლა (1452-1498) – დომინიკელი მოწესე, ღვთისმეტყველი; მედიჩების განდევნის შემდეგ (1494) ფლორენციის რესპუბლიკის ერთ-ერთი ლიდერი. ამაოდ ცდილობდა ნახევრად თეოკრატიული და ნახევრად დემოკრატიული კონსტიტუციის მიხედვით ემართა ფლორენცია. დაუნდობლად ამხელდა ეკლესიის გახრწნილებას და რელიგიური რეფორმის დაუყოვნებლივ გატარებას მოითხოვდა, რის გამოც რომის კურიის მძაფრი სიძულვილი დაიმსახურა. კოცონზე დაწვეს 1498 წლის 23 მაისს.
7. ჰიერონ სირაკუზელი (უმცროსი; დაახლ. 306-215 ძვ. წ. ა.) – სირაკუზელი სტრატეგი, შემდეგ კი – ტირანი. ძალაუფლება დაქირავებული რაზმების წყალობით ჩაიგდო ხელში, მაგრამ შემდეგ დაშალა ისინი და ახალი ლაშქარი შექმნა. მარჯვედ იყენებდა რომისა და კართაგენის ანტაგონიზმს და ხან ერთს უჭერდა

მხარს, ხანაც მეორეს. თავისი მოქნილი პოლიტიკის წყალობით შეძლო ნაწილობრივ მაინც აღედგინა სირაკუზის ოდინდელი ძლიერება, რომელსაც მის სიკვდილთან ერთად მოეღო ბოლო.

თავი VII

1. სპარსეთის მეფის დარიოს I-ის (522-486 ძვ. წ. ა.) აგრესიული პოლიტიკის შედეგად დაიწყო სპარსელების შეჭრა საბერძნეთში, რაც მისი მემკვიდრეების ქსერქსე I-ისა (486-465) და არტაქსერქსე I-ის (465-424) დროსაც გაგრძელდა. ეს იყო ე. წ. „ბერძნულ-სპარსული“ ომები (500-449 ძვ. წ. ა.) თავდაპირველად სპარსელებმა ხელთ იგდეს მცირე აზიის (იონია) ბერძნული ქალაქები, რომელთა მმართველებადაც თავიანთი სატრაპები დანიშნეს.
2. ამის შესახებ იხ. თ. XIX.

თავი VIII

1. აგათოკლე (361-289 ძვ. წ. ა.) – სირაკუზის ტირანი (317 წლიდან ძვ. წ. ა.).
2. აგათოკლეს მამა კარკინე მეთუნე იყო (იუსტინე, XXII, ს. 2) და თვითონაც ყმაწვილკაცობაში მეთუნეობით ირჩენდა თავს, მაგრამ შემდეგ თავი გაანება ამ ხელობას და სამხედრო სამსახურში შევიდა.
3. ჰამილკარ კართაგენელი – ჰამილკარ ბარკა (დაიღუპა 229 წ. ძვ. წ. ა.), სახელგანთქმული კართაგენელი მხედართმთავარი, ჰანიბალის მამა.
4. იუსტინეს მოწმობით (XXII, 2 და შმდ.) აგათოკლემ ოთხი ათასზე მეტი სირაკუზელი მოქალაქე გაჟლიტა.
5. 312-311 წ. ძვ. წ. ა. კართაგენელებმა ორჯერ დაამარცხეს აგათოკლე, რომელიც მტრის მიერ ალყაშემორტყმულ კართაგენში აღმოჩნდა გამომწყვდეული. შევიწროებულმა ტირანმა დააპირა საპასუხო დარტყმა აფრიკაში მიეყენებინა კართაგენელებისათვის. სახსრების შესაგროვებლად გაძარცვა სირაკუზის ტაძრები, ქონება ჩამოართვა მოქალაქეებს, ქალაქში საკმაოდ ძლიერი გარნიზონი დატოვა თავისი ძმის ანტანდრეს მეთაურობით, თვითონ კი სამოცი ხომალდით დაუსხლტა კართაგენელების ფლოტს და აფრიკაში გადასხა თავისი ლაშქარი. თოთხმეტი ათასი ჯარისკაცით დაამარცხა კართაგენელების სამჯერ უფრო მრავალრიცხოვანი არმია და თვით კართაგენს დაემუქრა...
6. შევიწროებულმა კართაგენელებმა დახმარებისათვის მიმართეს თავიანთ სარდალს ჰამილკარს, რომელიც გარს ადგა სირაკუზას. ჰამილკარი იძულებული შეიქნა მოალყეთა ნაწილი სასწრაფოდ გაეგზავნა აფრიკაში კართაგენის მისაშველებლად.

თავი IX

1. ნაბიდე – სპარტის ტირანი (205-192 ძვ. წ. ა.), „მაკედონური ომების“ დროს (იხ. კომენტ. თ. III, 5). თავდაპირველად მხარს უჭერდა ფილიპე V მაკედონელსა და რომაელებს, ხოლო შემდეგ სირიის მეფეს ანტიოქე III-ს მიემხრო. რომაელთა სარდალმა ფლამინინუსმა ალყა შემოარტყა სპარტას და 195 წ. ძვ. წ. ა. აიძულა ნაბიდე მის მიერ შეთავაზებული პირობები მიეღო.

თავი X

1. იგულისხმება გერმანიის იმპერატორი მაქსიმილიანე I (1493-1519).

თავი XI

1. პაპმა იულიუს II-მ ვენეციელების განადგურება შეძლო, ე. წ. „კამბრეს ლიგის“ (1508-1509) მეშვეობით, რომელშიაც მის გარდა შედიოდნენ გერმანიის იმპერატორი მაქსიმილიანე I, საფრანგეთის მეფე ლუი XII და ესპანეთის მეფე ფერდინანდ V კათოლიკე (შდრ. კომენტ. თ. III. 16). შემდეგ პაპმა კამბრეს ლიგაში თავისი ყოფილი მოკავშირის ლუი XII-ის წინააღმდეგ დარაზმა ძალები, რადგანაც საფრანგეთის მეფემ მილანის სამთავროში ეკლესიის კუთვნილი ზოგიერთი ოლქი მიიტაცა. 1511 წელს იულიუს II-ის ინიციატივით შეიქმნა ე. წ. „წმინდა ლიგა“ („საღვთო კავშირი“), რომელშიაც პაპთან ერთად შევიდნენ ესპანეთი, ვენეცია, გერმანია და სხვ., და რომლის მეშვეობითაც იგი საფრანგეთს დაუპირისპირდა.
2. იხ. კომენტ. თ. III, 6.
3. ეს იყო ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები იტალიაში.
4. 1482 წელს ფერარას მხარს უჭერდნენ ნეაპოლი, ფლორენცია, მილანი, მანტუა, ურბინო და პაპი სიქსტე IV, რომელიც თავდაპირველად ვენეციელების მხარეზე გამოდიოდა. ომი დამთავრდა ბანიოლის ზავით (1484), რომლის თანახმადაც, ვენეციის ხელში გადავიდა პოლეზინა და როვიგო.
5. სიქსტე – ფრანჩესკო დელა როვერე (1414-1484), ფრანცისკანელთა ორდენის გენერალი, 1471 წლიდან – პაპი სიქსტე IV.
6. იგულისხმება: ათი წელი ცოცხლობდა პაპად არჩევის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ეს ზუსტია მაკიაველის (1469-1527) დროინდელ პაპებთან დაკავშირებით: სიქსტე IV (1471-1484). ინოკენტი VIII (1484-1492), ალექსანდრე VI (1492-1503), პიუს III (1503), იულიუს II (1503-1513); ლეონ X (1513-1521), ადრიანე IV (1522-1523), კლემენტე VII (1523-1534).
7. შდრ. კომენტ. თ. VII, 5.
8. იულიუს II ბოლონიაში შევიდა 1506 წლის 11 ნოემბერს.
9. იხ. აქვე, კომენტ. 1.

10. პაპი ლეონი – ჯოვანი მედიჩი (1475-1521). ლორენცო I დიდებულის (1448-1492) ვაჟი, 1513 წლიდან – პაპი ლეონ X.

თავი XII

1. ამას ამტკიცებდა ჯჩიროლამო სავონაროლა (იხ. კომენტ. თ. VII. 6) 1494 წლის 1 ნოემბერს წარმოთქმულ ქადაგებაში, როცა საფრანგეთის მეფე შარლ VIII ფლორენციას უახლოვდებოდა: „აჰა, მოვიდა მახვილი, აჰა, აღსრულდა წინასწარმეტყველება, აჰა, მოიწია რისხვა, აჰა, მოგვევლინა სასჯელი: თვითონ უფალი მიუძღვის ურჯუკთა ბრბოებს! ო, ფლორენცია, გარდახდა ჟამი სიმღერისა და ჟამი როკვისა, – ცრემლის მდინარებით გმართებს დაიტირო ამიერიდან ცოდვანი შენნი, იტალია, – აი, მიზეზი ჩვენი წახდენის!“

2. პირველი პუნიკური ომის (264-241 წ. ძვ. წ. ა.) დამთავრების შემდეგ, რომელმაც უზარმაზარი სახსრები შეიწირა, კართაგენის ხაზინა დაცარიელებული აღმოჩნდა. დაქირავებულ ჯარისკაცებს ჯამაგირი ვეღარ გადაუხადეს და არმიაში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებს მიემხრნენ მონები და კართაგენზე დამოკიდებული ლიბიელები, აგრეთვე თავისუფალ ნუმიდიელთა ტომები. მეამბოხეებს მეთაურობდნენ ლიბიელი მატონი და კამპანიელი მონა სპენდიუსი. მათ მიემხრო თვით ორი პუნიკური ქალაქი – უტიკა და ბიზერტა. აჯანყებამ, რომელიც 241 წლის ზამთარში დაიწყო და სამ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, გამოავლინა კართაგენის სახელმწიფოებრივი წყობილების ყველა სუსტი მხარე, ყველა შინაგანი წინააღმდეგობა: მონებსა და მონათმფლობელებს, კართაგენელებსა და ლიბიელებს, სახელმწიფოსა და დაქირავებულ ლაშქარს შორის. აჯანყება დიდი გაჭირვებით ჩაახშო სახელგანთქმულმა კართაგენელმა სარდალმა ჰამილკარ ბარკამ (იხ. კომენტ. თ. VIII, 3).

3. ეპამინონდა (დაახლ. 420-362 ძვ. წ. ა.) – სახელგანთქმული თებელი სარდალი; წარმატებით ებრძოდა ლაკედემონელებს და ორჯერ დაამარცხა ისინი ლევკტრასა და მანტინეასთან. ამ უკანასკნელ ბრძოლაში სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი; „მე ვტოვებ ორ უკვდავ შვილს, – უთქვამს მომაკვდავს, – ლევკტრასა და მანტინეასო“.

4. იგულისხმება ფილიპე II (359-336 ძვ. წ. ა.) – ალექსანდრე მაკედონელის მამა, მაკედონიის ძლიერი სახელმწიფოს შემქმნელი. სიჭაბუკე თებეში, ეპამინონდას სასახლის კარზე გაატარა, როგორც მძევალმა. ე. წ. „წმინდა ომის“ დროს (356-346 ძვ. წ. ა.). თებელების ლაშქარს სარდლობდა ფოკიდელების წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ თვითონ თებე დაიმორჩილა.

5. იგულისხმება ფილიპო მარია ვისკონტი, მილანის დუკა (1412-1447), ვისკონტების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომლის შემდეგაც მილანის მმართველობა სფორცების ხელში გადავიდა.

6. იხ. კომენტ. თ. I, 1.

7. ფრანჩესკო სფორცამ ვენეციელები დაამარცხა კარავაჯოსთან 1448 წლის 15 სექტემბერს.
8. ფრანჩესკო სფორცას მამა – ჯაკომუცო ატენდოლო სფორცა (1369-1424) თავისი დროის ერთი ყველაზე ცნობილი სარდალი იყო. თავდაპირველად ემსახურებოდა ფლორენციელებს (1405), შემდეგ – პაპს და ფერარის მთავარს, ხოლო 1412 წლიდან – ნეაპოლის მეფეს ვლადისლავს ანუ ლანსელოტს (1376-414) და მის დასა და მემკვიდრეს ჯოვანა II-ს (1370-1435; დედოფალი – 1414 წლიდან), 1420 წ. კი – პაპ მარტინ V-ს (1417-1431)... ჯოვანა იძულებული იყო ეშვილა და თავის მემკვიდრედ გამოეცხადებინა ალფონსო V არაგონელი (დაახლ. 1369-1458).

თავი XIV

1. ფრანჩესკო სფორცას (იხ. კომენტ. თ. I, 1) უფროს შვილს ჯოვანი გალეაცო სფორცას (1444-1476), რომელმაც მამამისი შეცვალა მილანის სამთავროს ტახტზე დუკის (ჰერცოგის) ტიტული არ დაუკარგავს. იგი შეთქმულების მსხვერპლი შეიქმნა. მაკიაველი, ალბათ, გულისხმობს ფრანჩესკო სფორცას მეორე ვაჟს – ლოდოვიკო სფორცას, მეტსახელად მოროს (იხ. კომენტ. თ. III, 1).
2. ფილოპომენე (252-183 ძვ. წ. ა.) – „აქაიელთა კავშირის“ მხედართმთავარი.
3. მაკიაველი შესაბამისად ეყრდნობა შემდეგ წყაროებს: პლუტარქე, „ალექსანდრეს ცხოვრება“, VIII; კურციუს რუფუსი, „ალექსანდრეს ისტორია“, IV, 6; სვეტონიუსი, „ღვთაებრივი იულიუსი“, VII; ციცერონი, „ძმა კვინტუსისადმი“, I, 8-23.
4. იგულისხმება ბერძენი მწერლის ქსენოფონტეს (დაახლ. 430–352 ძვ. წ. ა.) თხზულება „კიროსის აღზრდა“.

თავი XVI

1. იგულისხმება ფერდინანდ V.
2. ცეზარის (იულიუს კეისრის) სიუხვისა და ხელგაშლილობის შესახებ იხ. პლუტარქე, „გაიუს იულიუს კეისარი“, V.

თავი XVII

1. ხელი შეუწყო იმით, რომ წინ არ აღუდგა შინააშლილობას, რამაც საშინელი ნგრევა და ხოცვა-ჟლეტა გამოიწვია ქალაქში (1501-1502).
2. „ძნელია საქმე, ახალია ჩვენი სამეფო, რაც მაიძულებს ფხიზლად ვიცავდე მის საზღვრებს“, – ვერგილიუსი, „ენეიდა“, – 1, 563-564.
3. ჰანიბალი (247-183 ძვ. წ. ა.) – სახელგანთქმული კართაგენელი მთავარსარდალი, ჰამილკარ ბარკას შვილი.
4. შდრ. ტიტუს ლივიუსი, XXI, 4.

5. იგულისხმება პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელი, უფროსი (234-183 ძვ. წ. ა.) – რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი.
6. 206 წ. ძვ. წ. ა. ესპანეთში აჯანყდა სციპიონის რვა ათასი ჯარისკაცი, მაგრამ სარდალმა შეძლო აჯანყების ჩახშობა და იმავე წელს დაბრუნდა რომში.
7. იგულისხმება კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი (დაახლ. 257-203 ძვ. წ. ა.) – ხუთგზის კონსული, დიქტატორი (217 წ. ძვ. წ. ა.), მხედართმთავარი; ებრძოდა ჰანიბალს.
8. რომში დაბრუნების შემდეგ (იხ. აქვე, კომენტ. 6) სციპიონმა, რომელიც 205 წ. ძვ. წ. ა. უკვე კონსული იყო, სიცილია დალაშქრა, სადაც მისმა ლეგატმა კვინტუს პლემინიუსმა სასტიკი დანაშაული ჩაიდინა ლოკრების წინაშე, რის გამოც სციპიონი კინაღამ მთავარსარდლის პოსტიდან გადააყენეს, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლო თავის მართლება.

თავი XVIII

1. კენტავრი ქირონი – კრონოსისა და ფილირას ძე, მრავალი მითური გმირის, მათ შორის, აქილევსის აღმზრდელი.
2. იგულისხმება ესპანეთის მეფე ფერდინანდ V კათოლიკე.

თავი XIX

1. იხ. კომენტ. თ. IX, 1.
2. ანიბალე ბენტივოლი (ან ბენტივოლიო) – ბოლონიის მთავარი (1438-1445). მოკლულ იქნა მის წინააღმდეგ შეთქმული ბატისტა კანესკის მიერ 1445 წლის 24 ივნისს.
3. იგულისხმება ანიბალე II ბენტივოლი (1469-1540), რომელიც ბოლონიას მართავდა 1510-1512 წწ. ძალაუფლება დაკარგა რავენასთან გამართული ბრძოლის შემდეგ (იხ. კომენტ. თ. XIII, 2).
4. ჯოვანი – ჯოვანი ბენტივოლი, ბოლონიის მთავარი, ანიბალე II-ის მამა; დიდხანს წარმატებით იგერიებდა ჩეზარე ბორჯას იერიშებს: ბოლოს, პაპ იულიუს II წაგებული ბრძოლის შემდეგ (1508) დაკარგა ძალაუფლება.
5. იგულისხმება სანტი ბენტივოლი (1426-1462), ანიბალეს ბიძაშვილის ერკოლე ბენტივოლის ვაჟი, რომელიც მართავდა ბოლონიას, სანამ ანიბალეს ძე – ჯოვანი სრულწლოვანი გახდებოდა.
6. იგულისხმება ე. წ. „გენერალური შტატები“ – საყოველთაო წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო საფრანგეთში, პირველად მოიწვია 1302 წელს საფრანგეთის მეფემ, ფილიპე IV-მ (1285-1314).
7. ამ იმპერატორების შესახებ ცალ-ცალკე იხ. ქვემოთ.
8. II-III სს. რომის იმპერიაში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება არმიის როლი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე. უკვე რესპუბლიკის დამლევს რომის

ყველა არმია ფაქტიურად გადაიქცა დაქირავებულ არმიად, მაგრამ მისი რიგები ჯერ კიდევ მხოლოდ რომის მოქალაქეებით, უპირატესად, იტალიის მცხოვრებლებით კომპლექტდებოდა. იმპერიის დამდეგს არმიაში უკვე პროვინციების მკვიდრთა მიღება დაიწყეს, ხოლო ადრიანეს მმართველობიდან მოყოლებული თითქმის უწყვეტად მიმდინარეობს არმიის პროვინციალიზაციისა და ბარბარიზაციის პროცესი, რასაც კიდევ უფრო აღრმავებს და ამძაფრებს სეპტიმიუს სევერუსის რეფორმები. მრავალმა ჯარისკაცმა მოქალაქეობის უფლება მიიღო, ხოლო კარაკალას დროიდან რომის მოქალაქე ხდება პროვინციების თითქმის ყველა მცხოვრები. ლეგიონებში სამსახური პროფესიად იქცევა და ხშირად მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე. ამა თუ იმ პროვინციაში დაბანაკებული ლაშქარი თითქმის დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს. სამხედრო დისციპლინა თანდათანობით სუსტდება და მის ადგილს იკავებს პროფესიული ერთობის გრძნობა, რაც „ამქრული“ სულისკვეთებით, მრავალი წლის მანძილზე ერთად სამსახურითა და საბანაკო თუ სალაშქრო ცხოვრებითაა განმტკიცებული. როცა ხელსაყრელი ვითარება იქმნება, ცალკეული ლეგიონები არავითარ ანგარიშს აღარ უწევენ მმართველ მონარქს და თავიანთი ნება-სურვილით ახალ იმპერატორს ირჩევენ, რათა მისი მეშვეობით უფრო პრივილეგირებული მდგომარეობა მოიპოვონ სახელმწიფოში, მაგრამ თუ ეს უკანასკნელი მასზე დამყარებულ იმედებს არ გაამართლებს, დაუყოვნებლივ იცილებენ თავიდან. არმია ანარქიის წყაროდ იქცევა.

9. მარკუსი – მარკუს ავრელიუსი (121-180), რომის იმპერატორი (161-180), ანტონინუსთა დინასტიის (196-192) წარმომადგენელი.

10. პერტინაქსი – პუბლიუს ჰელვიუს პერტინაქსი, რომის იმპერატორი კომოდუსის სიკვდილის შემდეგ; ცდილობდა დაბრუნებოდა ანტონინუს პიუსისა და მარკუს ავრელიუსის პოლიტიკას, როგორმე შეევსო დაცარიელებული ხაზინა, შეემსუბუქებინა გადასახადები და სამხედრო დისციპლინა განემტკიცებინა არმიაში.

11. პერტინაქსის მმართველობა უდღეური აღმოჩნდა: მხოლოდ ორიოდე თვე (193 წ. იანვარი – მარტი) გაძლო იმპერატორის ტახტზე. მისი პოლიტიკით უკმაყოფილო პრეტორიანელთა კოჰორტებმა (იმპერატორის მცველი რაზმები) აჯანყება მოაწყეს და მოკლეს იმპერატორი.

12. ალექსანდრე – მარკუს ავრელიუს სევერუს ალექსანდრე (222-235), რომის იმპერატორი. ალექსანდრე თოთხმეტი წლისა ავიდა ტახტზე და მის მმართველობაზე დიდ გავლენას ახდენდნენ ბებია – იულია მესა და დედა – მამეა. მის დროს კვლავ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სენატს. ალექსანდრე ცდილობდა შეემსუბუქებინა გადასახადები და შეემცირებინა სამხედრო ხარჯები, რითაც მისი ავტორიტეტი საგრძნობლად დაეცა არმიის თვალში. იბრძოდა აღმოსავლეთში – სასანიდების დინასტიის დამაარსებლის არდაშირის წინააღმდეგ (231-232) და დასავლეთში – გერმანელების წინააღმდეგ (232-235). ამ უკანასკნელ ომში მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ჯარისკაცებმა ალექსანდრეს ერთ-ერთი სარდლის

გაიუს იულიუს ვერუს მაქსიმინეს (მომავალი იმპერატორის) მეთაურობით შეთქმულება მოაწყეს და მოკლეს იმპერატორიცა და დედამისიც.

13. სევერუსი – ლუციუს სეპტიმიუს სევერუს ავრელიუს ანტონინუსი (193-211), რომის იმპერატორი. პერტინაქსის (იხ. აქვე, კომენტ. 10) სიკვდილის შემდეგ თავაშვებულმა პრეტორიანელთა კოჰორტებმა ნამდვილი აუქციონი გამოაცხადეს საიმპერატორო ტახტზე და იმპერატორად გამოაცხადეს მარკუს დიდიუს იულიანე. პრეტორიანელებს არც პროვინციების არმიები ჩამორჩნენ: ბრიტანეთის ლეგიონებმა იმპერატორად გამოაცხადეს დეციმუს კლოდიუს ალბინუსი, პანონიის ლეგიონებმა – ლუციუს სეპტიმიუს სევერუსი, აღმოსავლეთის ლეგიონებმა კი – სირიის ლეგატი გაიუს პესცენიუს ნიგერი. ასე რომ, სეპტიმიუს სევერუსი იძულებული შეიქნა მძაფრი ბრძოლებითა და დიპლომატიური ხრიკებით ჩამოეცილებინა დანარჩენი კონკურენტები. რაკიღა რომთან ყველაზე ახლოს იყო, სწრაფად დაიკავა იმპერიის დედაქალაქი. დაამარცხა იულიანე, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა, და სასტიკად დასაჯა პერტინაქსის მკვლელები. შემდგომ ამისა დაუზავდა კლოდიუს ალბინუსს, იშვილა და ცეზარის (ტახტის მემკვიდრის) ტიტული უბოძა მას. ამან საშუალება მისცა აღმოსავლეთით გადაესროლა თავისი ძალები, ნიგერის წინააღმდეგ, რომელიც დაამარცხა 194 წელს. თვითონ ნიგერი ბრძოლაში იქნა მოკლული. სევერუსი სასტიკად გაუსწორდა ნიგერის მომხრე ქალაქებს, აგრეთვე პართელებს, რომლებიც მის მეტოქეს ეხმარებოდნენ. შემდეგ კი კვლავ დასავლეთში დაბრუნდა, სადაც მის წინააღმდეგ ამბოხდა კლოდიუს ალბინუსი. მათი ბრძოლა სევერუსის სრული გამარჯვებით დამთავრდა (197 წ.) ახალი იმპერატორი თავის პოლიტიკაში, უწინარეს ყოვლისა, ეყრდნობოდა არმიას. ისტორიკოსმა დიონკასიუსმა შემოგვინახა სევერუსის სიტყვები, რომლებითაც მას სიკვდილის წინ მიუმართავს თავისი ვაჟებისათვის: „ძმობა გაუწიეთ ერთმანეთს, გაამდიდრეთ ჯარისკაცები, დანარჩენზე ნუ ზრუნავთ“.

14. ანტონინუსი – მარკუს ავრელიუს ანტონინუს კარაკალა (211-217), რომის იმპერატორი, სეპტიმიუს სევერუსის ძე; თავდაპირველად თავის ძმასთან გეტასთან ერთად მართავდა სახელმწიფოს, მაგრამ 212 წელს მოკლა იგი და იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა. ეს იყო აღვირახსნილი, ვერაგი და დაუნდობელი, ეჭვიანი და სულმოკლე კაცი, რომელიც არნახული სისასტიკით უსწორებდა ანგარიშს თავის მტრებს. იბრძოდა გალიასა და დუნაისპირეთში, ეგვიპტესა და სირიაში, სადაც ჯარისკაცებმა, მაკრინუსის მეთაურობით, შეთქმულება მოუწყეს და მოკლეს.

15. ცენტურიონი – რომის არმიის ოფიცერი, „ასისთავი“.

16. კომოდუსი – ლუციუს ელიუს ავრელიუს კომოდუსი (180-192), რომის იმპერატორი, მარკუს ავრელიუსის ძე, ანტონინუსთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. რაც უფრო ღირსეული კაცი იყო მამა, მით უფრო უღირსი იყო შვილი. მოკლულ იქნა შეთქმულთა ხელით, რომელთა შორისაც იყო მისი ხარჭა მარცია.

17. მაქსიმინე – გაიუს იულიუს ვერუს მაქსიმინე (235-238), რომის იმპერატორი, ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ალექსანდრეს (იხ. აქვე კომენტ. 11) მკვლელობის შემდეგ. მაქსიმინე მდაბიური წარმომავლობის კაცი იყო: ახალგაზრდობაში, როგორც მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ, ღორებს მწყემსავდა თრაკიაში. რაკი ძალაუფლება არმიის წყალობით ჩაიგდო ხელში, უწინარეს ყოვლისა, ჯარისკაცებზე ზრუნავდა. დაუნდობლად ყვლეფდა და ძარცვავდა კერძო პირებს, ქალაქებს, ტაძრებს. მისმა პოლიტიკამ თანდათანობით მზარდი უკმაყოფილება გამოიწვია არა მარტო ხალხში, არამედ არმიაშიც. მაქსიმინეს წინააღმდეგ რამდენჯერმე მოეწყო შეთქმულება. ბოლოს, მისმავე ჯარისკაცებმა მოკლეს.

18. ჰელიოგაბალი – სექსტუს ვარიუს ავიციუს ჰელიოგაბალი (218-222), რომის იმპერატორი, სეპტიმიუს სევერუსის ცოლის ნათესავი; როცა კარაკალას სიკვდილის შემდეგ ტახტზე აიყვანეს ჯარისკაცებმა, ჰელიოგაბალი მხოლოდ თოთხმეტი წლის იყო და რეალური ძალაუფლება ხელთ იგდეს მისმა დედამ და ბებიამ. ცდილობდა თავიდან მოეცილებინა თავისი ბიძაშვილი ალექსანდრე სევერიუსი; აღვირახსნილობითა და დამთხვეულობით საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია სახელმწიფოში; დედამისთან ერთად მოკლულ იქნა პრეტორიანელების მიერ.

19. მაკრინუსი – მარკუს ოპელიუს მაკრინუსი (217-218), კარაკალას სიკვდილის შემდეგ იმპერატორად გამოაცხადეს აღმოსავლეთის ლეგიონებმა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტახტზე ავიდა ჰელიოგაბალი, ხოლო თვითონ სამარცხვინო ზავი დადო პართიასთან, მის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო და ის მოკლულ იქნა.

20. იულიანე – მარკუს დიდიუს იულიანე (იხ. აქვე კომენტ.12).

21. იგულისხმება ეგვიპტელ მამელუკთა სახელმწიფო, დაარსებული 1250 წელს; 1517 წელს შეიერთა თურქეთმა.

თავი XX

1. შდრ. კომენტ. თ. XVIII, 1.

2. იგულისხმება პერიოდი ლოდის საზავო ხელშეკრულებიდან (1454) იტალიაში შარლ VIII-ის შეჭრამდე (1494).

3. გველფები და გიბელინები – ერთმანეთის მოქიშპე ორი პარტია, რომლებმაც, XII საუკუნიდან მოყოლებული, შუა გათიშეს იტალიის ქალაქები. გველფები მხარს უჭერდნენ პაპებს, ხოლო გიბელინები – გერმანიის იმპერატორებს. მათი სისხლისმღვრელი ბრძოლები იტალიაში შარლ VIII-ის შეჭრამდე გაგრძელდა.

4. იხ. კომენტ. თ. XII, 16.

5. ვაილასთან მარცხის შემდეგ ვენეციელთა მბრძანებლობას თავი დააღწიეს ბრეშიამ, ვერონამ, ვიჩენცამ, პადუამ და სხვ.

6. პანდოლფო პეტრუჩი (დაახლ. 1450-1512) – სიენის მთავარი; თავისი სამფლობელოდან განდევნა ჩეზარე ბორჯამ, მაგრამ ხელახლა დააბრუნეს ფრანგებმა (1503).

7. ნიკოლო ვიტელი (გარდ. 1497) – იტალიელი კონდოტიერი, პაოლო და ვიტელოცო ვიტელების (იხ .კომენტ. თ. VIII, 8, 9) მამა, ჩიტა დი კასტელოს მბრძანებელი, საიდანაც იგი 1474 წელს განდევნა პაპმა სიქსტე IV-მ, მაგრამ ექვსი წლის შემდეგ ფლორენციელების დახმარებით დაიბრუნა და სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა თავისი საბრძანებელი.
8. გვიდო უბალდო (1472-1508) – ურბინოს მბრძანებელი; 1502 წელს ჩეზარე ბორჯამ განდევნა თავისი სამფლობელოდან, რომელიც მან კვლავ დაიბრუნა პაპ ალექსანდრე VI-ის სიკვდილის შემდეგ (1503).
9. ბენტივოლიები ბოლონიაში დაბრუნდნენ 1511 წელს.
10. იგულისხმება ჯიროლამო რიარიო (დაიღუპა შეთქმულთა ხელით 1488 წლის 14 აპრილს), იმოლასა და ფორლის მბრძანებელი, კატარინა სფორცა რიარიოს (იხ. კომენტ. თ. III. 9), ქმარი.
11. ფორლიში აჯანყებამ იფეთქა 1499 წლის 15 დეკემბერს; ჩეზარე ბორჯა ქალაქში შევიდა 19 დეკემბერს, ხოლო ორი დღის შემდეგ ფორლის ციხე-სიმაგრეც აიღო.

თავი XXI

1. გრანადის დაპყრობა თორმეტ წელიწადს (1480-1492) გაგრძელდა; მისი აღებით დასრულდა რეკონკისტა.
2. ეს მოხდა 1501-1502 წწ.
3. 1509 წელს ესპანეთმა დაიმორჩილა ჩრდ. აფრიკის სანაპირო ორანიდან ტრიპოლიმდე.
4. 1512 წელს ფერდინანდ V-მ ნავარა დაიპყრო.
5. ბერნაბო მილანელი (1319-1385) – მილანის მთავარი, რომელიც თავის ძმებთან მატეო II-სა და გალეაცო II-სთან ერთად მართავდა საჰერცოგოს; საკუთრივ მის სამფლობელოდ კი ითვლებოდა კრემონა, კრემა, ბრეშია და ბერგამო, რომლებსაც 1354 წელს ლოდი და პარმაც შეუერთა, მას შემდეგ, რაც მოწამლა თავისი ძმა მატეო. 1378 წლიდან მილანის ერთპიროვნული მმართველი გახდა. უფრო გვიან ეს სასტიკი და ვერაგი კაცი ჯერ დილეგში ჩააგდო, ხოლო შემდეგ მოწამლა მისმა ძმისწულმა, გალეაცო II-ის ვაჟმა ჯოვანი გალეაცომ (1347-1402).
6. ანტიოქე – სირიის მეფე ანტიოქე III; ეტოლიელები და აქაიელები – ეტოლიელთა და აქაიელთა კავშირები (იხ. კომენტ. თ. III, 4, 5).
7. იხ. ტიტუს ლივიუსი, XXXV, 49.
8. იხ. კომენტ. თ. III, 16; თ. XII, 16.
9. ფლორენციელები ყოყმანობდნენ: ვერც იმას ბედავდნენ, რომ აშკარად მიმხრობოდნენ ლუი XII-ს და ვერც იმას, რომ „წმინდა ლიგისათვის“ (იხ. კომენტ. თ. XI, 1) დაეჭირათ მხარი. ეს ორჭოფული პოზიცია ფლორენციის რესპუბლიკის დაცემის მიზეზი გახდა.

თავი XXII

1. ანტონიო და ვენაფრო (1459-1530) – სიენის უნივერსიტეტის პროფესორი, პანდოლფო პეტრუჩის (იხ. კომენტ. თ. XX, 6) მრჩეველი.
2. იხ. ტიტუს ლივიუსი, XXII, 29.

თავი XXIII

1. პრელატი ლუკა – ლუკა რინალდი, ტრიესტის ეპისკოპოსი (1500-1502), იმპერატორ მაქსიმილიანე I ჰაბსბურგელის (1493-1519) ნდობით აღჭურვილი პირი.

თავი XXV

1. იხ. კომენტ. თ. XIX, 4.
2. იხ. კომენტ. თ. I, 2; თ. III, 13.
3. იხ. კომენტ. თ. IX, 1; თ. XII, 16.

თომას ჰობსი

1588-1679

შესავალი

თომას ჰობსი ინგლისელი ფილოსოფოსია, რომელმაც თავისი ძირითადი იდეები ჩამოაყალიბა 1651 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ლევიათანი“. მასში განიხილავს ისეთ თემებს, როგორიცაა ადამიანის ბუნება, ცოდნის თეორია, ეთიკა, პოლიტიკის ფილოსოფია. ყველაზე მეტად ცნობილი ის ამ უკანასკნელ სფეროშია. ჰობსის იდეებმა დიდწილად განსაზღვრა ახალი დროის დასავლური პოლიტიკური აზროვნების პრობლემატიკა.

ჰობსის მამა მღვდელი იყო, თუმცა მას უწესო ქცევით იცნობდნენ და, საბოლოოდ, ოჯახიც მიატოვა. შვილები მისი შეძლებული და უცოლო ძმის სარჩენი დარჩა. ბიძის დახმარებით და საკუთარი ნიჭით და სიბეჯითით ჰობსმა კარგი განათლება მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტში, შემდეგ კი კერძო მასწავლებლად შევიდა დევონშირის გრაფის, უილიამ კავენდიშის ოჯახში. თავის მოსწავლესთან, შემდგომ კი მეგობართან და მფარველთან, უილიამ კავენდიშ-უმცროსთან ერთად 1614 წელს კონტინენტზე (საფრანგეთსა და იტალიაში) იმოგზაურა, რამაც მასზე მნიშვნელოვანი ინტელექტუალური გავლენა მოახდინა: ევროპული რაციონალიზმის გაცნობამ სკეპტიკური გახადა ოქსფორდში ნასწავლი სქოლასტიკური (რელიგიური) ფილოსოფიის მიმართ. ჰობსს ცოლი არ შეურთავს და ცხოვრების უდიდესი ნაწილი დიდგვაროვანთა შვილების მასწავლებლობით ირჩენდა თავს: მათ შორის, მათემატიკას ასწავლიდა ინგლისის მომავალ მეფეს, ჩარლზ მეორეს. თუმცა, ეს საკმარის დროს უტოვებდა ინტელექტუალური საქმიანობისთვის: „ლევიათანის“ გარდა, მრავალი სხვა ნაშრომის ავტორი გახდა.

ჰობსის ნააზრევის გასაგებად მისი ეპოქის კონტექსტია გასათვალისწინებელი. ის დაიბადა 1588 წელს, როდესაც ესპანეთის არმადა – იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე ძლიერი არმია – დასაპყრობად მიადგა ინგლისის სანაპიროს. თვით ჰობსი ვარაუდობდა, რომ შიშმა მოსალოდნელი კატასტროფის წინაშე დედამისს ნაადრევად დააწყებინა მშობიარობა: გამოდის, რომ ომის და სიკვდილის შიში, ისევე, როგორც სამშობლოს მტრების სიძულვილი, დედის მუცლიდან დაჰყვა. მაგრამ ახალშობილიც გადარჩა და ინგლისმაც მოიგერია არმადის შეტევა – ამ მომენტიდან იწყება მისი აღზევება და ესპანეთის დაკნინება. ჰობსის ცხოვრების პირველი ნახევარი ქვეყნის წარმატებული მშვიდობიანი განვითარების რამდენიმე ათწლეულს დაემთხვა.

თუმცა, მშობიარობის ტრავმაზე მეტად მისი აზროვნების თემატიკა სულ სხვა ისტორიულმა მოვლენამ – ინგლისის სამოქალაქო ომმა (1642-51) განსაზღვრა. ერ-

თმანეთს დაუპირისპირდნენ, ერთი მხრივ, მეფე ჩარლზ პირველის, მეორე მხრივ კი – პარლამენტის მომხრეები; იდეოლოგიურად ეს ნიშნავდა წინააღმდეგობას, აბსოლუტური მონარქიისა და შეზღუდული (დღევანდელი ტერმინებით – კონსტიტუციური) მონარქიის მომხრეებს შორის, თუმცა მეფის მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილი რესპუბლიკურ იდეებსაც იზიარებდა. ამავე დროს, ომს ჰქონდა რელიგიური ხასიათიც: პარლამენტის მომხრეები პროტესტანტიზმის უფრო რადიკალურ ვერსიებს ემხრობოდნენ (კერძოდ, მათ შეხედულებებზე დიდი გავლენას ახდენდნენ პურიტანები და პრესბიტარიანელები), მაშინ, როდესაც მეფის მიერ მხარდაჭერილი ინგლისის სახელმწიფო ანგლიკანური ეკლესია, მათი აზრით, ზედმეტად ახლოს იყო მათთვის საძულველ კათოლიციზმთან. ომი დამთავრდა მეფის სიკვდილით დასჯით და, საბოლოოდ, ევროპის პირველი სამხედრო დიქტატორის, ოლივერ კრომველის 5-წლიანი მმართველობით, რომლის სიკვდილსაც 1660 წელს მონარქიის რესტავრაცია მოჰყვა.

ამ დაპირისპირებაში ჰობსმა მეფე ჩარლზის, მაშასადამე, აბსოლუტური მონარქიის მხარე დაიკავა. მისი ცხოვრების მთავარი წიგნი, „ლევიათანი“, ამ პოლიტიკური პოზიციის სისტემური დაცვის მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. მას, როგორც მეფის მომხრეს, ინგლისში არ დაედგომებოდა და 1640 წელს საფრანგეთში გადაიხვეწა. სწორედ აქ გამოქვეყნდა პირველად მისი ყველაზე ცნობილი წიგნი. მაგრამ, მონარქის აბსოლუტური ძალაუფლების გამართლების მიუხედავად, ის მაინც მიუღებელი გახდა ტრადიციული მონარქისტებისთვის იმის გამო, რომ მეფის ძალაუფლებას მხოლოდ რაციონალისტური არგუმენტებით იცავდა და რელიგიას საერო მმართველობას უმორჩილებდა. ამიტომ საფრანგეთიდანაც მოუხდა გაქცევა და 1651 წელს ინგლისში დაბრუნდა.

მონარქიის რეესტავრაციის შემდეგ მეფე ჩარლზ მეორე, მფარველობდა თავის ყოფილ მასწავლებელს და პენსიაც დაუნიშნა. მას უკვე ჰქონდა გამოჩენილი მოაზროვნის რეპუტაცია, თუმცა ბევრი მოწინააღმდეგე და მტერიც ჰყავდა. კერძოდ, სერიოზული პრობლემები შეექმნა, როცა ათეისტობა დასწამეს: ეს იმ დროს უაღრესად სახიფათო ბრალდება იყო. მან წარმატებით შეძლო თავის დაცვა, რაც მეფის მხარდაჭერასაც შეიძლება დავუკავშიროთ, მაგრამ საეკლესიო წრეებთან დაძაბული ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე შერჩა. ჰობსის ბიოგრაფებს სხვადასხვა აზრი აქვთ მის რელიგიურ შეხედულებებზე: ზოგის აზრით, ათეისტი იყო და მხოლოდ სხვების თვალის ასახვევად ასაღებდა თავს ქრისტიანად, სხვები გულწრფელ მორწმუნედ მიიჩნევენ. თავის ტექსტებში ჰობსი საუბრობს ქრისტიანობაზე, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიაზე, მაგრამ, ამავე დროს, არასოდეს ასაბუთებს თავის პოლიტიკურ ან ფილოსოფიურ შეხედულებებს რელიგიური დოგმატების მეშვეობით, რაც უჩვეულო იყო ამ პერიოდის მოაზროვნისთვის.

* * *

თომას ჰობსის „ლევიათანმა“ რევოლუციური გავლენა მოახდინა პოლიტიკური აზრის განვითარებაზე. მან მკაფიოდ და ნათლად დასვა საკითხი: რისთვისაა

საჭირო სახელმწიფო ძალაუფლება? ან სხვაგვარად: რატომ უნდა დაემორჩილონ ადამიანები მთავრობას?

ეს მიდგომა შეიძლება განვასხვავოთ ანტიკური ფილოსოფიის ტრადიციისგან, რომელიც პოლიტიკურ ძალაუფლებას ნორმატიული, შეფასებითი კუთხით განიხილავდა. ეს ნიშნავდა ან პოლიტიკური ძალაუფლების სხვადასხვა ტიპის (მაგ., ტირანიის, არისტოკრატიის, ოლიგარქიის, დემოკრატიის) აღწერას და მათი ავკარგიანობის შეფასებას, ან სრულყოფილი, საუკეთესო მმართველობის წარმოსახვას, როგორც ეს, მაგალითად, პლატონმა გააკეთა თავის „სახელმწიფოში“. მაგრამ ამგვარ მსჯელობას ნაკლები კავშირი ჰქონდა რეალურ პოლიტიკასთან.

ისტორიული კონტექსტი: „მეფეთა საღვთო უფლება“ და მისი ოპონენტები

რეალობაში, ადამიანები საუკუნეების მანძილზე ემორჩილებოდნენ თავიანთ მმართველებს ნაწილობრივ ჩვევის, ტრადიციის, ნაწილობრივ კი დასჯის წინაშე შიშის გამო (ამის თქმა ხშირად დღესაც შეგვიძლია). თავის მხრივ, ტრადიციულ მმართველობას საფუძველს უმაგრებდა რელიგია, რომელიც ხალხს საერო ძალაუფლების – როგორც წესი, მონარქის, მეფის მორჩილებისკენ და ზოგადად, არსებული იერარქიული წყობის დაცვისკენ მოუწოდებდა. იდეოლოგიურად, ამან მიიღო „მეფეთა საღვთო უფლების“ კონცეფციის სახე: მეფეს ღვთის ნებით უკავია ტახტი, მონარქია ღვთის მიერ შექმნილი წესრიგის ნაწილია, ამიტომ ადამიანებს საერო ხელისუფალთა მორჩილება მართებთ. შესაბამისად, სამეფო ტახტი მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყო ეკლესიასთან, რადგან „მეფეთა საღვთო უფლების“ დადასტურებას და მთლიანად მონარქიული წესრიგის გამართლებას სწორედ ეკლესია ახდენდა.

დასავლეთ ევროპაში პროტესტანტიზმის გავრცელებამ და, აქედან გამომდინარე, რელიგიურმა კონფლიქტებმა, ასევე დაპირისპირებებმა რომის პაპსა და გაძლიერებულ მონარქიებს შორის ამ სისტემაში ბზარი გააჩინა. მეფობის მსურველნი ყოველთვის ებრძოდნენ ერთმანეთს ძალაუფლებისთვის, მაგრამ ამ ბრძოლას ჩვეულებრივ არ ჰქონდა იდეოლოგიური საფუძველი – უბრალოდ, ძლიერი იმარჯვებდა, ეკლესია კი მის გამარჯვებას ადასტურებდა, როგორც „ღვთის ნებას“. მდგომარეობა არსებითად იცვლება, თუ დაპირისპირებული მხარეები სხვადასხვა რელიგიურ შეხედულებებს წარმოადგენენ: მათ შეიძლება იმაზეც ჰქონოდათ განსხვავებული აზრი, თუ ძალაუფლების რომელ მსურველს აქვს მართვის „საღვთო უფლება“.

ამავე დროს, ევროპულ მონარქიებში დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა ქიშპი, ერთი მხრივ, მონარქის, მეორე მხრივ კი, დიდგვაროვნებს შორის: ორივეს თავისი უფლებების და პრივილეგიების გაფართოება უნდოდა. ინგლისში 1215 წელს მეფემ და დიდგვაროვნებმა (ბარონებმა) ხელი მოაწერეს ქარტიას, „მაგნა ქარტას“, რომელიც ორივე მხარის უფლებებს ადგენდა და ამით ზღუდავდა მეფის ძალაუფლებას. მეფე ჯონმა ამ ქარტიას იძულებით მოაწერა ხელი და ისიც და მისი მემკვიდრეებიც ხშირად ცდილობდნენ მის დარღვევას, დიდგვაროვნები

კი, პირიქით, თავისი უფლებების დაცვას: „მაგნა კარტას“ ან „დიადი ქარტიის“ ტექსტს ხშირად უბრუნდებოდნენ და მას ხელახლა ადასტურებდნენ. ამ პროცესში ჩამოყალიბდა პარლამენტი, დიდგვაროვანთა საკრებულო, რომლის ძირითად უფლებამოსილებას გადასახადების დაწესება შეადგენდა, თუმცა ის ზოგადად დიდგვაროვანთა ინტერესებს წარმოადგენდა. ძლიერი მეფეების დროს პარლამენტი მეტწილად მორჩილად ასრულებდა მათ ნებას, მაგრამ ურჩობდა, როცა მეფე სუსტდებოდა. პარლამენტის მიდრეკილება დამოუკიდებელი ქმედებისკენ განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც მას მიემატა ქვედა (თემთა) პალატა, რომელშიც შეძლებული, მაგრამ არა დიდგვაროვანი მოქალაქეები შედიოდნენ.

მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა განწყობის ცვლილებებსაც. მე-17 საუკუნე მეცნიერების და რაციონალისტური ფილოსოფიის განვითარების საუკუნე იყო. ბევრი განათლებული ადამიანისთვის ეკლესია აღარ შეადგენდა ჭეშმარიტების ერთადერთ წყაროს – მით უმეტეს, რომ გარშემო სხვადასხვა რელიგიური მიმართულება ებრძოდა ერთმანეთს. ადამიანები სულ უფრო ცდილობდნენ თავისი სიმართლის დამტკიცებას ლოგიკის, რაციონალური არგუმენტების მეშვეობით. ცხადია, ეს ახალი ტენდენცია შედარებით მცირე ელიტაზე ვრცელდებოდა, მაგრამ ეს საკმარისი იყო პოლიტიკის ბუნებაზე გავლენის მოსახდენად, რადგან ამ ელიტის განწყობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. პოლიტიკა და ფილოსოფია (ისევე როგორც პოლიტიკა და რელიგია) ერთმანეთისგან არ იმიჯნებოდა: ორივე კონკრეტული პოლიტიკური ძალების და პოზიციების გამართლებას ემსახურებოდა.

ინგლისის სამოქალაქო ომი (1642-51) ყველა ამ ტენდენციის გამომხატაველი და დამაგვირგვინებელი აღმოჩნდა. ომში დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ მეფე ჩარლზი, რომელსაც სურდა, პარლამენტის მნიშვნელობა შეემცირებინა, და პარლამენტი, რომელიც „დიადი ქარტიის“ სულისკვეთებიდან გამომდინარე, მეფის ძალაუფლების მაქსიმალურ შეზღუდვას ცდილობდა და ქვეშევრდომთა უფლებების გარანტიების შექმნას მოითხოვდა. დაპირისპირებამ გამოიწვია ქვეყნის დაყოფა მეფის და პარლამენტის მომხრეებად: ამ დაპირისპირებიდან ამოიზარდა ტორების და ვიგების, ანუ კონსერვატული და ლიბერალური პარტიები, რომელთაც დღესაც განსაზღვრავენ ბრიტანულ პოლიტიკას (მხოლოდ მე-20 საუკუნეში მიემატა მათ მესამე, ლეიბორისტული პარტია). თუმცა პარლამენტის მომხრეები მეფის ძალაუფლების შეზღუდვას და არა გაუქმებას ემხრობოდნენ, მათ შორის გაჩნდნენ რადიკალური ჯგუფები, რომლებიც რესპუბლიკურ იდეებსაც ქადაგებდნენ.

ამ ომს მნიშვნელოვანი რელიგიური კომპონენტიც ჰქონდა, ბევრი ადამიანი უპირველეს ყოვლისა რელიგიური მოტივით იღებდა მასში მონაწილეობას. ერთი საუკუნით ადრე, მეფე ჰენრი მე-8-ის დროს, ინგლისის ეკლესია გამოეყო და დაუპირისპირდა კათოლიკურს, რის შემდეგაც ანტიკათოლიციზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინგლისური ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში (თუმცა ინგლისში მაშინაც და ახლაც დარჩა მნიშვნელოვანი კათოლიკური უმცირესობა).

მაგრამ საუკუნეების მანძილზე საკამათო რჩებოდა, თუ სახელდობრ, რამდენად უნდა დაშორებოდა ინგლისი კათოლიციზმს რელიგიური დოგმატებისა და ლიტურგიის მხრივ. ინგლისის სახელმწიფო, ანგლიკანური ეკლესია (რომლის წინამძღოლიც მეფე იყო) პროტესტანტიზმის ნაირსახეობად ითვლება, მაგრამ უფრო ზედაპირულად განსხვავდებოდა კათოლიკურისაგან. არსებობდა სხვა მიმართულებები (პრესბიტერიანელობა, პურიტანობა და სხვ.), რომლებიც უფრო რადიკალურ რელიგიურ რეფორმაციას ემხრობოდა და მეფე ჩარლზს შეფარულ კათოლიკედ, ან კათოლიკეების მიმართ ზედმეტად ლმობიერად მიიჩნევდა. ამავე დროს, პროტესტანტები (განსაკუთრებით პურიტანები) უფრო მეტად ემხრობოდნენ მეფის ძალაუფლების შეზღუდვის და პიროვნების უფლებათა დაცვის იდეებს; ამერიკაში გადასახლებულმა დევნილმა პურიტანებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამეერიკაში რესპუბლიკური პრინციპების დამკვიდრებაში, რამაც საბოლოოდ ჩრდილოეთი ამერიკა მონარქიის საწინააღმდეგო რევოლუციამდე მიიყვანა.

როგორც დავაფუძნოთ ძალაუფლების ლეგიტიმურობა?

სწორედ ამ კონტექსტში მოღვაწეობდა თომას ჰობსი. მისი სიმპათიები მეფის აბსოლუტური ძალაუფლებისკენ იხრებოდა, თუმცა მას მეფის პარტიის ტიპური წარმომადგენლებისგანაც ბევრი რამ განასხვავებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ის იყო, რომ ჰობსი არ ამართლებდა აბსოლუტურ მონარქიას მეფის „საღვთო უფლებით“. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ჰობსს ამოძრავებდა არა თავისთავად მეფის ძალაუფლების ერთგულება, არამედ იმის გარანტიების ძიება, რომ ქვეყანა გადარჩენოდა სამოქალაქო ომებს, რაც, როგორც ჰობსი საკუთარი თვალით ხედავდა, აურაცხელი უბედურების მომტანი იყო. მეტიც, პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმურობის (კანონიერების) დასაბუთება რელიგიური მოტივებით, შესაბამისად, პოლიტიკისა და რელიგიის აღრევა სახიფათოა: როგორც იმდროინდელი ევროპის გამოცდილება ადასტურებდა, ის რელიგიური ომების წყარო შეიძლება აღმოჩნდეს. საიდან ვიცით, რომ კონკრეტულად ეს მეფე სარგებლობს „საღვთო უფლებით“? მით უმეტეს, საიდან უნდა გავარკვიოთ, რომელი პოლიტიკური პარტიის გამარჯვება უნდა ღმერთს, თუ დაპირისპირებულ ძალებს სხვადასხვა რელიგიური შეხედულება აქვს და ერთნაირად გულწრფელად სწამს თავისი სიმართლის? რელიგია ვერ იქნება არბიტრი პოლიტიკის საკითხებში, როდესაც თავად რელიგიური ჭეშმარიტებები დგება ეჭვის ქვეშ და ბრძოლაში სხვადასხვა ეკლესიის მიმდევრები ერთვებიან. არბიტრი შეიძლება იყოს მხოლოდ თავად ღმერთი – მაგრამ ადამიანებს არ ძალუძთ, გაიგონ მისი ნება მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე.

ამიტომ ჰობსმა მიიღო ძალიან თამამი გადაწყვეტილება (რისთვისაც მოგვიანებით ათეისტობაც დააბრალეს, სამართლიანად თუ უსამართლოდ): პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმურობის საკითხი საერთოდ არ დაეკავშირებინა რელიგიასთან. მაგრამ თუ არა საღვთო ჭეშმარიტება, რა უნდა იყოს ამოსავალი პოლიტიკური ძალაუფლების კანონიერების დასასაბუთებლად?

ჰობსის პასუხი ცალსახაა – ასეთი ამოსავალია ადამიანის ბუნება. პასუხი კითხვაზე, საჭიროა თუ არა ხელისუფლება, და სახელდობრ როგორი უნდა იყოს ის, უნდა გავცეთ იმისდა მიხედვით, თუ როგორი ბუნება აქვს ადამიანს და, შესაბამისად, როგორია მისი საჭიროებები და ინტერესები.

რომ გავიგოთ, სახელდობრ როგორი ბუნება აქვს ადამიანს, მას უნდა შევხედოთ ისეთ ვითარებაში, სადაც ის ყველაზე „სუფთა სახით“ ავლენს თავს. ასეთი, ჰობსის აზრით, ბუნებითი მდგომარეობაა, ანუ მდგომარეობა, სადაც ადამიანი შეზღუდული არაა არც სახელმწიფოს და არც რელიგიის დადგენილი ნორმებით და ინსტიტუტებით, სადაც ის მხოლოდ იმას აკეთებს, რაც თვითონ უნდა. ადამიანი ბუნებით მდგომარეობაში სრულიად თავისუფალია. თავისუფლება, ჰობსის აზრით, გარე იძულების არარსებობაა, ბუნებით მდგომარეობაში კი ადამიანს ვერავინ ვერაფერს აიძულებს, განსხვავებით ცივილიზაციის შვილისგან, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებით და მისი კანონებით, ასევე რელიგიის და მორალის ნორმებითაა შეზღუდული.

გარდა იმისა, რომ ადამიანი ბუნებით მდგომარეობაში თავისუფალია, ყველა მათგანი ერთმანეთის თანასწორიცაა, რადგან უთანასწორობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი და რელიგიით კურთხეული სოციალური წესრიგის ნაწილია. ის ფაქტი, რომ ადამიანები განსხვავდებიან თავისი ფიზიკური და გონებრივი უნარებით, ამ შემთხვევაში ნაკლებ მნიშვნელოვანია: ეს განსხვავებები არც ისე დიდია, რომ ერთმა ადამიანმა სხვებზე ბატონობა შეძლოს, ან ბატონობის დასაბუთებული პრეტენზია ჰქონდეს. თუნდაც ყველაზე ჭკვიანს და ღონიერს რამდენიმე სხვა ადამიანის გაერთიანება ადვილად აჯობებს.

რა ამოძრავებს ადამიანს ასეთ ვითარებაში? პირველ რიგში, ეს არის ძალადობრივი სიკვდილის შიში. ადამიანები რესურსებისთვის შეჯიბრის მდგომარეობაში არიან: ასეთი რესურსი შეიძლება იყოს საკვები, საუკეთესო მიწის ნაკვეთი, ლამაზი ქალი და ა. შ. რაკი ყველა თანასწორი და თავისუფალია, ყველას თანაბრად შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ამ რესურსების ფლობაზე, ეს კი ყველას ყველა სხვასთან კონფლიქტის, ომის მდგომარეობაში აქცევს. ასევე, კონფლიქტის მიზეზი შეიძლება იქცეს შიში და უნდობლობა სხვების მიმართ, ან პატივმოყვარეობა, სხვის ხარჯზე სახელის მოხვეჭის სურვილი. „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“ – ეს არის ყველაზე ცნობილი ფრაზა, რომელიც ადამიანთა ბუნებით მდგომარეობას ახასიათებს და რომელიც ხშირად პირველად ახსენდებათ ჰობსის ფილოსოფიის ხსენებაზე.

აქ ჰობსი მნიშვნელოვან დაზუსტებას აკეთებს: ომი ქვია არა მხოლოდ უშუალოდ ბრძოლის, ფიზიკური შერკინების მომენტს. ომი უკვე მაშინ გვაქვს, როდესაც სხვას მტრად მივიჩნევთ, როდესაც მასთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მყარი პირობები და გარანტიები არ არსებობს. თუ ასეა, უნდობლობა ნებისმიერ მომენტში შეიძლება გადავიდეს ფიზიკურ დაპირისპირებაში, ამიტომ ადამიანი მუდამ სიკვდილის შიშის წინაშეა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი „ბუნებითი“ ადამიანი ცხოველს ჰგავს: გადარჩენისთვის ბრძოლა ხომ ცხოველთა სამყაროს ძირითადი პრინციპია. მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება: ცხოველთა ქცევა დაპროგრამებულია ხისტი ინსტინქტებით, ხოლო ადამიანს აქვს გონება, რითაც მას შეუძლია, თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილებები როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე.

როგორია ადამიანის ქმედების სტრატეგია ბუნებით მდგომარეობაში? ის არავის უნდა ენდოს, რადგან იცის, რომ მას არავინ ენდობა. მან იცის, რომ სხვა შეიძლება ნებისმიერ მომენტში თავს დაესხას, ამიტომ თავად უნდა დაასწროს თავდასხმა. დღეს ამას უდანაშაულო ადამიანის მიმართ აგრესიას ვუწოდებდით და მორალურად დავგმობდით, მაგრამ ჰობსის აზრით, ბუნებით ადამიანს ასეთ ქცევას ვერ დავუწუნებთ. ეს ქმედება რაციონალურია, როგორც საკუთარ თავდაცვაზე ზრუნვა, თავდაცვის უფლება კი ყველას აქვს. ასევე რაციონალურია და, მაშასადამე, გამართლებული ადამიანის მცდელობა, სხვაზე გაბატონდეს, სხვა დაიმონოს, ყველაზე ძლიერის რეპუტაცია მოიპოვოს, თუ ეს მისი უსაფრთხოების დონეს გაზრდის. იმ ნორმებს, რასაც ცივილიზებული ადამიანი მორალს უწოდებს, ბუნებრივ მდგომარეობაში ძალა არა აქვს, ამიტომ არა გვაქვს საფუძველი, მისი აგრესიული ქცევა გავკიცხოთ.

სხვა სიტყვებით, საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვა ადამიანის ყველაზე ძირეული „ბუნებითი უფლებაა“: ეს იგივეა, რასაც დღეს „ადამიანის უფლებებს“ ვუწოდებთ: ადამიანს ამ უფლებას ვერ წავართმევთ, რადგან ის მისი ბუნებიდან გამომდინარეობს. ოღონდ, ბუნებით მდგომარეობაში ამ უფლების გამოყენება ლოგიკურად გულისხმობს სხვაზე, უდანაშაულო ადამიანზე თავდასხმას ყოველგვარი პროვოკაციის გარეშე: სრულიად საკმარისია ეჭვი, შიში, რომ იმ სხვას ჩემზე თავდასხმა უნდა.

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ რაც გინდა გამჭრიახი, გაბედული და ძლიერი იყოს ადამიანი, შეუძლებელია, მან ბუნებით მდგომარეობაში თავისი სიცოცხლის დაცულობის დამაკმაყოფილებელ დონეს მიაღწიოს: ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს სხვა, ვინც თავს დაესხმება, და ასეთი თავდასხმა იმ სხვისი ბუნებითი უფლების განხორციელება იქნება. ბუნებით მდგომარეობაში შეუძლებელია ეკონომიკური კეთილდღეობაც, რადგან საკუთრების უფლება არ არსებობს. რა აზრი აქვს თესვას, თუ არ იცი, იცოცხლებ თუ არა მოსავლის აღებამდე, ან შენს ნაშრომს სხვა ხომ არ მიითვისებს? ამიტომ „კაცის ცხოვრება ეულია, ღარიბი, მწარე, ცხოველური და მოკლე“.

ბუნებითი კანონი და საზოგადოებრივი ხელშეკრულება

რაკი ადამიანს, როგორც რაციონალურ არსებას, თავისი გრძელვადიანი ინტერესის გათვლაც შეუძლია, მას შეუძლია და ევალება გაიაზროს, რომ მის ინტერესებშია პრინციპულად სხვა მდგომარეობის მიღწევა, სადაც მისი სიცოცხლე და საკუთრება სტაბილურად დაცული იქნება. ასეთია სახელმწიფო, როდესაც,

ხდება, ასე ვთქვათ, შიშის ცენტრალიზაცია: თითოეულს ეშინია არა თითოეული სხვის, არამედ ყველას ეშინია ერთის, ხელისუფლების, სუვერენის, ანუ ისეთი ძალის, რომელსაც დედამიწაზე სხვა უფროსი აღარ ჰყავს. ასეთ შემთხვევაში ადამიანები ერთმანეთს აღარ ესხმიან თავს, ხოლო იმ ერთს – ხელისუფლებას, ასევე არა აქვს მოტივი, თავს დაესხას რიგით ადამიანს, რადგან მისი ძალა განუზომლად აღემატება ინდივიდისას და მისგან საფრთხე არ ემუქრება (თუ, რა თქმა უნდა, ინდივიდი საკუთარი ინიციატივით არ აუჯანყდა). ამიტომ, სახელმწიფოში ადამიანის ცხოვრება გაცილებით უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ბუნებით მდგომარეობაში.

რაკი სახელმწიფოში ცხოვრების უპირატესობა თავისთავად ცხადი, მარტივი ჭეშმარიტებაა, ადამიანები ერთმანეთს უთანხმდებიან ანუ დებენ ხელშეკრულებას, რომ ყველა ემორჩილება ერთ უზენაეს ძალას. ამ შეთანხმებით თითოეული ადამიანი უარს ამბობს ბუნებით თავისუფლებაზე, თავს დაესხან მეორეს – სამაგიეროდ, საკუთარი სხეულის, ოჯახის, საკუთრების უსაფრთხოებას მოიპოვებს. როგორც მე სხვას არ დავესხმები თავს სახელმწიფოს შიშით, ამავე მიზეზით არც სხვისგან ველი აგრესიას. თავისუფლების დათმობა აუცილებელი საფასურია, რასაც ჩვენს უსაფრთხოებაში ვიხდით: სხვანაირად არც სხვა დათმობს უფლებას, სურვილისამებრ თავს დაგვესხას.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ხელშეკრულების დადებისას ადამიანები ბუნებით კანონს ემორჩილებიან. ოღონდ ეს არ არის „კანონი“ ამ სიტყვის ჩვეული აზრით: მას ვიღაც სხვა არ იღებს და შემდეგ დასჯის შიშით ან ვიღაცის პატივისცემის გამო არ გვაიძულებს მის შესრულებას. ჰობსის „ბუნებითი კანონი“ კანონია, იმიტომ რომ რაციონალურია, ანუ ჩვენივე ინტერესების გათვლას ემყარება. ის გვეუბნება, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ხოლო საუკეთესო, რაც კი ამ მიზნით შეიძლება მოვიმოქმედოთ, ბუნებითი მდგომარეობიდან გამოსვლა და, საზოგადოებრივი ხელშეკრულების დადებით, სამოქალაქო ანუ სახელმწიფოებრივ მდგომარეობაში გადასვლაა. თუ არსებობს არჩევანი სახელმწიფოში და ბუნებრივ მდგომარეობაში ცხოვრებას შორის, შეუძლებელია, საღად მოაზროვნე ინდივიდმა მეორე აირჩიოს, რადგან ეს მისივე სიცოცხლეს ჩააგდებდა საფრთხეში. აშკარად უგუნური, საკუთარი ინტერესების საპირისპირო ქცევა ბუნების კანონის დარღვევაა.

აქ საჭიროა, განვმარტოთ სიტყვა „კანონის“ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა. როდესაც ვწყვეტთ, დავემორჩილოთ საერო ხელისუფლებას, ამით ვიღებთ ვალდებულებას, დავემორჩილოთ ყველა კანონს, რომელსაც ეს ხელისუფლება მიიღებს. ამ უკანასკნელი ტიპის კანონები (მათ „პოზიტიურ კანონებს“ ან „კანონმდებლობას“ ვუწოდებთ) ემყარება კანონმდებლის (მეფის, პარლამენტის) ნებას, რომელსაც, თავის მხრივ, შეიძლება სხვადასხვა მოტივი წარმართავდეს: პოლიტიკური ინტერესი, კონკრეტული ადამიანების წარმოდგენა სამართლიანობაზე (იდეოლოგია) და ა.შ. ესენი არსებითად განსხვავდება ბუნებითი კანონებისაგან, რადგან ეს უკანასკნელნი კონკრეტულ კანონმდებელზე დამოკიდებული არ არის:

ისინი ლოგიკურად გამომდინარეობს ადამიანის ბუნების რაციონალური განხილვიდან. პოზიტიურ კანონმდებლობას უნდა დავემორჩილოთ, მაგრამ ამას ვაკეთებთ იმის გამო, რომ ბუნებით კანონს ვემორჩილებით: ეს უკანასკნელი ლოგიკურად პირველადია.

ამასთან, ჰობსი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ არ შეიძლება, საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძალა მხოლოდ რაციონალურ ინდივიდებს შორის შეთანხმებაზე დავიყვანოთ. ეს მეტისმეტად გულუბრყვილო იქნებოდა. ელემენტარული გამოცდილება გვეუბნება, რომ ადამიანებმა შეიძლება აღარ დაიცვან მათ მიერ დადებული შეთანხმებები (ანუ პირი გატეხონ), თუ ჩათვლიან, რომ ეს მათ თუნდაც მოკლევადიან სარგებელს მოუტანს. რაკი ეს ყველასათვის ცხადია, ადამიანები არც დადებენ ხელშეკრულებას (განსაკუთრებით ისეთ სერიოზულ საკითხზე, რაც მათ სიცოცხლესა და სიკვდილს უკავშირდება), თუ არ ექნათ გარანტია, რომ მის პირობებს მართლაც ყველა შეასრულებს. ამ აზრს ჰობსი გამოთქვამს მესამე ბუნებითი კანონით: „ადამიანები ასრულებენ დადებულ ხელშეკრულებას“. ამ შემთხვევაში ის იმეორებს სამართლის ძველთაძველ პრინციპს, რომელიც ლათინურად გამოითქმის სიტყვებით *pacta sunt servanda,* „ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს“.

ეს აზრი შეიძლება, მეტისმეტად მარტივად და ბანალურად მოგვეჩვენოს, მაგრამ ჰობსი ამით ხაზს უსვამს ძალზე მნიშვნელოვან გარემოებას: ხელშეკრულების დადების ნება ერთია (თუნდაც მისი დადების მომენტში მხარეები აპირებდნენ მის კეთილსინდისიერად შესრულებას), შესრულების გარანტია – სულ სხვა. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადებას არა აქვს აზრი, თუ მის დამრღვევს სასჯელი არ ემუქრება. აი, სწორედ აქ შემოდის ყველაზე ცხადად სახელმწიფოს, როგორც იძულების ლეგიტიმური უფლების მქონე მოქმედი პირის, აუცილებლობა. სახელმწიფო ხელშეკრულებით იქმნება, მაგრამ, ამავე დროს, ეს ის ძალაა, რომელიც ამ და ნებისმიერი სხვა დადებული ხელშეკრულების დაცვას უზრუნველყოფს. სახელმწიფოს შეიძლება სხვა ფუნქციებიც ჰქონდეს, მაგრამ ეს ძირითადია. ამ ფუნქციის წარმატებით შესასრულებლად მას უნდა ჰქონდეს იძულების ადეკვატური მექანიზმები, რომ მას, სასჯელის შიშით, ვერავინ გაუწიოს წინააღმდეგობა.

შესაბამისად, ჰობსის აზრით, სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, ანუ ბუნებით მდგომარეობაში, აზრი არა აქვს სამართალზე საუბარს. აქ მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ჰობსი ერთმანეთისგან პრაქტიკულად არ ასხვავებს ზნეობრივ, მორალურ რეგულაციებს, რომლებიც არა სახელმწიფოს, არამედ ინდივიდის სინდისის, რელიგიის და საზოგადოებრივი აზრის სფეროა (ანუ სასჯელი ამორალური ქმედებისთვის შეიძლება იყოს სინდისის ქენჯნა, ღვთის რისხვა ან საზოგადოების გაკიცხვა), და სახელმწიფოს მიღებული კანონებით დადგენილ ნორმებზე, რომელთა შეუსრულებლობისთვის ინდივიდს სახელმწიფო სჯის. მისთვის მნიშვნელოვანი იყო იმის ხაზგასმა, რომ რაიმე ნორმის აბსტრაქტულ განცხადებას (მაგალითად: „არა კაც კლა“), არავითარი აზრი არა აქვს, თუ არ არსებობს ძალა,

რომელიც მის დაცვას უზრუნველყოფს. ასეთი კი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს.

რამდენად აქვს კავშირი რეალობასთან ბუნებითი მდგომარეობის და საზოგადოებრივი ხელშეკრულების ცნებებს?

ძნელია, ჰობსის დებულება საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ პირდაპირი აზრით გავიგოთ, ანუ წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანთა დიდი მასა, რომელიც მანამდე ერთმანეთთან ბრძოლაში იყო ჩართული, ერთ მშვენიერ დღეს სადღაც იკრიბება და ხელს აწერს დოკუმენტს, რომლის ძალითაც ადამიანები ქმნიან სახელმწიფო ძალაუფლების კონკრეტულ სისტემას და იღებენ ვალდებულებას, დაემორჩილონ მას. ასეთი ქმედების ზუსტ ისტორიულ ანალოგს ვერ მოვძებნით. ამიტომ ადვილია, საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია ასეთი წესით გავაკრიტიკოთ. მაგრამ ჰობსის ტექსტი არ გულისხმობს ასეთ სწორხაზოვან გაგებას. არ არის აუცილებელი, რომ ის ისტორიული ევოლუციის თუნდაც სქემატურ წარმოდგენად გავიაზროთ; აქ უფრო ნაბიჯების ლოგიკურ თანმიმდევრობასთან გვაქვს საქმე, რითაც სახელმწიფოს არსებობის გარდუვალი საჭიროება, მაშასადამე, მისი ლეგიტიმურობაც საბუთდება.

ამ ლოგიკის განსამარტად ჰობსი დაწვრილებით აღწერს, თუ რას გულისხმობს „ხელშეკრულების“ ცნებაში: ნებისმიერი ხელშეკრულებით ხელს ვიღებთ რაღაც უფლებაზე (ამ შემთხვევაში – შეუზღუდავ თავისუფლებაზე, სადაც თავისუფლებაში უპირველეს ყოვლისა ძალადობის უფლება იგულისხმება), გადავცემთ ამ უფლებას სხვას (სახელმწიფოს), სამაგიეროდ კი ვიღებთ კონკრეტულ სარგებელს (პირად უსაფრთხოებას). ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს პასუხი კითხვაზე, რატომ უნდა დავემორჩილოთ სახელმწიფოს, ან რა უფლებით შეიძლება, ხელისუფლებამ მოგვთხოვოს მისი მორჩილება. სახელმწიფოს ვემორჩილებით, რადგან ეს ჩვენსავე ინტერესებშია, რადგან სახელმწიფოს ჩვენთვის კონკრეტული სარგებელი – უსაფრთხოება, სტაბილურობა მოაქვს. არ არსებობს ხელისუფლება იძულების მექანიზმების გარეშე, მაგრამ საბოლოო ჯამში, ის ადამიანების ნებაყოფლობით და გააზრებულ მორჩილებას ემყარება.

თუმცა ჰობსის ტექსტი ძნელია სწორხაზოვნად წავიკითხოთ, როგორც ბუნებითი მდგომარეობიდან სამოქალაქოზე გადასვლის ისტორიული პროცესის აღწერა, ეს არ ნიშნავს, რომ მის მიერ წარმოდეგენილი ცნებები წმინდა ფიქციაა და რეალობაში მათ არაფერი შეესაბამება. ჰობსი თავად ასახელებს ბუნებითი მდგომარეობის ორ რეალურ მაგალითს. ერთია ველური ტომების (მაგალითად, ამერიკელი ინდიელების) ცხოვრება – ჰობსისდროინდელ ინგლისში უკვე არსებობდა გარკვეული ცოდნა მათ შესახებ. მეორე მაგალითია მეფეებს, ან სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა. ის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ: არა იმ აზრით, რომ ასეთი ომი უწყვეტად მიმდინარეობს, არამედ იმ აზრით, რომ რაკი არ არსებობს საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველმყოფი მყარი მექანიზმები, პერიოდული ომები გარდუვალია. ქვეყნებს

არა ჰყავთ ისეთი საერთო ინსტანცია, როგორიც ადამიანებს აქვთ სახელმწიფოს სახით: არ არსებობს მსოფლიო პოლიცია, რომელიც საერთაშორისო წესრიგის დამრღვევებს შეაჩერებს და დასჯის. ამიტომ, აქ მხოლოდ ძალას აქვს მნიშვნელობა, შეთანხმებები კი დროებითია. ჰობსის მოძღვრებას „ბუნებითი მდგომარეობის“ შესახებ დღესაც აქვს გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაზე, კერძოდ იმ სკოლაზე, რომელსაც „რეალისტურს“ უწოდებენ.

თუმცა, „ბუნებითი მდგომარეობის“ მაგალითად შეგვიძლია ჩავთვალოთ (რაღაც ზომით მაინც) ის ვითარება, რაშიც ჰობსის სამშობლო, ინგლისი, თითქმის ათი წლის მანძილზე იმყოფებოდა. სამოქალაქო ომი ნიშნავს ვითარებას, როდესაც ქვეყანაში არ არსებობს ერთი ხელისუფლება, რომლის კანონიერებას ყველა ეთანხმება: მიმდინარეობს ბრძოლა იმისთვის, თუ ვის „ეკუთვნის“ ასეთი უფლებამოსილება. შესაბამისად, თუ ინდივიდი თავდასხმის ობიექტი ხდება, ან თავდასხმის საფრთხე უდგება, მან არ იცის, ვის მიმართოს თავის დასაცავად. ასე რომ, დებულება, რომელსაც ჰობსი თავგამოდებით იცავს: რომ მყარი სახელმწიფო ხელისუფლების არსებობას ყოველთვის ჯობია ბუნებით მდგომარეობას, შეიძლება ჰობსის პირად გამოცდილებასაც დავუკავშიროთ.

ერთი შეხედვით, კიდევ უფრო აბსტრაქტული ჩანს „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ ცნება. მაგრამ თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები მისი პირდაპირი ანალოგია. კონსტიტუცია თავისი არსით სხვა არაფერია, თუ არა მოქალაქეთა შეთანხმება ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობაზე. ცხადია, პრაქტიკულად შეუძლებელია, თითოეულმა მოქალაქემ თანაბრად მიიღოს მონაწილეობა ამ შეთანხმებას შემუშავებაში: მოქალაქეები ამას თავისი წარმომადგენლების მეშვეობით აკეთებენ. მაგრამ ეს არ ცვლის საქმის არსს: თანამედროვე დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების ლეგიტიმურობა ემყარება მოქალაქეთა თანხმობას, დაიცვან კონკრეტული წესები, რომლებიც ქვეყნის კონსტიტუციაშია ფიქსირებული. ჰობსის აღწერილი სახელმწიფო საკმაოდ შორსაა თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიისგან, მაგრამ მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპი: სახელმწიფო ძალაუფლების ლეგიტიმურობა ემყარება რიგითი ადამიანების შეგნებულ გადაწყვეტილებას, დაემორჩილონ მის დადგენილ წესებს, ამ გადაწყვეტილებას კი ისინი იმიტომ იღებენ, რომ სახელმწიფოსგან კონკრეტულ სარგებელს ელიან.

სახელმწიფო და მისი უფლებები

ჰობსის წიგნის სათაური, „ლევიათანი“, სახელმწიფოზე მის წარმოდგენას გამოხატავს. ძველ აღთქმაში ასე ჰქვია ზღვის ურჩხულს: როგორც ჩანს, ის იმ ნიშნით გახდა სახელმწიფოს სიმბოლო, რომ ადამიანებს შიშის ზარს სცემს. ამავე დროს, ჰობსი სახელმწიფოს „მოკვდავ ღმერთს“ უწოდებს: ის „მოკვდავია“ იმიტომ, რომ ძალაუფლების მატარებლები ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანები არიან, და სახელმწიფოები შეიძლება დაინგრეს გარე მტრის ან შიდა არეულობის შედეგად, როგორც ეს ისტორიაში არაერთხელ მომხდარა. მაგრამ ინდივიდებს,

ქვეშევრდომებს სახელმწიფოს მიმართ იმგვარივე მოწიწება და მორჩილება მართებთ, როგორც ღმერთის მიმართ.

თუმცა, ამ მეტაფორას თავისი საზღვრები აქვს. რაკი სახელმწიფო ადამიანთა შორის დადებული ხელშეკრულების ძალით შეიქმნა და, თავის საწყისში, ამ ადამიანთა ნებას ემყარება, ის მათი წარმომადგენელია. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოსთვის ჩვენი უფლებების გადაცემით ჩვენ მოვახდინეთ მისი ქმედებების ავტორიზება, ანუ მისი ქმედებები იგივე ჩვენი ქმედებებია. მაშასადამე, თუ სახელმწიფოს დავუპისრიპირდით, რაღაც აზრით საკუთარ თავსვე ვუპირისპირდებით.

სიტყვა „ჩვენი“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს იმ ადამიანთა ერთობლიობას, ვინც საზოგადოებრივი ხელშეკრულებით ერთი ხელისუფლის, ანუ სუვერენის მორჩილების პირობა დადო. ამით ადამიანთა ეს სიმრავლე იქცევა ერთ მთლიანობად: დღეს ასეთ მთლიანობას პოლიტიკურ ერს, ნაციას, ხალხს ვუწოდებთ. ოღონდ ეს მთლიანობა მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც ის წარმოდგენილია ერთი ხელისუფლებით. სუვერენის ქმედება გაიგივებულია ხალხის, ერის, ქვეშევრდომთა თუ მოქალაქეთა ერთობლიობის ქმედებასთან. ამას დღესაც ხშირად ვამბობთ: თუ გვესმის, რომ „ამერიკამ ჯარები შიყვანა ერაყში“, ან „საფრანგეთმა ხელშეკრულება დაუდო არგენტინას“, ვგულისხმობთ, რომ კონკრეტული ქმედებები უშუალოდ ამ ქვეყნის მთავრობებმა განახორციელეს, მაგრამ ეს მათი ერების, ხალხების სახელით გააკეთეს. შესაბამისად, ხელშეკრულება სავალდებულოა ამ ერებისთვის, და არა მხოლოდ მთავრობებისთვის, რომლებიც ხვალ შეიძლება შეიცვალოს.

კონკრეტულად როგორია ხალხის წარმომადგენელი, ანუ მთავრობა, სხვა საკითხია, მაგრამ მაინც საჭიროა, დავაზუსტოთ: ის შეიძლება იყოს ერთი პიროვნება, ან საკრებულო. პირველ შემთხვევაში ჰობსი გულისხმობდა მეფეს, თუმცა ჩვენ შეგვიძლია, ასეთად ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტიც წარმოვიდგინოთ. რაც შეეხება საკრებულოს, ის იგივეა, რაც პარლამენტი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ, როცა პარლამენტი ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს მთლიანად ამ პარლამენტის ნებად ითვლება: პარლამენტი, როგორც ძალაუფლების ინსტიტუტი ერთია, მიუხედავად იმისა, რამდენი ადამიანი (ან პარტია, ფრაქცია) შედის მასში.

იგივე ლოგიკა ვრცელდება ხალხის და ხელისუფლების ურთიერთობაზეც. საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში მონაწილეობით ინდივიდი ახდენს ხელისუფლების ყველა ქმედების და გადაწყვეტილების ავტორიზაციას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მათ. თანამედროვე მაგალითები რომ მოვიშველიოთ, პრეზიდენტის გადაწყვეტილება ჩემი გადაწყვეტილებაცაა, მიუხედავად იმისა, მომწონს თუ არა ის, ან მივეცი თუ არა მას ხმა არჩევნების დროს; ისევე, როგორც პარლამენტის გადაწყვეტილება ყველა მისი დეპუტატის გადაწყვეტილებაა, მიუხედავად იმისა, მისცა თუ არა მან მას ხმა (და, ამასთანავე, ყველა მოქალაქის გადაწყვეტილებაა, მიუხედავად იმისა, მისცა თუ არა მან ხმა მოცემულ საპარლამენტო უმრავლესობას).

სახელმწიფოს ძალაუფლება აბსოლუტურია, ანუ არ არის შეზღუდული. რაკი შევთანხმდით, რომ ძალის გამოყენების უფლება მთლიანად მისთვის გადაგვეცა, ესე იგი ის მთლიანად მას ეკუთვნის. გარდა ამისა, მესამე ბუნებითი კანონის ძალით („ადამიანები ასრულებენ დადებულ ხელშეკრულებას“) ჩვენ აღარ შეგვიძლია, გამოვიდეთ ამ ხელშეკრულებიდან და დავიბრუნოთ ის თავისუფლება, რაც თავდაპირველად გვქონდა (ისევე, როგორც არ შეგვიძლია დავდოთ სხვა ანალოგიური ხელშეკრულება, რაკი უკვე არსებულით ვართ შებოჭილი). თუკი ვინმე შეეცდება სამოქალაქო ხელშეკრულებიდან გამოსვლას, ის ამით ავტომატურად უბრუნდება ბუნებით მდგომარეობას, ეს კი ნიშნავს, რომ აღარ არის დაცული ძალადობისგან არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ნებისმიერი სხვა ადამიანის მხრიდან. მეტიც, რაკი მე სახელმწიფოს ქმედებების ავტორიზაცია მოვახდინე, ეს იმასაც ნიშნავს, რომ როდესაც სახელმწიფო საჭიროდ ჩათვლის ჩემს დასჯას რაიმე ქმედების გამო, ის ამას ჩემგან წინასწარ მიღებული თანხმობით გააკეთებს, ანუ ეს არსებითად იმის ეკვივალენტურია, რომ მე ვსჯი საკუთარ თავს (ჰობსის სიტყვებით, მე „ჩემი სასჯელის მფლობელი ვარ“).

ის, რომ ხელისუფლება ხელშეკრულების ძალით არსებობს, ჰობსისთვის არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ის ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. ამის გასაგებად მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ხელშეკრულება იდება ინდივიდებს შორის იმაზე, რომ დაემორჩილონ ერთსა და იმავე სუვერენს, და არა სუვერენსა და ქვეშევრდომებს შორის. ამ განსხვავების ხაზგასმა აუცილებელია, რადგან თუ დავუშვებთ, რომ ხელისუფლება ხალხთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებს, მაშინ ხალხს შეუძლია, „გაუწყვიტოს“ ეს ხელშეკრულება, ანუ აუჯანყდეს, თუ, მისი აზრით, ხელისუფლება ხელშეკრულების პირობებს დაარღვევს.

ჰობსის აზრით, ასეთი ხელშეკრულების დაშვება აბსურდია, რადგან ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. სუვერენი ვერ დაუდებს ხელშეკრულებას „ხალხს“, რადგან სანამ არ არსებობს სახელმწიფო, არ არსებობს ხალხი, როგორც ერთი მთლიანობა. მთლიანობად მას მხოლოდ მთავრობით წარმოდგენილობა აქცევს: ამის გარეთ არსებობენ მხოლოდ ინდივიდები ერთმანეთთან კავშირის გარეშე და არავის აქვს უფლება მთლიანად ხალხის სახელით ილაპარაკოს. ანუ, იმ მომენტისთვის, როდესაც ხალხი შეიძლება ერთ მთელად, წარმოვიდგინოთ, მას უკვე ჰყავს ხელისუფალი და აქვს მისი მორჩილების ვალდებულება, ხოლო ამ უკანასკნელის ყოველი ქმედება ავტორიზებულია ქვეშევრდომთა მიერ. აქედან გამომდინარე, ქვეშევრდომებს ვერ ექნებათ კანონიერი პრეტენზია, რომ ხელისუფლება არ ასრულებს მოვალეობებს მათ წინაშე: ასეთი მოვალეობა არსადაა ფიქსირებული, მხოლოდ ქვეშევრდომებს აქვთ მოვალეობა, სუვერენს დაემორჩილონ. ის, ვინც უჯანყდება სუვერენს, ხელშეკრულებას არღვევს არა მასთან (რაკი ასეთი არც ყოფილა), არამედ ყველა სხვა ადამიანთან, ვისაც საერთო მმართველობის მორჩილებაზე შეუთანხმდა.

ლოგიკურად, არსებობს სხვა შესაძლებლობა: ხელისუფლებამ ხელშეკრულება დაუდოს თითოეულ ინდივიდს ცალ-ცალკე. მაგრამ ესეც ჰობსს უაზრობად მიაჩნია, რადგან სუვერენი ყველა ქვეშევრდომზე ახორციელებს ძალაუფლებას და ვერ ექნება განსხვავებული ურთიერთობა თითოეულ მათგანთან. შეიძლება ზოგიერთი ინდივიდი კმაყოფილი აღმოჩნდეს ხელშეკრულების შესრულებით, ზოგიერთი კი არა, რაც კიდევ უფრო აბსურდულს გახდის სიტუაციას.

მაგრამ მთავარი, პრაგმატული არგუმენტი ჰობსისთვის ისაა, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ: თავისთავად „ხელშეკრულება მხოლოდ სიტყვა და ამონასუნთქია“ ანუ მას აზრი არა აქვს, თუ არ იარსებებს ძალა, რომელიც მის შესრულებას უზრუნველყოფს. ასეთი მხოლოდ სუვერენი შეიძლება იყოს. მაგრამ სახელმწიფოს მხოლოდ იმიტომ შეუძლია, ხელშეკრულების არბიტრის ფუნქცია შეასრულოს, თუ თვითონ არ არის ამ ხელშეკრულების მხარე, თუ მას გარედან და ზემოდან უყურებს. თუ თავად სუვერენს ხელშეკრულების მხარედ წარმოვიდგენთ, ვინ უნდა განსაჯოს, ასრულებს თუ არა ის ხელშეკრულების პირობებს? როგორც კი სუვერენის უფლებამოსილებას ეჭვის ქვეშ დავაყენებთ, ამით საფუძველს ვაცლით ყველანაირ ხელშეკრულებას და ვუბრუნდებით ბუნებით მდგომარეობას, სადაც ძალის გარდა, სხვა არგუმენტი არ არსებობს. ასეთ რამეს კი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ მოინდომებს.

ჰობსისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გააბათილოს კიდევ ერთი საფუძველი, რითაც ინდივიდმა შეიძლება ხელისუფლების მიმართ დაუმორჩილებლობა გაამართლოს, სახელდობრ, რელიგიური რწმენა. ადამიანმა შეიძლება თქვას, რომ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ღმერთთან დადებულ ხელშეკრულებას და ვერ უერთგულებს საერო ხელისუფლებას, თუ ეს უკანასკნელი ამ უფრო მაღალ მოვალეობასთან წინააღმდეგობაში შევა. ეს ჰობსის დროს მეტად აქტუალური თემა იყო, რადგან მეფე ჩარლზის წინააღმდეგ ჯანყს ბევრი ადამიანი სწორედ რელიგიური მოტივით შეუერთდა. ჰობსის არგუმენტი ამ შემთხვევაში ისაა, რომ „ღმერთთან ხელშეკრულება“ სინამდვილეში თვალთმაქცობაა, ტყუილია. მოკვდავ ადამიანს არ შეუძლია ღმერთთან ურთიერთობის დამყარება, ასეთი „კონტაქტი“ მხოლოდ სამღვდელოების მეშვეობით მყარდება, ანუ, რეალურად, ადამიანი კონკრეტული ეკლესიის ერთგულების მომიზეზებით უპირისპირდება ხელისუფლებას. მაგრამ როგორ უნდა დაამტკიცოს რომელიმე ეკლესიამ, რომ სწორედ მას აქვს კავშირი „ჭეშმარიტ ღმერთთან“, როდესაც ისეთივე პრეტენზიით გამოდის სხვა ეკლესიაც, კერძოდ ის, რომელიც სუვერენს უჭერს მხარს?

ამიტომ ჰობსი ემხრობოდა სახელმწიფო ეკლესიის არსებობას, რომელიც მთლიანად ემორჩილება საერო ხელისუფლებას. ამ გზით გამოირიცხება კონფლიქტი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რამაც, საბოლოოდ, სამოქალაქო ომი შეიძლება გამოიწვიოს. სწორედ ამის გამო დაუპირისპირდა ჰობსს ბევრი კონსერვატორი, რომელიც მასავით დაუშვებლად თვლიდა მეფის წინააღმდეგ აჯანყებას, მაგრამ არ ეთანხმებოდა ჰობსს იმაში, რომ ეკლესია საერო ხელისუფლების დანამატად ქცეულიყო.

შესაბამისად, ჰობსს დაუშვებლად მიაჩნდა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ეკლესიისგან განსხვავებული ღვთისმსახურება. თუმცა, ის აღიარებდა ინდივიდის სინდისის თავისუფლებას, ანუ საჭიროდ არ თვლიდა მის დასჯას მხოლოდ რელიგიური შეხედულებებისთვის, თუ ის არ ეცდებოდა სახელმწიფო ეკლესიის კონკურენციას და ამით საფუძველს არ ჩაუყრიდა საჯარო რელიგიურ კონფლიქტს, რაც, თავის მხრივ, პოტენციურ საფრთხეს შეუქმნიდა სამოქალაქო მშვიდობას.

როგორც ვხედავთ, ჰობსი დაუშვებლად თვლიდა სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვას ან მასთან რაიმე სახის საჯარო დაპირისპირებას. ის აბსოლუტური ძალაუფლების მომხრე იყო. მაგრამ მისი ძირითადი არგუმენტი იყო არა ხელისუფლების საკრალური ხასიათი, არამედ მისი ძირითადი ფუნქციის – ქვეშევრდომთა უსაფრთხოების დაცვის, ეფექტური შესრულება. ხელისუფლება შეიძლება შედარებით კარგი ან შედარებით ცუდი იყოს, მაგრამ მისი არსებობა ყოველთვის ჯობს არარსებობას, რადგან ყველაზე დაუცველი ადამიანი ბუნებით მდგომარეობაშია. ამით მან არსებითად შეცვალა ხელისუფლების ლეგიტიმურობაზე მსჯელობის შინაარსი: ხელისუფლების ლეგიტიმურობას მის მიერ გარკვეული საზოგადო სიკეთის, კერძოდ, უსაფრთხოების, მშვიდობის უზრუნველყოფა შეადგენს.

ლევიათანი

თავი XIII

კაცთა მოდგმის ბუნებით მდგომარეობაზე მის ბედნიერებასა და უბედურებასთან კავშირში

ბუნებამ იმდენად თანასწორნი შექმნა ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მხრივ, რომ, თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება სხვაზე აშკარად ღონიერი ან გონებაგახსნილი იყოს, საბოლოოდ ინდივიდები მაინც იმდენადაც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ვინმემ თქვას, მე რაღაც ისეთი სიკეთე მეკუთვნის, რაზეც სხვას ასეთივე პრეტენზია ვერ ექნებაო. სხეულის ძალა რომ ავიღოთ, ის ყველაზე სუსტსაც საკმარისი აქვს საიმისოდ, რომ ყველაზე ღონიერი მოკლას, თუკი რაიმე ფარულ ხრიკს მიმართავს ან იმას შეეკვრება, ვისაც ეს ღონიერი ადამიანი აგრეთვე საფრთხეს უქმნის.

რაც შეეხება გონებრივ შესაძლებლობებს, თუ გამოვრიცხავთ სიტყვის ხელოვნებას, განსაკუთრებით კი ზოგადი და უეჭველი წესებით ხელმძღვანელობის უნარს, მეცნიერებას რომ უწოდებენ – ეს უკანასკნელი ძალიან ცოტა ადამიანს აქვს და ისიც მხოლოდ ვიწრო სფეროში, თანაც ის ადამიანს თანდაყოლილად არ ეძლევა და არც სხვადასხვა საგნებზე დაკვირვებით უვითარდება, როგორც, მაგალითად, კეთილგონიერება, – მე ადამიანთა შორის კიდევ უფრო მეტად ვხედავ თანასწორობას, ვიდრე ფიზიკური ღონის მხრივ. კეთილგონიერება ხომ სხვა არაფერია, თუ არა გამოცდილება, რასაც ადამიანები თანაბარ დროში თანაბრად მოიპოვებენ, თუ ერთსა და იმავე საქმიანობას ეწევიან. ასეთი თანასწორობის დანახვას ხელს უშლის მხოლოდ გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ სიბრძნეზე, რაც თითქმის ყველა ადამიანს აფიქრებინებს, ვიღაც მდაბიოებზე უფრო ბრძენი ვარო – ამ მდაბიოებში კი ყველა შეგვყავს, გარდა საკუთარი თავისა და იმ რამდენიმე ადამიანისა, ვისაც სახელისა თუ ხშირი ურთიერთობის გამო უფრო მეტად ვაფასებთ. კაცის ბუნება ისეთია, რომ შეუძლია მრავალი სხვა მასზე გონებამახვილად, მჭევრმეტყველად ან ნასწავლად აღიაროს, მაგრამ უჭირს დაჯერება, რომ ბევრი სხვა მასავით გონიერია. ამის მიზეზი ისაა, რომ საკუთარ ჭკუას უშუალოდ აღვიქვამთ, სხვებისას კი – შორიდან. ეს ადასტურებს, რომ ადამიანები ამ ნიშნით უფრო თანასწორნი არიან, ვიდრე არათანასწორნი. რა უნდა იყოს უკეთესი მოწმობა რაიმე სიკეთის თანაბრად განაწილებისა, თუ არა ის, რომ თავისი წილი ყველას აკმაყოფილებს!

უნარების თანასწორობიდან მიზნების მიღწევის თანაბარი იმედიც გამომდინარეობს. ხოლო ამის გამო, თუ ორი კაცი მოინდომებს ერთსა და იმავე საგანს, რომელსაც ორივე ერთად ვერ ფლობს, ისინი ერთმანეთს სამტროდ ეკიდებიან. ამგვარად, როცა ადამიანები მიზნების მიღწევას ესწრაფვიან, რაც უპირატესად თვითგადარჩენა, ხანდახან კი – მხოლოდ სიამოვნებაა, ისინი ამავე დროს ერთმანეთის განადგურებას ან დამორჩილებას ცდილობენ. ამასთან, თავდამსხმელს შეუძლია ივარაუდოს, რომ მხოლოდ ადამიანის წინააღმდეგობა ექნება დასაძლევი; ხოლო ის, ვინც რაიმეს დათესავს, მოიმკის, ააშენებს ან სასურველ ნაკვეთს დაეპატრონება, უნდა ელოდოს, რომ სხვები მოემზადებიან და ერთად თავს დაესხმებიან, რათა გაძარცვონ და არა მხოლოდ მისი შრომის ნაყოფი, არამედ სიცოცხლეც ან თავისუფლება წაართვან. მაგრამ თავდამსხმელსაც, თავის მხრივ, ასეთივე საფრთხე მოელის.

ასეთი ურთიერთშიშის პირობებში საღად მოაზროვნე კაცს დაცულობის განცდა ვერ ექნება, თუ არ შეეცდება, ძალით ან ხერხით რაც შეიძლება მეტი სხვა ადამიანი დაიმორჩილოს, სანამ დამმუქრებელი აღარავინ დარჩება. ასეთი ქცევა საკუთარი თავის დაცვის აუცილებლობას არ სცდება და საზოგადოდ დასაშვებია. მაგრამ გარდა ამისა, ყოველთვის იქნებიან ისეთნიც, ვისაც სხვებზე გაბატონება საკუთარი ძალის დემონსტრირების გამო სიამოვნებს, ამიტომ ისინი უფრო შორს მიდიან ამ მხრივ, ვიდრე მათი უსაფრთხოება მოითხოვს. ამის გამო, ის ხალხიც, ვინც თავად მზადაა მშვიდად იცხოვროს გარკვეული საზღვრების შიგნით და არ სურს, სხვისი დამორჩილებით გაიფართოოს ძალაუფლება, დიდხანს ვერ გაიტანს თავს, თუ მხოლოდ თავდაცვას დასჯერდება. ამიტომ, რაკი სხვებზე ბატონობის სფეროს გაფართოება აუცილებელია ადამიანის თავდაცვისათვის, მას ამის უფლებაც უნდა ჰქონდეს.

კიდევ ერთხელ ვიტყვით: კაცთათვის სულაც არ არის სასიამოვნო, პირიქით, უამრავი ვაების მომტანია, ერთად იცხოვრონ ისეთი ძალის გარეშე, რომლის რიდიც ყველას ექნება. ყველა მოელის თანამოქალაქეთაგან ისეთ დაფასებას, როგორიც, თავისი აზრით, ეკუთვნით; ხოლო ვინც სხვათაგან აბუჩად აგდებას და უპატივცემულობას დაინახავს, ბუნებრივად შეეცდება, თუ ამას გაბედავს (ხოლო იქ, სადაც არ არსებობს კაცთა დამაოკებელი საერთო ძალაუფლება, ერთმანეთის განადგურებას არაფერი უშლით), აიძულოს სხვები, მეტი პატივისცემით მოეპყრან: ზოგს დასჯის, სხვებს კი ამით მაგალითს აჩვენებს.

ასე რომ, ადამიანის ბუნებაში კონფლიქტის სამ ძირითად წყაროს ვპოულობთ: პირველია შეჯიბრი, მეორე – შიში, მესამე კი – პატივმოყვარეობა.

პირველი უბიძგებს ადამიანს მოხვეჭისთვის, მეორე – უსაფრთხოებისთვის, მესამე კი – სახელისთვის დაესხას თავს სხვას. პირველ შემთხვევაში კაცი ძალადობას იყენებს იმისთვის, რომ სხვა ადამიანებს, მათ ცოლ-შვილსა და ნახირს დაეპატრონოს; მეორე შემთხვევაში – თავის დასაცავად; მესამეში, ისეთი წვრილმანებისთვის, როგორიცაა სიტყვა, ღიმილი, განსხვავებული აზრი ან უპატივცემულობის ნებისმიერი გამოხატულება, რომელიც ან უშუალოდ მისი პიროვ-

ნებისადმია მიმართული ან გაშუალებულად ეხება მის ახლობლებს, მეგობრებს, ერს, ამქარს ან გვარს.

აქედან ცხადია, რომ, სანამ ადამიანებს არა აქვთ საერთო ძალაუფლება, რომელიც ყველას მოწიწების მდგომარეობაში ამყოფებს, ისინი ომად წოდებულ ვითარებაში არიან და ეს არის ომი ყველა კაცისა ყველა სხვა კაცის წინააღმდეგ. რამეთუ **ომი** არ არის მხოლოდ ბრძოლის ან შერკინების მომენტი, ომი ჰქვია დროის იმ მონაკვეთს, როდესაც საკმარისად ცხადია ბრძოლის გზით დაპირისპირების ნება. მაშასადამე, დროის ცნება ისევე უნდა მივიჩნიოთ ომის ბუნების ნაწილად, როგორც ამას ამინდის შემთხვევაში ვაკეთებთ. როგორც ავდარს არ ვეძახით მხოლოდ ცალკეულ ჟინჟღლს თუ თქორს, არამედ რამდენიმე დღის განმავლობაში წვიმიან ამინდს, ასევე ომის არსია არა მხოლოდ ბრძოლა, არამედ გამოხატული მზაობა ბრძოლისთვის მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც მისგან დაცული არა ვართ. ყველა სხვა დროს კი **მშვიდობა** ჰქვია.

მაშასადამე, ყოველივე ის, რაც ითქმის დროზე, როცა ყველა ადამიანი ყველა სხვის მტერია, ითქმის იმ დროზეც, როდესაც ადამიანს არა აქვს უსაფრთხოების სხვა გარანტია, გარდა იმისა, რასაც საკუთარი ძალითა და გამჭრიახობით მოიპოვებს. ასეთ პირობებში არავინ შრომობს, რადგან მისი ნაყოფი გაურკვეველია, შესაბამისად, არ ხდება მიწის დამუშავება, არ მისდევენ ზღვაოსნობას ან საზღვაო ვაჭრობას, ფართოდ არ იშლება მშენებლობა, არ ქმნიან იარაღებს, რომელთა მეშვეობითაც დიდ საგნებს ადგილიდან დავძრავთ და გადავიტანთ; არ იძენენ ცოდნას მიწის ზედაპირის შესახებ, არ ზომავენ დროს, არ მისდევენ ხელოვნებას, არ ავითარებენ მწერლობას, არა აქვთ საზოგადოება, რაც ყველაზე უარესია, ადამიანებს მუდმივად ეშინიათ ძალადობრივი სიკვდილისა. კაცის ცხოვრება ეულია, ღარიბი, მწარე, ცხოველური და მოკლე.

ვისაც კარგად არ გაუაზრებია ყოველივე ეს, შეიძლება გაუკვირდეს, რომ ბუნება ასე აცალკევებს ადამიანებს და აგულიანებს მათ, ერთმანეთს თავს დაესხან და გაანადგურონ. ასეთებმა შეიძლება არ დაუჯერონ ჩემს დასკვნებს, რაკი ისინი ადამიანთა ვნებებიდან გამომაქვს, და გამოცდილების მეშვეობით მათი დასაბუთება მომთხოვონ. ასეთი პიროვნება თავის თავს დააკვირდეს: სამოგზაუროდ რომ მიდის, იარაღს ისხამს და ცდილობს, კარგი გამყოლი ახლდეს, დაძინების წინ კარს კეტავს, სკივრს მაშინაც კი ადებს ბოქლომს, როცა თავად შინაა, და ყოველივე ამას აკეთებს იმის მიუხედავად, რომ იცის: არსებობს კანონები და შეიარაღებული საჯარო ოფიცრები, რომლებიც პასუხს აგებინებენ ყველას, ვინც მას ზიანს მიაყენებს. რა წარმოდგენა აქვს ასეთ ადამიანს თანამემამულეებზე, როცა სამოგზაუროდ იარაღდება; თანამოქალაქეებზე, როცა სახლის კარებს რაზავს; შვილებსა და მოსამსახურეებზე, როცა სკივრს ბოქლომს ადებს? განა ის საქმით ისეთსავე ბრალდებებს არ უყენებს კაცთა მოდგმას, როგორსაც მე სიტყვით ვუყენებ? მაგრამ არც ერთი ჩვენგანი ამ დროს ადამიანის ბუნებას არ ამტყუნებს. ადამიანის სურვილები და ნაირნაირი ვნებები თავისთავად ცოდვა არ არის. ამ ვნებებიდან მომდინარე, ქმედებაც ცოდვად ვერ ჩაითვლება, თუ ჩამდენმა არ

იცის, რომ მათი ამკრძალავი კანონი არსებობს: მაგრამ ეს მას ვერ ეცოდინება, სანამ კანონები არ შექმნილა, ხოლო კანონები ვერ დაიწერება, სანამ ადამიანები არ შეთანხმდებიან, ვის ეკუთვნის მათი დაწერა.

კაცმა შეიძლება სხვათა შორის გაიფიქროს, რომ არასოდეს ყოფილა დრო თუ ვითარება, როდესაც ადამიანები ასე, ომის მდგომარეობაში ცხოვრობდნენ. მეც მწამს, რომ მთელი მსოფლიო ასეთ დღეში არასოდეს ყოფილა. მაგრამ ბევრგან ადამიანებს დღესაც ამგვარად უწევთ ცხოვრება. ამერიკის ბევრ ნაწილში ველურ ხალხს სულ არ ჰყავს მთავრობა, თუ არ ჩავთვლით პატარა გვარების წინამძღოლებს, რომელთა თანხმობა ბუნებით ლტოლვებზეა დამყარებული. მათი ცხოვრება დღესაც ისეთივე ცხოველურია, როგორც ზემოთ აღვწერე. ესეც რომ არ იყოს, ისეთ არსებობაზე, როდესაც ხალხს ერთი მთავრობის შიში არა აქვს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, როგორ გადაგვარდება მშვიდობიანი ხელისუფლების პირობებს შეჩვეულ ადამიანთა ცხოვრება მას შემდეგ, რაც ისინი სამოქალაქო ომის მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

თუმცა არასოდეს ყოფილა დრო, როდესაც ცალკეული ადამიანები ერთმანეთის მიმართ ომის მდგომარეობაში ყოფილან, ყველა ეპოქაში მეფეები და სუვერენული ძალაუფლების მქონე პირები, მათი დამოუკიდებლობის გამო, მუდამ ერთმანეთის ქიშპში არიან და გლადიატორებივით ერთმანეთს იარაღითა და მზერით ემუქრებიან: სწორედ ამის მაჩვენებელია მათ სამეფოთა საზღვრებზე აღმართული ციხესიმაგრეები, მათი გარნიზონები, თოფები და მეზობლის ზურგში გაგზავნილი მსტოვრები. ეს საომარი დგომია. მაგრამ რაკი ისინი, ამავე დროს, თავიანთი ქვეშევრდომების გარჯას იცავენ, მათი დაპირისპირება ცალკეულ ადამიანებს არ აუბედურებს.

ყოველი ადამიანის ყველა სხვის წინააღმდეგ ომის მდგომარეობიდან გამომდინარეობს ისიც, რომ უსამართლო მასში ვერაფერი იქნება. ბოროტებისა და სიკეთის, სამართლიანობისა და უსამართლობის ცნებები აქ უადგილოა. სადაც არ არის საერთო ხელისუფლება, არ არის კანონიც; სადაც არ არის კანონი, ვერც უსამართლობა იქნება. ომში ორი ყველაზე დიდი სიქველე ძალა და ეშმაკობაა. სამართლიანობა და უსამართლობა არც სხეულებრივი უნარია და არც გონებრივი: სხვა შემთხვევაში ისინი ამქვეყნად მარტო მცხოვრებ ადამიანსაც ისევე უნდა ჰქონოდა, როგორც შეგრძნებები და ვნებები. ეს ის თვისებებია, რაც მხოლოდ საზოგადოებაში მცხოვრებ და არა მარტოხელა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. ამავე პირობებიდან გამომდინარე, იგულისხმება ისიც, რომ ამ მდგომარეობაში ვერ იარსებებს საკუთრება, ვერც რაიმეს უფლება, ვერც ჩემისა და შენის გარჩევა. ყოველი ადამიანისა იქნება მხოლოდ ის, რაც მან მოიპოვა და მხოლოდ მანამ, სანამ მისი შენარჩუნება შეეძლება. ამით საკმარისი ვთქვით იმ ცუდ მდგომარეობაზე, რომელშიც ადამიანს ბუნება აყენებს, – თუმცა, ამავე დროს, მისგან გამოსვლის შანსსაც უტოვებს, რაც ნაწილობრივ მის ვნებებს, ნაწილობრივ კი გონებას ემყარება.

ვნებები, რომლებიც ადამიანს მშვიდობისკენ უბიძგებს, არის სიკვდილის შიში, კომფორტული ცხოვრებისთვის საჭირო ნივთების ქონის სურვილი და იმე-

დი, რომ საკუთარი გარჯით შეიძლება მათი მოპოვება. გონება კი სთავაზობს მშვიდობის გამოსადეგ პირობებს, რომელთა შესახებაც ადამიანებს შეთანხმება შეეძლებათ. ამ პირობებს მე **ბუნებით კანონებს** ვუწოდებ და მათზე უფრო დაწვრილებით მომდევნო ორ თავში ვილაპარაკებ.

თავი XIV
პირველი და მეორე ბუნებითი კანონებისა და ხელშეკრულების შესახებ

ბუნებითი უფლება, რომელსაც ავტორები, ჩვეულებრივ, *jus naturales*-ს უწოდებენ, არის ადამიანის თავისუფლება, გამოიყენოს საკუთარი ძალა ისე, როგორც სურს, საკუთარი ბუნების ანუ სიცოცხლის შესანარჩუნებლად და, შესაბამისად, მოიმოქმედოს ნებისმიერი რამ, რაც, მისი მოსაზრებითა და განსჯით, ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა.

თავისუფლება, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, გულისხმობს გარე შეზღუდვების არარსებობას. ასეთი შეზღუდვები ნაწილობრივ ართმევს ადამიანს შესაძლებლობას, გააკეთოს ის, რაც სურს, მაგრამ ხელს ვერ შეუშლის, გამოიყენოს დარჩენილი შესაძლებლობები ისე, როგორც მისი განსჯა და გონება უკარნახებს.

ბუნებითი კანონი – *lex naturalis,* არის მოთხოვნა ან გონებით მიკვლეული ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც ადამიანს ეკრძალება გააკეთოს ისეთი რამ, რაც მის სიცოცხლეს ხელყოფს ან ვერ შეაძლებინებს მას ამ უკანასკნელის დაცვას და ხელი აიღოს იმ საშუალებებზე, რაც, მისი აზრით, საუკეთესოა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თუმცა ისინი, ვინც ამ საგანზე მსჯელობს, ხშირად ერთმანეთში ურევს *jus*-ს და *lex*-ს უფლებასა და კანონს. მათი გარჩევა აუცილებელია, რადგან **უფლება** რამის გაკეთების ან რაიმესგან თავის შეკავების თავისუფლებაა, ხოლო **კანონი** გვიდგენს და გვავალდებულებს ქცევის ამა თუ იმ წესს. ასე რომ, კანონი და უფლება ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც მოვალეობა და თავისუფლება, რომელნიც არ შეიძლება ერთსა და იმავე საგანთან მიმართებაში გავაიგივოთ.

როგორც ეს წინა თავში გაცხადდა, კაცის მდგომარეობა არის ომი ყველასი ყველა სხვის წინააღმდეგ, ხოლო ამ დროს ყველა თავისი გონების კარნახს მისდევს და არაფერია ისეთი, რისი გაკეთებაც კაცს მტერთან ბრძოლაში სიცოცხლის შესანარჩუნებლად ეკრძალებოდეს. მაშასადამე, ასეთ მდგომარეობაში ყველა ადამიანს ყველაფრის უფლება აქვს, მათ შორის მეორის სხეულის ხელყოფისა. აქედან გამომდინარე, სანამ ძალაშია ბუნებითი კანონი, რომლის თანახმადაც ადამიანს ყველაფრის უფლება აქვს, ვერც ერთი მათგანი ვერ იქნება დარწმუნებული, რომ იმდენ ხანს იცოცხლებს, რამდენიც მისთვის ბუნებას დაუდგენია. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა ან გონების ზოგადი წესი, რომ *ყოველი კაცი უნდა ესწრაფვოდეს მშვიდობას, რამდენადაც მისი მოპოვების იმედი აქვს; ხოლო*

თუ მშვიდობის მოპოვება არ ძალუძს, მას შეუძლია ომის ყველა ხერხი და გზა ეძებოს და გამოიყენოს. ამ წესის პირველი ნაწილი შეიცავს პირველ და ძირეულ ბუნებით კანონს, რაც გულისხმობს მშვიდობის ძიებას და მის შესაფერის ქცევას; მეორე კი ბუნებითი უფლების შეჯამებაა და ამბობს, რომ ნებისმიერი საშუალებით შეგვიძლია თავის დაცვა.

ბუნების ამ ძირეული კანონიდან, რომელიც ყველა ადამიანისგან მშვიდობის ძიებას მოითხოვს, გამომდინარეობს მეორე კანონი: *თუ სხვებსაც აღმოაჩნდათ იგივე სურვილი, ადამიანი მზად უნდა იყოს, რამდენადაც მშვიდობისა და თავდაცვისთვის საჭიროდ მიიჩნევს, ხელი აიღოს თავის საყოველთაო უფლებაზე და დაკმაყოფილდეს იმდენი თავისუფლებით სხვა ადამიანებთან მიმართებაში, რამდენსაც ის სხვა ადამიანებში დაუშვებს საკუთარი თავის მიმართ.* რადგან, სანამ ადამიანები ინარჩუნებენ თავისუფლებას, აკეთონ ის, რაც მოესურვებათ, ყველანი ერთმანეთთან ომის მდგომარეობაში არიან. მაგრამ თუ სხვები მასავით არ იტყვიან უარს თავის უფლებაზე, მაშინ ვერც ერთ ადამიანს ვერ მოვთხოვთ, თავისი დათმოს, რადგან ამ შემთხვევაში ის მშვიდობისთვის კი არ ემზადება, არამედ მძარცველთა წინაშე დაუცველი რჩება, ამას კი ვერავის მოვთხოვთ. ეს სახარების კანონია: მოექეცით სხვა ადამიანებს ისე, როგორც თქვენ გინდათ, რომ ისინი მოგექცნენ.[1] და ეს არის ყველა კაცის კანონი: *quod tibi fieri non vis, alteri ne feceris.*[2]

კაცის მიერ რაიმე *უფლების დათმობა* ნიშნავს იმას, რომ იგი *უარს ამბობს თავისუფლებაზე*, ხელი შეუშალოს სხვას, იგივე უფლება თავის სასიკეთოდ გამოიყენოს. ის, ვინც უარს ამბობს ან ხელს იღებს რაიმე უფლებაზე, ამით რომელიმე სხვა ადამიანს კი არ ანიჭებს უფლებას, რომელიც მას მანამდე არ ჰქონია – რადგან არაფერია ისეთი, რისი უფლებაც ადამიანს ბუნებით არა აქვს – არამედ უბრალოდ წინ აღარ აღუდგება მას, საშუალებას აძლევს ამ მეორე ადამიანს, მისივე ძირეული უფლება მისგან (მაგრამ არა საზოგადოდ სხვა ადამიანებისაგან), დაუბრკოლებლად გამოიყენოს. ასე რომ, ადამიანისთვის მომგებიანია, თუ სხვები თავის უფლებაზე ხელს აიღებენ, რადგან ის ამდენადვე შეამცირებს დაბრკოლებას საკუთარი პირველადი უფლების განსახორციელებლად.

უფლების დათმობა ხდება ან უბრალოდ, მასზე ხელის აღებით, ან მისი სხვისთვის გადაცემით. უბრალოდ **ხელის აღება** ნიშნავს, რომ ადამიანს არ აინტერესებს, ვინ იხეირებს მისი გადაწყვეტილებით. **გადაცემასთან** საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც მას საკუთარი გადაწყვეტილებიდან მომდინარე სარგებელი რომელიმე პიროვნების თუ პიროვნებებისთვის აქვს განსაზღვრული. როდესაც ადამიანმა ამა თუ იმ სახით უარი თქვა თავის უფლებაზე ან ის სხვას უბოძა, მაშინ ის ვალდებულია, მისი გამოყენება არ დაუშალოს იმ ხალხს, ვისაც ეს უფლება გადასცა ან ვის სასარგებლოდაც მასზე უარი თქვა. მას **მართებს**, მისი **მოვალეობაა**, საკუთარი ნებით მიღებული ეს გადაწყვეტილება აღარ გააუქმოს, ხოლო მისი მხრიდან ასეთი დაბრკოლების შექმნა მას შემდეგ, რაც უფლებაზე ხელი აქვს აღებული ან იგი სხვას გადასცა, იქნებოდა უსამართლობა ან ზიანის მიყენება,

ანუ *sine jure*[3] ქმედება. ზიანის მიყენება ან უსამართლობა საერო დავებში დაახლოებით იმას ჰგავს, რასაც მეცნიერთა კამათებში უაზრობას უწოდებენ. ისევე, როგორც მსჯელობის პროცესში უაზრობაა თქვა იმის საპირისპირო, რასაც თავიდან ამტკიცებდი, ასევე საზოგადოებრივ საქმეებში უსამართლობად და ზიანის მიყენებად მიიჩნევა ისეთი ქცევა, როდესაც ნებაყოფლობით აუქმებ იმას, რასაც საკუთარი ნებით აკეთებ. გზა, რითაც ადამიანი, უბრალოდ, ხელს იღებს თავის უფლებაზე ან სხვას გადასცემს მას, არის განცხადება ან რაიმე ნებაყოფლობითი და საკმარისი ნიშნით თუ ნიშნებით მითითება, რომ იგი უფლებას თმობს ან სხვას გადასცემს. ეს ნიშნები ან მხოლოდ სიტყვებია, ან მხოლოდ ქმედებები, ხშირად კი, ერთდროულად სიტყვებიცა და ქმედებებიც. ეს უკანასკნელნი შეადგენენ **დანაკისრებს**, რითაც ადამიანი შეზღუდული და მოვალე რჩება. ამ დანაკისრების ძალა მომდინარეობს არა ბუნებიდან – რადგან არაფერია უფრო ადვილი გასატეხი, ვიდრე კაცის სიტყვა – არამედ შიშიდან, რომ მოვალეობის შეუსრულებლობას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს.

როდესაც ადამიანი რაიმე უფლებას სხვას გადასცემს ან მასზე ხელს იღებს, ის ამას აკეთებს იმის გამო, რომ თავად იღებს ტოლფას უფლებებს ან რაიმე სხვა ხეირს ელის. რამეთუ ეს ნაბაყოფლობითი ქმედებაა, ხოლო ადამიანის ყველა ნებაყოფლობითი ქმედების მიზანია *საკუთარი თავისთვის რაიმე სიკეთის მოპოვება*. მაშასადამე, არსებობს გარკვეული უფლებები, რომელთა შესახებაც ადამიანი ვერანაირი სიტყვით ან ნიშნით ვერ გაგვაგებინებს, რატომ უნდა უნდოდეს მათი დათმობა ან გადაცემა. პირველ ყოვლისა, კაცი ვერ დათმობს უფლებას, წინააღმდეგობა გაუწიოს იმას, ვინც მას ძალადობით თავს ესხმის მოსაკლავად, რადგან გაუგებარია, რა სარგებელს შეიძლება ელოდეს ის ასეთი დათმობით. იგივე ითქმის [იმაზე, რომ ადამიანი არ გაუძალიანდეს თავდასხმას, რომლის შედეგადაც] მას დაჭრიან, ბორკილებს დაადებენ და საპყრობილეში ჩააგდებენ: ასეთი რამის ატანით კაცი ვერ მიიღებს სარგებელს, განსხვავებით იმ ვითარებისგან, როცა ის სხვის დაჭრას თუ დატყვევებას ეგუება. გარდა ამისა, როცა სხვები მასზე ძალადობით მიიწევენ, ის წინასწარ ვერ იტყვის, უნდათ თუ არა მისი მოკვლა. საბოლოოდ, უფლების დათმობის ან გადაცემის მოტივი და მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის პიროვნული უსაფრთხოება იმ თვალსაზრისით, რომ მას ჰქონდეს საშუალება, დაიცვას თავისი სიცოცხლე და ისე შეინახოს თავი, რომ სიცოცხლე არ მობეზრდეს. მაშასადამე, თუ ადამიანი სიტყვით ან რაიმე ნიშნით უარს იტყვის იმ მიზანზე, რისთვისაც ეს ნიშანი იყო განკუთვნილი, ვერ ჩავთვლით, რომ ის ამას ნამდვილად გულისხმობდა ან ასეთი იყო მისი ნება: უნდა მივიჩნიოთ, რომ მას არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა გაეგოთ მისი სიტყვები ან ნიშნები.

უფლების ურთიერთგადაცემა არის ის, რასაც **ხელშეკრულებას** ეძახიან.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ რაიმე საგნის მიმართ უფლების გადაცემა და თავად ამ საგნის გადაცემა ანუ მიწოდება. საგნის მიწოდება შეიძლება უფლების გადაცემასთან ერთად, როგორც ხდება ნაღდი ფულით რაიმეს ყიდვა-

გაყიდვის, საქონლის თუ მიწის გაცვლისას. ნივთის მიწოდება შეიძლება მოგვიანებითაც მოხდეს.

შესაძლოა, ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ გარკვეული ვადით გადადოს საგნის მიწოდება, რაც მისი ვალდებულებაა, და ასევე გადაავადოს მეორე მხარის მიერ მისი დანაკისრის შესრულებაც. ამ პერიოდში ის მეორე მხარის ნდობით სარგებლობს. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულებას პაქტი ან გარიგება შეიძლება ვუწოდოთ. ორივე მხარე შეიძლება შეთანხმდეს, რომ მოგვიანებით შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ამ შემთხვევაში ის, ვინც გარკვეულ ვადამდე რაღაც მოქმედება უნდა შეასრულოს, ნდობით სარგებლობს, მის მიერ ამ მოქმედების აღსრულება *პირობის შესრულება* ანუ ნდობის გამართლებაა, – ამ მოქმედების ნებაყოფლობით შეუსრულებლობას კი *პირის გატეხა* ჰქვია.

თავი XV
სხვა ბუნებითი კანონების შესახებ

იმ ბუნებითი კანონიდან, რაც გვავალდებულებს, სხვას გადავცეთ იმგვარი უფლებები, რაც, შენარჩუნების შემთხვევაში, კაცთა შორის მშვიდობას საფრთხეს შეუქმნის, გამომდინარეობს მესამე, სახელდობრ: *ადამიანები ასრულებენ დადებულ ხელშეკრულებებს*. ამის გარეშე, ხელშეკრულების დადებას აზრი არა აქვს, ისინი ოდენ ლიტონი სიტყვებია, მაშასადამე, ადამიანები ყველა უფლებას ინარჩუნებენ და ომის მდგომარეობაში ვრჩებით.

ამ ბუნების კანონშია სამართლის დასაბამი და წყარო. რადგან იქ, სადაც ხელშეკრულება არ დადებულა, უფლებაც არ გადაცემულა და ყველასთვის ყველაფერია დასაშვები; აქედან გამომდინარე, უსამართლო ვერაფერი იქნება. მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება დაიდო, მისი დარღვევა *უსამართლოა*; უსამართლობას კი სხვა ვერანაირად ვერ განვსაზღვრავთ, თუ არა როგორც *ხელშეკრულების შეუსრულებლობას*. ხოლო ყველაფერი, რაც არ არის უსამართლო, სამართლიანია.

მაგრამ, როგორც წინა თავშიც ვთქვით, თუ ერთ-ერთ მხარეს მაინც ხელშეკრულების შეუსრულებლობისა ეშინია, ურთიერთშეთანხმება ძალას კარგავს. თუმცა სამართლის ძირი ხელშეკრულების დადებაა, უსამართლობაზე საუბარს მხოლოდ მას შემდეგ აქვს აზრი, რაც ამ შიშს საფუძველი გამოეცლება, ეს კი შეუძლებელია, სანამ ადამიანები ომის ბუნებით მდგომარეობაში არიან. ამგვარად, სამართლიანისა და უსამართლოს ცნებების დამკვიდრებამდე უნდა არსებობდეს ძალა, რომელიც ყველას თანაბრად აიძულებს საკუთარი შეთანხმების დაცვას იმგვარი სასჯელის შიშით, რომელიც ხელშეკრულების დარღვევისგან მოსალოდნელ სარგებელს აღემატება და სინამდვილედ აქცევს წესრიგს, რომელთაც ხალხი ურთიერთშეთანხმებით ადგენს თავის საყოველთაო უფლებებზე უარის თქმის სანაცვლოდ. ასეთი ძალა კი სახელმწიფოს შექმნამდე ვერ იარსებებს. იგივე დასკვ-

ნა შეიძლება გამოვიყვანოთ სამართლის ჩვეულებრივი განსაზღვრებიდან, რასაც სკოლებში ასწავლიან: მის მიხედვით, *სამართალი არის მყარი ნება, თითოეულს მისცე ის, რაც ეკუთვნის*. მაშასადამე, სადაც არ არის კუთვნილება – ანუ მართებულობა – ვერც უსამართლობა იქნება; ხოლო სადაც არ დამკვიდრებულა მაიძულებელი ძალა – ანუ არ არის სახელმწიფო, ვერც მართებულობაზე ვისაუბრებთ, რადგან ყველას ყველაფრის უფლება რჩება. ასე რომ, სამართლის ბუნება კანონიერი ხელშეკრულებების დაცვაა; მაგრამ ხელშეკრულებების კანონიერება მხოლოდ მას შემდეგ დგინდება, რაც ჩამოყალიბდება სამოქალაქო ხელისუფლება, რომელსაც ძალა შესწევს, მათი შესრულება იძულების გზით უზრუნველყოს; მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი წესრიგი. [...]

თავი XVI
პიროვნებებზე, ავტორებსა და წარმოდგენილ საგნებზე

[...] ადამიანთა სიმრავლე *ერთ* პიროვნებად იქცევა, როცა იგი წარმოდგენილია ერთი ადამიანით ან ერთი პიროვნებით, თანაც ისე, რომ ეს ამ სიმრავლეში შემავალი თითოეული წევრის თანხმობით ხდება, რამეთუ წარმომადგენლის და არა წარმოდგენილთა *ერთობაა*, რაც პიროვნებას ერთად აქცევს. მხოლოდ წარმომადგენელია პიროვნების, ამასთან მხოლოდ ერთი პიროვნების, მატარებელი; სხვაგვარად, *ერთობა* სიმრავლეში წარმოუდგენელია.

რადგან სიმრავლე თავისი ბუნებით ბევრია და არა ერთი, მისი წარმომადგენლები ჩაითვლებიან მრავალ და არა ერთ ავტორად ყოველივე იმისა, რასაც მათი წარმომადგენელი მათი სახელით ამბობს ან აკეთებს. ყოველი ადამიანი საერთო წარმომადგენელს აძლევს რწმუნებას (ავტორიზაციას) საკუთარი თავის მხრიდან და ფლობს ყველა მოქმედებას, რომელსაც მისი წარმომადგენელი სჩადის, თუ მათი რწმუნება შეზღუდული არ არის. სხვა შემთხვევაში, როცა ისინი ზღუდავენ მას იმაში, რაშიც და სადამდეც შეუძლია მათი წარმოდგენა, არც ერთი [წარმომადგენელი] არ ფლობს იმაზე მეტს, ვიდრე ის, რისი გაკეთების მანდატიც მისცეს.

ხოლო თუ წარმომადგენელი მრავალი ადამიანისგან შედგება, მეტი ხმა ყველა მათგანის ხმად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, თუ მცირე ნაწილი გამოთქვამს თანხმობას, ხოლო უმრავლესობა – უთანხმოებას, **უარი** საჭიროზე მეტი იქნება იმისთვის, რომ **ჰო** გააქარწყლოს. მაშასადამე, **არა**-ს უპირატესობას აღარაფერი უპირისპირდება და ის წარმომადგენლის ერთადერთ ხმად იქცევა.

თავი XVII
სახელმწიფოს მიზეზებზე, წარმოშობასა და განსაზღვრებაზე

საბოლოო მიზეზი, მიზანი თუ ჩანაფიქრი, რის გამოც თავისუფლებისა და ბუნებით სხვებზე ბატონობის მოყვარული ადამიანები იმგვარად იზღუდავენ თავს, როგორც ამას თანამედროვე სახელმწიფოებში ვხედავთ, თვითშენახვის და მშვიდი ცხოვრების მოლოდინია. სხვა სიტყვებით, მათ უნდათ, ამ გზით თავი დააღწიონ ომის იმ უბადრუკ მდგომარეობას, რაც, როგორც ვაჩვენეთ (თ. 13), აუცილებლად გამომდინარეობს ადამიანის ბუნებრივი მისწრაფებებიდან ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს თვალსაჩინო ძალა, რაც მათ მოწიწებაში ამყოფებს და სასჯელის შიშით აიძულებს, დაემორჩილონ მათსავე ხელშეკრულებას და მე-14 და მე-15 თავებში ჩამოყალიბებულ ბუნებით კანონებს.

ისეთი ბუნებითი კანონები, როგორიცაა სამართლიანობა, თანასწორობა, თავმდაბლობა, გულმოწყალება, მოკლედ, სხვის მიმართ ისე მოქცევა, როგორც გვინდა, რომ ჩვენ მოგვექცნენ, ცხადია, მათი შესრულების მაიძულებელი ძალის მიმართ ძრწოლის გარეშე, ეწინააღმდეგება ჩვენს ბუნებით ვნებებს, რომლებიც მიკერძოებისკენ, გულზვიადობისკენ, შურისძიებისა და მსგავსი ქცევისკენ გვიბიძგებენ. ხმლის გარეშე შეთანხმებები ოდენ სიტყვებია და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარი არა აქვს. მაშასადამე, რასაც არ უნდა ითხოვდეს ბუნების კანონები (რომელთაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიცავთ, თუნდაც ამის სურვილი გვქონდეს, თუ ეს საფრთხეს არ მოგვიტანს), თუ არ იარსებებს ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკმარისი ძალაუფლება, მაშინ ყველა ადამიანი სრული უფლებით დაეყრდნობა საკუთარ ძალას და მოხერხებას სხვა ადამიანებისაგან თავის დასაცავად. [...]

ერთადერთი გზა ასეთი საერთო ძალაუფლების შექმნისა, რომელიც შეძლებს, დაიცვას ადამიანები უცხოელთა შემოსევებისა თუ ერთმანეთის მიმართ ვნების მიყენებისაგან და საშუალებას მისცემს მათ, საკუთარი შრომითა და მიწის ნაყოფთა გამოყენებით გამოიკვებონ და დამაკმაყოფილებელი ცხოვრება ჰქონდეთ, არის ადამიანთა მთელი ძალისა და შეძლების გადაცემა ერთი კაცისთვის ან საკრებულოსთვის, რომელიც თავისი წევრების ნებებს ხმის უმრავლესობით ერთ ნებას დაუქვემდებარებს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმა მათი სახელით სამოქმედოდ უნდა დანიშნონ ერთი კაცი ან საკრებულო, და თითოეულმა ყველა იმ მოქმედების მფლობელად და ავტორად უნდა გამოაცხადოს თავი, რასაც იგი ჩაიდენს ან სხვას ჩაადენინებს საერთო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად. ამით მათ თითოეულის ნება მის ნებას უნდა დაუქვემდებარონ, თითოეულის განსჯა – მის განსჯას. ეს მეტია, ვიდრე თანხმობა ან ერთსულოვნება: ეს მათი ნამდვილი გაერთიანებაა ერთსა და იმავე პიროვნებაში, რაც ყველა ადამიანის ყველა სხვასთან შეთანხმებით ხდება. ეს ისე ხდება, თითქოს თითოეულ ადამიანს თითოეული სხვისთვის ეთქვას: მე ამ კაცს, ან ადამიანთა ამ საკრებულოს, რწმუნებას ვაძლევ და ვუთმობ ჩემი თავის მართვის

უფლებას იმ პირობით, თუ შენც გადასცემ მას ასეთსავე უფლებას და ასეთსავე რწმუნებას. ამის შემდეგ, ერთ პიროვნებად გაერთიანებულ სიმრავლეს ერქმევა **სახელმწიფო** *(commonwealth)*, ლათინურად – *civitas.* ამრიგად, იქმნება ის დიადი **ლევიათანი** (ან, უფრო მოწიწებით თუ ვიტყვით, *მოკვდავი ღმერთი*), რომელსაც უკვდავი ღმერთის ხელში, მშვიდობასა და უსაფრთხოებას ვუმადლით. რაკი ამ რწმუნების ძალით, რაც მას სახელმწიფოში თითოეული ადამიანისაგან აქვს მინიჭებული, მას იმდენი უფლება და ძალა აქვს, რომ, ამ ძალისადმი შიშზე დაყრდნობით, შეუძლია ყველა მათგანის ნება მიმართოს საშინაო მშვიდობის მისაღწევად და გარე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთის დასახმარებლად. სწორედ ამაშია სახელმწიფოს არსი, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც *ერთი პიროვნება,* რომლის მოქმედების ავტორადაც თავი გამოაცხადა მრავალმა, ვინც ერთმანეთს შეუთანხმდა იმის თაობაზე, რომ მას შეუძლია ყველა მათგანის ძალა და უნარები გამოიყენოს ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის მშვიდობისა და საერთო უსაფრთხოებისათვის. ამგვარ პიროვნებას ჰქვია **სუვერენი** და მას სუვერენული ძალაუფლება მიეწერება; ყველა სხვა კი მისი **ქვეშევრდომია**.

სუვერენული ძალაუფლების მოპოვება ორგვარი გზით არის შესაძლებელი. ერთ შემთხვევაში ეს ხდება ბუნებრივი ძალით, იმის მსგავსად, როგორც კაცი აიძულებს თავის შვილებს, თვითონაც და მათი შვილებიც მის მმართველობას დაუქვემდებაროს, რადგან უარის შემთხვევაში მათი განადგურება შეუძლია. ასევე, კაცს შეუძლია, ომით დაიმორჩილოს სხვები მათი სიცოცხლის შენარჩუნების პირობით. მეორე გზა ისაა, როდესაც ადამიანები თავისი ნებით თანხმდებიან, დაემორჩილონ ერთ ადამიანს ან ადამიანთა საკრებულოს იმის რწმენით, რომ ისინი მათ ყველა სხვისგან დაიცავენ. ამ უკანასკნელს შეგვიძლია, ვუწოდოთ პოლიტიკური სახელმწიფო, ან *დაწესების* გზით შექმნილი სახელმწიფო, პირველს კი – მოხვეჭის გზით შექმნილი სახელმწიფო. თავდაპირველად დაწესების გზით შექმნილ სახელმწიფოზე ვისაუბრებ.

თავი XVIII
დაწესებით შექმნილი სუვერენის უფლებები

სახელმწიფო დაწესებულად ითვლება, თუკი *მრავალი* ადამიანი თანხმდება და *თითოეული მათგანი ხელშეკრულებას დებს სხვა თითოეულთან* იმაზე, რომ ვისაც არ უნდა მიანიჭოს მათმა უმრავლესობამ ყველა მათგანის პიროვნების *წარმოდგენის უფლება* (*ადამიანს* თუ *საკრებულოს*) – ანუ ვინც არ უნდა გახადონ თავის *წარმომადგენლად* – ყველამ, იმისდა მიუხედავად, ამ წარმომადგენელს *მისცა ხმა* თუ *მისი წინააღმდეგი იყო*, უნდა მოახდინოს ამ კაცის თუ საკრებულოს ყველა ქმედებისა თუ გადაწყვეტილების *ავტორიზაცია* ისე, თითქოს ის თავად

მათი ყოფილიყოს, [ანუ თავად მათ ემოქმედოთ] ერთმანეთში მშვიდობის შენარჩუნებისა და სხვა ადამიანთაგან თავდაცვის მიზნით.

სახელმწიფოს ამ დაწესებიდან წარმოდგება ყველა უფლება და უნარი იმ ადამიანისა თუ საკრებულოსი, ვისაც გაერთიანებული ადამიანების თანხმობით სუვერენული ძალაუფლება მიენიჭა. პირველ რიგში, რაკი ისინი ხელშეკრულებას დებენ, წინასწარ იგულისხმება, რომ არ არიან შეზღუდულნი რაიმე წინა ხელშეკრულებით, რომელიც ახლის საწინააღმდეგოს გააკეთებინებდა. შესაბამისად, თუ მათ უკვე დააწესეს სახელმწიფო და ხელშეკრულებით ევალებათ მისი მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების მფლობელები იყვნენ, ისინი სახელმწიფოს ნებართვის გარეშე ერთმანეთთან კანონიერად ვეღარ დადებენ ახალ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც სხვას დაემორჩილებიან ნებისმიერ სფეროში. მაშასადამე, ისინი, ვინც უკვე მონარქის ქვეშევრდომია, მისი წასვლის გარეშე ვერ უარყოფენ მონარქიას და ვერ დაუბრუნდებიან კავშირის არმქონე სიმრავლის თავაშვებულობას და ვერც საკუთარ პიროვნებას წაართმევენ იმას, ვინც მისი მატარებელია და სხვა ადამიანს ან საკრებულოს ვერ გადასცემენ. რადგან მათ – ყოველ ადამიანს ყოველი სხვის წინაშე – აღებული აქვთ ვალდებულება, იყვნენ მფლობელნი და აღიარებული ავტორნი ყოველივე იმისა, რასაც მათი უკვე არსებული სუვერენი გააკეთებს ან საჭიროდ ჩათვლის, რომ გააკეთოს. [სხვანაირად გამოდის, რომ] თუ ერთი ადამიანი გამოთქვამს უთანხმოებას, ყველა სხვამ უნდა დაარღვიოს მასთან დადებული ხელშეკრულება, რაც უსამართლობაა. გარდა ამისა, ყოველმა მათგანმა გადასცა სუვერენიტეტი იმას, ვინც მათი პიროვნების მატარებელია, ასე რომ, თუ მათ იგი დაამხეს, წაართმევენ იმას, რაც მას ეკუთვნის, ეს კი ისევ უსამართლობაა. გარდა ამისა, თუკი სუვერენი მოკლავს ან დასჯის იმას, ვინც მის დამხობას შეეცდება, ასეთი მცდელობის გამო, ის თავისივე სასჯელის მფლობელია, რადგან ის, დაწესების პირობების თანახმად, ავტორია ყოველივე იმისა, რასაც სუვერენი ჩაიდენს. ხოლო რაკი ადამიანის მხრიდან უსამართლობაა, მოიმოქმედოს რაღაც ისეთი, რისთვისაც მისივე [რწმუნების მქონე] ხელისუფლებამ შეიძლება დასაჯოს, ის ამ თვალსაზრისითაც უსამართლობას სჩადის. თუკი ზოგიერთები სუვერენის მიმართ ურჩობის გასამართლებლად სხვა ხელშეკრულებას იმიზეზებენ, რომელიც ადამიანებთან კი არა, ღმერთთან აქვთ დადებული, ეს ისევ უსამართლობაა, რამეთუ ღმერთთან ხელშეკრულება შესაძლებელია მხოლოდ მისი გაშუალებით, ვინც ღმერთის პიროვნების წარმომადგენელია. ამის გაკეთება კი შეუძლია მხოლოდ ღმერთის ხელქვეითს, ვისაც ღმერთის ძალით აქვს მინიჭებული სუვერენიტეტი. მაგრამ ეს თვალთმაქცობა ღმერთთან ხელშეკრულების თაობაზე იმდენად აშკარა სიცრუეა თვით მისი გამომთქმელის სინდისის წინაშეც, რომ ის არა მხოლოდ უსამართლო, არამედ ბოროტი და არაკაცური დამოკიდებულების გამომხატველიცაა.

მეორე მხრივ, რაკი იმას, ვისაც სუვერენად აქცევენ, ყველას პიროვნების მატარებლად ყოფნის უფლება მიცემული აქვს მხოლოდ ხალხის ერთმანეთთან, და არა მასთან, ხელშეკრულებით, სუვერენს ხელშეკრულების დარღვევა არ

შეუძლია. შესაბამისად, ვერც ერთი მისი ქვეშევრდომი, სუვერენის მიერ მისი მოვალეობის შეუსრულებლობის მომიზეზებით, მისი ქვეშევრდომობისგან ვერ განთავისუფლდება. სრულიად ცხადია, რომ ის, ვინც სუვერენად იქცევა, წინასწარ არ დებს ხელშეკრულებას თავის ქვეშევრდომებთან რადგან ამ შემთხვევაში ის, როგორც ხელშეკრულების ერთი მხარე, ან მთელ სიმრავლესთან, ან თითოეულ ადამიანთან ცალ-ცალკე უნდა შესულიყო ხელშეკრულებაში. მთელთან, როგორც ერთ მხარესთან, ხელშეკრულებას ის ვერ დადებდა, რადგან ისინი ჯერ ერთ პიროვნებას ვერ შეადგენენ; ხოლო თუ ის იმდენ ხელშეკრულებას დადებს, რამდენიც ადამიანია, ეს ხელშეკრულებები ძალას დაკარგავს მას შემდეგ, რაც ის სუვერენიტეტს დაეუფლება, რადგან ნებისმიერი მოქმედება, რასაც რომელიმე [ქვეშევრდომი] ხელშეკრულების დარღვევად ჩათვლის, მისივე და ყველა დანარჩენის მოქმედებაცაა, რაკი თითოეული მათგანის სახელითა და უფლებით იქნება ჩადენილი. გარდა ამისა, თუ ერთი ან რამდენიმე ქვეშევრდომი განაცხადებს, რომ სუვერენმა მისი დაწესების დროს დადებული ხელშეკრულება დაარღვია, ხოლო სხვები – მისი რომელიმე ქვეშევრდომი ან თავად ის, – უარყოფენ ასეთ დარღვევას, ამ შემთხვევაში არ არსებობს მსაჯული, რომელიც ამ საქმეს განსჯიდა. მაშასადამე, საკითხი ისევ ხმალმა უნდა გადაწყვიტოს და ყოველი ადამიანი იბრუნებს უფლებას, საკუთარი ძალით დაიცვას თავი, საპირისპიროდ იმ განზრახვისა, რაც მათ [სახელმწიფოს] დაწესების დროს ჰქონდათ. მაშასადამე, უაზრობაა, სუვერენიტეტი წინასწარი ხელშეკრულებით იყოს ნაბოძები. მოსაზრება – ყოველი მონარქი ხელშეკრულებით, მაშასადამე, პირობით იღებს ძალაუფლებას, მარტივი ჭეშმარიტების გაუგებრობიდან მომდინარეობს: ხელშეკრულება მხოლოდ სიტყვა და ამონასუნთქია, მას არ გააჩნია ადამიანის იძულების, შეკავების, დაოკების ან დაცვის სხვა ძალა გარდა იმისა, რაც საზოგადოების ხმალსა აქვს – ანუ სუვერენიტეტის მქონე ადამიანს თუ საკრებულოს შეუბორკავ ხელს, რომლის ქმედებასაც ყველა თავდებად უდგება და ყველა მათგანის გაერთიანებული ძალა უდგას უკან […]

მესამეც, რაკი სუვერენი უმრავლესობის ხმებით გამოცხადდა, ის, ვისაც სხვა აზრი ჰქონდა, ახლა დანარჩენს უნდა დაეთანხმოს ანუ [საკუთრად] აღიაროს სუვერენის ყველა ქმედება. სხვა შემთხვევაში სამართლიანი იქნება, თუ სხვებმა ის გაანადგურეს. რამეთუ, თუ ის ნებაყოფლობით შევიდა შეკრებილთა ერთიანობაში, მან ამით საკმარისად განაცხადა თავისი ნება და ფარულად დაეთანხმა, რომ გაიზიარებს უმრავლესობის გადაწყვეტილებებს. მაშასადამე, თუ ის ხელს აიღებს [ასეთ გაზიარებაზე] ან პროტესტს გამოთქვამს [სუვერენის] რომელიმე გადაწყვეტილების გამო, ის საკუთარ ხელშეკრულებას დაუპირისპირდება და, აქედან გამომდინარე, უსამართლო იქნება. [მეორე მხრივ], მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გაერთიანების წევრი, ან ვინმემ ჰკითხა თუ არა მას თანხმობა, იგი ან უნდა დაეთანხმოს მათ გადაწყვეტილებას, ან დარჩეს ომის იმ მდგომარეობაში, რაშიც მანამდე იყო. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ ადამიანს ისე, რომ ეს უსამართლობად არ ჩაეთვლება, შეუძლია მისი განადგურება.

განმარტებები

1. იხ. მათე 7.12; ლუკა 6.31.
2. იმავე პრინციპის შებრუნებული ლათინური ფორმულირება: ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა, შენ გაგიკეთონ.
3. სამართლებრივ საფუძველს მოკლებული.

ჯონ ლოკი

1632-1704

შესავალი

ჯონ ლოკი ინგლისელი ფილოსოფოსია, რომლის ნაშრომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ცოდნის თეორიის, მეორე მხრივ კი – ლიბერალური პოლიტიკური მოძღვრების განვითარებისთვის. ამ უკანასკნელ თემაზე ლოკის ძირითადი იდეები ჩამოყალიბებულია „ორ ტრაქტატში მმართველობაზე“ (1689), განსაკუთრებით კი მის მეორე ნაწილში, აგრეთვე „ნარკვევში შემწყნარებლობის შესახებ“. მას ევროპული ლიბერალიზმის ერთ-ერთ მამამთავრად თვლიან.

ლოკი 1632 წელს დაიბადა. მამამისი სოფლის იურისტი და ადგილობრივი მოსამართლის თანაშემწე იყო. დედ-მამა პურიტანების სექტას ეკუთვნოდა – ამ რწმენის ადამიანები გამოირჩეოდნენ ლიბერალური შეხედულებებით, მხარს უჭერდნენ მეფის ძალაუფლების შეზღუდვას და ხშირად იდევნებოდნენ.

ლოკის ბიოგრაფიის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კონტექსტს განსაზღვრავდა ბრძოლა მეფის (ანუ აბსოლუტური მონარქიის) და პარლამენტის (ანუ შეზღუდული ხელისუფლების) მომხრეებს, სხვა სიტყვებით, კონსერვატორებს და ლიბერალებს შორის, რომელიც თითქმის მთელი მე-17 საუკუნე გაგრძელდა და ინგლისის „დიადი რევოლუციით“ (1688-89) დასრულდა. ლოკი თავისი შეხედულებებითაც და სოციალური წრითაც ვიგებთან, პარლამენტის მომხრეებთან იყო დაკავშირებული. მისი ბავშვობა და ყრმობა დაემთხვა ინგლისის სამოქალაქო ომს (1642-51), რომელშიც მამამისი პარლამენტის მხარეს იბრძოდა, როგორც კავალერისტთა ბატალიონის მეთაური.

ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლისას ლოკი დაინტერესდა რაციონალისტური ფილოსოფიით, მაგრამ ძირითად სპეციალობად მედიცინა აირჩია. როგორც ექიმი, ის შეხვდა ლორდ ენტონი ეშლი კუპერს, რომელთანაც 1667 წელს გადასახლდა და მისი პერსონალური ექიმი გახდა. ლორდი ეშლი გავლენიანი ვიგი (ლიბერალი) პოლიტიკოსი იყო. ის დიდი ხნით გახდა ლოკის მფარველი და დამსაქმებელი, ხოლო მისმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი გავლენმა იქონიეს ლოკზე. როცა ეშლის ინგლისის ერთ-ერთი ამერიკული კოლონიის, კაროლინის ლორდი-მესაკუთრის წოდება ებოძა, ლოკი, როგორც მისი თანაშემწე და მდივანი, ამ კოლონიის მოწყობაშიც ჩაერთო და აქტიური როლი ითამაშა კაროლინის კონსტიტუციის შექმნაში. მან კოლონიებში გარკვეული ინვესტიციებიც ჩადო. ეს დაეხმარა გარკვეულიყო ვაჭრობისა და ეკონომიკის საკითხებში, აგრეთვე მიეღო ინფორმაცია ამერიკული კოლონიების ცხოვრებაზე, რამაც მისი პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე მოახდინა გავლენა.

1672 წელს ლორდი ეშლი, ახლა უკვე გრაფი შეფტსბერის ტიტულით, ლორდი-კანცლერი, ანუ მთავრობაში ყველაზე მაღალი რანგის მინისტრი გახდა. მან ლოკი „წარდგენების მდივნად“ დანიშნა – ეს საკმაოდ მაღალი თანამდებობა იყო, რაც გულისხმობდა ყველა საეკლესიო საქმის გაძღოლას, რაც კი ლორდი-კანცლერის მანდატში შემოდიოდა – მათ შორის საეკლესიო თანამდებობების განაწილებას. ამავე პერიოდში ლოკმა მეორე მნიშვნელოვანი თანამდებობა, ვაჭრობისა და პლანტაციების საბჭოს მდივნის პოსტი დაიკავა.

ლოკის ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო მას შემდეგ, რაც გრაფ შეფტსბერის მეფე ჩარლზ მეორესთან განხეთქილება მოუვიდა და თანამდებობა დაკარგა, რასაც ავტომატურად მოყვა ლოკის დათხოვნაც. ლოკმა თითქმის ოთხი წელი საფრანგეთში იმოგზაურა, შემდეგ რამდენიმე წლით ინგლისში დაბრუნდა. ამ დროისთვის საგრძნობლად გაუარესდა ურთიერთობა მეფის ტახტსა და ლიბერალური განწყობილების წრეებს შორის, რადგან გაძლიერდა ეჭვი, რომ მეფე ჩარლზი, როგორც ფარული კათოლიკე, ინგლისსაც, საფრანგეთის მსგავსად, აბსოლუტური მონარქიის რელსებზე გადაყვანას უპირებდა. 1683 წელს ლოკს მოუხდა ნიდერლანდების სამეფოში გაქცევა, რადგან გაიხსნა შეთქმულება მეფისა და მისი ძმის მკვლელობის მიზნით. ისტორიკოსების აზრით, ლოკს ამ შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მისი ორგანიზატორებს შორის იყო ლოკის მფარველი, გრაფი შეფტსბერი, რომელიც შეთქმულების გამხელამდე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა. ლოკი ადვილად შეიძლებოდა, ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩენილიყო. ამ პერიოდში ინგლისში ზოგადად დევნიდნენ ვიგებს (ლიბერალებს), რის გამოც ბევრი მათგანი გადასახლდა ნიდერლანდებში, რომელიც იმ პერიოდის ევროპაში ყველაზე უფრო თავისუფალ ქვეყნად ითვლებოდა. სავარაუდოდ, ლოკმა სწორედ აქ და ამ დროს დაასრულა თავისი ორი ძირითადი პოლიტიკური ნაშრომი – უკვე ნახსენები ორი ტრაქტატი მმართველობაზე, აგრეთვე „ნარკვევი შემწყნარებლობის შესახებ“.

ინგლისში დაბრუნება ლოკმა მხოლოდ ინგლისის დიადი რევოლუციის დროს, 1688 წლის ბოლოს შეძლო, როდესაც განდევნეს კათოლიკე მეფე ჯეიმზ II და მისი ადგილი დაიკავეს ნიდერლანდების მმართველმა უილიამ ორანელმა და მისმა ცოლმა, ჯეიმსის ქალიშვილმა, დედოფალმა მერიმ.

ინგლისის დიადი რევოლუცია ვიგების საქმის გადამწყვეტი გამარჯვება აღმოჩნდა: ამის შემდეგ ინგლისში საბოლოოდ და სტაბილურად დამყარდა კონსტიტუციური მონარქია, რომელიც გულისხმობდა, რომ მეფეს მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შეუძლია მართვა. ლოკი აღმოჩნდა ყველაზე ცნობილი გამომხატველი იმ იდეებისა, რაც ინგლისის დიად რევოლუციას ედო საფუძვლად. მისი ძირითადი ნაშრომები უშუალოდ რევოლუციის შემდეგ გამოქვეყნდა, თუმცა ფართო პოპულარობა მოგვიანებით მოიპოვა.

ლოკს ოჯახი არ შეუქმნია და შვილები არ ჰყოლია. მას მთელი ცხოვრება სუსტი ფილტვები და ასთმა აწუხებდა: ლონდონის ჰავა მისთვის ძალიან მავნე

იყო და სულ ცდილობდა, მორიდებოდა. მიუხედავად ამისა, თავისი ეპოქის კვალობაზე შედარებით დიდხანს იცოცხლა.

* * *

ლოკის „მეორე ტრაქტატი“ თანამედროვე ტიპის ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების პირველი თანმიმდევრული განხილვაა. მისი ძირითადი იდეები უკავშირდება ინგლისის „დიად რევოლუციას“ (Glorious Revolution), შემდეგ კი საფუძვლად დაედო ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციას და შეერთებული შტატების კონსტიტუციას, შთაგონების წყაროდ ექცა მრავალ ადამიანს, ვისაც თანამედროვე დემოკრატიის არსი გაუაზრებია ან მისთვის პრაქტიკულად უბრძოლია.

პოლიტიკური კონტექსტი

ლოკის „მეორე ტრაქტატი“ არის არა მხოლოდ თეორიული კვლევა, არამედ პოლიტიკური ტექსტი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტულ ისტორიულ ფონს: ბრძოლას მეფის აბსოლუტიზმსა (მის მომხრეებს ტორები ან კონსერვატორები დაერქვა) და პარლამენტის ანუ შეზღუდული ხელისუფლების მომხრეებს, ანუ ვიგებს (ლიბერალებს) შორის. ამ ბრძოლის ასპარეზად იქცა თითქმის მთელი მე-17 საუკუნე, მისი პირველი რაუნდი შეადგინა ინგლისის სამოქალაქო ომმა (1642-51), რომელიც პარლამენტის გამარჯვებით, მეფის სიკვდილით დასჯით და კრომველის რესპუბლიკური დიქტატურის ხანმოკლე პერიოდით დამთავრდა. მაგრამ ამას მოყვა მონარქიის რესტავრაცია და იმავე პრობლემის ხელახლა დადგომა, თუმცა რამდენადმე განსხვავებულ კონტექსტში. დაპირისპირებამ მოიტანა ინგლისის დიადი რევოლუცია (1688-89). აბსოლუტური მონარქიის მომხრეები ისევ დამარცხდნენ, მაგრამ ახლა უკვე საბოლოოდ: მას შემდეგ ინგლისი კონსტიტუციური მონარქიაა, თუმცა სახელმწიფო მმართველობის მრავალი კონკრეტული ასპექტი, ცხადია, შეიცვალა.

ინგლისის დიადი რევოლუცია, საფრანგეთის და ამერიკის რევოლუციებთან ერთად, შემობრუნების წერტილია მსოფლიო ისტორიაში. თუმცა ეს სამი მოვლენა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც პროცესით, ისე შედეგებით, მათ სათავე დაუდეს გლობალურ ტენდენციას: ტრადიციულ მონარქიულ წყობებს თანდათან ცვლის თანამედროვე ტიპის ლიბერალური დემოკრატიის სხვადასხვა ვარიანტი.

ისევე, როგორც სამოქალაქო ომის დროს, დიადი რევოლუციის წინაპერიოდშიც პოლიტიკურ-იდეოლოგიური საკითხები გადაჯაჭვული იყო რელიგიურთან, თუმცა სხვაგვარად. მეფე ჩარლზ მეორე, რომელიც 1660 წელს ავიდა ტახტზე საფრანგეთში გატარებული წლების შემდეგ, ფარული კათოლიკე იყო და საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა საფრანგეთის მეფესთან ლუი მე-14-თან, რის თანახმადაც ჩარლზი ინგლისის გაკათოლიკებას, ან კათოლიკეთა მდგომარეობის არსებით

გაუმჯობესებას მიაღწევდა, ლუი კი მას ფინანსურად დაეხმარებოდა, რითაც შემცირდებოდა მეფის დამოკიდებულება პარლამენტზე (ამ უკანასკნელის ძირითადი ფუნქცია გადასახადების დაწესება და ამ გზით მეფის ტახტის დაფინანსება იყო). ეს ისტორიკოსებმა მოგვიანებით გაარკვიეს, ჩარლზის სიცოცხლეში კი მხოლოდ ეჭვები არსებობდა მისი კათოლიკური სიმპათიების თაობაზე; საზოგადოებას განსაკუთრებით აშფოთებდა, რომ ჩარლზს ძე არ ჰყავდა და ტახტის მემკვიდრე მისი ძმა ჯეიმზი, ღია კათოლიკე იყო. პროტესტანტული ინგლისი კათოლიკურ სამყაროს მტრად აღიქვამდა. გარდა ამისა, საზოგადოებრივ აღქმაში კათოლიციზმი ასოცირდებოდა საფრანგეთის ტიპის აბსოლუტურ მონარქიასთან. შიშობდნენ, რომ კათოლიკე მეფე საფრთხეს შეუქმნიდა ინგლისისთვის დამახასიათებელ სამოქალაქო თავისუფლების უფრო მაღალ დონეს.

1685 წელს ჩარლზი გარდაიცვალა და ტახტზე ჯეიმზი ავიდა. თავდაპირველად კანონიერი მემკვიდრის გამეფებას აქტიური პროტესტი არ გამოუწვევია; მაგრამ როდესაც ჯეიმზის მეუღლეს 1988 წლის ივნისში ბიჭი, ანუ ტახტის მემკვიდრე გაუჩნდა, ამას საერთო მღელვარება მოყვა: მემკვიდრეს ერთგულ კათოლიკედ გაზრდიდნენ და ინგლისის სათავეში განუსაზღვრელი ვადით კათოლიკური დინასტია გაბატონდებოდა (ბიჭის გაჩენამდე მემკვიდრედ ითვლებოდა ჯეიმზის პროტესტანტი ქალიშვილი, ჰოლანდიის მმართველ ვილჰელმ ორანელზე გათხოვილი მერი). მეტიც, გავრცელდა ჭორი, თითქოს ძე სინამდვილეში დედოფალს კი არ გაუჩნდა, არამედ ფარულად შემოაპარეს, რათა პროტესტანტი მემკვიდრისთვის ტახტი წაერთმიათ. ეს საბოლოო ბიძგი აღმოჩნდა: მეფის წინააღმდეგ გაერთიანდნენ კონსერვატორები (ტორები), რომელთაც უფრო მეტად რელიგიური მოტივი ამოძრავებდათ, და ლიბერალები (ვიგები), რომლებიც კათოლიკე მეფისგან სამოქალაქო თავისუფლებების გაუქმებას ელოდნენ. მათ ჰოლანდიიდან მოიწვიეს ვილიამ ორანელი და მერი, ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ინგლისის ტრადიციული თავისუფლებების დასაცავად. უილიამმა მიიღო მოწვევა, ოღონდ არა როგორც დამპყრობელმა, არამედ როგორც ინგლისის კანონების დამცველმა. მისი ჯარების გადმოსხმის შემდეგ ინგლისელთა დიდი ნაწილი მის მხარეს გადავიდა, ჯეიმზი კი იძულებული გახდა, გაქცეულიყო. ამ მოვლენას დაერქვა ინგლისის დიადი რევოლუცია.

ლოკის მეორე ტრაქტატი შეიძლება მის იდეოლოგიურ გამართლებად წავიკითხოთ. ეს პირდაპირი აზრით არ უნდა გავიგოთ: მართალია, ეს წიგნი უშუალოდ რევოლუციის შემდეგ გამოქვეყნდა, ლოკმა მასზე მუშაობა გაცილებით ადრე დაიწყო და წინასწარ ვერ განჭვრეტდა მოვლენათა განვითარებას. მიუხედავად ამისა, მისი ნაშრომი საუკეთესო გამომხატველია იმ ღირებულებებისა და პრინციპებისა, რომელთა დაკვიდრებასაც რევოლუციამ შეუწყო ხელი.

მეფეთა საღვთო უფლების კრიტიკა

ლოკის პოლიტიკური თეორიის თავისებურება ყველაზე კარგად ჩანს მისი უშუალო წინამორბედის, თომას ჰობსის ნააზრევთან შეპირისპირებისას: მათ შო-

რის ბევრი მსგავსება, მაგრამ, ამავე დროს, პრინციპული განსხვავებებია. ჰობსის მსგავსად, ლოკი არ ეთანხმება „მეფეთა საღვთო უფლების“ ტრადიციულ თეორიას და პოლიტიკურ წესრიგს ადამიანის ბუნებით უფლებებზე აფუძნებს. თუმცა, მან გაცილებით მეტი დრო დაუთმო მეფეთა ამ კონცეფციის ღია კრიტიკას, კერძოდ, მისი დამცველის, რობერტ ფილმერის იდეების უარყოფას. ამას მთელი პირველი ტრაქტატი ეძღვნება, თუმცა მისი ძირითადი იდეები მეორე ტრაქტატშიც მოკლედაა შეჯამებული. ძალაუფლების ტრადიციული თეორიის საფუძველია წარმოდგენა, რომ მეფეთა ძალაუფლება ღმერთის შექმნილი ბუნებრივი წესრიგის ნაწილია. ის მამის და ოჯახის წევრების ურთიერთობას გავს: როგორც ოჯახს სჭირდება უფროსი, რომელსაც ყველა უსიტყვოდ დაუჯერებს, ასევე სჭირდება ხალხს. მეფე (მთავრობა) მამაა, ქვეშემრდომები კი – მისი შვილები, რომლებიც ვალდებულნი არიან, მამას დაუჯერონ, იმიტომ რომ მან „უკეთ იცის“.

მაგრამ, ლოკის თქმით, ოჯახის მამას მხოლოდ არასრულწლოვან შვილებზე აქვს უპირობო ძალაუფლება, როდესაც შვილებს ჯერ არ შეუძლიათ, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები და საკუთარი თავი არჩინონ. თუნდაც ამიტომ, მთავრობას ვერ ექნება მსგავსი ურთიერთობა ზრდასრულ და რაციონალურ ქვეშემრდომებთან. გარდა ამისა, თუ მამის ძალაუფლებას შვილზე ბუნება განსაზღვრავს (შვილები მშობლებს ვერ აირჩევენ), პოლიტიკური ძალაუფლება ქვეშემრდომთა თანხმობაზეა აგებული.

ამიტომ ლოკისთვის მნიშვნელოვანია, პოლიტიკური ძალაუფლება თავიდანვე მკაფიოდ გამოყოს ძალაუფლების სხვა სახეებისგან, პირველ რიგში – მამის ძალაუფლებისგან. ეს მას მხოლოდ ცნებების დასაზუსტებლად არ სჭირდება: ამით ის თავიდანვე ამკვიდრებს წარმოდგენას, რომ პოლიტიკური ძალაუფლების რწმუნება კონკრეტული ფუნქციების აღსრულებით შემოიფარგლება და მათ მიღმა ვერ გავრცელდება.

ბუნებითი მდგომარეობა და ბუნებითი კანონი

ძალაუფლების ლეგიტიმურობის თემის განხილვისას ლოკი არსებითად იმეორებს ჰობსის სქემას: მისთვისაც ამოსავალია ბუნებითი მდგომარეობა, სადაც არ არსებობს სახელმწიფო, ეს უკანასკნელი კი ადამიანთა შორის შეთანხმებით, ანუ საზოგადოებრივი ხელშეკრულებით იქმნება ადამიანის ბუნებითი უფლებების დასაცავად. მიუხედავად ამისა, ამ ორი ავტორის დასკვნები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან: თუ ჰობსი საბოლოოდ აბსოლუტური მმართველობის (დღევანდელი ენით – დიქტატურის) გამართლებამდე მიდის, ლოკი ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ანუ შეზღუდული ძალაუფლების, არსებითად – ლიბერალური დემოკრატიის უმთავრეს პრინციპებს აყალიბებს. ამ განსხვავებული დასკვნების საფუძველი ამოსავალი ცნებების, პირველ რიგში, ადამიანის ბუნების, განსხვავებული ინტერპრეტაციაა.

ის პირველ რიგში თავს იჩენს იმაში, თუ როგორ ესმის ლოკს ბუნებითი კანონი: ადამიანს არა აქვს უფლება საკუთარი და სხვა ადამიანის „სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება და საკუთრება“ ხელყოს, თუ თავად მას კონკრეტული საფრთხე არ ემუქრება. ჰობსის აზრით კი, ასეთი შეზღუდვა მხოლოდ სახელმწიფოს შემოაქვს.

ამის არგუმენტი ლოკისთვის რელიგიურია: სიცოცხლე ადამიანს ღმერთისგან აქვს ბოძებული, მაშასადამე, მისი ხელყოფის უფლება არ გვაქვს. თუ ჰობსი პრინციპულად და თანმიმდევრულად მიჯნავს ფილოსოფიურ და რელიგიურ მსჯელობას და რელიგიას მხოლოდ სახელმწიფოს კონტექსტში განიხილავს (შესაბამისად, ზნეობის ნორმებსაც მხოლოდ სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ეძლევა აზრი), ლოკთან რელიგია და მორალი ლოგიკურად წინ უსწრებს სახელმწიფოს. ოღონდ, ლოკს რელიგია, ასე ვთქვათ, მინიმალური ფორმით შემოყავს: როგორც ელემენტარული მორალური შეზღუდვის საფუძველი. ამ ტექსტიდან არ ჩანს კავშირი რომელიმე კონკრეტულ რელიგიურ მიმდინარეობასთან: მრავალი მათგანი დაეთანხმება, რომ რაკი სიცოცხლე ღმერთისგან გვაქვს ბოძებული, მისი ხელყოფა დაუშვებელია.

ამას შეიძლება დავუკავშიროთ ლოკის აზრი, რომელსაც ის ატარებს სხვა ნაშრომში, „ნარკვევში შემწყნარებლობის შესახებ“: მას დასაშვებად მიაჩნია სხვადასხვა რელიგიის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა ათეიზმის შეწყნარება. ლოკი ათეისტებისგან არ ელის ძირეული მორალური კატეგორიების გაზიარებას: თუ არ მწამს, რომ ადამიანის სიცოცხლე ღმერთის ბოძებულია, რატომ არ შეიძლება მისი ხელყოფა? ათეისტების არსებობა საფრთხეს უქმნის საზოგადოების მორალურ კონსენსუსს.

ამას უკავშირდება ისიც, რომ ლოკს ჰობსისგან არსებითად განსხვავებულად ესმის კიდევ ერთი საკვანძო ცნება – თავისუფლება. ჰობსი თავისუფლებას ისე განმარტავს, როგორც ამ სიტყვის მნიშვნელობა ადამიანთა უმრავლესობას ესმის: როგორც გარე შეზღუდვის არარსებობა. თავისუფლება ნიშნავს, რომ რაც მოგვესურვება, იმას ვაკეთებთ. ლოკი კი ამას „თვითნებობას“ უწოდებს და თავისუფლებისგან განასხვავებს. თავისუფალი ადამიანი ქვია იმას, ვისაც არა აქვს სხვა შეზღუდვა, გარდა ბუნებითი კანონისა, რომელსაც, თავის მხრივ, გონება კარნახობს.

ეს განსხვავება საკვანძო მნიშვნელობისაა ახალი დროის ევროპული აზროვნებისთვის. ლიბერალიზმი – მოძღვრება, რომლის ერთ-ერთ კლასიკურ გამომახატველად ლოკი შეიძლება ჩავთვალოთ – ინდივიდის თავისუფლებას ძირეულ ღირებულებად თვლის და სახელმწიფოს მის პატივისცემას და დაცვას ავალებს. მაგრამ რატომაა ინდივიდის თავისუფლება პატივისცემის ღირსი? თუ ადამიანს თავის ნებაზე მივუშვებთ, განა ის დიდი ალბათობით ამას ბოროტი მიზნით არ გამოიყენებს: შესაძლოა, სხვის დასაჩაგვრად, შესაძლოა, გარყვნილი ქცევისა და საკუთარი თავის დასაღუპად? ამიტომაა, რომ ტრადიციული საზოგადოება ინდივიდის თავისუფლებას ეჭვის თვალით უყურებს. როგორც უგუნურ შვილებს

სჭირდება მამა, რომელიც მათ ქცევას გააკონტროლებს, ასევე სჭირდება კონტროლი ზრდასრულ ინდივიდს. გამკონტროლებლის როლში შეიძლება გამოვიდეს ტრადიციების დამცველი თემი, ეკლესია, ან სახელმწიფო. თუ თავისუფლებას მართლაც გავიგებთ, როგორც ყოველივე იმის კეთებას, რაც მოგვესურვება, ძნელია ამ კონსერვატულ არგუმენტს შეეწინააღმდეგო. ამიტომაა, რომ ლიბერალურ მოაზროვნეებს თავისუფლება ესმით, როგორც გონების (და არა ვნებების) კარნახით მოქმედება. ინდივიდის თავისუფლება პატივისცემას და დაცვას იმსახურებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანი გონების კარნახით მოქმედებს და საკუთარი ვნებების და კაპრიზების მონა არ ხდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აზრი, რაც ბუნებითი კანონის ლოკისეულ ინტერპრეტაციას გამოარჩევს, არის სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების ერთ დონეზე დაყენება: თავისუფლების და საკუთრების ხელყოფა ისევეა დაუშვებელი, როგორც სიცოცხლისა. რითაა გამართლებული ამგვარი გაიგივება? ადამიანის დამონების მცდელობა მასი ფიზიკური განადგურების ტოლფასია, რადგან მონის სიცოცხლე დაუცველია. მონას ბატონი მაშინ წაართმევს სიცოცხლეს, როცა მოესურვება. შეიძლება, ეს არც მოისურვოს, მაგრამ მონას ნებისმიერ შემთხვევაში დაკარგული აქვს კონტროლი თავის სოცოცხლეზე, ეს კი სიცოცხლის დაკარგვის ტოლფასია.

მეორეს მხრივ, სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელია, თუ ადამიანს არა აქვს საშუალება, მოიპოვოს ამისთვის საჭირო სარჩო, ამას კი საკუთრებაა სჭირდება. თუ ადამიანს საკუთრებას ვართმევთ, მას იმ წუთში არ ვკლავთ, მაგრამ სიცოცხლის შენარჩუნების საშუალებას ვუსპობთ, ეს კი სიცოცხლის წართმევის ტოლფასია. ლოკი იმდენად მჭიდროდ უკავშირებს ერთმანეთს სიცოცხლეს, თავისუფლებასა და საკუთრებას, რომ სიმოკლისთვის ხშირად მხოლოდ „საკუთრებას“ ამბობს. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც ის საკუთრების ხელყოფაზე ან დაცვაზე საუბრობს, სიცოცხლესა და თავისუფლებასაც გულისხმობს.

საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე

ძირეული ცნებების განსხვავებული გაგების ფონზე, ლოკთან ბუნებითი მდგომარეობა ავტომატურად სულაც არ ნიშნავს „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“. რატომ?

ჰობსთან, სახელმწიფოს გარეშე, არსებობენ მხოლოდ ინდივიდები, რომლებიც საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვიან და სხვებს არ ენდობიან; საზოგადოებად ისინი მხოლოდ ხელშეკრულების დადების, ანუ სახელმწიფოს შექმნის მომენტში ერთიანდებიან. ლოკის აზრით კი ამ შემთხვევაში, მათ უკვე ამვე ეტაპზე აერთიანებთ გარკვეულ საერთო, საზოგადო სიკეთეზე: სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების დაცვაზე ზრუნვა. შესაბამისად, მათ შეუძლიათ და ვალდებულებაც აქვთ, ითანამშრომლონ ამ საერთო ინტერესის გარშემო. კერძოდ, ეს გამოიხატება იმაში, რომ თითოეულ ადამიანს ან ჯგუფს აქვს დამნაშავის დასჯის

ბუნებითი უფლება, ანუ ყველას შეუძლია დასაჯოს ნებისმიერი ადამიანი, ვინც დაარღვევს ბუნებით კანონს ანუ ხელყოფს მეორე ადამიანის სიცოცხლეს, თავისუფლებას თუ საკუთრებას. მე მხოლოდ საკუთარი თავი კი არ უნდა დავიცვა, არამედ მტრად განვიხილო ნებისმიერი ბოროტმოქმედი, ვინც ვინმეს ბუნებით უფლებებს შელახავს.

ასე იმიტომ კი არ ვიქცევი, რომ ვიღაც მავალებს, არამედ იმიტომ, რომ ეს გონივრულია, ჩემსავე ინტერესშია. ამოსავალია, რომ ადამიანთა უმრავლესობა კეთილგონიერია, ანუ მისდევს პრინციპს: მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, თავად შენ მოგექცნენ. იმაზე, თუ რატომ აქვს ლოკს ამის რწმენა, ტექსტი ცალსახა პასუხს არ იძლევა. შეიძლება ეს ასე გავიგოთ: ადამიანების უმრავლესობა მორწმუნეა და ღვთის დაწესებულ მცნებებს ასრულებს; შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ადამიანთა უმრავლესობა საკამარისად გონიერია, რომ ესმოდეს: თუ სხვას არაფერს დაუშავებ, თავადაც ნაკლებ გახდები აგრესიის სამიზნე. ცხადია, ეს ორი მოტივი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და შეიძლება აძლიერებდეს კიდეც. მაგრამ თუ საზოგადოებაში გამოერევა ვინმე, ვინც ამ მორალური კონსენსუსიდან ამოვარდნილია და მზადაა, სხვის მიმართ აგრესია გამოიჩინოს, ეს საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მისი აგრესიის კონკრეტულ სამიზნეს, არამედ საზოგადოებას მთლიანად. თუ დამნაშავეს ვინმეს მკვლელობა, ცემა, ძარცვა, ქურდობა და ა. შ., გაუვიდა, ეს მთელ საზოგადოებას, მის თითოეულ წევრს უქმნის საფრთხეს. ამიტომ თუ, მაგალითად, შევესწარი, რომ ქურდი ვინმეს, თუნდაც ჩემთვის უცნობი ადამიანის სახლში შეფარვას ცდილობს, სრული უფლება და მოვალეობაც მაქვს, ასეთი ადამიანი მოვკლა.

ასევე, არ სჭირდება სახელმწიფოს არსებობა იმის დადგენას, თუ სახელდობრ რა არის დამნაშავის დასჯის მისაღები ზომა. ეს დასჯის მიზნიდან გამომდინარეობს: ერთი მხრივ, უნდა აღიკვეთოს დანაშაულის განმეორების შესაძლებლობა, მეორეც, თუ ეს შესაძლებელია, მსხვერპლს ზარალი უნდა აუნაზღაურდეს. სასჯელი სამართლიანია, თუ ის ამ მიზნების ადექვატურია. ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს არარსებობის პირობებში ნაკლებად დაგვრჩება სხვა ქმედითი ალტერნატივა, გარდა დამნაშავის მოკვლისა. თუმცა, იმ პერიოდის ინგლისში სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივ გამოიყენებოდა ისეთი დანაშაულის სასჯელად, როგორიც იყო, მაგალითად, ქურდობა, ასე რომ ლოკის ბუნებითი სამართალი გამორჩეულად მკაცრი სულაც არ არის. მაგრამ ლოკი დაუშვებლად თვლის ზედმეტ სისასტიკეს, წამებას, რადგან ეს არ ემსახურება ზემოთჩამოთვლილ მიზნებს და მხოლოდ დამსჯელის ემოციური მდგომარეობით (განსაკუთრებული ბრაზით, აღშფოთებით) შეიძლება აიხსნას.

ლოკის ზემოთაღწერილი შეხედულებები საფუძვლად უდევს იმ იდეას, რასაც დღეს „სამოქალაქო საზოგადოებას“ ვუწოდებთ. თვით ამ ტერმინის მნიშვნელობა მასთან გამოკვეთილი არ არის: ის მას ხშირად „სახელმწიფოს“ სინონიმად ხმარობს. ამ ცნების, როგორც სახელმწიფოსგან განსხვავებულის, ჩამოყალიბება შემდეგ საუკუნეში მოხდა შოტლანდიელი განმანათლებლების ნაშრომებში. მაგ-

რამ მისი ძირითადი შინაარსი ლოკთან უკვე მოცემულია: ადამიანებს შეუძლიათ, სახელმწიფოს გარეშეც მოახდინონ თვითორგანიზება საერთო ინტერესების, ანუ საზოგადო სიკეთის დასაცავად.

ამ გაგებით, სამოქალაქო საზოგადოება ლოგიკურად პირველადია სახელმწიფოს მიმართ. ეს არსებითად განსხვავდება ამ ცნების დღეს გავრცელებული გაგებისგან, რომელიც მას სახელმწიფოსთან მიმართებაში განისაზღვრავს, როგორც მის ერთ-ერთ საპირწონეს. ამ შემთხვევაში ის მეორადი გამოდის სახელმწიფოს მიმართ, მაშინ როდესაც ლოკისთვის ის ლიბერალური სახელმწიფოს წანამძღვარი და საფუძველია: ჯერ სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება და შემდეგ ის ქმნის სახელმწიფო ინსტიტუტებს.

მაინც რატომაა საჭირო სახელმწიფო?

თუ თავისუფალი და თანასწორი ინდივიდების საზოგადოება სახელმწიფოს გარეშეც ახდენს სამართლის აღსრულებას და დამნაშავის დასჯას, რითაც ადამიანების უსაფრთხოება რამდენადმე დაცული აღმოჩნდება, თუ არა გვაქვს „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“, რომელიც ადამიანთა ცხოვრებას ჯოჯოხეთად აქცევს, საკითხავი რჩება: რისთვისღაა საჭირო სახელმწიფო?

ლოკის ლოგიკა ამ საკითხში არც ისე ცხადი და მარტივია, როგორც ჰობსისა, მაგრამ საბოლოოდ ისიც სახელმწიფოს ძირითად ფუნქციას ომის აღკვეთაში ხედავს. მართალია, საზოგადოებას შეუძლია სამართლის აღსრულება და დამნაშავის დასჯა, სახელმწიფოს გარეშე ეს ძალიან არასრულყოფილად ხდება.

ნებისმიერ თავდასხმას ადამიანის სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და საკუთრებაზე, თუნდაც ის ინდივიდუალური თავდასხმელიდან მოდიოდეს, ლოკი ომის აქტს უწოდებს. შესაბამისად, მას ომის მდგომარეობაში გადავყავართ. მაგრამ ბუნებით მდგომარეობაში სამართლის აღსრულება და, შესაბამისად, ომის შეწყვეტა გართულებულია. რაკი დამნაშავეები ყოველთვის არსებობენ, საზოგადოება ყოველთვის ომის მდგომარეობაშია (თუნდაც ეს არ იყოს „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“). სახელმწიფოს არარსებობის პირობებში მეტი შანსია, დამნაშავე დაუსჯელი, საზოგადოება კი – მის მიმართ დაუცველი დარჩეს: ასეთ შემთხვევაში, ლოკის სიტყვებით, „სხვა საშველი აღარ რჩება, ზეცის გარდა“. მაშინაც, როდესაც დამნაშავის დასჯა ხერხდება, სასჯელის ზომას ხშირად თვით მსხვერპლი ადგენს, რომელიც საკუთარ საქმეში მოსამართლე გამოდის: ასეთ შემთხვევაში სასჯელის სამართლიანობაც და ეფექტურობაც შეიძლება სათუო აღმოჩნდეს.

ყოველივე ამის გამო, ადამიანები გადაწყვეტენ, უარი თქვან უფლებაზე, თავად დასაჯონ დამნაშავე და ამისთვის სახელმწიფოს ქმნიან. სწორედ ამაშია საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძირითადი შინაარსი. სახელმწიფო, ფაქტობრივად, იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც საზოგადოება, ოღონდ გაცილებით უფრო ეფექტურად. როდესაც ბოროტმოქმედი ვინმეს სიცოცხლეს ან საკუთრებას ხელყოფს, თავდასხმის ობიექტი სახელმწიფოს მიმართავს დამნაშავის დასასჯელად

და ზარალის ასანაზღაურეებლად. გამონაკლისს შეადგენს ვითარება, როდესაც თავდაცვის გადაუდებელი ამოცანის გამო თვითონ უნდა შევერკინო თავდამსხმელს – მაგრამ ეს ვითარებაც, ჩვეულებრივ, ხანმოკლეა. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს რესურსები, რომ დამნაშავის ქმედებით შექმნილი „ომის მდგომარეობა“ სწრაფად და ეფექტურად აღკვეთოს და ის დადგენილი წესების მიხედვით დასაჯოს (ოღონდ ლოკი აზუსტებს, რომ აქ მხოლოდ სამართლის მიუკერძოებელი აღსრულება იგულისხმება).

სახელმწიფო მდგომარეობაში ადამიანის არსებითად არ კარგავს თავისუფლებას, თუმცა მას შეზღუდვები ემატება. როგორც ვთქვით, ინდივიდის თავისუფლება არც ბუნებით მდგომარეობაში არ ნიშნავს თვითნებობას, ის აქაც შეზღუდულია ბუნებითი კანონით. სახელმწიფოში ამ შეზღუდვებს ემატება სახელმწიფო კანონები, ოღონდ ისინი მიიღება თვით ადამიანის თანხმობით და მის ინტერესებში. როგორც ბუნებით მდგომარეობაში ინდივიდი თავისუფალია, გააკეთოს ნებისმიერი რამ, რაც არ ეწინააღმდეგება ბუნებით კანონს, ასევე სახელმწიფოში მას შეუძლია აკეთოს ყველაფერი, რაც არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო კანონს, რომელსაც გონიერი კანონმდებელი მისივე რწმუნებით და თანხმობით იღებს.

თავისუფლების საწინააღდეგოდ, მონობის მდგომარეობა ქვია თვითნებური ძალის დაქვემდებარებაში ყოფნას, რომელიც არ ცნობს ბუნებით კანონს და არც ჩემი თანხმობითაა შეზღუდული. ასეთი ძალა შეიძლება იყოს ბოროტმოქმედთა ბანდა, გარე დამპყრობელი, ან დესპოტური სახელმწიფო.

ამრიგად, ლოკი არსებითად იზიარებს აზრს, რომ სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია ომის მდგომარების დაძლევა, ანუ ინდივიდების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ამ აზრით, სახელმწიფოში ცხოვრება უკეთესია, ვიდრე ბუნებით მდგომარეობაში. მაგრამ, ჯერ ერთი, კონტრასტი ამ ორ ვითარებას შორის არ არის ისე დრამატული, როგორც ეს ჰობსს წარმოედგინა; მეორეც, ყოველგვარ სახელმწიფოს არ მიეწერება ასეთი უპირატესობა: დესპოტურ სახელმწიფოში ცხოვრება ამცირებს არა მხოლოდ თავისუფლების, არამედ დაცულობის და უსაფრთხოების ხარისხს თუნდაც ბუნებით მდგომარეობასთან შედარებით, ამიტომ ასეთ სახელმწიფოში მოხვედრა ინდივიდისთვის ვითარების გაუარესებაა და არა გაუმჯობესება ბუნებით მდგომარეობასთან შედარებით.

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით სიტყვის ეტიმოლოგიასაც, რომელსაც ლოკი (ისევერ როგორც ჰობსი) იყენებს. ინგლისური სიტყვა, რომელსაც ქართულად „სახელმწიფოდ“ ვთარგმნით, არის commonwealth; მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი შეიძლება იყოს „საერთო კეთილდღეობა“. ინგლისური სიტყვა ხაზს უსვამს ამგვარი პოლიტიკური წარმონაქმნის ფუნქციას: ის არსებობს იმისთვის, რომ მასში გაერთიანებულ ადამიანთა კეთილდღეობა უზრუნველყოს. სიტყვა „სახელმწიფო“ კი ხელმწიფის (ან, უფრო ფართო აზრით, მთავრობის) მორჩილებას უსვამს ხაზს: სახელმწიფო ხელმწიფისაა, იმ ინსტიტუტთა ერთობლიობაა, რომელიც ხელმწიფის ქვეშემრდომებზე ძალაუფლებას უზრუნველყოფს. სიტყვის ეტიმოლოგიას ზედმეტი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ, მაგრამ მთლად შემთხ-

ვევითი არ უნდა იყოს, რომ ხალხი, ვინც სიტყვას commonwealth იყენებდა, უფრო ადვილად მივიდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების იდეამდე.

საკუთრების ინსტიტუტი, საზოგადოება და სახელმწიფო

ზოგად მსჯელობას თავისუფლებაზე, საზოგადოებაზე და სახელმწიფოზე ლოკი აკონკრეტებს საკუთრების ინსტიტუტის განხილვით. იმის გასაგებად, რომ ლოკი საზოგადოების (ან სამოქალაქო საზოგადოების) ჩამოყალიბებას სახელმწიფოს გარეშე წარმოიდგენს, თუმცა სახელმწიფოსაც აუცილებლად თვლის, საჭიროა განვიხილოთ მისი მოსაზრებები საკუთრებაზე.

როგორც უკვე ვთქვით, საკუთრებას ლოკი სიცოცხლის და თავისუფლების თანაბარ ღირებულებად მიიჩნევს. ის ამის დასასაბუთებლადაც რელიგიას იშველიებს. რაკი ღმერთმა სხეული გვიბოძა, ესე იგი მას სდომებია, რომ სხეულებრივი არსებობა გვქონოდა. აქედან გამომდინარეობს ვალდებულება, ჩვენი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფაზე ვიზრუნოთ, ანუ ვიშრომოთ სარჩოს მოსაპოვებლად. ამისთვის კი საჭიროა საკუთრება, რაშიც ლოკი, პირველ რიგში, მიწას გულისხმობს, რადგან სიცოცხლისთვის აუცილებელ პროდუქტებს სწორედ ის გვაძლევს.

როგორ დგინდება საკუთრება მიწაზე? ამოსავალია ვითარება, როდესაც მიწა და ყველა ბუნებრივი რესურსი ყველა ადამიანს თანაბრად ეკუთვნის, რადგან ბუნებით მდგომარეობაში არ არსებობს საფუძველი, ვინმეს ამ მხრივ უპირატესობა ჰქონდეს. საკუთრება ჩნდება იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანი ბუნებაში შრომას ჩადებს: მისი შრომა არის ის, რაც უეჭველად მისია. ყველაზე მარტივი მაგალითია მომენტი, როდესაც ველური მიწიდან რკოს აიღებს: ამით ეს რკო მისი ხდება. ცხადია, რკოს მიწიდან ასაღებად გაწეული ძალისხმევა მინიმალურია. ვთქვათ, ნადირობა მეტ გარჯას მოითხოვს, მაგრამ პრინციპი იგივეა: რასაც მოვინადირებ, ჩემი ხდება იმის გამო, რომ მე მოვინადირე. საბოლოოდ, იგივე ლოგიკა ვრცელდება მიწაზე: თუ ადამიანი მიწის ნაკვეთს დაამუშავებს, ეს ნაკვეთიც და მასზე მოწეული მოსავალიც მისი ხდება. ამ მარტივ პრინციპს შემდეგ „საკუთრების შრომითი თეორია“ დაერქვა.

რატომ არ გამოიწვევს ეს პროცესი კონკურენციას და კონფლიქტებს, როგორც ჰობსს ეგონა? აქ მნიშვნელოვანია გარკვეული დაშვებები, რომელთაც ლოკი აკეთებს. პირველ რიგში, მას სწამს, რომ ბუნებაში საკმარისი რესურსები არსებობს ყველა ადამიანის გამოსაკვებად. ამას, თავის მხრივ, განაპირობებს ის, რომ საკუთრების ზომას ბუნებრივად ზღუდავს მოხმარების შესაძლებლობა. ადამიანს (ან ოჯახს) შეუძლია მოიხმაროს მხოლოდ იმდენი პროდუქტი, რამდენიც სჭირდება. შესაბამისად, ადამიანს სჭირდება მხოლოდ იმხელა მიწის ნაკვეთი, რამდენიც შეუძლია, რომ დაამუშავოს და რისი პროდუქტიც შეუძლია, მოიხმაროს. ზედმეტი უბრალოდ გაფუჭდება და მოსახმარებლად უვარგისი გახდება. მიწის ნაკვეთების დასაკუთრება კანონიერია და არ გამოიწვევს კონფლიქტებს, რადგან ყველა სხვას დარჩება საკმარისი ზომის და ხარისხის ნაკვეთი: ლოკის

სიტყვებით, დასამუშავებლად გამოსაყენებელი მიწა „დღესაც გაცილებით მეტია, ვიდრე კაცობრიობას გამოყენება შეუძლია“.

ვითარება არსებითად იცვლება მას შემდეგ, რაც ადამიანები გამოიგონებენ ფულს, რის ფუნქციასაც ასრულებენ პროდუქტები, რომლებიც არ ფუჭდება (ოქრო, ვერცხლი). ამის შემდეგ აზრი მიეცემა საკუთრების განუსაზღვრელ დაგროვებას: ხორცის ან ქლიავისგან განსხვავებით, ოქრო და ვერცხლი ვერასოდეს იქნება ზედმეტი. ამის შემდეგ, საკუთრების ინსტიტუტი ვეღარ დაემყარება მხოლოდ ბუნებით საჭიროებებს: მისი საფუძველია შეთანხმებები ადამიანთა შორის, რომელთა გარეშეც ნაკლებად საჭირო, მაგრამ გამძლე ნივთებს (ოქროს და ვერცხლს) უნივერსალური ღირებულება ვერ მიენიჭებოდა. შესაბამისად, შესაძლებელი და რაციონალური ხდება ქონებრივი უთანასწორობა, მათ შორის მიწაზე: უზარმაზარი პლანტაციების ქონასაც აზრი აქვს, თუ მისი პროდუქტი შემიძლია ფულზე გადავცვალო.

ბუნებით მდგომარეობაში მყოფი საზოგადოება ვერ დაარეგულირებს და ვერ დაიცავს ასეთ, გართულებულ საკუთრების ინსტიტუტს. მას სპეციალური, მთელი საზოგადოებისთვის სავალდებულო კანონები და მათი დაცვის მექანიზმები სჭირდება. ამდენად, ბუნებითი მდგომარეობიდან სახელმწიფოებრივზე გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია თავისუფალი ვაჭრობისა და კერძო საკუთრების ინსტიტუტების რეგულირება და დაცვა.

ამ ტექსტით ლოკი საფუძველს უყრის იმ აზრს, რომ ეკონომიკური თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია პოლიტიკური თავისუფლება. კერძო საკუთრების დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმრავრესი ფუნქციაა, რადგან დაცული კერძო საკუთრების გარეშე ვერ კეთილდღეობა გვექნება და ვერც თავისუფალი საზოგადოება.

ხელისუფლების ფუნქციები და შეზღუდვები და ინდივიდის მოვალეობები

როგორც უკვე ვთქვით, ლოკთან სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია კონკრეტული ფუნქციით. ადამიანები მას გადასცემენ არა ზოგადად თავისუფლებას, არამედ კონკრეტულ უფლებას: დასაჯოს დამნაშავე, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, თავისუფლებას და საკუთრებას. შესაბამისად, სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაშია ლეგიტიმური, თუ ის უკეთ იცავს ადამიანთა საკუთრებას, ვიდრე ამას ბუნებით საზოგადოებაში გაერთიანებული ინდივიდები გააკეთებდნენ. სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების გაერთიანების ფორმა: ამიტომ ლოკისთვის ის იგივეა, რაც „პოლიტიკური ან სამოქალაქო საზოგადოება“.

ლოკი კონკრეტულად ჩამოთვლის სამოქალაქო ხელისუფლების ფუნქციებს. ყოველივე ის, რაც მასში არ შედის, ინდივიდების საქმედ რჩება. სახელმწიფო შეიმუშავებს საერთო წესებს, რომლებიც ნებისმიერი კერძო ინდივიდის ან ჯგუფის მოსაზრებაზე მაღლა დგას – ანუ კანონს; ის სჯის იმას, ვინც არღვევს საზოგადო-

ების მიერ მიღებულ წესებს – ანუ აღასრულებს კანონს; დაბოლოს, ის იცავს საზოგადოებას გარე საფრთხისაგან – ანუ წყვეტს ომისა და მშვიდობის საკითხებს.

აქ ჩანასახის სახით მოცემულია ძალაუფლების დანაწილების პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე დემოკრატიას, თუმცა მისი კონკრეტული სქემა განსხვავდება იმისგან, რასაც ახლა ვიყენებთ: ლოკი ცალ-ცალკე განიხილავს აღმასრულებელ და ფედერალურ ძალაუფლებებს – ამ უკანასკნელს ქვეყნის გარე საფრთხისგან თავდაცვა ევალება, თუმცა ჩვეულებრივ შიდა წესრიგის და გარე საფრთხისგან დაცვის ფუნქციებს აღმასრულებელი ხელისუფლება ითავსებს. მთავარია ის აზრი, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება გამიჯნული უნდა იყოს ერთმანეთისგან. აღმასრულებელი ძალაუფლების მატარებელი (ლოკს ასეთად მეფე წარმოედგინა) მხოლოდ მისგან დამოუკიდებლად მიღებული კანონების ფარგლებში უნდა მართავდეს, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები ისევე ემორჩილებოდნენ კანონებს, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი. ეს არის საუკეთესო გარანტია იმისა, რომ არც ერთი არ გამოიყენებს ძალაუფლებას ბოროტად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსთვის ცალკეული ფუნქციის გადაცემით ინდივიდები თავიდან ვერ იცილებენ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და ვალდებულნი რჩებიან, საზოგადოების (და არა მხოლოდ საკუთარ) კეთილდღეობაზე იზრუნონ. კერძოდ, მათ ხელი უნდა შეუწყონ კანონის აღსრულებას (მაგალითად, როგორც დღეს ვიტყოდით, ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან), დაიცვან თავისი ქვეყანა გარე საფრთხისაგან (იმსახურონ ჯარში) და ა. შ.

ინდივიდის საზოგადოების წინაშე პასუხიმგებლობას (დღევანდელი სიტყვებით – სამოქალაქო პასუხიმგებლობას) განეკუთვნება ვალდებულება, დაემორჩილოს უმრავლესობის გადაწყვეტილებას. როგორც ვთქვით, სამოქალაქო თავისუფლება ნიშნავს, რომ ადამიანები ემორჩილებიან მხოლოდ იმ კანონებს, რომლებიც მათი წარმომადგენლების მიერ მათი სახელით არის მიღებული. ეს ნიშნავს, რომ კანონი მიღებულია საზოგადოების თანხმობით, თუმცა ის შეიძლება უმცირესობაში მყოფ ინდივიდს ან ჯგუფს არ მოსწონდეს. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ გაერთიანებაში შესვლის აქტით ინდივიდი ადასტურებს, რომ დაემორჩილება უმრავლესობის გადაწყვეტილებას მაშინაც, როდესაც პირადად მას ის არ მოსწონს.

დესპოტური სახელმწიფო და აჯანყების უფლება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი, რაც ლოკის მოძღვრებიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ ლეგიტიმურია არა ყოველგვარი სახელმწიფო, არამედ ისეთი, რომელშიც მმართველობა საზოგადოების თანხმობით მიღებული კანონებითაა შეზღუდული. საბოლოოდ, სწორედ ამაშია ყველაზე დიდი კონტრასტი ჰობსის მიერ მიღებულ დასკვნასთან: სახელმწიფოში ცხოვრება ყოველთ-

ვის ჯობია ბუნებით მდგომარეობას. ლოკის აზრით, საზოგადოებრივი ხელშეკრულებით შექმნილ სახელმწიფოში (ანუ „სამოქალაქო მმართველობაში“ – დღეს ამის მაგივრად „ლიბერალურ დემოკრატიას“ ვიტყოდით) ცხოვრება უკეთესია ბუნებით მდგომარეობაზე, მაგრამ ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, უპირატესობა აქვს დესპოტურ მმართველობასთან შედარებით. სწორედ ასეთად თვლის ის აბსოლუტურ მონარქიას, სადაც მეფის პრეროგატივა არ არის შეზღუდული ხალხის წარმომადგენლების, ანუ პარლამენტის ძალაუფლებით.

რატომ? დესპოტურ სახელმწიფოში მე წართმეული მაქვს თავისუფლება, ანუ ვიღაც სხვას აქვს შეუზღუდავი ძალაუფლება ჩემს სიცოცხლესა და საკუთრებაზე. მე დამოკიდებული ვარ მის კეთილ ნებაზე: თუ დესპოტურმა მართველობამ ასეთი ნება არ გამოიჩინა და ჩემს სიცოცხლესა და საკუთრებას დაემუქრა, არ არსებობს მიუკერძოებელი მოსამართლე, რომელსაც შემიძლია მივმართო. მაგრამ მე აღარც თავდაცვის ის რესურსები დამრჩენია, რაც ბუნებით მდგომარეობაში გამაჩნია, მაშინ როდესაც სახელმწიფოს გაცილებით მეტად შეუძლია შეზღუდოს ჩემი უფლებები, ვიდრე ბუნებით მდგომარეობაში მოქმედ ბოროტმოქმედს. საუბარიც კი იმაზე, როგორ შეიძლება დაიცვას საზოგადოებამ თავი დესპოტური მმართველობისგან, იდევნება, როგორც „ღალატი“ ან სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობა. ყველაზე დაუცველი ადამიანი დესპოტური მმართველობის პირობებშია.

აქედან გამომდინარე, სრულიად სამართლიანია, თუ ადამიანები აუჯანყდებიან დესპოტურ ხელისუფლებას და დაიბრუნებენ უფლებებს, რაც ბუნებისგან (ან ღმერთისგან) აქვთ მონიჭებული. ამ მოსაზრების გამო, ლოკს მისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც ინგლისის „დიადი რევოლუციის“ და ზოგადად, პოლიტიკური რევოლუციების გამმართლებლად თვლიდნენ.

მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე

თავი I

2. მე მგონი, ზედმეტი არ იქნება, ამ მიზნით ჩამოვაყალიბო, რას ვგულისხმობ პოლიტიკურ ძალაუფლებაში, რათა შევძლოთ, ქვეშევრდომზე ხელისუფალის ძალაუფლება განვასხვავოთ მამის ძალაუფლებისაგან შვილების მიმართ, პატრონისა მოსამსახურეების, ქმრისა – ცოლის და ბატონისა – მისი მონების მიმართ. ძალაუფლების ყველა ეს განსხვავებული სახე ხანდახან შეიძლება ერთსა და იმავე ადამიანში იყოს თავმოყრილი, მაგრამ თუ მას ამ სხვადასხვა მიმართებაში შევხედავთ, ეს შეიძლება დაგვეხმაროს კიდეც გავმიჯნოთ ძალაუფლების ეს სახეები და დავინახოთ, რით განსხვავდება ერთმანეთისგან სახელმწიფოს მმართველი, ოჯახის მამა და გემის კაპიტანი.

3. პოლიტიკურ ძალაუფლებად კი ვთვლი კანონების შექმნის უფლებას, რაც მოიცავს სიკვდილით დასჯას და, მასთან ერთად, ყველა უფრო ნაკლებ სასჯელს, რაც ემსახურება საკუთრების მოწესრიგებასა და დაცვას, და საზოგადოების ძალის გამოყენებას ამ კანონების აღსასრულებლად და სახელმწიფოს გარე თავდასხმისგან დასაცავად. ყოველივე ამის [გამოყენება] მხოლოდ საზოგადო სიკეთისთვის [უნდა ხდებოდეს].

თავი II
ბუნებითი მდგომარეობის შესახებ

4. იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ პოლიტიკური ძალაუფლება და მისი საწყისიდან გამოვიყვანოთ, უნდა განვიხილოთ ის მდგომარეობა, რომელშიც ყველა ადამიანი ბუნებრივად იმყოფება: როდესაც თითოეულს სრული თავისუფლება აქვს, ბუნების კანონების საზღვრებში თავად გადაწყვიტოს, რა აკეთოს – ისე მოექცეს თავის საკუთრებასა და სხვა ადამიანებს, როგორც თვითონ უნდა და საამისოდ არავის სთხოვოს ნებართვა და არავისზე იყოს დამოკიდებული.

ეს, ამავე დროს, თანასწორობის მდგომარეობაა, როდესაც ყოველგვარი ძალა და კანონის მიყენების უფლება გაწონასწორებულია და ისინი არავის აქვს სხვაზე მეტად მომადლებული. სრულიად ცხადია, რომ ამ მდგომარეობაში ერთი

და იმავე მოდგმისა და რანგის ადამიანები, რომლებსაც ბუნებამ განურჩევლად მიანიჭა ყველა უპირატესობა და ერთი და იმავე უნარებით დააჯილდოვა, ასევე თანასწორნი უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ. არავინ არის ვინმეს მიერ დაქვემდებარებული ან დამორჩილებული, თუ ყველა მათგანის საერთო უფალმა და ბატონმა თავისი ნების აშკარა გამოცხადებით ერთი მეორეზე მაღლა არ დააყენა და ნათლად და ცხადად არ განუსაზღვრა პირველს ბატონობისა და სუვერენობის უეჭველი უფლება.

5. ბრძენი ჰუკერი[1] იმდენად თავისთავად ცხადად და უეჭველად მიიჩნევს ადამიანთა ამ ბუნებით თანასწორობას, რომ სწორედ მასზე აფუძნებს ადამიანთა შორის ურთიერთსიყვარულის მოვალეობას, ამ უკანასკნელიდან გამოჰყავს მათი ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ, შემდეგ კი სამართლიანობისა და ქველმოქმედების ღირსეული წესები. აი, რას ამბობს იგი:

„ასეთივე ბუნებრივმა აუცილებლობამ აიძულა ადამიანები გაეგოთ, რომ მათ საკუთარი თავის სიყვარულზე არანაკლებ ევალებათ, უყვარდეთ სხვაც, რამეთუ თანასწორ საგანთა დასანახად საჭიროა, მათ ყველანი ერთიანი საზომით ვუდგებოდეთ. აქედან გამომდინარე, თუ არ შემიძლია, რომ არ მსურდეს ყველა სხვა ადამიანისგან სიკეთე მივიღო, როგორც ყველა სხვას სურს სიკეთე საკუთარი თავისთვის, როგორ შეიძლება ჩემი ეს სურვილი ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილდეს, თუკი თავად არ შევეცდები დავაკმაყოფილო სხვა ადამიანების ასეთივე სურვილი, რომელიც მათ უეჭველად ექნებათ, რადგან ჩვენ ერთი ბუნებისანი ვართ. თუ მათი ამ სურვილის საწინააღმდეგოდ ვიმოქმედებ, ეს ისევე დაამწუხრებს მათ, როგორც მე. ასე რომ, თუ მათ რამეს დავუშავებ, უნდა მოველოდე, რომ მეც მომადგება ზიანი, რადგან არანაირი საფუძველი არ არსებობს ვიფიქრო, რომ ისინი მეტი სიყვარულით მომექცევიან. მაშასადამე, ჩემი სურვილი, ბუნებით ჩემ თანასწორ ქმნილებებს ვუყვარდე, ბუნებრივად მაკისრებს ვალდებულებას, მათ მიმართაც მსგავსი გრძნობა გამოვხატო. თანასწორობის ამ მიმართებიდან ჩვენსა და ჩვენს მსგავს ქმნილებებს შორის ბუნებაზე დამყარებულმა გონებამ ყველა ადამიანისთვის ცნობილი რამდენიმე წესი და კანონი გამოიყვანა ცხოვრებისთვის მიმართულების მისაცემად“ *(Eccl. Pol. i)*.

6. მაგრამ, თუმცა ეს თავისუფლების მდგომარეობაა, ეს არ გახლავთ თვითნებობის მდგომარეობა: მიუხედავად იმისა, რომ ამ მდგომარეობაში ადამიანს აქვს შეუზღუდავი თავისუფლება, განაგოს საკუთარი თავი და გონება, მას არა აქვს თავისუფლება, გაანადგუროს საკუთარი თავი ან მის მფლობელობაში მყოფი რაიმე ქმნილება, თუ არ აპირებს გამოიყენოს ის უფრო კეთილშობილი მიზნით, ვიდრე მისი შენარჩუნებაა. ბუნებითი მდგომარეობის სამართავად არსებობს ბუნებითი კანონი, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა, ხოლო გონება, რომელიც იგივე კანონია, ასწავლის ყველა ადამიანს, ვინც მას ყურს ათხოვებს, რომ რაკი ყოველი კაცი თავისუფალი და თანასწორია, არავის აქვს უფლება ხელყოს სხვისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება ან საკუთრება; რადგან ყოვე-

ლი კაცი ერთი ყოვლად ძლიერი და უსასრულოდ ბრძენი შემოქმედის შექმნილია; ერთი უზენაესი ბატონის მსახურია, მსოფლიოში მისი განგებითა და მისი საქმის გასაკეთებლად მოვლენილი; ისინი ეკუთვნიან მას, ვისი შექმნილნიც არიან და უნდა იარსებონ მანამ, სანამ ესიამოვნება მას, და არა სხვა [ადამიანებს]. და, რაკი [ერთმანეთის] მსგავსი უნარი გვაქვს მომადლებული, რაკი ყველანი თანაბრად ვინაწილებთ ბუნებით ერთობას, ვერ იარსებებს ისეთი დაქვემდებარება ადამიანებს შორის, რომელიც ერთმანეთის განადგურების უფლებას მოგვცემდა, თითქოს ერთმანეთის იარაღად ვყოფილიყავით შექმნილნი, როგორც უფრო დაბალი რანგის ქმნილებები არიან შექმნილნი ჩვენი [სარგებლისთვის]. როგორც თითოეულს მართებს, საკუთარი თავის შენარჩუნებაზე იზრუნოს და თავისი ნებით არ წავიდეს ამ ცხოვრებიდან, იმავე მიზეზით, თუ ეს მისი საკუთარი სიცოცხლის დაცვას არ ეწინააღმდეგება, ყოველი კაცი დანარჩენი კაცობრიობის დაცვაზეც უნდა ზრუნავდეს და, თუ დამნაშავის დასჯას არ შეეხება საქმე, არ ხელყოს ან ზიანი არ მიაყენოს სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ასევე ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს მეორე ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლების, სხეულის სიმრთელის ან ქონების შენარჩუნებას.

7. იმისათვის, რათა ყველა ადამიანი შეაკავონ იმისგან, რომ მან სხვისი უფლებები დაარღვიოს და სხვას ზიანი მიაყენოს და დაცულ იქნეს ბუნებითი კანონი, რომელიც მთელი კაცობრიობის მშვიდობასა და შენარჩუნებას მოითხოვს, ბუნებითი კანონის აღსრულება ამ მდგომარეობაში თითოეული ადამიანის ხელშია. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ისეთი სასჯელი მიუყენოს ამ კანონის დამრღვევს, რომ კანონის დარღვევა აღიკვეთოს. ბუნებითი კანონი, ისევე როგორც ყოველი კანონი, რომელიც ამ სამყაროში ადამიანთა ცხოვრებას შეეხება, ამაო იქნებოდა, ბუნებით მდგომარეობაში არავის რომ არ ჰქონოდა ძალა მისი აღსრულებისა და ამით უდანაშაულოთა დაცვისა და თავდამსხმელთა შეკავებისა. თუ ბუნებით მდგომარეობაში ვინმეს შეუძლია ჩადენილი ბოროტებისთვის დასაჯოს სხვა, მაშინ ყველას აქვს ამის უფლება. სრული თანასწორობის ამ მდგომარეობაში, სადაც არავის აქვს მეორის დაქვემდებარების ან მართვის უფლება, თუ ვინმეს შეუძლია რაიმე მოიმოქმედოს ამ კანონის აღსასრულებლად, ასეთივე უფლება ყველა სხვაზე უნდა გავრცელდეს.

8. მაშასადამე, ბუნებით მდგომარეობაში ადამიანს შეიძლება ძალაუფლება ჰქონდეს მეორე ადამიანის მიმართ. მაგრამ თუნდაც ბოროტმოქმედი ჩაუვარდეს ხელში, კაცს არა აქვს მის მიმართ აბსოლუტური ან თვითნებური ძალაუფლება, ის ვერ მოექცევა მას საკუთარი გულფიცხი ვნებების ან ნება-სურვილის ყოველი კაპრიზის მიხედვით: მას შეუძლია, რომ მხოლოდ ისე აზღვევინოს დამნაშავეს, როგორც ცივი გონებისა და სინდისის კარნახით მისი გადაცდენის შესაფერისად ჩათვლის. [სასჯელის რაგვარობა] განისაზღვრება იმით, რაც საჭიროა ზარალის ანაზღაურებისა და შეკავებისათვის. რადგან მხოლოდ ეს ორი გამართლებაა, რითაც ადამიანმა შეიძლება კანონიერად მიაყენოს ზიანი მეორე ადამიანს, ანუ

აღასრულოს ის, რასაც სასჯელს ვეძახით. როცა ბოროტმოქმედი ბუნებით კანონს არღვევს, ამით ის აშკარას ხდის, რომ სხვა წესით ცხოვრობს, ვიდრე გონებისა და საყოველთაო თანასწორობის კანონია, რომელიც ღმერთმა ადამიანთა მოქმედებებს დაუდგინა ყველა მათგანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამგვარად, ის კაცობრიობისთვის სახიფათო ხდება. იგი ასუსტებს და არღვევს იმ შეზღუდვებს, რაც ადამიანებს ზიანისა და ძალადობისაგან იცავს, ეს კი მთელი [კაცთა] მოდგმის, ბუნებითი კანონით დაცული მისი მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებაა. აქედან გამომდინარე, ყოველ ადამიანს, მთელი საკაცობრიოს დაცვის უფლების ძალით, შეუძლია შეაკავოს, ხოლო თუ ეს აუცილებელია, გაანადგუროს ყველა, ვინც მათ [კაცთა მოდგმის მშვიდობასა და უსაფრთხოებას] საფრთხეს უქმნის, ესე იგი, ისეთი ზიანი მიაყენოს კანონის დამრღვევს, რომელიც მას ჩადენილს ანანებინებს. ამით ის მასაც და მის მაგალითზე სხვებსაც შეაკავებს იმისგან, რომ ასეთივე უმსგავსო ქმედება ჩაიდინონ. ამ შემთხვევაში და ამის საფუძველზე, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, დასაჯოს დამნაშავე და ბუნებითი კანონის აღმსრულებელი გახდეს.

9. ეჭვი არ მეპარება, რომ ბევრ ადამიანს ეს მოძღვრება მეტად უცნაურად მოეჩვენება. მაგრამ სანამ გამკიცხავენ, ვთხოვ, ერთ რამეში გამარკვიონ: რა უფლებით შეუძლია მთავარს ან სახელმწიფოს, სიკვდილით ან რაიმე სხვა ხერხით დასაჯოს უცხოელი დანაშაულისთვის, რომელსაც ის მათ ქვეყანაში ჩაიდენს? აშკარაა, რომ მათი კანონები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს განცხადებული ნებით არის სანქცირებული, უცხოელზე არ ვრცელდება. ეს კანონები მასზე არ არის გათვლილი, და ეს უკანასკნელიც არ არის ვალდებული მათ ყური ათხოვოს. საკანონმდებლო ორგანოს, რისი აქტითაც ეს კანონები ძალაშია ამ სახელმწიფოს ქვეშევრდომთა მიმართ, მის მიმართ ძალა არა აქვს. ის ხალხი, ვინც საფრანგეთში, ინგლისში თუ ჰოლანდიაში კანონებს ქმნის, ინდოელის თვალში მთელი დანარჩენი მსოფლიოს მსგავსნი არიან, ანუ ის ადამიანები, ვისაც [მის მიმართ] არავითარი სახელისუფლებო რწმუნება არა აქვთ. თუ არ დავუშვებთ, რომ არსებობს ბუნებითი კანონი, რისი ძალითაც ყოველ ადამიანს შეუძლია, დასაჯოს ყოველი გადაცდენა მის წინააღმდეგ, თუ ფხიზელი თვალით დაინახავს, რომ ასეთი რამე მოხდა – მაშინ ვერ ვხედავ, რის საფუძველზე შეუძლიათ ნებისმიერი ქვეყნის მმართველებს დასაჯონ სხვა ქვეყნიდან მოსული უცხოელი, რამეთუ მის მიმართ არა აქვთ მეტი ძალაუფლება გარდა იმისა, რაც ყოველ ადამიანს ბუნებრივად აქვს სხვათა მიმართ.

10. გარდა იმ დანაშაულისა, რაც კანონის დარღვევასა და გონების მართლზომიერი წესებიდან გადახვევაში მდგომარეობს, როდესაც კაცი იმდენად გადაგვარდება, რომ ადამიანური ბუნების პრინციპებზე იტყვის უარს და მავნე ქმნილებად იქცევა, ჩვეულებრივ, საქმე გვაქვს ზიანის მიყენებასთან, ანუ კანონის გადაცდენის შედეგად რომელიღაც პიროვნება ზარალდება. ამ შემთხვევაში დაზარალებულს, გარდა იმისა, რომ, ყველა სხვა ადამიანის მსგავსად, დამნაშავის დასჯის

უფლება აქვს, შეუძლია აგრეთვე ზარალი აინაზღაუროს იმისგან, ვინც ზიანი მიაყენა. და ყველას, ვინც კი ამას სამართლიანად ჩათვლის, შეუძლია, გვერდში დაუდგეს დაზარალებულს და დაეხმაროს მას, დაიბრუნოს ბოროტმოქმედისაგან იმდენი, რამდენიც აუნაზღაურებს განცდილ ზარალს.

თავი III
ომის მდგომარეობის შესახებ

18. ეს კანონიერს ხდის, რომ ადამიანმა მოკლას ქურდი, თუნდაც ამ უკანასკნელმა მას არანაირი სხეულებრივი ზიანი არ მიაყენოს ან მისთვის სიცოცხლის წართმევის განზრახვა არ გამოავლინოს, არამედ ძალის გამოყენებით მისი მხოლოდ იმდენად დამორჩილება მოინდომოს, რომ ფული ან რაიმე სხვა წაართვას. რადგან, თუ იგი ძალას ხმარობს, როგორც გინდა მაჩვენებდეს თავს, არა მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ის, ვისაც ჩემთვის თავისუფლების წართმევა სურს, საშუალება რომ ჰქონდეს, სხვა ყველაფერსაც არ წამართმევდა. მაშასადამე, სრული უფლება მაქვს, მოვექცე მას, როგორც იმას, ვინც ჩემთან ომის მდგომარეობაში აყენებს თავს – ანუ მოვკლა. რადგან ყველა, ვინც ომის მდგომარეობას იწვევს და აგრესორად გვევლინება, სამართლიანობის თანახმად ასეთ საფრთხეში იგდებს თავს.

19. აი, აქა გვაქვს მარტივი განსხვავება ბუნებით მდგომარეობასა და ომის მდგომარეობას შორის, რომელიც, რასაც არ უნდა ამტკიცებდნენ ზოგიერთნი, ისევე შორსაა ერთმანეთისგან, როგორც მშვიდობის, კეთილგანწყობის, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთშენახვის მდგომარეობა განსხვავდება მტრობის, ჯიბრის, ძალადობისა და ურთიერთგანადგურების მდგომარეობისაგან. ადამიანები, რომლებიც გონების შესაბამისად ცხოვრობენ მათი განსჯის შემძლე საერთო ამქვეყნიური უფროსის გარეშე, სწორედ რომ ბუნებით მდგომარეობაში არიან. მაგრამ სხვა ადამიანის მიმართ ძალადობა ან ძალის გამოყენების გაცხადებული განზრახვა, როცა ამქვეყნად საერთო უფროსი არ არის, ვისაც საშველად მიმართავდი, ომის მდგომარეობას ქმნის. სწორედ ასეთი მიმართვის შეუძლებლობა აძლევს ადამიანს აგრესორის წინააღმდეგ ომის უფლებას, თუნდაც ეს უკანასკნელი იმავე საზოგადოებაში ცხოვრობდეს და თანამოძმე იყოს. მაგალითად, ქურდს მხოლოდ მაშინ შემიძლია მივაყენო ზიანი, თუ კანონს მივმართავ, თუნდაც მან ყველაფერი წამგვაროს, რაც კი გამაჩნია – მაგრამ შემიძლია ის მოვკლა, როდესაც ის თავს დამესხმება, თუნდაც მხოლოდ ცხენის ან მოსასხამის მოსაპარად. ამ შემთხვევაში, ჩემი გადარჩენისთვის შექმნილი კანონი უფლებას მაძლევს, თავი დავიცვა და ომი გავაჩაღო, ის ნებას მრთავს აგრესორი მოვკლა, თუ კანონი ვერ ჩაერთო ჩემი სიცოცხლის ამწუთიერი ძალადობისაგან გადასარჩენად, ხოლო თუ სიცოცხლე დავკარგე, მისი აღდგენა უკვე შეუძლებელია, რადგან აგრესორი

დროს არ მიტოვებს ჩვენს საერთო მოსამართლეს მივმართო ან კანონის განაჩენს დაველოდო იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ანაზღაურება შეიძლება შეუძლებელი გახდეს. ძალაუფლების მქონე საერთო მოსამართლის არარსებობა ყველა ადამიანს ბუნებით მდგომარეობაში აყენებს; ადამიანის მიმართ უფლების გარეშე ძალის გამოყენება ომის მდგომარეობას ქმნის იმის მიუხედავად, არსებობს საერთო მოსამართლე თუ არა.

20. მაგრამ როცა ძალის გამოყენება აღარ ხდება, საზოგადოების წევრთა შორის ომის მდგომარეობაც წყდება და ორივე მხარე კანონის სამართლიან განსჯას ექვემდებარება, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია, წარსული ზიანი გაასაჩივრო და მოსალოდნელი ზარალი თავიდან აიცილო. მაგრამ, როცა ადამიანები ვერავის მიმართავენ – ხოლო სწორედ ასეა საქმე ბუნებით მდგომარეობაში, სადაც არ არის მოქმედი კანონები და ვერ ნახავ უფლებამოსილ მოსამართლეს – მაშინ ერთხელ დაწყებული ომის მდგომარეობა გრძელდება, ხოლო უდანაშაულო მხარეს უფლება აქვს, როგორც კი საშუალება მიეცემა, მოწინააღმდეგე მოკლას. უდანაშაულო ადამიანს მხოლოდ ის შეაჩერებს, თუკი თავდამსხმელი შერიგების ისეთ პირობებს შესთავაზებს, რაც უკვე მიყენებულ ზიანს აუნაზღაურებს და სამომავლო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. იმ შემთხვევაშიც, თუ ადამიანს შეუძლია კანონს და მის აღსასრულებლად დანიშნულ მოსამართლეს მიმართოს, მაგრამ მას ართმევენ ამ საშუალებას, რადგან ვიღაცას უნდა, მოძალადე ან ზიანისმიმყენებელ ადამიანს თუ ჯგუფს ხელი დააფაროს და გაამართლოს, და საამისოდ მართლმსაჯულებას აშკარად არღვევს ან კანონებს მოურიდებლად ამახინჯებს, სხვა რა უნდა წარმოვიდგინოთ, თუ არა ომის მდგომარეობა? რადგან, თუ ვინმეზე ძალადობენ და ზიანს აყენებენ, ეს მაინც ძალადობა და ზიანია, თუნდაც ამას მართლმსაჯულების აღსასრულებლად დანიშნული ადამიანების ხელით აკეთებდნენ და კანონის სახელით ნიღბავდნენ. კანონის დანიშნულება ხომ ისაა, რომ უდანაშაულო დაიცვას და მას ზარალი აუნაზღაუროს, ამასთან თანაბრად მიუყენოს ის ყველას, ვისზეც მისი მოქმედება ვრცელდება. ხოლო, თუ ეს კეთილსინდისიერად არ ხდება, მაშინ დაზარალებულთა მიმართ ომი ყოფილა გაჩაღებული, მათ ისინი, რაკი დედამიწაზე სამართლიანობის დამცველი აღარავინ ეგულებათ ზეცის გარდა ვეღარავის მიმართავენ.

21. ომის მდგომარეობის თავიდან აცილება (როდესაც ზეცის გარდა, სხვა საშველი აღარ რჩება, ქრება ყველა განსხვავება და აღარ არსებობს არანაირი ძალა, რომელიც მოდავეთა მიმართ რაიმე განაჩენს გამოიტანს) ძირითადი მიზეზია იმისა, რომ ადამიანები საზოგადოებას ქმნიან და უარს ამბობენ ბუნებით მდგომარეობაზე. რადგან, როდესაც არსებობს რაღაც ხელისუფლება, რაღაც ამქვეყნიური ძალა, რომელსაც შეუძლია, დაგეხმაროს, თუ მას მიმართავ, მაშინ ომის მდგომარეობის გაგრძელება გამოირიცხება და დავის გადამწყვეტი ეს ძალა გახდება. [...]

თავი IV
მონობის შესახებ

22. ადამიანის ბუნებითი თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ემორჩილება არანაირ ამქვეყნიურ უპირატეს ძალას ან ადამიანის ნებასა თუ საკანონმდებლო ხელისუფლებას და მხოლოდ ბუნებით კანონს აღიარებს სახელმძღვანელოდ. ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში ისაა, რომ არ დაემორჩილოს სხვა საკანონმდებლო ძალაუფლებას, გარდა იმისა, რაც სახელმწიფოში თანხმობით მიიღება; არ დაემორჩილოს რაიმე ნებას ან შეიზღუდოს რაიმე კანონით, გარდა იმისა, რასაც კანონმდებელი მიიღებს მისდამი გამოცხადებული ნდობის ფარგლებში. მაშასადამე, თავისუფლება არ არის ის, რასაც სერ რობერტ ფილმერი გვეუბნება: „თავისუფლებაა ყველამ აკეთოს ის, რაც მოესურვება, იცხოვროს, როგორც ესიამოვნება და არ შეიზღუდოს რაიმე კანონებით“. არამედ, ხელისუფლების პირობებში მცხოვრები ადამიანების თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ არსებობდეს მოქმედი სახელმძღვანელო წესები, რაც საზოგადოების ყველა წევრზე თანაბრად გავრცელდება და რასაც მასში შექმნილი საკანონმდებლო ორგანო შემოიღებს. [ეს არის] თავისუფლება, ვიმოქმედო ჩემი საკუთარი ნებით ყოველთვის, როცა ეს წესები ამას არ მიკრძალავს, არ დავექვემდებარო მეორე ადამიანის ცვალებად, გაურკვეველ, უცნობ, თვითნებურ სურვილებს, – ისევე, როგორც ბუნებითი თავისუფლება ნიშნავს, არაფრით იყო შეზღუდული, გარდა ბუნების კანონისა.

23. ეს თავისუფლება აბსოლუტური, თვითნებური ძალაუფლებისაგან იმდენად აუცილებელია ადამიანის თვითშენახვისათვის და იმდენად გადაჯაჭვულია მასთან, რომ იგი ვერ დათმობს მას ისე, რომ საკუთარ უსაფრთხოებასა და სიცოცხლეზეც არ აიღოს ხელი. რადგან ადამიანს, რომელსაც არა აქვს ძალაუფლება საკუთარი სიცოცხლის მიმართ, არ შეუძლია, ხელშეკრულების ან თანხმობის საფუძველზე ვინმეს მონად იქცეს ან სხვის აბსოლუტურ, თვითნებურ ძალას დაექვემდებაროს ისე, რომ ამ უკანასკნელმა, როცა მოესურვება, მაშინ წაართვას სიცოცხლე. არავის შეუძლია, გასცეს მეტი ძალაუფლება, ვიდრე აქვს, და ვისაც არ შეუძლია, საკუთარი სიცოცხლე ხელყოს, ვერც სხვას მისცემს ამის უფლებას. [...]

24. სრული მონობის მდგომარეობა სხვა არაფერია, თუ არა გაგრძელებული საომარი ვითარება კანონიერ დამპყრობელსა და ტყვეს შორის. რადგან თუ მათ შორის ხელშეკრულება ერთხელ შევიდა ძალაში და განისაზღვრა, რომ ერთ მხარეს აქვს შეზღუდული ძალაუფლება, მეორეს კი – მორჩილების მოვალეობა, ომისა და მონობის ვითარება წყდება მანამ, სანამ ხელშეკრულებას ძალა უნარჩუნდება. რადგან, როგორც უკვე ითქვა, ვერც ერთი ადამიანი ვერ გადასცემს მეორეს იმ უფლებას, რაც თვითონ არა აქვს – საკუთარი სიცოცხლის ხელყოფის უფლებას. [...]

თავი V
საკუთრების შესახებ

24. შეგვიძლია დავეყრდნოთ ბუნებით განსჯას, რომელიც გვეუბნება, რომ კაცი რომ დაიბადება, მას უფლება აქვს, თავი შეინახოს, ანუ მოიხმაროს ხორცი, სასმელი და სხვა ნივთები, რაც ბუნებას შეუქმნია მის გამოსაკვებად; ან ვენდოთ „გამოცხადებას", რომლის თანახმადაც ღმერთმა სამყარო უბოძა ადამს, აგრეთვე ნოესა და მის შვილებს: ორივე შემთხვევაში ცხადია, რომ ღმერთმა, მეფე დავითის სიტყვებით (ფსალმი 115.16) „დედამიწა კაცთა შვილებს უბოძა", ანუ კაცობრიობას საერთო მფლობელობაში გადასცა. მაგრამ, თუნდაც ასე იყოს, ბევრს უჭირს იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება ვინმე რამის მესაკუთრე გახდეს. ამიტომ მე არ შემოვიფარგლები იმის თქმით, რომ, თუმცა ძნელია გამოვიყვანოთ „საკუთრება" იმ დაშვებიდან, რომ ღმერთმა სამყარო ადამს და მის მემკვიდრეებს ერთობლივად დაუტოვა, აგრეთვე შეუძლებელია, რომ ერთი კაცი, გარდა მსოფლიო მონარქისა, ფლობდეს მთელ მიწას, რომელიც ღმერთმა ადამს და მის მემკვიდრეებს უბოძა, და ადამის ყველა სხვა მემკვიდრე გამორიცხოს. შევეცდები იმის ჩვენებას, თუ როგორ შეიძლება ადამიანებმა დაისაკუთრონ რაღაც ნაწილები იმისა, რაც ღმერთმა მთელ კაცობრიობას ერთიანად გადასცა, და ეს ყველა მათგანს შორის აშკარა შეთანხმების გარეშე გააკეთონ.

25. ღმერთმა, რომელმაც სამყარო მთელ კაცთა მოდგმას გადასცა, ამავე დროს უბოძა გონება, რათა მათ ის საუკეთესოდ გამოყენებინათ საკუთარი სიცოცხლისა და კომფორტისთვის. დედამიწა და მისი ყველა დოვლათი ადამიანებს თავის შესანახად და ცხოვრების უკეთ მოსაწყობად აქვთ გადაცემული. მაგრამ თუმცა ყველა ნაყოფი, რაც ბუნებრივად მოიწევა ან ყველა მხეცი, რომელსაც ბუნება გამოკვებავს, მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, რადგან ისინი თავისთავად იქმნება ბუნების ხელით, და თავდაპირველად არავის აქვს დანარჩენი კაცობრიობის გამომრიცხველი კერძო უფლებები ამ ბუნებით მდგომარეობაში მყოფი პროდუქტების განსაკარგად, სანამ რომელიმე კონკრეტული ადამიანი მათ მოიხმარს ან მათგან რაიმე სარგებელს მიიღებს, აუცილებელია არსებობდეს რაღაც გზა, რითაც ის მათ დაისაკუთრებს. მცენარის ნაყოფი ან ირმის ხორცი, რითაც იკვებება ველური ინდიელი, რომელსაც არ აქვს შემოსაზღვრული რაიმე ტერიტორია და საერთო სივრცეში ცხოვრობს, მისი უნდა იყოს, და იმგვარად უნდა გახდეს მისი, ანუ კუთვნილი, რომ სხვა არავის ჰქონდეს მისი თავის სასარგებლოდ გამოყენების უფლება.

26. თუმცა სამყარო და ყველა მისი ქვემდგომი ქმნილება საერთოა ყველა ადამიანისთვის, ყოველ მათგანს აქვს პირადი „საკუთრება". ამ უკანასკნელზე მის გარდა უფლება არავის აქვს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი სხეულის შრომა, მისი ხელის გარჯა „საკუთრივ" მისია. მაშასადამე, როდესაც მას რაიმე გამოაქვს ბუნების მიერ შექმნილი მდგომარეობიდან, ის ამ რაიმეს თავის შრომას შეურევს, ანუ მიამატებს რაღაც ისეთს, რაც საკუთრივ მისია, და ამით აქცევს მას საკუთრებად.

რაკი მან ეს რაღაც ბუნების მიერ შექმნილი წესრიგიდან გამოაცალკევა, თავისი გარჯით დაურთო რაღაც ისეთი, რითაც ყველა სხვა ადამიანის საერთო უფლება გამოირიცხა. რაკი ეს „შრომა“ უდავოდ მშრომელისაა, მის გარდა არავის აქვს უფლება იმის მიმართ, რასაც მან თავისი შრომა დაურთო – ყოველ შემთხვევაში, თუ საერთო სფეროში საკმარისი და არანაკლებ კარგი [რესურსებია] დარჩენილი.

27. აშკარაა, რომ თუ კაცი მუხის ძირში რკოს მოკრეფს, ან ტყეში ვაშლის ხიდან ნაყოფს მოწყვეტს, ამით მათ დაისაკუთრებს. ვერავინ უარყოფს, რომ ეს საკვები მისია. მაშინ შეგეკითხებით: როდის გახდა ის მისი? როდესაც მოინელა? როდესაც შეჭამა? როდესაც საჭმელი მოხარშა? შინ როცა მიიტანა? თუ როცა მოკრიფა? სრულიად ცხადია, რომ თუ მოკრეფის მომენტში ის მისი არ გახდა, სხვა ვერაფრით გახდებოდა. სწორედ შრომის აქტმა გაავლო ზღვარი მასსა და დანარჩენებს შორის. ამ აქტმა დაურთო ამ საგნებს რაღაც მეტი, ვიდრე ბუნებისგან, ყოველივეს საერთო დედისგან, ჰქონდათ, და ამით მათზე მისი პირადი უფლება დაადგინა. შეუძლია ვინმეს თქვას, რომ მას არ ჰქონდა უფლება გამოეყენებინა ეს რკო თუ ვაშლი, რადგან საამისოდ მთელი დანარჩენი კაცობრიობის თანხმობა არ ჰქონია? რაკი მიისაკუთრა, რაც ყველას ეკუთვნოდა, ამით ძარცვა ჩაიდინა? ამგვარი თანხმობა რომ აუცილებელი იყოს, ადამიანები შიმშილით დაიხოცებოდნენ მთელი იმ უზარმაზარი დოვლათის მიუხედავად, რაც ღმერთმა უბოძა. ადამიანთა შეთანხმებით არსებულ საერთო საკუთრებაშიც ვხედავთ, რომ, როდესაც ვინმე ამ საერთო სივრცეში შევა და ბუნების მიერ შექმნილი მდგომარეობიდან რაღაცას ამოიღებს, ამით ის მის საკუთრებად იქცევა, და ამის გარეშე ამ საერთო საკუთრებას აზრი არა აქვს. ამ კონკრეტული რამის აღებას არ სჭირდება ყველა სხვა ადამიანის აშკარა თანხმობა. ამგვარად, ჩემი ცხენის მოძოვილი ბალახი, ჩემი მსახურის მოჭრილი კორდი, ჩემი ამოთხრილი მადანი ყველა იმ ადგილას, რომელსაც სხვასთან ერთად ვფლობ, ჩემად იქცევა და ამას სხვისი თანხმობა ან უფლების გადმოცემა არ სჭირდება. ჩემმა შრომამ, რაც დასჭირდა ამ საგნების საერთო მდგომარეობიდან ამოღებას, მათზე ჩემი საკუთრება დაადგინა.

(.....)

30. ამაზე შეიძლება შემომედავონ, რომ თუ რკოს ან ბუნების ნებისმიერი ნაყოფის მოგროვება მათზე [საკუთრების] უფლებას ადგენს, ყველას შეუძლია იმდენი მოაგროვოს, რამდენიც მოეხასიათება. ამაზე გიპასუხებთ, რომ ასე არ არის. ბუნების იგივე კანონი, რაც ამ გზით საკუთრებას ადგენს, მას ზღუდავს კიდეც. „ღმერთმა უხვად დაგვამადლა ყოველივე“ – ხომ ჭკუასთან ახლოა ამის თქმა? მაგრამ რისთვის გვიბოძა მან ეს საგნები: ხომ იმისთვის, „რომ მოვიხმაროთ“? თუ კაცს შეუძლია, [ბუნებისგან მიღებული დოვლათი] სასიცოცხლოდ საჭირო მიზნებისთვის გამოიყენოს ისე, რომ არ გააფუჭოს, მას მათი დასაკუთრება შეუძლია. ის, რაც ამაზე მეტია, მის წილს აღემატება და სხვისია. ღმერთს არაფერი შეუქმნია კაცის მიერ გასაფუჭებლად ან წასახდენად. თუ გავითვალისწინებთ, რამდენად უხვი იყო ბუნების რესურსები დიდი დროის განმავლობაში, რამდენად ცოტა

იყო მათი მომხმარებელი, და ამ დოვლათის რა მცირე ნაწილს შეიძლებოდა გაწვდენოდა კაცის გარჯა, რათა ისინი სხვისგან დამოუკიდებლად დაესაკუთრებინა, – განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ გონება ადგენს საზღვრებს, რამდენად ბევრი შეგიძლია გამოიყენო, – ნაკლები საფუძველი რჩება საიმისოდ, რომ ასე დადგენილი საკუთრების გამო სხვას ებრძოლო და დაუპირისპირდე.

31. მაგრამ ამჟამად საკუთრების ძირითადი სახე არის არა მიწის ნაყოფი და მათზე დამოკიდებული მხეცები, არამედ თვით მიწა, როგორც რაღაც ისეთი, რომელიც თავის თავში მოიცავს და ატარებს ყველა დანარჩენ [რესურსს]. ჩემი აზრით აშკარაა, რომ მასზე საკუთრება იმგვარადვე დგინდება, როგორც ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. რამდენ მიწასაც კაცი მოხნავს, დარგავს, გაანაყოფიერებს, მოუვლის და მერე მის ნაყოფს მოიხმარს, იმდენია მისი საკუთრება. თავისი შრომით ის, ასე ვთქვათ, გამოჯნავს მას საერთო [სფეროსგან]. მის უფლებებს ვერ უარვყოფთ იმის თქმით, რომ რაკი ყველა სხვას [მის ნაკვეთზე] თანაბარი პრეტენზია შეუძლია განაცხადოს, ამიტომ მას არ შეუძლია ის დაისაკუთროს და შემოღობოს ყველა მისი თანამოძმის ანუ მთელი კაცობრიობის თანხმობის გარეშე. როცა ღმერთმა მსოფლიო კაცთა მოდგმას გადასცა, მათ შრომაც უბრძანა; საამისოდ კაცს მისი მდგომარეობიდან გამომდინარე გაჭირვებაც უბიძგებს. ღმერთიც და საკუთარი გონებაც უბრძანებს, რომ მიწა დაამუშავოს – ე. ი. გააუმჯობესოს ის მისი სიცოცხლის საჭიროებისთვის და საამისოდ გამოიყენოს მის მიმართ რაღაც ისეთი, რაც უეჭველად მისია, ანუ მისი შრომა. ვინც, ღმერთის ამ ბრძანების შესასრულებლად, მიწის რაღაც ნაკვეთი დაამუშავა, მოხნა და დათესა, ამით მას დაუმატა რაღაც ისეთი, რაც უეჭველად მისია და ვერავინ შეეცილება, და რასაც დაუსჯელად ვერავინ წაართმევს.

32. როცა დამუშავების გზით კაცი მიწის ნაკვეთს ისაკუთრებს, ის ამით არავის არაფერს ავნებს, რადგან კიდევ საკმარისად რჩება ტოლფასი მიწა და ის გაცილებით მეტია იმაზე, რისი გამოყენებაც ჯერ კიდევ საკუთრების არმქონეებს შეუძლიათ. ასე რომ, საკუთარი ნაკვეთის შემოღობვით მას სხვებისთვის პრაქტიკულად არაფერი დაუკლია, რადგან თუ მან იმდენი [თავისუფალი] მიწა დატოვა, რამდენის გამოყენებაც სხვას შეუძლია, ეს იმის ტოლფასია, რომ სულ არაფერი წაეღოს. ვერავინ ჩათვლის თავს დაჩაგრულად იმის გამო, რომ სხვამ წყალი დალია, თუნდაც ძალიან ბევრი, თუ თვითონ მთელი მდინარე დარჩა წყურვილის მოსაკლავად. მიწასა და წყალს შორის კი არავითარი განსხვავება არ არის, თუ ორივე საკმარისი რაოდენობითაა.

33. ღმერთმა სამყარო უბოძა ყველა ადამიანს ერთად, მაგრამ რაკი მან ეს მისთვის გააკეთა, რომ მათ რაც შეიძლება მეტი სარგებელი ენახათ და რაც შეიძლება კარგად მოეწყოთ ცხოვრება, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ მას სურდა, მიწა მუდამ საერთო და დაუმუშავებელი დარჩენილიყო. მან ის გადასცა გამრჯეს და გონიერს (ვინც შრომის უფლებით დაისაკუთრებდა), და არა მოჩხუბარსა და მოდავეს მისი ხუშტურების გამოსავლენად. [....]

34. მართალია, რომ ინგლისსა თუ სხვა ქვეყნებში, სადაც მთავრობის ქვეშემრდომთა შორის ბევრს აქვს ფული და ჩართულია ვაჭრობაში, ვერავინ შემოღობავს და დაისაკუთრებს საერთო მიწას მის თანამოძმეთა თანხმობის გარეშე. ამის მიზეზი ისაა, რომ მიწა საერთო [მფლობელობაში] შეთანხმებით, ანუ ამ ქვეყნის კანონებითაა დატოვებული, მათი დარღვევა კი დაუშვებელია. ასე რომ, ის საერთოა ადამიანთა რაღაც რაოდენობისთვის და არა მთელი კაცთა მოდგმისთვის, რადგან ის ამ ქვეყნის, ამ სამწყსოს საერთო საკუთრებაა. გარდა ამისა, შემოღობვის შემდეგ დარჩენილი მიწა აღარ იქნება სხვა ადამიანებისთვის იმის ტოლფასი, რაც მანამდე იყო. მაგრამ თავდაპირველად, როდესაც დიდი საერთო სავარგულები ხალხით ივსებოდა, ვითარება სულ სხვაგვარი იყო. კანონი, რომელსაც კაცი ემორჩილებოდა, სწორედ [მიწის] დასაკუთრებას თხოვდა მას. მბრძანებელი ღმერთი იყო, მისი ნება კი ადამიანისგან შრომას მოითხოვდა. ეს [შრომა] შეადგენდა მის საკუთრებას, რომელსაც ვერავინ შეეცილებოდა ნებისმიერ ადგილას, სადაც ის მას ჩაყრიდა. აქედან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, მიწის გამოყენება თუ დამუშავება და მასზე საკუთრების დადგენა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ადამიანის სიცოცხლის პირობაა შრომა და მასალა, რომელსაც მას მიუყენებ, ეს კი აუცილებლობით მოითხოვს კერძო საკუთრებას.

35. ბუნება მშვენივრად განსაზღვრავს საკუთრების ზომას იმით, თუ რას გაწვდება კაცის შრომა და რას მოითხოვს ცხოვრების საჭიროება. ვერც ერთი ადამიანი თავისი შრომით ვერ დაამუშავებს და ვერ დაისაკუთრებს მთელ [მიწას], და საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე მას მისი ნაყოფის მხოლოდ მცირე ნაწილის მოხმარება შეუძლია. აქედან გამომდინარე, ადამიანი ვერ შეძლებს სხვების უფლებების შელახვას ან იმდენის დასაკუთრებას, რომ სხვები დაიჩაგრონ – მათაც შეეძლებათ იმის ტოლფასი და არანაკლები ნაკვეთი დაისაკუთრონ, რაც პირველი ადამიანის მიერ თავისი ნაკვეთის შემოღობვამდე შეეძლოთ. ამგვარი საზომი ყოველი ადამიანის ქონებას ამყოფებდა ერთობ შეზღუდულ ფარგლებში, ის იმდენს ვერ დაისაკუთრებდა, რომ სხვა ადამიანებისთვის ევნო. ასე იყო სამყაროს დასაბამისას, როდესაც ადამიანს მეტ საფრთხეს უქადდა დაკარგვა დედამიწის უკიდეგანო სივრცეებში, თუ თავისიანებს მოწყდებოდა, ვიდრე დასამუშავებელი მიწის ნაკლებობა.

[……]

45. ამგვარად, თავდაპირველად, საკუთრების უფლებას შრომა ქმნიდა, როდესაც ვინმე საერთო მიწის დამუშავებას გადაწყვეტდა. დიდი ხნის მანძილზე მიწის უდიდესი ნაწილი ასეთ [საერთო მფლობელობაში] რჩებოდა, და დღესაც [ასეთი მიწა] გაცილებით მეტია, ვიდრე კაცობრიობას გამოყენება შეუძლია. დასაწყისში ადამიანები უმეტესწილად ჯერდებოდნენ იმას, რასაც ბუნება, დახმარების გარეშე, სთავაზობდა მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. შემდგომ, მსოფლიოს გარკვეულ ნაწილებში, ადამიანებისა და პირუტყვის მომრავლებისა და ფულის გამოყენების გამო, მიწის ნაკლებობა შეიქმნა და მას ფასი დაედო.

ადამიანთა სხვადასხვა ერთობები დასახლდნენ გამოყოფილ ტერიტორიებზე და დაიწყეს, კანონების მეშვეობით, მათ საზოგადოებაში შემავალი კერძო ინდივიდების საკუთრების დარეგულირება. ამჯერად, საკუთრება, რომელსაც შრომამ და გარჯამ დაუდო დასაბამი, კონტრაქტით და შეთანხმებებით დაფიქსირდა. [.....]

46. უდიდესი ნაწილი ადამიანის სიცოცხლისთვის ნამდვილად საჭირო საგნებისა, რასაც მსოფლიოს პირველი ადამიანები აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად პირველ რიგში ეძიებდნენ (ისევე როგორც დღეს ამერიკელები ეძიებენ), მოკლევადიანი სარგებლობისაა, ასე რომ თუ მათ დროზე არ მოიხმარ, თავისთავად დალპება და წახდება. ოქრო, ვერცხლი და ბრილიანტები ისეთი რამაა, რასაც ადამიანების ახირებით თუ შეთანხმებით დაედო ფასი და არა ნამდვილი საჭიროებისა თუ სასიცოცხლო აუცილებლობის გამო. რაც შეეხება იმ დოვლათს, რაც ბუნებამ შექმნა საერთო სარგებლობისთვის, როგორც უკვე ითქვა, ყველას აქვს უფლება დაეუფლოს მის იმ ნაწილს, რასაც მოიხმარს და თავის საკუთრებად აქციოს იმდენი, რამდენის დამუშავებაც საკუთარი შრომით შეუძლია: ანუ ყველაფერი, რასაც მისი გარჯა გაწვდება და რასაც ბუნებრივ მდგომარეობასთან შედარებით გარდაქმნის, მისია. ვინც ასი ბუშელი რკო ან ვაშლი მოკრიფა, მათ მესაკუთრედ იქცა; ისინი მოკრეფისთანავე მისი გახდა. მას მხოლოდ ის რჩებოდა, გაფუჭებამდე მოეხმარა ეს დოვლათი, თორემ გამოვიდოდა, რომ საკუთარ წილზე მეტი აიღო და სხვები დააზარალა. შენთვის საჭიროზე მეტის მოგროვება ამ დროს ნამდვილად სულელურიც იყო და უპატიოსნოც. ნაწილს თუ სხვას მისცემდა ისე, რომ მის საკუთრებაში [მყოფი დოვლათი] არ წამხდარიყო, ესეც მისი [სწორი] გამოყენება იყო. თუ ის სხვას გაუცვლიდა ერთ კვირაში დასალპობ ქლიავს კაკალში, რომელიც მთელი წელი გამოადგებოდა, ამითაც არავის ავნებდა. თუ მის ხელში უაზროდ არაფერი გაფუჭდებოდა, ის საერთო სიმდიდრეს არ გაფლანგავდა და საერთო მფლობელობაში მყოფი დოვლათის ნაწილს არ წაახდენდა. ასევე, თუ ის კაკალს ლითონის ნაჭერში გაცვლიდა იმის გამო, რომ მისი ფერი მოსწონდა, ან ცხვარს გაცვლიდა ნიჟარებში, ან შალს – ბრჭყვიალა ქვასა თუ ბრილიანტში, და ამ უკანასკნელთ მუდამ თავის საკუთრებაში შეინახავდა, არც ამით შელახავდა სხვების უფლებებს. ასეთ გამძლე ნივთს იმდენს შეაგროვებდა, რამდენიც მოუნდებოდა: საკუთრების სამართლიანობას ზღუდავს არა სიდიდე, არამედ უსარგებლო წახდენა.

47. ასე შემოვიდა ხმარებაში ფული: ეს არის გამძლე ნივთი, რომელიც შეიძლება შეინახო ისე, რომ მისი გაფუჭებისა არ გეშინია, და, საერთო შეთახნმებით, გაცვალო სიცოცხლისთვის აუცილებელ, მაგრამ ადვილად ფუჭებად საგნებში.

48. თუ [ადრე] სხვადასხვაგვარი გარჯით ადამიანი განსხვავებული ზომის საკუთრებას მოიპოვებდა, ფულის გამოგონებამ საშუალება მისცა მას, საკუთარი სამფლობელოები კიდევ უფრო გაეფართოვებინა. [.....]

50. მაგრამ რაკი ოქრო და ვერცხლი ნაკლებად გამოადგება ადამიანს, ვიდრე საჭმელი, ტანსაცმელი, ან ეტლი, მისი ღირებულება მხოლოდ ადამიანთა შეთანხ-

მებიდან მოდის – ხოლო მის ზომას დიდად განაპირობებს ადამიანთა შრომა – ცხადია, რომ ამით ადამიანები დათანხმდნენ აგრეთვე მიწაზე არაპროპორციულ და უთანაბრო საკუთრებას, რა თქმა უნდა, საზოგადოებიდან და მისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. სახელმწიფოში ამ საკუთრებას კანონები აწესრიგებს. ისინი შეთანხმების საფუძველზე არკვევენ და ადგენენ იმის პირობებს, რომ ადამიანებმა სამართლიანად და სხვის მიმართ ზიანის მიუყენებლად დაისაკუთრონ მეტი, ვიდრე თვითონ შეუძლიათ, რომ მოიხმარონ. ამას ისინი ახერხებენ ოქროს და ვერცხლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება დიდი რაოდენობით გქონდეს იმის გარეშე, რომ მას გაფუჭების საფრთხე გაუჩნდეს. თავად ისიც, რომ ამ ლითონების ღირებულება აქვთ, ამავე კანონებით დგინდება.

თავი VII
პოლიტიკური ანუ სამოქალაქო საზოგადოების შესახებ

87. რაკი, როგორც დავასაბუთეთ, ადამიანს დაბადებისას ეკუთვნის სრული თავისუფლება და ბუნების კანონით მონიჭებული უფლებებითა და პრივილეგიებით შეუზღუდველი ტკბობა მსოფლიოში ყველა სხვა ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის თანასწორად, ამიტომ მას ბუნებით მონიჭებული აქვს არა მარტო უფლება, დაიცვას თავისი საკუთრება (ანუ მისი სიცოცხლე, თავისუფლება და მამული) სხვა ადამიანების მიერ მიყენებული ზიანისა თუ [ზიანის მიყენების] მცდელობისაგან, არამედ აგრეთვე განსაჯოს და სასჯელი აღასრულოს სხვის მიერ ამ კანონის დარღვევისთვის ისე, როგორც მოცემული დანაშაული მისი აზრით იმსახურებს, – მათ შორის სიკვდილითაც, თუ დანაშაული იმდენად სასტიკია, რომ ასეთი სასჯელი შეეფერება. მაგრამ რადგან ვერც ერთი პოლიტიკური საზოგადოება ვერ იარსებებს და თავს ვერ გადაირჩენს, თუ იმის ძალა არ შესწევს, საკუთრება დაიცვას – ამისთვის კი საჭიროა, დაისაჯოს ყველა, ვინც ამ საზოგადოებაში საკუთრებას ხელყოფს, ამიტომ პოლიტიკური საზოგადოება არსებობს იქ და მხოლოდ იქ, სადაც მისმა წევრებმა ხელი აიღეს ამ ბუნებით უფლებაზე და გადასცეს ის საზოგადოებას ყველა იმ შემთხვევაში, როცა მოცემულ ადამიანს შეუძლია დაცვა ითხოვოს საზოგადოებისავე დადგენილი კანონების მიხედვით. ამგვარად, მას შემდეგ, რაც გამოირიცხება მისი ცალკეული წევრების პირადი მსჯავრი, მსაჯული საზოგადოება ხდება. ის განსაზღვრავს მიუკერძოებელ წესებს და გამოყოფს ადამიანებს, ვისაც მათი აღსრულება ევალება, გადაწყვეტილება გამოაქვს ყველა იმ განსხვავებაზე, რაც ამ საზოგადოების წევრებს შორის ჩნდება ყველა უფლებრივ საკითხში და სჯის იმ გადაცდენებს, რასაც ნებისმიერი წევრი დაუშვებს საზოგადოების მიმართ კანონის მიერ დადგენილ ფარგლებში. ამით ადვილი ხდება იმის განსაზღვრა, ვინ არის გაერთიანებული პოლიტიკურ საზოგადოებაში და ვინ – არა. ისინი, ვინც ერთ სხეულადაა გაერთიანებული, საერთო დადგენილი კა-

ნონი აქვთ და შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, მათ შორის კონფლიქტები გადაწყვიტოს და დამნაშავე დასაჯოს, ერთმანეთთან სამოქალაქო საზოგადოების მიმართებაში იმყოფებიან. მაგრამ ისინი, ვისაც არა აქვთ ასეთი საერთო ინსტანცია (დედამიწაზე ვგულისხმობ), კვლავ ბუნებით მდგომარეობაში რჩებიან. ყოველი მათგანი საკუთარი თავის მოსამართლეცაა და აღმასრულებელიც, რაკი ამ ფუნქციას სხვა ვერავინ შეასრულებს. სწორედ ესაა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, სრულყოფილი ბუნებითი მდგომარეობა.

88. ამჯერად, სახელმწიფო *(commonwealth)* იღებს ძალაუფლებას, დაადგინოს, რა სასჯელი ეკუთვნის ამა თუ იმ გადაცდენას, რომელიც დასჯის ღირსად არის მიჩნეული, ჩადენილს ამ საზოგადოების წევრების მიმართ (ეს კანონის შექმნის უფლებაა). ამავე დროს, მას აქვს უფლება, დასაჯოს საზოგადოების გარეთ მყოფი ძალა, რომელიც მის რომელიმე წევრს ზიანს მიაყენებს (ეს ომისა და მშვიდობის უფლებაა). ყოველივე ეს ემსახურება იმას, რომ საზოგადოების ყველა წევრის საკუთრება დაცული იყოს შესაძლებლობის ფარგლებში. მაგრამ, თუმცა ყველა ადამიანმა, ვინც საზოგადოებას შეუერთდა, დათმო უფლება, საკუთარი მოსაზრებით დაესაჯა ბუნებითი კანონის ყველა დარღვევა, ის არა მარტო საკანონმდებლო ხელისუფლებას გადასცემს დანაშაულთა განსჯის უფლებას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლისადმი მიმართვა შეუძლია, არამედ უფლებას აძლევს სახელმწიფოს, გამოიყენოს მისი [თვით ამ ადამიანის] ძალა სახელმწიფოს განაჩენის სისრულეში მოსაყვანად, როდესაც ეს უკანასკნელი მას საამისოდ მოუწოდებს: ეს განაჩენი ხომ, სინამდვილეში, მისივე საკუთარი განაჩენია, გამოტანილი თვით მისი ან მისი წარმომადგენლების მიერ. ამაშია სამოქალაქო საზოგადოების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ძირეული უფლება, რაც იმაში მდგომარეობს, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვროს, რამდენად უნდა დაისაჯოს კანონდარღვევა, როდესაც მას სახელმწიფოში ჩაიდენენ, აგრეთვე, მოცემულ გარემოებებზე დაყრდნობით გამოიტანოს ცალკეული გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ უნდა მიეზღოს სამაგიერო გარედან მიყენებულ ზიანს. ორივე ამ შემთხვევაში, თუ ეს საჭირო გახდა, სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია გამოიყენოს მთელი ის ძალა, რაც თითოეულ მის წევრს გააჩნია.

89. მაშასადამე, პოლიტიკური ანუ სამოქალაქო საზოგადოება არსებობს იქ და მხოლოდ იქ, სადაც ადამიანთა რაღაც რაოდენობა ერთიანდება ერთ საზოგადოებად საიმისოდ, რომ ხელი აიღონ თითოეული მათგანის უფლებაზე, აღასრულონ ბუნებითი კანონი და გადასცენ ეს უფლება საზოგადოებას. ეს ხდება ყველგან, სადაც ბუნებით მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა რაღაც რაოდენობა იკვრება ერთ საზოგადოებად, რათა საერთო ხელისუფლების ქვეშ არსებული ერთი ხალხი, ერთი პოლიტიკური სხეული შექმნას; ან მაშინ, როდესაც ინდივიდი უკვე არსებულ მმართველობას უერთდება და მის ნაწილად იქცევა. ამით ის უფლებას აძლევს საზოგადოებას ან, რაც იგივეა, მის საკანონმდებლო ხელისუფლებას, კა-

ნონები დაუდგინოს მას, როგორც ამას საზოგადოების საერთო კეთილდღეობა მოითხოვს, რის აღსრულებასაც (როგორც მისივე გადაწყვეტილებისა) ისევ მისი დახმარება დასჭირდება. ამას გამოჰყავს ადამიანი ბუნებითი მდგომარეობიდან და შეჰყავს იგი სახელმწიფოში იმით, რომ ქვეყანაში იქმნება განმსჯელი ძალა, ვისაც აქვს რწმუნება, მოაგვაროს ყველა დაპირისპირება და სამაგიერო მიუზღოს ყველა ზარალისთვის, რაც სახელმწიფოს ნებისმიერ წევრს შეიძლება მიადგეს. ეს განმსჯელი ძალა არის საკანონმდებლო ხელისუფლება და მის მიერ დანიშნული აღმასრულებელი მოხელეები. ხოლო, სადაც არსებობს ერთმანეთთან როგორღაც დაკავშირებულ ადამიანთა რაიმე რაოდენობა, რომელსაც არ ძალუძს, ასეთ გადამწყვეტ ძალაუფლებას მიმართოს, ის კვლავ ბუნებით მდგომარეობაში რჩება.

90. მაშასადამე, ცხადია, რომ აბსოლუტური მონარქია, რომელსაც ზოგი სამყაროში ერთადერთ [შესაძლო] მმართველობად მიიჩნევს, სინამდვილეში შეუთავსებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან, ესე იგი საერთოდ ვერ ჩაითვლება სამოქალაქო მმართველობის ფორმად. [ეს ასეა,] რადგან სამოქალაქო საზოგადოების მიზანია, თავი დააღწიოს და გაასწოროს ის შეუსაბამობები ბუნებით მდგომარეობაში, რაც აუცილებლად გამომდინარეობს იქიდან, რომ ყოველი ადამიანი თავისი თავის განმსჯელია იმით, რომ ქმნის აღიარებულ ხელისუფლებას, რომლისადმი მიმართვაც ყველას შეუძლია ზარალისა თუ კონფლიქტის შემთხვევაში და ვისი მორჩილებაც საზოგადოების ყველა წევრს ევალება[2] სადაც ადამიანებს არა ჰყავთ ისეთი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ მათ შორის დაპირისპირების განსასჯელად, იქ ისინი კვლავ ბუნებით მდგომარეობაში იმყოფებიან. ასეთივე მდგომარეობაშია ყოველი მთავარი იმის მიმართ, ვისზეც იგი ბატონობს.

91. რაკი ამ უკანასკნელს მხოლოდ თავის თავში აქვს ყველანაირი ძალაუფლება, საკანონმდებლოც და აღმასრულებელიც, ესე იგი აღარ არსებობს მოსამართლე, ვეღარ მამართავ რაიმე ინსტანციას, ვისაც ძალუძს გამოიტანოს სამართლიანი, მიუკერძოებელი და ძალის მქონე განაჩენი, რათა მთავრის მიერ ან მისი ბრძანებით მიყენებული ზიანისა თუ არამართლზომიერი მოქმედებისაგან იხსნას ადამიანი და შესაფერისი კომპენსაცია დაუწესოს. ამრიგად, ასეთი ადამიანი, რაც არ უნდა ერქვას მას – მეფე, მთავართმთავარი ან რაც გნებავთ ის, – ისევეა ბუნებით მდგომარეობაში მისი ბატონობის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანის მიმართ, როგორც ის არის მთელი დანარჩენი კაცობრიობის მიმართ. რამეთუ იქ, სადაც ორ ადამიანს არ გააჩნია ამ დედამიწაზე დაწესებული მმართველობა და საერთო მოსამართლე, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ, რათა ერთმანეთს შორის უფლებრივი დავა გადაწყვიტონ, ისინი კვლავ ბუნებით მდგომარეობაში არიან და ყველა მისგან გამომდინარე უხერხულობას იზიარებენ იმ სამწუხარო გარემოებებთან ერთად, რომ აბსოლუტური მთავრის ქვეშევრდომები, უფრო სწორად, მონები არიან. ჩვეულებრივ ბუნებით მდგომარეობაში კაცი თავისუფალია, თავად განსაჯოს თავისი უფლებები და, რამდენადაც ძალა შესწევს, დაიცვას ისინი; მაგრამ

როდესაც მის საკუთრებას მისივე მონარქის ნებით და ბრძანებით ხელყოფენ, მას არა მარტო არა აქვს ჩივილის უფლება, როგორც ეს საზოგადოებაშია მიღებული, არამედ, თითქოს გონიერი ქმნილებების სტატუსიც კი გაუუქმეს, მას იმის თავისუფლებაც კი აღარ აქვს, საკუთარი უფლებები განსაჯოს და დაიცვას. ამიტომ მას ემუქრება ყველანაირი ჩაგვრა და ცუდი მოქცევა, რასაც კაცი შეიძლება მოელოდეს ისეთი ადამიანისაგან, ვინც შეუზღუდავ ბუნებით მდგომარეობაშია, მაგრამ ამავე დროს გუნდრუკის კმევითაა წამხდარი და ძალაუფლებაც აქვს. [...]

93. [...] თუ ვიკითხავთ, რანაირი თავდაცვა, რანაირი წინაღობა არსებობს ასეთ მდგომარეობაში აბსოლუტური მმართველის ძალადობისა და ჩაგვრისაგან, თვით შეკითხვის დასმის შესაძლებლობაც კი სათუო აღმოჩნდება. ამაზე მოგიგებენ, რომ ის, ვინც ასეთ უსაფრთხოებას მოითხოვს, უკვე ამისთვის იმსახურებს სიკვდილს. ისინი აღიარებენ, რომ ქვეშევრდომსა და ქვეშევრდომს შორის ურთიერთობაში საჭიროა ზომიერება და კანონიერება, უნდა იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც ადამიანებს შორის მშვიდობასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. მაგრამ რაც შეეხება მმართველს, ის აბსოლუტური უნდა იყოს და ყველა ამ შეზღუდვაზე მაღლა იდგეს. რაკი მას აქვს იმის ძალაუფლება, ვიღაცას ავნოს ან უსამართლოდ მოექცეს, მისი ეს ქმედება გამართლებულია უბრალოდ იმიტომ, რომ ის აკეთებს ამას. თუ იკითხავ, როგორ დაიზღვიო თავი ამგვარი ძლიერი ხელით მიყენებული ზიანისა თუ ზარალისგან, უკვე ამის გამო გამთიშველად და მეამბოხედ გამოგაცხადებენ. თითქოს ისე იყოს საქმე, რომ როდესაც ადამიანები ბუნებითი მდგომარეობიდან გამოვიდნენ და საზოგადოებაში შევიდნენ, შეთანხმებულან, – ერთის გარდა, ყველა დაემორჩილოს კანონებსო; ამ ერთმა კი შეინარჩუნოს ბუნებით მდგომარეობაში არსებული ყველანაირი თავისუფლება, ოღონდ ძალაუფლებით გამყარებული და დაუსჯელობის გამო თვითნებობაში გადაზრდილი. საფიქრებელია, ადამიანები ისეთი ბრიყვები ყოფილან, რომ მხოლოდ ზაზუნებისა და მელიების მიერ მიყენებული ზარალისგან თავდაცვაზე იზრუნეს, მაგრამ არაფერს დაგიდევენ – მეტიც, უსაფრთხოდ თვლიან თავს, თუ ლომები შეჭამენ.

94. [...] სამოქალაქო საზოგადოებაში არავინაა თავისუფალი მისი კანონებისაგან. თუკი ყველა ადამიანს შეუძლია აკეთოს, რასაც საჭიროდ ჩათვლის და დედამიწაზე არ არის ინსტანცია, რომელსაც შეიძლება მიმართო, რათა კომპენსაცია მიიღო ან თავი დაიცვა უსამართლობისაგან, რაც მან შეიძლება ჩაიდინოს, მაშინ შემიძლია ვიკითხო: განა ასეთი ადამიანი კვლავ ბუნებით მდგომარეობაში არ იმყოფება? მაშასადამე, ის სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი ან წევრი ვერ იქნება, – თუ, რა თქმა უნდა, ვინმე არ იტყვის, რომ ბუნება და სამოქალაქო საზოგადოება ერთი და იგივეა. მაგრამ ჯერ არ მინახავს ანარქიის იმდენად მომხრე ადამიანი, რომ ასეთი რამ ემტკიცებინოს.

თავი VIII
პოლიტიკურ საზოგადოებათა დასაბამის შესახებ

95. როგორც უკვე ითქვა, რაკი ყველა ადამიანი ბუნებით თავისუფალი, თანასწორი და დამოუკიდებელია, ამიტომ არ შეიძლება რომელიმე მათგანი მისი თანხმობის გარეშე გამოიყვანო ამ მდგომარეობიდან და სხვის პოლიტიკურ ძალაუფლებას დაუქვემდებარო. ვინმემ მხოლოდ იმ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება თქვას უარი საკუთარ ბუნებით თავისუფლებაზე და სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვები მიიღოს, თუ იგი სხვა ადამიანებთან შეთანხმებით შექმნის ერთობას მოხერხებული, უსაფრთხო და მშვიდობიანი ერთობლივი ცხოვრების მიზნით, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია სარგებლობა საკუთრებით და უსაფრთხოება იმათგან, ვინც ამ ერთობაში არ შედის. ამის გაკეთება ადამიანთა ნებისმიერ რაოდენობას შეუძლია, რადგან ეს დანარჩენების თავისუფლებას არაფერს აკლებს: ამ უკანასკნელთ კვლავინდებურად ბუნებითი მდგომარეობის თავისუფლება უნარჩუნდებათ. როდესაც ადამიანთა ნებისმიერი რაოდენობა ამგვარ შეთანხმებას დადებს ერთი საზოგადოებისა თუ მმართველობის შექმნაზე, ისინი დაფუძნებულნი ხდებიან და ქმნიან ერთ პოლიტიკურ კორპუსს, რომლის შიგნითაც უმრავლესობას აქვს უფლება, იმოქმედოს და გადაწყვეტილებები მიიღოს დანარჩენთა მაგიერ.

96. რამეთუ, როცა ადამიანთა რაღაც რაოდენობა თითოეული ინდივიდის თანხმობით ერთობას ქმნის, ისინი ასეთ ერთობას ერთ პირად აქცევენ, რომელსაც ერთი პირის სახით მოქმედების უფლება აქვს, ეს კი მხოლოდ უმრავლესობის ნებითა და გადაწყვეტილებითაა შესაძლებელი. იმისათვის, რომ იმოქმედოს, ნებისმიერმა ერთობამ, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მასში შემავალი ინდივიდების შეთანხმება, ერთი მიმართულებით უნდა იმოძრაოს, როგორც ერთმა სხეულმა. საამისოდ კი სხეულმა უნდა იმოძრაოს იმ მიმართულებით, საითკენაც უფრო დიდი ძალა – ანუ უმრავლესობის ნება – ეწევა. სხვა შემთხვევაში ის ვერ იმოქმედებს ან ერთიან სხეულად ვერ შენარჩუნდება. ამიტომ ვხედავთ, რომ პოზიტიური კანონებით ძალმოსილ გაერთიანებებში, რომლებშიც ეს კანონები არ ადგენს კონკრეტულ რიცხვს, რაც მათ მოქმედების ძალას მიანიჭებდა, უმრავლესობის გადაწყვეტილება მთელი კავშირის გადაწყვეტილებას უიგივდება და, ცხადია, ბუნებისა და გონების კანონით, მას მთელის ძალაუფლება განესაზღვრება.

97. ამგვარად, თითოეული ადამიანი, რაკი თანხმდება, რომ სხვებთან ერთად ერთ მმართველობას დამორჩილებულ ერთ პოლიტიკურ სხეულს ქმნის, ამ საზოგადოების თითოეული წევრის წინაშე ვალდებულებას კისრულობს, რომ უმრავლესობის ნებას დაემორჩილოს და მისი გადაწყვეტილებები შეასრულოს. სხვა შემთხვევაში, ეს საწყისი შეთანხმება, რითაც ის სხვებთან ერთად ერთ საზოგადოებად ერთიანდება, არაფერს ნიშნავს, ანუ ვითარება ისეთი იქნება, თითქოს არანაირი შეთანხმება არ დადებულა, ხოლო ადამიანი კვლავ იმგვარადვე თავი-

სუფალია ყოველგვარი მოვალეობებისგან, როგორც მანამდე, ბუნებით მდგომარეობაში იყო. [...]

98. რადგან თუ უმრავლესობის თანხმობა არ მოიაზრება მთელის ქმედებად, რომელიც ყველა ინდივიდს მოიცავს, მაშინ მთელის მოქმედება სხვა ვერაფერს დაეფუძნება, გარდა თითოეული ინდივიდის თანხმობისა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან თუ მოუცლელობისგან გამომდინარე, ადამიანთა რაღაც ნაწილი – თუმცა მთელთან შედარებით მეტად მცირე, – ვერ შეძლებს საზოგადო შეკრებებში მონაწილეობას; და იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ადამიანთა ყველა საკრებულოში გარდუვალად იარსებებს მოსაზრებათა განსხვავებულობა და ინტერესთა დაპირისპირება, ასეთი საყოველთაო თანხმობის ოდესმე მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. [...]

99. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვინც დატოვებს ბუნებით მდგომარეობას და საზოგადოებად გაერთიანდება, ხელს აიღებს ყველა იმ ძალაუფლებაზე, რაც აუცილებელია იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც გაერთიანება ხდება; ეს მოხდება საზოგადოების უმრავლესობის სასარგებლოდ, თუ ინდივიდები ცხადად არ შეთანხმდებიან, რომ [გადაწყვეტილების მისაღებად] უმრავლესობაზე მეტი რიცხვია საჭირო. ამისთვის საკმარისია, ადამიანები დათანხმდნენ ერთ პოლიტიკურ საზოგადოებად გაერთიანებას, და სულ ეს არის ის შეთანხმება, რაც იდება ან საჭიროა დაიდოს იმ ადამიანთა შორის, ვინც უერთდება ან ქმნის სახელმწიფოს.

თავი XII
სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ფედერაციული ძალაუფლების შესახებ

143. საკანონმდებლო ხელისუფლება ისაა, რომელსაც უფლება აქვს დაადგინოს, როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ძალის გამოყენება საზოგადოებისა და მისი წევრების დასაცავად. რაკი კანონები, რომლებიც მუდამ უნდა აღსრულდეს და უწყვეტი ძალა აქვთ, მოკლე დროში შეიძლება შეიქმნას, საჭირო არ არის საკანონმდებლო [ორგანო] მუდმივად არსებობდეს, თუ მას საქმე არ ექნა. ამასთანავე, თუ კანონშემოქმედების უფლებით აღჭურვილ ადამიანებს ამავე დროს მათი აღსრულებაც დაეკისრათ, ამით შეიძლება მეტისმეტად დიდი ცდუნება გაუჩნდეს ადამიანის სუსტ ბუნებას, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებისკენაა მიდრეკილი. [კანონმდებლებმა] შეიძლება თავი გაინთავისუფლონ მათივე შექმნილი კანონების შესრულებისგან, ხოლო კანონი, როგორც შექმნის, ისე განხორციელების ეტაპზე, თავის პირად სარგებელს მოარგონ. ეს მათ შეუქმნის საზოგადოებისა და მმართველობის საჭიროებების საპირისპირო ინტერესს და დანარჩენი ადამიანე-

ბისგან გამოარჩევს. ამის გამო, კარგად აწყობილ სახელმწიფოებში, სადაც საყოველთაო ინტერესი ჯეროვნად არის გააზრებული, საკანონმდებლო ძალაუფლება ეძლევა განსხვავებულ ინდივიდებს, რომლებიც, როცა ისინი სათანადო წესით შეიკრიბებიან, დამოუკიდებლად ან სხვასთან ერთად შეუძლიათ კანონების მიღება, ხოლო როცა ამ ამოცანას შეასრულებენ და დაიშლებიან, თვითონ დაექვემდებარებიან მათ მიერვე შექმნილ კანონებს. ეს ახალი და ქმედითი შემბოჭველი მექანიზმია საიმისოდ, რომ მათ კანონები საზოგადოების საკეთილდღეოდ შექმნან.

144. მაგრამ რაკი კანონებს, რომლებიც ერთბაშად და მოკლე დროში იქმნება, მუდმივი და ხანგრძლივი ძალა აქვს და ისინი ნებისმიერ დროს მოითხოვენ აღსრულებას ან მასზე ზრუნვას, აუცილებელია ყოველთვის არსებობდეს ძალა, რომელიც მოქმედი კანონების აღსრულებას მიხედავს და მუდმივად ქმედითი იქნება. ასე რომ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებს ხშირად განცალკევებული აღმოჩნდება.

145. ყველა სახელმწიფოში კიდევ არის ძალაუფლება, რომელსაც შეიძლება ბუნებითი ვუწოდოთ, რადგან ის შეესაბამება იმ ძალაუფლებას, რაც ყველა ადამიანს ბუნებისგან ჰქონდა მანამდე, ვიდრე საზოგადოებაში შევიდოდა. თუმცა სახელმწიფოში მისი წევრები განცალკებული ინდივიდები არიან, ერთმანეთთან მიმართებაში ისინი საზოგადოების კანონებით იმართებიან, ხოლო კაცობრიობის დანარჩენი ნაწილის მიმართ ქმნიან ერთიან სხეულს. ეს უკანასკნელი დანარჩენი კაცობრიობის მიმართ ისევეა ბუნებით მდგომარეობაში, როგორც ადრე მისი ცალკეული წევრები იყვნენ [ერთმანეთის მიმართ]. ამრიგად, ყველა წინააღმდეგობა, რომელიც საზოგადოების წევრს ექმნება მათთან, ვინც მის გარეთაა, საერთო საზრუნავი ხდება, და ამ სხეულის ერთი წევრის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურება მთელის საქმე ხდება. ამრიგად, ამ თვალსაზრისით მთელი საზოგადოება შეადგენს ბუნებით მდგომარეობაში მყოფ ერთიან სხეულს სხვა სახელმწიფოებისა და საზოგადოების გარეთ მყოფი ინდივიდების მიმართ.

თავი XV

მამის, პოლიტიკური და დესპოტური ძალაუფლება, ერთად განხილული

[...]

170. პირველი, მამის ან მშობლის ძალაუფლება სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც მშობლებს მათი შვილების მიმართ აქვთ, რათა ბავშვები მათ სასიკეთოდ მართონ, სანამ ისინი ჭკუაში ჩავარდებიან, ანუ იმდენი ეცოდინებათ, რომ შეძლონ იმ კანონების (ბუნებითი კანონების თუ მათი ქვეყნის მოქმედი კანონების) გაგება, რითაც საკუთარი თავი უნდა მართონ. [...].

171. მეორე, პოლიტიკური ძალაუფლება ის ძალაუფლებაა, რაც ბუნებით მდგომარეობაში ყველა ადამიანს აქვს და რაც მათ დაუთმეს საზოგადოებას, ანუ მმართველებს ვინც საზოგადოებამ თავს ზემოთ დაიყენა და ვის მიმართაც აქვს გამოხატული თუ ნაგულისხმევი ნდობა, რომ [ეს ძალაუფლება] გამოყენებული იქნება მათ სასიკეთოდ და მათი საკუთრების დასაცავად. [...]

172. მესამე, დესპოტური ძალაუფლება არის ერთი ადამიანის აბსოლუტური, თვითნებური ძალაუფლება მეორის მიმართ, მისი სურვილისამებრ წაართვას სიცოცხლე ამ უკანასკნელს; და ეს ის ძალაუფლებაა, რასაც ვერც ბუნება იძლევა (რადგან ის ადამიანებს ერთმანეთისგან ამდენად არ ასხვავებს) და ვერც ხელშეკრულებით დადგინდება. [...].

განმარტებები

1. რიჩარდ ჰუკერი (1554-1600) – ინგლისელი თეოლოგი და სამართლის ფილოსოფოსი. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომი, საიდანაც ლოკს ციტატა მოჰყავს „ეკლესიური ერთობის კანონთა შესახებ“.
2. „საჯარო ძალაუფლება ყველა საზოგადოებაში აღემატება ყველა სულიერს, ვინც ამ საზოგადოებაში ცხოვრობს და ამ ძალაუფლების ძირითადი სარგებელი ისაა, შექმნას კანონები ყველა იმისათვის, ვინც მისი ქვეშევრდომია. ამ კანონებს უნდა დავემორჩილოთ, თუ რაიმე მიზეზის აუცილებლობა არ გვიჩვენებს, რომ გონებისა თუ ღმერთის კანონი საპირისპიროს გვაიძულებს“ – ჰუკერი, Eccl. Pol., lib., p.16.

მერი უოლსტონკრაფტი

1759-1797

შესავალი

1. ცხოვრება და შრომები

მერი უოლსტონკრაფტი (Mary Wallstonecraft, 1759-1797) ინგლისელი მწერალი, ესეისტი და ფილოსოფოსი იყო, რომელიც ცნობილია, როგორც ერთ-ერთი პირველი ევროპელი მოაზროვნე, რომელმაც თავისი შემოქმედებით საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოაქცია ქალთა უფლებებისა და სქესთა თანასწორობის პრობლემები.

უოლსტონკრაფტი 1759 წლის წლის 27 აპრილს დაიბადა ლონდონში, საშუალო შეძლების ოჯახში. თუმცა მამამისმა მემკვიდრეობით მიღებული ქონება მალე გაანიავა წარუმატებელ კაპიტალდაბანდებებში და მერის ახალგაზრდობიდან უწევდა საკუთარი შრომით თავის რჩენა. 19 წლისამ მან მშობლების ოჯახი დატოვა და ჯერ მდიდარი ქვრივის კომპანიონად მუშაობდა, შემდეგ თავის დებსა და ბავშვობის მეგობართან ერთად სკოლა დააარსა, ხოლო 1785 წელს გუვერნანტად მოეწყო ირლანდიაში მდიდარ არისტოკრატულ ოჯახში. გუვერნანტად ერთწლიანი მუშაობის შემდეგ უოლსტონკრაფტმა გადაწყვიტა, მწერლობით ერჩინა თავი, ლონდონში გადასახლდა და ამ დროიდან მისი შემოსავლის წყაროდ თარგმანების, რეცენზიებისა და საკუთარი შრომების გამოქვეყნებით მიღებული ჰონორარები იქცა. ამ პერიოდის ერთ პირად წერილში ის მსჯელობს იმაზე, თუ რაოდენ იშვიათი იყო იმ დროს ქალი, რომელიც მწერლობით ირჩენდა თავს, და ამატებს, რომ თვითონ, ამ თვალსაზრისით, „ახალი სახეობის პირველი წარმომადგენელი“ უნდა გამხდარიყო.[1] ამ პერიოდში გამოქვეყნდა უოლსტონკრაფტის პირველი ნაშრომი, „ფიქრები ქალიშვილების განათლებაზე“ (1787), რომელიც შეიცავს განაზრებებს და რჩევებს საშუალო კლასის ქალების აღზრდის შესახებ. ამ ნაშრომში უოლსტონკრაფტი საგანგებოდ შენიშნავს, რამდენად შეზღუდული იყო იმ დროს დასაქმების შესაძლებლობები განათლებული, მაგრამ ღარიბი ქალებისთვის. ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი რომანი „მერი: გამოგონილი ამბავი“ (1788) და დიდაქტიკური წიგნი ბავშვებისთვის „ნამდვილი ამბები რეალური ცხოვრებიდან“ (1788).

1 *The Collected Letters of Mary Wollstonecraft*, edited by Janet Todd, Columbia University Press, 2004, გვ. 139.

ლონდონის საგამომცემლო და ინტელექტუალურ ცხოვრებაში უოლსტონკრაფტი იმ დროს ჩაერთო, როდესაც საფრანგეთში რევოლუცია, ის-ის იყო, იწყებოდა. საფრანგეთის რევოლუციის მოვლენები ინგლისში ინტელექტუალთა და პოლიტიკოსთა ყურადღების ცენტრში იყო. 1790 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა ცნობილი ფილოსოფოსის და პოლიტიკის თეორეტიკოსის, ედმუნდ ბურკის (1729-1797) „განაზრებები საფრანგეთში რევოლუციის შესახებ", რომელიც დღემდე ითვლება კონსერვატიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის, ფუძემდებლურ ტექსტად. ამ ტრაქტატში ბურკი სასტიკად აკრიტიკებდა საფრანგეთის რევოლუციას და ამტკიცებდა, რომ უახლოეს მომავალში ის კატასტროფულ შედეგებს გამოიღებდა. ბურკის წიგნს მაშინვე უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა: მისი არგუმენტების წინააღმდეგ, საფრანგეთის რევოლუციის დასაცავად, უამრავი პასუხი გამოქვეყნდა. მათ შორის პირველი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იყო მერი უოლსტონკრაფტის პამფლეტი, „ადამიანთა უფლებების დაცვა" (1790); მასში ავტორი იცავს რესპუბლიკანიზმს, აკრიტიკებს არისტოკრატიას და მემკვიდრეობით მიღებულ პრივილეგიებს, საფრანგეთის რევოლუციას კი განმანათლებლობის სანუკვარი იდეების ხორცშესხმად წარმოადგენს. უოლსტონკრაფტმა ეს ტექსტი ძალიან სწრაფად დაწერა და ნოემბრის ბოლოს, ბურკის წიგნის გამოსვლიდან რამდენიმე კვირაში გამოაქვეყნა ანონიმურად. პირველმა ტირაჟმა დიდი მოწონება დაიმსახურა და მაშინვე გაიყიდა; სამ კვირაში მეორე, რედაქტირებული გამოცემა გამოვიდა, რომელსაც უკვე ავტორის სახელიც ეწერა. საინტერესოა, რომ ავტორის სახელთან ერთად მისი სქესის გახმაურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა წიგნის შეფასებები კრიტიკოსთა და რეცენზენტთა მიერ: ენისა თუ არგუმენტაციის მხრივ პამფლეტში არსებული ხარვეზები უცბად უფრო თვალშისაცემი აღმოჩნდა და მათ მიზეზად ავტორის სქესს აცხადებდნენ. ამის მიუხედავად, წიგნმა სერიოზული წარმატება და პირველი ფართო აღიარება მოუტანა უოლსტონკრაფტს, როგორც მწერალსა და მოაზროვნეს.

1792 წელს გამოქვეყნდა უოლსტონკრაფტის ყველაზე სახელგანთქმული ნაშრომი, „ქალის უფლებების დაცვა", რომელიც „ადამიანთა უფლებების დაცვის"[2] თავისებური გაგრძელებაა: ერთი მხრივ, ისიც ავტორის მორიგი სიტყვაა საფრანგეთის რევოლუციის გარშემო წამოჭრილი დებატების სერიაში; მეორე მხრივ, აქ განვითარებული და შევსებულია ადამიანის, მისი უფლებებისა და სოციალური წყობის ის ხედვა, რომელსაც უოლსტონკრაფტი თავის ორი წლით ადრე დაწერილ პამფლეტში იცავდა.

1792 წლის დეკემბერში უოლსტონკრაფტი პარიზში გაემგზავრა; იქ დაიწყო მუშაობა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაზე, რომელიც 1794 წელს გამოაქვეყნა სათაურით „საფრანგეთის რევოლუციის წარმოშობა და განვითარება ისტორიული და ზნეობრივი თვალსაზრისიდან და მისი ზეგავლენა ევროპაზე". პა-

2 ამ ტექსტის სათაური ასევე შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მამაკაცთა უფლებების დაცვა", ვინაიდან „ადამიანისა" და „მამაკაცის" ინგლისური შესატყვისი ერთი და იგივეა.

რიზში უოლსტონკრაფტმა გაიცნო ამერიკელი ბიზნესმენი და დიპლომატი, გილბერტ იმლეი (1754-1828), რომელიც თავდავიწყებით შეუყვარდა და 1794 წლის მარტში მისგან გოგონა გააჩინა. იმლეიმ უარი თქვა ქალის ცოლად შერთვაზე და ბოლოს მიატოვა კიდეც დედა-შვილი. 1795 წელს უოლსტონკრაფტი ლონდონში დაბრუნდა და უშედეგოდ სცადა იმლეისთან ურთიერთობის აღდგენა; მოგვიანებით, იმავე იმედით, იმლეის ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად იმოგზაურა სკანდინავიის ქვეყნებში. როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იმლეის ვეღარ დაიბრუნებდა, თავის დახრჩობა სცადა ტემზაში, მაგრამ გამვლელმა გადაარჩინა. თუმცა სკანდინავიაში მოგზაურობა სხვა მხრივ აღმოჩნდა ნაყოფიერი: მოგზაურობის დროს იმლეისთვის მიწერილი წერილები დაედო საფუძვლად მის წიგნს „შვედეთში, ნორვეგიასა და დანიაში ხანმოკლე ცხოვრების დროს დაწერილი წერილები“ (1796), რომელმაც მკითხველისა და კრიტიკოსების დიდი მოწონება დაიმსახურა და მნიშვნელოვნად გაზარდა უოლსტონკრაფტის, როგორც მწერლის, რეპუტაცია თანამედროვეთა თვალში.

1796 წლიდან უოლსტონკრაფტი ლონდონის ლიტერატურულ ცხოვრებას დაუბრუნდა. აქ ის დაუახლოვდა ცნობილ ინგლისელ მწერალსა და ფილოსოფოსს, ანარქისტული პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ წინამორბედს, უილიამ გოდვინს (1756-1836) და 1797 წლის მარტში მათ იქორწინეს. ამავე წლის 30 აგვისტოს უოლსტონკრაფტმა მეორე ქალიშვილი გააჩინა, მაგრამ მშობიარობის გართულების შედეგად, სეფსისით გარდაიცვალა 10 სექტემბერს, 38 წლის ასაკში. მისი და გოდვინის ქალიშვილი, მერი უოლსტონკრაფტ-გოდვინი (1797-1851), შემდგომში ცოლად გაჰყვა ცნობილ ინგლისელ რომანტიკოს პოეტს, პერსი ბისი შელის (1792-1822) და მერი შელის სახელითაა ცნობილი. ისიც აღიარებული მწერალი და ესეისტი იყო; მას ეკუთვნის ცნობილი გოთური რომანი, „ფრანკენშტაინი, ანუ თანამედროვე პრომეთე“ (1816).

მერი უოლსტონკრაფტის ინტელექტუალური ტრაექტორიის გასაგებად მნიშვნელოვანია გავიხსენოთ კიდევ ორი ტექსტი, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ, 1798 წელს გამოაქვეყნა უილიამ გოდვინმა. ერთია თვითონ უოლსტონკრაფტის რომანი „ქალის შეცდომები, ანუ მარია“. ეს რომანი, რომლის დასრულებაც ვერ მოასწრო, უოლსტონკრაფტს ჩაფიქრებული ჰქონდა „ქალის უფლებების დაცვის“ გაგრძელებად და ის მის ყველაზე რადიკალურად ფემინისტურ ტექსტად მიიჩნევა. ხოლო მეორეა გოდვინის „მემუარები *ქალის უფლებათა დაცვის* ავტორის შესახებ“. მემუარებში გოდვინმა საყვარელი ადამიანის პირადი ცხოვრების დეტალები აღადგინა და მისი პირადი წერილები გამოაქვეყნა, რითაც საზოგადოებას წარუდგინა უოლსტონკრაფტის, როგორც ემოციური, ვნებიანი, კონვენციური ზნეობრივი ნორმების არცთუ პატივისმცემელი ქალის პორტრეტი. ამ დეტალებმა, უოლსტონკრაფტის ბოლო რომანის რადიკალიზმთან ერთად, მის მიმართ უაღრესად ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი ჩამოაყალიბა; მით უფრო, რომ თავის გამოქვეყნებულ ნაშრომებში უოლსტონკრაფტი დაჟინებით ამტკიცებდა აზროვნებისა და გონების უპირატესობას მგრძნობელობასთან შედარებით, ქა-

დაგებდა ქალის მგრძნობელობის მოთოკვის საჭიროებას და კეთილგონიერების სხვა ისეთ პრინციპებს, რომლებთანაც თითქოს პირდაპირ წინააღმდეგობაში იყო მისი ცხოვრების გზა. ეს მკითხველის თვალში, მისი მორალური სახისა და მისი ინტელექტუალური პატიოსნების დისკრედიტაციას იწვევდა. „მემუარების“ გამოსვლისთანავე, ბრიტანეთში „ცუდ ტონად“ იქცა მისი შრომების კითხვა. ნაწილობრივ ამ მიზეზით, მე-19 საუკუნის დასაწყისში უოლსტონკრაფტს თითქმის აღარ კითხულობდნენ და მისი სახელიც დავიწყებას მიეცა. თუმცა მის მიმართ ინტერესი ისევ გაიზარდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ევროპასა და ამერიკაში ფემინისტური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად.

2. „ქალის უფლებების დაცვა“

ა. ისტორიული და ინტელექტუალური კონტექსტი

უოლსტონკრაფტმა „ქალის უფლებების დაცვის“ (A Vindication of the Rights of Woman: with Strictures on Political and Moral Subjects) წერა 1791 წლის სექტემბერში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ფრანგი პოლიტიკოსის, შარლ მორის ტალეირანის (1754-1838) მიერ საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის წინაშე წარდგენილ მოხსენებას გაეცნო. ტალეირანი მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ ქალებს მხოლოდ შინ, არაფორმალურ გარემოში უნდა მიეღოთ განათლება. სწორედ ამ აზრთან დაპირისპირება გახდა „ქალის უფლებების დაცვის“ დაწერის საბაბი; თუმცა, როგორც ითქვა, ეს, უფრო ზოგადად, იყო უოლსტონკრაფტის მორიგი სიტყვა პოლიტიკის შესახებ იმ რამდენიმეწლიან საჯარო დებატებში, ბურკის „განაზრებებმა საფრანგეთში რევოლუციის შესახებ“ რომ დაუდო სათავე და ბრიტანეთის განათლებული საზოგადოება მთლიანად მოიცვა.

„ქალის უფლებების დაცვა“ ერთდროულად პოლიტიკის თეორიული, პედაგოგიური და დიდაქტიკურ-მორალისტური ტრაქტატია. უოლსტონკრაფტი აქ აგრძელებს „ადამიანთა უფლებების დაცვაში“ წამოწყებულ თავდასხმას არისტოკრატიზმზე და მემკვიდრეობით მიღებულ პრივილეგიებზე. ის იცავს ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების კონცეფციას, რომელიც აზროვნებით, გონების ძალისხმევით აღმოჩენადი ბუნებრივი სამართლის ჯონ ლოკისეულ გაგებას ემყარება. განმანათლებლური იდეა, რომ გონების განვითარება და მისი გამოყენებაა როგორც ინდივიდუალური ადამიანის, ისე მთელი საზოგადოების წინსვლის აუცილებელი წინაპირობაც და ერთადერთი საშუალებაც, უოლსტონკრაფტის ყველა არგუმენტის ამოსავალია. მისი არგუმენტების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წანამძღვარია მისი რელიგიური რწმენა, რომ ადამიანებში გონებაა ის, რაც მათში ღვთაებრივია; შესაბამისად, გონების განვითარება და გამოყენებაა ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანის ნამდვილი დანიშნულება – და ეს ერთნაირად ეხება ქალებსაც და კაცებსაც. ამ იდეების შუქზე აკრიტიკებს ის მის თანამედროვე საზოგადოებაში ქალების მდგომარეობას, მათი აღზრდის შესახებ პოპულა-

რულ თეორიებს, მათი ხასიათისა და მათთვის შესაფერისი ცხოვრების შესახებ გაბატონებულ შეხედულებებს.

ქალების უფლებრივი მდგომარეობისა თუ განათლების პრობლემებს უოლსტონკრაფტამდეც არაერთმა ავტორმა მიაქცია ყურადღება. ინგლისში უკვე მე-17 საუკუნის ბოლოდან წერდნენ ამ საკითხებზე აფრა ბენი (1640-1689), მერი ასტელი (1666-1731) და უოლსტონკრაფტის უფროსი თანამედროვე, ქეთრინ მაქოლეი (1731-1791). ფრანგი განმანათლებელი მარკიზ დე კონდორსე (1743-1794) ამტკიცებდა ქალებისთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭების აუცილებლობას. ხოლო ფრანგმა დრამატურგმა და პოლიტიკურმა აქტივისტმა, ოლემპ დე გუჟმა (1748-1793), საფრანგეთის რევოლუციური მთავრობის მიერ 1789 წელს მიღებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის“ საპასუხოდ, 1791 წელს შეადგინა „ქალისა და ქალი მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“. ამით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საფრანგეთის რევოლუცია და ადამიანთა თანასწორობის მისი დევიზი სინამდვილეში მხოლოდ მამაკაცთა შორის თანასწორობას ეხებოდა, ხოლო სქესთა შორის უთანასწორობას უცვლელად ტოვებდა. გუჟის დეკლარაციიდან განსაკუთრებით ცნობილია სიტყვები: „ქალს აქვს ეშაფოტზე ასვლის უფლება; მაშინ მას ტრიბუნაზე ასვლის უფლებაც უნდა ჰქონდეს.“ ამრიგად, როდესაც ქალის უფლებებზე წერდა, უოლსტონკრაფტი არც პირველი და არც მარტო არ იყო: მართალია, სქესთა თანასწორობის პრობლემებით დაინტერესება მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს გაფორმდა სერიოზულ სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობად, მაგრამ იდეათა განვითარების თვალსაზრისით მას უფრო ძველი ისტორია აქვს. მნიშვნელოვანია, „ქალის უფლებების დაცვა“ სწორედ ამ ისტორიის კონტექსტში გავიგოთ.

ბ. აღზრდისა და განათლების საკითხები

ქალთა აღზრდისა და განათლების საკითხებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია „ქალის უფლებების დაცვაში“. მისი არგუმენტების მთავარი სამიზნეა ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778) პედაგოგიურ რომანში – „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“ (1762) – წარმოდგენილი თეორია გოგონების სათანადო განათლების შესახებ. რუსო აკრიტიკებს განათლების ტრადიციულ სისტემას, რომელიც, მისი აზრით, ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებებისა და მისწრაფებების შეზღუდვას და დასახიჩრებას იწვევს. ის საკუთარ სისტემას გადმოსცემს წარმოსახვითი აღრსაზრდელის, ემილის აღზრდა-განვითარების აღწერით. ტრაქტატის ბოლო, მეხუთე თავი გოგონას, სოფის (ემილის მომავალი მეუღლის) აღზრდას ეთმობა. რუსოს ძალიან სხვადასხვაგვარად წარმოუდგენია ბიჭებისა და გოგონებისათვის შესაფერისი განათლება. ბიჭებისთვის ის გვირჩევს ბავშვობიდანვე მაქსიმალური თავისუფლების მიცემას, მათი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის წახალისებას და სასწავლო მასალის შესაბამისად შერჩევას, მათში აზროვნების უნარისა და რაციონალურობის განვითარებას, უფროს ასაკში მეცნიერებისა და „ზოგადი იდეების“ სწავლებას. ხოლო გოგონების აღზრდა მისი აზრით იმაზე უნდა იყოს მიმართუ-

ლი, რომ ისინი მოსიყვარულე ცოლებად და დედებად ჩამოაყალიბოს; ამისთვის კი ზედმეტად მიაჩნია მათში რაციონალურობის განვითარება ან მათთვის მეცნიერების სწავლება – სწორმა აღზრდამ ქალში მისი მგრძნობიარე, სენტიმენტალური ბუნება უნდა განავითაროს.

უოლსტონკრაფტისთვის რუსო, ზოგადად, დიდი ავტორიტეტი იყო. ის ბოლომდე იზიარებდა მის განმანათლებლურ იდეებს, მის ეგალიტარიზმს, თანამედროვე საზოგადოებრივი ნორმების, როგორც „ხელოვნურის", არაავთენტურის, ფარისევლურის მის კრიტიკას. ის იზიარებს განათლების რუსოსეულ ზოგად თეორიასაც, მაგრამ რუსოს აზრი გოგონების სპეციალური აღზრდის შესახებ მისთვის სრულიად მიუღებელია. პატარა გოგონებს, ამტკიცებს უოლსტონკრაფტი, ისევე, როგორც ვაჟებს, სჭირდებათ ბავშვობაში ლაღად სირბილი, იგივე ფიზიკურად განმავითარებელი და სახალისო თამაშები, რომელთაც რუსო ბიჭების აღრზდის აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევს. მისი რწმენით, გონების განვითარებაც ნებისმიერი გონიერი არსების აღზრდის მიზანი უნდა იყოს და ამის უარყოფა შეუთავსებელია ქალის გონიერ არსებად, ანუ ადამიანად აღიარებასთან.

გოგონების, მისი სიტყვით, „რაციონალურად" აღზრდის სასარგებლოდ უოლსტონკრაფტის ტექსტში რამდენიმე არგუმენტის ამოკითხვა შეიძლება. პირველი და უმთავრესია მისი მტკიცება, რომ ადამიანში ყველაზე ღირებული მხარე მისი გონებაა (ესაა ადამიანში ღვთაებრივი) და მას ემყარება ყველა ადამიანური სათნოება; სწორედ გონების განვითარებაა ადამიანის ცხოვრების საზრისი და დანიშნულება. შესაბამისად, უაზრობაა ფიქრი, რომ კაცობრიობის ნახევრის აღზრდა ამ უმთავრესი უნარის განვითარებას უნდა უგულებელყოფდეს ან მეტიც, თრგუნავდეს მას. არგუმენტაციის ამავე ხაზს მიეკუთვნება უოლსტონკრაფტის მტკიცებები, რომ სულს, გონებას და ზნეობას სქესი არ აქვს.

არგუმენტების მეორე ჯგუფი პრაგმატულია, კეთილგონიერების მოსაზრებებზეა დაფუძნებული. უოლსტონკრაფტი ბევრს მსჯელობს საფრთხეებზე, რომელთაც ქალების მხოლოდ მგრძნობიარე, კაცის საამებელ არსებებად აღზრდა შეიცავს: ქალი შეიძლება არ გათხოვდეს, ან დაქვრივდეს. ასეთ შემთხვევაში ის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდება იმისათვის, რომ ღირსეული ცხოვრება უზრუნველყოს თავისი თავისთვის ან მის იმედზე დარჩენილი შვილებისთვის. რომც გაუმართლოს და ისეთი ცხოვრება აეწყოს, როგორისთვისაც მოამზადეს, ქალი მაინც ვერ შეძლებს დედისა და მეუღლის მოვალეობების ისე კარგად შესრულებას, როგორც მაშინ, სათანადოდ განვითარებული აზროვნება და განათლება რომ ჰქონოდა.

უოლსტონკრაფტი ასევე აუცილებლად მიიჩნევს, რომ გოგონების აღზრდაში სათანადო ყურადღება მიექცეს ფიზიკურ განვითარებასაც. ამ მხრივ მისი ერთი არგუმენტი ემყარება მტკიცებას, რომ ფიზიკური განვითარება პიროვნების ჰარმონიული განვითარების აუცილებელი ნაწილია. თუმცა ამ მიმართულებით მისი არგუმენტების უფრო საინტერესო ასპექტია ქალის სილამაზისა და ქალი-

სათვის შესაფერისი ქცევის ნორმების მისეული კრიტიკა, რასაც „ფემინურობის კრიტიკა“ შეგვიძლია ვუწოდოთ.

გ. ფემინურობის კრიტიკა

„ქალის უფლებების დაცვის“ ყველაზე საინტერესო ასპექტი, დღესაც თანამედროვედ რომ ჟღერს, არის ქალურობის, ან, როგორც თვითონ უოლსტონკრაფტი უწოდებს, „სქესთა ხასიათის შესახებ გაბატონებული მოსაზრებების“ კრიტიკა. განათლების შესახებ მისი არგუმენტების ნაწილიც ამ კრიტიკას ემყარება – სახელდობრ, უკუგდებას გაბატონებული აზრისა, რომ ქალსა და მამაკაცს ბუნებრივად აქვთ რადიკალურად განსხვავებული ხასიათი, უნარები, მისწრაფებები და სურვილები, რადიკალურად სხვადასხვა რამ არის მათთვის სათნოება და კარგი ცხოვრება (სწორედ ამ განსხვავებებით ამართლებდნენ რუსოც და სხვებიც მათთვის სხვადასხვაგვარი აღზრდის და განათლების საჭიროებას).

უოლსტონკრაფტის ტექსტში აშკარადაა ჩამოყალიბებული ის, რასაც თანამედროვე დისკუსიებში სქესსა და გენდერს შორის განსხვავებისა და „გენდერის სოციალურად კონსტრუირებულობის“ თეზისის სახელით ვხვდებით – მოსაზრება, რომ ე. წ. ქალური ხასიათი ქალის ბუნებრივი, ბიოლოგიური თავისებურებებით კი არ არის განპირობებული, არამედ ყალიბდება სოციალური ურთიერთობებისა და იმ სპეციფიკური აღზრდის შედეგად, რომელსაც ქალები ადრეული ასაკიდანვე იღებენ. 1949 წელს გამოსულ წიგნში „მეორე სქესი“ ფრანგმა მწერალმა, სიმონ დე ბოვუარმა (1908-1986) დაწერა: „ქალად არ იბადებიან, ქალად იქცევიან“: ეს იდეა, რომელიც მეოცე საუკუნეში ფემინისტური თეორიისა და გენდერის კვლევის ერთ-ერთ დევიზად იქცა, გარკვეული აზრით უკვე არტიკულირებულია უოლსტონკრაფტის არგუმენტებში. ის ამტკიცებს, რომ ყველა ის თვისება, რომელსაც ქალების სქესს მიაწერდნენ – სენტიმენტალობა, პრანჭვისა და ჭორაობის სიყვარული, ჭირვეულობა, ნაკლები ინტერესი ზოგადსაკაცობრიო პრობლემების ან მეცნიერების მიმართ, ნაკლები ფიზიკური აქტიურობა და თვით ფიზიკური ძალის ნაკლებობაც კი – სოციალური ნორმებისა და ქალების აღზრდის შედეგია (ის არ უარყოფს იმას, რომ მისი დროის ქალებს ნამდვილად აქვთ ეს თვისებები – ის მხოლოდ იმას უარყოფს, რომ ეს თვისებები ქალებს მათი სქესის ბუნების გამო აქვთ).

ფემინურობის უოლსტონკრაფტისეული კრიტიკის ერთი მხარეა ქალურობის ატრიბუტების სოციალური წარმოშობის ჩვენება, ხოლო მეორეა მათი უარყოფითი შეფასება იმის გამო, თუ როგორ განსაზღვრავს ისინი ქალის ცხოვრებას და საზოგადოებაში მის სტატუსს; აგრეთვე იმის გამო, თუ როგორ აბრკოლებს ისინი ქალის მიერ იმის მიღწევას, რაც უოლსტონკრაფტს ღირსეულ, ადამიანისათვის შესაფერის არსებობად და ადამიანის სათნოებად მიაჩნია. ამ კრიტიკაში, რომელიც იმავდროულად მისი თანამედროვე საშუალო კლასის ქალების კრიტიკაც არის, უოლსტონკრაფტი საკმაოდ დაუნდობელია. მას ძალიან არ მოსწონს ქალები ისე, როგორც მათ მისი თანამედროვე საზოგადოება აყალიბებს.

სქესებს შორის განსხვავებების სოციალური კონსტრუქციის ნიუანსირებული ხედვის ერთ-ერთი კარგი ნიმუშია უოლსტონკრაფტის არგუმენტი პასაჟში, რომელიც ეხება გავრცელებულ შეხედულებას, რომ ქალები თითქოს მამაკაცებზე უფრო ადრე აღწევენ სიმწიფის ასაკს. ის ამტკიცებს, რომ ამ შეხედულების სასარგებლოდ არავითარი ფაქტობრივი მონაცემები არ არსებობს; ხოლო მისი პოპულარულობის ერთადერთი გონივრული ახსნაა ის, რომ, ვინაიდან ქალებისა და მამაკაცების სათნოებად და მათი ცხოვრების საზრისად სხვადასხვა რამ მიიჩნევა, მათ სიმწიფესაც სხვადასხვა საზომით ზომავენ. სახელდობრ, ქალის მთავარ ღირსებად მისი ფიზიკური მომხიბლავობა ცხადდება, ხოლო მამაკაცის ღირსებად – მისი პიროვნული თვისებები და გონებრივ-ნებელობითი განვითარება. სხეულის მიმზიდველობით, ამტკიცებს უოლსტონკრაფტი, ქალებიც და მამაკაცებიც დაახლოებით 20 წლის ასაკში აღწევენ მწვერვალს, ხოლო პიროვნული და ინტელექტუალური თვისებებით ორივე სქესი დაახლოებით 30 წლის ასაკში აღწევს ზრდასრულობას. ამრიგად, ერთი და იმავე საზომით თუ შევაფასებდით, ქალებსა და მამაკაცებს შორის ვერ დავინახავდით განსხვავებას სიმწიფის ასაკის მიხედვით. მაგრამ იმის გამო, რომ ქალსა და მამაკაცში სხვადასხვა რამეს ვაფასებთ, სხვადასხვა ასაკში გვეჩვენება თითოეული მომწიფებულად. უოლსტონკრაფტი ამასთანავე ამტკიცებს, რომ ეს ვითარება ქალებს აზარალებს – მისთვის, როგორც ითქვა, ადამიანში უმთავრესი გონებაა, ხოლო ის, რომ საზოგადოება ქალში გარეგნულ მიმზიდველობას აფასებს გონების ნაცვლად, ქალებს წინასწარ გაწირავს ხვედრისათვის, რომელიც ადამიანის ღირსებას არ შეეფერება.

ამრიგად, აქაც, როგორც სხვაგან, ულსტონკრაფტის მსჯელობა არ შემოიფარგლება უბრალოდ იმის დაფიქსირებით, რომ სხვადასხვა სქესის მიმართ საზოგადოებაში სხვადასხვა მოთხოვნები არსებობს და, ამიტომ, ქალები და მამაკაცები სხვადასხვაგვარად ყალიბდებიან. მისთვის მთავარია, რომ მოთხოვნებსა და მოლოდინებში ეს განსხვავებები არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს ქალებსა და მამაკაცებს იმ აბსოლუტური საზომის თვალსაზრისით, რომელიც უოლსტონკრაფტისათვის მონიშნულია ადამიანის, როგორც ადამიანის, რაობისა და ცხოვრების საზრისის კონკრეტული გაგებით.

დ. „ქალის უფლებების დაცვა“ და ფემინიზმი

საინტერესოა შეკითხვა უოლსტონკრაფტის ფემინიზმთან მიმართების შესახებ. მისი ზოგიერთი მკვლევარი „ქალის უფლებების დაცვას“ ძირითადად პედაგოგიურ ტრაქტატად მიიჩნევს, უოლსტონკრაფტის იდეებს კი უფრო განიხილავს ზოგადად განმანათლებლობის და არა – ფემინისტური თეორიისა და პოლიტიკის ისტორიის კონტექსტში. ასეთი შეხედულება ძირითადად ორ მოსაზრებას ემყარება: ერთი მხრივ, ვინაიდან იმ დროს არ არსებობდა ფემინიზმი, როგორც პოლიტიკური ან სოციალური მოძრაობა, და თვით სიტყვა „ფემინიზმიც“ უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, გარკვეულად ანაქრონიზმი იქნებოდა უოლსტონკრაფტისთვის „ფემინისტის“ წოდება. მეორე მხრივ, და ეს უფრო მნიშვნელოვანია,

უოლსტონკრაფტის ტექსტის ძირითადი სამიზნე არ არის ქალებისა და კაცების სოციალური, მით უფრო, მათი პოლიტიკური თანასწორობის მოთხოვნა; ის ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას ქალთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერის ნიშნით ორგანიზებულ ძალაუფლებრივ იერარქიებზე; ის არც ოჯახში ქალსა და მამაკაცს შორის როლების ტრადიციულ განაწილებას – „კაცი – მარჩენალი, ქალი – ბავშვების აღზრდა და საოჯახო საქმეები“ – უპირისპირდება; არც ოჯახის ინსტიტუტის მიმართ არის კრიტიკული, მე-19 საუკუნის სოციალისტი ფემინისტებისაგან განსხვავებით; უპირობოდ იღებს პირად და საზოგადო სფეროებს შორის მკაცრ გამიჯვნასაც, რომელიც კაპიტალისტური საზოგადოების ბაზისური პრინციპი გახდა და რომელსაც მეოცე საუკუნის ფემინისტები დაუპირისპირდნენ, როგორც ქალის ჩაგვრის ერთ-ერთ მთავარ წყაროს. პოლიტიკურ თანასწორობაზე მახვილის თვალსაზრისით, უოლსტონკრაფტის ზოგიერთი თანამედროვე, ვთქვათ, ოლემპ დე გუჟი, შეიძლება უფრო მკაფიოდ ფემინისტური პოზიციის დამცველად მივიჩნიოთ.

მეორე მხრივ, გენდერული სტერეოტიპებისა და როლების ქალის ცხოვრებაზე ზეგავლენის ანალიზით უოლსტონკრაფტის ტექსტი გამორჩეულია არა მხოლოდ მისი ეპოქის ტექსტებს შორის, არამედ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის, ანუ პირველი ტალღის ფემინიზმის იდეებზე უფრო რელევანტურადაც კი შეიძლება ჟღერდეს თანამედროვე გადმოსახედიდან. პირველი ტალღის ფემინიზმი ძირითადად ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკური და სამართლებრივი, კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნაზე იყო ორიენტირებული. თუმცა ისტორიამ დაგვანახა, რომ მას შემდეგაც, რაც თანასწორობა ფორმალურად აღიარებულია, საზოგადოებაში არსებული ძალაუფლებრივი იერარქიები არსებობას აგრძელებს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანების ცხოვრების მრავალ ასპექტს. სოციალური ნორმების, ტრადიციების, სტერეოტიპების ასეთი არაფორმალური სისტემით გამოწვეული უთანასწორობის გაცნობიერება და მასთან ბრძოლა უკვე ფემინიზმის მეორე ტალღას (მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი) უკავშირდება. უოლსტონკრაფტის არგუმენტების მრავალ ასპექტში წინასწარაა განჭვრეტილი მეორე ტალღის ფემინისტური თეორიების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიგნება.

გარდა ამისა, მართალია, უოლსტონკრაფტი ყურადღებას იმდენად არ ამახვილებს ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკური თანასწორობის მოთხოვნაზე და ძირითადად ამტკიცებს მათი, როგორც ადამიანების, ანუ გონიერი და ზნეობრივი არსებების სტატუსით თანასწორობას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის იზიარებს პოლიტიკური წესრიგის ლოკისეულ, განმანათლებლურ და რაციონალურ გამართლებაზე დაფუძნებულ გაგებას, მისთვის ქალისა და მამაკაცის, როგორც ადამიანების, თანასწორობიდან მათი პოლიტიკური თანასწორობის მოთხოვნაც უნდა გამოიყვანებოდეს.

„ქალის უფლებების დაცვის“ კიდევ ერთი საყურადღებო ასპექტია მისი კონცენტრაცია საშუალო კლასზე. პატრიარქალური ნორმების კრიტიკისას უოლ-

სტონკრაფტი ძირითადად საშუალო კლასის ქალების შესახებ წერს. ქალების ჩაგვრის კლასობრივი განზომილებისა და ღარიბი ფენის ქალების პრობლემების უგულებელყოფის გამო ის მომდევნო თაობების ფემინისტებმა სერიოზულად გააკრიტიკეს. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ქალების მხოლოდ ერთი კონკრეტული, პრივილეგირებული ჯგუფის პრობლემებით თავიანთი ანალიზის შემოფარგვლის გამო ანალოგიურ კრიტიკას მე-20 საუკუნის მნიშვნელოვანმა ფემინისტმა თეორეტიკოსებმაც (მაგალითად, სიმონ დე ბოვუარმა და ბეტი ფრიდანმაც) ვერ აარიდეს თავი.

ამ და სხვა შეზღუდულობების, არგუმენტაციაში არსებული ხარვეზების, თუ ზოგჯერ მეტისმეტად ემოციური და პათეტიკური ჩანართების მიუხედავად, უოლსტონკრაფტის ტექსტი უდავოდ მნიშვნელოვანი და გავლენიანი სიტყვა იყო ადამიანთა თანასწორობის შესახებ დასავლეთევროპულ დისკურსში. მასში წარმოდგენილი ზოგიერთი იდეა კი დღემდე სასარგებლო რესურსია სხვადასხვა საზოგადოებაში არსებული გენდერული იერარქიების გასაგებად და შესაფასებლად.

ქალის უფლებების დაცვა

თავი 3

სხეულის ძლიერებას, რომელიც ადრე გმირების განმასხვავებელი თვისება იყო, ახლა ისეთი უსამართლო ზიზღით უყურებენ, რომ, როგორც ჩანს, ქალების მსგავსად, აღარც კაცები მიიჩნევენ მას აუცილებელ თვისებად; ქალები იმიტომ, რომ ის აკნინებს მათ ქალურ მოხდენილობასა და იმ მომხიბვლელ სისუსტეს, რომელიც მათი დაუმსახურებელი ძალაუფლების წყაროა; ხოლო კაცები იმიტომ, რომ ის ჯენტლმენის ბუნებასთან შეუთავსებლად ეჩვენებათ.

იოლია იმის ჩვენება, რომ კაცებიცა და ქალებიც ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადაცვივდნენ. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი უხეში შეცდომა იმდენად ბევრმა ირწმუნა, რომ საფუძვლად დაედო მცდარ დასკვნას, რომელიც მიზეზს შედეგში ურევს.

ნიჭიერ ადამიანებს საკუთარი აღნაგობა ხშირად დაუსახიჩრებიათ სწავლით ან საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ დაუდევარი უყურადღებობით; მათი ვნებების დაუოკებლობა მათივე ინტელექტის ძალის პროპორციულია. ასე რომ, ხანჯლის მიერ საკუთარი ქარქაშის განადგურება თითქმის აფორიზმად იქცა. ზედაპირულ მსჯელობას მიჩვეულმა ადამიანებმა კი აქედან დაასკვნეს, რომ ნიჭიერ კაცს, ჩვეულებრივ, სუსტი ან, უფრო მოდური ფრაზა რომ გამოვიყენოთ, ფაქიზი აღნაგობა აქვს. ჩემი რწმენით კი, ფაქტები საპირისპიროს მეტყველებს. მართლაც, სიღრმისეული გამოკვლევა აჩვენებს, რომ ბევრ შემთხვევაში გონების ძლიერებას თან ახლავს სხეულის გამორჩეული ძლიერება. მხედველობაში მაქვს აღნაგობის ბუნებრივი სიჯანსაღე და არა ნერვების მძლავრი ტონუსი და კუნთების ძალა, გამოწვეული ფიზიკური შრომით, რომლის დროსაც გონება უმოქმედოა, ან მხოლოდ ხელებს მართავს...

ვხვდები, რომ ამ მსჯელობამ შესაძლოა, გაცილებით უფრო შორს წამიყვანოს, ვიდრე ვისურვებდი. მაგრამ ჩემი მიზანი ჭეშმარიტებაა. ამიტომ, ისევ ჩემს თავდაპირველ პოზიციაზე დავრჩები და დავუშვებ, რომ სხეულის ძლიერება შეიძლება კაცებს ბუნებრივ უპირატესობას ანიჭებდეს ქალებთან შედარებით; და ესაა ერთადერთი მყარი საფუძველი, რომელზეც შეიძლება მათი სქესის უპირატესობის აგება. თუმცა მაინც ვამტკიცებ, რომ ორი სქესის არა მხოლოდ სათნოება, არამედ ცოდნაც ერთი და იგივეა ბუნებით, თუ ხარისხით არა; და რომ ქალები, თუ მათ არა მხოლოდ ზნეობრივ, არამედ გონიერ არსებებადაც განვიხილავთ, უნდა ცდილობდნენ ადამიანურ სათნოებათა (ან სრულყოფილებათა) შეძენას

იმავე საშუალებებით, რომელთაც კაცები იყენებენ, იმის ნაცვლად, რომ აღიზარდონ არარეალურ, წარმოსახულ ნახევარარსებებად, რომელიც რუსოს[i] ერთ-ერთი უჩვეულო ქიმერაა.[1]

მაგრამ თუ სხეულის ძლიერება, გონიერების გარკვეულ ნიშნებთან ერთად, საამაყოა კაცებისთვის, რამ დააბრმავა ქალები ისე, რომ მათ ნაკლი ეამაყებათ? რუსომ მათ დამაჯერებელი გამართლება მოუძებნა, რომელიც მხოლოდ მას თუ მოუვიდოდა აზრად, ვინც თავის წარმოსახვას ფაქიზი გრძნობებით მიღებული შთაბეჭდილებებით მანიპულირების სრული თავისუფლება მისცა. თურმე ქალს საბაბი ჰქონია, ბუნებრივ მოთხოვნილებას დაემორჩილოს და ამით სულაც არ შე-

1 „აბსტრაქტულ და სპეკულაციურ ჭეშმარიტებათა, პრინციპთა და აქსიომათა – მოკლედ, იმ ყველაფრის, რაშიც ჩვენი იდეები განზოგადდება – გამოკვლევა არ არის ქალების შესაფერისი საქმიანობა; მათი აღზრდა პრაქტიკულ საკითხებს უნდა ეხებოდეს. მათი საქმეა კაცების მიერ აღმოჩენილი პრინციპების გამოყენება, მათი როლი კი – დაკვირვება; ხოლო კაცები დაკვირვებას ზოგადი პრინციპების დასადგენად იყენებენ. ქალების ყველა იდეა, რომელიც უშუალოდ არ ეხება მოვალეობის საკითხებს, მიმართული უნდა იყოს კაცების შესწავლისა და მათთვის სასიამოვნო ღირსებათა მოპოვებისაკენ, ვინაიდან გენიალური ნაშრომების შექმნა მათ შესაძლებლობებს აღემატება. მათ არ გააჩნიათ არც საკმარისად მკაფიო აზროვნება და არც ყურადღების ძალა, რათა წარმატებას მიაღწიონ მეცნიერებებში, რომლებიც სიზუსტეს მოითხოვს; ხოლო რაც შეეხება ფიზიკის ცოდნას, ის მხოლოდ მათ ხელეწიფებათ, ვინც ყველაზე აქტიური, ყველაზე ცნობისმოყვარეა, ვინც წვდება საგნების უდიდეს მრავალფეროვნებას; მოკლედ, ეს მათი საქმეა, ვისაც უძლიერესი უნარი აქვს და ვინც ამ უნარს საუკეთესოდ იყენებს, რათა გრძნობად საგნებსა და ბუნების კანონებს შორის მიმართებებზე იმსჯელოს. ქალმა, რომელიც ბუნებრივად სუსტია და საკუთარ იდეებს დიდად არ უღრმავდება, იცის, როგორ განსაჯოს და შეაფასოს სწორად ის მოვლენები, რომელთაც თავად იწვევს თავისი სისუსტის შედეგების შესამსუბუქებლად; ხოლო ეს მოვლენები კაცების ვნებას უკავშირდება. მექანიზმები, რომელთაც იგი იყენებს, ბევრად უფრო მძლავრია, ვიდრე ჩვენი, რადგან ყველა მისი ბერკეტი ადამიანის გულის შეძვრაზეა მიმართული. ქალი დაოსტატებული უნდა იყოს იმაში, რომ გაგვაკეთებინოს ყველაფერი ის, რასაც ის თავისი სქესის გამო თვითონ ვერ გააკეთებს, და რაც აუცილებელი ან სასიამოვნოა მისთვის. ამიტომ, მან ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს მამაკაცის გონება – არა კაცის გონება ზოგადად, განყენებულად, არამედ იმ მამაკაცთა მიდრეკილებები, რომელთაც ის ექვემდებარება თავისი ქვეყნის კანონების ან ადათ-წესების ძალით. ქალმა უნდა ისწავლოს მამაკაცთა ნამდვილი გრძნობების ამოცნობა მათი საუბრის, ქმედებების, მზერისა თუ ჟესტების მიხედვით. ის ასევე, უნდა ფლობდეს ხელოვნებას, საკუთარი საუბრით, ქმედებით, მზერითა და ჟესტებით ისე გადასცეს ამ მამაკაცთათვის სასიამოვნო გრძნობები, რომ თავისი განზრახვა არ გაამჟღავნოს. კაცები უფრო ფილოსოფიურად იმსჯელებენ ადამიანის გულზე; ქალები კი მათზე უკეთესად წაიკითხავენ მამაკაცის გულს… ქალები უფრო მოხერხებულები არიან, კაცები – უფრო ნიჭიერები; ქალები აკვირდებიან, კაცები აზროვნებენ. ამ ორის ერთობლიობა გვაძლევს ყველაზე კაშკაშა სინათლეს და ყველაზე სრულყოფილ ცოდნას, რომლის მიღწევაც ადამიანის გონებას საკუთარი ძალებით შეუძლია. ერთი სიტყვით, ამ წყაროდან ვიძენთ როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების შესახებ ყველაზე სიღრმისეულ ცოდნას, რაც ჩვენს ბუნებას ხელეწიფება. სწორედ ასე, ხელოვნება მუდმივად სრულყოფს იმ უნარებს, ბუნებით რომ მოგვემადლა. სამყარო ქალების წიგნია“ (რუსო, „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“).

ლახავს თავის რომანტიკულ მოკრძალებას, რომელიც მამაკაცების ამპარტავნებასა და გარყვნილებას აამებს.

ამგვარი შეხედულებებით გზააბნეული ქალები ზოგჯერ თავიანთი სისუსტით ტრაბახობენ, ცბიერებით, მამაკაცების სისუსტეებზე თამაშით მოიპოვებენ ძალაუფლებას; ისინი შეიძლება მართლა ბრწყინავდნენ თავიანთი უკანონო გავლენით, რადგან, თურქი ფაშების მსგავსად, მათ თავიანთ ბატონებზე მეტი რეალური ძალაუფლება აქვთ. მაგრამ სათნოება მსხვერპლად ეწირება წუთიერ კმაყოფილებას, პატივსაცემი ცხოვრება კი – ხანმოკლე ტრიუმფს.

ახლა ქალებს, დესპოტების მსგავსად, შეიძლება მეტი ძალაუფლება აქვთ, ვიდრე მაშინ ექნებოდათ, სამეფოებად და ოჯახებად დაყოფილი და დანაწევრებული სამყარო გონების ძალისხმევით დადგენილი კანონებით რომ იმართებოდეს. მაგრამ ამ ძალაუფლების მოპოვებაში მათი ხასიათი გადაგვარდება და უზნეობა მთელ საზოგადოებას მოედება. ...ამდენად, გავბედავ და ვიტყვი, რომ ვიდრე არ დაიწყება ქალის უფრო რაციონალურად აღზრდა, ადამიანთა ღირსებისა და ცოდნის წინსვლას მუდამ წინააღმდეგობა შეხვდება. ხოლო თუ ვთანხმდებით, რომ ქალი არ არის შექმნილი მხოლოდ იმისთვის, რომ მამაკაცის სურვილები დააკმაყოფილოს, ან მისი მაღალი რანგის მსახური იყოს, მას რომ საკვებით უზრუნველყოფს და თეთრეულს ურეცხავს, მაშინ უნდა მივიღოთ ის დასკვნაც, რომ დედებმა და მამებმა, თუკი გოგონების აღზრდას ყურადღებას აქცევენ, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი ქალიშვილების სხეულის გაძლიერებაზე თუ არა, იმაზე მაინც უნდა იზრუნონ, რომ მშვენიერებისა და ქალური სრულყოფილების მცდარი ცნებებით არ დაუსახიჩრონ მათ აღნაგობა. თავად გოგონებიც უნდა დავიცვათ მავნებელი აზრისაგან იმის შესახებ, რომ ნაკლი შეიძლება სრულყოფილებად გარდაქმნას ბჭობის რომელიღაც ქიმიურმა პროცესმა...

ვთქვათ, დავამტკიცეთ, რომ ქალი ბუნებრივად მამაკაცზე სუსტია. განა აქედან გამომდინარეობს, რომ მისთვის ბუნებრივია, ცდილობდეს, კიდევ უფრო სუსტი გახდეს, ვიდრე ბუნებამ ჩაიფიქრა? ამ ყაიდის არგუმენტები აღაშფოთებს საღ აზრს და აამებს ვნებას. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს განათლებულ დროში საშიში აღარ უნდა იყოს, მეფეთა ღვთაებრივი უფლების მსგავსად, ქმრების ღვთაებრივი უფლების ეჭვქვეშ დაყენება. მართალია, ჩემმა მტკიცებებმა შეიძლება ვერ დაადუმოს ბევრი მგზნებარე მოკამათე, მაგრამ როცა რომელიმე გაბატონებულ ცრურწმენას ესხმიან თავს, ბრძენი დაფიქრდება, ხოლო გონებაშეზღუდული გააგრძელებს სიახლის დაუფიქრებელი გააფთრებით ლანძღვას.

დედამ, რომელსაც სურს, თავის ქალიშვილს ჭეშმარიტად ღირსეული ხასიათი ჩამოუყალიბოს, უმეცართა დაცინვების მიუხედავად, უნდა მისდიოს გეგმას, რომელიც დიამეტრულად უპირისპირდება გეგმას, რუსო მჭევრმეტყველებისა და ფილოსოფიური სოფისტიკის მაცდუნებელი ხიბლით რომ გვირჩევს. მისი მჭევრმეტყველება ხომ დამაჯერებელს ხდის იმას, რაც აბსურდულია, მისი დოგმატური დასკვნები კი, თუმც კი ვერ არწმუნებს, მაგრამ საგონებელში აგდებს მას, ვისაც მათი უკუგდების ძალა არ შესწევს.

ცხოველთა მთელ სამყაროში ყველა ახალგაზრდა არსებას თითქმის გამუდმებული ვარჯიში სჭირდება. და, შესაბამისად, ბავშვებმაც ყრმობა უვნებელ მხიარულებაში უნდა გაატარონ, რომელიც ავარჯიშებს ფეხებს და ხელებს და არ მოითხოვს გონების ძალიან ზედმიწევნით ხელმძღვანელობას, ან ძიძის მუდმივ ყურადღებას. ფაქტობრივად, თვითგადარჩენისთვის აუცილებელი ზრუნვა გონების პირველი ბუნებრივი ვარჯიშია, რადგან პატარა გამოგონებები, გართობას რომ ისახავს მიზნად, წარმოსახვას ავითარებს. მაგრამ ბუნების ამ ბრძნულ ჩანაფიქრს წინააღმდეგობას უწევენ არასწორი მზრუნველობით და ბრმა გულმოდგინებით. ბავშვს, განსაკუთრებით გოგონას, ერთი წუთითაც არ ტოვებენ საკუთარი თავის ამარა და, ამდენად, მას დამოკიდებულს ხდიან. ვიღაცაზე დამოკიდებულად ყოფნას კი ბუნებრივს უწოდებენ.

გარეგნული სილამაზე – რაც ქალის სიამაყეა! – რომ შეუნარჩუნონ, მისი სხეულის ნაწილებს და ფიზიკურ უნარს ჩინურ არტახებზე უარესად ზღუდავენ. ხოლო ცხოვრების მჯდომარე წესი, რომელიც გოგონას მისჯილი აქვს, როცა ბიჭები გარეთ თამაშობენ, ასუსტებს კუნთებს და ადუნებს ნერვებს. რაც შეეხება რუსოს შენიშვნებს, რომლებიც მის შემდეგ რამდენიმე ავტორმა გაიმეორა – რომ, თურმე გოგონებს ბუნებრივად, ანუ დაბადებიდან, აღზრდისგან დამოუკიდებლად უყვართ თოჯინები, ჩასაცმელი და ლაქლაქი – იმდენად გულუბრყვილოა, რომ სერიოზულ კრიტიკასაც არ იმსახურებს. მართლაც, ძალიან ბუნებრივია, რომ გოგონა, რომელსაც მისჯილი აქვს საათობით სახლში ჯდომა და სუსტი ძიძების ამაო ლაქლაქის მოსმენა, ან იმის ყურება, თუ როგორ იპრანჭება სარკის წინ დედამისი, მოინდომებს საუბარში ჩართვას, ან დედას და დეიდებს მიბაძავს, ან თავისი უსიცოცხლო თოჯინის მორთვით შეიქცევს თავს. საწყალი უცოდველი ბავშვი! ეს მართლაც ყველაზე ბუნებრივი შედეგია. თუკი უდიდესი ძალის მქონე მამაკაცებსაც იშვიათად ჰყოფნით თავიანთ გარემოცვაზე ამაღლების ძალა, და თუ გენიოსთა სტრიქონებიც კი ყოველთვის მათი ეპოქის ცრურწმენებით იყო შერყვნილი, ცოტა მაინც უნდა შევუნდოთ სქესს, რომელიც, მეფეთა მსგავსად, საგნებს ყოველთვის მრუდე სარკეში ხედავს.

ამრიგად, ქალებში გამოპრანჭვის აშკარად გამოხატული სიყვარული იოლად შეიძლება აიხსნას იმის დაშვების გარეშეც, რომ ის გამოწვეულია მათი სურვილით, ასიამოვნონ სქესს, რომელზეც დამოკიდებულნი არიან. მოკლედ, ის აბსურდული დაშვება, რომ გოგო ბუნებრივად კეკლუცია და რომ გამრავლების ბუნებრივ იმპულსთან დაკავშირებული სურვილი უკვე მანამდეც უნდა იჩენდეს თავს, ვიდრე არასწორი აღზრდა ნაადრევად გამოიწვევდეს მას წარმოსახვის აღგზნებით, იმდენად არაფილოსოფიურია, რომ ისეთი საზრიანი დამკვირვებელი, როგორიც რუსოა, არ გაიზიარებდა მას, შეჩვეული რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულობის სურვილის გონებაზე, საყვარელი პარადოქსის კი – ჭეშმარიტებაზე მაღლა დაყენებას.

მაგრამ გონებისათვის სქესის მინიჭება არცთუ კარგად ეთანხმება იმ ადამიანის პრინციპებს, რომელიც ასე კარგად ასაბუთებდა სულის უკვდავებას. მაგრამ

რა სუსტი ბარიერია ჭეშმარიტება, როცა ის ჰიპოთეზას ეღობება წინ!... მისი სასაცილო ამბები, რომელთა საშუალებით ის, ყოველდღიური მაგალითების გათვალისწინების გარეშე, ცდილობს დაამტკიცოს, რომ გოგონების ყურადღება ბუნებრივად არის მიმართული საკუთარ თავზე, ზიზღსაც არ იმსახურებს. ხოლო ამბავი, რომელშიც ერთ პატარა ქალბატონს ისეთი სწორი გემოვნება ჰქონია, რომ უარი უთქვამს ასო „ო“-ს დაწერაზე, ვინაიდან მოეჩვენა, რომ ამ დროს ულამაზო პოზაში იყო, განსწავლული ღორების ანეკდოტების კრებულში შეტანას იმსახურებს.[2]

მე, ალბათ, მეტი შესაძლებლობა მქონდა, პატარა გოგონებს დავკვირვებოდი, ვიდრე ჟან-ჟაკ რუსოს. საკუთარი გრძნობების გახსენებაც შემიძლია და იმისაც, რასაც გარშემო ვხედავდი; მაგრამ სულ არ ვეთანხმები რუსოს აზრს ქალური ბუნების პირველი გამოღვიძების შესახებ. პირიქით, ვამტკიცებ, რომ გოგონა, რომელსაც ჯერ არ დაობებია სული უმოქმედობით, ან არ შერყვნია უმანკოება ყალბი სირცხვილით, აუცილებლად მოუსვენარი იქნება და არასოდეს დაინტერესდება თოჯინით, თუკი ჩაკეტილობამ მას ყველა ალტერნატივა არ წაართვა. მოკლედ, გოგონები და ბიჭები უვნებლად ითამაშებდნენ ერთად, სქესთა შორის განსხვავების ჩანერგვა იმაზე ბევრად უფრო ადრე რომ არ მომხდარიყო, ვიდრე ბუნება გაავლებდა განსხვავებას. უფრო შორსაც წავალ და ვიტყვი, რომ ჩემს ნაცნობობაში იმ ქალების უმრავლესობას, რომლებიც რაციონალურად მოქმედებდნენ ან ინტელექტის ძალას ავლენდნენ, შემთხვევით მიეცათ საშუალება, თავისუფლად ერბინათ ბავშვობაში – ამას გადაკვრით მშვენიერი სქესის ზოგიერთი ელეგანტური წარმომადგენელიც შენიშნავს.

ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ჯანმრთელობის მიმართ უყურადღებობის შედეგები იმაზე უფრო შორს მიდის, ვიდრე ფიქრობენ – სხეულის დამოუკიდებლობის შეზღუდვა ბუნებრივად იწვევს გონების დამოუკიდებლობის შეზღუდვასაც. და როგორ შეიძლება კარგი ცოლი ან დედა იყოს ის, ვისი დროის უდიდესი ნაწილიც ავადმყოფობისგან თავის დაცვაზე ან გადარჩენაზე იხარჯება? არც იმას უნდა ველოდოთ, რომ ქალი გადაწყვეტს, საკუთარი აღნაგობის გაძლიერება სცადოს, და თავს აარიდებს დამასუსტებელ ცდუნებებს, თუკი მისი ქმედების განმსაზღვრელ მოტივებში თავიდანვე გადაიხლართა სილამაზის ხელოვნური ცნებები და მგრძნობიარობის მცდარი გაგება. კაცების უმრავლესობა იძულებულია, შეეგუოს ხოლმე სხეულებრივ უსიამოვნებას და ხანდახან სტიქიის სისასტიკეც გადაიტანოს; ხოლო ნაზი ქალები, პირდაპირი მნიშვნელობით, თავიანთი სხეულების მონები არიან და ამ მონობაში ბრწყინავენ.

2 „ერთხელ შევხვდი პატარა გოგონას, რომელმაც წერა უფრო ადრე ისწავლა, ვიდრე კითხვა, და ნემსით დაიწყო წერა, სანამ კალმის გამოყენებას შესძლებდა. თავიდან აიკვიატა და „ო“-ს გარდა არც ერთ ასოს არ წერდა: გამუდმებით ხატავდა ამ ასოს სხვადასხვა ზომით და ფორმით, თან ყოველთვის უკუღმა. ერთ დღეს, ამ საქმიანობით გართულმა, მან თავისი თავი სარკეში დაინახა; არ მოეწონა წერისას თავისი დაძაბული პოზა, კალამი პალადასავით მოისროლა და გადაწყვიტა, აღარასოდეს დაეწერა „ო“. მისი ძმაც ზუსტად ისევე გაურბოდა წერას; მაგრამ არა დაძაბული პოზის, არამედ ჩაკეტილ სივრცეში ყოფნის სიძულვილის გამო“ (რუსო, „ემილი“).

ერთხელ ერთ სუსტ, მოდის მიმდევარ ქალს შევხვდი, რომელიც ჩვეულებრივზე მეტად ამაყობდა თავისი სიფაქიზით და მგრძნობიარობით. მას სჯეროდა, რომ უცნაური გემოვნება და უმადობა ყველა ადამიანურ სრულყოფილებაზე მაღლა დგას, და შესაბამისადაც იქცეოდა. შევესწარი, როგორ უგულებელყოფდა ეს სუსტი, დახვეწილი არსება ყველა ცხოვრებისეულ მოვალეობას: დივანზე თვითკმაყოფილებით მიწოლილი, ამაყობდა თავისი უმადობით, როგორც სიფაქიზის დამადასტურებელი საბუთით – სიფაქიზისა, რომლის შედეგიც, ან შეიძლება რომლის მიზეზიც იყო მისი განსაკუთრებული მგრძნობიარობა; მართლა ძნელია, გასაგებად თარგმნო ასეთი უცნაური ჟარგონი. თუმცა აქვე იმის მოწმეც გავხდი, თუ როგორ შეურაცხყო მან ღირსეული ხნიერი ქალბატონი, რომელიც მოულოდნელი უბედურების გამო მის მოჩვენებით გულუხვობაზე აღმოჩნდა დამოკიდებული და რომლისგანაც ის ადრე დავალებული იყო. როგორ შეიძლება, ადამიანი ასეთ სუსტ და წამხდარ არსებად ქცეულიყო, სიბარისელების[ii] მსგავსად ფუფუნებაში ჩაფლულს, ბოლომდე რომ არ დაეკარგა ღირსება ან ქცევის წესების შესახებ დამოძღვრის გარეშე რომ არ გაზრდილიყო, რომელიც, მართალია, გონების განვითარებას ვერ შეგვიცვლის, მაგრამ მაინც შეიძლება დაგვიცვას მანკიერებისგან?

ასეთი ქალი სულაც არ არის იმ რომაელ იმპერატორებზე უფრო მეტად ირაციონალური ურჩხული, რომლებიც უკანონო ძალაუფლებამ გარყვნა. მას შემდეგ, რაც მეფეები კანონისა და, მართალია, სუსტი, მაგრამ მაინც, ღირსების ძალით შედარებით შეიზღუდნენ, უგუნურებითა და სისატიკით გამორჩეულ არაბუნებრივ შემთხვევებს გაცილებით უფრო იშვიათად შევხვდებით. ხოლო დესპოტიზმი, რომელიც სათნოებასა და ნიჭს ჩანასახშივე კლავს, ველარ ბობოქრობს ევროპაში იმ გამანადგურებელი ძალით, რომელიც აპარტახებს თურქეთს, იქ მცხოვრებ ადამიანებს და მათ მიწასაც უნაყოფოს ხდის.

ქალები ყველგან ამ სავალალო მდგომარეობაში არიან, რადგან მათი უმანკოების – როგორც თავაზიანად უწოდებენ უმეცრებას – შესანარჩუნებლად მათ ჭეშმარიტებას უმალავენ; ისინიც იძულებულნი არიან, უკვე მანამდე მოირგონ ხელოვნური ხასიათი, სანამ მათი უნარები გაძლიერდება. მათ ბავშვობიდან ასწავლიან, რომ სილამაზით მიიღწევა ძალაუფლება, და მათი გონებაც სხეულს ერგება; და თავის მოოქროვილ გალიაში გამომწყვდეული, მხოლოდ იმასღა ესწრაფვის, ეს საპყრობილე გაალამაზოს. მამაკაცების ყურადღება მიმართულია სხვადასხვა საქმიანობისა და მისწრაფებისკენ, რომლებიც მათ გონებას აყალიბებს. ხოლო ქალების ძირითადი საზრუნავი ერთი რაღაცის გარშემო ტრაილებს და ისინი გამუდმებით ფიქრობენ იმაზე, რაც მათში ყველაზე უმნიშვნელოა. ამიტომ მათი თვალსაზრისი იშვიათად სცილდება უშუალოდ აწმყო ინტერესებს. მაგრამ, თუ მათი აზროვნება ოდესმე გათავისუფლდება იმ მონობისგან, რომელშიც ისინი ჩააგდო, ერთი მხრივ, მამაკაცების ამპარტავნებამ და ავხორცობამ, და, მეორე მხრივ, საკუთარმა შეზღუდულმა მისწრაფებებმა (აწმყოში მბრძანებლობის სურვილმა, ბატონობისაკენ ტირანის სწრაფვას რომ ჰგავს),

მაშინ, ალბათ, მათ სისუსტეზე აღარ ვისაუბრებთ. ნება უნდა მომცეთ, ეს არგუმენტი ცოტა მეტად გავშალო.

თუ დავუშვებთ ბოროტი ძალის არსებობას, რომლის მიზანიც, წმინდა წერილის ალეგორიულ ენაზე რომ ვთქვათ, სულთა დაღუპვაა, ის ალბათ ვერ იპოვიდა ადამიანის ხასიათის გადასაგვარებლად იმაზე ეფექტურ საშუალებას, ვიდრე იმას, რომ მისთვის აბსოლუტური ძალაუფლება მიეცა.

ამ არგუმენტის განვითარება მრავალი სხვადასხვა გზით შეიძლება. წარმომავლობა, სიმდიდრე და ყველა გარეგანი უპირატესობა, რომლებიც ადამიანს ყოველგვარი გონებრივი ძალისხმევის გარეშე მის თანამოძმეებზე მაღლა აყენებს, სინამდვილეში მას სხვებზე უფრო ქვემოთ ძირავს. ამ სისუსტის პროპორციულად, მას თავის ჭკუაზე ატარებენ მზაკვარი ადამიანები, სანამ გაბღენძილი მონსტრი ადამიანობის ყველა ნასახს არ დაკარგავს. აზრი, რომ ადამიანთა მასა ცხვრის ფარასავით მშვიდად უნდა მიჰყვეს ასეთ ლიდერს, შეცდომაა, რომელიც მხოლოდ აწმყოში სიამოვნების მიღების სურვილით და შეზღუდული აზროვნებით შეიძლება აიხსნას. მონურ დამოკიდებულებაში აღზრდილ და ფუფუნებით და უმაქნისობით დაუძლურებულ მამაკაცებს შორის განა მოიძებნებოდა ისეთი, რომელიც ხმას აიმაღლებდა მამაკაცის უფლებების დასაცავად ან პრეტენზიას განაცხადებდა სრულყოფის ერთადერთი გზის მქონე მორალური არსების პრივილეგიაზე? ჯერ კიდევ არ გამქრალა მონარქების და მინისტრების მიმართ მონობა, რომლისგან გასათავისუფლებლად სამყაროს დიდი დრო დასჭირდება და რომლის მომაკვდინებელი მარწუხებიც აფერხებს ადამიანის გონების წინსვლას.

თუ ასეა, მაშინ ნუ იამაყებენ მამაკაცები ძალაუფლებით და ნუ გამოიყენებენ იმავე არგუმენტებს, რომელთაც ტირანი მეფეები და მოღალატე მინისტრები ეყრდნობოდნენ! და ნუ ამტკიცებენ სიცრუეს, რომ ქალი დაქვემდებარებული უნდა იყოს, რადგან ასე იყო ყოველთვის! პირიქით, თუ გონივრული კანონებით მმართველობისას კაცი თავისი ბუნებრივი თავისუფლებით სარგებლობს, დაე, მას ეზიზღებოდეს ქალი, თუკი ამ უკანასკნელს არ ექნება სურვილი, მისი თავისუფლება გაიზიაროს! ამ დიდებული დროის დადგომამდე კი ყოველთვის, როცა ქალთათვის დამახასიათებელი სისულელის განხილვას დაიწყებს, საკუთარიც ნუ დაავიწყდება...

დროა, დავიწყოთ რევოლუცია ქალთა ცხოვრების წესში, დროა, მათ დაკარგული ღირსება დავუბრუნოთ და ვაიძულოთ, რომ, როგორც ადამიანთა გვარის წარმომადგენლებმა, საკუთარი თავის გარდაქმნით სამყაროს გარდაქმნისათვის იღვაწონ. დროა, გავმიჯნოთ მარადიული ზნეობა ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისაგან. თუ მამაკაცები ნახევრადღმერთები არიან, რატომ გვაძლევენ იმის უფლებას, რომ ვემსახუროთ მათ! და თუ ქალის სულის ღირსება ისევე სადავოა, როგორც ცხოველებისა, თუ ქალებს თავიანთი გონება არ აწვდის ქცევის წარმართვისათვის საკმარის სინათლეს, იმ დროს, როცა უცდომელ ინსტინქტზე უარი ეთქვათ, მაშინ მართლაც ყველა არსებაზე საცოდავები ყოფილან! და ბედისწერის რკინის ხელით მოდრეკილებმა უნდა აღიარონ, რომ შემოქმედის მშვენიერ შეც-

დომას წარმოადგენენ. მაგრამ იმის გამართლება, თუ რატომ მოექცა განგება მათ ასე, მოძებნა იმ ურყევი საფუძვლისა, რომლის გამოც მან კაცობრიობის ამხელა ნაწილი ამგვარად, თან პასუხისმგებლად და თან არაპასუხისმგებლად, შექმნა, ყველაზე გაწაფულ კაზუისტსაც კი საგონებელში ჩააგდებდა.... მე უკუვაგდებ იმ მოჩვენებით თვინიერებას, რომელიც ბუნების გამოკვლევას სჯერდება და შემოქმედის საკითხზე დუმს. უმაღლეს და უძლიერეს არსებას, მარადისობაში რომ სახლობს, უეჭველია, მრავალი ისეთი ატრიბუტი ახასიათებს, რომელთა გაგება ჩვენ არ შეგვიძლია; მაგრამ გონება მკარნახობს, რომ არ შეიძლება ეს თვისებები ეწინააღმდეგებოდეს იმათ, რომელთაც მე ვეთაყვანები. და მე ვალდებული ვარ, ვუსმინო გონების ხმას...

დროა, ეს გადახვევა დავასრულო. სასურველია, ქმრების მიმართ ქალების სიყვარული იმავე პრინციპს ემყარებოდეს, რომელიც, ამავე დროს, ერთგულების საფუძველი უნდა იყოს. დედამიწის ზურგზე სხვა არც ერთი მყარი საფუძველი არ არსებობს, ამიტომ, ისინი უნდა უფრთხილდნენ მგრძნობიარობის მაცდურ სინათლეს; მგრძნობიარობა ძალიან ხშირად გამოიყენება ავხორცობის შერბილებულ სახელად. ამიტომ, ჩემი აზრით, ქალები ან აღმოსავლელი პრინცესებივით ბავშვობიდანვე ჩაკეტილნი და გარე სამყაროს მოწყვეტილნი უნდა იყვნენ, ან იმგვარად აღიზარდონ, რომ დამოუკიდებლად ფიქრი და მოქმედება შეეძლოთ.

რატომ უჭირთ მამაკაცებს ამ ორ მოსაზრებას შორის არჩევანის გაკეთება და ელიან შეუძლებელს? რატომ მოითხოვენ ისინი სათნოებას მონისგან – არსებისგან, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წყობამ სუსტი გახადა, თუ მანკიერი არა?

და მაინც, ვიცი, რომ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება სენსუალისტების მიერ დანერგილი ღრმად ფესვგადგმული ცრურწმენების აღმოფხვრას; გარკვეული დრო დასჭირდება ქალების დარწმუნებასაც იმაში, რომ ისინი, საბოლოო ანგარიშში, თავიანთი რეალური ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ, როცა სიფაქიზის სახელით სისუსტეს ელოლიავებიან ან თამაშობენ; ასევე რთული იქნება მსოფლიოს დარწმუნება იმაში, რომ ქალურ მანკიერებათა და სისულელეთა (თუ აუცილებლად ტრადიციას უნდა მივყვე, სინონიმურ ტერმინებს არაზუსტი აზრით გამოვიყენებ) მოწამლული წყაროა ის ხორციელი ხარკი, რომელსაც სილამაზისთვის, ნაკვთების სილამაზისთვის გაიღებენ; მართლაც მოსწრებულად შენიშნა ერთმა გერმანელმა მწერალმა, რომ ყველა ჯურის მამაკაცი სურვილის ობიექტად ერთსულოვნად აღიარებს ლამაზ ქალს; ხოლო გონიერ ქალს, რომელიც უფრო ამაღლებულ ემოციებს აღძრავს თავისი ინტელექტუალური მომხიბვლელობით, ალბათ ვერ შეამჩნევენ, ან გულგრილად შეხედავენ ის კაცები, რომლებიც ბედნიერებას თავიანთი სურვილების დაკმაყოფილებაში პოულობენ. თუმცა მე ამავე დროს ვაცნობიერებ ერთ წინააღმდეგობას – ვიდრე მამაკაცი ისეთ არასრულყოფილ არსებად რჩება, როგორიც ის ყოველთვის იყო, ის, მეტად ან ნაკლებად, თავისი სურვილების მონა იქნება; ამიტომ ის ქალები მოიპოვებენ უდიდეს გავლე-

ნას, რომლებიც მათ ყველაზე ძლიერ სურვილს აკმაყოფილებენ; ამდენად, ქალთა სქესის დაკნინება თუ მორალური არა, ფიზიკური აუცილებლობაა.

მე ვაღიარებ, რომ ამ კონტრარგუმენტს გარკვეული ძალა აქვს. მაგრამ, თუკი არსებობს ისეთი ამაღლებული მცნება, როგორიცაა „იყავი ისეთივე უბრალო, ვითარცა უფალი შენი“, მაშინ, როგორც ჩანს, ადამიანის ღირსებები არ შეუზღუდავს იმ ერთადერთ არსებას, რომელსაც ხელეწიფება მათი შეზღუდვა. შესაბამისად, ადამიანს შეუძლია წინსვლა სცადოს იმაზე დაფიქრების გარეშე, რომ ასეთი ამბიციებით შეიძლება კუთვნილ საზღვრებს არღვევდეს...

გარდა ამისა, თუ ქალებს აღზრდიან იმისთვის, რომ იყვნენ დამოკიდებულნი, ანუ იმისთვის, რომ სხვა ცდომადი არსების ნების მიხედვით იმოქმედონ და დაემორჩილონ ძალას, კანონიერსა თუ უკანონოს, მაშინ სად უნდა გავჩერდეთ? უნდა შევხედოთ მათ, როგორც მეფისნაცვლებს, რომელთაც უფლება აქვთ იმეფონ მცირე ტერიტორიაზე და თავიანთი ქმედებებისთვის პასუხი აგონ უფრო მაღალი სამსჯავროს წინაშე, რომელიც ასევე არ არის დაზღვეული შეცდომისაგან?

რთული დასამტკიცებელი არ იქნება, რომ ეს რწმუნებულები შიშის ძალით მორჩილი მამაკაცების მსგავსად იმოქმედებენ და ტირანულად დაჩაგრავენ თავიანთ შვილებს და მსახურებს. გამომდინარე იქიდან, რომ მათი მორჩილება გონებას არ დაეფუძნება, მათ არ ექნებათ საკუთარი ქმედებების წარმმართველი მყარი წესები და წუთიერი ახირების გამო იქნებიან ან კეთილნი, ან ულმობელნი; და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ თავიანთი მძიმე ხვედრით გაღიზიანებულები, ისინი ზოგჯერ მანკიერ სიამოვნებას მიიღებენ ამ სიმძიმის უფრო სუსტ არსებებზე გადატანით.

მაგრამ თუკი დავუშვებთ, რომ მორჩილებაში გაწვრთნილი ქალი ჭკვიან მამაკაცზე დაქორწინდება, რომელიც მის აზრებს ისე წარმართავს, რომ არ აგრძნობინებს მორჩილების მონურ მდგომარეობას, მაშინ შესაძლებელია, რომ ამ არეკლილი შუქის ხელმძღვანელობით ქალის ქმედება იმდენად კარგი იყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია გონების მეორადი გამოყენების შემთხვევაში. მაგრამ ამ შემთხვევაში მას მაინც ვერ ექნება თავისი მფარველის სიცოცხლის გარანტია; ქმარი შეიძლება გარდაიცვალოს და ცოლი დიდი ოჯახით მარტო დატოვოს.

ამ შემთხვევაში მას ორმაგი მოვალეობა დაეკისრება: ბავშვების აღზრდაში მას როგორც მამის, ისე დედის როლის შესრულება მოუწევს; მან მონაწილეობა უნდა მიიღოს მათი ცხოვრებისეული პრინციპების ჩამოყალიბებაში და დაიცვას მათი ქონება. მაგრამ, ვაი, რომ მას არასოდეს უფიქრია, და, მით უმეტეს, არ უმოქმედია დამოუკიდებლად. მას მხოლოდ ის ასწავლეს, როგორ მიანიჭოს სიამოვნება კაცებს,[3] როგორ იყოს მათზე მომხიბვლელად დამოკიდებული. მაგრამ

3 „სქესობრივ კავშირში ორივე ერთ საერთო მიზანს ესწრაფვის, მაგრამ არა ერთი და იმავე გზით. ამ კონკრეტულ საკითხში მათ შორის არსებული განსხვავება წარმოშობს მათ ზნეობრივ სახეში პირველ მკაფიო განსხვავებას. ერთი უნდა იყოს აქტიური და ძლიერი, მეორე – პასიური და სუსტი; აუცილებელია, რომ ერთს ჰქონდეს როგორც ძალა, ისე ნება, ხოლო მეორე არ უწევდეს წინააღმდეგობას.
თუ ეს პრინციპი დავადგინეთ, მივიღებთ, რომ ქალი აშკარად კაცის სიამოვნებისთ-

ბავშვებით დახუნძლული, როგორ იპოვის კიდევ სხვა მფარველს – ქმარს, რომელიც მის ნაცვლად იაზროვნებს? როგორც უნდა მოიხიბლოს ქალის სილამაზითა და თვინიერებით, რაციონალური კაცი (აქ არ ვეხებით რომანტიკულ შემთხვევებს) არასოდეს არჩევს, სიყვარულის გამო მთელ ოჯახზე დაქორწინდეს, როცა სამყაროში ბევრი სხვა ლამაზი არსებაც მოიძებნება. რა ელის მაშინ ქალს? ის ან რომელიმე გაიძვერა ქონების მაძიებლის იოლი საკბილო გახდება, რომელიც მის შვილებს მშობლების მემკვიდრეობის გარეშე დატოვებს, თვითონ მას კი საცოდავ მდგომარეობაში ჩააგდებს; ან კიდევ დაუკმაყოფილებლობისა და თავის მოტყუების მსხვერპლი გახდება. ის ვერ შეძლებს თავისი ვაჟების აღზრდას, ან მათი პატივისცემის მოპოვებას, ვინაიდან მხოლოდ სიტყვებით თამაში როდია გამონათქვამი, რომ არასოდეს სცემენ პატივს ადამიანს, რომელიც არ იმსახურებს პატივისცემას, თუნდაც მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავოს. ამის გამო ის უშედეგო და უნაყოფო სინანულით დაიტანჯება. გაბოროტებული, თავქარიანად გატარებული ახალგაზრდობის გამო, დადარდიანებული და განძარცვული მიებარება მიწას.

ეს არ არის გაზვიადებული სურათი; პირიქით, ძალიან მოსალოდნელი შემთხვევაა და რაღაც მსგავსი ყველა ყურადღებიან თვალს ექნება შემჩნეული.

მაგრამ მე უპირობოდ დავუშვი, რომ ეს ქალი კარგი ზნისა იყო. თუმცა, გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ისევე იოლია ბრმის ხრამში გადაჩეხვა, როგორც მისი გატკეპნილ გზაზე გაყვანა. სულაც არ არის დაუჯერებელი ვარაუდი, რომ

ვისაა შექმნილი. თუკი ვალდებულება ასევე ორმხრივი უნდა იყოს და, თავის მხრივ, მამაკაცმაც უნდა ასიამოვნოს ქალს, ეს არ არის აუცილებლობა: მისი მთავარი ღირსება მისი ძალაა და ის ქალს სიამოვნებას ანიჭებს უბრალოდ იმით, რომ ძლიერია. უნდა ვაღიარო, რომ ეს არ არის სიყვარულის დახვეწილი პრინციპი; მაგრამ ეს არის ბუნების ერთ-ერთი კანონი, რომელიც თავად სიყვარულსაც უსწრებს წინ.

თუ ქალი იმისთვის არის შექმნილი, რომ სიამოვნება მიანიჭოს და დაემორჩილოს კაცს, მაშინ უეჭველია, რომ მისი საქმეა იქცეს მამაკაცისთვის სასიამოვნოდ და არა – გამოსცადოს მისი ვნება. მამაკაცის სურვილების ძლიერება დამოკიდებულია ქალის მომხიბლავობაზე; სწორედ მისი საშუალებით უნდა უბიძგოს ქალმა კაცს იმ ძალის გამოყენებისკენ, რომელიც მამაკაცს ბუნებამ მიანიჭა. მათი აღგზნების ყველაზე კარგი ხერხია, რომ ქალმა წინააღმდეგობის გაწევით აუცილებელი გახადოს ამ ძალის გამოყენება, რადგან ამ შემთხვევაში სურვილს საკუთარი თავის სიყვარული ემატება და ერთი ტრიუმფს ზეიმობს გამარჯვებით, რომლის მოპოვებაც მეორის ვალდებულებაა. აქედან წარმოდგება სქესთა შორის თავდასხმისა და თავდაცვის სხვადასხვა ხერხი. ერთი სქესის სითამამე და მეორე სქესის მორცხვობა; ერთი სიტყვით, ის მორცხვობა და მოკრძალება, რომლითაც ბუნებამ აღჭურვა სუსტი, რათა მან ძლიერი დაიმორჩილოს“ (რუსო, „ემილი“).

ამ გონებამახვილურ პასაჟზე ერთადერთი კომენტარის სახით უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს არის ავხორცობის ფილოსოფია.

„ოჰ, რა საყვარელია მისი უმეცრება!“ – შესძახებს რუსო სოფიაზე საუბრისას – „ბედნიერია ის, ვისაც მისი განათლება უწერია! მას არასოდეს ექნება პრეტენზია, ჭკუა ასწავლოს თავის ქმარს. იმითაც კმაყოფილი იქნება, რომ ქმრის მოსწავლე იყოს. სულ არ მოინდომებს, ქმარს თავს მოახვიოს თავისი გემოვნება, პირიქით, თავად მოერგება ქმრის გემოვნებას. ის უფრო ძვირფასი იქნება ქმრისთვის, ვიდრე მაშინ, განსწავლული რომ ყოფილიყო. ქმარი სიამოვნებას მიიღებს მისი განათლებით“ (რუსო, „ემილი“).

არსებას, რომელსაც მხოლოდ სიამოვნების მინიჭება ასწავლეს, ბედნიერებას მხოლოდ სიამოვნების მინიჭება მოუტანს. როგორი გულუბრყვილობის, თუ მანკიერების არა, მაგალითი იქნება ის თავისი უმანკო ქალიშვილებისთვის! კეკლუცობაში თავდაკარგული დედა, დამეგობრების ნაცვლად, ეჭვის თვალით შეხედავს თავის ქალიშვილებს, როგორც მეტოქეებს – ყველაზე უფრო საშიშ მეტოქეებს, რადგან სხვები მას სწორედ ქალიშვილებს შეადარებენ. ეს სილამაზის ტახტიდან აგდებს ყველა იმ ქალს, ვისაც არასოდეს უფიქრია გონების მერხზე ჯდომა.

სულ არ სჭირდება ოსტატის ფანქარი და კარიკატურის მახვილი კონტური იმ ოჯახური უბედურებებისა და გულისმომკვლელი მანკიერებების დახატვას, ოჯახის ასეთი დიასახლისი რომ დაატრიალებს. და ის ხომ უბრალოდ ისე იქცევა, როგორც რუსოს სისტემის მიხედვით აღზრდილი ქალი უნდა მოიქცეს. მას ვერასოდეს უსაყვედურებენ, რომ იგი მამაკაცურია, ან მისთვის დადგენილ საზღვრებს არღვევს; არა, ის შეიძლება რუსოს კიდევ ერთ დიდ წესსაც მისდევდეს და გულმოდგინედ იცავდეს შელახვისაგან თავის რეპუტაციას იმ მიზნით, რომ კარგი ქალის სახელი ჰქონდეს. მაგრამ რა თვალსაზრისით შეიძლება მას კარგი ეწოდოს? მართალია, ის განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე იკავებს თავს დიდი ცოდვების ჩადენისგან, მაგრამ როგორ ასრულებს ის თავის მოვალეობებს? მოვალეობებს! სინამდვილეში მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ თავისი სხეულის მოკაზმვაზე და სუსტი აღნაგობის შენარჩუნებაზე იფიქროს.

მას არასოდეს უცდია რელიგიის საკითხებზე დამოუკიდებლად მსჯელობა; იგი ისე ასრულებდა თავისი მშობლიური ეკლესიის რიტუალებს, როგორც ეს დამოკიდებულ არსებას შეეფერება – ღვთისმოსავად დარწმუნებული იმაში, რომ მასზე უფრო ბრძენმა ადამიანებმა მოაგვარეს ეს საკითხი; მისი სრულყოფილების ერთი ნიშანი ხომ ის არის, რომ არასოდეს აღეძრას ეჭვი. ყოველივე ამისთვის იგი შესაწირავს შესწირავს და ღმერთს მადლობას გადაუხდის, რომ სხვა ქალების მსგავსად არ ცხოვრობს. ეს არის კარგი აღზრდის ნაკურთხი შედეგები! ეს არის მამაკაცის თანაშემწის ღირსებები!

ახლა კი თავი განსხვავებული სურათის დახატვით უნდა დავიმშვიდო.

წარმოვიდგინოთ მისაღები აზროვნების მქონე ქალი (რადგან არ მინდა ბანალურ შემთხვევებზე მსჯელობას გავცდე), რომლის სხეულიც გაძლიერებულია ვარჯიშით; ამავე დროს მისი გონება თანდათან ვითარდება იმისათვის, რომ გააცნობიეროს ცხოვრების მორალური მოვალეობები და გაიგოს, რაში მდგომარეობს ადამიანის სათნოება და ღირსება.

ის თავისი ვალდებულებების აღსრულებაში ჩამოყალიბდა და სიყვარულით დაქორწინდა, თუმცა კეთილგონიერება არ დაკარგა და ოჯახური ბედნიერების მიღმაც იხედება. მას ქმარი პატივს სცემს ისე, რომ არ სჭირდება ეშმაკურ ხერხებს მიმართოს... მაგრამ ბედისწერა ამ კავშირს არღვევს. ქალი ქვრივდება და შეიძლება მატერიალური უზრუნველყოფის გარეშეც რჩება; მაგრამ ის არ არის უსუსური! ბედის სიმუხთლე მტკივნეულია; მაგრამ მას შემდეგ, რაც დროის დინება მწუხარებას მელანქოლიურ სევდად გარდაქმნის, მისი გული გაორმაგებული

სიყვარულით მიუბრუნდება შვილებს. და მათი უზრუნველყოფისთვის ზრუნვა და სიყვარული საკრალურ-ჰეროიკულ იერს აძლევს მის დედობრივ მოვალეობებს....

მინდა ჩემი ნათქვამი რამდენიმე სიტყვით შევაჯამო. აქ მე ხელთათმანს ვისვრი და უარვყოფ სქესობრივი სათნოებების არსებობას, გამონაკლისს არც მოკრძალებასთან მიმართებაში გავაკეთებ. ჭეშმარიტება, თუ მე ამ სიტყვის მნიშვნელობა მესმის, კაცისთვის და ქალისთვის ერთი და იგივე უნდა იყოს; ფანტასტიკური ქალური ხასიათი კი, ასე ლამაზად რომ გვიხატავენ პოეტები და მწერლები, მსხვერპლად მოითხოვს ჭეშმარიტებას და გულწრფელობას. სათნოება ფარდობითი ცნება ხდება, რომელსაც სარგებლიანობის გარდა არავითარი სხვა საფუძველი არ გააჩნია; ხოლო მამაკაცებს აქვთ პრეტენზია, თვითნებურად იმსჯელონ და საკუთარ მოხერხებულობას მოარგონ ეს სარგებლიანობა.

მე ვუშვებ, რომ შეიძლება ქალები განსხვავებულ მოვალეობებს ასრულებენ, მაგრამ ესეც ადამიანური მოვალეობებია, და დაჟინებით ვამტკიცებ, რომ პრინციპები, რომლებიც მათ შესრულებას უნდა არეგულირებდეს, ყველგან ერთი და იგივეა.

იმისათვის, რომ ქალებმა პატივისცემა დაიმსახურონ, აუცილებელია მათი აზროვნების განვითარება – ხასიათის დამოუკიდებლობისთვის სხვა საფუძველი არ არსებობს. ხაზგასმით ვამბობ, რომ მათ ქედი მხოლოდ გონების ავტორიტეტის წინაშე უნდა მოიდრიკონ და არ დარჩნენ გაბატონებული შეხედულების მოკრძალებულ მონებად.

განა წარჩინებულთა წრეებში ხშირად ვხვდებით გამორჩეული უნარების ან თუნდაც ჩვეულებრივი შესაძლებლობების მქონე მამაკაცს? ამის მიზეზი ჩემთვის ნათელია – ისინი დაბადებიდანვე არაბუნებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ადამიანის ხასიათი ყოველთვის ყალიბდებოდა მისი თუ მისი კლასის ძირითადი საქმიანობის მიხედვით. და თუ უნარები აუცილებლობის ძალით არ „ილესება“, ისინი ბლაგვია. ეს არგუმენტი ქალებისთვისაც მართებულია. რადგან ქალები იშვიათად არიან ჩართულნი სერიოზულ საქმეებში, მათი ერთადერთი მისწრაფებაა სიამოვნების ძიება. ეს კი მათ ხასიათს იმავე უმოქმედობას ანიჭებს, რომელიც ასე არასაინტერესოს ხდის წარჩინებულ საზოგადოებას. სიმყარის ის ნაკლებობა, რომელიც მსგავსი მიზეზებითაა გამოწვეული, ორივე ჯგუფს აიძულებს, საკუთარ თავს ხმაურიან სიამოვნებებსა და ხელოვნურ ვნებებში გაექცნენ, სანამ ამაოება ყველა სოციალური გრძნობის ადგილს არ დაიკავებს და ადამიანობის დამახასიათებელი ნიშნები თითქმის უკვალოდ არ გაქრება. ამჟამინდელი სამოქალაქო წყობის ნაყოფი სწორედ ისაა, რომ სიმდიდრე და ქალური სირბილე ერთნაირად აკნინებს კაცობრიობას და ერთი და იმავე მიზეზითაა გამოწვეული. მაგრამ თუ ვუშვებთ, რომ ქალი გონიერი არსებაა, მაშინ უნდა წავახალისოთ, რომ მან შეიძინოს ის სათნოებები, რომელთაც საკუთარს უწოდებს; ვინაიდან, როგორ შეიძლება გონიერ არსებას ღირსება შემატოს რამემ, რაც მას საკუთარი ძალისხმევით არ შეუძენია?

თავი 4

ის, რომ ქალი ან ბუნებრივად სუსტია, ან დაკნინებულია გარემოებათა დამთხვევის შედეგად, ვფიქრობ, უკვე გასაგებია. მაგრამ მე ამ პოზიციას უნდა დავუპირისპირო დასკვნა, ხშირად რომ გამიგია გონიერი ადამიანებისგან არისტოკრატიის სასარგებლოდ, რომლის თანახმად კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ვერასდროს იქნება იმ თვინიერ მონებზე მეტი, რომლებიც მოთმინებით ელიან იმას, რომ სხვა გაუძღვებათ წინ. ასე რომ არ იყოს, ეს მონები საკუთარ ძალას იგრძნობდნენ და თავიანთ ჯაჭვებს დაამსხვრევდნენ. ამავე თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანები ყველგან მორჩილად იტანენ ჩაგვრას, მაშინაც კი, როცა უღლის ჩამოსაგდებად მხოლოდ თავის აწევა სჭირდებათ; მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თავიანთი დაბადებიდან კუთვნილი უფლება დაიცვან, ტალახში მშვიდად თავჩარგულები, ამბობენ: „ვჭამოთ და ვსვათ, ხომ მაინც მალე მოვკვდებით“. მე კი პარალელს ვავლებ და ვამტკიცებ, რომ ქალები აწმყო მომენტით სიამოვნების ამავე მიდრეკილებით არიან დაკნინებულები და საბოლოოდ სძულდებათ თავისუფლება, რომლის მოსაპოვებლად ბრძოლისთვისაც მათ სათნოება არ ჰყოფნით...

ერთსულოვნად აღიარებენ, რომ გულის საკითხების თვალსაზრისით სქესს მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ გონებრივ უნარებში განსხვავება ვერასოდეს გადაილახება.[4] „სილამაზეში სრულყოფილი“ ქალისთვის მხოლოდ ნაწილობრივ გონიერებას უშვებენ, რადგან თუ მის ნიჭსა და მსჯელობის უნარს უარყოფენ, ძალიან ძნელი მისახვედრია, ინტელექტის დამახასიათებელ ნიშანთაგან რაღა რჩება.

ადამიანში არსებული უკვდავების მარცვალი, თუ ნებას მომცემთ ეს ფრაზა გამოვიყენო, არის მისი გონების სრულყოფადობა; ადამიანი სრულყოფილ არსებად რომ შექმნილიყო, ან სიმწიფის ასაკში მას უნაკლო ცოდნის ნიაღვარი დატყდომოდა თავს, ეჭვი მეპარება, მისი არსებობა სხეულის გახრწნის შემდეგაც გაგრძელებულიყო. მაგრამ ფაქტია, რომ არსებობს მრავალი მორალური თავსატეხი, რომელიც ადამიანთა მსჯელობას ხელიდან უსხლტება და ერთნაირად აბნევს აზროვნების საფუძვლიან ძიებებს თუ ნიჭის ნათლისმომფენ მზერას. სწორედ მათი არსებობაა არგუმენტი, რომელზეც მე სულის უკვდავების ჩემს რწმენას ვაფუძნებ. აქედან კი გამოდის, რომ გონება მხოლოდ გაუმჯობესების უნარია; ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტების გარჩევის უნარია. ამ თვალსაზრისით ყოველი ინდივიდი თავისთავადი სამყაროა. შეიძლება ერთი არსება შინაგანად მეორე-

4 რამდენ წინააღმდეგობაში ვარდებიან კაცები, როცა ისინი პრინციპების გარეშე ბჭობენ. ქალებს, სუსტ ქალებს, ისინი ადარებენ ანგელოზებს. საფიქრებელია, რომ უფრო აღმატებულ არსებებს მამაკაცზე მეტი ინტელექტი უნდა ჰქონდეთ; თუ ასე არ არის, რაშია მაშინ აღმატებულობა? სარკაზმი რომ გვერდზე გადავდოთ და ზემოთ დაწყებული მსჯელობა გავაგრძელოთ, უნდა დავუშვათ, რომ ქალებს მეტი გულკეთილობა, ღვთისმოსავობა და გულმოწყალება აქვთ. მე ეჭვი მეპარება ამ ფაქტში, როგორ თავაზიანადაც არ უნდა ამტკიცებდნენ მას, რადგან მაშინ უნდა დავუშვათ, რომ უმეცრებაა სათნოების დედა. მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, როგორც წესი, სათნოება და ცოდნა მეტადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ.

ზე მეტად ან ნაკლებად მდიდარი ჩანდეს, მაგრამ გონების არსი ყველაში ერთი და იგივე უნდა იყოს, თუ ის არის ღვთაებრიობის ემანაცია – ის, რაც შექმნილს შემოქმედთან აკავშირებს. განა შეიძლება ზეციური ხატით იყოს აღბეჭდილი სული, რომელიც თავისი გონების მეოხებით არ განიცდის სრულყოფას? მაგრამ გარეგნულად გულმოდგინედ მოკაზმული და კაცის საამებლად მორთული ქალის... სულს არ ეძლევა ასეთი სრულყოფის უფლება. ასეთ ქალსა და მის გონებას შორის ყოველთვის დგას მამაკაცი. ქალს კი ყოველთვის აღიქვამენ, როგორც მხოლოდ იმისთვის შექმნილს, რომ სქელი საბურველი უმალავდეს საგნებს და ყველაფერი რწმენით მიიღოს. მაგრამ თუ ამ ფანტასტიკურ თეორიებს უკუვაგდებთ და ქალს მთლიანობად განვიხილავთ, თუ დავუშვებთ, რომ იგი მამაკაცის ნაწილი კი არ უნდა იყოს, არამედ ის, რაც არის, კითხვას ასე დავსვამთ: აქვს თუ არა მას გონება? თუ აქვს, რასაც მე აქ უპირობოდ ვიღებ, მაშინ ის მხოლოდ მამაკაცის საამებლად არ შექმნილა და სქესმა არ უნდა გაანადგუროს ადამიანის ბუნება....

ქალებს არათუ უარს ეუბნებიან ძალაუფლებაზე, მწერლები იმასაც ამტკიცებენ, რომ, მცირეოდენი გამონაკლისების გარდა, ის შეუთავსებელია მათი სქესის ბუნებასთან. დაე მამაკაცებმა ეს დაასაბუთონ და ვაღიარებ, რომ ქალი მხოლოდ მამაკაცისთვის არსებობს. მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ იდეების რამდენადმე ფართოდ განზოგადების უნარი ძალიან გავრცელებული არც კაცებშია და არც ქალებში. მხოლოდ გონების ასეთ ვარჯიშს მოაქვს აზროვნების ნამდვილი განვითარება. და ყველაფერი იმას უწყობს ხელს, რომ აზროვნების ამ ფორმით განვითარება ქალთათვის უფრო გაძნელდეს, ვიდრე მამაკაცებისათვის.

ამ მტკიცებას ბუნებრივად მივყავარ ამ თავის მთავარ თემასთან და ახლა ვეცდები, გამოვკვეთო ზოგიერთი მიზეზი, რომელიც ქალთა სქესის დაკნინებას იწვევს და ხელს უშლის ქალებს თავიანთი დაკვირვებების განზოგადებაში.

ანტიკურობის შორეულ ხელნაწერებს არ დავუბრუნდები და ქალის ისტორიის აღდგენას არ ვეცდები; საკმარისია დავუშვათ, რომ ის ყოველთვის ან მონა იყო, ან დესპოტი; და აღვნიშნოთ, რომ ეს ორივე მდგომარეობა ერთნაირად აბრკოლებს გონების წინსვლას. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ქალის გულუბრყვილობის და მანკიერების უდიდესი მიზეზი გონების სივიწროვეში მდგომარეობს. და თვითონ სამოქალაქო მმართველობები ისეა მოწყობილი, რომ თითქმის გადაულახავი დაბრკოლებები შეუქმნას და ხელი შეუშალოს ქალის აზროვნების განვითარებას. სათნოება კი ვერავითარ სხვა საფუძველზე ვერ აშენდება. იგივე დაბრკოლებები დგას მდიდრების წინაშეც და მათშიც იმავე შედეგებს იწვევს.

ანდაზა ამბობს, რომ აუცილებლობა გამოგონების დედაა; იგივე შეიძლება ითქვას სათნოებაზე. სათნოება მონაპოვარია, რომელიც სიამოვნების მსხვერპლად გაღებას მოითხოვს. და განა ხელმისაწვდომ სიამოვნებას მსხვერპლად გაიღებს ადამიანი, რომლის გონებაც არ გაუხსნია და გამოუწვრთია ბედუკუღმართობებს, ან რომლის ცოდნისკენ მისწრაფებაც არ გამოუბრძმედია აუცილებლობას? ბედნიერებაა, როცა ადამიანებს უწევთ ცხოვრებისეულ საზრუნავებთან ჭიდილი, რადგან ეს ჭიდილი ხელს უშლის იმას, რომ უსაქმურობამ ისინი დამა-

სუსტებელ მანკიერებათა მსხვერპლად აქციოს. მაგრამ თუ კაცი ან ქალი დაბადებიდან სათბურში იქნება მოთავსებული, სიამოვნების მცხუნვარე მზის სხივებს პირდაპირ მიფიცხებული, როგორ შეძლებს ის ცხოვრებისეული მოვალეობების აღსასრულებლად თავისი გონება საკმარისად გააძლიეროს, ან, თუნდაც, დააფასოს ის გრძნობები, რომლებიც სხვების მიმართ აქვს?

საზოგადოების ამჟამინდელი მოწყობის მიხედვით, ქალების ცხოვრებაში ერთადერთი საქმიანობაა სიამოვნება. და სანამ ასე იქნება, არაფერს უნდა ველოდეთ ასეთი სუსტი არსებებისგან. მათ პირდაპირი მემკვიდრეობით მიიღეს ბუნების უპირველესი ნამდვილი ნაკლი, სილამაზის უზენაესობა, და საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად უარი თქვეს იმ ბუნებრივ უფლებებზე, რომელთა მოპოვებაც გონების გამოყენებით შეეძლოთ; წუთიერი დედოფლობა არჩიეს შრომას, რომელიც თანასწორობიდან მომდინარე ჯანსაღ სიამოვნებათა მიღების შესაძლებლობას ქმნის. საკუთარი არასრულფასოვნებით ამაღლებულები (ეს წინააღმდეგობასავით ჟღერს), ისინი გამუდმებით მოითხოვენ, რომ პატივი სცენ, როგორც ქალებს. თუმცა გამოცდილებას მათთვის უნდა ესწავლებინა, რომ მამაკაცებს, რომლებიც თავს იწონებენ ქალებისათვის ამ თვითნებური და შეურაცხმყოფელი პატივის გამორჩეულად ზედმიწევნით და ზუსტად მიგებით, ყველაზე მეტად ახასიათებთ ტირანობისაკენ მიდრეკილება და ეზიზღებათ სწორედ ის სისუსტე, რომელსაც ელოლიავებიან. ისინი ხშირად იმეორებენ ბატონი ჰიუმის[iii] მოსაზრებებს, რომელთაც ის ფრანგული და ბერძნული ხასიათების შედარებისას ქალებთან დაკავშირებით გამოთქვამს: „ათენელებს ვეუბნები, რომ ამ უცნაურ ერში [გულისხმობს ფრანგებს] ისაა განსაკუთრებული, რომ ისინი მთელი წლის, მეტიც, მთელი ცხოვრების განმავლობაში სერიოზულად აკეთებენ იმას, რითაც თქვენ სატურნალიების[iv] დროს ერთობით – ბატონები მონებს რომ ემსახურებიან. მათთან ამას თან ახლავს გარკვეული გარემოებები, სიტუაციას კიდევ უფრო აბსურდულს და სასაცილოს რომ ხდის. თქვენი თამაში მხოლოდ რამდენიმე დღით აღაზევებს მათ, ვინც ბედისწერამ ძირს დაანარცხა და ვინც იმავე ბედისწერამ შეიძლება თამაშ-თამაშ მართლა სამუდამოდ თქვენზე მაღლა აღაზევოს. ეს ერი კი სერიოზულად განადიდებს მათ, ვინც ბუნებამ მათ დაუქვემდებარა და ვისი არასრულფასოვნება და სისუსტე აბსოლუტურად განუკურნავია. მათი ბატონები და მბრძანებლები ქალები არიან, რომელთაც არავითარი ღირსება არ გააჩნიათ.“

ეჰ! რატომ ელიან ქალები – ამას მოსიყვარულე გულისტკივილით ვამბობ – უცხო ადამიანებისაგან ყურადღებისა და პატივისცემის მიღებას? ეს ხომ ძლიერ განსხვავდება იმ თავაზიანი ორმხრივობისგან, რომელსაც მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობისთვის აწესებს ადამიანობისა და ცივილიზაციის მოთხოვნები? და რატომ ვერ ხვდებიან ისინი „სილამაზის ძალაუფლების ზენიტში“ ყოფნისას, რომ მათ დედოფლებსავით მხოლოდ იმისთვის ეპყრობიან, რომ ყალბი პატივისცემით მოატყუონ და უარი ათქმევინონ თავიანთ ბუნებრივ უპირატესობებზე? შემდეგ, გალიებში ჩიტებსავით გამომწყვდეულებს, მათ აღარაფერი დარჩენიათ იმის გარდა, რომ თავი გაიკოხტაონ და მოჩვენებითი დიდებულებით იგოგმანონ

გალიაში. მართალია, მათ უზრუნველყოფენ საკვებით და სამოსით, რომლისთვისაც თვითონ ხელსაც არ ანძრევენ, მაგრამ ამის საფასურად ისინი გასცემენ თავიანთ ჯანმრთელობას, თავისუფლებასა და სათნოებას. მაგრამ მთელ კაცობრიობაში სად მოიძებნება გონების ისეთი ძალა, რომ ადამიანს ამ დამატებით პრეროგატივებზე უარის თქმა შეაძლებინოს, ძალა, რომელიც გონების მშვიდი ღირსებით დადგება შეხედულებაზე მაღლა და გაბედავს, შინაგანი ადამიანური პრივილეგიებით იამაყოს? ამაო იქნება ამის მოლოდინი, ვიდრე მემკვიდრეობით მიღებული ძალაუფლება გრძნობებს ახრჩობს და გონებას ჩანასახშივე თრგუნავს...

ვწუხვარ, რომ ქალების სისტემურ დაკნინებას იწვევს ის ტრივიალური ყურადღება, რომლის გამოაშკარავება მამაკაცებს მამაკაცურ საქციელად მიაჩნიათ: სინამდვილეში ამით მამაკაცები ვერაგულად აძლიერებენ საკუთარ უპირატესობას. მზრუნველობის გამოჩენა არ ნიშნავს არასრულფასოვანის წინაშე თავის მოხრას. მე ეს ცერემონიები მართლა ისე სულელურად მეჩვენება, რომ ძალიან მიჭირს სიცილისგან თავის შეკავება, როცა ვხედავ, როგორ იწყებს მამაკაცი მოწადინებული და სერიოზული მზრუნველობით ქალისათვის ცხვირსახოცის მიწოდებას ან კარის დახურვას, როცა ქალბატონს შეუძლია ეს თვითონ გაეკეთოს, თუ ხელს ოდნავ გაანძრევს.

ამ წუთას ამეკვიატა გულიდან წამოსული უცნაური სურვილი და მას არ ჩავახშობ, თუმცა შეიძლება მან ხარხარი გამოიწვიოს. მე გულწრფელად ვისურვებდი საზოგადოებამ სქესთა შორის განსხვავებაზე უარი თქვას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქცევა სიყვარულითაა განპირობებული. რადგან მე მტკიცედ მჯერა, რომ ეს განსხვავებაა ხასიათის იმ სისუსტის საფუძველი, ქალებს რომ მიაწერენ. ის არის იმის მიზეზი, რომ ქალები აზროვნებას უგულებელყოფენ, მაშინ, როცა ცოდნა მხოლოდ გულმოდგინე გარჯით მოიპოვება; იმავე მიზეზით აიხსნება ის, რომ ისინი ჰეროიკულ სათნოებებთან შედარებით ელეგანტურ სათნოებებს ანიჭებენ უპირატესობას.

ყველა ადამიანს უნდა, ვინმეს უყვარდეს და ვინმე პატივს სცემდეს, და უმრავლესობა ყოველთვის აირჩევს თავისი სურვილების შესრულების უმოკლეს გზას. პატივისცემა, რომლითაც სიმდიდრესა და სილამაზეს ეპყრობიან, ყველაზე აშკარა და არაორაზროვანია და ის, რა თქმა უნდა, ყოველთვის მიიპყრობს რიგითი ადამიანის უმეცარ თვალს.

უნარები და სათნოებები აბსოლუტურად აუცილებელია, რათა საშუალო ფენიდან გამოსულმა ადამიანმა თავი გამოიჩინოს. და ამის ბუნებრივი შედეგი კარგად არის ცნობილი – სათნოებების და უნარების უდიდესი წილი საშუალო ფენაზე მოდის. ამრიგად, საშუალო ფენის მამაკაცებს მაინც ეძლევათ შესაძლებლობა, რომ ღირსეულად წარმოაჩინონ საკუთარი თავი და დაწინაურდნენ კიდეც, რაც გაცილებით უკეთესს ხდის გონიერ არსებას. ხოლო ქალები, მდიდრების მსგავსად, ხასიათის ჩამოყალიბებამდე უკვე გარკვეული სქესობრივი პრივილეგიებით იბადებიან – მხედველობაში მაქვს ცივილიზაციის კონკრეტული მდგომარეობა.

და სანამ მათ უსასყიდლოდ ეძლევათ ეს პრივილეგიები, ცოტას თუ მოუვა ოდესმე აზრად, აუცილებელზე მეტი იშრომოს იმისთვის, რომ რამდენიმე გამორჩეული ადამიანისგან მაღალი შეფასება მიიღოს.

ოდესმე თუ გვსმენია ისეთი ქალების შესახებ, რომლებიც, სიბნელიდან გამოსულები, თამამად ითხოვენ პატივისცემას თავიანთი დიდი ნიჭის ან სიმამაცის ღირსებებისათვის? სად უნდა ვიპოვოთ ისინი? „შეგამჩნიონ, ყურადღება მოგაქციონ და თანაგრძნობით, გულთბილად და მოწონებით გამოგარჩიონ – აი ყველა ის უპირატესობა, რომელსაც ისინი ესწრაფვიან“. „ჭეშმარიტად!“ – ალბათ წამოიძახებენ ჩემი მამაკაცი მკითხველები; მაგრამ დასკვნის გამოტანამდე, დაე მათ გაიხსენონ, რომ თავიდან ეს არა ქალების, არამედ მდიდრების დასახასიათებლად დაიწერა. დოქტორი სმითის[v] „ზნეობრივი გრძნობების თეორიაში“ ვხვდებით წარჩინებული და მდიდარი ადამიანების ზოგად დახასიათებას, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან შეეფერება ქალთა სქესს. გამჭრიახი მკითხველი თავად დაასრულებს შედარებას. მაგრამ მე მაინც მინდა, ციტატად ერთი ნაწყვეტი მოვიყვანო, რათა გავაძლიერო არგუმენტი, რომელსაც მოვიხმობ, როგორც ყველაზე გადამწყვეტ არგუმენტს სქესთა ბუნების უარსაყოფად. იქიდან გამომდინარე, რომ მეომრების გარდა მაღალი არისტოკრატიის რიგებში არც ერთი დიდი ადამიანი არ გამოჩენილა, მართებული ხომ არ იქნება დავასკვნათ, რომ მამაკაცებს შთანთქავდა და ქალების მსგავს ხასიათს უყალიბებდა მათი სპეციფიკური მდგომარეობა; ქალებისა, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლოკალიზებულნი არიან იმ სტატუსის ფარგლებში, რომელშიც მათ ეტიკეტი აქცევს? ქალებს, რომელთაც ჩვეულებრივ ქალბატონებს უწოდებენ, არასდროს არ უნდა შევეკამათოთ საზოგადოებაში, არ უნდა მივცეთ საშუალება, გამოიყენონ ფიზიკური ძალა; მათგან მხოლოდ ნეგატიურ ღირსებებს მოელიან – მოთმინებას, მორჩილებას, კარგ გუნებას და დამყოლ ხასიათს. ეს ის ღირსებებია, რომლებიც შეუთავსებელია ინტელექტის სერიოზულ ძალისხმევასთან. ამის გარდა, რადგან ისინი ძირითადად ერთად ცხოვრობენ და იშვიათად რჩებიან აბსოლუტურად მარტო, ვნებებზე უფრო მეტად მათზე გრძნობები ახდენს ზეგავლენას. მარტოობა და აზროვნება აუცილებელია იმისთვის, რომ სურვილებმა ვნების სიცხოველე შეიძინონ, რომ წარმოსახვამ შეძლოს სურვილის ობიექტის განდიდება და ისიც, რომ იგი მაქსიმალურად სასურველი გახადოს. იგივე შეიძლება ითქვას მდიდრებზე. მათ არასაკმარისი შეხება აქვთ ზოგად იდეებთან, რომლებიც ინტენსიური აზროვნებით ან სიღმისეული გამოკვლევით მოიპოვება. ეს კი აუცილებელია ხასიათის იმ სიმტკიცის შესაძენად, რომელსაც დიადი გადაწყვეტილებები ემყარება...

შედარება რომ გავაგრძელო, საშუალო ფენის მამაკაცები ახალგაზრდობაში პროფესიისთვის ემზადებიან და ქორწინება მათ ცხოვრებაში დიდ მოვლენად არ ითვლება; ხოლო ქალებს, ამის საპირისპიროდ, სხვა არავითარი გეგმა არ გააჩნიათ, რომლითაც გაავარჯიშებდნენ საკუთარ უნარებს. მათ ყურადღებას არ იპყრობს საქმოსნობა, შორსმიმავალი გეგმები ან ამბიციური მისწრაფებები. არა, მათი აზრები თავს არ დასტრიალებს ასეთ დიდებულ აზრებს. იმისთვის, რომ და-

წინაურდნენ და თავისუფლად შეძლონ ცხოვრების გატარება ერთი სიამოვნების შემდეგ მეორე სიამოვნების მიღებაში, ისინი სარფიანად უნდა გათხოვდნენ. ამ მიზანს ეწირება მათი დრო და ხშირად მათი სხეულით პროსტიტუცია ოფიციალურ სახეს იღებს. როცა კაცი რომელიმე პროფესიას ეუფლება, იგი კონცენტრირებულია იმ სარგებელზე, რომელსაც ეს პროფესია მოუტანს (და გონება დიდ ძალას იძენს იმით, რომ მისი მთელი ძალისხმევა ერთი წერტილისკენ არის მიმართული). საქმეებით დაკავებული კაცისთვის სიამოვნება უბრალოდ დასვენების საშუალებაა; ხოლო ქალები სიამოვნებას ესწრაფვიან, როგორც არსებობის მთავარ მიზანს. შეიძლება ითქვას, რომ იმ განათლების შედეგად, რომელსაც საზოგადოება ქალებს აძლევს, ყველა ქალს სიამოვნების სიყვარული მართავს; მაგრამ განა ეს იმის მაჩვენებელია, რომ სქესი სულშია? ზუსტად იმდენადვე რაციონალური იქნება მტკიცება, რომ ფრანგი კარისკაცები, რომელთა ხასიათიც დესპოტიზმის გამანადგურებელმა სისტემამ ჩამოაყალიბა, არ იყვნენ მამაკაცები, რადგან ისინი თავისუფლებას, სათნოებასა და ადამიანობას მსხვერპლად სწირავდნენ სიამოვნებასა და ამაოებას – მომაკვდინებელ ვნებებს, რომლებიც ყოველთვის მთელ რასაზე ბატონობდა!...

მოკლედ, საზოგადოდ ქალებმა, ისევე, როგორც ორივე სქესის მდიდრებმა, ყველა მათი სისულელე და მანკიერება ცივილიზაციისგან შეიძინეს, ხოლო მისი სასარგებლო ნაყოფი გამოეპარათ. აუცილებელი არ არის, ყოველ წუთს აღვნიშნო, რომ მე მთელი სქესის მდგომარეობაზე ვლაპარაკობ, ხოლო გამონაკლისებს არ ვეხები...

და განა მორალისტები გაბედავენ იმის მტკიცებას, რომ კარგია კაცობრიობის ნახევარი წავახალისოთ, გულგრილი უმოქმედობით და სულელური მორჩილებით ამ მდგომარეობაში დარჩეს? კეთილი მრჩევლები! რისთვის ვართ ჩვენ შექმნილები? იმისთვის, რომ უმანკოები დარჩეთო, შეიძლება გვითხრან; ანუ, იგულისხმება ბავშვურ მდგომარეობაში დარჩენა. შეიძლება სულაც არასოდეს გავჩენილიყავით, ჩვენი შექმნა იმისთვის რომ არ ყოფილიყო აუცილებელი, რათა მამაკაცისთვის გონების წარჩინებული პრივილეგიის, კეთილის ბოროტისგან გარჩევის უნარის მოპოვების საშუალება მიგვეცა იმ დროს, როცა ჩვენ, დანარცხებულებს მიწაზე, რომლისგანაც ვიშვით, აღარასოდეს გვიწერია წამოდგომა.

ამოუხსნელი ამოცანა იქნებოდა სიმდაბლის, დარდისა და მწუხარების იმ მრავალფეროვნების აღწერა, რომელთა მორევშიც ქალებს გაბატონებული მოსაზრებები ძირავს: რომ ისინი შექმნილნი არიან გრძნობისა და არა აზროვნებისთვის; და რომ მთელი თავიანთი ძალა მათ თავიანთი მომხიბვლელობით და სისუსტით უნდა მოიპოვონ: ნაკლით მშვენიერი და მომხიბვლელად სუსტი!

და ამ მომხიბვლელი სისუსტის გამო ისინი არა მხოლოდ მფარველობის, არამედ რჩევის თვალსაზრისითაც თითქმის მთლიანად მამაკაცებზე არიან დამოკიდებულნი – გამონაკლისია მხოლოდ ის, რასაც ისინი აკრძალული ხერხებით მოიპოვებენ. განა გასაკვირია, რომ ისინი უგულებელყოფენ მოვალეობებს, რომელთა მითითებაც მხოლოდ გონებას შეუძლია? რომ გაურბიან განსაცდელს,

რომელიც მათი გონების გაძლიერებას უნდა ემსახურებოდეს? და მხოლოდ იმაზე ხარჯავენ ძალისხმევას, რომ თავიანთი ნაკლოვანებები სინატიფით დაფარონ, რამაც შეიძლება მათ მომხიბლავობა შემატოს ავხორცთა თვალში, თუმცა ამავე დროს მორალური სრულყოფის კიბიდან ძირს დაანარცხებს?

სუსტები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იძულებულნი არიან ყველა საჭიროებისთვის მამაკაცს შეყურებდნენ ხელებში. ყველაზე უმნიშვნელო ხიფათის წინაშეც ისინი პარაზიტის სიჯიუტით ებღაუჭებიან მამაკაცის მხარდაჭერას, საცოდავად ითხოვენ შველას; და ბუნებრივი მფარველიც მათ ხელს უწვდის, ან ხმას აუწევს, რათა საყვარელი მოცახცახე დაიცვას. რისგან? ალბათ ბებერი ძროხის დაბღვერისგან ან თაგვის ნახტომისგან; ვირთხა მართლა სერიოზული საფრთხე იქნებოდა. გონებისა და თვით საღი აზრის სახელით, რამ შეიძლება დაიცვას ასეთი არსება ზიზღისგან, თუნდაც ის დამთმობი და მშვენიერი იყოს?!

ამ შიშებმა, თუ ისინი მოჩვენებითი არ არის, შეიძლება მშვენიერი გრძნობებიც კი აღძრას, მაგრამ ისინი გონებასუსტობაზე მეტყველებს, რაც გონიერ არსებას ისე აკნინებს, რომ ქალებმა არც კი იციან. სიყვარული და დაფასება ხომ ორი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული რამაა.

მე სრულებით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ ამგვარ ინფანტილურ განწყობასთან აღარ გვექნებოდა საქმე გოგონებს რომ საკმარისი ვარჯიშის საშუალებას აძლევდნენ და ოთახებში არ ჰყავდეთ გამოკეტილი იქამდე, სანამ კუნთები არ მოუდუნდებათ და საჭმლის მონელების ორგანოები არ გაუნადგურდებათ. ეს შენიშვნა მეტად რომ განვავრცო, გოგონებში შიშის ხელოვნურად შექმნის ნაცვლად, მას ისევე რომ ეპყრობოდნენ, როგორც სიმხდალეს ბიჭებში, ქალები მალე წარმოგვიდგებოდნენ უფრო ღირსეული სახით. თუმცა ამ შემთხვევაში, მათ ველარ ვუწოდებდით ტკბილ ყვავილებს, მამაკაცებს გზაზე რომ უღიმიან. სამაგიეროდ, ისინი საზოგადოების უფრო პატივსაცემი წევრები იქნებოდნენ და მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვალეობებს საკუთარი გონების სინათლით აღასრულებდნენ. „აღზარდეთ ქალები მამაკაცების მსგავსად, – ამბობს რუსო, – და რაც უფრო მეტად დაემსგავსებიან ისინი ჩვენს სქესს, მით უფრო ნაკლები ძალაუფლება ექნებათ მათ ჩვენზე.“ სწორედ ამ აზრზე ვარ მეც. მე მათ არა მამაკაცებზე, არამედ საკუთარ თავზე ძალაუფლების ქონას ვუსურვებდი.

ანალოგიურად მსჯელობენ მამაკაცები ღარიბთათვის განათლების მიღების თაობაზე, რადგან ბევრისთვის განათლება მხოლოდ არისტოკრატიას უკავშირდება. „ასწავლეთ მათ წერა-კითხვა და დააშორებთ ადგილს, რომელიც ბუნებამ მიუჩინა მათ;“ – იტყვიან ისინი... მაგრამ მათ არ უწყიან, რომ, როცა კაცს პირუტყვად აქცევენ, ყოველ წუთს უნდა მოელოდნენ მის მძვინვარე მხეცად გარდასახვას. ცოდნის გარეშე შეუძლებელია ზნეობის არსებობა.

უმეცრება უხეირო საფუძველია სათნოებისთვის! მაგრამ ის ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქალი სწორედ ამ მდგომარეობისთვის არის შექმნილი, ყველაზე გააფთრებით იცავენ მამაკაცის უპირატესობას – არა ხარისხობრივს, არამედ არსობრივს. თუმცა ამ არგუმენტის შესარბილებლად ისინი რაინდული

გულუხვობით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ორი სქესი ერთმანეთს არ უნდა შევადაროთ; რომ კაცი შეიქმნა აზროვნებისთვის, ქალი – გრძნობისთვის; და რომ მათი – ხორცის და სულის – ერთობლიობა, გონიერებისა და მგრძნობიარობის ერთმანეთთან საბედნიერო შერწყმა ყველაზე სრულყოფილ მთელს ქმნის.

მაგრამ რა არის მგრძნობიარობა? „შეგრძნებისა და აღქმის სიმახვილე, სიფაქიზე“ – ასე განსაზღვრავს მას დოქტორი ჯონსონი[vi]. ეს განსაზღვრება მე ერთადერთ წარმოდგენას აღმიძრავს – უაღრესად დახვეწილი და განვითარებული ინსტინქტი. შეგრძნებაში ან მატერიაში მე ღვთის ხატის კვალსაც კი ვერ ვხედავ. სამოცდაათჯერ უფრო მეტადაც რომც დაიხვეწონ, მათი ბუნება მაინც მატერიალურია, ინტელექტი მათში არ სახლობს. ვერც ცეცხლი აქცევს ტყვიას ოდესმე ოქროდ!

მე ჩემს ძველ არგუმენტს ვუბრუნდები: თუ აღიარებულია, რომ ქალს უკვდავი სული აქვს, მისი ცხოვრების მთავარი საქმე აზროვნების განვითარება უნდა იყოს. არსებული მდგომარეობის უფრო სრული სურათის წარმოსაჩენად შეგვიძლია შემდეგი რამ ვთქვათ: თუ ქალი ყოვლისშემძლე ერთიანობის ნაწილია, რაზეც ყველაფერი მეტყველებს, მაშინ ბუნებას ეწინააღმდეგება ის, რომ მისი ამჟამინდელი მდგომარეობა მას საკუთარი დიადი დანიშნულების დავიწყებისკენ უბიძგებს. თუ არა და, იგი მხოლოდ იმისთვის დაიბადა, რომ გვარი გაამრავლოს და შემდეგ გაიხრწნას. ან კიდევ, თუ დავუშვებთ, რომ ყველა სახის მხეცს აქვს სული, თუმცა არა გონიერი სული, მაშინ შეიძლება ინსტინქტის და მგრძნობიარობის განვითარება იმ ნაბიჯად ჩაითვალოს, რომელიც მათ ამ ცხოვრებაში უნდა გადადგან იმისთვის, რომ შემდეგ ცხოვრებაში გონება მოიპოვონ. ამრიგად, ისინი სამარადისოდ მამაკაცის უკან იჩანჩალებენ, რომელსაც, არ ვიცით, რატომ, არსებობის პირველსავე მოდუსში მიენიჭა გონების მოპოვების უნარი.

როცა მე ქალების განსაკუთრებულ მოვალეობებს ისევე განვიხილავ, როგორც მოქალაქის ან მამის განსაკუთრებულ მოვალეობებს უნდა განვიხილავდე, გასაგებია, არ ვგულისხმობ, რომ ისინი, მათი უმრავლესობა მაინც, საკუთარ ოჯახებს უნდა დააშორონ. ლორდი ბეკონი[vii] ამბობს: „ცოლშვილიან კაცს ბედისწერისთვის მძევლები ჰყავს დატოვებული, რადგან ისინი დაბრკოლებად ეღობებიან დიად წამოწყებებს – სათნოს თუ ბოროტს. უეჭველია, რომ საუკეთესო და საზოგადოებისთვის ყველაზე ღირებული შრომები უცოლო ან უშვილო კაცებს ეკუთვნის.“ მე იმავეს ვამბობ ქალებზე. მაგრამ საზოგადოების კეთილდღეობა არ ემყარება უჩვეულო საქმეებს და ის უფრო გონივრულად რომ ყოფილიყო მოწყობილი, განსაკუთრებული გენია ან ჰეროიკული სათნოება კიდევ უფრო ნაკლებად იქნებოდა აუცილებელი.

ოჯახის გაძღოლაში და ბავშვების აღზრდაში განსაკუთრებით საჭიროა აზროვნება უბრალო მნიშვნელობით – სხეულის და სულის ძლიერება; მაგრამ ის მამაკაცები, რომლებიც თავიანთი თხზულებების საშუალებით გამორჩეული მოწადინებით იღწვოდნენ ქალების მოსათვინიერებლად, ცდილობდნენ გაძლიერებული მადით ნაკარნახევი არგუმენტებით მათ სხეულთა დასუსტებას და

მათი გონების დაბორკვას. მაგრამ ამ ვერაგი მეთოდებით – გრძნობებზე ზემოქმედებით – მათ მართლაც დაარწმუნეს ქალები იმაში, რომ ისინი შინ უნდა დარჩნენ და დედისა და ოჯახის დიასახლისის მოვალეობები შეასრულონ. ამიტომ მე ფრთხილად უნდა დავუპირისპირდე მოსაზრებებს, რომლებიც ქალებს შთააგონებს, ამ მნიშვნელოვანი მოვალეობების აღსრულება იქციონ ცხოვრების მთავარ საქმედ და, ამდენად, სწორი ქცევისკენ უბიძგებს მათ, მაგრამ შეურაცხყოფს გონებას. ხომ არ აჩვენებს გამოცდილება, რომ აზროვნების უგულებელყოფა არანაკლებ, თუ უფრო მეტად არა, მოწყვეტს მათ საოჯახო საქმეებს, ვიდრე ყველაზე სერიოზულ ინტელექტუალურ მისწრაფებას შეიძლება მოეწყვიტა (თუმცა შეიძლება შევნიშნოთ, რომ კაცობრიობის უდიდესი ნაწილი ღრმად არასოდეს მისდევს ინტელექტუალურ მიზნებს)? თუ ასეა, უფლება მაქვს დავასკვნა, რომ გონება აბსოლუტურად აუცილებელია, რათა ქალს რომელიმე მოვალეობის ჯეროვნად შესრულება შეეძლოს. და ისევ უნდა გავიმეორო, რომ მგრძნობელობა არ არის გონება.

ისევ მდიდრებთან შედარება მომდის აზრად: როცა მამაკაცი ადამიანურ მოვალეობებს უგულებელყოფს, ქალი მის მაგალითს მისდევს; ორივე დაუფიქრებელი სისწრაფით მიექანება ერთსა და იმავე მორევში. სიმდიდრე და პატივი მამაკაცს ხელს უშლის, გაიფართოოს აზროვნება და ასუსტებს მის ყველა უნარს, რადგან ისინი ბუნების წესრიგის საწინააღმდეგოდ მიდიან, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტი სიამოვნება ყოველთვის შრომის საზღაურია. სიამოვნება – დამასუსტებელი სიამოვნება – ქალებისთვისაც დამსახურების გარეშეა ხელმისაწვდომი. მაგრამ ვიდრე მთელს მსოფლიოში ქონება მემკვიდრეობით გადადის, როგორ შეიძლება ველოდეთ იმას, რომ მამაკაცები სათნოებას დააფასებენ? და სანამ ასეა, ქალები მათ ყველაზე პირდაპირი საშუალებებით მართავენ და თავიანთ მოსაწყენ საოჯახო მოვალეობებს უგულებელყოფენ იმისთვის, რომ წამიერ სიამოვნებას გამოეკიდონ...

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც ჩემთვის დიდი წონა აქვს, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი უნდა იყოს ყველა დაფიქრებული და კეთილმოსურნე გულისთვის. ხშირად ხდება, რომ ასე ცუდად განათლებულ გოგონებს უმოწყალოდ მიატოვებენ მშობლები ყოველგვარი სარჩო-საბადებლის გარეშე. ისინი, რა თქმა უნდა, დამოკიდებული აღმოჩნდებიან თავიანთი ძმების არა მხოლოდ გონებაზე, არამედ მათ გულუხვობაზეც. საუკეთესო შემთხვევაში, ეს ძმები შეიძლება კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ და დას დიდსულოვნად აძლევდნენ იმას, რაზეც თანაბარი უფლება აქვთ ერთი დედ-მამის შვილებს. ამ გაურკვეველ და დამამცირებელ სიტუაციაში შეიძლება გარკვეული დრო საკმაოდ კომფორტულად გაატაროს თვინიერმა ქალმა. მაგრამ როცა ძმა ქორწინდება – ეს მოსალოდნელი შემთხვევაა – ის აღარ მიიჩნევა ოჯახის დიასახლისად და მას ზიზღნარევი მზერით უყურებენ, როგორც გარეშეს, რომელიც ზედმეტ ტვირთად აწევს სახლის პატრონისა და მისი ახალი პარტნიორის გულმოწყალებას.

ვინ შეძლებს იმ საცოდაობის აღწერას, რომელსაც ასეთ სიტუაციებში განიცდის უბედური არსება, რომლის გონება და სხეული ერთნაირად სუსტია, რომელსაც არ შეუძლია მუშაობა და ეთაკილება მათხოვრობა? ცოლი, გულქვა და გონებაშეზღუდული ქალი – და ეს არ არის უსაფუძვლო დაშვება, რადგან ამჟამად დამკვიდრებული აღზრდის ფორმა არც გულს აფართოებს აზროვნებაზე მეტად – ეჭვიანობს იმ მცირე სიკეთის მიმართ, რომელსაც მისი ქმარი თავისი ოჯახური კავშირების მიმართ იჩენს; და რამდენადაც მისი მგრძნობიარობა ადამიანურობამდე არ ამაღლებულა, ის უკმაყოფილებით უყურებს, როგორ იფლანგება მისი ბავშვების ქონება უსარგებლო დაზე.

ეს ისეთი ფაქტებია, რომელთა მომსწრეც არაერთხელ ვყოფილვარ. შედეგი აშკარაა: ცოლს შეუძლია ცბიერებას მიმართოს, რათა ძირი გამოუთხაროს ჩვევაში გამჯდარ სიყვარულს, რომელთან აშკარად დაპირისპირებასაც ვერ ბედავს; და ის არც ცრემლებს და არც ალერსს არ დაზოგავს, სანამ სახლიდან არ მიაბრძანებს „ჯაშუშს“. ქალი სამყაროს პირისპირ აღმოჩნდება, მისი სიძნელეებისთვის მოუმზადებელი; ან კიდევ, გულუხვობის დიდი დაძაბვით ან რაღაც პრაქტიკული მოსაზრებებით მას მცირე ფულადი დახმარებითა და განუვითარებელი გონებით მოსაწყენ მარტოობაში გააგზავნიან...

მაგრამ ქალები, თუ მათ აღზრდას ყურადღებით ეკიდებიან, ან მგრძნობიარობით აღსავსე და ახირებული სურვილებით დახუნძლული მშვენიერი ქალბატონები გამოდიან, ან უბრალოდ კარგი დიასახლისები. ეს უკანასკნელნი ხშირად კეთილგანწყობილი, პატიოსანი, საღი აზრისა და ამქვეყნიური კეთილგონიერების მქონე არსებები არიან, რის გამოც ხშირად საზოგადოების უფრო სასარგებლო წევრებად გვევლინებიან, ვიდრე მშვენიერი სენტიმენტალური ქალბატონები. თუმცა, ისინი არ გამოირჩევიან არც განვიათარებული გონებით და არც გემოვნებით. ინტელექტუალური სამყარო მათთვის ჩაკეტილია. ოჯახის ან სამეზობლოს საქმეების მიღმა მათ არაფერი შეუძლიათ – მათი გონება ვერავითარ გამოყენებას ვერ პოულობს, რადგან მათ არასოდეს უცდიათ სიამოვნება მიეღოთ ლიტერატურით, პირიქით, ხშირად ათვალწუნებით უყურებენ მას. ისინი დამცინავად უყურებენ უფრო განვითარებული გონების მქონე ადამიანის მოსაზრებებს და გემოვნებას – თუნდაც ეს ადამიანი შემთხვევითობისა თუ ოჯახური კავშირების გამო მათთვის ძვირფასი იყოს; ხოლო თუ ასეთი ადამიანი უბრალო ნაცნობია, ისინი მის აზრებსა და გემოვნებას მხოლოდ და მხოლოდ მეტიჩრობად თუ მონათლავენ.

გონიერ მამაკაცს ასეთი ქალი მხოლოდ მისი სქესის გამო ეყვარება და პატივს მხოლოდ იმიტომ სცემს, რომ ის საიმედო მსახურია. საკუთარი სიმშვიდის შესანარჩუნებლად ის მას ნებას მისცემს, ტუქსოს მსახურები, იაროს ეკლესიაში საუკეთესო ქსოვილებით შეკერილი ტანისამოსით... მაგრამ ქალები, რომელთა გონებაც არ გაუფართოებია კულტივაციას, ხოლო მგრძნობიარობის ბუნებრივი ეგოიზმი – რეფლექსიას, ოჯახის გაძღოლისთვის ძალიან შეუფერებელნი არიან. ასეა, რადგან ისინი ყოველთვის გადაჭარბებით იყენებენ თავიანთ ძალაუფლებას და ტირანულად იქცევიან, რათა შეინარჩუნონ უპირატესობა, რომელიც

მხოლოდ ბედ-იღბლის შემთხვევითობას ემყარება. ბოროტება ზოგჯერ უფრო სერიოზულია: შინამოსამსახურეებს ოდნავაც არ ინდობენ და მათ შესაძლებლობებზე მეტად მუშაობას აიძულებენ, რათა ოჯახის დიასახლისმა შეძლოს თავის მოწონება უკეთესი სუფრით, მეზობლების თვალის დაბრმავება ბრწყინვალე ჩაცმულობითა და მოსართავებით. ასეთი ქალი შვილების მიმართ ყურადღებას, როგორც წესი, მხოლოდ მათი ძვირფასად გამოწყობის მიზნით იჩენს; ასეთი ყურადღება კი ერთნაირად მავნებელია იმის მიუხედავად, ამაოებისგან წარმოდგება ის თუ სიყვარულისგან...

ამისგან განსხვავებით, მშვენიერ ქალბატონს ასწავლეს, რომ ცხოვრების მდაბიო საქმიანობებს ზევიდან, ზიზღით შეხედოს. მაგრამ მას მხოლოდ იმ სათნოებების შეძენისკენ უბიძგებდნენ, რომლებიც შეგრძნებების დონეს ოდნავ თუ აღემატება; რადგან აზროვნების გავარჯიშება-გაძლიერების გარეშე შეუძლებელია რამდენადმე სრული სხეულებრივი ღირსების მოპოვებაც კი. გემოვნება ზედაპირულია, თუ მას საფუძვლად პრინციპები არ უდევს; სინატიფის წყარო რაღაც უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე მიბაძვა. მაგრამ წარმოსახვის აღგზნება აზიზს ხდის გრძნობებს, რომლებიც ჯერ დაუხვეწავია; ხოლო გული მეტისმეტად ნაზი ხდება, როცა ის ინარჩუნებს ბუნებრივობას, მაგრამ ისე, რომ განსჯის გამაწონასწორებელი უნარი ჯერ არ არის შეძენილი.

ასეთი ქალი ხშირად სასიამოვნოა. იგი მართლა უფრო მგრძნობიარეა საყოველთაო სიკეთის მიმართ და მას მეტად შესტკივა გული ცხოვრების ცივილიზებულ მისწრაფებებზე, ვიდრე დოინჯშემორტყმულ მეოჯახეს. მაგრამ რამდენადაც ასეთ ქალებს რეფლექსიისა და საკუთარი თავის ფლობის უნარი საჭირო ზომით არ გააჩნიათ, ისინი მხოლოდ სიყვარულს აღაგზნებენ და თავიანთ ქმრებს საყვარლობას უწევენ (მანამ, სანამ შეუძლიათ მათ გრძნობებზე ზემოქმედება), ხოლო ქმრის მამაკაც ნაცნობებს – პლატონურ მეგობრობას. ეს ქალები არიან ბუნების მშვენიერი შეცდომები; ისინი თითქოს შექმნილნი არიან არა მამაკაცის თანასწორ მეგობრებად, არამედ იმისთვის, რომ მამაკაცი აბსოლუტურ სიმხეცეში ჩაძირვისგან გადაარჩინონ მისი ხასიათის უხეში წახნაგების განაზებითა და კეკლუცი ფლირტის საშუალებით მისი სქესობრივი სურვილებისათვის გარკვეული ღირსების მინიჭებით. ადამიანთა გვარის კეთილო შემოქმედო! ნუთუ შენ ისეთი არსება შექმენი, როგორიც ქალია, რომელსაც შეუძლია შენს ქმნილებებში შენი სიბრძნის კვალს ხედავდეს და გრძნობდეს, რომ შენი საქმენი და შენი ბუნება მასზე მაღლა დგას, მაგრამ ეს არავითარ მიზანს არ ემსახურებოდეს? განა შეძლებს ის დაიჯეროს, რომ მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რომ დაემორჩილოს მამაკაცს, თავის თანასწორს – არსებას, რომელიც მის მსგავსად სათნოების მოსაპოვებლად გაჩნდა ამ ქვეყნად? განა შეძლებს ის დაჰყაბულდეს იმას, რომ მისი ერთადერთი საქმიანობა მამაკაცისთვის სიამოვნების მინიჭება – უბრალოდ დედამიწის გალამაზება – უნდა იყოს მაშინ, როდესაც მის სულს შენამდე ამაღლების შესაძლებლობა აქვს? და განა შეძლებს ის მშვიდად და უმოქმედოდ იყოს მამაკაცის

გონების იმედზე მაშინ, როდესაც ის ვალდებულია მასთან ერთად ავიდეს ცოდნის ციცაბო ფერდობებზე?...

როგორც ჩანს, ერთსულოვნად არის აღიარებული, რომ ბავშვები პატარაობაში ქალების ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყვნენ. მაგრამ ყველაფერი, რასაც მე აქამდე მოვსწრებივარ, მეტყველებს იმაზე, რომ მგრძნობიარე ქალები ყველაზე შეუფერებელნი არიან ამ ამოცანის შესრულებისთვის, რადგან თავიანთი გრძნობებით გატაცებულები, ისინი აუცილებლად წაუხდენენ ბავშვს ზნეს. ხასიათის ჩამოყალიბება, რომელიც აღზრდის უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, გონების ფხიზელ და გამუდმებულ მეთვალყურეობას მოითხოვს; მოითხოვს მოქმედების წესს, რომელიც ერთნაირად არის დაშორებული როგორც ტირანიისაგან, ისე გათამამებისგან. მაგრამ მგრძნობიარე ადამიანები სწორედ ამ უკიდურესობებიდან ერთ-ერთში ვარდებიან და ყოველთვის ცდებიან მიზანს...

თუკი საკითხს სხვა თვალსაზრისით მივუდგებით, ვიტყვით, რომ არსებობს უთვალავი, ვითომდა ბუნებიდან გამოყვანილი და ამდენად გონივრულობის პრეტენზიით წამოყენებული, არგუმენტი, რომელთაც მამაკაცები იყენებდნენ ქალთა სქესის მორალურად და ფიზიკურად დასამდაბლებლად. რამდენიმე მათგანზე უნდა შევჩერდე....

ზოგი ნატურალისტი იმასაც ამტკიცებდა, რომ მამაკაცები ზრდასა და განვითარებას ოცდაათი წლის ასაკამდე არ ასრულებენ, ხოლო ქალები სიმწიფეს ოცი წლის ასაკში აღწევენ. ჩემი მიხვედრით, ისინი მცდარ საფუძველზე ამყარებენ თავიანთ არგუმენტებს. ისინი შეცდომაში შეჰყავს მამაკაცურ ცრურწმენას, რომელიც ქალის სრულყოფად მშვენიერებას მიიჩნევს, ხოლო ამ უკანასკნელში მხოლოდ ნაკვთებისა და სახის მშვენიერებას გულისხმობს, ანუ სიტყვის ვულგარულ, გავრცელებულ მნიშვნელობას მოიაზრებს და ამასთან უშვებს, რომ მამაკაცის მშვენიერება გონებას უკავშირდება. სხეულისა და გამომეტყველების სიძლიერეს, რომელსაც ფრანგები physionomie[viii] უწოდებენ, მამაკაცებზე მეტად არც ქალები იძენენ ოცდაათ წლამდე. მართალია, ბავშვების პატარ-პატარა გულუბრყვილო ცელქობები განსაკუთრებით სასიამოვნო და მიმზიდველია, მაგრამ როცა მას ახალგაზრდობის ლამაზი სინორჩე შემოეცლება, ეს მიმზიდველი გულუბრყვილობა ხელოვნურ ნიღბად გადაიქცევა და ყველა გემოვნებიან ადამიანს ზიზღს ჰგვრის. გოგონების გამომეტყველებაში ჩვენ მხოლოდ სიხალისესა და სიმორცხვით გამოწვეულ მოკრძალებას ვეძებთ. ხოლო, როცა ცხოვრების გაზაფხული ჩავლილია, სახეში უფრო ფხიზელი აზრისა და ვნების კვალის ძიებას ვიწყებთ, ნაცვლად ცხოველური მისწრაფებების ანაბეჭდებისა; ვცდილობთ ხასიათის ინდივიდუალობის დანახვას, რომელიც გრძნობების ერთადერთი მოსაჭიდია.[5] ამ დროს ჩვენ საუბარი გვინდა და არა მოფერება; გვინდა სარბიელი მივცეთ ჩვენს წარმოსახვასა და ჩვენი გულის შეგრძნებებს.

5 საზოგადოდ, გრძნობის სიძლიერე იმის პროპორციულია, თუ რამდენად არის სიყვარულის ობიექტში გადაფარული გვარეობითი ხასიათი ინდივიდუალური ხასიათით.

ოცი წლის ასაკში ორივე სქესი ერთნაირად მშვენიერია; მაგრამ მამაკაცის აღვირახსნილობა მას განსხვავების დანახვისკენ უბიძგებს; ჩვეულებრივ იმავე აზრის არიან ასაკს გადაცილებული კეკლუცებიც, რადგან მას შემდეგ, რაც მათ უკვე აღარ შეუძლიათ სიყვარულის გაღვიძება, ისინი ახალგაზრდობის ძალასა და სიხალისეს უხდიან ხარკს. ფრანგები, რომლებიც მშვენიერების თავიანთ გაგებაში შედარებით დიდ ადგილს უთმობენ გონებას, უპირატესობას ოცდაათი წლის ქალებს ანიჭებენ. მე იმის თქმა მინდა, რომ ისინი ქალს აფასებენ მის ყველაზე სრულყოფილ მდგომარეობაში, რომელშიც სიხალისე ადგილს უთმობს გონიერებას და ხასიათის იმ დიდებულ სერიოზულობას, სიმწიფეს, ანუ საბოლოო წერტილის მიღწევას რომ ახასიათებს. ყმაწვილობაში, ოც წლამდე, სხეული იფურჩქნება; ხოლო ოცდაათ წლამდე ხორცი სიმკვრივეს იძენს; მოქნილი კუნთები, რომლებიც ყოველ დღე უფრო და უფრო მყარდება, გამომეტყველებას ხასიათს სძენს; გონების მოქმედებები ბედისწერის რკინის კალმით აღიბეჭდება მათზე და ისინი გვატყობინებენ არა მხოლოდ იმას, თუ რა ძალებია მათში დაფარული, არამედ იმასაც, როგორ იყენებდნენ მათ....

რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ჩემი პატივისცემა ქორწინების, როგორც თითქმის ყველა დანარჩენი საზოგადოებრივი სათნოების საფუძვლის მიმართ, ვერ გავურბივარ უძლიერეს თანაგრძნობას იმ უბედური ქალების მიმართ, რომლებიც ერთი შეცდომის გამო საზოგადოებისგან გარიყულები აღმოჩნდნენ და მოსწყდნენ ყველა იმ გრძნობასა და ურთიერთობას, რომელიც გულის და გონების წინსვლას უწყობს ხელს. ხშირად ეს შეცდომის სახელსაც კი არ იმსახურებს, რადგან ბევრი უმანკო გოგონა თავისი გულწრფელი, მგრძნობიარე გულის მსხვერპლია; ხოლო კიდევ უფრო მეტი ნადგურდება – როგორც ამას შეიძლება ხაზგასმით ვუწოდოთ – მანამდე, ვიდრე სათნოებასა და მანკიერებას შორის განსხვავებას გაიგებს; და თავიანთი აღზრდით შერცხვენისთვის მომზადებულები მართლა შერცხვებიან. თავშესაფრები და მაგდალინელთა სახლები[ix] არ არის ამ შეურაცხყოფის შესაფერისი წამალი. სამყაროს სამართლიანობა სჭირდება და არა გულმოწყალება!

ქალს, რომელმაც ღირსება დაკარგა, წარმოუდგენია, რომ უფრო მეტად ვეღარ დაეცემა და ვერც წარსულ მდგომარეობას ვეღარ დაიბრუნებს; რომ ამ ლაქას ვერავითარი ძალისხმევა ვერ ჩამოჰბანს. ამრიგად, ყოველგვარი სტიმულისა და თავის გატანის ყველა სხვა საშუალების გარეშე დარჩენის შემდეგ მისთვის ერთადერთი თავშესაფარი აღმოჩნდება პროსტიტუცია; და მის ხასიათს მალე რყვნის გარემოებები, რომლებზე ზემოქმედების ძალასაც მოკლებულია საბრალო არსება, თუკი ის უჩვეულო გონიერებასა და სულიერ სიმტკიცეს არ ფლობს. აუცილებლობა არასდროს უბიძგებს მამაკაცებს პროსტიტუცია ცხოვრების საქმედ აქციონ; ქალებში კი უამრავია ისეთი, რომელიც ასე ირყვნება. მაგრამ ამის მიზეზი დიდ წილად არის ის უმოქმედო მდგომარეობა, რომელშიც ქალები იზრდებიან; მათ ყოველთვის ასწავლიან მამაკაცებისგან მოელოდნენ უზრუნველყოფას, ხოლო საკუთარ თავს შეხედონ, როგორც საზღაურს, რომელიც მამაკაცს მათი შენახვისთვის დახარჯული ძალისხმევისთვის ერგება. მაშასადამე, თავაშ-

ვებულ ქცევასა და გარყვნილების მთელ მეცნიერებას უფრო ძლიერი სტიმული აქვს, ვიდრე ავხორცობა ან ამაოება. ეს შენიშვნა ძალას ჰმატებს გაბატონებულ მოსაზრებას, რომ უმანკოებასთან ერთად ქალი კარგავს ყველაფერს, რაც მასში პატივსაცემია. მისი ხასიათი დამოკიდებულია ერთი სათნოების შენარჩუნებაზე, თუმცა მის გულში ნასაზრდოები ერთადერთი ვნება სიყვარულია. არა, ქალს იმასაც კი არ ანებებენ, რომ მისი ღირსება მის ნებაზე იყოს დამოკიდებული.

ღირსებისა და სათნოების უცნაური გაგება უნდა ჰქონოდა რიჩარდსონს,[x] რომელიც კლარისას ლოველასისთვის ათქმევინებს, რომ მან მას ღირსება წაართვა. მართლაც, ენა ვერ აღწერს იმ არსების მდგომარეობის საცოდაობას, რომელიც შეიძლება მისი საკუთარი თანხმობის გარეშე დამდაბლდეს! გამიგია, როგორ ამართლებენ ამ გადაჭარბებულ სიმკაცრეს, როგორც განმკურნავ შეცდომას. მე ლაიბნიცის[xi] სიტყვებით უნდა ვუპასუხო: „შეცდომები ხშირად სასარგებლოა; მაგრამ მათი სარგებლობა, ჩვეულებრივ, არის სხვა შეცდომების გამოსწორება“..

ქალების საქმიანობა იშვიათად არის საკმარისად სერიოზული იმისთვის, რომ მათი გრძნობები დააღუმოს; წვრილმანი საზრუნავები და ამაო მისწრაფებები მათი გონებისა და სხეულის მთელ ძალას აქუცმაცებს და ისინი ბუნებრივად მხოლოდ შეგრძნების ობიექტებად იქცევიან. მოკლედ, ქალების განათლების (საზოგადოების განათლების) მიმართულება იმგვარია, რომ ყველაზე უკეთესი მიდრეკილების მქონენიც რომანტიკულ და მერყევ, ხოლო დანარჩენები კი უსარგებლო და მდაბიო არსებებად აქციოს. მე ვშიშობ, რომ ახლანდელ საზოგადოებაში თითქმის შეუძლებელია ამ ბოროტების ოდნავ მაინც გამოსწორება. თუ ოდესმე უფრო კეთილთვისებიანი ტენდენცია მოიკიდებს ფეხს, შესაძლებელი იქნება ქალები უფრო დავაახლოოთ ბუნებასთან და გონებასთან და ისინი სათნო და სასარგებლო არსებებად ვაქციოთ, რითაც მეტ პატივისცემასაც დაიმსახურებენ....

ყველა ეს შენიშვნა ამოიზრდება ერთი ზოგადი შენიშვნიდან, რომელიც ადრეც გამოვთქვი და რომლის დაჟინებით გამეორება ზედმეტი არასოდეს იქნება: სულერთია, მამაკაცებს ეხება საუბარი, ქალებს თუ პროფესიებს, უნდა ვაღიაროთ, რომ აზროვნების გამოყენება აყალიბებს ხასიათს როგორც საზოგადოდ, ისე ინდივიდუალურად. ქალების აზრები ყოველთვის საკუთარ სხეულებს დასტრიალებს და განა გასაკვირია, რომ მათში სხეული მიიჩნევა ყველაზე ღირებულად? მაგრამ თავისუფლების რაღაც ხარისხი აუცილებელია თვით სხეულის ჩამოსაყალიბებლადაც. და შეიძლება ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ წარჩინებულთა ფენაში ზოგიერთ ცოლს თავისი სქესის გარდა თითქმის არაფერი აქვს მიმზიდველი. ამას ემატება ის, რომ უმოძრაო საქმიანობის გამო ქალების უმრავლესობა ფიზიკურად სუსტია და ქალური სრულყოფილების მცდარი ცნებების გამო ისინი ამ სისუსტით ამაყობენ; თუმცა ის კიდევ ერთი ბორკილია, რომელიც გონების მოქმედებას ზღუდავს იმით, რომ სხეულის მიმართ გამუდმებულ ყურადღებას განაპირობებს...

ფაქტობრივად ჩემი შენიშვნა საშუალო ფენის შესახებ, რომ ნიჭი ყველაზე მეტად მასში იფურჩქნება, ქალებზე არ ვრცელდება; რადგან მაღალი ფენის ქა-

ლები, რომლებიც ზედაპირულად მაინც ეცნობიან ლიტერატურას და მეტს საუბრობენ მამაკაცებთან ზოგად საკითხებზე, მეტ ცოდნას იძენენ, ვიდრე ის ქალები, რომლებიც ბაძავენ მათ მოდასა და მანკიერებებს, მაგრამ არ იზიარებენ მათ უპირატესობებს. რაც შეეხება ღირსებას, ეს სიტყვა ფართო აზრით რომ გამოვიყენო, მე ყველაზე მეტს დაბალი ფენის ცხოვრებაში შევხვედრივარ. ბევრი ღარიბი ქალი თავის შვილებს საკუთარი ჯაფით ინახავს და ინარჩუნებს ოჯახს, რომელიც შეიძლება დაენგრია მისი ქმრის მანკიერებებს. ხოლო წარჩინებული ქალები მეტისმეტად პასიურები არიან იმისთვის, რომ ქმედითი ღირსებების მატარებელნი იყვნენ და ცივილიზაცია მათ კი არ ხვეწს, არამედ ასუსტებს. მართლაც, აზრიანობამ, რომელსაც შევხვედრივარ ღარიბ ქალებში, რომელთაც ძალიან მცირე განათლება ჰქონდათ, მაგრამ მაინც გმირულად იქცეოდნენ, ძლიერ გამიმყარა მოსაზრება, რომ წვრილმანმა საქმიანობებმა ქალი მეწვრილმანედ აქცია. მის სხეულს მამაკაცი ეპატრონება, ხოლო მისი გონება დასაჟანგადაა მიტოვებული. ასე რომ, ვიდრე მამაკაცისათვის ფიზიკური სიყვარული საყვარელ გართობად რჩება, ის ეცდება ქალის დამონებას. და ვინ იტყვის, რამდენი თაობა შეიძლება დასჭირდეს იმას, რომ საცოდავი მონების გათავისუფლებული შთამომავლების ღირსებამ და ნიჭმა ძალები მოიკრიბოს?[6] [xii]

იმ მიზეზების აღწერისას, რომლებმაც, ჩემი აზრით, დააკნინეს ქალი, ჩემი შენიშვნები იმ რამდენიმე მიზეზით შემოიფარგლა, რომლებიც საყოველთაოდ ზემოქმედებს მთელი სქესის ზნესა და ცხოვრების წესზე და ჩემთვის აშკარაა, რომ ყველა მათგანი აზროვნების ნაკლებობისგან წარმოდგება. მხოლოდ დრომ შეიძლება გადაწყვიტოს, ეს უკანასკნელი ფიზიკური სისუსტის შედეგია თუ შემთხვევითი გარემოებებისა. არ მინდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭო იმ რამდენიმე ქალის[7] [xiii, xiv, xv, xvi, xvii] მაგალითს, რომლებმაც მამაკაცური აღზრდის მიღების შედეგად სიმამაცე და სიმტკიცე შეიძინეს. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ მსგავს სიტუაციაში მყოფი მამაკაცები ანალოგიურ თვისებებს იძენენ; ...და ვაცხადებ, რომ გენიისა და ნიჭის მქონე ყველა მამაკაცი იმ კლასიდან გამოვიდა, რომელშიც ქალები აქამდე არასოდეს შეუშვიათ.

6 „თუნდაც დავუშვათ, რომ ქალები ნებაყოფლობით არიან მონები, ნებისმიერი სახის მონობა არახელსაყრელია ადამიანის ბედნიერებისა და წინსვლისთვის“ (კნოქსი, „ესეები“).

7 საფო, ელოიზა, ქალბატონი მაქოლეი, რუსეთის იმპერატორი, მადამ დ’ეონი და სხვა. ესენი და ბევრი სხვა შეიძლება გამონაკლისებად მივიჩნიოთ; და განა ყველა გმირი მამაკაციც და ქალიც გამონაკლისი არ არის ზოგადი წესებისგან? ჩემი საწადელია ქალების დანახვა გონიერ არსებებად – არც გმირებად და არც პირუტყვებად.

განმარტებები

i **ჟან-ჟაკ რუსო** (1712-1778) – ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლის იდეებიც განსაკუთრებით გავლენიანი იყო, როგორც საფრანგეთის რევოლუციის იდეოლოგიის საფუძველი. მის მნიშვნელოვან შრომებს შორისაა პედაგოგიური ტრაქტატი „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“ (1762), რომელშიც რუსო აღზრდის იმდროინდელ სისტემას აკრიტიკებს და აღზრდის მისთვის მისაღებ პრინციპებს აყალიბებს. წიგნის ძირითადი ნაწილი ვაჟის, ემილის აღზრდას ეძღვნება. ხოლო ბოლო, მეხუთე წიგნში რუსო წარმოგვიდგენს გოგონას, სოფის (ემილის მომავალი მეუღლის) აღზრდის სისტემას. უოლსტონკრაფტის შენიშვნები ეხება რუსოს შეხედულებებს ქალისათვის შესაფერისი აღზრდისა და ქალისა და მამაკაცის ბუნების განსხვავებების შესახებ.

ii **სიბარისელები** – ქალაქ სიბარისის (ანტიკური ბერძნული კოლონია იტალიის სამხრეთში) მკვიდრნი. გავრცელებული სტერეოტიპი მათ წარმოადგენდა, როგორც სიამოვნებისა და ფუფუნების განსაკუთრებულად მოყვარულთ, რის გამოც ამ სიტყვამ მოგვიანებით შეიძინა, საზოგადოდ, გადამეტებულ ფუფუნებასა და განცხრომაზე ორიენტირებული ადამიანის მნიშვნელობა.

iii **დევიდ ჰიუმი** (1711-1776) – შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ეკონომისტი, შოტლანდიური განმანთლებლობის ცენტრალური ფიგურა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოაზროვნე დასავლური ფილოსფიის ისტორიაში. ის, ჯონ ლოკთან (1632-1704) და ჯორჯ ბერკლისთან (1685-1753) ერთად, ბრიტანული ემპირიზმის წარმომადგენელია. უოლსტონკრაფტის მიერ მოყვანილი ციტატა აღებულია „დიალოგიდან“, რომელიც ჰიუმის წიგნის „გამოკლვევა ზნეობის პრინციპების შესახებ“ (1751) დამატების სახით გამოქვეყნდა.

iv **სატურნალიები** – ანტიკურ რომში სატურნის (მიწათმოქმედების, მოსავლისა და განახლების ღმერთის) პატივსაცემად გამართული დღესასწაულები. შესაბამის დღესასწაულებს ანტიკურ საბერძნეთში ეწოდებოდა **კრონიები** (ღვთაება კრონოსის პატივსაცემად). ორივე დღესასწაულის მნიშვნელოვანი ასპექტი იყო კარნავალური ელემენტი, რომელიც გულისხმობდა არსებული სოციალური წესრიგის შეზღუდვების დროებით გაუქმებას ან უკუქცევას დღესასწაულის განმავლობაში.

v **ადამ სმითი** (1723-1790) – შოტლანდიელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი, შოტლანდიური განმანთლებლობის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომელიც განსაკუთრებით ცნობილია პოლიტიკურ ეკონომიკაში შეტანილი წვლილის გამო – მისი „კვლევა ერების სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776) თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიკის ფუძემდებლურ შრომად ითვლება. მას, ასევე, ეკუთვნის ეთიკის თეორიისთვის კლასიკური მნიშვნელობის ტექსტი „ზნეობრივი გრძნობების თეორია“ (1759), რომელშიც სენტიმენტალისტური ეთიკის საკუთარ ვერსიას ავითარებს.

vi **სემუელ ჯონსონი** (1709-1784) – ინგლისელი პოეტი, ესეისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ბიოგრაფი, ლექსიკოგრაფი და გამომცემელი, თავისი დროის დიდი ინტელექტუალური ავტორიტეტი. 1755 წელს გამოვიდა მისი „ინგლისური ენის ლექსიკონი“, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ინგლისური ენის შემდგომი განვითარება.

vii **ფრენსის ბეკონი** (1561-1626) – ვერულამის ბარონი, ინგლისელი ფილოსოფოსი, მეცნიერი, სახელმწიფო მოხელე, ესეისტი. განსაკუთრებით გავლენიანი იყო მისი ფილოსოფიური იდეები მეცნიერული მეთოდისა და ახალი, ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებული მეცნიერების შესახებ; ითვლება ემპირიზმის ფუძემდებლად. უოლსტონკრაფტის ციტატა მოყვანილია მისი ესეიდან „ქორწინებისა და მარტო ცხოვრების შესახებ“ (1612, 1625).

viii **physionomie** – სახის გამომეტყველება.

ix **მაგდალინელთა სახლები** – სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც მე-18 საუკუნიდან მე-20 საუკუნის ბოლომდე არსებობდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ე. წ. „დაცემული ქალების“ (მეძავების ან „შეცდენილი“ გაუთხოვარი ქალების) თავშესაფრებად და „გამოსასწორებლად“. მათი სახელწოდება უკავშირდება მარია მაგდალინელის სახელს ახალი აღთქმიდან, რომელიც, ზოგიერთი ინტერპრეტაციის თანახმად, მეძავი იყო, ვიდრე იესო ქრისტეს მიმდევარი გახდებოდა.

x **სემუელ რიჩარდსონი** (1689-1761) – ინგლისელი მწერალი და გამომცემელი, ეპისტოლარული ჟანრის რამდენიმე რომანის ავტორი. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია „კლარისა: ახალგაზრდა ქალის ისტორია“ (1748). მასში მოთხრობილია ახალგაზრდა ქალის, კლარისას ტრაგიკული ისტორია, რომელსაც მასზე უიმედოდ შეყვარებული ლოველასი წამლის მეშვეობით დააძინებს და გონდაკარგულს გააუპატიურებს.

xi **გოტფრიდ ვილჰელმ ფონ ლაიბნიცი** (1646-1716) – დიდი გერმანელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, გამომგონებელი. ისააკ ნიუტონის პარალელურად განავითარა უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვა; იყო მრავალი გავლენიანი იდეის ავტორი ფილოსოფიასა და ლოგიკაში. მის ფილოსოფიურ შრომებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „თეოდიცეა“ (1710, სრული სათაური: „თეოდიცეური ნარკვევები ღმერთის სიკეთის, ადამიანის თავისუფლებისა და ბოროტების წყაროს შესახებ“), რომელშიც ის ორიგინალურ პასუხს სცემს ღმერთის სიკეთესთან ბოროტების არსებობის შეთანხმების ძველ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ პრობლემას. უოლსტონკრაფტის ციტატა მოყვანილია „თეოდიცეის“ წინათქმიდან.

xii **ვისეზიმუს კნოქსი** (1752-1821) – ინგლისელი ესეისტი და სასულიერო პირი. 1778 წელს გამოაქვეყნა „ესეები მორალსა და ლიტერატურაზე“, რომელშიც სხვა იდეებთან ერთად, პაციფისტურ იდეოლოგიას იცავდა. უოლსტონკრაფტის ციტატაც ამ ესეებიდანაა.

xiii **საფო** (ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით 630-570) – ბერძენი პოეტი კუნძულ ლესბოსიდან, აღიარებული იყო ანტიკური საბერძნეთის ერთ-ერთ საუკთესო ლირიკულ პოეტად.

xiv **ელოიზა** (1090(?)-1164) – ფრანგი მონაზონი, მწერალი, სწავლული და მონასტრის წინამძღოლი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია ტრაგიკული რომანით სქოლასტიკოს ფილოსოფოსსა და თეოლოგთან, პიერ (პეტრე) აბელიართან (1079-1142). უკვე აბელიარის გაცნობამდეც, ელოიზა მთელ ევროპაში სახელგანთქმული სწავლული იყო.

xv **ქეთრინ მაქოლეი** (1731-1791) – ინგლისელი ისტორიკოსი, ავტორი რვატომიანი „ინგლისის ისტორიისა“ (1763-1783), რომელმაც მას თანამედროვეთა შორის დიდი აღიარება მოუტანა; თუმცა, 1778 წელს სკანდალურმა ქორწინებამ 21 წლის მამაკაცთან (როდესაც თვითონ 47 წლის იყო) მნიშვნელოვნად შეარყია მისი რეპუტაცია ბრიტანეთში და მისი ნაშრომების მიმართ ყურდღებაც შეანელა. მას, ასევე, ეკუთვნის „წერილები განათლებაზე“ (1790), რომელშიც ბავშვთა აღზრდის არსებულ პრაქტიკას აკრიტიკებს, როგორც სქესებს შორის არაბრუნებრივი განსხვავებების გამომწვევ მიზეზს.

xvi **რუსეთის იმპერატორი, ეკატირენე II ან ეკატერინე დიდი** (1729-1796) – რუსეთის იმპერიის ყველაზე სახელგანთქმული ქალი მმართველი, რომელიც 1762 წლიდან გარდაცვალებამდე მეფობდა რუსეთში. მისი მმართველობის

პერიოდს რუსეთის ოქროს ხანას უწოდებენ, მის დროს გახდა რუსეთი ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო.

xvii **მადამ დ'ეონი** (1728-1810) – იგივე შევალიე დ'ეონი, ფრანგი დიპლომატი და ჯაშუში. 1777 წელს, 49 წლისამ, გამოაცხადა, რომ ქალი იყო და სიცოცხლის ბოლომდე, 33 წლის განმავლობაში, საზოგადოებაში ქალად იყო მიღებული. გარდაცვალების შემდეგ, მისი სხეულის დათვალიერების შედეგად ის ექიმებმა ანატომიურ მამაკაცად აღიარეს.

ადამ სმითი

(1723-1790)

შესავალი

შოტლანდიელი ფილოსოფოსის და პოლიტიკური ეკონომისტის, ადამ სმითის მოღვაწეობას უკავშირებენ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების, კერძოდ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ჩამოყალიბებას.

მისი დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია, ხოლო ნათლობის თარიღია 1723 წლის 5 ივნისი. იგი დაიბდა შოტლანდიის ქალაქ კირკოლდში, ედინბურგთან ახლოს, მებაჟის ოჯახში. უკვე 14 წლის ასაკში გლაზგოს უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, რომელიც 3 წლის შემდეგ, 1740 წელს დაამთავრა. როგორც საუკეთესო სტუდენტმა, მიიღო სტიპენდია ოქსფორდის უნივერსიტეტის ბალიოლის კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად, სადაც 1746 წლამდე დაჰყო. ოქსფორდიდან ადამ სმითი ედინბურგში დაბრუნდა და ლექციების კითხვა დაიწყო ინგლისურ ლიტერატურასა და პოლიტიკურ ეკონომიაში. 28 წლის ასაკში, 1751 წელს იგი დანიშნული იქნა ლოგიკის პროფესორად გლაზგოს უნივერსიტეტში, ხოლო ოდნავ მოგვიანებით გადაინაცვლა ზნეობრივი ფილოსოფიის კათედრაზე, სადაც ასწავლიდა 1764 წლამდე. 1759 წელს გამოსცა ნაშრომი მორალური გრძნობების თეორია", რომელმაც მას პოპულარობა მოუტანა.

1764 წელს ადამ სმითმა მიიღო მიმზიდველი შეთავაზება ჰერცოგ ბექლიუსაგან რომ ყოფილიყო მის შვილის მეურვე და თანმხლები პირი ევროპაში მოგზაურობისას. ეს წინადადება იმდენად მიმზიდველი იყო მატერიალური თვლსაზრისით, რომ სმითმა მიატოვა აკადემიური საქმიანობა და ახალგაზრდა ჰერცოგთან ერთად იმოგზაურა 2 წლის განმავლობაში 1766 წლამდე. ევროპაში მოგზაურობამ საშუალება მისცა მას შეხვედროდა იმ დროის უდიდესი მოაზროვნეებს ვოლტერს, ჰიუმს, დალამბერს, კენეს, ტიურგოს და ა.შ. სწორედ ამ შეხვედრების საფუძველზე მიღებულმა ახალმა ცოდნამ და იდეებმა კულტურის, მმართველობის და ეკონომიკის სფეროებში საშუალება მისცა მას ჯერ კიდევ ევროპაში მოგზაურობისას დაეწყო მუშაობა მის უკვდავ ნაშრომზე „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ". ნაშრომი დასრულებული იქნა 1776 წელს და გამოქვეყნებისთანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა. 18-ე საუკუნის ბოლომდე ნაშრომი შვიდჯერ იქნა გამოცემული, მათ შორის ოთხჯერ ავტორის სიცოცხლეში.

1778 წელს ადამ სმითი ედინბურგში შოტლანდიის საბაჟო კომისრის პოსტზე დაინიშნა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დაჰყო.

თავის ეპოქალური მნიშვნელობის ნაშრომს „კვლევა ერების სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" ავტორი დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ქმნიდა. იმ დროისათვის ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 1776 წელს ლონდონელი

საზოგადოების წინაშე წარდგენილი ნაშრომი თავის მნიშვნელობას XXI საუკუნეშიც კი არ დაკარგავდა და განსაკუთრებული ინტერესის საგანი იქნებოდა.

ადამიანის საქმიანობის ძირითად მოტივად სმითი მიიჩნევდა ინდივიდის ლტოლვას საკუთარი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. პირადი კეთილდღეობის განმტკიცებით, ადამიანი საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებასაც. ამგვარი ლტოლვა განაპირობებს ყველა ქმედებებს და აყალიბებს სამართლიან და რაციონალურ წესრიგს საზოგადოებაში. ამ მოვლენას ავტორმა „ბაზრის უხილავი ხელი“ უწოდა.

საზოგადოების სიმდიდრის წყაროდ იგი ორ მთავარ ფაქტორს: საქონლის წარმოებასა და მოხმარების მოცულობებს მიიჩნევს. ასევე განსაკუთრებული ღირებულების მატარებელია ავტორის მიგნება შრომის განაწილების შესახებ. სწორედ შრომის განაწილებას თვლიდა იგი ეკონომიკური პროგრესის განმაპირობებელ ფაქტორად. ქინძისთავის მანუფაქტურის მაგალითზე ნათლად იქნა წარმოჩენილი, თუ როგორ იზრდება შრომის მოცულობა სპეციალიზაციის შედეგად. შრომის განაწილების ცალკეული შეხედულებები ჯერ კიდევ სმითის წინამორბედების მიერაა შესწავლილი, თუმცა მან აღნიშნულ თემას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა და დაადასტურა, რომ სიმდიდრის წყაროს სწორედ შრომა წარმოადგენს.

ადამ სმითმა ასევე საფუძველი ჩაუყარა შრომის ღირებულების თეორიას, რომლის ძირითადი საფუძველია საქონლის ღირებულების განსაზღვრა იმ შრომის საფუძველზე, რაც საქონლის დასამზადებლად დაიხარჯა. გაწეული შრომის მოცულობა ასევე განსაზღვრავს საქონლის გაცვლით ღირებულებასაც.

ასევე მნიშვნელოვანია ავტორისეული ხედვა კლასობრივი სტრუქტურის შესახებ. კერძოდ, მან გამოყო ძირითადი კლასები: მიწათმფლობელები, ფინანსური (სესხის გამცემი) კაპიტალისტები და ღარიბი მუშახელი. ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის თეორიები ღრმა განსწავლულობის საფუძველზე იქნა ჩამოყალიბებული.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის მოსაზრება, რომ ქვეყნის სიმდიდრისა და განვითარების მთავარ პირობას შეადგენს „Laissez-faire“-ის პრინციპი, რაც სამეურნეო საქმიანობის თავისუფლებას გულისხმობს. რაც უფრო მცირეა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში, მით უკეთესი პირობები იქმნება მისი განვითარებისათვის. სახელმწიფოს მხრივ რეგულირების პრაქტიკის გაძლიერების საჭიროება მაშინ დგება, როდესაც საზოგადოებრივ კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება.

ადამ სმითის კვლევამ განსაკუთრებული სიცხადით გამოავლინა მერკანტილისტური იდეების მცდარი ხედვა ოქროსა და ვერცხლის დაგროვების უპირატესობის შესახებ. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქვეყნის სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს მატერიალური დოვლათის შექმნა. მერკანტილური სისტემა წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველს სმითის სიცოცხლეში. კვლევა წარმოადგენს მერკანტილური სისტემის ბრწყინვალე კრიტიკას, რომელიც ნათ-

ლად წარმოაჩენს ამ სისტემის განვითარების ისტორიას რომის იმპერიის დაცემის შემდგომ პერიოდიდან ვიდრე შუა საუკუნეებამდე.

სმითი სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო, რომელიც ილაშქრებდა კაპიტალიზმის განვითარებისათვის ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორების წინააღმდეგ, როგორსაც წარმოადგენენ ფეოდალური გადმონაშთები.

მთლიანობაში სმითის დამსახურება ისტორიული ხასიათისაა, რადგან მან შეძლო ჩამოეყალიბებინა პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები იმ დროისათვის დაგროვილი ეკონომიკური ცოდნის თავმოყრისა და სისტემატიზაციის მეშვეობით. მისი კვლევები წარმოადგენენ XVIII საუკუნის საზოგადოებრივი აზრის უმაღლეს მწვერვალს, რომლებმაც სათავე დაუდეს შემდგომი პერიოდის ახალი ეკონომიკური თეორიების ევოლუციას და მომავალი თაობების აზროვნებაში დამკვიდრებას.

ადამ სმითი გარდაიცვალა 1790 წელს.

გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ

(მოკლე ანალიზი)

ნაშრომმა ახალი ცოდნა შექმნა ეკონომიკის სფეროში, სადაც ავტორი ილაშქრებს მის ეპოქაში გამეფებული მერკანტილური სისტემის წინააღმდეგ, ამასთანავე იძლევა ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებებზე და სოციალურ ურთიერთობებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ბრწყინვალე აღწერას. ნათელი, გასაგები ენით არის დახასიათებული სოფლის საზოგადოება, აგრეთვე თუ როგორ აღმოცენდა საქალაქო საზოგადოება და როგორი იყო ურთიერთდამოკიდებულება ამ ორ სივრცეს შორის. ქალაქი, თავის განვითარების კვალობაზე, დამოკიდებულია სოფელზე. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ავლენს ქალაქზე დამოკიდებულებას, რომელიც მისთვის ჭარბი პროდუქტის გასაღების ბაზარს წარმოადგენს.

კარგად არის აღწერილი, თუ როგორი იყო ფეოდალური ევროპა და დროთა განმავლობაში როგორი ცვლილებები განიცადა მან. ასევე საინტერესოდ არის წარმოდგენილი სავაჭრო ურთიერთობებისა და თავისუფალი ქალაქების აღმოცენების პროცესი. ფეოდალური წყობილების პირობებში სიმდიდრე მემამულეთა და დიდგვაროვანთა ხელში იყი კონცენტრირებული. მოგვიანებით, ვაჭრობის განვითარების კვალობაზე, მათ დაკარგეს თავიანთი ძალაუფლება და ძველი დიდება. თავისუფალი ქალაქების განვითარებამ აიძულა ისინი დამორჩილებოდნენ გონიერი მმართველობის პრინციპებს და სოფლად დამკვიდრებულიყო წესრიგი და პიროვნების თავისუფლება. წარსულს ჩაბარდა ფეოდალური სისტემის მანკირებანი, რომელიც ადამიანებს, გამომდინარე მათი სოციალური მდგომარეობიდან, განსხვავებულად აღიქვამდა. ახალი სისტემა და კანონმდებლობა კი ადამიანებს, განურჩევნად მათი სოციალური მდგომარეობისა, თითქმის ერთგვაროვნად განიხილავდა, რაც სამოქალაქო სამართლიანობის დამკვიდრებას უწყობდა ხელს. სამართლებრივი სისტემის გაძლიერებამ კი კაპიტალიზმის განვითარებას

მძლავრი ბიძგი მისცა, ვინაიდან ინვესტირების პროცესს კაპიტალის დაცულობის შეგრძნება მიანიჭა.

ევროპის ისტორიის ავტორისეული ხედვა პრაქტიკულად ქალაქების დაარსებისა და განვითარების ისტორიას წარმოადგენს. ქალაქების ზრდა ეკონომიკური პროგრესის საფუძველი გახლდათ. ერთის მხივ ქალაქები მნიშვნელოვანწილად იყვნენ სოფელზე დამოკიდებულნი, როგორც ნედლი პროდუქტის მომწოდებელზე. მეორე მხრივ კი ქალაქებმა იტვირთეს ევროპაში როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური განვითარების უზრუნველეყოფის მისია. სწორედ ქალაქების აღმოცენებამ უზრუნველყო ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება მაშინ, როდესაც მსხვილი მემამულენი ეკონომიკური სტაგნაციისა და პოლიტიკური ჩაგვრის წესს ამკვიდრებდნენ. მემამულეებისაგან განსხვავებით ვაჭრებისა და მრეწველების საქმიანობას შედეგად მოსდევდა ეკონომიკური ზრდა და საზოგადოებრივი წინსვლა. ამგვარად, სმითი ცალსახად უპირატესობას ანიჭებს ახლად აღმოცენებულ სოციალურ კლასს, თვლიდა რა, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის გარანტს.

პირველი და მეორე წიგნები აღწერენ შრომის დანაწილებას, თუ როგორ უწყობს ხელს ამგვარი დანაწილება საზოგადოებაში სიმდიდრის წარმოქმნას, რომელიც ამ საზოგადოების წევრებს შორის ნაწილდება. შრომის განაწილება ასევე ხელს უწყობს ტექნოლოგიურ პროგრესს, აიძულებს რა მშრომელებს მუდმივად იზრუნონ თავიანთი თავიანთი საქმიანობის დახვეწისა და გაუმჯობესების გზებზე.

მესამე წიგნში განხილულია დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი განვითარების ისტორია მიწათმოქმედების და საერთაშორისო ვაჭრობის ეპოქაში. ავტორს ღრმად სჯერა, რომ რომის იმპერიის დაცემამ და ფეოდალიზმის აღზევებამ შეაფერხა საზოგადოებრივი განვითარება და განაპირობა დაბალი ეფექტიანობა წარმოქმნა.

მეოთხე წიგნი აკრიტიკებს „მერკანტილურ ვაჭრობას", რომელიც დამახასიათებელი იყო სმითის დროინდელი ევროპისათვის. კრიტიკის მთავარი სამიზნე გახლავთ ის, რომ მერკანტილიზმი ხელს უწყობს დოვლათის და ღირებულების გაიგივებას ძვირფას ლითონებთან. ავტორის მოსაზრებით, ეროვნული სიმდიდრის ნამდვილ საზომს წარმოადგენს იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელსაც საზოგადოება ქმნის. ეროვნული კეთილდღეობა უმჯობესდება არა ლითონის მარაგის დაგროვებით, არამედ საწარმოო და სავაჭრო საქმიანობების, ბაზრის მოცულობის ზრდის კვალობაზე.

ნაშრომის ძირითად მოსაზრებას წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკური სისტემა თუ მას მაქსიმალურ თავისუფლებას მივანიჭებთ, თვითრეგულირებადი ხასიათისაა. ეს არის ე.წ. „უხილავი ხელის" იდეა. თვითრეგულირებისა და მაქსიმალური ეფექტიანობის გამოვლენას საფრთხეს უქმნის მონოპოლების, საგადასახადო პრეფერენციების, ლობისტური ჯგუფების და სხვადასხვა პრივილეგიების არსებობა, ვინაიდან აღნიშნული მექანიზმები სასათბურე პირობებს უქმნიან საზოგადოების ერთ ჯგუფს დანარჩენი წევრების ხარჯზე.

„ხალხთა სიმდიდრის“ *ბოლო წიგნში* ავტორი აღწერს თავის მოსაზრებებს სწორი მმართველობის თაობაზე, კერძოდ მთავრობის, თავდაცვის, მართლმსაჯულების, ვაჭრობის, განათლების, ა.შ სფეროებში, რომელთა წარმატებული ფუნქციონირების საფუძველს ჯანსაღი და სამართლიანი საგადასახადო სისტემა წარმოადგენს.

წიგნი III. სიმდიდრის სხვადასხვა განვითარება სხვადასხა ხალხებში

თავი I. სიმდიდრის ბუნებრივი განვითარება

ის, რასაც ავტორი უწოდებს სოფელსა და ქალაქს, ან სასოფლო და საქალაქო დასახლებებს, მჭიდროდ გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. სოფლის მაცხოვრებლები ნედლ პროდუქტს აწვდიან ქალაქს და შესაბამისად ცვლიან მას ქალაქში საწარმოო პროცესის საფუძველზე მომზადებულ გადამუშავებულ პროდუქტზე. შესაბამისად, ქალაქი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოფელზე, საიდანაც იღებს მისთვის სასიცოცხლო მომარაგებას. ამასთანავე, არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ ეს პროცესი მომგებიანია მხოლოდ ქალაქიასათვის, ხოლო სოფლისათვის კი ზარალიანია. პირიქით, ეს სასაქონლო გაცვლა ეფუძნება ურთიერთმომგებიანობის პრინციპს. სოფელი ქალაქს აწვდის მიწადმოქმედების შედეგად მიღებულ პროდუქტს, რომელიც მას მორჩება საკუთრი მოსახლეობის მიერ ამ პროდუქციის მოხმარების შემდეგ, ანუ ქალაქი სოფლისათვის ბაზარს წარმოადგენს.

სამეურნეო პროცესებს თავისი მიმდევრობა გააჩნია: უპირველეს ყოვლისა სოფლად ვითარდება მიწათმოქმედება, რომელიც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ პროდუქტს იძლევა. მოგვიანებით კი ადგილი აქვს ადამიანის ფუფუნების უზრუნველყოფის საგნების წარმოების განვითარებას, რაც ქალაქისთვის დამახასიათებელი საქმიანობაა.

ავტორისეული მოსაზრებით, იმ პერიოდში მაცხოვრებელი ადამიანი უპირატესობას სოფლად ცხოვრებას ანიჭებდა. უფრო მეტიც, კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობის შემთხვევაშიც, ადამიანები პირველ ყოვლისა მიწათმოქმედებაში ინვესტიციების განხორციელებას ცდილობდნენ, როგორც საქმიანობას, რომელიც პრაქტიკულად თავისუფალია ყოველგვარი რისკისაგან. რაც შეეხება მანუფაქტურის სფეროს, აქ რისკის მოლოდინი მაღალი გახლდათ, ხოლო საგარეო ვაჭრობა კი ყველაზე მაღალ რისკებთან ასოცირდებოდა. მიწათმოქმედების განვითარება მოითხოვდა ამ პროცესის მომსახურე საქმიანობების წარმოშობას. კერძოდ, თანდათანობით ჩნდებოდნენ მჭედლები, ხუროები, გუთნის თვლების მკეთებლები, თერძები, ხუროები, ა.შ. ისინი ემსახურებოდნენ როგორც მიწათმოქმედების, ასევე სოფლის მცხოვრებთა ყოველდრიურ მოთხოვნებს. ამგვარად, ვითარდებოდა ვაჭრობა, ფუძნდებოდა და იზრდებოდა ქალაქები, გროვდებოდა სიმდიდრე.

თავი II. მიწათმოქმედების განვითარების დაბრკოლებანი ძველ ევროპაში რომის იმპერიის დაცემის შემდეგ

ამ თავში ავტორი მწვავედ აკრიტიკებს პირმშოობის შესახებ კანონს. ეს წესი ევროპაში შემოღებულ იქნა რომის იმპერიის დაცემის შემდგომ პერიოდში. დასავლეთის პროვინციები სრულად განადგურდა იმპერიის რღვევის შედეგად, ხოლო სამეურნეო საქმიანობა პრაქტიკულად შეწყდა. ამ პერიოდში დიდი სარგებელი ნახეს ძირითადად ბარბაროსთა ტომების მეთაურებმა, რომლებმაც მიწების დიდი ნაწილი ჩაიგდეს ხელში. მოგვიანებით კი კანონი კრძალავდა მიწის დანაწევრებას, რომელიც უფროსი შვილის მეშვეობით, პირდაპირი ხაზით მემკვიდრეობით თაობებს გადაეცემოდა. მიწის დანაწევრება იკრძალებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ის ვერ მუშავდებოდა. მიწა თანდათნობით გადაიქცა ძალაუფლების წყაროდ. მიწის მსხვილი მესაკუთრენი ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდნენ მიწისაგან ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ავტორი სკეპტიკურად არის განწყობილი მიწის საკუთრების ამგვარი სისტემის მიმართ, რომელიც მიწის გამოყენების ეფექტიანობას ვერ უზრუნველყოფდა. იგი აკრიტიკებს მემკვიდრეობითობის წესს და მიუთითებს, რომ იგი არ ყოფილა პროგრესის მომტანი ინვესტიციებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამას ემატებოდა მიწაზე მომუშავე გლეხების მძიმე პირობები, რომელიც მონურ მდგომარეობისაგან დიდად არ განსხვავდებოდა და ბუნებრივი მიზეზების გამო მიწათმოქმედებას სარგებელს ვერ მოუტანდა. უფრო მეტიც, მემამულისა და გლეხის ეკონომიკური ურთთიერთობა თავიდანვე მარცხისათვის იყო განწირული. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მიწა, თესლი, ანუ პრაქტიკულად სამეურნეო პროცესში ჩაბმული ყველა ფაქტორი მემამულის საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მოსავალიც სრულად ეკუთვნოდა მას, გლეხს კი მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი რესურსი ეძლეოდა.

ამგვარ ვითარებაში, დღის წესრიგში დადგა სამეურნეო ურთიერთობებს დამკვიდრებული წესის ცვლილების აუცილებლობლობა, რომელიც ასევე გლეხის ინტერესსაც გაითვალისწინებდა ამ პროცესში. თანდათანობით დაინერგა რენტის მექანიზმი, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ გლეხი საკუთარი საქმიანობის შედეგით თვითონაც სარგებლობდა და მიწის იჯარას უხდიდა მემამულეს. რა თქმა უნდა ეს არ იყო სრული დაინტერესების უნზრუნველმყოფი მექანიზმი, თუმცა წინამორბედს გაცილებით სჯობდა, ვინაიდან უზრუნველყოფდა გლეხის პირად დაინტერესებას. რაც შეეხება ნაკლოვანებებს, ნაშრომში არის მითითება იმის თაობაზე, რომ ეს გახლდათ რამოდენიმე წლიანი ურთიერთობები და გლეხი არ იყო დაინტერესებული მთელი მისი შესაძლებლობები ჩაექსოვა ამ საქმეში, რადგანაც მომავალში მიწა ისევ მესაკუთრეს უბრუნდებოდა და შესაბამისად, გლეხი ვეღარ ისარგებლებდა ამ გრძელვადიანი ძალისხმევის შედეგებით.

თუმცა თანდათნობით იჯარის ეკონომიკური შინაარსი იხვეწებოდა და მისაღები ხდებოდა მოიჯარისათვის. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი გახლდათ ინგლისისათვის, სადაც ავტორის განმარტებით „თავისუფალი გლეხობა ყოველთ-

ვის დიდ პატივში იყო“. დროთა განმავლობაში, საიჯარო ხელშეკრულებების ვადებიც იზრდებოდა და ევროპის ქვეყნებში თანდათანობით დამკვიდრდა გრძელვადიანი ხელშეკრულებები, რაც მოიჯარისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, რათა სრული ძალისხმევა განეხორციელებინა ამ საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ გლეხობას ასევე სახელმწიფოსათვის გასაწევი სამსახურის ვალდებულებაც გააჩნდა, რაც გამოიხატებოდა გზების გაყვანა-შეკეთებაში და ბეგარის გადახდაში.

სმითი არასახარბიელო შეფასებას აძლევს ევროპაში არსებულ პირობებს მიწის დამუშავების თვალსაზრისით. მიუხედავად ნელი გაუმჯობესებისა, რაც შეინიშნებოდა ევროპაში, საბოლოო ჯამში ეს საქმიანობა მაინც ვერ განვითარდა მნიშვნელოვნად, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა. ეს ქვეყნები გახლდათ ინგლისი, ჰოლანდია და ბერნის კანტონი.

ავტორს ასევე მოჰყავს ის დამატებითი მიზეზები, რომლებიც აფერხებდნენ სასოფლო-სამეურნეო დარგის პროგრესს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ აწარმოებდა მიწის სამუშაოებს, მესაკუთრე თუ მოიჯარე:

– პურის გადაზიდვის აკრძალვა სპეციალური ნებართვის გარეშე

– სპეციალური შეზღუდვა მათთვის, ვინც პროდუქტების შეძენა-დაგროვებას ანხორციელებდა

– მინიჭებული პრივილეგიები ვაჭრობაში, რომლების მხოლოდ სპეციალურ ბაზრებს გააჩნდათ

სწორედ ამგვარი შეზღუდვების წყალობით ვერ ვითარდებოდა პურის საექსპორტო ოპერაციები, რაც საბოლოო ჯამში მიწების დამუშავების სტიმულსაც სპობდა. ანუ ძველ ევროპაში მიწის დამუშავებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით დამკვიდრებული პოლიტიკა არახელსაყრელი იყო.

თავი III. ქალაქების წარმოშობა და განვითარება რომის იმპერიის დაცემის შემდეგ

რომის იმპერიის დაცემამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქალაქში ცხოვრების წესი. ამ პერიოდში ქალაქების ძირითადი მაცხოვრებლები იყვნენ ვაჭრები და ხელოსნები, რომელთაც ძალზედ მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება. ისეთი ძირითადი უფლებები, როგორიცაა საკუთრების თავისუფალი განკარგვის ან საკუთარი ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ გამონაკლისთა ხვედრი იყო, რომელიც მხოლოდ პრივილეგიის მინიჭების შემთხვევაში ეძლეოდათ.

ასევე მეფის ან ბატონის მიერ მინიჭებული პრივილეგიის საფუძველზე ხდებოდა თავისუფალი, უბაჟო ვაჭრობის უფლების მოპოვებაც.

ქალაქის მცხოვრებლებმა, ანუ ბურგერებმა თავიანთი თავისუფლება თანდათანობით მოიპოვეს მეფეების მეშვეობით, რომლებიც მათ იჯარაში აძლევდნენ მიწებს რენტის სანაცვლოდ. მოგვიანებით მოქალაქეებს ასევე რამოდენიმე წლით სარგებლობისათვის უბრუნებდნენ იმავე თანხას, რომელსაც ისინი უხდიდნენ მე-

ფეს. ასეთ შემთხვევებში მოქალაქეები კოლექტიურ პასუხისმგებლობას იღებდნენ, რომ დროულად დაუბრუნებდნენ მეფეს ამ თანხას. ამგვარმა ურთიერთობებმა და პრივილეგიებმა მუდმივი ხასიათი მიიღეს და გამონაკლისს აღარ წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ამგვარი უფლებები უკვე არა ცალკეულ პირებზე, არამედ ქალაქის მოსახლეობაზე ვრცელდებოდა და მათ თავისუფალი მოქალაქეების ანუ თავისუფალი ვაჭრების სტატუსი მოიპოვეს.

მოქალაქეებმა დაიწყეს საქალაქო ცხოვრების მოწესრიგება, ჩამოაყალიბეს ადგილობრივი მთავრობები, გამოსცემდნენ კანონებს, შექმნეს მართლმსაჯულების სისტემა. თავისუფალი ქალაქები აგრეთვე ქმნიდნენ თავდაცვის სისტემებს და რეგულარულ არმიას. ამ საქმეში მათ მეფეები ეხმარებოდნენ, ვინაიდან ეს უკანასკნელნიც, ისევე როგორც თავისუფალი მოქალაქეები, ძალზედ შეწუხებულნი იყვნენ ფეოდალების აგრესიით. შესაბამისად, მეფეები თავისუფალი ქალაქების მოკავშირეებად გვევლინებოდნენ და ხელს უწყობდნენ მათ განვითარებაში. ქალაქებში ჩამოყალიბდა მილიცია, რომელიც ფეოდალების შემოტევების შემთხვევაში თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა და აგრეთვე მეფის სამხედრო ლაშქრობებშიც იღებდა მონაწილეობას. ქალაქები თანდათანობით განვითარდა, დაიმორჩილეს დამოუკიდებლად მცხოვრები თავადაზნაურობა, მოიპოვეს მეტი დამოუკიდებლობა მეფისაგან, ხოლო იტალიასა და შვეიცარიაში XII-XVI საუკუნეებში აარსებდნენ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს. ამგვარად, ქალაქებში მყარდებოდა გონივრული მმართველობისა და პიროვნების თავისუფლების გარემო.

განსხვავებული ვითარება იყო სოფლად, სადაც სუფევდა ძალმომრეობა. სოფლად მცხოვრებნი ყველანაირად ცდილობდნენ საცხოვრებლად გაპარულიყვნენ ქალაქში, სადაც მეტი თავისუფლება და საქმიანობის საშუალება იყო.

ქალაქების სიმდიდრის ზრდას ხელი შეუწყო საგარეო ვაჭრობის განვითარებამ, განსაკუთრებით კი ისეთ ქალაქებში, რომლებიც საზღვაო გზებით უკავშირდებოდნენ გარემომცველ სამყაროს. ევროპის ქალაქებიდან პირველად იტალიის ქალაქებმა მიაღწიეს სავაჭრო წარმატებებს და შეძლეს სიმდიდრის დაგროვება სწორედ საზღვაო ნაოსნობის განვითარების მეშვეობით. ამ ქალაქებიდან იღებდნენ სათავეს მსხილი სასაქონლო ნაკადები და აქვე იყრიდნენ თავს შორეული ბაზრებიდან ევროპაში მოწოდებული ფუფუნების თუ სხვა სახის საქონელი.

შორეულ ბაზრებთან ეკონომიკური კავშირის დამყარებამ და აქტიურმა სასაქონლო გაცვლამ ხელი შეუწყო მანუფაქტურების განვითარებას ევროპაში. ავტორის დასკვნით, მანუფაქტურების განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მიწათმოქმედების განვითარების და გაუმჯობესების საფუძველზე, რაც საგარეო ვაჭრობის და მის მიერ უშუალოდ წარმოშობილ მანუფაქტურების უმთავრეს შედეგს წარმოადგენდა.

თავი IV. როგორ უწყობდა ხელს ქალაქების ვაჭრობა სოფლის განვითარებას

ქალაქების ზრდა ხელს უწყობდა მათ ირგვლივ მდებარე სფლების განვითარებას:

– მოიხმარდა რა პროდუქტს, რომელიც მიწის დამუშავების შედეგად მოიპოვებოდა, ქალაქი წარმოადგენდა გასაღების ბაზარს სოფლისათვის.

– ქალაქში მცხოვრებნი თავიანთ დანაზოგებით მიწებს ყიდულობდნენ სოფლად და ამგვარად კაპიტალის დაბანდებას ანხორციელებდნენ სოფლებში.

– ქალაქში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას თან ახლდა გონივრული მმართველობისა და წესრიგის დამკვიდრება. სოფლის მოსახლეობა უკეთ დაცულად გრძნობდა თავს და პიროვნულ თავისუფლებას მოიპოვებდა ყოველივე ამის შედეგად. მანამდე კი მისი ცხოვრება მხოლოდ მეზობლებთან ომში და ზემდგომებთან ყრმულ დამოკიდებულებაში მდგომარეობდა.

ამ თავში ადამ სმითი აღწერს თუ რა მფლანგველ ცხოვრებას ეწეოდნე მემამულენი იმ პირობებში, როდესაც ვაჭრობა და მრეწველობა განუვითარებელი იყო. ისინი ვერ ახერხებდნენ მოსავლის დაზოგვას და მხოლოდ გამასპინძლებით იყვნენ დაკავებულნი იმ მრავალრიცხოვანი ადამიანებისა, რომლებიც მათ ყოველდღიურად გარს ეხვიათ. შესაბამისად ყველა ადამიანი, რომელიც მსხვილი მემამულის ირგვლივ ტრიალებდა, სასიცოცხლოდ იყვნენ დამოკიდებულნი მასზე, რაც მემამულის განუზომელი ძალაუფლების წყარო გახლდათ. მემამულენი ანხორციელებდნენ ერთპიროვნულ მართვას და აგრეთვე მართლმსაჯულებას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე თავიანთ მამულებში.

ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებამ მემამულეები არჩევანის წინაშე დააყენა. მათ შეეძლოთ ძველებურად აურაცხელი ადამიანის სარჩენად გამოეყენებინათ თავიანთი შემოსავალი ან გაეცვალათ სამრეწველო ან სავაჭრო პროდუციაზე, თუნდაც ეს ყფილიყო ფუფუნების საგნები. მათ არჩევანი გაცვლის სასარგებლოდ გააკეთეს და ამგვარად დაიწყეს დაზოგვა იმ შემოსავლისა, რასაც ადრე ფლანგავდნენ. მათ დაითხოვეს ის ადამიანები, რომლების მუდმივად გარს ეხვივნენ და დაიტოვეს მათი მინიმალური რაოდენობა, რაც საკმარისი იყო სამეურნეო საქმიანობის საწარმოებლად. ამგვარად, მემამულეებმა დაიწყეს შემოსავლების დაზოგვა. ამასთანავე, ამიერიდან ისინი ვეღარ განკარგავდნენ იმ ადამიანების ბედ-იღბალს, ვინც მათზე სასიცოცხლოდ აღარ იყვნენ დამოკიდებულნი. დროთა განმავლობაში წარსულს ჩაბარდა მემამულეთა და დიდგვაროვანთა განუზომელი ძალაუფლება.

ამგვარად, ვაჭრობა და მანუფაქტურა ევროპაში იყო მიზეზი სოფლად წესრიგისა და გონიერი მმართველობის დამყარებისა და სასოფლო-სამეორნეო საქმიანობის განვითარებისა. თუმცა განვითარების ტემპები არაერთგვაროვანი იყო სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგადად ევროპაში პირმშოობის კანონის არსებობა მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად მაიჩნია ავტორს. მაგალითად მას მოჰყავს ევროპის ქვეყნების შედარება ჩრდილოეთ ამერიკასთან, რომელიც იმხანად ინგ-

ლისის კოლონიას წარმოადგენდა. გაცილებით სწრაფი და შთამბეჭდავია ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიის განვითარება, მათ შორის დემოგრაფიული კუთხითაც.

ზოგადად ავტორი სიმპატიას გამოხატავს ინგლისის სამეურნეო ტრადიციისა და ეკონომიკური განვითარების მიმართ. განსაკუთრებით ხაზგასმულია კანონმდებლობა, რომელიც ხელსაყრელი იყო ეკონომიკური განვითარებისთვის და მიესადაგებოდა გარშემო წარმოქმნილ პირობებსა და მოვლენებს. ასევე საინტერესოა ავტორისეული მოსაზრებები საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიისა და იტალიის იმჟამინდელ სასოფლო-სამეურნეო და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შესახებ.

კაპიტალის დაბაბდების თვალსაზრისით ადამ სმითი საკუთარ შეხედულებებში უპირატესობას სოფლის მეურნეობის სფეროს ანიჭებს. მისი მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კაპიტალი მოპოვებულია საგარეო ვაჭრობისა და მანუფაქტურის სფეროებში წარმატებული საქმიანობის შედეგად, მისი განსაზღვრული ნაწილი ინვესტირებულ უნდა იქნეს მიწის დამუშავებასა და გაუმჯობესებაში. აქვე მოცემულია მეტად საინტერესო და ფასეული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ინვესტიცია უნივერსალური კატეგორიაა და არ არის შეზღუდული ქვეყნის საზღვრებით. ინვესტიცია თავს არიდებს რისკებს და მიემართება იქ, სადაც უკეთესი პირობებია და ამასთანავე არ სცნობს ტერიტორიულ ჩარჩოებს. აღნიშნული თეზისი, გამოთქმული საუკუნეების წინ, ადამ სმითის გენიალური აზროვნების ნიმუშია და აქტუალობას დღევანდელ პირობებშიც არ კარგავს. სწორედ ამ პრინციპების გამოხატულებაა თანამედროვე მსოფლიოში დამკვიდრებული გლობალური სავაჭრო და საფინანსო მართვის სისტემები.

გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ

წიგნი მესამე

თავი I
სიმდიდრის ბუნებრივი განვითარება

[...]

საგანთა ბუნებრივი მსვლელობისას, განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფი საზოგადოების კაპიტალი პირველ ყოვლისა, მიმართულია მიწათმოქმედებისაკენ, შემდეგ – მანუფაქტურებისაკენ და ბოლოს – საგარეო ვაჭრობისაკენ. ეს წესი ისე ბუნებრივია, რომ იგი, მე მგონია, ყოველ საზოგადოებაში, რომელსაც რაიმე შესამჩნევი ტერიტორია ჰქონდა, ყოველთვის სრულდება ამა თუ იმ ზომით. მიწების ნაწილი უნდა დამუშავებულიყო მანამდე, ვიდრე რამდენადმე მნიშვნელოვანი ქალაქები შეიძლებოდა წარმოშობილიყო და ამ ქალაქებში უნდა არსებულიყო რაიმე, თუნდაც განუვითარებელი, მრეწველობა, ვიდრე მათთვის შესაძლებელი გახდებოდა იმაზე ფიქრი, რომ საგარეო ვაჭრობისათვის მოეკიდნათ ხელი.

თუმცა საგანთა ამ ბუნებრივ წესს რაიმე ზომით ადგილი უნდა ჰქონოდა ყოველ ასეთ საზოგადოებაში, მაგრამ ყველა თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოში იგი ზოგი მხრივ ყირამალა იქნა დაყენებული. საგარეო ვაჭრობამ ზოგ ქალაქში გამოიწვია დაფუძნება უფრო სათუთი მანუფაქტურებისა ანუ ისეთებისა, რომელთა პროდუქტები უცხო ბაზარზე გასატანადაა გამოსადეგი; ხოლო მანუფაქტურებმა და საგარეო ვაჭრობამ ერთად, გამოიწვია უმთავრესი გაუმჯობესება მიწათმოქმედებაში. ჩვეულება და ადათი, რომელიც პირვანდელი მთავრობის ბუნებამ შემოიღო ამ სახელმწიფოებში და რომლებიც დარჩა მას შემდეგაც, რაც ის მთავრობა მნიშვნელოვნად შეიცვალა, აუცილებლობის გზით ძალად ეწეოდა მათ ამ არაბუნებრივი და რეგრესიული წესისაკენ.

[...]

თავი III
ქალაქების წარმოშობა და განვითარება რომის იმპერიის დაცემის შემდეგ

დიდი და პატარა ქალაქების მცხოვრებნი, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, სოფლის მცხოვრებლები უკეთეს მდგომარეობაში არ იყვნენ. ისინი წარმოადგენდნენ ძველი საბერძნეთისა და იტალიის რესპუბლიკების პირველ მცხოვრებთაგან სრულიად განსხვავებულ მოსახლეობას. უკანასკნელნი შედგებოდნენ უმთავრესად მემამულეებისაგან, რომელთა შორის თავდაპირველად სახელმწიფოს ტერიტორია იყო განაწილებული და მიზანშეწონილად თვლიდნენ თავიანთი სახლები ერთი-მეორის ახლოს აეგოთ და საერთო თავდაცვის მიზნით, მათთვის კედელი შემოევლოთ. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, პირიქით, მემამულეები, როგორც ეტყობა, ჩვეულებრივ, მათსავე მამულებში აგებულ ციხე-დარბაზებში, მათი მიწების დამჭერთა და ხელქვეითთა შორის ცხოვრობდნენ. ქალაქები დასახლებული იყო ვაჭრებითა და ხელოსნებით, რომელნიც იმხანად, როგორც ეტყობა, ყმურ ან თითქმის ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც ევროპის ზოგი მთავარი ქალაქის მცხოვრებთ ეძლეოდათ ძველი ძეგლებით, საკმაოდ გვიჩვენებს, თუ როგორი იყო მათი მდგომარეობა ამ უფლებების მიღებამდე. ადამიანები, რომელთაც პრივილეგიად ებოძებოდა უფლება, გაეთხოვებინათ თავიანთი ქალიშვილები ბატონის ნებართვის უთხოვნელად, სიკვდილის შემდეგ თავისი ქონება დაეტოვებინათ საკუთარი შვილისათვის და არა ბატონისათვის და თავისი საკუთრება სურვილისამებრ ეანდერძათ, – ეს ადამიანები ამ პრივილეგიის მიღებამდე მთლად ან თითქმის მთლად ისეთსავე ყმურ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ, როგორც გლეხები იყვნენ სოფლად.

და მართლაც, ეტყობა, ეს იყო ფრიად ღარიბი, დამცრობილი კლასი ადამიანთა, რომელნიც, ჩვენი დღევანდელი ფეხზე მოვაჭრეებისა და მოტანტალე მეწვრილმანეების მსგავსად, თავიანთი საქონლით გადადიოდნენ ადგილიდან ადგილზე და ბაზრიდან ბაზარზე. მაშინ, როგორც აზიის ზოგ თათრის სახელმწიფოში ამჟამად, ყველა ევროპის სახელმწიფოში ბაჟს იღებდნენ მგზავრობასა და საქონელზე, როდესაც ისინი გაივლიდნენ განსაზღვრულ საბატონო მიდამოში, გადაივლიდნენ განსაზღვრულ ხიდებს, გაიტანდნენ თავიანთ საქონელს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ბაზარზე, ააგებდნენ ამ საქონლის გასაყიდად ქოხებს ან ფარდულებს. ამ სხვადასხვა გადასახადს ინგლისში საგზაო და სახიდო ბაჟი, საწონო საფასური და სადუქნო გადასახადი ეწოდებოდა. ზოგჯერ მეფე, აგრეთვე დიდი მებატონეც, რომელსაც, ეტყობა, განსაზღვრულ შემთხვევებში ჰქონდა ამის უფლება, სრულიად ათავისუფლებდნენ ამ ბაჟებისგან ცალკეულ ვაჭრებს, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც მათ სამკვიდრებელში ცხოვრობდნენ. ასეთი ვაჭრები, თუმცა სხვა მხრივ მათი მდგომარეობა არ განირჩეოდა, ან თითქმის არ განირჩეოდა ყმების მდგომარეობისაგან, თავისუფალ ვაჭრებად იწოდებოდნენ. სამაგიეროდ ისინი უხდიდნენ თავიანთ მფარველს ერთგვარ წლიურ სასულო

ხარკის მსგავს გადასახადს. იმ ხანაში მფარველობას იშვიათად გაუწევდნენ სანაზღაუროს გადაუხდევინებლად, და ალბათ, ეს ხარკი უნდა ჩაითვალოს იმის სამაგიეროდ, რასაც მათი მფარველი მებატონეები დანარჩენი ბაჟისაგან მათი განთავისუფლების გამო კარგავდნენ. როგორც ჩანს, თავდაპირველად ამ სასულო ხარკს, ისე როგორც აღნიშნულ განთავისუფლებასაც, საერთოდ ჰქონდა მხოლოდ პირადი ხასიათი და მარტოოდენ ცალკეულ პირებზე ვრცელდებოდა მათი სიცოცხლის განმავლობაში ანდა იმ ვადით, რა ვადითაც ამას მათი მფარველი მებატონე ინებებდა. იმ მეტისმეტად არასრულ ცნობებში რომლებიც *Domesday-book*-დანაა აღებული, გამოქვეყნებული არის და ინგლისის ზოგ ქალაქს შეეხება, ხშირად მოხსენებულია ხან ბაჟი, რომელსაც ესა თუ ის ცალკეული მოქალაქენი უხდიდნენ მეფეს ან რომელსამე სხვა დიდ მემამულეს ამგვარი მფარველობისათვის, ხანაც მხოლოდ საერთო ჯამი ყველა ასეთი გადასახადისა.

მაგრამ რაგინდ ყმური ყოფილიყო თავდაპირველად ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობა, მაინც ცხადია, რომ მათ გაცილებით უფრო ადრე მოიპოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ვიდრე გლეხებმა სოფლად. მეფის შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მიიღებოდა ასეთი სასულო ხარკის გადახდევინებით რომელსამე ქალაქში, ჩვეულებრივ იჯარით ეძლეოდა რამდენიმე წლით და განსაზღვრულ თანხად საგრაფოს შერიფს ან სხვა პირთ. ხშირად თვითონ მოქალაქეებს ჰქონდათ ისეთი ნდობა მოპოვებული, რომ მათ აძლევდნენ იჯარით ამგვარ შემოსავალს, რომელიც მათი ქალაქიდან იყო მისაღები, და ამ შემთხვევაში ყველა ისინი ერთნაირად პასუხისმგებელნი იყვნენ მთელი თანხის გადახდისათვის. მე მგონია, ევროპის ყველა ქვეყნის მეფეებს ძალიან მოხერხებულად და ხელსაყრელად მიაჩნდათ ასეთი იჯარა; ისინი ხშირად მთელ საბატონო მამულებს აძლევდნენ იჯარით იქაურ გლეხებს, რომელნიც ყველანი ერთპირად კისრულობდნენ პასუხისმგებლობას მთელი საიჯარო ფასის გადახდისათვის; ამის სამაგიეროდ მათ უფლება ჰქონდათ იმგვარად მოეწყოთ მისი გადახდევინება, როგორც სურდათ, და თვითონ შეეტანათ მეფის ხაზინაში თავიანთი წარმომადგენლის საშუალებით; ამით ისინი თავიდან იცილებდნენ მეფის მოხელეების უნამუსო მოპყრობას, ეს კი იმ დროს მნიშვნელოვან გარემოებად ითვლებოდა.

თავდაპირველად იჯარა, ალბათ, გაიცემოდა მოქალაქეებზე, ისე როგორც სხვა მოიჯარადეებზე, მხოლოდ განსაზღვრული ვადით, მაგრამ დროთა განმავლობაში, ეტყობა, საერთო ჩვეულებად იქცა იჯარის გაცემა უვადოდ, ე. ი. სამუდამოდ, და თან გადასახდელად უცვლელი რენტის დაწესებით, რაც შემდეგში ვერასოდეს ვერ გაიზრდებოდა. და რადგან მუდმივი ხასიათი მიიღო გადასახადმა, მუდმივი ხასიათი მიიღო, რასაკვირველია, იმ შეღავათებმაც, რომლებისთვისაც იგი გადაიხდებოდა. ამიტომ ამ შეღავათებს დაეკარგა პირადი ხასიათი და შემდეგში ისინი აღარ განიხილებოდა ცალკეულ პირთა, არამედ როგორც განსაზღვრული ქალაქის მოქალაქეთა უფლებად; ქალაქმა ამის გამო მოიპოვა თავისუფალი ქალაქის სახელწოდება იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც მის მცხოვრებთ თავისუფალი მოქალაქეები ანუ თავისუფალი ვაჭრები ეწოდა.

ქალაქისათვის ამ სახელწოდების ბოძებასთან ერთად ჩვეულებრივ მის მოქალაქეებს ენიჭებოდა ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი პრივილეგიები: უფლება მათი ქალიშვილების გათხოვებისა, მათი შვილების მიერ მემკვიდრეობის მიღებისა და თვით მათ მიერ საკუთარი ქონების გაცემისა ანდერძის გზით. მე არ ვიცი, ეძლევოდა თუ არა წინათ ასეთი პრივილეგიები ვაჭრობის თავისუფლებასთან ერთად ცალკეულ მოქალაქეთ, როგორც ცალკეულ პირთ. ვფიქრობ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, თუმცა არ ძალმიძს ამისათვის რაიმე პირდაპირი საბუთის მოყვანა. მაგრამ ეს როგორც უნდა ყოფილიყოს, რამდენადაც მოქალაქენი თავისუფლდებოდნენ ყმობისა და მონობის მთავარი ნიშნებისაგან, ისინი ხდებოდნენ ნამდვილად თავისუფალნი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით.

და ეს კიდევ არაა ყველაფერი. ჩვეულებრივ, ისინი იმავე დროს ერთიანდებოდნენ თემში ანუ კორპორაციაში, რომელმაც მიიღო პრივილეგია, ჰყოლოდა საკუთარი მოსამართლეები და საქალაქო საბჭო, გამოეცა კანონები ქალაქის ცხოვრების მოსაწესრიგებლად, აეგო გალავანი ქალაქის დასაცავად და დაექვემდებარებინა ყველა მისი მცხოვრები განსაზღვრული სამხედრო დისციპლინისადმი, დაეკისრებინა მათთვის საგუშაგო და სამცველო სამსახური, ე. ი., როგორც ეს მაშინ ესმოდათ, იმ გალავნის დღე და ღამ ყარაულობა და დაცვა შესაძლებელი თავდასხმისაგან. ინგლისში ასეთი ქალაქების მცხოვრებნი ჩვეულებრივ არ ექვემდებარებოდნენ ოლქის და საგრაფოს სასამართლოს: და ყველა დავას, რომელიც მათ შორის წამოიჭრებოდა იმათ გამოკლებით, რაც სამეფო ხელისუფლებას შეეხებოდა, მათი საკუთარი მსაჯულები არჩევდნენ. სხვა ქვეყნებში მათ ხშირად გაცილებით უფრო დიდი და უფრო ფართო სამსაჯულო სფერო ჰქონდათ მიკუთვნილი.

აუცილებელი იყო, რომ იმ ქალაქებს, რომელთაც იჯარით ჰქონდათ აღებული თავიანთ მცხოვრებთაგან გადასახადების მოკრეფა, მინიჭებოდა ერთგვარი იძულებითი ძალა და სამოსამართლო უფლებები, რათა მათ შესძლებოდათ აეძულებინათ თავიანთი მოქალაქეები გადაეხადათ გადასახდელი. იმ არამტკიცე უფლებრივი წყობილების ხანაში ძალიან უხერხული იქნებოდა, რომ ეს ქალაქები იძულებული ყოფილიყვნენ სხვა სასამართლო დაწესებულებაში ეძებათ სამართალი. მაგრამ საკვირველად კი უნდა გვეჩვენებოდეს, რომ ევროპის ყველა ქვეყნის მეფეები თმობდნენ, მტკიცედ განსაზღვრული რენტის გულისთვის, რომელიც შემდეგში ვერ გადიდდებოდა. თავიანთი შემოსავლის იმ დარგს, რომლის გაზრდა ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო მოვლენების ბუნებრივი მსვლელობისას, მათი მხრივ ყოველგვარი ხარჯისა და ზრუნვის გარეშე და, გარდა ამისა, ისინი ამ გზით ერთგვარ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს ქმნიდნენ თავიანთი საკუთარი სამფლობელოს შიგნით.

ამის გასაგებად, საჭიროა გავიხსენოთ, რომ მაშინ, იქნებ ევროპის არც ერთი ქვეყნის მეფეს არ შესწევდა ძალღონე მთელი თავისი სამფლობელოს ტერიტორიაზე დიდი ფეოდალების შევიწროებისაგან დაეცვა თავის ქვეშევრდომთა უფრო სუსტი ნაწილი, რომელთა დაცვაც კანონს არ შეეძლო და საკმაოდ ძლიერნი არ

იყვნენ რომ თვითონ დაეცვათ თავიანთი თავი, იძულებული იყვნენ ან რომელიმე დიდი ფეოდალის მფარველობისათვის მიემართათ და ამის მისაღებად მისი ყმები ან ვასლები გამხდარიყვნენ ანდა შეკავშირებულიყვნენ ერთმანეთთან ერთობლივი დაცვისათვის. ქალაქებისა და დაბების მცხოვრებთ, თითოეულისას ცალკე, არ შესწევდათ ძალა თავის დასაცავად, მაგრამ თავდასაცავად მეზობლებთან შეკავშირებულთ, შეეძლოთ არა მცირედი წინააღმდეგობის გაწევა. ფეოდალებს სძაგდათ მოქალაქეები, ისინი მათ უცქერდნენ არა როგორც ადამიანთა სხვა კლასს, არამედ აგრეთვე როგორც განთავისუფლებულ მონათა ბრბოს, როგორც თითქმის სხვა მოდგმის ხალხს, ვიდრე თვითონ იყვნენ. მოქალაქეთა სიმდიდრე მათში იწვევდა ყოველთვის შურს და გულისწყრომას და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში სძარცვავდნენ შეუბრალებლად და სინდისის უქენჯნელად. მოქალაქეებს, რასაკვირველია, სძულდათ ფეოდალები და ეშინოდათ მათი. მეფესაც სძულდა ისინი და ეშინოდა მათი; რაც შეეხება მოქალაქეებს, მას შეეძლო ისინი სძაგებოდა, მაგრამ არ ჰქონდა მიზეზი მათი სიძულვილისა ან შიშისათვის. ამიტომ ინტერესთა ერთიანობა უკარნახებდა მოქალაქეებს – დახმარებოდნენ მეფეს, ხოლო მეფე – დახმარებოდა მოქალაქეებს ფეოდალების წინააღმდეგ. მოქალაქეები მისი მტრების მტრები იყვნენ და მისი ინტერესი მოითხოვდა, რომ მას შეძლებისამებრ უზრუნველეყო მათი უშიშროება და დამოუკიდებლობა ამ მტრებისაგან. რაკი აძლევდა იგი მათ უფლებას, ჰყოლოდათ საკუთარი მოსამართლეები, გამოეცათ თავიანთი კანონები მართვა-გამგეობის მიზნით, აეგოთ გალავნები თავდასაცავად, დაექვემდებარებინათ ქალაქის მცხოვრებნი ერთგვარი სამხედრო დისციპლინისადმი, ამით მეფე აძლევდა მოქალაქეებს მათი უშიშროებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ბარონების მხრივ ყველა საშუალებას, რისი მიცემაც კი მას შეეძლო. რაიმე ამგვარი რეგულარული მთავრობის დაუწესებლად, განსაზღვრული ძალაუფლების გარეშე, რომ მოქალაქენი აეძულებინათ ასეთი თუ ისეთი გეგმის მიხედვით სამოქმედოდ, ერთობლივი დაცვის მიზნით შექმნილი, ვერავითარი ნებაყოფლობითი გაერთიანება ვერ უზრუნველყოფდა მათ რამდენადმე მტკიცე უშიშროებას ან ვერ აღმოაჩენინებდა მათ რამდენადმე მნიშვნელოვან დახმარებას მეფისათვის სამუდამოდ. აძლევდა რა ქალაქებს მათ მცხოვრებთაგან გადასახადების აკრეფის იჯარას, მეფე იმათ, ვინც მას სურდა ჰყოლოდა თავის მეგობრად ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოკავშირეებად, ამით უსპობდა ყოველ საბაბს შიშისა და ეჭვისათვის, რომ იგი ოდესმე შემდეგში შეავიწროებდა მათ ქალაქის საიჯარო რენტის გადიდებით ან მისი გადაცემით სხვა მოიჯარადეზე.

ამიტომ მეფეები, რომელნიც ცუდ განწყობილებაში იყვნენ თავიანთ ბარონებთან, ეტყობა, ძალიან ხელგაშლილობას იჩენდნენ თავიანთი ქალაქებისათვის ამგვარი პრივილეგიების ბოძების საქმეში. მაგალითად, ინგლისის მეფე იოანე, როგორც სჩანს, ფრიად კეთილისმყოფელი იყო თავისი ქალაქებისა. საფრანგეთის მეფემ ფილიპე I-მა დაკარგა ყოველი ძალაუფლება ბარონების მიმართ. მისი მეფობის დასასრულს მისი შვილი ლუი, რომელიც შემდეგში ლუი სქელის სახელით იყო ცნობილი, როგორც მამა დანიელი გადმოგვცემს, ეთათბირა მისი სამეფოს

ეპისკოპოსებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გამოსადეგი იქნებოდა დიდი ფეოდალების ასალაგმავად. მათ წარუდგინეს ორი პროექტი. ერთი პროექტით მას ურჩევდნენ შემოეღო სამართლის ახალი წესი და ამისათვის თავისი სამეფოს თითოეულ მნიშვნელოვან ქალაქში დაენიშნა მოსამართლეები და საქალაქო საბჭო. მეორე პროექტი გულისხმობდა ახალი მილიციის დაარსებას. ამ ქალაქების მცხოვრებთ საჭირო შემთხვევებში უნდა შეედგინათ ლაშქარი და მათი საკუთარი მმართველობის წარმომადგენელთა წინამძღოლობით გასულიყვნენ მეფის დასახმარებლად. საფრანგეთის ისტორიკოსთა ცნობების თანახმად, სწორედ ამ დროს ეკუთვნის მოსამართლეებისა და საქალაქო საბჭოების დაწესება საფრანგეთში. ასევე შვაბთა გვარის მეფეთა ბედკრული მმართველობის დროს მიიღო თავისუფალ ქალაქთა უდიდესმა ნაწილმა თავისი პრივილეგიები და განთქმულმა ჰანზის კავშირმა პირველად მოიპოვა თავისი ძალა და მნიშვნელობა.

ქალაქების მილიცია იმ ხანებში, როგორც ეტყობა, არ ჩამოუვარდებოდა სოფლის მილიციას, და ვინაიდან უეცარი საჭიროების წარმოშობისას იგი შეიძლებოდა უფრო სწრაფად შეკრებილიყო, ეს გარემოება ხშირად უპირატესობას ანიჭებდა მოქალაქეებს მეზობელ ფეოდალებთან ჩხუბის დროს. ისეთ ქვეყნებში, როგორიც იტალია და შვეიცარიაა, სადაც, მთავრობის რეზიდენციის სიშორის გამო ამ ქვეყნის ბუნებრივი სიმაგრის გამო ანდა რაიმე სხვა მიზეზით, მეფემ თანდათან სრულიად დაკარგა ძალაუფლება, ქალაქები, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი რესპუბლიკები გახდნენ, დაიმორჩილეს ახლო-მახლო მიდამოების თავადაზნაურობა, აიძულეს მოეშალა თავისი ციხე-დარბაზები და, სხვა მშვიდობიან მცხოვრებთა მსგავსად, ქალაქში დასახლებულიყო. ასეთია მოკლედ ბერნის რესპუბლიკის ისტორია, ისე, როგორც შვეიცარიის ზოგი სხვა ქალაქისა. ვენეციის გამოკლებით, რომლის ისტორია ცოტათი განსხვავებულია, ასეთივე იყო ისტორია იტალიის ყველა მნიშვნელოვან რესპუბლიკათა, რომელნიც ისე მრავლად ჩნდებოდნენ და ჰქრებოდნენ XII საუკუნის ბოლოდან დაწყებული XVI საუკუნის დასაწყისამდე.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთი და ინგლისია, სადაც მეფის ძალაუფლება თუმცა ხშირად შესუსტებული იყო, მაგრამ სრულიად გამქრალი არასოდეს არ ყოფილა, ქალაქებს შემთხვევა არ ჰქონიათ დამოუკიდებელი გამხდარიყვნენ. მაგრამ მათ მაინც ისეთი ძალა და მნიშვნელობა მოიპოვეს, რომ მეფეს არ შეეძლო, მათი თანხმობის გარეშე აეღო მათგან რაიმე ხარკი, გარდა იმ მტკიცედ განსაზღვრული საიჯარო რენტისა, რომელიც მას ქალაქისაგან ერგებოდა. ამიტომ მათ მოუწოდებდნენ ხოლმე, თავიანთი დეპუტატები გაეგზავნათ სამეფოს წოდებათა საერთო კრებაში, სადაც განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, მათ შეეძლოთ სამღვდელოებასა და ბარონებთან ერთად თანხმობა განეცხადებინათ მეფისათვის არაჩვეულებრივი სუბსიდიის მიცემაზე. ამასთან, რადგან ქალაქებში მეტწილად სამეფო ხელისუფლებას თანაუგრძნობდნენ, როგორც ეტყობა, მეფე ხშირად მათ დეპუტატებს ეყრდნობოდა ამ კრებებში დიდი ფეოდალების ძალის

შესასუსტებლად. ასე წარმოიშვა ქალაქების წარმომადგენლობა ევროპის ყველა დიდი მონარქიის წოდებათა კრებებში.

ამგვარად, წესრიგი და ნორმალური მმართველობა და მასთან ერთად პიროვნების თავისუფლება და დამოუკიდებლობა ქალაქებში დამყარდა იმ დროს, როდესაც სოფლის მცხოვრებლები ჯერ კიდევ ყოველგვარ ძალმომრეობას განიცდიდნენ. ადამიანები, რომელნიც ასეთ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმას სჯერდებიან, რაც აუცილებლად საჭიროა თავის რჩენისათვის, ვინაიდან, თუ ამაზე მეტს შეიძენდნენ, მხოლოდ გააღვივებდნენ მათ მჩაგვრელთა უსამართლობას. პირიქით, თუ მათ უზრუნველყოფილი აქვთ მათი შრომის ნაყოფით სარგებლობა, ისინი, რასაკვირველია, ამ შრომას გამოიყენებენ თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ეცდებიან შეიძინონ არა მარტო აუცილებელი საარსებო საშუალება, არამედ კომფორტისა და ფუფუნების სხვადასხვა საგნებიც. ამიტომ მრეწველობა, რომელსაც მიზნად აქვს აწარმოოს იმაზე მეტი რამ, რაც აუცილებელი საარსებო საშუალებაა, წარმოიშვა საერთოდ ქალაქებში ბევრად უფრო ადრე, ვიდრე იგი გავრცელდებოდა სოფლის მცხოვრებლებში. თუ ბატონყმური მონობით დაჩაგრულ ღარიბ მიწათმოქმედს, მცირეოდენი კაპიტალი მოუგროვდებოდა ხელში, იგი, რა თქმა უნდა, დიდი გულმოდგინებით ცდილობდა დაემალა თავისი ბატონისათვის, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეპატრონებოდა და პირველი მოხერხებული შემთხვევისთანავე გაპარულიყო ქალაქში. კანონი იმხანად ისე ლმობიერი იყო ქალაქის მცხოვრებლების მიმართ და ისე ცდილობდა შეესუსტებინა ფეოდალების ძალაუფლება სოფლის მოსახლეობის მიმართ, რომ თუ ასეთი ლტოლვილი მოახერხებდა დამალვოდა თავის ბატონს ერთი წლის განმავლობაში, იგი სამუდამოდ თავისუფალი ადამიანი ხდებოდა. ამიტომ მთელი ის კაპიტალი, რომელიც მოუგროვდებოდა სოფლის მოსახლეობის შრომისმოყვარე ნაწილს, ბუნებრივად ეძიებდა თავშესაფარს ქალაქში, – ერთადერთ ადგილას, სადაც ამ კაპიტალის გამოყენება უზრუნველყოფილი იყო მისი შემძენელისათვის.

ქალაქის მცხოვრებლებმა, მართალია, ბოლოს და ბოლოს სოფლიდან უნდა მიიღონ ყოველთვის თავიანთი სარჩო და მრეწველობის ყველა ნედლი მასალა და საშუალება, მაგრამ ისეთი ქალაქის მცხოვრებნი, რომელიც ზღვის ან სანაოსნო მდინარის ნაპირას არის გაშენებული, იძულებული არ არიან აუცილებლად ახლობელი სოფლებიდან მიიღონ ყველაფერი ეს. მათ ბევრად უფრო ფართო სარბიელი აქვთ და შეუძლიათ მიიღონ ყველაფერი დედამიწის უშორესი კუთხეებიდან ან თავიანთი მზა სამრეწველო პროდუქტების გაცვლის გზით, ანდა მით, რომ შუამავლის როლს შეასრულებენ და ერთი ქვეყნის პროდუქტებს მეორე ქვეყნის პროდუქტებზე გაცვლიან. ამ გზით ქალაქს შეეძლო გამხდარიყო მდიდარი და ძლიერი, მაშინ როდესაც არა თუ მის ირგვლივ, არამედ ის ქვეყნებიც, რომლებთანაც ის ვაჭრობას ეწეოდა, რჩებოდნენ სიღარიბესა და დაცემულობაში. თითოეულ ამ ქვეყანას, ცალკე აღებულს, შეეძლო, ქალაქისთვის საჭირო საარსებო საშუალებათა მხოლოდ მცირეოდენი ნაწილის მოცემა ან მისი შრომის

მხოლოდ მცირე ნაწილის მიმართ მოთხოვნის წარმოდგენა, მაგრამ ყველა მათ, ერთად, შეეძლოთ მისი სრულად დაკმაყოფილება ერთი მხრივაც და მეორე მხრივაც. ძველი დროის ვაჭრობის ვიწრო ფარგალში იყვნენ მაინც ქვეყნები, რომელნიც გამოირჩეოდნენ სიმდიდრითა და მრეწველობით. ასეთი იყო საბერძნეთი, ვიდრე არსებობდა საბერძნეთის სახელმწიფო, აგრეთვე სარაცინთა სახელმწიფო აბასიდების მეფობის დროს. ასეთივე იყო ეგვიპტე, ვიდრე მას თურქები დაიპყრობდნენ, ბერბერეთის სანაპიროების ნაწილი და ესპანეთის ყველა პროვინცია, რომლებსაც მავრები ფლობდნენ.

ევროპის ქალაქებიდან, როგორც ეტყობა, პირველად იტალიის ქალაქებმა მიაღწიეს ვაჭრობის მეოხებით სიმდიდრის რამოდენადმე მნიშვნელოვან დონეს. იტალია მდებარეობს იმ ნაწილის შუაგულში, რომელიც მაშინ მსოფლიოს ერთადერთ განვითარებულ და ცივილიზებულ ნაწილს წარმოადგენდა. თუმცა ჯვაროსანთა ლაშქრობას, ვეება კაპიტალის განიავებისა და მცხოვრებთა განადგურების გამო, რაც მან გამოიწვია, აუცილებლად უნდა შეეფერხებინა ევროპის უდიდესი ნაწილის განვითარება, მაგრამ იტალიის ზოგი ქალაქის განვითარებაზე მაინც მეტისმეტად სასიკეთო გავლენა იქონია. დიდმა ლაშქრებმა, რომელნიც დაიძრნენ ყველა მხარედან წმინდა მიწის დასაპყრობად, უაღრესად ძლიერი სტიმული მისცეს ვენეციის, გენუისა და პიზის ნაოსნობის განვითარებას, რამდენადაც ამ ქალაქებიდან ხდებოდა ჯარების გადაყვანა აღმოსავლეთში და შემდეგ მათი მუდმივი მომარაგება სურსათით. ეს ქალაქები იყვნენ ამ ჯარების, ასე ვთქვათ, ინტენდანტები, და ამგვარად ყველაზე უფრო გამანადგურებელი სიგიჟე, რომელიც კი ოდესმე მოსდებია ევროპის ხალხებს, ამ რესპუბლიკების სიმდიდრის წყარო გახდა.

სავაჭრო ქალაქების მცხოვრებლებს შემოჰქონდათ უფრო მდიდარი ქვეყნებიდან სათუთი სამრეწველო პროდუქტები და ფუფუნების საგნები, და ამით საკვებს აძლევდნენ მსხვილ მემამულეთა მედიდურობას, რომელნიც მათში თავიანთი მიწების ნედლ პროდუქტთა დიდ რაოდენობას იძლეოდნენ. ამის გამო ევროპის დიდი ნაწილის ვაჭრობა იმხანად უმთავრესად მისი ნედლი პროდუქტების ცივილიზებული ერების სამრეწველო პროდუქტებზე გაცვლას მოიცავდა. ასე, ინგლისის მატყლი იცვლებოდა საფრანგეთის ღვინოებზე და ფლანდრიის წმინდა მაუდზე, ისე როგორც ამჟამად პოლონეთის პური იცვლება საფრანგეთის ღვინოსა და ლიკიორზე და საფრანგეთისა და იტალიის აბრეშუმსა და ხავერდზე.

ამგვარად, უფრო სათუთი და გაუმჯობესებული სამრეწველო პროდუქტების გამო გაუხსნა საგარეო ვაჭრობამ იმ ქვეყნებს, სადაც ასეთ პროდუქტებს აწარმოებდნენ. ხოლო როდესაც ამ პროდუქტების ხმარება ისე საყოველთაოდ გავრცელდა, რომ გამოიწვია დიდი მოთხოვნა მათ მიმართ, ვაჭრები, ტრანსპორტის ხარჯების დაზოგვის მიზნით, ბუნებრივია, შეეცადნენ თავიანთ ქვეყანაში გაემართნათ ზოგი ამ პროდუქტის წარმოება. ასეთია წარმოშობა პირველი მანუფაქტურებისა შორეული ბაზრისათვის, რომელნიც, როგორც ჩანს, ევროპის დასავლეთ პროვინციებში გაჩნდნენ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი დიდი ქვეყანა არასოდეს არ არსებობდა და არც შეეძლო არსებობა ისე, რომ არ ჰქონებოდა რაიმე სამრეწველო წარმოება; და როდესაც ამბობენ, ამა თუ იმ ქვეყანას მრეწველობა არა აქვსო, ეს ყოველთვის ისე უნდა გვესმოდეს, რომ მას არა აქვს მრეწველობა, რომელიც აწარმოებს უფრო სათუთ და გაუმჯობესებულ ფაბრიკატებს ანუ რომელიც აწარმოებს შორეული ბაზრისათვის. ყოველ ქვეყანაში ხალხის დიდი უმრავლესობის ტანსაცმელი და საშინაო მოწყობილობა – ავეჯეულობა მისი საკუთარი შრომის პროდუქტს წარმოადგენს. ეს უფრო მეტად შეეხება ღარიბ ქვეყნებს, რომელთაც ჩვეულებრივ, სრულიად არა აქვთ მრეწველობა, ვიდრე მდიდარ ქვეყნებს, რომელთა მიმართ იგულისხმება, რომ ეს მრეწველობა მათ ჭარბად მოეპოვებათ. ამ უკანასკნელებში თქვენ ნახავთ, რომ დაბალი კლასების ტანსაცმელისა და ავეჯეულობის გაცილებით უფრო დიდი ნაწილი საზღვარგარეთ წარმოებული პროდუქტებისგან შედგება, ვიდრე ქვეყნებში.

ის მანუფაქტურები, რომელნიც გამოსადეგნი არიან შორეულ ბაზარზე პროდუქტების გასასაღებლად, სხვადასხვა ქვეყნებში წარმოიშვა, როგორც ეტყობა, ორი სხვადასხვა გზით.

ზოგჯერ ეს მანუფაქტურები შეიქმნა ცალკეულ ვაჭართა და მეწარმეთა კაპიტალის, ასე ვთქვათ, ძალადობითი მოქმედებით, რომლებიც მათ აფუძნებდნენ ამგვარი უცხო მანუფაქტურების მიბაძვით. ეს მანუფაქტურებია, როგორც ჩანს, აბრეშუმის, ხავერდისა და ფარჩის ძველი მანუფაქტურები, რომელნიც ლუკაში ჰყვაოდნენ XII საუკუნეში. ისინი განდევნილ იქნენ იქიდან მაკიაველის ერთერთი გმირის, კასტრუჩიო კასტრაკანის მტარვალობით. 1310 წელს ლუკიდან განდევნილ იქნა 900 ოჯახი, რომელთაგან 31 ვენეციაში გადავიდა, სადაც მათ წინადადება შეიტანეს, აბრეშუმის მანუფაქტურას დავაფუძნებთო. მათი წინადადება მიღებულ იქნა; მრავალი პრივილეგიაც მიიღეს და დაიწყეს წარმოება 300 მუშით. ასეთი იყო, როგორც ჩანს, წმინდა მაუდის მანუფაქტურები, რომელნიც ძველად ყვაოდნენ ფლანდრიაში და ინგლისში შემოიღეს ელისაბედის მეფობის დასაწყისში; ასეთივეა თანამედროვე მანუფაქტურები ლიონსა და სპიტალფილდში. ამგვარად დაფუძნებული მანუფაქტურები, რადგან ისინი უცხოეთის მანუფაქტურებს ბაძავდნენ, ჩვეულებრივ მუშაობდნენ უცხო ნედლეულზე. პირველად, როდესაც ვენეციის მანუფაქტურა მოეწყო, ყველა საჭირო მასალა სიცილიიდან და ლევანტიდან მოჰქონდათ. უფრო მანუფაქტურა ლუკაში საზღვარგარეთის მასალებზე მუშაობდა. თუთის ხეების გაშენება და აბრეშუმის ჭიის გამოყვანა არ იყო, როგორც ჩანს, XVI საუკუნემდე სამხრეთ იტალიაში გავრცელებული. საფრანგეთში ამ მოსაქმეობას ხელი მიჰყვეს მხოლოდ კარლოს IX-ის მეფობის დროს. ფლანდრიის მანუფაქტურები უმთავრესად ესპანეთის და ინგლისის მატყლის გადამუშავებას ეწეოდნენ. თუ ესპანეთის მატყლი ინგლისის პირველი საშუალო მანუფაქტურის ნედლეულს არ შეადგენდა, იგი ნედლეული იყო იმ პირველი მანუფაქტურისთვის, რომელიც ვარგის პროდუქტს ამზადებდა შორეულ ბაზარზე გასაყიდად. ლიონის მანუფაქტურის ნახევარზე მეტი მასალა უცხოეთში მოყვა-

ნილი აბრეშუმია. სპიტალფილდის მანუფაქტურების მიერ ხმარებული მასალის არავითარი ნაწილი თვით ინგლისში არაა წარმოებული. ასეთი მანუფაქტურების ადგილსამყოფელი, რადგან მათი აგება კერძო პირთა გეგმისა და პროექტის თანახმად ხდება, ზოგჯერ ზღვის სანაპირო ქალაქია, ზოგჯერაც ქალაქი ქვეყნის შიგნით, იმის მიხედვით, როგორც გადაუწყვეტია ეს იმ კერძო პირთა ინტერესს, მოსაზრებას თუ კაპრიზს.

სხვა ხანებში შორეული ბაზრისთვის მომუშავე მანუფაქტურები წარმოიშობა ბუნებრივად, ასე ვთქვათ, თავისთავად, იმ შინაური და უხეში მანუფაქტურების შედეგად, რომლებიც უაღრესად ღარიბ და უკულტურო ქვეყნებშიც კი უნდა არსებობდეს. ასეთი მანუფაქტურები ჩვეულებრივ იმ ნედლეულს ხმარობენ, რომელსაც მოცემული ქვეყანა აწარმოებს, და, როგორც ჩანს, ისინი ხშირად უფრო სათუთი პროდუქტების დამამზადებელი პირველი დაწესებულებებია ისეთ კონტინენტურ ქვეყნებში, რომელნიც მდებარეობით თუ ძალიან არა, მაინც მნიშვნელოვნად დაშორებულნია ზღვის ნაპირს და ზოგჯერ ყოველგვარ სანაოსნო წყლებსაც. კონტინენტური ქვეყანა, რომელიც ბუნებით ნაყოფიერია და ადვილად დასამუშავებელი არის, იმაზე ბევრად გარდანამეტ სურსათს აწარმოებს, რაც მის მიწათმოქმედთა არსებობისთვისაა საჭირო: ხმელეთით გადაზიდვის სიძვირისა და სამდინარო ტრანსპორტის მოუხერხებლობის გამო ხშირად შეიძლება საძნელო აღმოჩნდეს ამ გარდანამეტის გაგზავნა საზღვარგარეთ. ამრიგად, სიუხვე იაფს ხდის სურსათს და სტიმულს აძლევს მრავალ მშრომელს ახლოს დასახლდნენ, ვინაიდან ისინი ხედავენ, რომ მათ სამრეწველო მოსაქმეობას შეუძლია მეტი საარსებო საშუალება და კომფორტის საგნები მოაპოვებინოს მათ აქ, ვიდრე სხვა ადგილას. ისინი ეწევიან მანუფაქტურის იმ მასალის გადამუშავებას, რომელსაც მიწა წარმოშობს და თავიანთ მზა პროდუქტებს ანუ, რაც იგივეა, მათ ფასს სცვლიან ახალ მასალასა და სურსათზე. ისინი ახალ ღირებულებას აძლევენ გარდანამეტ ნედლეულს, ზოგავენ რა ლამის ზღვამდე ან შორეულ ბაზრამდე გადაზიდვის ხარჯს. ისინი მის სამაგიეროდ მიწათმოქმედებს აძლევენ ისეთ საგნებს, რომლებიც სასარგებლო ან სასურველია მათთვის და ამასთანავე უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე მათ შეეძლოთ წინათ მათი მოპოვება. მიწათმოქმედნი უკეთეს ფასს იღებენ თავიანთ გარდანამეტ პროდუქტში და შესაძლებლობა აქვთ უფრო იაფად შეიძინონ მოხმარების სხვა საგნები, რომლებიც მათ სჭირდებათ. ამგვარად, ეს სტიმულს უქმნის მათ, შესაძლებლობას აძლევს გაადიდონ ამ გარდანამეტი პროდუქტის რაოდენობა მიწის შემდგომი გაუმჯობესებისა და უკეთესი დამუშავების გზით. და თუ მიწის ნაყოფიერებამ წარმოშვა მანუფაქტურა, ამ მანუფაქტურის განვითარება, თავის მხრივ, უკუმოქმედებს მიწაზე და კიდევ უფრო ადიდებს მის ნაყოფიერობას. მემანუფაქტურეები პროდუქტებს პირველად აწვდიან ახლო ადგილებს, შემდეგ რამდენადაც მათი წარმოება ვითარდება და უმჯობესდება, – უფრო შორეულ ბაზრებსაც, ვინაიდან თუ ნედლეულსაც და უხეშ სამრეწველო ნაწარმსაც უაღრესად გაუჭირდებოდა ხმელეთით დიდ მანძილზე ტრანსპორტის ხარჯის ატანა, ამის ატანა ძალიან კარგად შეუძლია მრეწველობის

უფრო სათუთ და სრულყოფილ პროდუქტებს. ისინი ხშირად მცირე მოცულობასა, დასით შეესაბამებიან ნედლეულის დიდ რაოდენობას. ერთი თოფი წმინდა მაუდი, მაგალითად, რომელიც 80 გირვანქას იწონის, შეიცავს არა თუ 80 გირვანქა მატყლის ფასს, არამედ იმ რამდენიმე ათასი გირვანქა პურის ფასსაც, რომელიც მუშებისა და მათი უშუალო დამქირავებლის შენახვაზეა დახარჯული. ამგვარად პური, რომელიც მისი ბუნებრივი სახით მხოლოდ ძნელად შეიძლებოდა გაზიდულიყო საზღვარგარეთ, ფაქტიურად სამრეწველო ნაწარმთა სახით გაიზიდება და ამიტომ ადვილად შეიძლება გაგზავნილ იქნეს მსოფლიოს უშორეს კუთხეებში. ასე ბუნებრივად და თითქოს თავისთავად წარმოიშვა და განვითარდა ლიდსის, ჰალიფაქსის, შეფილდის, ბირმინგ ჰემისა და უოლვერ ჰამპტონის მანუფაქტურები. ეს მანუფაქტურები პირმშონი არიან მიწათმოქმედებისა. ევროპის ახალი დროის ისტორიაში მათი გავრცელება და განვითარება, ჩვეულებრივ, იმ მანუფაქტურების შემდეგ მოხდა, რომელნიც საგარეო ვაჭრობამ წარმოშვა. ინგლისი განთქმული იყო ესპანური მატყლიდან წმინდა მაუდის წარმოებით უკვე ათას წელზე მეტი ხნით ადრე, ვიდრე რომელიმე ის მანუფაქტურა, რომელიც ახლა ჰყვავის ზემოაღნიშნულ ქალაქებში, იმდენად განვითარდებოდა, რომ უცხოეთში გასაყიდად ემუშავნა. ამ უკანასკნელთა განვითარება და გაუმჯობესება შეიძლებოდა მხოლოდ მიწათმოქმედების განვითარებისა და გაუმჯობესების შედეგად, რაც საგარეო ვაჭრობისა და მის მიერ უშუალოდ წარმოშობილი მანუფაქტურების უკანასკნელ და უმთავრეს შედეგს წარმოადგენდა. ამის გარკვევას მე ახლავე შევუდგები.

თავი IV
როგორ უწყობდა ხელს ქალაქების ვაჭრობა სოფლის განვითარებას

სავაჭრო და სამრეწველო ქალაქების ზრდა და სიმდიდრე სამი სხვადასხვა გზით უწყობდა ხელს სოფელ-ადგილების გაუმჯობესებას და კულტურას, სადაც ეს ქალაქები მდებარეობდნენ.

ჯერ ერთი, ვინაიდან დიდ და ახლობელ ბაზარს წარმოადგენდნენ სოფლის ნედლი პროდუქტებისათვის, ეს ქალაქები სტიმულს აძლევდნენ მიწის დამუშავებასა და მის შემდგომ გაუმჯობესებას. ეს დადებითი შედეგი არ იყო შემოფარგლული მარტო იმ მხარით, სადაც ისინი მდებარეობდნენ, არამედ მეტნაკლებად ვრცელდებოდა იმ მხარეებზედაც, რომლებთანაც მათ სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ. ყველა მათგანს ისინი უქმნიდნენ ბაზარს ნედლეულის ან სამრეწველო პროდუქტების განსაზღვრული ნაწილისათვის და, მაშასადამე, ერთგვარ სტიმულს აძლევდნენ მათ მრეწველობასა და კულტურას. მაგრამ მათი საკუთარი მხარე, მისი სიახლოვის გამო, უდიდეს სარგებლობას ღებულობდა ამ ბაზრისაგან. რამდენადაც ამ მხარის ნედლეულს ნაკლები სატრანსპორტო ხარჯი ამძიმებდა, ვაჭრებს შეეძლოთ მასში საუკეთესო ფასი მიეცათ მწარმოებლებისათვის და

მაინც ისეთსავე ფასში მიეწოდებინათ მომხმარებლებისათვის, როგორც უფრო შორეული ადგილების ნედლეული.

მეორე, ქალაქის მცხოვრებლების მიერ შეძენილი სიმდიდრე ხშირად გამოიყენებოდა იმ მიწების საყიდლად, რომლებიც იყიდებოდა და რომელთა დიდი ნაწილი ხშირად დაუმუშავებელი დარჩებოდა. ვაჭრებს, ჩვეულებრივ, სასახელოდ მიაჩნიათ მემამულეები გახდნენ, და როდესაც გახდებიან, ისინი საერთოდ სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესებათა საუკეთესო გამტარებელნი არიან. ვაჭარი დაჩვეულია თავისი ფულის ხარჯვას უმთავრესად მოგებიან პროექტებზე, ხოლო ის, ვინც მარტოოდენ მამამულეა, მხოლოდ მის უსარგებლოდ ხარჯვას არის დაჩვეული. პირველი ხშირად ხედავს, როგორ მიდის მისი ფული და შემდეგ ისევ უბრუნდება მოგებით, ხოლო მეორე, თუ კი იგი გაუშვა ხელიდან, იშვიათად მოელის მის ხელახლა დანახვას. ეს სხვადასხვა ჩვევა, რასაკვირველია, გავლენას ახდენს მათი მოქმედების მანერასა და წესზე პრაქტიკულ საქმეებში. ვაჭარი, ჩვეულებრივ, როგორც მესარეწე, გაბედულია, მემამულე კი – მშიშარა. პირველს არ ეშინია ერთბაშად დიდი კაპიტალი გაიღოს თავისი მიწის გასაუმჯობესებლად, უკეთუ მას საფუძვლიანი იმედი აქვს, რომ ამით მისი ღირებულება გადიდდება გაწეული ხარჯის პროპორციულად; მეორე კი, თუ მას საზოგადოდ აქვს კაპიტალი, – რაც არაა ყოველთვის, – იშვიათად გაბედავს მის ამგვარად დახარჯვას. თუ იგი საერთოდ ახდენს მამულში გაუმჯობესებას, იგი ამას ასრულებს არა კაპიტალით, არამედ იმ თავნით, რომლის მონარჩუნებას მოახერხებს თავისი წლიური შემოსავლიდან. ვისაც ოდესმე უცხოვრია სავაჭრო ქალაქში, რომელიც განუვითარებელი სასოფლო მეურნეობის მქონე ქვეყანაში მდებარეობს, ხშირად უნდა შეემჩნიოს, რომ ვაჭრები გაცილებით უფრო გაბედულად და გონივრულად მოქმედებენ ამ დარგში, ვიდრე ადამიანები, რომელნიც მარტოოდენ მემამულენი არიან. გარდა ამისა, წესრიგს, დამზოგველობას და წინდახედულობას დაჩვევა, რასაც ვაჭრული მოსაქმეობა თავისთავად ასწავლის ვაჭარს, უფრო გამოსადეგს ხდის ამ უკანასკნელს იმისათვის, რომ მოგებითა და წარმატებით განახორციელოს გაუმჯობესების ყოველი პროექტი.

მესამე და უკანასკნელი: ვაჭრობა და მრეწველობა ყოველთვის იწვევდა წესრიგისა და კარგი მმართველობის თანდათანობით დამყარებას და მასთან ერთად პიროვნების თავისუფლებისა და უშიშროების უზრუნველყოფას სოფლის მოსახლეობაში, რომელიც წინათ თავის მეზობელთან თითქმის მუდმივ ომში და მონურ დამოკიდებულებაში ცხოვრობდა მაღლა მდგომთა მიმართ. და თუმცა ყველაზე ნაკლებ შეუმჩნევიათ, ეს იყო უშესანიშნავესი ყველა იმ შედეგიდან, რომლებიც ჰქონდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას. იუმი, რამდენადაც მე ვიცი, ერთადერთი მწერალია, რომელმაც ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას.

იმ ქვეყანაში, რომელსაც არა აქვს არც საგარეო ვაჭრობა და არც გაუმჯობესებული მანუფაქტურები, დიდი მემამულე, რადგან არ მოიპოვება რა, რაზედაც მას შეეძლოს გასცვალოს თავისი მიწების პროდუქტის უდიდესი ნაწილი, რომელიც რჩება მიწის დამმუშავებელთა შენახვის ხარჯების დაფარვის შემდეგ, ამ ნა-

წილს მთლად სოფლურ მასპინძლობაზე ხარჯავს თავის სახლში. თუ ეს გარდანამეტი იმდენად დიდია, რომ საკმარისია ასი ან ათასი ადამიანის შესანახად, მას მისი გამოყენება სხვაგვარად არ შეუძლია, თუ არა იმ გზით, რომ ას ან ათას ადამიანს შეინახავს. ამიტომ მას მუდამ ახვევია მრავალი ამფსონი და დამოკიდებული ადამიანი, რომელნიც, რადგან არა აქვთ არავითარი ეკვივალენტი, რითაც გადაიხდიან თავის შესანახს, და ყველაფერს მისი სიუხვის წყალობით მიიღებენ, უნდა ემორჩილებოდნენ მას იმავე მიზეზის გამო, რა მიზეზითაც ჯარისკაცები ემორჩილებიან მეფეს, რომელიც მათ სასყიდელს აძლევს. ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებამდე ევროპაში მდიდართა და ძალისმქონებელთა სტუმარ-მასპინძლობა, მეფიდან დაწყებული უმცირესი ბარონით გათავებული, აღემატებოდა ყველა იმას, რისი წარმოდგენაც ძალგვიძს ჩვენ დღეს. ვესტმინსტერის სასახლის დარბაზი სასადილო ოთახად ჰქონდა ვილიამ ქარცას, და ხშირად საკმარისიც არ იყო მისი სტუმრების დასატევად. თომა ბეკეტის მორჭმულობის მაჩვენებლად თვლიდნენ იმას, რომ იგი ავდარში სუფთა თივას ან ჭილს დააბნევინებდა თავისი დარბაზის იატაკზე, რათა რაინდებს და სკვაირებს, რომელთათვის სკამები აღარ კმაროდა, მათი კოხტა ტანისამოსი არ გათხუპნოდათ, როცა იატაკზე დასხდებოდნენ სასადილოდ. დიდი გრაფი ვარვიკი, ამბობენ, ყოველდღე 30 000 ადამიანს არჩენდაო თავის სხვადასხვა სასახლეში; იქნეს რიცხვი გაზვიადებულია, მაგრამ იგი მაინც ძალიან დიდი უნდა ყოფილიყო, რათა შესაძლებელი გაეხადა ასეთი გაზვიადება. თითქმის ასეთივე სტუმარ-მასპინძლობა იყო ჩვეულებად სულ უკანასკნელ ხანამდე შოტლანდიის მაღლობის ზოგ ადგილას. იგი, როგორც ეტყობა, ახასიათებს ყველა ხალხს, რომელიც მცირედ იცნობს ვაჭრობას და მრეწველობას. მე ვნახეო, ამბობს დოქტორი პოკოკი, როგორ სადილობდა ქალაქის ქუჩაში არაბეთის ერთ-ერთი მთავარი, რომელიც იქ მოსულიყო თავისი პირუტყვის გასაყიდად და ეპატიჟებოდა ყველა გამვლელს, უბრალო მათხოვრებსაც კი, დამსხდარიყვნენ მასთან და მონაწილეობა მიეღოთ მის პურობაშიო.

გლეხები ყოველმხრივ ისევე დამოკიდებულნი იყვნენ დიდ მემამულეზე, როგორც მისი ამფსონები. იმათგან ისინიც კი, რომელნიც ბატონყმურ დამოკიდებულებაში არ იმყოფებოდნენ, მოიჯარადრეები მაინც იყვნენ, მათი განდევნა შეეძლო მემამულეს თავისი სურვილისამებრ და ისინი აძლევდნენ მას ისეთ რენტას, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მათ მიერ მიწისაგან მიღებული შემოსავლის სიდიდეს. კრონა, ნახევარი კრონა, ცხვარი, ბატკანი – შეადგენდა რამდენიმე წლის წინათ შოტლანდიის მაღლობში ჩვეულებრივ საიჯარო ფასს მიწის ნაკვეთისათვის, რომელიც მთელ ოჯახს არჩენდა. ზოგ ადგილებში ეს დღემდეა შენარჩუნებული და იმავე დროს იქ განსაზღვრული ფულადი თანხით პროდუქტების უფრო დიდ რაოდენობას ვერ შეიძენ, ვიდრე სხვა ადგილებში. იმ ქვეყანაში, სადაც დიდი მამულის გარდანამეტი პროდუქტი თვით მამულში უნდა იქნას მოხმარებული, მემამულისთვის უფრო ხელსაყრელია და მოხერხებული, რომ მისი ნაწილი მოიხმარებოდეს მისი სახლიდან რამდენადმე მოშორებით, უკეთუ ისინი, ვინც მას მოიხმარებენ, ისევე მასზე დამოკიდებულნი რჩებიან, როგორც მისი ამფსონები

და მისი სასახლის მსახურნი. ეს მას თავიდან აშორებს იმ თავის ტკენასა და შეწუხებას, რომელიც ძალზე დიდი ამალის ერთობ დიდი შინაურობის ყოლასთანაა დაკავშირებული. მოიჯარადრე, რომელიც მემამულის სურვილისამებრ შეიძლება ყოველთვის იდევნოს და რომელსაც საკმაო მიწა უჭირავს, რათა თავისი ოჯახი შეინახოს და ამისათვის თითქმის მარტოოდენ ნომინალურ რენტას იხდის, ისევე დამოკიდებულია მემამულეზე, როგორც ამ უკანასკნელის ყოველი შინამსახური ან ამხანაგი, და ისევე უცილოდ უნდა ემორჩილებოდეს მას. ასეთი მემამულე როგორც თავის სახლში კვებავს თავის მსახურებს და ამხანაგებს, ისევე კვებავს თავის მოიჯარადრეებს მათს სახლში. ერთნიც და მეორენიც მისი სიუხვის მეოხებით იღებენ თავის შესანახს; მას შეუძლია ეს შესანახი მათ შეუწყვიტოს, როცა კი მოესურვება.

ამ ძალა-გავლენაზე რომელიც მსხვილ მემამულეებს აუცილებლად ჰქონდათ ასეთ გარემოებაში თავიანთ მოიჯარადრეთა და მხლებელთა მიმართ, იყო დამყარებული ძველებური ბარონების ძლიერება. ისინი აუცილებლობის გზით იქცეოდნენ ყველა იმათთვის, ვინც მათ მამულში ცხოვრობდა, მოსამართლეებად მშვიდობიანობის დროს და მხედართმთავრებად ომის დროს. მათ შეეძლოთ წესრიგი დაეცვათ და კანონი განეხორციელებინათ თავიანთ მამულებში, ვინაიდან თითოეულ მათგანს შესაძლებლობა ჰქონდა მამულის ყველა მცხოვრებთა მთელი ძალა გაეყვანა ამა თუ იმ პირის ძალმომრეობისა და უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. მათ გარდა არავის, არ ჰქონდა ამის შესრულების ძალა, თვით მეფესაც კი. იმ ძველ დროში მეფე თითქმის მეტს არას წარმოადგენდა თავის სახელმწიფოში, თუ არ უდიდეს მემამულეს, რომელსაც საერთო მტრების წინააღმდეგ საერთო ძალღონით თავდაცვის გულისთვის, ერთგვარი პატივისცემით ეპყრობოდნენ დანარჩენი დიდი მემამულენი. რაიმე მცირეოდენი ვალის იძულებით გადასახდევინებლად რომელიმე მემამულის ტერიტორიაზე, სადაც ყველა მცხოვრები შეიარაღებული იყო და ერთმანეთის დახმარებას დაჩვეული, მეფეს თითქმის ისეთივე ძალღონის დახარჯვა დასჭირდებოდა, როგორც სამოქალაქო ომის ჩასაქრობად. ამიტომ იგი იძულებული იყო მართლმსაჯულების მართვა თავისი ქვეყნის უდიდეს ნაწილში იმათთვის დაეთმო, ვისაც შეეძლო ამ საქმის შესრულება და იმავე მიზეზის გამო, სოფლის მილიციაც მზად იყო დამორჩილებოდა.

შეცდომაა ფიქრი, თითქოს ტერიტორიული მართლმსაჯულების უფლება ფეოდალური სამართლიდან წარმომდგარიყოს. არა თუ უმაღლესი მართლმსაჯულების უფლება სამოქალაქო და სისხლის სამართლისა, – არამედ აგრეთვე უფლება ლაშქრის შეკრებისა, ფულის მოჭრისა და მათზე დამოკიდებული მოსახლეობისთვის წესებისა და კანონების გამოცემის უფლებაც კი, ალოდიური სამართლის საფუძველზე, დიდ მემამულეებს ეკუთვნოდა უკვე რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე ევროპაში ცნობილი გახდებოდა თვით სახელი ფეოდალური სამართლისა. საქსონელი ლორდების ძალა და სამართლმსაჯულო უფლება ინგლისში, როგორც ეტყობა, დაპყრობამდე ისევე დიდი იყო, როგორც ყოველი ნორმანელი ლორდისა უფლებადაპყრობის შემდეგ. მაგრამ ფეოდალური სამართალი, როგორც ფიქ-

რობენ, აღიარებულ იქნა ინგლისის საერთო სამართლად მხოლოდ დაპყრობის შემდეგ. უცილობელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ საფრანგეთის დიდ მემამულეებს ალოდიური წესით ხელთ ეპყრათ ფრიად დიდი ძალა და სამართლმსაჯულო უფლება უკვე დიდი ხნით ადრე მანამდე, ვიდრე ფეოდალური სამართალი შევიდოდა ამ ქვეყანაში. ეს ძალა და ეს სამართლმსაჯულო უფლება აღმოცენდა აუცილებლობის გზით ზემოაღწერილი საკუთრების და ადათის ნიადაგზე. საფრანგეთის ან ინგლისის მონარქიების შორეულ წარსულში უძებნელადაც, შეგვიძლია გაცილებით უფრო ახლო დროში ვპოვოთ ბევრი მტკიცება იმისა, რომ ასეთი მიზეზებისგან ყოველთვის ასეთი შედეგები წარმოიშობა. ჯერ კიდევ არ გასულა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც მისტერ კამერონ-ოფ-ლოჩიელი, ლოკბერელი მემამულე (შოტლანდია), თუმცა იგი არ იყო ამისთვის კანონით უფლებამოსილი, როგორც მაშინ იტყოდნენ, სამეფოს ლორდი (*Lord of Regality*), ტახტის ვასალიც კი არამედ მხოლოდ არგაილის ჰერცოგის ვასალი, და ამასთან, მომრიგებელი მოსამართლეც კი არ ყოფილა, მიუხედავად ამისა, უმაღლეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას მაინც აწარმოებდა მისი ხელქვეითი ადამიანების მიმართ. როგორც გადმოგვცემენ, იგი ძალიან სამართლიანად წყვეტდა საქმეებს, თუმცა არავითარ სამოსამართლო ფორმალობას არ მისდევდა; და შესაძლებელია, რომ ქვეყნის ამ ნაწილის მდგომარეობა მაშინ აიძულებდა მას მიეთვისებინა ეს უფლება, რათა დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი და მყუდროება. ამ მემამულემ, რომლის რენტა არასოდეს არ აღემატებოდა წელიწადში ხუთას გირვ. სტერლინგს, 1745 წელს თავისი ხალხიდან რვაასი კაცი გაიყვანა თავისთან ერთად აჯანყებაში.

ფეოდალური სამართლის შემოღებას არა თუ გაუდიდებია მსხვილი ალოდიური მესაკუთრეების ძალა, არამედ, პირიქით, იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ცდა ამ ძალის შეზღუდვისა. ამ სამართალმა დააწესა რეგულარული დაქვემდებარება, რომელიც დაკავშირებული იყო არაერთ სამსახურსა და მოვალეობასთან, დაწყებული მეფიდან და დამთავრებული უმცირესი მემამულით. მემამულის მცირე ასაკის შემთხვევაში მისი მიწების რენტა და გამგებლობა გადადიოდა მისი უშუალო უფროსის ხელში და, მაშასადამე, ყველა დიდი მემამულის მიწის რენტა და გამგებლობა გადადიოდა მეფის ხელში, რომელსაც ეკისრებოდა მცირეწლოვანის შენახვა და აღზრდა და რომელსაც, როგორც მეურვეს, უფლება ჰქონდა, როგორც აღიარებული იყო, დაექორწინებინა იგი, მხოლოდ ეს ქორწინება უნდა ყოფილიყო მისი მდგომარეობის შესაბამისი. მიუხედავად იმისა, რომ ეს წესი აუცილებლად იწვევდა მეფის ძალის ზრდას და დიდ მემამულეთა ძალის შესუსტებას, იგი მაინც არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ დამყარებულიყო წესრიგი და კარგი მმართველობა სოფლის მოსახლეობაში, ვინაიდან ამასთან ერთად არ ხდებოდა საკმაო ცვლილება საკუთრებისა და ადათის ვითარებაში, რომელიც უწესრიგობის წარმომშობი იყო. მთავრობის ძალა წინანდებურად მეტად სუსტი იყო თავში და მეტად ძლიერი – დაბალ ნაწილებში, და ამ დაბალი ნაწილების უზომო სიძლიერე მიზეზი იყო თავის სისუსტისა. ფეოდალური იერარქიის დამყარების შემდეგ მეფე ისევ მოკლებული იყო შესაძლებლობას, აელაგმა დიდ მემამულეთა

თვითნებობა და ძალმომრეობა, როგორც ამას მოკლებული იყო წინათაც. ისინი თავისი სურვილისამებრ წინანდებურად განაგრძობდნენ, თითქმის განუწყვეტლივ ომს ერთი მეორის წინააღმდეგ და ხშირად მეფის წინააღმდეგაც; სოფელი წინანდებურად ასპარეზი იყო ძალმომრეობის, ძარცვის და არეულობისა.

მაგრამ ის, რის განხორციელებასაც ვერასდროს ვერ შეძლებდა ფეოდალური წესების ძალა, თანდათან განხორციელდა საგარეო ვაჭრობის და ფაქტურების ჩუმი და შეუმჩნეველი მოქმედებით. ისინი თანდათან აწოდებდნენ დიდ მემამულეებს ისეთ რამეს, რაზედაც მათ შეეძლოთ გაეცვალათ მათი მიწების მთელი გარდანამეტი პროდუქტი და რაც მათ თვითონ შეეძლოთ მოეხმარათ, – მათი მოიჯარადრეებისა ან ამალისათვის გაუნაწილებლად. ყველაფერი თვით ჩვენთვის და არაფერი სხვებისთვის, – როგორც ეტყობა ასეთი იყო ქვეყნად ყველა ხანაში, საძაგელი წესი ადამიანთა მოდგმის ბატონებისა და ამიტომ, როგორც კი მათ იპოვეს გზა, რომ თვითონვე მოეხმარათ თავიანთი რენტის მთელი ღირებულება, მათ დაეკარგათ ხალისი გაეყოთ იგი სხვებისათვის. ერთ წყვილ ბრილიანტიან აბზინდში ან სხვა რაიმე ასევე უმნიშვნელო და უსარგებლო საგანში ისინი სცვლიდნენ ათასი ადამიანის წლიურ სარჩოს ან, რაც იგივეა, ამ სარჩოს ფასს, და ამასთან ერთად ხელს იღებდნენ იმ გავლენასა და ავტორიტეტზე, რომლის მიცემაც მათთვის მას შეეძლო. სამაგიეროდ ბრილიანტიანი აბზინდი მათი საკუთრება იყო, და არავითარ სხვა ადამიანს არ ჰქონდა მასში წილი, მაშინ, როდესაც ხარჯვის წინანდელი წესის არსებობისას ეს საგანი მათ, სულ ცოტა, ათასი ადამიანისთვის უნდა გაენაწილებინათ. იმათთვის, ვინც წყვეტდა, რომელი იყო ამ წესში უპირატესობის შემცველი, აღნიშნული განსხვავება გადამჭრელი მნიშვნელობისა იყო. ამგვარად, ყოვლად ბავშვური, მდაბალი და სულელური მედიდურობის დაკმაყოფილების გულისთვის მათ თანდათან გასცეს მთელი თავიანთი გავლენა და ავტორიტეტი.

იმ ქვეყანაში, რომელსაც არა აქვს საგარეო ვაჭრობა და არც განვითარებული მანუფაქტურა, ადამიანი, რომელსაც ათი ათასი გირვ. სტერლინგი აქვს წლიური შემოსავალი, თავის შემოსავალს ვერ დახარჯავს სხვაგვარად, თუ არა ამ გზით, რომ თავის ხარჯზე შეინახავს დაახლოებით ათას ოჯახს, რომელნიც მაშინ, რასაკვირველია, ყველანი მასზე არიან დამოკიდებულნი. ევროპის აწინდელ მდგომარეობაში ადამიანს, რომელსაც ათი ათასი გირვ. სტერლინგი შემოსავალი აქვს წელიწადში, შეუძლია სავსებით მთლიანად დახარჯოს იგი, ჩვეულებრივ, ის კიდევაც ხარჯავს მას ამგვარად – ისე, რომ თავის ხარჯზე უშუალოდ არ ჰყავდეს ოცი ადამიანიც კი ან თავის განკარგულებაში არ ჰყავდეს ათ ლაქიაზე მეტი. შესაძლებელია იგი შესანახს არაპირდაპირ აძლევს ადამიანთა არანაკლებ რაოდენობას ან მეტსაც, ვიდრე ადრე აძლევდა ხარჯვის ძველი წესის არსებობისას, ვინაიდან რაოდენობა იმ ფასეული პროდუქტებისა, რომლებზეც იგი მთელ თავის შემოსავალს ცვლის, ძალიან მცირე არის, მაგრამ მუშების რიცხვი, რომელნიც მათ აგროვებენ და ამზადებენ, აუცილებლად ძალიან დიდი უნდა იყოს. ამ პროდუქტების მაღალი ფასი წარმოსდგება, ჩვეულებრივ, მუშების შრომის ხელ-

ფასისა და ყველა იმ მესარეწეთა მოგების გამო, რომელნიც ამ მუშების უშუალო დამქირავებელნი არიან. აღნიშნული ადამიანი, იხდის რა ამ ფასს, არაპირდაპირ იხდის მთელ ამ ხელფასს და მოგებას და ამგვარად არაპირდაპირ მონაწილეობს ყველა ამ მუშისა და მათი დამქირავებლების შენახვაში. ეს კია, ჩვეულებრივ, იგი თითოეული მათგანის შენახვაში მონაწილეობს, ოღონდ ძალიან მცირე ზომით: მეათედი ნაწილით, იქნებ მცირეოდენთა მთელ წლიურ შენახვაში, ერთი მეასედითაც არა – ბევრის შენახვაში და მეათასედითაც არა, – ერთი მეათიათასედითაც კი არა, – ზოგთა შენახვაში. ამრიგად თუმცა იგი, მონაწილეობს ყველა მათ შენახვაში, მაგრამ ისინი ყველანი მეტნაკლებად დამოუკიდებელნი არიან მისგან, იმიტომ რომ, საერთოდ, უმისოდაც შეუძლიათ არსებობა.

როდესაც დიდი მემამულეები თავიანთ რენტას მათი ბინადარი მოიჯარადრეების და მათი კარისკაცების შენახვაზე ხარჯავენ, თითოეული მათგანი ინახავს მთლად ყველა მის მოიჯარადრეს და ყველა მის კარისკაცს. ხოლო როდესაც ამას ვაჭრებისა და ხელოსნების შენახვაზე ხარჯავენ, შესაძლებელია ყველა ისინი, ერთად აღებულნი, ადამიანთა იმავე რაოდენობას ინახავდნენ ანდა, თუ სოფლური სტუმარ-მასპინძლობით გამოწვეულ ქონების განიავებას მივიღებთ მხედველობაში, მეტ რაოდენობასაც ინახავდნენ, ვიდრე წინათ; მაგრამ თითოეულ მათგანს, ცალკე აღებულს, ხშირად მხოლოდ მცირეოდენი წვლილი შეაქვს ადამიანთა ამ დიდი რაოდენობიდან თითოეულის შესანახად. თითოეული ვაჭარი ან ხელოსანი თავის შესანახს იღებს არა ერთისაგან, არამედ ასი ან ათასი სხვადასხვა მუშტრისაგან. თუმცა იგი, ამრიგად რამდენადმე მოვალეა ყველას წინაშე, მაგრამ არც ერთ მათგანზე არაა სავსებით დამოკიდებული.

ამრიგად, როდესაც, თანდათან იწყო კლება დიდი მემამულეების პირადმა ხარჯებმა, არ შეიძლებოდა ასევე თანდათან არ შემცირებულიყო მათ კარისკაცთა რიცხვიც, ვიდრე ისინი ბოლოს სრულად არ დაითხოვეს. იგივე მიზეზი აიძულებდა მემამულეებს თანდათან გაეშვათ მათ ბინადარ მოიჯარადრეთა ზედმეტი ნაწილიც. მათ გააფართოვეს საიჯარო მამულები და, მიუხედავად ჩივილისა სოფლად უხალხობის შესახებ ფერმების რიცხვი, შემცირებულ იქნა იმ რაოდენობამდე, რომელიც საჭირო იყო მიწის დასამუშავებლად იმდროინდელი სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და მელიორაციის დაბალი დონის მიხედვით. ზედმეტი მჭამელების მოშორების გამო და ფერმერისაგან სრული ღირებულების აღების გზით მემამულე იღებდა უფრო დიდ გარდანამეტ პროდუქტს ანუ, რაც იგივეა, უფრო დიდი გარდანამეტი პროდუქტის ფასს; ამასთან, ვაჭრებმა და მემანუფაქტურეებმა მალე შეუქმნეს მას შესაძლებლობა ეს გარდანამეტი დაეხარჯა თავისი პირადი საჭიროებისათვის ისე, როგორც იგი იქცეოდა პროდუქტის დანარჩენი ნაწილის შესახებ. და რადგან იგივე მიზეზი განაგრძობდა მოქმედებას, იგი ცდილობდა თავისი რენტა აეწია იმაზე მეტად, რისი მოცემაც შეეძლო მის მიწას მაშინდელი კულტურის მდგომარეობაში. მაგრამ მის მოიჯარადრეებს მხოლოდ იმ პირობით შეეძლოთ ამაზე დათანხმება უკეთუ მათ უზრუნველყოფილი ექნებოდათ მიწის ნაკვეთის ფლობა იმდენი წლის განმავლობაში, რომ რამდენიც საკმაო

ექნებოდათ მოგებით ამოეღოთ ყველა ის, რასაც დახარჯავდნენ მიწის შემდგომ გაუმჯობესებაზე. თავმომწონური ბედოვლათობა მემამულეს აიძულებდა დათანხმებულიყო ამ პირობაზე; ამგვარად გაჩნდა გრძელვადიანი იჯარა.

ბატონის ნებაზე დამოკიდებული მოიჯარადრეც კი, თუ იგი მიწის სრულ ღირებულებას იხდის, აღარაა სულ მთლად მემამულეზე დამოკიდებული. ფულადი სარგებლობა, რომელიც მათ ერთმანეთისაგან აქვთ, საურთიერთოა და თანაბარი, და ასეთი მოიჯარადრე სახიფათოდ არ გახდის თავის სიცოცხლეს და არც თავის ქონებას მემამულის სამსახურში. ხოლო თუ მას გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება აქვს დადებული, იგი სრულიად დამოუკიდებელია და მისგან მემამულე არ უნდა მოელოდეს სრულიად მცირე სამსახურსაც კი იმაზე მეტად, რაც ხელშეკრულებაშია აღნიშნული ან მოიჯარადრეს ეკისრება ქვეყნის საერთო და ცნობილი კანონით.

მას შემდეგ, რაც მოიჯარადრეები, ამგვარად, დამოუკიდებელნი გახდნენ და კარისკაცები დათხოვნილ იქნენ, დიდ მემამულეებს მოესპოთ შესაძლებლობა, ხელი შეეშალათ მართლმსაჯულების წესიერი წარმოებისათვის ან დაერღვიათ საზოგადოებრივი მყუდროება სოფლად. მათ თავიანთი პირმშოობის უფლება გაყიდეს არა როგორც ესავმა შიმშილის და გაჭირვების დროს ოსპის გბოლვილზე, არამედ სავსების ფლანგვის მომენტში წვრილმანი სამკაულებისა და მსგავსი უსარგებლო საგნების გულისათვის, რომლებიც გამოსადეგი იყო უფრო ბავშვების სათამაშოდ, ვიდრე მოზრდილი ადამიანის ყურადღებისათვის, და გახდნენ ამის შემდეგ ისევე უმნიშვნელონი, როგორც ყოველი შეძლებული მოქალაქე ან ვაჭარი ქალაქში. სოფლად ისე, როგორც ქალაქად, დამყარდა წესიერი მმართველობა, ვინაიდან არც იქ და არც აქ არავის აღარ ეპყრა ხელთ საკმაო ძალა, რომ წინაღდგომოდა მის საქმიანობას.

ამას, იქნებ არც კი ჰქონდეს პირდაპირი კავშირი ჩვენს საგანთან, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ვაჭრობის მაწარმოებელ ქვეყნებში ძალიან იშვიათად ვხვდებით ძველ გვარებს, რომელნიც მოდგმიდან მოდგმაში ფლობდნენ დიდ მამულებს. პირიქით, ისეთ ადგილებში, სადაც ვაჭრობა ნაკლებ არის განვითარებული, როგორიცაა მაგალითად, უელსი ან შოტლანდიის მთიანი ნაწილი, ასეთი გვარები მრავლადაა. არაბეთის ისტორია, ეტყობა, სავსეა გენეალოგიით და ერთი თათართა ხანის მიერ დაწერილი ისტორია, რომელიც რამდენსამე ევროპულ ენაზეა გადათარგმნილი, თითქმის მარტო ასეთ გენეალოგიებს შეიცავს; ეს ამტკიცებს, რომ ძველი გვარები ამ ხალხებში ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა. იმ ქვეყნებში, სადაც მდიდარ ადამიანს სხვაგვარად არ შეუძლია დახარჯოს თავისი შემოსავალი თუ არ იმ გზით, რომ თავის ხარჯზე ინახავდეს იმდენ ხალხს, რამდენის შენახვაც კი შეიძლება იმ შემოსავლით, ასეთი ადამიანი ვერ გაკოტრდება და მისი ხელგაშლილობა, როგორც ჩანს, იშვიათად იქნება ისე უსაზღვრო, რომ იგი ცდილობდეს შეინახოს ადამიანთა იმაზე მეტი რაოდენობა, ვიდრე მას ეს ძალუძს. მაგრამ, როდესაც მას შესაძლებლობა აქვს დახარჯოს თავის თავზე ფრიად დიდი შემოსავალი, მაშინ ხშირად საზღვარი არ უდევს მის ხარჯებს, იმი-

ტომ, რომ ხშირად საზღვარი არ უდევს მის მედიდურობას ან ეგოიზმს. ამიტომ ვაჭრობის მაწარმოებელ ქვეყნებში, მიუხედავად უსასტიკესი ღონისძიებებისა, რომელთაც მიმართავენ კანონის გზით სიმდიდრის გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად, სიმდიდრე იშვიათად რჩება დიდხანს ერთსა და იმავე ოჯახში. პირიქით, ამას ხშირად ადგილი აქვს პრიმიტიულ ხალხებში ყოველგვარი კანონმდებლობითი ღონისძიებების გარეშე, ვინაიდან მეჯოგე ხალხებში, როგორნიც არიან, მაგალითად, თათრები და არაბები, ამგვარი ღონისძიებები შეუძლებელია უკვე იმის გამო, რომ მათი ქონება მოხმარების საგნებისაგან შედგება.

ამგვარად, რევოლუცია, რომელიც უდიდესი მნიშვნელობისა იყო საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის, მოხდა ხალხის ორი სხვადასხვა კლასის მიერ, რომელთაც განზრახვად სრულიადაც არ ჰქონიათ საზოგადოებისათვის სამსახურის გაწევა. სრულიად ბავშვური მედიდურობის დაკმაყოფილება – ეს იყო დიდ მემამულეთა ერთადერთი მოტივი. ვაჭრები და ხელოსნები, გაცილებით ნაკლებ სასაცილონი, მოქმედებდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ინტერესის გულისათვის და ადგნენ ვაჭრულ პრინციპს: ყოველ გროშს გაჰკიდებოდნენ, საცა კი ეს გროში იყო მისაღები. წინასწარ არც ერთნი და არც მეორენი არ სცნობდნენ, არც ხედავდნენ იმ დიდ რევოლუციას, რომელსაც თანდათან ახდენდა სიბრიყვე ერთთა და გამრჯელობა მეორეთა.

ამრიგად, ქალაქების ვაჭრობა და მანუფაქტურები მეტწილ ევროპაში იყო არა შედეგი, არამედ მიზეზი და სტიმული სოფლის და სასოფლო მეურნეობის ამაღლების და განვითარებისა.

მაგრამ, რამდენადაც განვითარების ასეთი წესი ეწინააღმდეგება მოვლენების ბუნებრივ მსვლელობას, იგი აუცილებლად არის ნელი და არამყარი. აბა შეადარეთ ევროპის იმ ქვეყნების ნელი განვითარება, რომელთა სიმდიდრე უმთავრესად მათ ვაჭრობასა და მანუფაქტურებზეა დამოკიდებული, ჩვენი ჩრდილო-ამერიკის კოლონიების სწრაფ წარმატებას, რომელთა სიმდიდრე მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედებაზეა დაფუძნებული. მეტწილ ევროპაში მოსახლეობა, როგორც ფიქრობენ, ორკეცდება არა უადრეს ორმოცდაათი წლისა. ზოგ ჩვენს ჩრდილო-ამერიკის კოლონიაში მოსახლეობა ორკეცდება, როგორც ანგარიშობენ 20 ან 25 წელიწადში. ევროპაში საპირმშოო კანონი და მამულების გასხვისების სხვადასხვა სახის შეზღუდვა აბრკოლებს დიდი მამულების დაყოფას და ამით ხელს უშლის წვრილ მესაკუთრეთა რიცხვის ზრდას. ხოლო წვრილი მესაკუთრე, რომელიც იცნობს თავისი პაწია მამულის ყოველ ნაწილს და მას მთელი იმ სიყვარულით უვლის, რასაც საკუთრება, განსაკუთრებით პატარა საკუთრება წარმოშობს ბუნებრივად, და რომელსაც სიამოვნებას ჰგვრის არა მარტო მისი დამუშავება, არამედ მისი გამშვენიერებაც, ჩვეულებრივ არის ყველაზე უფრო გამრჯე, მიხვედრილი და საუკეთესო შედეგების მიმღწევი ადამიანი მათ შორის, ვინც მიწის გაუმჯობესებაზე მუშაობს. გარდა ამისა, აღნიშნული შეზღუდვა ისე ბევრ მიწას ტოვებს ბაზრის გარეშე, რომ ყოველთვის მეტი კაპიტალი მოიპოვება მიწის საყიდლად, ვიდრე მიწაა გასაყიდი, ასე რომ, ის მიწა, რომელიც გასაყი-

დადაა მიწოდებული, ყოველთვის მონოპოლიურ ფასში იყიდება. მიწის შემოსავალი არასოდეს არ ფარავს მიწის საყიდლად დახარჯული თანხის სარგებელს და გარდა ამისა, კიდევ დამძიმებულია სარემონტო და სხვა მიმდინარე ხარჯებით, რასაც არ ექვემდებარება ფულის სარგებელი. მიწის ყიდვა მთელ ევროპაში ფრიად არახელსაყრელი დაბანდებაა მცირე კაპიტალისათვის. უფრო დიდი საიმედოობისა და დაცულობის გულისათვის ადამიანი, რომელიც საქმეებს თავს ანებებს, არაიშვიათად რჩეობს, მიწაში დააბანდოს თავისი მცირე კაპიტალი. თავისუფალი პროფესიის ადამიანი, რომელიც სხვა წყაროდან იღებს შემოსავალს, ხშირად ირჩევს ამ სახით შეინახოს თავისი დანაზოგი. მაგრამ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ხელი მოჰკიდოს ვაჭრობას ან რაიმე თავისუფალ პროფესიას, თავის ორ თუ სამ ათას გირვ. სტერლინგ კაპიტალს დახარჯავს მიწის მცირე ნაკვეთის საყიდლად და დასამუშავებლად, შეუძლია, რასაკვირველია, იმედი იქონიოს, რომ მიაღწევს სავსებით ბედნიერ და სრულიად დამოუკიდებელ ცხოვრებას; ოღონდ ის სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს ყოველგვარ იმედს, რომ ოდესმე შეიძენს დიდ ქონებას და სახელს, რისი მოპოვების შანსები მას, თავისი კაპიტალი რომ სხვაგვარად დაეხარჯა, ისევე ექნებოდა, როგორც ყოველ სხვა ადამიანს. და მაინც ასეთი ადამიანი, თუმცა მას არა აქვს შანსი გახდეს დიდი მემამულე, არ იკადრებს ფერმერობას. მიწის მხოლოდ მცირე რაოდენობის გამოსვლა ბაზარზე და ბაზარზე გამოსული მიწის მაღალი ფასი აბრკოლებს ბევრ კაპიტალს, გამოყენებულ იქნეს მიწის დასამუშავებლად და გასაუმჯობესებლად, რისთვისაც იგი სხვა პირობებში იქნებოდა გამოყენებული. ჩრდილო-ამერიკაში პირიქით, 50 ან 60 გირვ. სტერლინგი ხშირად საკმარის კაპიტალად ითვლება იმისათვის, რომ გაშენდეს პლანტაცია. დაუმუშავებელი მიწის შეძენა და გაუმჯობესება იქ უაღრესად ხელსაყრელი გამოყენებაა როგორც ძალიან მცირე, ისე ძალიან დიდი კაპიტალებისათვის და უმოკლესი გზაა ყველა იმ სიმდიდრისა და სახელის შესაძენად, რისი მოპოვებაც კი შეიძლება იმ ქვეყანაში. ასეთი მიწა ჩრდილო-ამერიკაში შეიძლება მიიღოს ადამიანმა თითქმის მუქთად ანუ ისეთ ფასში, რომელიც მნიშვნელოვნად ნაკლებია მისი ბუნებრივი პროდუქტის ღირებულებაზე, – ეს შეუძლებელია ევროპაში ან ყოველ ქვეყანაში, სადაც მთელი მიწა დიდი ხანია კერძო საკუთრებადაა გადაქცეული. მაგრამ მამულები რომ მესაკუთრის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც მრავალრიცხოვანი ოჯახი რჩება, იყოფოდეს თანასწორად ყველა შვილს შორის, იმ შემთხვევაში მამული ჩვეულებრივ გაიყიდებოდა. მაშინ ისე ბევრი მიწა იქნებოდა ბაზარზე გამოტანილი, რომ იგი ვეღარ გაიყიდებოდა მონოპოლიურ ფასში. მიწის შემოსავალი უფრო ადვილად დაფარავდა მის საყიდლად დახარჯული კაპიტალის სარგებელს, და პატარა კაპიტალების გამოყენება ისევე ხელსაყრელად შეიძლებოდა მიწის შესაძენად, როგორც ყოველი სხვა წესით გამოყენების შემთხვევაში.

ინგლისი ნიადაგის ნაყოფიერების, ქვეყნის მთელ ფართობთან შედარებით და ბევრი სანაოსნო მდინარის არსებობის გამო, რომელნიც მას სერავენ და წყლით ტრანსპორტის უპირატესობას უქმნიან ქვეყნის შუაგულში მდებარე

ბევრ ადგილს, ნებისმიერ სხვა ევროპულ ქვეყანაზე ნაკლები არ არის, შეიძლება ითქვას, თვით ბუნებით დანიშნული იმისათვის, რომ იყოს ადგილსამყოფელი საგარეო ვაჭრობისა, შორეული ბაზრისთვის მწარმოებელი მანუფაქტურებისა და ყველა იმ მიღწევათა და გაუმჯობესებათა, რომელნიც მისით გამოიწვევიან. ამასთან, ელისაბედის მეფობის დასაწყისიდან მოყოლებული, ინგლისის კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ვაჭრობისა და მანუფაქტურების ინტერესების მიმართ, და მართლაც, არ არსებობს ევროპაში ქვეყანა, ჰოლანდიის ჩათვლითაც კი, სადაც კანონი, საერთოდ ხელს უწყობდეს ამგვარ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობას. ამის გამო ვაჭრობა და მანუფაქტურა განუწყვეტლივ ვითარდებოდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. მიწათმოქმედებაც, უეჭველია, თანდათან ვითარდებოდა, მაგრამ იგი, როგორც ეტყობა, ნელა და რამდენადმე ჩამორჩენილად მიჰყვებოდა ვაჭრობისა და მანუფაქტურების უფრო სწრაფ პროგრესს. მიწების უდიდესი ნაწილი დამუშავებული იყო ჯერ კიდევ ელისაბედის მეფობამდე, მაგრამ მათი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც დაუმუშავებელია, კიდევ უფრო დიდი ნაწილი უფრო ცუდადაა დამუშავებული, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო. ამავე დროს კი ინგლისის კანონები შველიან მიწათმოქმედებას არა მარტო არაპირდაპირ, ვაჭრობისათვის მფარველობის გაწევის გზით, არამედ უშუალოდაც, სხვადასხვა ღონისძიებით, ნაკლებობის წლების გამოკლებით, პურის ექსპორტი არა თუ თავისუფალია, არამედ მას დახმარებაც ეძლევა განსაკუთრებული პრემიით. ზომიერი სიუხვის წლებში უცხოური პურის იმპორტზე ისეთი ბაჟია დადებული, რომ აკრძალვას უდრის. ცოცხალი პირუტყვის შემოზიდვა, ირლანდიის გარდა, აკრძალულია ყოველთვის და ირლანდიიდანაც შემოზიდვა მხოლოდ უკანასკნელ დროს იქნა ნებადართული. ამიტომ იმათ, ვინც მიწის დამუშავებას ეწევა, მათ თანამოქალაქეთა მიმართ მონოპოლია აქვთ ორ უმთავრეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე: პურსა და ხორცზე. ასეთი ხელშეწყობა, თუმცა იგი არსებითად, იქნებ სრულიად ილუზორული იყოს, როგორც შევეცდები, ცხადვყო შემდეგში, საკმარისად ამტკიცებს ყოველ შემთხვევაში მიწათმოქმედებისათვის დახმარების გაწევის განზრახვას კანონმდებლობის მხრივ. მაგრამ ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ გლეხებს ინგლისში ისეთი მტკიცე მდგომარეობა, დამოუკიდებლობა და პატივი აქვთ მოპოვებული, როგორიც კი კანონს ძალუძს უზრუნველუყოს. ამიტომ არც ერთ ქვეყანას, სადაც არსებობს საპირმშოო უფლება, სადაც იხდიან ათისთავს და სადაც მამულების გასხვისების ხანგრძლივად შეზღუდვა, თუმცა იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ზოგ შემთხვევაში ნებადართული არის, არ ძალუძს სასოფლო მეურნეობას ხელი შეუწყოს მეტად, ვიდრე ეს ინგლისშია. ამასთან, ინგლისის სასოფლო-სამეურნეო კულტურის დონე მაღალი როდი არის. როგორი იქნებოდა ეს დონე, კანონს რომ პირდაპირ დახმარება არ მიეცა სოფლის მეურნეობისთვის, გარდა იმ სტიმულისა, რომელიც მას არაპირდაპირ ეძლევა ვაჭრობის განვითარებით და გლეხები იმ მდგომარეობაში დაეტოვებინა, რომელშიც ისინი იმყოფებიან მეტწილად ევროპის სხვა ქვეყნებში? ელისაბედის მეფობის დასაწყისიდან განვლო უკვე ორას

წელზე მეტმა ხანმა, ე. ი. ისეთმა ხანგრძლივმა პერიოდმა, რომელიც ჩვეულებრივ საჭიროა ადამიანთა კეთილდღეობის განვითარებისთვის.

საფრანგეთს, ეტყობა, საგარეო ვაჭრობაში საკმაოდ დიდი წილი ჰქონდა უკვე ერთი საუკუნით ადრე, ვიდრე ინგლისი მნიშვნელოვანი გახდებოდა როგორც ვაჭრობის მაწარმოებელი ქვეყანა. იმდროინდელი ცნობების მიხედვით, საფრანგეთის ფლოტი მნიშვნელოვანი იყო ჯერ კიდევ ნეაპოლისაკენ კარლოს VIII-ის ექსპედიციამდე. მაგრამ საფრანგეთში მიწის დამუშავება და გაუმჯობესება, საერთოდ, უფრო დაბალ დონეზე დგას, ვიდრე ინგლისში, მისი კანონმდებლობა არასოდეს არ უწევდა მიწათმოქმედებას ასეთ უშუალო დახმარებას.

ესპანეთისა და პორტუგალიის საგარეო ვაჭრობა ევროპის სხვა ნაწილებთან, თუმცა იგი უმთავრესად უცხო გემებით წარმოებს, ფრიად მნიშვნელოვანი არის. მათი ვაჭრობა საკუთარ კოლონიებთან ხდება გემებით და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი არის ამ კოლონიების სიმდიდრისა და მოცულობის გამო. მაგრამ ამ ვაჭრობას არასოდეს არ შეუქმნია არც ერთ ამ ქვეყანაში რამდენადმე მნიშვნელოვანი მანუფაქტურა პროდუქტების შორეულ ბაზარზე გასაყიდად, და მათი მიწების უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ დაუმუშავებელია. პორტუგალიამ საგარეო ვაჭრობა დაიწყო გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ევროპის რომელიმე სხვა დიდმა ქვეყანამ, იტალიის გამოკლებით. იტალია ევროპის ის ერთადერთი დიდი ქვეყანაა, სადაც, როგორც ჩანს, მთელი მიწა დამუშავებული და გაუმჯობესებული იყო საგარეო ვაჭრობის და შორეული ბაზრისათვის მომუშავე მანუფაქტურების მეოხებით. კარლოს VII-ის შეჭრამდე იტალიაში, გიჩარდინის სიტყვით, მიწა ერთნაირად დამუშავებული იყო როგორც ქვეყნის ყოვლად მთიან და უნაყოფო ადგილებში, ისე დაბლობში და ყოვლად ნაყოფიერში. მიწათმოქმედების ასეთ გავრცელებას, ალბათ, ცოტათი არ ეხმარებოდა ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ქვეყნისა და სიმრავლე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, რომელნიც მასში არსებობდნენ იმ დროს. მაგრამ მაინც შესაძლებელია, რომ, ჩვენ მიერ დასახელებული ესოდენ ჩახედული და ფრთხილი თანამედროვე ისტორიკოსის შენიშვნის მიუხედავად, მიწა იმ დროს იტალიაში უკეთ დამუშავებული არ ყოფილიყოს, ვიდრე არის ამჟამად ინგლისში.

მაგრამ კაპიტალი, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა მოიპოვებს საგარეო ვაჭრობისა და მანუფაქტურების გზით, ფრიად არასაიმედო და საეჭვო ქონებაა, ვიდრე მისი განსაზღვრული ნაწილი ჩამაგრებული და განხორციელებული არაა იმ ქვეყნის მიწების დამუშავებასა და გაუმჯობესებაში. ვაჭარი, როგორც ეს სრულიად სწორად აღუნიშნავთ, არაა აუცილებლად ერთი განსაზღვრული ქვეყნის მოქალაქე. მისთვის უაღრესად სულერთია, რომელი ადგილიდან ეწევა იგი თავის ვაჭრობას, და სრულიად უმნიშვნელო უსიამოვნებას შეუძლია აიძულოს იგი, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადაიტანოს თავისი კაპიტალი და მასთან ერთად მთელი ის მრეწველობაც, რომელსაც ის კაპიტალი კვებავს. ამ კაპიტალის არც ერთი ნაწილის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ეკუთვნის რომელიმე განსაზღვრულ ქვეყანას, ვიდრე ეს კაპიტალი არ იქნება, ასე ვთქვათ, გაბნეული იმ

ქვეყნის ტერიტორიაზე შენობების სახით ან ხანგრძლივ საადგილმამულო გაუმჯობესებათა სახით. არავითარი კვალი არაა ჩვენი დროისთვის დარჩენილი იმ დიდი სიმდიდრიდან, რომელიც უნდა ჰქონებოდეთ მეტწილ ჰანზის ქალაქებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ხსენებას XIII და XIV საუკუნის დავიწყებულ ისტორიაში. ზედმიწევნით ისიც კი არაა ცნობილი, სად მდებარეობდა ზოგი ის ქალაქი ან ევროპის რომელ ქალაქებს მიეკუთვნება ის ლათინური სახელები, რომელთაც ზოგ მათგანს უწოდებდნენ. თუმცა იმ უბედურებამ, რომელიც თავს დაატყდა იტალიას XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში, დიდად შეამცირა ლომბარდიის და ტოსკანის ქალაქების ვაჭრობა და მანუფაქტურა, მაგრამ ეს ოლქები მაინც ყველაზე უფრო დასახლებული და უკეთ დამუშავებული ადგილებია ევროპაში. ფლანდრიის სამოქალაქო ომებმა და ესპანელების ბატონობამ, რომელიც მათ მოჰყვა, განდევნა ანტვერპენის, გენტის და ბრიუგეს დიდი ვაჭრობა. მიუხედავად ამისა, ფლანდრია მაინც წინანდებურად ევროპის ერთერთი უმდიდრესი, უკეთ დამუშავებული და მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. შერყევა, რომელსაც იწვევს ომი და პოლიტიკური რევოლუცია, ადვილად აშრობს იმ სიმდიდრის წყაროებს, რომელიც მარტო ვაჭრობიდან მომდინარეობს. სიმდიდრე, რომელიც იქმნება უფრო მტკიცე გაუმჯობესებათა შედეგად სოფლის მეურნეობის, უფრო მყარი არის და მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ ისეთ ძლიერ შერყევათა შედეგად მოხდეს, რომელიც წარმოიშობა ძარცვითა და განადგურებით მტერ ბარბაროს ხალხთა მხრივ ერთი ან ორი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთზე მიყოლებით, როგორც ეს მოხდა ერთხანს რომის იმპერიის დაცემამდე და დაცემის შემდეგ ევროპის დასავლეთ პროვინციებში.

განმარტებები

თავისუფალ სასაქონლო გაცვლით მიღებული სარგებელი – თავისუფალი ბაზარი და სასაქონლო გაცვლა წარმოქმნის სარგებელს ორივე მხარისათვის. ბუნებრივია, არც ერთი მხარე გარიგებაში არ მიიღებს მონაწილეობას თუ ვერ ხედავს სარგებელს. საგარეო ვაჭრობის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტი, სარგებლის მომტანია საზოგადოებისათვის. საზოგადოების გამდიდრება არ უნდა მოხდეს მეორე საზოგადოების გაღარიბების ხარჯზე.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი – ეროვნული სიმდიდრე არ გულისხმობს საცავებში დაცულ ოქროსა და ვერცხლის რაოდენობას, როგორც ამას მერკანტილისტები წარმოაიდგენენ. ეროვნული სიმდიდრე უფრო წარმოადგენს წლის განმავლობაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობას. ავტორი ასევე გვთავაზობს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სიმდიდრის ზრდის წყარო არა მხოლოდ ექსპორტია, არამედ ვაჭრობა მთლიანობაში.

ეკონომიკური რეგულირება უკუშედეგის მომტანია – მთავრობის მიერ ვაჭრობის რეგულირება უკუშედეგის მომტანი და ზოგჯერ სახიფათოც არის. ბაზრის ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი ძირითადი არსი მისი ყველაზე ეფექტური რეგულატორია. სმითი როგორც ბუნებას, ასევე საზოგადოებას აღიქვამს როგორც მაღალი თვითორგანიზაციისა და წესრიგის სუბიექტებად, შესაბამისად ვერ ხედავს მათში გარედან ჩარევის საჭიროებას.

რეინვესტირება – ინვესტიციები მიმართული უნდა იყოს წარმოების გასაუმჯობესებლად, ხოლო კაპიტალი კი უფრო ამგვარი ინვესტიციებს განსახორციელებლად, ვიდრე პირადული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამგვარად, უზრუნველყოფილი იქნება სიმდიდრის მუდმივი ზრდა და შემოსავლების ამაღლება დროთა განმავლობაში.

მთავრობები შეზღუდული უფლებამოსილებებით უნდა იქნენ აღჭურვილნი – კეთილდღეობა წარმოიქმნება ღია, კონკურენტულ ბაზრებზე, სადაც სასაქონლო გაცვლის პროცესი სამთავრობო ჩარევებისაგან თავისუფალია. მთავრობის ფუნქციას წარმოადგენს მოქალაქეთა და მათი ქონების დაცვა, მართლმსაჯულების განხორციელება და კანონის უზენაესობის დამკვიდრება.

„უხილავი ხელი“ – ინდივიდების საკუთარი ინტერესებისა და ბაზარზე თავისუფლების დამკვიდრება არ არის ქაოსისა და უწესრიგობის მომტანი. პირიქით, სწორედ ისინი გვევლინებიან წესრიგისა და თანხმობის წინაპირობად. სწორედ ამ მოსაზრებების საფუძველზე დაასკვნა ადამ სმითმა, რომ „უხილავი ხელი“ უზრუნველყოფს საზოგადოების სტაბილურობას და თანხმობას იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველი ინდივიდი საკუთარი ინტერესების სრულად დასაკმაყოფილებლად იღწვის.

სპეციალურ ინტერესთა ჯგუფები – საზოგადოების ინტერესები იზრუდება იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფი ანხორციელებს პირდაპირ ზეწოლას მთავრობაზე, რათა ამ უკანასნელმა მათი ინტერესები დაიცვას. ვიწრო ფგუფური ინტერესების დაკმაყოფილება ყოველთვის ზიანის მომტანია ფართო საზოგადოებისათვის და შესაბამისად, მთავრობამ ამგვარი სოციალური თუ ეკონომიკური ჯგუფების ზეგავლენისაგან თავი შორს უნდა დაიჭიროს.

ალოდი – მიწის სრული საკუთრება შუა საუკუნეების ევროპაში.

არამწარმოებლური შრომა – შრომა, რომელიც მატერიალურ, ხელშესახებ პროდუქტს ვერ ქმნის. ავტორისეული მოსაზრებით ამ კატეგორიას განეკუთვნებიან იურისტები, ხელოვნებისა და სამთავრობო სფეროს წარმოამდგენლები. თუმცა, არამწარმოებლური შრომა შეიძლება ხელს უწყობდეს შრომის მატერიალური პროდუქტის წარმოქმნას.

მანორი – ფეოდალის მამული შუა საუკუნეების ინგლისში.

მანუფაქტურა – წარმოების ფორმა, რომელიც შრომის განაწილებაზე და ხელოსნურ ტექნიკაზე იყო დამყარებული.

ბუნებრივი ფასი – საქონლის ფასი, რომელიც შეიცავს შრომის, მიწისა და ნედლეულის საფასურს.

მერკანტილიზმი – ეკონომიკური თეორია, რომლის ძირითადი დოქტრინა გულისხმობდა, რომ ფული შეადგენს სიმდიდრეს, ექსპორტი სარგებლის ხოლო იმპორტი კი ზარალის მომტანია ქვეყნისათვის, ექსპორტის შედეგად ფული შემოდის ქვეყანაში, ხოლო იმპორტის საფუძველზე კი პირიქით, ფული გაედინება ქვეყნიდან, ა.შ. ადამ სმითი მერკანტილიზმის თეორიის კრიტიკოსი გახლდათ.

რენტა – რეგულარული შემოსავალი რომელსაც მესაკუთრე იღებს მიწის, ქონების ან კაპიტალის გაქირავებისაგან

საბაზრო ფასი – საქონლის ფასი, რომელიც ასახავს ბაზარზე არსებულ მოთხოვნისა და მიწოდების დამოკიდებულებას აღნიშნულ საქონელზე

სავაჭრო ბალანსი – ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ფულადი ღირებულებების სხვაობა წლის განმავლობაში

მშრომელი – ადამიანი, რომელიც აწარმოებს კონკრეტულ საქონელს და საკუთარ შრომას ყიდის ხელფასის სანაცვლოდ.

იმანუელ კანტი

(1724-1804)

შესავალი

იმანუელ კანტი თანამედროვე ფილოსოფიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. მეტიც, კანტით იწყება თანამედროვე ფილოსოფია და თანამედროვე აზროვნება. მისმა მთავარმა ნაშრომმა სახელწოდებით „წმინდა გონების კრიტიკა“ (1781) მთლიანად შეცვალა ენა, რომელზედაც მოაზროვნეები საუბრობენ ადამიანის, სამყაროსა და ღმერთის შესახებ. კანტის გავლენა მოიცავდა და მოიცავს ფილოსოფიის თითქმის ყველა სფეროს: მეტაფიზიკას, შემეცნების თეორიას, ეთიკას, ესთეტიკას, ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას, პოლიტიკურსა და სამართლის ფილოსოფიას. გარდა ამისა, კანტს მნიშვნელოვანი აღმოჩენები ეკუთვნის ბუნების მეცნიერებებშიც, სახელდობრ, ასტრონომიაში.

კანტი გერმანიის ქალაქ კიონიგსბერგში დაიბადა 1724 წელს (ახლა ეს ქალაქი რუსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და მას კალინინგრადი ჰქვია). ხელმოკლე ოჯახიდან იყო, მაგრამ კარგი განათლების მიღება მოახერხა კიონიგსბერგის უნივერსიტეტში, სადაც გახდა კიდეც პროფესორი. ის არ იყო მოგზაურობის მოყვარული და მშობლიურ ქალაქს თითქმის არ გასცილებია; ცხოვრების მკაცრ წესს მისდევდა და იმდენად ზუსტად იცავდა თავისავე რეჟიმს, რომ მეზობლები საათს ასწორებდნენ, როდესაც ის სახლიდან სასეირნოდ გადიოდა. ისტორიას განსაკუთრებული ძალით შემორჩა კანტის სიტყვები, რომლებიც ბევრს გვეუბნება როგორც მის პიროვნებაზე, ისე – მის ფილოსოფიაზე: „ორი რამ აღავსებს ჩემს სულს სულ უფრო მზარდი განცვიფრებითა და მოწიწებით, რაც უფრო ხშირად და დიდხანს ვფიქრობ მათზე: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში.“

მის შემოქმედებას ორ ნაწილად ყოფენ: წინარეკრიტიკულად (1770 წლამდე), სანამ ის დიდწილად არსებული ფილოსოფიური სკოლის მიმდინარეობას მიჰყვებოდა და კრიტიკულად (1770 წლიდან ვიდრე მის სიკვდილამდე 1804 წელს), როდესაც კანტმა ფილოსოფიის სხვადასხვა დისციპლინებისათვის სრულიად ახლებული და, შეიძლება ითქვას, რევოლუციური მიდგომა შეიმუშავა. ხშირად მის მიდგომას ფილოსოფიისადმი „კოპერნიკისებურ შემოტრიალებასაც“ უწოდებენ. როგორც კოპერნიკმა დაასაბუთა, რომ მზე კი არ ტრიალებს დედამიწის გარშემო, არამედ, პირიქით, დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო, ასევე კანტმა აჩვენა, რომ ჩვენი შემეცნება უბრალოდ არ შეესაბამება და შეესატყვისება საგნებს; პირიქით, ადამიანის გონებაში ჩადებულია ფორმები, რომლებთან შესაბამისობაშიც მოდიან საგნები, რათა შემეცნების ობიექტებად იქცნენ. ეს უჩვეულო იდეა იყო ფილოსოფიაში, მაგრამ სწორედ ამ იდეამ განსაზღვრა მნიშვნელოვანწილად ფილოსოფიის განვითარება მე-19 და მე-20 საუკუნეებში.

„რა არის განმანათლებლობა“ მცირე ზომის, მაგრამ უაღრესად გავლენიანი ტექსტია. ის 1784 წელს გამოქვეყნდა ბერლინის ერთ-ერთ ჟურნალში, როგორც პასუხი ამავე ჟურნალში გერმანელი პროტესტანტი პასტორის მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ რას წარმოადგენდა განმანათლებლობა. უფრო კონკრეტულად, სასულიერო პირს აინტერესებდა, უნდა დამორჩილებოდა თუ არა მღვდელი თავისი ეკლესიის დოგმებს. კანტი ერთადერთი არ ყოფილა, ვინც ამ შეკითხვას პასუხი გასცა. ცოტა უფრო ადრე იმავე ჟურნალში გამოქვეყნდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გერმანელი განმანათლებლის, მოსე მენდელსონის (1729-1786) ტექსტი ამავე თემაზე. მაგრამ კანტის მოკლე ტრაქტატი აღმოჩნდა ყველაზე დასამახსოვრებელი განაზრება განმანათლებლობის თემის შესახებ იმდროინდელ ევროპაში.

განმანათლებლობა ეპოქაა, რომელსაც მეორენაირად „გონების ხანასაც“ უწოდებენ. მე-16 და მე-17 საუკუნეებში დაწყებულმა მეცნიერულმა რევოლუციამ თან მოიტანა არა მხოლოდ ახალი ცოდნა (ამ რევოლუციის ორი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია გალილეოსა და ნიუტონის მიერ ფიზიკის სფეროში გაკეთებული აღმოჩენები), არამედ გონების აქამდე არნახული რწმენა. პოპულარული გახდა აზრი, რომლის მიხედვითაც პროგრესი და განვითარება სწორედ გონების მიერ აღმოჩენილი კანონების შესაბამისად უნდა ყოფილიყო მიღწეული. განმანათლებლობის ეპოქის მოაზროვნები, როგორებიც იყვნენ ვოლტერი, დიდრო, ჰოლბახი, დ’ალამბერი და სხვები, ებრძოდნენ გამეფებული არცოდნის სიბნელეს, ობსკურანტიზმს, ცრურწმენებს, ცდილობდნენ განათლებისა და კულტურის გავრცელებას. მათი მონდომება მიმართული იყო საზოგადოებაში ტოლერანტობის, თავისუფლებისა და თანასწორობის ღირებულებების დამკვიდრებაზე.

განმანათლებლური მოძრაობის წარმომადგენლები ჰუმანისტები იყვნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი ადამიანს სამყაროს ცენტრში აყენებდნენ, ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვან უნარად კი ისინი გონებას მიიჩნევდნენ. სწორედ აქედან მომდინარეობდა მათი ინტერესი გონებისა და გონებით მოპოვებული ცოდნის განვითარებისადმი.

განმანათლებლობა საერთოევროპული მოვლენა იყო. მისი ძლიერი გამოვლინებები გვხვდება მე-18 საუკუნის შოტლანდიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. გერმანიაში განმანათლებლური მოძრაობა დაახლოებით 1720-იანი წლებისათვის დაიწყო და 1780-იან წლებამდე გასტანა. ეს იყო ადამიანის გათავისუფლებასა და ემანსიპაციაზე მიმართული რაციონალისტური მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იყო „ბუნებრივი რელიგიის“ კონცეფციის წინ წამოწევა და დაცვა, რელიგიისა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა დოგმებისაგან და დაფუძნებული იქნებოდა ტოლერანტობის იდეაზე. ბუნება, ადამიანი და გონება ამ მოძრაობის სამი ძირითადი ცნებაა. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, გერმანიაშიც განმანათლებლობა იცავდა განათლების, პროგრესისა და მეცნიერების რწმენას.

კანტი ამ განმანათლებლური მოძრაობის ნაწილია, თუმცა მისი ფილოსოფიური შემოქმედება ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ამ მოძრაობის საზღვრები.

„რა არის განმანათლებლობა“ კანტის მიერ განმანათლებლობის ფენომენის მოაზრების მცდელობაა, რომელიც სამაგალითო გახდა მომდევნო პერიოდებისთვის. კანტის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც განმანათლებლობა არის „ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია“ გახდა ფრთიანი ფრაზა, რომელსაც დღესაც ბევრი აციტირებს და იყენებს.

უმწიფარი ადამიანი ისაა, ვინც ვერ და არ იყენებს თავის გონებას, შიშისა და გაბედულების არქონის გამო. ამიტომ ის თავად არის პასუხისმგებელი თავის უმწიფრობაზე. ზოგიერთს ურჩევნია, „მეურვეთა“ (რომლებიც პოლიტიკური და რელიგიური ძალაუფლების მფლობელები არიან) კონტროლს ქვეშ დარჩეს, რადგან ფიქრობს, რომ მორჩილება ბუნებრივი მდგომარეობაა. თავად მეურვეებსაც არ აქვთ სურვილი, შეუწყონ ხელი დაქვემდებარებულთა გათავისუფლებასა და ემანსიპაციას.

საჭიროა კოლექტიური გათავისუფლება და ემანსიპაცია იმისათვის, რომ ადამიანი ზრდასრული გახდეს ანუ თავისი განსჯის გამოყენება შეძლოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა არსებობდეს გონების საჯარო გამოყენების შესაძლებლობა. გონების საჯარო გამოყენება კანტისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გონებისავე კერძო გამოყენება. რაშია განსხვავება? როდესაც ოფიცერი მთავარსარდლის ბრძანებას ასრულებს, მას არ აქვს უფლება, დაიწყოს მსჯელობა, რამდენად სწორია ეს ბრძანება და რამდენად მიზანშეწონილია მისი შესრულება. მაგრამ თუ ოფიცერი მოინდომებს მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნებას, სადაც გაანალიზებს ომის მსვლელობისას მთავარსარდლის მიერ დაშვებულ შეცდომებს, მას ამის სრული უფლება ექნება და სწორედ ეს იქნება გონების საჯარო მოხმარება. მეორე მაგალითი: მოქალაქეს არ აქვს უფლება, არ გადაიხადოს გადასახადები, თუნდაც მათ უსამართლოდ თვლიდეს. მაგრამ მას უნდა ჰქონდეს უფლება, გააკრიტიკოს არსებული საგადასახადო სისტემა საჯაროდ. სწორედ ეს კრიტიკა იქნება გონების საჯარო გამოყენება.

განმანათლებლობის ეპოქა კანტისათვის ერთი ეტაპია ნამდვილი განათლებისა და განათლებულობისაკენ მიმავალ გზაზე. ესაა ეტაპი, რომელზეც განათლებული მონარქი (პრუსიის მეფე ფრიდრიხ II, 1712-1786) არ აბრკოლებს საჯარო დისკუსიას, ხოლო საჯარო დისკუსიაში ჩართული ინტელექტუალები ეჭვქვეშ არ აყენებენ პოლიტიკური ძალაუფლების მფლობელის ბრძანებების შესრულების მიზანშეწონილობას. კანტი ევოლუციური განვითარების მომხრეა და არ ემხრობა რევოლუციური ძვრების იდეას. მისი აზრით, თავისუფლების დამყარებისათვის საზოგადოებაში ნელი, თანდათანობითი განვითარება უფრო სასარგებლოა, ვიდრე ტირანიის ძალადობრივი დამხობა, რაც მხოლოდ სხვა ტირანიას მოიტანს შედეგად. აქედან - კანტის განსაკუთრებული ყურადღება აზროვნების, განათლების, საჯარო სივრცის მიმართ, რომლებმაც ეს ევოლუციური განვითარება უნდა გამოიწვიონ.

საინტერესო ფაქტია, რომ ასეთი ზომიერი პოლიტიკის მომხრე კანტი უაღრესად რადიკალური და რევოლუციური ფილოსოფიის შემქმნელი იყო.

პასუხი შეკითხვაზე: რა არის განმანათლებლობა?

განმანათლებლობა – ესაა ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია.[1] უმწიფრობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმარო. უმწიფრობა საკუთარი თავის ბრალია მაშინ, როცა მისი მიზეზი განსჯის ნაკლულობაში კი არა, გადაწყვეტილებისა და სიმამაცის არქონაში ძევს. Sapere Aude! გაბედე საკუთარი განსჯის გამოყენება![2] – ესაა განმანათლებლობის ლოზუნგი.

სიზარმაცე და სილაჩრე – ესაა მიზეზები, რომელთა გამოც ადამიანთა დიდი ნაწილი, მას შემდეგ, რაც ბუნებამ ისინი კარგა ხნის წინ გაათავისუფლა უცხო ხელმძღვანელობისგან, მიუხედევად ამისა, მთელი ცხოვრება უმწიფრად რჩება; და რომელთა გამოც ამ ადამიანთა მეურვეებად ადვილად იქცევიან ხოლმე სხვები. უმწიფრობაში ყოფნა ძალზე კომფორტულია. თუ მაქვს წიგნი, რომელიც განსჯას შემიცვლის, მოძღვარი, რომელიც სინდისის მაგივრობას გამიწევს, ექიმი, რომელიც დიეტას ჩემს მაგივრად განსაზღვრავს და ა. შ. – მაშინ საკუთარი ძალისხმევა აღარ მჭირდება. არ მჭირდება აზროვნება, თუ შემიძლია ფულის გადახდა – სხვები ჩემს მაგივრად შეასრულებენ მოსაბეზრებელ სამუშაოს. მეურვეები, რომლებმაც ასე კეთილად აიღეს საკუთარ თავზე ზედამხედველობის საქმე, იმაზე ზრუნავენ, რომ ადამიანთა უდიდესმა ნაწილმა (მათ შორის მთელმა მშვენიერმა სქესმა) ეს რთული ნაბიჯი სიმწიფისკენ საშიშადაც ჩათვალოს. მას შემდეგ, რაც მეურვეებმა საკუთარ შინაურ პირუტყვს ჯერ ჭკუა გამოაცალეს და საგულდაგულოდ უზრუნველყვეს, რომ ეს მშვიდი არსებანი ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამენ საბავშვო ეტლის გარეშე, რომელშიც ჩაკეტილები არიან – ყოველივე ამის შემდეგ ისინი მათ საფრთხეს აჩვენებენ, რომელიც ემუქრებათ, თუ მარტო გავლას შეეცდებიან. არადა, ეს საფრთხე ასე დიდი სულაც არ არის, რადგან რამდენიმე დაცემით ისინი, საბოლოო ჯამში, სიარულს ისწავლიდნენ. მაგრამ ამ სახის მაგალითი გაუბედავობას იწვევს და ადამიანებს, ჩვეულებრივ, შიშის გამო სხვა მცდელობებზე ხელს აღებინებს.

ასე რომ, ყოველი ცალკეული ადამიანისთვის რთულია, გამოაღწიოს მისთვის ლამის უკვე ბუნებად ქცეული უმწიფრობისგან. მან ეს მდგომარეობა თითქმის უკვე შეიყვარა და თავიდან მართლაც არ ძალუძს საკუთარი განსჯის მოხმარება, რადგან მისთვის არასოდეს მიუციათ ამისი ცდის შესაძლებლობა. დადგენილებები და ფორმულები, მისი ბუნებრივი ნიჭის გონებრივი გამოყენებისა ან, უფრო სწორად, ვერგამოყენების ეს მექანიკური ინსტრუმენტები, მუდმივი

უმწიფრობის ბორკილებია. ისიც, ვინც ამ ბორკილებს მოიშორებს, ყველაზე პატარა ორმოსაც კი არამტკიცე ნახტომით თუ გადაევლება თავს, რადგან არაა მიჩვეულ თავისუფალ მოძრაობას. ამიტომაც არის მცირე მათი რიცხვი, ვინც საკუთარ გონზე მუშაობით წარმატებას მიაღწიეს უმწიფრობიდან მტკიცე ნაბიჯით გამოღწევის საქმეში.

მაგრამ ის, რომ საზოგადოებამ საკუთარი თავი გაანათლოს, უფროა შესაძლებელი; მეტიც, თუ მას თავისუფლება მიეცემა, ეს თითქმის გარდაუვალია. ყოველთვის გამოჩნდება რამდენიმე დამოუკიდებლად მოაზროვნე, მათ შორის დიდი მასების მეურვეებად დაყენებულთა შორის, რომლებიც, მას შემდეგ რაც თავად გადააგდებენ უმწიფრობის უღელს, ირგვლივაც გაავრცელებენ საკუთარი ღირებულებისა და თითოეული ადამიანის დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ მოწოდების გონიერი დაფასების სულისკვეთებას. განსაკუთრებით გასათვალისწინებელი აქ შემდეგია: ის საზოგადოება, რომელსაც მათ მანამდე უღელი დაადგეს, ამის შემდეგ მათვე აიძულებს ამ უღელქვეშ დარჩენას, თუ ამისკენ მას ზოგიერთი ის მეურვე წააქეზებს, რომელსაც თავად განათლება არ ძალუძს; აი, ასე საზიანოა წინარესჯების[3] გავრცელება, რადგან ისინი საბოლოოდ საკუთარ შემქმნელებზე ან მათ მემკვიდრეებზე იძიებენ შურს. ამიტომ საზოგადოება მხოლოდ ნელ-ნელა შეიძლება განმანათლებლობას მიუახლოვდეს. რევოლუციით ალბათ შეიძლება პიროვნული დესპოტიისა და მოგებასა ან ბატონობაზე მიმართული ჩაგვრის დამხობა, მაგრამ არასოდეს – აზროვნების წესის ნამდვილი რეფორმა; ახალი წინარესჯები, ზუსტად ისევე, როგორც ძველები, დიდი უგონო მასის დასაბმელ ღვედად იქცევა.

ამ განმანათლებლობისთვის მხოლოდ თავისუფლებაა საჭირო, თანაც ყველაზე უწყინარი მათ შორის, რასაც თავისუფლება შეიძლება ეწოდოს, კერძოდ კი: თავისუფლება საკუთარი განსჯის საჯარო მოხმარებისა ყველა საკითხში. არადა, ყველა მხრიდან ეს მესმის: „ნუ მსჯელობთ!“ ოფიცერი ამბობს: „ნუ მსჯელობთ, ივარჯიშეთ!“ ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი: „ნუ მსჯელობთ, გადაიხადეთ!“ სასულიერო პირი: „ნუ მსჯელობთ, იწამეთ!“ (მსოფლიოში მხოლოდ ერთადერთი მმართველი ამბობს: „იმსჯელეთ, რამდენიც გინდათ და რაზეც გინდათ, ოღონდ დამმორჩილდით!“) აქ ყველგან თავისუფლების შეზღუდვას აქვს ადგილი. მაგრამ რომელი შეზღუდვაა საზიანო განმანათლებლობისთვის, ხოლო რომელი – არათუ საზიანო, არამედ სასარგებლოც კი? – ჩემი პასუხია: საკუთარი გონების საჯარო მოხმარება ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს და მხოლოდ მას შეუძლია ადამიანებს შორის განმანათლებლობა მოიტანოს; ხოლო გონების კერძო მოხმარება შეიძლება ხშირად ძალზედაც შეიზღუდოს და ამით განმანათლებლობის პროგრესი დიდად არ დაბრკოლდება. საკუთარი გონების საჯარო მოხმარებაზე საუბრისას ვგულისხმობ გონების ისეთ გამოყენებას, რომელსაც მიმართავს ადამიანი, როგორც მეცნიერი, მთელი მკითხველი საზოგადოების წინაშე. კერძო მოხმარებას კი იმას ვუწოდებ, რომელსაც მან შეიძლება მიმართოს მასზე მინდობილ სამოქალაქო პოსტსა ან თანამდებობაზე საკუთარი გონების გამოყენებისას. ზოგიერთი

საქმისათვის, რომელიც საზოგადო ერთობის ინტერესის გამო იწარმოება, აუცილებელია მექანიზმი, რომლის დახმარებითაც საზოგადო ერთობის ესა თუ ის წევრი მხოლოდ და მხოლოდ პასიურად მოიქცევა, რათა ამ ხელოვნური ერთსულოვნებით ხელისუფლებამ ისინი საჯარო მიზნებზე მიმართოს ან, ყველაზე მცირე, ხელი ააღებინოს მათ ამ მიზნების განადგურებაზე. აქ, რასაკვირველია, მსჯელობა არაა ნებადართული; აქ საჭიროა დამორჩილება. მაგრამ რამდენადაც მანქანის ეს ნაწილი საკუთარ თავს ამავდროულად მთელი საზოგადო ერთობის, თავად მსოფლიო მოქალაქეთა საზოგადოების წევრად განიხილავს – ესე იგი მეცნიერის ხარისხში, რომელიც, საკუთარ განსჯაზე დაყრდნობით, საზოგადოებას ნაწერებით მიმართავს – მას, ცხადია, შეუძლია მსჯელობა იმის გარეშე, რომ ამით იმ საქმეებს მიადგეს ზიანი, რომლებშიც იგი ნაწილობრივ, როგორც პასიური წევრი, არის ჩართული. ძალიან მავნებლური იქნებოდა, თუ ოფიცერი, რომელსაც ზემდგომი ბრძანებას მისცემს, სამსახურისას ამ ბრძანების მიზანშეწონილობისა და სარგებლიანობის შესახებ დაიწყებდა აზრების გამოთქმას; ის უნდა დამორჩილდეს. მაგრამ სამართლიანად ვერ აუკრძალავ მას, როგორც მეცნიერს, სამხედრო სამსახურის შეცდომების შესახებ შეხედულებების გამოთქმას და მათ საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას. მოქალაქე ვერ იტყვის უარს მასზე დაკისრებულ გადასახადთა გადახდაზე; მეტიც, გადასახადების კადნიერი კრიტიკა (რომელმაც შესაძლოა საზოგადო დაუმორჩილებლობა გამოიწვიოს) შეიძლება დაისაჯოს, როგორც სკანდალი. მაგრამ იგივე ადამიანი არ ეწინააღმდეგება მოქალაქის ვალდებულებას, თუ ის, როგორც მეცნიერი, ამ გადასახადების შემოღების შეუფერებლობისა და, თუნდაც, უსამართლობის წინააღმდეგ საჯაროდ გამოთქვამს საკუთარ აზრს. ასევე, სასულიერო პირი ვალდებულია, საკუთარ კათაკმევლებსა და მრევლს იმ ეკლესიის სიმბოლოს მიხედვით უქადაგოს, რომელშიც მსახურობს, რადგან სწორედ ამ პირობით იქნა ის მიღებული სამსახურში. მაგრამ, როგორც მეცნიერს, მას სრული თავისუფლება აქვს – მეტიც, მოწოდებულიც კია – ყველა თავისი კარგად აწონილ-დაწონილი და კეთილად განზრახული აზრი, როგორც ამ სიმბოლოს შეცდომებისა, ისე რელიგიისა და ეკლესიის საქმეების უკეთ მოწყობის შესახებ, საზოგადოებას გაუზიაროს. აქ არაფერია ისეთი, რამაც შეიძლება მისი სინდისი შეაწუხოს. მართლაც, რასაც ის საკუთარი, როგორც ეკლესიის მსახურის, მოვალეობის მიხედვით ასწავლის, მას ის როგორც რაღაც ისეთს წარმოადგენს, რისი სწავლებაც არ შეუძლია საკუთარი ნება-სურვილისამებრ; ის მან უნდა გადმოსცეს, როგორც სხვისი მითითებისა და სხვისი სახელის შესაბამისად მოქმედმა. ის იტყვის: „ჩვენი ეკლესია ამასა და ამას ასწავლის; ესაა საბუთები, რომლებსაც ის იყენებს". ამის შემდეგ მას საკუთარი მრევლისთვის გამოაქვს ყველა პრაქტიკული სარგებელი იმ დებულებებიდან, რომლებზეც თვითონ მთელი დარწმუნებულობით ხელს ვერ მოაწერდა, მაგრამ რომელთა ქადაგებასაც ხელი შეუძლია მოჰკიდოს, რადგან სულაც არაა გამორიცხული, რომ მათში ჭეშმარიტება იმალებოდეს, ან, ყოველ შემთხვევაში, მათში არაფერი მოინახება შინაგანი რელიგიის საწინააღმდეგო. იმიტომ, რომ რამე ასეთი საწინააღმდეგოს აღმოჩენა თუ დაიჯე-

რა, მაშინ მას არ შეეძლება სინდისიერად შეასრულოს საკუთარი სამსახური და ის უნდა დატოვოს. მაშასადამე, გონების გამოყენება, რომელსაც მღვდელი საკუთარი მრევლის წინაშე მიმართავს, მხოლოდ კერძო გამოყენებაა, რადგანაც, რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს ეს მრევლი, გამოყენება მაინც შინაურობაში ხდება; ამის გათვალისწინებით, მღვდელი არაა თავისუფალი და არც შეიძლება იყოს, რადგან ის სხვის დავალებას ასრულებს. ამის საპირისპიროდ, მეცნიერი – როგორც სასულიერო პირი საკუთარი გონების საჯარო გამოყენებისას, რომელიც ნაწერებით საკუთრივ საზოგადოებას, ანუ მსოფლიოს ესაუბრება – ფლობს შეუზღუდავ თავისუფლებას, გამოიყენოს საკუთარი გონება და საკუთარი სახელით ილაპარაკოს. ხალხის მეურვეები (სასულიერო საქმეებში) თავად უმწიფრები რომ უნდა იყვნენ – ეს უაზრობაა, რომელიც უაზრობათა უკვდავყოფას ნიშნავს.

მაგრამ ხომ არ უნდა ჰქონდეს უფლება სასულიერო პირთა გარკვეულ საზოგადოებას, მაგალითად ეკლესიის კრებას, რომ ფიცით გარკვეულ უცვლელ სიმბოლოზე შეთანხმდეს, რითაც უწყვეტ მეურვეობას მიაღწევს ყველა საკუთარ წევრზე, მათი საშუალებით – ხალხზე და ამ მეურვეობას სამარადისოდ გახდის? ჩემი პასუხია: ეს სრულიად შეუძლებელია. ასეთი ხელშეკრულება, რომელსაც ადამიანთა მოდგმის შემდგომი განმანათლებლობის სამუდამოდ შესაჩერებლად დადებდნენ, სრულიად ბათილი და ძალადაკარგული იქნებოდა, თუნდაც უმაღლესი ხელისუფლების, პარლამენტებისა და ყველაზე საზეიმო სამშვიდობო შეთანხმებების მიერ იყოს დადასტურებული. ერთ ეპოქას არ შეუძლია შეთანხმდეს და დაიფიცოს, რათა მისი მომდევნო ეპოქა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდეს, რომელშიც შეუძლებელი იქნება შემეცნება (პირველ რიგში, ყველაზე აუცილებელი) გაფართოვდეს, შეცდომებისაგან გაიწმინდოს და განმანათლებლობის საქმეში წინ წაიწიოს. ეს იქნებოდა დანაშაული ადამიანის ბუნების წინააღმდეგ, რომლის პირველადი განსაზღვრება სწორედ ამ წინსვლაში მდგომარეობს; ხოლო შთამომავლებს სრული უფლება აქვთ, უარყონ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც უკანონოდ და დანაშაულებრივად იქნა მიღებული. კრიტერიუმი ყოველივე იმისა, რაც ხალხს როგორც კანონი შეიძლება დაეწესოს, შემდეგ შეკითხვაშია: დაუწესებდა თუ არა ხალხი ამ კანონს საკუთარ თავს? ეს კანონი შესაძლებელი იქნებოდა, უკეთესის მოლოდინში, განსაზღვრული მოკლე დროით, რათა გარკვეული წესრიგი ყოფილიყო შემოტანილი: ყოველ მოქალაქეს, უპირველეს ყოვლისა, სასულიერო პირს, ექნებოდა ნებართვა, მეცნიერის ხარისხში საჯაროდ ე. ი. საკუთარი ნაწერებით, თანამედროვე მოწყობის შეცდომებზე აზრი გამოთქვას, მაგრამ შემოტანილი წესრიგი იქამდე შენარჩუნდებოდა, სანამ ამ ვითარებების შესახებ ცოდნა საჯაროდ იმდენად არ გავრცელდებოდა და ცხადი არ გახდებოდა, რომ მოქალაქეები საკუთარი ხმების გაერთიანებით (თუმცა არა ყველასი) ტახტს წინადადებით მიმართავდნენ, ის მრევლნი მიეღო დაცვის ქვეშ, რომლებიც უკეთესი გაგების შესახებ საკუთარი წარმოდგენების შესაბამისად გაერთიანდნენ შეცვლილი რელიგიური მოწყობისათვის, იმის გარეშე, რომ მათ შეუშალონ ხელი, ვისაც ძველ წესზე დარჩენა სურს. მაგრამ სრულიად დაუშვებელია შეთანხმება –

თუნდაც ერთი ადამიანის ცხოვრების მანძილზე – მუდმივ, არავისგან საჯაროდ ეჭვქვეშ დაყენებად რელიგიურ მოწყობაზე და ამით კაცობრიობის სრულყოფის საქმეში წინსვლის ერთი ეპოქის განადგურება და მისი ქცევა შთამომავლობისათვის უნაყოფოდ და საზიანოდაც კი. ადამიანს შეუძლია საკუთარი თავისთვის – და ისიც მხოლოდ გარკვეული დროით – გადადოს განათლება იმის შესახებ, რაც უნდა იცოდეს; მაგრამ მისი უკუგდება, გინდა საკუთარი თავისთვის და გინდაც – შთამომავლობისათვის ნიშნავს კაცობრიობის წმინდა უფლებების შელახვასა და ფეხით გათელვას. ის, რისი დაწესების უფლებაც საკუთარი თავისთვის ხალხსაც კი არ აქვს, კიდევ უფრო ნაკლებად შეიძლება მონარქმა დაუწესოს ხალხს, რადგან მონარქის საკანონმდებლო ავტორიტეტი სწორედ იმას ეფუძნება, რომ ის ხალხის მთელს ნებას საკუთარში აერთიანებს. თუ ის მხოლოდ იმას აქცევს ყურადღებას, რომ ყოველი ჭეშმარიტი თუ წარმოსახვითი გაუმჯობესება სამოქალაქო წესრიგთან თანხმობაში იყოს, მას შეუძლია საკუთარ ქვეშევრდომებს მისცეს საშუალება, თავად გადაწყვიტონ, რისი გაკეთება სურთ სულის გადარჩენისათვის; მას ეს საერთოდ არ ეხება. მისი საქმეა უზრუნველყოს, რომ ერთი მეორეს ძალადობრივად არ აბრკოლებდეს, რომ მთელი საკუთარი უნარით ამ გადარჩენის განსაზღვრასა და მიღწევაზე იმუშავოს. ის თავად აყენებს ზიანს საკუთარ სიდიადეს, როდესაც ამ სფეროში ერევა და ნაწერებს, რომლებშიც მისი ქვეშევრდომები საკუთარ აზრებში გარკვევას ცდილობენ, მთავრობის ზედამხედველობას უქვემდებარებს – მაშინაც, როდესაც ის ამას საკუთარი მაღალი გაგებით აკეთებს და საყვედურს იმსახურებს, რომლის მიხედვითაც Caesar non est supra grammaticos[4]; განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც თავის უმაღლეს ძალაუფლებას იმდენად ამცირებს, რომ მხარს უჭერს საკუთარ სახელმწიფოში ზოგიერთი ტირანის სასულიერო დესპოტიზმს თავისი სხვა ქვეშევრდომების წინააღმდეგ.

როდესაც ამის შემდეგ კითხვა დაისმის: ვცხოვრობთ თუ არა ახლა ჩვენ განათლებულ ეპოქაში? პასუხი ასეთია: არა, მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ განმანათლებლობის ეპოქაში. ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აკლია იქამდე, რომ ადამიანებს ჰქონდეთ იმისი უნარი, რელიგიურ საკითხებში საკუთარი განსჯა სანდოდ და სწორად მოიხმარონ სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე. ოღონდ ცხადი ნიშნები გვაქვს იმისა, რომ ახლა მათ წინაშე ეს ველი თავისუფალი დამუშავებისათვის გაიხსნა და ზოგადი განმანათლებლობის – ანუ უმწიფრობიდან გამოსვლის, რომელში ყოფნაც ადამიანების ბრალია – დაბრკოლებები მცირდება. ამ აზრით ეს ეპოქა განმანათლებლობის ეპოქაა ანუ ფრიდრიხის საუკუნეა.[5]

მეფე, რომელიც უღირსად არ მიიჩნევს იმის თქმას, რომ თავის მოვალეობად მიაჩნია, რელიგიის სფეროში ადამიანებს არაფერი დაუწესოს და მათ აქ სრულ თავისუფლებას ანიჭებს, და რომელიც, შესაბამისად, საკუთარ თავთან მიმართებაში ტოლერანტობის ქედმაღლურ სახელს[6] უარყოფს, თავად არის განათლებული და იმსახურებს იმას, რომ მადლიერმა თანამედროვეებმა და შთამომავლობამ შეაქონ, როგორც ის, ვინც ადამიანის გვარი პირველმა – ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან – უმწიფრობიდან გამოიყვანა და თითოეულს თავისუფ-

ლება მისცა, სინდისის საქმეებში საკუთარი გონება მოიხმაროს. მისი მმართველობისას პატივსაცემ სასულიერო პირებს შეუძლიათ, საკუთარი თანამდებობის მოვალეობისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რწმენის მიღებული სიმბოლოსგან აქა-იქ განსხვავებული დასკვნები და შეხედულებები მეცნიერის ხარისხში თავისუფლად და საჯაროდ დადონ მსოფლიოს სამსჯავროზე; კიდევ უფრო მეტად კი მათ, ვინც თანამდებობრივი მოვალეობით არაა შეზღუდული. თავისუფლების ეს სული იქაც კი ვრცელდება, სადაც მას იმ მთავრობათა გარეგან დაბრკოლებებთან უხდება ბრძოლა, რომლებსაც საკუთარი ფუნქცია ვერ გაუგიათ. რადგან ის ანათებს, როგორც მაგალითი იმისა, რომ თავისუფლების არსებობა საჯარო სიმშვიდისა და საზოგადოების ერთიანობის შესახებ წუხილს სულაც არ უნდა იწვევდეს. ადამიანები თანდათანობით თვითონვე ახერხებენ სიუხეშის მდგომარეობიდან გამოსვლას, თუ მათ განზრახ გამოგონილი ხერხებით არ აიძულებენ, მასში დარჩნენ.

განმანათლებლობის – ანუ ადამიანის გამოსვლისა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია – მთავარ საკითხად რელიგიის სფერო მივიჩნიე, რადგან ხელოვნებათა და მეცნიერებებთან დაკავშირებით ჩვენს მმართველებს არ აქვთ ინტერესი, მეურვეების როლის შეასრულონ; გარდა ამისა, ეს უმწიფრობა ყველაზე უფრო საზიანო და ღირსების შემლახველია. მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის აზროვნების წესი, რომელიც რელიგიურ განმანათლებლობას უწყობს ხელს, კიდევ უფრო შორს მიდის და ხვდება: თავად კანონმდებლობასთან მიმართებაშიც უსაფრთხოა საკუთარი ქვეშევრდომებისათვის იმისი უფლების მიცემა, რომ საკუთარი გონება საჯაროდ გამოიყენონ და საკუთარი აზრები კანონების უკეთესი ჩამოყალიბების შესახებ, ან თუნდაც თამამი კრიტიკა უკვე არსებული კანონებისა, სამყაროს საჯაროდ გაუზიარონ; ჩვენს თვალწინ ბრწყინვალე მაგალითი გვაქვს, რომელთან მიმართებაშიც არცერთ მონარქს არ გადაუჭარბებია მისთვის, ვისაც ჩვენ პატივს მივაგებთ.

მაგრამ მხოლოდ მას, ვისაც, თავად განათლებულს, აჩრდილების არ ეშინია, მაგრამ, ასევე, კარგად დისციპლინირებული მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავს საზოგადოებრივი მშვიდობის დასაცავად, შეუძლია თქვას, რასაც ვერ ბედავს რესპუბლიკა: „იმსჯელეთ, რამდენიც გინდათ და რის შესახებაც გინდათ; მაგრამ დამმორჩილდით!“ აქ თავს ავლენს ადამიანთა საქმეების უცნაური და მოულოდნელი მიმდინარეობა; როგორც სხვა შემთხვევებში, როდესაც მას მთლიანობაში ვუყურებთ, მასში თითქმის ყველაფერი პარადოქსულია. სამოქალაქო თავისუფლების უფრო დიდი ხარისხი ხალხის სულის თავისუფლებისათვის სასარგებლო ჩანს, მაგრამ ამავდროულად მას გადაულახავ საზღვრებს უწესებს; თავისუფლების უფრო ნაკლები ხარისხი კი მას უქმნის სივრცეს, რომ მთელი თავისი ძალით გავრცელდეს. მას შემდეგ, რაც ბუნება ამ მაგარი გარსისგან მარცვალს გამოათავისუფლებს, რომელზედაც ის ყველაზე ნაზად ზრუნავს, კერძოდ კი თავისუფალი აზროვნებისაკენ მიდრეკილებასა და მოწოდებას, ეს უკანასკნელი ჯერ ხალხის გრძნობებზე ახდენს უკუგავლენას (რის შედეგადაც ხალხი მეტად

და მეტად იძენს თავისუფლად მოქმედების უნარს) და, საბოლოოდ, თავად მმართველობის პრინციპებზეც – მმართველობისა, რომელიც საკუთარი თავისათვის სასარგებლოდ მიიჩნევს, ადამიანს, ვინც უკვე მეტია, ვიდრე მანქანა, მისი ღირსების შესაბამისად მოექცეს.

განმარტებები

1. როდესაც„უმწიფრობასა“ და „მეურვეებზე“ საუბრობს, კანტი, სავარაუდოდ, მიუთითებს პავლეს წერილზე გალატელთა მიმართ (4, 1-2): „ვიდრე მემკვიდრე ყრმაა, არაფრით არ განირჩევა მონისგან, თუმცა ყველაფრის ბატონ-პატრონია. არამედ, მამის მიერ მიჩენილ დრომდე, მზრუნველებსა და მეურვეებს ემორჩილება“. „უმწიფრობის“ შესატყვისი გერმანული ტერმინი unmündig მოდის სიტყვიდან Mund (პირი) და გულისხმობს ადამიანს, რომელსაც საკუთარი სახელით ლაპარაკი შეუძლია. „მეურვე“ გერმანულად არის Vormünder, ანუ ის, ვინც სხვის მაგივრად, სხვისი სახელით ლაპარაკობს.
2. ესაა ციტატა ჰორაციუსის „ეპისტოლეებიდან“ (I, 2, 40).
3. „წინარესჯა“ – ესაა თარგმანი გერმანული სიტყვისა Vorurteil (ლათინური preiudicium, ინგლისური prejudice), რომელიც რომაულ სამართალში აღნიშნავდა წინასწარ განაჩენს, ხოლო მოგვიანებით, განსაკუთრებით განმანათლებლობის ეპოქაში, გამოიყენებოდა ტრადიციიდან მიღებული მსჯელობების აღსანიშნავად, რომლებიც ხელს უშლიდნენ თვითმყოფად აზროვნებას. „წინარესჯა“ დღეს გამოიყენება წინასწარი განწყობის, სტერეოტიპის, ნეგატიური დამოკიდებულების აზრით, რომელიც არაა გაცნობიერებული და გააზრებული.
4. (ლათ.) კეისარი არ დგას გრამატიკოსებზე მაღლა.
5. იგულისხმება ფრიდრიხ II, პრუსიის მეფე.
6. ტოლერანტობას კანტი „ქედმაღლურ სახელს“ იმიტომ კი არ უწოდებს, რომ თავად არატოლერანტულ მსოფლხედველობას ემხრობა, არამედ იმიტომ, რომ მისი გადმოსახედედან უცხო რელიგიის წარმომადგენლის შეწყნარება და ატანა მაინც გულისხმობს საკუთარი რელიგიის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებას. მონარქი ტოლერანტული მაშინაა, როდესაც ის უპირატოსებას ანიჭებს ერთ რელიგიას, მაგრამ შეიწყნარებს სხვა რელიგიებსაც. ამის საპირისპიროდ, განათლებული მონარქი საერთოდ არ უნდა ერეოდეს რელიგიის საქმეებში. ამ შემთხვევაში მას არც ტოლერანტობის „ქედმაღლური სახელი“ დასჭირდება.

კარლ მარქსი

(1818-1883)

შესავალი

გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, სოციალიზმისა და კომუნიზმის თეორეტიკოსი. მისი სახელიდან მომდინარეობს XIX-XX საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიული დისკურსი და პოლიტიკური მიმართულება – მარქსიზმი.

კარლ მარქსი დაიბადა 1818 წლის 5 მაისს გერმანიის ქალაქ ტრირში. მამამისი – ჰაინრიხ მარქსი – პროფესიით ადვოკატი, იყო პროტესტანტულ ქრისტიანობაზე კონვერტირებული ებრაელი რაბინის შვილი. მოგვიანებით მარქსის დედაც, რომელიც ასევე რაბინის ასული იყო, მოინათლა. მარქსმაც ბავშობა და სასკოლო ასაკი (ტრირის პროტესტანტული გიმნაზია) რელიგიურ გარემოში გაატარა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა გაარძელა ჯერ ბონის, შემდეგ კი ბერლინის უნივერსიტეტებში, სადაც ის სამართალს, ფილოსოფიას და ისტორიას სწავლობდა. ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის (ამჟამინდელი ჰუმბოლდტის) უნივერსიტეტის სტუდენტობისას მარქსი მოექცა ჰეგელის ფილოსოფიის გავლენის ქვეშ, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

1831 წელს გარდაცვლილი ჰეგელის ფილოსოფია იმჟამად ყველაზე გავლენიანი მიმდინარეობა იყო გერმანიაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ჰეგელის მიმდევართა შორის იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის ადამიანები, რომლებიც ჰეგელიანურ დაჯგუფებებს ქმნიდნენ და მისი ნააზრევის პრუსიული და ზოგადად ევროპული სახელმწიფოებისა და საზოგადოების რეფორმებისათვის პრაქტიკულ გამოყენებას ცდილობდნენ. სტუდენტი მარქსი მემარცხენე ჰეგელიანურ „დოქტორკლუბში“ გაწევრიანდა. მემარცხენე ჰეგელიანელებისათვის ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა განახლებას და განვრცობას საჭიროებდა და ის სამომავლო პოლიტიკური რეფორმების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

1841 წელს მარქსმა იენის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „განსხვავება და დემოკრიტესა და ეპიკურეს საბუნებისმეტყველო ფილოსოფიებს შორის“. იმავე წელს გადასახლდა ბონში, სადაც ის უნივერსიტეტის პროფესორად მუშაობის დაწყების იმედი ჰქონდა, მაგრამ უარის მიღების შემდეგ, პუბლიცისტურ საქმიანობაზე გადავიდა და 1842 წელს ლიბერალური გაზეთის „რაინიშე ცაიტუნგის“ რედაქტორი გახდა, თუმცა ერთ წელიწადში ცენზურის ზეწოლის გამო ამ პოზიციის დათმობა მოუხდა. ამ პერიოდში მარქსი დაუმეგობრდა ფრიდრიხ ენგელსს, რომელიც მალე მის უახლოეს მეგობრად და თანამოაზრედ იქცა.

1843 წელს მარქსი თავის მეუღლესთან ჟენი ფონ ვესტფალენთან ერთად პარიზში გადასახლდა და იქ განაახლა პუბლიცისტური და სამეცნიერო-თეორიული საქმიანობა. პარიზში მან დაასრულა თავისი ერთ-ერთი პირველი ფილოსოფიური თხზულება „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“, რომელიც ამავე დროს ცნობილია როგორც რელიგიის კრიტიკის კლასიკური ტექსტი. ამ ნაშრომში შეადარა მარქსმა რელიგია ოპიუმს და რელიგიის კრიტიკა სოციალური უსამართლობის კრიტიკასთან დააკავშირა. ამავე პერიოდში მარქსი იწყებს პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას, რაც მის ფილოსოფიურ და პოლიტიკურ ნააზრევს ახალ მიმართულებას აძლევს. 1844 წელს იქმნება მარქსის დაუსრულებელი ნაშრომი, რომელიც „ეკონომიკურ-ფილოსოფიური ხელნაწერების“ სახელითაა ცნობილი. ჰეგელის ფილოსოფიის გავლენით შექმნილ ამ ნაშრომში მარქსი აყალიბებს „გაუცხოებული შრომის“ იდეას. მარქსის თანახმად, მუშა თავისი შრომით უცხო სიმდიდრეს ქმნის, რომელიც მის დამქირავებელს ეკუთვნის და არა მის შემქმნელს. ამდენად მუშა გაუცხოებულია სამუშაოსაგან, რომელიც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას არ ემსახურება. კერძო საკუთრება გაუცხოებული შრომის შედეგია.

1845 წელს მარქსი წერს თავისი ადრეული პერიოდის ასევე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომს „თეზისები ფოიერბახის შესახებ“ (გამოქვეყნდა 1888 წელს), რომელშიც მან ფილოსოფიას ახალი, რევოლუციური მიზანმიმართულება დაუსახა: „ფილოსოფოსები სამყაროს მხოლოდ სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ, მაგრამ საქმე კი მისი შეცვლაა.“ ნარკვევში მარქსი კრიტიკულად აანალიზებს გერმანელ ფილოსოფოსს ლუდვიგ ფოიერბახს (1804-1872), რომლის ნააზრევმაც მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია. მარქსის აზრით, ფოიერბახი ადამიანს და ბუნებას დასრულებულ, სტატიკურ საგნებად განიხილავს და არ ითვალისწინებს, რომ ადამიანიც და მისი გარემოც მუდმივ თვითქმნადობაშია და იცვლება პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად. ამ დებულებაზე მუშაობას მარქსი აგრძელებს 1845-1846 წლებში ფრიდრიხ ენგელსთან ერთად დაწერილ წიგნში „გერმანული იდეოლოგია“. აქ ის კაცობრიობის ისტორიის, როგორც „გონის (გერმ. Geist) სვლის“ ჰეგელისეული მოდელის საწინააღმდეგოდ, ისტორიას ადამიანების პრაქტიკული განვითარების პროცესად გაიაზრებს, რომელშიც გადამწყვეტი როლი ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას და სოციალურ ურთიერთობებს ენიჭება. მარქსისა და ენგელსის თანახმად, „[ისტორია] რეალურად მოქმედი ადამიანებისგან გამომდინარეობს და მათივე სასიცოცხლო პროცესიდან იდეოლოგიური რეფლექსების განვითარებად და ამ სასიცოცხლო პროცესის ექოდ გამოისახება.“ განსაკუთრებულ ყურადღებას მარქსი და ენგელსი შრომის დანაწილებას უთმობენ, რომელიც მათ ისტორიის განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად მიაჩნიათ. ამით საფუძველი ჩაეყარა მარქსისტულ ისტორიულ მატერიალიზმს, რომელშიც ისტორიის მამოძრავებლად სოციალური და მატერიალური ძალებია წარმოდგენილი.

ჰეგელის დიალექტიკის საპირისპიროდ, რომელშიც „სამყაროს გონია“ (Weltgeist) მთავარი სააზროვნო ფიგურა, მარქსი ქმნის დიალექტურ და ისტორიულ მატერიალიზმს, მისივე განმარტებით, „იდეალური სხვა არაფერია, გარდა ადამიანის თავში რეალიზებული და გადათარგმნილი მატერიალური.“ ისტორიული მატერიალიზმი ეფუძნება „ბაზისისა და ზედნაშენის“ სქემას: წარმოებითი ურთიერთობები“ და „საწარმოო ძალები“ ქმნიან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, რომლებსაც, როგორც „ბაზისს“ ეფუძნება „ზედნაშენი“ კულტურის, იუსტიციის, სახელმწიფოსა და ღირებულებითი წარმოდგენების სახით.

1845 წელს პრუსიის მთავრობის მოთხოვნით მარქსი გაძევებულ იქნა საფრანგეთიდან. ის ჯერ ბრიუსელში, შემდეგ კი ლონდონში გადასახლდა. ამავე დროს მან უარი თქვა პრუსიის მოქალაქეობაზე და მთელი დარჩენილი ცხოვრება მოქალაქეობის გარეშე გაატარა. პარიზული პერიოდიდან მოყოლებული მარქსი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში. 1847 წელს მარქსი და ენგელსი გაწევრიანდნენ სოციალისტურ ორგანიზაცია „სამართლიანთა კავშირში“, რომელიც მალე მარქსის ინიციატივით „კომუნისტთა კავშირად“ გადაკეთდა. სწორედ ამ ორგანიზაციის დავალებით მარქსმა და ენგელსმა დაწერეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელიც 1848 წელს გამოქვეყნდა.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტიში“ მარქსი და ენგელსი პირველად სრულიად ღიად აყალიბებენ სოციალური კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიას. მათი თეორიის თანახმად, ყოველ ისტორიულ ეპოქაში არსებობდნენ გაბატონებული და ჩაგრული სოციალური კლასები, როგორებიცაა თავისუფლები და მონები, პატრიციები და პლებეები, ბატონები და ყმები. ისტორია შეფარულად თუ აშკარად ყოველთვის კლასობრივი ბრძოლის ასპარეზი იყო; კლასთა განსხვავებულობა და დაპირისპირება ამოძრავებს ისტორიას. ისტორიის ამგვარ გაგებას მარქსი და ენგელსი „ისტორიულ მატერიალზმს“ უწოდებენ.

თანამედროვე სამყარო, რომელიც ამერიკის აღმოჩენისა და ინდუსტრიალიზაციის შედეგად შეიქმნა, ახალი გაბატონებული კლასის – ბურჟუაზიის მიერ იმართება. თვით სახელმწიფოებიც მხოლოდ „კომიტეტებია“, რომლებიც ბურჟუაზიის საქმეებს განკარგავს. საკუთრება მხოლოდ ცოტაოდენი ადამიანის ხელშია კონცენტრირებული. მიუხედავად ექსპლოატირებული კლასების სიდუხჭირისა, არსებობს „ჭარბი წარმოების ეპიდემია“, რაც ინდუსტრიის გაფართოებასთან ერთად ამრავლებს. პროლეტარიატს, რომელიც მარქსისა და ენგელსის აზრით, გაბატონებული კლასის დამსამარებელი იქნება. „მანიფესტის“ ერთ-ერთი ცნობილი დებულებაა, რომ მუშათა კლასს სამშობლო არ გააჩნია, რომლის წართმევაც მისთვის შესაძლებელი იქნებოდა. მსოფლიო ბაზარი, ერთფორმიანი ინდუსტრიული პროდუქცია და ცხოვრების პირობები ნაციონალურ თავისებურობებსა და ნიშნებს შლის. პროლეტარიატს, რომელსაც მანიფესტის ავტორები მთავარ რევოლუციურ ძალად მიიჩნევენ, რომელსაც „დასაკარგი არაფერი აქვს, გარდა ბორკილებისა.“

1848 წელს მარქსი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბელგია და კიოლნში დაბრუნებულიყო, მაგრამ სულ რამდენიმე თვეში მას გერმანიის დატოვებაც მოუხდა და ის პარიზში გადასახლდა, სადაც 1849 წელს იქიდანაც იქნა გაძევებული. 1849-1864 წლებში მარქსი ცხოვრობდა და მუშაობდა ლონდონში. 1852 წელს ლონდონში მან დაასრულა თავისი ყველაზე გახმაურებული ისტორიის ფილოსოფიური და პოლიტიკის თეორიული თხზულება „ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერი“, რომელშიც მან კიდევ უფრო გაშალა და გააღრმავა კლასობრივი ბრძოლის თეორია. 1959 წელს მარქსმა გამოაქვეყნა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომელიც სხვა თემებთან ერთად, ცნობიერებისა და ყოფიერების მარქსისეული განსაზღვრებითაც გახდა ცნობილი: „ადამიანთა ცნობიერება კი არაა, რომელიც მათ ყოფიერებას, არამედ პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფაა, მათ ცნობიერებას რომ განსაზღვრავს.“ ამ ნაშრომში მარქსი საკუთარი ეკონომიური თეორიის სისტემატიზაციას შეეცადა, თუმცა თავისი კვლევის შედეგებით არ იყო კმაყოფილი და მრავალტომეულად ჩაფიქრებული ამ ნაშრომის წერა შეწყვიტა. მის ნაცვლად ის თავის მთავარი ნაშრომის – „კაპიტალის“ წერას შეუდგა.

„კაპიტალის“ პირველ ტომზე მუშაობის პარალელურად, 1864 წელს მარქსმა განაახლა თავისი პოლიტიკური საქმიანობა და მონაწილეობა მიიღო „საერთაშორისო მუშათა ასოციაციის“ დაარსებაში, რომელიც „პირველი ინტერნაციონალის“ სახელითაა ცნობილი და რომელსაც მარქსი 1872 წლამდე, ანუ ამ ორგანიზაციის ფაქტობრივ დაშლამდე ხელმძღვანელობდა. 1872 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, ანუ 1883 წლამდე მარქსი კვლავ ლონდონში ცხოვრობდა და დარჩენილი წლები მთლიანად „კაპიტალზე“ მუშაობას მიუძღვნა, თუმცა სამ ტომად ჩაფიქრებული ამ გიგანტური მონოგრაფიიდან მარქსის სიცოცხლეში მხოლოდ პირველი ტომი გამოქვეყნდა (1867), ხოლო მეორე და მესამე ტომები მარქსის გარდაცვალების შემდეგ ენგელსმა გამოსცა. მარქსის განმარტებით, „კაპიტალს“ ნაკლები კავშირი აქვს მის პოლიტიკურ საქმიანობასთან, არამედ ის, უპირველეს ყოვლისა, „გერმანული გონის“, ანუ იმ სააზროვნო ტრადიციის ნაყოფია, რომელსაც ის საკუთარ თავს მიაკუთვნებდა.

„კაპიტალის“ საერთო ქვესათაურია „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“ და ის ეკონომიის სფეროში მარქსის მრავალწლიანი კვლევა-ძიების შემაჯამებელი ნაშრომია. პირველი ტომი ეძღვნება „კაპიტალის პროდუქციის პროცესს“, მეორე ტომის თემაა „კაპიტალის ცირკულაციის პროცესი, ხოლო მესამესი – „კაპიტალისტური პროდუქციის საერთო პროცესი“. „კაპიტალში“ ჩამოყალიბებული კრიტიკა ეხება საზოგადოებას კაპიტალისტური წარმოების წესით, რომელიც კლასობრივი საზოგადოებაა. კაპიტალის დაგროვების პროცესში პროდუქციის შემქმნელი არ მონაწილეობს და მას მხოლოდ მესაკუთრისგან მიღებული ხელფასი ეძლევა. მარქსის თანახმად, ასეთ საზოგადოებაში პოლიტიკური ძალაუფლება მთლიანად კაპიტალის სამსახურშია და მას ემორჩილება.

მარქსის ნააზრევი უკვე მის სიცოცხლეშივე გააჩინა შინაარსობრივად საკმაოდ არაერთსახოვანი მიმდინარეობა „მარქსიზმი“, რომელიც XX საუკუნის ერთ-

ერთ ყველაზე გავლენიან სააზროვნო დისკურად და პოლიტიკურ იდეოლოგიად იქცა. ფრანგი ფილოსოფოსი მიშელ ფუკო მარქსიზმს „მეგადისკურსს“ უწოდებს, ხოლო ჟილ დელოზის აზრით, მთელი XX საუკუნის კულტურა მნიშვნელოვანწილად მარქსისა და ფროიდის ნააზრევზე დგას. პოლიტიკური თვალსაზრისით მარქსიზმი მეტნაკლებად ყველა მემარცხენე იდეოლოგიის საფუძვლია.

კომუნისტური პარტიის მანიფესტი[1]

აჩრდილი დადის ევროპაში – აჩრდილი კომუნიზმისა. ძველი ევროპის ყველა ძალა საღმრთო კავშირში შეერთდა ამ აჩრდილის სადევნელად: პაპი და მეფე, მეტერნიხი და გიზო, საფრანგეთის რადიკალები და გერმანიის პოლიციელები.

სად მოიპოვება ისეთი ოპოზიციური პარტია, რომლისთვისაც კომუნისტობის დაწამებით სახელი არ გაეტეხათ მთავრობაში მყოფ მის მოწინააღმდეგეებს? სად მოიპოვება ისეთი ოპოზიციური პარტია, რომელსაც კომუნისტობის სამარცხვინო ბრალდება უკანვე არ ესროლოს როგორც ოპოზიციის უფრო პროგრესულ წარმომადგენელთათვის, ისე თავის რეაქციულ მოწინააღმდეგეთათვის?

ორი რამ გამომდინარეობს ამ ფაქტიდან.

კომუნიზმს უკვე ძალად აღიარებენ ევროპის ყველა ხელისუფალნი.

დიდი ხანია დრო არის, რომ კომუნისტებმა მთელი მსოფლიოს წინაშე აშკარად გამოთქვან თავიანთი შეხედულება, თავიანთი მიზნები, თავიანთი მისწრაფებანი და კომუნიზმის აჩრდილის შესახებ არსებულ ზღაპრებს დაუპირისპირონ თვით პარტიის მანიფესტი.

ამ მიზნით სრულიად სხვადასხვა ეროვნების კომუნისტები შეიკრიბნენ ლონდონში და შეადგინეს შემდეგი „მანიფესტი“, რომელიც ქვეყნდება ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ფლამანდურ და დანიურ ენებზე.

I

ბურჟუები და პროლეტარები*

დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია** არის კლასთა ბრძოლის ისტორია.

თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ოსტატი*** და ქარგალი, მოკლედ – მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ეწეოდნენ შეუწყვეტელ – ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას, – ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა საერთო დაღუპვით.

ისტორიის წინანდელ ეპოქებში ჩვენ თითქმის ყველგან ვპოულობთ საზოგადოების სრულ დანაწილებას სხვადასხვა წოდებად, საზოგადოებრივ მდგომარეობათა მთელ წყებას. ძველ რომში ჩვენ ვხედავთ პატრიციებს, მხედრებს, პლებეებს, მონებს; შუა საუკუნეებში – ფეოდალურ ბატონებს, ვასალებს, ამქრის ოსტატებს, ქარგლებს, ყმებს და მასთან ერთად თითქმის თვითეულ ამ კლასში კიდევ განსაკუთრებულ საფეხურებს.

თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც დაღუპული ფეოდალური საზოგადოების წიაღიდან გამოვიდა, როდი მოუსპია კლასობრივი წინააღ-

---

* ბურჟუაზიად იგულისხმება კლასი თანამედროვე კაპიტალისტებისა, საზოგადოებრივი წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებისა, რომელნიც დაქირავებულ შრომას იყენებენ. პროლეტარიატად იგულისხმება კლასი თანამედროვე დაქირავებული მუშებისა, რომელნიც, რადგან წარმოების საკუთარი საშუალებები არა აქვთ, იძულებული არიან გაჰყიდონ ხოლმე თავიანთი სამუშაო ძალა, რათა იცხოვრონ. (ენგელსის შენიშვნა 1888 წლის ინგლისური გამოცემისათვის.)

** ესე იგი, ზუსტად რომ ვთქვათ, ისტორია, რომელიც წერილობით წყაროებშია მოცემული, 1847 წელს თითქმის სრულიად უცნობი იყო საზოგადოების წინაისტორია, ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც წინ უძღოდა მთელ დაწერილ ისტორიას. შემდეგში ჰაკსტჰაუზენმა რუსეთში აღმოაჩინა მიწის თემური საკუთრება, ხოლო მაურერმა დაამტკიცა, რომ ეს თემური საკუთრება წარმოადგენდა საზოგადოებრივ საფუძველს, საიდანაც მომდინარეობდა ყველა გერმანელ ტომთა ისტორიული განვითარება, და თანაც აღმოჩნდა, რომ სოფლის თემი საერთო მიწათმფლობელობით პირველყოფილი ფორმა იყო საზოგადოებისა ინდოეთიდან დაწყებული ირლანდიამდე. დასასრულ მორგანმა დააგვირგვინა საქმე იმით, რომ აღმოაჩინა გვარის ნამდვილი ბუნება და მისი მდგომარეობა ტომში, რითაც ცხადყო ამ პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების შინაგანი ორგანიზაცია მის ტიპიურ ფორმაში. ამ პირველყოფილი თემის დაშლასთან ერთად იწყება საზოგადოების დიფერენციაცია განცალკევებულ და, ბოლოს ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ კლასებად. მე შევეცადე ეს პროცესი გამერკვია ჩემს ნაშრომში: "Der Ursprung der Familie, des Privateigentums und des Staats". 2. Aufl., Stuttgart, 1886 [„ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა". მე-2 გამოც., შტუტგარტი, 1886 წ. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. 3.]. (ენგელსის შენიშვნა 1888 წლის ინგლისური გამოცემისათვის.)[2]

*** ოსტატი – ეს არის ამქრის სრულუფლებიანი წევრი, ოსტატი ამქარს შიგნით, და არა ამქრის მამასახლისი. (ენგელსის შენიშვნა 1888 წლის ინგლისური გამოცემისათვის.)

მდეგობანი. მან ძველის ალაგას მხოლოდ ახალი კლასები, ჩაგვრის ახალი პირობები და ბრძოლის ახალი ფორმები შექმნა.

მაგრამ ჩვენი ეპოქა, ბურჟუაზიის ეპოქა, იმით განსხვავდება, რომ მან გაამარტივა კლასობრივი წინააღმდეგობანი, მთელი საზოგადოება სულ უფრო და უფრო იყოფა ორ დიდ მტრულ ბანაკად, ორ დიდ, ერთიმეორისადმი უშუალოდ დაპირისპირებულ კლასად – ბურჟუაზიად და პროლეტარიატად.

შუა საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვა პირველი ქალაქთა თავისუფალი მოსახლეობა; მოქალაქეთა ამ წოდებიდან განვითარდნენ ბურჟუაზიის პირველი ელემენტები.

ამერიკის აღმოჩენამ, აგრეთვე აფრიკის გარშემო მიმავალმა საზღვაო გზის აღმოჩენამ ახალი ასპარეზი შეუქმნეს აღმავალ ბურჟუაზიას. აღმოსავლეთ-ინდოეთისა და ჩინეთის ბაზრებმა, ამერიკის კოლონიზაციამ, კოლონიებთან გაცვლა-გამოცვლამ, მანამდე გაუგონარი ბიძგი მისცა ვაჭრობას, ნაოსნობას, მრეწველობას და ამით სწრაფად განავითარა რევოლუციური ელემენტი დაშლის პროცესით მოცულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

მრეწველობის მანამდე არსებულ ფეოდალურ ან ამქრულ წარმოების წესს უკვე აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა, რომელიც ახალ ბაზრებთან ერთად იზრდებოდა. მისი ადგილი მანუფაქტურამ დაიჭირა. ამქრის ოსტატები განდევნილ იქნენ მრეწველი საშუალო წოდების მიერ; შრომის დანაწილება სხვადასხვა კორპორაციებს შორის გაჰქრა, მან ადგილი დაუთმო შრომის დანაწილებას თვით ცალკეულ სახელოსნოში.

მაგრამ ბაზრები განუწყვეტლივ ფართოვდებოდნენ, მოთხოვნა სულ იზრდებოდა, მანუფაქტურაც უკვე აღარ კმაროდა. მაშინ ორთქლმა და მანქანამ მოახდინეს რევოლუცია სამრეწველო წარმოებაში. მანუფაქტურის ადგილი დაიჭირა თანამედროვე მსხვილმა მრეწველობამ, მრეწველი საშუალო წოდების ადგილი – მილიონერ-მრეწველებმა, მთელი სამრეწველო არმიების წინამძღოლებმა, თანამედროვე ბურჟუებმა.

მსხვილმა მრეწველობამ შექმნა მსოფლიო ბაზარი, რომელსაც ნიადაგი მოუმზადა ამერიკის აღმოჩენამ. მსოფლიო ბაზარმა უაღრესად განავითარა ვაჭრობა, ნაოსნობა და სახმელეთო მიმოსვლის საშუალებები. ამან თავის მხრივ გავლენა იქონია მრეწველობის გაფართოებაზე, და იმდენად, რამდენადაც იზრდებოდა მრეწველობა, ვაჭრობა, ნაოსნობა, რკინიგზები, ვითარდებოდა ბურჟუაზიაც, იგი ადიდებდა თავის კაპიტალებს და უკანა რიგში ერეკებოდა შუა საუკუნეებიდან გადმოსულ ყველა კლასს.

ჩვენ ვხედავთ, ამრიგად რომ თანამედროვე ბურჟუაზია თვითონ არის ნაყოფი განვითარების ხანგრძლივი მსვლელობისა, წარმოების და აღებ-მიცემის წესში მომხდარი მთელი რიგი გადატრიალებებისა.

ბურჟუაზიის განვითარების თვითეულ ამ საფეხურს თან ახლდა შესაფერისი პოლიტიკური წარმატება. ბურჟუაზიამ, რომელიც წარმოადგენდა დაჩაგრულ წოდებას ფეოდალთა ბატონობის დროს, შეიარაღებულ და თვითმმართველ ასო-

ციაციას კომუნაში*, აქ დამოუკიდებელ ქალაქის რესპუბლიკას, იქ მონარქიის მოხარკე მესამე წოდებას**, შემდეგ, მანუფაქტურის დროს, თავადაზნაურობის წინააღმდეგ საპირწონე ძალას წოდებრივს ან აბსოლუტურ მონარქიაში და საერთოდ დიდი მონარქიების მთავარ საფუძველს, – ამ ბურჟუაზიამ, ბოლოს, მსხვილი მრეწველობისა და მსოფლიო ბაზრის დამყარების შემდეგ, თანამედროვე წარმომადგენლობით სახელმწიფოში ბრძოლით მოიპოვა თავისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური ბატონობა. თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლება მარტოოდენ კომიტეტია, რომელიც მთელი ბურჟუაზიული კლასის საერთო საქმეებს განაგებს.

ბურჟუაზიამ უაღრესად რევოლუციური როლი შეასრულა ისტორიაში.

სადაც კი ბურჟუაზიამ ბატონობას მიაღწია, ყველგან დაანგრია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი. მან შეუბრალებლად დაამსხვრია ის სხვადასხვანაირი ფეოდალური ჯაჭვი, რომლითაც ადამიანი მიბმული იყო მის „ბუნებრივ მბრძანებლებზე“, და არ დატოვა არავითარი სხვა კავშირი ადამიანსა და ადამიანს შორის, გარდა გაშიშვლებული ინტერესისა, გარდა უსულგულო „ნაღდად გადახდისა“, ეგოისტური ანგარიშის ყინულოვან წყალში ჩაახრჩო მან საღმრთო ჟრუანტელი რელიგიური აღტკინებისა, რაინდული აღფრთოვანებისა, მეშჩანური გრძნობიერებისა. მან პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალავ ნაბოძვარ და კეთილშენაძენ თავისუფლებათა ადგილას დაამყარა **ერთადერთი** უსინდისო თავისუფლება ვაჭრობისა. ერთი სიტყვით, რელიგიური და პოლიტიკური ილუზიებით მიჩქმალული ექსპლოატაციის ადგილას მან დაამყარა აშკარა, უსირცხვილო, პირდაპირი, ტლანქი ექსპლოატაცია.

ბურჟუაზიამ წმინდანობის შარავანდედი ახადა იმ მოქმედებას, რომელსაც დღემდე საპატიოდ თვლიდნენ და მოწიწების გრძნობით უცქეროდნენ. ექიმი, იურისტი, მღვდელი, პოეტი, მეცნიერი მან სასყიდლით მომუშავე თავის დაქირავებულ მუშებად გადააქცია.

---

* „კომუნები“ ეწოდებოდა ახლად წარმოშობილ ქალაქებს საფრანგეთში უკვე მანამდე, ვიდრე ისინი ბრძოლით მოიპოვებდნენ თავიანთი მბრძანებლებისა და ბატონებისაგან ადგილობრივ თვითმმართველობას და „მესამე წოდების“ პოლიტიკურ უფლებებს. ზოგადად თუ ვიტყვით, აქ ბურჟუაზიის ეკონომიური განვითარების ტიპიურ ქვეყნად აღებულია ინგლისი, ხოლო მისი პოლიტიკური განვითარების ტიპიურ ქვეყნად – საფრანგეთი. (ენგელსის შენიშვნა 1888 წ. ინგლისური გამოცემისათვის.) კომუნას უწოდებდნენ იტალიისა და საფრანგეთის მოქალაქეები თავიანთ სამოქალაქო თემს, მას შემდეგ, რაც მათ თავიანთი ფეოდალური ბატონებისაგან შეისყიდეს ან ბრძოლით მოიპოვეს თვითმმართველობის პირველი უფლებები. (ენგელსის შენიშვნა 1890 წლის გერმანული გამოცემისათვის.)

** ენგელსის მიერ რედაქტირებულ 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში „დამოუკიდებელ ქალაქის რესპუბლიკას“ შემდეგ ჩატარებულია სიტყვები: „(როგორც იტალიასა და გერმანიაში)“, ხოლო სიტყვებისა: „მონარქიის მოხარკე მესამე წოდებას“ შემდეგ – „(როგორც საფრანგეთში)“. 1974 წლის გამოცემის რედ.

ბურჟუაზიამ ოჯახურ ურთიერთობას მისი მგრძნობიერ-სანტიმენტალური საბურველი ჩამოაფხრიწა და იგი მარტოოდენ ფულად ურთიერთობად აქცია.

ბურჟუაზიამ ცხადყო, რომ ძალის უხეში გამოვლინება შუა საუკუნეებში, რასაც ესოდენ აღტაცებაში მოჰყავს რეაქციონერები, თავის ბუნებრივ დამატებას უკიდურეს სიზანტეში პოულობდა. პირველად მან გვიჩვენა, თუ რისი შესრულება შეუძლია ადამიანის მოქმედებას. მან შექმნა სულ სხვაგვარი საკვირველებანი ხელოვნებისა, ვიდრე ეგვიპტის პირამიდები, რომის წყალსადენები და გოტიკური ტაძრები, მან ჩაატარა სულ სხვანაირი ლაშქრობანი, ვიდრე ხალხთა გადასახლებანი და ჯვაროსნული ომები.

ბურჟუაზიას არსებობა არ შეუძლია, თუ არ გამოიწვია განუწყვეტელი რევოლუციური გარდაქმნა წარმოების იარაღებისა, მაშასადამე – წარმოებითი ურთიერთობისა, მაშასადამე – მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობისა. პირიქით, წარმოების ძველი წესის უცვლელად შენარჩუნება არსებობის პირველი პირობა იყო ყველა წინანდელი მრეწველი კლასისათვის. განუწყვეტელი გადატრიალება წარმოებაში, განუწყვეტელი რყევა ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობისა, მუდმივი მერყეობა და მოძრაობა განასხვავებს ბურჟუაზიულ ეპოქას ყველა წინანდელი ეპოქისაგან. ყველა გაქვავებული, ჟანგმოკიდებული ურთიერთობა და მისი თანმყოლი, ძველთაგან საპატიოდ მიჩნეული წარმოდგენანი და შეხედულებანი ირღვევა, ყველა ახლად აღმოცენებული ძველდება, ვიდრე გაქვავებას მოასწრებდეს. ყოველივე წოდებრივი და უძრავი ქრება, ყოველივე წმინდა შემწიკვლული ხდება, და ადამიანები ბოლოს იძულებული ხდებიან ფხიზელი თვალით შეხედონ თავიანთი ცხოვრების მდგომარეობას და თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას.

ის მოთხოვნილება, რომ რაც შეიძლება მეტი პროდუქტი გაასაღოს, აიძულებს ბურჟუაზიას მთელი დედამიწის ზურგს მოედოს. მან ყველგან უნდა მოიკიდოს ფეხი, ყველგან მოიკალათოს, ყველგან კავშირურთიერთობა დაამყაროს.

მსოფლიო ბაზრის ექსპლოატაციის გზით ბურჟუაზიამ კოსმოპოლიტური გახადა ყველა ქვეყნის წარმოება და მოხმარება. რეაქციონერთათვის დიდად სამწუხაროდ, მან მრეწველობას ეროვნული ნიადაგი გამოაცალა. ძველისძველი ეროვნული მრეწველობის დარგები მოისპო და დღითიდღე ისპობა კიდევ. მათ აძევებენ მრეწველობის ახალი დარგები, რომელთა შემოღება სასიცოცხლო საკითხად ხდება ყველა ცივილიზებული ერისათვის, – დარგები, რომელნიც უკვე არა ადგილობრივი ნედლეულის, არამედ დედამიწის უშორესი კუთხეებიდან მოტანილი ნედლეულის დამუშავებას ეწევიან და რომელთა ფაბრიკატები არა მარტო თვითონ იმ ქვეყანაში, არამედ ამავე დროს მსოფლიოს ყველა ნაწილში მოიხმარება. ძველ მოთხოვნილებათა ადგილას, რასაც სამშობლო ქვეყნის პროდუქტები აკმაყოფილებდნენ, ჩნდება ახალი მოთხოვნილებანი, რომელთა დასაკმაყოფილებლად უშორესი ქვეყნებისა და სულ სხვადასხვა ჰავის პროდუქტებია საჭირო. ძველი კუთხური და ეროვნული კარჩაკეტილობისა და საკუთარი წარმოების პროდუქტებით დაკმაყოფილების ნაცვლად წარმოდგა ერების ყოველმ-

ხრივი კავშირურთიერთობა და ყოველმხრივი დამოკიდებულება ერთმანეთისაგან. და ასეა როგორც მატერიალურ, ისე გონებრივ წარმოებაშიც. ცალკეული ერის გონებრივი ნაწარმოები საერთო კუთვნილება ხდება. ეროვნული ცალმხრივობა და შეზღუდულობა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება, და მრავალი ეროვნული და ადგილობრივი ლიტერატურიდან ერთი მსოფლიო ლიტერატურა იქმნება.

ბურჟუაზია წარმოების ყველა იარაღის სწრაფი გაუმჯობესებით და უსასრულოდ გაადვილებული მიმოსვლის შემწეობით ცივილიზაციისაკენ მიაქანებს ყველა ერს, თვით უაღრესად ბარბაროსულსაც კი. მისი საქონლის სიიაფე – აი ის მძიმე არტილერია, რომლითაც იგი ძირიანად ანგრევს ყველა ჩინურ კედელს და იარაღს აყრევინებს ბარბაროსთა უჯიუტეს მძულვარებას უცხოელებისადმი. იგი აიძულებს ყველა ერს წარმოების ბურჟუაზიული წესი შეითვისონ, თუ არ უნდათ განადგურდნენ; იგი აიძულებს მათ შემოიღონ ეგრეთწოდებული ცივილიზაცია, ე. ი. იქცნენ ბურჟუებად. ერთი სიტყვით, იგი თავის ხატად და მსგავსად ქმნის მთელ ქვეყანას.

ბურჟუაზიამ სოფელი ქალაქის ბატონობას დაუმორჩილა. მან შექმნა უზარმაზარი ქალაქები, უაღრესად გაამრავლა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი სოფლის მოსახლეობასთან შედარებით და ამგვარად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოჰგლიჯა სოფლური ცხოვრების იდიოტიზმს, როგორც სოფელი ქალაქისაგან, ისევე დამოკიდებული გახადა მან ბარბაროსული და ნახევრად ბარბაროსული ქვეყნები ცივილიზებული ქვეყნებისაგან, გლეხი ხალხი ბურჟუაზიული ხალხისაგან, აღმოსავლეთი დასავლეთისაგან.

ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო სპობს წარმოების საშუალებების, ქონებისა და მოსახლეობის დაქუცმაცებას. მან შეამჭიდროვა მოსახლეობა, მოახდინა წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და საკუთრების კონცენტრაცია მცირეოდენთა ხელში. ამის აუცილებელი შედეგი იყო პოლიტიკური ცენტრალიზაცია. დამოუკიდებელი, ან თითქმის მხოლოდ სამოკავშირეო ურთიერთობით დაკავშირებული პროვინციები, სხვადასხვა ინტერესებით, კანონებით, მთავრობებით და ბაჟებით, შედუღებულ იქნენ **ერთ** ერად – **ერთი** მთავრობით, **ერთი** კანონმდებლობით, **ერთი** ეროვნული კლასობრივი ინტერესით, **ერთი** საბაჟო ხაზით.

თავისი კლასობრივი ბატონობის ერთ საუკუნეზე ნაკლები ხნის განმავლობაში ბურჟუაზიამ უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო უზარმაზარი საწარმოო ძალები შექმნა, ვიდრე ყველა წარსულმა თაობამ, ერთად აღებულმა. ბუნების ძალთა დამორჩილება, მანქანური წარმოება, ქიმიის გამოყენება მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში, ორთქლის გემები, რკინიგზები, ელექტრონის ტელეგრაფები, დედამიწის მთელი ნაწილების ათვისება მიწათმოქმედებისათვის, მდინარეების მოწყობა სანაოსნოდ, მთელი, თითქოს მიწიდან ამომძვრალი, მასები მოსახლეობისა, – აბა რომელ წინანდელ საუკუნეს დაესიზმრებოდა, რომ ასეთი მწარმოებლური ძალები თვლემდნენ საზოგადოებრივი შრომის წიაღში!

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოებისა და აღებ-მიცემის საშუალებანი, რომელთა საფუძველზე ბურჟუაზია აღმოცენდა, ფეოდალურ საზოგადოებაში წარმოიშვნენ. წარმოებისა და აღებ-მიცემის ამ საშუალებათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე ის ურთიერთობანი, რომლებშიც ფეოდალური საზოგადოება აწარმოებდა და გაცვლა-გამოცვლას ეწეოდა, მიწათმოქმედებისა და მანუფაქტურის ფეოდალური ორგანიზაცია, ერთი სიტყვით – ფეოდალური საკუთრების ურთიერთობანი, აღარ შეეფერებოდნენ უკვე განვითარებულ მწარმოებლურ ძალებს, ისინი აფერხებდნენ წარმოებას, ნაცვლად იმისა, რომ განევითარებინათ იგი. ისინი მის ბორკილებად იქცნენ. ისინი უნდა დამსხვრეულიყვნენ და დაიმსხვრნენ კიდეც.

მათი ადგილი დაიკავა თავისუფალმა კონკურენციამ მისი შესაფერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებით, ბურჟუაზიული კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობით.

მსგავსი მოძრაობა წარმოებს ჩვენ თვალწინ. თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, – მისი ბურჟუაზიული წარმოებითი და აღებ-მიცემითი ურთიერთობით, საკუთრების ბურჟუაზიული ურთიერთობით, – რომელმაც თითქოს ჯადოსნობით შექმნა წარმოებისა და აღებ-მიცემის ესოდენ ძლიერი საშუალებანი, იმ ჯადოქარს ჰგავს, რომელსაც ვეღარ დაუმორჩილებია მის მიერ ქვესკნელიდან ჯადო სიტყვით გამოწვეული ძალები. ეს რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც მრეწველობისა და ვაჭრობის ისტორია არის მხოლოდ ისტორია თანამედროვე მწარმოებლურ ძალთა აჯანყებისა თანამედროვე წარმოებით ურთიერთობათა წინააღმდეგ, საკუთრების ურთიერთობათა წინააღმდეგ, რომელნიც ბურჟუაზიისა და მისი ბატონობის არსებობის პირობებს წარმოადგენენ. საკმარისია დავასახელოთ სავაჭრო კრიზისები, რომელნიც თავიანთი პერიოდული განმეორებით სულ უფრო და უფრო მრისხანედ აყენებენ ეჭვქვეშ მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობას. სავაჭრო კრიზისების დროს რეგულარულად ისპობა დიდი ნაწილი არა მარტო დამზადებული პროდუქტებისა, არამედ უკვე შექმნილი მწარმოებლური ძალებისაც. კრიზისების დროს იფეთქებს ხოლმე საზოგადოებრივი ეპიდემია, რომელიც ყველა წინანდელ ეპოქას უაზრობად მოეჩვენებოდა, – ეპიდემია ჭარბწარმოებისა. საზოგადოება უეცრივ უკან იწევს და ბარბაროსობის მდგომარეობაში ვარდება; თითქოს შიმშილმა, გამანადგურებელმა საყოველთაო ომმა მოუსპო მას ყველა საარსებო საშუალებაო; გგონია, თითქოს მრეწველობა, ვაჭრობა მოისპო, – და რატომ? იმიტომ, რომ საზოგადოებას აქვს მეტისმეტად დიდი ცივილიზაცია, მეტისმეტად ბევრი საარსებო საშუალება, მეტისმეტად დიდი მრეწველობა, მეტისმეტად დიდი ვაჭრობა. მის განკარგულებაში მყოფი მწარმოებლური ძალები უკვე აღარ ემსახურებიან ბურჟუაზიული ცივილიზაციისა და საკუთრების ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას; პირიქით, იმ ურთიერთობისათვის ისინი მეტისმეტად ძლიერნი გახდნენ, ბურჟუაზიული ურთიერთობა აბრკოლებს მათ განვითარებას; ხოლო როგორც კი მწარმოებლური ძალები ამ დაბრკოლებას გადალახავენ, ისინი იწვევენ მთელი ბურჟუაზიული სა-

ზოგადოების მოშლილობას, ხიფათში აგდებენ ბურჟუაზიული საკუთრების არსებობას. ბურჟუაზიული ურთიერთობა მეტისმეტად ვიწრო შეიქნა, რათა დაიტიოს მის მიერ შექმნილი სიმდიდრე. – რით სძლევს ხოლმე ბურჟუაზია კრიზისებს? ერთი მხრივ, მწარმოებლურ ძალთა მთელი მასის იძულებითი მოსპობის გზით; მეორე მხრივ – ახალი ბაზრების დაპყრობით და ძველი ბაზრების უფრო საფუძვლიანი ექსპლოატაციით. მაშასადამე, რით? მით, რომ უფრო ყოველმხრივსა და უფრო მძლავრ კრიზისებს ამზადებს და ამ კრიზისების ამარიდებელ საშუალებას ამცირებს.

იარაღი, რომლითაც ბურჟუაზიამ ფეოდალიზმი დაამხო, ახლა თვით ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიიმართება.

მაგრამ ბურჟუაზიამ არა მარტო გამოჭედა ის იარაღი, რომელიც მას სიცოცხლეს გამოასალმებს; მან ის ადამიანებიც წარმოშვა, რომელნიც ამ იარაღს მიმართავენ მის წინააღმდეგ, – ე. ი. თანამედროვე მუშები, **პროლეტარები**.

იმავე ზომით, რა ზომითაც ბურჟუაზია, ე. ი. კაპიტალი, ვითარდება, – ვითარდება პროლეტარიატიც, კლასი თანამედროვე მუშებისა, რომელთაც მხოლოდ მანამდე შეუძლიათ არსებობა, ვიდრე სამუშაოს შოულობენ, და რომელნიც მხოლოდ მანამდე შოულობენ სამუშაოს, ვიდრე მათი შრომა კაპიტალს ადიდებს. ეს მუშები, რომლებიც იძულებული არიან ცალობით ჰყიდონ თავიანთი თავი, ისეთსავე საქონელს წარმოადგენენ, როგორიცაა ვაჭრობის ყოველივე სხვა საგანი, და ამიტომ თანაბრად განიცდიან კონკურენციის ყველა ცვალებადობას, ბაზრის ყველა რყევას.

პროლეტარების შრომამ, მანქანების გავრცელებისა და შრომის დანაწილების გამო, სრულიად დაჰკარგა თავისთავადი ხასიათი და მით ყოველივე მიმზიდველობა მუშისათვის. მუშა მანქანის უბრალო დანამატად იქცევა, რომელსაც მოეთხოვება მხოლოდ უაღრესად მარტივი, უაღრესად ერთფეროვანი და ძალიან ადვილად შესათვისებელი ხელმარჯვეობა. ამიტომ ხარჯები, რასაც მუშის დაქირავება იწვევს, განისაზღვრება თითქმის მარტო იმ საარსებო საშუალებებით, რომლებსაც მუშა საჭიროებს თავის სარჩენად და თავისი მოდგმის განსაგრძობად. მაგრამ ყოველი საქონლის ფასი და, მაშასადამე, შრომისაც[3], უდრის მისი წარმოების ხარჯებს. ამიტომ იმავე ზომით, რა ზომითაც იზრდება შრომის არამიმზიდველობა, მცირდება ხელფასი. უფრო მეტიც: იმავე ზომით, რა ზომითაც იზრდება მანქანების გამოყენება და შრომის დანაწილება, მატულობს შრომის რაოდენობაც, სულ ერთია, ხდება ეს სამუშაო საათების გამრავლების გზით, ან იმ შრომის გადიდებით, რომელიც განსაზღვრულ დროში მოეთხოვება მუშას, თუ მანქანების აჩქარებული მოძრაობით და ა. შ.

თანამედროვე მრეწველობამ პატრიარქალური ოსტატის პატარა სახელოსნო მრეწველი კაპიტალისტის დიდ ფაბრიკად გადააქცია. ფაბრიკაში თავმოყრილი მუშათა მასები ჯარისკაცურად არიან ორგანიზებული. როგორც მრეწველობის რიგითი ჯარისკაცები, ისინი დაყენებული არიან უნტერ-ოფიცერთა და ოფიცერთა მთელი იერარქიის მეთვალყურეობის ქვეშ. ისინი არა მარტო ბურჟუაზიული

კლასის, ბურჟუაზიული სახელმწიფოს მონები არიან, – მათ ყოველდღე და ყოველ საათს იმონებს მანქანა, ზედამხედველი და პირველ ყოვლისა თვითონ ცალკეული ბურჟუა-მეფაბრიკე. ეს დესპოტიზმი მით უფრო წვრილმანი, საძულველი და აღმაშფოთებელია, რაც უფრო აშკარად აღიარებს იგი თავის მიზნად გამდიდრებას.

რაც უფრო ნაკლებ დახელოვნებასა და ძალ-ღონეს მოითხოვს ხელით მუშაობა, ე.ი. რაც უფრო ვითარდება თანამედროვე მრეწველობა, მით უფრო მეტად იდევნება მამაკაცის შრომა ქალისა და ბავშვის შრომით. მუშათა კლასისათვის არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აღარა აქვს სქესისა და ასაკის განსხვავებას. არსებობს მხოლოდ სამუშაო ინსტრუმენტები, რომელნიც ასაკისა და სქესის მიხედვით სხვადასხვა ხარჯებს იწვევენ.

როგორც კი თავდება მუშის ექსპლოატაცია მეფაბრიკის მიერ და მუშა თავის ხელფასს ნაღდად ღებულობს, მას თავს ესხმიან ბურჟუაზიის სხვა ნაწილები: სახლის პატრონი, მედუქნე, მევახშე და სხვა.

საშუალო წოდების დაბალი ფენები: წვრილი მრეწველები, ვაჭრები და რანტიეები, ხელოსნები და გლეხები, – ყველა ეს კლასი პროლეტარიატის რიგებში ექცევიან, ნაწილობრივ იმის გამო, რომ მათი პატარა კაპიტალი საკმაო არ არის მსხვილი სამრეწველო წარმოებისათვის და იგი ვერ უძლებს უფრო მსხვილი კაპიტალისტების კონკურენციას, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათს ხელმარჯვეობას ფასი ეკარგება წარმოების ახალი წესების მეოხებით. ასე გროვდება პროლეტარიატი მოსახლეობის ყველა კლასიდან.

პროლეტარიატი გადის განვითარების სხვადასხვა საფეხურს. პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის დღიდანვე იწყება.

თავდაპირველად ბრძოლას ეწევიან ცალკეული მუშები, მერე ერთი ფაბრიკის მუშები, შემდეგ შრომის ერთი დარგის მუშები ერთ განსაზღვრულ ადგილას ცალკეული ბურჟუას წინააღმდეგ, რომელიც მათ უშუალოდ უწევს ექსპლოატაციას. ისინი შეტევას აწარმოებენ არა მარტო ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობათა წინააღმდეგ, არამედ თვით წარმოების იარაღების წინააღმდეგაც; ისინი სპობენ უცხოურ საქონელს, რომელიც მათ კონკურენციას უწევს, ამტვრევენ მანქანებს, ცეცხლს უკიდებენ ფაბრიკებს, ცდილობენ აღადგინონ შუა საუკუნეების მუშის დაკარგული მდგომარეობა.

ამ საფეხურზე მუშები წარმოადგენენ მთელ ქვეყანაში გაფანტულ და კონკურენციის გამო დაქუცმაცებულ მასას. მუშათა მასობრივი შემჭიდროება ჯერ კიდევ არ არის შედეგი მათი საკუთარი გაერთიანებისა, არამედ შედეგია ბურჟუაზიის გაერთიანებისა: ბურჟუაზიამ თავისი საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მთელი პროლეტარიატი მოძრაობაში უნდა მოიყვანოს და ამას იგი დროებით ახერხებს კიდეც. მაშასადამე, ამ საფეხურზე პროლეტარები ებრძვიან არა თავიანთ მტრებს, არამედ თავიანთი მტრების მტრებს, აბსოლუტური მონარქიის ნაშთებს, მიწათმფლობელებს, არამრეწველ ბურჟუებს, წვრილ ბურჟუებს. ამრიგად, მთელი ისტორიული მოძრაობა ბურჟუაზიის ხელშია თავმოყრილი; ყო-

ველი გამარჯვება, ასეთ პირობებში მიღწეული, ბურჟუაზიის გამარჯვებას წარმოადგენს.

მაგრამ მრეწველობის განვითარებასთან ერთად არა მარტო რიცხობრივად მატულობს პროლეტარიატი; იგი უფრო დიდ მასად მჭიდროვდება, მისი ძალა იზრდება და ამ ძალას იგი უფრო და უფრო გრძნობს. ინტერესები და ცხოვრების პირობები პროლეტარიატის შიგნით სულ უფრო და უფრო გათანაბრებული ხდება, რამდენადაც მანქანა უფრო და უფრო აქარწყლებს შრომის სხვადასხვაობას და თითქმის ყველგან ერთნაირად დაბალ დონეზე ჩამოჰყავს ხელფასი. მზარდი კონკურენცია ბურჟუებსა და ერთმანეთს შორის და აქედან წარმომდგარი სავაჭრო კრიზისები უფრო და უფრო მერყევს ხდიან მუშების ხელფასს; სულ უფრო და უფრო სწრაფი განვითარებით მიმავალი შეუწყვეტელი გაუმჯობესება მანქანებისა სულ უფრო და უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილს ხდის მუშების მთელ საარსებო მდგომარეობას; შეჯახებანი ცალკეულ მუშასა და ცალკეულ ბურჟუას შორის სულ უფრო და უფრო იღებენ ორი კლასის შეჯახებათა ხასიათს. მუშები იწყებენ იმით, რომ კოალიციებს* ადგენენ ბურჟუების წინააღმდეგ, ერთიანდებიან თავიანთი ხელფასის დასაცავად. ისინი მუდმივ ასოციაციებსაც კი აარსებენ იმისათვის, რომ სახსრებით უზრუნველყონ თავიანთი თავი შესაძლებელ შეტაკებათა შემთხვევაში. ალაგ-ალაგ ბრძოლა აშკარა აჯანყებად იქცევა.

მუშები დროდადრო იმარჯვებენ, მაგრამ ეს გამარჯვებები მხოლოდ წარმავალია. მათი ბრძოლის ნამდვილ შედეგს წარმოადგენს არა უშუალო წარმატება, არამედ მუშების გაერთიანება, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება. ამას ხელს უწყობენ სულ უფრო და უფრო მზარდი მიმოსვლის საშუალებანი, რომელთაც მსხვილი მრეწველობა ქმნის და რომელნიც ერთმანეთთან აკავშირებენ სხვადასხვა ადგილის მუშებს. მხოლოდ ეს დაკავშირებაა საჭირო, რომ მრავალი ადგილობრივი ბრძოლა, რომელსაც ყველგან ერთნაირი ხასიათი აქვს, ცენტრალიზებულ იქნას ერთ ეროვნულ, ერთ კლასობრივ ბრძოლად. ხოლო ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა. და იმ გაერთიანებას, რომლისთვისაც შუა საუკუნეების მოქალაქეებს, მათი სასოფლო გზების არსებობისას, საუკუნეები სჭირდებოდათ, თანამედროვე პროლეტარები, რკინიგზების მეოხებით, რამდენსამე წელიწადში ახორციელებენ.

პროლეტარების ეს ორგანიზაცია კლასად, და ამით – პოლიტიკურ პარტიად, ყოველ წუთს კვლავ ირღვევა თვით მუშებს შორის არსებული კონკურენციით. მაგრამ იგი ისევ აღმოცენდება ხოლმე, ყოველთვის უფრო ძლიერად, უფრო მტკიცედ, უფრო ძალუმად. იგი სარგებლობს ბურჟუაზიის შიგნით არსებული განხეთქილებით და აიძულებს, რომ კანონმდებლობის წესით აღიარებულ იქნას მუშათა ცალკეული ინტერესები. ასე წარმოიშვა, მაგალითად, ათსაათიანი სამუშაო დღის კანონი ინგლისში.

---

* 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში სიტყვა „კოალიციებს“ შემდეგ ჩამატებულია: „(პროფესიულ კავშირებს)“. 1974 წლის გამოცემის რედ.

საერთოდ ის შეჯახებანი, რაც ძველი საზოგადოების შიგნით ხდება, ბევრნაირად უწყობენ ხელს პროლეტარის განვითარების მსვლელობას. ბურჟუაზია განუწყვეტელ ბრძოლას ეწევა: ჯერ – არისტოკრატიის წინააღმდეგ, შემდეგ – თვით ბურჟუაზიის იმ ნაწილების წინააღმდეგ, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგება მრეწველობის პროგრესს; და ყოველთვის – ყველა უცხო ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ყველა ამ ბრძოლაში იგი იძულებულია პროლეტარიატს მიმართოს, დახმარებისათვის მოუწოდოს და ამგვარად იგი პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაითრიოს. მაშასადამე, იგი თვითონ აწვდის პროლეტარიატს თავისი საკუთარი განათლების ელემენტებს*, ე. ი. აძლევს იარაღს თვით საკუთარი თავის წინააღმდეგ.

შემდეგ, როგორც დავინახეთ, გაბატონებული კლასის მთელი შემადგენელი ნაწილები, მრეწველობის პროგრესის გამო, პროლეტარიატის რიგებში ექცევიან ან, ყოველ შემთხვევაში, მათი საარსებო პირობები საფრთხეში ვარდება. ამათაც შეაქვთ პროლეტარიატში განათლების დიდძალი ელემენტები.

დასასრულ, იმ პერიოდებში, როდესაც კლასთა ბრძოლა გადამწყვეტ მომენტს უახლოვდება, დაშლის პროცესი გაბატონებული კლასის შიგნით, მთელი ძველი საზოგადოების შიგნით, ისეთ მძაფრ, ისეთ მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ გაბატონებული კლასის მცირე ნაწილი ეთიშება ამ კლასს და უერთდება რევოლუციურ კლასს, იმ კლასს, რომელსაც მომავალი ეკუთვნის. ამიტომ, როგორც წინათ თავადაზნაურობის ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე გადადიოდა, ისევე დღეს ბურჟუაზიის ნაწილი პროლეტარიატის მხარეზე გადადის, სახელდობრ იმ ბურჟუა-იდეოლოგების ნაწილი, რომელნიც მთელი ისტორიული მოძრაობის თეორიულ გაგებამდე ამაღლდნენ.

ყველა იმ კლასიდან, რომელიც ამჟამად ბურჟუაზიას უპირისპირდება, მხოლოდ პროლეტარიატია ნამდვილად რევოლუციური კლასი. დანარჩენი კლასები უძლურდებიან და ისპობიან მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად, პროლეტარიატი კი ამ მრეწველობის საკუთარი პროდუქტია.

საშუალო წოდებანი: წვრილი მრეწველი, წვრილი ვაჭარი, ხელოსანი, გლეხი, – ყველა ესენი ებრძვიან ბურჟუაზიას, რათა დაღუპვისაგან იხსნან თავიანთი არსებობა საშუალო წოდებათა სახით. მაშასადამე, ისინი არიან არა რევოლუციონერები, არამედ კონსერვატორები. კიდევ მეტიც, – ისინი რეაქციონერები არიან: ისინი ცდილობენ ისტორიის ჩარხი უკან მიატრიალონ. თუ ისინი რევოლუციონერები არიან, – ეს იმდენად, რამდენადაც მათ მოელით პროლეტარიატის რიგებში გადასვლა, რამდენადაც ისინი იცავენ თავიანთ არა ახლანდელ ინტერესებს, არამედ სამერმისო ინტერესებს, რამდენადაც ისინი ტოვებენ თავიანთ საკუთარ თვალსაზრისს, რათა პროლეტარიატის თვალსაზრისზე დადგნენ.

---

* 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: „თავისი საკუთარი განათლების ელემენტებს" დაბეჭდილია: „თავისი საკუთარი პოლიტიკური და საერთო განათლების ელემენტებს". 1974 წლის გამოცემის რედ.

ლუმპენპროლეტარიატს, ძველი საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენების ლპობის ამ პასიურ ნაყოფს, პროლეტარული რევოლუცია ალაგ-ალაგ მოძრაობაში ჩაითრევს, მაგრამ მთელი თავისი საარსებო მდგომარეობის მიხედვით მას უფრო ის მიდრეკილება აქვს, რომ რეაქციული ინტრიგებისათვის გაჰყიდოს თავი.

ძველი საზოგადოების საარსებო პირობები უკვე მოსპობილია პროლეტარიატის საარსებო პირობებში. პროლეტარი მოკლებულია საკუთრებას; მის ურთიერთობას ცოლთან და შვილებთან საერთო აღარაფერი აქვს ბურჟუაზიულ ოჯახურ ურთიერთობასთან; თანამედროვე სამრეწველო შრომამ, თანამედროვე დამონებამ, რომელიც ერთნაირია როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში, როგორც ამერიკაში, ისე გერმანიაში, მოაცალა პროლეტარს ყოველივე ეროვნული ხასიათი. კანონები, მორალი სარწმუნოება მისთვის ასევე მხოლოდ ბურჟუაზიული ცრუ აზრებია, რომელთა უკან ბურჟუაზიული ინტერესები იმალება.

ყველა წინანდელი კლასი, როცა ბატონობას დაეუფლებოდა, ცდილობდა უკვე მოპოვებული საარსებო მდგომარეობა იმით უზრუნველეყო, რომ მთელ საზოგადოებას უქვემდებარებდა თავის შეძენა-გამდიდრების პირობებს. პროლეტარებს კი მხოლოდ მაშინ შეუძლიათ საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების დაპყრობა, როდესაც ისინი მოსპობენ თავიანთ საკუთარ, აქამდე არსებულ მისაკუთრების წესს და ამით მოსპობენ მისაკუთრების მთელ აქამდე არსებულ წესსაც. პროლეტარებს თავიანთი არაფერი გააჩნდათ, რაც მათ უნდა დაიცვან. მათ უნდა დაანგრიონ ყოველგვარი, რაც დღემდე იცავდა და უზრუნველყოფდა კერძო საკუთრებას.

აქამდე არსებული ყველა მოძრაობა იყო მოძრაობა უმცირესობისა ან უმცირესობის სასარგებლოდ. პროლეტარული მოძრაობა არის თავისთავადი მოძრაობა დიდძალი უმრავლესობისა დიდძალი უმრავლესობის სასარგებლოდ. პროლეტარიატი, თანამედროვე საზოგადოების ეს ყველაზე დაბალი ფენა, ვერ წამოდგება, ვერ გაიმართება წელში უიმისოდ, თუ ამასთანავე გაცამტვერებული არ იქნა იმ ფენების ზედნაშენი, რომელნიც ოფიციალურ საზოგადოებას შეადგენენ.

თუ შინაარსით არა, ფორმის მოხედვით მაინც პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა ეროვნული ბრძოლაა. თვითეული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია, პირველად თავის საკუთარ ბურჟუაზიას უნდა მოუღოს ბოლო.

როდესაც პროლეტარიატის განვითარების ყველაზე ზოგად ფრაზებს აღვნიშნავდით, ჩვენ კვალდაკვალ მივყვებოდით მეტ-ნაკლებ ფარულ სამოქალაქო ომს არსებული საზოგადოების შიგნით იმ მომენტამდე, როდესაც იგი აშკარა რევოლუციად იფეთქებს და როდესაც ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობის გზით პროლეტარიატი თავის ბატონობას ამყარებს.

როგორც ვნახეთ, აქამდე არსებული ყველა საზოგადოება დამყარებული იყო წინააღმდეგობაზე მჩაგვრელსა და დაჩაგრულ კლასებს შორის. მაგრამ რათა შესაძლო იყოს რომელიმე კლასის დაჩაგვრა, საჭიროა ისეთი პირობების უზრუნველყოფა, რომლებშიც მონური არსებობა მაინც შეეძლოს ამ კლასს. ყმა ავიდა

კომუნის წევრის მდგომარეობამდე ბატონყმობის დროს, ისე როგორც ფეოდალური აბსოლუტიზმის უღელქვეშ მყოფი წვრილი ბურჟუა ავიდა ბურჟუას მდგომარეობამდე. პირიქით, თანამედროვე მუშა, ნაცვლად იმისა, რომ მრეწველობის პროგრესთან ერთად მაღლა იწევდეს, სულ უფრო და უფრო ეშვება თავის კლასის საარსებო პირობებზე დაბლა. მუშა იქცევა პაუპერად, და პაუპერიზმი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობა და სიმდიდრე. ამით აშკარა ხდება, რომ ბურჟუაზიას არ შესწევს უნარი დარჩეს მეტხანს საზოგადოების გაბატონებულ კლასად და თავისი კლასის საარსებო პირობები საზოგადოებას მოახვიოს თავს, როგორც მომწესრიგებელი კანონი. მას უნარი არ შესწევს იბატონოს, იმიტომ რომ მას არ შესწევს უნარი უზრუნველყოს თავისი მონისათვის არსებობის მონური დონეც კი, იმიტომ რომ იგი იძულებულია ისეთ მდგომარეობამდე დააქვეითებინოს თავი ამ მონას, როდესაც მან ეს მონა უნდა ასაზრდოოს, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ღებულობდეს იმისგან საზრდოს. საზოგადოებას აღარ შეუძლია უკვე ბურჟუაზიის ბატონობის ქვეშ ცხოვრება, ე. ი. ბურჟუაზიის არსებობა უკვე შეუთავსებელია საზოგადოების არსებობასთან.

ბურჟუაზიული კლასის არსებობისა და ბატონობის ძირითად პირობას წარმოადგენს სიმდიდრის დაგროვება კერძო პირების ხელში, კაპიტალის შექმნა და გადიდება; კაპიტალის არსებობის პირობას შეადგენს დაქირავებული შრომა. დაქირავებული შრომა დამყარებულია მარტოოდენ მუშების კონკურენციაზე ერთმანეთს შორის. მრეწველობის პროგრესი, რისი ძალაუნებური მატარებელიც არის ბურჟუაზია, რომელიც უძლურია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ პროგრესს, მუშების იმ განცალკევების ნაცვლად, რასაც მათი კონკურენცია იწვევს, ქმნის მუშების რევოლუციურ გაერთიანებას ასოციაციის საშუალებით. მაშასადამე, მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ბურჟუაზიას ფეხქვეშ ეცლება თვით ის საფუძველი, რომელზედაც იგი პროდუქტებს აწარმოებს და ისაკუთრებს. იგი უწინარეს ყოვლისა თავის საკუთარ მესაფლავეებს წარმოშობს. ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის გამარჯვება თანაბრად გარდუვალია.

II

პროლეტარები და კომუნისტები

რა დამოკიდებულება აქვთ კომუნისტებს პროლეტარებთან საერთოდ?

კომუნისტები არ წარმოადგენენ რაიმე განსაკუთრებულ პარტიას, რომელიც უპირისპირდებოდეს სხვა მუშათა პარტიებს.

მათ არ აქვთ არავითარი ისეთი ინტერესები, რომლებიც განცალკევებული იყოს მთელი პროლეტარიატის ინტერესებისაგან.

ისინი არ აყენებენ არავითარ განსაკუთრებულ* პრინციპებს, რომელთა თანახმად მათ პროლეტარული მოძრაობის ჩამოყალიბება სურდეთ.

* 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვისა „განსაკუთრებულ“ ნათქვამია

კომუნისტები მხოლოდ იმით განირჩევიან დანარჩენი პროლეტარული პარტიებისაგან, რომ, ერთი მხრივ, პროლეტარების სხვადასხვა ეროვნულ ბრძოლაში ისინი წინ აყენებენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელ, ინტერესებს და, მეორე მხრივ, იმით, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რომლებსაც გაივლის ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ისინი მუდამ ერთობლივი მოძრაობის ინტერესებს იცავენ.

მაშასადამე, პრაქტიკულად კომუნისტები წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე გამბედავ, მოძრაობისადმი მუდამ წინ წამბიძგებელ* ნაწილს; ხოლო თეორიულად მათ ის უპირატესობა აქვთ პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან შედარებით, რომ ესმით პროლეტარული მოძრაობის პირობები, მსვლელობა და საერთო შედეგები.

კომუნისტების უახლოესი მიზანი იგივეა, რაც ყველა დანარჩენი პროლეტარული პარტიისა: პროლეტარიატის ჩამოყალიბება კლასად, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა პროლეტარიატის მიერ.

კომუნისტების თეორიული დებულებანი სრულიადაც არ ემყარებიან ისეთ იდეებს, პრინციპებს, რომლებიც გამოუგონია თუ აღმოუჩენია მსოფლიოს ამა თუ იმ რეფორმატორს.

ისინი მხოლოდ არსებული კლასობრივი ბრძოლის ფაქტიური ვითარების, ჩვენ თვალწინ წარმოებული ისტორიული მოძრაობის საყოველთაო გამოხატულებას წარმოადგენენ. საკუთრების დღემდე არსებულ ურთიერთობათა მოსპობა სრულიადაც არ შეადგენს კომუნიზმის დამახასიათებელ ნიშანს.

საკუთრების ყველა ურთიერთობა ყოველთვის განიცდიდა მუდმივ ისტორიულ ცვლილებას, მუდმივ ისტორიულ გადასხვაფერებას.

საფრანგეთის რევოლუციამ, მაგალითად, ფეოდალური საკუთრება მოსპო ბურჟუაზიული საკუთრების სასარგებლოდ.

კომუნიზმის განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს არა საერთოდ საკუთრების მოსპობა, არამედ ბურჟუაზიული საკუთრების მოსპობა.

მაგრამ თანამედროვე ბურჟუაზიული კერძო საკუთრება არის უკანასკნელი და უსრულესი გამოხატულება პროდუქტთა ისეთი წარმოების და მისაკუთრებისა, რომელიც დამყარებულია კლასობრივ წინააღმდეგობაზე, ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციაზე**.

ამ აზრით კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია ერთი დებულებით გამოსახონ: კერძო საკუთრების მოსპობა.

„სექტანტურ“ 1974 წლის გამოცემის რედ.

* 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა „მოძრაობისადმი მუდამ წინ წამბიძგებელ“ დაბეჭდილია: „მუდამ წინ წამბიძგებელ“ 1974 წლის გამოცემის რედ.

** 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: „ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციაზე“ დაბეჭდილია: „უმცირესობის მიერ უმრავლესობის ექსპლოატაციაზე“ 1974 წლის გამოცემის რედ.

ჩვენ, კომუნისტებს, გვისაყვედურებდნენ – თქვენ გსურთ მოსპოთ პირადად შეძენილი, თავისი შრომით მოპოვებული საკუთრება, რომელიც ყოველი პირადი თავისუფლების, მოქმედებისა და თავისთავადობის საფუძველს შეადგენსო.

შრომით მოპოვებული, პირადად შეძენილი, პირადად მონაგარი საკუთრება! ხომ არ ლაპარაკობთ თქვენ წვრილბურჟუაზიულ, წვრილგლეხურ საკუთრებაზე, რომელიც წინ უძღოდა ბურჟუაზიულ საკუთრებას? ჩვენ არ გვჭირდება მისი მოსპობა, – მრეწველობის განვითარებამ მოსპო იგი და ყოველდღიურად სპობს მას.

ან, იქნებ, თქვენ თანამედროვე ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებაზე ლაპარაკობთ?

მაგრამ განა დაქირავებული შრომა, პროლეტარის შრომა უქმნის მას საკუთრებას? სრულიადაც არა. იგი ქმნის კაპიტალს, ე. ი. საკუთრებას, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა და რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადიდდეს, როდესაც ქმნის ახალ დაქირავებულ შრომას, რათა ხელახლა გაუწიოს მას ექსპლოატაცია. თავისი დღევანდელი სახით საკუთრება მოძრაობს კაპიტალისა და დაქირავებული შრომის დაპირისპირების ფარგლებში. განვიხილოთ ამ დაპირისპირების ორივე მხარე.

კაპიტალისტად ყოფნა ნიშნავს არა მარტო წმინდა პირადი, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკავებას წარმოებაში. კაპიტალი კოლექტიური პროდუქტია, და მისი ამოძრავება შეიძლება მხოლოდ საზოგადოების მრავალი წევრის ერთად მოქმედებით, ხოლო საბოლოო ანგარიშით – საზოგადოების ყველა წევრის ერთად მოქმედებით.

ამრიგად, კაპიტალი არის არა პირადი, არამედ საზოგადოებრივი ძალა.

მაშასადამე, თუ კაპიტალი კოლექტიურ, საზოგადოების ყველა წევრის კუთვნილ საკუთრებად გადაიქცევა, ეს არ იქნება პირადი საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად. შეიცვლება მხოლოდ საზოგადოებრივი ხასიათი საკუთრებისა. ის დაკარგავს თავის კლასობრივ ხასიათს.

გადავიდეთ დაქირავებულ შრომაზე.

დაქირავებული შრომის საშუალო ფასი არის მინიმუმი ხელფასისა, ე. ი. ჯამი საარსებო საშუალებათა, რომლებიც საჭიროა, რომ მუშას როგორც მუშას სიცოცხლე შეუნარჩუნოს. მაშასადამე, ის, რასაც დაქირავებული მუშა ისაკუთრებს თავისი მოქმედებით, კმარა მხოლოდ იმისათვის, რომ მისი ღატაკური სიცოცხლე იქნას კვლავწარმოებული. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა მოვსპოთ პირადი მისაკუთრება შრომის პროდუქტებისა, რომლებიც საჭიროა უშუალოდ სიცოცხლის კვლავწარმოებისათვის, მისაკუთრება, რომელიც არ ტოვებს არავითარ წმინდა შემოსავალს, რასაც შეეძლო მოეცა ძალაუფლება სხვის შრომაზე. ჩვენ გვინდა მოვსპოთ მხოლოდ ბეჩავი ხასიათი ამ მისაკუთრებისა, როდესაც მუშა მხოლოდ იმისთვის ცხოვრობს, რომ კაპიტალი გაადიდოს, და ცხოვრობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას გაბატონებული კლასის ინტერესი მოითხოვს.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ცოცხალი შრომა მარტოოდენ საშუალებაა დაგროვილი შრომის გასადიდებლად. კომუნისტურ საზოგადოებაში კი დაგროვი-

ლი შრომა მხოლოდ საშუალებაა მუშის ცხოვრების პროცესის გასაფართოებლად, გასამდიდრებლად, ხელშესაწყობად.

მაშასადამე, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარსული ბატონობს აწმყოზე, კომუნისტურ საზოგადოებაში კი აწმყო ბატონობს წარსულზე. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალი თავისთავადი და პიროვნულია, მაშინ როდესაც მშრომელი ინდივიდუმი არათავისთავადი და უპიროვნოა.

და ამ ურთიერთობის მოსპობას ბურჟუაზია უწოდებს პიროვნებისა და თავისუფლების მოსპობას! მართალიც არის. რასაკვირველია, საქმე ეხება ბურჟუაზიული პიროვნების, ბურჟუაზიული თავისთავადობისა და ბურჟუაზიული თავისუფლების მოსპობას.

დღევანდელი ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის ფარგლებში თავისუფლება ესმით როგორც ვაჭრობის თავისუფლება, ყიდვა-გაყიდვის თავისუფლება.

მაგრამ როდესაც იღუპება ჩარჩობა, იღუპება თავისუფალი ჩარჩობაც. ლათაიებს თავისუფალი ჩარჩობის შესახებ, ისე როგორც ჩვენი ბურჟუაზიის სხვა მაღალფარდოვან სიტყვებს თავისუფლების შესახებ, საერთო აზრი აქვთ მხოლოდ შებოჭვილი ჩარჩობის მიმართ, შუასაუკუნეების დამონებული მოქალაქის მიმართ, მაგრამ არა აქვთ აზრი, როდესაც საქმე შეეხება ჩარჩობის, ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობისა და თვით ბურჟუაზიის მოსპობას კომუნისტების მიერ.

თქვენ თავზარდაცემული ხართ იმის გამო, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ კერძო საკუთრება. მაგრამ თქვენს დღევანდელ საზოგადოებაში კერძო საკუთრება უკვე მოსპობილია მის წევრთა ცხრა მეათედისათვის; იგი არსებობს სწორედ იმის მეოხებით, რომ არ არსებობს ცხრა მეათედისათვის. მაშასადამე, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ ის საკუთრება, რომელიც აუცილებელ პირობად გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების დიდ უმრავლესობას არ გააჩნია საკუთრება.

ერთი სიტყვით, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ თქვენი საკუთრება. დიახ, ეს ჩვენ მართლაც გვსურს.

იმ წუთიდან, როდესაც შრომა ვეღარ გადაიქცევა კაპიტალად, ფულად, მიწის რენტად, მოკლედ – იმ საზოგადოებრივ ძალად, რომელიც შეიძლება მონოპოლიზებულ იქნას, ე. ი. იმ წუთიდან, როდესაც პირადი საკუთრება ვეღარ გადაიქცევა ბურჟუაზიულ საკუთრებად, – აი იმ წუთიდან პიროვნება მოსპობილიაო, აცხადებთ თქვენ.

მაშასადამე, თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ პიროვნებად სხვას არავის გულისხმობთ, გარდა ბურჟუასი, ბურჟუაზიული მესაკუთრისა. ეს პიროვნება კი, რასაკვირველია, უნდა მოისპოს.

კომუნიზმი არავის არ ართმევს საზოგადოებრივი პროდუქტების მისაკუთრების შესაძლებლობას, იგი მხოლოდ იმის შესაძლებლობას ართმევს, რომ ამის მისაკუთრების შემწეობით დაიმონონ სხვისი შრომა.

გვეკამათებოდნენ, კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად მოისპობა ყოველივე საქმიანობა და საყოველთაო სიზარმაცე გამეფდებაო.

ეს რომ ასე იყოს, ბურჟუაზიული საზოგადოება დიდი ხანია უნდა დაღუპულიყო სიზარმაცის გამო, ვინაიდან აქ ის, ვინც შრომობს, არაფერს იძენს, ხოლო ვინც იძენს, არ შრომობს. ყველა ამგვარი შიში იმ ტავტოლოგიის გამომხატველია, რომ აღარ იქნება დაქირავებული შრომა, რაკი აღარ იქნება კაპიტალი.

ყველა ის შენიშვნა, რომელიც მიმართულია მატერიალური პროდუქტების მისაკუთრებისა და წარმოების კომუნისტური წესის წინააღმდეგ, ვრცელდება გონებრივი შრომის პროდუქტების მისაკუთრებასა და წარმოებაზეც. როგორც კლასობრივი საკუთრების მოსპობა ბურჟუაზიას თვით წარმოების მოსპობად მიაჩნია, ისევე კლასობრივი განათლების მოსპობა მის წარმოდგენაში საერთოდ განათლების მოსპობას ნიშნავს.

განათლება, რომლის დაკარგვას ის დასტირის, დიდძალი უმრავლესობისათვის მანქანის დანამატად გადაქცევას ნიშნავს.

მაშ ნუ გვედავებით, რამდენადაც თქვენ ბურჟუაზიული საკუთრების მოსპობას ზომავთ თანახმად თქვენი ბურჟუაზიული შეხედულებისა თავისუფლების, განათლების, სამართლის და სხვ. შესახებ. თვით თქვენი იდეები ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის და ბურჟუაზიული საკუთრების ურთიერთობის ნაყოფია, ისევე როგორც თქვენი სამართალი მხოლოდ კანონად გამოცხადებული ნება-სურვილია თქვენი კლასისა, ნება-სურვილი, რომლის შინაარსი თქვენი კლასის ცხოვრების მატერიალური პირობებითაა განსაზღვრული.

მიკერძოებულ წარმოდგენას, რომლის წყალობითაც თქვენ თქვენს წარმოებითსა და საკუთრების ურთიერთობას ისტორიული, წარმოების განვითარების მსვლელობაში წარმავალი ურთიერთობიდან ბუნებისა და გონების მარადიული კანონებად აქცევთ, – ამ მიკერძოებულ წარმოდგენას თქვენ იზიარებთ ყველა წინათ გაბატონებულ და დაღუპულ კლასთან ერთად. რასაც თქვენ მიმხვდარი ხართ ანტიკური საკუთრების შესახებ, რასაც თქვენ მიმხვდარი ხართ ფეოდალური საკუთრების შესახებ, იმის მიხვედრას თქვენ ვეღარ ბედავთ ბურჟუაზიული საკუთრების მიმართ.

ოჯახის მოსპობა! თვით უკიდურესი რადიკალებიც კი აღშფოთებული არიან კომუნისტების ამ საზიზღარი განზრახვის გამო.

რაზეა დამყარებული თანამედროვე ბურჟუაზიული ოჯახი? კაპიტალზე, კერძო შენაძენზე. სავსებით განვითარებული სახით იგი მხოლოდ ბურჟუაზიისათვის არსებობს; მაგრამ იგი თავის დამატებას პოულობს პროლეტართა იძულებითს უოჯახობაში და საჯარო პროსტიტუციაში.

ბურჟუას ოჯახი ბუნებრივად ისპობა მისი ამ დამატების მოსპობასთან ერთად, და ორივენი გაქრებიან კაპიტალის გაქრობასთან ერთად.

ან იმას ხომ არ გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ ბავშვების ექსპლოატაცია მშობლების მიერ? ჩვენ ვაღიარებთ ამ დანაშაულს.

მაგრამ თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენ ვსპობთ ადამიანისათვის უძვირფასეს ურთიერთობას, როდესაც შინაური აღზრდის ადგილას ვამყარებთ საზოგადოებრივ აღზრდას.

მაგრამ განა თქვენებური აღზრდა კი არ არის საზოგადოების მიერ განსაზღვრული? განა იგი არაა განსაზღვრული იმ საზოგადოებრივი ურთიერთობით, რომელშიც თქვენ ზრდით, არაა განსაზღვრული საზოგადოების პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევით სკოლის მეშვეობით და ა. შ.? კომუნისტები როდი თხზავენ საზოგადოების გავლენას აღზრდაზე; ისინი მხოლოდ ცვლიან ამ აღზრდის ხასიათს, აცლიან მას გაბატონებული კლასის გავლენას.

ბურჟუაზიული ყბედობა ოჯახსა და აღზრდაზე, მშობლებისა და შვილების ნაზ ურთიერთობაზე მით უფრო ზიზღის მომგვრელი უფრო ხდება, რაც უფრო ირღვევა მსხვილი მრეწველობის წყალობით ყოველგვარი ოჯახური კავშირი პროლეტარებისათვის და შვილები უბრალო სავაჭრო საგნებად და სამუშაო იარაღებად იქცევიან.

მაგრამ თქვენ, კომუნისტებს, რომ ცოლების ერთობის შემოღება გსურთ, – ერთხმად მოგვყვირის მთელი ბურჟუაზია.

ბურჟუაზია თავის ცოლს უცქერის როგორც წარმოების უბრალო იარაღს. მას ესმის, რომ წარმოების იარაღები საერთო გამოყენების საგანი უნდა გახდეს, და, რასაკვირველია, სხვანაირად არ შეუძლია იფიქროს, თუ ეს ერთობა ასევე ქალების ხვედრადაც არ წარმოიდგინა.

მას აზრადაც არ მოსდის, რომ ლაპარაკია სწორედ ქალის ისეთი მდგომარეობის მოსპობაზე, როდესაც იგი წარმოების უბრალო იარაღს წარმოადგენს.

მართლაცდა, მეტად სასაცილოა ჩვენი ბურჟუების მაღალზნეობრივი ძრწოლა, თითქოს კომუნისტებში ოფიციალური საზიარო ცოლობა არსებობდეს. კომუნისტებს არ სჭირდებათ საზიარო ცოლობის შემოღება, იგი თითქმის მუდამ არსებობდა.

ჩვენი ბურჟუები, რომლებიც არ კმაყოფილდებიან იმით, რომ მათ განკარგულებაში არიან მათი მუშების ცოლები და ქალიშვილები, ოფიციალურ პროსტიტუციაზე რომ სულაც არაფერი ვთქვათ, განსაკუთრებულ სიამოვნებას მაშინ იმაში პოვებენ, რომ ერთმანეთის ცოლები შეაცდინონ ხოლმე.

ბურჟუაზიული ქორწინება სინამდვილეში საზიარო ცოლობას წარმოადგენს. კომუნისტებისათვის დიდ-დიდი ის თუ შეიძლება ესაყვედურნათ, რომ ამ ფარისევლურად დამალული საზიარო ცოლების მაგივრად მათ თითქოს სურთ შემოიღონ ოფიციალური, აშკარა საზიარო ცოლობა. თუმცაღა თავისთავად იგულისხმება, რომ დღევანდელი წარმოებითი ურთიერთობის მოსპობასთან ერთად მოისპობა აგრეთვე იქიდან გამომდინარე საზიარო ცოლობა, ე. ი. გაქრება ოფიციალური და არაოფიციალური პროსტიტუცია.

შემდეგ, კომუნისტებს უსაყვედურებენ, რომ მათ სურთ მოსპონ სამშობლო, ეროვნება.

მუშებს არა აქვთ სამშობლო. მათ არ შეიძლება წაართვათ ის, რაც არა აქვთ. რადგან პროლეტარიატმა უწინარეს ყოვლისა უნდა დაიპყროს პოლიტიკური ბატონობა, ამაღლდეს ეროვნული კლასის მდგომარეობამდე*, ჩამოყალიბდეს ერად, თუმცა თვით იგი ჯერ კიდევ ეროვნულია, მაგრამ სრულიადაც არა იმ აზრით, როგორც ეს ბურჟუაზიას ესმის.

ხალხთა ეროვნული განკერძოება და დაპირისპირებანი უფრო და უფრო ქრებიან, რაც უფრო ვითარდება ბურჟუაზია, იქმნება ვაჭრობის თავისუფლება, მსოფლიო ბაზარი, სამრეწველო წარმოების ერთიანობა და მისი შესაფერი ცხოვრების პირობები.

პროლეტარიატის ბატონობა კიდევ უფრო დააჩქარებს მათ გაქრობას. შეერთებული მოქმედება, ცივილიზებული ქვეყნებისა მაინც, პროლეტარიატის განთავისუფლების ერთ-ერთი პირველი პირობაა.

იმდენად, რამდენადაც მოისპობა ერთი ინდივიდუუმის ექსპლოატაცია მეორის მიერ, მოისპობა ერთი ერის ექსპლოატაცია მეორის მიერ.

ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის მოსპობასთან ერთად მოისპობა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთს შორის.

ის ბრალდებანი კომუნიზმის წინააღმდეგ, რაც წამოყენებულია რელიგიური, ფილოსოფიური და საერთოდ იდეოლოგიური თვალსაზრისით, უფრო დაწვრილებითი განხილვის ღირსნი არ არიან.

ნუთუ ღრმააზრიანობაა საჭირო იმის გასაგებად, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობების, მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის, მათი საზოგადოებრივი ყოფიერების ცვლილებასთან ერთად იცვლება აგრეთვე მათი წარმოდგენანი, შეხედულებანი, ცნებანი, – ერთი სიტყვით, იცვლება მათი ცნობიერებაც?

აბა რას ამტკიცებს იდეათა ისტორია, თუ არა იმას, რომ გონებრივი წარმოება გარდაიქმნება ხოლმე მატერიალურ წარმოებასთან ერთად? ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები ყოველთვის იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის იდეები.

ლაპარაკობენ იდეებზე, რომელნიც მთელ საზოგადოებას არევოლუციურებენ; ამით გამოთქვამენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ძველი საზოგადოების შიგნით ახალი საზოგადოების ელემენტები წარმოიშვა, რომ ძველი ცხოვრების პირობების დარღვევასთან ერთად ირღვევა ძველი იდეებიც.

როცა ძველმა მსოფლიომ დაცემისაკენ იბრუნა პირი, ძველი რელიგიები ქრისტიანულმა რელიგიამ დაამარცხა. როდესაც მე-18 საუკუნეში ქრისტიანულ იდეებზე იმარჯვებდა განმანათლებელთა იდეები, ფეოდალური საზოგადოება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა ბურჟუაზიასთან, რომელიც მაშინ კიდევ რევოლუციური იყო. სინდისისა და რელიგიის თავისუფლების იდეები გამოხატავდნენ მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის ბატონობას სინდისის სფეროში.

---

* 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: „ამაღლდეს ეროვნული კლასის მდგომარეობამდე“ დაბეჭდილია: „ამაღლდეს ერის წამყვანი კლასის მდგომარეობამდე“. 1974 წლის გამოცემის რედ.

„მაგრამ", გვეტყვიან, „რელიგიური, მორალური, ფილოსოფიური, პოლიტიკური, სამართლის და სხვ. იდეები, რასაკვირველია, იცვლებოდნენ ისტორიული განვითარების მსვლელობაში. ხოლო რელიგია, მორალი, ფილოსოფია, პოლიტიკა, სამართალი მუდამ რჩებოდა მიუხედავად ამ ცვლილებისა.

გარდა ამისა, არსებობენ მარადიული ჭეშმარიტებანი, როგორიც არის თავისუფლება, სამართლიანობა და სხვ., რომლებიც საერთოა ყველა საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის. კომუნიზმი კი სპობს მარადიულ ჭეშმარიტებას, იგი სპობს რელიგიას, მორალს, ნაცვლად იმისა, რომ განაახლოს ისინი; მაშასადამე, იგი ეწინააღმდეგება მთელ დღემდე არსებულ ისტორიულ განვითარებას."

რას ამბობს ეს ბრალდება? დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია მოძრაობდა კლასების დაპირისპირებათა ფარგლებში, და ეს დაპირისპირებანი სხვადასხვაგვარ სახეს იღებდნენ სხვადასხვა ეპოქაში.

მაგრამ რა ფორმაც უნდა მიეღოთ მათ, საზოგადოების ერთი ნაწილის ექსპლოატაცია მეორის მიერ არის ფაქტი, რომელიც საერთოა ყველა წარსული საუკუნისათვის. ამიტომ არაა საკვირველი, რომ ყველა საუკუნის საზოგადოებრივი ცნობიერება, მთელი მრავალფეროვნებისა და ყველა განსხვავების მიუხედავად, მოძრაობს გარკვეულ საერთო ფორმებში, ისეთ ფორმებში, – ცნობიერების ფორმებში, – რომელნიც სავსებით მოისპობიან მხოლოდ კლასობრივი დაპირისპირების სრულ მოსპობასთან ერთად.

კომუნისტური რევოლუცია ნიშნავს გადაჭრით კავშირის გაწყვეტას ტრადიციულ საკუთრების ურთიერთობასთან; გასაკვირველი არაა, რომ თავისი განვითარების მსვლელობაში იგი გადაჭრით წყვეტს კავშირს ტრადიციულ იდეებთან.

მაგრამ დავანებოთ თავი კომუნიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ პირველ ნაბიჯს მუშათა რევოლუციაში წარმოადგენს პროლეტარიატის გადაქცევა გაბატონებულ კლასად, დემოკრატიის მოპოვება ბრძოლით.

პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისათვის გამოიყენებს, რომ თანდათან გამოჰგლიჯოს ბურჟუაზიას მთელი კაპიტალი, მოახდინოს წარმოების ყველა იარაღის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის ხელში და რაც შეიძლება სწრაფად გაამრავლოს მწარმოებლურ ძალთა ჯამი.

პირველად, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ დესპოტური ჩარევით საკუთრების უფლებასა და ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობაში, მაშასადამე, ისეთი ღონისძიებებით, რომელნიც ეკონომიურ თვალსაზრისით არასაკმარისად და გამოუსადეგრად გვეჩვენებიან, მაგრამ მოძრაობის მსვლელობაში თავიანთ თავს გასცილდებიან* და აუცილებელი არიან როგორც საშუალება წარმოების მთელ წესში გადატრიალების მოსახდენად.

---

* 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში სიტყვის შემდეგ „ თავიანთ თავს გასცილდებიან" დამატებულია: „აუცილებელს ხდიან ძველ საზოგადოებრივ წყობაზე შემდგომ იერი-

რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებები სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით სხვადასხვანაირი იქნება.

მაგრამ ყველაზე მოწინავე ქვეყნებში შესაძლოა თითქმის ყველგან გამოყენებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები:

1. მიწის საკუთრების ექსპროპრიაცია და მიწის რენტის გამოყენება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად.
2. მაღალი პროგრესიული გადასახადი.
3. მემკვიდრეობის უფლების გაუქმება.
4. ყველა ემიგრანტისა და მეამბოხის საკუთრების კონფისკაცია.
5. კრედიტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში სახელმწიფო კაპიტალისა და განსაკუთრებული მონოპოლიის მქონე ეროვნული ბანკის მეშვეობით.
6. მთელი ტრანსპორტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში.
7. სახელმწიფო ფაბრიკების, წარმოების იარაღთა გამრავლება, ყამირების გატეხა და მიწების გაუმჯობესება საერთო გეგმის თანახმად.
8. ერთნაირად სავალდებულო შრომა ყველასათვის, სამრეწველო არმიების შექმნა, განსაკუთრებით მიწათმოქმედებისათვის.
9. მიწათმოქმედების შეერთება მრეწველობასთან, ხელისშეწყობა ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების თანდათან მოსპობისათვის[*].
10. ყველა ბავშვის საზოგადოებრივი და უსასყიდლო აღზრდა. ბავშვთა საფაბრიკო შრომის ახლანდელი ფორმის მოსპობა. აღზრდის შეერთება მატერიალურ წარმოებასთან და ა. შ.

როდესაც განვითარების მსვლელობაში მოისპობა კლასობრივი განსხვავება და მთელი წარმოება ასოციაციაში გაერთიანებულ პიროვნებათა ხელში მოიყრის თავს, მაშინ საჯარო ძალაუფლება დაკარგავს თავის პოლიტიკურ ხასიათს. პოლიტიკური ძალაუფლება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის ერთი კლასის ორგანიზებული ძალადობა მეორე კლასის დასათრგუნავად. თუ პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებლად ერთიანდება კლასად, რევოლუციის გზით თავის თავს გაბატონებულ კლასად აქცევს და როგორც გაბატონებული კლასი ძალდატანებით სპობს ძველ წარმოებით ურთიერთობას, – ცხადია, ამ წარმოებით ურთიერთობასთან ერთად, იგი სპობს კლასობრივი დაპი-

---

შებს“. 1974 წლის გამოცემის რედ.

[*] 1848 წლის გამოცემაში – „ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირების“. 1872 წლის გამოცემაში და შემდგომ გერმანულ გამოცემებში სიტყვა „დაპირისპირების“ შეცვლილია სიტყვით „განსხვავების“. 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა „ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების თანდათანობითი მოსპობისათვის ხელისშეწყობა“ დაბეჭდილია: „ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების თანდათანობით მოსპობა მთელ ქვეყანაში მოსახლეობის უფრო თანაბარი განაწილების გზით“. 1974 წლის გამოცემის რედ.

რისპირების არსებობის პირობებს, აგრეთვე კლასებს საერთოდ და ამით თავის, როგორც კლასის, საკუთარ ბატონობასაც.

ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ადგილს მისი კლასებით და კლასობრივი დაპირისპირებით იკავებს ასოციაცია, სადაც თვითეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა.

III

სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურა

1. რეაქციული სოციალიზმი

a) ფეოდალური სოციალიზმი

საფრანგეთის და ინგლისის არისტოკრატია თავისი ისტორიული მდგომარეობით მოწოდებული იყო ეწერა პამფლეტები თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ, საფრანგეთის 1830 წლის ივლისის რევოლუციაში და ინგლისის მოძრაობაში პარლამენტური რეფორმის სასარგებლოდ[4] ერთხელ კიდევ დაამარცხა იგი საძულველმა მეტიჩარამ. რაიმე სერიოზულ პოლიტიკურ ბრძოლაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. მას დარჩა მხოლოდ ლიტერატურული ბრძოლა. მაგრამ სალიტერატურო ასპარეზზედაც შეუძლებელი გახდა რესტავრაციის დროის* ძველი ფრაზებით ლაპარაკი. თანაგრძნობის მოსაპოვებლად არისტოკრატიას უნდა მოეჩვენებინა, რომ იგი ზრუნავს თავის საკუთარ ინტერესებზე და მხოლოდ ექსპლოატირებული მუშათა კლასის ინტერესებისათვის ადგენს თავის საბრალდებო ფაქტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამრიგად, იგი კმაყოფილებას განიცდიდა იმით, რომ სალანძღავ ლექსებს თხზავდა თავის ახალ ბატონზე და ყურში ჩასჩურჩულებდა მას მეტ-ნაკლები ავბედობის წინასწარმეტყველებას.

ამრიგად წარმოიშვა ფეოდალური სოციალიზმი – სანახევროდ გოდება, სანახევროდ პასკვილი, სანახევროდ წარსულის გამოძახილი, სანახევრო მერმისის მუქარა, ზოგჯერ ბურჟუაზიის გულგამგმირავი თავისი მწარე, გონებამახვილი, გესლიანი განაჩენით, მაგრამ ყოველთვის კომიკური შთაბეჭდილების მომხდენი მით, რომ იგი სავსებით მოკლებულია უნარს გაიგოს თანამედროვე ისტორიის მსვლელობა.

პროლეტარიატის სამათხოვრო ჩანთა არისტოკრატიამ ხელში აიღო და დროშად ააფრიალა, რათა თავის გარშემო ხალხი შემოეკრიბა. მაგრამ ყოველთვის, როდესაც მას ხალხი გაჰყვებოდა, მის ზურგზე ძველ ფეოდალურ ღერბს ხედავდა და მაშინვე უკან გარბოდა ხმამაღალი და უპატივცემო ხარხარით.

---

* იგულისხმება არა 1660-1689 წწ. ინგლისის რესტავრაცია, არამედ საფრანგეთის 1814-1830 წწ. რესტავრაცია. (ენგელსის შენიშვნა 1888 წლის ინგლისური გამოცემისათვის.)

ამ კომედიას თამაშობდა საფრანგეთის ლეგიტიმისტების[5] ნაწილი და „ახალგაზრდა ინგლისი“[6].

როდესაც ფეოდალები ამტკიცებენ, რომ მათი წესი ექსპლოატაციისა სხვა სახის იყო, ვიდრე ბურჟუაზიული ექსპლოატაცია, მათ ავიწყდებათ მხოლოდ, რომ ისინი სრულიად სხვა, ახლა უკვე დრომოჭმულ გარემოებებსა და პირობებში ეწეოდნენ ექსპლოატაციას. როდესაც ისინი ამტკიცებენ, რომ მათი ბატონობის დროს თანამედროვე პროლეტარიატი არ არსებობდა, მათ ავიწყდებათ, რომ სწორედ თანამედროვე ბურჟუაზია იყო აუცილებელი ნაყოფი მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

თუმცაღა ისინი ძალიან ნაკლებ ფარავენ თავიანთი კრიტიკის რეაქციულ ხასიათს და მათი უმთავრესი ბრალდება ბურჟუაზიის წინააღმდეგ სწორედ ის არის, რომ ბურჟუაზიის რეჟიმის პირობებში ვითარდება კლასი, რომელიც ააფეთქებს მთელს ძველ საზოგადოებრივ წყობილებასო.

ბურჟუაზიას ისინი უფრო მეტად უსაყვედურებენ, რომ მან რევოლუციური პროლეტარიატი წარმოშვა, ვიდრე იმას, რომ საერთოდ პროლეტარიატი წარმოშვა.

ამიტომ პოლიტიკურ პრაქტიკაში ისინი მონაწილეობენ მუშათა კლასის საწინააღმდეგო ყველა ძალმომრეობით ღონისძიებაში, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათი გაბერილი ფრაზეოლოგიის მიუხედავად შემთხვევას არ უშვებენ აკრიფონ ოქროს ვაშლები* და ანაცვალონ ერთგულება, სიყვარული და პატიოსნება ცხვრის მატყლით, შაქრის ჭარხლით და არყით გაწეულ ჩარჩობას**.

როგორც ხუცესი დადიოდა ყოველთვის ფეოდალთან ხელიხელჩაკიდებული, ისე ხუცური სოციალიზმი მიდის ხელიხელჩაკიდებული ფეოდალურ სოციალიზმთან.

იმაზე ადვილი არა არის რა, რომ ქრისტიანულ ასკეტიზმს სოციალისტური ელფერი მიეცეს. განა ქრისტიანობა არ ამხედრებულა კერძო საკუთრების, ქორწინებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ? განა იგი მათ ნაცვლად არ ქადაგებდა ქველმოქმედებასა და გლახაკობას, უქორწინობასა და ხორცის მოკვდინებას, განდეგილობასა და ეკლესიას? ქრისტიანული სოციალიზმი მხოლოდ აიაზმის წყალია, რომლითაც ხუცესი ასხურებს არისტოკრატის გაბოროტებას.

---

* 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში სიტყვების შემდეგ: „ოქროს ვაშლი“ ჩამატებულია: „რომლებიც მრეწველობის ხიდან ცვივა“. 1974 წლის გამოცემის რედ.

** ეს შეეხება უმთავრესად გერმანიას, სადაც მიწის არისტოკრატია და იუნკრობა თვითონ ეწევა თავის ხარჯზე მოურავების მეშვეობით თავისი მიწების უდიდესი ნაწილის დამუშავებას: ისინი ამასთან ჭარხლის შაქრისა და სპირტის ქარხნების მსხვილი მფლობელები არიან. უფრო მდიდარი ინგლისელი არისტოკრატები აქამდე ჯერ არ მისულან; მაგრამ იმათაც იციან, თუ როგორ შეიძლება რენტის დაცემის ანაზღაურება მეტ-ნაკლებ საეჭვო სააქციო კომპანიების დამფუძნებლისათვის თავიანთი სახელის დათმობის გზით. (ენგელსის შენიშვნა 1888 წლის ინგლისური გამოცემისათვის.)

b) წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი

ფეოდალური არისტოკრატია არ არის ერთადერთი კლასი, რომელიც ბურჟუაზიამ დაამხო და რომლის ცხოვრების პირობები თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უარესდებოდა და იშრიტებოდა. შუა საუკუნეების მოქალაქეთა წოდება და წვრილი გლეხობა თანამედროვე ბურჟუაზიის წინამორბედნი იყვნენ. მრეწველობისა და ვაჭრობის მხრივ ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში ეს კლასი კიდევ განაგრძობს ბეჩავ არსებობას აღმავალი ბურჟუაზიის გვერდით.

იმ ქვეყნებში, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია განვითარდა, წარმოიშვა ახალი წვრილი ბურჟუაზია, რომელიც პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის მერყეობს და, როგორც შემვსები ნაწილი ბურჟუაზიული საზოგადოებისა, მუდამ კვლავ წარმოიშობა ხოლმე; მაგრამ კონკურენცია განუწყვეტლივ გადაისვრის ხოლმე ამ კლასის წევრებს პროლეტარიატის რიგებში, და ისინი უკვე ამჩნევენ იმ წამის მოახლოებას, როდესაც მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ისინი სრულიად გაჰქრებიან როგორც თავისთავადი ნაწილი თანამედროვე საზოგადოებისა და, ვაჭრობისა, მანუფაქტურასა და მიწათმოქმედებაში მათ ადგილს დაიჭერენ სამუშაოს ზედამხედველნი და დაქირავებული მოსამსახურენი.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთია, სადაც გლეხობა მოსახლეობის ნახევარზე გაცილებით მეტს შეადგენს, ბუნებრივი იყო, რომ მწერლები, რომლებიც პროლეტარიატის მხარეს იჭერდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული წყობილების თავიანთ კრიტიკაში ამ წყობილებას წვრილბურჟუაზიული და წვრილგლეხური საზომით უდგებოდნენ და მუშებს წვრილბურჟუაზიული თავალსაზრისით იცავდნენ. ამნაირად წარმოიშვა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი. სისმონდი ამ სკოლის მეთაურია არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისშიც.

ამ სოციალიზმმა უაღრესად მკვეთრი ანალიზი გაუკეთა თანამედროვე წარმოებით ურთიერთობაში არსებულ წინააღმდეგობებს. მან გამოამზეურა ეკონომისტების ფარისევლური აპოლოგეტობა. მან უცილობლად დაამტკიცა მანქანებისა და შრომის დანაწილების დამრღვევი მოქმედება, კაპიტალისა და მიწათმფლობელობის კონცენტრაცია, ჭარბწარმოება, კრიზისები, წვრილი ბურჟუებისა და გლეხების აუცილებელი დაღუპვა, პროლეტარიატის სიღატაკე, ანარქია წარმოებაში, აღმაშფოთებელი უთანაბრობა სიმდიდრის განაწილებაში, სამრეწველო გამანადგურებელი ომი ერებს შორის, ძველ ზნე-ჩვეულებათა, ძველ ოჯახურ ურთიერთობათა, ძველ ეროვნებათა დარღვევა.

მაგრამ თავისი დადებითი შინაარსის მიხედვით ამ სოციალიზმს სურს აღადგინოს წარმოებისა და აღებ-მიცემის ძველი საშუალებანი და მათთან ერთად ძველი საკუთრების ურთიერთობა და ძველი საზოგადოება, ან მას სურს კვლავ ძალად ჩატენოს წარმოებისა და აღებ-მიცემის თანამედროვე საშუალებანი ძველი საკუთრების ურთიერთობის ჩარჩოებში, რომელიც მათ ააფეთქეს და აუცილებლად უნდა აეფეთქებინათ. ორსავე შემთხვევაში იგი რეაქციულიც არის და უტოპიურიც ერთსა და იმავე დროს.

ამქრული ორგანიზაცია მანუფაქტურაში და პატრიარქალური მეურნეობა სოფლად – აი მისი უკანასკნელი სიტყვა.

თავის შემდგომ განვითარებაში ამ მიმართულებამ მხდალი ბუზღუნის სახე მიიღო*.

c) გერმანული, ანუ „ჭეშმარიტი“, სოციალიზმი

საფრანგეთის სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურა, რომელიც გაბატონებული ბურჟუაზიის მხრივ შევიწროების პირობებში წარმოიშვა, და ამ ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ლიტერატურულ გამოხატულებას წარმოადგენს, გერმანიაში შეტანილ იქნა იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიამ იქ ის იყო დაიწყო თავისი ბრძოლა ფეოდალური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ.

გერმანელი ფილოსოფოსები, ნახევრად-ფილოსოფოსები და ლამაზი ფრაზების მოყვარული პირები ხარბად დაეწაფნენ ამ ლიტერატურას, მათ დაავიწყდათ მხოლოდ, რომ ამ ნაწერების საფრანგეთიდან შემოტანასთან ერთად გერმანიაში არ ყოფილა შემოტანილი საფრანგეთის ცხოვრების პირობები. გერმანულ პირობებში ფრანგულმა ლიტერატურამ დაკარგა ყოველგვარი უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა და მიიღო წმინდა ლიტერატურული მიმდინარეობის სახე. იგი უნდა დამსგავსებოდა ფუჭ მსჯელობას ჭეშმარიტი საზოგადოების შესახებ, ადამიანის არსის განხორციელების შესახებ. ამრიგად, საფრანგეთის პირველი რევოლუციის მოთხოვნებს XVIII საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსებისათვის აზრი ჰქონდა მხოლოდ როგორც საერთოდ „პრაქტიკული გონების“ მოთხოვნებს, ხოლო საფრანგეთის რევოლუციური ბურჟუაზიის ნების გამოაშკარავება მათ თვალში მოასწავებდა წმინდა ნების კანონის გამოაშკარავებას, ნებისა, როგორიც იგი უნდა იყოს, ე. ი. ჭეშმარიტად ადამიანური ნებისა.

გერმანელი ლიტერატორების მთელი მუშაობა იმაში მდგომარეობდა, რომ ახალი ფრანგული იდეები თავიანთ ძველ ფილოსოფიურ სინდისთან შეეთანხმებინათ, ანუ, უფრო სწორად, ფრანგული იდეები თავიანთი ფილოსოფიური თვალსაზრისით შეეთვისებინათ.

ეს შეთვისება იმგვარადვე მოხდა, როგორც ითვისებენ საერთოდ უცხო ენას, – თარგმანის მეშვეობით.

ცნობილია, რომ ხელნაწერებზე, რომელნიც ძველი წარმართობის დროის კლასიკურ ნაწარმოებთ შეიცავდნენ, ბერები ტექსტის ზემოთ კათოლიკურ წმინდანთა ცხოვრების უაზრო მოთხრობებს წერდნენ. გერმანელი ლიტერატორები საფრანგეთის მკრეხელურ ლიტერატურას პირიქით მოექცნენ. ფრანგული დედნის ქვეშ მათ თავიანთი ფილოსოფიური უაზრობა ჩაწერეს. მაგალითად, ფულადი

---

* 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: „თავის შემდგომ განვითარებაში ამ მიმართულებამ მხდალი ბუზღუნის სახე მიიღო“ დაბეჭდილია: „ბოლოს და ბოლოს, როდესაც უცილობელი ისტორიული ფაქტების ზეგავლენით წარიშალა ილუზიების მომხიბვლელობის ყოველგვარი კვალი, სოციალიზმის ამ ფორმამ უბადრუკი ბუზღუნის სახე მიიღო“. 1974 წლის გამოცემის რედ.

ურთიერთობის ფრანგული კრიტიკის ქვეშ მათ ჩაწერეს „ადამიანის არსის გასხვისება“, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფრანგული კრიტიკის ქვეშ – „აბსტრაქტულ-საყოველთაოს ბატონობის გაუქმება“ და ა. შ.

თავიანთი ფილოსოფიური ფრაზეოლოგიის შეჩხირვა ფრანგულ თეორიებში მათ მონათლეს როგორც „მოქმედების ფილოსოფია“, „ჭეშმარიტი სოციალიზმი“, „გერმანული მეცნიერება სოციალიზმისა“, „ფილოსოფიური დასაბუთება სოციალიზმისა“ და ა. შ.

ამგვარად, ფრანგული სოციალისტურ-კომუნისტური ლიტერატურა მთლად გამოფიტული შეიქნა. და რადგანაც იგი გერმანელის ხელში აღარ გამოხატავდა ერთი კლასის ბრძოლას მეორის წინააღმდეგ, ამიტომ გერმანელი იმ რწმენამ მოიცვა, რომ მან გადალახა „ფრანგული ცალმხრივობა“, რომ იგი იცავს, ჭეშმარიტ მოთხოვნილებათა ნაცვლად, ჭეშმარიტების მოთხოვნილებას, ხოლო პროლეტარიატის ინტერესების ნაცვლად – ადამიანის არსის ინტერესებს, საერთოდ ადამიანის ინტერესებს, ადამიანისა, რომელიც არც ერთ კლასს, საერთოდ არავითარ სინამდვილეს არ ეკუთვნის, არამედ მხოლოდ ფილოსოფიური ფანტაზიის ბურუსიან ცაში იმყოფება.

ამ გერმანულმა სოციალიზმმა, რომელიც თავის უსუსურ მოწაფურ ვარჯიშობას ესოდენ სერიოზულ და საყურადღებო საქმედ თვლიდა და მას ერთი ამბით ხოტბას ასხამდა, მაინც დაკარგა თანდათან თავისი პედანტური უმანკოება.

გერმანიის, განსაკუთრებით პრუსიის, ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალებისა და აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ, – ერთი სიტყვით, ლიბერალური მოძრაობა – სულ უფრო და უფრო სერიოზული ხდებოდა.

ამგვარად, „ჭეშმარიტ“ სოციალიზმს სასურველი შემთხვევა მიეცა პოლიტიკური მოძრაობისათვის სოციალისტური მოთხოვნები დაეპირისპირებინა, შეეჩვენებინა ტრადიციულად ლიბერალიზმი, წარმომადგენლობითი სახელმწიფო, ბურჟუაზიული კონკურენცია, პრესის ბურჟუაზიული თავისუფლება, ბურჟუაზიული სამართალი, ბურჟუაზიული თავისუფლება და თანასწორობა და ხალხის მასისათვის ექადაგნა, რომ ამ ბურჟუაზიულ მოძრაობაში იგი ვერაფერს მოიგებდა და, პირიქით, ყველაფერს დაკარგავდა. გერმანულმა სოციალიზმმა სწორედ შესაფერ დროს დაივიწყა, რომ ფრანგული კრიტიკა, რომლის უბადრუკ გამოძახილს იგი წარმოადგენდა, გულისხმობდა თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას მისი შესაფერი მატერიალური საარსებო პირობებით და შესაფერი პოლიტიკური კონსტიტუციით, ე.ი. სწორედ იმ წინაპირობებს, რომელთა დაპყრობაზეც გერმანიაში ჯერ მხოლოდ ლაპარაკი იყო.

გერმანიის აბსოლუტურ მთავრობებს, მათი ხუცებისა, სკოლის მასწავლებლებისა, პროვინციელი აზნაურებისა და ბიუროკრატებისაგან შემდგარი ამალით ეს სოციალიზმი სასურველ საფრთხობელად გამოადგა საშიშრად ამოძრავებული ბურჟუაზიის წინაღმდეგ.

იგი მოტკბო დამატება იყო მწარე მათრახებისა და თოფის ტყვიებისა, რითაც ეს მთავრობები აქრობდნენ გერმანიის მუშათა აჯანყებებს.

ამნაირად, თუ „ჭეშმარიტი“ სოციალიზმი იარაღს შეადგენდა მთავრობების ხელში გერმანიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იგი უშუალოდაც იცავდა რეაქციულ ინტერესს, გერმანელი მეშჩანის ინტერესს. XVI საუკუნიდან დაშთენილი და მას შემდეგ სხვადასხვა ფორმით მუდამ ისევ და ისევ აღორძინებული წვრილი ბურჟუაზია გერმანიაში წარმოადგენს არსებული წყობილების ნამდვილ საზოგადოებრივ საფუძველს.

მისი შენარჩუნება ნიშნავს გერმანიაში არსებული წყობილების შენარჩუნებას. ეს წვრილი ბურჟუაზია უფრთხის ბურჟუაზიის სამრეწველო და პოლიტიკურ ბატონობას, რომლისგანაც მას უეჭველი დაღუპვა მოელის, ერთი მხრივ, კაპიტალის კონცენტრაციის შედეგად, მეორე მხრივ – რევოლუციური პროლეტარიატის აღმავლობის გამო. მას ეგონა, რომ „ჭეშმარიტი“ სოციალიზმი ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავდა. და „ჭეშმარიტი“ სოციალიზმი ეპიდემიასავით ვრცელდებოდა.

საბურველი, სპეკულაციის აბლაბუდიდან ნაქსოვი, რიტორიკული ყვავილებით მოქარგული, სანტიმენტალური ცვრით დანამული, ეს მისტიკური საბურველი, რომელშიც გერმანელი სოციალისტები ახვევდნენ თავიანთ ორიოდე მჭლე „სამარადისო ჭეშმარიტებას“, მხოლოდ ადიდებდა მათი საქონლის გასაღებას ამ საზოგადოებაში.

თავის მხრივ გერმანული სოციალიზმი სულ უფრო და უფრო შეიცნობდა თავის მოწოდებას – ყოფილიყო ამ წვრილი ბურჟუაზიის მაღალფარდოვანი წარმომადგენელი.

მან გამოაცხადა გერმანელი ერი სანიმუშო ერად და გერმანელი მეშჩანი – სანიმუშო ადამიანად. ამ მეშჩანის ყოველ სიმდაბლეში იგი ხედავდა დამალულ, მაღალ სოციალისტურ აზრს, რომლითაც ამ სიმდაბლეს სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობა ეძლეოდა. მან უკანასკნელი დასკვნა გააკეთა, როდესაც პირდაპირ გაილაშქრა კომუნიზმის „უხეშდამრღვევი“ მიმართულების წინააღმდეგ და გამოაცხადა, რომ თვითონ იგი თავისი დიადი მიუკერძოებლობით ყოველგვარ კლასობრივ ბრძოლაზე მაღლა დგას. ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, ყველაფერი, რაც გერმანიაში ვითომდა სოციალისტური და კომუნისტური ნაწერების სახით მიმოიქცევა, ამ ბინძურ, გულისგამწყალებელ ლიტერატურას ეკუთვნის*.

2. კონსერვატიული, ანუ ბურჟუაზიული, სოციალიზმი

ბურჟუაზიის ერთ ნაწილს სურს განკურნოს სოციალური სატკივრები, რათა განამტკიცოს ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობა.

---

* 1848 წ. რევოლუციის ქარტეხილმა მთლად გახვეტა ეს ბილწი მიმართულება და მის მატარებლებს ხალისი დაუკარგა კვლავ განეგრძოთ სოციალისტური მანჭვა. ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენელი და კლასიკური ტიპი არის ბ-ნი კარლ გრიუნი. (ენგელსის შენიშვნა 1890 წლის გერმანული გამოცემისათვის.)

ამ წრეს ეკუთვნიან ეკონომისტები, ფილანტროპები, ჰუმანურობის მომხრენი, მშრომელ კლასთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელნი, ქველმოქმედების ორგანიზატორები, პირუტყვთა მფარველი საზოგადოების წევრები, სიფხიზლის საზოგადოებათა დამაარსებლები, ყოველი ჯურის წვრილფეხა რეფორმატორები. მთელ სისტემებადაც კი შემუშავდა ეს ბურჟუაზიული სოციალიზმი.

მაგალითისათვის დავასახელოთ პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფია“.

ბურჟუა-სოციალისტებს სურთ შეინარჩუნონ თანამედროვე საზოგადოების საარსებო პირობები, მაგრამ ისე კი, რომ არ იყოს ბრძოლა და საფრთხე, რაც აუცილებლობით გამომდინარეობს ამ პირობებიდან. მათ სურთ შეინარჩუნონ თანამედროვე საზოგადოება, მაგრამ მისი გამარევოლუციურებელი და დამრღვევი ელემენტების გამოკლებით. მათ სურთ ბურჟუაზია უპროლეტარიატოდ. ბურჟუაზიას, რასაკვირველია, საუკეთესო ქვეყნად წარმოუდგენია ის ქვეყანა, სადაც თვითონ ბატონობს. ამ სანუგეშო წარმოდგენას ბურჟუაზიული სოციალიზმი აყალიბებს მთელ სისტემად ან ნახევარ სისტემად. როდესაც იგი პროლეტარიატს მოუწოდებს განახორციელოს მისი სისტემა და შევიდეს ახალ იერუსალიმში, ამით იგი არსებითად მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ პროლეტარიატი დარჩეს დღევანდელ საზოგადოებაში, მაგრამ უკუაგდოს თავისი წარმოდგენა ამ საზოგადოებაზე როგორც საძულველ რამეზე.

მეორე, ნაკლებ სისტემატური, მხოლოდ უფრო პრაქტიკული ფორმა ამ სოციალიზმისა იმას ცდილობდა, რომ მუშათა კლასისათვის ჩაეგონებინა უარყოფითი დამოკიდებულება ყოველივე რევოლუციური მოძრაობისადმი იმის მტკიცებით, რომ მისთვის სასარგებლო შეიძლება იყოს არა ესა თუ ის პოლიტიკური გარდაქმნა, არამედ მხოლოდ ცხოვრების მატერიალური პირობების შეცვლა, ეკონომიურ ურთიერთობათა შეცვლა. მაგრამ ცხოვრების მატერიალური პირობების შეცვლა ამ სოციალიზმს ესმის სრულიადაც არა როგორც ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობათა მოსპობა, რაც მხოლოდ რევოლუციური გზით არის შესაძლებელი, არამედ როგორც ადმინისტრაციული გაუმჯობესებანი, რომელნიც ამ წარმოებით ურთიერთობათა ნიადაგზე ხორციელდებიან. მაშასადამე, არაფერს ცვლიან კაპიტალისა და შრომის ურთიერთობაში, უკეთეს შემთხვევაში მარტოოდენ უმცირებენ ბურჟუაზიას მისი ბატონობის ხარჯებს და ამარტივებენ მის სახელმწიფო მეურნეობას.

თავის შესაფერ გამოხატულებას ბურჟუაზიული სოციალიზმი მხოლოდ მაშინ პოულობს, როდესაც იგი მარტოოდენ მაღალფარდოვან სიტყვიერებად იქცევა.

თავისუფალი ვაჭრობა! მუშათა კლასის ინტერესებისათვის; მფარველობითი ბაჟები! მუშათა კლასის ინტერესებისათვის; საკანიანი სატუსაღოები! მუშათა კლასის ინტერესებისათვის: ეს არის ბურჟუაზიული სოციალიზმის უკანასკნელი, ერთადერთი სერიოზულად ნათქვამი, სიტყვა.

ბურჟუაზიის სოციალიზმი სწორედ იმის მტკიცებაში მდგომარეობს, რომ ბურჟუები ბურჟუები არიან – მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

3. კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი და კომუნიზმი

ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ იმ ლიტერატურაზე, რომელიც ყველა დიდ თანამედროვე რევოლუციაში პროლეტარიატის მოთხოვნებს გამოთქვამდა (თხზულებანი ბაბეფისა და სხვ.).

პროლეტარიატის პირველი ცდები – უშუალოდ განეხორციელებინა თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები საყოველთაო მღელვარების დროს, ფეოდალური საზოგადოების დამხობის პერიოდში, აუცილებლად დამარცხებას განიცდიდა თვით პროლეტარიატის განუვითარებლობის გამო და აგრეთვე მისი განთავისუფლების მატერიალური პირობების უქონლობის გამო, რომელნიც სწორედ თვითონ წარმოადგენენ ბურჟუაზიული ეპოქის ნაყოფს, რევოლუციური ლიტერატურა, რომელიც თან ახლდა პროლეტარიატის ამ პირველ მოძრაობათ, თავისი შინაარსით აუცილებლად რეაქციული იყო. იგი ქადაგებდა საყოველთაო ასკეტიზმსა და ტლანქ გათანასწორებას.

ნამდვილი სოციალისტური და კომუნისტური სისტემები, სისტემები სენ-სიმონის, ფურიესი, ოუენისა და სხვ. ჩნდებიან პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ბრძოლის პირველ, განუვითარებელ პერიოდში, რომელიც ჩვენ ზემოთ გავაშუქეთ (იხ. „ბურჟუაზია და პროლეტარიატი“).

ამ სისტემების გამომგონნი, მართალია, ხედავენ კლასთა ანტაგონიზმს, ასევე დამრღვევი ელემენტების მოქმედებასაც თვით გაბატონებული საზოგადოების შიგნით. მაგრამ ისინი პროლეტარიატის მხარეზე ვერ ხედავენ ვერავითარ ისტორიულ თვითმოქმედებას, ვერავითარ მის დამახასიათებელ პოლიტიკურ მოძრაობას.

რადგანაც კლასთა ანტაგონიზმის განვითარება მრეწველობის განვითარების თანაბარი ნაბიჯით მიმდინარეობს, ამიტომ ისინი ვერ პოულობენ მატერიალურ პირობებს პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის და სოციალურ მეცნიერებას, სოციალურ კანონებს ეძებენ, რათა ეს პირობები შექმნან.

საზოგადოებრივი საქმიანობის ადგილი უნდა დაიჭიროს მათმა პირადმა საგამომგონებლო საქმიანობამ, განთავისუფლების ისტორიული პირობების ადგილი – ფანტასტიკურმა პირობებმა, პროლეტარიატის თანდათან კლასად ორგანიზების ადგილი – მათ მიერ გამოგონილმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. მომავალი მსოფლიო ისტორია მათთვის ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს მათი საზოგადოებრივი გეგმების პროპაგანდას და პრაქტიკულ განხორციელებას.

მართალია, მათ შეგნებული აქვთ, რომ ისინი, თავიანთ გეგმებში უმთავრესად იცავენ მუშათა კლასის, როგორც ყველაზე უფრო ტანჯული კლასის ინტერესებს. პროლეტარიატი მარტოოდენ ამ სახით – უაღრესად ტანჯული კლასის სახით არსებობს მათთვის.

მაგრამ კლასობრივი ბრძოლის განუვითარებელი ფორმა და აგრეთვე მათი საკუთარი მდგომარეობა ცხოვრებაში იწვევს იმას, რომ მათ თავიანთი თავი ჰყავთ წარმოდგენილი ამ კლასობრივ წინააღმდეგობაზე მაღლა მდგომად. მათ სურთ საზოგადოების ყველა წევრის საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესება, იმათიც კი, ვინც საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებიან. ამიტომ ისინი მუდამ

მიმართავენ მთელ საზოგადოებას განურჩევლად და უპირატესად კი – გაბატონებულ კლასს. მათი აზრით, საკმარისია მხოლოდ გაიგო მათი სისტემა, რომ იგი საუკეთესო საზოგადოების საუკეთესო გეგმად მიიჩნიო.

ამიტომ, ისინი უარყოფენ ყოველ პოლიტიკურ, განსაკუთრებით ყოველ რევოლუციურ მოქმედებას, უნდათ თავიანთ მიზანს მშვიდობიანი გზით მიაღწიონ და ცდილობენ პატარ-პატარა, აშკარა უდღეური ექსპერიმენტებით, მაგალითის ძალით გზა გაუკაფონ ახალ საზოგადოებრივ სახარებას.

მომავალი საზოგადოების ეს ფანტასტიკური აღწერა წარმოშობილია იმ დროს, როდესაც პროლეტარიატი ჯერ კიდევ ძალიან განუვითარებელია, მაშასადამე, როდესაც თვითონ მას ჯერ კიდევ მეტად ფანტასტიკურად აქვს თავისი საკუთარი მდგომარეობა წარმოდგენილი და შეესაბამება პროლეტარიატის პირველ, წინათგრძნობით აღსავსე მისწრაფებას საზოგადოების საერთო გარდაქმნისაკენ.

მაგრამ ეს სოციალისტური და კომუნისტური თხზულებანი კრიტიკულ ელემენტებსაც შეიცავენ. ამ თხზულებებს იერიში მიაქვთ არსებული საზოგადოების ყველა საფუძველზე. ამიტომ მათ მეტად ძვირფასი მასალა მოგვცეს მუშების გასათვითცნობიერებლად. მათი დადებითი დებულებები მომავალი საზოგადოების შესახებ, მაგალითად, ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობა*, ოჯახის, კერძო შეძენის, დაქირავებული შრომის მოსპობა, საზოგადოებრივი ჰარმონიის გამოცხადება, სახელმწიფოს გადაქცევა მარტოოდენ წარმოების მმართველობად – ყველა ეს მათი დებულება გამოხატავს მხოლოდ იმ კლასობრივი დაპირისპირების მოსპობის საჭიროებას, რომელიც ეს არის იწყებს განვითარებას და რომელსაც ისინი მხოლოდ ჯერ კიდევ მისი პირველი უსახო, გაურკვეველი ფორმით იცნობენ. ამიტომ ამ დებულებებს ჯერ კიდევ წმინდა უტოპიური ხასიათი აქვთ.

კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმისა და კომუნიზმის მნიშვნელობა შებრუნებულ შეფარდებაში იმყოფება ისტორიულ განვითარებასთან. რამდენადაც კლასობრივი ბრძოლა ვითარდება და უფრო და უფრო გარკვეულ ფორმას იღებს, იმდენადვე ყოველივე პრაქტიკული მნიშვნელობა, ყოველივე თეორიული გამართლება ეკარგება კლასობრივ ბრძოლაზე მაღლა დადგომის ამ ფანტასტიკურ მისწრაფებას, ამ ფანტასტიკურ უარყოფით დამოკიდებულებას მის მიმართ. ამიტომ, თუ ამ სისტემების დამაარსებელნი ბევრის მხრივ რევოლუციონერები იყვნენ, მათი მოწაფეები მუდამ რეაქციულ სექტებს შეადგენენ. ისინი მტკიცედ იცავენ თავიანთ მასწავლებელთა ძველ შეხედულებებს, მიუხედავად პროლეტარიატის შემდგომი ისტორიული განვითარებისა. ამიტომ ისინი სრულიად ლოგიკურად იქცევიან, როდესაც ცდილობენ დააჩლუნგონ კლასთა ბრძოლა და შეარიგონ წინააღმდეგობანი. ისინი კიდევ ოცნებობენ ცდების გზით თავიანთი საზოგადოებრივი უტოპიების განხორციელებაზე, ცალკეული ფალანსტერების დაარსებაზე,

* 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ეს ადგილი ფორმულირებულია ასე: „მათ მიერ შემოთავაზებული პრაქტიკული ღონისძიებანი, მაგალითად, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების მოსპობა“. 1974 წლის გამოცემის რედ.

შინაგანი კოლონიების [“Home-colonies”] დაფუძნებაზე, პატარა იკარიის* – ახალი იერუსალიმის მცირეფორმატიანი გამოცემის – მოწყობაზე, და ყველა ამ ოცნებითი კოშკის ასაგებად ისინი იძულებულნი არიან მიმართონ ბურჟუაზიული გულისა და ქისის კაცთმოყვარეობას. ისინი თანდათან ეშვებიან ზემოაღწერილ რეაქციულ ან კონსერვატიულ სოციალისტთა კატეგორიაში და განირჩევიან მათგან მხოლოდ თავიანთი უფრო სისტემატური პედანტიზმით, ფანატიკური ცრუმორწმუნეობით თავიანთი სოციალური მეცნიერების სასწაულმოქმედი ძალისადმი.

ამიტომ ისინი გააფთრებით ეწინააღმდეგებიან მუშების ყოველგვარ პოლიტიკურ მოძრაობას, რომლის გამომწვევია, მათი აზრით, მხოლოდ ბრმა ურწმუნოება ახალი სახარების მიმართ.

ოუენისტები ინგლისში და ფურიერისტები საფრანგეთში გამოდიან – პირველნი ჩარტისტების წინააღმდეგ, მეორენი რეფორმისტების[7] წინააღმდეგ.

IV

კომუნისტების დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან

II თავში ნათქვამის შემდეგ თავისთავად გასაგებია კომუნისტების დამოკიდებულება უკვე ჩამოყალიბებულ მუშათა პარტიებთან, ე. ი. მათი დამოკიდებულება ჩარტისტებთან ინგლისში და აგრარული რეფორმის მომხრეებთან ჩრდილოეთ ამერიკაში.

კომუნისტები იბრძვიან მუშათა კლასის უახლოესი მიზნებისა და ინტერესების განსახორციელებლად, მაგრამ იმავე დროს დღევანდელ მოძრაობაში ისინი მოძრაობის მერმისსაც იცავენ. საფრანგეთში კომუნისტები, კონსერვატული და რადიკალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალისტურ-დემოკრატიულ პარტიას** ემხრობიან, თუმცა ამავე დროს უფლებას ინარჩუნებენ კრიტიკა გაუწიონ რევოლუციური ტრადიციით მომდინარე ფრაზებსა და ილუზიებს.

---

* ფალანსტერები ეწოდებოდა შარლ ფურიეს გეგმით გათვალისწინებულ სოციალისტურ კოლონიებს; იკარიას უწოდებდა კაბე თავის უტოპიურ ქვეყანას, უფრო გვიან კი თავის კომუნისტურ კოლონიას ამერიკაში. (ენგელსის შენიშვნა 1888 წლის ინგლისური გამოცემისათვის.) Home-colonies (კოლონიებს ქვეყნის შიგნით) ოუენი უწოდებდა თავის სანიმუშო კომუნისტურ საზოგადოებებს. ფალანსტერები ეწოდებოდა ფურიეს გეგმით გათვალისწინებულ საზოგადოებრივ სასახლეებს. იკარია ეწოდებოდა იმ უტოპიურ-ფანტასტიკურ ქვეყანას, რომლის კომუნისტური დაწესებულებები აღწერილი აქვს კაბეს. (ენგელსის შენიშვნა 1890 წლის გერმანული გამოცემისათვის.)

** ეს პარტია მაშინ წარმოდგენილი იყო პარლამენტში ლედრიუ-როლენით, ლიტერატურაში – ლუი ბლანით, ყოველდღიურ პრესაში – გაზეთ “Réforme”-ით[8]. მათ მიერ გამოგონილი სახელწოდება – სოციალისტურ-დემოკრატიული – იმას ნიშნავდა, რომ დემოკრატიული ანუ რესპუბლიკური პარტიის ეს ნაწილი, ისე როგორც ამ სახელწოდების ავტორები, მეტ-ნაკლებად სოციალისტურად იყო შეფერადებული. (ენგელსის შენიშვნა 1888 წლის ინგლისური გამოცემისათვის.)

შვეიცარიაში ისინი მხარს უჭერენ რადიკალებს, მაგრამ ამასთან არ ივიწყებენ, რომ ეს პარტია მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან შედგება, ნაწილობრივ დემოკრატიული სოციალისტებისაგან, ფრანგული მნიშვნელობით, და ნაწილობრივ რადიკალური ბურჟუებისაგან.

პოლონეთში კომუნისტები მხარს უჭერენ იმ პარტიას, რომელიც ეროვნული განთავისუფლების პირობად აგრარულ რევოლუციას აღიარებს, იმავე პარტიას, რომელმაც გამოიწვია კრაკოვის აჯანყება 1846 წელს[9].

გერმანიაში, რამდენადაც ბურჟუაზია რევოლუციურად გამოდის, კომუნისტური პარტია იბრძვის ბურჟუაზიასთან ერთად აბსოლუტური მონარქიის, ფეოდალური მიწის საკუთრებისა და რეაქციული წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს პარტია ერთი წუთითაც არ უგულებელყოფს მუშებში რაც შეიძლება ნათელი შეგნების გამომუშავებას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებული მტრული დაპირისპირების შესახებ, რათა გერმანიის მუშებს შეეძლოთ მაშინვე ბურჟუაზიის საწინააღმდეგო იარაღად გამოიყენონ ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობები, რომლებიც უნდა მოჰყვეს თან ბურჟუაზიის გაბატონებას, რათა, გერმანიაში რეაქციული კლასების დამხობისთანავე, დაწყებულ იქნას ბრძოლა თვით ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გერმანიას კომუნისტები მთავარ ყურადღებას აქცევენ იმიტომ, რომ გერმანიაში ბურჟუაზიული რევოლუციის წინადღეა, და იმიტომ, რომ გერმანია ამ გადატრიალებას მოახდენს საერთოდ ევროპის ცივილიზაციის უფრო განვითარებულ პირობებში და გაცილებით უფრო განვითარებული პროლეტარიატის დროს, ვიდრე ეს მოხდა ინგლისში XVII საუკუნეში და საფრანგეთში XVIII საუკუნეში; მაშასადამე, გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუცია შეიძლება იყოს, მხოლოდ უშუალო პროლოგი პროლეტარული რევოლუციისა.

ერთი სიტყვით, კომუნისტები ყველგან მხარს უჭერენ ყოველ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ.

ყველა ამ მოძრაობაში ისინი წინ აყენებენ საკუთრების საკითხს, როგორც მოძრაობის ძირითად საკითხს, რაგინდ მეტ-ნაკლებად განვითარებული ფორმა ჰქონდეს მას მიღებული.

დასასრულ, კომუნისტები ყველგან მუშაობენ ყველა ქვეყნის დემოკრატიული პარტიების შესაერთებლად და შესათანხმებლად.

კომუნისტებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ დამალონ თავიანთი შეხედულებანი და განზრახვანი. ისინი აშკარად აცხადებენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შესაძლოა მხოლოდ მთელი არსებული საზოგადოებრივი წყობილების ძალდატანებით დამხობის გზით. დაე, გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის შიშით. მასში პროლეტარები არაფერს დაკარგავენ გარდა თავიანთი ბორკილებისა. შეიძენენ კი მთელ ქვეყნიერებას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

განმარტებები

1. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ – მეცნიერული კომუნიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტი, რომელშიც მთლიანად და მწყობრად არის გადმოცემული მარქსისა და ენგელსის დიადი მოძღვრების საფუძვლები. „ამ ნაწარმოებში გენიალური სიცხადით და სიმკვეთრით გადმოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, თანამიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს. დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარებაზე, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, როგორც ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამოც., ტ. 21, გვ. 41).

   „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ პროლეტარიატი შეაიარაღა კაპიტალიზმის გარდაუვალი კრახისა და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მეცნიერული დასაბუთებით. განსაზღვრა რევოლუციური პროლეტარული მოძრაობის ამოცანები და მიზნები.

   „მანიფესტი“, რომელიც მარქსმა და ენგელსმა დაწერეს როგორც კომუნისტების კავშირის პროგრამა. პირველად გამოქვეყნდა ლონდონში 1848 წლის თებერვალში. ამ გამოცემაში თვით შრომასთან ერთად შესულია წინასიტყვაობები ყველა გამოცემისათვის, გარდა 1888 წლის გამოცემისა, რადგანაც მასში ჩამოყალიბებული აზრები ასახულია სხვა წინასიტყვაობებში, კერძოდ, 1890 წლის გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობა იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., მე-2 რუს. გამოც., ტ. 21, გვ. 362-369. – V. 1.

2. ენგელსმა ეს შენიშვნა შეიტანა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 1890 წლის გერმანულ გამოცემაშიც. ამოიღო მხოლოდ უკანასკნელი ფრაზა. – 6.

3. უფრო გვიანდელი დროის შრომებში ნაცვლად ცნებებისა „შრომის ღირებულება“. „შრომის ფასი“ მარქსი და ენგელსი ხმარობდნენ მარქსის მიერ შემოტანილ უფრო ზუსტ ცნებებს – „სამუშაო ძალის ღირებულება“, „სამუშაო ძალის ფასი“ (იხ. ამის თაობაზე ენგელსის შესავალი მარქსის შრომისათვის „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“; იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები სამ ტომად. ტომი 1, 1974, გვ. 171-180). – 16.

4. ლაპარაკია მოძრაობაზე, რომელიც მიზნად ისახავდა საარჩევნო უფლების რეფორმას, ეს რეფორმა ხალხის მასების ზეგავლენით მიიღო ინგლისის თემთა პალატამ 1831 წელს და საბოლოოდ დაამტკიცა ლორდთა პალატამ 1832 წლის ივნისში. რეფორმა მიმართული იყო მიწათმფლობელი და ფინანსური არისტოკრატიის პოლიტიკური მონოპოლიის წინააღმდეგ და პარლამენტის კარი გაუღო სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. პროლეტარიატი და წვრილი ბურჟუაზია, რომლებიც რეფორმისათვის მთავარი ძალა იყო, მოატყუა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ და მათ არ მიუღიათ საარჩევნო უფლებები. – 40.

5. ლეგიტიმისტები – მომხრენი „ლეგიტიმური“ („კანონიერი“) 1830 წელს დამხობილი ბურბონთა დინასტიისა, რომელიც წარმოადგენდა მსხვილი მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობის ინტერესებს. გაბატონებული, ფინანსურ არისტოკრატიასა და მსხვილ ბურჟუაზიაზე დაყრდნობილი ორლეანების დინასტიის (1830-1848) წინააღმდეგ ბრძოლაში ლეგიტიმისტების ნაწილი ხშირად მიმართავდა სოციალურ დემაგოგიას და თავს ასაღებდა ბურჟუა-ექსპლოატატორებისაგან მშრომელთა დამცველად. – 41.

6. „ახალგაზრდა ინგლისი“ – ინგლისელ პოლიტიკურ მოღვაწეთა და ლიტერატორთა ჯგუფი, რომლებიც ტორების პარტიას ეკუთვნოდნენ; შეიქმნა XIX საუკუნის 40-იანი წლების დამდეგს. „ახალგაზრდა ინგლისის“ მოღვაწენი გამოხატავდნენ მიწათმფლობელი არისტოკრატიის უკმაყოფილებას ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების ზრდით, მიმართავდნენ დემაგოგიურ ხერხებს, რომ თავიანთი გავლენისათვის დაექვემდებარებინათ მუშათა კლასი და გამოეყენებინათ თავიანთ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. – 41.

7. ლაპარაკია წვრილბურჟუაზიულ დემოკრატ-რესპუბლიკელებსა და წვრილბურჟუაზიულ სოციალისტებზე – ფრანგული გაზეთის „რეფორმის“ (“La Réforme”) (გამოდიოდა პარიზში 1843-დან 1850 წლამდე) მომხრეებზე, რომლებიც მხარს უჭერდნენ რესპუბლიკის დამყარებას და დემოკრატიული და სოციალური რეფორმების გატარებას. – 56.

8. გაზეთ “La Réforme”-ს შესახებ იხ. შენიშვნა 19. – 57.

9. 1846 წლის თებერვალში მზადდებოდა პოლონეთის მხარეთა აჯანყება პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების მიზნით. აჯანყების მთავარი ინიციატორები იყვნენ პოლონელი რევოლუციური დემოკრატები (დემბროვსკი და სხვები). მაგრამ შლიახტური ელემენტების მხრივ ღალატისა და პრუსიის პოლიციის მიერ აჯანყების ხელმძღვანელთა დაპატიმრების შედეგად საერთო აჯანყება ჩაიფუშა და მხოლოდ ცალკეული რევოლუციური აფეთქებები მოხდა. მხოლოდ კრაკოვში, რომელიც 1815 წლიდან ავსტრიის, რუსეთისა და პრუსიის ერთობლივ კონტროლს ექვემდებარებოდა, აჯანყებულებმა შეძლეს 22 თებერვალს გამარჯვების მოპოვება და შექმნეს ეროვნული მთავრობა, რომელმაც გამოუშვა მანიფესტი ფეოდალური გადასახადების გაუქმების შესახებ. კრაკოვის აჯანყება ჩაახშეს 1846 წლის მარტის დამდეგს. 1846 წლის ნოემბერში ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ავსტრიის იმპერიისათვის კრაკოვის შეერთების შესახებ. – 58.

ჯონ სტიუარტ მილი

(1806-1873)

შესავალი

1. ცხოვრება და შრომები

ჯონ სტიუარტ მილი (John Stewart Mill) იყო ბრიტანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც მიჩნეულია ინგლისურენოვანი სამყაროს ყველაზე გავლენიან მოაზროვნედ მე-19 საუკუნეში. ის, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია, როგორც ლიბერალიზმის პოლიტიკური ფილოსოფიის გამორჩეულად მნიშვნელოვანი დამცველი და განმავითარებელი. ამის გარდა, მილს საგანგებო წვლილი მიუძღვის უტილიტარისტული ეთიკის, მეცნიერების ემპირისტული ფილოსოფიის, ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარებასა და პოპულარიზებაში. მილმა თავისი პუბლიცისტური და პოლიტიკური (1865-1868 წლებში ის პარლამენტის წევრი იყო) საქმიანობითაც დიდი გავლენა იქონია მე-19 საუკუნის ბრიტანეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

მილი 1806 წლის 20 მაისს დაიბადა ლონდონის გარეუბანში. მამამისი, ჯეიმზ მილი (1773-1836), შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და ისტორიკოსი, ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო რადიკალ ინტელექტუალთა წრეში, რომელთაც უტილიტარისტული პრინციპების მიხედვით სურდათ საზოგადოების რეფორმირება. უტილიტარიზმის მოძღვრება, რომლის ავტორიც ჯეიმზ მილის მეგობრი და თანამოაზრე ჯერემი ბენთემი (1748-1832) იყო, სიკეთის საზომად აცხადებდა მაქსიმალურად ბევრი ადამიანის მაქსიმალურ ბედნიერებას – ქმედება ზნეობრივად ითვლებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად ზრდიდა ის ასეთ ჯამურ ბედნიერებას. ბენთემს სჯეროდა, რომ უტილიტარისტული პრინციპების დანერგვას და, შესაბამისად, კაცობრიობის ზნეობასა და ბედნიერებას ხელს უშლის ადამიანთა ირაციონალური, ეგოისტური მისწრაფებები, ემოციების მიერ რაციონალური განაზრებების დათრგუნვა. ამიტომ, საზოგადოების უტილიტარისტული რეფორმის მისი პროექტი გულისხმობდა განათლების სისტემის ისეთ რეფორმასაც, რომლის შედეგადაც ადამიანები უფრო რაციონალურ არსებებად ჩამოყალიბდებოდნენ, ხოლო ემოციებს ნაკლები გავლენა ექნებოდა მათ აზრებსა და ქცევაზე. სწორედ ბენთემისეული პრინციპების მიხედვით აღზარდა ჯეიმზ მილმა თავისი შვილები. ჯონ სტიუარტ მილმა სახლში, მამისა და მამის მეგობრების ხელმძღვანელობით მიიღო განათლება. 3 წლისას მას დააწყებინეს ძველი ბერძნულის, ხოლო 8 წლისას – ლათინურის სწავლა; 14 წლისას უკვე წაკითხული ჰქონდა ბერძნული და ლათინური კლასიკური ტექსტების უმრავლესობა, დაუფლებული იყო ლოგიკას, მათემატიკას, მისი დროის ბუნებისმეცნიერებას, კარგად იცოდა ისტორია, ეკო-

ნომიკის საფუძვლები. ბენთემის სისტემასთან თანხმობაში, მისი აღზრდა-განათლება ცალმხრივად იყო მიმართული ინტელექტის განვითარებაზე და ემოციური, მგძნობელობითი უნარების დათრგუნვაზე. როგორც თავის ავტობიოგრაფიაში შენიშნავს, ასეთმა ცალმხრივმა განვითარებამ 20 წლის მილი ღრმა სულიერ კრიზისამდე მიიყვანა. ამ კრიზისიდან გამოსვლასში მას დიდი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, უილიამ უოდსუორთის (1770-1550) პოეზია და ფრანგი მწერლის, ჟან ფრანსუა მარმონტელის (1723-1799) ემოიციურად დაწერილი მემუარების კითხვა დაეხმარა.

1823 წელს მილმა მუშაობა დაიწყო „აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიაში“ (სავაჭრო სააქციო საზოგადოებაში), სადაც მუშაობდა 1858 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე. 1865 წელს ის თემთა პალატაში აირჩიეს. პარლამენტის ისტორიაში მილი პირველი ადამიანი იყო, ვინც ქალებისთვის ხმის უფლების მინიჭება მოითხოვა; ის, ასევე, გამოდიოდა მუშათა, ღატაკთა, უმცირესობათა უფლებების დასაცავად, მხარს უჭერდა პროფკავშირებს, მოითხოვდა ირლანდიაზე ზეწოლის შესუსტებას; მან აღიმაღლა ხმა იამაიკის გუბერნატორის მიერ ადგილობრივ მცხოვრებთა ამბოხების არაადამიანური სისასტიკით ჩახშობის წინააღმდეგ. მილის, როგორც პარლამენტარის, მოღვაწეობა ბევრისთვის აღფრთოვანების საგანი იყო; თუმცა, თავისი ამომრჩევლის ვიწრო ინტერესებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ის არასოდეს მიდიოდა კმპრომისებზე პრინციპებთან მიმართებაში. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ შემდეგ არჩევნებზე (1868 წელს) ის აღარ აირჩიეს.

1830 წელს მილმა გაიცნო ჰარიეტ ტეილორი (1807-1858), რომელიც იმ დროს გათხოვილი და სამი შვილის დედა იყო. მათ შორის მაშინვე დამყარდა განსაკუთრებული სიახლოვე. ბიოგრაფების აზრით, მათ პლატონური მეგობრობა ჰქონდათ 1851 წლამდე, როდესაც მათ, ტეილორის დაქვრივებიდან ორი წლის თავზე, იქორწინეს. მილი ავტობიოგრაფიაში წერს, რომ ჰარიეტთან ურთიერთობა გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო მისი ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარებისთვის. თავის ბევრ იდეას ის თავის მეუღლეს უმადლოდა, აღიარებდა მის მონაწილეობას ბევრი თავისი ტექსტის შექმნაში. თუმცა, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაც მას ტეილორთან შეხვედრამ მოუტანა, იყო ადამიანის ბუნების, ადამიანის ბედნიერების და ცხოვრების მიზნების იმ ვიწრო ხედვისგან გათავისუფლება, რომელსაც ბენთემისა და ჯეიმზ მილის უტილიტარიზმი ემყარებოდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მილისთვის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური მოკავშირე გახდა მისი გერი, ცნობილი ფემინისტი, ელენ ტეილორი (1831-1907), რომელმაც მილის სიკვდილის შემდეგ მისი რამდენიმე მნიშვნელოვანი შრომა გამოსცა.

ჯონ სტიუარტ მილი გარდაიცვალა 1873 წლის 8 მაისს ავინიონში, საფრანგეთში.

მილის პირველი მნიშვნელოვანი შრომა, რომელმაც მას ფილოსოფოსის რეპუტაცი მოუპოვა, არის „ლოგიკის სიტემა“ (1843). აქ მილმა სისტემურად დაალაგა ლოგიკასა და შემეცნების თეორიაში მის დროს არსებული ცოდნა. მართალია, ეს შრომა არ გამოირჩევა ორიგინალური ფილოსოფიური იდეებით, მაგრამ ის

ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელო იყო ამ პერიოდში და დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც წიგნს, რომელმაც გამოიწვია ლოგიკისა და მეცნიერების ფილოსოფიის მიმართ ინტერესის გამოცოცხლება მე-19 საუკუნეში.

1848 წელს მილმა გამოაქვეყნა „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები", რომელიც თავის ეპოქაში ეკონომიკისა და პოლიტიკური ეკონომიის ყველაზე გავლენიან სახელმძღვანელოდ იქცა (მილის სიცოცხლეშივე გამოიცა წიგნის მეშვიდე გადამუშავებული გამოცემა). აქ მილი იცავდა ეკონომიკური ლიბერალიზმის და თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, თუმცა, უშვებდა სახელმწიფოს ჩარევას ისეთ საკითხებში, როგორიცაა, მაგალითად, ალკოჰოლის დაბეგვრა; აკრიტიკებდა პროგრესულ დაბეგვრას, როგორც „ძარცვის ზომიერ ფორმას", თუმცა, მოითხოვდა მემკვიდრეობის დაბეგვრას. მოგვიანებით მილმა გადასინჯა თავისი შეხედულებები და უფრო სოციალისტური პოზიციისკენ გადაიხარა, რაც აისახა კიდეც წიგნის მომდევნო, გადამუშავებულ გამოცემებში.

1859 წელს გამოქვეყნდა მილის „თავისუფლების შესახებ", ხოლო 1861 წელს – „უტილიტარიზმი". მილის შრომებიდან ეს ორია ისეთი, დღემდე რომ ინარჩუნებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას. მილის „თავისუფლების შესახებ" დღემდე რჩება ლიბერალიზმის პრინციპების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფორმულირებად და პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კლასიკურ ტექსტად.

„უტილიტარიზმში" მილი აჯამებს და ავითარებს უტილიტარისტული ეთიკის პრინციპებს. მართალია, ის აღიარებს ბენთემის „უდიდესი ბედნიერების პრინციპს", როგორც უტილიტარისტული თეორიის საფუძველს, მაგრამ ოპონენტების არგუმენტების გაბათილებისა და მოძღვრების ზოგიერთი ნიუანსის გადმოცემისას საკმაოდ შორდება ბენთემის მოძღვრების შინაარსს. ამ განსხვავების არსებითი მხარეა ის, რომ მილი გვთავაზობს ბედნიერების უფრო ნიუანსირებულ და, შეიძლება ითქვას, საკმაოდ არაუტილიტარისტულ გაგებას. სახელდობრ, ბენთემისგან განსხვავებით, ბედნიერებას ის არ განსაზღვრავს სიამოვნებისა და ტკივილის უნივერსალურად გამოყენებადი ცნებებით. სანაცვლოდ, შემოაქვს სიამოვნებათა თავისებური თვისებრივი რანჟირების იდეა და ამტკიცებს, რომ ადამიანის ბედნიერება არ არის იგივე, რაც ცხოველის ბედნიერება, რადგან ადამიანის სიამოვნების წყაროები განსხვავდება ცხოველის სიამოვნების წყაროებისგან; ზუსტად ასევე, სხვადასხვა ადამიანის სიამოვნების წყაროებიც სხვადასხვაა და ვერც ყველა ადამიანის ბედნიერება იქნება ერთი და იგივე. უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი: ბედნიერება, რომელსაც თითქოს შეიძლება მივაღწიოთ, თუკი ადამიანში როგორმე გავაქრობთ „უფრო მაღალი" (და ძნელად მისაღწევი) სიამოვნებების განცდის უნარს (შესაბამისად, მათი მიუღწევლობით გამოწვეულ უკმაყოფილებას), არ არის ის ბედნიერება, რომლის მაქსიმიზაციაც მილის ეთიკური იდეალია. მილსა და ბენთემს შორის ამ განსხვავების გამოსაკვეთად ისაია ბერლინი ასეთ ილუსტრაციას გვთავაზობს: თუ წარმოვიდგენთ, რომ გამოიგონეს აბი, რომლის

გადაყლაპვითაც ყოველი ადამიანი მუდმივი სიამოვნების მდგომარეობაში აღმოჩნდება და ყველა ტკივილისგან გათავისუფლდება, ბენთემის უტილიტარიზმი ამ ამბავს სიხარულით უნდა შეხვდეს, ასეთი აბის მეშვეობით ბედნიერების მაქსიმიზაციის წინააღმდეგ ის ვერაფერს იტყვის. ხოლო მილისთვის ეს არასგზით არ იქნება ის, რაც ოდნავ მაინც სასურველია. მილის თვალსაზრისის ამ ასპექტის გასააზრებლად და იმის გასაგებად, თუ როგორ ერგება ის უტილიტარიზმის მისეულ ვერსიას, აუცილებელია, გავითვალისწინოთ „თავისუფლების შესახებ“ ტრაქტატში გამოთქმული მოსაზრებებიც და არა მხოლოდ „უტილიტარიზმის“ შინაარსი.

მილის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოსცა ჰარიეტ ტეილორმა, არის „ქალთა დაქვემდებარება“. ეს წიგნი (რომელიც 1861 წელს დაიწერა, მაგრამ მხოლოდ 1869 წელს გამოქვეყნდა) ერთ-ერთი პირველია ქალის უფლებების დასაცავად კაცის მიერ დაწერილი ტექსტებიდან. მილი აქ ასაბუთებს, რომ ქალების და კაცების კანონის წინაშე უთანასწორობას გამართლება არ აქვს და ის სრული თანასწორობით უნდა შეიცვალოს; რომ ქალების ჩაგვრა ძველი დროის გადმონაშთია და კაცობრიობის წინსვლას აფერხებს. მილი გამოყოფს ქალთა განვითარების დამაბრკოლებელ სამ დიდ ფაქტორს: საზოგადოებაში არსებული გენდერის ნორმები, განათლების არსებული სისტემა, ოჯახი. მილი წერილებსა და საჯარო გამოსვლებშიც აქტიურად იცავდა ქალის და კაცის თანასწორობას; პარლამენტის წევრობის პერიოდშიც, როგორც ითქვა, მისი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პოლიტიკური კამპანია ქალებისათვის ხმის უფლების მინიჭების ინიციატივა იყო (რის გამოც ის თანამედროვეთა მხრიდან არაერთი თავდასხმისა და დაცინვის საგანი გახდა). ქალის უფლებების და თავისუფლების პრობლემების მიმართ ინტერესის გაღვივებას მილი ჰარიეტ ტეილორს უმადლიოდა. ჰარიეტ ტეილორი თვითონაც წერდა ქალთა უფლებებზე და მილის „ქალთა დაქვემდებარების“ ტექსტის შექმნაშც აქვს წვლილი შეტანილი. საინტერესოა, რომ თვითონ ტეილორის შრომები, რომლებიც მხოლოდ მისი სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ გამოქვეყნდა, ბევრად უფრო რადიკალურია, ვიდრე მილის ტექსტები ამ თემაზე.

ზემოთ აღნიშნულთა გარდა, მილის ნააზრევის გასაგებად მნიშვნელოვანია მისი „ავტობიოგრაფია“ (მისი სიკვდილის შემდეგ, 1873 წელს გამოაქვეყნა ელენ ტეილორმა). მას ეკუთვნის სხვა ფილოსოფიური და პოლიტიკური ტრაქტატებიც და მრავალი წერილი მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ. თუმცა, „თავისუფლების შესახებ“ უდავოდ არის მისი ყველაზე გავლენიანი და ფართოდ გავრცელებული ტექსტი.

2. „თავისუფლების შესახებ“ (1859) ისტორიული კონტექსტი

მილმა „თავისუფლების შესახებ“ ჩაიფიქრა, როგორც მოკლე ნარკვევი, რომლის წერაც 1854 წელს დაიწყო. თუმცა, ტექსტი მხოლოდ 4 წლის შემდეგ გამოქვეყნდა და ბევრად უფრო ვრცელი გამოვიდა. მასზე მთელი ამ ხნის განმავლობაში მილთან ერთად მისი მეუღლეც მუშაობდა. მილი წერს, რომ მართალია, მის სხვა შრომებზეც დიდი ზეგავლენა ჰქონდა ჰარიეტ ტეილორის შენიშვნებს და მოსაზრებებს, მაგრამ „თავისუფლების შესახებ“ ყველაზე მეტად შეიძლება ჩაითვალოს მათ ერთობლივ ნაშრომად.

რაზეა ეს წიგნი? თავის ავტობიოგრაფიაში მილი წერს, რომ ეს არის წიგნი იმაზე, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და საზოგადოებისთვის ხასიათების მრავალფეროვნებას, ადამიანების სრულ თავისუფლებას იმისა, რომ, თავიანთი არჩევანის მიხედვით, უამრავი სხვადასხვა და კონფლიქტური მიმართულებით განავითარონ თავიანთი ბუნება. მართლაც, მთელი წიგნის გამჭოლი თემაა ინდივიდუალურობისა და მრავალფეროვნების განსაკუთრებული ღირებულება და კონფორმიზმთან დაპირისპირება. სწორედ ინდივიდუალურობის ღირებულების ამ აღიარებას ეფუძნება მილის ძირითადი თეზისი, რომ ინდივიდის თავისუფლების შეზღუდვა ყოველთვის და ყველა კონტექსტში ბოროტებაა იმ შემთხვევების გარდა, როცა ეს აუცილებელი არ არის სხვა ინდივიდთა ანალოგიური თავისუფლების დაცვისთვის.

მილის ეს პათოსი რომ კარგად გავიგოთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის წერდა ბრიტანეთის ისტორიის იმ პერიოდში, რომელსაც ვიქტორიანულ ეპოქას უწოდებენ (დედოფალი ვიქტორია 1837-1901 წლებში მეფობდა). ეს ბრიტანეთში იყო მშვიდობის, ეკონომიკური აღმავლობის, იმპერიის გავლენის სფეროების მნიშვნელოვნად გაფართოების ეპოქა. ამავე დროს, ამ ეპოქის თავისებურებაა გაბატონებული სოციალური ღირებულებების და ნორმების სპეციფიკური ერთობლიობა – ე. წ. ვიქტორიანული ღირებულებები ან ვიქტორიანული მორალი – რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომისმოყვარეობას, კეთილგონიერებას, მომჭირნეობას, „რესპექტაბელურ“ და თავშეკავებულ ქცევას, სექსუალობის შეზღუდვას. ამ დროს პოპულარული იყო რეფორმისტული მოძრაობები, რომლებიც ვიქტორიანული ღირებულებების მთელ საზოგადოებაში გავრცლებასა და დამკვიდრებას ისახავდა მიზნად (მაგალითად, ძლიერი იყო ე. წ. „თავშეკავების მოძრაობა“ (temperance movement), რომელიც ალკოჰოლური სასმელების მოხმარების შემცირებისთვის იბრძოდა). მილის აზრები დიდწილად არის რეაქცია სწორედ ამ შემზღუდველ სოციალურ ინსტიტუტებზე, საზოგადოებრივი აზრის უდიდეს წნეხზე, რომლებიც, მისი აზრით, ახრჩობდა ადამიანის თავისუფლებას და ინდივიდუალურობას. ის შეძრწუნებული აღწერს თავის თანამედროვე საზოგადოებას, როგორც სულ უფრო მზარდი „საშუალოობის“ საზოგადოებას, რომელშიც ყველაზე დიდ ცოდვად შერაცხულია ნებისმიერი სახის გამორჩეულობა.

შესაბამისად, ინდივიდუალური თავისუფლების ხელშეუხებლობაა მილისთვის საზოგადოებისა და სახელმწიფოს შეფასების მთავარი კრიტერიუმი. მართალია, მილი გვთავაზობს არგუმენტებს, რომლებშიც ის თავისუფლების ღირებულებას ამართლებს უტილიტარისტული მოსაზრებების საფუძველზე (რომ თავისუფლება საზოგადოების პროგრესის აუცილებელი წინაპირობა და სტაგნაციისგან მისი დაცვის ერთადერთი მექანიზმია), მაგრამ მისი არგუმენტების უფრო ბაზისური წანამძღვარია ინდივიდუალურობისა და მრავალფეროვნების თავისთავადი და უპირობო ღირებულება.

რომელი თავისუფლება?

გავიხსენოთ, რომ ლიბერალიზმის ფუძემდებლად აღიარებული ჯონ ლოკი უკვე მე-17 საუკუნის ბოლოს წერდა, რომ პოლიტიკური სისტემების მისაღებობის აუცილებელი პირობაა ინდივიდის თავისუფლების პატივისცემა; ასევე, რომ სინდისის თავისუფლება ადამიანის ბუნებრივი უფლებაა, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფო ძალაუფლებისთვის ხელშეუხებელი უნდა იყოს. რას ამბობს მილი განსხვავებულს და ახალს, რის გამოც მისმა წიგნმა უდიდესი აღიარება მოიპოვა?

მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც თავისუფლების მილისეულ დაცვას აქვს, შემდეგია: მას (ლოკისა და სხვა წინამორბედებისგან განსხვავებით) აინტერესებს არა იმდენად ინდივიდის თავისუფლების ხელშეუხებლობა პოლიტიკური, სახელმწიფო ძალაუფლების მიმართ, არამედ თავისუფლება იმასთან მიმართებაში, რასაც ის უმრავლესობის დესპოტიზმის უწოდებს. სწორედ ამ ვითარების გამოკვეთას ეთმობა ტრაქტატის პირველი თავი („შესავალი“).

მილი შენიშნავს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა ადრე მართლაც იყო ბრძოლა მოქალაქეთა (მართულთა) თავისუფლებასა და ხელისუფლების (მმართველი ძალის) ტირანიას შორის. თუმცა, ამტკიცებს ის, ევროპის საზოგადოებათა უმრავლესობაში (ყოველ შემთხვევაში, დიდ ბრიტანეთში) უკვე მოპოვებულია ხელისუფლების ტირანიისგან დაცვის მექანიზმები – უზრუნველყოფილია, რომ მმართველი ძალა ხალხის, მართულთა ნების გამომხატველია და არა – მასთან დაპირისპირებული. ამის მიღწევა მოხერხდა იმით, რომ, ერთი, აღიარებულ იქნა და ხელისუფალთათვის ხელშეუხებლად გამოცხადდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები; მეორეც, განვითარდა კონსტიტუციური მექანიზმები, რომლებითაც სზოგადოებას მიეცა მთავრობის ქმედებების კონტროლის ძალა. მაგრამ ამ ვითარებაში მაინც რჩება სხვა საფრთხე, რომლისგან ინდივიდის თავისუფლების დაცვა არანაკლებ მნიშვნელოვანია და, სავარაუდოდ, უფრო ძნელიც არის. ეს საფრთხეა „უმრავლესობის ტირანია“, რომელიც შეიძლება ხორციელდებოდეს ისევ პოლიტიკური საშუალებებით (რამდენადაც ხელისუფლება მსგავს დემოკრატიულ ვითარებაში უმრავლესობის ნების წარმომადგენელი იქნება) ან საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით. მილს სწორედ ეს უკანასკნელი აინტერესებს ყველაზე მეტად. ის ამბობს, რომ ამ პრობლემაზე ძალიან ცოტა იყო ნაფიქრი და

არავითარი აწონ-დაწონილი და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები არ არსებობდა.

ამრიგად, თავისუფლება, რომელიც მილს აინტერესებს, არის ინდივიდის თავისუფლება დანარჩენი საზოგადოებისაგან: იქნება ეს საზოგადოების უმრავლესობის ნების გამომხატველი სახელმწიფო სტრუქტურების, თუ საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა. კითხვას იმ საზღვრების შესახებ, რომელთა ფარგლებშიც საზოგადოებამ შეიძლება ლეგიტიმურად შეზღუდოს ინდივიდის თავისუფლება, მილი ასეთ პასუხს სცემს: „ერთადერთი მიზანი, რის მისაღწევადაც გამართლებულია საზოგადოების ჩარევა მისი ნებისმიერი წევრის ქმედების თავისუფლებაში, არის თავდაცვა… ნებისმიერი ადამიანის ქცევის ერთადერთი ნაწილი, რომელიც ღიაა საზოგადოების ჩარევისთვის, არის ის ნაწილი, რომელიც სხვებს ეხება. ხოლო ქცევაში, რომელიც მხოლოდ მას ეხება, მისი დამოუკიდებლობა უპირობოდ აბსოლუტურია. ინდივიდი საკუთარი თავის, საკუთარი სხეულის და გონების სუვერენია.“ ამ თეზისის დაცვას და ილუსტრირებას ეძღვნება ტრაქტატის დანარჩენი თავები.

მილი ინდივიდის ხელშეუხებელი თავისუფლების სამ სფეროს გამოჰყოფს: 1) სინდისის, აზრისა და შეხედულების თავისუფლება; 2) ქმედების, საკუთარი ცხოვრების წესის არჩევის, გემოვნებისა და მისწრაფებების თავისუფლება; 3) სხვა ინდივიდებთან (მათი თანხმობის პირობით) დაკავშირების და გაერთიანების თავისუფლება ისეთი მიზნებისთვის, რომლებიც სხვებს არ ვნებს. პირვლი სახის თავისუფლების აუცილებლობას ეძღვნება ტრაქტატის მეორე, ყველაზე ვრცელი თავი; მესამე თავში საბუთდება ქმედების თავისუფლების აუცილებლობა; მეოთხე თავში მილი დეტალურად განიხილავს, რა ზომით შეიძლება იყოს გამართლებული საზოგადოების მიერ ინდივიდის საქმეებში ჩარევა; მეხუთე თავს კი ის უთმობს თავისი თეორიის ილუსტრაციას კონკრეტული შემთხვევებისთვის მისი გამოყენებით.

აზრისა და შეხედულების თავისუფლება

ერთ-ერთი ყველაზე ბაზისური და ხელშეუხებელი თავისუფლება მილისთვის არის შეხედულების ქონისა და მისი გამოხატვის თავისუფლება. საზოგადოება არც ერთ შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი, აუკრძალოს მის რომელიმე წევრს რომელიმე, რაგინდ მცდარი შეხედულების აღიარება და გამოხატვა. შეხედულების დევნა, ამტკიცებს მილი, ყველა შემთხვევაში ბოროტებაა, თან ისეთი ბოროტება, რომელიც მხოლოდ მას კი არ აზარალებს, ვის შეხედულებასაც დევნიან, არამედ აზარალებს მთელ კაცობრიობას – არა მხოლოდ თანამედროვეთ, არამედ მომავალ თაობებსაც.

ამ თეზისის დასასაბუთებლად მილი სამ შესაძლო შემთხვევას განიხილავს: შეხედულება, რომელსაც დევნიან შეიძლება იყოს ჭეშმარიტი; ის შეიძლება იყოს მცდარი; ის შეიძლება გარკვეულ ჭეშმარიტებას შეიცავდეს, მაგრამ ნაწილობრივ

მცდარი იყოს (სწორედ ეს არის, მილის აზრით, სადავო თუ გაბატონებულ შეხედულებათა უმრავლესობის ხვედრი).

მილი ამტკიცებს, რომ რაოდენ ძლიერადაც არ უნდა ვიყოთ დარწმუნებულები ჩვენი შეხედულების ჭეშმარიტებაში, ყოველთვის არის შესაძლებელი, რომ ვცდებოდეთ, ხოლო საპირისპირო შეხედულება, რომლის დევნის ცდუნებაც გვაქვს – ჭეშმარიტი იყოს. კაცობრიობის ისტორია, შეგვახსენებს მილი, სავსეა ასეთი შეცდომის ტრაგიკული მაგალითებით: როდესაც ზნეობრვმა და პატივსაცემმა ადამიანებმა, დარწმუნებულებმა იმაში, რომ ჭეშმარიტებას იცავდნენ და მცდარ და მავნე შეხედულებას ებრძოდნენ, ახალი ჭეშმარიტების მღაღადებლები გაანადგურეს და დიდი ხნით დააბრკოლეს კაცობრიობის მიერ ამ ჭეშმარიტებების აღიარება და შესაბამისი შედეგებით სარგებლობა.

არგუმენტს, რომელსაც აქ მილი გვთავაზობს, შეგვიძლია ფალიბილიზმის, ანუ ცდომადობის არგუმენტი ვუწოდოთ: ეს არის იმის აღიარება, რომ არავინაა უცდომელი, რომ ჩვენი შეხედულებების ჩვენთვისვე (ან, თუნდაც, გარშემო ყველასთვის) სარწმუნობის რაგინდ მაღალი ხარისხი ვერასოდეს იქნება ამ შეხედულებების ჭეშმარიტების გარანტია. თუ ამას დავივიწყებთ და ჩვენი შეხედულების საწინააღმდეგო აზრების გამოთქმას ავკრძალავთ, ხელიდან გავუშვებთ ჩვენს შეხედულებებში არსებული შეცდომების გაცნობიერების შესაძლებლობას.

რა უნდა ითქვას შემთხვევაზე, როცა გაბატონებული შეხედულება ჭეშმარიტია, ხოლო საპირისპირო შეხედულება – აშკარად მცდარი? ამ შემთხვევაშიც, ამტკიცებს მილი, მცდარი შეხედულების დევნა მაინც ბოროტებაა, რადგან ჭეშმარიტება, რომლის მიმართ ეჭვის გამოთქმაც აკრძალულია, იქცევა მკვდარ დოგმად, რომლის აღიარებაც ადამიანის მიერ ცრურწმენების აღიარებას უფრო ჰგავს, ვიდრე – გააზრებული და გაცნობიერებული ჭეშმარიტების ცოდნას. მეტიც, როდესაც თუნდაც ჭეშმარიტი შეხედულება ასეა გაზიარებული – მისი საფუძვლების ცოდნისა და მისი ჭეშმარიტების საბუთების გაცნობიერების გარეშე – ის ჩვენი ქმედების წარმართვის, ჩვენი მოტივირების ძალასაც კარგავს. მას ვიმეორებთ, როგორც ცარიელ სიტყვებს, თუმცა, ის ველარ ახდენს ზემოქმედებას ჩვენს გრძნობებსა და განზრახვებზე.

გარდა ამისა, ერთადერთი, რაც იმის უფლებას გვაძლევს, რომ ჩვენი შეხედულებების ჭეშმარიტების იმედი გვქონდეს, არის ის, რომ მათ წინააღმდეგ არსებული ყველა არგუმენტი მოვისმინეთ და გავაბათილეთ. და რამდენადაც ასეთი არგუმენტების გაჟღერებას ავკრძალავთ, ზუსტად იმდენად უარს ვიტყვით უფლებაზე, ჩვენი შეხედულება ჭეშმარიტად მივიჩნიოთ.

მესამე შესაძლო შემთხვევაში, რომელიც ყველაზე ხშირია მილის აზრით, ანუ როცა მეტოქე შეხედულებებიდან თითოეული მხოლოდ ნაწილობრივ ჭეშმარიტებას შეიცავს, შეხედულების დევნა იმავე ბოროტებებს მოიტანს: ჭეშმარიტების რაღაც ნაწილი შეიძლება დაიკარგოს. ჩვეულებრივ, ამტკიცებს მილი, გავრცელებული ან გაბატონებული შეხედულება იშვიათად ან არასოდეს არის მთელი ჭეშმარიტება; შეხედულებები, რომლებიც გაბატონებულ შეხედულებებს

უპირისპირდება, ხშირად შეიცავს ჭეშმარიტების სწორედ იმ ასპექტს, რომელიც გაბატონებულ შეხდულებაში უგულებელყოფილია; შესაბამისად, მათ დაცვას და გაჟღერებას განსაკუთრებული ღირებულება აქვს იმისთვის, რომ ჭეშმარიტების აქამდე უცნობი ნაწილი მისაწვდომი გახდეს

ბოლოს მილი აკრიტიკებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მართალია, არ უნდა იზღუდებოდეს შეხედულების გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ უნდა იზღუდებოდეს გამოხატვის ფორმა, რომ საჭიროა იმის გაკონტროლება, რომ პოლემიკა პატიოსანი დისკუსიის ფარგლებს არ სცდება. ასეთი შეზღუდვები, ამტკიცებს მილი, სასურველია, ყველამ დაიცვას; თუმცა, მათ კანონის სახე არ უნდა ჰქონდეს, რადგან ასეთი კანონის მიუკერძოებლად აღსრულება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება; რეალურად ის ისევ უმცირესობის შეხედულების შეზღუდვისა და დევნის ინსტრუმენტი აღმოჩნდება.

ინდივიდუალურობა და მრავალფეროვნება, როგორც ღირებულება

ტრაქტატის მესამე თავში, რომლის სათაურია „ინდივიდუალურობა, როგორც კეთილდღეობის ერთ-ერთი ელემენტი“, მილი ინდივიდის ქმედებებში საზოგადოების ჩარევის საკითხს განიხილავს. განსხვავებით სიტყვისა და შეხედულების თავისუფლებისაგან, რომლის შეზღუდვაც ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება გამართლებული, ქმედების თავისუფლებას აქვს კანონიერი საზღვრები – ეს არის სხვა ადამიანთა თავისუფლების საზღვრები. ადამიანის ქმედების თავისუფლება უნდა შეიზღუდოს იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც ის სხვებს ვნებს. ხოლო ადამიანის ყველა ქმედება, რომელიც არ ეხება სხვებს, მხოლოდ მისი საქმეა და მათში გარეშე პირის, საზოგადოების ან სახელმწიფოს ჩარევა ისევე დაუშვებელია, როგორც – შეხედულების თავისუფლებაში. სწორედ ქმედების თავისუფლების აუცილებლობაა მესამე თავის თემა, თავისუფლებაში დასაშვებ ჩარევებს კი მეოთხე თავი ეთმობა.

ნაწილი არგუმენტებისა, რომელთაც მილი შეხედულების თავისუფლების სასარგებლოდ ავითარებს, ქმედების შემთხვევაშიც მოქმედებს: როგორც მართალია ის, რომ არ უნდა ვდევნოთ შეხედულება, რაგინდ ძლიერ არ უნდა გვჯეროდეს მისი მცდარობა, ზუსტად ასევე, მართალია ის, რომ არ უნდა შევზღუდოთ სხვისი ქმედება ან ცხოვრების წესი, რაგინდ ძლიერ არ უნდა გვჯეროდეს, რომ ის სულელურია ან დამღუპველია თვითონ ამ ადამიანისთვის. ასეა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ჩვენ არც ქმედებათა და ცხოვრების წესთა შეფასებაში ვართ უცდომელები. მეორეც, ახალი და უცხო ქმედებების მოსინჯვა, „ცხოვრების ექსპერიმენტები“, როგორც მათ მილი უწოდებს, ღირებულია, რამდენადაც ეს არის ახალი შესაძლებლობების აღმოჩენისა და, შესაბამისად, საზოგადოების პროგრესის ერთადერთი გზა: ჯერ არაფერი გაკეთებულა ისეთი, რაც ოდესღაც ვიღაცამ პირველად არ გააკეთა და თუ რამ კარგი არსებობს, ყველაფერი ორიგინალურობის ნაყოფიაო, წერს მილი. მესამეც, ქმედების თავისუფლება აუცილებელია ინდივიდის უნარების სრულად განვითარებისთვის: არჩევანის გაკეთება და

მის გამო პასუხისმგებლობის ტარება, ნაცვლად ადათების ბრმად შესრულებისა, ადამიანის ზნეობრივი არსებობის აუცილებელი ასპექტია; თავის ადამიანობას ბოლომდე მხოლოდ ის იყენებს, ვინც ამას აკეთებს.

გარდა ამისა, ცხოვრების წესი, განსხვავებით აზრის ჭეშმარიტებისგან, არ არის ისეთი რამ, რაც, თუ ის კარგია ერთისთვის, კარგი იქნება ყველასთვის: „ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების დაგეგმვის მისეული წესი საუკეთესოა, თუმცა, არა იმიტომ, რომ ის საუკეთესოა თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ ეს მისი საკუთარია," წერს მილი. და კიდევ: „ადამიანი ვერ იშოვის თავის სარგო პალტოს ან ჩექმებს, თუ ისინი სპეციალურად არ არის შეკერილი მისი ზომით ან კიდევ მას მთელი საწყობი არ აქვს ამოსარჩევად. და განა უფრო იოლია ადამიანს ცხოვრება მოვარგოთ, ვიდრე პალტო?"

ამრიგად, ქმედების თავისუფლების სასარგებლო არგუმენტების ორი მიმართულება გამოიკვეთა: (1) ასეთი თავისუფლება სიკეთეა ინდივიდისთვის, რადგან ის ადამიანის განვითარების და ბედნიერების აუცილებელი წინაპირობაა, (2) და ის სიკეთეა საზოგადოებისთვის, რადგან ის პროგრესის მთავარი წყაროა.

მეტიც, მილი ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური თავისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მის თანამედროვე, დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელშიც მასის, უმრავლესობის აზრის ბატონობა არნახულად გაიზარდა და უდიდესი წნეხს ქმნის ინდივიდუალობის, გამორჩეულობის დასათრგუნად. „ამ ვითარებაშია განსაკუთრებით საჭირო გამორჩეული ინდივიდების წახალისება, …თუკი ისინი მასისგან განსხვავებულად იქცევიან. სხვა პერიოდებში მათ ასე მოქცევას არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა, თუ ისინი უბრალოდ განსხვავებულად კი არა, არამედ უკეთესადაც არ იქცეოდნენ. ჩვენს დროში უბრალოდ არაკონფორმულობის მაგალითი, უბრალოდ ჩვეულების წინაშე დაჩოქებაზე უარის თქმაც თავისთავად სასარგებლოა," წერს ის. ამრიგად, განსხვავებულობა, „ექსცენტრიკულობა" (მილი ზოგჯერ სწორედ ამ სიტყვას ხმარობს) თავისთავად კარგია, თუნდაც ის არ ნიშნავდეს უკეთესს. და მისი მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, რაც უფრო ძლიერდება საზოგადოებაში მის დასათრგუნად მოქმედი ტენდენციები.

მილის „თავისუფლების შესახებ" გამოქვეყნებისთანავე მოექცა ყურადღების ცენტრში. მან არა მხოლოდ მოწონება, არამედ სხვადასხვა სახის კრიტიკაც დაიმსახურა. მილის ნაშრომის ერთი მართლაც პრობლემური ასპექტი, რომელიც დღეს უთუოდ ყველას მოგვხვდება თვალში, იმის მიუხედვად, ვიზიარებთ თუ არა მისი პოლიტიკური ფილოსოფიის პრინციპებს, არის აშკარად გამოხატული ევროპოცენტრისტული და კოლონიალისტური პოზიცია, რომელშიც ზოგიერთი კრიტიკოსი რასიზმსაც კი ხედავს. მილი აშკარად ამბობს, რომ თავისუფლების მისი თეორია მხოლოდ სამყაროს „პროგრესულ" ნაწილს ეხება, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებას ჯერ არ მიუღწევია განვითარების გარკვეული დონისთვის (სადაც, მისი სიტყვებით, „ბარბაროსების" მართვას ეხება საქმე), შეიძლება დესპოტური მმართველობა ოპტიმალური იყოს. გარდა ამისა, ტექსტის ბევრ მონაკ-

ვეთში ლაპარაკია არაევროპელი ხალხების ჩამორჩენილობასა და გაუნათლებლობაზე, მათი ადათების პროგრესის საწინააღმდეგო ხასიათზე და სხვა, რაშიც აშკარად ჩანს ავტორის რწმენა ევროპელი ერების უპირატესობის შესახებ. ის ევროპის სახელმწიფოების საქმედ თვლის მთელ მსოფლიოში პროგრესის გავრცელებას და, შესაბამისად, ამართლებს ევროპულ კოლონიალიზმს.

ამრიგად, მილი, რომელიც ბევრი თვალსაზრისით წინ უსწრებს თავის ეპოქას და აკრიტიკებს თავისი დროისა და საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ცრურწმენებს და მიკერძოებებს, თვითონაც იზიარებს ზოგიერთს ასეთი ფესვგამდგარი რწმენებიდან. მართალია, ეს სამწუხარო ამბავია, მაგრამ ნამდვილად არ არის გასაკვირი ამბავი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მილის ტექსტი (ზოგადად, ყველა ტექსტი) კრიტიკულად და მისი ეპოქის კონტექსტის გათვალისწინებით ვიკითხოთ. ეს, რასაკვირველია, არ უკარგავს ღირებულებას მილის ნააზრევს. მეტიც, ეს ვითარება კიდევ ერთ დადასტურებად შეგვიძლია მივიღით თვითონ მილის დაჟინებული მტკიცებისა (რომელიც ზემოთ შევაჯამეთ), რომ ადამიანთა შეხედულებები თითქმის არასოდეს არის სრული ჭეშმარიტება, რომ ისინი, უკეთეს შემთხვევაში, ბევრ შეცდომასთან ერთად ჭეშმარიტების ძვირფას ნაწილებსაც შეიცავს.

თავისუფლების შესახებ

თავი I
შესავალი

ამ ნარკვევის თემა არ არის ეგრეთ წოდებული ნების თავისუფლება, რომელიც ასე მოუხერხებლად უპირისპირდება არასწორად სახელდებულ ფილოსოფიური აუცილებლობის მოძღვრებას.[1] მისი თემაა სამოქალაქო, ანუ საზოგადოებრივი თავისუფლება: იმ ძალაუფლების ბუნება და საზღვრები, რომელიც შეიძლება საზოგადოებამ კანონიერად განახორციელოს ინდივიდზე. ამ საკითხს იშვიათად სვამდნენ და თითქმის არასოდეს განუხილავთ ზოგადი სახით, მაგრამ ის ფარულად მონაწილეობს ჩვენი დროის პრაქტიკულ დაპირისპირებებში, ღრმა გავლენას ახდენს მათზე და, სავარაუდოდ, მალე იქნება აღიარებული მომავლის სასიცოცხლო საკითხად. ეს საკითხი სულაც არ არის ახალი. გარკვეული აზრით, იგი უძველეს ეპოქებშიც აღელვებდა კაცობრიობას; მაგრამ პროგრესის იმ სტადიაში, რომელშიც ახლა შეაბიჯეს ადამიანების მოდგმის უფრო ცივილიზებულმა ნაწილებმა, ის ახალ პირობებში წარმოგვიდგება და განსხვავებულ და უფრო ფუნდამენტურ განხილვას მოითხოვს.

თავისუფლებასა და ხელისუფლებას შორის ბრძოლა ჩვენთვის ცნობილი ისტორიის, სახელდობრ, საბერძნეთის, რომის და ინგლისის ისტორიების ყველაზე გამოკვეთილი ნიშანია. მაგრამ ძველ დროში ეს იყო ბრძოლა ქვეშევრდომებსა ან ქვეშევრდომთა გარკვეულ კლასებსა და მთავრობას შორის. თავისუფლებაში იგულისხმებოდა პოლიტიკურ მმართველთა ტირანიისგან დაცვა. მმართველთა პოზიცია (საბერძნეთში არსებული ზოგიერთი სახალხო მთავრობის გარდა) მოიაზრებოდა, როგორც მათ მიერ მართულ ხალხთან აუცილებლობით დაპირისპირებული. მთავრობა შედგებოდა ერთი მმართველი პირის ან მმართველი ტომის თუ კასტისგან, რომლებიც ძალაუფლებას მემკვიდრეობით იღებდნენ ან ბრძოლით იპყრობდნენ და რომელთაც, არც ერთ შემთხვევაში, ძალაუფლება არ ეძლეოდათ მართულთა ნება-სურვილის მიხედვით; სიფრთხილის რა ზომებიც არ უნდა მიეღოთ მმართველთა დესპოტური ქმედების თავიდან ასაცილებლად, ადამიანები მათი ბატონობის წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავდნენ და, შეიძლება, არც ინდომებდნენ. მათი ძალაუფლება მიიჩნეოდა აუცილებლობად და იმავე დროს უაღრესად სახიფათო იარაღად, რომლის გამოყენებასაც ისინი ისევე ეცდებოდნენ თავიანთ ქვეშევრდომთა წინააღმდეგ, როგორც გარეშე მტერთა წინააღმდეგ. იმისათვის, რომ საზოგადოების უფრო სუსტი წევრები ურიცხვი მტაცებლების

ნადავლი არ გამხდარიყვნენ, საჭირო იყო არსებულიყო სხვებზე ღონიერი მტაცებელი, რომელსაც დანარჩენების მოთოკვა ევალებოდა. მაგრამ, რადგან მტაცებელთა მეფეს ფარაზე ნადირობის არანაკლები მიდრეკილება ექნებოდა, ვიდრე წვრილფეხა მტაცებლებს, აუცილებელი იყო მუდმივი სიფხიზლე მისი ნისკარტისა და ბრჭყალებისგან თავდაცვისთვის. ამდენად, პატრიოტების მიზანი იყო, საზღვრები დაეწესებინათ ძალისთვის, რომლის საზოგადოების მიმართ გამოყენების ნებაც უნდა ჰქონოდა მმართველს; სწორედ ამ შეზღუდვას გულისხმობდნენ ისინი თავისუფლებაში. ამას ორი გზით ცდილობდნენ. პირველი: გარკვეული ხელშეუხებლობის, რომელსაც პოლიტიკურ თავისუფლებებს ან უფლებებს უწოდებენ, აღიარების მოპოვება – მათი ხელყოფა მმართველის მიერ თავისი მოვალეობის დარღვევად ჩაითვლებოდა და ასეთ შემთხვევაში გამართლებულად მიიჩნეოდა საგანგებო დაუმორჩილებლობა ან საყოველთაო ამბოხება. მეორე და საზოგადოდ უფრო გვიანდელი ხერხი იყო კონსტიტუციური შეზღუდვების შემოღება; მათი ძალით მმართველი ძალის ზოგიერთი შედარებით მნიშვნელოვანი ქმედებისთვის აუცილებელ პირობად ცხადდებოდა საზოგადოების ან მის წარმომადგენლად მიჩნეული რაიმე სახის ჯგუფის თანხმობა. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მმართველი ძალა მეტ-ნაკლებად იძულებული იყო შეზღუდვის პირველ სახეს დამორჩილებოდა. მეორის შემთხვევაში ასე არ იყო; და მისი მიღწევა ან, თუ ის გარკვეული ხარისხით უკვე არსებობდა, მისი მეტი სისრულით მოპოვება იქცა თავისუფლებისმოყვარეთა ძირითად მიზნად ყველგან. იქამდე, ვიდრე ადამიანები სჯერდებოდნენ იმას, რომ ერთი მტერი მეორის საშუალებით დაემარცხებინათ და ბატონის მმართველობის ქვეშ ყოფილიყვნენ იმ პირობით, რომ მისი ტირანიისგან მეტნაკლებად ეფექტურად იქნებოდნენ დაზღვეულები, მათი მისწრაფება ამაზე შორს არ ვრცელდებოდა.

მაგრამ ადამიანურ საქმეთა წინსვლის პროცესში დადგა დრო, როცა ადამიანებმა უარი თქვეს აზრზე, რომ ბუნების აუცილებლობაა მათი მმართველი მათგან დამოუკიდებელი, ინტერესით მათთან დაპირისპირებული ძალა იყოს. მათ ბევრად უკეთესად მიიჩნიეს, რომ სახელმწიფო მოხელეები მათი მოქირავნეები ან დელეგატები ყოფილიყვნენ, რომელთა დათხოვნაც მათი ნება იქნებოდა. ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ ამ გზით ექნებოდათ მათ იმის სრული გარანტია, რომ მთავრობის ძალები არასდროს არ იქნებოდა გამოყენებული მათ საზიანოდ. არჩევითი და დროებითი მმართველობის ეს ახალი მოთხოვნა თანდათანობით იქცა სახალხო პარტიის ისეთი ძალისხმევის (სადაც ასეთი პარტია არსებობდა) საგანგებო მიზნად, რომ მან მნიშვნელოვნად გადააჭარბა მმართველთა ძალის შეზღუდვის მანამდელ მცდელობებს. იმისთვის ბრძოლის მსვლელობაში, რომ მმართველი ძალა ქცეულიყო მართულთა პერიოდულ არჩევანზე დამოკიდებული, ზოგმა დაიწყო ფიქრი, რომ მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავად ძალაუფლების შეზღუდვას. ეს (შეიძლება ეფიქრათ) იყო საშუალება იმ მმართველთა წინააღმდეგ, რომელთა ინტერესებიც, ჩვეულებრივ, უპირისპირდებოდა ხალხის ინტერესებს. ახლა მხოლოდ ის იყო საჭირო, რომ მმართველები ხალხთან

გაიგივებულიყვნენ და რომ მათი ინტერესი და ნება ხალხის ინტერესსა და ნებას დამთხვეოდა. ხალხს არ სჭირდებოდა საკუთარი ნებისგან დაცვა. არ არსებობდა საფრთხე, რომ ის საკუთარი თავის ტირანი გახდებოდა. დაე, მმართველები რეალურად აგებდნენ პასუხს მის წინაშე, დაე, სწრაფად შეიძლებოდეს მათი გადაყენება მის მიერ და მაშინ მას, ხალხს, შეეძლება, მათ მიანდოს ძალაუფლება, რომლის გამოყენების წესსაც ის თავად განსაზღვრავს. მმართველთა ძალაუფლება იქნება უბრალოდ თავად ხალხის ძალაუფლება – კონცენტრირებული და გამოყენებისთვის მოსახერხებელი ფორმით. აზროვნების ან, ალბათ, უფრო გრძნობის ეს წესი საერთო იყო ევროპული ლიბერალიზმის ბოლო თაობაში, რომლის კონტინენტურ ნაწილშიც ის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დომინირებს. ისინი, ვინც აღიარებს მთავრობის დასაშვები ქმედებების რაიმე საზღვარს, ისეთი მთავრობის გარდა, რომელიც, მათი აზრით, სულ არ უნდა არსებობდეს, კონტინენტის პოლიტიკურ მოაზროვნეთა შორის გამოირჩევიან, როგორც ბრწყინვალე გამონაკლისები. ამგვარივე შეფერილობის გრძნობები შეიძლება დღეისათვის ჩვენს საკუთარ ქვეყანაშიც ყოფილიყო გაბატონებული, უცვლელად რომ შენარჩუნებულიყო გარემოებები, რომლებიც თავის დროზე ასაზრდოებდა მას.

მაგრამ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ თეორიებში, ისევე, როგორც ადამიანებში, წარმატება წარმოაჩენს შეცდომებსა და სისუსტეებს, რომლებიც მარცხს შეიძლება შეუმჩნეველი დაეტოვებინა. წარმოდგენა, რომ ხალხს სულ არ სჭირდება საკუთარ თავზე თავისივე ძალაუფლების შეზღუდვა, შეიძლება აქსიომად მოგვჩვენებოდა იმ დროს, როცა სახალხო მთავრობა მხოლოდ ოცნების საგანი იყო, ან რაღაც ისეთი, რაზეც წიგნებიდან ვიცით, რომ ოდესღაც შორეულ წარსულში არსებობდა. ამ წარმოდგენას გარდაუვალად ძირს არ უთხრიდა არც ისეთი დროებითი გადახრები, საფრანგეთის რევოლუციას რომ ახასიათებდა; მათგან ყველაზე უარესი უზურპატორი უმცირესობის ნამოქმედარი იყო და, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იყო არა სახალხო ინსტიტუტების უწყვეტი მუშაობის, არამედ მონარქიისა და არისტოკრატიის დესპოტიზმის წინააღმდეგ უცაბედი და კონვულსიური აფეთქების შედეგი. მაგრამ დროთა ვითარებაში დემოკრატიულმა რესპუბლიკებმა დედამიწაზე სულ უფრო დიდი ადგილი დაიკავა და სახელმწიფოთა ერთობის ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი ნაწილი შეადგინა; ხოლო არჩევითი და პასუხისმგებლობის მქონე მთავრობები დაკვირვებისა და კრიტიკის საგანი აღმოჩნდა, რაც ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ელის. ახლა უკვე ნათელი გახდა, რომ ისეთი ფრაზები, როგორებიცაა „თვითმმართველობა“ და „ხალხის ძალაუფლება საკუთარ თავზე“ არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. „ხალხი“, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს, ყოველთვის იგივე ხალხი არ არის, ვისზეც ის ხორციელდება; ხოლო „თვითმმართველობა“, რაზეც ლაპარაკია, არ არის თითოეულის მართვა თვითონ მის მიერ, არამედ – თითოეულის მართვა ყველა დანარჩენის მიერ. მეტიც, ხალხის ნება პრაქტიკულად ნიშნავს ხალხის ყველაზე მრავალრიცხოვანი ან ყველაზე აქტიური ნაწილის ნებას – უმრავლესობის ნებას ან მათ ნებას, ვინც წარმატებით აღწევს საკუთარი თავის უმრავლესობად

წარმოდგენას; მაშასადამე, ხალხმა შეიძლება მოისურვოს საკუთარი რიგების რაღაც ნაწილის დაჩაგვრა და ამის წინააღმდეგ თავდაცვის საშუალებები ისევეა საჭირო, როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი სხვა სახის წინააღმდეგ. ამიტომ ინდივიდებზე მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის მნიშვნელობა ოდნავაც არ მცირდება, თუ ძალაუფლების მპყრობელნი რეგულარულად აგებენ პასუხს საზოგადოების წინაშე, ანუ, მასში ყველაზე ძლიერი პარტიის წინაშე. ვითარების ამ ხედვის დამკვიდრებას არავითარი სიძნელე არ შეხვედრია, რამდენადაც ის ერთნაირად მისაღებია როგორც მოაზროვნე ადამიანების, ისე ევროპული საზოგადოების იმ მნიშვნელოვანი კლასების მისწრაფებებისთვის, რომელთა რეალური ან ნაგულისხმევი ინტერესებისთვის დემოკრატია არასასურველია; ახლანდელ პოლიტიკურ განაზრებებში ხომ, როგორც წესი, „უმრავლესობის ტირანიას“ იმ ბოროტებათა რიგს მიაკუთვნებენ, რომელთაგანაც საზოგადოება დაცვას საჭიროებს.

სხვა ტირანიების მსგავსად, თავიდან უმრავლესობის ტირანია ძირითადად საშიშად მიიჩნეოდა იმ ქმედებათა გამო, რომელთაც საჯარო ხელისუფალნი ახორციელებენ; უბრალო ხალხი ჯერ კიდევ ასე ფიქრობს. მაგრამ დაფიქრებულმა ადამიანებმა დაინახეს, რომ, როცა საზოგადოება – საზოგადოება კოლექტიურად – თავად არის მისი შემადგენელი ცალკეული ინდივიდების ტირანი, ტირანიის განხორციელების მისი საშუალებები არ არის შეზღუდული მოქმედებებით, რომელთა შესრულებაც მას თავის პოლიტიკურ ფუნქციონერთა ხელებით შეუძლია. საზოგდოებას შეუძლია თავისი საკუთარი განაწესების შესრულება და აკეთებს კიდეც ამას; და თუ ის სწორის ნაცვლად არასწორ განაწესს იძლევა, ან საერთოდ იძლევა განაწესს საკითხებზე, რომლებშიც არ უნდა ერეოდეს, ის პოლიტიკური ჩაგვრის მრავალ სხვა სახეზე უფრო შემზარავ სოციალურ ტირანიას ახორციელებს. ასეა, რადგან, მართალია, მისი ტირანია ჩვეულებრივ არ ემყარება სასჯელის უკიდურეს სახეებს, ის თავის დაღწევის ნაკლებ საშუალებას ტოვებს, რამდენადაც ცხოვრების დეტალებში ბევრად უფრო ღრმად იჭრება და თავად სულს იმონებს. მაშასადამე, საკმარისი არ არის სახელმწიფო მოხელეთა ტირანიისგან დაცვა: საჭიროა დაცვა გაბატონებული შეხედულებების ან გრძნობების ტირანიისგანაც. საჭიროა დაცვა საზოგადოების მიდრეკილებისგან, სამოქალაქო სასჯელისგან განსხვავებული საშუალებებით საკუთარი იდეები და ჩვევები ქცევის წესებად მოახვიოს თავს მათ, ვინც მას არ ეთანხმება, შეუბორკოს განვითარება და, თუ შესაძლებელია, ხელი შეუშალოს ჩამოყალიბებაში ისეთ ინდივიდუალობას, რომელიც არ არის ჰარმონიაში მის წესებთან, ყველა ხასიათს მის საკუთარ მოდელზე მორგება აიძულოს. არსებობს ინდივიდუალურ დამოუკიდებლობაში კოლექტიური შეხედულების ლეგიტიმური ჩარევის საზღვარი, ხოლო ამ საზღვრის მოძებნა და მისი დარღვევისგან დაცვა ისევე აუცილებელია ადამიანების საქმეების სასიკეთო მდგომარეობისთვის, როგორც პოლიტიკური დესპოტიზმისგან დაცვა.

მართალია, მოსალოდნელი არ არის, რომ ეს დებულება ზოგადი სახით ვინმემ სადავოდ გახადოს, პრაქტიკული საკითხი, თუ სად უნდა გავავლოთ საზღვარი – როგორ უნდა დამყარდეს შესაფერისი წონასწორობა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობასა და სოციალურ კონტროლს შორის – არის თემა, რომელთან დაკავშირებითაც თითქმის ყველაფერი ჯერ კიდევ გასაკეთებელია. ყველაფერი, რის გამოც ადამიანისთვის მისი არსებობა ღირებულია, დამოკიდებულია სხვა ადამიანების იძულებაზე, შეზღუდონ თავიანთი ქმედებები. ამიტომ პირველ რიგში კანონმა, ხოლო ბევრ ისეთ საკითხში, რომელიც კანონის ქმედების შესაფერისი სფერო არ არის, საზოგადოებრივმა აზრმა უნდა მოგვცეს ქცევის ზოგიერთი წესი. ის, თუ როგორი უნდა იყოს ეს წესები, ადამიანების ყოფის პრინციპული საკითხია; მაგრამ, თუ რამდენიმე ყველაზე აშკარა შემთხვევას გამოვრიცხავთ, ეს ერთერთია იმ საკითხთაგან, რომელთა გადაწყვეტაშიც ყველაზე ნაკლები პროგრესია მიღწეული. ეს საკითხი არასოდეს ერთნაირად არ გადაუწყვეტია არც რომელიმე ორ ეპოქას და ალბათ არც რომელიმე ორ ქვეყანას; ერთი ეპოქის ან ერთი ქვეყნის გადაწყვეტა სხვას აოცებს. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი ეპოქისა და ქვეყნის ადამიანები მასში რაიმე სიძნელის არსებობას ვერ გრძნობენ, თითქოს ეს ისეთი საკითხი იყოს, რომელზეც კაცობრიობა ყოველთვის შეთანხმებული იყო. წესები, რომლებიც ძალაშია მათთვის, მათ თვითცხადად და თვითგამამართლებლად ეჩვენებათ. ეს მართლაც უნივერსალური ილუზია ერთ-ერთი მაგალითია ჩვეულების მაგიური გავლენისა, რომელიც მხოლოდ მეორე ბუნება კი არ არის, როგორც ანდაზა გვეუბნება, არამედ ასევე გამუდმებით პირველი ჰგონიათ. ჩვეულების ეფექტურობა ადამიანების მიერ ერთმანეთისთვის დადგენილი ქცევის წესების მიმართ ყოველგვარი დაეჭვების აღკვეთაში კიდევ უფრო სრულია იმიტომ, რომ საზოგადოდ მის სასარგებლოდ საბუთების მოტანა აუცილებლად არ მიიჩნევა, იქნება ერთი ადამიანის მიერ სხვებისთვის თუ თითოეულის მიერ საკუთარი თავისთვის. ადამიანები შეჩვეულები არიან იფიქრონ, რომ ამგვარ საკითხებში მათი გრძნობები საბუთებზე უკეთესია და საბუთებს ზედმეტს ხდის; და ამგვარად ფიქრისკენ მათ უბიძგებს ზოგიერთი, ვინც ცდილობს ფილოსოფოსობამდე ამაღლდეს. პრაქტიკული პრინციპი, რომლითაც ადამიანები ქცევის რეგულირების შესახებ თავიანთ შეხედულებებში ხელმძღვანელობენ, არის თითოეულის ცნობიერებაში არსებული განცდა, რომ ყველას უნდა მოეთხოვებოდეს ისეთი ქცევა, მოსაწონი რომ იქნებოდა თავად მისთვის და მისი თანამოაზრეებისთვის. სინამდვილეში არავინ გმოუტყდება საკუთარ თავს იმაში, რომ შეფასების მისი სტანდარტი მისი საკუთარი მოწონებაა; მაგრამ შეხედულება ქცევის შესახებ რაიმე საკითხზე, რომელიც საბუთებით არ არის გამყარებული, მხოლოდ ერთი ადამიანის არჩევანად შეიძლება ჩაითვალოს; ხოლო თუ საბუთები, როცა მათ გვაძლევენ, უბრალოდ სხვა ადამიანების მსგავს არჩევანზე აპელაციაა, ეს მაინც არის მხოლოდ და მხოლოდ ბევრის მოწონება ერთის ნაცვლად. მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანისთვის საკუთარი არჩევანი, ასე მხარდაჭერილი სხვების მიერ, არის არა მხოლოდ სრულყოფილად დამაკმაყოფილებელი, არამედ ერთადერთი

საბუთი, რომელიც მას ჩვეულებრივ აქვს მორალის, გემოვნების ან თავაზიანობის შესახებ თავისი რომელიმე წარმოდგენისთვის, თუკი ის აშკარად არ წერია მის რელიგიურ მრწამსში; მეტიც, ისაა მისი მთავარი ხელმძღვანელი თვით მრწამსის ინტერპრეტაციაშიც. ამრიგად, ადამიანების შეხედულებებზე იმის შესახებ, თუ რა არის საქები ან საძრახი, ზემოქმედებს ყოველი იმ მრავალფეროვან მიზეზთაგან, რომლებიც გავლენას ახდენს მათ სურვილებზე სხვების ქცევასთან დაკავშირებით და რომლებიც ისევე მრავალრიცხოვანია, როგორც მიზეზები, რომლებიც განსაზღვრავს მათ სურვილებს ნებისმიერ სხვა საგანთან მიმართებაში. ზოგჯერ ეს მათი გონებაა, სხვა შემთხვევებში კი – მათი მიკერძოებები ან ცრურწმენები; ხშირად მათი სოციალური გრძნობები, არცთუ იშვითად მათი ასოციალური გრძნობები, მათი შური ან ეჭვიანობა, მათი ამპარტავნება ან ბოღმა; მაგრამ ყველაზე ხშირად მათი სურვილები ან შიშები საკუთარ თავთან დაკავშირებით – მათი კანონიერი თუ უკანონო პირადი დაინტერესება. სადაც კი არსებობს გავლენიანი კლასი, ქვეყნის ზნეობრიობის დიდი ნაწილი ამ კლასის ინტერესებიდან და კლასობრივი უპირატესობის მისი გრძნობებიდან მოედინება. სპარტელებისა და ჰილოტების,[2] პლანტატორებისა და ზანგების, ბატონებისა და ქვეშევრდომების, წარჩინებულებისა და მდაბიოების, კაცებისა და ქალების ზნეობა ძირითადად ამ კლასობრივი ინტერესებისა და გრძნობების მიერ იყო შექმნილი; ასე წარმოშობილი გრძნობები თავის მხრივ უკუზემოქმედებს გავლენიანი კლასის წევრების ზნეობრივ გრძნობებზე, მათ ურთიერთობებზე ერთმანეთთან. იქ, სადაც, მეორე მხრივ, ადრე გავლენიანმა კლასმა თავისი გავლენა დაკარგა ან მისი გავლენა არაპოპულარული გახდა, გაბატონებული ზნეობრივი გრძნობები ხშირად ატარებს მისი უპირატესობის მიმართ აგრესიული უარყოფითი დამოკიდებულების კვალს. კანონის ან საზოგადოებრივი აზრის მიერ თავს მოხვეული ქცევის წესების (სულერთია, საქმე მოქმედებას ეხება თუ თავშეკავებას) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი პრინციპი იყო ადამიანების მონური დამოკიდებულება მათი დროებითი ბატონების და მათი ღმერთების ნავარაუდევი დადებითი და უარყოფითი განწყობების მიმართ. მართალია, ეს მონობა არსებითად ეგოისტურია, ის არ არის ფარისევლობა; ის სიძულვილის სრულყოფილად ნამდვილ გრძნობებს წარმოშობს; მან უბიძგა ადამიანებს ჯადოქრებისა და ერეტიკოსების დაწვისკენ[3]. რა თქმა უნდა, ამდენი მდაბალი ფაქტორის გვერდით მორალური გრძნობების მიმართულების განსაზღვრაში წილი, მეტიც, დიდი წილი, უდევს საზოგადოების საერთო და აშკარა ინტერესებსაც; მაგრამ არა იმდენად როგორც საბუთებს ან როგორც თავისთავად ფაქტორებს, რამდენადაც მათზე დამყარებული სიმპათიებისა და ანტიპათიების მეშვეობით. ზნეობის ჩამოყალიბებაში თითქმის ისეთივე დიდი ძალით გვაგრძნობინებს თავს სიმპათიები და ანტიპათიები, რომლებსაც ძალზე ცოტა ან არაფერი აკავშირებდათ საზოგადოების ინტერესებთან. ამრიგად, ის, თუ რა მოსწონს და რა არ მოსწონს საზოგადოებას ან მის რომელიმე ძლიერ ნაწილს, არის ძირითადი, რაც პრაქტიკულად განსაზღვრავს, რომელი წესები დამკვიდრდება ყველასთვის სავალდებულოდ კანონის ან

საზოგადოებრივი აზრის მიერ დასჯის მუქარით. საერთოდ, ყველა, ვინც თავისი აზროვნებითა და გრძნობებით საზოგადოების მოწინავე ნაწილს შეადგენდა, პრინციპულად ხელუხლებლად ტოვებდა ამ ვითარებას, როგორც არ უნდა დაპირისპირებოდა მის ზოგიერთ დეტალს. ისინი უფრო იმას იკვლევდნენ, რა უნდა მოსწონდეს ან არ მოსწონდეს საზოგადოებას, და არ სვამდნენ კითხვას, უნდა იყოს თუ არა ინდივიდებისთვის კანონი ის, თუ რა მოსწონს და რა არ მოსწონს საზოგადოებას. ისინი ამჯობინებდნენ ეცადათ ადამიანების გრძნობების შეცვლა იმ კონკრეტულ საკითხებში, რომლებზეც თავად მათი აზრები ერეტიკული იყო, ნაცვლად იმისა, რომ თავისუფლების დაცვა ექციათ თავიანთ საერთო საქმედ, ზოგადად ერეტიკოსებთან ერთად. ერთადერთი შემთხვევა, რომელშიც აქაიქ ერთი-ორმა ინდივიდმა შეძლო პრინციპის დონემდე ამაღლება და მისი თანმიმდევრული დაცვა, არის რელიგიური რწმენის საკითხი – შემთხვევა, რომელიც მრავალი თვალსაზრისით არის ყურადსაღები, მათ შორის, იმითაც, რომ იძლევა ყველაზე შთამბეჭდავ მაგალითს იმის ცდომადობისა, რასაც ზნეობრივ გრძნობას უწოდებენ; მართლაც, გულწრფელი ფანატიკოსისთვის *odium theologicum*[4] ხომ ზნეობრივი გრძნობის ერთ-ერთი ყველაზე არაორაზროვანი შემთხვევაა. მათ, ვინც პირველად დაამსხვრია იმის უღელი, რაც საკუთარ თავს უნივერსალურ ეკლესიას უწოდებდა, საზოგადოდ ისევე არ სურდათ რელიგიური შეხედულებების მრავალფეროვნების დაშვება, როგორც თავად ეკლესიას. მაგრამ მას შემდეგ, რაც კონფლიქტის სიმხურვალე ჩაცხრა, – ისე, რომ სრული გამარჯვება არც ერთ მხარეს არ მოუპოვებია, და თითოეული ეკლესია და სექტა იძულებული იყო, საკუთარი იმედები უკვე დაკავებული პოზიციების შენარჩუნებით შემოეფარგლა, – უმცირესობებმა დაინახეს, რომ უმრავლესობად ქცევის არავითარი შანსი არ ჰქონდათ და აღმოჩნდნენ აუცილებლობის წინაშე, რომ მათგან, ვისი მოქცევაც ვერ შეძლეს, განსხვავებულობის ნებართვა გამოეთხოვათ. შესაბამისად, ეს ბრძოლის ველი თითქმის ერთადერთია, სადაც საზოგადოების წინაშე ინდივიდის უფლებები ფართო პრინციპული საფუძვლებით მტკიცდებოდა და სადაც აშკარად დაუპირისპირდნენ საზოგადოების პრეტენზიას, ძალაუფლება გამოეყენებინა სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ. დიდი მწერლები, რომელთაც მსოფლიო ბოლომდე უმადლის რელიგიური თავისუფლების არსებობას, ძირითადად ამტკიცებდნენ, რომ სინდისის თავისუფლება ხელშეუხებელი უფლებაა, და აბსოლუტურად უარყოფდნენ, რომ ადამიანმა სხვების წინაშე პასუხი უნდა აგოს თავისი რელიგიური რწმენისთვის. მაგრამ მაინც იმდენად ბუნებრივია ადამიანებისთვის შეუწყნარებლობა ყველაფერში, რაც მათ მართლა ადარდებთ, რომ რელიგიური თავისუფლება პრაქტიკულად თითქმის არსად არ განხორციელებულა იმ ადგილების გარდა, სადაც სასწორის ერთ მხარეზე თავისი წონა დაამატა რელიგიურმა ინდიფერენტულობამ, რომელსაც არ სურს, თეოლოგიურმა კინკლაობამ დაურღვიოს სიმშვიდე. თითქმის ყოველი მორწმუნე ადამიანის გონებაში, ყველაზე ტოლერანტულ ქვეყნებშიც კი, შეწყნარების მოვალეობა ფარული შეზღუდვებითაა აღიარებული. ვიღაც ეგუება განსხვავებულ აზრს ეკლესიის მართვის, მაგ-

რამ არა დოგმის საკითხებში; სხვას შეუძლია, ყველა შეიწყნაროს, პაპისტის ან უნიტარისტის[5] გარდა; კიდევ სხვას – ყველა, ვისაც სჯერა გამოცხადების რელიგიისა; ვიღაცები თავიანთ გულმოწყალებას ცოტა უფრო შორს ავრცელებენ, მაგრამ ღმერთისა და საიქიო ცხოვრების რწმენაზე ჩერდებიან. ყველგან, სადაც უმრავლესობის გრძნობები ჯერ კიდევ ნამდვილი და ინტენსიურია, მან თითქმის არაფერი მოაკლო პრეტენზიას, რომ ყველა მას ემორჩილებოდეს.

ინგლისში, ჩვენი ისტორიის განსაკუთრებული გარემოებების გამო, თუმცა საზოგადოებრივი აზრის უღელი ალბათ უფრო მძიმეა, კანონისა უფრო მსუბუქია, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნების უმრავლესობაში; აქ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პირად ქცევაში პირდაპირ ჩარევას სერიოზული ეჭვით ეკიდებიან; ეს გამოწვეულია არა იმდენად ინდივიდის დამოუკიდებლობის სათანადო დაფასებით, რამდენადაც ჯერ კიდევ არსებული ჩვევით, მთავრობაში დავინახოთ საზოგადოების საწინააღმდეგო ინტერესის წარმომადგენელი. უმრავლესობას ჯერ კიდევ არ უსწავლია მთავრობის ძალაუფლების საკუთარ ძალაუფლებად, ან მისი შეხედულებების საკუთარ შეხედულებებად აღქმა. როცა ეს მოხდება, ალბათ, ინდივიდუალური თავისუფლების ხელყოფა ისევე შესაძლებელი გახდება მთავრობის მხრიდან, როგორც უკვე არის საზოგადოებრივი აზრის მხრიდან. მაგრამ ჯერ-ჯერობით გრძნობების მნიშვნელოვანი მასა მზადყოფნაშია, რომ აღენთოს კანონის ნებისმიერი ცდის წინააღმდეგ, გააკონტროლოს ინდივიდები საკითხებში, რომლებშიც კანონის მიერ კონტროლს აქამდე მიჩვეულები არ იყვნენ; ეს დამოკიდებულება ძალიან მცირედ უწევს ანგარიშს იმას, ეკუთვნის თუ არა საკითხი სამართლებრივი კონტროლის კანონიერ სფეროს, იმდენად მცირედ, რომ მთლიანობაში უაღრესად სასიკეთო ამ დამოკიდებულების გამოვლენის კონკრეტული შემთხვევებიდან ალბათ თითქმის იმდენივეა უადგილო, რამდენიც საფუძვლიანი. ფაქტობრივად არ არსებობს არავითარი აღიარებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც ჩვეულებრივ შემოწმდება, გამართლებულია თუ გაუმართლებელი მთავრობის ჩარევა. ადამიანები ამას თავიანთი პირადი არჩევანის მიხედვით წყვეტენ. ზოგიერთი, როგორც კი დაინახავს, რომ რაღაც კარგი უნდა გაკეთდეს ან ბოროტება გამოსწორდეს, ხალისით წააქეზებს მთავრობას, ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს; ხოლო სხვები არჩევენ აიტანონ სოციალური ბოროტება თითქმის ნებისმიერი ზომით, ოღონდაც ადამიანის ინტერესების სფეროებიდან კიდევ ერთი არ შემატონ მთავრობის კონტროლის არეს. ადამიანები ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში ერთ ან მეორე მხარეს დგებიან თავიანთი გრძნობების ამ ზოგადი ორიენტაციის მიხედვით, ან იმის მიხედვით, თუ რა ხარისხით არიან დაინტერესებულნი კონკრეტულ საკითხში, რომლის მთავრობის მიერ მოგვარებასაც სთავაზობენ, ან იმის მიხედვით, თუ რამდენად სჯერათ, რომ მთავრობა ამას ისე გააკეთებდა ან არ გააკეთებდა, როგორც მათ ურჩევნიათ; მაგრამ ძალიან იშვიათად – იმის გამო, რომ თანმიმდევრულად იზიარებენ რაიმე შეხედულებას იმის შესახებ, თუ რომელ საქმეებს შეეფერება მთავრობის მიერ მოგვარება. და მე მეჩვენება, რომ წესის ან პრინციპის არარსებობის გამო, ამჟამად ერთი

მხარე ისევე ხშირად არის ხოლმე მტყუანი, როგორც მეორე; მთავრობის ჩარევას დაახლოებით თანაბარი სიხშირით მოითხოვენ გაუმართლებლად და ძრახავენ გაუმართლებლად.

ამ ნარკვევის მიზანია ერთი ძალიან მარტივი პრინციპის დაცვა, რომელიც უნდა იყოს ინდივიდის მიმართ საზოგადოების მიერ იძულებისა და კონტროლის გამოყენების საყოველთაო სახელმძღვანელო – იმისგან დამოუკიდებლად, ამისათვის ფიზიკური ძალა გამოიყენება სამართლებრივი სასჯელის ფორმით, თუ საზოგადოებრივი აზრის მორალური იძულება. ეს პრინციპი ასეთია: ერთადერთი მიზანი, რის მისაღწევადაც გამართლებულია საზოგადოების ინდივიდუალური თუ კოლექტიური ჩარევა მისი ნებისმიერი წევრის ქმედების თავისუფლებაში, არის თავდაცვა. და ერთადერთი მიზანი, რომელიც გაამართლებდა ძალის გამოყენებას ცივილიზებული საზოგადოების რომელიმე წევრზე მისი ნების საწინააღმდეგოდ, არის სხვებისთვის ვნების მიყენების აღკვეთა. საკმარისი გამართლება არ არის ფიზიკური თუ მორალური სიკეთე თავად მისთვის. სამართლიანი ვერ იქნება, ადამიანი აიძულონ, რამე გააკეთოს ან რამისგან თავი შეიკავოს იმიტომ, რომ ეს მისთვის იქნება უკეთესი, რომ ეს მას უფრო გააბედნიერებს, რომ, სხვების შეხედულების თანახმად, ასე მოქცევა ბრძნული ან სწორი იქნება. ეს ყველაფერი კარგი საფუძველია იმისათვის, რომ მას ვეკამათოთ ან მასთან ერთად ვიბჭოთ, ვცადოთ მისი დარწმუნება, ვთხოვოთ მას, მაგრამ არა იმისთვის, რომ ვაიძულოთ ის, ან ვნება მივაყენოთ მას მაშინ, თუ სხვაგვარად მოიქცევა. იმისათვის, რომ ასეთი რამ გამართლებული იყოს, ნაჩვენები უნდა იყოს, რომ საქციელი, რომელიც გვსურს მას გადავაფიქრებინოთ, ბოროტებას მოუტანს ვინმე სხვას. ნებისმიერი ადამიანის ქცევის ერთადერთი ნაწილი, რომელიც ღიაა საზოგადოების ჩარევისთვის, არის ის ნაწილი, რომელიც სხვებს ეხება. ხოლო ქცევაში, რომელიც მხოლოდ მას ეხება, მისი დამოუკიდებლობა უპირობოდ აბსოლუტურია. ინდივიდი საკუთარი თავის, საკუთარი სხეულის და გონების სუვერენია.

ალბათ აუცილებელი არ არის იმის თქმა, რომ ეს მოძღვრება გულისხმობს მხოლოდ სიმწიფის ასაკში მყოფ ადამიანებს. ჩვენ არ ვეხებით ბავშვებს, ან ახალგაზრდებს იმ ასაკობრივ ზღვარს ქვემოთ, რომელიც კანონმა შეიძლება დააფიქსიროს მათი მამაკაცობის ან ქალობის ასაკად. მათ, ვინც ჯერ კიდევ იმ მდგომარეობაშია, რომ სხვების ზრუნვას საჭიროებს, ისევე უნდა იცავდნენ საკუთარი ქმედებებისგან, როგორც გარეშე ზიანისაგან. იმავე მიზეზით შეგვიძლია უგულებელვყოთ საზოგადოების ისეთი ჩამორჩენილი მდგომარეობა, რომელშიც მთელი რასა შეიძლება განვიხილოთ არასრულწლოვნად. სპონტანური წინსვლის გზის საწყის ეტაპებზე სიძნელეები ისე დიდია, რომ იშვიათად არსებობს არჩევანი მათი დაძლევის საშუალებებში; ამიტომ, გაუმჯობესების სულისკვეთებით აღვსილი მმართველის მიერ ნებისმიერი საშუალების გამოყენება მიზნისთვის, რომელიც ალბათ სხვა გზით მიუღწეველია, გამართლებულია. დესპოტიზმი მართვის კანონიერი ფორმაა ბარბაროსთა შემთხვევაში, თუკი მიზანი გაუმჯობესებაა; აქ საშუალებებს ამართლებს მიზნის რეალურად განხორციელება. თავისუფლება,

როგორც პრინციპი, არ გამოიყენება არც ერთი მდგომარეობის მიმართ იმ საფეხურის მიღწევამდე, რომელზეც ადამიანებს აქვთ თავისუფალი და თანასწორი დისკუსიით სრულყოფის უნარი. ამ დრომდე სხვა არაფერი არსებობს მათთვის იმის გარდა, რომ ბრმად დაემორჩილონ ვინმე აქბარს[6] ან კარლოს დიდს[7], თუ იმდენად მაინც გაუმართლებთ, რომ ასეთს იპოვიან. მაგრამ, როგორც კი ადამიანები შეიძენენ იმის უნარს, რომ შესაძლებელი იყოს მათი უკეთესობისაკენ წარმართვა დარწმუნებით ან შეგონებით (ეტაპი, რომელსაც უკვე, დიდი ხანია, მიაღწია ყველა ერმა, რომელსაც აქ შევეხებით), იძულება, პირდაპირი თუ დაუმორჩილებლობისთვის დასჯის ფორმით, აღარ არის დასაშვები, როგორც თავად მათთვის სიკეთის მოტანის საშუალება, და გამართლებული შეიძლება იყოს მხოლოდ სხვების უსაფრთხოებისთვის.

საჭიროა შევნიშნო, რომ მე უარს ვამბობ ნებისმიერ უპირატესობაზე, რომელიც შეიძლება ჩემი არგუმენტისთვის მიენიჭებინა აბსტრაქტული სამართლიანობის, როგორც სარგებლიანობისგან დამოუკიდებლის, იდეას. მე სარგებლიანობას მივიჩნევ საბოლოო ინსტანციად ყველა ეთიკურ საკითხში; მაგრამ ეს უნდა იყოს სარგებლიანობა უფართოესი აზრით, რომელიც ემყარება ადამიანის, როგორც პროგრესირებადი არსების, მდგრად ინტერესებს. მე ვამტკიცებ, რომ ეს ინტერესები ამართლებს ინდივიდუალური სპონტანურობის გარეგან კონტროლზე დაქვემდებარებას თითოეული ინდივიდის მხოლოდ იმ ქმედებათა თვალსაზრისით, რომლებიც სხვების ინტერესებს ეხება. სხვებისთვის საზიანო ქმედების ჩადენა არის *primâ facie*[8] შემთხვევა, როცა ჩამდენი უნდა დაისაჯოს კანონით ან, თუ სამართლებრივი სასჯელის გამოყენება უსაფრთხო არ არის, საზოგადოებრივი გაკიცხვით. არსებობს აგრეთვე სხვებისთვის სარგებლობის მომტანი ბევრი პოზიტიური ქმედება, რომლის შესრულებაც ადამიანს შეიძლება სამართლიანად აიძულონ. ასეთია სასამართლოს სხდომაზე ჩვენების მიცემა; კუთვნილი წილის შეტანა საზოგადოებრივ უსაფრთხოებაში ან ნებისმიერ სხვა საერთო საქმეში, რომელიც აუცილებელია იმ საზოგადოების ინტერესებისთვის, რომლის მფარველობითაც ის სარგებლობს; გარდა ამისა, ინდივიდუალური თანადგომის გარკვეულ ქმედებათა შესრულება, როგორიცაა თანამოძმის სიცოცხლის გადარჩენა ან დაუცველის მიმართ ბოროტად მოპყრობის აღსაკვეთად ჩარევა; ადამიანს სამართლიანად შეიძლება საზოგადოების წინაშე პასუხი ვაგებინოთ ისეთი რამეების არგაკეთებისთვის, რისი გაკეთებაც აშკარად არის მისი მოვალეობა. ადამიანმა სხვებს არა მხოლოდ თავისი ქმედებებით შეიძლება მოუტანოს ბოროტება, არამედ თავისი უმოქმედობითაც; და ორივე შემთხვევაში სამართლიანია, მას პასუხი ვაგებინოთ მათთვის მიყენებული ზიანისთვის. თუმცა მეორე შემთხვევა იძულების გამოყენებაში ბევრად უფრო მეტ სიფრთხილეს მოითხოვს, ვიდრე პირველი. თუ სხვებისთვის მიყენებული ბოროტებისთვის პასუხისგების მოთხოვნა წესია, ბოროტებისთვის ხელის არშეშლისთვის პასუხისგების მოთხოვნა, შედარებით რომ ვთქვათ, გამონაკლისია. მაგრამ ბევრი საკმაოდ მკაფიო და საკმაოდ პირქუში შემთხვევა არსებობს, რომელიც ამ გამონაკლისს ამართლებს. ყველა საქმეში,

რომელიც ინდივიდის სხვებთან ურთიერთობებს ეხება, ის *de jure*[9] პასუხისმგებელია მათ წინაშე, ვის ინტერესებსაც ეხება საქმე, და, თუ საჭიროა, საზოგადოების, როგორც მათი მფარველის, წინაშეც. ხშირად კარგი საბუთები არსებობს მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისთვის, მაგრამ ეს საბუთები შემთხვევის განსაკუთრებული გარემოებებიდან უნდა წარმოდგებოდეს: ან იმიტომ, რომ შემთხვევის სპეციფიკის გამო მთლიანობაში უფრო მოსალოდნელია ადამიანი უკეთესად მოიქცეს, როცა თავისუფალი არჩევანი აქვს, ვიდრე მაშინ, როცა ისეთი სახით აკონტროლებენ, როგორც ეს საზოგადოებას ძალუძს; ან იმიტომ, რომ კონტროლის განხორციელების ცდა სხვა, იმაზე უფრო დიდ ბოროტებებს გამოიწვევდა, ვიდრე ბოროტება, რომელსაც ხელი შეეშლებოდა. როცა ასეთი საბუთები გამორიცხავს ადამიანის პასუხისგების წინაშე დაყენებას, თავად მისმა სინდისმა უნდა დაიკავოს მსაჯულის გამოთავისუფლებული ადგილი და დაიცვას სხვების ის ინტერესები,

რომელთაც არავითარი გარეშე დამცველი არ გააჩნიათ; და მით უფრო მკაცრად უნდა განსაჯოს მან საკუთარი თავი, რადგან შემთხვევა არ უშვებს, რომ თანამოძმეთა სამსჯავროს აგებინოს მას პასუხი.

მაგრამ არსებობს მოქმედების სფერო, რომელიც საზოგადოებას, როგორც ინდივიდისგან განსხვავებულს, მხოლოდ არაპირდაპირ უნდა აინტერესებდეს, თუ საერთოდ უნდა აინტერესებდეს. ეს სფერო მოიცავს ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის მთელ იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ მას ეხება, ან კიდევ, თუ სხვებსაც ეხება, ეს ხდება მხოლოდ მათი თავისუფალი, ნებაყოფლობითი და ინფორმირებული თანხმობისა და მონაწილეობის საფუძველზე. როცა ვამბობ, „მხოლოდ მას ეხება“, ვგულისხმობ „ეხება პირდაპირ და პირველ რიგში“, რადგან რაც ეხება ერთ ადამიანს, შეიძლება მისი გავლით სხვებსაც შეეხოს; შეკამათებას, რომელიც ამ პოზიციას შეიძლება დაემყაროს, ქვემოთ განვიხილავთ. მაშასადამე, ეს არის ადამიანის თავისუფლების კანონიერი სფერო. პირველ რიგში, ეს მოიცავს ცნობიერების შინაგან სამყაროს და მოითხოვს სინდისის თვისუფლებას ყველაზე ფართო აზრით: აზროვნებისა და გრძნობების თავისუფლებას; ყველა, პრაქტიკულ თუ სპეკულაციურ, სამეცნიერო, მორალურ, თუ თეოლოგიურ საკითხზე შეხედულებებისა და გრძნობების აბსოლუტურ თავისუფლებას. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ შეხედულებათა გამოხატვისა და გამოქვეყნების თავისუფლებას განსხვავებული პრინციპი მიეყენება, რადგან ის ინდივიდის ქცევის იმ ნაწილს მიეკუთვნება, რომელიც სხვა ადამიანებს ეხება; მაგრამ, რამდენადაც ეს თავისუფლება თითქმის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თავად აზროვნების თავისუფლება, და მისი მნიშვნელობაც ძირითადად იმავე საფუძვლებს ემყარება, პრაქტიკულად შეუძლებელია მათი გამიჯვნა. მეორეც, ეს პრინციპი მოითხოვს გემოვნებისა და საქმიანობის თავისუფლებას, საკუთარი ცხოვრების გეგმის საკუთარი ხასიათის მიხედვით შედგენის თავისუფლებას, თავისუფლებას, გავაკეთოთ, რაც გვინდა და ავიტანოთ მისი შესაძლო შედეგები ისე, რომ ხელი არ შეგვიშალონ ჩვენმა თანამოძმეებმა იმდენად, რამდენადაც ჩვენი ნამოქმედარი ვნებას არ აყენებს მათ,

თუნდაც ისინი ფიქრობდნენ, რომ ჩვენი ქცევა სულელური, გარყვნილი ან არასწორია. მესამეც, თითოეული ინდივიდის ამ თავისუფლებიდან გამომდინარეობს მათი თავისუფლება (იმავე საზღვრებში), დაუკავშირდნენ ერთმანეთს, თავისუფლება, გაერთიანდნენ ნებისმიერი მიზნისთვის, რომელიც არ გულისხმობს სხვების ვნებას; იგულისხმება, რომ გაერთიანებული ადამიანები ზრდასრულები არიან და მათ არ აიძულებენ და არ ატყუებენ.

არც ერთი საზოგადოება, რომელშიც ამ თავისუფლებებს მთლიანობაში პატივს არ სცემენ, თავისუფალი არ არის, როგორიც არ უნდა იყოს მისი მმართველობის ფორმა; და არც ერთი არ არის ბოლომდე თავისუფალი, თუ მასში ისინი აბსოლუტური და შეუზღუდავი არ არის. ერთადერთი თავისუფლება, ამ სახელს მართლა რომ იმსახურებს, არის თავისუფლება, საკუთარი კეთილდღეობა ჩვენი საკუთარი გზებით ვეძიოთ იქამდე, ვიდრე არ ვეცდებით, სხვებს წავართვათ თავიანთი კეთილდღეობა ან ხელი შევუშალოთ მისი მოპოვების ცდაში. თითოეული ინდივიდი საკუთარი სხეულებრივი, გონებრივი და სულიერი ჯანმრთელობის კანონიერი დამცველია. კაცობრიობა მეტს მოიგებს, თუ ადამიანები ერთმანეთს ისე ცხოვრებას დაანებებენ, როგორც თავად მათ ეჩვენებათ უკეთესად, ვიდრე იმით, რომ თითოეული ადამიანი აიძულონ, იცხოვროს ისე, როგორც დანარჩენებს ეჩვენებათ უკეთესად.

მართალია, ეს მოძღვრება სულაც არ არის ახალი და ზოგიერთისთვის შეიძლება ტრუიზმის[10] იერიც ჰქონდეს, მაგრამ არ არსებობს არც ერთი მოძღვრება, რომელიც უფრო პირდაპირ უპირისპირდება არსებული შეხედულებებისა და პრაქტიკის ზოგად ტენდენციას. საზოგადოება ზუსტად ისევე დიდ ძალისხმევას ხარჯავს იმის ცდაში, რომ ადამიანები აიძულოს, დაემორჩილონ პიროვნული სრულყოფის შესახებ მის წარმოდგენებს, როგორც მათი იძულებისთვის, დაემორჩილონ სოციალური სრულყოფის შესახებ მის წარმოდგენებს. უძველესი საზოგადოებები თავს უფლებამოსილად მიიჩნევდნენ, ხოლო უძველესი ფილოსოფოსები ამას თანაგრძნობით ეკიდებოდნენ, რომ ხელისუფლების საშუალებით განეხორციელებინათ პიროვნების ქცევის ყოველი ნაწილის რეგულირება – იმ საფუძველზე, რომ სახელმწიფო სერიოზულად იყო დაინტერესებული თითოეული მისი მოქალაქის სხეულებრივი და გონებრივი დისციპლინით. აზროვნების ეს ყაიდა შეიძლება დასაშვები იყო მძლავრი მტრებით გარშემორტყმულ პატარა რესპუბლიკებში, რადგან ისინი მუდმივად იდგნენ გარედან თავდასხმის ან საშინაო არეულობით განადგურების საფრთხის წინაშე და ენერგიისა და თვითდისციპლინის ხანმოკლე მოდუნებაც კი იმდენად იოლად შეიძლება ფატალური აღმოჩენილიყო, რომ ვერ მისცემდნენ თავს უფლებას, დალოდებოდნენ თავისუფლების სასიკეთო მყარი შედეგების დადგომას. თანამედროვე სამყაროში პოლიტიკური გაერთიანებების უფრო დიდი ზომა და, უპირველეს ყოვლისა, სასულიერო ხელისუფლების გამიჯვნა საერო ხელისუფლებისგან (რის გამოც ადამიანების სინდისის წარმართვა იმათგან განსხვავებული ხალხის ხელში აღმოჩნდა, ვინც მათ ამქვეყნიურ საქმეებს აკონტროლებს), ხელს უშლის კანონის ასე ფართო ჩარევას პირადი ცხოვ-

რების დეტალებში; მაგრამ მორალური რეპრესიის მანქანები გაბატონებული შეხედულებისგან გადახვევის წინააღმდეგ უფრო მეტი დაჟინებითაც კი გამოიყენება პირად საქმეებში, ვიდრე სოციალურ საქმეებში. რელიგიას, რომელიც ყველაზე ძლიერია მორალური გრძნობის ჩამოყალიბებაში მონაწილე ელემენტებიდან, თითქმის ყოველთვის წარმართავდა ან იერარქიის ამბიცია, გაეკონტროლებინა ადამიანის ქცევის ყველა სფერო, ან კიდევ პურიტანიზმის სულისკვეთება. იმ თანამედროვე რეფორმატორთაგან ზოგიერთი, ვინც ყველაზე ძლიერად უპირისპირდებოდა წარსულის რელიგიას, არაფრით ჩამორჩება ეკლესიებს ან სექტებს მტკიცებაში, რომ თავად მას აქვს სულიერი ბატონობის უფლება. სახელდობრ, ბატონი კონტი,[11] რომლის სოციალური სისტემაც, წარმოდგენილი მის ნაშრომში *Systeme de Politique Positive*, ინდივიდზე საზოგადოების დესპოტიზმის დაფუძნებას ემსახურება (თუმცა უფრო მეტად მორალური, ვიდრე სამართლებრივი საშუალებებით), აჭარბებს ყველაფერს, რაც კი ანტიკურ ფილოსოფოსებს შორის ყველაზე სასტიკი დისციპლინარისტის პოლიტიკურ იდეალში მოიაზრებოდა.

ცალკეულ მოაზროვნეთა სპეციფიკური მოძღვრებების გარდა, მთლიანად მსოფლიოში არსებობს ტენდენცია, სულ უფრო მეტად გაიზარდოს ინდივიდზე საზოგადოების ძალაუფლება საზოგადოებრივი აზრის თუ თავად კანონმდებლობის ძალით; და ვინაიდან მსოფლიოში მიმდინარე ყველა ცვლილების ტენდენციაა საზოგადოების გაძლიერება და ინდივიდის შესუსტება, ეს შეტევა ინდივიდის უფლებებზე არ არის იმ სახის ბოროტება, რომელიც თავისთავად მიდის გაქრობისკენ, არამედ, პირიქით, მოსალოდნელია მის უფრო და უფრო შემზარავი ზრდა. ადამიანების, როგორც მმართველთა თუ როგორც თანამოქალაქეთა, მიდრეკილებას, სხვებს ქცევის წესად დაუდგინონ საკუთარი შეხედულებები და პრეფერენციები, იმდენად ენერგიულად ასაზრდოებს ადამიანის ბუნებაში არსებული ზოგიერთი ყველაზე უკეთესი და ზოგიერთი ყველაზე უარესი გრძნობა, რომ მას თითქმის არასოდეს არ ზღუდავს არაფერი, ძალაუფლების არქონის გარდა. ხოლო რამდენადაც ძალაუფლება კი არ მცირდება, არამედ იზრდება, მსოფლიოს დღევანდელ მდგომარეობაში მოსალოდნელია, რომ ამ სახის ბოროტებაც გაიზრდება, თუ ვერ მოხერხდა მის წინააღმდეგ ზნეობრივი რწმენის ძლიერი ზღუდის აღმართვა.

ჩემი არგუმენტისთვის მოსახერხებელი იქნება პირდაპირ ზოგად თეზისზე გადასვლის ნაცვლად თავიდან მისი იმ ერთი განშტოებით შემოვიფარგლოთ, რომლისთვისაც აქ ჩამოყალიბებული პრინციპი თუ სრულად არა, გარკვეული ზომით მაინცაა აღიარებული ამჟამად გავრცელებულ შეხედულებებში. ეს განშტოებაა აზრის თავისუფლება; ლაპარაკისა და წერის მონათესავე თავისუფლებათა მისგან გამიჯვნა შეუძლებელია. იმის მიუხედავად, რომ ეს თავისუფლებები საკმაოდ მნიშვნელოვანი ზომით ყველა იმ ქვეყნის პოლიტიკური ზნეობის ნაწილს შეადგენს, რომლებიც რელიგიურ შემწყნარებლობას და თავისუფალ ინსტიტუტებს აღიარებენ, მათი ფილოსოფიური ან პრაქტიკული საფუძვლები ალბათ არც ისე კარგად იცის ფართო საზოგადოებამ და თავად მოწინავე მოაზროვნეთაგანაც ბევრს არა აქვს ისე სრულად გაცნობიერებული, როგორც შეიძლება გვეგონოს.

ამ საფუძვლების, როცა ისინი სწორადაა გაგებული, მნიშვნელობა გაცილებით ფართოა, ვიდრე მნიშვნელობა საკითხის მხოლოდ ერთი განშტოებისთვის, და საკითხის ამ ნაწილის ზედმიწევნით განხილვა საუკეთესო შესავალი იქნება დანარჩენისთვის. ამდენად, იმედი მაქვს, რომ ისინი, ვისთვისაც იქიდან, რასაც ახლა ვიტყვი, არაფერი ახალი არ იქნება, შეძლებენ მომიტევონ, რომ გავბედე, კიდევ ერთი განხილვა წამოვიწყო საკითხისა, რომელიც ასე ხშირად განიხილებოდა უკვე მთელი სამი საუკუნის განმავლობაში.

თავი II
აზრისა და დისკუსიის თავისუფლება

იმედია, ის დრო წავიდა, როცა აუცილებელი იყო „ბეჭდვის თავისუფლების“, როგორც გარყვნილი ან ტირანული მმართველობისგან თავის დაზღვევის ერთერთი საშუალების, დაცვა. შეგვიძლია დავუშვათ, რომ უკვე აღარ სჭირდება დასაბუთება იმას, რომ იმ კანონმდებლებს ან კანონის აღმასრულებლებს, რომელთა ინტერესებიც არ ემთხვევა ხალხის ინტერესებს, არ უნდა ჰქონდეთ უფლება, ხალხს თავს მოახვიონ რაღაც შეხედულებები და განსაზღვრონ, რომელი მოძღვრებების ან არგუმენტების გაცნობის საშუალება უნდა მიეცეთ მათ. გარდა ამისა, საკითხის ეს ასპექტი იმდენჯერ და იმდენად ბრწყინვალედ გამოკვეთეს ადრინდელმა ავტორებმა, რომ აქ საჭირო აღარ არის მისი განსაკუთრებული დაჟინება. მართალია, ინგლისის კანონი პრესის შესახებ დღესაც ისევე მონურია, როგორც ტიუდორების[12] დროს იყო, თითქმის არ არსებობს საფრთხე, რომ მას რეალურად გამოიყენებენ პოლიტიკური დისკუსიის წინააღმდეგ – თუ არა მორიგი დროებითი პანიკის დროს, როდესაც ამბოხების შიშს მინისტრები და მოსამართლეები წონასწორობიდან გამოჰყავს.* ზოგადად თუ ვიტყვით, კონსტიტუციურ სახელ-

* ამ სიტყვების წერა დამთავრებულიც არ მქონდა, რომ, 1858 წელს, თითქოს აშკარად საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, მთავრობამ პრესის დევნა წამოიწყო. მაგრამ საჯარო დისკუსიის თავისუფლებაში ამ უგუნური ჩარევის გამო მე ამ ტექსტის არც ერთი სიტყვა არ შემიცვლია და ოდნავაც არ შემსუსტებია რწმენა, რომ – თუ პანიკის მომენტებს გამოვრიცხავთ – ჩვენს ქვეყანაში ის დრო დამთავრდა, როცა პოლიტიკურ დისკუსიას უსიამოვნება და დასჯა მოსდევდა. მართლაც, ჯერ ერთი, დევნა არ გაგრძელებულა; და მეორეც, ეს არასგზით არ იყო მართლა პოლიტიკური დევნა. წამოყენებული ბრალდებები ეხებოდა არა ინსტიტუციების ან მმართველი პირების ქმედებების კრიტიკას, არამედ გავრცელებას ამორალურად მიჩნეული მოძღვრებისა, რომ ტირანიციდი [ტირანის მკვლელობა] სამართლიანია.
თუ ამ თავში წარმოდგენილ არგუმენტებს რაიმე ძალა აქვს, უნდა არსებობდეს ნებისმიერი მოძღვრების, როგორც ეთიკური რწმენის საკითხის, ქადაგებისა და განხილვის სრული თავისუფლება, რაოდენ ამორალურადაც არ უნდა მიიჩნეოდეს იგი. ამიტომ არარელევანტური და უადგილო იქნებოდა აქ იმის გამოკვლევა, იმსახურებს თუ არა ამ სახელს ტირანიციდის მოძღვრება. დავჯერდები იმის თქმას, რომ ეს ყოველთვის იყო მორალის ერთ-ერთი ღია საკითხი; რომ მთელი ერები და არაერთი საუკეთესო და უბრძენესი ადამიანი არა დანაშაულად, არამედ ამაღლებული სათნოების აქტად

მწიფოებში არ უნდა იყოს მოსალოდნელი, რომ მთავრობა (მიუხედავად იმისა, ბოლომდე აგებს თუ არა ის პასუხს ხალხის წინაშე) ხშირად ეცდება აზრის გამოხატვის გაკონტროლებას და ამით საზოგადოების საყოველთაო უკმაყოფილებას არ გამოიწვევს. ამიტომ დავუშვათ, რომ მთავრობა სრულ ერთობაშია ხალხთან და არასოდეს იფიქრებს იძულება გამოიყენოს იმასთან თანხმობის გარეშე, რაც მას ხალხის ხმად მიაჩნია. მაგრამ მე უარვყოფ, რომ თუნდაც ხალხს აქვს ასეთი იძულების უფლება საკუთარი ან თავისი მთავრობის ხელით. იძულება თავისთავად უკანონოა. საუკეთესო მთავრობასაც კი არა აქვთ ძალის გამოყენების მეტი უფლებამოსილება, ვიდრე ყველაზე უარესს. ამის გაკეთება არანაკლებ, და შეიძლება მეტადაც, მავნებელია საზოგადოებრივ აზრთან თანხმობით, ვიდრე მის საწინააღმდეგოდ. ერთი ადამიანის გარდა, მთელი კაცობრიობა ერთი აზრისა რომ ყოფილიყო, და მხოლოდ ამ ერთ ადამიანს

ჰქონოდა საპირისპირო აზრი, უფრო გამართლებული არ იქნებოდა კაცობრიობის მიერ ამ ერთი ადამიანის გაჩუმება, ვიდრე ამ ერთი ადამიანის მიერ, თუკი მას ამის ძალა ექნებოდა, მთელი კაცობრიობის გაჩუმება. შეხედულება რომ ისეთი პირადი საკუთრება იყოს, რომელსაც, მისი მფლობელის გარდა, არავისთვის არავითარი ღირებულება არ გააჩნია, შეხედულების ქონაში ხელის შეშლა მხოლოდ პირადი დაზარალება რომ იყოს, რაღაც განსხვავება იქნებოდა ამ ვნების მხოლოდ რამდენიმე ადამიანისთვის და მრავალი ადამიანისთვის მიყენებას შორის. მაგრამ შეხედულების გამოთქმის ჩახშობის განსაკუთრებული ბოროტება ის არის, რომ ის ადამიანების მთელ მოდგმას ძარცვავს – შთამომავლობასაც და ახლანდელ თაობასაც; კიდევ უფრო მეტად ძარცვავს მათ, ვინც ამ შეხედულებას არ ეთანხმება, ვიდრე მათ, ვინც მას იზიარებს. თუ შეხედულება სწორია, მათ ერთმევათ შეცდომის ჭეშმარიტებით შეცვლის შესაძლებლობა; ხოლო თუ მცდარია, ისინი თითქმის ისეთსავე დიდ სარგებელს კარგავენ: ესაა ჭეშმარიტების უფრო მკაფიოდ აღქმა და მისი უფრო ცხოველი შთაბეჭდილების მოპოვება, რასაც გვაძლევს შეცდომასთან მისი შეჯახება.

აუცილებელია ცალ-ცალკე განვიხილოთ ეს ორი ჰიპოთეზა, რომელთაგან თითოეულს არგუმენტების განსხვავებული შტოები შეესაბამება. ჩვენ ვერასოდეს ვიქნებით დარწმუნებულნი, რომ შეხედულება, რომლის დათრგუნვასაც

მიიჩნევდა კერძო მოქალაქის მიერ იმ ბოროტმოქმედის მოკვლას, რომელმაც საკუთარი თავი კანონზე მაღლა დააყენა და ამით თავი კანონიერი დასჯის ან კონტროლისთვის მიუწვდომელი გახადა; და რომ, სწორია თუ არასწორი, ასეთ ქმედება არსებითად არის არა მკვლელობა, არამედ სამოქალაქო ომი. მე მიმაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ტირანის მოკვლის წაქეზება, როგორც ასეთი, შეიძლება დასჯას ექვემდებარებოდეს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მას მკვლელობის აშკარა აქტი მოჰყვა და აქტსა და წაქეზებას შორის სარწმუნო კავშირის დადგენა მაინცაა შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაშიც კი, დასჯა კანონიერი იქნება არა უცხო ქვეყნის მთავრობის, არამედ მხოლოდ თავად იმ მთავრობის მიერ, რომელსაც თავს დაესხნენ – როგორც თავდაცვა მისი არსებობის წინააღმდეგ მიმართული შეტევებისგან.

ვცდილობთ, მცდარი შეხედულებაა; და დარწმუნებულნიც რომ ვიყოთ, მისი დათრგუნვა მაინც ბოროტება იქნებოდა.

პირველი: შეხედულება, რომლის ჩახშობასაც ძალით ცდილობენ, შეიძლება ჭეშმარიტი იყოს. რა თქმა უნდა, ისინი, ვინც მის ჩახშობას ცდილობს, მის ჭეშმარიტებას უარყოფს; მაგრამ ისინი არ არიან უცდომელები. მათ არა აქვთ უფლებამოსილება, საკითხი მთელი კაცობრიობისთვის თავად გადაწყვიტონ და სხვას ყველას წაართვან განსჯის საშუალება. შეხედულების მოსმენაზე უარის თქმა იმიტომ, რომ ისინი დარწმუნებულები არიან მის მცდარობაში, ნიშნავს იმის დაშვებას, რომ მათი უტყუარობა იგივეა, რაც აბსოლუტური უტყუარობა. დისკუსიის ყოველგვარი ჩახშობა უცდომლობის დაშვებაა. მისი დაგმობა შეიძლება ერთ გავრცელებულ არგუმენტს დავამყაროთ, რომელსაც არაფერს აკლებს გავრცელებულობა.

ადამიანების კეთილგონიერების სავალალოდ, ისინი თავიანთი ცდომადობის ფაქტს სულ არ ანიჭებენ ისეთსავე მნიშვნელობას თავიანთ პრაქტიკულ მსჯელობებში, როგორსაც ყოველთვის მიაწერენ მას თეორიაში; მართლაც, თუმცა ყველამ შესანიშნავად იცის, რომ შეიძლება შეცდეს, ცოტა თუ ფიქრობს, რომ აუცილებელია სიფრთხილის რაიმე ზომების მიღება საკუთარი ცდომადობის წინააღმდეგ, ან წინასწარ იმის დაშვება, რომ ნებისმიერი შეხედულება, რომელშიც ისინი ძალიან დარწმუნებულნი არიან, შეიძლება შეცდომის ერთ-ერთი მაგალითი იყოს – შეცდომისა, რომელიც, როგორც თვითონაც აღიარებენ, მათ შეიძლება დაუშვან. აბსოლუტური მმართველები ან ისინი, ვინც ნაჩვევია სხვებისგან უსაზღვრო პატივისცემას, ჩვეულებრივ, სრულიად დარწმუნებულნი არიან საკუთარი შეხედულებების სისწორეში თითქმის ყველა საკითხზე. უფრო სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, ვის შეხედულებებსაც ზოგჯერ მათ გასაგონად ედავებიან და ვისთვისაც მთლად უცხო არ არის, რომ, როცა თავად ცდებიან, სხვებმა შეუსწორონ, საკუთარი შეხედულებებიდან მხოლოდ იმათ ენდობიან ასე უსაზღვროდ, რომელთაც იზიარებენ მათ გარშემო მყოფნი ან ისინი, ვისაც ისინი ჩვეულებრივ პატივს სცემენ; ასეა, რადგან, როგორც წესი, ადამიანი ფარული რწმენით ეყრდნობა ზოგადად „სამყაროს“ უცდომლობას იმის პროპორციულად, თუ რამდენად დიდია მისი მოთხოვნილება, დარწმუნებული იყოს საკუთარ მსჯელობაში. ხოლო „სამყარო“ თითოეული ინდივიდისთვის მის იმ ნაწილს ნიშნავს, რომელთანაც მას ურთიერთობა აქვს: მისი პარტია, მისი სექტა, მისი ეკლესია, მისი საზოგადოებრივი კლასი; ადამიანს, სხვებთან შედარებით, შეიძლება თითქმის ლიბერალი და ფართოდ მოაზროვნე ვუწოდოთ, თუკი მისთვის „სამყარო“ რაიმე ისეთ ვრცელს ნიშნავს, როგორიცაა საკუთარი ქვეყანა ან საკუთარი ეპოქა. ამ კოლექტიურ ავტორიტეტში რწმენა ადამიანს ოდნავაც არ ერყევა იმის გაცნობიერებით, რომ სხვა ეპოქები, სხვა ქვეყნები, სხვა სექტები, სხვა კლასები და სხვა პარტიები ზუსტად საპირისპიროს ფიქრობდნენ და ახლაც ფიქრობენ. ის თავის სამყაროს გადაულოცავს სხვა ადამიანების განსხვავებული სამყაროების წინაშე თავის სიმართლეზე პასუხისმგებლობას; მას არასოდეს აღელვებს ის, რომ

უბრალო შემთხვევითობამ გადაწყვიტა, ამ მრავალრიცხოვანი სამყაროებიდან რომელს მიენდობოდა ის; და რომ იმავე მიზეზებით, რომელთა გამოც ის ლონდონელი მორწმუნეა, შეიძლება ბუდისტი ან კონფუცის[13] მიმდევარი ყოფილიყო პეკინში. მაგრამ ის, რომ ეპოქები სულ არ არის ინდივიდებზე მეტად უცდომელი, თავისთავადაც იმდენად აშკარაა, რომ ვერაფერს შემატებს არგუმენტების ვერავითარი რაოდენობა; თითოეულ ეპოქაში გაზიარებული იყო მრავალი ისეთი შეხედულება, რომელიც მომდევნო ეპოქებში არა უბრალოდ მცდარად, არამედ აბსურდულად ჩაითვალა; და ისევე უეჭველია ის, რომ ახლა გავრცელებულ მრავალ შეხედულებას მომავალი ეპოქები უკუაგდებს, როგორც ის, რომ ადრე გავრცელებული მრავალი შეხედულება უკუგდებულია დღეს.

ამ არგუმენტის წინააღმდეგ მოსალოდნელ შეკამათებას ალბათ რაღაც ასეთი ფორმა ექნება: შეცდომის გავრცელების აკრძალვაში არ არის უფრო მეტი უცდომლობის დაშვება, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქმედებაში, რომელსაც ოფიციალური ხელისუფლება საკუთარ მსჯელობასა და პასუხისმგებლობას აყრდნობს. ადამიანს მსჯელობის უნარი იმისთვისა აქვს მიცემული, რომ გამოიყენოს. იმის გამო, რომ ის შეიძლება არასწორად გამოვიყენოთ, განა ადამიანებს უნდა ვუთხრათ, რომ საერთოდ არ ეგების მისი გამოყენება? იმის აკრძალვა, რაც, მათი აზრით, მავნებელია, არის არა უცდომლობის პრეტენზიის ქონა, არამედ აღსრულება მათზე დაკისრებული მოვალეობისა, რომ მათ, თუმცა შეიძლება ცდებოდნენ, საკუთარი კეთილსინდისიერი რწმენის მიხედვით იმოქმედონ. თუ ჩვენ არასოდეს ვიმოქმედებთ საკუთარი შეხედულებების მიხედვით იმიტომ, რომ ეს შეხედულებები შეიძლება მცდარი იყოს, მაშინ უნდა მივატოვოთ ჩვენს ინტერესებზე ზრუნვა და ყველა ჩვენი მოვალეობის შესრულება. კონტრარგუმენტი, რომელიც ყველა ქმედებას მიუდგება, შეიძლება მართებული არ იყოს რომელიმე კონკრეტული ქმედებისთვის. მთავრობების და ინდივიდების მოვალეობაა, შეიმუშაონ რამდენადაც ძალუძთ ჭეშმარიტი შეხედულებები, შეიმუშაონ ისინი გულდასმით და არასოდეს მოახვიონ თავს სხვებს, თუ საკუთარ სიმართლეში სავსებით დარწმუნებულები არ არიან. მაგრამ თუ ისინი დარწმუნებულები არიან (შეიძლება თქვას იმან, ვინც ასე ბჭობს), კეთილსინდისიერება კი არა, მხდალობა იქნება საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოქმედებისგან თავის შეკავება და ისეთი მოძღვრებების შეუფერხებლად გავრცელების დაშვება, რომლებიც მათ გულწრფელად მიაჩნიათ კაცობრიობის ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური კეთილდღეობისთვის სახიფათოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაკლებ განათლებულ ეპოქებში სხვა ადამიანები დევნიდნენ ახლა ჭეშმარიტად მიჩნეულ შეხედულებებს. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ უნდა ფრთხილად ვიყოთ, რომ იგივე შეცდომა არ დავუშვათ; მაგრამ მთავრობები და ერები შეცდომებს უშვებდნენ ისეთ საქმეებშიც, რომლებზეც არავინ იტყვის, რომ მათში ძალაუფლების გამოყენება გაუმართლებელია: ისინი აწესებდნენ გაუმართლებელ გადასახადებს, აწარმოებდნენ უსამართლო ომებს. განა ამის გამო უარი უნდა ვთქვათ გადასახადების დაწესებასა და ომში ჩაბმაზე ნებისმიერი საჭიროების მიუხედავად? ადამიანები და მთავრობები საკუთარი

უნარების მაქსიმალური გამოყენებით უნდა მოქმედებდნენ. თუმცა ვერ გვექნება აბსოლუტური უტყუარობა, შეიძლება გვქონდეს ადამიანის ცხოვრების მიზნებისთვის საკმარისი დარწმუნებულობა. შეგვიძლია და უნდა დავუშვათ ჩვენი შეხედულების ჭეშმარიტება, რათა მისით ვიხელმძღვანელოთ; და მეტს არაფერს დავუშვებთ, როცა ცუდ ადამიანებს ავუკრძალავთ საზოგადოების გარყვნას იმ შეხედულებების გავრცელებით, რომლებიც მცდარად და მავნედ მიგვაჩნია.

ჩემი პასუხია, რომ ამით გაცილებით მეტს ვუშვებთ. უდიდესი განსხვავებაა შემდეგ ორ რამეს შორის: შეხედულების ჭეშმარიტების დაშვება იმიტომ, რომ მისი უკუგდების ყველა ხელსაყრელი შესაძლებლობის მიუხედავად, ის ვერავინ უარყო; და მისი ჭეშმარიტების დაშვება იმისთვის, რომ აღვკვეთოთ მისი უარყოფის ცდები. სწორედ ჩვენს შეხედულებასთან დაპირისპირების და მისი უკუგდების სრული თავისუფლებაა ის პირობა, რომელიც გვამართლებს ქმედების მიზნებისთვის მისი ჭეშმარიტების დაშვებაში; არც ერთი სხვა პირობით არ შეიძლება ადამიანური უნარების მქონე არსება რაციონალურად იყოს დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში.

როცა ადამიანების შეხედულებების ან ჩვეულებრივ ქმედებათა ისტორიას განვიხილავთ, რას უნდა მივაწეროთ ის, რომ არც ერთი და არც მეორე იმაზე უარესი არ არის, რაც ის არის სინამდვილეში? უეჭველია, არა ადამიანის გონების თანდაყოლილ ძალას; ეს იმიტომ, რომ ნებისმიერი არათვითცხადი საკითხისთვის ოთხმოცდაცხრამეტ ადამიანზე, სავსებით რომ არ ძალუძს მისი განსჯა, მოდის ერთი, რომელსაც ეს შეუძლია; და ამ მეასე ადამიანის უნარიც მხოლოდ შედარებითია; მართლაც, ყოველი წარსული თაობის გამორჩეული ადამიანების უმრავლესობა ბევრ ისეთ შეხედულებას იზიარებდა, რომელთა მცდარობაც ახლა ცნობილია, და ბევრ ისეთ რამეს აკეთებდა ან იწონებდა, რასაც დღეს არავინ გაამართლებდა. მაშ რატომ ხდება, რომ მთლიანად კაცობრიობაში რაციონალური შეხედულებები და რაციონალური ქმედება ჭარბობს? თუ მართლა ასეა – და ასეც უნდა იყოს, თუ ადამიანების ყოფა ყოველთვის არ იყო და დღესაც არ რჩება თითქმის უიმედო მდგომარეობაში – ამას ადამიანის გონების (ყოველივე იმის წყაროს, რაც პატივისცემას იმსახურებს ადამიანში, როგორც გონიერ ან ზნეობრივ არსებაში) ერთ თვისებას უნდა ვუმადლოდეთ; სახელდობრ იმას, რომ მისი შეცდომები შესწორებადია. ადამიანს აქვს ბჭობითა და გამოცდილებით საკუთარი შეცდომების გამოსწორების უნარი. მხოლოდ გამოცდილება არ კმარა. აუცილებელია ბჭობა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გავიგოთ გამოცდილება. არასწორი შეხედულებები და ქმედებები თანდათან უკან იხევს ფაქტისა და არგუმენტის წინაშე. მაგრამ იმისთვის, რომ ფაქტებს და არგუმენტებს გავლენა ჰქონდეთ გონებაზე, ისინი მის წინაშე უნდა წარდგნენ. ძალიან ცოტაა ისეთი ფაქტი, რომელსაც შეუძლია საკუთარ თავზე ილაპარაკოს, ის კომენტარები რომ არა, რომლებიც მის საზრისს გვიმჟღავნებს. ამრიგად, ადამიანის მსჯელობის მთელ ძალასა და ღირებულებას, დამოკიდებულს იმ ერთ თვისებაზე, რომ შესაძლებელია მისი სწორ გზაზე დაყენება, როცა ის ცდება, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვენ-

დოთ, როცა მისი სწორ გზაზე დაყენების საშუალებები მუდმივად ჩვენს ხელთაა. როგორ ხდება, რომ რომელიმე პიროვნების მსჯელობები მართლა იმსახურებს ნდობას? როგორ და იმით, რომ მისი გონება ყოველთვის ღია იყო მისი შეხედულებების და ქმედებების კრიტიკისათვის; იმით, რომ ის ყოველთვის ყურს უგდებდა ყველაფერს, რაც მის წინააღმდეგ შეიძლებოდა ეთქვათ; მაქსიმალურად სარგებლობდა იმით, რაშიც მოწინააღმდეგე მართალი იყო და თავის თავსა და, თუკი შემთხვევა მიეცემოდა, სხვებსაც უხსნიდა იმის მცდარობას, რაშიც ის ცდებოდა; იმით, რომ აცნობიერებდა, რომ ადამიანისთვის მთელი საკითხის ცოდნასთან ოდნავ მაინც მიახლოების ერთადერთი გზაა უსმინოს ყველაფერს, რაც შეიძლება თქვან მის შესახებ სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანებმა და შეისწავლოს ყველა თვალსაზრისი, რომლითაც შეიძლება მიუდგნენ მას სხვადასხვა ყაიდის მოაზროვნეები. არასოდეს არც ერთ ბრძენ ადამიანს არ შეუძენია სიბრძნე სხვაგვარად; არც ადამიანის ინტელექტის ბუნებაში ძევს დაბრძენების რაიმე სხვა გზა. საკუთარი შეხედულების სხვების შეხედულებებთან შეჯერებით შესწორებისა და შევსების მყარ ჩვევას არათუ ეჭვი და მერყეობა არ შეაქვს მის პრაქტიკულ გამოყენებაში, არამედ ერთადერთი მტკიცე საფუძველია მის მიმართ ნდობის გამართლებისთვის. მართლაც, თუ ადამიანმა გაიგო ყველაფერი, რაც მის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას (აშკარად მაინც) და ყველა მოწინააღმდეგის საპირისპიროდ თავის პოზიციაზე რჩება – რადგან იცის, რომ თავს კი არ არიდებდა შეკამათებებსა და სიძნელეებს, არამედ თავად ეძებდა მათ; რომ არ დაუხშვია არც ერთი წყარო, რომლისგანაც შეიძლებოდა შუქი მოჰფენოდა საკითხის რომელიმე მხარეს – მას აქვს უფლება, იფიქროს, რომ მისი შეხედულება სჯობს ნებისმიერი სხვის, რაგინდ ბევრის, შეხედულებას, რომელსაც მსგავსი პროცესი არ გაუვლია.

მეტისმეტს არ მოვითხოვთ, თუ ვიტყვით, რომ ის, რასაც ადამიანებს შორის ყველაზე ბრძენნი, რომელთაც ყველაზე მეტი უფლება აქვთ საკუთარ მსჯელობას ენდონ, ასეთი ნდობის აუცილებელ პირობად მიიჩნევენ, უნდა შეასრულოს რამდენიმე ბრძენი და ბევრი მოსულელო ინდივიდის იმ ჭრელმა ნაკრებმა, საზოგადოება რომ ჰქვია. ეკლესიებს შორის ყველაზე არაშემწყნარებელი – რომის კათოლიკური ეკლესია – წმინდანის კანონიზაციის დროსაც კი იწვევს და მოთმინებით უსმენს „ეშმაკის ადვოკატს“.[14] როგორც ჩანს, ადამიანებს შორის უწმინდესსაც კი ვერ მიეგება პატივი სიკვდილის შემდეგ, სანამ ცნობილი არ გახდება და არ აიწონ-დაიწონება ყველაფერი, რის თქმაც ეშმაკს ძალუძს მის წინააღმდეგ. კაცობრიობა თვით ნიუტონის ფილოსოფიის ჭეშმარიტებაშიც ვერ იქნებოდა ისე დარწმუნებული, როგორც დღეს არის, ნებადართული რომ არ ყოფილიყო მისი ეჭვქვეშ დაყენება. ჩვენს ყველაზე საიმედო რწმენებს არავითარი სხვა დამცავი და საყრდენი არ გააჩნია, გარდა მათი უსაფუძვლობის დასამტკიცებლად მთელი მსოფლიოს მუდმივი გამოწვევისა. თუ გამოწვევა არ მიიღეს, ან მიიღეს, მაგრამ მარცხი განიცადეს, ჩვენ მაინც ძალიან შორს ვართ უტყუარობისგან; მაგრამ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შესაძლებელია ადამიანის გონების არსებულ მდგომარეობაში; ჩვენ არ უგულებელვყავით არაფერი, რასაც შეიძლება ჭეშმარიტე-

ბისთვის ჩვენამდე მოღწევის შანსი მიეცა; და თუ ასპარეზის კარს ღიას დავტოვებთ, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ, თუ უკეთესი ჭეშმარიტება არსებობს, იმასაც მივაგნებთ, როცა ადამიანის გონებას მისი მიღების უნარი ექნება; მანამდე კი შეგვიძლია იმედიანად ვიყოთ, რომ ჭეშმარიტებასთან იმდენად ახლოს მივედით, რამდენადაც ეს ჩვენს დროშია შესაძლებელი. ეს არის იმდენი უტყუარობა, რამდენსაც ცდომადმა არსებამ შეიძლება მიაღწიოს, და ეს არის მისი მიღწევის ერთადერთი გზა.

გასაკვირია, რომ ადამიანები აღიარებენ თავისუფალ დისკუსიაში არგუმენტების ღირებულებას, მაგრამ ეწინააღმდგებიან მათ „უკიდურესობამდე მიყვანას“; ვერ ხედავენ, რომ, თუ საბუთები უკიდურესი შემთხვევისთვის არ გამოდგება, ისინი არც ერთი შემთხვევისთვის არ ივარგებს. გასაკვირია, რომ თავიანთი წარმოდგენით ისინი არ იღებენ უცდომლობის დაშვებას, როცა აღიარებენ, რომ ყველა თემაზე, რომელიც შეიძლება საეჭვო აღმოჩნდეს, უნდა არსებობდეს თავისუფალი დისკუსია, მაგრამ ფიქრობენ, რომ ზოგიერთი კონკრეტული პრინციპის ან მოძღვრების ეჭვქვეშ დაყენება უნდა აიკრძალოს იმიტომ, რომ ის ეგზომ უტყუარია – ანუ იმიტომ, რომ თვითონ არიან დარწმუნებულნი მის უტყუარობაში. რაიმე დებულებისთვის „უტყუარის“ წოდება მაშინ, როცა არსებობს ვიღაც, ვინც მის უტყუარობას უარყოფდა, ამის ნება რომ დაერთოთ (მაგრამ ნებას არ რთავენ), იმის დაშვებაა, რომ უტყუარობის მსაჯულები ვართ თავად ჩვენ და ის, ვინც ჩვენ გვეთანხმება; თანაც ისეთი მსაჯულები, რომელთაც მეორე მხარის ხმა არ ესმით.

დღევანდელ დროში, რომელსაც „რწმენისგან განძარცული, მაგრამ სკეპტიციზმით დაშინებული“ დრო უწოდეს და რომელშიც ადამიანები იმდენად საკუთარი შეხედულებების ჭეშმარიტებაში კი არ არიან დარწმუნებული, რამდენადაც იმაში, რომ არ იციან, როგორ მოიქცნენ მათ გარეშე, რაიმე შეხედულების საჯარო თავდასხმისგან დაცვის მოთხოვნები ემყარება არა იმდენად მის ჭეშმარიტებას, რამდენადაც საზოგადოებისთვის მის მნიშვნელობას. ამტკიცებენ, რომ არსებობს გარკვეული რწმენები, რომლებიც კეთილდღეობისთვის იმდენად სასარგებლოა და შეიძლება აუცილებელიც, რომ ამ რწმენების მხარდაჭერა ისევეა მთავრობათა მოვალეობა, როგორც საზოგადოების ნებისმიერი სხვა ინტერესის დაცვა. შემდეგ ამტკიცებენ, რომ ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში და მათ მოვალეობებთან ასეთ პირდაპირ თანხმობაში, შეიძლება უცდომლობაზე რაღაც ნაკლები ამართლებდეს და ავალდებულებდეს კიდეც მთავრობებს, რომ მათ იმოქმედონ საკუთარი შეხედულების მიხედვით, რომელსაც კაცობრიობის საერთო შეხედულებაც ეთანხმება. არანაკლებ ხშირად ამბობენ და კიდევ უფრო ხშირად ფიქრობენ, რომ ცუდი ადამიანების გარდა, არავინ ისურვებდა ამ კეთილისმყოფელი რწმენების შესუსტებას; და რომ ცუდი არაფერი შეიძლება იყოს ცუდი ადამიანების ალაგმვაში და იმის აკრძალვაში, რის გაკეთებასაც მხოლოდ ისინი მოინდომებდნენ. აზროვნების ეს ყაიდა დისკუსიის შეზღუდვების გამართლებას წარმოგვიდგენს არა მოძღვრებათა ჭეშმარიტების, არამედ მათი სარგებ-

ლიანობის საკითხად; ამ ყაიდის მოაზროვნენი კი თავს იმით ინუგეშებენ, რომ ასე გაექცევიან შეხედულებათა უცდომელ მსაჯულად ყოფნის პრეტენზიის პასუხისმგებლობას. მაგრამ ისინი ვერ ხვდებიან, რომ ამით უცდომლობის დაშვება უბრალოდ ერთი წერტილიდან მეორეშია გადატანილი. შეხედულების სარგებლიანობა თავად არის შეხედულების საქმე: ის ისევე სადავოა, განხილვისთვის ისევე ღიაა და ისევე მოითხოვს განხილვას, როგორც თავად შეხედულება. შეხედულების მავნეობის გადასაწყვეტად საჭიროა შეხედულებათა იგივე უცდომელი მსაჯული, რომელიც შეხედულების მცდარობის გადაწყვეტას სჭირდება, თუკი დასაგმობ შეხედულებას არ ეძლევა თავის დაცვის სრული შესაძლებლობა. საქმეს არც იმის თქმა შველის, რომ ერეტიკოსს შეიძლება მიეცეს შეხედულების სარგებლიანობის ან უვნებლობის მტკიცების ნება, თუმცა ეკრძალება მისი ჭეშმარიტების დაცვა. შეხედულების ჭეშმარიტება მისი სარგებლიანობის ნაწილია. განა შესაძლებელია ვიცოდეთ, არის თუ არა სასურველი ვირწმუნოთ რაიმე დებულება, ისე, რომ არ გავითვალისწინოთ, ჭეშმარიტია თუ არა ის? არა ცუდი, არამედ საუკეთესო ადამიანების აზრია, რომ არ შეიძლება რომელიმე რწმენა მართლა სასარგებლო იყოს, თუ ის ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება; განა შეძლებთ ასეთ ადამიანებს დაუშალოთ ამ საბუთის გამეორება, როცა მათ ბრალად წაუყენებენ რომელიღაც სასარგებლოდ მიჩნეული მოძღვრების უარყოფას, რომლის მცდარობაშიც ისინი დარწმუნებულნი არიან? მათ, ვინც საყოველთაოდ მიღებული შეხედულებების მხარესაა, არასოდეს ავიწყდებათ ამ საბუთიდან ყველა შესაძლო უპირატესობის მიღება; ვერ ნახავთ, რომ ისინი სარგებლიანობის საკითხს ისე განიხილავდნენ, თითქოს შეიძლებოდეს ჭეშმარიტების საკითხისგან მისი სრული განყენება: პირიქით, მათი მოძღვრების ცოდნის ან რწმენის აუცილებლობას, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმით ასაბუთებენ, რომ ის „ჭეშმარიტებაა“. სარგებლიანობის საკითხის განხილვა ვერ იქნება სამართლიანი, როცა ასეთი სასიცოცხლო არგუმენტის გამოყენების უფლება ერთ მხარეს ეძლევა, მეორეს კი – არა. და ფაქტია, რომ, როცა კანონი ან საზოგადოებრივი განწყობა არ უშვებს რაიმე შეხედულების ჭეშმარიტების ეჭვქვეშ დაყენებას, ისინი ზუსტად ასევე შეუწყნარებლად ეკიდებიან მისი სარგებლიანობის უარყოფას. მაქსიმუმი, რასაც ისინი დაუშვებენ, არის ის, რომ შეარბილონ მისი აბსოლუტური აუცილებლობის ან მისი უკუგდებით ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მტკიცებები.

იმის უფრო სრული ილუსტრირებისათვის, თუ რა ბოროტებაა შეხედულებათა მოსმენის აღკვეთა იმიტომ, რომ ისინი დავგმეთ ჩვენი საკუთარი შეფასების საფუძველზე, სასურველი იქნება კონკრეტული შემთხვევების განხილვა; მე არჩევანი შევაჩერე ჩემთვის ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელ შემთხვევებზე, რომლებშიც შეხედულების თავისუფლების წინააღმდეგ არგუმენტი უძლიერესად მიიჩნევა როგორც ჭეშმარიტების, ისე სარგებლიანობის თვალსაზრისით. დავუშვათ, რომ სადავოდ ხდიან ღმერთისა და იმქვეყნიური საუფლოს რწმენას, ან მორალის რომელიმე საყოველთაოდ აღიარებულ მოძღვრებას. ბრძოლის ასეთ ნიადაგზე წარმოება დიდ უპირატესობას აძლევს არაკეთილსინდისიერ მოწი-

ნააღმდეგეს, რადგან ის დარწმუნებით იტყვის (და იმავეს გაიფიქრებს თავისთვის ბევრი ისეთიც, ვისაც სულ არ სურს, არაკეთილსინდისიერი იყოს): განა არ მიგაჩნიათ ეს მოძღვრებები საკმარისად უტყუარად იმისთვის, რომ ისინი კანონმა დაიცვას? განა ღმერთის რწმენა ისეთი შეხედულებაა, რომელში დარწმუნებულობაც, თქვენი აზრით, უცდომლობის დაშვებას ნიშნავს? მაგრამ, ნება მომეცით, შევნიშნო, რომ უცდომლობის დაშვებას მე ვუწოდებ არა მოძღვრებაში (რაც არ უნდა იყოს ის) დარწმუნებულობას, არამედ ძალისხმევას, ეს საკითხი სხვებისთვის გადავწყვიტოთ ისე, რომ მათ არ მივცეთ საშუალება, მოისმინონ ყველაფერი, რაც მის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას. ასეთ პრეტენზიას მე არანაკლებ ვძრახავ და ვგმობ იმ შემთხვევაშიც, როცა მას ჩემთვის ყველაზე ძვირფასი რწმენების დასაცავად აყენებენ. როგორ ძლიერაც არ უნდა იყოს ვინმე დარწმუნებული რაიმე შეხედულების არა მხოლოდ მცდარობაში, არამედ მის მავნე შედეგებშიც – არა მხოლოდ მავნე შედეგებში, არამედ (ჩემთვის სავსებით მიუღებელი გამოთქმა რომ გამოვიყენო) მის ამორალურობასა და უწმინდურებაში – თუკი ამ პირადი შეფასების გამო, რომელსაც, მართალია, ზურგს უმაგრებს მისი ქვეყნის ან მის თანამედროვეთა საყოველთაო აზრიც, ის ამ შეხედულებას თავის დაცვის საშუალებას არ აძლევს, ის უცდომლობას უშვებს. და ეს დაშვება არათუ არ არის ნაკლებ სადავო ან ნაკლებ სახიფათო იმის გამო, რომ შეხედულებას ამორალურს ან უწმინდურს უწოდებენ, პირიქით, ის ყველა სხვა შემთხვევაზე უფრო საბედისწეროა. ეს არის სწორედ ის შემთხვევები, რომლებშიც ერთი თაობის ადამიანები ისეთ შემზარავ შეცდომებს უშვებენ, მომავალ თაობებში გაოცებას და შეძრწუნებას რომ იწვევს. სწორედ ესენია ისტორიაში ის ღირსსახსოვარი ვითარებები, როცა კანონის ხელი საუკეთესო ადამიანებისა და ყველაზე დიდებული მოძღვრებების ამოსაძირკვად გამოიყენეს; და თუმცა მისი ადამიანების წინააღმდეგ გამოყენება სავალალოდ წარმატებული იყო ხოლმე, მოძღვრებათაგან ზოგიერთი გადარჩა იმისთვის, რომ (თითქოს დასაცინად) მათთვის მოეხმოთ მსგავსი ქმედებების გასამართლებლად იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ, ან მათ გავრცელებულ ინტერპრეტაციას არ ეთანხმება.

ალბათ ზედმეტი არასოდეს იქნება კაცობრიობისთვის იმის შეხსენება, რომ ოდესღაც არსებობდა ადამიანი, სახელად სოკრატე. მასა და მის თანამედროვე ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ აზრს შორის ღირსსახსოვარი შეჯახება მოხდა. დიდი პიროვნებებით მდიდარ ეპოქასა და ქვეყანაში დაბადებული ამ კაცის ხსოვნა მისი დროის ყველაზე სათნო ადამიანის სახელით შემოგვინახეს მათ, ვინც კარგად იცნობდა მასაც და მის დროსაც; ჩვენ მას ვიცნობთ, როგორც სათნოების ყველა მომდევნო მასწავლებლის მეთაურსა და პროტოტიპს, როგორც წყაროს პლატონის ამაღლებული შთაგონებებისა თუ არისტოტელეს[15] აწონილ-დაწონილი უტილიტარიზმისა[16] – ადამიანებისა, რომლებიც ეთიკისა და ყველა სხვა სახის ფილოსოფიის ორი მამამთავარია, "*i maestri di color che sanno*".[17] ეს ადამიანი, რომელიც მის შემდეგ დაბადებული ყველა გამოჩენილი მოაზროვნის მასწავლებლადაა აღიარებული და რომლის დიდებაც ორი ათას წელზე მეტი ხნის შემდეგაც

აგრძელებს ზრდას და თითქმის გადაწონის მისი მშობლიური ქალაქის ყველა სხვა ცნობილ სახელს ერთად, სასამართლომ დამნაშავედ ცნო უღმერთობასა და ამორალურობაში და შემდეგ სიკვდლით დასაჯეს მისმა თანამოქალაქეებმა. უღმერთობისთვის, რადგან ის უარყოფდა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ღმერთებს; მართლაც, მისი ბრალმდებელი ამტკიცებდა (იხილეთ აპოლოგია[18]), რომ მას სულ არავითარი ღმერთი არ სწამდა. ამორალურობისთვის, რადგან თავისი მოძღვრებებით და შეგონებებით „ახალგაზრდობას რყვნიდა“. ყველა საფუძველი გვაქვს დავიჯეროთ, რომ ტრიბუნალმა გულწრფელად მიიჩნია ის ამ ბრალდებებში დამნაშავედ და ადამიანს, რომელიც ალბათ ყველა სხვა ადამიანზე მეტად იმსახურებდა კაცობრიობისგან საუკეთესოს, სიკვდილი მიუსაჯა, როგორც ბოროტმოქმედს.

აქედან გადავიდეთ სამართლებრივი ბოროტების იმ ერთადერთ სხვა შემთხვევაზე, რომლის სოკრატეს დასჯის შემდეგ ხსენებაც სიმწვავის შემცირება არ იქნება: ათას რვაასზე მეტი წლის წინ გოლგოთაზე მომხდარი ამბავი.[19] ადამიანი, რომელმაც მისი ცხოვრებისა და საუბრების მომსწრეთა მეხსიერებაში მორალური სიდიადის ისეთი კვალი დატოვა, რომ მომდევნო თვრამეტი საუკუნე მას პიროვნულად მიაგებს პატივს, როგორც ყოვლად ძლიერს, სამარცხვინოდ მოკლეს და მოკლეს, როგორც ვინ? როგორც ღვთისმგმობელი. ადამიანებმა არა თუ ვერ იცნეს თავიანთი კეთილისმყოფელი, შეცდომით ის იმის ზუსტ საპირისპიროდ მიიჩნიეს, ვინც იყო, და როგორც უღმერთობის მწვერვალს, ისე მოექცნენ; ამის გამო ახლა ისინი თავად ითვლებიან ასეთებად. გრძნობები, რომლებიც ახლა აქვთ ადამიანებს ამ სავალალო შემთხვევების, განსაკუთრებით მეორის, მიმართ, მათ უბედური მოქმედი პირების ძალიან უსამართლო განსჯისკენ უბიძგებს. ყველა მონაცემის თანახმად, ესენი არ იყვნენ ცუდი ადამიანები – არ იყვნენ უფრო ცუდები, ვიდრე ჩვეულებრივ არიან ხოლმე ადამიანები, პირიქით. ეს იყო თავიანთი დროისა და თავიანთი ხალხისთვის დამახასიათებელი რელიგიური, მორალური და პატრიოტული გრძნობებით ბოლომდე ან ცოტა არ იყოს ზედმეტად აღვსილი ხალხი: ზუსტად ისეთი ადამიანები, რომელთაც ყველა დროში, ჩვენი დროის ჩათვლით, ყველა შანსი აქვთ, მთელი ცხოვრება შეუბღალავი სახელით, პატივით გარემოსილებმა გაატარონ. უმაღლესმა ქურუმმა ტანისამოსი შემოიხია იმ სიტყვების გაგონებაზე, მის ქვეყანაში მიღებული ყველა იდეის მიხედვით უშავბნელეს დანაშაულს რომ წარმოადგენდა, და ძალიან სავარაუდოდ ის ზუსტად ისევე გულწრფელი იყო თავის შეძრწუნებასა და აღშფოთებაში, როგორც გულწრფელია ჩვენი თანამედროვე პატივცემული და ღვთისმოშიში ადამიანების უმრავლესობა თავიანთ რელიგიურ და მორალურ გრძნობებში. უმრავლესობა იმათგან, ვისაც ახლა მისი საქციელი აძრწუნებს, ზუსტად მასავით მოიქცეოდა, მის დროში რომ ეცხოვრა და ებრაელად გაჩენილიყო. ორთოდოქს ქრისტიანებს, რომელთაც ცდუნება სძლევთ იფიქრონ, რომ მათზე უარესი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ვინც ჩაქოლვით კლავდა პირველ წამებულებს, უნდა ახსოვდეთ, რომ ამ მდევნელთაგან ერთ-ერთი წმინდა პავლე იყო.

დავამატოთ კიდევ ერთი, ყველაზე გასაოცარი, მაგალითი, თუ შეცდომის შთამბეჭდავობას მისი ჩამდენის სიბრძნითა და სათნოებით გავზომავთ. თუკი ოდესმე ძალაუფლების მქონე რომელიმე ადამიანს საფუძველი ჰქონია, საკუთარი თავი თავის თანამედროვეთა შორის საუკეთესო და ყველაზე განათლებულ ადამიანად მიეჩნია, ეს იმპერატორი მარკუს ავრელიუსი[20] იყო. მთელი ცივილიზებული სამყაროს ამ აბსოლუტურმა მონარქმა მთლი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა არა მხოლოდ უზადო სამართლიანობა, არამედ უდიდესი გულჩვილობაც, რაც ნაკლებ მოსალოდნელი იყო მისი სტოიკური აღზრდის გამო. ის ორიოდე წარუმატებლობაც, მას რომ მიეწერება, მისი მიმტევებლობით იყო გამოწვეული; ხოლო მისი ნააზრევი, ანტიკური აზროვნების ეთიკური შემოქმედების მწვერვალი, ქრისტეს ყველაზე დამახასიათებელი მოძღვრებებისგან ძნელად შესამჩნევად განსხვავდება, თუკი საერთოდ განსხვავდება. ეს კაცი, მის შემდეგ გამეფებულ თითქმის ყველა მართლა ქრისტიან სუვერენზე უკეთესი ქრისტიანი, სიტყვის ყველა მნიშვნელობით დოგმატურის გარდა, ქრისტიანობას დევნიდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ჰუმანურობის ყველა მანამდელი მიღწევის მწვერვალზე იდგა თავისი გახსნილი, შეუზღუდავი ინტელექტითა და ისეთი ხასიათით, რომ საკუთარი ძალისხმევით შეძლო თავის ეთიკურ შრომებში ქრისტიანული იდეალის ხორცშესხმა, მან მაინც ვერ დაინახა, რომ ქრისტიანობა სიკეთე იქნებოდა და არა ბოროტება სამყაროსთვის, რომლის წინაშე მოვალეობის გრძნობითაც ასე ღრმად იყო ის გამსჭვალული. მან იცოდა, რომ არსებული საზოგადოება სავალალო მდგომარეობაში იყო. მაგრამ ის ხედავდა, ან ეგონა, რომ ხედავდა, რომ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს საზოგადოება, მას აერთიანებდა და უარესისგან იცავდა აღიარებული ღვთაებების რწმენა და თაყვანისცემა. როგორც კაცობრიობის მმართველი, ის თავის მოვალეობად მიიჩნევდა, არ დაეშვა საზოგადოების დაქუცმაცება; ის ვერ ხედავდა, როგორ იყო შესაძლებელი საზოგადოებაში არსებული კავშირების მოშლის შემთხვევაში სხვა კავშირების ჩამოყალიბება, რომლებიც ისევ გააერთიანებდა მას. ახალი რელიგია აშკარად ისახავდა მიზნად არსებული კავშირების გაუქმებას: და რადგან ის ამ რელიგიის მიღებას არ თვლიდა თავის მოვალეობად, მოვალეობად მისი განადგურება ეჩვენებოდა. და რამდენადაც ქრისტიანული თეოლოგია მას არ მიაჩნდა ჭეშმარიტად და ღვთაებრივი საწყისის მქონედ; რამდენადაც ჯვარცმული ღმერთის ეს უცნაური ამბავი მისთვის სარწმუნო არ იყო; და რამდენადაც მან ვერ განჭვრიტა, რომ სისტემას, რომელიც ბოლომდე ამ, მისთვის სავსებით დაუჯერებელ საფუძველს ემყარებოდა, ის განმაახლებელი ძალა ექნებოდა, რაც მას ფაქტობრივად აღმოაჩნდა ყველა ბრძოლის შემდეგ, ფილოსოფოსთა და მმართველთა შორის ამ ყველაზე სათნო და სანდომიანმა ადამიანმა მოვალეობის გულწრფელი გრძნობით გასცა ქრისტიანობის დევნის ბრძანება. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფაქტია მთელ ისტორიაში. მწარეა იმაზე ფიქრი, რამდენად სხვაგვარი რამ შეიძლება ყოფილიყო მსოფლიოში ქრისტიანობა, ქრისტიანული მრწამსი კონსტანტინეს[21] ნაცვლად მარკუს ავრელიუსის მმართველობისას რომ მიეღოთ იმპერიის რელიგიად. მაგრამ მის მიმართ არანაკლები უსა-

მართლობა და ჭეშმარიტების არანაკლები გაყალბება იქნებოდა იმის უარყოფა, რომ, როცა ქრისტიანობის გავრცელებას დევნიდა, მარკუს ავრელიუსს ჰქონდა ყველა ის საბუთი, რომელიც ანტიქრისტიანული მოძღვრების დევნის გასამართლებლად შეიძლება წამოაყენონ. არც ერთი ქრისტიანის რწმენა, რომ ათეიზმი მცდარია და იწვევს საზოგადოების რღვევას, არ არის უფრო მტკიცე, ვიდრე მარკუს ავრელიუსის იგივე რწმენა იყო ქრისტიანობაზე – ადამიანისა, რომელზეც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მის დროს მცხოვრებ ყველა ადამიანზე უკეთ შეეძლო ქრისტიანობის შეფასება. თუ ის, ვინც შეხედულებათა გავრცელებისთვის დასჯას იწონებს, თავს არ იტყუებს, რომ მარკუს ავრელიუსზე უფრო ბრძენი და უკეთესი ადამიანია, უფრო ღრმადაა განსწავლული თავისი დროის სიბრძნეში, თავისი ინტელექტით უფრო მეტად უსწრებს წინ თავის დროს, უფრო გულწრფელად ეძიებს ჭეშმარიტებას ან უფრო მეტად ერთგულია მისი, როცა იპოვის, დაე თავი შეიკავოს საკუთარი თავის და უმრავლესობის ერთობლივი უცდომლობის იმ დაშვებისგან, რომელიც დიდმა ანტონინუსმა[22] გააკეთა ასეთი საუბედურო შედეგით.

რადგან ხვდებიან, რომ შეუძლებელია არარელიგიურ შეხედულებათა დასათრგუნად სასჯელის გამოყენების დაცვა ისეთი არგუმენტებით, რომლებიც მარკუს ავრელიუსსაც არ გაამართლებდა, რელიგიური თავისუფლების მტრები, თუ მაგრად შეუტევენ, ზოგჯერ უარს არ ამბობენ ამ შედეგზე და დოქტორ ჯონსონთან[23] ერთად ამბობენ, რომ ქრისტიანობის მდევნელები მართლები იყვნენ; რომ დევნა განსაცდელია, რომელსაც ჭეშმარიტებამ უნდა გაუძლოს და ყოველთვის წარმატებით უძლებს, რადგან სამართლებრივი სასჯელი საბოლოო ჯამში უძლურია ჭეშმარიტების წინაშე, თუმცა ზოგჯერ სასიკეთოდ ქმედითია მავნე შეცდომების წინააღმდეგ. რელიგიური შეუწყნარებლობის სასარგებლოდ ამ სახის არგუმენტი საკმაოდ ღირსშესანიშნავია და შენიშვნის გარეშე არ უნდა დავტოვოთ.

თეორიას, რომელიც ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტების დევნა შეიძლება გამართლებული იყოს, რადგან ის ვერ მიაყენებს მას რაიმე ვნებას, ვერ დავდებთ ბრალად, რომ მიზანდასახულად ემტერება ახალი ჭეშმარიტებების მიღებას; მაგრამ შეუძლებელია მოვიწონოთ დაუნანებლობა, რომლითაც ის ეპყრობა ადამიანებს, ვისგანაც კაცობრიობა დავალებულია ამ ჭეშმარიტებებით. ქვეყნიერებისთვის რაღაც ისეთის, აქამდე უცნობის, აღმოჩენა, რაც ღრმად აწუხებს მას, მისთვის იმის ჩვენება, რომ რაღაც სასიცოცხლო, ამქვეყნიური ან სულიერი მნიშვნელობის მქონე საკითხზე ცდებოდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი სამსახურია, ვიდრე ნებისმიერი სხვა, რაც ადამიანმა შეიძლება გაუწიოს თავის თანამოძმეთ; მათ კი, ვინც დოქტორ ჯონსონს ეთანხმება, მიაჩნიათ, რომ ზოგ შემთხვევაში (როგორც ადრეული ქრისტიანებისა და რეფორმატორების შემთხვევებში) ეს იყო უძვირფასესი საჩუქარი, რაც შეიძლება ვინმეს კაცობრიობისთვის ეძღვნა. და ამ თეორიის მიხედვით, ნორმალური და გამართლებადი ვითარებაა და არა სავალალო შეცდომა და უბედურება, რაც კაცობრიობამ ძაძებით შემოსილმა უნდა იგლოვოს, ის, რომ ასეთი ბრწყინვალე სარგებლობის მომტანთ წამებით გაუსწორდნენ და მადლობა გადაუხადონ იმით, რომ უსაზიზღრეს ბოროტმოქმედებსავით მოეპყ-

რონ. ამ მოძღვრების მიხედვით, ახალი ჭეშმარიტების მქადაგებელი ისევე, როგორც ლოკრიდელების[24] კანონმდებლობით ახალი კანონის შემომთავაზებელი, ყულფში თავგაყოფილი უნდა იდგეს და ყულფს იმ წუთში უნდა მოუჭირონ, თუ მისი საბუთების მოსმენის შემდეგ საჯარო კრება მაშინვე და იქვე არ მიიღებს მის წინადადებას. ვერ ვიფიქრებთ, რომ ის ადამიანები, რომლებიც კეთილისმყოფელთა მიმართ ასეთ მოპყრობას იცავენ, დიდ ღირებულებას ანიჭებენ მათ მოტანილ სარგებელს; და მჯერა, რომ ამ თვალსაზრისს ძირითადად ისეთი ადამიანები იზიარებენ, ვინც ფიქრობს, რომ შეიძლება ახალი ჭეშმარიტებები სასურველი იყო ოდესღაც, მაგრამ ჩვენ უკვე საკმაოდ გვქონდა ისინი.

მაგრამ მტკიცება, რომ, დევნის მიუხედავად, ჭეშმარიტება ყოველთვის გამარჯვებას იზეიმებს, სინამდვილეში ერთ-ერთია იმ სასიამოვნო ტყუილთაგან, რომლებსაც ადამიანები იმეორებენ და იმეორებენ იქამდე, ვიდრე ისინი ბანალობებად არ იქცევა, და რომელთაც გამოცდილება არღვევს. ისტორია სავსეა იმის მაგალითებით, რომ ჭეშმარიტებას დევნა ამარცხებდა. შეიძლება ის სამუდამოდ არ დაითრგუნოს, მაგრამ უკუგდებული რჩება საუკუნეების განმავლობაში. შევეხოთ მხოლოდ რელიგიურ შეხედულებებს: რეფორმაცია ოცჯერ მაინც დაიწყო და დამარცხდა ლუთერამდე. არნოლდ ბრეშელი დამარცხდა. ფრა დოლჩინო დამარცხდა. სავონაროლა დამარცხდა. ალბიგოელები დამარცხდნენ.[25] ვალდენსები დამარცხდნენ. ლოლარდები დამარცხდნენ. ჰუსიტები დამარცხდნენ. თვით ლუთერის ეპოქის შემდგაც, კი ყველგან, სადაც დევნა არ შემწყდარა, ის წარმატებული აღმოჩნდა. პროტესტანტიზმი ამოიძირკვა ესპანეთში, იტალიაში, ფლანდრიაში, ავსტრიის იმპერიაში; და უფრო სავარაუდოა, რომ ასევე ამოიძირკვებოდა ინგლისში, დედოფალ მერის[26] რომ ეცოცხლა ან დედოფალი ელისაბედი[27] დაღუპულიყო. დევნა ყოველთვის წარმატებული იყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ერეტიკოსები ერთობ ძლიერები იყვნენ იმისთვის, რომ ეფექტურად ედევნათ. არც ერთ გონიერ ადამიანს ეჭვი არ შეიძლება შეეპაროს იმაში, რომ შეიძლებოდა ქრისტიანობა ამოძირკვულიყო რომის იმპერიაში. ის გავრცელდა და გაბატონდა იმიტომ, რომ მისი დევნა მხოლოდ დროდადრო ხდებოდა, მხოლოდ მოკლე ხნით გრძელდებოდა და მას ენაცვლებოდა თითქმის დაუბრკოლებელი პროპაგანდის ხანგრძლივი ინტერვალები. ფუჭი სენტიმენტალობის ნიმუშია აზრი, რომ ჭეშმარიტებას, უბრალოდ როგორც ჭეშმარიტებას, აქვს რაღაც შინაგანი ძალა, რომელიც შეცდომას არ გააჩნია – დილეგისა და ეშაფოტის ძლევის ძალა. ადამიანები შეცდომისთვის არანაკლებ ხშირად იდებენ თავს, ვიდრე ჭეშმარიტებისთვის, და სამართლებრივი ან თუნდაც სოციალური სასჯელის საკმაო გამოყენება საზოგადოდ წარმატებული იქნება ნებისმიერი მათგანის გავრცელების აღსაკვეთად. ნამდვილი უპირატესობა, რომელიც ჭეშმარიტებას აქვს, ისაა, რომ თუ შეხედულება ჭეშმარიტია, ის შეიძლება ჩაახშონ ერთხელ, ორჯერ, ან მრავალჯერ, მაგრამ საუკუნეთა მსვლელობაში, როგორც წესი, მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ხელახლა აღმოაჩენენ მას, სანამ მისი ერთ-ერთი ხელახლა გამოჩენა არ დაემთხვევა ისეთ დროს, რომ ხელსაყრელი გარემოებების გამო

დევნას გადაურჩება იქამდე, ვიდრე იმდენად არ მოიკიდებს ფეხს, რომ მისი დათრგუნვის ყველა მომდევნო ცდას გაუძლოს.

იტყვიან, რომ ახლა სიკვდილით აღარ ვსჯით ახალ შეხედულებათა შემომტანთ: ჩვენ არ ვგავართ ჩვენს მამებს, რომლებიც წინასწარმეტყველებს ხოცავდნენ, ჩვენ მათ აკლდამებსაც კი ვუგებთ. დიახ, ჩვენ აღარ ვკლავთ ერეტიკოსებს; და სასჯელის ზომა, რომელსაც ალბათ თანამედროვე მგრძნობელობა თუნდაც ყველაზე ამაზრზენი შეხედულებებისთვის დაუშვებდა, არ არის საკმარისი მათ ამოსაძირკვად. მაგრამ მოდი ნუ დავიიმედებთ თავს იმით, რომ ჩვენ უკვე თავისუფლები ვართ თუნდაც სამართლებრივი დევნის სირცხვილისგან. კანონით ჯერ კიდევ არსებობს შეხედულებისთვის ან, სულ მცირე, მისი გამოხატვისთვის სასჯელი; და მისი აღსრულება, თუნდაც ჩვენს დროში, ისე უპრეცედენტო არ არის, რომ სავსებით წარმოუდგენელი იყოს ერთ მშვენიერ დღეს მისი სრული ძალით აღორძინების შესაძლებლობა. 1875 წლის ზაფხულში კორნუოლის საგრაფოს სასამართლო სხდომაზე ერთ უბედურ ადამიანს,* რომელიც, როგორც ამბობდნენ, ყველა ცხოვრებისეულ ურთიერთობაში უნაკლოდ იქცეოდა, ოცდაერთი თვით პატიმრობა მიესაჯა იმის გამო, რომ წარმოთქვა და ალაყაფის კარზე დაწერა ქრისტიანობისთვის შეურაცხმყოფელი რამდენიმე სიტყვა. იმ შემთხვევიდან ერთი თვეც არ იყო გასული, როცა ოლდ ბეილიში ორ ადამიანს, ორ სხვადასხვა შემთხვევაში,** უარი უთხრეს ნაფიც მსაჯულობაზე, ხოლო ერთ მათგანს მძიმე შეურაცხყოფა მიაყენეს მოსამართლემ და ერთ-ერთმა მრჩეველმა, იმის გამო, რომ მათ გულწრფელად განაცხადეს, რომ არ ჰქონდათ თეოლოგიური მრწამსი; ხოლო მესამეს, უცხოელს,*** იმავე მიზეზის გამო, უარი უთხრეს ქურდის წინააღმდეგ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. კომპენსაციაზე უარის თქმის საფუძველი იყო სამართლებრივი მოძღვრება, რომ სასამართლოს დარბაზში ჩვენების მიცემა არ შეუძლია არც ერთ ადამიანს, რომელიც არ აღიარებს ღმერთისა (ნებისმიერი ღმერთი საკმარისია) და იმქვეყნიური ცხოვრების რწმენას; ეს იგივეა, რაც ასეთი ადამიანების კანონგარეშედ გამოცხადება, მათი გამორიცხვა სასამართლოს მფარველობისგან; შესაძლებელია არა მხოლოდ მათი დაუსჯელად გაძარცვა ან შეურაცხყოფა, თუ მათ ან მათი მსგავსი შეხედულებების მქონე ადამიანებს გარდა მოწმე არავინაა, არამედ შესაძლებელია ნებისმიერი სხვა ადამიანის დაუსჯელად გაძარცვაც და შეურაცხყოფაც, თუ ამ ფაქტის დადასტურება მათ ჩვენებაზეა დამოკიდებული. ეს მოძღვრება ემყარება დაშვებას, რომ, თუ ადამიანს იმქვეყნიური ცხოვრებისა არ სწამს, მის ფიცს არავითარი ფასი არა აქვს. ეს დებულება იმაზე მეტყველებს, რომ მათ, ვინც მას ეთანხმება, ისტორია სრულიად არ იციან (რადგან ისტორიულად ჭეშმარიტია, რომ ყველა ეპოქაში ურწმუნოთა დიდი ნაწილი გამორჩე-

* თომას პული, ბოდმინის სხდომები, 31 ივლისი, 1857. მომდევნო დეკემბერში მან მიიღო მეფის შეწყალება.

** ჯორჯ იაკობ ჰოლიოუკი, 17 აგვისტო, 1857; ედუარდ ტრულოვი, ივლისი, 1857.

*** ბარონ დე გლაიხენი, მარლბოროს ქუჩის პოლიციის განყოფილება, 4 აგვისტო, 1857.

ულად პატიოსანი და ღირსეული ადამიანი იყო); და მას არ გაიზიარებს არავინ, ვისაც ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, თუ რამდენია მისი სათნოებისა თუ დამსახურებების გამო ქვეყნად უდიდესი რეპუტაციის მქონე ადამიანი, რომელზეც მისმა ახლობლებმა მაინც კარგად იციან, რომ ურწმუნოა. ამას გარდა, ეს წესი თვითგამანადგურებელია და საკუთარ თავს უთხრის საფუძველს. იმ საბაბით, რომ ათეისტები მატყუარები უნდა იყვნენ, ის დასაშვებს ხდის ყველა იმ ათეისტის ჩვენებას, რომელიც მოინდომებს ტყუილის თქმას და უკუაგდებს მხოლოდ მათსას, ვისაც ტყუილის თქმას ურჩევნია, თვალი გაუსწოროს დამცირებას, რომელსაც მათ საძულველი მრწამსის საჯაროდ აღიარება მოუტანს. წესი, რომლის აბსურდულობაც ასე თვითცხადია იქ, სადაც საქმე მის დეკლარირებულ მიზანს ეხება, შეიძლება ძალაში რჩებოდეს მხოლოდ როგორც სიძულვილის სიმბოლო, დევნის გადმონაშთი; დევნაც ასეთია, რადგან მისი თავისებურება ისაა, რომ ვისიმე დევნის წინაპირობაა, აშკარად იყოს დამტკიცებული, რომ ის ამას არ იმსახურებს. საეჭვოა, რომ ეს წესი და მასში ნაგულისხმები თეორია ნაკლებ შეურაცხმყოფელი იყოს მორწმუნეებისთვის, ვიდრე ურწმუნოთათვის. ვინაიდან, თუ ის, ვისაც იმქვეყნიური ცხოვრებისა არ სწამს, აუცილებლად იტყუება, გამოდის, რომ მას, ვისაც სწამს, ტყუილის თქმისგან მხოლოდ ჯოჯოხეთის შიში აკავებს (თუკი მართლა აკავებს). ამ წესის ავტორებსა და მხარდამჭერებს აღარ ვატკენთ გულს იმის დაშვებით, რომ ქრისტიანული სათნოების მათ მიერ ჩამოყალიბებული გაგება მათი საკუთარი ცნობიერებიდანაა გამოყვანილი.

ყველაფერი ეს დევნის მართლაც მხოლოდ ნაფლეთები და ნარჩენებია და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი მეტყველებს არა იმდენად დევნის სურვილზე, რამდენადაც ინგლისელ მოაზროვნეთა ძალიან გავრცელებულ სენზე, ცუდი პრინციპის მტკიცებით მიიღონ ყოვლად გაუგებარი სიამოვნება, თუმცა თავად აღარ არიან იმდენად ცუდები, რომ მოინდომონ მისი რეალურად განხორციელება პრაქტიკაში. მაგრამ, საუბედუროდ, საზოგადოების აზროვნების მდგომარეობა არ გვაძლევს გარანტიას, რომ, თუ დაახლობით ერთი თაობის განმავლობაში არ იყენებდნენ სამართლებრივი დევნის ყველაზე უარეს ფორმებს, ეს მომავალშიც გაგრძლდება. ჩვენს ეპოქაში რუტინის მშვიდ ზედაპირს ისევე ხშირად აშფოთებს წარსულ ბოროტებათა აღდგენის, როგორც ახალ სიკეთეთა შემოტანის მცდელობები. ამჟამად რომ კვეხნით ლაპარაკობენ რელიგიის აღორძინებაზე, ეს ყოველთვის არის, სულ მცირე იმდენადვე, ფანატიზმის აღორძინება ვიწრო და განუვითარებელ გონებებში. ხოლო იქ, სადაც ხალხის გრძნობებში არსებობს შეუწყნარებლობის ძლიერი და მდგრადი პოტენცია, ეს კი ყოველთვის ბუდობდა ჩვენი ქვეყნის საშუალო ფენებში, ძალიან მცირედიც იკმარებს იმისთვის, რომ მათ დაიწყონ იმათი აქტიურად დევნა, ვინც ყოველთვის ესახებოდათ დევნის შესაფერის ობიექტებად.* მართლაც, სწორედ ეს – ადამიანების შეხედულებები და

* სერიოზული გაფრთხილება შეიძლება ამოვიკითხოთ სეპოის ამბოხების შემთხვევაში მდევნელთა დიდი ვნებათაღელვიდან, რომელიც შერწყმული იყო ჩვენი ეროვნული ხასიათის უარესი მხარეების სააშკარაოზე გამოტანასთან. ფანატიკოსებისა თუ შარ-

გრძნობები იმათ მიმართ, ვინც არ იზიარებს რწმენებს, მათ რომ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ – არის ის, რის გამოც ეს ქვეყანა არ არის სულიერი თავისუფლების ადგილი. უკვე დიდი ხანია, რაც სამართლებრივი სასჯელის მთავარი ბოროტება ის არის, რომ ის სოციალურ დაღს აძლიერებს. სწორედ ეს დაღია ნამდვილად ეფექტური, იმდენად ეფექტური, რომ საზოგადოების მიერ განკიცხულ შეხედულებათა აღიარება გაცილებით უფრო ნაკლებაა გავრცელებული ინგლისში, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში, სადაც მათი აღიარება ადამიანს სამართლებლივი დასჯის საფრთხეს უქმნის. იმათ გარდა, ვინც თავისი ფინანსური მდგომარეობის წყალობით დამოუკიდებელია სხვების კეთილი ნებისგან, ყველა სხვა ადამიანის შემთხვევაში ამ საკითხთან საზოგადოების დამოკიდებულება ისევე ეფექტურია, როგორც კანონი; ადამიანები ისევე შეიძლება დაისაჯონ ლუკმაპურის შოვნის საშუალებების წართმევით, როგორც დაპატიმრებით. მას, ვისაც ლუკმაპური უკვე გარანტირებული აქვს და არავითარი შეღავათები არ სჭირდება ძალაუფლების მქონე ადამიანების, ხალხის მასების ან საზოგადოების მხრიდან, არავითარი საფრთხე არ ემუქრება ნებისმიერი შეხედულების საქვეყნო აღიარების გამო, იმის გარდა, რომ მასზე ცუდად იფიქრებენ და აუგს იტყვიან; ხოლო ამის გადასატანად არ უნდა იყოს აუცილებელი ძალიან გმირული ბუნება. ასეთ ადამიანების სახელით *ad misericordiam*[28] მოწოდება უადგილოა. მართალია, მათ, ვინც ჩვენგან განსხვავებულად ფიქრობს, ახლა უკვე აღარ ვატეხთ თავზე იმდენ ბოროტებას, როგორც ადრე გვჩვეოდა, შეიძლება მათდამი მოპყრობით საკუთარ თავებს ვაყენებთ არანაკლებ ბოროტებას, ვიდრე ოდესმე. სოკრატე სიკვდილით დასაჯეს,

ლატანების კათედრებიდან ნაქადაგები სიგიჟეების ხენება შეიძლება არც ღირდეს; მაგრამ ევანგელისტური პარტიის მეთაურებმა ინდუისტებისა და მუსლიმების მართვის თავიანთ პრინციპად გამოაცხადეს, რომ საზოგადოებრივ დაფინანსებას არ მიიღებდა არც ერთი სკოლა, რომელშიც ბიბლია არ ისწავლებოდა, და, როგორც ამის აუცილებელი შედეგი, საზოგადოებრივ სამსახურში არავის აიყვანდნენ ნამდვილი ან მოჩვენებითი ქრისტიანების გარდა. მეორე სახელმწიფო მდივანმა 1857 წლის 12 ნოემბერს თავის ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, როგორც ამბობენ, ასეთი რამ თქვა: „ბრიტანეთის მთავრობის მიერ მათი სარწმუნოების“ (ასობით მილიონი ბრიტანელი მოქალაქის სარწმუნოების) „შეწყნარებას – შეწყნარებას ცრურწმენისა, რომელსაც ისინი რელიგიას უწოდებენ, შედეგად მოჰყვა ბრიტანეთის დიდების აღმასვლის ჩამორჩენა და ქრისტინობის მისასალმებელი ზრდის შეფერხება... შეწყნარება ამ ქვეყნის რელიგიურ თავისუფლებათა დიდი ქვაკუთხედი იყო; მაგრამ არ მივცეთ მათ საშუალება, ბოროტად გამოიყენონ ეს ძვირფასი სიტყვა. შეწყნარებაში იგულისხმებოდა ყველაფრის სრული თავისუფლება, აღმსარებლობის თავისუფლება ქრისტიანებისთვის, რომელთაც აღმსარებლობის ერთი და იგივე საფუძველი აქვთ. ის ნიშნავდა ქრისტიანთა ყველა სექტისა და დენომინაციის შეწყნარებას, რომელთაც ერთი და იმავე გამოცხადებისა სწამთ.~ მე მინდა ყურადღება მივაქციო იმ ფაქტს, რომ ადამიანი, რომელიც ამ ქვეყნის მთავრობაში მაღალი თანამდებობისთვის შესაფერისად ჩათვალეს ლიბერალური მინისტრთა კაბინეტის პირობებში, იცავს მოძღვრებას, რომ ყველა, ვინც ქრისტეს ღმერთად არ აღიარებს, შეწყნარების საზღვრებს გარეთაა. ამ იდიოტური სპექტაკლის შემდეგ ვის შეუძლია თავი ინუგეშოს ილუზიით, რომ რელიგიური დევნა წარსულს ჩაბარდა და აღარასოდეს დაბრუნდება?

მაგრამ სოკრატეს ფილოსოფია მზესავით ამაღლდა ზეცაში და თავისი ნათლით შემოსა მთელი ინტელექტუალური საუფლო. ქრისტიანებს ლომებს უგდებდნენ ხახაში, მაგრამ ქრისტიანული ეკლესია მძლავრ და გაშლილტოტებიან ხესავით გაიზარდა, რომელმაც უფრო ძველ და ნაკლებად სიცოცხლისუნარიან ნარგავებს სიმაღლით გაასწრო და დაჩრდილა ისინი. მხოლოდ სოციალური შეუწყნარებლობა არავის კლავს, არავითარ შეხედულებებს არ ამოძირკვავს, მაგრამ ადამიანებს მათი დაფარვისკენ ან მათი გავრცელებისთვის ყოველგვარი აქტიური ქმედებისგან თავის შეკავებისკენ უბიძგებს. ჩვენში თითოეული ათწლეულის ან თაობის განმავლობაში ერეტიკული შეხედულებები არც წინ მიიწევს და არც უკან იხევს შესამჩნევად; ისინი არასოდეს აგიზგიზდება ხანძარივით, არამედ ნელ წვას აგრძელებს იმ მოაზროვნე და განსწავლული ადამიანების ვიწრო წრეებში, რომელთა შორისაც ისინი იშვა, ისე, რომ არასოდეს ანათებს საყოველთაო საკაცობრიო საქმეებს ჭეშმარიტებით ან მაცდური სინათლით. და ასე ხდება იმ მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც ზოგს ძალიან აკმაყოფილებს, რადგან ყველა გაბატონებული შეხედულება გარეგნულად შეუშფოთებელი რჩება ვინმეს დაჯარიმების ან დაპატიმრების უსიამოვნო პროცესის გარეშეც, და თან არც აზროვნების სენით შეპყრობილ სხვაგვარად მოაზროვნეებს ეკრძალებათ უპირობოდ თავიანთი გონების გავარჯიშება. ეს მოხერხებული გეგმაა იმისთვის, რომ ინტელექტუალურ სამყაროში მშვიდობა სუფევდეს და თან ყველაფერი ზუსტად ისე დარჩეს, როგორც უკვე არის. მაგრამ ამგვარი ინტელექტუალური მშვიდობიანობისთვის გადახდილი საფასურია ადამიანის გონების მთელი მორალური გაბედულების მსხვერპლად გაღება. ვითარება, რომლის დროსაც ყველაზე აქტიური და მაძიებელი ინტელექტუალების დიდი ნაწილი ამჯობინებს გულში ჩაიმარხოს თავისი რწმენის ზოგადი პრინციპები და საფუძვლები, ხოლო საჯარო გამოსვლებში ცდილობს, საკუთარი დასკვნები მაქსიმალურად მოარგოს თავისთვის შინაგანად მიუღებელ წანამძღვრებს, ვერ გამობრძმედს იმ ღია, უშიშარ ხასიათებსა და ლოგიკურად თანმიმდევრულ ინტელექტებს, რომლებიც ოდესღაც ამშვენებდნენ მოაზროვნე სამყაროს. ასეთ ვითარებაში სხვა ტიპის ადამიანების გამოჩენაა მოსალოდნელი: მათი, ვინც უბრალოდ ეთანხმება ბანალობებს, ან კიდევ მათი, ვინც ჭეშმარიტების მედროვე მსახურია და ვისი არგუმენტებიც ყველა დიდ საკითხზე თავად მათთვის არ არის დამარწმუნებელი და მხოლოდ მსმენელთათვისაა გამიზნული. თუ ვინმე თავს აღწევს ამ ალტერნატივებს, ამას იმით აკეთებს, რომ საკუთარ აზრებსა და ინტერესებს ზღუდავს საკითხებით, რომლებზე მსჯელობაც პრინციპების სფეროში შეჭრის გარეშე შეიძლება, ანუ წვრილმანი პრაქტიკული საკითხებით, რომლებიც თავისთავადაც მოგვარდებოდა, ადამიანების გონება რომ გაძლიერებულიყო და გაფართოებულიყო, და რომელთა მოგვარებაც ვერასოდეს იქნება ეფექტური ამის გარეშე, კერძოდ მაშინ, როცა უარია ნათქვამი იმაზე, რაც ადამიანების გონებას გააძლიერებდა და გააფართოებდა — თავისუფალ და გაბედულ სპეკულაციაზე ამაღლებული საკითხების შესახებ.

მან, ვის თვალშიც ერეტიკოსების ეს თავშეკავება ბოროტება არ არის, პირველ რიგში ის უნდა გაითვალისწინოს, რომ ამის შედეგია ერეტიკულ შეხედულებათა სამართლიანი და ზედმიწევნითი განხილვის სამუდამო გამორიცხვა; და რომ ამით არ აღმოიფხვრება ის ერეტიკული შეხედულება, რომელიც ასეთ განხილვას ვერ გაუძლებდა, თუმცა შეიძლება მართლა შეეშალოს ხელი მის გავრცელებას. მაგრამ ერეტიკოსთა აზროვნება არ არის ის, რაც ყველაზე მეტად გადაგვარდება ყველა ისეთი კვლევის აკრძალვით, რომელიც ოთოდოქსულ დასკვნებს არ იძლევა. ამას უდიდესი ვნება მოაქვს მათთვის, ვინც ერეტიკოსი არ არის და ვისი მთელი გონებრივი განვითარებაც დასახიჩრებულია, ხოლო გონება დათრგუნულია ერესის შიშით. ვინ დათვალოს, რამდენს კარგავს სამყარო იმ იმედისმომცემ, მაგრამ მშიშარა ხასიათებთან შერწყმულ ინტელექტთა სახით, რომლებსაც არ ჰყოფნით გაბედულება, რომელიმე მოურიდებელი, ძლიერი, დამოუკიდებელი მიმართულებით იაზროვნონ, იმის შიშით, რომ მივლენ რაღაცასთან, რაც შეიძლება არარელიგიურად ან ამორალურად იქნეს მიჩნული? ასეთთა შორის შიგადაშიგ შეიძლება შევხვდეთ ღრმა კეთილსინდისიერებისა და ფაქიზი და დახვეწილი გონების მქონე ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ინტელექტით (რომლის ხმის ჩახშობასაც ვერ ახერხებენ) ჩხირკედელაობაში ატარებენ ცხოვრებას და საზრიანობის თავიანთ რესურსებს იმის ცდაში ფლანგავენ, რომ საკუთარი სინდისისა და გონების მოწოდებები ორთოდოქსიასთან შეარიგონ, რაშიც ისინი ალბათ მაინც ვერ აღწევენ საბოლოოდ წარმატებას. დიდი მოაზროვნე ვერ იქნება ვერავინ, ვინც არ აღიარებს, რომ მისი, როგორც მოაზროვნის, უპირველესი მოვალეობაა, მისდიოს საკუთარ გონებას, რა დასკვნებთანაც არ უნდა მიიყვანოს მან. ჭეშმრიტება მეტს მოიგებს იმათი შეცდომებითაც კი, ვინც სათანადო კვლევისა და მომზადების საფუძველზე დამოუკიდებლად ფიქრობს, ვიდრე მათი ჭეშმარიტი შეხედულებებით, ვინც ამ შეხედულებებს მხოლოდ იმიტომ იზიარებს, რომ ფიქრით თავის შეწუხება არ უნდა. აზროვნების თავისუფლების მოთხოვნის ერთადერთი ან მთავარი მიზეზი არ არის ის, რომ ის აუცილებელია დიდი მოაზროვნის ჩამოყალიბებისათვის. პირიქით, აზროვნების თავისუფლება არანაკლებ, და იქნებ მეტადაც, აუცილებელია, რათა საშუალო ადამიანმა შეძლოს იმ გონებრივი მდგომარეობის მიღწევა, რომლის უნარიც მას აქვს. გონებრივი მონობის საყოველთაო ატმოსფეროში უარსებიათ და ისევ შეიძლება იარსებონ დიდმა ინდივიდუალურმა მოაზროვნეებმა. მაგრამ ასეთ ატმოსფეროში არასოდეს ყოფილა და არც არასოდეს იქნება ინტელექტუალურად აქტიური ხალხი. თუ რომელიმე ხალხი ოდესმე დროებით მიუახლოვდა ასეთ ხასიათს, ეს იმის წყალობით მოხდა, რომ ჰეტეროდოქსული[29] განაზრებების შიში დროებით გადავლილი იყო. იქ, სადაც არსებობს ფარული შეთანხმება, რომ კამათი არ უნდა შეეხოს პრინციპებს; იქ, სადაც დასრულებულადაა მიჩნეული იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა, რომლებიც ადამიანებს შეიძლება აღელვებდეთ, არ უნდა მოველოდეთ, რომ შევხვდებით გონებრივი აქტივობის ზოგადად ისეთ მაღალ მაჩვენებელს, რომლის გამოც ასე გამოირჩევა ზოგიერთი ისტორიული პერიოდი. არასოდეს, როცა თავს არიდებდნენ დაპირის-

პირებას ენთუზიაზმის გასაღვიძებლად საკმაოდ დიდ და მნიშვნელოვან საკითხებზე, არ მომხდარა ხალხის გონების ძირფესვიანად აღგზნება და არ გაჩენილა იმპულსი, რომელიც ყველაზე ჩვეულებრივი ინტელექტის მქონე ადამიანებსაც კი აამაღლებდა რაღაც ისეთამდე, რაც მოაზროვნე არსების ღირსებას შეადგენს. ამის მაგალითია რეფორმაციის უშუალოდ მომდევნო პერიოდში ევროპაში არსებული მდგომარეობა; სხვა, თუმცა კონტინენტითა და უფრო განვითარებული კლასით შემოფარგლული მაგალითია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის სააზროვნო მოძრაობა; მესამე, კიდევ უფრო ხანმოკლე ილუსტრაციას წარმოადგენს ინტელექტუალური მღელვარება გოეთესა[30] და ფიხტეს[31] პერიოდის გერმანიაში. ეს პერიოდები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან იმ კონკრეტული შეხედულებებით, რომლებიც მათ დროს განვითარდა; მაგრამ ისინი ერთმანეთს იმით ჰგავდა, რომ სამივეში დაიმსხვრა ავტორიტეტის უღელი. თითოეულ ამ პერიოდში უკვე დამხობილია ძველი სააზროვნო დესპოტიზმი, მაგრამ მის ადგილზე ჯერ არ არის მოსული არც ერთი ახალი. ამ სამ პერიოდში გაჩენილმა იმპულსმა აქცია ევროპა იმად, რაც ის ახლაა. ადამიანის გონებასა ან ინსტიტუტებში ყოველ ცალკეულ წინ გადადგმულ ნაბიჯს გამოკვეთილი სათავე მოეძებნება რომელიმე მათგანში. უკვე კარგა ხანია, რაც მოვლენები მეტყველებს იმაზე, რომ ეს სამივე იმპულსი ბოლომდეა ამოწურული; და განახლების იმედი ვერ გვექნება იქამდე, ვიდრე ჩვენს გონებრივ თავისუფლებას ისევ არ დავამტკიცებთ.

ახლა არგუმენტის მეორე ნაწილზე გადავიდეთ. უგულებელვყოთ წინასწარი დაშვება, რომ ნებისმიერი საყოველთაოდ მიღებული შეხედულება შეიძლება მცდარი იყოს. დავუშვათ, ის ჭეშმარიტია და გამოვიკვლიოთ, რამდენად ღირებული იქნება მისი გაზიარება, როცა მისი ჭეშმარიტება არ ექვემდებარება თავისუფალ და ღია განსჯას. როგორც არ უნდა ეწინააღმდგებოდეს მყარი შეხედულების მქონე ადამიანი იმის აღიარებას, რომ შესაძლებელია, მისი ეს შეხედულება მცდარი აღმოჩნდეს, ის უნდა შეაშფოთოს იმაზე დაფიქრებამ, რომ, რაოდენ ჭეშმარიტიც არ უნდა იყოს ეს შეხედულება, თუ არ ხდება მისი განხილვა სრულად, ხშირად და შიშის გარეშე, ის გაზიარებული იქნება არა როგორც ცოცხლი ჭეშმარიტება, არამედ როგორც მკვდარი დოგმა.

არსებობენ ადამიანები (საბედნიეროდ, ისინი აღარც ისე ბევრნი არიან, როგორც ადრე), რომლებიც საკმარისად თვლიან, რომ ადამიანი ეჭვის გარეშე იღებდეს იმას, რაც ჭეშმარიტად მიაჩნია, თუნდაც საერთოდ არაფერი იცოდეს ამ შეხედულების საფუძვლებზე და არ შეეძლოს მისი დამაჯერებლად დაცვა ყველაზე ზედაპირული შედავებებისგანაც კი. ასეთი ადამიანები, თუ ისინი ერთხელ შეძლებენ თავიანთი მრწამსის მიღებას ავტორიტეტისგან სწავლის გზით, ბუნებრივად ფიქრობენ, რომ მასში ეჭვის შეტანის დაშვებას არავითარი სიკეთე არ მოაქვს და, გარკვეული აზრით, მავნებელია. როცა ასეთი ადამიანების გავლენა ძლიერია, ისინი თითქმის შეუძლებლად აქცევენ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებაზე ბრძნულად და დაფიქრებულად უარის თქმას, თუმცა ის მაინც შეიძლება უკუიგდოს ნაჩქარევად და უმეცრულად; ეს იმიტომ, რომ დისკუსიის სავსებით აღკვე-

თა იშვიათად არის შესაძლებელი და მას შემდეგ, რაც ის ერთხელ შემოიპარება, რწმენა, რომელიც დამაჯერებელ საბუთებს არ ემყარება, როგორც წესი, უკან იხევს არგუმენტის უმცირესი ჩანასახის წინაშეც. მაგრამ, თუ ამ შესაძლებლობას გვერდზე გადავდებთ და დავუშვებთ, რომ გონებაში გვაქვს ჭეშმარიტი შეხედულება, მაგრამ გვაქვს, როგორც არგუმენტებისგან დამოუკიდებელი და მათთვის შეუვალი რწმენა, ეს არ არის ის წესი, რომლითაც ჭეშმარიტება უნდა აღიაროს რაციონალურმა არსებამ. ეს არ არის ჭეშმარიტების ცოდნა. ასე მიღებული ჭეშმარიტება მხოლოდ მორიგი ცრურწმენაა, რომელიც შემთხვევით დაუკავშირდა სიტყვებს, რომლებშიც ჭეშმარიტება ცხადდება.

თუ ადამიანების გონება და მსჯელობის უნარი უნდა განვითარდეს, რის საჭიროებასაც პროტესტანტები, ყოველ შემთხვევაში, არ უარყოფენ, რა შეიძლება იყოს ამ უნარების გავარჯიშებისთვის უფრო შესაფერისი, ვიდრე საკითხები, რომლებიც ადამიანს იმდენად აწუხებს, რომ აუცილებლად მიაჩნია, ჰქონდეს მათ შესახებ შეხედულებები? თუ გონების განვითარება ერთ რამეში მეტად ხდება, ვიდრე სხვაში, ეს უდავოდ არის საკუთარი შეხედულებების საფუძვლების შესწავლა. რაც არ უნდა სწამდეთ ადამიანებს საკითხებზე, რომლებზე სწორი რწმენების ქონასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს, მათ, სულ მცირე, გავრცელებული და მარტივი შედავებების წინააღმდეგ მაინც უნდა შეეძლოთ საკუთარი რწმენების დაცვა. მაგრამ ვინმემ შეიძლება თქვას: „კეთილი, ასწავლონ მათ თავიანთი შეხედულებების საფუძვლები. იქიდან, რომ, მათ არასოდეს გაუგონიათ თავიანთი შეხედულებების საპირისპირო აზრი, არ გამოდის, რომ მათ ისინი უბრალოდ თუთიყუშებივით უნდა გაიმეორონ. ადამიანები, რომლებიც გეომეტრიას სწავლობენ, უბრალოდ კი არ იმახსოვრებენ თეორემებს, არამედ მათ დასაბუთებებსაც იგებენ და სწავლობენ; აბსურდული იქნებოდა გვეთქვა, რომ მათ არ იციან გეომეტრიული ჭეშმარიტებების საფუძვლები, რადგან მათ არასოდეს გაუგონიათ ვინმეს მიერ მათი უარყოფისა და უკუგდების ცდა.“ უდავოდ ასეა, მაგრამ ასეთი სწავლება საკმარისია მათემატიკის მსგავსი საგნებისთვის, სადაც საერთოდ არაფერია სათქმელი საკითხის არასწორ მხარეზე. მათემატიკური ჭეშმარიტებების საბუთების თავისებურებაა ის, რომ ყველა არგუმენტი ერთ მხარეზეა. არ არსებობს არავითარი შედავებები და არავითარი პასუხები შედავებებზე. მაგრამ ყველგან, სადაც შესაძლებელია შეხედულებათა სხვადასხვაობა, ჭეშმარიტება დამოკიდებულია საპირისპირო საბუთების ორ ჯგუფს შორის არსებულ წონასწორობაზე. ბუნების ფილოსოფიაშიც კი ყოველთვის შესაძლებელია ერთი და იმავე ფაქტების რაღაც სხვა ახსნა; რაღაც გეოცენტრული თეორია ჰელიოცენტრულის ნაცვლად, რაღაც ფლოგისტონი ჟანგბადის ნაცვლად;

და საჭიროა იმის ჩვენება, რატომ არ შეიძლება ეს მეორე თეორია იყოს ჭეშმარიტი. სანამ ეს არ იქნება ნაჩვენები და სანამ არ გვეცოდინება, როგორ ხდება ამის ჩვენება, ჩვენ არ გვესმის ჩვენი შეხედულების საფუძვლები. მაგრამ, როცა გადავდივართ უსასრულოდ უფრო რთულ საკითხებზე – მორალზე, რელიგიაზე, პოლიტიკაზე, სოციალურ ურთიერთობებზე, ცხოვრებისეულ საქმეებზე – ყოვე-

ლი სადავო შეხედულების სასარგებლო არგუმენტების სამი მეოთხედი ემსახურება იმ მონაცემთა გაქარწყლებას, რომლებიც თითქოს რაღაც მისგან განსხვავებული შეხედულების სასარგებლოდ მეტყველებს. უდიდესმა ორატორმა, რომელსაც ანტიკურ ეპოქაში მხოლოდ ერთი სჯობნიდა, დაგვიტოვა ჩანაწერი, რომ ის ყოველთვის სწავლობდა თავისი მოწინააღმდეგის პოზიციას თავის საკუთარზე არანაკლებ საფუძვლიანად და შეიძლება მეტი გულმოდგინებითაც. რასაც ციცერონი[32] სასამართლოში გამარჯვების საშუალებად იყენებდა, ყველამ უნდა გაიმეოროს ნებისმიერი საკითხის შესწავლისას, რათა ჭეშმარიტებამდე მივიდეს. ვინც საქმის მხოლოდ საკუთარი მხარე იცის, მის შესახებ ცოტა რამ იცის. შეიძლება მისი საბუთები კარგია და შეიძლება ჯერ არავის მოუხერხებია მათი უკუგდება. მაგრამ, თუ მას საწინააღმდეგო მხარის საბუთების უკუგდებაც არ შეუძლია, თუ მან ისიც კი არ იცის, რას წარმოადგენს ეს საბუთები, მას არავითარი საფუძველი არ გააჩნია, უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე შეხედულებას. მისთვის რაციონალური პოზიცია იქნებოდა მსჯელობისგან თავის შეკავება; და თუ ის ამას არ სჯერდება, ის ან ავტორიტეტს მისდევს, ან კიდევ, ადამიანების უმრავლესობის მსგავსად, იმ მხარეზე დგება, რომლისკენაც მეტ მიდრეკილებას გრძნობს. საკმარისი არც ისაა, რომ ადამიანმა მოწინააღმდეგეთა არგუმენტები საკუთარი მასწავლებლებისგან მოისმინოს – მათი ფორმულირებით და იმასთან ერთად, რასაც ისინი ამბობენ მათ უარსაყოფად. ეს არ არის არგუმენტების სამართლიანად შეფასების ან მათი საკუთარ გონებასთან ნამდვილ ურთიერთქმედებაში შეყვანის გზა. ადამიანს უნდა შეეძლოს მათი მოსმენა იმათგან, ვისაც მართლა სჯერა ისინი, ვინც გულწრფელად იცავს მათ და თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს მათთვის. ადამიანმა ისინი უნდა იცოდეს მათი ყველაზე დამაჯერებელი და დამარწმუნებელი ფორმით; ბოლომდე უნდა გრძნობდეს იმ სიძნელის ძალას, რომელთან შეჯახებაც მოუწევს და რომლის დაძლევაც უნდა შეეძლოს ჭეშმარიტ თვალსაზრისს. ამის გარეშე ის ვერასოდეს ნამდვილად ვერ დაეუფლება ჭეშმარიტების იმ ნაწილს, რომელიც ამ სიძნელის პასუხი და გადაჭრაა. იმათში, ვისაც განათლებულ ადამიანებს უწოდებენ, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი ამ მდგომარეობაშია; ასეა იმათშიც, ვისაც თავისუფლად შეუძლია საკუთარი შეხედულებებისთვის არგუმენტების მოტანა. მათი დანასკვი შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, მაგრამ ის შეიძლება მცდარიც ყოფილიყო იმ ყველაფრის მიუხედავად, რაც მათთვის არის ცნობილი: მათ არასოდეს ჩაუყენებიათ საკუთარი თავი იმათ სააზროვნო სიტუაციაში, ვინც მათგან განსხვავებულად ფიქრობს და არასოდეს უფიქრიათ იმაზე, რა შეიძლება ჰქონდეთ სათქმელი ასეთ ადამიანებს; და ამის გამო მათ არ იციან, სიტყვის რომელიმე საკუთარი მნიშვნელობით, მოძღვრება, რომელსაც თავად აღიარებენ. მათ არ იციან მისი ის ნაწილები, რომლებიც დანარჩენს ხსნის და ამართლებს; არ იციან მოსაზრებები, რომლებიც უჩვენებს, რომ ფაქტი, რომელიც ერთი შეხედვით კონფლიქტშია სხვასთან, შეთანხმებადია მასთან, ან უჩვენებს, რომ ერთი შეხედვით ძლიერი ორი საბუთიდან ერთს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და არა – მეორეს. ჭეშმარიტების მთელი ეს ნაწილი, რომელიც გადამწყვეტია

და განსაზღვრავს სრული ინფორმაციის მქონე გონების მსჯელობას, მათთვის უცხოა. მისი ნამდვილი ცოდნა არასოდეს აქვს არავის, იმათ გარდა, ვინც თანაბრად და მიუკერძოებლად უსმინა ორივე მხარეს და სცადა, ორივე მხარის საბუთები უძლიერესი მხრიდან დაენახა. ეს წესი იმდენად არსებითია მორალური და ადამიანური საკითხების ნამდვილი გაგებისთვის, რომ თუ არ არსებობენ ოპონენტები რომელიმე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებისთვის, აუცილებელია მათი წარმოსახვა და მათი აღჭურვა უძლიერესი არგუმენტებით, როგორიც კი შეიძლება მოიგონოს ყველაზე მოხერხებულმა ეშმაკის ადვოკატმა.

ამ მოსაზრებათა ძალის შესასუსტებლად თავისუფალი დისკუსიის მტერმა შეიძლება თქვას: ზოგადად ადამიანებისთვის სულ არ არის აუცილებელი, იცოდნენ და ესმოდეთ ყველაფერი, რასაც მათი შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან სასარგებლოდ ფილოსოფოსები ან თეოლოგები იტყვიან. რომ ჩვეულებრივი ადამიანისთვის არ არის საჭირო, შეეძლოს გონებამახვილი ოპონენტის ყველა არასწორი დებულებისა და შეცდომის გამოვლენა. რომ საკმარისია, ყოველთვის არსებობდეს ვიღაც, ვინც შეძლებს მათთვის პასუხის გაცემას, რათა არაფერი, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს უსწავლელი ადამიანები, არ დარჩეს უარყოფის გარეშე. ხოლო უბრალო გონებებს, რომელთაც მათში ჩანერგილი ჭეშმარიტებების აშკარა საფუძვლები ასწავლეს, შეუძლიათ დანარჩენისთვის ავტორიტეტის იმედზე იყვნენ; და რაკი იციან, რომ მათ არც ცოდნა აქვთ და არც ნიჭი ყველა იმ სიძნელის გადასაჭრელად, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ აქამდე წამოჭრილ ყველა სიძნელეს უკვე გასცეს ან ძალუძთ გასცენ პასუხი მათ, ვინც სპეციალურადაა გაწვრთნილი ამ ამოცანისთვის.

დავუთმოთ ამ თვალსაზრისს მაქსიმუმი, რაც კი მის სასარგებლოდ შეიძლება ამტკიცონ მათ, ვინც ყველაზე ნაკლებით კმაყოფილდება იმის მოთხოვნაში, თუ ჭეშმარიტების რა ხარისხის გაგება უნდა ახლდეს მის რწმენას. ამ შემთხვევაშიც კი თავისუფალი დისკუსიის სასარგებლო არგუმენტი არასგზით არ სუსტდება, რადგან ეს მოძღვრებაც კი აღიარებს, რომ ადამიანები რაციონალურად უნდა იყვნენ დარწმუნებული, რომ ყველა შედავებას გაეცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. მაგრამ როგორ შეიძლება მათ პასუხი გაეცეს, თუ ის, რაც პასუხის გაცემას მოითხოვს, ნათქვამი არ არის? ან როგორ შეიძლება ვიცოდეთ, რომ პასუხი დამაკმაყოფილებელია, თუკი მოწინააღმდეგეთ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეჩვენებინათ, რომ ის დამაკმაყოფილებელი არ არის? საზოგადოება თუ არა, ფილოსოფოსები და თეოლოგები, რომელთაც სიძნელეები უნდა გადაჭრან, მაინც უნდა იცნობდნენ ამ სიძნელეებს მათ ყველაზე თავსატეხ ფორმაში; ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ არ ხდება მათი თავისუფალი ჩამოყალიბება და მაქსიმალურად ხელსაყრელი სახით წარმოდგენა. კათოლიკურ ეკლესიას საკუთარი გზა აქვს ამ დამაბნეველი პრობლემის მოსაგვარებლად. ის მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან მათ, ვისაც შეიძლება უფლება მიეცეს საბუთების საფუძველზე აღიაროს მისი მოძღვრებები, და მათ, ვინც ისინი რწმენით უნდა მიიღოს. სინამდვილეში არც ერთსა და არც

მეორეს არ ეძლევა არჩევანი, თუ რას აღიარებს; მაგრამ სამღვდლოებისთვის, მისი ბოლომდე სანდო ნაწილისთვის მაინც, დასაშვებიცაა და რეკომენდებულიც ოპონენტების არგუმენტების გაცნობა მათზე პასუხის გაცემის მიზნით; ამდენად, მათ შეუძლიათ ერეტიკული წიგნების კითხვა; ხოლო საეროებს ამის უფლება არა აქვთ განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, რომლის მოპოვებაც ძნელია. ამ წესით აღიარებულია, რომ მასწავლებელთათვის სასარგებლოა მტრის პოზიციის ცოდნა, მაგრამ ნაპოვნია ამასთან თანხმობაში დანარჩენი ქვეყნიერებისთვის იმავეს უარყოფის ხერხი. ამით ელიტას ეძლევა მეტი გონებრივი კულტურა, თუმცა არა მეტი გონებრივი თავისუფლება, ვიდრე დაშვებულია მასისთვის. ეს გამოგონება წარმატებით უზრუნველყოფს იმ სახის გონებრივ უპირატესობას, რომელსაც მისი მიზნები მოითხოვს; მართლაც, თუმცა თავისუფლებას მოკლებულ კულტურას არასოდეს შეუქმნია ფართო და ლიბერალური გონება, მან შეიძლება შვას ჭკვიანი *nisi prius*[33] ადვოკატი. მაგრამ ქვეყნებს, რომელთა სარწმუნოებაც პროტესტანტიზმია, ეს გამოსავალი არ გააჩნიათ, რადგან პროტესტანტები, თეორიულად მაინც, ამტკიცებენ, რომ რელიგიური არჩევანის პასუხისმგებლობა თითოეულმა ადამიანმა პირადად უნდა ატაროს და მას ვერ გადააბარებს მოძღვრებს. ამის გარდა, დღევანდელ სამყაროში პრაქტიკულად შეუძლებელია, უსწავლელები არ მივაკაროთ ნაწერებს, რომელთაც განათლებულები კითხულობენ. იმისთვის, რომ კაცობრიობის მოძღვართ იცოდნენ ყველაფერი, რაც მათ უნდა იცოდნენ, ყველაფრის წერა და გამოქვეყნება ყოველგვარი შეზღუდვებისგან თავისუფალი უნდა იყოს.

მაგრამ, თუ მაშინ, როცა აღიარებული შეხედულებები ჭეშმარიტია, თავისუფალი დისკუსიის არარსებობის მანკიერი ზემოქმედება შემოიფარგლება იმით, რომ ადამიანებს ამ შეხედულებათა საფუძვლების ცოდნის გარეშე ტოვებს, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს, მიუხდავად იმისა, რომ ინტელექტუალური ბოროტებაა, არ არის ზნეობრივი ბოროტება და გავლენას არ ახდენს შეხედულებათა ღირებულებაზე, ხასიათზე მათი გავლენის თვალსაზრისით. მაგრამ ფაქტია, რომ დისკუსიის არარსებობისას დავიწყებას ეძლევა არა მხოლოდ შეხედულების საფუძვლები, არამედ ძალიან ხშირად თავად შეხედულების შინაარსიც. სიტყვები, მას რომ გამოხატავს, აღარ აღგვიძრავს იდეებს, ან აღგვიძრავს იმის მხოლოდ მცირე ნაწილს, რის გადმოსაცემადაც ისინი თავიდან გამოიყენებოდა. მკაფიო გაგებისა და ცხოველი რწმენის ნაცვლად მხოლოდ რამდენიმე დაზეპირებული ფრაზა რჩება; ან, თუ შენარჩუნებულია მნიშვნელობის რაიმე ნაწილი, ესაა მხოლოდ ნაჭუჭი და ქერქი, ხოლო მისი უფრო ფაქიზი არსი დაკარგულია. არასგზით არ შეიძლება, გადაჭარბებული იყოს ადამიანების ისტორიის იმ უდიდესი თავის გულმოდგინე შესწავლა და გააზრება, რომელსაც ეს ფაქტი იკავებს და ავსებს.

თითქმის ყველა ეთიკური მოძღვრების და რელიგიური მრწამსის გამოცდილება ამის ილუსტრაციაა. მათი შემქმნელებისა და შემქმნელთა უშუალო მოსწავლეებისთვის ისინი გაჯერებულია შინაარსითა და სიცოცხლით. მათი მნიშვნელობის განცდა არ მცირდება, მეტიც, შეიძლება უფრო მეტი შეგნებითაც კი

ვლინდება იქამდე, ვიდრე გრძელდება ბრძოლა იმისთვის, რომ მოძღვრებამ ან მრწამსმა უპირატესობა მოიპოვოს მეტოქეებზე. საბოლოოდ ის ან გაბატონდება და საყოველთაო შეხედულებად იქცევა, ან წინსვლას შეწყვეტს – ინარჩუნებს უკვე მოპოვებულ გავლენას, მაგრამ მეტად აღარ ვრცელდება. როცა ამ შესაძლებლობებიდან რომელიმე განხორციელდება, დაპირისპირება სუსტდება და თანდათან ქრება. მოძღვრება იმკვიდრებს თავის ადგილს – და თუ გაბატონებულ შეხედულებად არა, ერთ-ერთ დასაშვებ სექტად ან შეხედულების ნაირსახეობად მაინც იქცევა. მათ, ვინც მას აღიარებს, ჩვეულებრივ, ის შეგნებული გაზიარების გარეშე, მემკვიდრეობით აქვთ მიღებული. ასეთი მოძღვრებების აღმსარებლები იშვიათად ფიქრობენ რომელიმე სხვაზე გადასვლას, რაც ახლა მხოლოდ გამონაკლისის სახით ხდება. იმის ნაცვლად, რომ, როგორც თავიდან, მუდამ ფხიზლად იყვნენ ან სამყაროსგან თავის დასაცავად, ან სამყაროს საკუთარ აზრზე გადმოსაბირებლად, ისინი ეგუებიან მდგომარეობას, აღარც თავიანთი მრწამსის საწინააღმდეგო არგუმენტებს უსმენენ, როცა ეს შესაძლებელია, და აღარც სხვაგვარად მოაზროვნეებს (თუ ასეთები არსებობენ) აწუხებენ ამ მრწამსის მხარდამჭერი არგუმენტებით. ჩვეულებრივ ამ დროიდან იწყება მოძღვრების სასიცოცხლო ძალის დაცემა. ხშირად გვესმის ყველა მრწამისის მოძღვართა გოდება იმაზე, თუ როგორ ჭირს ნომინალურად აღიარებული ჭეშმარიტების ცხოველმყოფელი გაგების შენარჩუნება მორწმუნეთა გონებაში ისე, რომ მან გრძნობები გამსჭვალოს და ქცევის ნამდვილ ბატონად იქცეს. ასეთ სიძნელეზე არავინ ჩივის იქამდე, ვიდრე მრწამსი ჯერ კიდევ იბრძვის არსებობისთვის: ასეთ დროს უფრო სუსტი მებრძოლებიც კი აცნობიერებენ და გრძნობენ იმას, თუ რისთვის იბრძვიან და რა განსხვავებაა ამ და სხვა მოძღვრებებს შორს; ყოველი მრწამსის არსებობის ამ მონაკვეთში არცთუ ცოტა ადამიანი მოიძებნება, ვინც ყოველმხრივ აცნობიერებს მის ფუნდამენტურ პრინციპებს, ვისაც აწონ-დაწონილი და გააზრებული აქვს ამ პრინციპების ყველა მნიშვნელოვანი შედეგი და განცდილი აქვს ხასიათზე ის სრული ზეგავლენა, რომელიც ამ მრწამსის აღიარებამ უნდა გამოიწვიოს მისით ბოლომდე გამსჭვალულ გონებაში. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ის მემკვიდრეობით მრწამსად იქცა და მას პასიურად იღებენ და არა აქტიურად – როცა გონება აღარ არის იძულებული, კითხვებისთვის, რომელთაც მის წინაშე მისი რწმენა წამოჭრის, იმავე ხარისხით გამოიყენოს თავისი სასიცოცხლო ძალები, როგორც თავიდან – სულ უფრო მატულობს ტენდენცია, ფორმალური წესების გარდა, მთელი დანარჩენი მრწამსი დავიწყებას მიეცეს ან მისი მიღება დუნე და ზარმაცი თანხმობით მოხდეს, თითქოს მისი ბრმა რწმენით მიღება მისი ცნობიერი ათვისების ან პირადი გამოცდილებით შემოწმების აუცილებლობას გვაცილებდეს თავიდან; და ასე გრძელდება, ვიდრე თითქმის საერთოდ არ გაწყდება კავშირი მრწამსსა და ადამიანის შინაგან ცხოვრებას შორის. მაშინ, ჩვენს ეპოქაში კი უმეტესწილად ასეა, ვხედავთ, რომ მრწამსი თითქოს გარედან აკრავს გონებას, აქვავებს მას და შეუვალს ხდის ყველა იმ გავლენისთვის, ჩვენი ბუნების ამაღლებულ მხარეებზე რომაა მიმართული. ის თავის ძალას იმაში კი არ ავლენს, რომ საღი და ცოცხალი

დარწმუნების გზით დამკვიდრდეს; არაფერს აკეთებს გონებისა და გულისათვის, იმის გარდა, რომ თავზე ადგას მათ დარაჯივით, რათა მათში არც ერთმა სხვა მრწამსმა არ დაისადგუროს.

იმის მაგალითი, თუ რა ზომით შეიძლება, რომ მოძღვრება, რომელსაც შინაგანად შესწევს გონებაზე უღრმესი შთაბეჭდილების მოხდენის ძალა, გონებაში მკვდარ რწმენად დარჩეს ისე, რომ არასოდეს განხორციელდეს წარმოსახვაში, გრძნობებში, ან გაგებაში, არის მორწმუნეთა უმრავლესობის მიერ ქრისტიანობის მოძღვრებების გაზიარების წესი. აქ ქრისტიანობაში ვგულისხმობთ იმას, რასაც ქრისტიანობად მიიჩნევს ყველა ეკლესია და სექტა: ახალ აღთქმაში მოცემულ მაქსიმებსა და მცნებებს. მათ წმიდათაწმიდად აღიარებს და კანონებად იღებს ქრისტიანობის ყველა აღმსარებელი. მაგრამ, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ათასი ქრისტიანიდან ერთიც არ წარმართავს და არ ამოწმებს საკუთარ საქციელს ამ კანონების მიხედვით. სტანდარტი, რომელსაც ის იყენებს, არის მისი ერის, მისი კლასის, ან მისი რელიგიური ერთობის ადათი. ამდენად, მას აქვს: ერთი მხრივ, ეთიკური მაქსიმების ჯგუფი, რომლებიც, მისი რწმენით, უცდომელმა სიბრძნემ დაუწესა წარმმართველად; მეორე მხრივ კი, ყოველდღიური აზრებისა და ჩვევების ერთობლიობა, რომელიც ამ მაქსიმებიდან ზოგთან საკმაოდ კარგადაა შეთანხმებული, სხვებთან ნაკლებად, ზოგთან კი პირდაპირ წინააღმდეგობაშია და, მთლიანობაში, ქრისტიანულ მრწამსსა და ამქვეყნიური ცხოვრების ინტერესებსა და მისწრაფებებს შორის კომპრომისს წარმოადგენს. ამ სტანდარტების პირველ ჯგუფს ის პატივს მიაგებს, მეორეს კი ნამდვილ ერთგულებას უწევს. ყველა ქრისტიანს სჯერა, რომ ნეტარ არიან ღატაკნი, სუსტნი, და ბედის მიერ დაჩაგრულნი; რომ აქლემი უფრო იოლად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შეაღწევს ზეციურ საუფლოში; რომ არ უნდა განიკითხონ, რათა თავად არ იქნენ განკითხულნი; რომ არ უნდა დაიფიცონ; რომ მოყვასი ისევე უნდა უყვარდეთ, როგორც საკუთარი თავი; რომ თავიანთი მოსასხამიც უნდა მისცენ იმას, ვინც მათთვის პერანგის წართმევას ეცდება; რომ არ უნდა იფიქრონ ხვალინდელ დღეზე; რომ სრულყოფილები რომ ყოფილიყვნენ, მთელი თავიანთი ქონება უნდა გაეყიდათ და რასაც აიღებდნენ, ღარიბებისთვის დაერიგებინათ. ისინი არ თვალთმაქცობენ, როცა ამბობენ, რომ მათ ამ ყველაფრისა სჯერათ. სჯერათ ისევე, როგორც ადამიანებს სჯერათ ის, რის ხოტბაც ესმით ყოველთვის და რაზეც არასოდეს კამათობენ. მაგრამ ქცევის განმგებელი ცხოველმყოფელი რწმენის აზრით მათ ამ მცნებების მხოლოდ იმ ზომით სჯერათ, რა ზომითაც გავრცელებულია მათ მიხედვით მოქმედება. ეს მცნებები, მათი უზადო მთლიანობით, გამოსადეგია მოწინააღმდეგეთა ჩასაქოლად; და ფიქრობენ, რომ ისინი უნდა წამოაყენონ (ყველა შესაძლო შემთხვევაში) საბუთად ადამიანების იმ ქმედებების გასამართლებლად, რომლებიც მოსაწონად მიაჩნიათ. მაგრამ ნებისმიერი, ვინც მათ შეახსენებდა, რომ ეს მაქსიმები მოითხოვს უსასრულოდ ბევრ ისეთ რამეს, რის გაკეთებაც მათ არც არასოდეს უფიქრიათ, მხოლოდ იმას მოიმკიდა, რომ მიაკუთვნებდნენ იმ ძალიან არაპოპულარულ ტიპებს, თავი სხვებზე უკეთესად რომ

მოაქვთ. ამ მაქსიმებს არავითარი გავლენა არა აქვს ჩვეულებრივ მორწმუნეებზე – არ წარმოადგენს ძალას მათ გონებაში. ისინი ჩვევად ქცეულ პატივისცემას განიცდიან მათი გამომხატველი ბგერების მიმართ, მაგრამ არავითარ გრძნობას, რომელიც სიტყვებით მინიშნებულ საგნებზეც ვრცელდება და მათ გონებას აიძულებს, მიიღოს ისინი, თვითონ მათ კი – მოიქცნენ ამ წესების მიხედვით. როცა საქმე ქცევას ეხება, ისინი ირგვლივ ეძებენ ბატონ A-ს ან B-ს, რომელიც დამოძღვრავს მათ, რამდენად შორს უნდა წავიდნენ ისინი ქრისტეს მორჩილებაში.

შეგვიძლია, სავსებით დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ადრინდელ ქრისტიანებში ვითარება სულ სხვაგვარი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, ქრისტიანობა საძულველი ებრაელების გაუგებარი სექტიდან ვერასდროს იქცეოდა რომის იმპერიის რელიგიად. თუკი მათი მტრები ამბობდნენ: „შეხედეთ, როგორ უყვართ ამ ქრისტიანებს ერთმანეთი“ (რასაც დღეს ალბათ არავინ იტყვის), მათ უთუოდ უნდა ჰქონოდათ თავიანთი მრწამსის ბევრად უფროცხოველი გრძნობა, ვიდრე მას შემდეგ ოდესმე ჰქონიათ ქრისტიანებს. ალბათ უმთავრესად ამ მიზეზის გამოა, რომ ქრისტიანობა ახლა ასე მცირედ აფართოებს თავის სამფლობელოს და თვრამეტი საუკუნის შემდეგაც თითქმის ისევ ევროპელებითა და ევროპელთა შთამომავლებითაა შეზღუდული. თვით იმათ ღრმად რელიგიურ გონებაშიც კი, ვინც მართლა სერიოზულად უდგება საკუთარი მრწამსის მოძღვრებებს და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბევრ მათგანს, ვიდრე ამას ჩვეულებრივად აკეთებენ ადამიანები, როგორც წესი, შედარებით აქტიურია მრწამსის ის ნაწილი, რომელიც შექმნა კალვინმა[34] ან ნოქსმა[35], ან რომელიმე მსგავსმა პიროვნებამ, ხასიათით ბევრად უფრო ახლოს რომ იყო მათთან. მათ გონებაში მრწამსის ამ ნაწილთან პასიურად თანაარსებობს ქრისტეს გამონათქვამები და თითქმის არავითარი შედეგი არ მოაქვს, იმის გარდა, რაც შეიძლება გამოიწვიოს ასე საამო და ალერსიანი სიტყვების უბრალოდ სმენამ. უეჭველია, ბევრი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ ინარჩუნებს რომელიმე სექტისთვის სპეციფიკური მოძღვრებები თავიანთ ცხოველმყოფელობას მეტად, ვიდრე ის, რაც საერთოა ყველა აღიარებული სექტისთვის, და რატომ ახმარენ მასწავლებლები მეტ ძალისხმევას მათი მნიშვნელობის ცხოვლად შენარჩუნებას; მაგრამ ერთი მიზეზი უდავოდ ის არის, რომ სპეციფიკური მოძღვრებები უფრო ხშირად დგება ხოლმე ეჭვქვეშ და უფრო ხშირად საჭიროებს დაცვას აშკარა მოწინააღმდეგეთაგან. როგორც კი მტერი თვალს მიეფარება, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც მაშინვე იძინებენ თავიანთ საგუშაგოზე.

ზოგადად თუ ვიტყვით, იგივე ჭეშმარიტია ყველა ტრადიციული მოძღვრებისთვის – იქნება ეს მოძღვრება წესიერებასა და ცხოვრების ხელოვნებაზე, თუ ზნეობასა და რელიგიაზე. ყველა ენა და ლიტერატურა სავსეა ზოგადი დაკვირვებებით ცხოვრებაზე: იმაზეც, თუ რა არის ის, და იმაზეც, როგორ უნდა წარვმართოთ ის; დაკვირვებებით, რომლებიც ყველამ იცის, რომელთაც ყველა მორჩილად იმეორებს ან ისმენს, რომლებიც ტრუიზმებადაა მიღებული, მაგრამ რომელთა შინაარსსაც ადამიანების უმრავლესობა პირველად მხოლოდ მაშინ იგებს ნამდვი-

ლად, როცა გამოცდილება – როგორც წესი, მტკივნეული გამოცდილება – მათ რეალობად აქცევს. რა ხშირია, როდესაც რაიმე გაუთვალისწინებელი უბედურებით ან იმედგაცრუებით გამოწვეული ტკივილის დროს ადამიანს ახსენდება რაიმე ანდაზა ან გავრცელებული გამონათქვამი, რომელიც მთელი ცხოვრება იცოდა და რომლის მნიშვნელობის ცოდნაც კატასტროფისგან დაიხსნიდა, ოდესმე მანამდეც რომ ეგრძნო ის ისე ცხადად, როგორც ახლა. მართალია, ამას დისკუსიის არარსებობის გარდა სხვა მიზეზებიცა აქვს: ბევრი ისეთი ჭეშმარიტება არსებობს, რომელთა სრული შინაარსის გაცნობიერება შეუძლებელია, სანამ მასთან პირადი გამოცდილება არ მიგვიყვანს. მაგრამ ასეთ ჭეშმარიტებათა შემთხვევაშიც კი, ადამიანი მათი მნიშვნელობის ბევრად უფრო დიდ ნაწილს გაიგებდა, ხოლო რაც გაიგო, ბევრად უფრო ღრმად აღიბეჭდებოდა მის გონებაში, ის რომ შეჩვეული ყოფილიყო მისი სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტების მოსმენას იმათგან, ვისთვისაც ის გასაგებია. ადამიანების საბედისწერო მიდრეკილება, შეწყვიტონ რამეზე ფიქრი, როგორც კი ის ეჭვქვეშ აღარ დგას, იწვევს მათი შეცდომების ნახევარს. ერთმა თანამედროვე ავტორმა კარგად შენიშნა „უეჭველი შეხედულების ღრმა თვლემის“ თაობაზე.

რას ამბობთ! (შეიძლება იკითხოს ვინმემ) განა ერთსულოვნების არარსებობა აუცილებელი პირობაა ჭეშმარიტი ცოდნისთვის? განა აუცილებელია, რომ კაცობრიობის ნაწილი შეცდომაში დარჩეს, რათა ვინმემ შეძლოს ჭემარიტების გაგება? განა რწმენა კარგავს თავის სინამდვილეს და ცხოველმყოფელობას, როგორც კი მას საყოველთაოდ მიიღებენ? და განა დებულება ბოლომდე გაგებული და განცდილი არ არის, თუ მის მიმართ რაღაც ეჭვი არ რჩება? განა ჭეშმარიტება ქრება მაშინვე, როგორც კი კაცობრიობა ერთსულოვნად მიიღებს მას? აქამდე ფიქრობდნენ, რომ აზროვნების სრულყოფის უმაღლესი მიზანი და საუკეთესო შედეგია კაცობრიობის სულ უფრო მეტად გაერთიანება ყველა მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების აღიარებაში; და განა აზროვნება მხოლოდ იქამდე არსებობს, ვიდრე მას თავისი მიზნისთვის არ მიუღწევია? განა მონაპოვარს ანადგურებს თავად გამარჯვების სისრულე?

მე მსგავსს არფერს ვამტკიცებ. კაცობრიობის წინსვლასთან ერთად გამუდმებით იზრდება იმ მოძღვრებათა რაოდენობა, რომლებიც აღარ არის დავის ან ეჭვის საგანი; და შეიძლება კაცობრიობის კეთილდღეობა თითქმის სრულად გაიზომოს იმ ჭეშმარიტებათა რაოდენობით და წონით, რომელთაც უტყუარობის მწვერვალს მიაღწიეს. ერთი კითხვის შემდეგ მეორის დასმის გზით სერიოზული დაპირისპირების შეწყვეტა შეხედულებათა კონსოლიდაციის ერთ-ერთი აუცილებელი თანამდევი მოვლენაა; ასეთი კონსოლიდაცია იმდენადვე მისასალმებელია ჭეშარიტი შეხედულებების შემთხვევაში, რამდენადაც საშიში და დამღუპველია, როცა შეხედულებები მცდარია. მართალია, შეხედულებათა მრავალფეროვნების საზღვრების ასე თანდათანობით დავიწროება აუცილებელია ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობით – როგორც გარდაუვალი, ისე აუცილებლად საჭირო ერთდროულად, მაგრამ ეს არ გვავალდებულებს დავასკვნათ, რომ ყველა მისი შედეგი სა-

სარგებლო უნდა იყოს. ჭეშმარიტების გააზრებული და ცოცხალი წვდომის ისეთი მნიშვნელოვანი საშუალების დაკარგვა, როგორსაც ოპონენტებისთვის მისი ახსნის ან მათ წინაშე მისი დაცვის აუცილებლობა გვაძლევს, თუმცა ვერ გადაწონის მისი უნივერსალურად აღიარების უპირატესობას, არც ასეთი აღიარების უმნიშვნელო ნაკლოვანება არ არის. როცა უკვე აღარ გვექნებოდა ხელთ ეს საშუალება, უნდა გამოვტყდე, მომინდებოდა მენახა, როგორ შეეცდებოდნენ კაცობრიობის მასწავლებლები მისთვის შემცვლელის მოძებნას; რას მოიფიქრებდნენ იმისათვის, რომ საკითხის სიძნელეები ისევე ცხადად გაეცნობიერებინებინათ მოსწავლეებისთვის, როგორც ამას იზამდა საწინააღმდეგო აზრის დამცველი, რომელიც მათ საკუთარ აზრზე მოქცევას ესწრაფვის.

მაგრამ ამ მიზნისთვის ახალი საშუალებების ძებნის ნაცვლად მასწავლებლებმა ისიც დაკარგეს, რაც მანამდე ჰქონდათ. სოკრატული დიალექტიკა, რომლის დიდებული ნიმუშებია პლატონის დიალოგები, სწორედ ამ სახის საშუალება იყო. ეს დიალოგები არის დიდი ფილოსოფიური და ცხოვრებისეული საკითხების არსებითად ნეგატიური განხილვა და სრულყოფილი ოსტატობით ახორციელებს მიზანს: ყველა, ვინც უბრალოდ იღებს დამკვიდრებული შეხედულების ბანალობებს, დაარწმუნოს იმაში, რომ მას არ ესმის საკითხი – რომ ის ჯერ არავითარ განსაზღვრულ მნიშვნელობას არ უკავშირებს მის მიერ აღიარებულ მოძღვრებებს; ეს იმისთვის, რომ ადამიანმა საკუთარი უმეცრების გაცნობიერების შემდეგ შეძლოს სტაბილური რწმენის მოპოვების გზაზე დადგომა – რწმენისა, რომელიც ემყარება როგორც მოძღვრებათა შინაარსის, ისე მათი საბუთების ნათელ გაგებას. შუა საუკუნეების სქოლასტიკურ[36] დისპუტებს დაახლოებით მსგავსი მიზანი ჰქონდა. ისინი ჩაფიქრებული იყო იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოწაფეს გაეგო საკუთარი და (აუცილებელი კორელაციით) მისი საპირისპირო შეხედულება, შეეძინა პირველის საფუძვლების გამყარებისა და მეორის საფუძვლების შერყევის უნარი. თუმცა, ამ უკანასკნელ პაექრობებს ერთი განუკურნავი ნაკლი ჰქონდა: მათში მოხმობილი წანამძღვრები ავტორიტეტისგან იყო მიღებული და არა გონებისგან; როგორც გონების ვარჯიში, ისინი ყველა თვალსაზრისით ნაკლებ სრულფასოვანი იყო იმ მძლავრ დიალექტიკასთან შედარებით, რომელიც "Socratici viri"[37] ინტელექტს აყალიბებდა. მაგრამ თანამედროვე აზროვნება გაცილებით მეტადაა დავალებული ორივესგან, ვიდრე მას საზოგადოდ სურს აღიაროს, ხოლო განათლების თანამედროვე ფორმები არაფერს შეიცავს ისეთს, რაც უმცირესი ხარისხით მაინც შეავსებდა ერთის ან მეორის ადგილს. ადამიანი, რომელიც მთელ თავის ცოდნას იღებს მასწავლებლებისგან ან წიგნებიდან, თუნდაც მან თავი დააღწიოს მარადიულ ცდუნებას, დაზეპირებით დაკმაყოფილდეს, არასოდეს არ იქნება იძულებული, ორივე მხარეს მოუსმინოს; შესაბამისად, ორივე მხარის ცოდნის მიღწევა, თუნდაც მოაზროვნეთა შორის, სულაც არ არის ხშირი; ყოველი ადამიანის მიერ საკუთარი შეხედულების დასაცავად წამოყენებული მოსაზრებების ყველაზე სუსტი ნაწილი ის არის, რაც მას ჩაფიქრებული აქვს მოწინააღმდეგეთათვის პასუხად. დღეს მოდაშია ნეგატიური ლოგიკის მნიშვნელობის დაკნინება – ლო-

გიკისა, რომელიც თეორიულ სისუსტეებს ან პრაქტიკულ შეცდომებს აჩვენებს პოზიტიური ჭეშმარიტებების დაფუძნების გარეშე. ასეთი ნეგატიური კრიტიკა, როგორც საბოლოო შედეგი, მართლაც საკმაოდ ცუდი იქნებოდა; მაგრამ შეუძლებელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის, როგორც საშუალება ნებისმიერი ისეთი რამის მისაღწევად, რაც პოზიტიური ცოდნის ან რაციონალური რწმენის სახელს იმსახურებს. და სანამ ისევ არ დაიწყება ადამიანების რეგულარულად წვრთნა ამაში, იარსებებს ცოტა დიდი მოაზროვნე და ინტელექტის საერთო დაბალი დონე აზროვნების ყველა სფეროში, მათემატიკისა და ფიზიკის გარდა. ნებისმიერ სხვა საკითხზე არავის შეხედულება არ იმსახურებს ცოდნის სახელს, თუ მას სხვების მიერ იძულებით ან საკუთარი ინიციატივით არ გაუვლია აზროვნების იგივე პროცესი, რომლის გავლაც ოპონენტებთან აქტიური დაპირისპირების შემთხვევაში მოუწევდა. ამრიგად, აბსურდზე რამდენად უარესი უნდა იყოს უარის თქმა იმაზე, რაც ასე აუცილებელია, მაგრამ ასე ძნელი შესაქმნელია მისი არქონის შემთხვევაში, როცა ის სპონტანურად გვთავაზობს თავს! თუ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ეპაექრებიან გავრცელებულ შეხედულებას ანდა ასე მოიქცეოდნენ, კანონს ან შეხედულებას რომ საშუალება მიეცა მათთვის, მადლობა ვუთხრათ მათ, გონების ყური მივაპყროთ მათ და გვიხაროდეს, რომ არსებობს ვიღაც, ვინც ჩვენს ნაცვლად აკეთებს იმას, რაც სხვა შემთხვევაში თავად უნდა გაგვეკეთებინა ბევრად უფრო დიდი შრომის ფასად, თუკი საერთოდ რამედ ვაგდებთ ჩვენი რწმენების უტყუარობას ან სიცოცხლისუნარიანობას.

განსახილველი დაგვრჩა კიდევ ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც შეხედულებათა მრავალფეროვნება სასარგებლოა და ასე იქნება, ვიდრე კაცობრიობა არ გადავა ინტელექტუალური განვითარების იმ საფეხურზე, რომლისგანაც ამჟამად განუზომლად დიდი მანძილი გვაშორებს. აქამდე ჩვენ მხოლოდ ორ შესაძლებლობაზე ვიმსჯელეთ: ერთი, გავრცელებული შეხედულება შეიძლება მცდარი იყოს და, შესაბამისად, რაღაც სხვა შეხედულება – ჭეშმარიტი; მეორე, თუ გავრცელებული შეხედულება ჭეშმარიტია, საპირისპირო შეცდომასთან დაპირისპირება არსებითია ჭეშმარიტების ნათელი წვდომისა და ღრმა განცდისათვის. მაგრამ არსებობს ამ ორზე უფრო ჩვეულებრივი შემთხვევაც, კერძოდ, როცა ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტში მყოფი მოძღვრებებიდან ერთი ჭეშმარიტი იყოს და მეორე მცდარი, ჭეშმარიტება განაწილებულია მათ შორის და დამკვიდრებულთან დაპირისპირებული შეხედულება საჭიროა, რათა შეავსოს ჭეშმარიტება, რომლის მხოლოდ ნაწილს შეიცავს აღიარებული მოძღვრება. პოპულარული შეხედულებები შეგრძნებებისთვის მიუწვდომელ საკითხებზე ხშირად ჭეშმარიტია, მაგრამ იშვიათად ან არასოდეს არის სრული ჭეშმარიტება. ისინი ჭეშმარიტების რაღაც, ზოგჯერ უფრო დიდი, ზოგჯერ უფრო მცირე ნაწილია, მაგრამ გაზვიადებული, დამახინჯებული და მოწყვეტილი იმ ჭეშმარიტებებისგან, რომლებიც მას უნდა ახლდეს და მას უნდა ზღუდავდეს. მეორე მხრივ, ერეტიკული შეხედულებები, როგორც წესი, ასეთი დათრგუნული და უგულებელყოფილი ჭეშმარიტებებია, რომლებიც წყვეტენ მათ შემბოჭავ არტახებს და ან გავრცელებულ შეხედულება-

ში მოცემულ ჭეშმარიტებასთან კავშირების აღდგენას ესწრაფვიან, ან მას მტრებივით უპირისპირდებიან და საკუთარ თავს ისეთივე კატეგორიულობით აცხადებენ სრულ ჭეშმარიტებად. ეს ბოლო შემთხვევა დღემდე ყველაზე ხშირია, რადგან ადმიანის გონებაში ცალმხრივობა ყოველთვის წესი იყო, ხოლო მრავალმხრივობა – გამონაკლისი. ამდენად, შეხედულებების რევოლუციებშიც, ჩვეულებრივ, ჭეშმარიტების ერთი ნაწილი იძირება, როცა მეორე აღზევებას განიცდის. თვით პროგრესიც, რომელიც უნდა ზრდიდეს ჭეშმარიტებას, ძირითადად მხოლოდ ცვლის ერთ ნაწილობრივ და არასრულ ჭეშმარიტებას მეორით; გაუმჯობესება ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტების ახალი ფრაგმენტი უფრო სასურველია, უფრო მორგებულია დროის მოთხოვნებს, ვიდრე ის, რომლის ადგილსაც ის იკავებს. ვინაიდან ასეთი ნაწილობრივი ხასიათი აქვს გაბატნებულ შეხდულებას მაშინაც კი, როცა ის ჭეშმარიტ საფუძველს ემყარება, ყოველი შეხედულება, რომელიც შეიცავს ჭეშმარიტების რაღაც ისეთ ნაწილს, რომელიც გავრცელებულ შეხედულებაში გამოტოვებულია, ღირებულად უნდა ჩაითვალოს, რაოდენ ბევრი შეცდომითა და გაუგებრობითაც უნდა იყოს ეს ჭეშმარიტება გაზავებული. ადამიანების საქმეების არც ერთ ფხიზელ მსაჯულს არ მოერევა აღშფოთება იმის გამო, რომ იმათ, ვინც გვაიძულა შეგვემჩნია ჭეშმარიტებები, რომლებიც სხვა შემთხვევაში მხედველობიდან გამოგვეპარებოდა, თვითონ ეპარებათ მხედველობიდან ზოგი ის ჭეშმარიტება, რომელთაც ჩვენ ვხედავთ. პირიქით, ის იფიქრებს, რომ, რადგან პოპულარული ჭეშმარიტება ცალმხრივია, არასასურველი კი არა, სასურველია, რომ არაპოპულარულ ჭეშმარიტებასაც ცალმხრივი დამცველები ჰყავდეს; რადგან ასეთი დამცველები არიან ხოლმე ყველაზე ენერგიულები და, ყველაზე სავარაუდოა, რომ მათ ძალუძთ ადამიანების ნების საწინაღმდეგოდ მათი ყურადღების მიპყრობა სიბრძნის იმ ფრაგმენტზე, რომელსაც ისე ავრცელებენ, თითქოს ის მთელი იყოს.

ასე მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნეში, როცა თითქმის ყველა სწავლული და მათ კვალდაკვალ ყველა უსწავლელიც თავდავიწყებამდე იყო აღტაცებული იმით, რასაც ცივილიზაციას უწოდებენ, თანამედროვე მეცნიერების, ლიტერატურის და ფილოსოფიის საოცრებების ჩათვლით, როცა ყველა ძალიან გადაჭარბებით აფასებდა განსხვავებას ახალი დროისა და ძველი დროის ადამიანებს შორის და თავს იტყუებდა რწმენით, რომ ყველა განსხვავება პირველებს ანიჭებდა უპირატესობას, მართლაც სასიკეთო შოკი მოჰყვა რუსოს[38] პარადოქსების ბომბივით აფეთქებას, რომელმაც განდევნა ცალმხრივი შეხედულების კომპაქტური მასა და გამოიწვია მისი ელემენტების ხელახლა კომბინირება უკეთესი, ახალი ინგრედიენტებით შევსებული ფორმით. საქმე ის კი არ არის, რომ გავრცელებული შეხედულებები მთლიანობაში უფრო შორს იყო ჭეშმარიტებისგან, ვიდრე რუსოს შეხედულებები; პირიქით, ისინი უფრო ახლოს იყო მასთან, მეტ პოზიტიურ ჭეშმარიტებას შეიცავდა და ბევრად ნაკლებ შეცდომას. ამის მიუხედავად, რუსოს მოძღვრება შეიცავდა ჭეშმარიტებების ზუსტად იმ რაოდენობას, რომლებიც პოპულარულ შეხედულებას აკლდა და რუსოს შეხედულების ნაკადმა მოიყოლა.

სწორედ ისინი დაილექა წყალდიდობის დაკლების შემდეგ. უბრალო ცხოვრების მაღალი ღირებულება, ხელოვნური საზოგადოების ბარიერებისა და ფარისევლობის დამაძაბუნებელი და მადემორალიზებელი გავლენა – ეს ის იდეებია, რომელთა კვალიც რუსოს შემოქმედების შემდეგ არასოდეს ბოლომდე არ გამქრალა მოაზროვნე ადამიანების გონებიდან; დროთა განმავლობაში ისინი სათანადო შედეგს გამოიღებენ, თუმცა ამჟამად ადრინდელზე არანაკლებ საჭიროა მათი მტკიცება – თან მტკიცება საქმეებით, რადგან ამ საკითხზე სიტყვების ძალა თითქმის ამოწურულია.

ისევ პოლიტიკაზე, თითქმის ბანალობაა, რომ წესრიგისა და სტაბილურობის პარტიაც და პროგრესისა და რეფორმის პარტიაც – ორივე აუცილებელი ელემენტია ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრებისთვის. ასე იქნება იქამდე, ვიდრე ერთი ან მეორე ისე არ გააფართოებს თავისი აზროვნების ფარგლებს, რომ შეძლოს, თანაბრად იყოს წესრიგის პარტიაც და პროგრესის პარტიაც, რომელმაც იცის და შეუძლია ერთმანეთისგან გაარჩიოს ის, რის შენარჩუნებაც საჭიროა, და ის, რაც უნდა გაუქმდეს და მოისპოს. აზროვნების ამ ფორმებიდან თითოეულის სასარგებლოობა მეორის ნაკლოვანებებიდან მოდის; მაგრამ დიდწილად სწორედ მეორესთან დაპირისპირებაა ის, რაც თითოეულს გონიერებისა და საღი აზრის ფარგლებში აკავებს. თუ არ ხდება დემოკრატიისა და არისტოკრატიის, საკუთრებისა და თანასწორობის, კოოპერაციისა და კონკურენციის, ფუფუნებისა და ზომიერების, სოციალურობისა და ინდივიდუალურობის, თავისუფლებისა და წესრიგის, თუ პოლიტიკური ცხოვრების ნებისმიერი სხვა აქტიური დაპირისპირების ორი მხარის დამცველი შეხედულებების თანაბარი თავისუფლებით გამოხატვა და თანაბარი ნიჭითა და ენერგიით განხორციელება და დაცვა, გამორიცხულია, რომ ორივე ელემენტს თავისი კუთვნილი მიეზღოს; სასწორის ერთი პინა აუცილებლად მაღლა ავარდება, ხოლო მეორე დაბლა დაიწევს. ცხოვრების მნიშვნელოვან პრაქტიკულ საკითხებში ჭეშმარიტება იმდენად არის დამოკიდებული დაპირისპირებულთა შეთანხმებასა და შერწყმაზე, რომ ძალიან ცოტა ვინმეს თუ აქვს საკმარისად ფართო და მიუკერძოებელი გონება იმისთვის, რომ საკუთარი ძალებით შეძლოს სწორ პოზიციასთან მიახლოება; ასეთი მიახლოება უნდა განხორციელდეს მტრულ ბანაკებში გაერთიანებულ ძალებს შორის ბრძოლის უხეში პროცესით. თუ ზემოთ ჩამოთვლილი გადაუჭრელი დიდი საკითხებიდან ნებისმიერთან დაკავშირებით ორი საპირისპირო შეხედულებიდან რომელიმეს პრეტენზია, რომ უბრალოდ კი არ შეიწყნარონ, არამედ წაახალისონ და მხარი დაუჭირონ, მეორის შესაბამის პრეტენზიაზე უფრო საფუძვლიანია, ასეთი ის შეხედულებაა, რომელიც კონკრეტულ დროს და კონკრეტულ ადგილზე უმცირესობაშია. ეს ის შეხედულებაა, რომელიც მოცემულ დროს წარმოადგენს უგულებელყოფილ ინტერესებს – ადამიანის კეთილდღეობის იმ მხარეს, რომელსაც ემუქრება იმაზე ნაკლების მიღება, ვიდრე ერგება. მე ვიცი, რომ ამ საკითხების უმრავლესობასთან დაკავშირებით შეხედულებათა სხვადასხვაობის მიმართ არავითარი შეუწყნარებლობა არ არსებობს ამ ქვეყანაში. მრავალი აღიარებული მაგალითი მოჰყავთ

იმ ფაქტის უნივერსალურობის საჩვენებლად, რომ შეხედულებათა ერთადერთი ჭეშმარიტი მრავალფეროვნება განხორციელებულია ადამიანის ინტელექტის დღევანდელ მდგომარეობაში; რომ ჭეშმარიტების ყველა მხარეს აქვს შანსი, სამართლიან თამაშში ჩაებას. თუკი არსებობენ ადამიანები, რომლებიც გამონაკლისს შეადგენენ რაიმე საკითხზე მთელი ქვეყნის აშკარა ერთსულოვნებიდან, თუნდაც მთელი ქვეყანა მართალი იყოს, ყოველთვის სავარაუდოა, რომ უთანხმოებაში მყოფთ რაღაც ყურადსაღები აქვთ სათქმელი თავის დასაცავად და რომ ჭეშმარიტება მათი დუმილით რაღაცას დაკარგავდა.

შეიძლება შეგვედავონ: „მაგრამ ზოგიერთი დამკვიდრებული პრინციპი, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან და სასიცოცხლო საკითხებს ეხება, ხომ მეტია, ვიდრე ნახევრად ჭეშმარიტება. მაგალითად, ქრისტიანული მორალი სრული ჭეშმარიტებაა მორალის საკითხებზე და თუ ვინმე მისგან განსხვავებულ ზნეობას ქადაგებს, ის მთლიანად ცდება“. როგორც ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობისაა, საუკეთესო გზაა ზოგადი მაქსიმის შემოწმება. მაგრამ სანამ გამოვაცხადებდეთ, თუ რა არის ან არ არის ქრისტიანული მორალი, სასურველი იქნებოდა გადაგვეწყვიტა, თუ რა იგულისხმება ქრისტიანულ მორალში. თუ ეს ახალი აღთქმის მორალს ნიშნავს, მე მიკვირს, რომ რომელიმე ადამიანს, ვინც ამ საკითხის შესახებ თავის ცოდნას თავად ამ წიგნიდან იღებს, შეიძლება ეფიქრა, რომ ეს წიგნი ზნეობის სრულ მოძღვრებად იყო გამოცხადებული ან ჩაფიქრებული. სახარება ყოველთვის მანამდე არსებულ მორალს ეყრდნობა და თავის შეგონებებს იმ კონკრეტული შემთხვევებით ზღუდავს, რომლებშიც ეს ძველი მორალი შესწორებას ან უფრო ფართო და მაღალი მორალით შეცვლას საჭიროებს; მეტიც, ის გვესაუბრება ყველაზე ზოგადი ტერმინებით, რომელთა სიტყვასიტყვით ინტერპრეტაცია ხშირად შეუძლებელია, და მისი ძალა უფრო მეტად პოეზიის ან მჭევრმეტყველების შთამბეჭდაობაშია, ვიდრე კანონმდებლობის სიზუსტეში. მისგან ეთიკური მოძღვრების გამოყვანა არასოდეს იყო შესაძლებელი ძველი აღთქმით – ამ მართლაც დახვეწილი, მაგრამ ბევრი თვალსაზრისით ბარბაროსული სისტემით, რომელიც მხოლოდ ბარბაროსებისთვის იყო გამიზნული – მისი შევსების გარეშე. წმინდა პავლე, მოძღვრების ასეთი იუდაური სახით ინტერპრეტაციისა და მისი მასწავლებლის სქემის შევსების დაუფარავი მტერი, ასევე გულისხმობს წინასწარ არსებულ მორალს, სახელდობრ, ბერძნებისა და რომაელების მორალს; და რასაც ის ქრისტიანებს სთავაზობს, დიდწილად ამ უკანასკნელთანაა მორგებული; იმ ზომამდეც კი, რომ აშკარა სანქციას აძლევს მონობას. ის, რასაც ქრისტიანულს უწოდებენ, მაგრამ თეოლოგიურ მორალს უნდა უწოდებდნენ, არ შეუქმნიათ ქრისტეს ან მის მოციქულებს; ის ბევრად უფრო გვიან ჩამოყალიბდა – თანდათანობით ააგო კათოლიკურმა ეკლესიამ პირველი ხუთი საუკუნის განმავლობაში; და თუმცა თანამედროვეებმა და პროტესტანტებმა ის უპირობოდ არ მიიღეს, მათ ის გაცილებით ნაკლებად შეცვალეს, ვიდრე შეიძლება მოსალოდნელი ყოფილიყო. მართლაც, ისინი ძირითადად დასჯერდნენ შუა საუკუნეებში შეტანილი დამატებების ამოჭ-

რას; გათავისუფლებულ ადგილს თითოეული სექტა ახალი, საკუთარ ხასიათსა და ტენდენციებზე მორგებული დამატებებით ავსებდა. მე არავითარ შემთხვევაში არ უარვყოფ, რომ კაცობრიობა დიდად არის დავალებული ამ მორალისა და მისი ადრეული მასწავლებლებისგან. მაგრამ არ მეუხერხულება ვთქვა, რომ მრავალი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით ის არასრული და ცალმხრივია; და ევროპული ცხოვრების წესისა და ხასიათის ჩამოყალიბებაში წვლილი რომ არ შეეტანათ იდეებსა და გრძნობებს, რომელთაც ის არ იწონებს, ადამიანების ყოფა იმაზე უარეს მდგომარეობაში იქნებოდა, ვიდრე ახლაა. (ეგრეთ წოდებულ) ქრისტიანულ ზნეობას რეაქციის ყველა ნიშანი აქვს; ის დიდწილად პროტესტია წარმართობის წინააღმდეგ. მისი იდეალი ნეგატიურია და არა პოზიტიური, პასიური და არა აქტიური, უმანკოება და არა წარჩინებულობა, ბოროტებისგან თავის შეკავება და არა სიკეთის ენერგიული ძიება. მის შეგონებებში (როგორც მოსწრებულად ითქვა) „შენ არ უნდა“ მეტისმეტად ჭარბობს „შენ უნდა“-ს. ავხორცობით შეძრწუნებულმა, მან კერპად აქცია ასკეტიზმი, რომელიც თანდათან შერბილდა და კანონიერების კერპად გარდაიქმნა. ის სამოთხით დაიმედებასა და ჯოჯოხეთით მუქარას გვთავაზობს სათნო ცხოვრების დადგენილ და შესაფერის მოტივებად. ამით ის უფრო დაბლა ეცემა, ვიდრე ანტიკურობის საუკეთესო მოძღვრებები; ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ადამიანის მორალურობას არსებითად ეგოისტური ხასიათი შესძინოს: წყვეტს კავშირებს ცალკეული ადამიანის მოვალეობის გრძნობასა და მისი თანამოძმეების ინტერესებს შორის, იმ შემთხვევის გარდა, როცა ადამიანს პირადი დაინტერესებით წახალისებას სთავაზობს იმისთვის, რომ მან სხვებს გაუწიოს ანგარიში. ის არსებითად პასიური მორჩილების მოძღვრებაა და გვინერგავს ყველა უკვე დამკვიდრებული ავტორიტეტის წინაშე ქედის მოხრას: მართალია, მათ არ უნდა დავემორჩილოთ აქტიურად, თუ ისინი იმას გვიბრძანებენ, რასაც რელიგია კრძალავს, მაგრამ მათ არ უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა და, მით უმეტეს, არ უნდა ავუჯანყდეთ ჩვენ წინაშე ჩადენილი არავითარი უსამართლობისთვის. იმ დროს, როცა საუკეთესო წარმართი ერების ზნეობაში ქვეყნის წინაშე მოვალეობას გადაჭარბებული ადგილიც კი უჭირავს და ინდივიდის კანონიერ თავისუფლებას ზღუდავს, წმინდად ქრისტიანული ეთიკა მოვალეობის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს თითქმის სულ ვერ ამჩნევს და არ აღიარებს. ყურანში და არა ახალ აღთქმაში ვკითხულობთ მაქსიმას: „მმართველი, რომელიც რაიმე თანამდებობაზე ნიშნავს ერთ ადამიანს მაშინ, როცა მის ქვეშევრდომებს შორის ამისათვის უკეთ მომზადებული სხვა ადამიანი მოიპოვება, სცოდავს ღმერთისა და ქვეყნის წინაშე.“ ის მცირე აღიარებაც, რომელიც საზოგადოების წინაშე მოვალეობას აქვს თანამედროვე მორალში, მიღებულია არა ქრისტიანული, არამედ ბერძნული და რომაული წყაროებიდან. პირადი ცხოვრების მორალშიც კი, თუკი არსებობს რაიმე ნასახი დიდსულოვნებისა, სულგრძელობისა, პირადი ღირსებისა და თვით პატიოსნების გრძნობისაც, ის მიღებულია განათლების არა რელიგიური, არამედ წმინდად ადამიანური ნაწილისგან და ვერასოდეს ამოიზრდებოდა

ისეთი ეთიკის სტანდარტიდან, რომელშიც მრწამსით აღიარებული ერთადერთი ღირებულებაა მორჩილება.

მე ასევე ძალიან შორს ვარ მტკიცებისგან, რომ ეს ნაკლოვანებები აუცილებლად შინაგანია ქრისტიანული ეთიკის ნებისმიერი შესაძლო გაგებისთვის, ან რომ მასთან შეუთავსებადია სრული მორალური მოძღვრებისთვის აუცილებელი ბევრი ის ნაწილი, მას რომ აკლია. კიდევ უფრო ნაკლებ წამოვაყენებდი მსგავს ეჭვებს თავად ქრისტეს მოძღვრებებისა და შეგონებების მიმართ. მჯერა, რომ ქრისტეს გამონათქვამებში არის ყველაფრი ის, რისთვისაც ისინი ჩაფიქრებული იყო ყველა იმ საბუთის მიხედვით, რომელთა დანახვაც მე ძალმიძს: რომ ისინი შეუთავსებადი არ არის არაფერთან, რასაც ყოველმხრივი ზნეობრიობა მოითხოვს; რომ ყველაფერი, რაც შესანიშნავია ეთიკაში, შეიძლება მათ ისე დაემატოს, რომ იმაზე მეტ ძალადობას არ მოითხოვდეს მათი ენის მიმართ, ვიდრე ძალადობა, რომელიც განახორციელა ყველამ, ვისაც ოდესმე უცდია მათგან ქცევის რაიმე პრაქტიკული სისტემის გამოყვანა. მაგრამ ამ ყველაფერთან სავსებით თავსებადია რწმენა, რომ ისინი ჭეშმარიტების მხოლოდ ნაწილს შეიცავს და მეტისთვის არც იყო ჩაფიქრებული; რომ უმაღლესი ზნეობრიობის ბევრი არსებითი ელემენტი არ არის მოცემული ქრისტიანობის ფუძემდებლის ჩაწერილ საუბრებში და არც იყო ჩაფიქრებული მათი იქ მოცემა; და რომ ეს ელემენტები სავსებით უგულებელყოფილია ეთიკის სიტემაში, რომელიც ამ საუბრების საფუძველზე ააგო ქრისტიანულმა ეკლესიამ. ამიტომ, ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა, გავაგრძელოთ ქრისტიანულ მოძღვრებაში ჩვენი ქცევის წარმმართველი იმ სრული კოდექსის ძებნა, რომლის სანქცირება და დანერგვა, მაგრამ ჩვენთვის მხოლოდ ნაწილობრივ მოწოდებაც ჩაიფიქრა ამ მოძღვრების ავტორმა. მე ასევე მჯერა, რომ ეს ვიწრო თეორია პირქუშ პრაქტიკულ ბოროტებად იქცევა, რაც ძალზე აკნინებს იმ სახის მორალური აღზრდისა და განათლების ღირებულებას, რომლის დანერგვასაც ძალიან ცდილობს ახლა ბევრი კეთილმოსურნე ადამიანი. სერიოზულად ვშიშობ, რომ ცდა, ჩამოაყალიბონ გონება და გრძნობები მხოლოდ რელიგიური სტანდარტებით, იმ საერო (უკეთესი სახელის არქონის გამო მათ შეიძლება ასე ვუწოდოთ) სტანდარტების უგულებელყოფით, რომლებიც აქამდე ქრისტიანულ ეთიკასთან თანაარსებობდა და ავსებდა მას, თავადაც იღებდა მისი სულისკვეთების რაღაც ნაწილს და მასაც სძენდა საკუთარიდან რაღაცას, შედეგად მოგვცემს და უკვე გვაძლევს კიდეც ხასიათის დაბალ, საცოდავ, მონურ ტიპს; ამ ტიპის ადამიანს, თუმცა ის როგორც შეუძლია ემორჩილება იმას, რაც უზენაეს ნებად მიაჩნია, არ ძალუძს უზენაესი სიკეთის ცნებამდე ამაღლება ან მისი განცდა. ჩემი რწმენით, კაცობრიობის ზნეობრივი აღორძინებისთვის ქრისტიანული ეთიკის გვერდით უნდა არსებობდეს სხვა ეთიკაც, განსხვავებული ყველა იმ ეთიკისგან, რომელიც მხოლოდ ქრისტიანული წყაროებიდან შეიძლება განვითარდეს; მწამს აგრეთვე, რომ ქრისტიანული სისტემა არ წარმოადგენს გამონაკლისს წესიდან, რომლის თანახმად ადამიანის გონების არასრულყოფილ მდგომარეობაში ჭეშმარიტების ინტერესები მოითხოვს შეხედულებათა მრავალფეროვნებას. აუცილებელი არ

არის, რომ თუ ადამიანი შეწყვეტს იმ ზნეობრივ ჭეშმარიტებათა უგულებელყოფას, რომელთაც ქრისტიანობა არ შეიცავს, მან უნდა უგულებელყოს რომელიმე ჭეშმარიტება, რომელსაც ის შეიცავს. ასეთი ცრურწმენა ან წინდაუხედაობა, თუ ხდება, რა თქმა უნდა ბოროტებაა; მაგრამ შეუძლებელია, მისგან ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლების იმედი გვქონდეს და ეს ფასდაუდებელი სიკეთისთვის გადახდილ საზღაურად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა და ჯერ არს ჭეშმარიტების ნაწილის მთელ ჭეშმარიტებად ყოფნაზე განსაკუთრებული პრეტენზიის წინააღმდეგ ხმის ამაღლება; და თუ რეაქციული იმპულსის გამო მოდავენი თავადაც უსამართლონი აღმოჩნდებიან, მათი, ისევე, როგორც მათ მოწინააღმდეგეთა ცალმხრივობის გამო შეიძლება საყვედური გამოვთქვათ, მაგრამ უნდა შევიწყნაროთ ისინი. თუ ქრისტიანები ურწმუნოთ მოუწოდებდნენ, სამართლიანობა გამოეჩინათ ქრისტიანობის მიმართ, ისინი თავადაც სამართლიანები უნდა იყონ ურწმუნობის მიმართ. ჭეშმარიტებას სულ არ გაუწევს სამსახურს თვალის დახუჭვა ლიტერატურის ისტორიის ოდნავ მაინც მცოდნე ყველა ადამიანისთვის ცნობილ იმ ფაქტზე, რომ ყველაზე გამორჩეული და ყველაზე ღირებული ზნეობრივი მოძღვრების დიდი ნაწილი შექმნეს არა მხოლოდ ადამიანებმა, რომელთაც არაფერი სმენოდათ ქრისტიანულ მრწამსზე, არამედ იმათაც, ვინც იცოდა მის შესახებ, მაგრამ უკუაგდებდა მას.

მე არ ვამტკიცებ, რომ ყველა შესაძლო შეხედულების აღიარების ყველაზე შეუზღუდავი თავისუფლება ბოლოს მოუღებდა რელიგიური ან ფილოსოფიური სექტანტობის მანკიერებებს. უეჭველია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები ყოველ ჭეშმარიტებას, რომელიც მათ გულწრფელად სჯერათ, ყოველთვის ისე ამტკიცებენ, იმეორებენ და მრავალი თვალსაზრისით სამოქმედო პრინციპადაც კი იხდიან, თითქოს სამყაროში არ არსებობდეს არც ერთი სხვა ჭეშმარიტება ან, ყოველ შემთხვევაში, არც ერთი სხვა ჭეშმარიტება, რომელსაც შეიძლება შეეზღუდა, შემოეფარგლა პირველი. მე ვაღიარებ, რომ ყოველი შეხედულებისთვის დამახასიათებელი ტენდენცია, შეიძინოს სექტური ხასიათი, არათუ არ იკურნება ყველაზე თავისუფალი დისკუსიითაც კი, არამედ ხშირად ძლიერდება და მძაფრდება კიდეც ამ უკანასკნელით; ჭეშმარიტებას, რომელიც უნდა დაენახათ, მაგრამ ვერ დაინახეს, კიდევ უფრო გააფთრებით უკუაგდებენ ხოლმე იმის გამო, რომ მას აღიარებენ ადამიანები, რომლებიც ოპონენტებად მიაჩნიათ. მაგრამ შეხედულებათა ასეთი დაპირისპირება სასიკეთო გავლენას ახდენს არა რომელიმე მხარის მღელვარე დამცველზე, არამედ უფრო მშვიდ და დაუინტერესებელ დამკვირვებელზე. საზარელი ბოროტებაა არა ჭეშმარიტების სხვადასხვა ნაწილს შორის მწვავე შეჯახება, არამედ მისი ერთი ნახევრის ჩუმი დათრგუნვა; ყოველთვის არსებობს იმედი, თუკი ადამიანები იძულებული არიან, ორივე მხარეს მოუსმინონ; როცა ისინი მხოლოდ ერთ მხარეს უსმენენ, სწორედ მაშინ ხდება შეცდომების გაქვავება მცდარ რწმენებად და თავად ჭეშმარიტებაც კარგავს ჭეშმარიტების ძალას, რადგან გაზვიადება მას მცდარობად აქცევს. მენტალური თვისებებიდან ცოტა რამაა უფრო იშვიათი, ვიდრე სამართლიანობის

ისეთი უნარი, რომ ადამიანს შეაძლებინოს ორ მხარეს შორის დავის გონივრულად განსჯა, როცა ამ მხარეთაგან მხოლოდ ერთს წარმოადგენს დამცველი მის წინაშე, ამიტომ ჭეშმარიტების გამარჯვების შანსი ზუსტად იმის პროპორციულია, რომ მის ყოველ მხარეს – ყოველ შეხედულებას, რომელიც ჭეშმარიტების რაიმე ნასახს შეიცავს – მარტო დამცველები კი არ მოეძებნოს, არამედ მისი დაცვა სხვებსაც ესმოდეთ.

ამრიგად, ჩვენ ვუჩვენეთ კაცობრიობის გონებრივი კეთილდღეობისთვის (მასზეა დამოკიდებული მისი ყველა სხვაგვარი კეთილდღეობა) შეხედულების თავისუფლებისა და შეხედულების გამოხატვის თავისუფლების აუცილებლობა და გამოვყავით ამის ოთხი სხვადასხვა საფუძველი, რომელთაც ახლა მოკლედ შევაჯამებთ.

პირველი, როცა რაიმე შეხედულების მომხრეებს აიძულებენ, რომ დადუმდნენ, ეს შეხედულება, რამდენადაც ჩვენ დანამდვილებით ვიცით, შეიძლება ჭეშმარიტი იყოს. ამის უარყოფა კი საკუთარი უცდომლობის დაშვებაა.

მეორე, ჩაჩუმებული შეხედულება შეცდომაც რომ იყოს, ის შეიძლება ჭეშმარიტების ნაწილს შეიცავდეს და ძალიან ხშირად სწორედ ასეა. და რადგან ნებისმიერ საკითხზე გავრცელებული ან გაბატონებული შეხედულება იშვიათად ან არასოდეს არის მთელი ჭეშმარიტება, მხოლოდ საპირისპირო შეხედულებათა შეჯახება ქმნის იმის შანსს, რომ ჭეშმარიტების დანარჩენი ნაწილი მისაწვდომი გახდეს.

მესამე, თუნდაც გავრცელებული შეხედულება უბრალოდ ჭეშმარიტი კი არა, სრული ჭეშმარიტებაც იყოს, თუკი მას წარსულში არ შებრძოლებიან ან ახლა არ ებრძვიან გააფთრებითა და გულწრფელად, მის გამზიარებელთა უმრავლესობა მას მიიღებს ბრმად, მისი რაციონალური საფუძვლების გაგებისა და განცდის გარეშე. და ამის გარდა, მეოთხე, თავად მოძღვრების შინაარსს ექმნება საფრთხე, რომ გაქრეს ან დასუსტდეს და დაკარგოს ხასიათსა და ქცევაზე ზემოქმედების ცხოველმყოფელი ძალა. დოგმა იქცევა მხოლოდ ფორმალურ აღიარებად, რომელსაც სიკეთის მოტანა არ ძალუძს, ის ბორკავს ადამიანს და ხელს უშლის გონებიდან ან პირადი გამოცდილებიდან რაიმე რალური და გულითადი მრწამსის გაღვივებას.

სანამ შეხედულების თავისუფლების საკითხზე მსჯელობას დავასრულებდე, რაღაც უნდა ვთქვა იმათი მისამართით, ვინც ამტკიცებს, რომ ყველა შეხედულების თავისუფალი გამოხატვა ნებადართული უნდა იყოს იმ პირობით, რომ გამოთქმის ხერხი ზრდილობიანია და არ სცდება სამართლიანი და პატიოსანი პაექრობის საზღვრებს. ბევრი შეიძლება ითქვას იმაზე, რომ შეუძლებელია დადგენა, სად უნდა გადიოდეს ეს ნაგულისხმევი საზღვრები; თუ ამის მაჩვენებლად მივიღებთ იმათ შეურაცხყოფას, ვის შეხედულებასაც თავს ესხმიან, ჩემი აზრით, გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთ შეურაცხყოფას ადგილი აქვს მაშინვე, როგორც კი თავდასხმა სერიოზული და მძლავრი აღმოჩნდება, და რომ ადამიანები უზრდელ ოპონენტად მიიჩნევენ ყველას, ვინც მათ მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევს და

ვისთვისაც პასუხის გაცემაც უჭირთ, თუკი ის ძალიან ღელავს სადავო საკითხზე. მართალია, ეს მნიშვნელოვანი მოსაზრებაა პრაქტიკული თვალსაზრისით, მაგრამ მას კიდევ უფრო ფუნდამენტურ შედავებასთან მივყავართ. უდავოა, რომ შეხედულების, თუნდაც ჭეშმარიტის, მტკიცების ხერხი შეიძლება ძალიან მიუღებელი იყოს და სამართლიანად გამოიწვიოს სასტიკი დაგმობა. მაგრამ ამ სახის სერიოზული შეურაცხყოფა, როგორც წესი, ისეთია, რომ, თუ ადამიანმა შემთხვევით თავად არ გაამჟღავნა თავი, შეუძლებელია მისი დანაშაულის დადგენა. ასეთთა შორის ყველაზე მძიმეა სოფისტური კამათი, ფაქტებისა და არგუმენტების დაფარვა, საქმის დეტალების არასწორი წარმოდგენა ან საპირისპირო თვალსაზრისის დამახინჯება. მაგრამ ამ ყველაფერს, ყველაზე მძიმე ხარისხითაც კი, იმდენად გამუდმებით სჩადიან სრულყოფილად კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც არ ითვლებიან და ბევრი სხვა თვალსაზრისით ალბათ არც იმსახურებენ, რომ უმეცრებად ან არაკომპეტენტურებად ითვლებოდნენ, რომ იშვიათადაა შესაძლებელი ადეკვატური საფუძვლებით, კეთილსინდისიერად გამოვაცხადოთ დამახინჯება ზნეობრივ დანაშაულად; კიდევ უფრო ნაკლებ შეიძლება კანონმა ითავოს ამ სახის სადავო უსაქციელობის აღკვეთა. რაც შეეხება იმას, რაც ჩვეულებრივ იგულისხმება ზღვარგადასულ კამათში, სახელდობრ, ლანძღვა, სარკაზმი, პიროვნებაზე აპელირება და მსგავსი – ასეთი საშუალებების დაგმობა მეტ თანაგრძნობას დაიმსახურებდა, ოდესმე რომ შემოეთავაზებინათ მათი აკრძალვა ორივე მხარისთვის ერთნაირად. მაგრამ, როგორც წესი, სურთ შეზღუდონ მათი გამოყენება მხოლოდ გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ; ხოლო არაგაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ მათი გამოყენება არა მხოლოდ საყოველთაო დაგმობის გარეშე შეიძლება, არამედ მოსალოდნელია, რომ ის, ვინც მათ იყენებს, ამით გულწრფელი ენთუზიაზმისა და სამართლიანი აღშფოთების საქებარ სახელს მოიმკის. მაგრამ რამხელაც უნდა იყოს ამ საშუალებების გამოყენებით გამოწვეული ზიანი, ის უფრო დიდია უფრო დაუცველის წინააღმდეგ მათი გამოყენების შემთხვევაში; და რამხელაც უნდა იყოს უსამართლო უპირატესობა, რომელსაც რაიმე შეხედულებას მისი დაცვის ასეთი ყაიდა ანიჭებს, ის თითქმის მხოლოდ და მხოლოდ გავრცელებული შეხედულებების მხარესაა. ამ სახის ყველაზე უარესი შეურაცხყოფა, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პოლემიკაში, არის საპირიპირო შეხედულების მქონეთა ცუდ და ამორალურ ადამიანებად მონათვლა და მათთვის სახელის გატეხა. განსაკუთრებით იოლია იმათი ამ სახით დამცირება, ვინც რაიმე არაპოპულარულ შეხედულებას იზიარებს, რადგან ასეთთა რიცხვი და გავლენა საზოგადოდ მცირეა და, მათ გარდა, არავინაა დიდად დაინტერესებული იმით, რომ მათ სამართლიანად მოეპყრონ. მაგრამ ამ საშუალებაზე, მისი ბუნებისგან გამომდინარე, უარი უნდა თქვან იმათ, ვინც გაბატონებულ შეხედულებას ესხმის თავს: მათ არც შეუძლიათ მისი გამოყენება საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდების გარეშე და, კიდევაც რომ შეეძლოთ, ეს მათ უკუდარტყმის გარდა არაფერს მოუტანდა. საზოგადოდ, ფართოდ აღიარებული შეხედულებების საპირისპირო შეხედულებებმა მსმენელი შეძლება მოიპოვონ

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი დამცველნი საგანგებო ზომიერებით იყენებენ ენას და უდიდესი სიფრთხილით ცდილობენ, თავი აარიდონ ოპონენტების არაა-უცილებელ გაღიზიანებას; ამ წესისაგან თუნდაც უმცირესი გადახვევაც კი მათ ყოველთვის გამოაცლის ფეხქვეშ ნიადაგს; ეს მაშინ, როცა უზომო ლანძღვა-გინება, რომელსაც გაბატონებული შეხედულების მომხრეები მიმართავენ, მართლაც აკავებს ადამიანებს საპირისპირო შეხედულებების აშკარა აღიარებისგან და მათ მქადაგებელთა მოსმენისგან. მაშასადამე, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ინტერესების დასაცავად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, შეიზღუდოს შეურაცხმყოფელი ენის გამოყენება გაბატონებული შეხედულებების დასაცავად; მაგალითად, თუ აუცილებელი იქნებოდა არჩევანის გაკეთება, ურწმუნობაზე მიმართული შეურაცხმყოფელი თავდასხმების აღკვეთა ბევრად უფრო საჭიროა, ვიდრე რელიგიაზე მიმართულისა. მაგრამ აშკარაა, რომ რომელიმეს შეზღუდვა არასგზით არ არის კანონის და ხელისუფლების საქმე, ხოლო საზოგადოებრივმა აზრმა განაჩენი ნებისმიერ შემთხვევაში ცალკეული შემთხვევის გარემოებათა მიხედვით უნდა განსაზღვროს; უნდა გაიკიცხოს ყოველი ადამიანი, დავის რომელ მხარესაც არ უნდა იდგეს ის, თუ მისი დაცვის ხერხში თავს იჩენს მიკერძოება, გაბოროტება, ფანატიზმი ან შეუწყნარებლობა. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მანკიერებები მოდის პოზიციიდან, რომელზეც დგას ადამიანი, თუდაც ის ჩვენი პოზიციის საპირისპირო იყოს. დამსახურებული პატივისცემა უნდა მივაგოთ ყველას, რა შეხედულებასაც არ უნდა იზიარებდეს ის, ვისაც ჰყოფნის სიმშვიდე იმისთვის, რომ დაინახოს, და პატიოსნება იმისთვის, რომ ჩამოაყალიბოს, თუ რას წარმოადგენენ მისი ოპონენტები და მათი რეალური შეხედულებები, არ გააზვიადოს არაფერი მათი დისკრედიტაციის მიზნით, არ დაფაროს არაფერი, რაც მათ სასარგებლოდ მეტყველებს ან შეიძლება მეტყველებდეს. ეს არის საჯარო დისკუსიის ნამდვილი მორალი. და თუმცა მას ხშირად არღვევენ, მე მახარებს იმაზე ფიქრი, რომ ბევრი ისეთი მოკამათე არსებობს, ვინც დიდწილად იცავს მას, და კიდევ უფრო მეტია ისეთი, ვინც კეთილსინდისიერად ესწრაფვის მის დაცვას.

თავი III
ინდივიდუალურობა, როგორც კეთილდღეობის ერთ-ერთი ელემენტი

ასეთია საბუთები იმპერატივისა, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შეხედულებების შექმნისა და საკუთარი შეხედულებების მორიდების გარეშე გამოხატვის თავისუფლება; და ასეთი დამღუპველი შედეგები აქვს ადამიანის ინტელექტუალური, მისი გავლით კი ზნეობრივი ბუნებისათვის იმას, რომ ასეთი თავისუფლება დაშვებული არ არის და არც არავინ უპირისპირდება მის აკრძალვას. ახლა განვიხილოთ, იმავე საბუთებით ხომ არ მოითხოვება, რომ ადამიანებს ჰქონდეთ საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოქმედების თავისუფლება, საკუთარ ცხოვ-

რებაში მათი განხორციელების თავისუფლება თავიანთ თანამოძმეთა მხრიდან ფიზიკური თუ მორალური დაბრკოლების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი რისკისა და საფრთხის ფასად. ეს ბოლო დაზუსტება, რა თქმა უნდა, აუცილებელია. არავინ მოითხოვს, რომ ქმედებები ისევე თავისუფალი იყოს, როგორც შეხედულებები. პირიქით, თვით შეხედულებებიც კი კარგავს თავიანთ ხელშეუხებლობას, როცა მათი გამოხატვის გარემოებები ისეთია, რომ ეს გამოხატვა აღმოჩნდება ბოროტმოქმედებისკენ პოზიტიური წაქეზება. შეხედულება, რომ მარცვლეულით მოვაჭრეთა ბრალია, თუ ღარიბებს შიმშილით სული ხდებათ, ან, რომ კერძო საკუთრება ყაჩაღობაა, უბრალოდ პრესით გავრცელების შემთხვევაში ხელშეუხებელი უნდა იყოს, მაგრამ შეიძლება სამართლიანად გახდეს დასჯის მიზეზი, თუკი მას წარმოთქვამენ მარცვლეულით მოვაჭრის სახლთან შეკრებილი აღგზნებული ბრბოს წინაშე, ან როცა მას პროკლამაციის სახით ავრცელებენ იმავე ბრბოში. რა ქმედებებიც უნდა იყოს, თუ ისინი გაუმართლებელი მიზეზით აყენებს ვნებას სხვებს, შეიძლება, ხოლო უფრო მნიშვნელოვან შემთხვევებში აბსოლუტურად აუცილებელია, რომ ისინი აღიკვეთოს საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებით და, თუ საჭიროა, მისი აქტიური ჩარევითაც. ინდივიდის თავისუფლება ამ ზომით შეზღუდული უნდა იყოს; ის არ უნდა ავიწროებდეს სხვებს. მაგრამ თუ ის თავს არიდებს სხვების შეწუხებას იმ სფეროში, რაც მათ ეხება, და უბრალოდ თავისი საკუთარი მიდრეკილებისა და შეფასების მიხედვით წყვეტს პირადად მასთან დაკავშირებულ საქმეებს, იგივე არგუმენტები, რომლებიც აჩვენებს, რომ შეხედულება თავისუფალი უნდა იყოს, ასევე ასაბუთებს, რომ ინდივიდს სხვების ჩარევის გარეშე უნდა შეეძლოს საკუთარი შეხედულებების პრაქტიკაში განხორციელება საკუთარი თავის ხარჯზე. რომ ადამიანები არ არიან უცდომლები, რომ მათი ჭეშმარიტებები უმეტესწილად მხოლოდ ნახევრად ჭეშმარიტებებია, რომ შეხედულებაში ერთსულოვნება, თუ ის დაპირისპირებული შეხედულებების ყველაზე სრული და ყველაზე თავისუფალი შედარების შედეგი არ არის, არ არის სასურველი, ხოლო აზრთა სხვაობა ბოროტება კი არა, სიკეთეა იქამდე, ვიდრე ადამიანები არ შეიძენენ ახლანდელზე ბევრად უფრო სრულყოფილ უნარს ჭეშმარიტების ყველა მხარის ამოცნობისა – ეს პრინციპები არანაკლებ მიუდგება ადამიანების ქმედების სახეებს, ვიდრე მათ შეხედულებებს. როგორც განსხვავებული შეხედულებების არსებობაა სასარგებლო იქამდე, ვიდრე ადამიანების მოდგმა არასრულყოფილია, ისევე სასარგებლოა ცხოვრების განსხვავებული ექსპერიმენტების არსებობა; ისევე საჭიროა, რომ თავისუფალი სარბიელი მიეცეს ხასიათის სხვებისთვის არასაზიანო ტიპებს; და რომ ცხოვრების სხვადასხვა ფორმის ღირებულება პრაქტიკულად დამტკიცდეს, როცა ვინმე მათ მოსინჯვას მოინდომებს. მოკლედ, სასურველია, რომ საქმეებში, რომლებიც უმთავრესად სხვებს არ ეხება, ინდივიდუალურობამ თავისი სიტყვა თქვას. სადაც ქცევის წარმმართველია არა ადამიანის საკუთარი ხასიათი, არამედ სხვა ადამიანების ტრადიციები და ჩვეულებები, იქ არასაკმარისად არის ადამიანის ბედნი-

ერების ერთ-ერთი პრინციპული შემადგენელი ნაწილი, რომელიც ინდივიდუალური და სოციალური პროგრესის თითქმის მთავარი ინგრედიენტიცაა.

უდიდესი სიძნელე, ამ პრინციპის დაცვისას რომ ვეჯახებით, არის არა აღიარებული მიზნის მიღწევის საშუალებების შეფასება, არამედ ზოგადად ადამიანების ინდიფერენტულობა თავად მიზნის მიმართ. გაცნობიერებული რომ ყოფილიყო, რომ ინდივიდუალურობის თავისუფალი განვითარება კეთილდღეობის ერთ-ერთი უპირველესი არსებითი ელემენტია და რომ ის არა მხოლოდ კორელაციაშია იმ ყველაფერთან, რაც აღინიშნება ტერმინებით ცივილიზაცია, აღზრდა, განათლება, კულტურა, არამედ თავად არის ამ ყველაფრის აუცილებელი ნაწილი და პირობა, არ იარსებებდა თავისუფლების დაბალი შეფასების საშიშროება და განსაკუთრებულად ძნელი არ იქნებოდა მას და სოციალურ კონტროლს შორის საზღვრის დადგენა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ აზროვნების გავრცელებული წესი თითქმის არ აღიარებს ინდივიდუალური სპონტანურობის რაიმე შინაგან ღირებულებას ან იმას, რომ ის თავისთავად რაიმე ანგარიშგაწევას იმსახურებს. უმრავლესობა, ადამიანების დღევანდელი ყოფით კმაყოფილი (რადგან სწორედ უმრავლესობა აქცევს მას ასეთად), ვერ იგებს, რატომ არ უნდა მოსწონდეს ყველას ასეთი ყოფა; მეტიც, სპონტანურობა სულ არ შედის ზნეობისა და საზოგადოების რეფორმატორების უმრავლესობის იდეალში; პირიქით, მას უფრო ეჭვით უყურებენ, როგორც შემაშფოთებელ და ალბათ ამბოხისმაგვარ დაბრკოლებას იმის საყოველთაო აღიარების გზაზე, რაც ამ რეფორმატორებს, თავიანთი საკუთარი შეფასებით, საუკეთესოდ მიაჩნიათ კაცობრიობისთვის. გერმანიის გარეთ ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც გაიგო მაინც იმ მოძღვრების შინაარსი, რომელიც თავის ტრაქტატში ჩამოაყალიბა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა,[39] ასე სახელგანთქმულმა მწიგნობარმა და პოლიტიკოსმა: „ადამიანის მიზანი, ანუ ის, რასაც ბუნდოვანი და წარმავალი სურვილები კი არ გვთავაზობს, არამედ გონების მარადიული და უცვლელი მითითებები გვიკარნახებს, არის მისი უნარების უმაღლესი და ყველაზე ჰარმონიული განვითარება სრულ და თანმიმდევრულ ერთიანობამდე“; ამიტომ ის, „რისკენაც ყველა ადამიანი დაუღალავად უნდა მიმართავდეს საკუთარ ძალისხმევას და რაზეც მარად უნდა ჰქონდეთ მიპყრობილი თვალები განსაკუთრებით მათ, ვინც თავის თანამოძმეებზე გავლენის მოხდენას ესწრაფვის, უნარებისა და განვითარების ინდივიდუალურობაა;“ ამისთვის კი ორი აუცილებელი პირობა არსებობს: „თავისუფლება და სიტუაციების სხვადასხვაობა;“ მათი ერთიანობიდან წარმოდგება „ინდივიდუალური ძლიერება და მდიდარი მრავალფეროვნება;“ რომლებიც ერთმანეთს „ორიგინალურობაში“ ერწყმის.*

მაგრამ რა მცირედაც უნდა იყვნენ ადამიანები შეჩვეულნი ფონ ჰუმბოლდტის მოძღვრების მსგავს მოძღვრებებს და რა გასაკვირიც უნდა იყოს მათთვის ინდივიდუალურობისთვის ეგზომ მაღალი ღირებულების მინიჭება, მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ განსხვავება მხოლოდ ხარისხობრივი შეიძლება იყოს. არავისა აქვს

* „ხელისუფლების საზღვრები და მოვალეობები“ (გერმანულად), ბარონ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, გვ. 11, 13.

ქცევის სრულყოფილებაზე ისეთი წარმოდგენა, თითქოს ადამიანები აბსოლუტურად არაფერს უნდა აკეთებდნენ ერთმანეთის მიბაძვის გარდა. არავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ ადამიანმა საერთოდ არ უნდა დაუშვას, რომ მისი ცხოვრების წესსა და მისი ინტერესებისთვის ზრუნვაში რაიმე სახით თავი იჩინოს მისმა საკუთარმა შეფასებამ ან ინდივიდუალურმა ხასიათმა. მეორე მხრივ, სისულელე იქნებოდა მტკიცება, რომ ადამიანებმა ისე უნდა იცხოვრონ, თითქოს მათ გაჩენამდე საერთოდ არავინ არაფერი იცოდა ქვეყნად, თითქოს გამოცდილებას ჯერ არაფერი გაუკეთებია იმის საჩვენებლად, რომ ცხოვრების ან ქცევის ერთი ფორმა მეორეს სჯობს. არავინ უარყოფს, რომ ახალგაზრდობაში ადამიანებს ისეთ განათლებას და წვრთნას უნდა აძლევდნენ, რომ მათ იცოდნენ ადამიანური გამოცდილების დადასტურებული შედეგები და შეეძლოთ ამ შედეგებით სარგებლობა. მაგრამ თავისი უნარების სიმწიფეს მიღწეული ადამიანის უპირატესობა და შესაფერისი მდგომარეობა ისაა, რომ გამოცდილებას საკუთარი გზით იყენებდეს და განმარტავდეს. მან თავად უნდა აღმოაჩინოს, თუ დაგროვილი გამოცდილების რა ნაწილი მიეყენება ჯეროვნად მის საკუთარ გარემოებებსა და ხასიათს. სხვა ადამიანების ტრადიციები და ჩვეულებები გარკვეული ზომით მეტყველებს იმაზე, თუ რა ასწავლა მათ მათმა გამოცდილებამ. ეს სავარაუდო მონაცემებია და, როგორც ასეთებს, ადამიანმა მათ ანგარიში უნდა გაუწიოს. მაგრამ, პირველ რიგში, სხვების გამოცდილება შეიძლება მეტისმეტად მწირი იყოს, ან შეიძლება მათ სწორად არ ესმოდეთ ის. მეორე, გამოცდილების მათი ინტერპრეტაცია შეიძლება სწორი, მაგრამ შეუფერებელი იყოს მისთვის. ჩვეულებები არსებობს ჩვეულებრივი გარემოებებისთვის და ჩვეულებრივი ხასიათებისთვის; ხოლო გარემოებები და ადამიანის ხასიათი შეიძლება არ იყოს ჩვეულებრივი. მესამე, თუმცა შეიძლება ჩვეულებები კარგიც იყოს და მისთვის შესაფერისიც, ჩვეულების, უბრალოდ როგორც ჩვეულების, მორჩილება მასში არ აღზრდის და არ განავითარებს რომელიმე ისეთ თვისებას, რომელიც ადამიანს გამორჩეულად მიემადლა. აღქმის, მსჯელობის, ფაქიზი განსხვავებების განცდის, გონებრივი აქტივობის და თვით ზნეობრივი გამორჩევის ადამიანური უნარების გამოვლენა მხოლოდ არჩევანის გაკეთებისას ხდება. ის, ვინც რაიმეს აკეთებს იმიტომ, რომ ეს ჩვეულებაა, არავითარ არჩევანს არ აკეთებს. ის არავითარ პრაქტიკას არ იძენს არც იმაში, რომ გაარჩიოს, და არც იმაში, რომ მოისურვოს ის, რაც უკეთესია. გონებრივი და მორალური ძალები, კუნთების ძალის მსგავსად, მხოლოდ მათ მოქმედებაში უმჯობესდება. ეს უნარები სულ არ გამოიყენება, როცა ადამიანი რაღაცას უბრალოდ იმიტომ აკეთებს, რომ სხვები აკეთებენ ამას, ისევე, როგორც მაშინ, როცა ადამიანი რაღაცას იჯერებს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებს სჯერათ ეს. თუ შეხედულების საფუძვლები დამარწმუნებელი არ არის თავად ადამიანის გონებისთვის, მისი გონება ვერ გაძლიერდება, პირიქით, უფრო მოსალოდნელია, რომ დასუსტდეს ამ შეხედულების მიღებით; და ქმედებაც, გამოწვეული არა საკუთარი გრძნობების და ხასიათის შესაბამისი სტიმულებით (თუკი საქმე არ ეხება სხვების გრძნობებს

ან უფლებებს), მხოლოდ იმას უწყობს ხელს, რომ ადამიანის გრძნობები და ხასიათი ინერტული და ზარმაცი გახდეს და არა აქტიური და ენერგიული.

მას, ვინც სამყაროს ან სამყაროს საკუთარ ნაწილს მიანდობს მისთვის ცხოვრების გეგმის არჩევას, მიბაძვის მაიმუნებისგვარი უნარის გარდა არავითარი სხვა უნარი არ სჭირდება. ის, ვინც თავის გეგმას თავად ირჩევს, ყველა თავის უნარს იყენებს. მას სჭირდება დაკვირვებულობა, რათა დაინახოს, აზროვნების და მსჯელობის უნარი, რათა წინასწარ განჭვრიტოს, ქმედება, რათა გადაწყვეტილების მისაღებად მასალა შეაგროვოს, შეფასების უნარი, რათა გადაწყვეტილება მიიღოს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ – სიმტკიცე და თვითკონტროლი, რათა თავისი ჩაფიქრებული გადაწყვეტილება შეასრულოს. ეს თვისებები მას სჭირდება და ის მათ იყენებს მისი ქცევის ზუსტად იმ ნაწილის პროპორციულად, რომელსაც ის თავისი საკუთარი მსჯელობისა და გრძნობების მიხედვით განსაზღვრავს. შესაძლებელია, ამ ყველაფრის გარეშეც დაადგეს ის რომელიმე კარგ გზას და ასცდეს ბოროტებას. მაგრამ რა იქნება მისი, როგორც ადამიანის, ფარდობითი ღირებულება? მართლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რას აკეთებენ ადამიანები, არამედ ისიც, თუ როგორ აკეთებენ ადამიანები იმას, რასაც აკეთებენ. ადამიანების ნაღვაწში, რომლის სრულყოფისა და გამშვენიერებისთვის მართებულად იხარჯება ადამიანების ცხოვრება, უპირველესი მნიშვნელობისა უდავოდ თავად ადამიანია. თუ დავუშვებთ, რომ შესაძლებელია მანქანებმა – ადამიანის ფორმის ავტომატებმა – აშენონ სახლები, მოიყვანონ მარცვლეული, იბრძოლონ, გაარჩიონ საქმეები, ტაძრებიც კი აღმართონ და ლოცვებიც წარმოთქვან, მნიშვნელოვნად დავზარალდებოდით, თუ ამ ავტომატებში გავცვლიდით თუნდაც დღევანდელი სამყაროს უფრო ცივილიზებულ ნაწილებში მცხოვრებ კაცებსა და ქალებს, რომლებიც, უეჭველია, მხოლოდ გასაცოდავებული ნიმუშები არიან იმისა, რის შექმნაც ბუნებას ძალუძს და შექმნის კიდეც. ადამიანის ბუნება არ არის მანქანა, რომელიც მოდელის მიხედვით უნდა აიგოს და ზუსტად იმ სამუშაოს შესასრულებლად მოიმართოს, რასაც მას მიუჩენენ; ის ხეა, რომელიც საჭიროებს მის ყოველმხრივ გაზრდას და განვითარებას იმ შინაგანი ძალების ტენდენციის მიხედვით, რომელთა წყალობითაც ის ცოცხალი არსებაა.

ალბათ დამეთანხმებით, რომ, სასურველია, ადამიანებმა თავიანთი აზროვნება ავარჯიშონ და რომ წეს-ჩვეულების გააზრებულად შესრულება, ან თუნდაც ჩვეულებისგან შიგადაშიგ გააზრებული გადახვევა უკეთესია, ვიდრე მისი ბრმა და წმინდად მექანიკური მიყოლა. გარკვეულწილად აღიარებულია, რომ ჩვენი აზროვნება ჩვენი საკუთარი უნდა იყოს; მაგრამ ისეთივე ხალისით არ აღიარებენ იმას, რომ ასევე ჩვენი საკუთარი უნდა იყოს ჩვენი სურვილები და იმპულსებიც; ან რომ საკუთარი, ოდნავ ძლიერი იმპულსების ქონა, ხიფათისა და ხაფანგის გარდა, რაიმეს წარმოადგენს. მაგრამ სურვილები და იმპულსები იმდენადვეა სრულყოფილი ადამიანის ნაწილი, რამდენადაც რწმენები და შეზღუდვები; ძლიერი იმპულსები მხოლოდ მაშინაა სახიფათო, როცა ისინი სათანადოდ არ არის გაწონასწორებული; როცა მიზნებისა და მიდრეკილებების ერთი ჯგუფი ძლიერად

არის განვითარებული, ხოლო სხვები, რომელთაც მათ გვერდით უნდა ეარსებათ, სუსტი და გაუაქტიურებელი რჩება. ადამიანები ცუდად იქცევიან არა ძლიერ ვნებათა გამო, არამედ იმიტომ, რომ მათი სინდისია სუსტი. არ არსებობს ბუნებრივი კავშირი ძლიერ იმპულსებსა და სუსტ სინდისს შორის. ბუნებრივი კავშირი სწორედ რომ სხვაგვარია. იმის თქმა, რომ ერთი ადამიანის სურვილები და გრძნობები უფრო ძლიერი და ცვალებადია, ვიდრე მეორისა, უბრალოდ იმის თქმაა, რომ მასში მეტია ადამიანური ბუნების ნედლეული და, ამდენად, მას ალბათ მეტი ცუდის, მაგრამ უდავოდ მეტი კარგის გაკეთებაც ძალუძს. ძლიერი იმპულსები მხოლოდ ენერგიის სხვა სახელია. ენერგია შეიძლება ცუდად გამოვიყენოთ; მაგრამ უფრო მეტ სიკეთეს ყოველთვის უფრო ენერგიული ბუნება აკეთებს, ვიდრე ზარმაცი და უემოციო. ვისაც ყველაზე დიდი ბუნებრივი გრძნობა აქვს, ყოველთვის არის ის, ვისი გრძნობებიც კულტივაციის შედეგად შეიძლება ყველაზე ძლიერი გახდეს. იგივე ძლიერი მგრძნობიარობა, რომლის გამოც პიროვნული იმპულსები ცოცხალი და მძლავრია, ასევე არის სათნოების ყველაზე ვნებიანი სიყვარულისა და უმკაცრესი თვითკონტროლის წყარო. საზოგადოება სწორედ მგრძნობიარობის განვითარებით ახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებასაც და თავისი ინტერესების დაცვასაც და არა იმ მასალაზე უარის თქმით, რომლისგანაც გმირები იძერწებიან, რადგან მან არ იცის, როგორ შექმნას ისინი. ადამიანზე ამბობენ, რომ მას აქვს ხასიათი, თუკი მისი სურვილები და იმპულსები ნამდვილად მისია, მისი საკუთარი ბუნების, მისი კულტურის მიერ განვითარებულისა და მოდიფიცირებულის, გამოხატულებაა. ადამიანს, რომლის სურვილები და იმპულსები არ არის ნამდვილად მისი, არავითარი ხასიათი არ გააჩნია – ისევე, როგორც არა აქვს ხასიათი ორთქლის მანქანას. თუ, გარდა იმისა, რომ ნამდვილად მისია, მისი იმპულსები ძლიერიცაა და ძლიერი ნებითაც იმართება, მას ენერგიული ხასიათი აქვს. ის, ვინც ფიქრობს, რომ არ უნდა წავახალისოთ სურვილებისა და იმპულსების ინდივიდუალურობის განვითარება, უნდა ამტკიცებდეს, რომ საზოგადოებას საერთოდ არ სჭირდება ძლიერი ბუნების ადამიანები; რომ სულაც არ იქნება კარგი, თუ მასში ძლიერი ხასიათის მქონე ბევრი ადამიანია; და რომ ენერგიის საშუალო დონის მაღალი მაჩვენებელი სასურველი არ არის.

საზოგადოების ზოგიერთ ადრინდელ მდგომარეობაში შეიძლება ეს ძალები მეტისმეტად აღემატებოდა მათი მოწესრიგებისა და კონტროლის მაშინდელი საზოგადოების ხელთ არსებულ ძალას. იყო დრო, როცა თავისთავადობისა და ინდივიდუალურობის ელემენტი გადამეტებულად არსებობდა და საზოგადოებრიობის პრინციპს მძიმე ბრძოლა უწევდა მასთან. მაშინ პრობლემა იყო ძლიერი სხეულის ან გონების მქონე ადამიანების იძულება, რომ ისინი დამორჩილებოდნენ რაიმე წესებს, რომლებიც მათგან მოითხოვდა საკუთარი იმპულსების გაკონტროლებას. ამ სიძნელის გადასალახად კანონი და დისციპლინა, იმპერატორთა წინააღმდეგ მებრძოლი პაპების მსგავსად, მთელ ადამიანზე მოითხოვდა ძალაუფლებას; ადამიანის მთელი ცხოვრების კონტროლის პრეტენზია ჰქონდა იმისთვის, რომ გაეკონტროლებინა მისი ხასიათი, რომლის მოსათოკადაც საზოგადოებას

ჯერ არ ჰქონდა რაიმე სხვა საკმარისი საშუალება. მაგრამ ახლა საზოგადოება ინდივიდუალურობაზე ძლიერია და საშიშროება, რომელიც ადამიანის ბუნებას ემუქრება, არის პიროვნული იმპულსებისა და არჩევანების არა სიჭარბე, არამედ ნაკლებობა. ვითარება ძალიან შეიცვალა მას შემდეგ, რაც მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის ან პიროვნული უნარების გამო ძლიერი ადამიანების ვნებები მუდმივ ჯანყში იყვნენ კანონებისა და წესების წინააღმდეგ და აუცილებელი იყო მათი სასტიკად შებორკვა, რათა მათი ზემოქმედების არეში მოქცეულ ადამიანებსაც ჰქონოდათ საშუალება, ოდნავ მაინც ეგრძნოთ თავი უსაფრთხოდ. ჩვენს დროში საზოგადოების უმაღლესი კლასით დაწყებული და ყველაზე დაბალი კლასის ჩათვლით, ყველა ისე ცხოვრობს, თითქოს მტრულად განწყობილი და შემზარავი ცენზორის ზედამხედველობის ქვეშ იყოს. არა მხოლოდ იმაში, რაც სხვებს ეხება, არამედ იმაშიც, რაც მხოლოდ მას ეხება, ინდივიდი ან ოჯახი არ ეკითხება საკუთარ თავს: რა მირჩევნია მე? ან, რა იქნებოდა შესაფერისი ჩემი ხასიათისა და მიდრეკილებებისთვის? ან, რა მისცემდა საშუალებას იმას, რაც ჩემში საუკეთესო და უზენაესია, სამართლიან შეჯიბრში ჩაბმულიყო და გაზრდილ-გაფურჩქნულიყო? ისინი თავიანთ თავს ეკითხებიან: რა არის შესაფერისი ჩემი მდგომარეობისთვის? ჩვეულებრივ რას აკეთებენ ჩემი სოციალური და ფინანსური მდგომარეობის ადამიანები? ან (კიდევ უარესი) ჩვეულებრივ რას აკეთებენ ჩემზე უკეთესი სოციალური და ფინანსური მდგომარეობის ადამიანები? მე არ ვგულისხმობ, რომ ისინი ირჩევენ იმას, რაც ჩვეულებრივია იმიტომ, რომ მას უპირატესობას ანიჭებენ იმასთან შედარებით, რაც მათ საკუთარ მისწრაფებას შეეფერება. მათ საერთოდ არ მოსდით აზრად, რომ აქვთ რაიმე მისწრაფება იმის გარდა, რაც ჩვეულებრივია. ამრიგად, თავად გონებაა უღელქვეშ ქედმოდრეკილი: იმაშიც კი, რასაც ადამიანები სიამოვნებისთვის აკეთებენ, სხვებისგან გამოურჩევლობა პირველი რამაა, რაზეც ისინი ფიქრობენ; მათ ერთად მოსწონთ; ისინი არჩევანს აკეთებენ მხოლოდ იმ საგნებს შორის, რაც ჩვეულებრივია. გემოვნების თავისებურებას, ქცევის ექსცენტრიკულობას ისინი ზუსტად ბოროტმოქმედების მსგავსად უფრთხიან, იქამდე, ვიდრე თავიანთი ბუნების უგულებელყოფის შედეგად საერთოდ აღარ ექნებათ ბუნება, რომლისმიხედვითაც შეიძლება ემოქმედათ: მათი ადამიანური უნარები ამოწურული და გაფლანგულია, მათ აღარ ძალუძთ ძლიერი სურვილების ქონა ან ბუნებრივ სიამოვნებათა მიღება და, როგორც წესი, ისეთი შეხედულებების და გრძნობების გარეშე ცხოვრობენ, რომლებიც საკუთარ თავში გამოზარდეს, ანუ მართლა მათია. ახლა გეკითხებით, არის ეს თუ არა სასურველი მდგომარეობა ადამიანის ბუნებისთვის?

კალვინისტური[40] თეორიის მიხედვით, დიახ, არის. ამ თეორიის თანახმად, ყველაზე დიდი ბოროტებაა ადამიანის საკუთარი ნება. ყველაფერი კარგი, რის უნარიც ადამიანს შესწევს, მორჩილებაში ერთიანდება. თქვენ არ გაქვთ არავითარი არჩევანი, თქვენ უნდა გააკეთოთ ეს და მეტი არაფერი: „რაც მოვალეობა არ არის, არის ცოდვა“. ვინაიდან ადამიანის ბუნება რადიკალურად გარყვნილია, არავისთვის არ არსებობს ხსნა იქამდე, ვიდრე ადამიანის ბუნება მოკლული არ იქ-

ნება მასში. ადამიანისთვის, რომელიც ცხოვრების ამ თეორიას იზიარებს, ყველა ადამიანური უნარის, შესაძლებლობისა და მგრძნობიარობის მსხვრევა არ არის ბოროტება – ადამიანს არც ერთი სხვა უნარი არ სჭირდება, საკუთარი თავის ღმერთის ნებისთვის დამორჩილების გარდა; თუ ის რომელიმე თავის უნარს რაიმე სხვა მიზნისთვის იყენებს, იმის გარდა, რომ ეს ნაგულისხმევი ნება უფრო ეფექტურად აღასრულოს, უმჯობესია, მას საერთოდ არ ჰქონდეს ეს უნარები. ასეთია კალვინიზმის თეორია; მას შერბილებული ფორმით ბევრი ისეთიც იზიარებს, ვინც თავს არ თვლის კალვინისტად. შერბილება იმაში მდგომარეობს, რომ ნაკლებ ასკეტური ინტერპრეტაცია ეძლევა იმას, რასაც ისინი ღვთის ნებად მიიჩნევენ: ამტკიცებენ, რომ მისი ნებაა, ადამიანმა ზოგიერთი თავისი სურვილი დაიკმაყოფილოს; რა თქმა უნდა, არა იმ სახით, როგორც თავად მას ურჩევნია, არამედ მორჩილების გზით, ანუ იმ გზით, რომელსაც მას ავტორიტეტი უწესებს; და რომელიც, ამიტომ, ვითარების აუცილებელი პირობებიდან გამომდინარე, ყველასთვის ერთი და იგივეა.

ამჟამად რომელიმე ასეთი მანკიერი ფორმით არსებობს ძლიერი მიდრეკილება ცხოვრების ამ ვიწრო თეორიისკენ და ადამიანის ხასიათის იმ შებორკილი და შეზღუდული ტიპისკენ, მასში რომაა მოწონებული. უეჭველია, ბევრი გულწრფელად ფიქრობს, რომ ასე დათრგუნული და ჯუჯა არსებაა ის, რადაც ადამიანები მათმა შემოქმედმა ჩაიფიქრა; ზუსტად ისევე, როგორც ბევრი ფიქრობს, რომ ხეები ბევრად უფრო მშვენიერია, როცა ისინი ვარჯამდეა გასხეპილი ან ცხოველების ფიგურებადაა შეკრეჭილი, ვიდრე ისე, როგორც ბუნებამ შექმნა ისინი. მაგრამ, თუ რელიგიაში რაიმეადგილი აქვს რწმენას, რომ ადამიანი კეთილმა არსებამ შექმნა, ამ რწმენასთან უფრო მეტად თავსებადია, დავიჯეროთ, რომ ამ არსებამ ყველა ადამიანური უნარი იმისთვის მოგვცა, რომ მათი განვითარება და გაშლა შეგვეძლოს და არა – ამოსაძირკვად და გასანადგურებლად; და რომ მას სიამოვნებას ჰგვრის მის მიერ შექმნილთა ყოველი მორიგი ნაბიჯი მათში ჩაქსოვილი იდეალური ჩანაფიქრის მიმართულებით, გაგების, ქმედების ან სიამოვნების მიღების მათი უნარებიდან ნებისმიერის ყოველი ზრდა. არსებობს ადამიანის სრულყოფის კალვინისტურისგან განსხვავებული ტიპი – ადამიანის გაგება, რომლის თანახმადაც მას მისი ბუნება მიემადლა რაღაც სხვა მიზნებისთვის, და არა უბრალოდ იმისთვის, რომ მასზე უარი ითქვას. „წარმართული თვითდამკვიდრება“ ადამიანის ღირებულების ერთერთი ელემენტია ისევე, როგორც „ქრისტიანული თვითუარყოფა.“* არსებობს თვითგანვითარების ბერძნული იდეალი, რომელსაც თვითმართვის პლატონური და ქრისტიანული იდეალი ერწყმის, მაგრამ არ გამოდევნის. შეიძლება ჯობდეს, იყო ჯონ ნოქსი, ვიდრე ალკიბიადე,[41] მაგრამ ორივეს სჯობია, იყო პერიკლე;[42] ხოლო პერიკლეს, დღეს რომ ასეთი გვყოლოდა, არ დააკლდებოდა არც ერთი ის სიკეთე, რაც ჯონ ნოქსს ჰქონდა.

ადამიანებს აზროვნების ღირსეულ და მშვენიერ ობიექტებად აქცევს არა მათში არსებული ყველაფერი ინდივიდუალურის ერთგვაროვანში გათქვეფა,

* სტერლინგის „ესეები.“

არამედ მისი კულტივირება და სააშკარაოზე გამოტანა – იმ საზღვრებში, რომელთაც სხვების უფლებები და ინტერესები გვიწესებს; და რამდენადაც შრომის ნაყოფი მის შემქმნელთა ხასიათში აღიბეჭდება, ამავე პროცესის შედეგად ადამიანის ცხოვრებაც უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და ცხოველმყოფელი ხდება, უფრო უხვად ასაზრდოებს ამაღლებულ აზრებს და შთააგონებს გრძნობებს, განამტკიცებს ჯაჭვს, რომელიც თითოეულ ინდივიდს ადამიანების მოდგმასთან აკავშირებს იმით, რომ უსასრულოდ უფრო მეტად ღირებულს ხდის ამ მოდგმისადმი კუთვნილებას. თავისი ინდივიდუალურობის განვითარების კვალად თითოეული ადამიანი უფრო მეტ ღირებულებას იძენს საკუთარი თავისთვის და, ამდენად, ძალუძს, უფრო ღირებული გახდეს სხვებისთვის. ინდივიდუალურ ცხოვრებაში მეტია სიცოცხლის სისავსე და, როცა სიცოცხლე მეტია ერთეულებში, ის მეტია მასაშიც, რომელიც მათგან შედგება. შეუძლებელია, უარი ვთქვათ ინდივიდის იმ ზომით შეზღუდვაზე, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ აღვკვეთოთ ადამიანების გვარის უფრო ძლიერი წარმომადგენლების მიერ სხვათა უფლებების შელახვა; მაგრამ არსებობს ამ შეზღუდვის დიდი ანაზღაურება ადამიანის განვითარების თვალსაზრისითაც კი. განვითარების საშუალებები, რომელთაც ინდივიდი კარგავს იმის გამო, რომ ხელი ეშლება საკუთარი მიდრეკილებების სხვების საზიანოდ დაკმაყოფილებაში, ძირითადად, სხვა ადამიანების განვითარების ხარჯზეა მოპოვებული. თვით მისთვისაც დანაკარგს სრულად ანაზღაურებს მისი ბუნების სოციალური მხარის უკეთ განვითარება, რასაც შესაძლებელს ხდის ეგოისტურ მისწრაფებებზე დაწესებული შეზღუდვა. სხვების გულისთვის სამართლიანობის ხისტი წესების დაცვის იძულება ავითარებს გრძნობებს და უნარებს, რომლებსაც სხვების სიკეთე აქვს მიზნად. მაგრამ შეზღუდვა იმაში, რაც სხვების სიკეთეს კი არ ეხება, არამედ უბრალოდ უსიამოვნებას იწვევს მათში, არაფერს ღირებულს არ ავითარებს, გარდა ხასიათის იმ თვისებისა, რომელიც შეიძლება წარმოქმნას შეზღუდვის მიმართ წინააღმდეგობამ. ხოლო თუ შეზღუდვას ემორჩილებიან, ის აჩლუნგებს და აბლაგვებს ადამიანის მთელ ბუნებას. იმისათვის, რომ თითოეულის ბუნება სამართლიან პირობებში იყოს, არსებითია, სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვაგვარად ცხოვრების ნება ეძლეოდეს. იმის მიხედვით იყო ესა თუ ის ეპოქა ღირსსახსოვარი მომდევნო თაობებისთვის, თუ რამდენად განხორციელდა მასში ეს თავისუფლება. დესპოტიზმიც კი არ იწვევს მისი შესაძლო შედეგებიდან უარესს, თუკი მის პირობებში ინდივიდუალურობა არსებობს; ხოლო რაც ინდივიდუალურობას ანადგურებს, ის დესპოტიზმია, იმის მიუხედავად, რა სახელს ვუწოდებთ მას და იმის მიუხედავადაც, თავს ღმერთის ნების აღმასრულებლად აცხადებს თუ ადამიანების მითითებებისა.

მას შემდეგ, რაც ვთქვი, რომ ინდივიდუალურობა იგივეა, რაც განვითარება და რომ მხოლოდ იდივიდუალურობის მოვლა-აღზრდაა ის, რაც წარმოშობს კარგად განვითარებულ ადამიანს ან ძალუძს მისი წარმოშობა, შეიძლებოდა დამესრულებინა ჩემი არგუმენტი. მართლაც, იმაზე მეტი ან უკეთესი რა შეიძლება ითქვას ადამიანების ყოფის რომელიმე პირობაზე, ვიდრე ის, რომ ის ადამიანებს

უფრო აახლოებს იმ საუკეთესოსთან, რადაც შეიძლება ისინი იქცნენ? ან იმაზე უარესი რა შეიძლება ითქვას სიკეთის გზაზე არსებულ რომელიმე დაბრკოლებაზე, ვიდრე ის, რომ ის ხელს უშლის ამას? მაგრამ, უეჭველია, ეს მოსაზრებები საკმარისი არ იქნება იმათ დასარწმუნებლად, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება დარწმუნება. აუცილებელია, კიდევ ვაჩვენოთ, რომ ასე განვითარებული ადამიანები გარკვეულად სასარგებლონი არიან განუვითარებელთათვის, რათა მათ, ვისაც არც სურს თავისუფლება და არც გამოიყენებდა მას, დაინახონ, რომ რეალურად შესაძლებელია, მათთვის სასარგებლო იყოს, თუკი სხვებს თავისუფლების შეუფერხებლად გამოყენების საშუალება მიეცემათ.

პირველ რიგში, მე ვფიქრობ, რომ მათ შეიძლება რაღაც ისწავლონ მათგან. არავინ უარყოფს, რომ ორიგინალურობა ღირებული ელემენტია ადამიანების საქმეებში. ყოველთვის საჭიროა არა მხოლოდ ადამიანები, რომლებიც ახალ ჭეშმარიტებებს აღმოაჩენენ ან დაგვანახვებენ, რომ ის, რაც ერთხელ ჭეშმარიტება იყო, აღარ არის ჭეშმარიტება, არამედ ასევე ადამიანები, რომლებიც ახლებურად მოქმედებას დაიწყებენ და ადამიანების ცხოვრებაში უფრო განათლებული ქცევის და უკეთესი გემოვნებისა და გრძნობის მაგალითს შექმნიან. ამას ვერ დაუპირისპირდება ვერავინ, იმის გარდა, ვინც ფიქრობს, რომ მსოფლიომ უკვე მიაღწია სრულყოფილებას მის ყველა წესსა და მოქმედებაში. მართალია, რომ ასეთ სარგებლობას ყველა ერთნაირად ვერ მოგვიტანს; მთელ კაცობრიობასთან შედარებით მხოლოდ ცოტა ვინმე თუ არსებობს, ვისმა ძალისხმევამაც, თუ მათ სხვებიც გაიზიარებენ, მოსალოდნელია, რაიმე გაუმჯობესება შეიტანოს დამკვიდრებულ პრაქტიკაში. მაგრამ სწორედ ისინი არიან მარილი ქვეყნისა; მათ გარეშე ადამიანების ცხოვრება დაჭაობებულ ტბორად იქცევა. ესენი არიან არა მხოლოდ ისინი, ვისაც მანამდე არარსებული კარგი შემოაქვს; ესენი არიან ისინიც, ვინც სიცოცხლეს უნარჩუნებს უკვე არსებულს. რომ არაფერი ყოფილიყო გასაკეთებელი ახალი, განა ადამიანების ინტელექტი აუცილებელი აღარ იქნებოდა? განა ეს იქნებოდა საფუძველი იმისათვის, რომ მათ, ვინც ძველ რაღაცებს აკეთებს, დაივიწყონ, რატომ აკეთებენ ამას და ყველაფერი ადამიანებივით კი არა, ნახირივით აკეთონ? მართლაც მეტისმეტად დიდია საუკეთესო რწმენებისა და მოქმედებების მექანიკურობამდე გადაგვარების ტენდენცია. რომ არ არსებულიყვნენ ადამიანები, რომელთა მარად განახლებადი ორიგინალურობა ხელს უშლის ამ რწმენებისა და მოქმედებების უბრალო ტრადიციად ქცევას, ასეთი მკვდარი მატერია რაიმე მართლა ცოცხალისგან უმცირეს შერყევასაც კი ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას და არ იარსებებდა საფუძველი იმისთვის, რომ ცივილიზაცია ისევე არ მოისპოს, როგორც ბიზანტიის იმპერიაში. მართალია, გენიოსი ადამიანები ძალიან პატარა უმცირესობას შეადგენენ და ალბათ ყოველთვის ასე იქნება; მაგრამ მათი არსებობისთვის აუცილებელია, შევინარჩუნოთ ნიადაგი, რომელშიც ისინი იზრდებიან. გენიოსს თავისუფლად სუნთქვა მხოლოდ თავისუფლების ატმოსფეროში შეუძლია. გენიოსები, *ex vi termini*,[43] ნებისმიერ სხვა ადამიანზე უფრო მეტად ინდივიდუალურები არიან და, ამის შედეგად, უფრო ნაკლებად აქვთ უნარი, მტკივნეული

შევიწროების გარეშე მოერგონ იმ მცირე რაოდენობის ყალიბებიდან რომელიმეს, რომელთაც საზოგადოება სთავაზობს თავის წევრებს, რათა ისინი საკუთარი ხასიათის ჩამოყალიბებით შეწუხებისგან იხსნას. თუ მორიდებულობის გამო ისინი საკუთარი თავის რომელიმე ამ ყალიბში მომწყვდევას დასთანხმდებიან და მის იმ ნაწილს, რომელიც ყალიბში ვერ იშლება, მთლიანად განუვითარებლად დატოვებენ, საზოგადოება ცოტას შეიძენს მათი გენიიდან. ხოლო თუ მათ ძლიერი ხასიათი აქვთ და თავიანთ ხუნდებს ამსხვრევენ, ისინი იმ საზოგადოებისთვის, რომელმაც ვერ მოახერხა მათი ჩვეულებრიობამდე დაყვანა, იქცევიან ნიშანსვეტებად, რომლებზეც „ველური“, „გამოუცნობი“ და სხვა მსგავსი ეპითეტებით მიუთითებენ პირქუში გაფრთხილების ტონით; ეს ძალიან ჰგავს საყვედურს იმის გამო, რომ მდინარე ნიაგარა, ჰოლანდიური არხის წყლის მსგავსად, მშვიდად არ მიედინება თავის ნაპირებს შორის.

თუმცა მე ასე ხაზგასმით ვამტკიცებ გენიის მნიშვნელობას და იმის აუცილებლობას, რომ მას საკუთარი თავის თავისუფლად გაფურჩქვნის საშუალება მიეცეს აზროვნებაშიც და პრაქტიკაშიც, იმავე დროს სრულად ვაცნობიერებ, რომ არავინ უარყოფს ამ პოზიციას თეორიულად; მაგრამ ისიც ვიცი, რომ რეალობაში თითქმის ყველა სრულებით ინდიფერენტულია მის მიმართ. ადამიანები ფიქრობენ, რომ გენიალურობა მშვენიერია, თუ ის ადამიანს სულისშემძვრელი ლექსის დაწერას ან ნახატის დახატვას შეაძლებინებს. მაგრამ მისი ნამდვილი აზრით, აზროვნებასა და ქმედებაში ორიგინალურობის აზრით, თუმცა არავინ იტყვის, რომ ის აღფრთოვანებას არ იმსახურებს, გულში თითქმის ყველა ფიქრობს, რომ მის გარეშეც ძალიან კარგად იქნება. სამწუხაროდ, ეს მეტისმეტად ბუნებრივია იმისთვის, რომ გავიოცოთ. ორიგინალურობის სარგებლიანობას არაორიგინალური გონების ადამიანები ვერ გრძნობენ; ვერ ხედავენ, რას მისცემს ის მათ. ანკი როგორ დაინახავენ? მათ რომ ამის დანახვა შესძლებოდათ, ეს აღარ იქნებოდა ორიგინალურობა. პირველი სამსახური, რაც ორიგინალურობამ უნდა გაუწიოს, მათთვის თვალების ახელაა; როცა ეს ბოლომდე გაკეთდება, მათ შანსი მიეცემათ, თავად გახდნენ ორიგინალურები. მანამდე კი, დაე, გაიხსენონ, რომ ჯერ არასოდეს გაკეთებულა არაფერი ისეთი, რაც ვიღაცამ პირველად არ გააკეთა და რომ, თუ რამ კარგი არსებობს, ყველაფერი ორიგინალურობის ნაყოფია; ეყოთ მოკრძალება იმის დასაჯერებლად, რომ ჯერ კიდევ რაღაც რჩება მისი გასაკეთებელი; და ირწმუნონ, რომ მათ მით უფრო მეტად სჭირდებათ ორიგინალურობა, რაც უფრო ნაკლებ აცნობიერებენ მის საჭიროებას.

თუ მართალს ვიტყვით, უნდა ვაღიაროთ, რომ, როგორც უნდა აფასებდნენ ან პატივს მიაგებდნენ ნამდვილ ან ნაგულისხმევ გონებრივ უპირატესობას, მთელ მსოფლიოში ზოგადი ტენდენციაა, ადამიანებს შორის გაბატონებულ ძალად საშუალოობა იქცეს. ანტიკურ ისტორიაში, შუა საუკუნეებში და უფრო ნაკლებად ფეოდალიზმიდან თანამედროვე ხანაზე გადასვლის ხანგრძლივ პერიოდში ინდივიდი თავისთავად ძალას წარმოადგენდა; ხოლო თუ მას დიდი ნიჭი ან მაღალი სოციალური მდგომარეობა ჰქონდა, ის მნიშვნელოვანი ძალა იყო. ამჟამად ინდი-

ვიდები ბრბოში არიან ჩაკარგულები. პოლიტიკაში თითქმის ტრივიალობაა იმის თქმა, რომ ახლა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი მართავს. ერთადერთი ძალა, რომელიც ამ სახელს იმსახურებს, არის მასების ძალა და მთავრობების ძალა იმდენად, რამდენადაც მათ საკუთარი თავი მასების სურვილების და ინსტინქტების ორგანოდ აქციეს. ეს ისევე ჭეშმარიტია პირადი ცხოვრების მორალურ და სოციალურ ურთიერთობებში, როგორც საჯარო ურთიერთქმედებებში. ისინი, ვისი შეხედულებებიც საზოგადოებრივი აზრის სახელით გამოდის, ყოველთვის ერთი და იგივე ჯგუფი არ არის: ამერიკაში ესაა მთელი თეთრკანიანი მოსახლეობა, ინგლისში – ძირითადად საშუალო კლასი. მაგრამ ეს ყოველთვის არის მასა, ანუ კოლექტიური საშუალოობა. კიდევ უფრო დიდი სიახლეა ის, რომ ჩვენს დროში მასა თავის შეხედულებებს არ იღებს ეკლესიის ან სახელმწიფოს წარჩინებული პირების, აშკარა ლიდერებისგან, ან წიგნებიდან. მათთვის მათ ნაცვლად აზროვნებენ მათივე ძალიან მსგავსი ადამიანები, რომლებიც მათ მიმართავენ ან მათი სახელით ლაპარაკობენ ნაჩქარევად, გაზეთებიდან. მაგრამ ამას არ ვჩივი. მე არ ვამტკიცებ, რომ რაიმე უკეთესი, საყოველთაო წესის სახით, შეთავსებადია ადამიანის გონების ამჟამინდელ დაბალ მდგომარეობასთან. მაგრამ ეს ხელს არ უშლის საშუალოობის მთავრობას იმაში, რომ საშუალო მთავრობა იყოს. დემოკრატიაზე ან მრავალრიცხოვან არისტოკრატიაზე დამყარებული არც ერთი მთავრობა არც მის პოლიტიკურ ქმედებებში და არც შეხედულებებში, თვისებებში და იმაში, თუ რა შეფერილობის გონებას ასაზრდოებს ის, არასოდეს ასულა და ვერც ვერასოდეს ავა საშუალოობაზე მაღლა, თუკი მმართველი უმრავლესობა არ ხელმძღვანელობს უფრო მაღალი ნიჭისა და განათლების მქონე ერთი ან რამდენიმე ადამიანის რჩევებითა და გავლენით (რასაც უმრავლესობის მთავრობები ყოველთვის აკეთებდნენ მათ საუკეთესო დღეებში). ყველა ბრძნული ან ქველი საქმის წამოწყება მოდის და უნდა მოდიოდეს ინდივიდებისგან; როგორც წესი, პირველად რომელიმე ერთი ინდივიდისგან. საშუალო ადამიანის პატივი და დიდებაა, რომ მას შეუძლია მისდიოს ასეთ ინიციატივას; რომ მას შეუძლია შინაგანად გამოეხმაუროს ბრძნულ და ქველ საქმეებს; და რომ შესაძლებელია მისი მათკენ წაყვანა გახელილი თვალებით. მე არ ვიცავ თავისებურ „გმირთა თაყვანისცემას“, რომელიც ძლიერ და გენიოს ადამიანს უწონებს მსოფლიოს მმართველობის ძალით ხელში ჩაგდებას და მის იძულებას, საკუთარი ნების წინააღმდეგ შეასრულოს მისი მითითებები. მას მხოლოდ იმის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს, რომ თავისუფალი იყოს სხვებისთვის გზის ჩვენებაში. ძალაუფლება, აიძულოს სხვები, ამ გზას დაადგნენ, არა მხოლოდ ყველა დანარჩენის თავისუფლებასა და განვითარებასთანაა შეუთავსებელი, არამედ თავად ძლიერ ადამიანსაც რყვნის. ამის მიუხედავად, ისე ჩანს, რომ იმ დროს, როცა უბრალოდ საშუალო ადამიანების მასების შეხედულებები უკვე გახდა ან ხდება დომინანტური ძალა ყველგან, ამ ტენდენციის გაწონასწორება და მისი კორექტირება იქნებოდა მათი სულ უფრო მეტად ხაზგასმული ინდივიდუალურობა, ვინც აზროვნების უფრო მაღალ საფეხურებზე დგას. სწორედ ამ ვითარებაშია განსაკუთრებით საჭირო გამორჩეული

ინდივიდების წახალისება, ნაცვლად დათრგუნვისა, თუკი ისინი მასისგან განსხვავებულად იქცევიან. სხვა პერიოდებში მათ ასე მოქცევას არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა, თუ ისინი უბრალოდ განსხვავებულად კი არა, არამედ უკეთესადაც არ იქცეოდნენ. ჩვენს დროში უბრალოდ არაკონფორმულობის მაგალითი, უბრალოდ ჩვეულების წინაშე დაჩოქებაზე უარის თქმაც თავისთავად სასარგებლოა. ზუსტად იმიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრის ტირანია ისეთია, რომ ექსცენტრიკულობას სამარცხვინოდ აქცევს, ამ ტირანიის შესარყევად სასურველია, რომ ადამიანები ექსცენტრიკულები იყვნენ. ექსცენტრიკულობა ყოველთვის უხვად იყო ყველგან და ყოველთვის, სადაც და როცა უხვად იყო ძლიერი ხასიათები; საზოგადოებაში ექსცენტრიკულობის ზომა, როგორც წესი, მასში არსებული გენიის, გონებრივი ენერგიის და მორალური სიმამაცის ზომის პროპორციული იყო. ის, რომ დღეს ასე ცოტა ვინმე თუ ბედავს, იყოს ექსცენტრიკული, ჩვენი დროის მთავარი ხიფათის ნიშანია.

მე ვთქვი, რომ მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება თავისუფალი სარბიელი მიეცეს არაჩვეულებრივ საქმეებს, რათა შესაძლებელი იყოს, დროთა განმავლობაში გამოჩნდეს, მათგან რომელი გამოდგება იმისთვის, რომ ჩვეულებად იქცეს. მაგრამ ქმედების თავისთავადობა და ჩვეულების უგულებელყოფა უნდა წახალისდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქმედების უკეთესი ფორმებისა და საყოველთაო აღიარებისთვის უფრო ღირებული ჩვეულებების აღმოცენების შესაძლებლობას ქმნის. არც მხოლოდ აშკარა გონებრივი უპირატესობის მქონე ადამიანები არიან ისინი, ვისაც სამართლიანად შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი ცხოვრების საკუთარი გზით გატარების პრეტენზია. არ არსებობს იმის საფუძველი, რომ მთელი ადამიანური არსებობა აგებული უნდა იყოს რომელიმე ერთი ან რამდენიმე მცირერიცხოვანი მოდელის მიხედვით. თუ ადამიანს აქვს საღი აზრი და გამოცდილება რაიმე მისაღები ზომით, საკუთარი ცხოვრების დაგეგმვის მისეული წესი საუკეთესოა, თუმცა, არა იმიტომ, რომ ის საუკეთესოა თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ ეს მისი საკუთარია. ადამიანები ცხვრები არ არიან, მაგრამ ცხვრებიც კი არ არიან ზუსტად ერთნაირები. ადამიანი ვერ იშოვის თავის სარგო პალტოს ან ჩექმებს, თუ ისინი სპეციალურად არ არის შეკერილი მისი ზომით ან კიდევ მას მთელი საწყობი არა აქვს ამოსარჩევად. და განა უფრო იოლია ადამიანს ცხოვრება მოვარგოთ, ვიდრე პალტო? ან განა ადამიანები მეტად ჰგვანან ერთმანეთს თავიანთი მთელი ფიზიკური და სულიერი წყობით, ვიდრე თავიანთი ფეხების ფორმით? მხოლოდ ისიც კი, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გემოვნებით, საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ არ ვცადოთ ყველა მათგანის ერთ მოდელზე მორგება. მაგრამ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმ პირობებითაც, რომლებიც აუცილებელია მათი სულიერი განვითარებისთვის. მათ არ ძალუძთ ერთსა და იმავე მორალურ გარემოში ჯანსაღად არსებობა ისევე, როგორც მცენარეთა მთელი მრავალფეროვნებისთვისაა შეუძლებელი ერთსა და იმავე ფიზიკურ გარემოში, ატმოსფეროსა და კლიმატში არსებობა. ის, რაც ერთს ხელს უწყობს მისი ბუნების უკეთესი მხარეების განვი-

თარებაში, სხვისთვის დაბრკოლებაა. ერთი და იგივე ცხოვრების წესი ერთს ჯანსაღი ენთუზიაზმით აღავსებს და ქმედებისა და სიამოვნების მიღების ყველა მის უნარს საუკეთესო სახით აწესრიგებს, ხოლო სხვისთვის შემაწუხებელი ტვრთია, რომელიც მთელ მის შინაგან ცხოვრებას აყოვნებს ან თრგუნავს. ადამიანებს შორის განსხვავებები სიამოვნების წყაროებში, ტკივილის მიმართ მგრძნობიარობაში, სხვადასხვა ფიზიკური და მორალური ძალის ზეგავლენაში იმოდენაა, რომ თუ შესაბამისი მრავალფეროვნება არ არსებობს მათი ცხოვრების წესებში, ისინი ვერც ბედნიერების კუთვნილ წილს მიიღებენ და ვერც გაიზრდებიან იმ გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ მდგომარეობამდე, რომელთა მიღწევაც მათ ბუნებას ძალუძს. მაშინ რატომ უნდა ვრცელდებოდეს საზოგადოების შემწყნარებლობა გემოვნების მხოლოდ იმ ტიპებზე და ცხოვრების იმ ფორმებზე, რომელთაც იწყნარებენ მათ მიმდევართა სიმრავლის გამო? არსად (მონასტრის ტიპის ზოგიერთი ინსტიტუტის გარდა) არ არის გემოვნებათა მრავალფეროვნება მთლიანად უგულებელყოფილი; ადამიანს შეუძლია მოსწონდეს ან არ მოსწონდეს ნავით გასეირნება, მოწევა, მუსიკა, სპორტული ვარჯიშები, ბანქოს თამაში ან კითხვა ისე, რომ არ რცხვენოდეს, რადგან ისინიც, ვისაც ამათგან რომელიმე მოსწონს, და ისინიც, ვისაც იგივე რამ არ მოსწონს, ძალიან ბევრნი არიან იმისთვის, რომ ერთმა ჯგუფმა მეორე დაჯაბნოს. მაგრამ მამაკაცი, კიდევ უფრო მეტად კი ქალი, რომელსაც შეიძლება ბრალად დაედოს, რომ აკეთებს იმას, „რასაც არავინ აკეთებს“, ან არ აკეთებს იმას, „რასაც ყველა აკეთებს“, ისეთი დამამცირებელი შენიშვნების საგანი ხდება, თითქოს რაღაც მძიმე ზნეობრივი ბოროტმოქმედება ჩაედინოს. იმისთვის, რომ ადამიანს რეპუტაციის დაკარგვის გარეშე შეეძლოს რაიმე ზომით თავის ჭკუაზე მოქცევის ფუფუნების უფლება მისცეს თავს, მას უნდა ჰქონდეს ტიტული, ან წოდება, ან მაღალი წოდების ადამიანების მიერ აღიარებული რაიმე სხვა იარლიყი. ვიმეორებ: რაიმე ზომით მისცეს თავს ფუფუნების უფლება, რადგან ის, ვინც თავს ასეთი ფუფუნების უფლებას დიდი ზომით მისცემს, რაღაც უფრო უარესის რისკის წინაშე დგება, ვიდრე დამამცირებელი საუბრებია – მათ ემუქრებათ *de lunatico*[44] შერაცხვის, ქონების ჩამორთმევისა და მისი ნათესავებისთვის გადაცემის საშიშროება.*

* რაღაც საზიზღარიცაა და შემზარავიც იმაში, თუ ბოლო წლებში რა სახის მოწმობების საფუძველზე შეიძლება კანონმა ნებისმიერი ადამიანი საკუთარი საქმეების გაძღოლის უნარის არმქონედ გამოაცხადოს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისი ქონების განკარგვაზე მისი ანდერძი უგულებელყოს, თუ ეს ქონება საკმარისია იმისთვის, რომ დაფაროს სასამართლოს ხარჯები, რომლებიც თავად ქონებას ერიცხება. ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების უმცირეს დეტალებშიც კი იქექებიან და თუ ისეთ რამეს მოძებნიან, რაც, აღქმისა და აღწერის უდაბლესი დონის უნარებით დანახული, აბსოლუტური ბანალობისგან განსხვავებულად გამოიყურება, სასამართლოს წინაშე წარადგენენ, როგორც შეურაცხადობის საბუთს და ხშირად წარმატებითაც; თავად ნაფიცი მსაჯულები ვულგარულობასა და უმეცრებაში მოწმეებს ოდნავ, თუკი საერთოდ, ჩამოუვარდებიან; ხოლო მოსამართლეები, რომელთა ცოდნაც ადამიანის ბუნებისა და ცხოვრების შესახებ არაჩვეულებრივად მწირია – ინგლისელი იურისტების ეს თვისება ხომ გაოცების უშრეტი წყაროა – ხშირად ხელს უწყობენ მათ შეცდომაში შეყვანას. ასეთი სასამართ-

საზოგადოებრივი აზრის ახლანდელ მიმართულებას აქვს ერთი თავისებურება, რომელიც განსაკუთრებულად შეუწყნარებელს ხდის მას ინდივიდუალურობის ყოველი გამოკვეთილი გამოვლენის მიმართ. ადამიანების საშუალო მასა ზომიერია არა მხოლოდ ინტელექტით, არამედ ზომიერია სურვილებითაც: მათ არ გააჩნიათ ისეთი საკმაოდ ძლიერი გემოვნება ან სურვილები, რომლებიც მათ რაიმე არაჩვეულებრივის გაკეთებისკენ უბიძგებდა; ამის შედეგად ისინი ვერ უგებენ მათ, ვისაც ასეთი გემოვნება ან სურვილები აქვს, ყოველი მათგანი გიჟი და გაუწონასწორებელი ჰგონიათ და, როგორც წესი, ზემოდან უყურებენ. ამ ზოგადი ფაქტის გარდა, საკმარისია, მხოლოდ დავუშვათ, რომ დაიწყო ძლიერი მოძრაობა მორალის გაჯანსაღებისთვის, და აშკარა გახდება, რას უნდა ველოდეთ. ამჟამად მართლა დაწყებულია ასეთი მოძრაობა; ბევრი რამ რეალურად შეიცვალა იმისკენ, რომ გაიზარდოს ქცევის ერთგვაროვნება და ხელი შეეშალოს გადახვევებს; გამოცოცხლებულია ფილანთროპიული სულისკვეთება, რომლისთვისაც არ არსებობს უფრო მიმზიდველი სარბიელი, ვიდრე ჩვენი თანამოძმეების გაუმჯობესება ზნეობისა და წესიერების თვალსაზრისით. ჩვენი დროის ეს ტენდენციები განაპირობებს იმას, რომ საზოგადოება დღეს უფრო მეტად, ვიდრე წარსულში, მიდრეკილია შემოიღოს ქცევის ზოგადი წესები და სცადოს აიძულოს ყველა, შეეგუოს მოწონებულ სტანდარტს. ეს აშკარა თუ ფარული სტანდარტი კი მოითხოვს, რომ არაფერი გვსურდეს ძლიერ. მისთვის იდეალური ხასიათია გამორჩეული ხასიათის არქონა; მისი იდეალია, ჩინელი ქალის ფეხის მსგავსად,[45] დასახიჩრებამდე შეკუმშვა ადამიანის ბუნების ყველა იმ გამორჩეული ნიშნისა, რომელსაც ძალუძს, პიროვნებას ბანალური ადამიანურობისგან შესამჩნევად განსხვავებული კონტურები ჩამოუყალიბოს.

როგორც ჩვეულებრივ ხდება იდეალების შემთხვევაში, მისაღებობის თანამედროვე სტანდარტიც გამორიცხავს იმის ნახევარს, რაც სასურველია, ხოლო მეორე ნახევრისას მხოლოდ უვარგის იმიტაციას ქმნის. ცოცხალი გონებითა და სინდისიერი ნებით მკაცრად კონტროლირებადი ძლიერი გრძნობებით წარმართული დიდი ენერგიების ნაცვლად, ის შედეგად გვაძლევს სუსტ გრძნობებს და სუსტ ენერგიებს, რომლებიც, ამიტომ, ნების ან გონების ყოველგვარი ძალის გა-

ლო გარჩევების დავთრების მთელი ტომები მეტყველებს იმაზე, თუ როგორია უბრალო ხალხის გრძნობები და აზრები ადამიანის თავისუფლებაზე. მოსამართლეებს და ნაფიც მსაჯულებს, რომლებიც ასე შორს დგანან ინდივიდუალურობისთვის რაიმე ღირებულების მინიჭებისგან, ასე შორს დგანან პატივისცემისგან თითოეული ადამიანის უფლებისა, ნეიტრალურ საკითხებში ისე მოიქცეს, როგორც მის საკუთარ მსჯელობასა და სურვილებს ესახება უკეთესად, ისიც კი ვერ წარმოუდგენიათ, რომ შერაცხად ადამიანს შეიძლება სურდეს ასეთი თავისუფლება. ძველად, როცა ათეისტების დაწვას მოითხოვდნენ, გულმოწყალე ადამიანები ამის სანაცვლოდ მათ სულით ავადმყოფთა სახლებში გამომწყვდევას გვთავაზობდნენ. გასაკვირი არ იქნებოდა, დღეს დაგვენახა, რომ ადამიანები იმავეს აკეთებენ და თან თავს იწონებენ იმით, რომ რელიგიის გამო დევნის ნაცვლად ამ უბედურთა მიმართ მოპყრობის ასე ჰუმანური და ქრისტიანული ხერხი მოძებნეს, თუმცა ემჩნევათ ჩუმი კმაყოფილება იმის გამო, რომ ამ გზით თავისუფლად დარჩენილ ადგილსაც დაეპატრონნენ.

რეშეც შეიძლება წესთან გარეგნულ შესაბამისობაში ვამყოფოთ. უკვე დაწყებულია რამდენადმე დიდი მასშტაბის ენერგიული ხასიათების უბრალო ტრადიციულ ხასიათებად ქცევა. დღეს ჩვენს ქვეყანაში, ბიზნესის გარდა, თითქმის არ არსებობს სარბიელი ენერგიის დასახარჯად. თუმცა, ბიზნესში დახარჯული ენერგია მაინც შეიძლება მნიშვნელოვნად ჩაითვალოს. ის მცირედი, რაც ამ საქმიანობიდან რჩება, იხარჯება რაიმე გატაცებაზე, რომელიც შეიძლება სასარგებლო, მეტიც, ფილანთროპიულიც კი იყოს; მაგრამ ის ყოველთვის ერთი და, როგორც წესი, მცირე განზომილებების მქონე რამაა. ინგლისის სიდიადე ამჟამად მთლიანად კოლექტიურია: ინდივიდუალურად პატარები, რაიმე დიდის შემძლებლები ვჩანვართ მხოლოდ თანამშრომლობის ჩვენი ჩვევის წყალობით; და ეს ჩვენს მორალურ და რელიგიურ ფილანთროპებს მთლიანად აკმაყოფილებს. სრულიად განსხვავებული ყალიბისანი იყვნენ ის ადამიანები, ვინც ინგლისი იმად აქცია, რაც არის; და განსხვავებული ყალიბის ადამიანები იქნებიან საჭირო მისი დაცემის თავიდან ასაცილებლად.

ჩვეულებათა დესპოტიზმი ყველგან აქტიური დაბრკოლებაა ადამიანის წინსვლის გზაზე, რადგან ის განუწყვეტლივ უპირისპირდება ჩვეულებრივზე უკეთესის მიზნად დასახვის მიდრეკილებას, რასაც, გარემოებათა მიხედვით, უწოდებენ თავისუფლების, წინსვლის ან გაუმჯობესების სულისკვეთებას. გაუმჯობესების სულისკვეთება ყოველთვის თავისუფლების სულისკვეთება არ არის, რადგან ის შეიძლება მიზნად ისახავდეს გაუმჯობესების თავს მოხვევას ამის არმსურველი ადამიანებისათვის; თავისუფლების სულისკვეთება, რამდენადაც ის წინააღმდეგობას უწევს ასეთ მცდელობებს, შეიძლება ლოკალურად და დროებით გაუმჯობესების ოპონენტების მოკავშირე გახდეს. მაგრამ გაუმჯობესების ერთადერთი საიმედო და მყარი წყარო თავისუფლებაა, რადგან მისი წყალობით შესაძლო გაუმჯობესების იმდენივე დამოუკიდებელი ცენტრი არსებობს, რამდენიც ინდივიდი. წინსვლის პრინციპი, ნებისმიერ ფორმაში – იქნება ეს თავისუფლების თუ გაუმჯობესების სიყვარული – უპირისპირდება ჩვეულებათა ბატონობას, რამდენადაც ის, სულ მცირე, ამ უღლისაგან ემანსიპაციას გულისხმობს; ამ ორ რაიმეს შორის ბრძოლა წარმოადგენს ადამიანების მოდგმის ისტორიის ძირითად მამოძრავებელს. მსოფლიოს უფრო დიდ ნაწილს, ზუსტად თუ ვიტყვით, სულ არა აქვს ისტორია, რადგან იქ ჩვეულებათა დესპოტიზმი აბსოლუტურია. ასეა საქმე მთელ აღმოსავლეთში. იქ ჩვეულება ყველაფერში საბოლოო ინსტანციაა; სამართლიანობა და სიმართლე მის მორჩილებას ნიშნავს; ძალაუფლებით მთვრალი ამა თუ იმ ტირანის გარდა, არავინ ფიქრობს, წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვეულებათა არგუმენტებს. და შედეგი სახეზეა. ამ ერებს ოდესღაც უნდა ჰქონოდათ ორიგინალურობა; ისინი არ იყვნენ თავიდანვე მრავალრიცხოვანნი, განსწავლულნი და ცხოვრების მრავალ ხელოვნებაში დაოსტატებულნი; მათ თავად აქციეს საკუთარი თავი ამ ყველაფრად და მაშინდელ მსოფლიოში უდიდესი და უძლევამოსილესი ერები იყვნენ. რანი არიან ისინი დღეს? იმ ტომთა ქვეშევრდომები ან მათზე დამოკიდებულები, რომელთა წინაპრებიც ტყეღრეში დაეხეტებოდნენ იმ დროს,

როცა ამათ წინაპრებს დიდებული სასახლეები და უმშვენიერესი ტაძრები ჰქონდათ, მაგრამ რომლებზეც ჩვეულება მხოლოდ ნაწილობრივ, თავისუფლებასთან და წინსვლასთან საზიაროდ ბატონობდა. როგორც ჩანს, რომელიმე ხალხი შეიძლება გარკვეული დროის განმავლობაში პროგრესული იყოს და შემდეგ შეჩერდეს: როდის ჩერდება ის? როცა ის კარგავს ინდივიდუალურობას. მსგავსი ცვლილება ევროპის ერებსაც რომ შეემთხვეთ, ევროპა ზუსტად იმავე მდგომარეობაში მაინც არ აღმოჩნდება, რადგან ადათის დესპოტიზმი, რომელიც ევროპულ ერებს ემუქრებათ, არ არის პირდაპირ უძრაობა; ის კრძალავს გამორჩეულობას, მაგრამ ის არ გამორიცხავს ცვლილებას, იმ პირობით, რომ ყველა ერთად შეიცვლება. ჩვენ უარი ვთქვით ჩვენი წინაპრების უცვლელ კოსტიუმებზე; ყველა ისევ ვალდებულია სხვებივით ჩაიცვას, მაგრამ მოდა შეიძლება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შეიცვალოს. ამრიგად, ჩვენ ვზრუნავთ იმაზე, რომ, თუ ცვლილება ხდება, ეს იყოს ცვლილება თავად ცვლილებისთვის, და არა რაიმე წარმოდგენის გამო მშვენიერებაზე ან მოხერხებულობაზე; მართლაც, შეუძლებელია, მშვენიერების ან მოხერხებულობის შესახებ ერთი და იგივე იდეა ერთსა და იმავე მომენტში მოსდიოდეს მთელ მსოფლიოს და ყველა ერთდროულად ამბობდეს მასზე უარს მეორე მომენტში. მაგრამ ჩვენ არა მხოლოდ ცვალებადი, არამედ პროგრესულებიც ვართ: ჩვენ გამუდმებით ახალს ვიგონებთ მექანიკაში და მანამდე ვინარჩუნებთ, სანამ კიდევ უკეთესი გამოგონება არ გამოდევნის მას; ჩვენ ხალისით ვხვდებით გაუმჯობესებას პოლიტიკაში, განათლებაში, ზნეობაშიც კი, თუმცა ამ უკანასკნელში გაუმჯობესების ჩვენი იდეა ძირითადად მდგომარეობს სხვა ადამიანების დარწმუნებაში ან იძულებაში, იყვნენ ისევე კარგები, როგორებიც ჩვენა ვართ. წინსვლა არ არის ის, რასაც ჩვენ ვეწინააღმდეგებით; პირიქით, ჩვენ თავს ვიწონებთ იმით, რომ ვართ ყველაზე პროგრესული ხალხი, ვისაც ოდესმე უცხოვრია. ინდივიდუალურობაა ის, რის წინაღმდეგაც ჩვენ ვომობთ: ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასწაულს მოვახდენთ, თუ ყველანი ერთნაირები გავხდებით; გვავიწყდება, რომ, საზოგადოდ, ერთი ადამიანის მეორისგან განსხვავებულობა უმთავრესია, რაც ყურადღებას მიგვაქცევინებს ან ერთის არასრულყოფილებასა და მეორის უპირატესობაზე, ან იმის შესაძლებლობაზე, რომ ორივეს ღირსებების კომბინირებით რაღაც ორივეზე უკეთესი შეიქმნას. ჩინეთი ჩვენთვის გამაფრთხილებელი მაგალითია. ეს არის დიდი ნიჭისა და, გარკვეული თვალსაზრისით, თვით სიბრძნის მქონე ერი; ეს იმის წყალობაა, რომ უჩვეულოდ გაუმართლა და ადრევე იყო უზრუნველყოფილი განსაკუთრებულად კარგი, გარკვეულწილად იმ ადამიანების შექმნილი ადათწესებით, რომელთაც ყველაზე განათლებულმა ევროპელმაც კი გარკვეული შეზღუდვებით ბრძენთა და ფილოსოფოსთა ტიტული უნდა მიანიჭოს. ეს ადათები და ჩვეულებები შესანიშნავია აგრეთვე იმით, რომ შეიცავს ბრწყინვალე აპარატს იმის უზრუნველყოფისა, რომ მათში არსებული საუკეთესო სიბრძნე მაქსიმალურად ეფექტურად აღიბეჭდოს საზოგადოების ყველა წევრის გონებაში და რომ მათ, ვინც ამ სიბრძნის უდიდესი ნაწილი აითვისა, საპატიო და გავლენიანი პოსტები დაიკავონ. უდავოა, რომ ხალხს, რომელმაც ეს შეძლო,

აღმოჩენილი უნდა ჰქონოდა ადამიანის წინსვლის საიდუმლო და მტკიცედ უნდა შეენარჩუნებინა ადგილი მსოფლიო მოძრაობის სათავეში. მოხდა პირიქით, ისინი უძრავები გახდნენ და ასე რჩებიან უკვე ათასობით წელია; და თუ მათ ოდესმე კიდევ სრულყოფა უწერიათ, ეს უცხოელებმა უნდა განახორციელონ. მათ წარმოუდგენელ წარმატებას მიაღწიეს იმაში, რაზეც ასე მოწადინებთ მუშაობენ ინგლისელი ფილანთროპები – ყველა ადამიანი ერთნაირი გახდეს, საკუთარი აზრები და ქცევა ყველამ ერთი და იმავე მაქსიმებითა და წესებით მართოს; ნაყოფი კი ასეთი აღმოჩნდა. საზოგადოებრივი აზრის თანამედროვე *régime*[46] არის იმის არაორგანიზებული ფორმა, რასაც ორგანიზებული ფორმით წარმოადგენს განათლებისა და პოლიტიკის ჩინური სისტემები; თუ ინდივიდუალურობას არ ექნება შესაძლებლობა, წარმატებულად დაიცვას თავი ამ უღლისაგან, ევროპაში, მისი წარჩინებული წინაპრებისა და მისი აღიარებული ქრისტიანობის მიუხედავად, გაჩნდება ტენდენცია, ისიც ჩინეთად გადაიქცეს.

რა არის ის, რაც ევროპას აქამდე ამ ხვედრისგან იცავდა? რამ მისცა ერთა ევროპულ ოჯახს სრულყოფის უნარი, ნაცვლად იმისა, რომ ის კაცობრიობის უძრავი ნაწილი ყოფილიყო? ეს არ არის ევროპელების ისეთი უპირატესობა, რომელიც, თუ არსებობს, რაღაც სხვის შედეგია და არა მიზეზი. არა, ეს არის მათი ხასიათებისა და კულტურების გამორჩეული მრავალფეროვნება. ინდივიდები, კლასები, ერები უკიდურესად განსხვავებულები იყვნენ ერთმანეთისგან: მათ აღმოაჩინეს გზების დიდი მრავალფეროვნება, რომელთაგან თითოეული რაღაც ღირებულისკენ მიდიოდა. მართალია, ისინი, ვინც სხვადასხვა გზით მიდიოდა, ყოველ დროს შეუწყნარებლები იყვნენ ერთმანეთის მიმართ და თითოეული ფიქრობდა, რომ შესანიშნავი იქნებოდა, შეძლებოდა ყველა დანარჩენის იძულება, მათაც მისი გზით ევლოთ. ამის მიუხედავად, ერთმანეთის განვითარების დაბრკოლების მათ მცდელობებს იშვიათად ხვდებოდა რამდენადმე ხანგრძლივი წარმატება და თითოეულმა იმდენ ხანს გაძლო, რომ შეეთვისებინა სხვების მიერ შეთავაზებული სიკეთე. ჩემი აზრით, თავის პროგრესულ და მრავალმხრივ განვითარებას ევროპა ბოლომდე გზების ამ სიმრავლეს უნდა უმადლოდეს. მაგრამ მისი ეს უპირატესობა უკვე მნიშვნელოვნად ნაკლებია. ის აშკარად მიიწევს ყველა ადამიანის ერთნაირად ქცევის ჩინური იდეალისკენ. ბატონი დე ტოკვილი[47] თავის ბოლო მნიშვნელოვან შრომაში შენიშნავს, რამდენად მეტად ჰგვანან დღევანდელი ფრანგები ერთმანეთს თუნდაც წინა თაობასთან შედარებით. იმავე შენიშვნის გაკეთება ინგლისელებზე ბევრად უფრო უყოყმანოდ შეიძლება. ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტში ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი ორ რამეს გამოყოფს, როგორც ადამიანის განვითარების აუცილებელ პირობას, რადგან ისინი აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავებულებად ჩამოყალიბდნენ: სახელდობრ, თავისუფლებას და სიტუაციების მრავალფეროვნებას. ამ პირობებიდან მეორე ყოველდღიურად მცირდება ჩვენს ქვეყანაში. გარემოებები, რომლებშიც სხვადასხვა კლასები და ინდივიდები არსებობენ და რომლებიც მათ ხასიათებს აყალიბებს, ყოველდღიურად უფრო და უფრო ერთგვაროვანი ხდება. ადრე სხვადასხვა

წოდებები, სხვადასხვა სამეზობლოები, სხვადასხვა ხელობები და პროფესიები ცხოვრობდნენ იმაში, რასაც შეიძლება სხვადასხვა სამყაროები ვუწოდოთ; ამჟამად არსებითად მათი სამყარო ერთია. თუ შევადარებთ, ისინი ახლა ერთსა და იმავეს კითხულობენ, ერთსა და იმავეს ისმენენ, ერთსა და იმავე რამეებს ხედავენ, ერთსა და იმავე ადგილებში დადიან, ერთსა და იმავე საგნებზე აქვთ მიმართული თავიანთი იმედები და შიშები, ერთი და იგივე უფლებები და თავისუფლებები და მათი განხორციელების ერთი და იგივე საშუალებები აქვთ. როგორი დიდიც უნდა იყოს სოციალურ სტატუსებს შორის შემორჩენილი განსხვავებები, ისინი არაფერია უკვე გამქრალ განსხვავებებთან შედარებით. ასიმილაცია ჯერ კიდევ გრძელდება. ჩვენი დროის ყველა პოლიტიკური ცვლილება ხელს უწყობს მას, რადგან ყველა მათგანის მიზანია დაბალი კლასების ამაღლება და მაღალთა დადაბლება. მას ხელს უწყობს განათლების გავრცელებაც, რადგან განათლება ადამიანებს საერთო გავლენებში აქცევს და ფაქტებისა და გრძნობების საერთო მარაგისკენ უხსნის გზას. მას ხელს უწყობს გაუმჯობესებები კომუნიკაციის საშუალებებში, რადგან მათი მეშვეობით პირად კონტაქტს ამყარებენ ერთმანეთისგან დაშორებულ ადგილებში მცხოვრები ადამიანები და იზრდება ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლების სისწრაფე. მას ხელს უწყობს ვაჭრობისა და წარმოების ზრდა, რადგან ის უფრო ფართოდ ავრცელებს კარგი ფინანსური მდგომარეობის უპირატესობებს და მისწრაფების ყველა საგანს, ყველაზე ძნელად მისაწვდომთა ჩათვლით, საყოველთაო კონკურენციის საგნად აქცევს, რის შედეგადაც დაწინაურების სურვილი კონკრეტული კლასის თვისებურება კი აღარ არის, ყველა კლასს ერთნაირად ახასიათებს. ადამიანების მოდგმაში საყოველთაო ერთნაირობის გამომწვევი კიდევ ერთი ძალა, რომელიც ყველა ჩამოთვლილზეც კი უფრო მძლავრია, არის ჩვენი ქვეყნისა და სხვა თავისუფალი ქვეყნების ხელისუფლებაში საზოგადოებრივი აზრის ბატონობის სრული დამკვიდრება. სოციალური წოდებების (წოდება მათ წარმომადგენელ ადამიანებს უმრავლესობის შეხედულების უგულებელყოფის საშუალებას აძლევდა) თანდათანობით გათანაბრებასთან ერთად, პრაქტიკული პოლიტიკოსების აზრებიდან ხალხის სურვილის (როცა დანამდვილებთ ცნობილია, რომ მას აქვს რაღაც სურვილი) წინააღმდეგ წასვლის თავად იდეის სულ უფრო მეტად გაქრობასთან ერთად, არაკონფორმულობას აღარ გააჩნია არავითარი სოციალური საყრდენი – საზოგადოებაში აღარ არსებობს არავითარი დამოუკიდებელი ძალა, რომელიც თავად უპირისპირდება უმრავლესობის ბატონობას და ამდენად, საზოგადოების შეხედულებებისა და ტენდენციებისგან განსხვავებული შეხედულებების და ტენდენციების მფარველობითაა დაინტერესებული.

ყველა ამ მიზეზის ერთობლივი მოქმედების შედეგია ინდივიდუალურობაზე იმდენად ძლიერი მტრული ზემოქმედება, რომ ძნელი დასანახია, როგორ შეიძლება მან თავი გადაირჩინოს. მისთვის ეს სულ უფრო ძნელი გახდება, თუკი საზოგადოების გონიერი ნაწილი ვერ შეძლებს მისი ღრებულების გაცნობიერებას – იმის დანახვას, რომ განსხვავებების არსებობა კარგია, თუნდაც განსხვავებული არ

ნიშნავდეს უკეთესს, მეტიც, თუნდაც ზოგ შემთხვევაში განსხვავებული უარესს ნიშნავდეს მათი თვალთახედვით. თუ ოდესმე უნდა მოხდეს ინდივიდუალურობის უფლებების დაცვა, ამის დრო ახლაა – სანამ ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი იძულებითი ასიმილაციის დასრულებამდე. მხოლოდ ადრეულ საფეხურზეა შესაძლებელი ამ უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ წარმატებით ხმის ამაღლება. მოთხოვნას, რომ ყველა სხვა ადამიანი ჩვენ უნდა გვგავდეს, ნებისმიერი საკვები ჰყოფნის გასაზრდელად. თუ მის მიმართ წინააღმდეგობა იქამდე დაიცდის, ვიდრე ცხოვრება თითქმის არ იქნება დაყვანილი ერთ უნიფორმულ ტიპზე, ამ ტიპისგან ყველა გადახრა უწმინდურად, ამორალურად, ამაზრზენად და არაბუნებრივადაც კი ჩაითვლება. ადამიანები სწრაფად კარგავენ მრავალფეროვნების აღქმის უნარს, თუ გარკვეული დროის განმავლობაში მათთვის უჩვეულო იყო მისი ხილვა.

[…]

განმარტებები

1. მილს მხედველობაში აქვს ადამიანის ნების თავისუფლების აღიარებისა და დეტერმინიზმის მოძღვრების ერთმანეთთან შეთავსების ძველი ფილოსოფიური პრობლემა. დეტერმინიზმი (მოძღვრება სამყაროს მოვლენების წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ) შეიძლება ემყარებოდეს ღვთაებრივი განგების რწმენას ან ფილოსოფიურ თვალსაზრისს მიზეზშედეგობრივი კავშირების აუცილებელი ხასიათის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, პრობლემად მიიჩნევა მისი შეთავსება იმის აღიარებასთან, რომ ადამიანის ქმედებებს თვითონ მისი თავისუფალი არჩევანი განსაზღვრავს და ის უკვე წინასწარ არ არის გადაწყვეტილი ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი წინაპირობებით.
2. სპარტელები და ჰილოტები – სპარტა, ანუ ლაკედემონი იყო ძველი ბერძნული ქალაქი სახელმწიფო. მისი სოციალური სტრუქტურა სამი ფენისგან შედგებოდა: სპარტელები იყვნენ სრულუფლებიანი მოქალაქეები, პერიეკები შეადგენდნენ თავისუფალი, მაგრამ ნაკლები უფლებების მქონე ვაჭართა და ხელოსანთა კლასს, ხოლო ჰილოტები შეადგენდნენ მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან, მიწათმოქმედთა ფენას, რომელიც ყველაზე უუფლებო იყო და მონის სტატუსს უახლოვდებოდა.
3. ერეტიკოსი – ერესი (ძველბერძნული სიტყვიდან αρεσις - არჩევანი, არჩეული საგანი) ნიშნავს გაბატონებული რწმენებისა და წარმოდგენებისაგან მკვეთრად განსხვავებულ შეხედულებებს. შესაბამისად, ერეტიკოსი არის ადამიანი, რომელიც ასეთ განსხვავებულ შეხედულებებს იზიარებს. შუა საუკუნეებში „ერეტი-

კოსს“ უფრო კონკრეტულად უწოდებდნენ მას, ვინც იზიარებდა ქრისტიანობის ოფიციალურად (ეკლესიის მიერ) აღიარებული დოქტრინისგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას. შუა საუკუნეებში განსაკუთრებით ხშირი იყო ადამიანთა გასამართლება ერეტიკოსობის ბრალდებით. ამ ეპოქაში უამრავი ადამიანი დაწვეს კოცონზე ერეტიკოსობის ბრალდებით.

4. ლათინურად პირდაპირ ითარგმნება, როგორც თეოლოგიური სიძულვილი. ამ ფრაზით აღნიშნავდნენ ბრაზსა და სიძულვილს, რომელიც ჩვეულებრივ იპყრობს მოკამათეებს თეოლოგიურ საკითხებზე დისპუტისას.
5. პაპისტი და უნიტარიანისტი – პაპისტებს ინგლისური რეფორმაციის მომხრეები უწოდებდნენ რომის კათოლიკური ეკლესიის მიმდევრებს. უნიტარიანიზმი არის მიმართულება ქრისტიანულ თეოლოგიაში, რომლის მიხედვითაც ღმერთი ერთპიროვანია (ამით ის უპირისპირდება ტრინიტარიანიზმს, რომელიც ღმერთს განსაზღვრავს, როგორც სამებას). უნიტარიანიზმი მე-16 საუკუნეში წარმოიშვა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.
6. აქბარი – ჯალალ-ად-დინ მუჰამად აქბარი (1542-1605), მონგოლთა იმპერიის იმპერატორი 1556-1605 წლებში, თემურიდების დინასტიის წარმომადგენელი, თემურ-ლენგის პირდაპირი შთამომავალი.
7. კარლოს დიდი – იგივე კარლოს I ან შარლ I (742-814) იყო ფრანკთა მეფე 768 წლიდან, იტალიის მეფე 774 წლიდან. მან (რომის იმპერიის დაცემის შემდეგ პირველად) დასავლეთ ევროპის დიდი ნაწილი ერთ იმპერიად გააერთიანა, რომელსაც 800 წლიდან მართავდა. მის მოღვაწეობას უკავშირდება ე. წ. კაროლინგური რენესანსი.
8. ლათინურად: აშკარად, ერთი შეხედვით.
9. ლათინურად: იურიდიულად, სამართლებრივად, ფორმალურად.
10. ტრუიზმი – დებულება, რომელიც იმდენად აშკარა ან ცხადია, რომ მისი აღნიშვნაც კი ზედმეტია.
11. ოგიუსტ კონტი (სრული სახელი – ისიდორე ოგიუსტ მარი ფრანსუა ხავიერ კონტი, 1798-1857) – ფრანგი ფილოსოფოსი, რომელმაც სათავე დაუდო პოზიტივისტურ ფილოსოფიას. ის ითვლება სოციოლოგიის დისციპლინის დამფუძნებლად, აგრეთვე, ფილოსოფიის ერთ-ერთი თანამედროვე დარგის – მეცნიერების ფილოსოფიის – პირველ წარმომადგენლად. მილს მხედველობაში აქვს მისი შრომა „პოზიტიური პოლიტიკის სისტემა“, რომელიც ოთხ ტომად გამოიცა 1851-1854 წლებში.
12. ტიუდორები – უელსური წარმოშობის სამეფო დინასტია, რომელიც ინგლისსა და ირლანდიას მართავდა 1485-1603 წლებში.
13. კონფუცი (551-479 ძვ. წ. აღ.) – ჩინელი მოძღვარი, ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი, რომლის იდეებიც საფუძვლად დაედო კონფუციანელობას – ეთიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ, მეტაფიზიკურ და კოსმოლოგიურ დოქტრინას. კონ-

ფუციანისტურ მსოფლმხედველობას დიდი გავლენა ჰქონდა ჩინეთის ისტორიის ზოგიერთ პერიოდში, ბუდისტურ და ტაოისტურ მოძღვრებებთან ერთად.

14. ეშმაკის ადვოკატი – წმინდანად კანონიზაციის საკითხის განხილვისას კათოლიკური ეკლესია ნიშნავდა „ეშმაკის ადვოკატს“ (advocatus diaboli), რომლის ფუნქციაც იყო კანდიდატის წინააღმდეგ არგუმენტების წამოყენება. ის უპირისპირდებოდა „ღმერთის ადვოკატს“ (advocatus Dei), რომელსაც კანონიზაციის სასარგებლო არგუმენტების წარმოდგენა ევალებოდა. ამ ხერხით ხდებოდა კანონიზებული პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის საფუძვლიანი განხილვა.
15. არისტოტელე (384-322 ძვ. წ. აღ.) – პლატონის მოსწავლე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომ ეპოქებში მეცნიერების, ფილოსოფიისა და თეოლოგიის განვითარებაზე ევროპასა და ისლამურ სამყაროში.
16. უტილიტარიზმი – ეთიკური მოძღვრება, რომელიც ქცევის ზნეობრიობის საზომად აცხადებს მის სარგებლიანობას კაცობრიობის ბედნიერებისთვის.
17. იტალიურად: სწავლულთა მასწავლებლები.
18. აპოლოგია – იგულისხმება პლატონის დიალოგი „სოკრატეს აპოლოგია“, რომელშიც პლატონი გადმოგვცემს სოკრატეს მიერ თავის სასამართლოზე წარმოთქმულ სიტყვას.
19. მილს მხედველობაში აქვს იესო ქრისტეს ჯვარცმა.
20. მარკუს ავრელიუსი (მარკუს ავრელიუს ანტონინუს ავგუსტუსი, 121-180) – რომის იმპერატორი 161-180 წლებში, მეხუთე და ბოლო „კარგი იმპერატორი“. ამავე დროს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტოიცისტი ფილოსოფოსი.
21. კონსტანტინე დიდი (ფლავიუს ვალერიუს ავრელიუს კონსტანტინუს ავგუსტუსი, 272-337), ასევე ცნობილია, როგორც კონსტანტინე პირველი ან წმინდა კონსტანტინე – რომის იმპერატორი 306-337 წლებში. მას ეკუთვნის იმპერიის გასაძლიერებლად განხორციელებული მრავალი რეფორმა. პირველი რომის იმპერატორი, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა და აღკვეთა რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნა. მანვე მოიწვია ნიკეის პირველი საეკლესიო კრება 325 წელს; ააშენა ახალი საიმპერატორო რეზიდენცია ბიზანტიაში და კონსტანტინოპოლი უწოდა. შუა საუკუნეებში ის სანიმუშო მმართველად მიიჩნეოდა, თუმცა რენესანსის პერიოდში აღმოჩენილმა წყაროებმა მისი რეპუტაცია შელახა, რადგან გამოამჟღავნა მისი, როგორც დესპოტი და ტირანი მმართველის, სურათი.
22. ანტონინუსი – მარკუს ავრელიუსის ერთ-ერთი სახელი.
23. დოქტორი ჯონსონი, იგივე სემუელ ჯონსონი (1709-1784) – ინგლისელი პოეტი, ესეისტი, მორალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ბიოგრაფი, ლექსიკოგრაფი და გამომცემელი, თავისი დროის დიდი ინტელექტუალური ავტორიტეტი.
24. ლოკრიდელები (Λοκροί) – ძველბერძნული ტომი, რომელიც ცხოვრობდა საბერძნეთის ცენტრალურ ნაწილში, ლოკრიდაში, პარნასის მთის ახლოს.

25. მილს მხედველობაში აქვს კათოლიკური ეკლესიისა და პაპობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტანტული რეფორმაცია, რომლის ცენტრალურ ფიგურადაც გერმანელი ბერი და თეოლოგი **მარტინ ლუთერი** (1583-1546) ითვლება. მილი აქ ჩამოთვლის სხვა რელიგიურ წინამძღოლებს და მიმდინარეობებს, რომლებიც ლუთერზე ადრე დაუპირისპირდნენ კათოლიკურ ეკლესიას: **არნოლდ ბრეშელი** (1090-1155), იტალიელი მღვდელი ლომბარდიიდან, რომელიც ეკლესიის მიერ სიმდიდრის ფლობას უპირისპირდებოდა, ჩამოახრჩვეს, ხოლო მისი გვამი დაწვეს. **ფრა დოლჩინო** (1250-1307) იყო იტალიელი მქადაგებელი, რადიკალ რეფორმატორთა ჯგუფის **(დულჩინელების)** წინამძღოლი, რომელიც უპირისპირდებოდა საეკლესიო იერარქიას, ქადაგებდა სიღარიბეს და საერთო საკუთრებას; ის ერეტიკოსობის ბრალდებით კოცონზე დაწვეს. **ჯიროლამო სავონაროლა** (1452-1498) იყო იტალიელი დომინიკანელი ბერი, რომელიც რენესანსის პერიოდის ფლორენციაში ქადაგებდა, უპირისპირდებოდა ამქვეყნიურ ფუფუნებას, სეკულარულ ხელოვნებას და მეცნიერებას, ამხელდა საეკლესიო მოხელეების კორუმპირებულობას; მისი მოწოდებით ფლორენციიდან გააძევეს მმართველი მედიჩები და სახალხო რესპუბლიკა დაამყარეს; მის სახელს უკავშირდება უამრავი „ამაოების კოცონი“, რომელზეც წვავდნენ წიგნებს, სამკაულებს, სარკეებს და სხვა „ცოდვის საგნებს“; ის, ორ თანამოაზრესთან ერთად, ერეტიკოსობის ბრალდებით ჩამოახრჩეს და დაწვეს. **ალბიგოელები** – სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ ალბიში და მის შემოგარენში მე-12-13 საუკუნეებში გაძლიერებული კათარების ქრისტიანული სექტა, რომლის გასანადგურებლადაც პაპმა ინოკენტი მესამემ 20-წლიანი სამხედრო კამპანია – ალბიგოური ჯვაროსნული ლაშქრობა – წამოიწყო; ისტორიკოსების ვარაუდით, ლაშქრობას 100000-დან 1000000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. **ვალდენსები** – მე-12 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში, ძირითადად, მოსახლეობის ღარიბ ფენებში წარმოქმნილი ქრისტიანული მოძრაობა, რომელიც კათოლიკური ეკლესიის იერარქიას დაუპირისპირდა; მოძრაობის სახელი უკავშირდება მის ლიდერს, პიტერ ვალდოს (1140-1218); მოძრაობა ერეტიკულად გამოცხადდა 1184 წელს და სასტიკად იდევნებოდა კათოლიკური ეკლესიის მიერ. **ლოლარდები –** რელიგიური და პოლიტიკური რეფორმისტული მოძრაობა, რომელიც მე-14 საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო ინგლისში ფილოსოფოსის და თეოლოგის, ჯონ უიქლიფის (1330-1384) თაოსნობით; მოძრაობა ერეტიკულად გამოცხადდა და როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს მიერ სასტიკად იდევნებოდა ინგლისის რეფორმაციამდე. **ჰუსიტები** – ჩეხი რეფორმატორის, იან ჰუსის (1369-1415) მიმდევართა მოძრაობა, რომელიც ცნობილია, როგორც ბოჰემიის რეფორმაციის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი და პროტესტანტული რეფორმაციის უშუალო წინამორბედი; იან ჰუსის კოცონზე დაწვას ერეტიკოსობის ბრალდებით მოჰყვა ე. წ. ჰუსიტური ომები (1420-1434) ჰუსის მიმდევრებსა და კათოლიკებს შორის.

26. დედოფალი მერი I (1516-1558) – ინგლისის და ირლანდიის დედოფალი 1553-1558 წლებში. მან ინგლისში კათოლიციზმი აღადგინა და 280-ზე მეტი პროტესტანტი

კოცონზე გაგზავნა, რის გამოც „სისხლიანი მერი“ შეარქვეს. ის მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა და მის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ნახევარდა, ელისაბედი, რომელიც პროტესტანტად იყო აღზრდილი.

27. დედოფალი ელისაბედ I (1533-1603) – ინგლისის და ირლანდიის დედოფალი 1558-1603 წლებში, ტიუდორების დინასტიიდან მეხუთე და ბოლო მონარქი. მან ინგლისში აღადგინა პროტესტანტიზმი და დააფუძნა ინგლისის პროტესტანტული ეკლესია. თავისი წინამორბედი მონარქებისგან განსხვავებით, მან რელიგიური შემწყნარებლობის პოლიტიკა არჩია და სარწმუნოების ნიშნით დევნა არ განუხორციელებია.

28. ლათინურად: გულმოწყალებისკენ.

29. ჰეტეროდოქსული – არაორთოდოქსული; დამკვიდრებული შეხედულებებისგან განსხვავებული, მათთან უთანხმოებაში მყოფი.

30. იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749-1832) – გერმანელი მოაზროვნე, მწერალი, პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ნატურალისტი, სახელმწიფო მოღვაწე. უდიდესი გავლენა მოახდინა მე-19 საუკუნის გერმანულ კულტურაზე. იყო ვაიმარის კლასიკოსების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა.

31. იოჰან გოტლიბ ფიხტე (1762-1814) – გერმანელი ფილოსოფოსი, ერთ-ერთი ფუძემდებელი გერმანული იდეალისტური ფილოსოფიისა, რომელიც იმანუელ კანტის შრომებიდან განვითარდა.

32. მარკუს ტულიუს ციცერონი (106-43 ძვ. წ. აღ.) – რომაელი ფილოსოფოსი, ორატორი, პოლიტიკოსი და კანონმდებელი; საყოველთაოდაა აღიარებული რომის უდიდეს ორატორად, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ლათინური ენის ჩამოყალიბებაზე. მე-14 საუკუნეში ევროპაში მის ხელახლა აღმოჩენას უკავშირებენ რენესანსის დაწყებას; მისმა შრომებმა ასევე უდიდესი გავლენა იქონია განმანათლებლობის პერიოდის მოაზროვნეებზე.

33. nisi prius – სამოქალაქო საქმის სასამართლო განხილვის პირველი ინსტანცია.

34. ჟან კალვინი (1509-1564) – გავლენიანი ფრანგი თეოლოგი და მღვდელი, პროტესტანტული რეფორმაციის მნიშვნელოვანი ფიგურა; მის სახელს უკავშირდება კალვინიზმის – ქრისტიანული თეოლოგიის ერთ-ერთი გავლენიანი ფორმის – ჩამოყალიბება. მისი იდეები განმსაზღვრელია ბევრი პროტესტანტული ეკლესიისთვის (რეფორმისტები, კონგრეგაციონისტები, პრესვიტერიანელები).

35. ჯონ ნოქსი (1514-1572) – შოტლანდიელი სასულიერო პირი და მქადაგებელი, პროტესტანტული რეფორმაციის ერთ-ერთი ლიდერი, შოტლანდიაში პრესვიტერიანული დენომინაციის დამფუძნებელი.

36. სქოლასტიკა – შუა საუკუნეებში ჯერ სამონასტრო სკოლებში და შემდგომ უნივერსიტეტებში (აქედან სიტყვა „სასკოლო“) გაბატონებული აზროვნების მეთოდი, რომელიც ემყარებოდა დეტალურ კონცეპტუალურ ანალიზს, დედუქციურ ბჭობას და დიალექტიკას. სქოლასტიკა ჩამოყალიბდა ქრისტიანული თე-

ოლოგიის დოგმებისა და ანტიკური ხანის ფილოსოფოსების (განსაკუთრებით, არისტოტელეს, ასევე ნეოპლატონიზმის) იდეების ერთმანეთთან შეთანხმების ცდების შედეგად. მასში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფორმალურ დისპუტებს, რომლებიც ლოგიკური არგუმენტაციის მკაცრი წესების დაცვით წარიმართებოდა.

37. ლათინურად: სიტყვასიტყვით – სოკრატეს კაცები; იგულისხმება სოკრატეს მოსწავლეები.

38. ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) – ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლის იდეებიც განსაკუთრებით გავლენიანი იყო, როგორც საფრანგეთის რევოლუციის იდეოლოგიის საფუძველი. აქ მილს მხედველობაში აქვს რუსოს იდეები ცივილიზაციის გამრყვნელი როლისა და ბუნებრივი ადამიანის კეთილშობილების შესახებ.

39. ფრიდრიხ ვილჰელმ ქრისტიან კარლ ფერდინანდ ფონ ჰუმბოლდტი (1767-1835) – გერმანელი ფილოსოფოსი და ენათმეცნიერი, განათლების თეორეტიკოსი, სახელმწიფო მოხელე, დიპლომატი, ბერლინის უნივერსიტეტის დამფუძნებელი. ის აღიარებულია შემქმნელად პრუსიის განათლების სისტემისა, რომელიც ბევრი სხვა ქვეყნის განათლების სისტემის მოდელადაც იქცა. მილი აქ საუბრობს ჰუმბოლდტის 1792 წელს გამოცემულ შრომაზე.

40. კალვინიზმი – პროტესტანტიზმის დიდი მიმართულება, რომელსაც სათავე ჟან კალვინის იდეებმა დაუდო. კალვინიზმს პროტესტანტიზმის მეორე დიდი მიმართულების, ლუთერანიზმისგან განასხვავებს რამდენიმე მნიშვნელოვანი თეოლოგიური დოგმატი; თვითონ კალვინიზმიც მრავალ სხვადასხვა მიმართულებას და ეკლესიას აერთიანებს. უფრო ვიწრო მნიშვნელობით კალვინიზმი აღნიშნავს კონკრეტულ თვალსაზრისს წინასწარგანსაზღვრულობისა და ადამიანის ხსნის შესახებ.

41. ალკიბიადე (450-404) – ათენელი პოლიტიკოსი, ორატორი და მხედართმთავარი, სოკრატეს მოწაფე. პელოპონესის ომის მსვლელობაში ათენის მოწინააღმდეგის, სპარტას მხარეზე გადავიდა, შემდეგ იქიდანაც მოუხდა გაქცევა და სპარსეთს შეაფარა თავი, შემდეგ ისევ ათენში დაბრუნდა და სამხედრო თანამდებობაც მოიპოვა, თუმცა, პოლიტიკურმა ოპონენტებმა ბოლოს მაინც შეძლეს მისი ათენიდან გაძევება. მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი და წარმატებული მხედართმთავარი იყო, არ ერიდებოდა ბრძოლაში ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიც მოსყიდვა და ღალატია.

42. პერიკლე (495-429) – გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი და მხედართმთავარი ათენის ოქროს ხანაში. მისი დამსახურების აღსანიშნავად, მისმა თანამედროვე ისტორიკოსმა თუკიდიდემ მას „ათენის პირველი მოქალაქე“ უწოდა. მის დროს ჩამოყალიბდა ათენის იმპერია; მისი ძალისხმევით იქცა ათენი ანტიკური საბერძნეთის განათლებისა და კულტურის ცენტრად; მან წამოიწყო ათე-

ნის აკროპოლისზე ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობების მშენებლობა. პერიკლე იყო ათენური დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერიც.

43. ლათინურად: ტერმინის მნიშვნელობის ძალით.

44. ლათინურად: შეურაცხადად.

45. ჩინელი ქალის ფეხის მსგავსად – მილს მხედველობაში აქვს პატარა გოგონებისათვის ტერფების შეკოჭვის ადათი, რომელიც ჩინეთში იყო გავრცელებული. აქ ქალისთვის სილამაზედ ითვლებოდა პატარა ფეხის ზომა და, რათა გოგონების ტერფების ზრდა შეეფერხებინათ, მათ პატარაობიდანვე მტკივნეულად უკრავდნენ ფეხებს არტახებით. ეს, ამასთან, სოციალური სტატუსის ნიშანი იყო, რადგან ამის უფლებას თავს მხოლოდ მდიდარი ოჯახები თუ მისცემდნენ, რომლებშიც ქალის მუშაობა აუცილებელი არ იყო. ფეხების შეკვრა ტერფების შეუქცევად დეფორმირებას იწვევდა, ქალს უზღუდავდა სიარულის და დგომის შესაძლებლობას.

46. ფრანგულად: რეჟიმი, ძალაუფლება, სისტემა, წყობა.

47. ალექსის შარლ ჰენრი კლერელ დე ტოკვილი (1805-1859) – ფრანგი პოლიტიკის თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, რომელსაც აღიარება მოუტანა მისმა ორტომიანმა ნაშრომმა „დემოკრატია ამერიკაში“ (1835, 1840) და, ასევე, ტრაქტატმა „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“ (1856). სწორედ ეს უკანასკნელი შრომა აქვს მხედველობაში მილს.

ილია ჭავჭავაძე

(1837-1907)

შესავალი

ილია ჭავჭავაძე დღეს საქართველოში ყველაზე ხშირად დამოწმებული სახელია, მის ავტორიტეტს იმოწმებენ ზოგჯერ სრულიად ურთიერთსაპირისპირო შეხედულებების გასამყარებლად. ამ სახელის განსაკუთრებული პოპულარობის გამოც ხშირად საჭიროდ აღარც კი მიიჩნევა ილიას ნააზრევის წაკითხვა, გაცნობა და გაცნობიერება, ითვლება, რომ ეს ისედაც ყველამ იცის.

თუმცა სწორედ ილია ჭავჭავაძეა ის ქართველი მოაზროვნე, რომელიც გვასწავლის, აუცილებლობად გვისახავს მოვლენებისადმი და სინამდვილისადმი ცნობიერ მიდგომას, მათ შესწავლას, გააზრებას და ისეთი დასკვნების გამოტანას, რომელიც ცხოვრების გაუმჯობესებაში დაგვეხმარება, როცა ამ დასკვნების მიხედვით ვიმოქმედებთ.

მოქმედება უმოქმედობის ნაცვლად, ახლის ქმნა დარდის ნაცვლად, მიზანმიმართულება უმიზნობის ნაცვლად, პასუხისმგებლობა და ზრუნვა უდარდელობის ნაცვლად, სწავლა და გონიერება უგუნურობის ნაცვლად, სულიერება უსულობის ნაცვლად, თავდადება თავკერძოობის ნაცვლად, ერთსულოვნება და ერთგულება ორგულობის ნაცვლად, კავშირი გათიშულობის ნაცვლად, მსოფლიო პროგრესში ჩართვა და სიახლეების ათვისება ქვეყნის თვითიზოლაციის ნაცვლად – ასეთია ის უმთავრესი პრინციპები, რომელთა დამკვიდრებასაც ილია თავისი პირადი მაგალითით, აზროვნებით, მოქმედებითა და შემოქმედებით ახდენდა, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს როგორც იდეისა და ქვეყნის განვითარება ესახებოდა შესაძლებლად.

ილიას საქმიანობა და მისი მემკვიდრეობა ერთდროულად არის ძალიან მრავალმხრივიც და გამთლიანებულიც. მრავალმხრივია იმდენად, რამდენადაც მოიცავს მხატვრულ შემოქმედებას – პოეზიას და პროზას, თარგმანებს, ასევე – ანალიტიკურ ნააზრევს, პუბლიცისტიკას; მოიცავს საზოგადოებრივ საქმიანობასაც: ის იყო შემოქმედი, ჟურნალის თუ გაზეთის გამომცემელი, რედაქტორი, მიმომხილველი; იყო ბანკის დამაარსებელი და მმართველი, საგანმანათლებლო საზოგადოების დამფუძნებელი. მაგრამ ილიას ეს მრავალმხრივი საქმიანობა გამთლიანებულია იმდენად, რამდენადაც მის მიერ შექმნილი ყველა ტექსტი და მის მიერ განხორციელებული ყველა საქმე ეფუძნება ერთიან ღირებულებებს და მიმართულია ერთიანი მიზნებისაკენ.

ილია ამ მიზნებს ძალიან ნათლად განსაზღვრავს: ქართველობა უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე საზოგადოებად და ერად, რათა შეძლოს ქართველთა თავისუფალი ერი-სახელმწიფოს შექმნა; ამისათვის თითოეულმა პიროვნებამ

ამოცანად უნდა დაისახოს თვითგანვითარება, ხოლო მთელმა საზოგადოებამ – თვითორგანიზება. ამ გზით ქართველემა უნდა შექმნან როგორც საკუთარი აწმყო, ისე მომავლის პერსპექტივა – უნდა „ვშვათ მყოობადი“ და „მივსცეთ მომავალი ხალხს“.

ილია ჭავჭავაძე მის თანამედროვე საქართველოს უსახავს ძალიან კონკრეტულ ამოცანას – „აღდგეს“ და „დადგეს ერად სხვა ერთა შორის“. ახალ საერთაშორისო სინამდვილეში ქართველი ერი საკუთარი „ისტორიის ღირსიც“ უნდა გახდეს და სხვა „მოწინავე“ ერებისგან განვითარების გამოცდილებაც აითვისოს. ილია საკუთარ ხალხს ასწავლის: ერთიანობას, თავისუფლებას, ახალი სინამდვილის გაცნობიერებას, თანამედროვე მსოფლიოში საკუთარი ადგილისა და ხმის მოპოვებას. ამიტომ დღეს აღიარებულია, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძემ შექმნა თანამედროვე ქართული ნაციონალური იდენტობა: მან ყველაზე ნათლად დაანახა ქართველებს, თუ რის საფუძველზე უნდა გამთლიანდნენ; როგორ უნდა გაიაზრონ წარსული და რისი მოცემა შეუძლია მათთვის საკუთარ ისტორიას; როგორია მათი თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მიმართულებები და, ზოგადად, რას ნიშნავს თანამედროვობა; როგორ შეძლებენ ქართვლები შეცვალონ საკუთარი სინამდვილე და შეიქმნან მომავალი.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების წაკითხვისას ნათელი ხდება, თუ რა თანმიმდევრული ნაბიჯებით უნდა იაროს ქართულმა საზოგადოებამ იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც ილიასავე ლექსებში მოწოდებების სახით არის მოცემული. კოლონიური სინამდვილე ილიასთვის არის ის რეალობა, რომელშიც (და რომლის მიუხედავადაც) საქართველომ განვითარება და მომავლის პერსპექტივის შექმნა უნდა მოახერხოს. არსებული ვითარების, სინამდვილის მიღება და გაცნობიერება, სამომავლო მიზნების დასახვა, საქართველოს, როგორც იდეის შენარჩუნება და ამ იდეაზე დაფუძნებით ახალი რეალობის, თავისუფალი, ძლიერი, თანამედროვე ქვეყნის შექმნა ქართველების ამოცანად ცხადდება. რუსეთის იმპერიის დაქვემდებაში მყოფი ქართველ ხალხისთვის ილია სახავს სრულიად განკერძოებულ მიზნებს – მიზნებს, რომლებიც საკუთრივ ქართველებს ეხებათ და საკუთრივ მათ სამომავლო პერსპექტივას უქმნის. ამ გზით ილია შესაძლებელს ხდის საერთო მეხსიერებით, ინტერესებით, სამომავლო ამოცანებით გამთლიანებული ქართველი ერის შექმნას.

დრო შეიცვალა და ეს ქართველებმაც უნდა გააცნობიერონ – ეს ილიას ერთერთი ყველაზე ნათელი გზავნილია. ის საქართველო, რომელსაც მტერი ხმლით უტევდა და რომელიც ხმლით იბრძოდა, უბრალოდ, აღარ არსებობს – რადგან აღარ არსებობს ასეთი გარე-სინამდვილე. ახლანდელი ქართველები უნდა მიხვდნენ, რომ ახალ დამპყობელთან ბრძოლა, ისევე როგორც ახალ მსოფლიოში თვითგადარჩენა და თვითდამკვიდრება მხოლოდ ცოდნით შეიძლება. ხმლით ბრძოლის ნაცვლად ცოდნით ბრძოლის მოდელის გააქტიურებით ილია რეალურად ცვლის ქართველთა ცნობიერებაში შუასაუკუნოებრივ, მედიევალურ პარადიგმას და ამკვიდრებს მოდერნულ პარადიგმას, ქმნის თანამედროვეობას.

როგორ ახორციელებს ილია ამ მიზანს – საქართველოს ტრანსფორმაციას პოსტმედიევალური საზოგადოებიდან მოდერნულ საზოგადოებად, და რუსეთის კოლონიის სტატუსს შეგუებული ქვეყნიდან თავისუფლებისკენ მიმსწრაფ ქვეყნად? ეს უკავშირდება მუშაობას ორი მიმართულებით – ინსტიტუციონალური და მსოფლმხედველობრივი მიმართულებებით.

ილიას მცდელობით, ინიციატივით და უშუალო ჩართულობით იქმნება და იმართება საზოგადოებრივი ინსტიტუტები და და წახალისებულია სხვების მიერ ამგვარი ინსტიტუტების შექმნაც: არსდება ჟურნალი („საქართველოს მოამბე“ 1863 წლიდან), გაზეთი („ივერია“, 1877 წლიდან) – ილია ამ გამოცემების რედაქტორი და მუდმივი ავტორია, ის ქმნის საზოგადოების ინფორმირებულობის, თვითანალიზის სივრცეს; არსდება ბანკი (სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი; ილია ბანკის თავმჯდომარეს არჩეულია 1875 წელს), საგანმანათლებლო საზოგადოება (ილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი შექმნის ინიციატორი და საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა 1879 წლიდან, და თავმჯდომარე – 1985 წლიდან), ილია მხარს უჭერს ქართულ თეატრს (მისი ინიციატივით არსდება ქართული დრამატული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც არის 1881 წლიდან).

თუმცა, რაც მთავარია, საზოგადოების განვითარების მიზნების განხორციელებისთვის ილია თავად ატარებს აზრობრივ-მსოფლმხედველობრივ სამუშაოს, მის თანამედროვეებსაც და ყოველ შემდგომ თაობასაც ასწავლის, თუ როგორ ვიმუშაოთ და რა მიმართულებით. ილია ქართულ საზოგადოებაში ამკვიდრებს ღირებულებებს, რომელთაგან უწინარესია ცოდნაზე ორიენტაცია. ის აჩვენებს ქართველებს, რომ თუ ჩვენ რამე გვაბრკოლებს, სწორედ „ჩვენი უცოდინარობა, უსწავლელობა“; „ცოდნა, სწავლა განათლება დღევანდელ კაცისთვის არსებითი პურია“; „ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გაქვს“; „დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი და უსწავლელი, უცოდინარი კი მისი ყურმოჭრილი ყმაა“ (ილია ჭავჭავაძე, „ისევ განათლების საკითხზე“, 1889). მხოლოდ ცოდნიდან მომდინარეობს საზოგადოებისთვის საჭირო, პროგრესისკენ მიმართული ცვლილებების დასახვის უნარი; შესაძლებელი ხდება საზოგადო საქმისთვის ადამიანთა მობილიზაცია; შასაძლებელი ხდება საზოგადოების, სოციუმის, როგორც საერთი ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს ფორმირება; შესაძლებელი ხდება საზოგადოების შიგნით პიროვნებისა და სოციუმის ურთიერთობის ბალანსი – პიროვნების ორიენტაცია საკუთარი ვიწრო ინტერესების ნაცვლად საზოგადო ინტერესებზე და, ამავე დროს, მთელი საზოგადოების მცდელობა, რომ მის შიგნით დაცული იყოს თითოეული პიროვნების უფლებები და თავისუფლება.

ილია მუდმივი მხარდამჭერია პიროვნების უფლებებისა – მიიღოს ცოდნა, შეიქმნას კეთილდღეობა, იშრომოს საკუთარი თავის და ოჯახის სასიკეთოდ, ჰქონდეს რწმენის თავისუფლება, ჰქონდეს საკუთარი მსოფლმხედველობის შემუშავების და მისი გამოხატვის უფლება, საჭირო დროს იპოვოს სამართალი, ჰქონდეს ინიციატივის გამოვლენის უფლება და საშუალება. პიროვნება, რომე-

ლიც გრძნობს, რომ დაცულია მისი ამგვარი უფლებები, თავად იწყებს სხვების უფლებების გათვალისწინებას და საზოგადოების ინტერესების დაცვას. სწორედ პიროვნების უფლებების დაცვის პირობებში იქნება შესაძლებელი თავისუფალი და პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბება; უფრო ზუსტად – განვითარებული საზოგადოება თავისუფალი, თვითგანვითარებაზე ორიენტირებული და ერთობლივი საქმიანობის უნარით სავსე პიროვნებებისგან იქმნება, ხოლო ამ ღირებულებებით გაერთიანებული საზოგადოება თავად უზრუნველყოფს მის რიგებში ამგვარი პიროვნებების სიმრავლეს.

ამავე დროს, პიროვნებას ილია უდიდესი ვალდებულებებით აღჭურვავს – ეს არის, ცხადია, ვალდებულებები სოციუმის წინაშე, საზოგადოებისთვის საკეთილდღეო მოქმედება; თუმცა, უწინარესად, ეს არის ვალდებულებები საკუთარი შინაგანი სამყაროს, სულიერების, საკუთარი ზნეობის წინაშე, რომელთა გაცნობიერებით და შესრულებით არის შესაძლებელი ყველა სხვა ვალდებულების და მისიის შესრულებაც. ადამიანის სულიერი სახის, მისი ზნეობრივი ვალის გააზრებას ილია ღრმად რელიგიური პოზიციიდან ახდენს. ის ქართველი ადამიანის წინაშე აცოცხლებს ქრისტიანული სარწმუნოების ნამდვილ, თავდაპირველ მისიას, ქრისტიანულ ცხოვრებას გვაჩვენებს მორალურ განზომილებაში, როგორც განუწყვეტელი შინაგანი მცდელობის, თვითანალიზის ყოველდღიურ პრაქტიკას, ყოველდღიურ ანგარიშვალდებულებას – თუ „დღეს მე ვის რა ვარგე“. ამდენად, შინაგანი ცხოვრება, რელიგიური სიფხიზლე ილიასთვის არის არა საზოგადოების დასანახად, არამედ კერძოდ, თუმცა კი, ისევ და ისევ, სხვების საკეთილდღეოდ – და ამ გზით, საკუთარი სულისთვის საკეთილდღეოდაც – წარმოებული საქმიანობა.

სწორედ იმიტომ, რომ ილიას მიერ დასახული მიზნები მუდმივ მცდელობას, დინამიურ განვითარებას უკავშირდება, ილიას ნააზრევი და მისი მოწოდებები ყოველთვის აქტუალურია. ამგვარი მიზნები ერთჯერადი ღონისძიებით არ მიიღწევა, მათ რეალიზაციას მუდმივი მუშაობა, მუდმივი მოძრაობა, პროგრესისკენ მუდმივი სწრაფვა სჭირდება. პიროვნების თუ საზოგადოების განვითარება შეწყდება იმ მომენტში, როცა შეწყდება სიახლისკენ, განვითრებისკენ, გაუმჯობესებისკენ სვლა.

ის მეტაფორები, რომლებსაც ილია თავის მხატვრულ ტექსტებში ქმნის, მისი პუბლიცისტიკის გაცნობით და მის მიერ დასახული საზოგადოებრივი ამოცანების გააზრებით ხდება გასაგები: უძრაობა თუ მოძრაობა? ჭაობი თუ შეუპოვარი მდინარე? თითკმაყოფილი უმოქმედობა თუ ქმედება ყოველდღიური უკეთესობისთვის? მორჩილება თუ თავისუფლებისკენ სწრაფვა? ძილი თუ სიფხიზლე? – ილიას ეს კითხვები, მისი პოეტურ და პროზაული ტექსტების მეტაფორები პუბლიცისტურ ტექსტებში არის ახსნილი და გააზრებული.

1970-1990-იან წლებში ილია თითქმის ყოველდღიურად აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებს, რითიც ქართული საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ნაციონალური იდენტობის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. პუბლიცისტიკაში ილია, როგორც წესი, რამდენიმე პრინციპს იცავს: თემები და პრობ-

ლემები, რომელთაც ის ხშირად ეხება, ზოგადეროვნული ან ზოგადსაკაცობრიო ხასიათისაა, ამ თემების განსჯითა და ანალიზით ილია ეხმარება ქართველ მკითხველს მათ გათავისებაში და თავადვე სთავაზობს ხედვის კუთხეს. ილიას წერილები, ხშირ შემთხვევაში, რომელიმე კონკრეტულ საკითხს ეხება ან კონკრეტულ მოვლენას ეხმიანება, მაგრამ ავტორი განაზოგადებს თემას და გვაძლევს ზოგად დასკვნას ამა თუ იმ პრობლემის შესახებ; შესაბამისად, ავტორი ყოველთვის ითვალისწინებს წერილის დაწერის დროს, მაგრამ განზოგადებული ხედვისა და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის წყალობით მისი წერილები მუდამ აქტუალურია; ილია ხშირად მიმოიხილავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ ვითარებას, მისი ინტერესების სფერო უაღრესად მრავალფეროვანია. როგორც მხატვრულ-შემოქმედებით ან საზოგადოებრივი საქმიანობით, ისე პუბლიცისტური წერილებით ილიამ მართლაც გააქტიურია ქართველთა ერთიანი „ცნობიერი ცხოვრება“, რათა ამ გზით განსაზღვრულიყო „სულიერი და ხორციელი ვინაობა ერთიანის კრებულისა“, ანუ, განსაზღვრულიყო ერთიანი ნაციონალური სახე. ამ გზით ესახებოდა ილიას შესაძლებლად ქართველი ხალხის გარდაქმნა ეთნოსიდან ერთიან თანამედროვე ერად.

თავისი პუბლიცისტური წერილებით ილია ქმნის სამოქალაქო აზროვნების სივრცეს და აყალიბებს მოქალაქის შეგნებას, რის საფუძველზეც ყალიბდება ერთიანი ნაციონალური იდენტობის განცდაც: ცხადია, ილიას წერილები შეეხება მწერლობასაც, თუმცა ლიტერატურა გააზრებულია როგორც პიროვნების შინაგანი განვითარების და საზოგადოების აზრობრივი გაერთიანების საშუალება; ხოლო ენა გააზრებულია როგორც ადამიანთა საერთო ცნობიერებით გამთლიანების პირველადი საფუძველი; ამავე მისიით გააზრებულია ისტორიაც – საერთო წარსულის განცდა საერთო მომავლის შენების საშუალებას ქმნის. ამავე დროს, ილია წერილები შეეხება ცხოვრების ყველა სფეროს: საქართველოს შიდა პრობლემებს, ეკონომიკას, საბანკო საქმეს, სოფლის მეურნეობას, პოლიტიკას, ევროპისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრებას. ილია გვაჩვენებს, რომ ქვეყნის შიგნით უნდა მიმდინარეობდეს ცოცხალი პოლიტიკური პროცესები; ერს უნდა აერთიანებდეს საერთო და მზარდი ეკონომიკა; ერი უნდა აცნობიერებდეს თავის არსებობას საერთაშორისო სივრცეში – უნდა იცნობდეს და ითავისებდეს სხვა ერების საუკეთესო გამოცდილებას.

საერთო კულტურით, ენით, ეკონომიკით და პოლიტიკით, ისტორიით, მომავლის გეგმებით მთლიანდება ადამიანთა ერთობა და იქმნება ერთიანი ნაციონალური იდენტობა, რაც თავისუფალი და პროგრესული სახელმწიფოს შექმნის აუცილებელი პირობაა.

საერთაშორისო სინამდვილის გაცნობიერებას და ამ სიცრცეში საკუთარი ადგილის მოპოვებას ილია ქართველი ხალხის განვითარებისთვის ყველაზე აუცილებელ პირობად სახავს. სხვადასხვა ხალხისგან განვითარების საუკეთესო გამოცდილებების ათვისებას თუ სხვათა მცდარი გზების ანალიზს ილიას პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. ილიას საგანგებო ინტერესის

საგანია დასავლეთის დაწინაურებული ქვეყნები, რომელთა გამოცდილების ათვისება და მათ მიერ არჩეული განვითარების გეზის გათავისება საქართველოს ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებად ესახება. თავის წერილებში ილია ნათლად აჩვენებს, რომ სწორედ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების ევროპული მოდელი ქმნის პროგრესის შესაძლებლობას: „ისტორია და წარმატება – მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისთვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელნი და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აექთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგან ამისთვის ბარიც აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებას და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა (ილია ჭავჭავაძე, „აზია წინათ და ეხლა“, 1889). ერი, რომელიც „ჰთაკილობს სხვისგან ჭკუის სწავლებას“, არ ითვისებს „სხვის ავკარგიანობას“, კარგავს საკუთარ ისტორიასაც, ნაციონალურ ფასეულობებსაც, განვითარების შესაძლებლობებსაც; ის ვერ გაუფრთხილდება იმას, რაც აქამდე შეუქმნია და ვერც რამე ახალს შექმნის. ევროპისა და აზიის ქვეყნების გამოცდილებების შეპირისპირებით ილიას აჩვენებს ქართველებს, თუ რა საშიშია იზოლაცია და, მეორე მხრივ, როგორ პერსპექტივებს ქმნის კულტურული გახსნილობა, განვითარების საუკეთესო მოდელების ათვისება.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სინამდვილის ფორმირებისას ილია ჭავჭავაძესახავს ისეთ მიზნებს, რომლებიც აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვისაც. ილიამ როგორც მწერალმა და მოღვაწემ შექმნა საქართველოს თანამედროვე სახე, ქართველთა ერთიანი ცნობიერება, შექმნა საქართველოს თანამედროვე ეროვნული იდენტობა. თანამედროვეობის ფაქტორი აქ მხოლოდ დროის საზღვრებს როდი აღნიშნავს. ილიამ ქართველ ხალხს განუსაზღვრა ზნეობრივი, ეროვნული და პიროვნული ფასეულობების ირგვლივ გაერთიანების, თანადროული მსოფლიოს ცვალებად, განვითარებად სინამდვილეში ერისა და ქვეყნის სახით დამკვიდრების, პროგრესული საზოგადოების ფორმირების, საკუთარი მიზნებისა და ამოცანების დასახვის შესაძლებლობები, რის შედეგადაც ილიასეული პრინციპები მუდამ თანამედროვეა და საქართველოს ყოველ ახალ გზაგასაყართან ეხმარება თვითგადარჩენის თუ თვითგანვითარების გზების პოვნაში.

რჩეული წერილები

შინაური მიმოხილვა

1879 წელი, იანვარი

აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ. – ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა. – ჩვენი მსხვერპლი და ძმათა შემოერთება. – ჩვენის განათლების საქმე. – ჩვენის ხალხის სწავლების საქმე. – რა არის შკოლა. – ქართული საზოგადოება სწავლის გავრცელებისათვის. – შარშანდელი მასწავლებელთა კრება – "Тифлисский Вестник" – ის და „დროების" ღვაწლი.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულობით წვერი შემოერღვა, როგორც პაჭიჭს, და რაკი წვერი შემოერღვა, ბოლომდინ რღვევით უნდა წავიდეს. ჩვენ აქ რა შუაში ვართო, იტყვის მკითხველი. ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამიერ-კავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყნად შეიქმნა, რომელშიაც, ბერლინის ხელშეკრულების შემდეგ, გამოიკვანძა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა. ჩვენის ფიქრით, ეხლა აღმოსავლეთის საქმემ, აქამომდე სლავიანებზე გაჩერებულმა, აქეთ, აზიაში გადმოიწია და რუსეთი და ინგლისი – ეს ორი დაუძინებელი მეტოქე აზიაში მფლობელობისათვის – აქ, აზიაში, დაეჯახებიან ერთმანეთს და ბოლოს საქმე იქამდის მივა, რომ მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას. რით გაიხსნება ეს კვანძი, ხმლით გაჰკვეთენ თუ საცივილიზაციო ღონისძიებითა, – ამისი გადაწყვეტილად თქმა ძნელია წინათვე. ამას კი ვიტყვით, რომ პირველი ნიშნები ინგლისის მხრით საცივილიზაციო ღონისძიების ხმარებას მოასწავებს. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ეგ ინგლისს მოსდიოდეს სხვისა თუ ჩვენის სიყვარულით და ტრფიალებითა, – აქ ინგლისი თავის საკუთარის სარგებლობისათვის იღვაწებს. და რადგანაც ერთის ჭეშმარიტი და უცოდველი სარგებლობა მარტო იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც კარგად იყოს, ამიტომაც ინგლისი, რომლის საქმენი ხალხის თვითმოქმედებით იმართებიან, ეცდება თავისი ჭეშმარიტი სარგებლობა ჭეშმარიტს საძირკველზედ ამოიყვანოს, ესე იგი, ეცდება ძალაუნებურად იმათ კარგამყოფობასაც, ვინც მას აზიაში ბინადრად დახვდება. ჩვენ აქ საპოლიტიკო სიგელს არ ვწერთ, და ამიტომაც ჩვენ ესე გაკვრით ვლაპარაკობთ ამ საგანზედა და ჩვენს მკითხველს ჩვენს ამონაფიქრებს

ვაუწყებთ სმენისა და გაგონებისათვის. ჩვენ არ გვინდოდა, როგორც ლიტონს მემატიანეს, შეგვენიშნა, რომ აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც, თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც.

ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, – დღეს ჩვენ შემოგვიერთდა, და თუ კარგად მოექცევიან – ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდეც სამუდამოდ. წარსულმა ომმა ბევრი სისხლი დანსთქა ქართველობისა, ბევრმა ვაჟკაცმა ჩვენმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი. ბევრმა ჩვენმა აფიცრობამ თავისი ყმაწვილკაცობის დღენი დალია ამ ომში, ბევრი წარვიდა-მეთქი ამ წუთისოფლიდამ თვისტომთაგან დაუტირებელი, ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიკვდილით, – და მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა. (საწყალნო, ეგრე გულგმირად თავდადებულნო ყმაწვილ-კაცნო!) თქვენ, საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით ნებით თუ უნებლიეთ, და საცა ლხინი იყო – უკანასკნელნი!... სახელი და დიდება თქვენც, რომელნიც ბედმა სიკვდილისაგან გიხსნათ, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაჟკაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის და რომელთაც გიცნობთ ჯარი და უბრალო ჯარისკაცნი და სხვა არავინ ზედაც არ გიყურებთ ჩვენში! თქვენც, თქვენთა თავდადებულთ ძმათაებრ, ჭირში პირველნი იყავით და ლხინში უკანასკნელნი ხართ... თქვენ თავებს იხოცდით, თოფს და ზარბაზანს გულდაგულ ედეგით და თქვენი სახელი და დიდება სხვამ გაისაკუთრა, სხვამ დაინარჩუნა. იმითი მაინც ინუგეშეთ, რომ ამ ომმა, საცა ამოდენა მსხვერპლი მოიტანა ქართველობამ, ამოდენა ძალ-გული და ვაჟკაცობა გამოიჩინა, ამ ომმა ამდენის ხნის დაშორებულნი ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა. (რასაკვირველია, ამისთანა ბოლო იქნება გულშიაც არა ჰქონდათ მათ, ვინც თავი დასდო ამ ომში, მაგრამ ჩვენ, როგორც ლიტონმა მემატიანემ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დიდს საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა.) მიიღო კიდევ ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი!... ნუთუ უსისხლოდ ჩვენი ბედი არას გვითმობს!..

ეხლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყოველიფერში; უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ, – როგორც ჩვენთვის, იმათთვისაც თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით, – ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგევით, ქართველობავ! რა გაგვიხსნის გზას

მაგ კავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელმა სთქვა და ჩვენც ვიტყვით, რომ ამისათვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი წამწყმედელი ყოველის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოველის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მომფენი ღონისძიება! სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს.....[1]) ტყუილად კი არ ანაცვალეს ცნობადის ხეს თითონ სამოთხეც კი პირველ კაცთა, ადამმა და ევამ. ეგ ის ხეა, რომელსაც გამოაქვს მშვენიერი ნაყოფი თვითოეულისათვის ცალკე და ხალხისათვის საერთოდ; ეგ ის ხეა, საიდამაც ეჩოს ტარიც გაითლება და ხერხისაც; ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთნაირის გულის-ტკივილითა და ეუბნება: „მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ“; ეგ ის ხეა, რომელქვეშაც ჩვენ უნდა დავდგათ ოქროს აკვანი ჩვენის ერთობისა. საქმე იმაშია ეხლა, რა გზით და როგორ?

ხალხის სწავლების და განათლების საქმე ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდე იმაზედ იყო მიმდგარი, რომ მთავრობა მარტო საშუალო სასწავლებელთათვის ზრუნავდა მხოლოდ და მარტო მათს, ასე თუ ისე, გავრცელებას ცდილობდა. საშუალო სასწავლებელნი მარტო შემძლებელთათვის არის მისაღწევი, ესე იგი – თავად-აზნაურობისათვის და მოქალაქეობისათვის. ამის გამო მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს-აქამომდე მარტო წოდებათა (*сословный*) განათლების მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არასფერს. სხვა დანარჩენი, ფრიად დიდძალი ხალხი კი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტს ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდამ გამოკლებული იყო. მარტო ამ უკანასკნელ დროს – ყველამ, თუ არა სცნა, ცნობილი მაინც აღიარა, რომ ესეთი განსაკუთრებული მზრუნველობა მარტო ერთის წოდებისათვის დიდი შეცდომაა წინაშე საერთოდ ხალხის განათლების მოთხოვნილებისა; რომ სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა. ამიტომაც, დიდი თუ პატარა, ყველა მოიმართა ამ ბოლოს დროს იმაზედ, რომ სახალხო შკოლები დაიმართოს. აქ, ჩვენდა სანუგეშოდ, იმას შევნიშნავთ, რომ სწავლის გავრცელების და სახსრების მოპოებისათვის თითონ ჩვენმა დაბალმა ხალხმა დიდი თვითმოქმედება გამოიჩინა და არც უმაღლესი საზოგადოება დარჩა უგულმოდგინოდ, როგორც ქვევით ვნახავთ. ამ სახით თაოსნობა სწავლის გავრცელებისათვის ხალხში თითონ ხალხმა იტვირთა. ამაში ჩვენ ვხედავთ მომავლისათვის ბევრს სანუგეშოს. დიდი საქმეა, როცა თითონ ხალხი ცდილობს თავისი-თავი გაიტანოს. დღე-და-დღე გვესმის, რომ ჩვენი ხალხი, ნამეტნავად ტფილისის გუბერნიაში, იღვწის შკოლების დამართვისათვის, ყოველდღე ისმის, რომ აქ და აქ გამართეს შკოლაო; დღე-და-დღე ეგ თვითმოქმედება მატულობს და იმატებს კიდეც, თუ ხელს არ შეუშლიან.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ახლად შემოერთებულს საქართველოზედ. იქ, არა მგონია, პირველ ხანებში, თითონ იქაურთა მცხოვრებთა შორის მაგ თვითმოქმედებამ გაიღვიძოს და ან ჩვენმა საკუთარმა გულმოდგინებამ ძალიან ფრთა გაშალოს. რადგანაც იქ სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, არ იქნება, რომ ამ გარემოებამ ცოტად თუ ბევრად არ შეაფერხოს შკოლების გავრცელების საქმე. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ვითომ მაჰმადიანობა თითონ თავისით ეწინააღმდეგებოდეს განათლების მიღებას და გავრცელებას; ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ რადგანაც დღეს სწავლის ხელთმძღვანელი ჩვენშიაც და იქაც მარტო მთავრობაა, მერე რუსისა, ესე იგი იმ ხალხისა, რომელიც სარწმუნოებით და ენით მათ უნდა ეუცხოებოდეს უსათუოდ, ამის გამო რუსთაგან ყოველგვარს ცდას განათლებისათვის სხვა თვალით დაუწყებენ ყურებას. შესაძლოა იფიქრონ (განა ცოტა უხეირო და უგვანი ტაშკენტელნი პედაგოგები გვყავს, რომ არ აფიქრებინონ), შესაძლოა-მეთქი აფიქრებინონ, რომ შკოლების მეოხებით ეცდებიანო ჩვენი ზნეობითი და გონებითი მხედველობა შესცვალონო ჩვენის რჯულის არსების შერყევისათვისო. ღმერთმა გვიხსნას ჩვენც და ისინიც იმისთანა შკოლებისაგან, რომელთაც განათლებისა და სწავლის მოფენის გარდა, სხვა რასმე დაუნიშნავენ მისაღწევად და ამ აკვანს ადამიანის გონების და ზნეობის აღზრდისას წაბილწვენ სხვადასხვა ბიწიერ მოსაზრებით. შორს ჩვენგან ამისთანა შკოლები! შორს ჩვენგან იმისთანა ტაშკენტელნი, რომელნიც არცხვენენ თავის ხალხს სხვის თვალში, და საცა მოქმედობენ – მარტო მტერს უჩენენ თავის ქვეყანას და თავის ერსა.

ამ სახით, ეს ორი სხვადასხვა გარემოება ჩვენის ქართველობისა ორ-გვარს სახსარსაც ითხოვს საქმის წარმატებისათვის. ჩვენში, საცა თვითმოქმედება ხალხისა გაღვიძებულია განათლების გავრცელებისათვის, მთავრობამ, როგორც განათლების ხელთმძღვანელმა, ხელი უნდა შეუწყოს ამ თვითმოქმედებას, წაახალისოს თაოსნობა ხალხისა, ფულით თუ სხვა რაიმე საჭირო ღონისძიებით დაუღალავად და ხანდაუზმელად მიეშველოს, და ამასთან უფრო ფართო და ადვილი გზა მისცეს ხალხის ხალისს და თვითმოქმედებას შკოლების დაარსებისათვის, ესე იგი ტყულ-უბრალო მიწერ-მოწერით არ დააგვიანოს ხოლმე ნების-რთვა. სადაც ეგ თვითმოქმედება არ არის ჯერ გაღვიძებული, იქ კი ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს მთავრობამ თვითმოქმედების გაღვიძებისათვის. იქ თითონ მთავრობამ თავისი ხარჯით, თავისი თაოსნობით უნდა დამართოს შკოლები, და მერე იმისთანა სიფრთხილით, იმისთანა თვალ-გაფაციცებით, იმისთანა წინმხედველობით, რომ არა მიზეზი არ მისცეს კაცს აფიქრებინოს, რომ განათლების და სწავლის მეტი აქ შკოლას სხვა რამე წადილიცა აქვს. ამ მძიმე ტვირთსა შეუმსუბუქებს მთავრობას მარტოდ და მარტოდ ქართველი კაცი, ქართულის ენის მცოდნე. ამისათვის საჭიროა სახალხო შკოლების დირექტორებად მოწვეულ იყვნენ უსათუოდ ქართულის ენის მცოდნენი, საჭიროა საყოველთაოდ ჩვენთვის, და ახლად შემოერთებულ საქართველოსათვის ხომ აუცილებელია და აუცილებელი.

ამასთან, ეს არ უნდა დაივიწყონ, რომ პირველდაწყებითს სახალხო შკოლას მარტო ერთი წადილი უნდა ჰქონდეს, მარტო ერთი საგანი: მოზარდს თაობას მიანიჭოს ცოდნა იმ პატარა საწყაოთი, რომლის აუვსებლადაც შემდეგი განათლება და განვითარება შეუძლებელია. აი ამაშია სული და გული პირველდაწყებითის შკოლისა. „ამ გზაზედ მას შეუძლიანო, – ამბობს ერთი მწერალი, – ყოველმხრივი განვითარება მისცეს მოზარდსაო, შეუძლიან გაუმაგროს, გაუღონიეროს და გაუხსნას სულიერი და ხორციელი ძალნი მოზარდსაო. თუ ეს ჩემი ნათქვამი მეტად აზოგადებს პირველდაწყებითი შკოლის მნიშვნელობასაო და მეტის-მეტად ეჩვენება ვისმეო, მე იმათ აი რასა ვკითხავო: იცით თუ არაო, რა არის ყრმისათვის, რომ რამდენიმე წელიწადი ზნეობით და გონებით განვითარებულ კაცის ხელში იყოს? იცით რა არის, რომ რამდენიმე წელიწადს გაუწყვეტლად ყრმა ემორჩილებოდეს გონიერს დისციპლინას შკოლისას, საცა გონივრად დადგენილ წესსა და რიგსა წარბშეუხრელად და გულის-ტკივილითაც მუდამ უნდა ამოქმედებდეს შკოლის ოსტატიო? ცხადი არ არის აქედამაო, მით რომ ყრმა შკოლაშია, მით რომ მოზარდი ნერგი მუდამ თვალქვეშა ჰყავს გულშემატკივარს, განვითარებულს, ზნეობიანს ოსტატს და მის წინ როგორც კოკორი იშლება, სულიერად და ხორციელად დღე-და-დღე იმართება, – ნუთუ ცხადი არ არისო, რომ ამით ყრმას ენერგება გულში პატივისცემა სხვისა და საკუთარის თავისა, პატივისცემა კანონიერობისა და სიმართლისა, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, მართებულობისა, რიგიანობისა, პატივისცემა სხვის საკუთრებისა, სიყვარული ხალისი შრომისა, გაფრთხილებისა, ზოგვისა, სიყვარული ოჯახისა, თვისტომისა, ქვეყნისა.“ – ამ-რიგად, პირველდაწყებითს შკოლაშიაც კი შესაძლოა იხეიროს ყოველ იმ მოზარდმა ნერგმა კაცის ბუნებისამ, რომელიც ერთად გამოიტანს ხოლმე ნაყოფს კაიკაცობისას, ადამიანობისას. ამ წრის გარეთ შკოლას საერთოდ და სახალხოს საკუთრივ საქმე არა აქვს, და თუ ვინმე ზახაროვისა და კუვშინსკისთანა შკოლას ზურგზედ სხვას რასმე აჰკიდებს, იმას არა სწამს შკოლის უწმინდაესი მადლი, ის უარ-ჰყოფს მის სანატრელს მნიშვნელობას, ის წმინდა საგანს – შკოლას – სახედარადა ხდის და ზედ ჰკიდებს თავის დახშულის გულის ღვარძლსა და ნაგავსა, ის უარ-ჰყოფს ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესს ნებას, გამოცხადებულს 1864 წ. რესკრიპტშია.[2]

მადლობა ღმერთს, ეს შკოლის მნიშვნელობის წაბილწების და წარყვნის შიში ჩვენში ეხლა არამც თუ შეფერხდა, არამედ სანუგეშო იმედად შეიცვალა. შარშანდელმა კრებამ სასოფლო შკოლების მასწავლებელთა ეს ცხადად დაგვიმტკიცა. ჩვენმა ქართულმა ენამ, აქამომდე შკოლებიდან გამოდევნილმა[3], ისევ ფეხი შესდგა ჩვენს შკოლებში. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ეხლანდელს რედაქციას „დროებისას“ და ნამეტნავად *“Тифлисский Вестник”*-ს. სიმართლე გვაიძულებს აღვიაროთ, რომ ეგ ღვაწლი მარტო მაგ რედაქციამ დასდო ჩვენის განათლების საქმეს და მასთან ერთად *“Тифлисский Вестник”*-მა, რომელმაც ამ საგანზედ თვალსაჩინო წერილები დაბეჭდა. ეგ პატარა გაზეთი „დროება“ ეხლანდელ ნაღმის მიმტანს პატარა გემს მაგონებს, რომელიც ეხლახან მოიგონეს და რომელმაც

იმდენი ვაი-ვაგლახი დააყარა ზორბა ხომალდებს წასულს ომებში. ჩვენა გვგონია, რომ იმ პატარა გემების სამსახურსა ადვილად გაუწევს ჩვენს ქვეყანას ჩვენი პატარა „დროება“, თუ რომ იგი არ მიიკარებს იმ სენს, რომელსაც ქვიან სხარტე სახელი – გონების მრუშობა. ღმერთმა დაიხსნას იმ ჭირისაგან ის ტანად მომცრო მოძმე ჩვენი. ესეა თუ არა, „დროებამ“ და *“Тифлисский Вестник”*-მა კი ნაღმი მიიტანეს და ააფეთქეს ის უგვანი და ზორბა გემი, რომელსაც მმართველად უსხდნენ ტაშკენტელნი პედაგოგები...[4]). შარშანდელმა სოფლის შკოლის მასწავლებელთა კრებამ უარჰყო უწინდელი მიმართულება ჩვენის შკოლებისა და აღიარა, რომ ქართული ენა უნდა დაიდვას ქვაკუთხედად ჩვენის განათლებისა. ამ კრებამ კანონად დასდვა, რომ მთელის სწავლის მსვლელობა სასოფლო შკოლებში ქართულს ენაზედ უნდა იყვესო და დააწესა სრული კურსი პირველდაწყებითის სწავლისა. საღმრთო ისტორია, მოკლე კატეხიზმო, არითმეტიკა, გეოგრაფია – ყველა ეს საგნები პირველ წლიდამ დაწყებული ვიდრე მეოთხე წლის გასვლამდე, ესე იგი კურსის შესრულებამდე, უნდა ისწავლებოდეს ქართულს ენაზედ. რუსულს ენასაც კი უნდა ჰქონდესო ადგილი, მაგრამ როგორც ცალკე საგანსა და არა სახსარს, ანუ საშუალებას სწავლისასაო, და ამიტომაც დაადგინეს, რომ მისი სწავლება უნდა იწყებოდეს მხოლოდ მესამე წლიდამ. ესეთი გადაწყვეტილება არის ჭეშმარიტი პედაგოგიური, სრულიად ეთანხმება მცოდნე და გამოჩენილ პედაგოგების აზრსა და მხედველობას ამ საგანზედ და აღუთქვამს ჩვენს სახალხო შკოლას სანატრელს და სანუგეშო მომავალსა. ესეთი გადაწყვეტილება მტკიცე ნიადაგზედაც დგას, რადგანაც ერთის მხრით ცხოვრების მძლავრს ნიადაგზედ და მეცნიერებისაგან აღიარებულს ჭეშმარიტებაზედ არის დამყარებული, და მეორეს მხრით – აღიარებულია აქაურის უმაღლესის მთავრობის მხრითაც. თუმცა ამ გადაწყვეტილებას ზედ არ დაერთვა გონიერი და განვითარებული პროგრამები, მაგრამ ეს იმისთანა ნაკლია, რომლის მოსპობაც ადვილად შეიძლება, ოღონდ ჭეშმარიტი სურვილი იყოს და ჭეშმარიტი გულმტკივნეულობა ხალხის განათლებისადმი მათ შორის, ვინც პირდაპირ უდგანან განათლების საქმეს. საზოგადოდ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამიერიდგან ხალხის განათლების საქმეს ექნება უფრო ნაყოფიერი მსვლელობა.

თავი მეორე

1879 წელი, თებერვალი

აჭარა და ქობულეთი. – კინტრიშის მაზრა გაჭირვებულია. – შველა ჩვენი ზნეობითი მოვალეობაა. აჭარელების გადასახლების ხმა. – რათ და რისთვის? – როგორ უნდა მოევლოთ და როგორ მოუარეს. – მთავრობას რით იცნობს ხალხი. – ადმინისტრაცია. – არსებითი ნაკლი ადმინისტრაციისა. – უენობა და სიყრუე. – არ იცნობს და არ იცნობენ. – ცხოვრება, კანონი და შუა ცარიელია. – კანონმდებლობა ოთხ კედელ შუა. – ვნება ამის გამო, – კიდევ ქართული და აქაური ენები. – ქართული სცენა. – რა არის სცენა საზოგადოდ და რა უნდა იყოს ჩვენთვის საკუთრივ.

ყოველ მხრიდამ ისმის, რომ ჩვენი მოძმენი – აჭარელები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ-აქამომდე არსაიდამ მოელიან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზედ მომეტებულად დაისაჯა. ამას ეჭვი არ უნდა: აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახადა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი. ჯარების დგომა, ნამეტნავად ერთი-ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულისა, რასაკვირველია, კეთილს არ დააყრიდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინათვე არავინ იცოდა, ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალო; არც რუსი მოიქცეოდა გულმტკივნეულად და არც თათარი. „დროების“ №32-ში კარგა ცხოვლად არის აწერილი გ. წერეთლისაგან ის საცოდაობა, რასაც წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს და ომის მერმეთაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არამც თუ გადამეტებულია, რასაც გ. წერეთელი გვაუწყებს, არამედ იმის ნატამალიც არ უნდა იყოს, რაც საცოდაობა აჭარას და ქობულეთს მიადგა ომის გამო. აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გარდახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დაღუპვა ხალხის ქონებისა, რომლის წაღებაც თან არ შეიძლებოდა, უხვნელ-უთესავად დარჩომა, ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა, – ესენი სულ იმისთანა თვისების უბედურობაა, რომელიც დიდხანს გასწევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი, თუ მთავრობა ეხლავე ხელს არ შეუწყობს ხალხსა, არ დააკვირდება მის აწინდელს მდგომარეობას, არ მიეშველება ფულით, თუ სხვა ღონისძიებითა, და თუ დროებით მაინც არ ამოუშვა ამ მოვალეობისაგან, რომელიც ხაზინის ინტერესს შეადგენს. ეს უკანასკნელი მაინც აუცილებელი საჭიროებაა ქობულეთის და აჭარისათვის, თუ მთავრობას ჰსურს დაანახვოს ხალხსა თვისი უკეთესი მხარე, რომლითაც იგი მართლა-და სანატრელია ყოველის კაცისათვის, სახელდობრ – ის მხარე, რომლითაც სახელმწიფო თავის უწმინდაეს მოვალეობად უნდა აღიარებდეს ხალხის

შველას ყოველთვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო, მის კეთილდღეობისათვის წადილს, მზრუნველობას და მხურვალე გულდადებას, და ამ შემთხვევაში ზოგვა და ძუნწობა საბოლოოდ საქმის წახდენაა და ღალატი სახელმწიფო საქმისა. ეგ შველა და ხელუხვობა სახელმწიფოსი მით უფრო არის სასარგებლო, რომ თითონ სახელმწიფო არასფერს დაჰკარგავს: ხალხი, ფეხზედ წარმომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა. აქ ყოველივე შესაწირავი, ყოველივე სანთელ-საკმეველი გზას იპოვის, გლეხისა არ იყოს, და სახელმწიფოს გარდამეტებით დაუბრუნდება. ჩვენდა სამწუხაროდ, ისმის, რომ ეს სანატრელი მხარე მთავრობისა ფეხადგმული არ არის ჯერ აჭარასა და ქობულეთში, თუმცა მოხელეთა შორის იმისთანა პატიოსანი და ხალხის გულშემატკივარი კაციც არის სხვათა შორის, როგორც თავ. გრიგოლ გურიელი. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს არ მოიყვანს...

ნამეტნავად კინტრიშის მაზრაა თურმე საშინელს ყოფაში და გაჭირვებაში. რომ მართლა იგი ყოფა და გაჭირვება საშინელია, მარტო ის ამტკიცებს, რომ თითონ მთავრობას საჭიროდ დაუნახავს იმისი გამოცხადება საქვეყნოდ. ვინ არ იცის, რომ ამისთანა ამბების გამოცხადება მთავრობას ყოველთვის ეძნელება და ემძიმება ხოლმე. სჩანს, მართლა დიდი უბედურობა უნდა ტრიალებდეს კინტრიშის მაზრაში, რომ მთავრობა იძულებულ იქმნა ეგ უბოდურობა ყველასათვის ეუწყებინა. მთავრობა მიშველებია კიდეც გაჭირვებულს ხალხს, მაგრამაო იგი შველა საკმარისი არ არისო. ჩვენ ეს არ გვესმის! რატომ იმდენად არ მიჰშველებიან, რამოდენადაც საკმარისია? რაო, სახელმწიფოს იმოდენა ღონე აღარა აქვს, თუ სხვა რამ მიზეზია? განა ამისთანა შემთხვევაში, უღონობის გარდა, სხვა რამ მიზეზიც შეიძლება რომ იყოს! უღონობა კიდევ ჭკუაში მოსასვლელი არ არის: სახელმწიფოსათვის ერთის მაზრის შენახვა, თუნდ მთელს წელიწადს, წვეთია ზღვისათვის. ვფიქრობთ და ვერ მოგვიფიქრნია, რით ავხსნათ ეგ ნამცეცების მიწვდა, როცა ხალხი ერთის მთელის მაზრისა შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი თვის გარეშემო ჯოჯოხეთსა ჰგრძნობს, ან სულ ჰო, ან სულ არა. აქ ორ წყალ-შუა დგომა უადგილოა და ამაზედ მეტიც, თუ სწორეს გვათქმევინებთ...

ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობაა ამისთანაებში მოვალე და ყოვლად-შემძლებელი ღონე, ჩვენ გულ-ხელი დავიკრიფოთ და გულგრილად ვუყუროთ ჩვენის ძმების უბედურებას, გულგრილად და თუნდ ცარიელის გულის-ტკივილითაც შევყუროდეთ, როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავში სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძუძუგამშრალს დედას, როგორ ტყის ნადირსავით დაძრწის ღონემიხდილი დამშეული მამა, იმედდანთქმული, რომ რითიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდამ შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილის სულთამხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თვისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა,

არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით“ საცოდავი კნავილი ბავშისა „მამავ, პური, მამავ, პური“... გარბის თითონაც დამწვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰგრძნობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდამ ყოველივე ის, რისთვისაც სცხოვრობდა, რისთვისაც სულდგმულობდა, რისთვისაც იღვწოდა. ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზე უძვირფასესია... ჰგრძნობს და გულს უბზარავს მწვავი ტკივილი სასოწარკვეთილებისა, უიმედობისა და უღონობისა. ან არა და დგას ამ საშინელის სურათის წინ – უღონო, უილაჯო, თვალებ-ჩაცვივნული, ნაწლებ-ამომწვარი შიმშილისაგან, დგას და უყურებს, რომ თვალ-წინ უკვდება ცოლი, უკვდება შვილი, უყურებს და იწვის, იდაგვის, რომ არსაიდამ ხსნა არ არის, არსაიდამ შველა, და თუ რამ ნუგეში აქვს, ეგ ის ნუგეშია, რომ მეც შიმშილი დღესა თუ ხვალე ამომხდის დაუძლურებულს სულსო და ჩემს ცოლ-შვილს საიქიოს შევეყრებიო... იცით მერე ამისთანა ყოფა რა ტანჯვაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ხედავ, რომ გარშამო მთელი მაზრა, ათას-ათასი ღვთის-კერძო ადამიანი წივის, კივის: „გვიშველეთ, შიშვლები, მშივრები ვიხოცებითო!“ ეგ მთელი ჯოჯოხეთია, მთელი!..

აბა ახლა წარმოიდგინეთ, ეს ჯოჯოხეთი რამოდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდით ხედავს თავის ძმას, რომელსაც შველა ცოტად თუ ბევრად შეუძლიან და არ შველის. ქართველობავ, ნუ იქმ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად-შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!... აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!.. ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდაესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!... ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის – რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში.

ამიტომაც უფრო იმედი გვაქვს, რომ ყოველსფერში გულუხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს. რედაქციები „ივერიისა“ და „დროებისა“ ყოველ-დღე მზად არიან მაგ შესაწირავის მისაღებად. ჩვენ ვურჩევთ, რომ შემწირველთა უფრო „დროების“ რედაქციას მიჰმართონ, რადგანაც „დროება“ ყოველ-დღე გამოდის და ამის გამო მას შეეძლება ყოველ-დღე აუწყოს საზოგადოებას შეწირულის ფულის ანგარიში და ამასთანავე შემწირველთა სახელებიცა.

აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!“ ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა!... ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისათვისაც სწუხ და ჰფიქრობ!...

ყოველივე ეს უბედურობა, რომელიც თავს დასცემია აჭარა-ქობულეთს და მისი უნუგეშოდ ყოფნა – დიდს განსაცდელში ჰყრის ახლად შემოერთებულ ქვეყნის მცხოვრებელთა. რუსულ გაზეთ *“Голос”*-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია და მერე სხვა გაზეთებშიაც გადაბეჭდილი, რომ აჭარელები აყრას ჰფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლებასაო. ამის მიზეზი იცის, როგორც ეტყობა, კორესპონდენტმა, მაგრამ გამჟღავნება მისი „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ვერ მოუხერხებია. რუსული გაზეთები კი ამბობენ, რომ ხალხის აყრა და ჩვენიდამ გადასახლება ოსმალეთში ასეთი მძიმე და ღირსშესანიშნავი ამბავია, რომ აქ დამალვა ნამდვილის მიზეზისა ცოდვა არისო და დიდი დანაშაულიაო სახელმწიფოს წინაშეო. ჩვენც ამ აზრისა ვართ, მაგრამ რას იქ?

. . . . . [5]*) თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქმნება, თუ შენც იტყვი, მკითხველო! ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში.....*) მერე როგორ? თავისს მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, – სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!... საკვირველი ამბავია!... ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში? ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, სტოვებს – ვიმეორებთ – მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, საცა დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა, – და მიდის სად? ოსმალეთში. . . ? . .*) რაო, რა ამბავია? მოჩვენებაა შეშინებულის გონებისა, თუ მართლა მართალი ამბავია! . . . . . *) რათ მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ – სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავის დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღიდგანვე, რისთვისაც იღვწის და ამ წუთისოფლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტრფის, რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობს, – დიაღ სტოვებს და მიდის სად? . . . . . *) ოსმალეთში!...

ეს რა ამბავია, რა ამბავია!... ადამიანი კიდევ ადამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდით ადამიანს ვეღარ იყენებს, ვეღარ იშვნევს, ვეღარ ითვისებს! ხალხი თავის ათას-წლობით დამკვიდრებულ ბინიდამ იშლება და მიდისო... ეს დაუჯერებელი, ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამეტებინოს, ასე ხელი ააღებინოს თავის ბინაზედ, თავის მამულზედ, თავის დედულზედ და გარდახვეწოს ვინ იცის საით... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულობამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანაო, ამბობენ ყველგან, რომ ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალი-

ასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გა-უმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. რაოდენიმე კაცის გარდა, ასეთები არიან თურმე დანარჩენები, რომ როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალხზედ დგება. ამათ შორის, საცა გამოგდებული სამსახურიდამ კაცი იყო თურმე, საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მხრით დაანახვებენ ისინი რუსის მთავრო-ბასა, რუსის მმართველობასა? არავის ეჭვი არა აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოთ, ვინც მოხელე-თაგანი აქამდინ მიიყვანს საქმეს...

ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღი-არებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრე-ლი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთ-ხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმ-წიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს. საცა ეს სიყვარული არ არის, ის სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია...

უმაღლესი სფერა მთავრობისა საზოგადოდ . . . . . [6*]) მეტად მიუწვდომელია ხალხის თვალისათვის. ისე შორსა სდგას იგი ხალხზედ, ისე იშვიათად დაენახვება ხოლმე ხალხის თვალს, რომ ძნელად თუ ხალხი მას პირისპირ გაიცნობს, და თუნდ ძალიან კარგიც იყოს, მისი სიკარგე, მინამ ხალხამდე ჩავა, მრავალ ხელში გაივ-ლის ხოლმე და ამის გამო ვინ იცის რა სახით ეჩვენება. თითონ ხალხიც საზოგა-დოდ, და დაბალი საკუთრივ, ისე მომწყვდეულია თავის ვიწრო ავკარგიანობაში, მისი ყოველდღიური საჭიროება ზედ-გამობმულია ისეთს წვრილმანს საგანზედ, რომ ძნელად თუ მიეცემა მიზეზი პირისპირ შეხვდეს მთავრობას და მით იხელთოს შემთხვევა მისი ავ-კარგიანობა აწყოს. ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხის შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გა-მომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა, ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგი-ნი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-წინ ტრი-ალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყა-ლობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა და იმდენად დაფრთხეს, რომ მამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგე-ბა ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, – შეადგენს ერთს

იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულის-ტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში...

ზევითა ვსთქვით, რომ ხალხის მახლობელნი მოხელენი პირველსახენი არიან უმაღლესის მთავრობისა, იგინი არიან მაგ მთავრობის წადილისა და მიმართულების გამომთქმელნი. აქედამ ცხადია, რამოდენად გულით და ჭკუით განვითარებულნი უნდა იყვნენ ის მოხელენი, რომ მათაც, – როგორც ერთგვარ ძალთა სახელმწიფო წყობისათა, – გააგნებინონ ხალხს გზა საზოგადო ცხოვრებისა, თვალი აუხილონ იმ საგანზედ, რომელიც ყოველს წყობას ადამიანისას მისაღწევად დანიშნული უნდა ჰქონდეს საყოველთაო საკეთილოდ; მათ უნდა ამცნონ ის საყოველთაო საკეთილო საგანი, რომლისაკენაც უნდა მიიზიდებოდეს ყოვლის ძალითა და ღონით ყოველივე სახელმწიფო, თუ მართლა სახელმწიფოა საქმით და არა მარტო სახელითა. ამ მხრით, მოხელეობა მმართველობისა მარტო მშვიდობიანობის მცველი კი არ არის, მარტო დარაჯი კი არ არის, არამედ მწვრთნელიც უნდა იყოს ხალხისა, მასთან ერთად ჩაბმული და ერთად მოღვაწე. უნდა იყოს-მეთქი, და არის თუ არა, – ეგ ღმერთმა იცის. . . . . [7*]) ხალხის მახლობლად მყოფი მთავრობითი ორღანო ორგვარია: პოლიცია და სამმართველო. ამათ უჭირავთ უპირატესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და ამაზეა დამოკიდებული ჩვენში ხალხის გულის მოგებაც, ხალხის გულის აყრაც და იმ დანიშნულების აღსრულებაც, რომელიც ზევით აღვნიშნეთ. ამიტომაც აშკარაა, რა არის საჭირო აქაურ მოხელეებისათვის გარდა საზოგადო თვისებისა, სახელდობრ, ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა. საჭიროა მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც. ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სამართლის აღმადგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსჭრას და ყური დაუხშოს, – რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყოველფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს. მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოჩივარის საჩივარი და გულისტკივილი, რა მოსამართლეა? მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწმის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათელით მოჰფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცისა და ბრიყვის მთარგმნელისა, – ის რა მოსამართლეა? მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერ გავაგებინებ და ის თავისას, – ის რა ჩემი მომვლელია? აქ მარტო სახეა და არა სული და ხორცი. ამ უენობას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად სრულიად უცხო კაცია მოსამართლედ თუ მოხელედ, სრულიად უცნობი ჩვენის ჩვეულებისა, ჩვენის მიდრეკილებისა, ზნეობისა, ჭირისა თუ ლხინისა, და მაშინ ცხადი იქნება, რათ

მიაჩნია ხალხს ჭირად, როცა საქმე ან სამოხელოდ, ან სასამართლოდ გაუხდება ხოლმე. მაშინ ცხადი იქნება, რათ იმდურება ხალხი და რათ არის კანონზედ და მმართველობაზედაც გულდაწყვეტილი და გულაყრილი. შორს რათ მივალთ! აი, ცხენების ჩუქება ავიღოთ თუნდა მაგალითად. ჩუქება ხომ კეთილი საქმეა, მაგრამ აქაც კი ხალხი დაფრთხა, ნამეტნავად, საცა მაზრის უფროსად უენო კაცი იჯდა, დაფრთხა, არ მიეკარა ცხენებს, რადგან ეს მთავრობის წყალობა სულ სხვაფრად დაანახვეს ხალხსა, — კაცი არ იყო. კაცი, რომ ხალხისათვის წყალობა წყალობად გამოესახა და პირდაპირ აეხსნა მთავრობის განზრახვა. რამდენი ბოროტმოქმედება მოჰყვა ამ განზრახვით კეთილს საქმეს, მკითხველმა ზოგი იცის ჩვენებურ გაზეთიდამ და ზოგი კი დავიწყებას მიეცა, როგორც სხვა რამ მრავალი.

როცა მოხელეები იმ ჯურიდამ ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისის ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა, — ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არა გაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი. არიან ესე, ხშირად ერთი აღმა მიდის და მეორე წაღმა, უყურებენ ერთმანეთს და ჰკვირობენ, ან მე რად უნდივარ ამასაო, ან მე იგი რად მინდაო, ეს ჩემთვის მუნჯი და ყრუიაო, მე — იმისათვისაო; და თუ მოხელე კაი კაცია, მარტო იმას ფიქრობს, რომ არა ვავნო რა ხალხსაო, და ხალხი კიდევ იმოდენად არის ხოლმე მადლობელი მოხელისა, რამოდენადაც იგი უფრო ნაკლებ მავნებელია. ამისთანა ყოფაში სხვა საწყაოთი მიდგომა შეუძლებელია: მმართველობას სიკეთის უპირატესი ღონე ჩამორთმეული აქვს, სახელდობრ ენა და ყური. ანდრეევსკის ქალის საქმემ აშკარად გამოჰფინა საქვეყნოდ ის სასაცილობა, რომელიც მოსდევს ხოლმე ენის არ-ცოდნას.

ამას გარდა ამ ყრუ-მუნჯობას ერთი დიდი ვნებაც სხვა დაჰყვება ხოლმე: ხალხის ცხოვრებას არც პატივი აქვს და არც ზედ-მოქმედება არასფერზედ. მრავალ-სახისა და მრავალ-გვარი საჭიროება ხალხისა, რაც მის ყოველდღიურ ცხოვრების დენაში აღმოჩნდება ხოლმე, და აქედამ წარმომდგარი ვითარება, რომელიც ზოგჯერ კანონმდებლობის ღვაწლსა თხოულობს და რომელიც ყოველთვის საჭიროებს ყურადღებით გასინჯვას და გულმტკივნეულს შეწუნარებას, — რჩებიან არამც თუ უყურადღებოდ, არამედ იქავე სულსა ლევენ, საცა იბადებიან, რადგანაც მთავრობის აგენტი ყრუა და მუნჯი უენობის გამო. სულს ლევენ-მეთქი და ამით გულსა სწყვეტენ ხალხსაც, და თითონ მთავრობასაც ხელიდამ აცლიან იმ ძვირფასს მასალას, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს ყოველივე მისი განკარგულება და კანონმდებლობა. ამიტომაც ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის, ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან.

ამისი წამალი – თითონ ტკივილიდამ სჩანს. აშკარაა, რომ მოხელეთა ამორჩევაში, განათლებისა და ზნეობით აღმატებულობის გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად; ეს არის უპირველესი ღონე მოხელისა, რომ მართალი და ჭეშმარიტი სამსახური გაუწიოს სახელმწიფოსაც და საზოგადოებასაც. ეს კარგად იციან ევროპიელებმა, რომელთაც კანონად მიღებული აქვთ, რომ თუ ენა არ იცის, კაცს ფეხსაც არ შეადგმევინებენ იმ ხალხში, საცა მოხელეობას ჰნდომობს. ასე მოქმედობს, მაგალითებრ, ინგლისი – შესახებ ინდოეთისა. ჩვენში კი სულ სხვასა ვხედავთ. აქ არამც თუ მოხელისაგან თხოულობენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თითონ აქაურებისათვისაც კი ამოაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლიდამ. იქ, საცა ჩვენის ხალხის მწყემსნი იზრდებიან, ჩვენის ხალხის მასწავლებელნი, მაგალითებრ – სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდამაც კი გამოდევნეს ჩვენი ენა. ქართველებსაც კი გზა არა გვაქვს ჩვენი ენა შევისწავლოთ, თორემ სხვას ვინა ჩივის. მთავრობა, რასაკვირველია, მიაქცევს ყურადღებას ამ დიდს ნაკლს და ეცდება იგი ნაკლი თავიდამ მოაშოროს აქაურს მმართველობას და ყოველს მოხელეს მოსთხოვს იმ ხალხის ენის ცოდნას, რომელთ შორის სამსახურს ჰნდომობს. ამისათვის საჭიროა ხელახლად შესაფერი ადგილი მიენიჭოს აქაურს სასწავლებლებში აქაურს ენებს. რასაკვირველია ამ წამალს იმოდენა მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რომ ამითი ყველა ტკივილი მორჩეს, აქ ბევრი სხვა ტკივილიც არის, რომელიც სულ სხვა მიზეზით წარმოდგება და რომელსაც სხვა წამალი უნდა... ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს ეგეც დიდი ფეხის წინ წადგმა იქნება, თუ მთავრობას ჰსურს ხალხისა შეიტყოს რამე და ხალხს კიდევ თავისი აცოდინოს.

* * *

ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთ-წოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თავიდამ აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება. ამისთანა სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამჭკნარის ყვავილისათვის. უფ. არწრუნმა ამ ბოლოს დროს თავის დიდს ქარვასლაში გამართა კერძო თეატრი. ამ შემთხვევამ ფრთა შეასხა იმ დიდის ხნის სურვილს, რომ სამუდამო სომხური და ქართული სცენა გაიმართოს. აქაური სომხები დიდის გულმოდგინებით მოეკიდნენ სომხურის სცენის საქმეს და ამბობენ, პირველ გასაწყობად ათასი თუმანი ფული მოაგროვესო და კიდევაც აგროვებენო. არც ქართველობამ დაიკრიფა გულზედ

ხელი. ქართველობის მოყვარენიც ამასავე ცდილობენ და არ ვიცით, რა მადლობა უნდა გადუხადოს ქართველობამ იმ კაცთ, რომელთ მეოხებითაც ამ ბოლოს დროს ჩვენში გაძლიერდა სამუდამო ქართულის სცენის დადგენის სურვილი და ფეხი აიდგა კიდეც, რომ სისრულეში მოვიდეს. ერთმა კიდევ ქართველმა იმოდენა გულის სიკეთე და ჩვენი სიყვარული გამოიჩინა, რომ სამასი თუმანი შესწირა მაგ საქმეს, „დროების“ სიტყვით. იმედია, რომ ამაზედ არ გაჩერდება ქართული გულუხვობა და სხვაც ბევრი შეძლებისამებრ გამოიმეტებს შესაწირავსა ამ მეტად სანატრელ და საკეთილო საქმისათვის. დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის, თუ იგი ეხლანდელ გულგარყვნილობის მოედნად არ გავხადეთ და რაღაც სალახანური „მშვენიერი ელენები“ არ ვავარჯიშეთ. დიდი რამ არის-მეთქი სცენა: ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა.

ამას გარდა, სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს. უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროს-გასართობი, სულისა და გულის ამამაღლებელი, სხვა ისეთი არა ვიცით რა, სცენის მეტი. თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოაცილეთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწყმდეს, ვიდრე სუფევდეს. ეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ, ქართველებმა, რაკი ის კეთილი აზრი მოგვსვლია, რომ ჩვენი საკუთარი სცენა ვიქონიოთ. ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი – რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე – იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა. დღეს ჩვენს მდგომარეობაში სცენის მეტი სხვა ისეთი სახსარი არა აქვს რა ჩვენს ხალხს, რომ გონება, გული გაიხსნას და ენაც ავარჯიშოს საჯაროდ, საქვეყნოდ. ამიტომაც საჭიროა ჩვენში სცენას იმისთანა გონებაგახსნილი ზედამხედველობა ჰქონდეს ვისგანმე, რომ ამ ორს სანატრელს საქმეს სცენა არ გადუდგეს და არ გახდეს „მშვენიერის ელენების“ სამარცხვინო სასალახნო ასპარეზად. ამბობენ, ამ საქმეში მეთაურობას ჰკისრულობსო ჩვენი – ყოველ კეთილ საქმეში დაუღალავი მოღვაწე – დ.ი. ყიფიანი. ჩვენის ფიქრით, უკეთესს კაცს ჩააბარებდნენ ამ დიდს და მძიმე საქმეს, როგორც ქართული სცენაა. მან ძალიან კარგად იცის, რა ძვირფასი რამ არის ხალხისათვის სცენა, როცა იგი იმ ორს ზემოაღნიშნულს საგანს ემსახურება. თითონ იმ თხზულებათა აღმორჩევა რომელთაც დ.ი. ყიფიანი სთარგმნის ხოლმე, ცხადად გვიმტკიცებს, რომ მას სცენა მიაჩნია იმ დიდ შკოლად, საცა ოსტატად მოწვეულნი უნდა იყვნენ იმისთანა სახელოვანნი კაცნი,

როგორც შექსპირი და მოლიერი და სხვა მრავალი მათი მომდევარი გამოჩენილი მწერალი. იმედია, რომ დ.ი. ყიფიანის ხელში სცენა თავის-დღეში ისე არ დამდაბლდება, რომ იგი შეიქმნეს გულისა და ენის გამრყვნელად. ღმერთმა ჰქმნას, რომ რამოდენადაც დ.ი. ყიფიანი გულმოდგინედ და გულმხურვალედ მოეკიდება ამ საქმეს, იმოდენად ჩვენც შემწეობა და გულის ტკივილი ამოვუჩინოთ, და მაშინ ჩვენის სცენის საქმე მკვიდრს საფუძველზედ იქმნებადამყარებული, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ.

თავი მესამე

1879 წელი, აპრილი.

ნუთუ ახალმა ნიავმა დაჰბერა ჩვენს ცხოვრებას? – ახალი საზოგადოება წერა-კითხვის გავრცელებისათვის საქართველოში და მისი მომავალი ღვაწლი ჩვენის ცხოვრებისათვის. – რა ურთიერთობა სუფევს ამ საზოგადოებასა და შარშან დაარსებულს შორის („შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის")? – ორიოდე სიტყვა ბანკის თაობაზედ. – ქართული თეატრი. – თავად-აზნაურთა კრება.

ჩვენმა საზოგადოებამ, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სახელი დაიმკვიდრა შესახებ თაოსნობისა, გამჭრიახობისა, თვითმოქმედობისა და სხვა. გრძნობით-კი კარგადა გრძნობდა თავის ვაი-ვაგლახს და ყოველის მხრით გაჭირვებულს ცხოვრებას, მაგრამ შვებით კი თითქმის თითსაც არ გაანძრევდა ხოლმე, რომ რაიმე ცოტად თუ ბევრად მტკიცე საშუალება გამოენახა თავის დასახსნელად. იყო ისე, ყურმოჭრილი მონა გარემოებისა, და თითქო ფიქრობდა: როგორც ეს გარემოება მომევლინა ფათერაკად, იქნება შვებაც ამგვარადვე მომევლინოსო. ამისდა გვარად, ჩვენი საზოგადოება, იქნება, არც კი იყოს გასამტყუნარი ამაში: თაოსნობა, გამჭრიახობა, თვითმოქმედობა, – ყველა ამგვარი თავის აღმოსაცენად და განსავითარებლად მოითხოვს ნიადაგს არა იმისთანას, სადაც ფართო გზა და მსვლელობა უპყრია ფათერაკობას... იქნება არ იყოს-მეთქი მტყუანი, და არც იმიტომ მოვყევით ამაზედ ლაპარაკს, რომ გამოვძებნოთ ვინ არის მტყუანი და ვინ არის მართალი. ეს კი უეჭველია: გადიოდა ხანი და თითქმის არავითარი შვება არსაიდან არ მოჩანდა. ამასობაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ რაც კი რამ ხალისი და თაოსნობა ჰქონდა შერჩენილი ჩვენს საზოგადოებას, ისიც უნდა დაჰკარგოდა. მაგრამ, ამ ბოლო დროს ჩვენმა საზოგადოებამ თითქო ფერი იცვალა და ჩვენს ცხოვრებას თითქო ახალმა ნიავმა დაჰკრა; საზოგადოება თითქო შეკრთა, თითქო დაიძახა – „როდემდე და სადამდეო", ხელები გაანძრია, წელში გაიმართა და თითონვე განიზრახა თავის-თავისათვის შველა. ჯერ-ჯერობით მიჰყო ხელი სწავლა-განათლების საქმეს. ამისთვის დააარსა ჯერ ერთი საზოგადოება, რომელმაც გახსნა ესრეთ-წოდებული „მოსამზადებელი შკოლა", მერე კიდევ სხვა

საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოში. პირველ საზოგადოებაზედ საკმაოდ იყო ნათქვამი „ივერიაში“ და მეტი ლაპარაკი საჭირო აღარ არის. ახლა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ახალს საზოგადოებაზედ, რომლის პროგრამა იმდენად ვრცელია და იმდენად შორსა სწვდება რომ ფრიად დიდს ღვაწლს გვიქადის მომავალში და იმიტომაც ღირსია ყურადღებისა.

ეს საზოგადოება თავის დანიშნულების აღსასრულებლად მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო შკოლების გამართვას, არამედ დააარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს, მასწავლებლებს გამოზრდის ან თავისგანვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან თავისის ხარჯით; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას და სხვ.

ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს საქმე საუცხოო საქმეა და თუ ამ საზოგადოების წევრთ ქართველურად მალე გული არ აუცრუვდათ, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ.

არა ხალხში, რომელიც განათლებულებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენსაში. უწინდელს დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდნენ და წიგნის კითხვისათვის არა სცალოდათ, დედაკაცები მაინც არ ანებებდნენ ამ საქმეს თავსა, მიიბარებდნენ შეგირდებს და ამ-რიგად ქართულს მწიგნობრობას ძირიანად ამოვარდნას უშლიდნენ.

ეხლანდელს დროში დედაკაცები ისე-რიგად აღარ ეწყობიან წიგნის კითხვას და მამაკაცებს კი ჯერ გულდადებით არ მოუკიდნიათ ამ საქმისათვის ხელი. მართალია, ჩვენს სოფლებში ათასში ერთგან ამ უკანასკნელს ხანს შკოლები გაიხსნა, მაგრამ ისე კანტი-კუნტად, რომ ერთს შკოლიანს სოფელზედ ათი მეტი უშკოლო მოდის.

ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებას დიდი შეძლება არა აქვს რა: საზოგადოების შემდგენელთ წევრთ, რიცხვით ჯერ ას-ოცდა-ექვსია, შეაქვთ ყოველ წელიწადს არა ნაკლებ ოცის მანეთისა; ამას გარდა საზოგადოება მოელის სხვადასხვა შემოწირულს ფულს პატივსაცემთ წევრთაგან და აგრეთვე ნამდვილთ წევრთაგან, რომელთაც ყოველწლივ უნდა შემოიტანონ არა ნაკლებ ექვსის მანეთისა.

ყველა ეს შემოსავალი დიდს ფულს არ შეადგენს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საქმე ჯერ ახლად ფეხადგმულს ბავშსა ჰგავს და ახლად ფეხადგმულს ვინ მოსთხოვს ვაჟიკაცისავით სწორე სიარულს!

წრეულობით ამ საზოგადოებამ ხუთი შკოლაც რომ გახსნას ისიც დიდი საქმე იქნება. რასაკვირველია, ეს დიდ საქმედ კი არა, მცირე საქმედაც არ ეჩვენებათ იმ პირთ, რომელნიც ყოველ საზოგადო საქმეს თვალებ-ახვეულსავით უცქერიან და იძახიან, რომ წერა-კითხვის გავრცელება ხალხს სარგებლობას არას მოუტანსო, ხალხს ჯერ კუჭი უნდა გავუძღოთ და მერე წიგნი ვასწავლოთო, ჩვენ გვინახავს სოფლებში ბევრი წერა-კითხვის მცოდნენი, რომელნიც უცოდინარებზედ უფრო უსინიდისო და გაფლიდებულნი არიანო. ამ ვაჟბატონებს სალაპარაკოდ ენა კი ექავებათ და რას ამბობენ და რას არა, იმისი კი არა გაეგებათ რა. იმათ

ეს არ ესმით, რომ ერთი და ორი წერა-კითხვის მცოდნე კაცი რომ გამოერევა სოფელში, იმას თავისი თავი ცხვრებში გარეული მგელი ეგონება და უსინდისოდ გამოიყენებს თავის სწავლას; მაგრამ ერთისა და ორის მაგივრად მთელს სოფელს რომ ეცოდინება წერა-კითხვა, მაშინ იმათ ისე არავინ აპარპაშებს. გარდა ამისა, ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა. ვინც კი იძახის, ხალხს ჯერ კუჭი გაუძღოთ და მერე ვისწავლოთო, იმაზედ არ ჩაფიქრებულა, რომ გლეხკაცმა რაც უნდა სიმდიდრე შეიმატოს, თუ პატარა უკეთესს ცხოვრებას არ შეეჩვია და ქვეყნიერობისა არა გაიგო-რა, ისევ-ისე ბინძურად და უხეიროდ იცხოვრებს, როგორც სიღარიბეში უცხოვრია. ჩვენ გვინახავს ბევრი გლეხკაცი, რომელსაც ათას თუმნამდინ შეიძლება აქვს, მაგრამ ისეთს მიწურს სახლშივე დგას, ისევ-ისე გვერდით უბია თავის საქონელი და იმისგან გამოსუნთქულს ჰაერსა სუნთქავს, როგორც ყოვლად უქონელი ღატაკი გლეხი. ერთის სიტყვით, თუ ჩვენის ხალხის ბედნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლაც შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივსცეთ. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ამას უარყოფს, ან სრულებით ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებახვეული უცქეროდეს.

ვიმეორებთ: ჩვენ სწავლა გვეჭირვება, და რადგან სახალხო შკოლები სწავლის პირველს საფეხურს შეადგენენ, მხიარულებით უნდა მივეგებოთ ყოველს საზოგადოებას, რომელსაც კი სახალხო შკოლების გამრავლება განუზრახავს.

წინდაწინვე ვთქვით, რომ ამ უკანასკნელს ხანს შკოლები ჩვენს სოფელში კანტი-კუნტად იხსნებიანო. ეს უფრო იმისთანა სოფლებში ხდება, რომლებშიაც სამას-ოთხას მცხოვრებზედ მეტია. ამოდენა სოფლებში გლეხკაცებს არ უჭირდებათ წელიწადში სამი-ოთხი მანეთის გამოღება მასწავლებლისა და შკოლის შესანახავად. მაგრამ საქართველოს ზოგიერთ ნაწილებში დიდი სოფლები ძალიან ძვირად შეხვდება კაცსა. ზოგან ხალხი ხეობებში სცხოვრობს და სამი-ოთხი სოფლის მცხოვრებნი ერთად სულ ასს კომლს ვერ შეადგენენ. ცხადია, რომ თუ ამ სოფლებში მცხოვრებნი ძალიან შეძლებულნი არ არიან, სამმა-ოთხმა სოფელმაც რომ ერთად მოიყაროს თავი – მაინც შკოლის გაკეთება და მასწავლებლის შენახვა გაუძნელდებათ. აი ამ-გვარს ხეობებში და სხვა პატარ-პატარა სოფლებში შკოლების გამართვას უნდა მიაქციოს ხსენებულმა საზოგადოებამ ყურადღება.

არის კიდევ ერთი საზრუნავი საქმე, რომელსაც, თუ ამ საზოგადოებამ ყური ათხოვა, საუკუნოდ მადლობას მიიღებს, როგორც მთელის საქართველოსაგან, ისე ახლად საქართველოსთან შემოერთებულ ქვეყნებისაგან. აჭარა და ქობულეთი თუმცა თითქმის ერთი წელიწადია შემოგვიერთდნენ, მაგრამ იმათ ნამდვილს შემოერთებაზედ კი ჯერ ჩვენ არა გვიზრუნია რა. აქამდისინ ჩვენ უფრო იმათს ჩვენგან განშორებაზედ ვზრუნავდით. . . . . [8*]) რაღაც საცოდავი ორასი თუმანი თუ შევკრიბეთ და დამშეულს ქობულეთლებს დავურიგეთ, თორემ სხვაფრივ ჯერ ზრუნვა არა გამოგვიჩენია რა. აი ეხლა დაგვეტყობა, მართლა ვიცით საქმითაც შეწევნა, თუ მხოლოდ მოძმეს ხსენება გვესიამოვნება და ღვინით შეხურებუ-

ლის ენით ლამაზ-ლამაზი სიტყვების წარმოთქმა. ეხლა დავამტკიცებთ, მართლა გვინდა თუ არა ქობულეთლები ნამდვილად ჩვენი მოძმენი გახდნენ და როგორც ლაპარაკით, ისე წერა-კითხვით სრულიად შემოგვიერთდნენ.

თუ ჩვენი სიხარული ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულს მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუძველი ჰქონდათ, ეხლა უნდა გაუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულს საზოგადოებას და ვალად დავსდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ-ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განზრახვა და მოქმედობა შორსა სწვდება-მეთქი. თუ მართლა საზოგადოებამ და მისმა გამბედაობამ მთლად აღასრულეს ყოველიფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმომქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა. მართალია, მარტო პირველდაწყებითი სწავლა საკმარისი არ არის, მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ როგორც მოგეხსენებათ, სახლი უსაძირკვლოდ ვერ დაიდგმის; გარდა ამისა, არსებობს ჩვენში შკოლა, ჯერ-ჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს საშუალო სასწავლებლად და მით შეივსოს საქმე, რომლისათვის ხელის მოკიდებას აპირობს ახლად დაარსებული საზოგადოება. ეს საშუალო სასწავლებელი, – ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი, – შეიქმნება ჩვენის ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე.ი იმ-გვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა. ამ ქართულ საშუალო სასწავლებელზედ შემდეგ გვექნება დაწვრილებით ლაპარაკი. ვიტყვით აგრეთვე შემდეგ მაზედაც, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ სასწავლებელს ჩვენის ლიტერატურისათვის. ეხლა კი აღვიარებთ, რომ ორივე საზოგადოებანი დასდგომიან ერთსა და იმავე საგანს, მაგრამ ორის მხრიდამ, ორნივე ერთი-ერთმანეთს ეხმარებიან, ავსებენ ერთი-ერთმანეთის ნაკლს. ახლა საქმე ჩვენზედ, ე. ი. ქართველ საზოგადოებაზედ, არის დამოკიდებული; უნდა აღმოვუჩინოთ რაც შეიძლება მეტი სახსარი და საშუალება, ფულით თუ სხვა რითიმე. ნურას დავზოგავთ ამ საქმისათვის! ვინ იცის, ჩვენი ბედი რა-რიგად დატრიალდება, თუ ეს საქმე სხვანაირად წავიყვანეთ!.. საქმე დამოკიდებულია აგრეთვე ჩვენ ცოტად თუ ბევრად ნასწავლ ყმაწვილ-კაცებზედ. ზემოხსენებულ საზოგადოებათ წინ უდევს დიდძალი, აუარებელი შრომა: ჩვენ ხომ ჯერ სულ ხელცარიელნი ვართ, – არც

სახელმძღვანელო გვაქვს, არც საკითხავი წიგნები, არც არა სხვა სახსარი სწავლისა, – აი ამას უნდა შეუდგნენ ეხლავე ჩვენი განათლებულნი, რათა სიტყვა მაინც არ მოგვიბრუნონ: „მაშ რაღასა თხოულობთ, თუკი გამოყენებაც არ იცით და არ შეგიძლიანთო?“

უმთავრესი შემწე ყველა ამ-გვარ საქმეთა არის, ჯერ-ჯერობით, საადგილმამულო ბანკი, ქუთაისისა თუ ჩვენი. ქუთაისის ბანკმა შემოსწირა კიდეც ათას ასი თუმანი ამ საზოგადოებას.

იმერთ-ამერთა, ესე იგი, მთელმა საქართველომ ამ სამოცდა-თვრამეტს .....[9*]) გავლილს წელიწადში მარტო ერთი საქმე დააწყო საკუთარის თაოსნობით, საკუთარის შეწირულობით და თავის საკუთარის ღონით, მხნეობით და ზედამხედველობით წარმართა კიდეც. ეგ საქმეა ჩვენის ბანკების დადგინება და მართვა. ამ სამოც-და-თვრამეტ წელიწადში ქართველი კაცი როგორღაც, ნებით თუ უნებურად, კუთხეში მიეგდო, მიწვა და მიიძინა, თითქოს ყველაფერზედ გული აიყარაო, ყველაფერზედ იმედი გადიწყვიტაო, ყველაფერზედ ხელი აიღოო, ერთის სიტყვით ზნეობითად მოკვდაო.

ამ ყოფამ ყოველ-მხრივ დაგვაუძლურა ჩვენ, გონებით, ზნეობით, თვალად, ტანად დავპატარავდით და მივილივენით; არამც თუ ხელის გაძვრის ილაჯი აღარა გვქონდა, არამედ თითონ მოძრაობის სურვილიც შიგ გულში ჩაგვიკვდა, ჩაგვიქრა. რას უნდა გამოეხსნა ჩვენი თავი ამ საცოდავობიდამ? მარტო თვითმოქმედებას და სხვას არაფერს. რაზედ უნდა მიგვემართა ის ყოვლად მხსნელი თვითმოქმედება? მეტყვით, მაგას ბევრი გზა აქვსო. ჩვენც ვიტყვით, მაგრამ იმ „ბევრამდინ“... ღმერთო, ხომ შენ იცი, რა ტყრუშული ღობეებია, თვალთუწვდენი, შეუვალი. საიდამ რა მოევლოდა? ერთი პატარა ბილიკიღა იყო თავისუფალი სავლელად და ერთი პატარა მოედანი სავარჯიშოდ, ისიც ვაილაჩრობით, წეწვითა და გლეჯითა. მოედნად დაგვრჩა ჩვენი ქონების წრე და ბილიკად – გზა ქონების შეძენისა, ანუ გაფლანგვისა. აქ შეგვეძლო გვევარჯიშნა რამოდენიც ჩვენს სულსა და გულს ესურვებოდა, არავინ და არაფერი არ გვაბრკოლებდა. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, ნათქვამია. სხვა ღონე რომ არ იყო შველისა, ერთმა ჩვენმა კეთილის-მყოფელმა კაცმა ამ ბილიკს და მოედანს დააკვირვა თვალი და სთქვა: ცოტა რამ არის, მაგრამ ამისი გამოყენებაც შეიძლებაო, რომ ჩვენმა თვითმოქმედებამ ცოტათი მაინც ფრთები შეისხასო. სთქვა და თავის სასახელოდ აასრულა კიდეც. ამაზედ აშენდა ბანკების საქმე.

ამ საქმეს ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევდით და ვაძლევთ კიდეც. თუნდ თავი დავანებოთ იმას, რომ ბანკები ღონისძიებას გვაძლევენ ფულის სესხად შოვნისას, ნურც იმას გავიხსენებთ, რომ ამ ორს ჩვენს ბანკს შეუძლიანთ, ცოტა რომ ვსთქვათ, წელიწადში ორი ათასის თუმნის შეძენა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ამას ყველაფერს თავი დავანებოთ, გავსინჯოთ ბანკი იმ მხრით, რა მხრითაც იგი უფრო სანატრელი უნდა იყვეს მათთვის, ვისაც სწამს ძალა თვითმოქმედებისა ქვეყნის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ. ჩვენ, თევზისა არ იყოს, პირი სავსე გვაქვს წყლითა და ვრცლად მითითებით ვერას ვიტყ-

ვით, მაგრამ ვინც ამ მხრით ღრმად დააკვირდება ჩვენის ბანკების არსებობას და საფუძვლიანად თავიდამ ბოლომდე გაავლებს გონების თვალსა, ის, რასაკვირველია, დაგვეთანხმება, რომ აქაც ბანკის საქმეში, როგორც ყოველფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩაგდება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. ეგ საქმე ამ მხრით ჩვენთვის დიდი რამ არის. დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლოობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამას ჩვენ ვერსად ვერა ვხედავთ, ვერც სხვა საზოგადო საქმეში საერთოდ და ვერც ბანკისაში საკუთრივ. ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვათამაშოო. ყოველი თამაში შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიუროდ ხდის. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღემოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენოა. ამაზედ უფრო სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში „მე ესე მიჯობს“ აღვირაშვებული დაიარება და ის კი, „რაც საქმეს უჯობს“, თავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო, ჩაგრული და ხმაამოუღებელიო. ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინდაუკან ვაქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთ-მეთქი, მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს...

აი, თუნდ ავიღოთ მაგალითად ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საქმე. თავდაპირველადვე ამ ბანკს ერთი შფოთი და არეულობა შეუდგა. დაეწყო დასები. ერთი იკითხეთ, ან ერთმა დასმა რა წამოაყენა წინ ისეთი, რომ მეორემ უარჰყო? რისთვის იბრძვიან? რათ აქვთ ატეხილი ტყუილ-უბრალო აყალ-მაყალი? რაზედ დაობენ, რაზედ ცილობენ? სწერენ კიდეც მრავალს, ჰქადაგობენ კიდეც, და აბა თუ კაცები ხართ, გარკვევით მეტყვით – რა არის ცილების საგანი? ყველაფერია, ყველაფერი, გარდა იმისა, რაც საზოგადო საქმისათვის საჭიროა. ეს არის ჩვენი ოსტატობა? ნუთუ ბოლო აღარ უნდა ჰქონდეს ბზარვას და ლალვას ისეც უბედურთ ქართველთა შორის. ღმერთო, გვიხსენ ამ ჭირისაგან და გვამყოფინე, რაც დღევანდლამდე მაგ ჭირისაგან გადაგვხდენია. გვეყო, ბატონებო, გვეყო! იქ „მე“ უღონოა, საცა „ჩვენ“ გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია. ამას ყველა ვგრძნობთ და ვვალალებთ კიდეც.

* * *

ამ ბოლო დროს დაეწყო ქართულის თეატრის საქმეცა. აი კიდევ ერთი საზოგადო საქმე, რომელსაც დიდის სიფრთხილით მოქცევა უნდა. ღმერთმა ეს ახლად შობილი საქმე მაინც ააშოროს იმ მტრობასა და შურს, რომელიც ბანკების საქმეს შეუდგა ჩვენში. ჩვენ წინათაც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ თეატრს დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუმართოს. სახელი და დიდება ტფილისის ბანკის კრებას, რომ ქართული თეატრი საზოგადო საჭირო საქმედ იცნო და სამასი თუმანი ფული შესწირა. ფულის შეწირვის გარდა ამ ახლად შობილს საქმეს სხვაგვარი შემწეობაც უნდა. საჭიროა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს, კვალში ჩაუდგეს, და რამოდენადაც გონება და ცოდნა გაუჭრის, იმოდენად, – როგორც მოყვარემ – პირში უძრახოს, კარგი და ავი პირში უთხრას, არც გაანებიეროს ტყუილის ბარაქალითა და არც გული აჰყაროს ტყუილის დაწუნებითა. ამისათვის ჩვენ ვეცდებით ამ მხრით სამსახური გავუწიოთ ჩვენს თეატრსა იმდენად, რამდენადაც ჩვენგან შესაძლო იქნება. ჯერ-ხანად მოკლედ განვიხილავთ, რაც აქამომდე იყო.

ამ ცოტას ხანში რამდენიმე ქართული წარმოდგენა იყო. პირველად წარმოადგინეს სამ-მოქმედებიანი კომედია: „გევო, მინას და კამპანია“, ფრანციულიდამ გადმოკეთებული, და მასთანავე ერთი ვოდევილიც „სხვა-გვარი სიყვარული“. თითონ კომედიაზე ბევრს ვერას ვიტყვით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ თხზულებას სამი ნაკლულევანება აქვს, თორემ სხვაფრივ კი არა უჭირს რა. ერთი ისა, რომ დამწერმა რათ დასწერა? მეორე ისა, რომ თუ დამწერმა დასწერა, გადამკეთებელმა რათ გადააკეთა? და მესამე ისა, რომ თუ ორნივ შესცდენ, თეატრში მაინც რათ წარმოადგინეს?

აქტიორებმა როლები არ იცოდნენ რიგიანად. რა დაგვემართა, რით ვერ მოვიშალეთ ეს უხამსი ჩვეულება. ურიგო არ იქნება, რომ ამ საგანს სასტიკი ყურადღება მიაქციოს რეჟისორმა, თორემ ეგ წყეული ჩვეულება პიესის მწერალსაც დააფრთხობს და მაყურებელსაცა. იმედია, რომ ბეჯითი რეჟისორი მოსპობს ამას.

ვოდევილმა კარგად ჩაიარა, ხალხმაც ბევრი იცინა და ზოგი იქნება იმასაც მიხვდა, რომ პირად მხურვალე სიყვარულს ხშირად სხვა სარჩული უდევს ხოლმე ქვეშ. ეს დიდის ზნეობის მასწავლებელი ჭეშმარიტება არ არის, მაგრამ ერთი პაწია ვოდევილისაგან ესეც კარგია. არა-მწევარმა რომ კურდღელი დაიბრუნოსო, დაჭერად ჩაეთვლებაო, ნათქვამია.

მერმე წარმოადგინეს მოლიერის კომედია „ეჭვით ავადმყოფი“, თარგმნილი ივ. მაჩაბელისაგან. თარგმანი არ არის ურიგო, მაგრამ მთარგმნელს შიგ ჩაურთავს ერთი იმისთანა სიტყვა, ხშირად ხმარებული პიესაში, რომელიც ზრდილობის მოყვარე ქართველისათვის მეტად სათაკილოა. ამისთანა სიტყვებს უნდა ერიდონ სცენაზედ. თუმცა ჩვენ, ქართველებმა, ერთობ უწმაწური ლაპარაკი ვიცით ხოლმე, როცა სალაზღანდაროდ შევიყრებით, მაგრამ საჯაროდ კი გვეთაკილება ხოლმე უმართებულო სიტყვის ხმარება. ეს პატივსადები ჩვეულებაა და არ შეიძლება ამას ყური არ ვათხოვოთ.

ბოლოს დროს წარმოადგინეს ილ.ჭავჭავაძის „ყმების განთავისუფლების პირველ დროების სცენები;“ „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა“ და ვოდევილი (მეორედ) „ბნელს ოთახში.“ „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა“ მოგვეწონა, კარგის ენით არის შედგენილი და სასაცილოც არის; ჩვენდა სამწუხაროდ ამასავე ვერ ვიტყვით ვოდევილზედ, თუმცა ზოგიერთგან აქაც ენა რიგიანად არის ხმარებული.

აქტიორების ღირსებაზედ ჯერ-ხანად არა ითქმის რა, ჯერ უჩვევნი არიან ბევრი მათგანი და, იმედია, რომ გაიწრთვნებიან, ხოლო წარმომადგენელთა შორის ერთია, რომლისათვისაც ღმერთს მიუმადლებია დიდი ნიჭი. მაგ ნიჭის პატრონი საფაროვის ქალია. ეგ ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენის სცენის თვალი იქნება, თვალი! ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზედ უნახავს. ყოველს სიკეთესთან ერთი ის სიკეთეც სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელს დროში, როცა ქართული აღარავის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის.

ძალიან კარგი იყო უფ. ცაგარელი ილ.ჭავჭავაძის სცენაში. ჩვენა გვგონია, მაგ-გვარს როლებში უფ. ცაგარელი შეუდარებელი იქნება. გვიკვირს, რატომ გლახა ჭრიაშვილის როლი მაგისათვის არ მიუციათ?

* * *

ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობის თაობაზედ, რომელიც ამჟამად შემდგარია გუბერნიისა და უეზდების მარშლების ამორჩევისათვის. მართალია, აწინდელ დროში, როდესაც ბატონყმობა გადავარდნილია და სხვადასხვა წოდებათა შორის არავითარი შესანიშნავი განრჩევა არ არის კანონის და სახელმწიფოს წინაშე, თავად-აზნაურობას, როგორც ერთ-გვარ წოდებას, დაეკარგა უწინდელი მნიშვნელობა . . . . . [10*]) თუ ამ-ჟამად თავად-აზნაურთა კრება იპყრობს რაიმე ყურადღებას – იპყრობს მხოლოდ ამ მხრით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი . . . . *) სარგებლობს თვისის უფლებით. თავად-აზნაურობას აქვს უფლება იზრუნოს თვის საჭიროებაზედ, განუცხადოს მთავრობას თვისი სურვილი ამის შესახებ, წარუდგინოს მას სხვადასხვა ზომიერებანი, რომელთაც დაინახავს სასარგებლოდ. აი, სასურველია, რომ ეს ზომიერებანი შეეხებოდნენ იმისთანა საგანს, რომელიც სარგებლობის მომტანია მთელის ქვეყნისათვის. ამ მხრით წლევანდელი ყრილობა თავად-აზნაურებისა ყურადღების ღირსი უნდა იყოს, რაგდანაც წამოყენებულ იქმნა ერთი საგანი ფრიად ღირსშესანიშნავი და ფრიად სასარგებლო საქართველოსთვის. ჩვენ ვამბობთ იმ წინადადებაზედ რომელიც შეიტანა კრებაში ღენერალმა კონსტანტინე მამაცაშვილმა და რომელიც არსებობს შემდეგში: ყოველმა თავადმა თუ აზნაურმა უნდა იკისროს წლითი-წლობით ხარჯი, რომ მის შემოსავალით დაარსებულ იქნეს საკუთარი გიმნაზია. ჩვენდა სამწუხაროდ, გუბერნიის კრებაში ამ საგანმა ვერ მოიპოვა ჯეროვანი უმეტესობა ხმისა, მაგრამ დადგენილ იქმნა კი, რომ ეს საქმე თვითოეულ უეზდის მარშალს და თავად-აზნაურთ უნდა მიენდოთო. მაშასადამე, საქმის კარგად წაყვანა დამოკიდებულია უეზდის მარშ-

ლის გამჭრიახობაზედ და უეზდის თავად-აზნაურთა კეთილ მიდრეკილებაზედ. იმედია, რომ არა აზნაურს არ დაშურდება და არც გაუჭირდება წელიწადში შეძლებისამებრ ცოტა რისამე მიცემა ქვეყნის სარგებლობისა და წარმატებისათვის. ამით ჩვენი საზოგადოება დაიმკვიდრებს უკვდავ სახელს და დიდებას წინაშე მთელის ქვეყნის და მეტადრე შთამომავლობისა.

თავი მერვე

1881 წელი, მაისი.

დასაწყისი უარმყოფელის მიმართულებისა რუსეთში. – მომხრეობა ძველისა და ახალისა. – ორი დიდი ბანაკი. – „მამები და შვილები“. – ევროპის კონსერვატორობა და ლიბერალობა. – ორკეცი სინჯვა საქმისა. – რუსეთში კონსერვატორობა რეტროგრადობად გადიქცა და ლიბერალობა მარტო უარყოფად. – პისარევი და მისი ზემოქმედება. – რამ წაიტყუა ყმაწვილკაცობა. – რით იკვებებიან დღესაც ჩვენებური შინგამომცხვარი ლიბერალები. – Современник-ი და ბაზაროვი, ბაზაროვი და პისარევი. – რათ მოხდა? – ჩვენებურ ლიბერალების უკან ჩამორჩომა. – არ იციან. – ჩვენშიაც ორი ბანაკია. – ახალი გუნდი ჩვენებურებისა. – მათი მიმართულება. – სლავიანების მაგალითი. – რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა? – ჩვენი პროგრამა. – ჩვენი საწყაო რა უნდა იყოს. – თვით-ამორჩეული დეპუტატები და ვენზელები. – ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის კრება.

ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზედ თუ არა, სულ სხვა, ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს. იმ დრომდე თვალდახუჭვილმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიდგა. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავისდღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების ნამუშევარმა. ახალმა დრომ თუ თავი რითმე იჩინა, ეგ იმით, რომ თავისი-თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჰყვა.

ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რაღა თქმა უნდა, ჯერ თავის-თავზედ დაიხედა, გაიჩხრიკა თავისის ყოფაცხოვრების თირკმელები, შიგნეულობა. ნახა, რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომია, ჩირქი ჩასდგომია და შეჰგუბებია. შეუდგა მიზეზთა გამოძიებას: რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისის სნეულების სათავე – თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაც კი ამ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდან, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა,

და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დრო-გარდასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირტებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა – პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტობაში, – სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა-და დაუვიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა და უარმყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი *Современник*-ი.

აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად. აქაც ასე მოხდა. ცხადიც არის, რატომ. არსებული, ძველი, ისე არ გაცუდდება, რომ ვისიმე გამოსაყენი არ იყოს. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ბევრი იმისთანა მოდუნებული და შელახული კაცია ქვეყანაზედ, რომელიც ისე შეეჩვევა ხოლმე ჭირსა, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს ურჩევნია. მესამე და ყველაზედ უფრო ფესვ-მაგარი კიდევ ის არის, რომ ყოველს არსებულს, ყოველს ძველს თავისი ადგილი უკვე დაუპყრია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისაგან აღიარებულია, ნებით თუ უნებლიეთ გულ-შეჯერებულია და ჟამთა ხნიერობით ბეჭედდაკრული და დამტკიცებული. ამ სამთა მიზეზთა გამო ძველს, არსებულს, მომხრე არ დაელევა. თითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმალ ისე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღეჭის მეტი სხვა აღარა უნდოდეს-რა. როგორც ძველის ობი, ისე ახალის კვირტი – ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად საღი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა.

ამ მიზეზით, თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ ბანაკად: ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომხრენი, მეორეში ძველის უარმყოფელნი და ახალის მესვეურნი. პირველს ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი“, მეორეს – „შვილებისა.“ ეს სწორედ რუსეთში მოგონილი სახელებია და სრულებით არ უხდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასარჩევად. „მამობა და შვილობა“ თვალად გასარჩევი საქმეა. ამისთანა გარეგანად სანიშნავმა სახელწოდებამ ბევრს წყალ-წყალა ჭკუას გზა და კვალი დაუბნია რუსეთში და რუსეთის ბაძვით ჩვენშიაც. ერთის სიბერე და მეორის სიყმაწვილე სამყოფი იყო ზოგიერთი ცრუპენტელა კაცისათვის, რომ ერთი ერთს ბანაკში მოექცია და მეორე – მეორეში, იმისდა მიუხედავად, თუ რა აზრების მაღიარებელნი არიან ან ერთნი ან მეორენი.

პირველს შეხედვაში კაცს ეგონება – რუსეთის „მამების“ ბანაკი ერთის მხრით და „შვილებისა“ მეორეს მხრით, ევროპის კონსერვატორობას და ლიბერალობას მოასწავებსო.. ჩვენის ფიქრით, ეგ შეცდომა იქნება. თუ რუსეთის ლიბერალობა, ამ ბოლონდელ ხანებისა მაინც, ჩამოჰგავს ევროპის ლიბერალობას, რუსეთის კონსერვატორობაზედ მაგას ვერ ვიტყვით. რუსეთში ჭეშმარიტი კონსერვატორობა არ არის დღეს-აქამომდე.

ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრებს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის_რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა – ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, – მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა.

პირველის წყობის მომხრეებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, მეორისას – ლიბერალებს. პირველები არიან უკვე დადგენილის მცველნი, მეორენი – ახლის მესვეურნი და მდომელნი. თუმცა ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარ დღეს შეიმოკლებს. ირლანდიისათვის ინგლისის ხელიდან განთავისუფლება ახალი საქმე იქნება, მაგრამ ჭეშმარიტი კონსერვატორი ირლანდიისა თავს დასდებს, ოღონდ ეგ მოიპოვოს. ინგლისის ეგრეთ-წოდებული „დიდი ხარტია“ ძველი რამ არის, მაგრამ ინგლისის ლიბერალი უსიკვდილოდ არ დასთმობს არც ერთს ასოს იმ ხარტიისას.

ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის, და თუ ხანდისხან სცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადეფარება, რომელიც თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია, და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა – მინამ კარგად გულს არ დააჯერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას. საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს-აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოვებლად.

ჩვენ ესა ვსთქვით იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, სადამდის შეუძლიან, ჩვენის ფიქრით, გაიწვდინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის უარმყოფელმა, ან ძველის

უარმყოფელმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას ან ლიბერალობას არ გადასცდეს.

კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ, ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ, და თუ ჩვენ მარტო ორი წყობა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ – რომ ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარ-და-მხარ მოარულს წყობას აზრისას უჭირავს.

რუსეთში სულ სხვასა ვხედავთ. აქ „მამებმა“ ისე გაიწიეს, რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დევნა; გაქირი ჰქმნეს ამაზედ და წინ ფეხი ვეღარ გადმოაბიჯეს. ამისი მაგალითი *“Русский Вестник”*-ია და *“Московские Ведомости”*, ეგ ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“. ჯერ გუშინ ღაღადებდა *“Московские Ведомости”*, დამნაშავეებს რაღა გასამართლება უნდაო, აიღეთ და ჩამოარჩვეთო, და სასაცილოდ იგდებდა ეხლანდელ განსამართლების წესს, რომლის შემოღებისათვისაც განსვენებული იმპერატორი მადლობით მოიხსენიება ისტორიაში. არც ერთი კონსერვატორი ევროპისა არ იკადრებდა მაგას და ეგრე უსირცხვილოდ არ შეეხებოდა მაგ დიდს და ახალს დაწყობილებას, რომელსაც ახალს განსამართლების წესს ეძახიან. თუ გუშინ ამას კადრულობდნენ რუსეთის „მამები“, რაღა უნდა ვსთქვათ მასზედ, რაც ამ ოცის წლის წინათ იქნებოდა მათის წყალობით.

ეგრეთმა წყალ-გაღმა გაბიჯებამ „მამებისა“-მ, ანუ უკეთ ვსთქვათ, გაქირმა, – გააგულისა „შვილები“. ამან გააფიცხა, გაამწვავა და გააკაპასა „მამებისა და შვილებს“ შორის ბრძოლა და „შვილების“ ბანაკი იქამდინ მიიყვანა, რომ უარაყოფინა არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამოწითლდება სირცხვილ-მორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა. შედგა „შვილების“ ბანაკიც მარტო უარყოფაზედ და მესვეურობა ახლისა უკან კუთხეში მიაგდო. უკანასკნელი ფალავანი ამ თითქმის ყოვლად უარმყოფელის მიმართულებისა იყო მეტად სხარტე და ნიჭიერი მწერალი პისარევი. მისის მეთაურობით, ამ გადაჭარბებულმა უარყოფამა იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარჰყო თვით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა. ამ მიმზიდველმა, ლამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი მოზარდი ყმაწვილი ჩაითრია და ბრმად აიყოლია. პისარევის მიმზიდველს ძალას ვერც ჩვენებურები გადურჩნენ.

ეს ჩათრევა, რასაკვირველია, მარტო პისარევის მიმზიდველობით არ აიხსნება. აქ ყმაწვილის გონების გასატაცებლად უარმყოფელის მიმართულების სითამამე და გაბედულობაც იყო. ყმაწვილის გონებას ისე არა მიიზიდავს-რა, როგორც სითამამე, გაბედულობა. სითამამეს, გაბედულობას ბევრი ბრწყინვალე მხარე აქვს და რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ყმაწვილმა მას მიატანოს, რაც ბრწყინავს. პატარა ბავში მაშინვე ხელს გაუწვდის ხოლმე სანთლის ალსა. ჩვენ ამას ვამბობთ მარტო იმ ყმაწვილ-კაცობაზედ, რომელთაც ჯერ გონების თვალი არ უჭრიდათ, რომ მაგ მიმართულების არსებითი ძარღვი ეპოვნათ. არც იმის თქმა გვინდა, რომ უარმყოფელს მიმართულებას კარგი არა მოუტანია-რა. ბულბულივით უაზრო

გალობას პოეზიისა კრიჭა აუკრა და მადა წაართვა, ავტორიტეტებზედ ბრმად დანდობა საიქიოს გაისტუმრა, ისტორიას, დიდკაცების ცუღლუტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფაცხოვრება მისცა, ყმა ადამიანად აღიარა და განათავისუფლა.

ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ბოლოს-და-ბოლოს, უფრო პისარევის წყალობით, ბევრი რამ მაგ მიმართულებაში ისეთი იყო, რომ ჩალასავით ტკაცა-ტკუცით აპილპილდა და გონებაგაუხსნელი ყმაწვილ-კაცობა წაიტყუა, როგორც ფარვანა ცეცხლმა. მეორე ნაწილმა ყმაწვილ-კაცობისამ კი, უფრო გონებაგახსნილმა, სრულად შეითვისა ყოველივე კეთილი მაგ მიმართულებისა და ზურგი შეუქცია ტყუილუბრალო ფრაზების ტკაცატკუცსა.

ასე თუ ისე, პისარევის უარყოფა დიდ მოდად შემოვიდა ბრმათათვის. ვისაც ადვილად და მოუმზადებლად კუსავით ფეხის გამოყოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდე ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია, და ერთობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წაღა შექსპირს მირჩევნიაო; მეორე — ავტორიტეტები არა მწამსო; მესამე — ისტორია ზღაპარიაო; და მეოთხე — ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები რომ დაგესწავლათ, ლიბერალი იყავით და ლიბერალი. აი სწორედ ამ-გვარ ლიბერალობაში ჩაცვივდნენ ჩვენებურის ყმაწვილ-კაცობის ბევრი წილი. დღესაც, აბა დააკვირდით ჩვენებურს შინ გამომცხვარს ლიბერალებს, თუ მარტო ამ უთავბოლო ფრაზებით არ იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად არა ხადოდენ. აბა დააკვირდით, თუ ყველგან, საცა გინდა და არ გინდა, სულ ეგ ფრაზები არ წამოსჩხირონ, ფერად-ფერადს ძონძებში გახვეულები.

მინამ სახელოვანი *Современник*-ი თავში ედგა მას, რაც მერე „შვილების“ ბანაკად გადაიქცა, ძველის უარყოფას დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო. ტურგენევმა რომ ყოვლის უარმყოფელი ბაზაროვი გამოხატა, *Современник*-მა თავის მოძმედ არ მიიღო და ითაკილა, თუმც-კი ჭეშმარიტი ლიბერალური მოძრაობა რუსეთში და თვით უარყოფა *Современник*-ის საქმე იყო და დროშა ლიბერალებისა მას ეჭირა. პისარევმა კი ბაზაროვი გულში ჩაიკრა და თავისიანად მიიჩნია. რათ მოხდა ესე? იმიტომ — რომ *Современник*-ის უარყოფა კარგისა და ავის გარჩევით იყო და პისარევისა ამას გარდაცილებული და ბაზაროვსავით ავისა და კარგის გაურჩეველი. ამ სახით, პისარევმა ჭეშმარიტს ლიბერალობას წინ კი არ გაასწრო, არამედ გვერდზედ გაუხტა, მის მოძღვრებას ნახტომი შეეშალა, ფეხი მოუსხლტა და დაეცა. დაძველდა ის ახალი ცა და ჩვენს ლიბერალებს ეგ ჯერ არ შეუტყვიათ.

დღეს რუსეთმა ბევრით წინ წამოიწია, თუმცა რუსეთის კონსერვატორობა ევროპის კონსერვატორობამდე ვერ შემთავრდა და გადიქცა რეტროგრადობად, მაგრამ ლიბერალობამ კი თავი გაიტანა, თავის გზაზედ დადგა და ბევრი რამ შეიძინა. შეიცვალა საუკეთესოდ რუსეთის ლიბერალების აზრი ხელოვნებაზედ, პოეზიაზედაც, ავტორიტეტებზედაც, გლეხსა და თავადზედაც; ყოველს ამაზედ აზრი უფრო ფართოდ გაიშალა და გაიხსნა მეცნიერების ნათელ ქვეშ. ცხოვრე-

ბის შიგნით და ცხოვრების გარეთ ბევრი საგანი ფეხზედ წამოაყენა, ბევრი ძველი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ, ბევრი ახალი აჰნუსხა დასადგენად და ბევრი განსადევნად. მაგრამ რადგანაც ყოველი ესე ჯერ „ჩოტკში“ ჩაგდებული არ არის, ყოველს ამას ჯერ ჯამი არ აქვს გამოყვანილი, რომ მზა-მზარეულად ხელზედ დახვევის მეტი არა უნდოდეს რა, და რადგანაც ჩვენებურს შინგამომცხვარს ლიბერალებს ღმერთმა იმოდენა ჭკუა არ მისცათ, თითონ აჰნუსხონ ის, რაც დღეს რუსეთის ლიბერალების მოძღვრებას შეადგენს, ამიტომაც ჩვენი ტყუილი ლიბერალები დღესაც იმ აზრებში ტრიალებენ, რომელთაც კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოიჭამეს, თავისი ჰქმნეს და ჩაილულის წყალი დალიეს. ამ სახით, ჩვენ ბრმა და ცრუპენტელა ლიბერალებს ჭეშმარიტი ლიბერალობა ცხვირ-წინ გაეპარათ, და თუ გაოცების ნიშნად ჯერ პირი არ დაუღიათ, ვაი ეს რა საქმე მოგვსვლიაო, ეგ იმიტომ, რომ ჯერ არ შეუტყვიათ, რა დღეში არიან ჩაცვივნულები.

თუმცა „მამების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა გამოეტანათ რა, მეორეში — ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზემოთ მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს აქამომდე აწიოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს შუა მიჯნად დადებულიყო, ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზედ ცხადია.

იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნაღარასა სცემდენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს აქამომდე. მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ. მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევ-

რად ფეხი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შესჭიდა. რაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.

ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, — მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში. ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მღაღადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის.

სლავიანებმა, რომელთ ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგანწირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსა-სცემენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავისი წარსული ხელახლა დააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადე-

ბული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისი მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წარსდგამს და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო“, – ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის-ფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჭკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მოუცილებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი.

* * *

ამ ერთის თვის განმავლობაში ჩვენში თითქმის სხვაზედ არაფერზედ ლაპარაკობდნენ, გარდა ჩვენის ესრეთ-წოდებულ „დეპუტატებისაგან“ კონვოელებისათვის ვენზელების თხოვნისა. ქუჩაში შეხვედრის დროს ნაცნობები ერთმანეთს მწარეს ღიმილით ან გაჯავრებულნი ჰკითხავდნენ: „გაიგე, როგორ შევურცხვენივართ ჩვენს დეპუტატებსაო. პოლშელებს უთხოვნიათ, ჩვენს ენას სხვადასხვა უფლება მიანიჭეთ, ჩვენს ქვეყანაშიაც ის ცვლილება შემოიღეთ, რომელიც რუსეთს ეღირსა განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორის მეფობის დროს და ჩვენებს კი ვენზელების მეტი არა უთხოვნიათ რაო“.

პირველად დოლი ილია ბახტაძემ დაჰკრა, მას მიჰყვა „დედაკაცების“ და „მამაკაცების“ ხმაც და მთელმა საზოგადოებამ შეჰქმნა ყაყანი. ყველა სწუხდა, ყველა ცხარობდა.

მაგრამ აქ არც სამწუხარო და არც გასაცხარებელი არა იყო რა. სამწუხარო და გასაცხარებელი უფრო ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებას ან არა სცოდნია – რა არის „დეპუტატი“, ან არა სცოდნია – როგორ „ვირჩევთ“ ჩვენ დეპუტატებს.

დეპუტატი არის საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი, რომელმაც საზოგადო საქმეებში თავის ამომრჩეველთ მაგიერ უნდა მონაწილეობა მიიღოს, და თუ რომელსამე მაღალ პირთან გაგზავნიან, საზოგადოების სურვილი და მოთხოვნილება გამოაცხადოს.

ახლა ეს გვიბრძანეთ: ვინ ამოირჩია ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტატები?

_ არავინ.

_ ვინ ამოირჩია თბილისის თავად-აზნაურობის დეპუტატები?

_ არავინ.

ოთხიოდე თუ ხუთიოდ პირნი ერთად შეიკრიბნენ, თავი თვისი თვითვე ამოირჩიეს და გაემგზავრნენ პეტერბურგისკენ. იქ ერთს მათგანს, როგორც ნაცნობს, დაჩაგრულმა კონვოელებმა სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ, რომ მიცვალებულ ხელმწიფის სახსოვრად ვენზელები ჩვენც დაგვირიგონო; იმანაც იშუამდგომლა და კონვოელებს ვენზელები უწყალობეს.

ეს რა ცოდვაა, ან გული რათ უნდა მოგვდიოდეს! თუკი ევროპაში თვითმფლობელობა, თვითმმართველობა და სხვადასხვა თვით-უფლებები შემოიღეს, ჩვენ რაღა ეგრე უკან ჩამოვრჩით, რომ ერთის სიტყვის და ერთის დაწესებულების შემოღება ვერ შევიძლოთ.. შემოვიღეთ თვით-ამორჩევა, და ჩვენმა თვით-ამორჩეულმა დეპუტატებმა თუმცა ბევრი საყვედური მიიღეს, მაგრამ სრულიად უმიზეზოდ.

ხან იმაზედა ვჯავრობთ, ვენზელები რათ ითხოვესო, ხან იმაზედ, რატომ იგივე არ ითხოვეს, რაც პოლშელმა დეპუტატებმაო. ერთიც და მეორეც უსაფუძვლო ჯავრობაა.

ჩვენი დეპუტატები თვით-ამორჩეულნი იყვნენ, პოლშელები – ამორჩეულნი საზოგადოებისაგან. ჩვენებს უნდა თავისთავზედ და თავიანთ მეგობრებზედ ეზრუნათ, პოლშელებს – საზოგადოებაზედ; ჩვენებმა თავიანთ ნათესავ, ან მეგობრებ კონვოელებს ვენზელები უთხოვეს, პოლშელებმა ითხოვეს თავიანთი ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისათვის სხვადასხვა უფლება. პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტყვით, თურმე ერთბაშად სთქვეს, რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან რამდენიმე მილიონი ხალხი ამოჰფარებოდა, და ეჭირვებოდა – რომ სასამართლოებში და სასწავლებლებში მათი დედაენა შემოეღოთ; ამ აზრით იმათ იკისრეს რუსულის ენის უცოდინარობა, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატებზედ“ უკეთ ეცოდინებოდათ.

ჩვენი „დეპუტატები“ ასე როგორ შეირცხვენდნენ თავსა, დარწმუნებული ვართ, რო ეკითხათ, ყველა მათგანი იტყოდა, ჩვენ რუსული უფრო კარგად გვესმის, ვიდრე ქართულიო, – ოღონდ, ოღონდ...

ერთის სიტყვით, პოლშელს დეპუტატებს უნდა საზოგადოებაზედ ეზრუნათ და იზრუნეს კიდეც. ჩვენებს უნდა ეზრუნათ ან თავიანთ თავზედ, ან თავიანთ მეგობარ-ნათესავებზედ.

კვლავ თუ გვინდა, რომ ჩვენებმაც ჩვენთვის იზრუნონ, თვით-ამორჩევას თავი დავანებოთ და საზოგადოებრივ ამოვირჩიოთ, ჩვენი სურვილი გამოვუცხადოთ და ისე გავგზავნოთ, სადაც გასაგზავნია; თორემ არ ვიცით, ვინ წავიდა, სად წავიდა, რისთვის წავიდა, და ვიძახით კი – რატომ ესა და ეს არ ითხოვესო, ერთმანეთს ვეღრიჭებით, ვიცინით, – დახე, დახე ჩვენმა დეპუტატებმა რა სახელი გაითქვეს, როგორ მალე უშოვეს კონვოელებს ვენზელებიო.

ახი არ იქნება, რომ „რევიზორის“ გოროდნიჩი გაგვიჩნდეს საიდანმე და გვითხრას, – რო იცინით, რას იცინით? თქვენს თავს დასცინითო!

* * *

ამისთანა სამწუხარო მოვლენასთან, როგორიც არის თვით-ამორჩეულ დეპუტატების წასვლა პეტერბურგში და მათგან ვენზელების თხოვნა, ჩვენს ცხოვრებაში ხანდისხან მოხდება იმისთანა მოვლენა, რომელიც მანუგეშებელ სხივსავით მოგვეფინება ხოლმე.

აპრილის დასასრულს და მაისის დამდეგს ჩვენს საზოგადოებას ცოტაოდენი სიცოცხლე დაეტყობა ხოლმე. ამ დროს მოდის საზოგადო კრება ტფილისის, ქუთაისის ბანკებისა და სხვადასხვა ქველმოქმედ საზოგადოებისა. ჯერ არ ვიცით, როგორ გაივლის წრეულს ეს კრებები ტფილისში, ან ქუთაისში, რა სასიკეთო ნიშნებს შევამჩნევთ ჩვენს ცხოვრებას, ან რა განვითარებას დავატყობთ ამ კრებების შემწეობით.

შემდეგს ნომერში იმედი გვაქვს ვრცელს კორესპონდენციას დავბეჭდავთ ქუთაისის ბანკის კრების თაობაზედ ჩვენს ჟურნალში და სხვა საზოგადო კრებებზეც მოვილაპარაკებთ, დღეს კი ორიოდ სიტყვა გვინდა ვსთქვათ ტფილისის საადგილმამულო ბანკის კრებაზედ, რადგან ზოგიერთი მართლა-და სასიამოვნო რამ შევნიშნეთ.

ამ კრებამ დაამტკიცა, რომ ჩვენის საზოგადოების წევრნი თვალხუჭანას აღარ თამაშობენ, და რასაც რომელიმე გამგეობა ან დაწესებულება წარუდგენს, გაურჩევლად აღარ ამტკიცებენ. ვინც „თეთრში“ ან „შავში“ აგდებს თავის კენჭს, იცის, რისთვისაც აგდებს და რაცა სწადიან.

ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკს წრეულს ცხრაასი თუმანი ჰქონდა დარჩენილი საზოგადო საჭიროებისათვის. დიდი ლაპარაკი ასტყდა ამის თაობაზედ, რაზედ მოიხმარონ ეს ფული და ხანგრძლივის ბაასის შემდეგ ასე დაარიგეს:

ასი თუმანი შესწირეს ბავშვებისათვის სადგურის გასამართავად, მიცვალებულ ხელმწიფის სახელზედ.

ასი თუმანი შესწირეს ქართულ თეატრს, ასი – თელავის ქალების სასწავლებელს და ექვსასი თუმანი – ტფილისის თავად-აზნაურთა სკოლას.

ზოგიერთნი წევრნი ბანკისა მეტად ეწინააღმდეგებოდნენ თეატრისათვის შეწირვას, თუმცა ბევრნი უმტკიცებდნენ, რომ თუ ეს მცირე ფული არ გადასდეთ თეატრისათვის, შეიძლება ქართული თეატრი დაიშალოს და მოგვესპოს ის ერთად-ერთი დაწესებულება, სადაც ჩვენს ენაზედ ვსიამოვნობთ და ზოგჯერ

ჭკუასაც ვსწავლობთო. ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი, აქ ამის გარჩევას არ შევუდგებით; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ საგანს ორჯერ უყარეს კენჭი და ორჯერვე თითქმის ერთი და იგივე რიცხვი მოვიდა შავსა და თეთრს ყუთში. მხოლოდ მეორედ ერთის კენჭითა სძლიეს თეატრის მომხრეთ. ეს ცხადად ამტკიცებს ჩვენს აზრს, რომ ეხლა ყოველი წევრი მნიშვნელობას აძლევს თავის კენჭს და კოჭაობას აღარა თამაშობს. მეორე შესანიშნავი კიდევ ეს იყო, რომ როდესაც საზოგადო კრებამ გადასწყვიტა შესწიროს თელავის სასწავლებელს ასი თუმანი, თან სურვილი გამოაცხადა, რომ ეს ფული ქართულ ენის სწავლების გასაუმჯობესებლად მოხმარებულ იქმნასო.

ეს გადაწყვეტილება ღირსშესანიშნავია, როგორც ხმა მთელის საზოგადო კრებისა, და — ჩვენის აზრით — საყურადღებოა თვით სწავლა-განათლების გამგეთათვის.

ბოლოს შევნიშნავთ კიდევ, რომ ძვირად გვინახავს ჩვენში ესეთი მიუდგომლობა, მიუფერებლობა და პირში თქმა, როგორც ამ კრებაში შევამჩნიეთ. ღმერთმა ჰქმნას, რომ ქუთაისის კრებასაც ღირსეულად შეესრულებინოს თავისი საქმე, და ის ენერგია, სიცხოველე და გამჭრიახობა, რომელსაც იმერლები ხშირად პირად ინტერესებს ახმარებენ, კეთილისა და საზოგადო საქმესათვის მოეხმარებინოთ.

27 აპრილს

თავი მეცხრე

1881 წელი, ივლისი.

სახელმწიფო მამულის გაცემის თაობაზედ. — საჭიროა ამის წესების შეცვლა. — სახელმწიფო ქონებათა მინისტრის პროექტი. — სწავლა-განათლების მინისტრის ცირკულიარი. — ჩვენი მწვავე ტკივილი. — მიზეზნი ჩვენის სწავლა-განათლების უხეიროდ მსვლელობისა. — ქართველები ცოტანი რათ არიან სასწავლებლებში. — ჩვენი სამღვდელოება არა შველის სწავლა-განათლების საქმეს. — ზოგიერთი რამ ჩვენს სამღვდელოებაზედ. — დეპუტატთა კრება. — სასაცილო ამბავი ამ კრებისა.

„ივერიაში“ ამ ორის-სამის წლის წინათ ნათქვამი იყო, რომ ის წესები, რომელსაც ჩვენებური სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ხმარობს სახელმწიფო მამულების იჯარით გასაცემად, — ისე დახლართულია და დახვლანჭილი, ისე გაბმული და გამობმული და ისე შეუფერებელი, რომ კარს უხშობს ცხვირ-წინვე იმ ნაწილს ერისას, რომელიც პირდაპირ მწარმოებელია და მიწის-მოქმედი; ეგ წესები თითქო იმისათვის არიან დადგენილნი, რომ ამ ნაწილმა ერისამ თავ-ბედისა ვერა გაიგონ-რა და მითი ისარგებლონ მარტო იმათ, ვინც თითონ არ ამოქმედებს მიწას,და თუ იჯარით იღებს სახელმწიფო მამულს..... მომქმედს მოგებით და გა-

დამეტებულ ფასად გადასცეს. ჩვენებური გლეხკაცობა, რომელიც სუნით ეძებს მამულებს და რომელსაც სახელმწიფო მამულების იჯარით აღება ცხონებასავით ენატრება, ვერას-გზით ვერ აისრულებს მაგ ნატვრას, ვიდრე მაგისთანა წესები დარჩება და საწყალი მიწის-მოქმედი ხარბის მოიჯარადრის ხელში იქნება. მაგ წესების უმთავრესი ნაკლულევანება ის არის, რომ როცა იჯარით გაცემის ვაჭრობაა ხოლმე დანიშნული, გლეხკაცობა ვერ იტყობს. თუმცა რუსულ გაზეთებში გამოაცხადებენ ხოლმე, მაგრამ სად გლეხკაცი და სად გაზეთი, მერე ჩვენებური გლეხკაცი და რუსული გაზეთი. ამის გამო, მაგ ვაჭრობაზედ ქალაქელების მეტი არავინ ესწრობა. ამითი ორნაირი ვნება გამოდის. ერთი ის, რომ მამულები ჩალის ფასად რჩებათ ქალაქელებს, რადგანაც გლეხკაცობა, ესე იგი ისინი, ვინც მამულის ფასი კარგად იცის, ვინც პირდაპირი მოქმედია და ვინც ამის გამო მძლავრ-მოცილედ წინ დაუდგება ქალაქელებს, ვაჭრობაში არ შემოდის და ქალაქელებს მამულები უცილებლად რჩებათ. ამით შემოსავალი აკლდება სახელმწიფოს. მეორე ისა, რომ გლეხ-კაცი ტყუილ-უბრალოდ შუაში იჭყლიტება, რადგანაც ქალაქელი იღებს მამულს იჯარით მარტო იმის იმედით, რომ გლეხკაცსავე გადასცეს და ერთი-ორად, ერთი-სამად და ზოგჯერ ერთი-ათადაც მეტი გამოჰგლიჯოს, ერთის მხრით სახელმწიფო ჰკარგავს, მეორეს მხრით გლეხი, და ამის დაკარგვა ისევ სახელმწიფოს დაკარგვაა, რადგანაც სახელმწიფოს, ჯერ-ხანობით მაინც, გლეხი აცხოვრებს. გარდა ამისა, თვით ვაჭრობის წესები მეტად რთულია, გადაბმულ-გადმობმული. მათს შესრულებას ბევრი დრო, მოცალეობა და ხარჯი უნდა, ასე რომ გლეხკაცი თავ-ბედს იწყევლის, ვიდრე საქმეს საქმეზედ მოიყვანს. ამ მხრითაც მაგ წესებს შეცვლა უნდა და განმარტივება, რომ გლეხკაცს სახელმწიფო ქონებათა გამგეობასთან ადვილად საქმის დაჭერა მოუხერხდეს.

რასაკვირველია, თუ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა საქმეს საქმის თვალით უყურებს, სანატრელი უნდა იყოს, რომ იჯარით გაცემა მამულებისა ადვილად შესასრულებელ წესებით მოეწყოს, და მერე — რომ უფრო ბევრი მოვაჭრე დაესწროს ვაჭრობაზედ და მერე იმისთანა მოვაჭრე, რომელიც აიწევს და გლეხკაცს კი მაინც უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე მაშინ, როცა ხარბის მოიჯარადრისაგან აიღებს მამულს.

ამ ბოლო ხანებში რუსეთში სცნეს მაგ წესების უხეირობა და უვარგისობა. ეხლა-ხანს სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა წინადადება შეიტანა მინისტრთა კომიტეტში იმის შესახებ, რომ გლეხკაცობას როგორმე გაუადვილოს სახელმწიფო მამულების იჯარით აღება. ეხლანდელს პროექტს მინისტრისას უმთავრეს აზრად ისა აქვს, რომ გლეხკაცობას მიეცეს ღონისძიება და გზა იჯარით იღოს სახელმწიფო მამული პირდაპირ სახელმწიფო ქონების გამგეობისაგან და მათ შუა არ ჩაეჩხიროს სხვა კაცი გლეხკაცის საწეწად. ჩვენ ჯერ დარწმუნებით არ ვიცით, რა ღონისძიებაა და რა გზა ნაჩვენები, რომ ეს ფრიად საკეთილო აზრი განხორციელდეს საქმით. ჩვენ თუ ამ საგანზედ მოვიტანეთ სიტყვა, იმიტომ მოვიტანეთ, რომ აქაურმა მთავრობამაც მიაქციოს ამ საგანს თავისი ყურადღება და აქაურობის საჭიროების მიხედვით შესცვალოს უხეირო და დახლართული წესები

სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემისა. დედააზრად ის უნდა წაიმძღვარონ, რომ გლეხკაცობას საკუთრივ და მიწათ-მომქმედს საერთოდ გზა და ღონისძიება მისცენ სახელმწიფო მამულების იჯარით აღებისა პირდაპირ სახელმწიფო ქონების გამგეობისაგან.

თავი მეთორმეტე

1881 წელი, დეკემბერი.

კიდევ ლოდინი. – ჩვენ რაღას ველოდით? – ლოდინით მომართული ადამიანი რასა ჰგავს? – რის წამალია ლოდინი. – თვისებანი ლოდინისა. – ლოდინი და ერთი ლექსი რუსთაველისა. – „ლოდინი“ და „სულელი“. – სასყიდელი ჩვენის საკუთარის ლოდინისა. – თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნა მთავარმმართებლად. – მიზეზი საერთო სიხარულისა. – ლექსი შექსპირისა. – იციან თუ არა? – ძველი და ახალი ლოდინი. – რა თვალით და რა გულით. – უამისოდ სულ ფუჭ. – ერთი რუსული გაზეთი და ცვლილება. – ნაფიცთა მსაჯულება და ერობა. – განათლების საქმე. – სასულიერო საქმე. – სახელმწიფო ტყის ხმარების საქმე. – სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემა. – არაყის ბაჟი. – საეკონომიო გზები.

მთელმა წლევანდელმა წელიწადმა მარტო ლოდინით დაალევინა ადამიანს მისი უსიხარულო დღენი. „სძგერდა გლახგული, სცემდა სურვილის წამთა ხშირად, მლოდენი მოსწყლა თმენამ“, – მაგრამ მაინც ლოდინი კი კვალად ლოდინი დარჩა ქვეყანას ნუგეშადა. მაგ ამაო ლოდინმა სული და გული დაუმშია ადამიანს, ხელფეხი გაუბაწრა, გაუცვითა ნიჭი ნატვრისა, გაუქსუა სურვილი, მოშალა ტანში და ერთობ მოუდუნა მთელი აგებულება, უამისოდაც მოდუნებული. მაგ ლოდინმა იქამდინ ჩაითრია ყოველისფერით დაქვეითებული ადამიანი , იქამდინ დაიბრიყვა მისი გუნება და ხალისი, რომ სხვაზედ აღარაფერზედ არ მიახედა არც ჭკუა და არც გრძნობა. დიდმა თუ პატარამ სული შეიგუბა, განაბულმა ყოველივე გრძნობა სმენადღა გადაიქცია, – აცა, ხმა რამ გაიხმაურებსო და ჩვენს ყურს არ გამოეპაროსო. მაგრამ ამ სულგაკმენდილს დუმილში ბუზის ბზუილიც არსით იყო: თითქო ქვეყანას ენა მუცელში ჩაუვარდაო, თითქო ადამიანი თავის სიტყვიერების ნიჭს გამოეთხოვაო და როგორც მეტი და გამოუსადეგი ბარგი აიხსნა და თავიდამ მოიშორაო.

ჩვენ მაინც რას ველოდით? – რას ველოდით? კითხვა ადვილია, პასუხი კი ძნელი. ქვეყნის ჭირი ჩვენი ჭირიც არის. ჩვენც ქვეყანაში ვურევივართ და ქვეყანასთან ერთად ბევრი რამ საზიარო გვაქვს. პასუხად ესეც საკმარისია.

ლოდინით მომართული ადამიანი ბაკში დამწყვდეულ პირუტყვსავით ნებიერადა წევს და იცოხნება ნელ-ნელად, ტკბილად. ამ-გვარის ყოფისათვის მარტო

კბილია საჭირო და მაგარი კუჭი. ღვთის მადლით, არც ერთი დაუზოგავს ბუნებას ადამიანისათვის და არც მეორე: კბილიც უჭრის საცოხნელად და კუჭიც მოსანელებლად. ოღონდ-კი საცოხნელი ჰქონდეს და სხვა არა უშავს-რა. საცოხნელი კიდევ თითონ ლოდინია. ვერც კბილს გასცვეთს და ვერც კუჭს მოშლის, და მშიერს, როგორც იქნება, გამოჰკვებავს.

ადამიანის გაბრუებისათვის და თითონ ტკივილების დაყუჩებისათვისაც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულმა ერთი უებარი წამალი იპოვნა. ეგ წამალი ლოდინია. ლოდინი ბუნებითაც დინჯი რამ არის, მშვიდობიანი, წყნარი და მთხოვარასავით მუდამ ხელგაწვდილი: მიაწვდი რასმე – მადლობელია და არ მიაწვდი – მაინც მადლობელია. ხელგაწვდით და ღრეჭით თუმცა ჰგავს მთხოვარსა, მაგრამ უმადურობით კი არა. მთხოვარს რომ არა მიაწოდო-რა, გულში მაინც წყევლა-კრულვას შემოგითვლის, ლოდინი კი თავის-დღეში მაგას არ იკადრებს, ყოველთვის მადლიერია და კმაყოფილი. არც ერთ შემთხვევაში არც ფერს იცვლის, არც ზნესა. გარდა მაგისა, ლოდინი იმისთანა სახედარია, რომ არც სადავე უნდა, არც ჯილავის დაჭერა. ოღონდ კი თითით, ან თვალით ანიშნეთ, და საითაც გნებავთ – თავს იქით იქს შესაფერის ღამითა და მთქნარებითა. ამიტომაც უაღვიროდ სიარულის ნება მარტო ლოდინსა აქვს ამ შემობაწრულ სარბიელზედ, რომელსაც ადამიანის ცხოვრებას ეძახიან. თავის-დღეში თავს არ მოგტაცებთ, კარგად დაგეშილ ცხენსავითა, და თუ მოგტაცებთ, ისე შემოგარბენინებთ მთელ ქვეყნიერობასა, რომ არას გაწყენთ. თითონაც ისიამოვნებს და თქვენც გასიამოვნებთ. ოღონდ კი ფეხი აადგმევინეთ ლოდინსა და ადამიანის გულში ბინა გაუკეთეთ და ფიქრი და შიში ნუღარაფრისა გაქვთ.

ლოდინში ერთი კიდევ კარგი ის არის, რომ მუქთია. რამდენიც გნებავთ ხარჯეთ, გროში არ გაგივათ. მეორე კიდევ ის არის, რომ თუ მოინდომეთ, დაუსრულებელი იქნება, ბოლო აღარ მოეღება. ამ მხრით ლოდინი მეტად კარგი ხერხია და ოსტატის კაცისათვის დიდად გამოსაყენი. შეიძლება ერთს რისამე ლოდინს რომ ბოლო მოეღოს, მაშინვე მეორე საგანი აუჩინო და ამას მიუსიო ადამიანის მუდამ დამშეული გული. ამ გზით შეგიძლიათ ადამიანის გულს არ მოაშოროთ ლოდინი არას-დროს. ლოდინი თოკია. თუ ოსტატმა კარგად და ხერხიანად გამოიყენა, მაშინ ხსნილიც დაებმის და დაბმული ხომ დაბმულია და დაბმული.

„ლოდინი ხსნილსაც დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“, – ესე რომ ეთქვა როსტევანს თავის ქალისათვის, როცა მეფედა სვამდა, არ შესცდებოდა. ნუთუ მართლა – რაც მღვრიე წყალისათვის შაბია, ის მღვრიე გულისათვის ლოდინია?..

ეს გრძელი ლაპარაკი ლოდინზედ იმიტომ მოვრთეთ, რომ ერთი ქართული სიტყვა აგვეხსნა და მისი ძირეული ძირი გვეპოვნა. სხვა ჩვენ ფიქრად არა გვქონია-რა და ნურც თქვენ იფიქრებთ. იცით „სულელი“ საიდამ გამოდის? ლოდინიდამ. იცით „სულელის“ ძირი რა არის? ლოდინი. აბა „ლოდინი“ და „სულელი“ – საიდამ სადაო, იკითხავთ. არც ისე შორს არიან ერთმანეთზედ ეს სიტყვები, როგორც

თქვენა გგონიათ. იმ კაცს რას ეტყვით, რომელიც „სულ ელის და სულ ელის?“ „სულ ელიო“. მორჩა და გათავდა. გამოცანა ჩვენ გვერგება.

სხვისა არა ვიცით-რა და საკუთრად ჩვენთვის ფრთაგაშლილმა ლოდინმა თავისი სასყიდელი და გასამსჯელო მიიღო. ამ უკანასკნელს დროს გადაწყვეტილად ლაპარაკობენ თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მთავარმმართებლად დანიშვნაზედ ჩვენში. ეს კი არ არის გასაკვირველი, საკვირველი ის არის, რომ დიდსა და პატარას უხარიან იმისი ჩვენში მოსვლა. ზოგი ამბობს, – ვარანცოვის კაციაო და თუ ვარანცოვი კარგი იყო ჩვენთვის, ეგეც კარგი იქნებაო. ზოგი კიდევ იძახის, უნივერსიტეტში გამოვლილიაო, მმართველობაში კარგად გამოცდილი, და თუ მმართველს ეს ორი ღირსება აქვს, დიდის სიკეთის იმედი უნდა გვქონდესო. ბევრნაირს მიზეზს ამბობენ ამ საერთო სიხარულისას, მაგრამ ჩვენ კი სხვა გვგონია. ამისთანა ერთიან სიხარულს ერთიანი მიზეზი უნდა ჰქონდეს, და ეს ერთიანი მიზეზი ის არის, რომ ცვლილება მოხდა. არც მეტი და არც ნაკლები.

ჩვენ რომ ჩვენს თავს ბედნიერად ვგრძნობდეთ, ცვლილება შეგვაწუხებდა, დაგვაღონებდა, ვაი თუ რაცა გვაქვს, ისიც დავკარგოთო, ვიტყოდით, მაგრამ... ოჰ, რა კარგი რამ არის შექსპირი. გულთამხილავს რომ იტყვიან, სწორედ ის არის. იმისი ერთი ლექსი მომაგონდა და, თუმცა ამ საგანს, რაზედაც ვლაპარაკობთ, არ უხდება, მაგრამ თითონ ლექსი ისეთი კარგია, რომ ვერ მომითმენია, რომ აქ არ ამოვწერო:

„ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,
ბედკრულნი კი მას სიხარულით მიეგებიან.
მაშ შენ, ჰე სვეო ცვალებადო, აწ სალამს გეტყვი!..
შენ მე შთამაგდე, უბედური, ვაების ზღვაში
და რაც მიყავი, ამაზედ მეტს ვეღარას მიზამ“.

ამბობენ, თ. დონდუკოვის დანიშვნის ამბავს ეჭვი აღარაფრისა აქვსო და მალეც აღსრულებაში მოვაო. ასე მალე თურმე, რომ იანვრის ბოლოს მოელიან ახალ მთავარმმართებლის მობრძანებას. ამასაც ამბობენ, ვითომც ერთი აქაური ხარისხოვანი მოხელე დაუბარებიათ კიდეც პეტერბურგში, რომ ახალ მთავარმმართებელს აუწყოს აქაურის საქმეების ვითარება და ერთობ ყოვლის მხრით აცოდინოს ჩვენი ქვეყანა. არ ვიცით, რამოდენად ზედმიწევნით და საკმაოდ შეუსრულდება ახალს მთავარმმართებელს ეს დიაღ მოსაწონი სურვილი. იქნება ვსცდებოდეთ, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ აქაურ მოხელეებში ერთიც არ გვეგულება იმისთანა, რომელსაც არამც თუ შეესწავლოს ჩვენი ქვეყანა, არამედ ამისი სურვილი ჰქონდეს და ამისი საჭიროება ეგრძნოს. ჩვენს ქვეყანას დიამბეგების მიწერ-მოწერით იცნობენ და დღეს-აქამომდე ყველანი ერთად და თვითოეული ცალკე ამ ცნობებით იკვებებიან. რა ხეირი დაგვაყარა ამ მხრით შესწავლამ ჩვენის ქვეყნისამ, ეგ აშკარად ზედ ატყვია ყოველს რეფორმას, რომელიც შემოტანილ იქმნა ჩვენში ამ ოც წელიწადში. არ-ცოდნა ქვეყნისა განა მარტო იმ საგნებს დაეტყო, რასაც რეფორმა შეეხო; ათასი სხვა ტკივილია ჩვენში, რომლისათვისაც ჯერ ყურიც არ უთხოვებიათ, რომელიც ჯერ სმენითაც არ გაუგონიათ. ქვეყნის მცოდნეს კი ეგ ტკი-

ვილები არ გამოეპარებოდა და, თუ წამალს ვერას დასდებდა, დავთარში მაინც მოაქცევდა საღაღადებლად.

აქამომდე ჩვენის ლოდინის საგანი ახალ მთავარმმართებლის დანიშვნა იყო ხომ თ. დონდუკოვის დანიშვნით ამას ბოლო მოეღო. ნუთუ ულოდინოდ დავრჩით და დავიღუპენით? არა, ბატონებო, ტყუილი შიშია. რუსეთის გაზეთებმა სხვა საგანი ლოდინისა აგვიჩინეს და გვიხარებია. ლოდინი ჩვენს გულს არ მოჰშორებია. რუსეთის გაზეთები, რაც ძალი და ღონეა, ნაღარასა სცემენ, რომ აქაურს წესებს ცვლილება მოელისო. აი კიდევ ლოდინი – წესების ცვლილებისა! დიდხანს გვეყოფა საცოხნელად, მერე უხარჯოა და მუქთი, როგორც უკვე მოგვიხსენებია.

ვიდრე წესების ცვლას შეუდგებიან ჩვენში, ჯერ ყველაზედ უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქმნას ის, თუ რა თვალით და რა გულით უნდა გვიყურონ ჩვენ. უნდა გამოცნობილ იქნას, კარგად განსაზღვრულ და ბეჯითად განმარტებულ, – თუ ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ. რომ არავინ დაგვწამოს მიდგომით ლაპარაკი, ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთის რუსის მწერლის ნათქვამს ამ საგანზედ: „ჩვენ, რუსებმაო, – ამბობს იგი*, – არ უნდა დავივიწყოთ თავის-დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ, უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით მოპოვებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა – იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოველსფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში – რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაპოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ეროვნება ერთნაირად ბუნებრივია და ერთნაირად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება.“

ცვლილების სურვილს, რომ ეს კაცობრივი აზრი ააყოლონ, მაშინ ცვლილება სულ სხვა ნაყოფს გამოიღებს და ჩვენი ქვეყანა წელში გაიმართება, ფეხს გაიმაგრებს და ფეხ-გამაგრებული თავისთვისაც გამოსადეგი იქნება და სხვისთვისაცა. სხვა გზა და სხვა აზრი ტყუილია, და ყოველივე ცვლილება, რომელსაც სარჩულად ეს აზრი არ დაედება, წყალის ნაყვა იქნება, როგორც აქამდის იყო.

გარდა მაგისა, ესეც წინათვე ცნობილი უნდა იქმნას, – თუ ვის ეჭირვება ცვლილება, რა მიზეზი აიძულებს ცვლილების მოხდენას. ამაების მიხედვით უნდა დაინიშნოს, – ცვლილებას წინ რა საგანი დაედვას მისაღწევად. ერთი რუსული გაზეთი ამ საგანს ცალკერძ შეეხო და ამბობს: „ეს უნდა კარგად გაკვეთილი გვქონდესო, რომ არა კავკასია მოხელეთათვის, არამედ მოხელენი არიან კავკასიისათვისო.“ საკვირველია, რომ ამ ბოლო დროს ამისთანა გულმტკივნეული სიტყვები გვესმის. საკვირველია მით, რომ არა ვართ ჩვეულნი. მაგრამ რა? სიტყვა თქმაა და არა ქმნა. თქმისა და ქმნის შუა დიდი მზღვარია. ამას თითონვე იგი-

ვე გაზეთი ამტკიცებს. მოჰყოლია, ბატონო, და იძახის, ეს მხარე უნდა მოვაცალოთ სამთავარმმართებლოს და ამას შევუერთოთო; ეს მაზრა და ის მაზრა ერთ მაზრად ვაქციოთო; ესა და ეს გუბერნია გავაუქმოთო და ამა და ამ გუბერნიას მივაკეროთო; მთავარსამმართველო უნდა გაუქმდეს და მთავარმმართებელის კანცელარიად გადაკეთდესო და სხვანი ამ-გვარნი. ეს ყველა კარგი და ჩვენ რა? ვსთქვათ, კავკასიის სამმართველოს ორიოდე გუბერნატორი მოაკლდა, ორიოდე მაზრის უფროსი და ათიოდე მოხელე, მაგითი მითამ ქვეყანა კუჭს გაიძღობს? ეს და ამგვარი ცვლილება სწორედ იმას ეგვანება, რასაც ოხუნჯი რუსის მწერალი შჩედრინი ამბობს: „ერთი გენერალი უფროსად მოვიდა ჩვენში თუ არა, მაშინვე გუბერნატორის კაბინეთში იატაკის აშლას შეუდგა. მაგრამ რა? აშლით – აშალა, ახალის დაგება კი ვეღარ მოასწრო, გამოსცვალეს. როცა მიდიოდა და გვეთხოვებოდა, გვითხრა: „ბევრი რამ კეთილი მინდოდა მექნაო, მაგრამ ღმერთმა, ჩემო მეგობრებო, არ დამაცალაო“. მოვიდა ახლა სხვა ახალი გენერალი და მაშინვე მოისაზრა და თქვა: ეს რა მიუქარავთო! იატაკი კაბინეთში კი არ უნდა აეშალათ, არამედ სასტუმრო ოთახშიო, და ამისდა-გვარად შესაფერი განკარგულება მოახდინა. მაშასადამე, თუ ეს გენერალიც მალე გადააყენეს და სხვა ახალი გენერალი მოვიდა, – ვინ იცის, იქნება იმანაც ახლა სასადილო ოთახში მოინდომოს იატაკის აშლა და ამ სახით მთელი სახლი გუბერნატორისა თან-და-თან წაიბილწება, ჯეროვანის განკარგულების ნიჭს კი მაინც-და-მაინც ვერ გამოიჩენენ“.

კაცმა მართალი უნდა თქვას, იგივე გაზეთი ამასაც კი ამბობს, რომ საჭიროაო ნაფიცთა მსაჯულება (*суд присяжных*) და ერობა (*земство*) შემოვიღოთ, თუ ყველგან კავკასიაში არა, საქართველოში მაინცაო. კარგი და პატიოსანი. ძალიან და ძალიან საჭიროა. ეს ორივე ცვლილება მეტად სანატრელია და მარგებელი ქვეყნისათვის. ამას სიტყვა წინ არ უდგა. მაგრამ როგორ? ამ ორივე საგანს მრავალკეცი შედეგი და საჭიროება მოსდევს. თუ ერთი რამ გამოაკლდა, ისეც დატვირთულს ერს ტვირთი მოემატება და ერთი ბეწო სიკეთე არ მიენიჭება. აბა ერთი მიბრძანეთ, მოსამართლენი აქაურის ენის მცოდნენი რომ არ იყვნენ, რომ ადვოკატებმა და ბრალმდებელმა მჭევრმეტყველობის ყაბახი გამართონ სასამართლოში რუსულად, ქართველმა ნაფიცმა მსაჯულმა მარტო ბუზები მოიგერიოს, თუ რა ქნას. და თუ ნაფიც მსაჯულებს კანონად დაუდებთ რუსულის ენის ცოდნას, და თუ სახეში მივიღებთ – რომ მარტო მოხელეობამ (ჩინოვნიკობამ) იცის ჩვენში რუსული, მაშინ სამართალი ხომ მაინც ჩინოვნიკის სამართალი იქნება და არა ერისა. ნაფიცთა მსაჯულება მარტო იმითაა სანატრელი, მარტო იმითაა კარგი, რომ სჯის და მსაჯულობს სინიდისი ერისა და არა ჩინოვნიკისა. თუ ამ მხრით არას შეიკვეცენ და ისე შემოიღებენ ჩვენში ნაფიცთა მსაჯულებას, ჩვენ მაგ სანატრელს ცვლილებას დიდის სიხარულით მივეგებებით, თუ არა და, მარტო სახელი იქნება და სახრავი კი არა.

ერობაც მეტად დიდი რამ არის. იგია უტყუარი ორღანო ქვეყნის საჭიროების გამოთქმისათვის, ერის არჩევანით, იგია ერის წარმომადგენელი კრება. ყოველივე, ვინც-კი უკეთესი მოჭირნახულეა ერისა, იქა მოქმედობს და იღვწის. ერობას

ფეხი თვით ერის დირეზედ უდგას, ერის ცხოვრებაში ტრიალებს და ერის ცხოვრებით სულდგმულობს. ამიტომაც იგი ზედმიწევნით მცოდნეა, რა სტკივა ერსა და რა წამალი დაედება. თუ ერობის საქმე ისეა მოწყობილი, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესის ნატვრა, ჯერ ამ ხანად მაინც, მეტისმეტის წადილი იქნება. რა თქმა უნდა, კანონზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუნდ თითონ არჩევანის საქმე ავიღოთ. ვსთქვათ, კანონად დაიდოს, რომ თუ არ ჩინოვანი, ამორჩეულ არ უნდა იქმნას, ანუ თუ არ ჩინოვანს, ანუ მდიდარს, არჩევანის ხმა არ უნდა ჰქონდესო, – მაშინ ერობა ცალიერი, ფუყი და ფუჭი სახელი იქნება. ჩინოვანი და მდიდარი – ერი არ არის. ერი წრით გარეთ დარჩება. თუ, მაგალითებრ, კანონად დაიდვა, რაც მიამება – მარტო ისა სთქვიო, და რა წამალიც მე ვინდომო – ის წამალი იხმარეო, მაშინ ერობა ტვირთია და არა შვება და შეღავათი. მაშინ ერობა ერს კისერზედ დააწვება მთელის თავისი სიმძიმითა, ხარჯებითა, გადასახადებითა და მუხუდოს ოდენა სიკეთესაც კი არ მოუტანს. ერობა ორკეცი რამ არის: ერთით მოვალეობაა და მეორით უფლება, ერთით – ტვირთია, რადგანაც ხარჯი, გადასახადი მოსდევს, მეორით – ღონეა სიკეთისა, რადგანაც ერი თითონ ჰპატრონობს თავის-თავს და ხარჯსაც და გადასახადსაც თავის-თავს ახმარებს საჭიროებისამებრ. რაღა თქმა უნდა, რომ ერობაში სანუკვარი უფრო მეორეა, ადამიანი ტვირთს ადვილად იკისრებს, როცა საჭიროა ეგ თავის-თავისვე საკეთილოდ. მაშასადამე, აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა მოედანი ექნება შემოხაზული ერობას, რა ფართო გზა მოქმედებისა დაენიშნება და უკეთესთა მოჭირნახულეთა არჩევანი დაბრკოლდება რითმე თუ არა. ერობა იმისთანა რამ არის, ან სულ მთლად უნდა იყოს, ან სულ არა.

ეს ორი ცვლიდლება – ნაფიცთა მსაჯულება და ერობა, რასაკვირველია, ასე თუ ისე პირდაპირ ერსა და იმის საჭიროებას შეეხება. მაგრამ გარდა ამისა სხვა მრავალი საჭიროება ღაღადებს ჩვენში და იმათაც არა ნაკლებ ყური უნდა ათხოვონ, თუ მართლა-და სიკეთე უნდათ ქვეყნისა. ჩვენ იქნება თავის დროზედ ვრცლად ავხსნათ ეს საჭიროებანი, მაგრამ ამჟამად კი მოკლედ ავნუსხავთ.

საერო განათლების საქმე უნდა გადაისინჯოს და ძირიანად გადაკეთდეს, რომ განათლებამ მართლა ფეხი გაიდგას და მოიკიდოს ჩვენში. ეყო აქაურობას ამოდენა ჭმუჭვნა, აქეთ-იქით ქანება, წაჯექ-უკუჯექობა. დროა განათლების საქმეს მთელის ქვეყნიერობისაგან აღიარებული საფუძველი დაედოს, ერთხელ და ერთხელ თავის საკუთარს გზაზედ დაყენებულ იქმნას, განათლების საქმეში განათლების მეტი არავინ არ შეურიოს და წმინდა რამ არ აამღვრიოს.

დიდის ყურადღების მიქცევა უნდა ჩვენს სასულიერო საქმესაცა. ჩვენს ერს მღვდელი არა ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ვეღარ იცლიან. ერი ვეღარ გასვლია მღვდლის ხარჯსა, რომელიც მით უფრო ემძიმება ერს, რომ განურკვეველია, განუსაზღვრელი. აბა იფიქრეთ, თუ მღვდელს დიდი ოჯახი აქვს და პატარა სიხარბეც მოსდევს, რა მუსრს აადენს

თავის სამწყსოსა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს ლამის ქანცი გაუწყდეს.

ეხლანდელი წესი სახელმწიფო ტყიდამ სარგებლობისა სრულებით უნდა გაუქმდეს და სხვა ახალი წესი დაედგინოს, ჩვენის გლეხკაცობის ცხოვრების შესაფერი. აქამომდე რუსეთის საზოგადო კანონები მოქმედებენ ჩვენშიაც და იფიქრეთ, საიდამ სადაო. სხვას ნურას იტყვით, ჯერ მარტო ერთი ეს იქონიეთ სახეში, რომ ჩვენი გლეხკაცი კერასა ხმარობს და რუსისა-კი „ფეჩსა“, რომ რუსი ოთახს ათბობს და ისე თბება, ჩვენი კაცი-კი ცეცხლა-პირას. ჩვენებურ გლეხს ვენახი აქვს და სარი თუ ჭიგვა უნდა, და რუსისას არა. ეს თვალად ესეთი მცირე გარემოება, არსებითად იმოდენად პატივსადები და მიუცილებელი მიზეზია, რომ არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს და მის მიხედვით ტყის ხმარების საქმე სულ სხვა საფუძველზედ არ ააგოს. უტყეობა მეტად მძიმე ტკივილია ჩვენის ერისათვის და თუ უნდათ, რომ ერმა მართლა სიკეთე რამ იგრძნოს ცვლილებისა, ამაში გულმტკივნეული და უხვად შველა უნდა. ადვილი საშველიც არის, თუ სურვილი იქნება. ჩვენა გვგონია, რომ მთავრობა არამც თუ დაჰკარგავს რასმე, რომ ტყეების საქმე რიგიანად მომართოს, არამედ მოიგებს კიდეც, იმიტომ – რომ შესაძლოა ტყის პატრონობის ხარჯი ძალიან შეიმოკლოს და შემოსავალს კი თითქმის არა მოაკლდეს-რა. ერს ხომ შეღავათი მიეცემა და მიეცემა.

სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის საქმეც სულ სხვაფრივ უნდა მოიწყოს. ამ ცვლილების საგნად ის უნდა იყოს, რომ გლეხკაცობას გაუადვილდეს სახელმწიფო მამულების იჯარით აღება და არა ფრთხოდეს სახელმწიფოსთან საქმის დაჭერისაგან ისე, როგორც დღეს-აქამომდე ფრთხის და ერიდება. ამისათვის საჭიროა, რომ ამ საქმეს ჩამოაცალონ ათასნაირი სამწერლოები, მოხელეები, ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერა და ბღაჯვნა ქაღალდისა მოიშალოს, და იჯარის გამცემი კაცი, თუ სამმართველო, გლეხკაცზედ ახლოს იყოს. თითონ მთავრობაც ირგებს, იმიტომ რომ გლეხკაცი, ვითარცა პირდაპირი მომქმედი მიწისა, უფრო მეტ ფასს მისცემს – ვიდრე მონარდე, რომელიც იმ იმედით იღებს მამულს, რომ სხვაზედ გასცეს მოგებითა, – და გლეხსაც მაინც-და-მაინც ნაკლებ დაუჯდება, ვიდრე მონარდესაგან აღებული.

ფრიად საჭიროა ეხლანდელი ბაჟი არაყის ხდისა შეიცვალოს ისე მაინც, როგორც უწინ იყო, თუ უკეთესად არა. ეხლანდელი ბაჟი ისეთია, რომ თუ მოკლე ხანში კაცმა ბევრი არ გამოხადა, არაყის ხდა საზარალოა. არც ერთს ქვაბს, რომელსაც აქამომდე გლეხკაცი ხმარობდა, მაგ სასწაულს ქმნა არ შეუძლიან. ამიტომაც გლეხკაცი ამ მხრით დღეს ხელცარიელი ზის. ჩვენ გაბედვით ვიტყვით, თუ არ მესამედი, მეოთხედი მაინც მთელის შემოსავლისა, გლეხკაცს ჯიბიდან ამოაცალეს. საცა ვენახები ხშირია (და სად არ არის ჩვენში?), იქ გლეხკაცობა მარტო არაყის შემოსავლით ისტუმრებდა თითქმის მთელს სახელმწიფო და სასოფლო ხარჯსა. დღეს კი ამას მოკლებულია ეხლანდელის ბაჟის წყალობითა. ეხლა არაყის ხდა მარტო მდიდარისათვისღაა შესაძლებელი, ესე იგი იმისათვის, ვინც ორასს, სამასს თუმანს გამოიმეტებს და იმისთანა ქარხანას გამართავს, რომ ცოტა ხანში

ბევრი გამოხადოს. ამ სახით, ისეც უღონო გლეხკაცი მტლად დაუდეს მდიდარსა და ფულიანსა. დიდი შეღავათი კი იყო გლეხისათვის, როცა მისთვისაც შესაძლებელი იყო თავისის უბრალო ქვაბით არაყის ხდა. ზამთრის თვეებში, როცა გარეთ მუშაობა არ შეიძლებოდა, თავის-თავს მაინც-და-მაინც გამორჩებოდა რასმე და უქმად დღეს არ დააღამებდა. მიუჯდებოდა ქვაბს და ხდიდა არაყს. ეხლა ეს უფრო უსასყიდლოდ და ურგებად ეკარგება. იმას კი ნუღარ ვიტყვით, რომ თითონ ჭაჭასა და თხლეს ფასი დააკლდა და ზოგან გადასაყრელად-ღა გახდა. მაგალითებრ, მთელი დუშეთის მაზრა, წინა-მხარი კახეთისა და, მგონია, ქართლიც, ჭაჭასა და თხლეს სხვა რამეში თუ იყენებენ, თორემ არაყს კი არა ხდის. რაც ეს ბაჟი შემოვიდა, გაქრა ამ ადგილებში ჭაჭისა და თხლის ვაჭარი.

დიდი საქმეა გზების კეთებაცა. დღეს-აქამომდე, საცა კი გზის გამართვაზე სიტყვა ჩამოვარდებოდა, მთავრობას სახეში ჰქონდა მარტო მხედრობისათვის საჭირო გზები. ეხლა ჩვენს ქვეყანაში, ღვთის მადლით, სამხედრო არა არისრა. ქვეყანა დამშვიდებულა. ეხლა ჩვენი ქვეყანა სხვა-გვარ გზებსა საჭიროებს, იმისთანა გზებსა, რომელიც გამსყიდავს და მსყიდავს მალე, უწყინრად და იაფად შეახვედრებს. ამისთანა გზებს საეკონომიო გზებს ეძახიან. ამათი დანიშნულება ის არის, რომ მწარმოებელს ბაზარი დაუახლოვოს, ბაზარში მისვლა-მოსვლა არ გაუჭიროს და საზიდავმა გადაზიდვაში მეტი ხარჯი არ გადაიყოლოს. გზამ რომ ეს დანიშნულება შეასრულოს, „ჩინოვნიკმა“ კი არ უნდა გააბას ლარი გზისა, როგორც აქამომდე იყო, არამედ ადგილის კაცებს უნდა ეკითხოს, სად რა გზა უნდა. მაშინ გზა იქით არ მიიბრუნებს თავს, საცა მსხვილი კაცია, არამედ იქით, საცა მსხვილი საქმე და მსხვილი საჭიროებაა. გზები ისე საჭირონი არიან, რომ პირველ დღიდანვე ამას მიჰყონ ხელი, – მეტი არ იქნება. ოღონდ ერთი რამ კი არ უნდა დავივიწყოთ. გაწყალდა ერი გზის ბეგარის უწესოებითა. გზის კეთება მეტად მძიმე ბეგარაა თავისთავადაც და ეს უწესობა ხომ ერთი-ორად ამძიმებს. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ წესია და არ ასრულებენ. არა, თითონ წესი არ არის დადგენილი არავითარი. ვისაც ქეიფად რა მოუვა, იმ წესებზედ დაიარება. ამ მხრით მთელი ჩვენი გლეხკაცობა „ჩინოვნიკების“ ნებაზედ არის მიგდებული. ვინ იტყვის, რომ „ჩინოვნიკი“ უსამართლობას რასმე ჩაიდენს, მაგრამ მაინც ის რომ პატარა შორს იყოს, ისა სჯობია. ამდენი ვაი-ვაგლახი, ცემა-ტყეპა, ხარჯი, დანაკლისი, რას გზის ბეგარას მოსდევს გლეხკაცისათვის, იმიტომ არის, რომ არავინ იცის, – ვის რა მოვალეობა აქვს და ვის რა უფლება. ერთის სიტყვით, წესი და კანონი არ არის ამ საგანზედ დადგენილი და უსათუოდ კი უნდა იყოს, თორემ უწესობამ ლამის ერი მოიდნოს. რა-გვარი წესია საჭირო და რა და რა საგანისათვის, ამაზედაც იქნება მერეც შეგვხვდეს საუბარი და ჩვენ ჩვენსას ვიტყვით. ეხლა მხოლოდ გვინდოდა ეს მხარეც ჩვენის კეთილდღეობისა ნიშნად დაგვესვა ცვლილებისათვის. ბევრიც კიდევ სხვა რამ არის სათქმელი, მაგრამ...

„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“.

ზოგიც მერე იყოს.

ქართველი სტუდენტობა რუსეთში

თავი პირველი

ტფილისი, 4 თებერვალი, 1886 წ.

გუშინ ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო „ახალ ამბავთა“ შორის ერთი გულსაწვავი ამბავი. ოდესის უნივერსიტეტში, საცა ჩვენი მოზარდი ყმაწვილ-კაცობა ჰრჩეობს უმაღლესის სწავლის მიღებას, რადგანაც იქ ჰავა სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებზედ უფრო უკეთესია და უფრო შესაწყნარებელი ჩვენებურებისათვის, ქართული სტუდენტობა კარგა ბლომად არის. ბევრნი მათგანი, გატაცებულნი უმაღლესის სწავლის სიყვარულითა, უქონლობას არ შეუშინებია და ყმაწვილ-კაცობის ხალისით და გაბედულებით გასდგომიან შორს და სანატრელს გზას სწავლისას. „თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებითო“, და როგორც იქნება, ვაითა და ვაგლახით, ჩვენს თავს გავიტანთო. ეს კეთილშობილური სითამამე, ეს პატიოსანი თავგამომეტება, ეს, თუ გნებავთ, ვაჟკაცური წინდაუხედაობა – უკეთესი სამკაულია ყოველის კაცისა და ყმაწვილ-კაცობის ხომ უკეთესი და აუცილებელი ღირსება და კუთვნილებაა. უკეთესს მოხუცს თუ რამ ენანება თავისის წარსულისა, სწორედ ამ თვისებათა შესუსტება ენანება ხოლმე და ამიტომაც არც ერთი გონიერი და სულგრძელი კაცი ამისთანაებში არ უსაყვედურებს ყმაწვილ-კაცს, წინდაუხედავი რათა ხარო. საცა კეთილია, იქ აღებ-დაღება არ უნდა და რომ სწავლა საზოგადოდ და უმაღლესი საკუთრივ კეთილია – ამას ეხლა ყურ და თვალდახშულიც აღიარებს. აქ ჩვენ ყმაწვილ-კაცობის თავგანწირვას ვერაფერს წუნს ვერ დავსდებთ ვინც წუნს დასდებს, შესცოდებს ღმერთსაც და კაცსაცა.

ამ მხრით ვერავინ გულს ვერ გაიგრილებს, ვერავინ ყურს ვერ მოიყრუებს: როცა სწავლისათვის თავგანწირულ ყმაწვილკაცის ძახილი მოდის, მიშველეთო. ყველა ჩვენი ღონე ზედ-შევაკალით, ყველა ჩვენი მეცადინეობა ზედ-შევალიეთო და ვერას გავხდითო, იწერებიან ოდესიდამ უნუგეშოდ შთომილნი ყმაწვილ-კაცნი, ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები და იმედნი მერმისისანი. ნუთუ ქართველობა ისე გაძუნწდება, რომ ამ სასოწარკვეთილების ხმას ყურს არ ათხოვებს და გაჭირვებულთ მოძმეთ არ გაუწვდის შემწეობის ხელს! აქ ყოველი გროშიც განძია და იმედი გვაქვს, რომ არავინ დაიშურებს, შეძლებისამებრ, რაიმე შეაწიოს. სწორედ ამისთანა საქმისათვის არის თქმული:

„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულია“.

თავი მეორე

ტფილისი, 22 დეკემბერი, 1886 წ.

ვერავინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და ცოდნის სურვილი. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ჰხედავს, ყველა ჰგრძნობს, ყველა ჰღაღადებს. ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჭკუა-გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო, – ის, რასაკვირველია, არ იკმარებს მაგ დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს, და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა – სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავ-მოსაწონებელი. პატარა ბავშვიც კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერი ცოდნა აქვს, ძლიერია უცოდინარს გოლიათზედა და უფრო შემძლებელი ამ წუთის-სოფლის მოედანზედ, საცა დღეს იგი იმარჯვებს – ვინც მცოდინარეა, იგი ჰთამამობს – ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან. ეგ სურვილი ყოვლად-მხსნელის სწავლისა და ცოდნისა გულში უქმად, ცარიელ სურვილად არ დაგვშთომია. იგი ჰმოქმედობს და არა ერთსა და ორს დედ-მამას მიაყენებს ხოლმე სასწავლებლის კარებზედ ხვეწნით და მუდარებით, რომ სანატრელი კარი მისთა შვილთა წინ გაეღოს, და ამასთანაც ჰკანკალებს, – ვაი თუ არაო. არა ერთსა და ორს ჩვენ ყმაწვილ-კაცს გაიტაცებს ხოლმე თავგამომეტებით თავის საყვარელის სამშობლოდამ, რომ იქ შორს, სადმე დაეწაფოს უმაღლესის ცოდნის ანკარა წყაროსა, რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტარებისა ჯერ არა სჩქეფს, –

„და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალად ერთი ათასად“.

მოდიან ის თავგანწირულნი, ცოდნის სიყვარულით და წყურვილით შორს გარდახვეწილნი და წინ მოიმძღვარებენ მეცნიერებას და მის მწვანე შტოს ნოეს მტრედსავით, ნიშნად ხარებისა და ნუგეშ-ცემისა. მას აქეთ, რაც ქვეყნისათვის ჯვარცმულმა ღმერთმა ბრძანა: „მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ“, – არა-რას ქვეყნიერობაზედ ისე სამართლიანად არ შეუძლიან თავის დროშაზედ დააწეროს ეს ნუგეშმცემელნი სიტყვანი, თუ იმ სალაროს ცოდნისას და სწავლისას, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან და რომელმაც ნადირიკაცი ღვთის ხატად და მსგავსებად გარდაქმნა.

ყოველს ამას მოველოდებით სწავლისა და ცოდნისათვის თავგადადებულთა და გარდახვეწილთაგან. ამას ვითხოვთ, ამას ვავედრებთ, ამას ვეხვეწებით და, ჩვენდა სამწუხაროდ, იმას კი აღარ ვკითხულობთ, რა დღეში არიან ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები, მინამ თავის წყურვილს სწავლისას და ცოდნისას მოიკლავენ. დღევანდელი კიევიდამ მოწერილი ამბავი მკრთალი სურათია იმისა, რასაც ჩვენი საცოდავები ყმაწვილ-კაცობა ითმენს და იტანს სწავლისა და ცოდნის გულისათვის. ესე იგი იმ ძვირფასს თესლთა შეკრებისათვის, რომელიც მშობელ

ქვეყანად უნდა მოჰზიდონ ერთი ათასად მოსამკალად და, მაშასადამე, ჩვენდა საბედნიეროდ. გარდიხვეწებიან ხოლმე საცოდავები და აქ დაშთენილნი კი არა ჰფიქრობენ მასზედ, რომ პური არა აქვთ საჭმელად, სახლი არა აქვთ თავშესაფარავად, და არას ჰზრუნავენ, რომ ხელი გაუწოდონ შველისა და შემწეობისა და იმ საშინელს წამებას გადაარჩინონ, რომელსაც შიმშილი და წყურვილი ჰქვიან. ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლენი მეტი ნაწილი ღარიბნი არიან. თქმა არ უნდა, რომ სიღარიბე უფრო იღვწის. ამ შემთხვევაში, ვიდრე სიმდიდრე. სიმდიდრეს რა უჭირს? ცა ყოველთვის ქუდად აქვს, დედამიწა ქალამნადა. მას ჯერ არ აეშლება საღერღელი სწავლისა და ცოდნისა, და თუ აეშალა, ვარდით დაფენილ გზაზედ მიდის. სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰშაშრავს მის შიშველს ფეხსა და ტანსა. აქ სვლა მსხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გამომეტებაა. რამდენს დაულევია უდღეოდ სიცოცხლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმშილით დაუძლურებულს ხორცს ვეღარ უტარებია ღონიერი სული ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ? რამდენს დედას გამოსცლია ამ გზით ხელიდამ შვილი, რამდენს დას – ძმა, რამდენს მეგობარს – მეგობარი და რამდენი საიმედო შვილი დაჰკარგვია ქვეყანას!..

ნუთუ მამანო, ძმანო, დედანო, დანო და ქვეყნის გულშემატკივარნო, ასეა და ასე უნდა იყოს……ნუთუ მართლა ისე უღონონი ვართ, რომ თითო გროშის მიწვდენა არ შეგვეძლოს!.. თუ, – თქმაც კი ცოდვად მიგვაჩნია, – ისე გულგრილები ვართ, ისე უმადლონი, რომ გული ხელს იკავებს და დაუდევრობა – მადლის სურვილსა!

ჩვენი ხალხი და განათლება

ტფილისი, 22 მაისი, 1886 წ.

უმეცრება – აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს……ეს არავისთვის საიდუმლო არ არის: თითონ ცხოვრება ხმა-მაღლივ ღაღადებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაღებინოთ... გადიკითხეთ ყურადღებით გაზეთებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარედან მოწერილი ამბები და ჰნახავთ...

ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს; წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზე დასო, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდამ გამოეცალა... რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალ-ღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით გასძღოლია.. სად არის

განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკივოდეს და წარმატების გზა უჩვენოს?..

ხალხს მოსავლიანი წელიწადი დაუდგა, ჯაფამ მუქთად არ ჩაუარა. ხალხს ათას-გვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე. ამისათვის ფული უნდა. მოსავალია მთელი მისი სიმდიდრე, ერთად-ერთი წყარო. მოსავალია მისი ფული, მოსავლით უნდა გაუძღვეს ყველა ხარჯს და გადასახადსა. მოსავალი უნდა ფულად აქციოს. მაგრამ როგორ? აღებ-მიცემობისა არა ესმის რა, ანგარიში კარგად ვერ გაუგია, სად რასა აქვს გასავალი, არ იცის... ესეც ერთი უმეცრების ნაყოფი!

სიღარიბე, რიგიანის სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა. ბევრი მათგანი იხოცება და შველას-კი ვერსაიდამა ჰხედავს. ექიმი არა ჰყავს, წამალი არა აქვს. უილაჯობით ხან შემლოცველთან გარბის, ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარს ექიმობას სოფლისას, შელოცვას, ხატებში სიარულს. სოფლელ დედაკაცების წამლობას, ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვთ ხალხისათვის, ვიდრე სარგებლობა. განა ხალხს სიცოცხლე მოსძაგებია, განა სიკვდილი იამება? მაშ რატომ მეცნიერებას არ მიჰმართავს, რატომ თავის ერთს უძვირფასეს საუნჯეს – სიცოცხლეს არ იცავს რიგიანად? აქაც დამნაშავე იგივე უმეცრება, ცრუმორწმუნებაა.

დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუწყობლობის გამო, და სხვა ბევრი ამ-გვარი ნაყოფი უმეცრებისა – ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადებს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას.

ბევრს ჯერ პირველ-დაწყებითის განათლების ნიშანწყალიც არ მოსცხებია. ხალხმა უმეტეს ნაწილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, რომ ხალხმა თავის ავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგას ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალით უყურებს და განს უდგება. ზოგიერთ ადგილას ხალხი პირდაპირ მტრულად ეკიდება სკოლას. მაგალითად, ამ დღეებში ერთი ჩვენი კორესპონდენტი გვწერდა, რომ ილორის საზოგადოება ცდილობს თავის სკოლას ხელი შეუშალოსო.

სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად, და ხალხი კი სდევნის სკოლას, განათლებას. რა მიზეზია? ცხადია, უმეცრება!

აი მოკლედ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ... უმეცრების შედეგი. დასაფიქრებელია ასეთი არა-სანუგეშო სურათი. უმეცრებაა ჩვენის საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, – ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალნი გამოიყვანონ უმეცრებიდამ. უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. ფული არა გვაქვსო, გარშემო შემწეობას არა ვხედავთო და ამიტომ უღონონი ვართ ამ საქმისათვისაო, ეს, რასაკვირველია, შესაწყნარებელი მიზეზია და არა გასამართლებელი. ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეს თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შევაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!..

პედაგოგიის საფუძვლები

თავი პირველი

გაზეთებმა მოგვიტანეს ამას-წინათ ამბავი და ჩვენს „ივერიაშიაც“ თავის დროზე მოვიხსენიეთ, რომ პრუსიაში დედათა სასწავლებლებში შეუნიშნავთ დაქანცვა გონებისა მოსწავლეთა ქალთათვის მეტის-მეტი სწავლებისა გამო. ამის გამო ზოგიერთი ახალი წესი დაუდგენიათ, რომ მოსწავლეთა ქალთა გარჯა და შრომა შემსუბუქებულ ექმნათ. თუ არ მეტი, ესეთივე ქანც-გაწყვეტა სულითა და ხორცითა დიდი ხანია შეჰნიშნეს ევროპაში მოსწავლე ვაჟებსაცა და ამის გამო თითქმის მთელი ლიტერატურა შესდგა, ნამეტნავად გერმანიასა და საფრანგეთში, საცა ამ ამბავმა უფრო ძლიერ თავი იჩინა, – და დაანაღვლა, როგორც იქაური გამგებელნი სწავლა განათლების საქმისანი, აგრეთვე დედ-მამანიცა.

ჩვენა გვგონია მეტი არ იყოს, გამოვარკვიოთ, ჩვენის შეძლებისამებრ, მიზეზნი ამისთანა სამქუხარო ამბისა იმ თხზულებათაგან, რომელთა ავტორნიც მოეკიდნენ ამ საქმეს შესაფერის გულმტკივნეულობითა.

ამ უკანასკნელ ხანებში საპედაგოგიო ლიტერატურაში გახშირდა ხმა-მაღლად ღაღადებდა, რომ ეხლანდელი სკოლის ყოფა მდგომარეობა ევროპაში თავს

არ მოდის და ახალს მოზარდს თაობას სჩაგრავს, რადგანაც ცალ-მხრივია და ცალ-კერძოო. ყველანი ამაზედ თანახმანი არიან, რომ ეხლანდელი სკოლა უფრო იმაზეა მიმართული, რომ რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა აძლიოს მოსწავლეს და ზნე-ხასიათის წვრთნა, სწორება და გამართვა-კი მთლად უყურადღებოდ არის დატოვებულიო. ამ ცალ-კერძოდ სკოლის მომართვის შედეგზე აი რას ამბობს ერთი ავტორი:

„სამწუხარო სურათი წარმოუდგება თვალ-წინ ყველას, ვისაც არ ეშინიან პირდაპირ შეხედოს მართალს და თვალი თვალში გაუყაროს. თითო-ოროლა მაგალითს გარდა, ეხლანდელი ყმაწვილი-კაცი ჯანით მეტად უძლურია, საშინლად ძარღვ-მოშლილი და მოდუნებული, თითქო სნეულიაო. საკმაოა მცირე რამ დაბრკოლება დახვდეს და მაშინვე უღონობისაგან ხელებს ჩამოჰყრის; გულს უხეთქავს, ხალისს უკლავს ყოველი საქმე, რომელიც-კი ცოტად თუ ბევრად მხნედ, მედგრად ხელის მოკიდებას ჰთხოულობს, ხანგრძლივს, დაჟინებულს, გულგაუტეხელს ბეჯითობას და გარჯას. არ არის იგი ჩვეული თავით თვისით ისაზროს, იფიქროს და ამის გამო ადვილად ეძლევა უარყოფას ძველისას და სრულიადაც არა ჰნაღვლობს უარყოფილის სანაცვლოდ ახალი რამ ჩააყენოს. ყოველ ამის გამო ეხლანდელი ყმაწვილ-კაცობა დიდად უბედურია და ძალიან იშვიათად შემძლებელია, რომ გონიერად, ჭკვა-დასმით და სასარგებლოდ თავით თვისით გააკეთოს რამ და იღვაწოს. იგი უღონოა თვითმოქმედებისა და მოღვაწეობისათვის.

„ზოგნი ამათგანი, -ამბობს შემდეგ იგივე ავტორი, -და ეს ზოგნი საკმაოდ ბლომად არიან, ნამეტნავად ცოტაოდნად შემძლებელ ოჯახისანი – მთელს თავის სიცოცხლეს იმას ანდომებენ, რომ პროტექციით ლუკმა პური იშოვნონ და სცხოვრობენ პირუტყვსავით დღე-დღეურად, თითონაც არ იციან, რისთვის არიან და სად მიდიან: სჭამენ, სმენ, თამაშობენ ქაღალდს, ჰტანციობენ, არშიყობენ, ჰმსახურობენ იმდენად, რომ ჯამაგირები იღონ. ეს ჯურა ხალხი მთლად ხელასაღებელი ხალხია, ყოვლად უვარგისი, უხეირო, არარაის მაქნისი. ამათ მკვდარი აქვთ ყოველივე ფანტაზია, ყოველივე აზრი, ყოველივე გრძნობა, ნაძირალ გრძნობის გარდა. ცოდნა, სკოლაში მიღებული, ზოგჯერ საკმაოდ ბევრიცა, ამათთვის მეტი ბარგია და მალე დაებღერტებათ, გაეფანტებათ ხოლმე ცხოვრების გზაზედ.

„სხვანი უფრო ნიჭიერნი – ხელგამომავალნი არიან და ჯერ სკოლაშივე გამოარკვევენ ხოლმე, – რა საქონელსა აქვს გასავალი საზოგადოების ბაზარში ამა-და-ამ-დროს. ამათი ფანტაზია, აღფრთოვანებული ადვილად გამდიდრების ცოცხალ მაგალითებითა, წინ გადუფენს ხოლმე სარჩოიანს გზას ვექილისას, მკურნალისას, ინჟინერისას, არქიტექტორისას, მზითვიან ცოლის, თუ შემძლებელ ქმრის შერთვისას – ერთის სიტყვით, უხატავს იმ გამორკვეულს იდეალს ხერხიან კაცისას, რომელსაც საგნადა აქვს ადვილად გამდიდრება და მერე მაძღარი განცხრომა გაურჯელად და უშრომელად. ამ ჯურის ხალხი ყველაზედ უარესნი, ყველაზედ მავნებელნი მუქთამჭამელნი არიან და მეტის-მეტად საშიშარნი თავის ქვეყნისათვის, რადგანაც ყოველ წუთს მზად არიან მიჰყიდონ იმისი სვე-ბედი იმას, ვინც მეტს მისცემს.“

რა თქმა უნდა, რომ ავტორი აქ ჰლაპარაკობს უფროს-ერთზე, უმრავლესობაზედ. ვინ იტყვის, რომ თითო-ოროლა სასიხარულო მაგალითიც არ იყოს ეხლანდელს ყმაწვილკაცობაში. უამისობა ხომ ქვეყნის უკუქცევა იქნებოდა. ავტორი მარტო უმრავლესობის, უფროს-ერთის უფერულობას, უღონობას გვანიშნებს და ამაში არა გვგონია იგი გაამტყუნოს ვინმემ. იგი ამბობს, რომ:

„ბევრმა ყმაწვილ-კაცმა არ იცის, რა გზას დაადგეს და საით წავიდეს; ამის გამო ყმაწვილი-კაცი სასოწარკვეთილებას ეძლევა, გული უტყდება, აღარაფრისათვის ერჩის. ეს სასოწარკვეთილება და გულის გატეხა ჭკვას უშრობს, გრძნობას უხშობს, უკლავს ყოველს ხალისს მოქმედებისას, რომელსაც მისგან მოელის იმისი სამშობლო და რომლისთვისაც ამ სამშობლოს გაუწევია ღვაწლი იმ იმედით, რომ ჩემის შვილის მოქმედება ოდესმე გამომადგება და ერთი-ორად მაინც მიზღავს ჩემის ღვაწლის სამაგიეროსაო“.

ეს მართლა-და სამწუხარო სურათი ყმაწვილ-კაცობისა ბევრს უდგა თვალწინ, მაგრამ – ერთის მწერალისა არ იყოს – ეს ბევრნი ან არ ჰხედვენ ამას, ან ჰხედვენ და მარტო ჰკიცხვენ და ჰკილვენ თითონ ყმაწვილ-კაცობას. აბეზღებენ საზოგადოების წინაშე, სდევნიან და აბრუს უტეხენ, იმის მაგიერ, რომ გულდასმით ჩაუკვირდნენ თითონ მიზეზს, თითონ სათავეს ამ მართლა-და სამწუხარო და მერმისისათვის საშიშარ მოვლენისას. მეცნიერნი, რომელთაც მართალის გულმტკივნეულობით მიუქცევიათ ყურადღება ამ უნუგეშო სურათისათვის, მიზეზს ჰხედვენ ყოველთ უწინარეს იმ საზოგადო წრის უფერულობასა და უვარგისობაში, საცა ნორჩი სული ბავშვისა პირველ იღვიძებს და მერე ზრდაში შედის. რა საკვირველია, რომ იმ წრეს, საცა ბავშვი პირველ ხანიდამვე ჰტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ. ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიარეა და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ-სახით, არავითარი ეჭვია, რომ თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზედმოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ. ხოლო არის მეორე საგანიც, რომელსაც, თუ არ მეტი, ნაკლები ზემოქმედება არა აქვს ადამიანის ავ-კარგიანად გამოსვლაზედ. ეგ მეორე საგანი სკოლაა. ევროპაში ამ მხრით გამოიძიეს ეს ეხლანდელის სკოლის ყოფა-მდგომარეობა და ერთს დიდს ბრალს იმ სამწუხარო ამბისას, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, თითონ სკოლის ეხლანდელს ყოფა-წყობილებასა სდებენ.

რა-გვარია ეს ბრალი და რამოდენად საბუთიანია – ამას შემდეგს ნომერში ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

თავი მეორე

ჩვენს წინა-წერილში იმაზედ შევწყვიტეთ სიტყვა, თუ, – მეცნიერნი რა გვარს ბრალსა სდებენ ეხლანდელს სკოლას და რამდენად საბუთიანად უკიჟინებენ, რომ თავის დანიშნულებას არ ასრულებსო. ვიდრე ამ ბრალის და საბუთე-

ბის ჩამოთვლას შევუდგებოდეთ, ჯერ პირველად საჭიროა ვიცოდეთ – რა უნდა მოეთხოვებოდეს სკოლას. ამის პასუხად ბევრს გამოუთქვამს აზრი და ყველა ეს აზრი, სხვადასხვაფერად გამოთქმული, ერთს საფუძველზეა აგებული, ერთის სათავიდამ წარმომდინარებს. ეს საფუძველი, ეს სათავე ის არის, რომ სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადამბული უნდა ვიდოდეს სკოლაში.

წურთნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს – სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი – გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე. საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებელობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს. ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია. ეს ყველამ იცის და, გვგონია, ბევრსაც თავის თვალით უნახავს და გამოუცდია. რათ უნდა იყოს კაცი ავი როცა მხოლოდ სწავლულია და არა ზნე-ხასიათ გაწურთნილიცა?

სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფაქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობათა და უხასიათობით არის ავი ზნეუწვრთნელი სწავლული კაცი.

ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწრთვნელი. ხოლო ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედა, და ამიტომაც ჩვენა გვგონია, რომ თუ სკოლას უნდა თავის დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების გახსნილობასაცა ჰშველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და ჰრგებს.

რასაკვირველია, ზნე-ხასიათის წარსამატებლად წურთვნას სკოლაში თავისი საკუთარი გზაცა აქვს, თავისი საკუთარი სახსარიცა. ამ შემთხვევაში დიდად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს გამგეობას სკოლისას საერთოდ და ოსტატს და მოხელეს ცალკე. ამ შემთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულობა, ყოფაქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულობა. ერთს მშვენიერს ამბავს გვიამბობს ერთი მწერალი მასზედ თუ, – წინდახედულად და გონიერად მოქცევა

ოსტატისა რის შემძლებელია ზნე-ხასიათის წურთვნისათვის. თუმცა გრძელია ეს ამბავი, მაგრამ ისე კარგი რამ არის, რომ გვსურს სულ ამოვწეროთ და მით ვასიამოვნოთ ჩვენს მკითხველებსა. აი ის ამბავი: ბავშვისა და რა ადვილად შესაძლოა ბავშვს შთააგონოს კეთილი, თუ გონება-გახსნილი კაცი ხელსა ჰკიდებს საქმეს და სიყვარულით ეძლევა თავის დანიშნულებას, შემდეგი მომხდარი ამბავია. ამ რამდენისამე წლის წინათ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გაათავა უნივერსიტეტი თუ არა, ოსტატის თანამდებობა მიიღო ერთ სასწავლებელში. პირველი გასაკვეთი ერგო საშუალო კლასში, საცა უფრო მოზრდილნი შეგირდები არიან, ესე იგი ბავშვობიდამ ყრმობაში გადამდგარნი. ამ ხანში ყმაწვილები უფრო ცელქები და მოუსვენარნი არიან. დირექტორმა აუწყო ბავშვებს ახალის ოსტატის ვინაობა, თითონ ოსტატმაც ორიოდე ტკბილი სიტყვა უთხრა ყმაწვილებს და დაუყოვნებლივ შეუდგა სწავლების საქმეს. გასაკვეთის ახსნის დროს დასჭირდა კლასის დაფაზედ წერა. როცა წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ზურგშექცეული იქნებოდა და შეგირდებს ვერა ჰხედავდა. ამ დროს დაფას მოხვდა და ზედ დააჯდა დაღეჭილი ქაღალდი, რასაკვირველია, ერთ-ერთის შეგირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არც-კი მოიხედა და განაგრძო წერა, მითამ-და საყურადღებო არა მოხდა-რაო. როცა გაათავა წერა, მოუბრუნდა შეგირდებს და უთხრა: „ყმაწვილებო, დღეს ჩემი პირველი გასაკვეთია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ. სამართალსა ვთხოვ თქვენს პატიოსნებას, თქვენს სინიდისსა. აბა იფიქრეთ, – მას შემდეგ, რა უპატიურებაც მომაყენა ერთმა თქვენგანმა, – რა გამწარებული გრძნობა უნდა გამყვეს მე თან თქვენის კლასიდამ, საცა ჩემს სიცოცხლეში პირველად დავიწყე სწავლება შეგირდებისა. მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში. რა საჭიროა!.. დეე განიკითხოს ის იმისმავე სინდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის გამაუპატიურებელის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი.

იქნება, თქვენის სიყვარულის ღირსი გამოვდგე. ჯერ გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ, დიაღ, ბატონებო, სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოსვლა საპედაგოგიო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო. ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი რომ შევიტყო, – ვინ იცის, მეც კაცი ვარ – იქნება გულში იმისი ჯავრი ჩავიყოლიო და ჯავრმა ცოტად თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს“.

„როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, შეგირდებში ჩუმი ჩოჩქოლი ასტყდა. დაიწყეს აქეთ იქით ჩურჩული, ერთი მეორეს რაღაცას ეუბნებოდა, მეორე მესამეს და ეგრე მთელს კლასს აცნობეს ერთმანეთის გულის-პასუხი. ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოსტატს: „ნება მომეცით მე, მოვითხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ: ყველა ჩემი ამხანაგი გთხოვენ გვაპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანისა“. ოსტატმა სიხარულით მიიღო ბოდიში და გამოუცხადა, რომ სამუდამოდ დავიწყებას მივეცი ეს ამბავი და გულიდამ ამოვიღეო. ამ დღის შემდეგ ამ ახალგაზრდა ოსტატის საქმე ისე კარგად გაიმართა,

რომ უკეთესი არ უნდოდა: ძალიან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა თავის შეგირდებისაგან მთელს ხუთსავე კლასში, რომელშიაც იგი ასწავლიდა."

ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშვის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისა, თუ სხვა რისამე ამისთანისა.

ჩვენ ამ ამბავმა მეტად გაგვიგრძელა წერილი და რაც სათქმელი გვქონდა, იმასაც გადაგვახვევინა. ჩვენა გვგონია, რომ ამით ბევრი არა დაშავდა-რა და თუ დაშავდა, ვეცდებით, შემდეგში დანაშაული ვიპატივოთ.

თავი მესამე

ჩვენ წინა-წერილში ლაპარაკი გვქონდა ზნე-ხასიათის წვრთნაზედ. ხოლო რა არის ეს ზნე-ხასიათის წვრთნა, ეს კი ვერ ავხსენით. ამის ახსნას დიდი გამოძიება უნდა და ჩვენთვის კი ამ-ჟამად საკმარისი იქნება ვსთქვათ, რომ ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანის კაცისა, თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე, წვრთნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა. ამიტომაც ზნე-ხასიათის ერთი უდიდესი, უაღრესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარი წვრთნისა, ზრდისა და განათლებისა.

სხვანი ამაზე ურო შორს მიდიან და, – სწორედ მოგახსენოთ-არც უსაბუთოდ. ეს სხვანი ამბობენ, რომ ზნე-ხასიათის წვრთნა არამც-თუ უდიდესი, არამედ ერთადერთი საგანია სკოლისა, მისი პირველი და უკანასკნელი დანიშნულებააო. სკოლას ამის მეტი სხვა არავითარი საგანი არ უნდა ჰქონდეს და ყოველი ღონე ამას უნდა მიჰმართოს და მოახმაროსო. კაცს თუ ღონე აქვს გამოირკვიოს პატიოსანი საგანი ცხოვრებისა და, ვითარცა გამორკვეულის საგნის კაცი, ქვეყანაში იყოს ერთი რამ კეთილი თავით თვისით, მისი სულიერი ვინაობა სასურველად დადგენილია და გამართული. აი სწორედ ეს ღონე და ხერხი გამორკვევისა, პატიოსანი წყურვილი და ხერხი ქვეყანაში ერთ რამედ ყოფნისა უნდა კაცს შესძინოს სკოლამ. ამისათვის უნდა იწრთვნებოდეს კაცი სკოლაში. უამისოდ იგი არაფრის მაქნისია, რაც უნდა ბევრი სწავლა და ცოდნა ჰქონდეს, იმიტომ რომ უამისოდ იმისი სწავლა-ცოდნა უქმი საუნჯეა და თითონ კაცი დაკეტილი ზანდუკია უქმად მდებარე საუნჯისა.

ამიტომაც თითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წვრთნას, ამ ერთადერთს საგანს თვისას, გაუძღვეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მარტო იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოსო, ამაო და ბოლო-მოუბმელი წადილია სკოლისა.

დღეს ყველასაგან ცხადად დანახულია, რომ ვერც ერთი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, იმოდენა სავსებით ცოდნას ვერ იძლევა, რომ კაცი მართლა მეც-

ნიერი და სწავლული იყოს, ამ სწავლა-ცოდნაზე შეყენებული და გაჩერებული. ეს ამბავი მით უფრო საბუთად სახმარია, რომ ეხლანდელი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, მარტო სწავლა-ცოდნის შეძენაზეა მიმართული და აგებული და სხვა არაფრისათვის არ აცლის არც მასწავლებელს, არც მოსწავლესა.

თუმცა ასეა, მაგრამ ჩვენ არც ერთი კაცი არ გვახსოვს, რომ უნივერსიტეტიდამ, თუ სხვა სკოლიდამ გამოსვლის უმალ თავი ეჩინოს მეცნიერებასა და სწავლა-ცოდნაში. ვისაც თავი უჩენია, იმას სკოლის, უნივერსიტეტის შემდეგ უშრომია და ეს შრომა იმით ჰქონია გაადვილებული, რომ სკოლას, უნივერსიტეტს, — ჰქონია ფიქრად, თუ არ ჰქონია, — მაინც ასე თუ ისე უცნობებია, უსწავლებია, სად და როგორ გაიგნოს სწავლა-ცოდნის, მეცნიერების გზა. ამ სახით, თუმცა ეხლანდელს სკოლას განსაკუთრებულ საგნად სწავლა-ცოდნის შეძენა აქვს, მაგრამ ამ საგანს ამაოდ ებღაუჭება და ვერა გზით ვერა სწვდება. ვიმეორებთ, თუ დღეს მეცნიერნი და სწავლულნი არიან, მარტო იმით, რომ სკოლისა და უნივერსიტეტის შემდეგ თითონ თავით თვისით შეუძენიათ სწავლა და ცოდნა.

მაშასადამე, სკოლამ ისე უნდა ამზადოს და სწურთვნოს, რომ კაცს ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს ერთ რადმე ყოფნისა ქვეყნის სასარგებლოდ; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, პატიოსანი რამ საგანი ცხოვრებისა იქონიოს; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, ყოველ ამისათვის მოიპოვოს შესაფერისი სწავლა-ცოდნა. ეგრე მოწყურებული, გაღონიერებული და ხერხიანი კაცი არავითარს სიძნელეს საქმისას არ შეუშინდება, არ შეუდრკება და ზნე-ხასიათობაც ეს არის.

ეხლანდელი სკოლა კი სულ სხვა საგანს მისდევს და ეს ზნე-ხასიათის წვრთნა თავმინებებულია. ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის, ამიტომაც არც კაცად ღა ვარგობენ ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ. ამიტომაც სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე-და-დღე ეკარგებათ, როგორც მეტი რამ.

„ესეთი ყოფა და მიმართულება ეხლანდელის სკოლისა, — ამბობს ერთი მეცნიერნი: — ერთი უსაშინელესი და უდიდესი ცდომაა ადამიანის ყოველ სხვათა ცდომათა შორის. ყმაწვილის ნორჩს გონებას ვტვირთავთ, საბარგულედა ვხდით რიცხვით აუარებელ და მრავალფერ ცოდნისათვის, იმისდა გამოურკვევლად თუ, — რა აზრით ვშვრებით ამასა. იმის მაგიერ რომ ბუნებისამებრ ვზარდოთ, ვწურთნოთ სული, ჩვენ მარტო იმასა ვსცდილობთ, რომ ბავშვს გავუგეშოთ მხოლოდ ნიჭი გონებისა და ხსოვნა ციფირებისა, სახელებისა, წელიწადებისა, სამათემატიკო ფიგურებისა, საგრამატიკო ფორმებისა. ამას ჩვენ ისეთის ახირებითა ვსცდილობთ, იმოდენად რიცხვით ბევრს და დიდის საწყაოთი ვუწყავთ, რომ ბავშვი მთლად იქანცება ხორცით, აღარა აქვს დრო თავის ბუნებურ თვისების თავის თავად გახსნისა და წარმატებისათვის, არც იმისათვის, რომ ამ აუარებელ სასწავ-

ლებელ საგნებ შორის გამოარკვიოს, გაიგნოს რამ. შესვენებისათვისაც-კი აღარა რჩება დრო თავისუფლად მიეცეს ფიქრსა უიმისოდ, რომ ზედ არ დასცქეროდეს დაუძინებელი, გულის ასარევამდე მოძულებული ოსტატი ანუ ზედამხედველი“.

„ასწავლიან გრამატიკას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, – ამბობს სხვა მწერალი: – და უმთავრესს აზრს, უმთავრესს საგანს სკოლისას კი ივიწყებენ, სახელდობრ იმას, რომ სკოლამ უნდა უშველოს, ღონე მისცეს შეგირდის ზნე-ხასიათს თავის-თავობა იჩინოს და გაიწურთვნოს წარსამატებლად და განსავითარებლად“.

„თუ ამ გზით არა ჰშველის სკოლა შეგირდსაო, – ამბობს იგივე: – მაშინ აღარც იდეალია, აღარც ღონეა თავდამჭერი ავში და წამახალისებელი კარგში და საკუთრივ ამაებისაგან კი დაიწვნის ხოლმე უკეთესნი თვისებანი ადამიანის ზნე-ხასიათისანი, სახელდობრ: კაცთმოყვარეობა და სამართლიანობაო“.

მართალიც არის. კაცურის კაცობის თავი-და-თავი ღირსება ეს ორი გრძნობაა: თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თვითოეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის-მომქმედიც იქნები რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. შეძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი, – სხვას ამის მეტს არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა, და სკოლამ სწორედ ამისთანა შვილი უნდა გაუზარდოს ქვეყანას, ამისათვის გაუხსნას გონება, ამისათვის გაუღოს გული.

ეს ამისთანა აზრი სკოლის მოვალეობაზედ ახალი ამბავი არ არის. ამის სათავეს საშუალო საუკუნოებში ვპოულობთ და მაშინდელ დიდ ბუნებოვან კაცებს არა-ერთხელ წარმოუთქვამთ, თუ რა ახირებულია კაცობრიობა ყოველ იმაში, რაც ერთხელ დაუჩემებია, ამას გვიმტკიცებს ამ აზრის ისტორია: აბა, ამ ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში გაღვიძებულს აზრს ამ მეცხრამეტე საუკუნეშიაც თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაუჭერია.

შემდეგს ნომერში ამ ისტორიას ვუამბობთ ჩვენს მკითხველებსა.

თავი მეოთხე

მოკლედ რომ მოვსჭრათ, რაც გრძლადა ვსთქვით ეხლანდელს სკოლაზედ, გამოვა, რომ დღევანდელს სკოლას სახეში აქვს მარტო ჭკვა-გონების წარმატება და გაძლიერება, თუმცა ბევრს შემთხვევაში საქმე ისე მიჰყავს, რომ ვერც ერთსა სწვდება და ვერც მეორეს. ეხლანდელი სწავლა-ცოდნა სკოლისა თუმცა ჰშველის კაცს გონების თვალით დაანახვოს და გონებისავე ყურით გააგებინოს, რაც კაცის გარშემო არსებობს და თავს იჩენს, მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არა ჰმოქმედობს. ამიტომაც დღევანდელს დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვდეთ, – კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულე-

ბით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრნი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა.

ამას ნათლად გვიხატავს მეცნიერი ვესსიო. რომელიც ამბობს:

„ბერძნებსა და რომაელებს ფილოსოფოსი ასწავლიდა, – ასე ვსთქვათ – ქუჩაში, ყველგან ეჩვენებოდა მთელის თავის შეგირდების კრებულითა, ცხოვრებას ცხოვრებაშივე აკვირდებოდა, უხსნიდა და განუმარტავდა მისთა მოვლენათა, ესაუბრებოდა და ეკამათებოდა ხალხსა, ერთის სიტყვით, საზოგადო, საყოველთავო მოღვაწე იყო. ეხლა ფილოსოფოსი განსაკუთრებულად მწიგნობარი კაცია, უფრო ხშირად მეთეორიეა. ჩვენ იშვიათად შეგვხვდება ხოლმე მოსმენა მისის ცოცხალის სიტყვისა, უფრო იშვიათი შემთხვევაა მისი საუბარი ჩვენთან. უფროსერთი მარტო იმათს თხზულებას ჰკითხულობს, ისიც მაშინ, თუ ფილოსოფოსმა გვაღირსა და საქვეყნოდ გამოამჟღავნა თავისი სისტემა. ძველთა ფილოსოფოსთა მიმდევარი შესაძლო იყო გეცნათ მისის ცხოვრებისაგან, იმიტომ რომ სტოიკად, თუ სოფისტად ყოფნა ჰნიშნავდა, რომ ცხოვრებითაც სტოიკია, ანუ სოფისტი. ეხლანდელს დროში-კი არამც-თუ მე, ან თქვენ გამოვიცნობთ, რომ ჩვენი ნაცნობი პოზიტივისტია, არამედ შესაძლოა თითონ ორმა პოზიტივისტმა, რაც უნდა ხშირად ინახულონ ერთმანეთი, ერთმანეთსვე ვერ გაუგონ, რომ ერთისა და იმავე ფილოსოფიურ სისტემის მიმდევარნი არიან. ეხლანდელს ფილოსოფიას აქვს საქმე მარტო ჭკვა-გონებასთან და ცხოვრების მოვლენათა გაგებასთან ადამიანის მიერ, არც ადამიანის საქციელზედ-ღა მოქმედობს, არც არკვევს და წინ უძღვის ადამიანის თვითმოღვაწეობას.“

ამ-სახით, ჯერ ძველ დროშივე სცოდნიათ, რომ სწავლა-ცოდნა სკოლაში ზნე-ხასიათის საწურთველ ღონედ უნდა იხმარებოდეს და არა იქმნას მარტო თავის-თავად სანუგბარი რამ, თავის-თავად სანატრელი. ამ აზრმა ძველის დროისამ უფრო მეტის გარკვევით, უფრო მეტის სიცხადით თავი გამოიჩინა საშუალო საუკუნოებში, საკუთრივ მაშინ, როცა ეგრეთწოდებულს სქოლასტიკას საძირკველი შეერყა და მოძღვრება „ჰუმანობისა“ წამოდგა ფეხზედ. ეს ხანა ისტორიისა გამოჩენილია მით, რომ ადამიანის ჭკვა-გონება დიდად გაძლიერდა, მრავალი რამ შეიგნო და ისწავლა ბერძნებისა და რომაელების მწერალთა ნაწერებისაგან და მრავალი რამ აღმოაჩინა. ყველაზედ უდიდესი აღმონაჩენი ამ დროისა, – მიშლესი არ იყოს, – ადამიანია, ესე იგი, ამ საუკუნემ ახალის თვალით მიახედა კაცობრიობა ადამიანის ღირსებაზედ და იმის არსებობის საგანზედა.

„ჰუმანობის მოძღვრება იმაში მდგომარეობსო, – ამბობს ერთი მწერალი: – რომ ადამიანი შეჰხაროდეს ცხოვრებას, ელინებრ სიხარულის თვალით უყურებდეს; იმაში მდგომარეობს, რომ კაცის ადამიანური ღირსება ღრმად პატივცემულ იყოს და არა-ნაკლებ ღრმადვე ჩანერგული რწმენა გვქონდეს, რომ ყოველი ღონე და ნიჭი ადამიანის ბუნებისა აუცილებლად საჭიროა განვითარებულ და წარმატებულ იქმნას ერთიანად და გამოუკლებლივ.“

ეს პატივისცემა ადამიანის ღირსებისა დაიწერა თავის დროშაზედ ჰუმანობის მოძღვრებამ და ეს მოძღვრება გარკვევით გამოსთქვა მაშინ ერთმა იტალიელმა ჰუმანისტმა პიკოდელა-მირანდოლამ, 1486 წელსა. ამ პიკოს სიტყვით, – აი რას უბრძანებს ღმერთი პირველს კაცს ადამსა:

„მე შენთვის, ადამო, არავითარი სამუდამო ბინა და სადგური არ მომიცია, არავითარი სამუდამო და უცვალებელი საქმე არ ამიჩენია. ეს იმისთვის, რომ საცა შენ გიამოს, იქ იცხოვრო, რაც გინდოდეს, ის საქმე აიჩინო. მე შენ არც სასიკვდილოდ გამიჩენიხარ, არც უკვდავად დამინიშვნიხარ. ეს იმისათვის, რომ შენ თითონ იყო შენის თავის მკეთებელი და ისეთი სახე მიიღო, როგორიც შენ თითონა გსურს: შენ შეგიძლიან პირუტყვამდინაც ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზამდინაც ზე ახვიდე.“

კაცმა რომ ჩაიხედოს ამ სტრიქონებში და ამასთან უნარიცა ჰქონდეს, გამოსარკვევი გამოარკვიოს და დასანახავი დაინახოს, ჩვენთან ერთად იტყვის, რომ ამაზედ მარტივად და ამაზედ ნათლად ძნელია კაცმა გამოსთქვას-ღა, როგორც ადამიანის არსებობის საგანი, ისეც ადამიანის ღირსება.

ჯერ ეს პიკოს სიტყვა არ იყო თქმული, როცა იტალიაში დაიძრა აზრი, რომ სკოლა აგებულ იქმნას ჰუმანობის მოძღვრების მიხედვითა. ამისი პირველი მესვეური იყო პადუელი ჰუმანისტი ვიტტორინო დე-ფელტრე, რომელიც ახალის პედაგოგიის მამად ითვლება დღესაც.

ამისი ამბავი და სხვაც დანარჩენი შემდეგისათვის გადიდვას.

თავი მეხუთე

ვიტტორინო დე-ფელტრე, რომელიც, – როგორც წინათა ვსთქვით, – პედაგოგიის მამად ითვლება, ერთის ღარიბის ოჯახის შვილი იყო ვენეტიკის სამფლობელოში და დაიბადა 1378 წელსა. იმის ყრმობის დროს ერთი აქა-იქ მოარული ოსტატი იყო რიტორიკისა და ლათინურის ენისა, მეტად სახელგანთქმული. ეს იყო ჯიობანნი დერავენნა. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება ვიტტორინომ ამისაგან მიიღო. მერე პადუის უნივერსიტეტში გადავიდა და საოცარი წყურვილი ჰქონდა მათემატიკა ესწავლა, ხოლო გროში არა ჰქონდა ფული ეძლია მათემატიკის ერთად-ერთ მასწავლებელისათვის პადუაში, ბიაჯიო პელაკანისათვის, აიღო და მოსამსახურედ დაუდგა და მოსამსახურობით გასამრჯელოს უხდიდა თავის ოსტატსა.

მალე შეატყო ვიტტორინომ, რომ ბიაჯიო ვერაფერი ოსტატია და ამისაგან ვერას გამორჩება. დიდის ნიჭის პატრონი და ამასთან ცოტაოდენ სწავლა-განათლებით გზა-კვალ-გახსნილიც, ვიტტორინო განშორდა ოსტატს და თითონ მარტოკა შეუდგა საყვარელის მეცნიერების სწავლასა. მალე ისე გაიმართა და ისე ისწავლა, რომ თვითვე შეეძლო ესწავლებინა მათემატიკა სხვისათვის. 1414 წელს ვიტტორინომ ვენეტიკაში ოსტატობა დაიწყო: აიყვანა რამდენისამე დიდკაცის შვილი სასწავლებლად ფულით და ღარიბებს-კი მუქთად ასწავლიდა. 1418 წ. რიტორიკის

პროფესორადაც შეიქმნა. ამ პროფესორობაში ისე გაითქვა სახელი, რომ მანტუის ჰერცოგმა ჯიან ფრანჩესკო ჰონზაგომ მიიწვია თავის შვილების აღმზრდელად. ჰერცოგმა მშვენიერი სადგური მისცა ტბის პირას, ქალაქზედ მოშორებით, და 1425 წ. ვიტტორინო აქ დაბინავდა ჰერცოგის შვილებითა და მათის ტოლამხანაგებითა დიდკაცთა შვილთაგან. თუმცა ეს სკოლა მარტო ჰერცოგის და მის დარბაისელთა შვილთათვის დანიშნული იყო, მაგრამ ვიტტორინომ ეს არ შეიწყნარა და იგი მანტუის სკოლა საყოველთაო სკოლად გადაიქცა. ამ-სახით, სკოლის კარი გაიღო ყველა წოდების შვილთათვის, როგორც მდიდართა, ისეც ღარიბთათვის. ხოლო ღარიბთათვის სკოლის მახლობლად გაჰმართა ცალკე სადგური, საცა იგი აჭმევდა, ასმევდა, აცმევდა და აძლევდა ყოველისფერს, რაც სკოლაში სახმარად საჭირო იყო.

ჩვენ ეს მანტუის სკოლის მოკლე ისტორია იმიტომ მოვიხსენიეთ აქ, რომ იგი ერთი უძველესი საშუალო სასწავლებელი იყო ევროპაში, რომელმაც ყველაზედ უწინ საფუძვლად და სათავედ დაიდო ახალი მოძღვრება ჰუმანურობისა, ვიტტორინოს მეთაურობითა. ვიტტორინოს იდეალად, ანუ მაგალითად, ჰქონდა ათინური „გიმნასიი“, საცა ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჭკვა-გონების განვითარებასა და გაძლიერებაზედ, ისეც ძვალ-ხორცჯანის გამაგრებასა და გაღონიერებაზედ. ხოლო მისაღწევი საგანი კი ვიტტორინოს სკოლისა ზნე-ხასიათის გაწვრთნა, დამთავრება და დადგენა იყო. ამიტომაც სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზედ ვარჯიშობა ერთი-ერთმანეთს რიგ-რიგად მოსდევდა. ყოველ დღეს, დანიშნულს საათს, რაც გინდ ტაროსი ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ სრბოლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში, ზოგჯერ ნადირობის და თევზაობის ნებასაც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანხლებით ყმაწვილებს სამგზავროდ ისტუმრებდა კარგა შორს, ზოგჯერ ალპიის მთებშიაც.

თუმცა სწავლების სახსრად ძველი ენები იყო, ბერძნული და ლათინური, რომელთაც თითონ ვიტტორინო ასწავლიდა უფროსს კლასებში, მაგრამ მარტო იმისთანა კლასსიკებს აკითხებდა, რომელთაც შეეძლოთ ემოქმედნათ ყმაწვილების ზნე-ხასიათის გაწვრთნასა და გამართვაზედ. ამ კლასსიკების სწავლებასთან ერთად მხარ-და-მხარ ასწავლიდა მათემატიკას, რომელიც ვიტტორინოს მიაჩნდა გონებისათვის უკეთესს სავარჯიშოდ.

ვიტტორინო სულითა და გულით მიეცა თავის სკოლას და ყმაწვილებს ისე ექცეოდა, როგორც მამა შვილებსა. სკოლას შესწირა თავისი საკუთარი ბედნიერება: არ მოეკიდა არც ოჯახს, არც ცოლ-შვილიანობას. როცა მეგობრებმა ურჩიეს, ცოლი შეირთე და შენისთანა შვილები დაუტოვე შენს ქვეყანასაო, იმან უპასუხა, რომ უმაგისოდაც საკმაო შვილები მყვანან სკოლაშიო.

მაგრად იდგა რა პლატონ ფილოსოფოსის თქმულზედ, რომ თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდესო უტყეპ-უცემლად, ვიტტორინო უძღვებოდა თავის შეგირდების წვრთნას მაგალითითა და ჩაგონებითა და მარტო ძალიან იშვიათს შემთხვევაში ჰხმარობდა ხორცთა სასჯელსა. როცა ამ გზით საქმის

სვლამ დაანახვა, რომ საქმე კარგად მიდის, მან სამუდამოდ და უკუ-დაუბრუნებლად განაძევა თავის სკოლიდამ ხორცთა სასჯელი. სკოლის რიგი და წესი მარტო თავის-თავის ზნეობურს გავლენაზედ დაამყარა ამ საკვირველმა კაცმა, რომელზედაც მისი თანამედროვე ამბობს, რომ იგი იყო ზეგარდმო ღვთაებურის მადლით ცხებული მხიარულად და ხალისიანად მიდიოდა სკოლის საქმე, ასე რომ თითონ სკოლას „მხიარული სახლი“ დაერქვა სახელად.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვიტტორინოს სკოლა უნაკლულო იყო. ბევრი რამ აკლდა და ვრცლად რომ აგვეწერა, იქნება დაგვენახა ზოგი რამ მეტიც, ხოლო ჩვენ თუ ეს ამბავი მოგვყავს, მარტო იმისათვის, რომ ვიტტორინოს აზრი, მაშინდელის სკოლის საფუძვლად დადებული, მხოლოდ დასაწყისია, ფეხის ადგმაა ახალის საპედაგოგიო თეორიისა, მაშასადამე, ვიტტორინოს მოქმედებას სასკოლო სარბიელზედ ისე უნდა ვუყუროთ, როგორც დვრიტას, რომელიც მერე და მერე გაღვივდა, როგორც კვირტს, რომელიც მერე და მერე გაიშალა და გადაიხსნა სხვათა მეცნიერთა შემწეობითა.

თავი მეექვსე

„ივერიის“ №92-96 მეთაურების საგნად ავიღეთ ეხლანდელის სკოლის ვითარება საზოგადოდ და ვსთქვით, რომ ერთი უდიდესი ნაკლულოვანება ის არის, რომ ეხლანდელს სკოლას აზრადა აქვს, რაც შეიძლება ბევრი სწავლა-ცოდნა შესძინოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წურთვნას-კი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ამ სწავლა-ცოდნასაც ისეთის დიდის საწყაოთი იძლევა, რომ მოსწავლე ძლივძლიობით ასდის, სულით და ხორცით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერ ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯანგალეული კაცი გამოდის სკოლიდამ. ამ-სახით, ეხლანდელი სკოლა მიმართულია მარტო გონების აღტაცებაზედ და სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისას არამც-თუ ჰშველის, არამედ სჩაგრავს და ჰხუთავს.

ეს შეჰნიშნეს მეცნიერთა და კაცთმოყვარეობით გამსჭვალულებმა ამ დიდის შეცდომის გასწორება მოისურვეს. დედააზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი უნდა იწურთნებოდეს სკოლაში ყოველ მხრივ: გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს. ეს დედა-აზრი, რომელსაც ეხლანდელი მეცნიერნი ჰლამობენ დაუდვან სკოლას, ახალი ამბავი არ არის. მაგ დედა-აზრის სათავე ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნოებში მოიპოვება, სახელდობრ, ეგრეთ-წოდებულ „განახლების ეპოქაში“, როცა თავი იჩინა ჰუმანობის მოძღვრებამა. პირველი კაცი, რომელმაც ჰუმანობის მოძღვრებაზე ააგო სკოლა, იყო იტალიელი ვიტტორინო დე-ფელტრე. ამ კაცის მოკლე ისტორია და იმისი საპედაგოგიო საფუძველი უკვე მოვახსენეთ მკითხველს „ივერიის“ №96-ში.

ეს მამამთავარი პედაგოგიისა ისე აღსრულდა, რომ ერთი სტრიქონიც არ დაუწერია ახალ პედაგოგიის შესახებ. იგი მარტო საქმით მოქმედობდა და ამბობდა,

რომ კარგად მოქმედება სჯობს კარგად წერასაო. ხოლო იმისი საქმით მოძღვრება უნაყოფოდ არ დარჩა. იმის დროს სცხოვრობდა ორი სხვა მეცნიერი, პადუის პროფესორი პაოლო ვერჟერიო და რომის პედაგოგი მატტეო ვეჯიო. ვიტტორინოსაგან საქმით მოძღვრებულნი საფუძველნი ახალის პედაგოგიისა ამათ სამეცნიერო წესსა და რიგში ჩააგდეს და თვითეულმა მათგანმა საკმაოდ გამოჩენილი თხზულება დასწერა. ამ-სახით, ეს ორი კაცი შეიქმნა მეცნიერულად დამფუძნებელი ახალის პედაგოგიისა. ამათი ნაშრომი იმითია გამოჩენილი, რომ თვალსაჩინოდ, თვალნათლად გამოთქმულია დედა-აზრნი ახალის საპედაგოგიო სისტემისა, წარმომდგარნი ჰუმანობის მოძღვრებისაგან.

ვერჟერიო თავის თხზულებაში სკოლის საფუძვლად სდებდა ამ ოთხს დედა-აზრსა: ა) საგანი აღზრდისა ის არის, რომ თავის რიგსა და წესზედ წარმატებულ იქმნას ყოველნი ძალნი და ნიჭნი ადამიანისა, როგორც გონებითნი, ისე ზნეობითნი, როგორც სულიერნი, ისე ხორციელნი. ბ) სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას არა მარტო ასაკი და წლოვანება მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი. გ) რადგანაც ბავშვის ცოცხალსა, მკვირცხლსა და ადვილად ამბობდა. ამიტომაც ყველაზედ უკეთესი ღონე ის არის, რომ მოწაფეს წინ გადუშალოს ოსტატმა ცხოვრება დიდ-ბუნებოვანთა კაცთა, რომელნიც ასე ბევრნი მოიპოვებიან ძველს დროში. დ) სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალ მეცნიერებათა შესწავლაზედ. ამ მეცნიერებათა სათავეში სდგას ფილოსოფია, რომელიც ადამიანის გონებითად თავისუფალ ჰხდის. მას მოსდევს მეცნიერება მჭერმეტყველებისა, რომელიც ასწავლის კაცს აზრის ნათლადა და ლამაზად გამოთქმას. მერე მოდის ბუნებისმეტყველება, რომელიც გვაგებინებს ჰარმონიას ყოველ მისას, რაც არსებობს, და ბოლოს ისტორია, რომელიც მოგვითხრობს სვლას და განვითარებას მეცნიერებისას და მრავალს სასარგებლო მაგალითს თვალწინ გვიყენებს.

როცა ვერჟერიო ამაებზედ ლაპარაკობს, ბევრს ეხლანდელ დროისათვისაც სასურველს აზრსა და ჭეშმარიტებას ამბობს. მაგალითებრ, იგი ამბობს, რომ ჭკუაგონება მოწაფისა უფრო წარმატებაში შედის მაშინ, როცა ერთს რომელსამე თხზულებას საფუძვლიანად ისწავლის, ვიდრე მაშინ, როცა ხელ-და-ხელ და გაკვრით გადააბულბულებს მრავალსაო. გადამეტებული ცოდნა წვრილმანებისა მეტის მეტად ამძიმებს მოწაფის გონებასა, ჰქანცავს და ჰღალავს ყმაწვილსა იქამდე, რომ ბოლოს და ბოლოს სამუდამოდ აუძლურებს და ასუსტებს. როგორც უწესურობა, ისე მეტის-მეტი მკაცრი წესიერება (დისციპლინა) სკოლაში ერთნაირად მავნებელიაო. პირველ შემთხვევაში სული და გული, ერთობ ბუნება და გუნება მოწაფისა აღვირაშვებულია, გაქსუებულია, მოწაფეს ეკარგება ღონე თავდაჭერისა და უნარი, ხალისი გარჯისა და შრომისაო; მეორე შემთხვევაში გატანჯული და დაშინებული მოწაფე ყოველს მხნეობასა ჰკარგავს, ნიჭი თაოსნობისა და თვითმოქმედობისა უკვდება, იმიტომ რომ ვისაც ყველაფრისა ეშინიან, ის უღონოა რაიმე საქმეს შეუდგეს თავისითაო.

უფრო მეტის საბუთიანობით და სისტემით გამოჩენილია მეორე მეცნიერის ვეჯიოს თხზულებაო, ამბობს ავტორი, რომლის თხზულებიდამაც ამოვკრიბეთ ჩვენ როგორც ეს ცნობანი, ისეც წინანდელნი. ეს მისი თხზულება ახალი პედაგოგია არისო, – ამბობს იგი ავტორი, – და ბავშვის აღზრდას დაბადების დღიდანვე თანა სდევსო. ვეჯიო მთელის თავის ძალღონით ეწინააღმდეგება იმ ჩვეულებას, რომ შვილებს ძიძას აზრდევინებენ და ცხარედ იღვწის, რომ დედამ თითონ აწოვოს შვილსა. წესიერად და მართალის გზით განვითარება და წარმატება სულისა და ხორცისა, ჩანერგვა ბავშვის გულში კარგის მაგალითების შემწეობით კეთილ-მომქმედის ზნისა და ხასიათისა უნდა იყოს, ვეჯიოს აზრით, ერთად-ერთი საგანი აღზრდისა. ვეჯიოც, როგორც ვერჟერიო, იმ აზრზეც სდგას, რომ აღზრდაში სახეში უნდა იქონიონ არამც-თუ მარტო ასაკი მოწაფისა, არამედ მისნი განსაკუთრებულნი ზნენი და თვისებანი, ხოლო ვეჯიო ამ საგანზედ უფრო ვრცლად ლაპარაკობს. იგი ამბობს, რომ სხვადასხვაა ბუნება სხვადასხვა ბავშვისაო. ეს სხვადასხვაობა ბავშვთა ბუნებისა იმოდენად ძლიერია, რომ უფრო ადვილია მზეს შეაცვლევინოს გზა, ვიდრე დაბადებით თანდაყოლილნი მიდრეკილებანი ბავშვისა შეიცვალოსო. ამ სხვადასხვაობას უნდა შეეფეროს სხვადასხვა ღონისძიებაც აღზრდისაო. მკვირცხლს და თამამს ბავშვს სხვარიგად უნდა მოექცნენ, ვიდრე კდემარეს, მორცხვსა და აზიზს ყმაწვილსაო. ესევე უნდა იქონიონ სახეში ჭკუა-გონების აღზრდაშიაცაო.

ამიტომაც ვეჯიო დედ-მამებს არ ურჩევს, შვილები იმისთანა სკოლაში აძლიონ, საცა ბევრი ყმაწვილები არიან, იმიტომ რომ თვით უკეთესი ოსტატიც-კი ამ შემთხვევაში უღონო იქნება თვითოეულს ბავშვს ცალკე ადევნოს თვალი და თვითოეულის განსაკუთრებულს ბუნებას და გონებას ცალკე შეურჩიოს გზა გონების გახსნისა და ზნე-ხასიათის წურთვნისა.

აი ეს სამნი – ვიტტორინო, ვერჟერიო და ვეჯიო, არიან პირველნი მესვეურნი ახალის პედაგოგიისა და ამ სახით, იგი დედა-აზრნი, რომელნიც დღეს გაღვიძებულნი არიან მეცნიერთაგან, მომდინარეობენ ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნიდამ. განსხვავება მარტო იმაშია, რომ ეხლა ეგ აზრნი უფრო მეტის სავსებით, მეტის გარკვევით, მეტის მეცნიერებით და გამოცდილებით შემუშავებულნი, განვითარებულნი არიან და დასაბუთებულნიცა.

თავი მეშვიდე

ვიტტორინომ, ვერჟერიომ და ვეჯიომ, ამ, როგორცა ვსთქვით, სამმა მესვეურმა ახალის პედაგოგიისამ, გზა გაუხსნა პედაგოგიასა და მათმა თეორიამ ახალის მოძღვრებისამ დიდი ზემოქმედება იქონია შემდგომებზედ. სახელოვანი დეზიდერი ერაზმი როტტერდამელი, რომელიც დაიბადა 1467 წელსა და გარდაიცვალა 1536 წელს, ერთი იმათგანი იყო, რომელთაც ბოლოს და-ბოლოს სრულად დაჰფუშეს ძველი სქოლასტიკური სისტემა სკოლისა და ახალი საფუძველი დაუდვეს, ჰუმანობის მოძღვრებაზედ აგებული. საპედაგოგიო აზრნი ერაზმისა

იმითი არიან განსაკუთრებით შესანიშნავი, რომ ერაზმი აღმატებულის სასოებით თაყვანსა სცემს ბავშვსა და ამ სასოებისაგან შეპყრობილი იძლევა სარჩიელს ბავშვის წურთვნისას და აღზრდისას. ბავშვიო, ამბობს იგი, წმინდა ტაძარია სულის-წმინდისა და სიფრთხილითა და სიყვარულით უნდა მოექცნენო. იგი არ ეთანხმება ვეჯიოს, რომელიც ბავშვის ბუნებურს მიდრეკილებას მეტის-მეტს მნიშვნელობას აძლევდა, ერაზმი, პირიქით, ამტკიცებს, რომ აღზრდას და წურთვნას შეუძლიან სრულად გარდაჰქმნას ბავშვიო. საქმე იმაშიაო, რომ ამ აღზრდამა და წურთვნამ ბავშვი ჩაიგდოს ხელში პირველ ხანშივე, ნორჩობაშივე და ყოველს მის ფეხის გადადგმას უწინამძღვროსო.

ერაზმის აზრით, ბავშმა შემდეგი კიბე უნდა აიაროს აღზრდისა და წურთვნის დროსაო: ჯერ პირველად ყმაწვილის ნორჩს და მალე შემთვისებელს გულში უნდა ჩანერგილ იქმნას ფესვი სათნოებისა, სიყვარული შემოქმედისა და რწმენა მისი, რომ ღვთისათვის საცნაურია არამც-თუ საქმენი ადამიანისა, არამედ გულის ზრახვანიცა. როცა ამ გზით სული და გული მოწაფისა საკმაოდ მომზადებული იქნება, მაშინ მეცნიერების სწავლებასაც უნდა შეუდგნენ და ბოლოს ხომ უნდა განუვითარონ გრძნობა მოვალეობისა და ასწავლონ, როგორ უნდა მოექცეს და მოეპყრას თავის მსგავს ადამიანსაო. ყმაწვილის სწავლება უნდა დაიწყონ, ერაზმის აზრით, შვიდ, ანუ რვა წლიდამ, იმისდა მიხედვით, თუ სულით და ხორცით რა ღონისაა ყმაწვილი, რადგანაც ამ ხანში ბავშვს გართობა და თამაშობა უყვარს, ამიტომ საჭიროა სწავლა და წურთვნა ისე მოეწყოსო, რომ ბავშვმა სწავლება წვალებად არ მიიჩნიოსო. იმაზედ უარესი არა არის-რა, რომ ბავშვმა მოიძულოს სწავლა-ცოდნა, ვიდრე შეიგნებდეს ერთისა და მეორის სიკეთესაო.

ერაზმი ოსტატისაგან ბევრს რასმე ჰთხოულობს. თუ ოსტატს ჰსურსო, რომ საქმე ემარჯვოს და კეთილად იმოქმედოს ბავშზედა, აუარებელი ცოდნა უნდა ჰქონდესო, ოსტატმა თითქმის ყველაფერი უნდა ზედმიწევნით იცოდესო. „თქვენ მეტყვითო, ამბობს ერაზმი, რომ მე დიდს ტვირთსა ვსდებ ოსტატსაო. მართალია ეგ, მაგრამ ერთს რომ დიდს ტვირთსა ვკიდებ, ამით სხვა მრავალს ვუსუბუქებ ტვირთსაო. მე მსურსო, რომ ოსტატს გავლილი ჰქონდეს მთელი სივრცე კაცთა მეცნიერებისა, იმიტომ რომ მოწაფეებს აღარ დასჭირდეს თითონ ჰქმნან ეგევეო“. ხოლო ესეც საკმაო არ არის, ერაზმის აზრით ოსტატისათვის: იგი უნდა იყოს „მაღალის ზნეობის კაცი, უნდა იცოდეს, როგორ მოექცეს ბავშსა, უნდა შემძლებელი იყოს მოიპოვოს სიყვარული და პატივისცემა ყმაწვილისაო „პირველი თავმდები ბავშის აღზრდის მარჯვედ მსვლელობისა – სიყვარულია მოწაფისა ოსტატის მიმართო“ – ამბობს ერაზმი.

ერაზმი ძალიან ეურჩება, ძალიან ჰკიცხავს, თუ გასაკვეთი ხანგრძლივია სასწავლებელში. ხანგრძლივად სვლა გასაკვეთებისა ჰღალავსო შეგირდის გულისყურს, ქანცს ულევს ყმაწვილსა და სულიერად თუ ხორციელად სჩაგრავსო. ამიტომ რჩევას იძლევა, რომ რაც შეიძლება მალ-მალე უნდა იცვლებოდეს ხოლმე საშრომელი ბავშისაო; სწავლა, შესვენება, სეირნობა და გართობა ერთმანეთში რიგ-რიგად ჩართული უნდა იქმნასო.

ვეჯიოსებრ, ერაზმი სამჯობინარად ჰხედავს იმისთანა სკოლას, საცა მოწაფენი ბევრნი არ არიან. ცოტა შეგირდებიანი სკოლა ჯობია, როგორც შინ აღზდასა, ისე ბევრ-შეგირდებიან სკოლასაო. შინ რომ იზრდება ყმაწვილი, თვალწინ არავინა ჰყავსო, რომ უპირატესობისა და ჯობნობისათვის შეეჯიბროს ვისმე, და შეჯიბრება კი ამ შემთხვევაში დიდი ღონეა ბავშის წარმატებისთვისაო. ბევრ-შეგირდებაინ სკოლაში ხომ ოსტატი უღონოა თვითოეულ ბავშის ბუნებას ცალკე ადევნოს თვალყურიო.

თავი მერვე

ამაოდ არ ჩაიარა საპედაგოგიო მეცნიერებისათვის ვიტტორინოს, ვერჟერიოს, ვეჯიოს და ბოლოს ერაზმის ღვაწლმა და მეცადინეობამ. ამათმა საბუთიანმა და მართალმა მოძღვრებამ თანდათან ფეხი გაიდგა და მომხრენი მოიპოვა ჯერ კიდევ „განახლების“ ეპოქაშივე სხვა ქვეყნებშიაც. მაშინდელს საფრანგეთში გზა გაიკვალა ახალმა საპედაგოგიო თეორიამ გამოჩენილის და სახელგანთქმულის ფრანსუა რაბლეს მეოხებითა. ფრანსუა რაბლე იყო ფრანგი. იგი დაიბადა 1483 წელს და გარდაიცვალა 1558 წელსა. თუმცა პირველ ხანში რაბლე ბერ მონაზონი იყო, მაგრამ მერე შეიქმნა სახელოვან რომანისტად და უფრო სახელოვან სატირიკოსად. ამან სრულიად შეითვისა ახალი საპედაგოგიო მოძღვრება ერაზმისა და მის წინა-მყოფთა, ხოლო ისე-კი, როგორც დიდ-ბუნებოვანს კაცს შეჰფერის. რაც კარგი იყო ახალის პედაგოგიის მესვეურთა ნამოქმედარსა, თუ ნაწერებში, ყოველივე იგი მიიღო და ამ მიღებულზედ ფეხმოკიდებულმა უფრო წინ წასწივა საპედაგოგიო მოძღვრება და გაუმატა. ამის გამო მეტი არ იქნება ვსთქვათ, რომ მან შეჰქმნა საკუთარი თეორია აღზრდისა და ამაში დიდი გამჭრიახობა, დიდი ცოდნა და ჭკვა-გონება გამოიჩინა.

რაბლეს არ დაუწერია განსაკუთრებული საპედაგოგიო თხზულება და არც თითონ ჰქონია სკოლა. ერაზმისებრ რაბლესაც თავის-თავზედ ჰქონდა გამოცდილი მთელი სიმძიმე სქოლასტიურის სწავლებისა, რომელიც უფრო წვალება და წამება იყო ბავშვისა, ვიდრე წრთვნა და ზრდა, და რომელსაც აზრადა ჰქონდა, მარტო წყალსავით დასწავლება წიგნისა და არა გაგება საგნისა და ქვეყნიერობისა, ამიტომაც, როცა დრო მოეცა, მთელის თავის მწვავის ენით სასაცილოდ აიგდო სქოლასტიური წესი სწავლებისა და დასწერა მწვავი სატირა-რომანი, რომელსაც „გარგანტუა“ ჰქვიან. ამ სატირაში ერთის მხრით სასაცილოდ აგდებულია ძველი სქოლასტიური წესი სწავლებისა და მეორეს მხრივ გამოხატულია იდეალი ახალის ჰუმანიურის სწავლა-წურთვნისა. ერთიც და მეორეც ნაჩვენებია ორის ყმაწვილის გამოსახვითა. ამ ორ ყმაწვილში ერთი ძველის წესით იზრდება და მეორე ახალის წესითა.

ახალი წესი, რაბლეს მიერ მოძღვრებული, იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი რაც შეიძლება ნაკლებ იყოს მომწყვდეული ოთხ კედელს შუა, რადგანაც დახშული და დაბუდებული ჰაერი ოთახისა და უმოძრაობად ყოფნა სჩაგრავს ყმაწვილსა. ყმაწვილი დღეში უფრო ბევრი წილი გარეთ უნდა იყოს, ჰაერზედ. არც ერთმა

საათმა დღისამ უქმად არ უნდა ჩაუაროს ბავშვსა: ოსტატმა საცოდნელი და საწურთვნელი ყოველთვის უნდა მოუპოვოს ბავშვსა და ერთს წუთსაც უსაქმურად არ უნდა ამყოფოს. წიგნის კითხვისათვის და კლასში სასწავლებლად საკმაოა სადილის წინ სამი საათი და სადილის უკანაც სამი. სხვა დრო-კი შიგა-და-შიგ და რიგ-რიგად უნდა მოხმარდეს იმას, რომ შეგირდს გაეხსნას ნიჭი დაკვირვებისა, გამორკვევისა და ამიტომაც საჭიროა ბავშვმა თავის საკუთარის დანახვითა, საკუთარის მოაზრებითა და განსჯითა იცოდინოს ბუნება და ცხოვრება. სეირნობს ბავში, თუ ჰთამაშობს, თუ ტანის და აგებულების წარსამატებლად ვარჯიშობს, სჭამს თუ სვამს, ოსტატმა ბავშის თვალი და გონება უნდა მიახედოს ყველაფერზედ, რაც-კი საცოდნელად და საწურთვნელად გამოსადეგია.

რაბლეს სიტემაში ტანის და აგებულების ვარჯიშობას დიდი ადგილი უჭირავს: ბურთაობა, კენჭაობა, ცხენზედ ჯდომა; ცურვა, ჭიდაობა, – ყოველივე ეს საჭიროდ დანახულია რაბლესაგან. რაბლეს აზრით, მოზარდმა თავის თვალით უნდა გაიცნოს ცხოვრება და მისი ავკარგიანობა თავის ყურით გაიგონოს. ამიტომაც ოსტატი უნდა ატარებდეს ყმაწვილსა ფაბრიკებში, სამსჯავროში, სახელოსნოებში და ეკლესიებში ქადაგების სასმენლადა და, რაც საჭიროა და შესამჩნევი, შეამჩნევინოს და გააგებინოსო.

ასე გაჩნდა და ასე გაივსო ახალი მიმართულება პედაგოგიისა „განახლების“ ეპოქაში, რომელიც საშუალო საუკუნოებს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ეხლანდელს სკოლას ბევრში ჩამორჩება სკოლა „განახლების“ დროებისა. ერთი დიდი უპირატესობა ეხლანდელის სკოლისა ის არის, რომ იგი მარტო დიდკაცთათვის აღარ არის და საყოველთაოა, როგორც დიდისა, ისე პატარასათვის, როგორც მდიდრისა, ისეც ღარიბისათვის. არც იმასა აქვს ეჭვი, რომ ეხლანდელს სკოლაში თვითონ ხერხი სწავლებისა ბევრად უკეთესია უწინდელზედ, მაგრამ ესეც-კი უნდა ითქვას, რომ ეხლანდელი სკოლა ბევრში უკან ჩამორჩომილია უწინდელზედ. დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჭკვა-გონების გარდა, გულიცა აქვს, რომელსაც კაიკაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა; დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულობაცა აქვს, რომელიც წურთვნიდა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც-კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა. ამ მხრივ ეხლანდელი სკოლა ბევრში ჩამოუვარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელთაც საგნადა ჰქონდათ თანასწორი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა. ეხლანდელი სკოლა, მართალია, ბევრს ცოდნას აწვდის მოსწავლესა, მაგრამ ცალმხრივ მოქმედობს, ხასიათის წურთვნას თითქმის თავს ანებებს და თან აგებულებას ადამიანისას არამც-თუ ჰშველის, არამედ ჰღალავს.

_ იგი ავტორი, რომელმაც ყოველივე ზემოხსენებული გვაუწყა, ამბობს: ყველამ იცის ეხლანდელის სკოლის ნაკლულვანება და საკულაოდ არა ერთი და ორი ცვლილება და შევსება მოელის ეხლანდელს სკოლასა. ვინატრით, რომ შემცველთა და შემავსებელთა ხანდისხან ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც

მიიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტებ-პედაგოგებთან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

[1888 წ.]

აი ისტორია

წერილი პირველი

წლევანდელ თებერვლისა და მარტის ნომრებში რუსულმა ჟურნალმა *“Северный Вестник”*-მა დაჰბეჭდა ორი წერილი, რომელთათვისაც ავტორს დაურქმევია საერთო სახელი *“Письма о Грузии”*. რა აზრი ჰქონია ავტორს, როცა ამ წერილებისათვის ხელი მიუყვია, თვითონვე მოგვითხრობს.

იგი წერილების თავშივე გვეუბნება, რომ განვიზრახეო გაკვრით (*бегло*) ვაცნობო მკითხველებს სურათი ქართველთა სულიერის და ნივთიერის ცხოვრებისა ისე, როგორც იგი გამოიხატა ქართველთა ისტორიასა, ლოტერატურასა და ეხლანდელ ყოფა-მდგომარეობის ფორმებშიო. ამ ჩემის სუსტის ღვაწლით მსურსო განვუღვიძო რუსეთის ინტელიგენციას წყურვილი უფრო ღრმად და ზედმიწევნით შეისწავლოს ეს ბევრ-გვარად საინტერესო ერი, რომელიც, ავტორის ფიქრით, სხვა ამიერკავკასიის ტომებზედ უმრავლესია, უფრო განვითარებული მოქალაქობრივად (*гражданский*) და რომლის ჩამომდინარობა და ენა დღესაც უცნაურ საგნად მიაჩნიათ უმეცნიერესს ანტროპოლოგებსა და ლინგვისტებსაო.

ამას ამბობს ავტორი 49 გვერდზედ თებერვლის ნომერში და ამნაირად გვაუწყებს თავის განზრახვასა და ნიშანში ამოღებულ საგანსა. ხოლო მარტის ნომრის 57 გვერდზედ იგივე ავტორი თავის განზრახულს საგანს ამრიგად გვიხსნის: მე მინდოდა მეცნობებინაო, – „საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს-აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალღონე მერმისისათვისაო. თუ ჩვენმა წერილებმა ამ ძირეულს და თავ-და-თავს საკითხს საკმაოდ ცხადი პასუხი მისცა, ჩვენ ჩვენს განზრახულს საგანს შესრულებულად ჩავთვლითო.“ აქედამა სჩანს, რომ თავი-და-თავი საგანი ავტორისა ისა ყოფილა, რომ ამ ძირეულს საკითხს საბუთიანი პასუხი მოუპოვოს.

ჩვენ იმის გამოძიებაში არ შევალთ, – რამოდენად ეთანხმება თავში განზრახული საგანი ბოლოში გამოთქმულსა. ჩვენ მარტო ის გვიკვირს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ამისთანა საკითხს იძლევიან ისტორიის მკვლევარნი. რომ ეს ჩვენი გაკვირვება ცუდ-უბრალო გამოკიდებად არავინ არ ჩამოგვართვას, საჭიროა გამოვწლათ ასო-ასო იგი თავი-და-თავი საგანი, რომელიც ავტორს ნიშანში ამოუღია და რომლის მისაღწევად აუღია კალამი ხელში. გვეშინიან, გადასხვაფერება სიტყვისა ან აზრისა არ მოგვივიდეს თარგმანში და ამიტომაც ავტორის

სიტყვებს რუსულადაც მოვიყვანთ, ავტორი, ათავსებს-რა თავისებურ გამოკვლევას საქართველოს ერის ძველის-ძველ ცხოვრებისას, ამბობს:

"Без ясного знакомства с этими доисторическими условиами, читатель не мог бы верно судить ни о его (грузинского народа) литературе, ни о бытовых явлениях его современной жизни и для него (для читателя) не был бы решен самый главный вопрос, действительно-ли грузинский народ стар (!) и износил свои силы (!), или-же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберег свои силы для будущего (!). Если письма наши дали достаточно ясный ответ на этот основной (!) вопрос, мы считаем цель нашу достигнутою".

თუ ამას დავიჯერებთ, ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ ყველაზედ ძირეული და თავი-და-თავი საგანი რომელისამე ერის ისტორიის მკვლევარისა ისა ყოფილა, რომ გამოარკვიოს, – დაბერდა იგი ერი და ღონისაგან დაიცალა, თუ ჯერ არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ღონე მერმისათვის. ჯერ ქვეყანაზედ ამ აზრით არავინ შესდგომია ისტორიას და პირველობა ამაში ჩვენს ავტორს უნდა დავულოცოთ.

აშკარაა, ავტორს, ცოტად თუ ბევრად, უწამებია უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითოეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისათვის გარდაუვალი კანონია, როგორც ცალკე ადამიანისათვის: ამას ვერც ერთი ერი ვერ წაუვა, ვერ გადასცდებაო.

ჩვენს ავტორსაც ეს აზრი უნდა ჰქონდეს, როცა თავისთავს ჰკითხავს, – დაბერდა საქართველოს ერი, თუ არაო. უამისოდ მისი საკითხი მომცდარის კაცის ჩხირკედელობა იქნება, ცუდ-უბრალოდ მოცდენა მთქმელისაცა და მსმენელისაც.

ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ_ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბაში. ეთიოპელისა და გვითხარით, ამათში რომელი ვიგულისხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია, ამათში არიან ძველნი და ახალნი, და ეს სულაც იმ სიბერეს და სიყმაწვილეს არა ჰნიშნავს, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდნილს, და მეორე-კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან.

თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილა დედამიწის ზურგიდამ, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს, მაგალითებრ, მტერთაგან ძლევასა, აკლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან. ეს შესაძლოა მოხდეს. თუმცა ძნელად წარმოსადგენი-კია, მაგრამ, თუ მოხდა, აქ სიბერე არაფერს შუაში იქნება,

იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც-კი ყოვლად შეუძლებელია. ამაზედ სიტყვის გაგრძელება მეტი იქნება. თითონ რუსულ ლიტერატურაშიაც-კი საბუთიანად გამოძიებულია ეს საგანი და ჩვენ არ გვახსოვს, რომ რომელსამე დაწინაურებულს მეცნიერს რუსეთისას არ გაეკილვოს, ასე თუ ისე, დრეპერის აზრი ამის თაობაზედ. ჩვენ გვიკვირს, რომ ავტორს, ვითარცა კაცს ასეთის ჭექა-ქუხილით მოუბარს *"о свободном и широкольющемся потоке света и знания, о связи с могучим, глубоким родником общечеловеческой мысли"*,[11] ზურგი შეუქცევია იმ *поток*-ისთვისაც და იმ *родник*-სათვისაც და, არამც თუ რაშიმე გამოუყენებია, ყურიც არ უთხოვებია; მაშ, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს ამისთანა ყალყზედ შეყენებულ ფრაზებს, თუ თითონ მთქმელს საჭიროდ არ დაუნახავს არც ის *поток*-ი *света и знания*, არც ის *родник*-ი *общечеловеческой мысли* და მარტო ორიოდე კაცის ნათქვამს უანგარიშოდ, ბრმად გაჰყოლია, თითქო იმ მთელ კაცობრიობის აზრთა წყაროში, იმ ნათელისა და ცოდნის ნიაღვარში, მარტო დრეპერისა და მის მიმდევრათა აზრი იყოს და სხვისა არავისი.

„სიბერე ერისა", ჩვენის ფიქრით, უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის. თუ ესეა, რის მაქნისია კაცმა ეგ უქმი, არაფრის მომასწავებელი, სრულებითაც არარსებული საგანი იძიოს, ან მსოფლიო ისტორიაში საზოგადოდ, ან საქართველოსაში ცალკე. რაც არ არის და არც ოდესმე იქნება, იმისი ძებნა ტყუილი მოცდენაა, წყლისა ნაყვაა და, რასაკვირველია, ყველას ნება აქვს, როგორც სურს, ისე შეიქციოს თავი. ეს კიდევ არაფერი. რაც უნდა იყოს, აქ დრეპერს მაინც იმოწმებს ავტორი თავის გასამართლებლად და ჩვენდა გასამტყუნებლად, თუმცა ვიმეორებთ, მინამ ამას დაგვმართებდეს, ავტორმა ჯერ უნდა იკისროს, რომ მის მიერ ქებულ დიდებული *родник*-ი *общечеловеческой мысли*, ის *поток*-ი *света и знания* მისთვის ცარიელი ფრაზაა, მისთვის არ არსებობს. აკი ვამბობთ, ამ „ერის სიბერის" გამო ავტორს კიდევ ხელმოსაჭიდებელი ხავსი აქვს თავის გადასარჩენად; საქმე მეორე წინადადებაა:

„დაიცალა (ქართველი ერი) ღონისაგან (?), თუ ჯერ დღეს-აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო" – *(Износил свои силы, или-же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною жизнью и сберег свои силы для будущего?)*.

აბა, ერთი გვითხარით, ეს *"сберег свои силы для будущего"* რა ჭკუაში მოსასვლელი საკითხია? ყველა-ყველა და ამისთანა საკითხს-კი არ მოველოდით არავისაგან. ვინც ამისთანა საკითხს იძლევა და ამრიგად, იმას ორი რამ უნდა რწმენად მიღებული ჰქონდეს, ერთი მეორეზედ უფრო საოცარი, უფრო საკვირველი, რომ სხვა არა ვსთქვათ რა; ერთი ისა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება" ღონისაგან სცლის ერსა, ესე იგი ასუსტებს, აუძლურებს, და მეორე – არა-ინტენსიური ცხოვრება-კი ანახვინებს ღონეს მერმისისათვის. დააკვირდით ზემო მოყვანილს სიტყვებს ავტორისას და დაინახავთ, რომ, თუ ამ სიტყვებში რაიმე ლოღიკაა, მისი საკითხი სწორედ ამ ორგვარ რწმენისაგან მომდინარეობს. სხვა სათავე არა

აქვს მის საკითხსა. გაგონილა ეს სადმე და ვისგანმე? მაშ რაღაზედ იხოცვენ თავს ევროპიელნი „სრულის ინტენსიურ ცხოვრებისათვის“, თუ იგი ღონეს არა ჰმატებს და ღონისაგან სცლის! სულელები!.. მოსულიყვნენ და ჩვენგან ჭკუა ესწავლათ!.. ის არა სჯობია – ჩვენ, ქართველებს მოგვბაძონ,[12] ინტენსიურ ცხოვრებას ჩვენსავით თავი არიდონ და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის. აი, ესეც თქვენი ახალი ამბავი! მოდით და ამას იქით ინატრეთ „სრული ინტენსიური“ ცხოვრება!.. დღეს-აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვით, დასარჩობი ფონი-კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა. ღონისაგან არდაცლა, ღონის შერჩენა ხომ ბედნიერებაა და, მაშასადამე, ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიურ ცხოვრების მაცდურებას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. ამაზე ბედნიერი უფრო დათვები და მგლები იყვნენ, რადგანაც ამათ გუშინდელი დღეც არ ახსოვთ და, მაშასადამე, ადამიანზედ უფრო მეტი ღონე შეუნახავთ მერმისისათვის. გაგონილა ასეთი სასაცილობა! გაგონილა ასეთი მოთხრა და გაბიაბრუება ისტორიისა! ჰოი, *поток*-ო *света и знания*, ჰოი *родник*-о *общечеловеческой мысли!* „რაზედ გაცუდდნენ ძალნი თქვენნი მომჯადოებნი“?!

„ინტენსიური ცხოვრება“ ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, – იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში. თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისაგან სცლის, ვიღა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიდოს კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის.

ღონე შეინახება მერმისისათვისაო, გვანუგეშებს ავტორი. კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა სჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვის-ღაა საჭირო, რიღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიურ ცხოვრებისათვის. თუ ესეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს! ეს რა ბაბილონის გოდოლია, არ გვესმის, და იქნება ავტორმა შემდეგს წერილებში აგვიხსნას.

ეხლა-კი უსაბუთოდ ჰკილავს ავტორი ჩვენებურ ინტელიგენციას 54 გვერდზედ, რომ ტყუილად აბნევს აქ (საქართველოში) მზე თავის ბრწყინვალე და სიცოცხლის სასიხარულო სხივებსაო. იგი თითქო არც ათბობს, არც ანათებს და მარტო თვალს ახამხამებსო. რათ არის ესე, ჰკითხულობს გულშემატკივარი ავტორი: კაცს აქ სული რათ უგუბდება და რატომ ნათელი არა ნათობსო. ბევრიაო ამისი მიზეზი და უპირველესი, თავი-და-თავი ის არისო, რომ აქაურ

ინტელიგენციას თავი შეუკეტნია, *"потеряв связь с могучим и глубоким родником общечеловеческой мысли"*.

ჩვენ გვგონია, რომ ავტორი არ უნდა უწყრებოდეს ჩვენებურს ინტელიგენციას ამისათვის, თუ თავისი დედააზრი, თავისი მოძღვრება „ღონის შენახვაზედ" მართლა სწამს. ავტორს, წყრომის მაგიერ, უნდა გახარებოდა, რომ ჩვენებური ინტელიგენცია მისის რეცეპტით იქცევა ამ შემთხვევაში: ღონეს ინახავს მერმისისათვის და ამიტომაც თავი შეუკეტნია, რომ კაცობრიობის „ინტენსიურმა აზროვნებამ" ღონე არ შემოახარჯვინოს.

აი, სადამდე მიჰყავს კაცი უთავბოლო ფრაზებსა. ის თავი-და-თავი საგანი, რომლის გამოსარკვევადაც აუღია ავტორს კალამი ხელში და რომელიც გამოთქმულია ზემო მოყვანილ რუსულ ციტატაში, აშკარად გვეუბნება, რა განძის პატრონი ყოფილა ჩვენი ავტორი. მას სწამებია ჯერ ისა, რომ ერის ცხოვრებაში სიბერეს თავისი ადგილი აქვს; მეორე ისა, რომ „ინტენსიური ცხოვრება" ერისა ღონის გამომცლელია და, მაშასადამე, დამაუძლურებელი; მესამე ისა, რომ რომელს ერსაც ინტენსიური ცხოვრება არა ჰქონია, ჭკუვა უხმარია და ღონე შეუნახავს მერმისისათვის და, მაშასადამე, წინ უნდა იყოს იმ ერზედ, რომელიც მისცემია ინტენსიურ ცხოვრებას და ამაობაში ღონისაგან იცლება. ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია.

ამას გვეუბნება კაცი, რომელიც ჰკიცხავს ჩვენებურ ინტელიგენციას, თავი შეგიკეტნიათ და არ ეწაფებით კაცობრიობის აზრთა ყოვლად-შემძლებელ წყაროსაო! უმეცრებას ის კაცი უკიჟინებს სხვას, რომელსაც „სრული ინტენსიური ცხოვრება" ერის ღონისაგან დამცლელი ჰგონია და არა-ინტენსიური ცხოვრება კი – ღონის შემნახველი.

ეხლა, აბა ნახეთ, სხვა ადგილას იგივე ავტორი იმავ ინტენსიურ ცხოვრებას რა ფრაზებით, რა ბუკითა და ნაღარით აქებ-ადიდებს: *"всесильная современность, могучий и глубокий родник общечеловеческой мысли, свободный и широколькющийся поток света и знания, общечеловеческая сокровищница слова и мысли"* და სხვანი და სხვანი. ახლა ერთი ჰკითხეთ ავტორს, საიდამ არის ყოველივე ეს, თუ არ „ინტენსიურ ცხოვრებისაგან". რამ შეჰქმნა ეს ყოვლად-შემძლებელი ეხლანდელობა, ეს ღონიერი და ღრმა წყარო კაცობრიობის აზროვნებისა, ეს თავისუფალი და განივრად მომდინარე ნიაღვარი ნათლისა და ცოდნისა, ეს კაცობრიობის სალარო სიტყვისა და აზრისა, თუ არ „ინტენსიურმა ცხოვრებამ"?

ნუთუ ყოველივე ეს ერთად და თვითოეული ცალკე უტყუარი ნიშანი და მაგალითი არ არის „სრულის ინტენსიურის ცხოვრებისა"? თუ ესეა, ამის მთქმელს განაღა შეეძლო ბოლოს ეს ეკითხნა:

"Грузинский народ стар (?) и износил свои силы (?), или он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберег свои силы для будущего (?)".

ორში ერთი: ინტენსიური ცხოვრება ან ღონეა, ან ღონისაგან დამცლელი. რომელი ერთი დავუჯეროთ ავტორსა. აქ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ან

ზემოხსენებული ქება-დიდება ცუდ-უბრალო ფრაზებია მტვერის ასაყენებლად, ან ეს უკანასკნელი ლათაიად მოყვანილია. თუ ერთიცა და მეორეც მართლა ცარიელი ფრაზები არ არის და აზრი რამა აქვთ, ძნელად დასაჯერია, რომ ერთისა და იმავე კაცისაგან იყოს ნათქვამი.

ეხლა ჩვენ ხომ ვიცით, რა ღრმა აზრი და საგანი ჰქონია ავტორს, როცა თავისის წერილებისათვის ხელი მიუყვია. საგანი, როგორც ჰხედავთ, ურიგო არ არის, რადგანაც აქედამ ერთი კარგი რჩევა გამოდის: ვერიდნეთ ინტენსიურს ცხოვრებას ერთი ათასიოდ წელიწადი კიდევ და ამით ღონე შეგვენახება უფრო შორეულ მერმისისათვის. და თუ ეს ღონის შენახვა კარგია, ჩვენს შემდეგთაც ვუანდერძოთ, ესევე ჭკუა იხმარონ, იმათაც ზურგი შეაქციონ ინტენსიურ ცხოვრებას და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის და ეგრე ერთი შთამომავლობა მეორეს მიჰყვეს ქვეყნის დასასრულამდე. ახლა დაიჟინებთ და იკითხავთ, – ეგ ღონე რაღა ეშმაკად უნდა ერსა, თუ ყოველთვის ზანდუკში შენახული ექნებაო? ამისი კი რა მოგახსენოთ. ხოლო ეხლა კი ადვილად გასაგებია, ველურნი ერნი რათ უფრთხიან, როგორც ჭირს, ინტენსიურს ცხოვრებას? თურმე ნუ იტყვით, არ იხარჯებიან და ღონეს ინახავენ მერმისისათვის. მეტი ჭკუა-ღა გინდათ! რომ სწორედ ამ ჭკუაზედ გვივლია ჩვენც, ამას ავტორი სცდილობს თავის წერილებში დაამტკიცოს. ეს ახალი მეცნიერება დღეს-აქამომდე არავინ იცოდა და მადლობა ღმერთს, *"Северный Вестник"*-მა ქვეყანას შეატყობინა, ჩვენის ავტორის შემწეობით. რა თქმა უნდა, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ერთობ მთელი ევროპა თავს დაანებებს ინტენსიურ ცხოვრებას და ღონეს შეინახავს მერმისისათვის ჩვენებურადა, ქართველურადა. მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს ევროპისათვის ეს ახლად ნაპოვნი წამალი „ღონის შენახვისა."

ყოველივე ესეც საკმაო საბუთს გვაძლევს ამაზედ გაგვეთავებინა ჩვენი საუბარი. ვინც ისტორიაში იმას ეძებს, – აცა, ვინ არ მიეცა ინტენსიურს ცხოვრებას და ამით ღონე შეინახა მერმისისათვისაო, იმასთან ლაპარაკი მეტია. მაგრამ ჩვენ მაინც ამით არ ვათავებთ ჩვენს საუბარსა, იმიტომ რომ ერთს ადგილას (53 გვერდზედ) ავტორი ამბობს, მე იმისთანა მხარეს ქართველთა ცხოვრებისას უნდა შევეხოო, რომელსაც ჯერ არავინ შეჰხებია ქართულს ლიტერატურაში და ამაში პირველობა მე შემხვდაო. მოდით და წყურვილი ნუ აგეშლებათ, ბოლომდე მიჰყვეთ ავტორსა.

შემდეგში გავსინჯავთ, რა გზით, რა „ინტენსიურ ცოდნით", ერთის სიტყვით – რა საგზლით უვლია ავტორს თავის ძირეულ და თავ-და-თავ საგნამდე მისაღწევად და რა საკვირველებანი აღმოუჩენია გზა-და-გზა მსოფლიო ისტორიისათვის საზოგადოდ და ჩვენისათვის ცალკე.

წერილი მეორე

ჩვენა ვნახეთ, რომ ავტორმა *“Письма о Грузии”*-სამ თავ-და-თავ საგნად წინ დაიყენა – შეგვატყობინოს, – „დაბერდა საქართველოს ერი და დაიცალა ღონისაგან, თუ ჯერ-აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და თავისი ძალ-ღონე შეუნახავს მერმისისათვის“. რა პასუხს მისცემს ავტორი ამ საკითხს, ამაზედ ბოლოს ვიტყვით. ჯერ მოვიკვლიოთ – რა სამცნო მეთოდით მიჰმართა თავის ახირებულ საგნის გამორკვევასა.

თითონ ავტორი ამაზედ არას ამბობს პირდაპირ. არც საჭირო იყო; თვითონ წერილები ავტორისა ამ შემთხვევისათვის „მოდი მნახეა“. თუნდ ეგეც არ იყოს, რაკი ავტორი უკიჟინებს ჩვენს ლიტერატურას, არ იცის – რა არის „შედარებითი მეთოდი კვლევისა“-ო (*сравнительный метод*) და კრიტიკით არ შეჰხებია საქართველოს ისტორიასაო, – უნდა ვიგულისხმოთ, რომ თითონ ამისი მოკიჟინე ავტორი ამ მეთოდს და ამ კრიტიკას იხმარებს.

ძალიანა ვწუხვართ, რომ კარგა ხანს თავი უნდა დავანებოთ ავტორსა და შევუდგეთ იმის ახსნას, თუ რის მომასწავებელია „შედარებითი მეთოდი“ და რასა ნიშნავს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გავიგოთ, – რის არ-ცოდნა უკიჟინებია ავტორს ჩვენის ლიტერატურისათვის. ესე იგი, რა მოუთხოვნია ჩვენგან, რომ იგივე მოვსთხოვოთ თითონ მას, რადგანაც – როგორც ეტყობა – იგი ამ მეთოდისათვის თავგამოდებულია და თავგადადებული. რა თქმა უნდა, ვრცლად ამის ახსნას ვერ გამოვუდგებით, რადგანაც ამისათვის არც დროა და არც ადგილი პატარა გაზეთში. ამის ახსნას ჯონ სტუარტ მილლმა რამდენიმე დაბეჭდილი თაბახი მოანდომა თავის სახელოვან თხზულებაში, რომელსაც „სისტემა ლოღიკისა“ ჰქვიან.

ამ ჟამად ჩვენთვის საკმაოა მარტო თავი-და-თავი ძარღვი გავუგოთ ამ მეთოდსა, ისიც იმ საგნების მიხედვით, რომელნიც ერთად კრებულად შეადგენენ ისტორიას მთელის მისის ვრცელის მნიშვნელობითა. რა თქმა უნდა, აქაც ისე ვერ გადავურჩებით, რომ სიტყვა არ გაგვიგრძელდეს. თითონ საგანია იმისთანა რთული და მრავალ ფესვშტოიანი, თუმცა ჩვენი სურვილი კია, რომ მარტო დედაძარღვს მეთოდისას მივაგნოთ, და სხვას ყოველს, მის მეტ-ნაკლებობას და გარემოცულობას, გზა ავუქციოთ.

ჩვენ წინათვე ბოდიშს ვიხდით ჯერ ჩვენის პირდაპირის საგნიდამ გადახვევისათვის და მერე იმისათვის, რომ აქ იძულებულნი ვიქნებით ბევრი იმისთანა სიტყვები – ქართული თუ უცხო – ვიხმაროთ, რომელთაც ჯერ ადგილი არ დაუჭერიათ ჩვენს ენაში. ტერმინების უქონლობა ამ შემთხვევაში მეტის მეტად აბრკოლებს კაცსა და, იმის გარდა, რომ აძნელებს გაგებას ნათქვამისას, სიტყვასაც ძალაუნებურად აგრძელებს, თითონ ენასაც აჭრელებს, ამძიმებს. ეს აჭრელება და დამძიმება არ უხდება არც წერასა, არც ლაპარაკსა და ამიტომაც, როგორც საკითხავად, ისეც სასმენლად, მოსაწყენია. ჩვენი ნუგეში ამ შემთხვევაში ის არის, რომ ვინც სიტყვაში აზრს ეძებს და არა მარტო გართობასა და სიამოვნებას, ის არ შეუშინდება ამ მოწყენასა და გაირჯება ძალაუნებური სიმძიმე ენისა აიტანოს აზრის გაგების სურვილით.

არის იმისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, სადაც მჭრელი და გამომძიებელი გონება ადამიანისა თავგამოდებული იბრძვის – შეიტყოს სურვილი, გაიგოს, აიხსნას უტყუარად და შეუცდომლად, მაგრამ ამისათვის ვერავითარს გარეგანს საბუთს ვერ ჰპოულობს დასაბჯენად და ფეხის მოსაკიდებლად. ამისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, ყველა მეცნიერებაში არის და, სხვათა შორის, ისტორიაშიაც. ისტორიაში ეგ სფერა პირველყოფილი, პირველდაწყებითი მდგომარეობა თვითოეულის ერისა და აქედამ მთელის კაცობრიობისაც. ეს მდგომარეობა იმ ხანას ეკუთვნის, რომელსაც ისტორიის წინადყოფილს დროს ეძახიან, ესე იგი იმ დროს, რომლის ხსოვნა არა აქვს ისტორიასა და მოუსვენარი, ცოდნის ხარბი გონება ადამიანისა კი სცდილობს, რაც ისტორიას არ დაუხსომებია, იგი თითონ გვიამბობს, გვაცოდინოს. საიდამ და როგორაო? – იკითხვენ. მართლა-და საიდამ და როგორ, მაშინ როდესაც არავითარი პირდაპირი მთხრობელი, არავითარი წერილობითი მოწმობა არ არსებობს?

პროგრესიო, – ამბობს ფილოსოფოსი ბეკონი, – არის გაუთავებელი შორს გადგმა არ-შესაძლებელის საზღვრებისაო. მართლაც არის: ვის ეგონა, რომ შესაძლებელია უშველებელ მანძილზედ კაცი კაცს გამოელაპარაკოს თვალის დახამხამების უმალ? ვის ეგონა, რომ შესაძლოა ორთქლმა სახლების ოდენა ვაგონები გააქან-გამოაქანოს გაჭენებულ ცხენზედ უფრო სწრაფად? დღეს ყველა ეს არის და, ამ სახით, საზღვარი არ-შესაძლებელისა ამაების შესახებ, წინად ახლო მდგარი, დღეს შორს გადადგმულია, ანუ, უკეთ ვსთქვათ, საზღვარმა შესაძლებელისამ ადგილი გადაინაცვლა და შორს გაიწია.

ესევე არ-შესაძლებელი შესძლო ადამიანის გონებამ, როცა შეუდგა იმის გამოძიებას და გაგებას, თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითოეული ერი ცალკე – იმ დროს, რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწვრია. აქ ის მდგომარეობა იგულისხმება, რასაც „ცივილიზაციას“ ეძახიან. ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანისა მიზეზი-კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა, რომელნიც ერთად კრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითოეულ ერში ცალკე. ამგვარს ძალ-ღონეს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიან. ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტნაკლებობა, რწმუნება[13] იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წეს-წყობილება ოჯახებური, საზოგადოებური, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მომქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას, ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტ-ნაკლებობით.

ყოველივე ეს, თუ ისტორიის წინად-ყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად.

ეს გასაღები ზოგში იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად. ეს ზღაპარ-ნარევნი ამბები, თქმულობანი, რა თქმა უნდა მოწმად და საბუთად მოსა-

ტანნი არ არიან რომელისამე ყოფილის საქმისა. ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდონი არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისას. სასაფლაონი და სამარხი ნაშთნი აკლდამებსა და კუბოებში ძველის-ძველის დროებისანი – ესენიც მეცნიერებამ გამოიყენა იმ ცხრა კლიტით დაკეტილის გასაღებად. თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ. ეთნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზედ, ბევრს რასმე მოგვითხრობს მასზედ, თუ ვინ და რა საიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მისულა.

რამოდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურს ნაშთსა და კვალსა, იმოდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადედე შემდეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ აჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი – სულ უდიდესს პროგრესსა.[14]

ყოველ ამაებში – ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას. მაგალითებრ, გამოცნობილია, რომ რამდენადაც ბევრია საერთო სახელები ენაში და ახლოა ერთმანეთზედ მათი მნიშვნელობა, იმოდენად შესაძლოა გამოვარკვიოთ ცოდნა ეპოქისა.[15] ენის მკვლევარი მეცნიერება – ფილოლოგიაა და ამიტომაც მართალს ამბობენ, რომ ფილოლოგია და ისტორია მხარ-და-მხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზევებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავგადასავალისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისაო.[16]

აქედამა სჩანს, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინადროთა აღსადგენად და საცნობელად. ეს ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ უფრო მაშინ, როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთსგვარს გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ – ჰქვიან. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომზევდა. ამიტომაც ამბობს ერთი მეცნიერი,[17] რომ „შედარებითი მეთოდი ერთი უდიდესი ძლევამოსილობაა გონებითად ჩვენის საუკუნისაო“, მისის სიტყვით, ამ მეთოდმა იმისთანა გზა გაგვიჭრა, რომლის შემწეობითაც დღეს შესაძლოა მთლად და უეჭვოდ დავრწმუნდეთ იქ, საცა უწინ მარტო ამოცანებით და ეჭვით ლაპარაკი იყო. ამ მეთოდმა მოგვცაო, ამბობს

იგი, ღონე და სახსარი შინაგანის საბუთებით დავამტკიცოთ უფრო ცხადად და უტყუარად ის, რასაც გარეგანი საბუთები არ აქვსო.

პირველი, რომელმაც ეს მეთოდი იშვილა, ფრიმანის სიტყვით, არის ფილოლოგია, და მას აქეთ ფილოლოგია, ანუ უკეთ ვსთქვათ – შედარებითი ფილოლოგია, ისეთს მაგარს საფუძველს დაებჯინა, რომ ვერა ძალი ველარ შეარყევსო. თუმცა იმ ხანისა, რომელსაც შედარებითმა ფილოლოგიამ თავისი ნესტარი გაუბნია, არავითარი წერილობითი მოწმობა არ დარჩენილა, არავითარი პირდაპირი გეში, მაგრამ, ამბობს იგივე ფრიმანი, საბუთები შედარებითის ფილოლოგიისა უფრო საიმედონი არიან, ვიდრე ბევრი რამ იგი, რასაც იძლევა წერილობითი ნაშთი ისტორიისაო. ამ გზით ჩვენ იმისთანა ამბებს ვცნობულობთო, რომელთ შესახებ შეუძლებელია გარეგანი საბუთი, მაგრამ შინაგანი საბუთი-კი, რაკი ერთხელ ნაპოვნია და დადგენილი, შეურყეველია და ყოველს ეჭვს უკარგავს ადამიანსაო.

ეს ჩვენი ნათქვამი თუმცა გვეუბნება, რის მომასწავებელია და რა ღირსებისაა შედარებითი მეთოდი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ არა ხსნის, თითონ მეთოდი რაში მდგომარეობს. თუ აქ, ვიდრე ამას ავხსნიდით, უფრო შედარებითი ფილოლოგია ვახსენეთ, მარტო იმისთვის, რომ თვით მეთოდის ახსნა გავიადვილოთ, იმიტომ რომ სხვა სამეცნიერო სფეროში ეს მეთოდი ისე საკუთრად, მარტივად და შეურევნელად დასანახი არ არის, როგორც ფილოლოგიაში.

თითონ სიტყვა „შედარება," ცოტად თუ ბევრად გვამცნევს – რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვამბობთ „შედარებითი მეთოდი." შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა. შედარების საგნად შესაძლოა რამდენიმე სხვადასხვანაირი შემთხვევაც იყოს ერთისა და იმავე მოვლენისა, ხოლო იმისთანა შემთხვევანი-კი, რომელშიაც გამოსაძიებელი მოვლენა თავს იჩენს ასე თუ ისე.

სწორედ რომ ვთქვათ, სიტყვა „შედარება" სრულიად არ უხდება, სრულიად არ შეეფერება იმ-გვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს-გვარი კვლევა – შედარება კი არ არის, სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისათვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია. ვსთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშვური სიტყვა „აჩუა." საიდამ არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა – რასაც ბავში ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვნით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად[18]* *acva, zendurad*[19]** ასპა, ლათინურად *eguus*, ირლანდიურად *ech*, ლიტოვურად *aszwa* – ცხენსა[20]*** ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა." ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და

საიდამ წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა“, რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავში ჰხმარობს, ან ბავშისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ?

რა თქმა უნდა, ეს ამბავი, ასე ცალკედ, ასე ობლად და მარტოდ აღებული იმოდენად არა არის რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით რაიმე გადაწყვეტილი აზრი შეადგინოს ან ერთა შთამომავლობასა და ნათესაობაზე, ან რაიმე მახლობელობაზე. ხოლო ყოველივე ამისთანა ამბავი, ცალკე თუ სხვებთან ერთად, ისტორიის მკვლევარისათვის ანგარიშგასაწევია იმოდენად, რამოდენადაც იგი ანიშნებს ზედგავლენას, დამოკიდებულებას ერთმანეთზე სხვადასხვა ერებისას, რომელნიც, რაკი ამისთანა საბუთია, უეჭველია, ერთმანეთს ოდესღაც შეჰხვედრიან ისტორიის გზაზედა ისე თუ ასე. ფრიმანი უფრო დიდს ავალას აძლევს ამისთანა ამბავსა, თუმცა ზოგიერთნი ამაში უცილობელად ბევრს არას უთმობენ ამ მეცნიერს.

ფრიმანს მოჰყავს, მაგალითად, სიტყვა *mill, molare*, რუსული *молоть*, და ამბობს, რომ ერთგვარ ენების ჯგუფში ყველგან ეს თავდაპირველი ძირი სიტყვისა ისმის, ზოგან უცვლელად და ზოგან ცვლილებით, იმ მოქმედების აღსანიშნავად, რომელსაც „ფქვა“ ჰქვიანო. აქედამ წარმომდგარია თვით წისქვილის სახელიცაო ამ სხვადასხვა, ერთმანეთზე იმოდენად დაშორებულ ენებში, რომ ერთის მიერ მეორისაგან შემოღება რისამე საზოგადოდ და სიტყვისა ცალკედ ყოვლად შეუძლებელია ისტორიულის საბუთით კაცმა წარმოიდგინოსო. ნუთუ ეს ამბავი შემთხვევას უნდა მიეწეროს და არა იმას, რომ ეს სხვადასხვა ენები ოდესღაც ერთი და იგივე ენა ყოფილაო. შეიძლება რომელმამე ცალკე ერმა ცალკე თავისგნით მოიგონოს ხელობა ფქვისა, მაგრამ რომ ამ მოქმედებას ერთი და იგივე სახელი დაარქვას ერთმანეთზედ დამოუკიდებლად — ეს კი ყოვლად შეუძლებელიაო. თუ ესეა, როცა სახეში გვაქვს მარტო ერთი ცალკე სიტყვა, რაღა ითქმის მაშინ, როცა ამისთანა მსგავსებით სხვა ბევრი სიტყვაც აღმოჩნდება სხვადასხვა, ერთმანეთზედ დაშორებულ ენებშიო. როცა ამისთანა საბუთები წინ გვედება, შეუძლებელია კაცმა ის დასკვნა არ გამოიყვანოს, რომ ყველა ამ-გვარად შედარებული ენები ოდესღაც ერთი და იგივე ყოფილა და ერნი, რომელნიც ამ ენებს ლაპარაკობენ, ერთისა და იმავე შთამომავლობისააო, ხოლო განაწილებულან და გაყრილან მას შემდეგ, როცა უკვე ერთობაში მიუღწევიათ იმ ცივილიზაციის ხარისხამდე, რომ წისქვილის ხმარება სცოდნიათო, — ამბობს ბოლოს ფრიმანი. აი, როგორ ჰშველის შედარებითი ფილოლოგია ისტორიას.

ან, მაგალითად, ავიღოთ ჩვენი ჩვეულება, რომელიც გვიშლის, რომ მონაკვეთი ფჩხილი, ან თმა არ გადავაგდოთ ცუდ-უბრალოდ, და გვავალებს — უსათუოდ ცეცხლში დავსწვათ, ან მიწაში ჩავფლათ. სად არის ამისი მიზეზი, სათავე? რის მომასწავებელია ეს ჩვეულება? აშკარაა, აქ რაღაც მიზეზს დაუდგენია ეს ჩვეულება, და რა მიზეზს — ეს-კი აღარ დაგვხსომებია. რომ მოვჩხრიკოთ, ყოველს დროს, ყოველს ადგილას, ყოველს შემთხვევაში, საცა-კი დედამიწის ზურგზედ ამ ჩვეულებას თავი უჩენია, ვნახავთ, რომ ეგ ჩვეულება ერთნაირ რწმენისაგან არის წარმომდგარი. უწინ სჯერებიათ, რომ ადამიანის კუთვნილს რასმე, საცმელს, სა-

მოსელს, ნაკვეთს ფჩხილს, თმას და სხვას ამისთანას, განუწყვეტელი კავშირი და დამოკიდებულება აქვს პატრონთან მაშინაც, როცა პატრონი ერთგან არის და მისი კუთვნილი მეორეგან, თუნდა ძალიან შორსაც. ამის საბუთს დღესაც ვხედავთ, როცა ჩვენებურს მკითხავებს აკითხვინებენ ხოლმე, ან ბედს შეაკვრევინებენ და გაახსნევინებენ მარტო იმით, რომ ხელსახოცზედ აკითხვინებენ, ან ხელსახოცს შეალოცვინებენ იმ კაცისას, რომელიც მკითხავზე შორს არის. ამ რწმენის პირდაპირი შედეგი ის არის, რომ რასაც ადამიანის კუთვნილს შეამთხვევთ, ის პატრონსაც შეემთხვევა. რადგანაც ესეა, შესაძლოა პატრონს მონაკვეთისას, მონარჩენისას, ან კუთვნილისას — ჯადო რამ გაუკეთონ, ბედი შეუკრან და ბოროტი შეამთხვიონ. ამის შიშით ყველა თავისას უფრთხილდება, რომ უალაგო ალაგას არა დარჩეს-რა, თორემ მავნე სული, ან მტერი ვინმე იპოვნის, მოაჯადოებს და აქედამ ჯადო პატრონს ეწვევა.

ყველგან, საცა კი ეს ჩვეულება ითვალთვალება, მაგალითებრ — ავსტრალიის, პოლინეზიის, გვინეის ხალხში, — ნახავთ, რომ შიშითა თრთიან დღესაც, ჩვენს კუთვნილს რასმე ჯადო არ გაუკეთონ და იქიდან ჩვენ არ გადმოგვედოსო. რა თქმა უნდა, რომ თუ ეს შიში ასე მოქმედებს მაშინ, როცა ლაპარაკი იმისთანა კუთვნილებაზეა, რომელიც ადამიანის ნაწილს არ შეადგენს, მაგალითებრ — ხელსახოცი და სხვა ამისთანა, მაშინ რაღა უნდა ითქვას, როცა კუთვნილი მონაკვეთი ნაწილია ადამიანისა, როგორც ფრჩხილი და თმა. ძველის-ძველს სპარსებს მთელი წესი და რიგი აქვნდათ დანიშნული მონაკვეთის ფჩხილისა და თმის მიწაში დასამარხად, რომ მავნე სულებმა არა შეამთხვიონ რა მათ გამო პატრონსა. შორს რათ წავიდეთ, დღესაც ევროპაში ერიდებიან ფჩხილისა და თმის გადაყრას ამავე შიშით. გერმანიის გლეხი დღესაც თურმე ყმაწვილის დაბადების დღიდამ ნათლობამდე სახლიდამ არაფერს გააცემინებს, რომ გაცემულს არავინ შეულოცოს და იმის გამო ბავშვს ბედი არ შეეკრას.[21*]

ეს მაგალითი, სულ სხვა სფერის მოვლენიდგან ამოღებული, რა თქმა უნდა, შედარებულ ერთა ნათესაობის და ერთობის მომასწავებელი არ არის. იგი მარტო იმას გვაუწყებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად გადუხრია, ერთნაირად გაუტაცნია გონება. გარდა ამისა, ეს მაგალითი შუქსა ჰფენს იმ წყვდიადსა, რომელიც დღეს გარს ახვევია ჩვენგან მოყვანილს ჩვეულებას, გვშველის აღვადგინოთ ის, ეხლა დავიწყებული, აზრი ჩვეულებისა, რომელიც ოდესღაც ასულდგმარებდა თითონ ჩვეულებას. ამ გზით იგი ხელს უწყობს გაგებას და ახსნას ეხლანდელისას, რომელიც თუმცა შერჩენია ცხოვრებას, მაგრამ არც თავი უჩანს, არც ბოლო, და სასაცილოდ-ღა ასაგდები გაგვხდომია, მაშინ როდესაც ერთს დროს თავისი შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონია და, მაშასადამე, საპატიო ყოფილა. ისტორია სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან.

აშკარაა, ამით ვერ ამოვწურეთ მთელი და რთული მნიშვნელობა „შედარებითის მეთოდისა“. ჩვენ შეგვეძლო ამ მეთოდის მაგალითები მოგვეყვანა სხვა მეც-

ნიერებიდამაც, მაგალითებრ – შედარებითის მითოლოგიიდამ, შედარებითის პოლიტიკიდამ და სხვა ამისთანიდამ, რომელნიც ერთად შველიან ისტორიას მის ქვემდებარე საძიებელში, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა დედაძარღვს ამ მეთოდისას კაცმა მიაგნოს. ამაზე მეტი სურვილი არც ჩვენა გვქონია. თუ მართლა ამ წინად თქმულმა ეს დედაძარღვი მეთოდისა გვაუწყა, ჩვენ ხელთა გვექნება სასწორი განკითხვისა.

როცა ამ სასწორზედ დავაყენებთ ავტორს "*Письма о Грузии*"-სას თვითოეულ ცალკე შემთხვევაში, მაშინ გავიგებთ, ეს შედარებითი მეთოდი მის ხელთ, – ამბად გაგონილი, ახალ-მოდური ფრაზაა მტვრისა და ბუქის ასაყენებლად, – თუ მართლა მის მიერ შეთვისებული გზაა კვლევისა. ავტორმა უკიჟინა არ-ცოდნა ამ მეთოდისა ჩვენს ლიტერატურას. ეს იქნება მართალიც იყოს, ხოლო კაცი, როცა მეორეს უკიჟინებს – შენ ეს საქმე არ იციო და თითონ ჰკიდებს ხელს ისევე, როგორც დაწუნებული კაცი, მაშინ მოკიჟინე ან ცუდ-უბრალო ბაქიაა, ან თითონაც არ იცის, რას ამბობს.

მეცხრამეტე საუკუნე

ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა. ამ ახალ საუკუნეს ჯერ არა ეთქმის-რა, გარდა იმისა, რომ შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო. წარსულმა საუკუნემ, რომელმაც დღეს გზა და ტახტი თავისი დაუთმო ახალს საუკუნესა, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერობას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის.

ბეკონმა, ინგლისის ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ დღიდამ დღემდე განზე გადადგმულ იქმნას საზღვარი შეუძლებელისაო. ამ თვალით რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველებაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა – დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობით. მანძილი, რომელიც დღეს-აქამომდე იყო სხვადასხვა ქვეყნებ-შორის, რკინისგზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა თითქმის მოსპეს, დოსტაქრობამა და მკურნალობამ იქამდე მიაღწია, რომ ცოცხალ ადამიანის აგებულებაში თითქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარა არის-რა. დღეს ცოცხალ ადამიანის შიგნეულობას ისე ჰხედავენ, ისე ითვალისწინებენ, თითქო გარეთ გამოტანილი საგანიაო. ბევრს ჭირს, რომელიც დღეს-აქამომდე მუსრს ავლებდა ქვეყნიერობას, წამალი უპოვეს, და ლამის ის სიცოცხლის ელექსირიცკი იპოვონ, რომელსაც ასე გულმოდგინებით ეძიებდა და ეძიებს ყოვლად-მძლევი

გონება ადამიანისა. მეცნიერება უკვე წააწყდა სახსარს მოხუცებულობისაგან განახლებისათვის და, ვინ იცის, იქნება მალეც მოვესწრათ, რომ ამ გზაზედაც მეცნიერებამ თავისი სასწაულთმოქმედება გამოიჩინოს. ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ქონებით, გონებით და ზნეობით. სიმდიდრემ გონებითმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია, რომ სიზმრადაც არ ზმანებიათ წინანდელ საუკუნეებს. ერთობ კაცობრიობის სიკეთემ აიწია, წეწვა-გლეჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტრულად მისვლამ – პირში ლაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა. ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვაალისამ, სხვას აღარ ვიტყვით, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისას.

ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას, ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი – ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“ ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად.

ერთის სიტყვით, რასაც კი თქვენდა გარეშემო თვალს და ყურს მოჰკრავთ, ყველგან წარმატება და წინსვლაა. მართალია, შექსპირისა არ იყოს, ქვეყნიერობაში კიდევ ბევრი რამ არის, რომელიც სიზმრადაც არ მოზმანებიათ ეხლანდელ მეცნიერთ, მაგრამ რაც დღემდე იქმნა, ისიც დიდი ძლევამოსილობაა ადამიანის მჭრელის გონებისა, და აქ ღვაწლდადებული იგი საუკუნეა, რომელმაც გუშინ გზა დაულოცა ახალს საუკუნეს, ეხლა შენ იცი და შენმა ძალღონემაო.

კიდევ ვიტყვით: წარსულმა საუკუნემ თავისის მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს, ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, – უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის,

ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, – ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით.

[31 დეკემბერი, 1899 წ.]

ოსმალოს საქართველო

ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენიებულს ნაწილებს ოსმალოს საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისთვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისთვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ოსტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამათვროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალოს ზედმოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპმსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალოს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთ-მთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტ. შობიდან. ამგვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამ გვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღწვოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტიფლისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ

უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ე. ი. მას ჟამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახლციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებული იყო სამცხე-საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-გაწირულობით, თავდადებით ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე რომ ოსმალებმა ვერ დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ-თუღიანი ფაშობა ოსმალეთისგან სამცხე საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმრთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თერთმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე.

ეგრეთ, – მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დანთხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვა და სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი,

რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა პაპათა...

„ივერია“. 1877. №9. გვ.1-3

განმარტებები

1. აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი. რედ.
2. მესამე მუხლი ამ რესკრიპტისა ამბობს: *“Не позволяя ни себе, ни кому бы то ни было превращать рассадники наук – для достижения политических целей, учебные начальства должни иметь в виду”.*
3. ჩვენ აქამდის არ გვესმის, როგორ და რის ძალით მოხდა ჩვენში ქართულის ენის გამოდევნა შკოლებიდამ. არ გვესმის იმიტომ, რომ ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტი, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, ამ საგანზედ აი რას ბრძანებს: *“В школах обших, особенно низших, преподавание должно быть производимо на природном язике большинства населения”* გვიკვირს ჩვენ: ზოგიერთებმა როგორ შესძლეს უმაღლესის ნების შეცვლა ეგრე დაუსჯელად.
4. აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.
5.* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.
6.* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.
7.* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.
8.* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი. რედ.

9.* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი. რედ.

10.* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი. რედ.

11. ავტორის სიტყვებია.

12. ავტორი მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიურის ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვიხაროდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვის.

13. *Верования.*

14. ტეილორი.

15. ჯონ-სტუარტ მილი.

16. ეიჰგოფი.

17. ედუარდ ფრიმანი, ინგლისელი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი.

18.* ძველის-ძველი ენაა.

19.**ძველის-ძველი სპარსული.

20.*** შრადერი.

21. ზანგების მოგვებმაც ასე იციან: როცა ავადმყოფს არ შეუძლიან მათთან მისვლა, მაშინ იმის ტანისამოსსა, თუ სხვას რასმე ამის მსგავსზედ შეულოცვენ ხოლმე.

22. ეს ცნობები თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოვსწერეთ, ცოტა კი შემოკლებით, თხზულებიდამ: „პედაგოგიური თეორიები განახლების ეპოქისა“.

23. (ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ დღეს ისევ ძველს ამბავს უნდა დავუბრუნდეთ. მაშინ დავიწყეთ და ვეღარ შევასრულეთ სხვადასხვა მიზეზებისა გამო და რაც დაგვაკლდა, ეხლა გვსურს შევავსოთ. ავტორი).

კომენტარები

ბერლინის ხელშეკრულება, გვ. 330, 331

ბერლინის ხელშეკრულება 1878 წლის ივნის-ივლისში გამართული ბერლინის კონგრესის საბოლოო დოკუმენტია, რომლითაც ბრიტანეთის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთის იმპერიები, საფრანგეთი, გერმანია და იტალია შეთანხმდენენ ევროპის საკითხებზე, მათ შორის – ბულგარეთის, რუმინეთის, სერბეთისა და მონტენეგროს სუვერენიტეტზე. ამ ხელშეკრულებას უშუალო გავლენა ჰქონდა საქართველოზეც, რადგან ოსმალეთის იმპერიიდან რუსეთის იმპერიას გადაეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწები და შეიქმნა ბათუმის ოლქი. ილია ამ წერილში პატივს მიაგებს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში დაღუპულ ქართველებს, რომლებიც რუსეთის არმიის რიგებში იბრძოდნენ მშობლიური მხარისთვის და, საერთაშორისო პოლიტიკისა და შიდა პრობლემების ფონზე, მსჯელობს ქართველთა აქტუალურ ამოცანებზე.

1864 წ. რესკრიპტი, გვ. 334

რუსეთის იმპერიაში სამართლებრივი აქტის ძალა ჰქონდა იმპერატორის მიერ მაღალი თანამდებობის პირისთვის პირადად მიწერილ წერილს. ილიას მიერ ნახსენები რესკრიპტი რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე მეორის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმის ერთ-ერთი დოკუმენტია, რომელშიც საუბარია საგანმანათლებლო დაწესებულებების პოლიტიკური მიზნებისგან გამიჯნვაზე და დაწყებით სკოლებში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაზე უმრავლესობის ენაზე.

დროება, Тифлисский вестник, გვ. 334, 335, 338, 358

„დროება“ – 1866-1885 წლებში თბილისში გამომავალი დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, რომელთანაც თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძეც.

“Тифлисский вестник” – 1873-1882 წლებში თბილისში გამომავალი პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი.

“Голос”, გვ. 339

“Голос” – 1863-1883 წლებში სანკტ-პეტერბურგში გამომავალი გაზეთი.

„ივერია“, გვ. 346, 358, 363, 377, 411

„ივერია“ – 1877 წლიდან თბილისში გამომავალი ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, 1879-1885 წლებში გამოდიოდა ჟურნალის, 1886 წლიდან კი ყოველდღიური გაზეთის სახით. დამაარსებელი და რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გვ. 348

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება — კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება, რომელიც ზრუნავდა ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნაზე და ფუნქციონირებაზე. დაარსდა 1879 წელს თბილისში ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ და მოქმედებდა 1907 წლამდე. მისი პირველი თავმჯდომარე იყო დიმიტრი ყიფიანი, მოადგილე – ილია ჭავჭავაძე, ხოლო 1885-1907 წლებში ილია საზოგადოების თავმჯდომარეა.

საადგილმამულო ბანკი, ქუთაისისა და ჩვენი. გვ. 362

თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი დაარსდა 1874 წელს თბილისში ილია ჭავჭავაძის თოსნობით, ხოლო ქუთაისის მიხეილის სათავადაზ-

ნაურო საადგილმამულო ბანკი დაარსდა 1876 წელს ქუთაისში ნიკოლოზ და ბესარიონ ღოღობერიძეების თაოსნობით.

მოლიერის კომედია, გვ. 351

მოლიერი (ჟან ბატისტ პოკლენი, 1622-1673) – ფრანგი დრამატურგი, დრამატურგიის კლასიკოსი, „მაღალი კომედიის“ ჟანრში მოღვაწე. ივანე მაჩაბელმა (1854-1898), ცნობილმა ქართველმა მთარგმნელმა და საზოგადო მოღვაწემ მოლიერის პიესები უილიამ შექსპირის პიესების გვერდით თარგმნა.

ალექსანდრე მეორე, გვ. 353, 360

ალექსანდრე მეორე, რომანოვი (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წლებში. რუსეთის ისტორიაში მისი სახელი დაუკავშირდა ფართომასშტაბიან რეფორმებს, იმპერიის მმართველობითი სისტემის მოდერნიზაციას. ალექსანდრე მეორის რეფორმებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბატონყმობის გაუქმება 1861 წელს, თვითმმართველობის, სასამართლოს, სამხედრო სისტემის, საგანმანათლებლო სისტემის რეფორმები.

“Современник”, გვ. 353, 354, 357

“Современник” – 1836-1866 წლებში სანკტ-პეტერბურგში გამომავალი, ალექსანდრ პუშკინის მიერ დაარსებული ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი.

დიდი ხარტია, გვ. 355

ინგლისის თავისუფლებათა დიდი ქარტია, მაგნა კარტა (ლათ.) – ინგლისის მეფე ჯონის მიერ 1215 წელს გამოცემული დოკუმენტი, რომელსაც საფუძვლად დაედო თავისუფლებათა ქარტია – ინგლისის მეფე ჰენრი I-ის მიერ 1100 წელს, ტახტზე ასვლისას გამოცემული დოკუმენტი. დიდი ქარტია ზღუდავდა მეფის უფლებებს და განსაზღვრავდა სხვათა უფლებებს. ის გახდა ინგლისსა და მსოფლიოში კონსტიტუტუციის წინამორბედი.

დონდუკოვ-კორსაკოვი, გვ. 365, 367

ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი (1820-1893) – რუსი თავადი, გენერალი, სამხედრო მოღვაწე, ჩრდილოეთ კავკასიის და ყირიმის ომების მონაწილე. 1882-1290 წლებში იყო კავკასიის მთავარმმართებელი და კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი. კავკასიის მთავარმმართებელი რუსეთის იმპერიის საგანგებო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის ორგანო იყო. ის რუსეთის იმპერატორის მიერ ინიშნებოდა და აღქმული იყო როგორც მეფის ნაცვალი, რომელიც უშუალოდ იმპერატორის წინაშე იყო ანგარიშვალდებული, მისი სახელით მართვის

სრული უფლებამოსილება ჰქონდა, გარდა კანონშემოქმედებისა. მთავარმმართებელი თბილისიდან მართავდა მთელს კავკასიას. 1844-1854 წლებში კავკასიის მთავარმმართებელი იყო თავადი, გენერალ-ფელდმარშალი მიხეილ ვორონცოვი (1782-1856).

ფილოსოფოსი ბეკონი, გვ. 401

ფრანსის ბეკონი (1561-1626) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

ოსმალოს საქართველო, გვ. 408, 409, 410, 411

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიული მიწები, რომლებიც მე-16 საუკუნის 70-იან წლებიდან ოსმალეთს (დღევანდელ თურქეთს) ჰქონდა დაპყრობილი, ბათუმის ოლქის სახით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ცხადია, ქართულმა საზოგადოებამ ეს აღიქვა როგორ ქართველ ხალხთან, „ოსმალოს საქართველოსთან“ გაწყვეტილი კავშირის აღდგენა. ამ მხარეში მცხოვრებ ქართველებს შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ენა და იდენტობა, და მიღებული ჰქონდათ ისლამი. ილია ჭავჭავაძე და სხვა ქართველი მოღვაწეები იწყებენ კავშირების განმტკიცებას, იქაური ქართველების ჩართვას ერთიან ნაციონალურ სივრცეში, რაც შესაძლებლად ესახებათ, ერთი მხრივ, საერთო ისტორიის ხსოვნით, მეორე მხრივ კი, ისლამის აღმსარებელ ქართველთა რწმენის პატივისცემით.